

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი

არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების  
ინსტიტუტი





ნინელი ჭოხონელიძე

სახელურ მონიშნა  
ისტორია ქართულში

(მასალები ისტორიულ-ეტიმოლოგიური  
ლექსიკონისათვის)

თბილისი

2018

წიგნში წარმოდგენილია დაახლოებით 1070 ომონიმი (2800 ომონიმური ცალი სიტყვა-სტატია). ნაშრომი ემყარება ემპირიულ მასალას, ქართული ენის მრავალსაუკუნოვან წერილობით წყაროებს, დიალექტოლოგიურ და ქართველურ ენათა მონაცემებს. განხილულია ამა თუ იმ სიტყვასთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული თვალსაზრისები და, შეძლებისდაგვარად, მათი წარმომავლობისა და ეტიმოლოგიის საკუთარი ინტერპრეტაციაც. დაწერილია ისტორიულ-შედარებითი მეთოდის გათვალისწინებით. განკუთვნილია ქართველური ენების ლექსიკის ისტორიულ-ეტიმოლოგიური საკითხებით დაინტერესებულ პირთათვის.

**რედაქტორი მ. ჩუხუა**

**რეცენზენტები: ე. შენგელია  
ნ. ხახიაშვილი**

**ტექნიკური რედაქტორი ლ. ვაშაკიძე  
ოპერატორი თ. გაბროშვილი**

© თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ISBN



## სახელურ ომონიმთა ისტორია ქართულში

(მასალები ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონისათვის)

ომონიმია აგებულებით ერთნაირი, მაგრამ განსხვავებული წარმომავლობისა და მნიშვნელობის ორი ან მეტი ლექსემაა. მათი შესწავლა და მათ წარმომავლობასთან დაკავშირებული რიგი პრობლემების გადაჭრა ქართული ისტორიული ლექსიკოლოგიის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენს.

სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ ომონიმთა განაპირობებს: 1. სიტყვის სემანტიკური ვარიანტი, ე. ი. პოლისემიური სიტყვის ის მნიშვნელობა, როდესაც მას სხვადასხვა მიზეზებით კავშირი გაწყვეტილი აქვს ძირითად მნიშვნელობასთან და უკვე ახალ სიტყვად აღიქმება; 2. ფონეტიკური ცვლილებები, რაც ხშირად დიალექტური მასალითაა გამოწვეული; 3. ნასესხობანი.

სამივე თვალსაზრისს ძალიან მოკლედ შევხებით.

პოლისემიურობა სიტყვას, თავისი ისტორიული განვითარების სხვადასხვა დროს, ერთი ძირითადი ლექსიკური მნიშვნელობის განვითარებით აქვს შეძენილი. სიტყვის ახალი მნიშვნელობა ძირითადად მისი მეტაფორული ცვლილებებითაა გამოწვეული, რომელიც ინდივიდუალურად სამეტყველო კონტექსტში იჩენს თავს და მერე კი, ენაში მკვიდრდება. სანამ მნიშვნელობათა შორის კავშირი ნათელია, იგი ერთ სიტყვად მოიაზრება, მაგრამ რიგ შემთხვევაში მნიშვნელობათა შორის კავშირი წყდება და იგი უკვე ახალ სიტყვად მოიაზრება.

თუ სად თავდება სიტყვის პოლისემიურობა და სად იწყება ომონიმია, მკვლევართა მიერ სადავო საკითხადაა მიჩნეული. მათ განსასხვავებლად სხვა საშუალებებთან ერთად, როგორცაა, მაგ., ომონიმური სიტყვებისათვის შესაბამისი სინონიმური წყვილებისა და სხვა სიტყვებთან დერივაციული კავშირების დაძებნა, აგრეთვე, უცხო ენებში მათ შესაბამის ერთეულებთან შეპირისპირება და სხვ., ერთ-ერთი ძირითადი კრიტერიუმია ომონიმური ცალეებისა და პოლისემიურ სიტყვათა მნიშვნელობების ისტორიისა და წარმომავლობის გარკვევა, მათი ეტიმოლოგიური მონაცემების გათვალისწინება.

კონკრეტულ შემთხვევაში ცალ-ცალკე უნდა გავარკვიოთ, ფუძის მნიშვნელობის განშტოებასთან გვაქვს საქმე, თუ იმავე ფუძის სხვადასხვა ახალ წარმონაქმნთან, ამასთან ერთად, სიტყვის ლექსიკური და გრამატიკული განშტოებები ხშირად ერთმანეთითაა განპირობებული და ამიტომ მათი ცალ-ცალკე გააზრება ჭირს.

გასათვალისწინებელია, კონკრეტული მნიშვნელობის მქონე ერთი ფუძე-ფორმის ფონეტიკური და სემანტიკური დიფერენციაციით გამოწვეული კორელაციური ცვლილებებიც.

დიალექტური ლექსიკა მწერლობის მეშვეობით გზას იკაფავს სამწერლო ქართულისაკენ და რიგ შემთხვევაში მკვიდრდება კიდევ. და ასეთი ახალი ერთეული შესაძლებელია სალიტერატურო ენაში დამკვიდრებული სიტყვის ომონიმურ ცალად მოგვევლინოს. უნდა შევნიშნოთ, რომ გვაქვს საკუთრივ ამა თუ იმ დიალექტისათვის დამახასიათებელი ომონიმებიც.

ხშირად გასარკვევია: 1. სინქრონიულად დიალექტურად მიჩნეული სიტყვა ძველი ქართულიდან მომდინარეობს, თუ იგი საკუთრივ დიალექტურია და მისთვის დამახასიათებელი ფონეტიკური და სემანტიკური ცვლილებებითაა გამოწვეული. 2. ფუძე-ენიდან მომდინარე ლექსიკური ერთეული გვაქვს, თუ ერთი ქართველური ენიდან სხვა ქართველურ ენაში ნასესხები. ამ საკითხების შესწავლას მიეძღვნა არაერთი ფუნდამენტური შრომა (ფოჩხუა 1974; ლომთათიძე 1984; კოშორიძე 1995; გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე 1961; ღლონტი 1984; თოფურია 1963; ძიძიგური 1989; ჯორბენაძე 1989; ცოცანიძე 2002 და სხვ.).

როგორც აღიარებულია მეცნიერებაში, სიტყვის ქართულობის მაჩვენებელია მისი აგებულება, ფონემატური სტრუქტურა და კანონზომიერი შესატყვისობების საფუძველზე დადგენილი საერთო-ქართველური ფუძე. (იხ. ჯავახიშვილი 1992; ჩიქობავა 1938; როგავა 1962; კლიმოვი 1964; გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965; ფენრიხი, სარჯველაძე 2000; ჩუხუა 2000-2003, არაბული 2001; გიგინეიშვილი 2016; შანიძე 1980; როგავა 1962; უთურგაიძე 1976; გელენიძე 1974; ქერქაძე 1974).

„თავდაპირველად ქართველური და ე. წ. კავკასიური ენები ერთი და იმავე ბუნებისა და უმჭიდროესად მონათესავე ენები ყოფილა და რომ მხოლოდ შემდეგში, სხვადასხვა მიზეზის გამო დროთა განმავლობაში დაჰშორებინან ერთმანერთს, სამ-ხუთ დიდ მთავარ ენათა ჯგუფად ქცეულან“ (ჯავახიშვილი 1992, XIII).

ახალი პარადიგმების მეშვეობით ქართველურ და სინდურ ენებს (ქართული, კოლხური (მეგრულ-ლაზური), სვანური; აფხაზური, აბაზური, უბიხური, ადიღეური, ყაზარდოული) შორის გამოვლინდა რეგულარული, კანონზომიერი და სისტემური ბგერათმესატყვისობები და მასზე დაყრდნობით მტკიცდება ამ ენათა შორის გენეტიკური ნათესაობა. რაც საშუალებას გვაძლევს, ბევრი აქამდე გაურკვეველი ფუძე საერთო-ქართველურად მივიჩნიოთ (იხ. ჩუხუა 2017).

უკანასკნელ ხანს ყურადღება მახვილდება ქართველურ და კავკასიურ ენათა ლინგვოკულტურულ ურთიერთობებზეც (გვანცელაძე 1996; 1997; 2001; ბუკია 2013).

მით უმეტეს, რომ ქართველური ენები ისტორიულად სხვადასხვა ენობრივი ოჯახების გარემოცვაშია. მაგ. აზერბაიჯანული და ბალყარულ-ყარაჩაული თურქული ენებია, ოსური და სომხური ინდოევროპული

ოჯახის წევრებს წარმოადგენენ. ხანდახან ჭირს იმის გარკვევაც, სიტყვა წარმომავლობით საკუთრივ ქართული ლექსიკური მარაგის კუთვნილებაა, თუ სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა გზებით ქართულში დამკვიდრებული ნასესხები მასალა.

კაცობრიობა, ადამიანთა სხვადასხვა გაერთიანებები ერთმანეთთან ურთიერთობის გარეშე წარმოუდგენელია. ხალხთა კონტაქტი კი, როგორც ცნობილია, ძირითადად ენების მეშვეობით ხორციელდება. ენების დახმარებით ახერხებენ ადამიანები საკაცობრიო მიღწევების ერთმანეთთან გაზიარებას. ამიტომ იმთავითვე იგულისხმება ენათა ურთიერთგავლენა. ენათა გავლენა ყველაზე ნათლად ვლინდება ლექსიკაში, რომელიც ფონოლოგიასა და მორფოლოგიასთან შედარებით უფრო ღია სისტემაა. ამასთან, როგორც ბრძანებდა დიდი ილია, „ენის გამდიდრება სხვისა სიტყვებით ენას არ დაამდაბლებს, თუ არ აამაღლებს“. ამიტომაცაა, რომ „ჩვენ არაოდეს არ დავფარავთ, რასაც სხვის ენისას ვხმარობთ სახელებს“ (თ. ბაგრატიონი, წიგნი ლექსიკონი 1979).

ენის ისტორიის შესწავლისას ხელშესახები ხდება ხალხის ისტორიაც. ამიტომაცაა, რომ უცხოური ენებიდან შემოსული ლექსემების შესწავლა ენის ისტორიის კვლევის აუცილებელი პირობაა.

ძველ და საშუალო ქართულის სამწერლო ძეგლების ლექსიკაში საკმაო რაოდენობით ვხვდებით ნასესხებ მასალასაც, რომელიც სხვადასხვა გზებით, იქნებოდა ეს ზეპირი, თუ ლიტერატურული, უშუალოდ ან მესამე წყაროდან შემოდიოდა ენაში.

ძველ ქართულში V-XI საუკუნეების სამწერლო ძეგლებში ნასესხები მასალიდან ძირითადად გამოსაყოფია ბერძნული ლექსიკა, თუმცა გვხვდება აღმოსავლური, კერძოდ, ებრაული, და ზოგჯერ სირიული ლექსიკაც (დანელია 1993, 124). გასათვალისწინებელია ქართულში არაბული სიტყვის შემოსვლის გზაც – ქართულში მისი მნიშვნელობა ზოგჯერ უფრო უახლოვდება შესაბამისი სპარსული (ირანული წარმოშობის) სიტყვის მნიშვნელობას და გარკვეულ შემთხვევებში სრულ დამთხვევასაც აქვს ადგილი (ლევიაშვილი 1993, 141). გამორიცხული არ არის სემიტური ენების სომხურის გზითაც გაშუამავლებული სესხება (წერეთელი 1992).

ირანულიდან შეთვისებული სიტყვები ქართულში სხვადასხვა დროისა და სხვადასხვა ხასიათისაა და მომდინარეობენ სხვადასხვა დიალექტური წრიდან. აქ შეიძლება შევხვდეთ სესხების ყველა სახეს, იქნება ეს ცოცხალი ენობრივი ურთიერთობის შედეგად შეთვისებული სიტყვები, თუ ხელოვნური, წიგნური გზით შემოსული სიტყვები, ირანული გზით მომდინარე ე. წ. ინტერნაციონალური სიტყვები, შემოსული სხვა ენათა მეშვეობით (სომხურის, ბერძნულის, თურქულისა და სხვ.), ე. წ. შებრუნებული ნასესხობანი და სხვ. (ანდრონიკაშვილი I, 1966, 6). ქართულში დამკვიდრებული თურქული წარმომავლობის სიტყვათა უმრავლესობა შემოსულია ენათა თურქული ოჯახის ოღუზურ (ოსმალური, თურქული,

აზერბაიჯანული) და ყივჩაღურ (ყარაჩაული, ყუმუხური) ჯგუფებში შემავალ ენათაგან (რუხაძე, 1999, 18).

ენა დროის სრბოლას ემორჩილება. უცხო სიტყვათა დიდი ნაწილი სხვადასხვა მიზეზებით გაქრა, ზოგი კი ენამ დაიმორჩილა, ახალი ყოფის შესაბამისად გარდაქმნა, საგნობრივი მიმართების თვალსაზრისით მოსწყვიტა პირველწყაროს და დამახასიათებელი სემანტიკური წესების საფუძველზე გააქართულა. ენაში ნასესხები სიტყვების დამკვიდრების ერთ-ერთ ძირითად მიზეზად მათი სხვადასხვა სინტაგმურ კავშირებსა და სემანტიკურ ველებში გაერთიანება უნდა ვიგულოვოთ. ძირეული ქართული სიტყვების მსგავსად ნასესხები სიტყვების საფუძველზეც ენაში უწყვეტად მიმდინარეობს ახალი სიტყვების წარმოქმნა (დერივაციული აფიქსებით, რედუპლიკაციით, კომპოზიციით). ზოგი მათგანი როგორც ოკაზიონალიზმი, მაშინვე იკარგება, ზოგი კი დიდ გასაქანს პოულობს, უზუსტად იქცევა და ენაში მკვიდრდება. დროთა განმავლობაში ნასესხები ფუძისაგან წარმოქმნილი სიტყვა შესაძლებელია ენაში დამოუკიდებლად განვითარდეს, ამოსავალი ფუძისაგან განსხვავებული ფუნქცია შეიძინოს, მეტყველების ერთი ნაწილიდან მეორეში გადავიდეს; ასეთ შემთხვევაშიც ხშირად ჭირს ამოსავალი ფუძის მიგნება, მაგ., შდრ. ახ. ქართ. **ლამაზი**, **ლამაზობა** სასიამოვნო და არაბ. **ლამაზ** ცილისმწამებელი, მაყივნებელი; ახ. ქართ. **ნაზი**, **ნაზობა** სათუთი, ტურფა და არაბ. **ნაზ** საყვედური, წყრომა (კობიძე 1983).

ნასესხებ მასალას, ქართული ენის ცხოველმყოფელობის გამო, მის ლექსიკურ ფონდზე არავითარი გავლენა არ მოუხდენია.

„დიალ, მოდის ენაც მდინარესავით, მაგრამ თუ სათავეში, ე. ი. იქ, საიდანაც იზადება, არ დაშრა, ქვევით, ბოლოდგან მისი დაშრეტა ყოვლად შეუძლებელია. და ძალაც მისი სწორედ სათავეშია. გამომდინარეობს ულევლად, უკლებლად. საიდგან და როგორ იკრებს ამ ძალას, ჩვენთვის სულ ერთია. ენის საქმეც სწორედ ასეა... ქართული ენა გუშინ მოგონილი ხომ არ არის! იგი ძალიან დიდი ხნისაა, უკვე დამთავრებული, დახარებული ვაჟკაცია“ (ვაჟა-ფშაველა 1961).

გასათვალისწინებელია, რომ სიტყვა, იქნება ეს ძირეული თუ ნასესხები, დროებით შეიძლება პასიურ მარაგში აღმოჩნდეს, შემდეგ კი ახალი შინაარსით გამოჩნდეს ენაში.

სიტყვის ისტორია, როგორც დიაქრონიული ლექსიკოგრაფიის ობიექტი, საჭიროებს როგორც სიტყვის ეტიმოლოგიას, ასევე დიალექტურ და მოძმე ენათა მონაცემების გათვალისწინებას. სიტყვათა ეტიმოლოგიური და ისტორიული შესწავლა დიაქრონიის სხვადასხვა სიღრმეს გვიჩვენებს. მნიშვნელობათა კარგად მოფიქრებული კლასიფიკაცია საშუალებას გვაძლევს ვიპოვოთ სიტყვის ეტიმოლოგია, მეორე მხრივ, სიტყვის ეტიმოლოგიის მიგნებით ჩვენ მნიშვნელობათა სწორ კლასიფიკაციას ვახდენთ. „შინაგანი კავშირი ისტორიზმის პრინციპსა და ეტიმოლოგიურ ძიებათა

მეცნიერულ ხასიათს შორის ენათმეცნიერების ისტორიაში შემოწმებულია პოზიტიურადაც და ნეგატიურადაც. რამდენადაც უფრო ზუსტად და სრულადაა შესწავლილი სიტყვის ისტორია, მით უფრო სანდოა სიტყვის ეტიმოლოგია. რამდენადაც უფრო ნაკლებ ანგარიშს უწევს სიტყვის ისტორიას ეტიმოლოგია, მით უფრო შორდება ის მეცნიერებას“ (ჩიქობავა 1997, 183).

სიტყვის სემანტიკური ისტორიის გადმოცემისას მთელ რიგ სიძნელებებს ვაწყდებით. ერთ სინქრონიულ ჭრილში დადასტურებული სიტყვის მთავარი მნიშვნელობა შეიძლება არ დაემთხვეს მის მომდევნო ეტაპზე ცნობილ ამავე სიტყვის მთავარ მნიშვნელობას. თავის მხრივ, დიაქრონიაში შეიძლება აღმოვაჩინოთ სხვადასხვა მთავარი მნიშვნელობები. სინქრონიაში ერთი მთავარი მნიშვნელობა ხანდახან შეესაბამება დიაქრონიაში სხვადასხვა მთავარ მნიშვნელობას და სხვ.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ომონიმების გაჩენა სინქრონიულად ქართულისათვის ნაკლებად დამახასიათებელია. მას ძირითადად განაპირობებს სხვადასხვა პერიოდის ლექსიკური ერთეულები, ანდა დიალექტური მასალა. ომონიმური ცალები გამოყენების სიხშირით ერთმანეთისგან განსხვავდება, ერთი უფრო აქტიურია და მეორე – პასიური, რაც ნათლად ჩანს სამწერლო ძეგლების მიხედვითაც.

ამ ეტაპზე ომონიმების საყრდენ ერთეულად შევარჩიეთ ძველი და საშუალო ქართულიდან მომდინარე ლექსემები. ქართულ ენაში აგებულიების მიხედვით გამოიყოფა ომონიმთა ორი ჯგუფი: 1. აბსოლუტური ომონიმები, როდესაც მის ცალებს ფონეტიკური ვარიანტები არა აქვთ; 2. რელატიური ომონიმები, როდესაც მის შემადგენელ ერთეულებს სხვადასხვა ფონეტიკური ვარიანტი გააჩნია და, შესაბამისად, შესაძლებელია ისინი სხვადასხვა წყვილებშიც გაერთიანდნენ. როგორც მასალიდან ირკვევა, ქართულისათვის სწორედ ამ ტიპის ომონიმებია დამახასიათებელი.

ხშირად ომონიმური ცალი მეცნიერების მიერ ხან მკვიდრ ქართულადაა მიჩნეული, ხან – ნასესხებად. ასეთ შემთხვევაში ორივე მოსაზრებას ვუთითებთ.

რიგ შემთხვევაში კი ერთი და იმავე მნიშვნელობის ნასესხები მასალა სამწერლო ქართულსა და მის დიალექტებში სხვადასხვა აღმოსავლური ენებიდან ჩანს შეთვისებული, ასეთ შემთხვევაში ვეყრდნობით სამწერლო ძეგლებსა და დიალექტურ ლექსიკონებში ამა თუ იმ სიტყვაზე მითითებულ წარმომავლობას.

ძველი ქართულის მასალა ძირითადად მოხმობილი გვაქვს ილია აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონის“, თბ., 1973 წ.; ზ. სარჯველაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონის“ თბ., 1995 წ. მიხედვით; საშუალო ქართულის მასალა წარმოდგენილი გვაქვს XII-XVIII საუკუნეების სხვადასხვა სახის მწიგნობრული ძეგლებისა და ამ ძეგლებში წარმოდგენილი ლექსიკონების მიხედვით.

ახალი ქართულის მონაცემებს ვეყრდნობით ქეგლ-ს, როგორც ძველ – ტ. ტ. I-VIII, 1950-1964 წწ. (მთ. რედ. არნ. ჩიქობავა), ისე ახალ რედაქციას – ტ. ტ. I-III, 2008-2015 წწ. (მთ. რედ. ა. არაბული); ვხელმძღვანელობდით ლექსიკონებით: სულხან-საბა ორბელიანი, „ლექსიკონი ქართული“, წიგნი I და II, გამოსცა ილ. აბულაძემ, თბ., 1966; დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, სასტამბოდ მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო ა. შანიძემ, თბ., 1984; ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ, ალ. ლლონტის რედაქციითა და გამოკვლევით, თბ., 1961. მხედველობაში გვაქვს მიღებული სხვადასხვა დიალექტოლოგიური და ქართველური მონაცემები.

რა თქმა უნდა, ვითვალისწინებთ ა. სიხარულიძის „ქართული ენის ომონიმთა ლექსიკონს“, თბ., 2010, რომელშიც, გარდა ომონიმური ერთეულების მოძიებისა, მის კვლევასთან დაკავშირებული ბევრი სადავო საკითხია წამოჭრილი.

შევეცდებით წარმოვადგინოთ ამა თუ იმ სიტყვასთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული თვალსაზრისები და, შეძლებისდაგვარად, მათი წარმომავლობისა და ეტიმოლოგიის საკუთარი ინტერპრეტაცია.

ყოველთვის არსებობს შესაძლებლობა, რომ ამა თუ იმ სიტყვის ფონეტიკური ვარიანტი, ანდა საძიებელი მნიშვნელობა უფრო ადრინდელ ძეგლში, ანდა რომელიმე დიალექტში გამოვლინდეს და გარკვეულწილად შეიცვალოს კიდევაც წარმოდგენილი მოსაზრება, მაგრამ ვფიქრობთ, რომ ჩვენ მიერ წარმოდგენილი საკვლევი მასალა შესაბამისი პრობლემების ზოგადი გააზრების საშუალებასაც იძლევა და კონკრეტული ფაქტების ისტორიასაც.

ნაშრომი დაწერილია აღწერითი, ისტორიულ-შედარებითი მეთოდის გათვალისწინებით.

განსახილველი ომონიმები დალაგებულია ანბანთრიგზე.

\* \* \*

ავტორი გულითად მადლობას მოახსენებს მეგობრებს: **ანზორ ორთოიძეს, მარიამ ჭოხონელიძეს, ლევან ვაშაკიძეს, თინათინ გაბროშვილს, ლელა დოღმაზაშვილს, მანანა ლეყავას**, რომლებსაც სხვადასხვა სახის წვლილი მიუძღვით ამ წიგნის შექმნაში.

**აბა:**

ძვ. ქართ. **I. აბბა, აბა, ამბა, ანბა** მამა. „და იტყოდა: აბა, მამაო ჩემო“, DE – „და იტყოდა: აბბა, მამაო“ (C, მრ. 14, 36). **აბბა, ამბა** (ებრ.) მამა – დ. ჩუბ.

**აბბა, აბა, ამბა, ანბა** (ებრ. აბ, სირ. აბა, ბერძნ. აბბა). ამ სემიტური ძირის ეტიმოლოგიური მნიშვნელობა უცნობია. საზოგადოდ აღნიშნავს „მამას“, წმინდა, სულიერ მამას, „მამამთავარს ტომისა, ხალხისა“, მოგვიანებით კი პატივისცემის გამომხატველ ეპითეტად იქცა... ბერძნული გზით ეს აღმოსავლური სიტყვა ქართულში ადრე შემოსულა „წმინდა მამის“ მნიშვნელობით. უკვე პალესტინის VI საუკუნის I ნახევრის მოზაიკურ წარწერაში მოიხსენიება **ანტონი აბაი**: შეიწყალენ ანტონი აბაი და იოსია მომსხმელი ამის *სეფისაი* (წერეთელი 1960, 37; დანელია 1998, 144).

შდრ. **ობია** (ებრ. იგივე: აბია) მამა. „მამაო, *ობია* და ქეთ ფით რუთ“, რომელი გამოითარგმანების: „მამაო კელთა შენთა შევკვედრებ სულსა ჩემსა“ (ნიკოლიძე 56, 2).

საშ. ქართ. **II. 1. აბა // აბაი** მდიდრულად ნაკერი ცხენის ჩული. *აბაი-ებ* – ასალეზზე ევლო ხალასი მილია (შჰნ. I, 198, 3). მერმე მოასხეს ოთხასი დარჩეული ტაიჭი, ოქროთა აკაზმულითა უნაგირთა და ჩარყაფისა ასლითა და *აბაითა* დაკაზმული (შჰნ. III, 243, 22).

2. **აბა** საშინაო ხალათი. მუშაითს მისცენ ხალათი, ზედ წამოასხმენ *აბასა* (თეიმ. II, ანთოლოგია, II, 161) – ი. გრიშ.

დაკაზმნა მისნი მხლებელნი ბაღდადურითა *აბითა* (ნ. ციც. 743, 2).

3. დიალექტ. **აბა** უხეში მსხვილი შალის ძაფი. ჭახრაკზე დავართი *აბა*, შაგიკერე ყირმიზი კაბა (ინ., ჩვენ. ფუტკ.).

ძვ. ქართ. **აბა** ნაწილაკი. **აბა, ჰაბა** აბა, მამ: დასცხერ აბა, რომლისათსცა იგი ეწადოდა, მოგეცა შენ (ფლკტ. 137, 26). ამის მეტსა ნუ იქ აბა (ვეფხ. 367, 1).

ძველ ქართულისეული **აბა** ნაწილაკი და მისგან ნაწარმოები ფორმები სალიტერატურო ქართულსა და მის დიალექტებში სხვადასხვა კონტექსტების მიხედვით მეტნაკლები სემანტიკური გადაწევით ხშირი გამოყენების სიტყვაა. იხ. ქეგლ.

**აბდარ-ი:**

საშ. ქართ. **I. აბდარი** (სპარს.) მეფის წყლის მნე – დ. ჩუბ. არის მისი მოწამე თავად ღმერთი; კაცთაგან: მამასახლისი ბახუტა... *აბდარი* სულთა და სოფლის ქეთხუდები (სამ. IV, 298, 10).

დიალექტ. **II. აბდარი** ავდარი (გურ. ს. ჟდ.). იხ. II დარი.

**აბზინდა:**

საშ. ქართ. **I. აბზინდა** ეწოდების: თასმა ანუ ქსოვილი რა(დ)მე მის მიერ შეიკროდეს საჩხვლეტელითა: და ერთს ბალახსაც ჰქვიან – საბა, დ. და ნ. ჩუბ.

მაშია, წინ *აბზინდით* შესაკრავი (ტ. გაბაშ. 190, 3).

ახ. ქართ., დიალექტ. **აბზინდი, აბზინდა** ლითონის ენიანი შესაკრავი ქამრისა, ცხენის მოსართავისა და მისთ. (შდრ. ბალთა). თასმის შესაკრავად *აბზინდა* ჰქონიათ (ივ. ჯავახ.). მეიტა, მელანო, ჩხინკი იქნება რამე... ენა არ ქონებია *აბზინდს!* (დ. კლდ.). ვერცხლის *აბზინდა* მზეზე ულაპლაპებს (თ. ბიბილ.).

გუდუნას ისე არ გაუშვებდა... რომ არ ეჩუქებინა: კანფეტი, თოხი, *აბზინდი* (ჭ. ამირეჯ.).

ქამარს თასმისა არის. მას ერთ მხარეს აქვს, *აბზინდი* (ენიანი) ლითონისა. ქამრის შემორტყმისას მეორე პირი გაეყრება *აბზინდში* და უკანასკნელის ენა დაიჭერს მას (თუშ. მრეწ. III, I, 75).

**აბზინდა, აბზინტა** ბალთა, თასმის შესაკრავი (ფშ. ხორნ.). **აბზინტ-ი/ა** ვერცხლის სამკაულია ლობიოს ლებნის ფორმისა; აბზინტების ასხმულა შეადგენს ყაწიმს. ვაჟის მჭრით მისცემდეს სამს *აბზინტს* (დიალექტ. 10, 7). აბზინტა ვერცხლისა, ჰევსურეთ ალაქანან აკეთებდიან აბზინტებს (ხევს. ალ. ჭინჭ.).

საშ. ქართ. **II. აბზინდა** მცენ. – დ. ჩუბ.

**აბზინდა** [Artemisia absinthium] სამკურნალო ბალახი, მონაცრისფრო, ბუსუსიანი, ფოთლებდნაკვთული. *აბზინდა* იხმარება, როგორც კუჭის წვენის მომგვრელი საშუალება (ი. ქუთათ.). ბალახებიდან ღია ადგილებში ურო, შიგადაშიგ *აბზინდა* მძლავრობდა (ნ. კეცხ.). ყვავის თავბრტყელი ფარსმანდუკი, ვერცხლის მტვერგადაფრქვეული *აბზინდა* (რ. ინან.). ეს *აბზინდა* ვარო! (გ. ლეონ.).

დიალექტ. *აბზინდა* სურნელოვანი ბალახია, რომელსაც ტახტის ქვეშ შეინახავენ, რომ ტილი და რწყილი ამოწყდესო (მესხ.-ჯავახ. ლეონ.). აგრეთვე: **აბზინტა, აბზინტი** (ფშ., ხევს.).

მცენარის ეს სახელწოდება დასტურდება ზანურ-სვანურ ენებშიც. **აბზინდი** // **აბზინდე** (მც.) ზან. (მეგრ. ქობ.).

**აბზინდაჲ, აბზინდაჲ, აფსინდ, აბზინდ** (სვან. თოფ., ქალდ.). **აბზინდა** წარმოადგენს ნასესხობას ბერძნულიდან. შდრ. ბერძნ. apsintion (Deeters 1973, 263; ურუშაძე 1980, 213; გიგინიევილი 2016).

**აბლ-ი:**

დიალექტ. **I. აბლი** ავლი (გურ. შარაშ.). კარქი თუთუნის *აბლს* მიეგდებს. გადატ. *აბლივით* დაცვივდა ის დღეები და იმ დღეთა მოგონება (ფ. ხალ., აჭარ. ნიჟ.). სული შეუბერე, ვერ ხედავ, *აბლი* ყრია? აქ არ სვა თუთუნის, *აბლი* დეფყრება. *აბლო-ბაბლი*, ვერცხლი ტახტი, მზით ავიღე, მთვა-



რით დავდგი (გამოცანა). გაავსე ერთი მეშოკი *აბლით* და ერთი მეშოკი ნახშირით გაავსე (კირნ., სამხ., ცინც., ფად.). აგრეთვე: (იმ., ჩვენ. ფუტკ.). გურულსა და აჭარულში **ავლის** ფონეტიკური ცვლილებების შედეგი უნდა იყოს ამავე მნიშვნელობის **აბლი**, რომელიც როგორც სამართლიანად მიუთითებენ ავლ-ისაგან სუბსტიტუციით არის მიღებული (კბილბაგისმიერ ვ-ს შეენაცვლა ბაგისმიერი ბ) (ცინცაძე, ფაღავა 1998, 176).

დიალექტ. **II. აბლი** ცოტა, მცირე. „*აბლი* შეარ და წითლეკარ ახუალ“ (ტ.). მურლულში „ცოტა“-ს იტყვიან, ჩუენ „აბლ“-სა ვიტყვით“ (ტ.). ორი ქალი *აბლი* ყავს“ (ტ., ჩვენ. ფუტკ.).

დიალექტ. **III. აბლი** „გაუგებარი, უთაური; თავდაბალი; პირუტყვი, („შეუწყინარი“) (ხევს. შან., ჭინჭ.). **აბლა-დაცემული** დაჯამლული. კოჭლი – ა. შან.

შდრ. **აბლაობა** სიბრიყვე, სირეგვენე. ათასი ტარალობა და *აბლაობა* შემომაცუედრე (ვისრ. 266, 2). შდრ. „მე თუმცა ეგეთი რეგუენი არ ყოფილ ვიყავ... შენადმცა მოქენედ არ ვიყავ“ (იქვე 266, 3).

დიალექტ. **IV. აბლი** საბავშვო თამაშის დროს, გათვლისას სახმარი სიტყვა: *აბლი*, ბაბლი, ოქროს ტახტი...! (გ.-კახ. სახლთხ.).

ვფიქრობთ, რომ აბლი < მებელი „სახლის მორთულობა, საფენი“ – დ. ჩუბ. თავის მხრივ მებელი < სპ. მობლ.

#### **აბრა:**

საშ., ახ. ქართ. **I. აბრა** სასწორისა, თათართ ენით არის, ქართულად საჭარბი ჰქვიან – საბა. ცოთი, საჭარბავი – დ. ჩუბ.

გვერდთ, ხელთ, ფერხთ სისხლი შენი სასწორს *აბრად* შეუდეგ (დ. გურამ. 311, 7, 3).

სასწორს *აბრა* დაადო და გაასწორა. ფიგურ. [ნენე] ადგებოდა და კატაც *აბრასავით* თან აჰყვებოდა (ს. მგალობ.).

დიალექტ. გადატ. **აბრა** 1. სამაგიერო, წონით თანაზომიერი. 2. ოდნავ მეტი, ვიდრე საჭიროა. „მიეცით *აბრა* და ისთე დაჭარი მაი კაბა“ (შემ., გურ. ჯაჯ.). ბრუდი რო მოვა სასტორი, დოუდებენ კვერცხს, ქვას გასასტორებლად. *აბრა* არი ისი. ქალი რო არ ივარგეფს, მუუმატებენ მზითეფს. კაცი ამბოფს: ქალი ნაკლებია და მამეცი ბარგიო. *აბრა* არი ესეც (ხიდარი, ზ.-იმერ. ძოწ.).

გადატ. **აბრა** ძვირფასი თვლებით მორთული სამკაული, ძღვნად მისართმევი. ჯორწილჩი *აბრა*ი წავიღეთ საჩუქრად (მოხ. ქავთ.).

ახ. ქართ. **II. აბრა** (სპ.) დაფა, რომელზედაც წარწერილია წარმოების, დაწესებულების სახელწოდება – ფირნიში. აუარებელი ხალხი რიგში იდგა, *აბრაზე* ვატყობ: დამზღვევი საზოგადოება უნდა იყოს (კ. გამს.). მალე... სამიკიტნო რესტორნად აქცია და ძველ მღებავს დიდი *აბრა* გააკეთებინა (რ. გვეტ.). ოდესღაც მხატვრად თვლიდნენ. მაღაზიის *აბრეგზე* კოხტად გამოჰყავდა ქართული ასოები (ა. სულაკ.).

**აბრაგ-ი:**

**აბრაგო**, ხელსაბანი ჭურჭელი, წურწუმა, ლულეინი, ალთამა (საბა, დ. და ნ. ჩუბ.).

ძვ., საშ. ქართ. **I. აბრაგო** გამოიყოფა რთულ სიტყვაში **ტაშტ-აბრაგო** (სპ. ტაშტი და იბრნკ – მაღალ-ყელიანი თუნგი): „და ვეცხლისა ტაშტ-აბრაგო დიდი, წყვილი ორი, და ბერძული ტაშტ-აბრაგო ვეცხლისაჲ ოქროთა ცურვებული ერთი“ (მელქისედეკ კათალიკოზის გუჯარი 1020 წლისა) (პეტრ. ტიპ.).

**ტაშტ-აბრაგო** ჭურჭელი. ნოხითა და ტაშტ-აბრაგითა და ყოვლი ფერითა შეკაზმული იყო (ამირან. 536, 8). გვხვდება **აბრაგის** სახითაც; სასმისი *აბრაგო*, მამრებები, საყარყები (შპნ. III, 243, 22).

დიალექტ. „ჩვენებურების ქართულში“ დადასტურებული **იბრიდი** // **იბრედი** (არაბ. იბრიკ) წყლის დოქი (სპილენძისა) ამავე წარმომავლობისა ჩანს. *იბრილსა* წმურტაი პირი აქ (იმ.); *იბრედში* ცივი წყალია (იმ., ჩვენ. ფუტკ.).

ახ. ქართ. **II. აბრაგო** 1. ძვ. რუსეთის მეფის მთავრობასთან მეზობელი მთიელი პარტიზანი. ესენი განთქმული *აბრაგები* იყვნენ, რომელთა სახელი და ვაჟკაცობა შორს იყო გავარდნილი (ა. ყაზბ.). ძმადნაფიც *აბრაგს*, ილალ ზანკშის ეძებდა (ჭ. ამირეჯ.). 2. კუთხ. ყაჩაღი, ტყეში გავარდნილი. მართლაც რომ ნამდვილი *აბრაგო* და ყაჩაღი იყო ის წყეული იერემია (გ. წერეთ.). დათას ტემპერამენტისა და სულიერი წყობის კაცი მონასტერს ვერ შეეწყობოდა, ისევ *აბრაგად* უნდა წასულიყო (ა. ბაქრ.). ჯერ კიდევ ადრე იყო, მაგრამ *აბრაგების* შიშით უღელტეხილზე ღამით მგზავრობა აღარ ისურვეს (პ. ჩხიკვ.).

დიალექტ. **აბრაგო** ყაჩაღი, მძარცველი (ვ. ბერ.; გურ. ჟღ.).

**აბრაგო** (აბრეკ) სიტყვები დასტურდება ზანურ და სვანურ ენებშიც (მეგრ. ელ., სვან. ლიპარტ., თოფ., ქალდ.).

მზ. ანდრონიკაშვილის აზრით **აბრაგო** საერთო კავკასიური სიტყვაა, წარმოშობით საშუალო ირანული, ფალაური \*āparak, āpartan „ძარცვა, აპარ ძარცვა ტაცება, ქურდობა (ანდრონიკაშვილი 1966, 76).

დიალექტ. **III. აბრაგო** უშნო, შეუსაბამი მაღალი. ჩვეულებრივ ცხოველზე იტყვიან (ქვ.-იმერ. ჯაჯ. IX, 242).

**ადიმ-ი:**

საშ. ქართ. **I. ადიმი** (სპ. ადიმ) გათრიმლული ტყავი. ოქროისა და ვერცხლის მკედით ნაქსოვი დიბა. სხეპლას დებაგი ტყავი მოუქნელი – საბა. **ადიმი** ოქროთი ნაკერი დიბა – დ. ჩუბ.

დიალექტ. **ადიმანტ** ადიმი, ოქრომკედით ნაქსოვი საფენი. მოდ, ქალო, ფარსმას წავიდეთ, ჩამოგსვამ *ადიმანტედავ* (თუშ. ცოც.). ლხინის წალკოტი შეამკუეს, უჭრელეს მართ *ადიმისა* (ქილ. 923, 20). „ადიმი“ სემი-

ტური წარმოშობის სიტყვაა, რომელიც არაბულიდან შესულია სპარსულ და თურქულ ენებში. მისი მნიშვნელობებია: ზედაპირი, კარგად დამუშავებული ტყავი. მხატვრულ ტექსტებში მეტაფორად იხმარება და ნიშნავს: ღირსებას, პატივს, რეპუტაციას (წაქაძე 1988, 82-84).

საშ. სპარს. **II. ადიმი** (თურქ. ადიმ) ბიჯი, ფეხის გადადგმა, ნაბიჯი. ზურამ თქვა: „მას ვერ უქნია დღეს აქა ომთა ადიმნი“ (შჰნ. I, 2815, 1). ამავე მნიშვნელობით დასტურდება **ადუმი** (ჩვენ. ფუტკ.).

დიალექტ. **III. ადიმი** ნადიმი, დროსტარება. ბედიანაიმც დაჯდების თქვენთან იმ ადიმზედაო (ხევს. ჭინჭ.).

**საადიმოდ** სანადიმოდ, დროის გასატარებლად, სალაღობოდ; ბალხი ყმა ბალხმა დედამა გაზარდა *საადიმოდა*, – მკლავნი უზილხა, უპოხხა, გაგზავნა სანადიროდა (ეთნ. კალენდ. 16, 345) – ალ. ჭინჭ.

შდრ. **ნადიმი, ნადიმობა** (არაბ.) სტუმრობა, წვეულობა, ტაბლა – დ. ჩუბ.

**ავალა:**

საშ. ქართ. **I. ავალა** ვექსილი. რვა კაბა და ტოლომა გამასყიდვინეს ჩემის ოჯახის ავალაში (სამ. VII, 155). შდრ. (თურქ.) ავალ ვექსილი.

**ავალი** სპეც. სათამაშუქო თავდებობა, რასაც მესამე პირი იძლევა თამაშუქის წინა მხარეზე ან დამატებით ფურცელზე გაკეთებული მინაწერით, რომ მთლიანად ან ნაწილობრივ გაანადღებს თამაშუქს – ქეგლ.

ახ. ქართ. დიალექტ. **II. ავალა** 1. სავალი. ბუხარს მაღალი ავალა უნდა, რომ ბოლი ასწიოს. წყალს ავალა პირადმა აქვს..., როგორ უნდა იდინოს? (ილია). 2. გადატ. სამოქმედო არე, გასაქანი, ასპარეზი. დიდი ავალა მიეცემა, ფართო გზა გაეხსნება (ილია). ერთად განვლეთ ზოგჯერ ნარეკლიანი, მაგრამ ჩვენი თაობის ადამიანისთვის მეტად ბედნიერი გზა, ძალზე საინტერესო ავალა (ნ. აგიაშვი.). ბუხარს მაღალი ავალა უნდა, რომ ბოლს ასწიოს) (ქიზ. მენთ.). აგრეთვე: (ქართლ. მესხ.).

**ავან-ი:**

ძვ. ქართ. **I. ავანი** სოფელი: „მოიწივნეს ავანსა თილს“ (ნრს. 79, 5).

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ სპ. āvahana > სომხ. > ааван > ქართ. ავანი (აბულაძე 1944, 83). შდრ. ამავე წარმომავლობისა და მნიშვნელობის ვანი.

საშ. ქართ. **II. ავანი** (არ. მრ. რ. ავანი) [მხოლ. რიცხვისაგან ანია] ჭურჭლები, ვაზები. მერმე ავანშიგა ჩაასხენით დამბალნი და დანაყილნი წამალნი (კარაბ. 393, 16).

საშ. ქართ. **III. ავანი** (სპ. ჰავანი, ან ჰავანგ) ქვის სანაყელი, როდინი. სადაჯი ჰინდი ავნისა არ ვარგა, რაცა ავანშიგა ძირსა დარჩების, ისი არ ვარგა (ფანასკ. 71, 10). **ჰავანი:** აილე სურმაგი, სპაჰანი... კეკელად ჰავანთა ჩასდვა... ესე დაჰგალნე წმიდად (ფანასკ. 75, 11).

ავანშიგან ნუ დანაყ, ქვისა ავანშიგან დანაყე, მისი ჯანგი ავია (ფანასკ. 340, 16). დანაყენ წამალნი... და ავანთა უკან აქცივე (ქანან. 56, 1). ბროწეული... დამარცლონ და კურკითვე ავანშიგა დანაყონ (იადიგ. 186, 21).

ახ. ქართ., თანამედროვე ქართულში **ავანი** შემონახული უნდა იყოს კომპოზიტებში: **ავან[გ]დასტა**: თითბრის როდინი თავისი სანაყით. – თაროებზე უწესრიგოდ ყრია საკითხავები, ეტრატის გრაგნილები... **ავანდასტები** და ფიალები (კ. გამს.). ზოგს ქვაბი მიაქვს, ზოგს ტაფა, ზოგს **ავან[გ]დასტა** (ი. მაჭავ. თარგმ.). **ავანგ** ნიშნავს ფილს და **ასტე** – ხელს (ი. გრიშ.).

დიალექტ. **ავანქვიჯა**: სანაყელი, ფილი, როდინი, ქვიჯა (ხევს. ა. შან.). ამავე წარმომავლობისა ჩანს ზან. **არვანი** ქვიჯა (მეგრ. ელ.).

დიალექტ. **IV. ავანი**: ხევსურულში **ავანი** მოუსვენარი, ანცი, ამრევ-დამრევი (უფრო ბავშვზე იტყვიან). ალაგზე არ მივა ე ვაჟ-წმელა, დაუდეგარ, **ავანრ**. – ყმაწვილებში გასატევარა, **ავანრ**, მარღვიელ (ხევს. ჭინჭ.).

შდრ. ავანალი (თურქ. ავანაკ) ბრიყვი, ბოთე; ავანალობა (თურქ. ავანალ(კ) სიბრიყვე ზან. (ლაზ. თანდ.).

**V. ავანი** (მოხ.) ვინმე. მწუხარებით ფიქრობდა, რომ სიკვდილის შემდეგ მისი სახელის მოსაგონებლად **ავანიც** კი არ რჩებოდა (ა. ყაზბ.).

ჩვენი აზრით, **ავანი < მავანი**.

თავის მხრივ მავანი, სპ. ჰაბმან > ვაჰმან > ვანმან და ბოლოს, მარცვლების გადასმით, ანუ მეტათეზისით – „მავან“, «მამათა ცხოვრებაში» ეს სიტყვა „ვაჰმან ფორმითაა წარმოდგენილი, ხოლო «ვისრამიანში» – „ვაამანით“ (აბულაძე 1976, 197).

**ავან**-ფუძე [ფრ. avant წინ] აგრეთვე გამოიყოფა ხუროთმოძღვრულ ფრანგული წარმომავლობის ტერმინებში: ავანლოჟა, ავანპორტი, ავანსცენა, ავანვესტიბიული – მ. ჭაბ.

### **ავანგ-ი:**

საშ. ქართ. **I. ავანგი** ტრედფილი, სინის როდინი – საბა., დ. ჩუბ. იხ. II. ავანი.

ახ. ქართ. **II. ავანგი** (სპარს., თ. ჰევენგ) თოკი, რომელზედაც რამეს ასახამენ გასაშრობად; თამბაქოს ხმელი ფოთლის ასხმულა.

ფარდულის მთელი ჭერი სიგრძე-სიგრძობამდე თამბაქოს **ავანგებით** (გამხმარი, ზონარგაყრილი თამბაქო) იყო გამოჭურჭლული (დ. ზურაბ.).

დიალექტ. **ავანგ** თოკზე გასახმობად აცმული თამბაქოს ფოთლების ასხმულა. თუთუნის ფოთოლს ვიშზე (კანაფზე) ნემსით არიგევენ (აცვამენ), დარიგებულ (აცმულ) თუთუნს აწმოვენ, გაწმოვას უკან ემ ვიშევეს ერთა ჰკრტან (ერთად კრავენ), ემ ერთა შანაკარ (შეკრულ) თუთუნის ვიშევეს ავანგ ეზახიან (ინგ., ღამბ., როსტ.).

დასტურდება ასევე **ავანგის** ფონეტიკური ნაირსახეობანი: **ჰევენგი**, **ხევენგი** (აჭარული), **ხევენგი** (გურული).

**ავარ-ი:**

ძვ. ქართ. **I. ავარი** ალაფი, ნაძარცვი, «წარმონაღები»: „აღიჭრეს ავარი მისი“ (ეზეკ. 29, 19). მოიღე თავსნიერი ავართა ნატყუნავისაჲ G, – მოიღე მეთაფი წარმონაღებისა მის ნატყუნავისა (pb., რიცხ. 31, 26).

საშ. ქართ. **ავარი** ავარი (სომხ.) იავარი, ალაფი, ნაშოვარი – დ. ჩუბ. ავარ სომხ. იავარი, კვალად ქართულად ნატყვენავი (თ. ბაგრატ.).

დიალექტ. **ავრად აღება** რაიმე დაკარგული ნივთის ქანცის გაწყვეტამდე ძებნა და ვერ პოვნა. სანდრომ მთელი სახლი ავრად აიღო, მაგრამ ქუდი მაინც ვერ იპოვნა (მთ.-რაჭ. ლობჯ.).

შდრ. **იავარი** ილ. აბულ. საბას ლექსიკონში შემორჩენილი **ავარი** არის იგივე იავარი < ფალ. āvār და უნდა იყოს მიღებული ჯავარი საფეხურის გავლით (ქავთარაძე 1964, 64).

საშ. ქართ. **II. ავარი** იგივე უნდა იყოს, რაც აური. უპეს ქვეით ნაწლევი მოკლე და ფართო და ერთი პირი აქვს – საბა. **ავარი** (სპ.) (ნაწლევაგანია) მსხვილი ნაწლევი. და მას წულილსა ნაწლევისა სხუა ნაწლევი შეედგმის და მოეკიდების, რომელსა სახელი ჰქუიან ავარი (ფანასკ. 121, 31).

საშ. ახ. ქართ. **III. ავარი** ავარნი, ავარელები, ხუნძები. ზედა მთასა ავართასა, აწ მამეშველეო (დ. გურამ., 118, 379, 4). ორი ქართველი ვიყავით და ერთი ავარი (პრესა. გე).

**ავთ-ი:**

საშ. ქართ. **I. ავთი** აუზი, ბასეინი, წყალსაცავი, ავაზანი. ვარდის წყლითა სავსე იყო ისი ავთი (შჰნ. III, 248, 2). ამოდიოდა წყარონი, მოცინარი, ავთითა მოკაზმული ვარდის წყლითა საგუბარი (შჰნ. II, 370, 29). შდრ. არ. ჰავდ > „ავთი“.

საშ. ქართ. **II. ავთი** იგივეა, რაც ავთი „მახვილია ბრტყელი“ (საბა).

ამაზედან ჯორშედმან ცხენი შეუტია, ჳელთა ბასრი ავთი აქენდა (შჰნ. III, 459, 13). იხ. I. ავთი.

**ავლ-ი:**

ძვ. ქართ. **I. ავლი** „ფერფლი“, „ნაცარი“: ეს სიტყვა ძველსავე ქართულში დასტურდება, მაგრამ გადატ. მნიშვნელობით. „შეიქმნა და დადნა ვითარცა ავლი“ (შუშ. XIV, 3). „იგიცა ავლი იქმნა“ (მ. ცხ. 440r). ასევე გადატ. ნიშნავს მშრალს, გამომშრალს. „დაიწუა წყალიცა და ავლი იქმნა ადგილი“ (ფლავ. 8: 13, 5).

საშ. ქართ. **ავლი** ფერფლი – საბა. **ავლი** ნაკვერცხალთა ფერფლსა ნიშნავს; ის არის რომელსაც ფერფლი ეწოდება – თ. ბაგრატ.

**ავლი** გადატ. შეუქმნია გული ავლად (ვეფხ. 932, 3). დიდება ყოვლი სოფლისა განქარდეს, ვითარცა ავლი (არჩ. 419, 1115, 1). ეფარვოდა მას მნათობსა ღაწვთა სხივნი თვალთა ავლად (ნ. ციც. 695, 1590, 2).

ახ. ქართ. **ავლი** „ფერფლი“. დაგიმიწდეს წამწამთ ხედვა, ავლად გექცეს ავი სული! (ი. გრიშ.). ფიგურ. ნინოს მხევალო და დიდო დედავ, გოლგოთას ავლად დაფენიო („ლიტ. საქ.“).

დიალექტ. **ავლზ** ხის ფერფლი, ნავლი. ფიჭვის შემამ მეტაყ ავლი-დ დაკვლ იცის (თუშ. ცოც.).

გადატ. დასტურდება კომოზიტიც: **ავლიხურული** ჭრელი წინდები ერთგვარი. ჭრელი წინდები იყო ხომე, დაატანენ ქსოვნაში სხვადასხვა სახეებსა და ავლიხურული ერქო. როგორც ფარდაგში დაატანდნენ წითელსა, ყვითელსა, წინდასაც ისე ქსომდნენ ხომე (იგ.). იპ, რამდენი ავლიხურული წინდა გამიცვეთნია ახალგაზრდობაშია! (იგ., ქართლ. მესხ.).

ვფიქრობთ, რომ ავლი მომდინარეობს სომხურის ნაგავი // ნაგევი სიტყვის აღმნიშვნელ ავლუგ // ავლინქ // ავლანქ სიტყვიდან. შდრ. ასევე სომხურის გვის აღმნიშვნელი ავლილ // ავლინქ // ავლანქ სიტყვები (უცხო შესატყვისობანი, საბა).

ძვ. ქართ. **II. ავლი** «ნესტჯ», სალამური: ვითარცა ავლი, ოხრიდეს გული ჩემი კაცთა ზედა ხხ., – ვითარცა ნესტჯ, ოხრიდეს გული ჩემი კაცთა ზედა (O, იერემ. 48, 36). უბრძანა მას მცვალეხელსა ავლისასა უმკვრცხესობით მეავლეობად (ამონ. 14, 240).

საშ. ქართ. საბა უთითებს ავილი ნესტვია ერთი, ავლი. ცალკე უთითებს ასევე ამავე მნიშვნელობის ავილს. **მეავილე || მეავლე** ავილის მკვრელი მენესტუე – საბა. ავილი – დ. ჩუბ.

ახ. ქართ. ავილი, ავლი [ბერძ. აულოს ფლეიტა] «ნესტვია ერთი» (= ჩასაბერი საკრავი) (საბა). || სიმეზიანი საკრავის მნიშვნელობით უხმარი-ათ. კვენსდა სიმი ავილისა (ი. გრიშ.).

ამავე მნიშვნელობით დასტურდება **ავლოსიც**: -ავლოსების ოსტატებსა და ავლეთისტებზე რაღას იტყვი, მათ მაინც თუ აზოგინებ ამ ჩვენს სახელმწიფოში? განა ავლოსი ყველაზე მრავალხმიანი საკრავი არ არის? ასე რომ, ყველა კილოს ნაზავი მხოლოდ მისი ხმიანობის მიზამვად გვევლინება (თარგმნ. ბაჩ. ბრეგვ.).

#### **ავლინ-ი:**

საშ. ქართ. **I. ავლინი** სანაგვე – დ. ჩუბ.

საშ. ქართ. **II. ავლინი** გზავნიდი – საბა. შდრ. **ავლენს** გაგზავნის, მიავლენს ზმნის ფორმა.

#### **ავჟანდა:**

ძვ. ქართ. **I. ავჟანდა** შეწვენა, დახმარება: „ხოლო ნეტარი იგი ანატოლუე ავჟანდა ექმნა წმიდასა ანდრიანეს. აღუდგა ჳელი ნიკაფსა მისსა და ერე მიჳყვანდა“ (ანდ. -ანატ. 219, 28).

საშ. ქართ. **II. ავეანდა** უნაგირის უზანგო ან პაიჭთა და შალვართა ვებ-ქვეშ გამოსაკრავი ზორტი – დ. ჩუბ. **ავეანდა** უზანგი. დარეჯანისძე-მან... აიდგნა ფერჯნი *ავეანდათა* ზედა (ამირან. 478, 10).

„აწ უკუე ვამცნებთ, რადთა არავის კელ-ეწიფებოდის ადგილსა და-სათრგუნველსა ჯუარისა სახესა გამოსახვად, გინათუ ქუეყანასა ზედა, ანუ *ავეანდებსა* ზედა, ანუ თუ შატროვანთა ზედა“ (მც. სჯ. 61, 15). იქით-აქათ გარდიზიდა, *ავეანდათა* ჩააჭირნა (შჰნ. I, 2037, 1). მან ისწავლა ცხენოსნობა, ისრის სროლა, საგდებლისა/ სადევისა კელთა ქონა, მოკმარება *ავეანდისა* (შჰნ. II, 2953, 1).

-ესე უზანო და მიუნდობელი ქვეყანა ამად არა ღირს, რომ გავისარ-ჯო და ვეხი *ავეანდაში* შევდგა (მეფ. სალ. 340, ქვ. 6). -თქუენი გამარჯვებულის *ავეანდის* აქა მოშრომისა მიზეზი რადო? (ქილ. 900, 25). დავსცადო, კიდევ გამაგრდეს ჩემი *ავეანდის* ღვედია (ი. ტვილ. 650, 318, 4).

ახ. ქართ.: **აბეანდი**, **ავეანდა** უნაგირის ნაწილი, ვეხის შესადგმელი, – უზანგი. *ავეანდას* ვეხი გაუგდო, უნაგირს გადააფრინდა (ბაჩ.). ვინც ეს ვიცი გატეხოს..., წყალში შესულს *ავეანდამც* გაუწყდების! (ა. ყაზბ.). ძველი ქართული «ვენახი»-საგან წარმომდგარია – «ბინეხი», «*ავეანდა*»-საგან – «აბეანდი» (ივ. ჯავახ.).

დიალექტ. **ავეანდი**, **ავეანდა** უნაგირის ნაწილი, ვეხის შესადგმელი, – უზანგი. **ავეანტა** პაჭანიკი, შარვლის ან ქვედა საცვლის ტოტზე ამოკერებული ზონარი ვეხის ტერფებზე ამოსადებად (მესხ. მაისურ.). ავეანდა ვეხის ძირის შუა ნაწილი. „რაი მაგიკდა? როგორ აგითრია ცხენმა? – უზანგაჩი გემეჭედა *ავეანდაი* და“... (მოხ. ღუდუშ.). აგრეთვე: (ხევს. პოეზ. 62, 11) – ალ. ჭინჭ. **ავეანტაი** (თუშ. ხუბ.).

როგორც საშ. ქართულში ისე თანამედროვე დიალექტებში ამავე შინაარსისაა **აბეანდა**, **აბეანდი**, **აბევენდი**.

**აბეანდი** // **აბევენდი** ავეანდი უზანგი, პაჭანიკი, შარვლის ან ქვედა საცვლის ტოტზე ამოკერებული ზონარი ვეხის ტერფზე ამოსადებად. გილმაკინალი უზანგის დამჭერი ბატონის მსახურეულთაგან ზან. (მეგრ. ქობ.).

აჭყანდ, 1. უზანგი. 2. შარვლის ან პაიჭის პაჭანაკი (სვან. თოფ., ქალდ.).

სიტყვა შემოსულია სპარსულიდან: ახ. სპ. awžand „უზანგი“ (იუსტ. აბულაძე 1916, 791).

„ავეანდა“ ტექსტობრივ სომხურ աւժանդակს-ხვდება, რაც თავისი-ასკ სუფიქსით ქართულისთვისაც ასეთ დაბოლოებას გვავარაუდებინებს და ამავე დროს გვაფიქრებინებს, დავუშვათ აზრი, ხომ არ არიან ქართულისა და სომხურის ეს თანხვედნილი ფორმისა და შინაარსის სიტყვები მომდინარე ფალაურიდან, რომლისთვისაც-ასკ დაბოლოება მეტად დამახასიათებელია? საბოლოოდ მას დაადასტურებდა ახალი სპარსული, თუ მასში აღმოჩნდებოდა სათანადო კანონზომიერებით შესაფერისი ფორმის

სიტყვა (აბულაძე 1976, 256). კ. კაკიტაძის ვარაუდით, ავჟანდის თავდაპირველი მნიშვნელობა სწორედ შეწვევის აღნიშვნაა. თუ ის ფალაურშიც მართლაც ამ მნიშვნელობით იხმარება და არა უზანგის აღსანიშნავად, მაშინ ამკარაა, რომ ავჟანდა ნიშნავს დამხმარეს, შემწეს სწორედ ადამიანის ცხენზე შეჯდომამში. ასეთი გადააზრება და მისი ტერმინად ქცევა სავსებით ბუნებრივია (კაკიტაძე 2005, 87).

### **ავრეზ-ი:**

საშ. ახ. ქართ. **I. ავრეზი** ძვ. «ღვინის საწურავი» – საბა, ქეგლ. **ავრეზი** ფილტრი (ზნენი სამამაცონი).

საშ. ქართ. **II. ავრეზი** უნაყოფო.

ვით ბოლოკი მქნა *ავრეზი*, ამაჩოყა, ამაღერა, თესლ-აშრეტით გამახმო და უნაყოფოდ დამაბერა (დ. გურამ.).

ყველა მრავლდება, ჩვენ კი ვკლებულობთ /*ავრეზი*, ბერწი დავის-ვით რძლადო (ვ. სალ. 11, 14).

შდრ. **ავრაზი**, **აფრაზი** ბერწი – ალ. ნეიმ.

### **ავშარა:**

საშ. ქართ. **I. ავშარა** ქორაკი, ავშრიკი, სილავეშარა, ჭიმი – საბა.

ძვ. ქართ. **ავშარაჲ** ულაგმო აღვირი. „გარდაჰჰდა ონისიფორე, უპყრა *ავშარასა*“ (Ath- 30r, 20-21) – ზ. სარჯ. „ყოველივე ოქროცურვებული, ყოველივე ვეცხლისა მკედითა კერული: *ავშარაეზი* მოწეულები“ (ზას. კეს. სწავლ. 92, 2).

**ავშარა** (სპარს. აფსარ) სილა, ქორაკი, ულაგმო აღვირი. რა ერთხელ დიაცისაგან ნებასა აიღებ, პირს *ავშარა* ამოდებულსა დაამსგავსებ (ვისრ. 79, 24). ეს იმის *ავშარა* ასე შეინახე, არავინ მოგპაროს (რუსუდ. 279, 26). ჯორმან *ავშარა* წაიყარა და აეშვა (საბა).

ახ. ქართ. წამოიშალა ერთ წამს ლაშქარი, აასხეს ცხენებს *აღვირ-ავშარა* (ვაჟა). მხედარს ხურჯინებგადაკიდებული ცხენი *ავშართით* მოჰყავს (ალ. ჭინჭ.). თოლიღემ... *ავშარა* შეუსწორა ფაშატს (მ. ელიოზ.).

მიჩნეულია ნასესხებად ახალი სპარსულიდან: შდრ. სპარს. āfsār (იუსტ. აბულაძე 1916, 791).

საშ., ახ. ქართ. **II. ავშარა** ბალახია, სურნელოვანი, პიტნის მონათესავე, ჩრჩილის წინააღმდეგ ხმარობენ (ი. გრიშ.). ავშარა < ავშანა (სპარს. იავშან) მცენ. – საბა, დ. ჩუბ., ქეგლ.

შდრ. **ავშანი** [Artemisia hanseniana] მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე (რთულყვავილოვანთა ოჯახისა), გავრცელებული ტრამალებსა და ნახევრად უდაბნოებში. ფოთლები დანაკვეთული აქვს, ბუსუსებიანი, მონაცრისფრო. ითვლება ცხვრის კარგ საკვებად. იხმარება აგრეთვე მწერების მოსასპობად. იხ. აგრეთვე: ავშანი (ა. მაყ., ხევს. ჭინჭ., ალგ. სალ.).



**აზან-ი:**

საშ. ქართ. **I. აზანი** (არაბ.) აზანის დაძახება, მოწოდება სალოცავად მაჰმადიანთა – დ. ჩუბ.

რა ჳმა-ჳყო მუყრმან აზანი, რომელ განთენდებოდა აიდი მათი აღ-  
ვსება (ქ. ცხ. IV, 190, 2).

ახ. ქართ. **აზანი** მუეძინის მიერ მაჰმადიანთა მრევლის სალოცავად მოხმობა მინარეთიდან. ამავე წიგნში სწერია... აზანის შესრულების ვადე-  
ბი (კ. გამს.). მინარეთებიდან მიუწყებია მართლმორწმუნეთათვის აზანი  
(კ. გამს.).

შდრ. დიალექტ. **ეზანი** „ლოცვის გამოცხადება“: „ეზანს იკითხავს, არ  
ილოცავს“ (გამოცანა მამალი) (აჳარ. ნიჳ.).

ეს სიტყვა შესულია კავკასიის სხვა ენებშიც (ბუკია 2013, 78).

საშ. ქართ. **II. აზანი** გვარდილობა – საბა.

**აზნი** (სპარს.) დიდგვარი, წარჩინებული, ამისგან აზნაური, ე. ი. აზნათაგანი, დიდებული, გვაროვანი. ძველს-წერილებში ეს სიტყვა იხმა-  
რებოდა თავადის მაგიერად (დ. ჩუბ.).

ს.-ქართვ. \*ზან – „აზანი; ეთნონიმი“ (ჩუხუა 2000-2003).

**აზარ-ი:**

ახ. ქართ., დიალექტ. **I. აზარი** ასი «წმინდა» (ჩლიქიანი) ნადირი, მო-  
კლული მონადირის მიერ – ქეგლ. **აზარს ათავენს** (ასრულებს) დათქმულ  
ას ნადირს კლავს და თოფს მარხავს (აზარს რომ შეასრულებდა, მონადირე  
ვალდებული იყო მიწაში სამი დღით დაემარხა თოფი, როგორც ბევრი  
სისხლით დამძიმებული). გენაცვლე, ჩემო ყირიმო, ...სამჯერ ხომ ჩაგფალ  
მიწაში, სამი ვათავე აზარი, ერთილა მიკლავ მეოთხეს, – შენი საფლავიც  
მზად არი (ვაჟა). თითო აზარი ბევრს ჳქონდა ათავებული (გ. ხორნ.).

დიალექტ. შემდეგ კი თოფი თუ ხმალი, როგორც ცოდვებით დამძი-  
მებული, პატრონს მიწაში უნდა დაემარხა სამი დღით. „დიდ დედომ  
მითხრ, რომა – სამჯერა – ხქონდა – შეთესა – აზარი ათავებულიო-დ“ სა-  
მჯერა – მიწაშიგ დამარხა ჳმალი –“ (თუშ. ხუბ.).

შდრ. საშ. ქართ. **აზარგაჲ** აღძრვა, საომარი მომზადება. იხილნა ...მან  
ყოველნი აზარვით (ქ. ცხ. II, სიმფ. 14).

საშ. სპარს. āzvar ხარბი, შურიანი, მხიარული > ქართ. აზარ „აზარ-  
ვით, მხიარულად“ (ანდრონიკაშვილი I, 1966, 183).

**II. აზარი:** ა. შანიძე აღნიშნავს: ზოგიერთის აზრით **აზარი** ნიშნავს  
ათას მოკლულ წმინდა ნადირს (სპ. ჳაზარ „ათასი“), გომეწრელი ფშაველის  
ხიწუას ახსნით: „ძველთაგან გამიგონია: აის ასი, შვილო, აზარიო“. „შვიდა-  
სიც გამიგონია“ (მოწ.). ჳევსურეთში აზარი ჩამიწერია „ბევრის, უთვალა-  
ვის“ მნიშვნელობითაც. ტაზარი ქვ. მთ. „ასი ნადირი, ფრინველის გარდია“

(შველიც, დათვიც). თუშეთში აზარი არ იცინ. – ა. შან. შესაძლებელია რომ ამ მნიშვნელობის აზარი < სპ. ჰაზარ.

დიალექტ. **II. აზარი** ძალიან დიდი, ვეებერთელა (ქართლ. ძიძ., კეცხ., ხუბ.).

ვფიქრობთ, რომ აზარი < აზავერი. ძვ. „ხარი საკიდარი“ (საბა). სიტყვა ხშირად დასტურდება ძვ. და საშ. საუკუნეების სამწერლო ძეგლებში იხ. (I ნშტ. 12, 40; რუსთაველი; ქილ. 289, 20; **აზავერი / აზავარი** ამირან. 640, 6).

შდრ. **აზავერი** გადატ. მაღალი, ახოვანი, დიდი ტანისა. „დიდი აზავერით ქალი იყო, იმას თუ მეერეოდა რამე ავანტყოფობა, რავა იფიქრებდი, რაფერ დალია ამ კიბომ!“ (საჩინ. შარაშ.).

თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში **აზავერი** (საკიდარი ხარი) არაპროდუქტიული სიტყვაა, რადგან მას აღსანიშნი ობიექტი აღარ აქვს. ხარი, როგორც გამწევი ძალა, დღეისათვის მხოლოდ უღელში შესაბამელად გამოიყენება. ამ დანიშნულებით, როგორც საქართველოში, ისე სხვა ქვეყნებში, ძროხასაც იყენებდნენ. თვითონ ლექსემა არ გამქრალა, ოღონდ ის დღეს არა არსებითი, არამედ ზედსართავი სახელია და მისი აღნიშვნის საგანია ფიზიკურად ძლიერი, ახოვანი ადამიანი: აზავერი ვაჟკაცი (ლექხ.) – დიდი, ძლიერი ადამიანი. აზავერის შეკვეცილი ფორმა დადასტურებულია რაჭულში; **აზავა** ძლიერ დიდი. **აზავა** ქალი იყო ბებიაჩემი, მაღალი და სრული. აზავა კაცები იყვნენ ჩემი მამა-ბიძანი, დევებივით ვაშკაცნი. **აზავა** ხარები ყავდენ ბაბუაჩემს (მთ.-რაჭ. რეხვ.). იხ. კაკიტაძე 2005, 87.

შდრ. ზან. 1. **აზარა** ოჩხარი, საქონლით შეწევნა სტიქიით ან სხვა რამ უბედურებით დაზარალებულისთვის, შეგებება (ძღვენი). 2. აზარელი იხ. აზუერი გამწევი, მამველი, ძალა, გახედნილი მოზვერი. აზავერით მიღებული, შეწვენილი საქონელი. 3. აზარი ცას აწვდენილი კივილი; გლოვის ზარი; 4. მონადირის მიერ ასი ჩლიქოსანი ნადირის მოკლვის შემდეგ თოფის დამარხვა სამი დღით სინანულის, მონანიების ნიშნად აზარუა იხ. აზარა, აზარება, იხ. აგრეთვე: აზხარ (მეგრ. ქობ.).

დიალექტ. **III. აზარ** [აზარ] 1. დაავადება, სნეულება, ავადმყოფობა. ყარადაზზე (გაზაფხულზე) ჭრიან (ხნავენ) მიწას, აგდევენ ფაფიზე (ტოვებენ შემოდგომისათვის) ფაფამდინ, რაც აზარ არის, დაიწვ (დაიწვება) 2. გადატ. საწყევარი სიტყვა: ჭირი! ჯანდაბა! ჰა აზარმა მოგიყრნა? (რა ჭირმა მოგიყვანა?) (ინგ. ღამბ., ინგ. იმნ. 202, 14. ინგ. როსტ.). **აზარრუა** ავადმყოფი (ინგ. როსტ.).

#### აინა:

საშ. ქართ. **I. აინა** (სპ.) მიჭვრიტანა, სარკე. იგ ბაღსა შუა სალხინოდ მორთვით დგას *აინახანები* (ფეშ. 186, 1).

აინა // აინა (< თ. ayna) სარკე. *ანაშია* ჩევიხედე დევინახე ჩემი ჩევრე (დანისპარაული). ამ ბიჭმა თან წეილო *აინა*, გადიხედა მეორე მხარეს, და-

დგმულია მინდორ ადგილზე ჩადრები (ბ. ფ. IV<sub>2</sub>, 109, გურგენიძე 1973, 26). **აინა** მინა, სარკე (ინგ. იმნ.). თეთრი შუბლი შეკრული აინას გიგავს (თ. ქ.). აინაში იყურება მალ-მალე (ად., ჩვენ. ფუტკ.).

ახ. ქართ. **II. აინა** კოლხური ნავის ნაწილი-ბრტყელი ლატანი – ა. სიხ.

ნავის... ...კიჩოს პოტოსტომაზე... ფიცარს მიაჭედებდნენ, რომელსაც *აინას* უწოდებდნენ ამ ფიცრის დანიშნულებას ნავის შეკვრა და მისთვის სიმტკიცის მიცემა წარმოადგენდა (სარფი, 2015, 194).

ახ. ქართ. **III. აინა** ჩაკრამა. ადგილმდებარეობა – ნათხემის მიდამო. ეს ჩაკრამი მთავარია შვიდი ჩაკრამებიდან (ადამ., 6).

### აკუმ-ი:

ძვ. ქართ. **I. აკუმი** ტაბლა ან დასაჯდომი: „დაჯდა *აკუმსა* ჭამად პურისა“ (Ier. –140, 182v).

ამ სიტყვის ფონეტიკური ვარიანტი **აკო** მეტნაკლები სემანტიკური გადაწევით შემონახულია ფშაურში, ხევსურულსა და მოხეურში (ჭყონ., ჭინჭ., ქაჯ., შან).

საშ. ქართ. **II. აკუმი** (არაბ.) ხროვა ან გროვა რისამე ზვინი. ოქროს აკუმი – დ. და ნ. ჩუბ. საქართველოში არჩევდნენ მარგალიტის სახესხვაობებს: წვრილ მარგალიტს „ჭიოტა“ ჰქვია, საშუალო ზომისას – „ხოშორი“, დიდი ზომისას „ობოლი“, ხოლო ბევრ მარგალიტს ერთად „აკუმი“ (ნადირაძე 2011).

მარგალიტისა *აკუმი* მათათა ოდენი შექმნილ იყო (ვისრ. 64, 8). ჩემისა საყურელისა თმისაგან მუშკისა *აკუმი* მედგას (ვისრ. 230, 33).

საშ. ქართ. **III. აკუმი**: ესე არს არც მამალი, არც დედალი, გინა ქალი ბუნებით ქმრისაგან გა(ნ)უხრწნელი“ – საბა, დ. ჩუბ.

ახ. ქართ. **აკუმი** (ბერძნ.) ძვ. ორსქესოვანი, ჰერმოფროდიტი; [შერვაშიძის ქალს] სიყვარული როდეს განეცადა თავათ, რადგან *აკუმი* იყო იგი (კ. გამსახ.) – ქეგლ.

### ალ-ი:

ძვ. ქართ. **I. ალი** „ცეცხლი ანადენი“ – საბა. „წმამან უფლისამან განკუეთის ალი ცეცხლისად“ (ფს. 28, 7). „ალი პირისაგან მისისა გამოვალს“ (იობ. O, 41, 12). „მეკეცემან, რაჟამს ქმნის კეცის ჭურჭელი და შედგის იგი საცხობელსა... არცა დააკლის ალი, რადთა არა უმცხუარი დაშთეს“ (მ. სწ. 309, 35).

საშ. ქართ. მე კვლა მიმცა *ალმან* მურსა (ვეფხ. 395, 4). ამას მოჰკლავ უბრალოსა, მოგედების ზეცით ალი (შჰნ. II, 3093, 2). ანაზდად თუ არ გარდაგდებ, ნატისუს ალი უდისა (არჩ. 333, 720, 4). გადატ. რიყე თვალისა სწორ-ნათალისა, / წყალნი მგზებარობს შიგან *ალითა* (შავთ. 43, 2).

ახ. ქართ. **ალი** 1. ცეცხლის მნათი ნაწილი, რომელიც ცეცხლმოდებულ საგნის თავზე ჩანს, – ცეცხლის ენა. ისეთი ჭიაკოკონა უნდა დაანთო, როცამდე ადიოდეს იმისი *ალი* (ნ. ლომ.). მარტო ერთადერთის სანთლის *ალი* თრთოდა ლოგინის თავში (ილია). ცეცხლი მიეცით საქნოვარს, – ცასა სწვდებოდეს *ალეზი* (ვაჟა). ფიგურ. ქართველობა ფანატიკოსობის *ალით* აღგზნებული და ბრმა თავყვანისმცემელი არავისა და არაფრისა არ ყოფილა (ე. მადრ.).

დიალექტ. **ალწ** ცეცხლის ბოლისაგან მიღებული მური (თუშ. ხუბ.). მური ქვაბისა გარედან (თუშ. შან.). ეს ლამფის შუშაიც ისრე *ალისგნივ* გაშავებულ, რო შუქ ვერას გამაყტანს (თუშ. ცოც.).

**ალი** (არაბ.) ცეცხლის ღვივილი წითლად აღმავალი; სიყვარულის ცეცხლი (დ. ჩუბ.).

სიტყვის ძირი *ალ-* შესაძლოა უკავშირდებოდეს ინდოევროპულ ენათა *al-* ძირს, რომლის მნიშვნელობაა „წვა“. ქართულის უშუალო წყარო უცნობია (თურქ. *ალე* მოდის *alaw* არაბული ფორმისაგან (გიგინეიშვილი 2016).

ძვ. ქართ. **II. ალი**: XII ს-ის „გელათურ ბიბლიაში“ *ალი* ნახმარია „მახვილის ლითონიანი ნაწილის“ მნიშვნელობით. მოილო მახვილი... და შეამაგრა იგი მუცელსა მისსა და შეაგდო ტარიცა უკანა *ალისა*. და შეიყენა ცმელი *ალისა* ზედა (მსაჯ. 3, 22) (გიგინეიშვილი 2016).

დიალექტ. **III. ალი** აღნიშნავს წითელ, ან თავლისფერ ფერსაც: **ალი** თავლის ფერი. ერთი *ალი* ცხენი აბია. აუშვი *ალი* ცხენიო (ჯავახ. მარტ.).

**ალის ლობიო** სარის ლობიო, აქვს ალისფერი ყვავილი და ლურჯი, თეთრწინწკლებიანი მსხვილი, მოგრძო მარცვალი (საკორ., ქართლ. ლექსიკ.).

სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით ახ. სპარსული *āl* „ღია წითელი“, აბაევის აზრით, შესაძლებელია დაუკავშირდეს არაბულ *alaw*-ს (თურქ.) *alāv*, *ალე* – „ალი“ (ანდრონიკაშვილი II, 1996).

საშ. ქართ. **IV. ალი**: „მშობიერის მაცთურს იტყვიან“ – საბა; **ალი** ავი, მავნე. მდაბიონი უხმობენ მინდვრის ალსა – დ. ჩუბ. შდრ. (სპ., თურქ.) **ალ**.

**ალის დაწოლა** ქაბუსი, ავადმყოფობა, ძილში ბნედასავით დაემართება და *ალის დაწოლასა* ქაბუსი ქუიან (იად. 429, 9).

ახ. ქართ. **ალი** ძველი ხალხური რწმენით – ზღაპრული მავნე არსება ლამაზი ქალის სახით. *ალი* ეშმაკების დედაკაცია... ისეთი ლამაზია, ისეთი, რო მზეთუნახავსა ჰგავს (ნ. ლომ.). არა ვართ ხევსურთ შვილები ყმანი ეშმაკის, *ალისა* (ვაჟა).

დიალექტ. **ალი** ავი სული, ფერია. მელოგინე ქალ მარტუაი არ დევტევდით, გვეშინოდა, *ალი* არ დეეცესო“ (თ. ქ., ჩვენ. ფუტკ.).

**ალი**, **ალი ქალი** წყლი ქალი, წყალში ცხოვრობს, ხშირად ნაპირზეც გამოდის. ერთხელ წყლი ნაპირზე *ალი ქალი* თავ იბარცხნიდა თურმე, ერთი ჩვენი გვარის კაცი მიპარვია და საბარცხელი წაურთმევია. *ალი ქალიც* აღარ მოსცილებია... (ჯავახ. ზედგ.).

დიალექტებში **ალი** ხშირად დასტურდება ნათვალევის შელოცვებისას გამოყენებულ მყარ გამოთქმებში: მაგ.:

გათვალულის შელოცვა იწყება ასე: „*ალისას*, მალისას, შეგილოცავ თვალისას“, (**ალისასა** ალი სიტყვის ნანათესაობითარი მიცემითია, თვით **ალი** ავი სულის მნიშვნელობით არ იხმარება) (იმერ. გაჩ., გურ. ჯაჯ.) და სხვ.

ამავე **ალ** სიტყვის გადატანითი მნიშვნელობა უნდა იყოს მთიულურში დადასტურებული **ალი** გიჟი, გადარეული: **ალი** ცხორი (მთ. კაიშ.).

საშ. ქართ. **V. ალი** მცენ. აიღე... *ალი* და კილამონი (ფანასკ. 145, 25).

ჩვენი აზრით ეს სიტყვა წარმომავლობით უნდა უკავშირდებოდეს ძველ სამედიცინო წიგნებში დადასტურებულ „კარდამონის“ აღმნიშვნელ სპარსულ **ჰილ**-ს, ახ. ქართულის **ილი**-ს.

დიალექტ. **VI. ალი** || **ალის ხეი** ალვა. „ტანით *ალი* ვარ, სახით-მზე, თუშთა თემისა ქალია“ (თუშ. ცოც.). **ალის ხე** ალვის ხე. ბანკოზე გამოსერნავდი, *ალის ხეს* გიგავ ტანია (ხევს. -პოეზ. 588, 13) – ალ. ჭინჭ. იხ. II. ალვა.

დიალექტ. **VII. ალი** (გურ.) სახის გამომეტყველება: „*ალში* დედამისს გავს“ (გურ. შარაშ.).

შდრ. ასევე ალი-კვალი. გამოთქმულია მოსაზრება, რომ კვალ-ფუძის გაორკვევითა და პირველი ფუძის თავკიდური თანხმოვნის დაკარგვით მივიღეთ ალიკვალი < \*კვალ-კვალი „მსგავსი“, „პირწავარდნილი“ (სანიკიძე 1976, 54).

**VIII. ალი:** [ლათ. ალა] რომაული ლეგიონის ფლანგის საფარი – ა. სიხ.

**ალა:**

საშ. ქართ. **I. ალა** იგივეა, რაც ალი – ცეცხლი ანადენი – საბა.

**ალა** (კნინ. ფორმა): იგი ორნივე გაყრის დაწვნა ცეცხლის *ალამა* (ვეფხ. 1660, 2). მაგრამ ცეცხლმან დაუშრეტმან მისმან ყმასა გულსა *ალა* (ნ. ციც. 469, 353, 3).

საშ. ქართ. **II. ალა** „მთოვარის პირის ლიბრი“ (საბა), ლაქები მთვარის ზედაპირზე – ქეგლ.

საშ. ქართ. **ალამჩენარი** ალადაჩნეული. გულია ჯელმწიფობისა ვით სარკე *ალამჩენარე* (ქილ. 664, 28). შდრ. ბერძნულ ოსაჯ ერთ-ერთ მნიშვნელობა წრე, რგოლი; მანათობელი რგოლი, შარავანდედი (მზის ან მთვარის გარშემო) (თ. გიორგ.).

საშ. ქართ. **III. ალა:** „სიგრძედ ამართული“ (საბა). ყუნცი, ცუცქილი, ჩაცუცქება; კალხზედ დგომა (დ. ჩუბ.). პირველ ნახული ორნი იგი თევზნი რომელი *ალას* ამართენენ, ესე იგი არს – სარანდიბის მჭარით დესპანი მოგია (ქილ. 901, 31).

ახ. ქართ. **ალაზე ჯდომა** დაყუნცება, ჩაცუცქება. ძალი *ალაზე* დაჯდა (გ. გოგიაშვი. თარგმ.). [ზოგ ჯარისკაცს] *ალაზე* დაყუნცულ ძალივით ჩამოსძინებოდა (დ. შენგ.).

დიალექტ. **ალაზე დგომა** 1. არასიბრტყივ, ნაპირით (წიბოთი) დაყენება რაიმესი. ეს ქვა *ალაზე* დგას, გადმოზრუნდება და ავნებს ვინმეს. 2. პირუტყვის უკანა ფეხებზე, ყალყზე შედგომა. „...ერთსა ვკარ, ფეხი მოვტეხე, მეორე ადგა *ალასა* (ხალხური) 3. გადატ. ადამიანზეც იტყვიან, რომ არ შეეპუება, დაუპირისპირდება... ამამ რო ისე უთხრა, ისიც *ალაზე* დაუდგა (ჯავახ., ზედგ.).

**IV.** საშ. ქართ. **ალა** საფქვილე კასრი: „წისქვილის ალატა“ (საბა), ჩანახი. შდრ. ბერძნ. ἀλέτης, ὄστ წისქვილის ქვა, დოლაზი (თ. გიორგ.).

ახ. ქართ. **ალა** წისქვილის ნაწილი, რომელშიც ფქვილი ჩამოდის, – საფქვილე (იხ. ალატი). ფქვილი გადმოდის და *ალაში* ხრიალი ჩააქვს (შ. არაგვ.). *ალაში* დაგროვილი ფქვილი მისწი-მოსწია და დოლაზებიდან მომავალ ფქვილს გზა გაუკაფა (დ. დონდ.).

დიალექტ. სადაც დაფქვილი ჩამოდის, იმას ვეტყვით *ალას* (ზ.-ქართლ. მრეწ. IV, III, 196). მშრალი საკვები – ალაფი (დოლ.) იყრება ბაგაში, *ალაში* (აჭარ. სურმ. VII, 5).

საშ. ქართ. **V. ალა: ალაი შაფი** თვალის მკურნები შაფი, ანუ გამოსავლები წამალი. და *შაფი* ალა, ზემოთ რომე დავწერეთ, ისიცა ამოავლე და უშუელოს (ფანასკ. 61, 36).

საშ. ქართ. **VI. ალა** ალახი, ღმერთი არაბულად – დ. ჩუბ.

**ალა: ალაი (ალაჰი?)** რაღაც შესაწირავის თუ ღვთაების სახელია. მონადირეები ჯიხვს რომ გაატყავებენ, ფაშვ-ნაწლავებს და თავს გადაყრიან და თან დააყოლებენ: – ეს *ალასაო* (მოხ. ქავთ.).

**ალას აძახებს** ცუდ დღეში ჩააყენებს, თავზარს დასცემს, „ალლაჰ, ალლაჰ“-ს აძახებს. აბეჩავ, არხოტივენბო! ბევრას აძახებთ *ალასა* (ხევს. პოეზ. 563, 1) – ალ. ჭინჭ.

შდრ. არაბ.-თურქ. **ალლაჰ** ალაჰი, ღმერთი.

გადატ. **ალა** სიმღერა. შენგან დაჩუმდა სოფელი, აღარ ვინ იძახს „ალა“-სა (ხევს. თავისებ. 412, 9) – ალ. ჭინჭ.

დიალექტ. **VII. ალა:** [აზ. ალ = „საუკეთესო“, „კარგო“, „დიდებულო“] (ინგ. იმნ. 121).

**VIII. ალა** სარეველა ბალახია (ივ. ჯავახ.).

დიალექტ. **ალაი** [აზ. ალა] სარეველა ბალახის ზოგადი სახელწოდება. თქვენ დანათეს სიმინდში *ალაო* მოსულა (ინგ. ასრათ., ღამბ., საინგ. მრეწ. IV, II, 19).

ძვ. ქართ. **IX. ალა** მრავალთა „ლაპარაკი; საუბარი“. აღდგენილია ს.-ქართვ. \*ალ-ლაპარაკი, საუბარი (ჩუხუა 2017).

**X. ალა** (არქიტ.) ლათ. დამხმარე სათავსი ძველ რომაულ სახლში – ა. სიხ.

**XI. ალა** თევზის ფერფლის წაგრძელებული ქერცლი – ა. სიხ.

**XII. ალა** (ბერძნ.) გაცვლილი, სანაცვლოდ მიღებული. მოაქვს ცეცხლი მოსადებლად, მასთან მოაქვს ამას ალა/ალმასისა გულსა ფარად ხამს და არ უნდა ამას ალა; ამისათვის სჯობს ეს მთვარესა, არ აჩნია ამას ალა (თეიმურაზ I, მაჯამა) – ა. სიხ.

**ალაგ-ი:**

საშ. ქართ. **I. ალაგი** ძალი. მისი ქარი და ალაგი კაცსა ტვინსა და დამალსა, თავსა და კეფასა შემოეჭიდების (იად. 246, 36). ამისი ალაგი და ქარი მეჭეჭებად გამოჰყრის (იად. 511, 15).

ჰალი (არაბ. ჰალ) ღონე, ძალა, ჯანი, ენერგია. ეს სიტყვა ამ მნიშვნელობით დასტურდება აგრეთვე: (აჭარ. ნიჟ., ჩვენ. ქართ. ფუტკ.).

საშ. ქართ. **II. ალაგი:** (თ. ალევ ცეცხლის ენა, ცეცხლი) ალი. მიიღეს პირ-მზე საყეთა ღვინო გულისა ალაგნი (ნ. ციც.).

დიალექტ. **ალაგი** ალი, სიცხე, ალმური. ნახო, რო სახლიდან ალაგი - ავარდა (ჯავახ. ბერ., ზედგ., მარტ.).

თუ არ გააქრე, ალაგი დაარტყამს, ყველგან მეეკიდება (ტანძ. ქართლ. ლექსიკ.). „სიმწართა მოსდიოდა, მწვანე ალაგი პირშიო“ (აჭარ. ხ. პოეზ.); ...ვინცხაჲ ჩვენ დაგვაშორებს, – იმას დაწვავს ალაგიო“ (აჭარ. ნიჟ.). ამავე მნიშვნელობით **ალაგი** აგრეთვე: დასტურდება (მესხ. ფეიქრ.).

**ალაგი** გვხვდება ჰალავი-ს სახითაც: ჰალავი პირპილობს (ფერეიდ. ჩხუბ. 346). შდრ. **ალეგი:** (თურქ. ალევ) ალი (ცეცხლისა) ზან. (ლაზ. თანდ.).

ახ. ქართ. **ალაგი** ძვ. ეთნ. საქორწილო საჩუქარი, სასიძოს მიერ საპატარძლოსთვის მირთმეული. ქალი მომზადებულია... *ალავისთვის*, ოცი თუმნის ნიშანი ნაყიდი და ჩალაგებულია და ახლა უკან იხევ? (ეკ. გაზ.). შდრ. (სპარს.) ალ საჩუქარი.

**ალავერდ-ი:**

საშ. ქართ. **I. ალავერდი** მცენ. იონჯა – საბა, დ. ჩუბ.

საშ. ქართ. **II. ალავერდი** ოსმ. ღმერთმა შეგარგოს – დ. ჩუბ.

ახ. ქართ. **ალავერდი** ღვინის სმაში შეპატიჟების სიტყვა, რომლითაც სუფრის ერთი წევრი მეორეს იწვევდა შეესვა წარმოთქმული სადღეგრძელო (უპირატესად იმავე სასმისით, რომლითაც თვითონ შესვა). მაწვდენდნენ სასმოს სიტყვით «გაამოს!» რომ გადავკრავდი, მეც – «*ალავერდი!*» – სხვასა ვეტყოდი იმავე სასმოთი (აკაკი). ღვინო როგორღაც ყელში არ ჩადის, თუ «*ალავერდი*» არვის უთხარო (ილია).

სიტყვა თურქულია და მომდინარეობს შესიტყვებისაგან ალლაჰ ვერდი („ღმერთმა მოგცა“) (გიგინეიშვილი 2016).

**III. ალავერდი** სპილენძისაგან ან რაიმესაგან დამზადებული სასმისი (ჯიბო ლომაშვილი) – ა. სიხ.

**ალათ-ი:**

ახ. ქართ., დიალექტ. **I. ალათი** კუთხ. (გურ.) ბაცი წითელი ფერის საქონელი (სინონ. ქართლ. კახ. თაფლა). თეთრშუბლა ცხენს საღარა ჰქვია, აქედან – საღარამე. ბაცი წითელი ცხენი – თაფლა, *ალათი*, ქარცი – თაფლოშვილი (კ. კობ.). **ალათი** (al + at) წითელი ფერის ცხენი: „ცხენი მყავდა ხანხალაკი არც *ალათი*, არც ტორათი (აჭარ. ხ. პოეზ.) (აჭარ. ნიჟ.).“

დიალექტ. **II. ალათი** ფანჯრის ჩარჩოს შუაში ჩაყოლებული ხიდი მინის ჩასამაგრებლად. ალათა ვეტყვით, შუაში რაშიც არი ჩასმული; ჩარჩოს შიგნითა ხიდები არი *ალათი* (კავთ., ქართლ. მესხ.). **ალათი** ფიცარი, რომელიც ორ ბაზოს (კარის ან ფანჯრის დარაბის გულფიცრის ჩარჩოს) აერთებს (ლატი) (ოკრიბ. ალაგ. X). შდრ. I. ალათა.

**ალათა:**

ახ. ქართ. **I. ალათა** სპეც. ყდა, ჩარჩო (ფანჯრისა). **ასაწევი ალათა**. – **საგდულეზიანი ალათა**. – ქარხანაში სტანდარტული ზომის *ალათას* აკეთებენ. – ნათიას ფანჯარასთან მიედგა სკამი, იდაყვებით დაყრდნობოდა *ალათ/ა/ს* და დაფიქრებული იცქირებოდა გარეთ (გ. ბუთხ.).

ახ. ქართ., დიალექტ. **II. ალათა:** *ალათასა*, ბალათასა... ალილოს სიმღერის დასაწყისი. «*ალათასა*, ბალათასა, ხელი ჩაჰკარ კალათასაო», რომ შემოსძახეს, მაშინ გამოეღვიძა მამაჩემს (აკაკი). დასწყევლოს ღმერთმა – *ალათაში*, ბალათაშია – შენ ის ქალი ხარ, ვისიც ბედი მარად გზაშია (მ. ლებან.).

**ალათა-მალათა:** *ალათა*, მალათა ალილოს ერთ სასიმღერო ტექსტს იწყებდნენ ამ სიტყვებით (ნადურშიც მღეროდნენ). „*ალათასა*, მალათასა, ხელი ჩაკარ კალათასა, ამეილე ვორი კვერცხი, ღმერთი მოქცემს ბარაქასა...“ (იმერ. გაჩ.).

**ალაღ-ი:**

საშ. ქართ. **I. ალაღი** (არაბ.) ზედ. სამართლიანი, რჯულიერი – დ. ჩუბ. თუცა კაცი მეტისმეტა ჭამასა და სმას გაჰყვება, ველარ შეიტყობს, *ალაღი* რომელი არის და არამი – რომელი (მეფ. სალ. 337, ქვ. 1). დატყვევება მადლია მათთვის და *ალაღა* ნაქონები მათი და ცოლ-შვილი (ი. ბაგრატ. 388, 14). *ალაღი* იყოს იმისთვის, თუ ჩემს თავს არამი იყო, თუ შენ ყოველიფერი იმას მიეც (ხოსრ. 53, 13).



ახ. ქართ. **ალალი** (არაბ. ჰალალ) მართალი, პატიოსანი, უცოდველი.  
1. ამ თამროს ხსენებაზე დალია იმ *ალალმა* ადამიანმა თავისი *ალალი* სი-  
ცოცხლე (ილია). ბრალი რად უნდა დაედვას *ალალს*, არმქმნელსა ცოდვი-  
სა? (ვაჟა). 2. ღვიძლი, მკვიდრი, საკუთარი. *ალალ* დას არ ეყვარება მათი  
ისე, როგორც მე მიყვარს (ა. ყაზბ.).

დიალექტ.: აღნიშნული სიტყვა დიალექტებშიც ფართო გამოყენები-  
საა და სხვადასხვა სინტაქსში დასტურდება. ამისდა მიხედვით იცვლე-  
ბა მისი სემანტიკური ნიუანსებიც: მაგ.:

**ალალი** ნამდვილი. ჯავარაი და ივანე არიან *ალალ* შინშები: (ბ. 348,  
23) – ივ. ქეშიკ. იმედა *ალალ* ბიძა იყვი გიორგისა (ხევს. ჭინჭ.).

**ალალი შვილი** თავისი ნაშობი შვილი, არაგერი (ქიზ. მენტ.).

**ალალი ოფლი** პატიოსანი შრომა. *ალალის ოფლით* ნაშოვნსა ლუკ-  
მას ვჭამ გემრიელადა (ვაჟა).

**ალალი ლუკმა** პატიოსანი, დაუმაღლებელი სარჩო– საბადებელი. ეს  
მარჯვენა თუ ცოცხალია, *ალალ ლუკმას* ყოველთვის გაჭმევ! (ა. ცაგარ.)

**ალალი რძე** ნაღებმოუხდელი რძე (მთ. კაიშ.).

**ალალი სერი** გარკვეული, უდაო სერი ცხვრისა, ისეთი სერი, რომე-  
ლიც არავისას არ ემთხვევა (ფშ. ხორნ.).

**ალალი ქსელი** ცალი თხორით, ცალპირად დაქსული ქსელი, ცალში-  
ანი, რომლისგანაც ტანსაცმლის შალს ქსოვდნენ (ფშ. ხორნ.).

**ალალი გუელი** იგივეა, რაც ფუძის გუელი. ძვ. ცრურწმ. ზოგიერთ  
ოჯახში დასადგურებული გველი, რომელსაც ბედნიერება და ბარაქა მო-  
აქვს. მის წყენინებას ერიდებოდნენ, ხვრელთან რძიან ბაკანს უდგამდნენ,  
ემახოდნენ *ალალ გველსაც* (მოხ. ქავთ.). შდრ. ასევე **ალალაყრ**. წყნარი,  
მშვიდი, უწყინარი. დედა მოგიკვდეს, ჩემ თევდორ, დედაი, ჩემ *ალალაყო*,  
დედისად კარგაყო. *ალალაყო* ცხენ არ დამთხვებ, წიხლს არ გიყქნევს.  
2. გადატ. ბოში არა მაგარი არაყი. შესვ, ზალვ, შესვრ, არას გიზამს *ალა-  
ლაყრ* (თუმ. ცოც.).

**ალალი:** კოჭის მხარეებია: *ალალი*, ჯელმწიფე, ქურდი (ფშ. გოგატ. 308).

**ალალი:** ძველების რწმენით, როდესაც ადამიანი სჭამს, თუ ვინმემ  
დააყვედრა, ყელზე დაადგება, ამიტომ ლუკმა რომ დაადგება, ბეჭებზე ხე-  
ლის დარტყმით ეტყვიან: *ალალი*, ვინ დაგაყვედრაო (ჯავახ. ზედგ.). ბიჭო  
*ალალი*, *ალალი*/მე როდის გითხარ არამი (ა. ყაზბ. IV, 43, 4).

საშ. ქართ. **II. ალალი** (ფრინ.) – საბა.

**ალალი** მფრ. ოლოლი ს. ჰალალ, თ. ლეი – ნ. ჩუბ. ოლოლი სომხ.  
ალალი – საბა. **ალალი** მონადირე მფრინველი არის და დიახ მსწრაფლი...  
*ალალი* მოშავო მფრინველია ფერით (თ. ბაგრატი.).

**ალალი** ქორი. ჯორცისმჭამელნი: ...*ალალი*... ქორი თეთრი და წითე-  
ლი, ქორი შაბარდუხი (ქ. ცხ. IV, 42, 15). თქვა: იყო ჩვენთვის ხვარაზმშა,  
მწყერთათვის ვით *ალალია* (რუსთ. მიმბამკ. 34, 4). მიმინო, ფილო, მარჯნე-

ბი, ვადევნეთ ხან *ალალები* (არჩ. 244, 308, 4). მივხვდი, ვით მწყერი *ალალ-თა* დღეს მტერთა ღარმეო (დ. გურამ. 128, 448, 6).

ახ. ქართ. **ალალი** [Falco tenunculus] მტაცებელი ფრინველი – ქორსა ჰგავს, ოღონდ მომცროა. ააფრინე *ალალიო*, რაც არ არი, არ არიო (ანდაზა). ნეტამც არ დაგძინებოდა, ჩიტო ნიბლია, ნარზედა, გამოფიქროლებს *ალალო*, წაგიყვანს მაღლა მთაზედა (ხალხ.). მტაცებელი ფრინველებიც ბევრნაირია: სვაგი, არწივი, შავარდენი, ბუ, მიმინო, *ალალი*, ძერა (ი. გოგებ.). ოთარაანთ ქვრივი მიმავალი [რომ] დაენახათ, ისე დაიფანტებოდნენ აქეთ-იქით, თითქო *ალალმა* დაჰქროლა წიწილებსაო (ილია).

დიალექტ.: *ალალმა* სულ დამტაცა ქათმები. *ალალი* იხვს დააცხრა (ჯავახ. ზედგ.).

შდრ. ახ. ქართ. **ოლოლი** იგივეა, რაც ზარნაშო. ვენახში ჭოტი იძახის, *ოლოლი* ბანს ეუბნება (ვაჟა). პირის მაგივრად... [ყმაწვილს] *ოლოლის* ნისკარტი ჰქონია (მელან.). ამ დროს... წყულმა *ოლოლმა* შემომძახა (რ. ერისთ.).

გამოთქმულია მოსაზრება, რომ ს.-ქართვ. \*ალალ- „ზარნაშო“ > ქართ. ალალი: ზან. ოლოლი (ჩუხუა 2000-2003).

### ალამ-ი:

საშ. ქართ. **I. ალამი** (არაბ. -სპ.) მომცრო დროშა, ან ნიშანი რამე შუბთა ზედა. **ალამი** საქართველოსი იყო წითელ-შავი (დ. და ნ. ჩუბ.).

**ალამი** ზეწრის კუთხე(?): სუდარა ოთხი ოქროწერილითა *ალმითა* (პეტრიწ. 34, 49).

ინდოთა დროშა ტარიელს აქვს და *ალამი* უბია (ვეფხ. 1607, 1).

*ქოს-ალამნი* ჯეონისებრ მოდიოდეს (ვისრ. 293, ქვ. 2).

ზედ ორის ქვეყნის იგავი, მაზე თავდახრით *ალამი* (დ. გურამ. 96, 239, 3). ანგარიში არ აიღებოდა დროშისა და *ალმისა* (რუსუდ. 345, ქვ. 9). მზეს წაუვიდა სინათლე, ველარ იცნობდა *ალამსა* (შპნ. II, 3681, 1).

ქეგლ-ის მიხედვით ალამი, დროშა, ბაირალი. დაინახა გაშლილი *ალამები* გამარჯვებული ხალხისა (ა. ყაზბ.). სამხიარულო *ალამი* ჩემს ერში ავაფრიალო (ს. შანშ.). მეფის სასახლის კომპეზზე შავი ფრიალებს *ალამები* (ვაჟა).

თუშურშიც ალამი დროშა, ბაირალია. – მეტაჟ კარგაყი, რაყიოდ კარგაყი ალამ ხქონდღე! (თუშ. ხუბ.). ამავე დიალექტში **ალამი** ნიშნავს ასევე დოღში გამარჯვებული ცხენის ჯილდოს. ჩალა რო დოღში რეულიყვ, იმას ალამ არ ასცდებოდ (თუშ. ცოც.).

**მეალმეი** სადგინში ალამი აბარია. იგივე ადევნებს ცხენებს თვალს, რომელი მერამდენედ მოვიდა. *მეალმედ* უფროს კაც დაყენიან, ჰკვიანიან (თუშ. ცოც.).

შდრ. **ალამდარი** ძვ. მედროშე. გაქრნენ ყველა ურდოები, მტრის მრისხანე *ალამდარი* (გ. ლეონ.). დასალოცად გამზადებულნი... ამ სადღესასწაულო კრებულს წინ მიუძღოდნენ *ალამდარის* გასწვრივ (ი. გრიშ.) – ქეგლ.

ქართულში ალამი ლექსემის შემოსვლა სპარსულს უკავშირდება, დაახლოებით XI-XII საუკუნეებიდან (იმედაძე 2014).

დიალექტ. **II. ალამი** (არაბ. *ალამ* „ქვეყანა“) ბევრი. ყმაწვილიც თოფსა გააგდებდაო, – *ალამს* დაღლაღეს ჯარავანსაო (ხევს. თავის. 421, 222).

ამავე მნიშვნელობით „ჩვენებურების ქართულში“ იხმარება **ალემი**.

**ალემი** [არაბ. თურქ. *ალემ*] 1. სამყარო, 2. ხალხი, საზოგადოება. ერთ *ალემში* არიან მაგერესენი (სტ.). იმდენ *ალემში* უთხრა მეგემ (სტ.). „*ალემის* შვილო, შენა!“ (ად.) (საგინებელი სიტყვები) (ჩვენ. ფუტკ.).

დიალექტ. **III. ალამი: ალამს ვერ (არ) მოუკლავს** შიმშილს ვერ დაუცხრობს, გასაძღომად სრულებითაც არ ეყოფა: მისანა მჭამელია [პირუტყვი], რომე ორმა გოდორმა ეკლის ფოთოლმა *ალამი არ მოუკლა* (იმერ. ქავთ. III). დასტურდება ზმნური ფორმაც: **დაალამებაი** შიმშილის ავადმყოფობა, ჭამის უნარს კარგავს. ყველ ვსლიკიდიტა-და წყალ ვსვიდით, არ *დავალმდენტ* – ყველს ვლოკავდით და წყალს ვსვამდით არ დავლამდით (თუშ. ცოც.). შდრ. I. ამალი.

დიალექტ.: **IV. ალამ-სალამი** იერუსალიმი. ...ხთის წესით, მდღლის წესით... *ალამ-სალამის* ნათლით... (ეთნ. სტმასპ. 21, 272, ხევს. ჭინჭ.). ნათელია, რომ ერთი შეხედვით ეს რთული სიტყვა იერუსალიმის ფონეტიკური ცვლილებების შედეგია.

#### **ალან-ი:**

საშ. ქართ. **I. ალანი** (სომხ.) უმარილო – საბა.

საშ. ქართ. **II. ალანი** ალანთა ისტორიული ტომის წარმომადგენელი. ჯიქისა და *ალანისა* დაუდგომლად სისხლთა მღურელად (ფეშ. 493, 3).

**ალანელი** ალანეთის მცხოვრები, ალანთა წარმომადგენელი (ალანთა ერთ-ერთი ტომი ოსები არიან). ყირიმელთ, ჯიქეთ, *ალანელთ*, კემურგელთ ამცნეს ცნობითა (ბეს. 124, 6).

ახ. ქართ. **ალანი** მდინარის პირას დგას სარდალი მამაც ალანთა! სუფევს სიჩუმე («ლიტ. საქ.»).

დიალექტ. **III. ალანი** (ვახანი) ალალი, პატიოსანი (სიალნე) (იმერ. ჯაჯ. IX). *ალანი* იქნება იმაზე, რაც ამან იწვალა (ზედა საქარა); პაპიაჩემი *ალანი* კაცი იყო (პერევი); რაც *ალანი* იყო, ქე დარჩა (ზ.-იმერ. ძოწ.).

*ალანად* თქუენტუის გუიბობებია (Hd – 2007, 1466 წ.) შდრ. ალალს მონასყიდეს მოხმარებოდეს (Hd – 2028, 1746 წ.) (ქავთარაძე 1964, 315).

**ალნათ** ალალად, პატიოსნად, სიმართლით. ის ერთი სვეტი იყო *ალნათ* ნაკეთებო (პერევი, ზ.-იმერ. ძოწ.).

იხ. აგრეთვე: **ალნა[დ]** || **ალალად**; 1. ალალად. 2. წალმა (იტყვიან ნა-ქსოვზე) (ხევს. ჭინჭ.). ალნ – ალალისაგან შეიძლება იყოს მიღებული: ალალ > ალლ > ალნ ე. ი. ალალ-ფუმეში ა ხმოვნის რედუქციის შედეგად ორმა ლ-მ მოიყარა თავი, რომელთაგან მეორე დისიმილაციის შედეგად ნ-მ შეცვალა. ეს იყო შეუძლებელი ლლ ჯგუფის დამღვევის ერთ-ერთი გზა (გიგინეიშვილი 1975, 112).

### ალაო:

საშ. ქართ. **I. ალაო** «ფქვილი დანოტიოებული» (საბა).

ახ. ქართ. ჯერ გაღვივებული, შემდეგ გამხმარი და დაღერდილი პუ-რი, ქერი, სიმინდი, ხორბალი... ლუდის, არყის ან ბურახის გამოსახდე-ლად. – ეს რაღაც ნაწვიმი ჩანს, – უთქვამს ერთი ჯიშის ხორბალზე, – შეიძ-ლება ალაო გამოვიდეს (გ. პაპუაშვი.). ფიგურ. ჰაერში წვიმის ალაო ტრია-ლებდა (გ. გეგეშ.). 2. ნოტიო და ჩახურებული ფქვილი. ◊ ალაო პური ასე-თი ფქვილის პური (გული არ უცხვება). ◊ **ალაოდ არის** საუბ. ცოტას აფ-რენს, ურიკინებს. – თავში ალაოთ არი, – იცინის ვაჟა [მიხაზე] (მ. ელიოზ.).

დიალექტ. *ალაოს* ეძახდენ, იმას გააკეთებდნენ (ფშ. ცოც.). წამავე სა-წისქვილოდა, *ალაო* უნდა დავფქაო (ხევს. ჭინჭ.). *ალაო ფქვილისა* პურიც ლიჟ გამოდის – ალაო ფქვილისაგან პურიც ლიჟი (გულში გამოუმცხვარი) გამოვა (თუშ. ცოც.). თუ ხორბალი ნაწვიმია და მემრე ჩაჭურებული, იმისი პური ალაო გამოდის (ქიზ. მრეწ. III, II, 10).

დასტურდება ალაო სიტყვის შემცველი სინტაგმები: 1. **მზის ალაო, წყლის ალაო**. მარცვლეულის **დაალაოებას** იწვევს ორი მოვლენა: დანესტი-ანება და ჩახურება. ამ მიზეზით **ალაო** ორ სახელს ატარებს. **წყლის ალაო** ნესტის, ნოტიოს, წვიმის მიზეზით გამოწვეული ალაო. **მზის ალაო** მზის მიზეზით გამოწვეული (გ. შატბ.). **მზის ალაო** მზეზე ნაადრევად გამხმარი ნედლი ხორბალი. მზეზე რო ძალა მოსდის, *მზის ალაო* არის. პურს რო გამოაცხოფ, წოროწორო მიდის თონეში (მეგ.); *მზის ალაო* გამოვიდა, არა-ფერში გემო იმას არა აქ (მეგ., ქართლ. ლექსიკ.). **მზის ალაო** – მოთიბულ ყანას რომ უყურებს დიდხანს, გაალოვდება და თონეში რომ დააკრამ, აღარ გაჩერდება (ზ.-ქართლ. IV, II, 196).

**II. მზის ალაო** ერთ-ერთი სარეველა მცენარის სახელდებისთვისაც არის გამოყენებული. **მზის ალაო** სარეველა მცენარეა ერთგვარი, ამ სარე-ლიანი ხორბლის ფქვილის ცომი თონეზე კარგად არ მაგრდება და პური ხშირად ცვივა თონეში (ქართლ. გაჩ. XVIII).

სვანურში დადასტურებული თხელი ფაფის აღმნიშვნელი **ალააო** იგივე ზემოდასახელებული ალაო უნდა იყოს. **ალააო!** თხელ ფაფას ჰქვია. თხელი და ნელთბილი (სვან. ლიპარტ.).

დიალექტ. **III. ალაო** დიდი სიცხე. აქანე დაჟდომა რავა შეილება ამ სიცხეში, *ალაოა* აქანე (საჩინ. შარაშ.). შდრ. ბერძნ. **ალეა** სითბო.

დიალექტ. **III. ალაო** ხვაგი, ბარაქა, ნაყოფი. ზარმაცი კაცის მუშაობას ალაო არ ააქ, მიტოა იგი ღარიბი (გურ. ჯაჯ.).

ჩვენი აზრით ამ მნიშვნელობის ალაო < ალავი < ჰალი (არ. ჰალ). შდრ. **ალავი** ძალი. მისი ქარი და ალავი კაცსა ტვინსა და დამალსა, თავსა და კეფასა შემოეჭიდების (იად. 246, 36). შდრ. **ჰალი** (არ. ჰალ) ძალა, ღონე, შეძლება. „შენ რომ დიგინახავ, დაჰა ჰალი მომივა“ (ინ., ჩვენ. ფუტკ.).

### ალატი:

საშ. ქართ. **I. ალატი** წისქვილის საფეკვილე კასრი – დ. ჩუბ. **ალატა** საფეკვილე ალა – საბა.

ახ. ქართ. **ალატი** იგივეა, რაც ალა1. ზოგი... ბორბალსა სინჯავდა სხვა – სარეკელას, ხვიმურს, ალატს და წისქვილის ქვებსა (ვაჟა). ის-ის იყო, უნდა დამდგარიყო, რომ ამ დროს მეწისქვილეს გამოეღვიძა, ნახა ალატი და შენიშნა, ფეკვილის მაგივრად მიწა იყო (ვაჟა). შენმა ცოლმა რომელ წისქვილშიც პირი გიქნას, იმ წისქვილის ალატის ძირი მენახოს გამოიმპრალი (ვ. ჩორდ.).

დიალექტ. ამავე მნიშვნელობით ალატი დასტურდება რიგ დიალექტში, როგორცაა, მაგ.: ქართლური, ფშაური, ხევსურული, მოხეური, თუშური...

ბიგას ღვვიხარ ალატშია, აისრ გაგაქვ ცანცარია. – თავ ჳუმბურაჩი ჩაგიდვეს, ფეწნი ალატჩი გესხნესა (ალ. ოჩ. 93, 28) – (ხევს. ჰინჭ.). „ბიჭუ, ციცილ ქოჯოი-დ გამოგავედ დეე ალატი“ (თუშ. ხუბ.).

შდრ. ზან. **ალატი** გოდორია ერთგვარი (მეგრ. ქობ.).

ამავე წარმომავლობისა ჩანს თუშურში დაფიქსირებული შემდეგი სიტყვებიც: 1. **ალატებზ** ოდ. მრ. წისქვილის მოსადევარი, მის გასამართად საჭირო რამეები. „ალატებ თუ მექნებ კი წისქვილის გამართებას რაგიდ უნდ“ (თუშ. ცოც.). **ალატის ხეი**: ხე სალორეში, რომელსაც ეყრდნობა წისქვილის ბორბალი, მასვე აბია ამოსაზიდი. „ამოსაზიდს რო სოლს შაეტანვ, ალატის ხე მალლ იყწევსა-დ საზედაო ერულსაც მალლ ასწევს. წისქვილ გვრიშად (მსხვილად) დახფქავს“ (თუშ. ცოც., ხუბ.).

საშ. ქართ. **II. ალატი** მც. სოჭი (დ. ჩუბ.). ალატი < ელატი. ქეგლ-ის მიხედვით ელატი [ბერძ. elatē] [Picea orientalis] მც. იგივეა, რაც აღმოსავლური ნაძვი. ეკალმუხისა ისარი ელატის მშვილდით მშვეწოდეს (ა. ჭავჭ.).

დიალექტ. **III. ალატი** წვრილი, სწორი და გრძელი ჯოხი. ალატი აილი შუწნდი დაახრელა (ინგ. ასრათ.). ბარჟ (ბარჯი) ორ გზელ ალატი (ლატანია) დაგრეხულ ვაზით გადნამზავ (გადაბმული) (საინგ. მრეწ. I, 127). აგრეთვე (ინგ. ლამბ.).

შესაძლებელია, რომ ფონეტიკური ცვლილების წყალობით ამ მნიშვნელობის ალატისთვის ამოსავალი იყოს ლატანი წვრილი და გრძელი ძე-ლი – საბა., დ. ჩუბ.

**ალაფ-ი:**

ძვ. ქართ. **I. ალაფი** «ნატყუენავი», ნამარცვი, ნადავლი. „მოიღეს... ტყუე და ნატყუენავები და ალაფი ბანაკად“ (G, რიცხ. 31, 12). „თვნიერ საცხოვართა და ალაფთა ქალაქისა შინათასა“ G – „ნატყუენავი, რომელ იყო ქალაქსა შინა“ (M, ისუ ნ. 8, 27) – ზ. სარჯ.

საშ. ქართ. **ალაფი**: ალაფი საფენელი და ჭურჭელი (+ ნატყუენავი). ალაფობა რბევა – საბა. ალაფი სპარს. ნაშოვარი ბრძოლის დროს. – დ. ჩუბ., ნ. ჩუბ. გავგზავნენ ყოვლგნით ლაშქარნი, ალაფი ავადებინე (ვეფხ. 455,1). ავიღევით ალაფი, რომლისა არა იყო რიცხუი, და მოვედით გამარჯუებულნი (ამირან. 153, 7). აღიღეს ალაფნი ურიცხუნი და შემოიქცნენ გამარჯუებულნი (ქ. ცხ. 209, 13, 23). მოიქცნენ ქართველნი ალაფითა დიდითა (თ. ბაგრატი. 52, 35). ალაფი გაყვეს (შჰნ. II, 513, 12). და უკეთუ მტერთაგან მიხმული საქონელი იცნას ალაფსა შინა პატრონმან, ნუ იკადრებს მაშინ გამოთხოვად მისა (სამ. ბატ. დავ. 74, ქვ. 2). ალაფთა მაშოარნი მას ადგილს დახაროდეს (ქილ. 209, 14).

ახ. ქართ. **ალაფი** 1. ლაშქრობაში ნაშოვნი ქონება, – დავლა, ნადავლი. საძვევარი აქვთ ხევსურთა ძვირი განძი და ალაფი (ვაჟა). მსახურთუხუცესი განაგებს ალაფს და დავლასა (შ. დად.). [იანიჩრებმა] გუნდ-გუნდად ახლომახლო სოფლებსაკენ ალაფის და ტყვეების საშოვნელად გაუტიეს (რ. ჯაფ.). საქონელს გაირეკავდნენ, ალაფს წაიღებდნენ, ტყვეებს წაასხამდნენ (ჯ. ქარჩხ.).

დიალექტ. აქ-იქ დიალექტებშიც შემონახულია ამ მნიშვნელობის **ალაფი**. მაგ., როგორც გ. ხორნაული უთითებს **ალაფი** ფშაურში როგორც ძველ ქართულში დავლა, ომში ნაშოვნი ქონებაა (ფშ. ხორნ.).

**აიალაფებს** ნამარცვს, ნადავლს წაიღებს ომიდან. ოხერი თათარი რო შამეესეოდა ჩვენ ხარესა, გაჟლეტამდა, გამარცვამდა, აიალაფებდა, რაც ალაფათ არ გამაადგებოდა, იმას კიდენ ცეცხლ წაუკიდებდა (გრაკ., ქართლ. მესხ.).

ალაფ-სიტყვიდან უნდა მომდინარეობდეს ასევე შემდეგი ნაწარმოები სიტყვებიც.

გადატ. **ოჯახის ალაფი** ოჯახის მოწყობილობა (ავეჯი და მისთ.) ოჯახის ალაფი ყორფელი მოუტანეს გზითათ. ჯაჭუიდან დაწყებული ყორფელი (საჩინ. შარამ.) **ალამფეულობა** ჭურჭლეულობა. თავისი **ალამფეულობა** გეიყვეს ფუძეობის მიხედვით (ბერეთისა (ზ.-იმერ. მოწ.). გადატ. **ალაფალა** მუქთი, უშრომლად ნაშოვნი. **ალაფალა**, ესე რო მუქთი, რო არ ირჯება და შოულოფს ადამიანი, ან იპარავს, ანა, ალაფალაც ითქმის, ალა-ალაცა, ორივ ერთია (გრაკ.). ალაფალა კი არ არი მუქთი, უშრომლად ნაშოვნი კი არ არის. ის იმოტენა კრამიტი რო გაუზიდნია, ალაფალა კი არ არი, მაგისეფ მუქთათ კი არ მამდის მე! (კავთ., ქართლ. მესხ.).

საშ. ქართ. **II. ალაფი** (არაბ.) საკვები. **ალაფი** (არაბ.) მეფეკვილე – დ. ჩუბ. ალაფი მეფეკვილე, ფეკვილის მოფარდული (თ.) ალაფ – ნ. ჩუბ.

საშ. ქართ. 1. **ალაფი** მარცვლეულისა და ფეკვილის ვაჭარი. შეიცვალნენ კაცნი იგი *ალაფები*, რომელნიც ატყუებდენ საწყაოსა შინა ხალხთა (კალმას. 344, ქვ. 6).

ახ. ქართ. იმის უცნობი არ იყო ბაზაზი, აღარც *ალაფი* (ვაჟა). მოედნის თავში რამდენიმე *ალაფის* ლაპარაკს მოვჰკარი ყური (ი. მაჭავ. თარგმ.).

2. **ალაფი** [არაბ. ალაფ] 1. საქონლის საკვები. სოფლელები მხოლოდ მაშინ ისვენებენ, ...როცა ადრევე მომარაგებული აქვთ *ალაფი* და შეშა („მნათ.“). აჰა, ზამთარი მოდის, ძროხები უნდა დავაბათ, *ალაფი* არაა (ფ. ხალვ.). [თავმჯდომარეს] აქვს... ნადირისა და ფრინველის *ალაფი*, კომბინირებული საკვები, თივა და ქერი (ა. გალდ.).

დიალექტ. **ალაფი** (არაბ.) საქონლის საკვები ზამთრისათვის (მესხ. ფეიქრ.). საქონელს საკვებს, *ალაფს* მიაართმევენ დღეში ორჯერ დილას და საღამოს (ზ.-აჭარ. კობერ.). ეემაგრ განაკეთევიზე ამბოვდენენყ „ლაჟ“ დოგიგიავ, *ალაფ* (საკვები ზროხის) ჩააყრელა (საინგ. მრეწ. I, 131). **ალაფი** (თურქ. ალაფ) შვრია, ალაფი ზან. (ლაზ. თანდ.).

გამოთქმულია მოსაზრება, რომ ზან. **ალაფი** არაბულსა და სპარსულ ენებში ნიშნავს ფურაჟით მოვაჭრეს. ქ ე გ ლ-ის პირველი განმარტება „ნადავლი“ უნდა წარმოადგენდეს ალაფის სემანტიკურ განვითარებას. აქვე აღვნიშნავთ, ალაფის განმარტებისას „ქალაქური ლექსიკონის“ ავტორი წერს – „ა ლ ა ვ ა ყოფილა პირუტყვის საჭმელი ბალახეულობა“-ო. ა ლ ა ვ ა ‘ალლაფ-ის ფონეტიკურად სახეცვლილი ფორმა ჩანს. მოხდა ბაგისმიერი ბ თანხმოვნის ჩანაცვლება კბილბაგისმიერი ვ თანხმოვნით, რაც როგორც სპარსულის, ისე ქართულისთვის დამახასიათებელი მოვლენაა (ბართაია 2010, 140).

**ალაფის** ომონიმური ცალები სხვადასხვა დროსა და გზებით უნდა იყოს ქართულში დამკვიდრებული.

#### **ალაბ-ი:**

საშ. ქართ. **I. ალაბი**, ღმერთი არაბულად (დ. ჩუბ.).

ახ. ქართ. არ მინდა არავის დანახვა. მარტო ვარ და პირქვე ვგდივარ. არ არის არც შენი *ალაბი*. არც ჩემი იესო. მცივა. ქარია (თ. ნაროზ.). ხანდისხან არაყ თუ დავკრამ, აღარ მამუქრო *ალაბი* (ვ. ხორნ.) დავსისხლე ქვიშა თუ ბალახი და ჩემგან, მხარმოჭრილ ჯიგიტებს, თვლითაც ვერ ითვლიდა *ალაბი* (თ. წიკლ.).

დიალექტ. **ალაბ**, **ალაბ** სიტყვა-სიტყვით „ღმერთო-ღმერთო“. გამოთქმაში იხმარება გაოცების, დანანების ან აღტაცების გამოსახატავად. ალაბ, ალაბ, სიკუდილს გადარჩა, ალაბ, ალაბ, რა ცუდუბრალოდ დასაჯა (მოხ. ქავთ.)

ახ. ქართ. **II. ალახი** დარგ. მარხილის ფეხზე ამოსადები წნელი, რათა არ დაცურდეს – ქეგლ.

დიალექტ. **ალახი** 1. წნელის ან ღვლერჭის გვერგვი (ზოგჯერ ჯაჭვის ნაწყვეტი, რომელსაც დაღმართში ჩამოსატარებელ მარხილს უკეთებენ დაცურების შესანელებლად, დასამუხრუჭებლად. 2. შეშის კონა, რომლის წვრილი თავები წნელებისაგან გაკეთებულ გვერგვშია გაჭედილი და რომელიც შუროზე თრევით ჩამოაქვთ ხელით (რაჭ. კობახ.). წნელის არი დაგრეხილი, გინდა მარხილს ამოვდეფთ *ალახათა*, გინდა საქონელ დავაზამთ იმითი (მეჯვრ.); ფარცხის კაბდოს უკეთდება *ალახი*, ხარები რო გაიწევენ, კაბდო ძირს არ გახობდეს და არ გაფუჭდეს. კაბდო მაღლა დგას, *ალახი* მიეთრევა მიწაზე და ფარცხი ფარცხავს მიწასა (რუისი, ქართლ. მესხ.).

შდრ. ამავე მნიშვნელობით: ალახა (აჭარ. ნიჟ.); ავლახა (იმერ. გაჩ.); აგრეთვე: ალაჯი (თუშ. ცოც., მოხ. ლუდ.).

#### **ალვა:**

ძვ. ქართ. **I. ალვა** [ბერძნ. *aloē*] სუნელ-საკმეველი: „მისცეს...*ალვად* ასი ლიტრაჲ (ი. -ე. 23, 5). დააკუმივეს *ალვა*, მუშკი და ამზარი (ვისრ. 35, 30). დღე და ღამე მუჯამრითა ეკმეოდის *ალვა* თლილი (ვეფხ. 330, 1). ოქროდ სემურად, მურად ქამურად, *ალვად*, კინამოდ, სარდა-სარო ხით (შავთ. 8, 3). მას შიგან დადგეს აჯისა ტახტი. მოიღეს ალვა-ქაფური და მუშკი, თავი მით გაუტენეს (შჰნ. II, 413, 14).

ახ. ქართ. **ალვა:** ძვ. აშკარაა აქ „**ალვა**“ ხეს კი არ ნიშნავს, არამედ სულნელ-საკმეველს... იგი კეთდებოდა *ალვის ხისაგან* ან მისი შემადგენელი ნაწილისაგან, როგორცაა: წიწვები, გირჩები, თესლი, კანი და სხვა (ვ. მირზ.).

საშ. ქართ. **II. ალვა** ალვის ხე; სარო, კვიპაროზი (დ. ჩუბ.). *ალვას* სა-მოთხის ხედ სახელ სდებენ, რომლისა ყვავილნი და ნაყოფნი ფრიად მშვენიერ სურნელნი არიან; ჩინარსაც *ალვის ხე* ეწოდება (თ. ბაგრატი.).

**ალვა** [ხე]: ვით ედემს *ალვა* რგულია (ვეფხ. 50, 1). ვნახე ზაალ ფალავანი: – „*ალვა* ედემს ნაზარდია!“ (შჰნ. I, 1472, 3). გივმან თქვა: „რა გძეს ნიშანი, გიცან *ალვისა* ტანადა“ (შჰნ. II, 3208, 1). იყო იგი სახლი *ალვისა* და თუალ-მარგალიტითა შეკაზმული (ამირან. 334, 9). *ალვაო*, გესხნეს ორნი ნორჩნი მოსარხეველნი (ბეს. 35, 11). თავ-მაღლობისა *ალვანი* ღრუბლამდე იდგნენ, მეფეო (ვახტ. VI, 20, 14).

ახ. ქართ. 1. [*populus pyramidalis*] მაღალი და კოხტა ხე, ტანწერწეტა, აქვს ვიწრო პირამიდული ვარჯი. შტო *ალვისა* შენი ტანი მგონია! (გ. ორბ.). არცა მზე ჰგვანდა, არც მთვარე, ხე *ალვა*, ედემ ხებული (რუსთაველი). ფიგურ. ტანად *ალვა* და პირად მზე გურამიშვილი რომ ქალების კერპი იქნებოდა, ამას რაღა ფიცი-მტკიცი უნდა! (ე. მაღრ.). 2. ძვ. კვიპაროსი. რომე



მათ თანა აღვის ხეც ვარგიყოს ხედ არად (რუსთაველი). 3. (მესხ. ჯავახ.) ჭადარი.

საშ. ქართ. **III. აღვა** იგივეა, რაც ჰალვა: შაქრით შემზადებული საჭმელი, „ქართულად პუნგია ეწოდების“ (საბა); (სპარს.) აღვახაზი, თაფლის სანუკვარი, პუნგია (დ. ჩუბ.).

**აღვა** შაქრისა (არ. ჰალვა/ე შაქარი). მოთმენა მწარობს, ხილს ისხამს უტკბოსსა შაქრის *აღვათა!* (ქილ. 353, 15).

ახ. ქართ. დავაცხოზინე ნაზუქები, გავაკეთებინე გოზინაყი, *აღვა* (ვაჟა) – აღ. ჭინჭ.

დიალექტ. **IV. აღვა** ჯერი, რიგი. მაგათ *აღვაჩი* მე რაად ვიმწყემსებ, მაგათ მეჯამაგირე ხო არ ვარზ (ხევს. ჭინჭ.). შდრ. II. ალო.

**V. აღვა** ალის ცეცხლისა გულსა შინა თვისსა აღზნება, ქართული ლექსია – თ. ბაგრატ. **აღვა:** წვა, დაგვა (დ. ჩუბ.).

საშ. ქართ. **აღვა** [ალის მოკიდება]: შორით დაგვა, შორით *აღვა* (ვეფხ. 27, 3). მოელოდა ნატურფალსა ვისგან ჰქონდა გულსა აღვა (ნ. ციც. 79, 4).

ახ. ქართ. გადატ. **აღვა** ალის მოდება: ძლიერი სიყვარული. ქალი სხვა ვაჟს მიჰყვება, სხვა ქალის წაწალს და ამგვარად იზადება „შორით დაგვა, შორით *აღვა*“ – ჩნდება დარდი, ვარამი, – პირობები პოეზიისათვის (ვაჟა) – აღ. ჭინჭ.

#### **ალია:**

საშ. ქართ. **I. ალია** ალი, ალია კეთილშობილი, დიდებული, აღზევებული. ყაზი-ყუმუხის პოსლანიკთ, ორთავე ბედით *ალიად* (ბეს. 89, 1). იხ. შდრ. **ალი** (არაბ.) მაღალი, კეთილშობილი.

საშ. ქართ. **II. ალია** შდრ. I. ალი. ...ვსტირი სისხლისა ცრემლითა, დამწვავს საწმილთა *ალია* (შჰნ. I, 3653, 4). ცეცხლს ჰქონდეს მაღლად *ალია* (ვახტ. VI, 29, 4).

ახ. ქართ. **III. ალია** [ებრ. ა'ლია ამოსვლა] ისრაელში ებრაელთა გადმოსახლების, იმიგრაციის პროცესი სხვადასხვა ქვეყნიდან – ქველ. ახ. რედ.

ებრაელი ქართულად მეტყველებისას მხოლოდ ისრაელში დაბრუნების / გადასვლის / ჩასვლის აღსანიშნავად იყენებს ალიას / ასვლას, ანუ ისრაელში /იერუსალიმში ადიან, მაგრამ ნებისმიერ სხვა შემთხვევაში, სხვა ქვეყანაზე იტყვიან ჩასვლას, ანუ სხვა ქვეყნებში ჩადიან. ამ აზრის გამოსახატავად ებრაულში უკვე სხვა ზმნა გამოიყენება (გულედანი, ლომ-თაძე 2017, 13-14).

დიალექტ. **III. ალია:** დრო მცირე, მოკლე (ლექს. ალაგ.). შდრ. I. ალო.

დიალექტ. **IV. ალია** ჩიტია ერთგვარი (ხევს. შან.). **ალია(ის) ჩიტა** (არხ.), ჩიტია (შან.). შდრ. ლათ. āles ჩიტო.

**ალიონ-ი:**

საშ. ქართ. **I. ალიონი** «რა ღამე და დღე გაირჩეოდეს» (საბა).

ახ. ქართ. რიჭრაჟი, განთიადი, ცისკარი. მოაწია *ალიონმა* და გაისმა არემარეში მამლების ყივილი (ე. ნინოშ.). ამოვიდა *ალიონიც* (ილია). სადაც იყო, *ალიონი* ამოვიდოდა და ლუსკუმ ღამეს ცისკრის ციატი გაცრეცდა (ა. გალდ.). ჩვენთან ერთად ფეხდაფეხ მოაბიჯებდა *ალიონი* (ნ. დუმბ.). ალიონზე ზმნს. გარიჭრაჟზე, გათენებისას. ღამის სიოც კი არ დაძრულა. მხოლოდ ალიონზე, თითქო ქვეყანამ ამოისუნთქაო, ერთი გაინძრა ხის წვერები (ე. ნინოშ.). [ბიძა თებროს] ხანდახან ალიონზე წამოაგდებდა (თ. ჭილ.).

საშ. ქართ. **II. ალიონი** (არაბ. ჰალიონ) მც. *ალიონი*, ვითამცა სატაცურიო (იად. 180,27). *ალიონი* და წიწმატი ჭამონ (იად. 446,31).

**ალმან-ი:**

საშ. ქართ. **I. ალმანი** შუბი, ლახვარი – დ. ჩუბ.

ახ. ქართ., დიალექტ. **II. ალმანი** ფშ. საზღაური, რომელსაც იხდიდა იარაღის პატრონი, თუ მისი იარაღით ვისმე მოკლავდნენ ან დაჭრიდნენ (ქეგლ ახ. რედ.).

**ალმანი** საზღაური, გამოსასყიდი, ნაფასური. „არც გავწირავ ქალს აქა, არც *ალმანს* მოგცემთ მისასა“ (ბაჩანა) – ივ. ქეშიკ. **ალმანი** /რაზ. =ჟყ./ „ვისაც იარაღი მოკლავდა ან დაჭრიდა, იმ იარაღის პატრონს უნდა ეზლო სისხლი იარაღი გინდ სხვას სჭეროდა: ამ საზღაურს ჰქვია ალმანი“. სწორი ფორმაა **ალმანია** (ფშ. ხორნ.).

გადატ. **ალმანი** მოვ. მაგიერი. „შენს *ალმანზედ* მამივიდა ჩხუბი – შენს მაგივრად, შენს თაობაზე, შენის გულითვის“ (შან.). **ალმანი, ალმანზე** – ოჯახი, მემკვიდრეობა რომ გაუნადგურდება ადამიანსა, მაშინ იციან თქმა: „იმი, ან იმათ ალმანზე აღარვინ დარჩაო (მოხ. ლუდუმ.). შდრ. ალიმ (თურქ.) საფასური.

ფონეტიკური ცვლილებით **ალვანია** / **ალონია** ჭრილობა თუ საუკმროლოში სჭირს და ფეხი დაუსახიჩრდა, „*ალონიასაც*“ აიღებს დაჭრილი დამჭრელისაგან და საუკმროოსაც“ აიღებს (ეთნ. მედიც. VIII, 88) – ალ. ჭინჭ.

გადატ. **ალმანი, ალმანობა** 1. ბარობა, ანაბარა. ცოლის მეტი იმის ალმანზე არც ვინ იყო. საცოდავი ბაღის ალმანობაზე დარჩა ავადმყოფი ბებერი. 2. თაობაზე, შესახებ, დაკავშირებით. მაგის *ალმანობაზე* დღეის ამას იქით ვმა არვინ ამაიდას, თუ სიცოცხლე არ შაღბეზრებიაო (მოხ. ქავთ.).

დიალექტ. **III. ალმანი** (თ. ალმან) გერმანელი. *ალმანი* თურისთი მე-იყუანა ერთი (ინ., ჩვენ. ფუტკ.).

**ალო:**

ძვ., სამ., ქართ. **I. ჰალო** სურნელი ხე, საკმევლის ხე, ან ნაწვეთი ამ ხისა, საბრი, **ალო, ალოე**: „მური და ალოჲ ყოველთა თანა სულნელთა (მოვისთულე)“ (კ. იერ. -აღღ 159, 36).

**ალო** სურნელოვანი მცენარე და მისი გამონაჟონი წვენი, აგრეთვე სურნელოვანი ნივთიერება. ძეწნი თუ ალოდ მიგაჩნდეს, ზარდო, შესწვართო, მოზარო (ქილ. 933, 30). ზომირინ-გუნდრუკთ საკმევლო, საყნოსელად ალო, / ქალწულთ გვირგვინთ სამკაულო, თავ-ჯილოანთ ალო (გურამ. 153, 1, 3). ყრჩის ცა რაზარინ-ნარდიონ ალოდ (ბეს. 51, 4). შდრ. I. ალვა.

სამ. ქართ. **ალო** „სამურავია. ბალახი არს დიდი ფურცელი, ასთა წელთა შემდგომად აყვავდების და ერთსა ნაყოფსა გამოიბამს და რა განსქდება, დიდსა ხმასა გაიღებს, და მისგან უცხო სუნნელი გამოვა, და მისის ფურცლის წვენი საბრად გაკეთდება და მისი ღერო სუნნელი ხეა უდის მსგავსი (საბა).

ახ. ქართ. **ალოე** [ბერძ. ἄλιφ, ἡ, ἷ] მრავალწლოვანი ტროპიკული და სუბტროპიკული მცენარე: **ალოე** – (აზუა) კალკ. არაბ. თავდაპირველად „ალოე“ ნიშნავდა მოხარშულ წვეს, რომელიც მზადდებოდა ერთ-ერთი სქელფოთლებიანი მცენარისაგან. შემდეგში ეს სახელწოდება მიენიჭა მთელ მცენარეს (ზ. მაყაშვილი, მ. ივანიშვილი).

სამ. ქართ. **II. ალო**: 1. ძვ. დღიური ნახნავი, ხვნის დროს გუთნეულში მონაწილეთა სარგოს ერთეული; „ჯილდის მიზდი“ (საბა); ნახნავი მიწა მიზდად გუთნის დედისა, ან მეხრეთა შებმულთა ხართა და სხვ. (დ. ჩუბ.).

და პატრონმან მიწისამან დასთესოს მიწა იგი, მაშინ მომხვნელსა მისცეს მართებული თვისი, ესე იგი არს – ჯერეთ ალოჲ, და ანუ ეგოდენივე მოუხნას (სამ. ბატ. დავ. 93, 14). ხარი ხარათ მაკლია და ალო ალოთ მაკლია (სამ. VII, 237). ბანბის ალო რომ გავათავეთ, ხათრისათვის თითოს დღის ალო ოს მანჯანას და ბაბაშის მოუხანით (სამ. VII, 436, 3).

ახ. ქართ. **ალო** დარგ. 1. დღიური ნახნავი, – ხვნის დროს გუთნეულში მონაწილეთა სარგოს ერთეული. ორი დღის ალო მერგება, გადამიხნვენ ხელადა (რ. ერისთ.). ალოში გუთნისდედას მეტს არგუნებთ ხოლმე, ვიდრე – მეხრესა (ილია). **ალოს გამოყვანა** ცალკეული ალოების შეთავება, 23 სამუშაო დღის გამოყვანა. ხარები გვება უღელში, გამოვიყვანეთ ალოო (ხალხ.). 2. რისამე შესაფერი დრო; სეზონი. როცა სადილობის ალომ მოაწია, ეკვირინე თავად შევიდა რძალთან (დ. კლდ.). ალო დადგა ხვნა-თესვის, წადი, უგდე ყურიო! (აკაკი). თევზაობის ალო წავიდა და მეთევზე უმეტესად მეწისქვილეს ეხმარებოდა (ა. სულაკ.). ყველაფერს თავისი დრო და ალო აქვს – ცოლის თხოვასაც (კ. ბუაჩ.).

**ალო** მეტნაკლები სემანტიკური გადაწევით და სხვადასხვა წარმოებით ფართოდ გავრცელებული სიტყვაა დიალექტებშიც.

**ალო** დრო, სეზონი (სვან. ლიპარტ.). ზან. ო-ლე = ა-ლო (ჩუხუა 2000-2003).

ახ. ქართ. **ალო**: [ინგლ. hallo] შორისდ. იხმარება ტელეფონით ლაპარაკის დროს, ნიშნავს: გისმენთ! მისმინეთ! ერთი წუთის შემდეგ გიორგი ასმეთაურს ელაპარაკებოდა: –ალო!... გისმენთ (ვ. მუმლა).

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ, რიგ შემთხვევაში **ალო** – ს ომონიმური ცალეები თავკიდურად ხშირად ჰ-აეთია წარმოდგენილი და ცალკე ომონიმურ ჯგუფს ქმნიან.

**ალო** [ძვ. ბერძ. Ἄλλοις სხვა] სიტყვათა ნაწილი, რომელიც აღნიშნავს „სხვას, სხვანაირს“ მაგ.: ალოქორია.

### **ალქატი** -ი:

**ალქატი** უქონელი ანუ გლახაკი; ალქატი ორსახედ გამოითარგმანების – 1. ალქატი პირველად ღარიბსა ჰქვია, რომელ არს უცხო, ესე იგი უცხოს ქვეყნით სტუმარი მოსრული ანა გარდმოვარდნილი, ხოლო 2. მეორე ალქატი – ესე არს ქალი მოქერაო და მოოქროს ფეროვნედ თმათა მექონი და პირისა ფერსა მისსა აქვს უცხოდ რამედ ალქატად შესახედაობა, რომელიც განსხვავებული იქმნების სხვათა საზოგადოთა მშვენიერთაგან სილამაზითა, ვითარცა საიშვიათო რამე ანუ ანტიკი და ესე საიშვიათოდ ათასში ერთი ძლივს იპოვების და ფრიად შვენიერნი და მოხდენილნი იქმნებიან ქალნი ალქატნი. ალქატი ღარიბად ანუ საიშვიათოდ საპოვნელი; ვაალქატე ესე იგი გავადარიბე; ანტიკი ალქატი, არმადანი (თ. ბაგრატი). „ვეფხისტყაოსნის ხელნაწერ ლექსიკონებში ალქატი შემდეგნაირადაა განმარტებული: 1. მსუბუქი, მჩატე, დამშხალული, ღარიბი, გლახა A2. გლახაკი, ანუ უპოვარი, რომელსაც არარა მოეპოვება გლახა B3/ სომხებიც ამას ეძახიან B6, B12 (წაქამე 1976).

ძვ. ქართ. **I. ალქატი** ღარიბი, ლატაკი: „მარადის სიტყვათა ჰყუედრინ და ჰგუემნ (მდიდარი ცოლი ქმარს), ვითარცა კუერთხითა და ეტყვნ: ჩემგან მიკვრს, რომელ შენ სახესა *ალქატსა* ცოლ-ვეყავ“ (მ. სწ. 416, 20).

საშ. ქართ. ლხინი ჩემი *ვაალქატე* (ვეფს. 251, 2). *საალქატო* გაგიხადოს მტრობის კლიტემ გასაღებლად (ვახტ. VI, 43, 81, 4).

ახ. ქართ. **ალქატი** ძვ. 1. ღარიბი, გლახაკი, უქონელი. მოიღეს ძღვენი უსახო ფრიდონის არალქატისა (რუსთაველი). შდრ. II. არქატი.

**ალქატი** 1. მწირი, გამოფიტული. ჩანდა, მიწა მეტად *ალქატი* იყო, მაგრამ ასეთი მიწების გაკეთილშობილება შეიძლება (ნ. კეცხ.).

**ალქატი მიწა** – მსუბუქი მიწა, არ არის ღონიერი მამული, ფერად თეთრია (ზ.-ქართლ. მრეწ. IV, II, 192). **ალქატი** ყვითელი მიწა, უნაყოფო (ქართლ. მენთ.). *უალქატო* მიწებია, არაფერიც არ მოდის (კარალ., კოდ. ქართლ. ლექსიკ.).

◇ **ალქატი ღომი** კუთხ. (გურ.) თხელი ღომი – ქეგლ. **ალქატი მარცვალი** მსუბუქი, მოუსვლელი, ბჟიტი მარცვალი (გ. შატბ.). **ალქატი სახე** აქესო, გამხდარ, სახეგალეულ ადამიანზე იტყვიან (გ. შატბ.).

ახ. ქართ. **ალქატი** სხვადასხვა სინტაგმებში გვხვდება: **ალქატი** ხასიათი: ნუშო ბოროტი ადამიანი არ იყო ბუნებით, მხოლოდ *ალქატი ხასიათი* დაიჭირა (ვ. ბარნ.). ვერ შეითვისა ქართულმა კერამ უცხოური ქცევა თამამი, სიხასე თუ *ალქატობა* წრეგადასული (ვ. ბარნ.).

შდრ. (სპ.) აქანტე უვარგისი, გაფუჭებული.

დიალექტ. **II. ალქატი** ფერმკრთალი, მონაცისფრო, ქერა (იტყვიან კაცზე) საიქიოს იმით არიანავ უფერულნი კაცნივ, რომ იქ მკრთალი, *ალქატი* სინათლერ აქვავ (ეთნ. საიქიო, VII, 73) – ალ. ჭინჭ.

**ფერალქატი**: „ეს ძაბებ ძალიან *ფერალქატებია*, დაო, ვერ დაგიღებინ კარგადა“ (ფშ. ხორნ.).

ვფიქრობ, რომ ამ შემთხვევაში ფერის აღსანიშნავად **აქატი** „აკატი“ იქნა გამოყენებული. შდრ. **აქატე** achates: „ყოველი ქვა პატოსანი შეგემოსა..., ლიგზრონი და *აქატე*“ (I, ეზეკ. 29, 13).

#### **ალყა:**

საშ. ქართ. **I. ალყა**: სალტე, რგოლი ან რკალი; გარშემო მდგარი ლაშქარი (დ. ჩუბ.).

**ალყა** წრე, რგოლი. შენისა ტოილოსაგან ერთი *ალყა* წამატანე მის ყმისა (ვისრ. 256, 34). იმისი ერთგულების *ალყა* ყურში უნდა გამეყარაო (შპნ. III, 319, 3). ერთგულების რგოლის (ალყის) ყურში გაყრა ნიშნავს ვინმესადმი თავდადებას, მორჩილად ყოფნას, მონად გახდომას. მრგვლივ მინდორსა მოსდგომოდეს, *ალყას* გარე შემოჰკრვიდეს (ვეფხ. 73,2). და სუფრასა ზედა მაშხალის ასანთები *ალყა* ქონითა ანუ სელითა იქნების (გარიგ. 75, 11).

ახ. ქართ. **ალყა** წრე, რკალი. მშვენიერ დაცემულ მინდოზე... მოჩანდა *ალყად* შემორტყმული ურმები (ა. ყაზბ.). 2. გარემოცვა, ბლოკადა. *ალყა* შემოურტყამს დიდ მოურავს ნარიყალასთვის (ვ. ბარნ.). შემოარტყეს ზარნავას სახლ-კარს *ალყა* წინასაწარ (ჭ. ამირეჯ.).

არაბ. ჰალქატ „წრე, რგოლი“ (სპ., თურქ. ჰალკა) > ქართ. „ალყა“ (წერეთელი 1992, 92).

ახ. ქართ. **II. ალყა** ძვ. აბრეშუმის, ნაწლავის ან ლითონის სიმი (მალი), უმთავრესად – საკრავისათვის. მე ის მიკვირს, ... ამ ოთხ უბრალო და მოუხეშავ *ალყას* ვინ მისცა ამდენი მელოდია (ჭ. ლომთ.).

დიალექტ. **ალყა**, მრ. ალყაყები ჩონგურისა თუ ფანდურის სიმები. გოგალზ (სახ.) მე მაგ ცხტარს რო დაჰკლავ, *ალყაყებიდ* // *ალყებიდ* გაყაკეთიდი (თუშ. ხუბ.).

მაგის მეტს აღარ გიამბობთ, ფანდურის *ალყა* გამწყდარა (ხევს. პოეზ. 593, 11). დაგიკარ, ჩემო ფანდურო, *ალყებმ* გაილა ჟრიალი (ხევს. პოეზ. 584, 1) – ალ. ჭინჭ.

ალყა–წრე და ალყა–სიმი წარმოადგენენ ე. წ. ჰეტეროგენულ ომონიმებს, ე. ი. მომდინარეობენ სხვადასხვა არაბული სიტყვებიდან, რომლებიც ქართულში დაემთხვა ერთმანეთს სიტყვის თავში გ–სა და ო–ს დაკარგვის გამო (ანდრონიკაშვილი 1965, 311; იმედაძე 2014, 107).

### ალბ-ი:

საშ. ქართ. **I. ალბი** ნაზამთრი მჭლე პირუტყვი (საბა, დ. ჩუბ.).

დიალექტ. **ალბი** 1 გამხდარი, ლუბი საქონელი. 2. თხელი აგებულე-ბის კაცი (მთ. კაიშ.). *ალბი* ცხოველი, რომელიც არ სუქდება. „– როგორ გამყდარი ცხენი გყავ, სტეფანე? მე კი მსუქანი ვარ? *ალბია*, ვერ სუქდება“ (მოხ. ლუდ.).

ალბი (მოხ., მთ.) გამხდარი, ხმელი (ლ. ლეონ., ო. ქაჯ., ლ. კაიშ.).

შდრ. ზან. არბი, ახი გამხდარი (მეგრ. ქობ.).

საშ. ქართ. **II. ალბი** დიდი სიციხე, პაპანაქება. დაბნდეს, მკვდარსა დაედარნეს, მჭვრეტთა სწვევდა გულსა ალბი (ნ. ციც. 355, 4). შდრ. (თურქ.) ალიქ.

ისეთი *ალბი* იდგა, სიციხის ბული თონედან წამოსულ მხურვალეზავით სახეში აღმურად სცემდა (გ. ციც.). ხელისგულივით მოჩანდა სიციხის *ალბში* გახვეული სოფელი (ნ. შატ.). შუადღე. ზღვა და მზისგული, *ალბი*. სიციხეში სილას გართხმია ხალხი (გ. შაჰნ.).

დიალექტ. **III. ალბი** მუცლისა (დ. ჩუბ.). **ალბი** კუჭის აშლა, ფადართი. მუცელში *ალბად* ხომ არა ხარ? (ლ. ქიაჩ.).

**სიალხე** კუჭის აშლილობა. მაღალი ტემპერატურის დროს ბავშვს დიდხანია *სიალხე* აქ (პირველი სვირი) (ზ.-იმერ. ძოწ.).

**ალბის ცემა** (გურ.) საჭმლის ან სასმელის წყენა, კუჭის აშლილობა, ცუდად გახდომა (ი. ჭყონ.). მიმინოს ერთგვარი ავადმყოფობა (ა. რობ. 170) – ალ. ლლ.

დიალექტ. **IV. ალბი** || **ჰალბი** ხალხი (ზ.-იმერ. ძოწ.).

**V. ალბი: ალბზე დგომა** დიალექტ. ყალყზე დგომა. „მაინც დგებოდა *ალბზედა*“ (გურ. ლლ.).

### ამალ-ი:

საშ. ქართ. **I. ამალი** ანაზდად შიმშილით მიბნედა – საბა, დ. ჩუბ.

ნავლლისა ჭამა მომარჩენს და გარდამიგდებს *ამალსა!* (ქილ. 677, 13). ამათითა ჭამითა *ამალსაცა* ვერ მოიბრუნებენო (ქილ. 836, 17).

ამალ- ძირისაგან სამწერლო ქართულსა და დიალექტებში გვხვდება შემდეგი ზმნური ფორმები:

**დაიამლება** (ხევს. ქიზ.) შიმშილისაგან ძალ-ღონე გამოეღვევა, დასუსტდება. თუ რძე არა აქვს, ბატკანი დაიამლება («დიალ.»). **დაამლული**,

**დაამლეული** ძალიან მოშივებული, მოწყურებული; შიმშილისაგან დასუსტებული. ბალახს არა უშავდა რა სამოვრად. ამ ადგილას კარგა ხანს იტრიალა *დაამლეულმა* ცხვარმა (გ. ბუთხ.) – ქეგლ. ამავე მნიშვნელობით იხმარება ეს სიტყვა მთიულურში, ფშაურში... მოხეურში კი *დაამლეული* სენისაგან არაქათგამოცლილს ნიშნავს. ეგ ცხორი საყვალად აღარ გამადგება, ავამტყოფობისაგა *დაამლეულია* (მოხ. ლუდ.).

დასტურდება **ამალ**-სიტყვიანი ფრაზეოლოგიზმიც: **ამალს მოიბრუნებს** მშვიერი ოდნავ დანაყრდება და სულს მოიბრუნებს. „რო ამიან და ცოტად შეეჭამს, ვიტყვით: ამალი მაიბრუნაო“ (ფარცხ., ქართლ. მენთ. XVII).

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ივ. გიგინეიშვილს „ვეფხისტყაოსნის“ 398-ე სტროფის მეორე სტრიქონის „ზენაარ, სულთა ნუ გამყრი, ამბითა შრეტდი ამ ალსა“. „ამ ალა-ს“ ნაცვლად სწორ ფორმად მიიჩნევს *ამალ-სიტყვას*. შდრ. *ზენაარ, სულთა ნუ გამყრი, ამბითა შრეტდი ამალსა* (ვეფხ.).

ამასთან დაკავშირებით იგი შენიშნავს, როგორც უნდა იყოს *ამალ-სიტყვის წარმოშობა*. ამჯერად ჩვენთვის მთავარია ის, რომ ქართულში იგი უფრო „სურვილის“ მნიშვნელობითაა გავრცელებული, ოღონდ მნიშვნელობის მხრივ ორგვარი ნიუანსი მოეპოვება. ეს მნიშვნელობაა ფიქსირებული ს.-ს ორბელიანის ლექსიკონში და ეს მნიშვნელობა აქვს ამ სიტყვას „ქილილა და დამანაში“. მეორე მხრივ, **ამალი** სურვილსავე ნიშნავს „სიყვარულის, ტრფობის“ გაგებით, ოღონდ სამალის სახით შემოუნახავს ქართული მწერლობის ძეგლებს (გიგინეიშვილი 1975, 41). შდრ. *ამალ არაბ.-თურქ. სურვილი*.

საშ. ქართ. **II. ამალი** ზურგით ტვირთის მზიდავი მუშა. (თ. -არაბ.) ჰამალ / ამალი – დ. და ნ. ჩუბ. იგივე სიტყვა ოღონდ ფონეტიკურად ცვლილი უნდა იყოს **ამხალი** მეკურტნე მუშა (ხუნდ. ფსევდ.) – ი. გრიშ.

ახ. ქართ. დიალექტ. **III. ამალი** (ამალა) ამყოლები, ერთნაირი ხასიათის ამხანაგები. თუშნი გაწყუიტეს, ერეკლემ შექნა გაქცევის ამალი (ფემ. 849, 1). გურიაში ჩამევედი, ვერსა ვიშოვე *ამალი* (ფირ., გურ. ჯაჯ.). **ამალა** (არაბ.) საკუთრება; მხლებელნი (დ. ჩუბ.) – ქეგლ.

დიალექტ. **IV. ამალ** [აზ. ამალ] ოინი, ხრიკი, ფანდი. მოლაღ ჩემთან, მე ერ ამალს დაგაჩრვ (მოდი ჩემთან, მე ერთ ოინს გასწავლი); გადევ (ვაჟები) მიდოდნენ იმასთან *ამლევ* დაასწავლეველა (ფანდების სასწავლად) (ინგ. ღამბ.).

**ამან-ი:**

საშ. ქართ. **I. ამანი** (არაბ.) იმამი – დ. ჩუბ.

საშ. ქართ. **II. ამანი** ემიდა, ჰურიათა მღვდელნი მარცხენასა მკლავსა შეიცვემდენ სარტყელსავით – საბა.

ახ. ქართ., დიალექტ. **II. ამანი** ღონე, ჯანი. ეგ ყველაფერი, ჩემო ლუარსაბ, თავისუფალი მოქმედების *ამანი* გახლავს (მ. ელიოზ.). [დავითს] არც ფიქრის *ამანი* ჰქონდა და არც ოცნების (ა. გალდ.). „ისე დავიღალე, *ამანი* არა მაქვს“ (იმერ. ბერ.).

**ამანათ-ი:**

**ამანათი** (არაბ.). საწინდარი; მზევალი; ანაბარი, ნივთი მიბარებული ან გაგზავნილი ვისთანმე – დ. ჩუბ.

საშ. ქართ. **I. ამანათი** იგი მამას შეავედრებს *ამანათად* ფალავანსა (შჰნ. I, 1181,1).

ახ. ქართ. **ამანათი** ძვ. მძევალი. ან ვის გზავნიან ვოლსკთა შორის რომს *ამანათად?* (ი. მაჩაბ. თარგმ.). ჩემი შვილი შენი *ამანათი* იყო და სად დამიკარგეო (ევ. გაბ.). უფრო გულდაწყნარებული იქნები, როდესაც ლეკთა წარჩინებულნი *ამანათებევით* გეყოლებიან ხელში (ვ. ბარნ.).

დიალექტ. ამანათი (არაბ. ამნათ) გუდ., ხ., ფშ., თ. შეხიზნული (ა. შან., თუშ. ცოც.).

საშ., ახ. ქართ. **II. ამანათი** ძვ. მიბარებული, მინდობილი რამ. ასი ოქრო ერთ კაცს *ამანათად* მიაბარა («მელის წიგნი»). აქაოდა კამეჩი პირუტყვია, შებრალება არ უნდა?! თუნდაც სხვის *ამანათი*, სხვის მონაბარი არ იყოს! (ილია).

ახ. ქართ. **III. ამანათი** შეკრულ-შეფუთული ნივთი, რომელიც სადმე იგზავნება ფოსტით. ქალმა ფოსტალიონს *ამანათი* ჩამოართვა (ი. მოსაშ.). მე წერილსა და ამანათს მოველოდი (ქ. ბაქრ. თარგმ.).

იუსტ. აბულაძე ამ სიტყვას უკავშირებს ამანათ-ს არაბულ ამნათ, რაც ნიშნავს „სანდობა, ერთგულება, „შენახვა-მინდობა ერთგულ ხელში“, ოღონდ იუსტ. აბულაძე ამ სიტყვის ასეთ მნიშვნელობებს I. იძლევა: საზრუნავი, ზრუნვის საგანი, დანაკვეთი, ჩასაბარებელი, დეპო (იუსტ. აბულაძე 1916, 792). გ. წერეთლის აზრით, ამანათი იმავე არაბულ სიტყვას უკავშირდება, ოღონდ მნიშვნელობა მისი არის „შენახვა ერთგულ ხელში, შესანახად მიბარებული“ (გ. წერეთელი 1951, 18).

შდრ. დიალექტ. **ამანეთი** (არაბ.) ღმერთზე (ვინმეზე) მიბარებული შესანახავად. მემრენ ამასა *ამანეთათ* გვიტევენ (ჰ.). სტუმარი ღმერთის *ამანეთია*, იმა ლამაზი თუალით შევხედავთ (იმ., ჩვენ. ფუტკ.).

**ემანეთი** (არ. emanet) საპატრონებლად ჩაბარებული, შესანახავად მობარებული, ყურადღება მისაქცევი. ესა ჩემი *ემანეთია*, მის ბაბომ დიმიტია (ინ.), ჩუენა ღმერთის *ემანეთი* ვართ (მ., ჩვენ. ფუტკ.). სავარაუდოა, რომ ეს სიტყვა სხვადასხვა გზებით იყოს ქართულში დამკვიდრებული.

**ამარ-ი:**

**ამარი:** ძვ. რაოდენობა, რაერთობა – დ. ჩუბ.

ძვ. ქართ. **I. ჰამარ-ყოფა** ანგარიში; აღრიცხვა: „უკუეთუ პირველ ჰამარ-ყოფისა და მიჯდილობისა აღესრულოს ვინმე ზემოთქუმულთა მათგანი“ (დ. სჯ. 166, 20).



საშ., ქართ. **I. ამარი** სიმრავლეთ რიცხვი, ანუ რაოდენობა; განდიდებულება აღარიცხველთა რადასცა (თ. ბაგრატი.).

ძვ., ახ. ქართ. **ამარი** ძვ. რიცხვი, რაოდენობა (შდრ. უამრავი). რაც მიიწერა სოფელმან, ვერდა დავსთვალე ჰამრითა (ბეს. 79, 7). იგი ნავი მეკობრეთა მას დღეს ნახეს, არ ახვალეს, მუნ დებულთა საჭურჭლეთა ამარიმცა ვით დათვალეს (რუსთაველი). ღვინის ამარი რა იყო, მოიღეს ურმითა და ჭურითა (ქ. ცხ. II, 261, 18).

ეგვევ ფუძე გამოიყოფა სიტყვაში უამრავი «ურიცხვი» (საბა).

საშ. ქართ. **II. ამარი:** „მისი იმედნეულივით“ (იმედნეულობა – გულდებულობა) – საბა. არ მებრალების საქებრად თამარი, მისი ამარი (არჩ. 182, 24, 2).

მე დავრჩენილვარ შენი ამარი (გ. ლეონ. 138, 14).

#### **ამარა:**

საშ. ქართ. **I. ამარა** მღერი. ამარა მღერი არის ერთობ მხურვალი და წვითა ამოვა (ქანან. 379, 16). თუ ტანზედა მღიერები გამოესხას, ის ოთხი ფერი არის. ერთსა ამარ ჰქუიან... მესამესა ნამლა (ქანან. 379, 13).

საშ. ქართ. **II. ამარად, ამარა** ზმნს. თავის ნებაზედ, ან ვისისმე იმედით, ვითარ, დაშთომილი ღვთის ამარად. დაგდება პერანგის ამარად. შენს ამარად (დ. ჩუბ.). იხ. II. ამარი.

**ამარა** ზმნს. მხოლოდ და მხოლოდ ერთი რისამე მქონე. სოფლელი გლეხის შვილი ვარ, მჭადითა გამოზრდილია, უქუდო, ჩოხის ამარა, ქალამნებგაცვეთილია (ი. დავით.). [წყლიდან] ამოხდა, ქვაზე ჩამოჯდა, მარტოკა შარვლის ამარა (ვაჟა). მარტოდმარტო მოდიოდა ხანჯლის ამარა (ვ. ბარნ.).

**ამარა** ამარი, ჰამარ, ამარად – ამარა (სვან. თოფ., ქალდ.).

#### **ამარტა:**

საშ. ქართ. **I. ამარტა** აღრალეების ქვა – საბა.

**ამარტა** ქარვა. და თუ ამარტა დაწუთა და ბაგეთა მოსდვის ვინ (ვისრ. 68, 25). ირისე ცასა ჰვერობდა, ცით კრთოდეს ამარტანია (ბეს. 84, 17). გადატ. **ამარტის ველი** ლოყა. გესხნეს ხალები, მაკრძალები, ამარტის ველად (ბეს. 35, 8).

**ამარტის** ფერად შეცვალა ბროლი ცრემლისა ბანამან (რუსთაველი). უზის ლალი და ზურმუხტი ტახტსა, ვინ ჰკადრა ამარტა (ფემ. 184, 2).

ახ. ქართ. **ამარტი** ძვირფასი ქვა, – ეშმი, იასპი. და შენი მხოლოდ ნაჩუქარი მიყვარს ამარტი (რ. გვეტ.). სადაც ეყარა მოწიწებით თვალსატყუარი: სათი, ამარტი, ამეთვისტო, მოწი, გუარი (ი. გრიშ.).

საშ. ქართ. **II. ამარტა** მზრძანებელი, მმართველი, უფალი. თუალთა მისთა მარგალიტი ხოვრიელად *ამარტას* ზედა დაასხეს (ვისრ. 144, 11).  
შდრ. **ამირა, ემირატი** საემირო (უნცივერს. ელერდ.).

**ამბა:**

ძვ., საშ. ქართ. **I. ამბა** ამშენებელი – დ. ჩუბ.

„მიუგო მათ *ამბა* იოანე“ (მარკ. 247). „აღწერა *ამბა* (ანბა) იოვანე“ (ლიმ. 1, 6).

საშ. ქართ. კუალად ჰყო ალავერდელი ეპისკოპოსად, რამეთუ იყო აქამომდე *ამბა* და მონასტერი და მისცა სამწყსო და ხარისხი თავ კახთა ეპისკოპოსთა (ქ. ცხ. IV, 568, 9).

**ამბა** ძვ. მამა (მონასტრისა] მონასტრის წინამძღვარი. – ამბა ალავერდელი. – ამბა გიორგი (ოპიზელი). ზოგჯერ ამბა და ანბა ერთი და იმავე თხზულების ერთსა და იმავე გვერდზეა ნახმარი: რომელსა ერქუა *ამბა* ისაკ და კუალად სხუასა *ამბა* ასონა და ანბა ივლიანე (ეგრემ. ცხოვრ. 94, 5) (სარჯველაძე 1984, 313). იხ. I. აბა.

დიალექტ. **II. ამბა** შესაკავებელი (ურმისა, მარხილისა) – ა. შან.

ვფიქრობთ, რომ **ამბა** < **ამბოლი** უკანა უღლეული – საბა, ქეგლ. ამბოლი უღლეულთა წინა ხარი (ი. გვარ.) – ალ. ღლ.

**ამბარ-ი:**

ძვ., საშ. ქართ. **1. ამბარი** (არაბ. ანბარ) სულნელია ერთგვარი. „წარმოიღეს ხარკი..., მუშკი-ლიტრა ათასი, *ამბარი* – ეგზომვე“ (ქ. ცხ. 172, 9).

საბას მიხედვით **ამბარი** სუნ(ნ)ელია, ზღვისაგან გამოიღებენ, რომელ(ნ)იმე ფუტკართ(ა) ფიტს(ა) იტყვიან (იტყვის B), სხვანი თევზთა (თევზის B) შავასა (შავათა B+ და Z) სხვანი სხვასა დ. ჩუბინაშვილი მიუთითებს მხოლოდ ამბრი (არაბ.) ფორმის შესახებ.

და უდისა, სანდლისა, *ამბრისა*, ლადანისა და ღალია მუშკისათვის ხშირად ასუნებინეთ (იად. 247, 17). ამას უსუნებ *ამბარით* (ვახტ. VI, 33, 96, 2). უკმევდეს მუშკს და *ამბარს* (რუსუდ. 89, ქვ. 1). მისგან მოდის სურნელება, *მუშკ-ამბრისა* მას უდისა, შეყრა მიღირს ყოვლს ქვეყანად მას უცხოსა, მას უდისა (თეიმ. 319, ქვ. 6). აქა არს ყუავილი სუმბული, ფერით სპეტაკი, მგზავსი ნარისა, და მიწასა ზედა განრთხმული, სურნელი, ვითარცა *ამბარი* (ქ. ცხ. IV, 314, 19). კაცს ვისმე სახლი-სამყოფი, ზღუდე უყვარდეს *ამბარით*, იგ ტყვიას როდის იქონებს, ამას უსუნებ ამბარით. ვზარდო ფერადი ყვავილნი, მოვიღოთ მთით და *ამბარით*, მას ვინ გაუშვებს, გამკილვენ: „ამან მისთანა *ამბარით*“ (ვახტ. VI, 96, 1).

ახ. ქართ. ქეგლი – **ამბარი** სურნელოვანი ნივთიერება (შდრ. მუშკ-ამბარი).

ზღვის ზვირთნი *ამბრისა* და მუშკის სურნელებას ფენდენ (გ. ყიფშ. თარგმ). || ირონ. მერალი რამ, ცუდსუნიანი რამ. დიდი საქმე იყო პატრონამდის ისე მიგელწიათ, რომ ან არ გასვრილიყავით, ან კიდევ ერთი *ამბრის* სურნელება თან არ აგეყოლიათ (ილია).

ზან. **ანზარი** ამბარი; ამბრი (მცენ.) (მეგრ. ქობ.).

ლექსიკოგრაფიულ შრომებში ანზარი განმარტებულია, როგორც არაბული წარმოშობის სიტყვა. შესაძლოა სიტყვის შემოსვლის გზა უშუალო იყოს (იმედაძე 2014, 106-107).

ძვ. ქართ. **II. ამბარი** საჭმელი, საჭამადი: „*ამბარსა* განუყოფდეს ჳელმწიფეთა“ (ივ. რომ. – კურთხ. ისაკ და იაკ. 114, 2).

სამ. ქართ. **III. ამბარი** (სპარ.) საფქვილე ზანდუკი ან სახლი პურის შესანახავი, ბელელი. **ამბარი** ამბრი. ამბრი (არაბ.), ამბრა – დ. ჩუბ.

სახელმწიფო **ამბარი**: მცირისა საქმისათვის არა მოიყვანებთან ტანჯვად თავადნი... ხუცესნი და დიაკონნი, თვინიერ მეფის ორგულებისა და მამულისა., ეკლესიისა გატეხისა, საჯელმწიფოსა *ამბრისა* და საჭურველოთა სახლთა (სამ. ბატ. დავ. 147, ქვ. 3). ხოლო ვინცა აღმოჩნდეს წარმხდენელ მიბარებულთა ლართა, *ამბართა*... ერთისათვის ორად ზღვევითა და პატივისა მოკლებითა გარდახდეს (სამ. ბატ. დავ. 36, 6).

**ანზარ, ამზარ** საწყობის, სამ. შესანახის, საკუჭნაოს სახელია (ჯავახიშვილი V, 1986, 107).

**ქეგლში** ამბარი გვხვდება შემდეგი მნიშვნელობებით: **ამბარი** (სპარს.) ბელელი. ქურდმა დაჩხრიკა სულმთლად სახლ-კარი, ხულა, მარანი, ჭერი, *ამბარი* (რ. ერისთ.). 2. ყუთის მსგავსი დიდი (რამდენიმე ათეული ფუთის) ტევადობის სათავსი-ხორბლეულის ან ფქვილის შესანახად (ქართლ-კახეთში). მარცვლეულის ამბარი-ფქვილის ამბარი. ორი გამოცხობა რომ კიდევ იყოს *ამბარში*, მეტი აღარ იქნება (ა. ერ.-ხოშტ.).

**ამბარი** (არაბ.-სპარს.) დიალექტებში მნიშვნელობის მეტ-ნაკლები გადაწევით იხმარება.

1. ხარო, ბელელი, საწყობი, ფქვილის შესანახავი ადგილი. „ქიბილის ჩასაყარი *ამბარი* ბილა არ გუაქ“ (ხ. ფ.) (ჩვენ. ფუტკ.).

2. ბელელი. მივიდა და *ამბარში* ჩაჯდა (ჯავახ. მარტირ., ზედგ.).

3. ოთახი ან კიდობანი ხორბლეულის ან ფქვილის შესანახავად. წინეთ აქაც ვიცოდით *ამბარი* პურისთვინ. *ამბარი* ფიცრის დიდი ყუთი, ზანდუკის მაგვარი, ზოგჯერ კედელზეც მიაშენებენ ხოლმე, ხმარობენ მარცვლეულის, ხილისა და მისთ. შესანახად (იმერ. გაჩ.). ბელლის გარდა *ამბრებიც* აქვთ. *ამბარი* ფიცრის ყუთია ოთხფეხზე ასხმული. **ამბარი** აბანო-ზისაა მიღებული, ცაცხვისაც იციან (ქიზ., მრეწ. I, 73).

4. წისქვილში მარცვლეულის ჩასაყრელი ნაწილი. ჩონ *ამბარ* უძახით კიდო წისქვილის ნაწილს, სადაც რო მარცვალი ჰყრია და ჩამოდის დასაქბავათ (მესხ. ვეიქრ.).

5. წისქვილში დადგმული სამინდე ჭურჭელი, გატიხრული სამად ხორბლისათვის, ქერისა და სიმინდისათვის (ქართლ. ძიძიგ. ანგარიში).

**ამბარ[ი]** ნავის თავისუფალი ადგილი, სადაც დაჭერილ თევზს ყრიან (აჭარ. ნარაკ.).

კ. კაკიტაძის აზრით დასტურდება **ამბარის** შემდეგი მნიშვნელობები 1. შენობა ხორბლეულის ან ფქვილის შესანახი || ბელელი. 2. საფქვილე ზანდუკი (საბა, ჩუბ.). 3. წისქვილში დადგმული სამინდე ჭურჭელი (შ. ძიძიგ.). 4. საჭმელი, საჭამადი (ი. აბულ.). მნიშვნელობათა ცვლა სახეზეა. მისი დანიშნულება ნათელია – იგი არის შენობა ან ჭურჭელი, საკუჭნაოს, საწყობის ფუნქციით. საყურადღებოა მისი მნიშვნელობა, როგორც საჭმლის აღმნიშვნელისა. ცხადია, რომ იგი სწორედ საჭმლის (ხორბლის, ფქვილის) შესანახი ჭურჭელია და, აქედან გამომდინარე, მნიშვნელობის გადაწევა არ არის გამორიცხული.

თანამედროვე ქართულში მისი გამოყენების არე შეზღუდულია, საქმე ის არის, რომ ბელლის, ამბარის ადგილი დაიკავა ელევატორმა [ლათ. elevo-დან მაღლა ვწევ] [ხორბლის შესანახი დიდი შენობა, ბელელი, რომელსაც აქვს სპეციალური მექანიკური მოწყობილობა მარცვლის გასანიაველად, გასახმობად, დასახარისხებლად და სხვ.). მას დარჩა მხოლოდ საშუალო ზომის საფქვილე ყუთის აღნიშვნის ფუნქცია. ე. ი. სახელთა ერთი კლასიდან (სამეურნეო შენობები) იგი სხვა (სამეურნეო სათავსოთი) კლასში გადავიდა (კაკიტაძე 2005, 69).

#### **ამბოხ-ი:**

ძვ. ქართ. **I. ამბოხი** ხალხი. „ვითარცა იხილა პიტიახშმან *ამბოხი* იგი და ტირილი მამათა და დედათა“ (შუშ. IX, 17). „იესუ მიჰრიდა *ამბოხისა* მისგან მოადგილსა მას“ (ი. 5, 13 C).

ძვ. ქართ. **II. ამბოხი** «ამბოხი», არეულობა, ჩოჩქოლი. „უფროდსი *ამბოხი* იქმნებოდა“ C, – „უფროდსა შგოთი იქმნების“ (DE, მთ. 27, 24). „*ამბოხი* იქმნა სოფელსა მას იონთასა“ (რიფს. 166, 6). „*ამბოხი* და ღაღადებად და რისხვად აღადგინა მის ზედა“ (მრთ. S. ოქრ. მარხ. და იონ. 104, 37).

სიტყვა შემოსულია სომხურიდან: შდრ. სომხ. ამბოხ ბრბო“, „სიმრავლე (აჭარიანი 1971, 151, აბულაძე 1956, XVI; ანდრონიკაშვილი 1966, 223, გიგინეიშვილი 2016).

ძველ ქართულში ვლინდება ანბოხიც. **ანბოხის აღძრვა:** „აღიძრა *ანბოხი* დიდი სტვრითა და ბობლნითა... განვიდეს... შემთხუევად მისსა“ (H – 341, 3). ძველსავე ქართულში გვხვდება ამბოხ-ფუძისაგან ნაწარმოები და რთული სიტყვები: მაგ.: ამბოხიანი, მეამბოხე.

საშ. ქართ. **II. ამბოხი:** ამიერიდგან დააცხრონ *ამბოხი* (სამ. IV, 499, 13).

ახ. ქართ. **ამბოხი** ამბოხება, არევ-დარევა, აღშფოთება. ძნელია სთქვას ვინმემ, ეს *ამბოხი* რით გათავდება (ილია). ფხოვში მგზავრობამ დაარწმუნა მეფე, ხელახალი *ამბოხი* არ უნდა ყოფილიყო მოკლე ხანში მო-

სალოდნელი (ვ. გამსახ.). ეს ფიქრი უკვე *ამბობს* ნიშნავდა დედის ოთახის წინააღმდეგ (ნ. გელ.).

საშ. ქართ. **III. 1. ამბობი** დაუმჟავებელი მაჭარი – საბა. ახლად დაწერილი ყურძნის წვენი, ოდნავ შემაჭრებული, შუშხუნა. ქვევრებში დადულდნენ *ამბობი* მაჭრები (შ. ფორჩხ.).

დიალექტ. **ამბობი** – მაჭარი დუღილისას და ახლად დადულდების ხანაში (იმერ. გაჩ.). ტკბილი მეორე დღესვე „იღვიძებს“, წვრილ ბუშტულებს დაიყრის, ამოდრავდება, თანდათან „მეხურდება“, ბუშტებს დაიმსხვილებს, „აბუყბუყდება“, აფოფუნდება, ქაფდება, შფოთავს, დულს“. ასე იქცევა ტკბილი „ამბობად. ამბობი „ენას კბენს“, გემოტკბილი, მაგრამ თბილი. მესამე-მეოთხე დღეს ნელ-ნელა „ჩაიქოშინებს“, ქაფს გადაიწმენდს და „მიიძინებს“; ხანდახან „შეიშმუშნება“, ამოისუნთქავს. *ამბობი* დამაჭრდება, მაჭარი გრილია, მაგრამ მწარე, ენას ცოტა ეთამაშება (რაჭ. ფრ. 214). იხ. აგრეთვე: (ზ.-იმერ. ძოწ., ლეჩხ. ალაგ.).

დიალექტებში **ამბობი** შეიძლება შეგვხვდეს ქამბობის ფორმითაც. მჟავე წყალივით რო დეიწყებს ღვინო ციცხინს ის არი *ქამბობი* (რაჭ. კობახ.). ამ შემთხვევაში ქ ბგერის გაჩენა ადვილად აიხსნება, თუ გავითვალისწინებთ რომ ამბობი < hambōh (ანდრონიკაშვილი I, 1996).

**2. ამბობათ იქნება** შემჟავდება. მიყვარს ახალ-ახალი კუკუსტო, *ამობახათ* რო იქნება (ზ.-იმერ. ძოწ.). გადატ. ჭაბუკზე იტყვიან „ამბობიაო“, უფრო დასრულებულზე ამბობენ „დამაჭრდაო“, დავაჟკაცებულზე „დაღვინდაო“ (რაჭ. ფრ. 221).

ომონიმი **ამბობი** სხვადასხვა დროსა და გზებით უნდა დამკვიდრებულიყო ქართულში.

#### **ამბრ-ი:**

ახ. ქართ. **1. ამბრი** [ფრანგ. ამბრე < ამბარ] იხ. I. ამბარი. ამბრი (ამბრისა) [ფრან. ამბრე სურნელი < არაბ. 'ანბარ] || გადატ. სურნელება. ყველაფერს, რაც კი... კეთილხმოვანობს, ლამაზობს... მოვსტაცე *ამბრი*, ფერად – სხივები (ვ. მაყ.).

საშ. ქართ. **II. ამბრი: ამბრი არაბი** ხალხური ეპოსის პერსონაჟის სახელი. დაიწყო მან კაცმან *ამბრი* არაბისა ამბისა თქმა (მოსე ხონელი). მაშინ დაუმძიმდა *ამბრი არაბსა* და ჰრქუა აბუტარს (ამირან. 157, 8).

#### **ამება:**

საშ. ქართ. **I. ამება** სიამე. ვირ ცოცხალ ვიყავ, არ მომხვდა, მზეო, შენთანა *ამება* (თეიმ. I, 60, 82, 3). შდრ. ძვ. ქართ. **ჰამება** სიამოვნება.

ახ. ქართ. **ამება** სახელი აამებს ზმნის მოქმედებისა, – სიამე, სიამოვნება. ნათელი და ბნელი, ტკივილი და *ამება* ერთმანეთში გაება და ჩაეწნა (ილია). გულხელდაკრევილს ერთს ვერ ნახავდით – ყველა ცდილობდა მეფის *ამებას* („მნათ.“).

ახ. ქართ. **II. ამება** [ბერძ. amoibē ცვალება, შეცვლა] უმარტივესი, მიკროსკოპული ერთუჯრედიანი არსება, არა აქვს სხეულის მუდმივი ფორმა; ცხოვრობს წყალში (იწვევს ნაწლავების ავადმყოფობას). ყოველ სულიერს, ერთუჯრედოვან *ამებასაც* კი... უფლება აქვს უყვარდეს ვინმე (კ. ბუაჩ.).

#### ამლაკ-ი:

საშ. ქართ. **I. ამლაკი** „ჭრელი ცხენი“ (საბა). **ამლაკი** ჭრელი ცხენი თ. აბლაცი – ნ. ჩუბ. აბლაცი, ამლაკი – ჭრელი ცხენი“- (საბა). ამლაკ < არაბ. (კ. წერეთელი 1992, 94).

დიალექტ. **II. ამლაკი** აზიზი. ე გოგო ცოტა *ამლაკი* მჭამელია (ზარანი, ზ.-იმერ. ძოწ.). **ამლაკი მჭამელი, ამლაკად ჭამს** იტყვიან პირუტყვზე და ადამიანზე, თუ უმადოდ, უხალისოდ ან ცოტას ჭამს (იმერ. ქავთ.) იხ. I. ამალი.

#### ამო:

საშ. ქართ. **I. ამო** ზედ. საამოვნო – დ. ჩუბ. საამოვნო, სასიამოვნო, განსასვენებელი – ნ. ჩუბ. დაუწყო მათ *ამო* საუბნარია (ვეფხ. 34, 4). ვჭამეთ ხილი იგი, რომელ არა უნახავს პირსა კაცისასა ეგზომ *ამო* რამე (ამირან. 424,1). მისთვის თქმულია, მსმენელნი: «*ამო* საჭვრეტელია ერთი მტკიცე პირი»ო (ბეს. 125, 26). ამირზარს ვეყმე ავთანდილ *ამოდ* რა ლმოზიარესა (ბეს. 115, 3). *ამოსა* წყაროსა ზედან მიმიყვანა (რუსუდ. 23, 4). საამური იწყო მობერვად ნიავემან *ამოზან* და იშვა მათგან ქალი... თამარ (ქ. ცხ. II, 115, 6). შდრ. ძვ. ქართ. **ჰამო** გემრიელი, საამური. – ილ. აბულ.

ახ. ქართ. **ამო** ძვ. მაისის დამე, მიბუნდვილი, გრილი და *ამო* (ნ. ბართ.). *ამოდ* ზმნს. – თქვენ...იმ სახსორებს *ამოდ* სასმენი სიტყვებიც თან გამოატანეთ (ი. მაჩაბ.). *ამო*-გემო წყნარი, დინჯი, ტკბილი. ვაჟკაცი *ამო*-გემო სჯობ, რო გაჭირდება, – მჭეხარი (ვაჟა).

საშ. ქართ. **II. ამო** ჩვენებურად, განქარვებადად და ფუჭათ დაინიშვნის. ამაჲსი (ამაი) ვერანა, აოხრებული ქვეყანა ანუ ნასოფლარი ანუ ნასახლარი, სომხურათ ასე დაინიშნება (თ. ბაგრატი.). შდრ. ამაო.

**ამო** ბრძან. შემოკლებული ამოდი! ყური დაგიჩნდა, სხივი კრთის, სრულად დამიჩნდი, მთვარეო! ...გულს სწყურის გნახოს ბადრადა, *ამო*, ამოდი მალეო! (ვაჟა).

#### ამოვან-ი:

საშ. ქართ. **I. ამოვანი** სასიამოვნო, საამო – დ. ჩუბ. ძვ. ქართ. ჰამო > ამო > ამოვანი.

საშ. ქართ. **II. ამოვანი** იგივეა, რაც მავანი: ესა და ეს. *ამოვანი* კაცი გამოჩენილა, მრავალი დეუი მოუკლავს (შჰნ. III, 181, 18). ამოვანი < მავანი.

საშ. ქართ. **III. ამოვანის მთა** // **ამონის მთა** დამავენდის ანუ დემავენდის მთა. *ამოვანის მთაში* და ორმოა მეტად ბნელითა (შპნ. III, 687, 3). შდრ. რომლის ჯურღმულში ზოჰაქი ჩაჰკიდეს. *ამონისა მთასა* შიგა, ორმო არის მეტად შავი (შპნ. III, 426, 3). ამოვანი < ამონი.

**ანაფორა:**

ანაფორა ზედამიმართად ითქმის – საბა.

**ანაფორა** ნაკურთხი ბერი – დ. და ნ. ჩუბ.

სიტყვა **ანაფორა** ხშირად გამოიყენება საეკლესიო ლიტურგიაში როგორც ძირითადი ისე გადატ. მნიშვნელობით. **ანაფორა** 1. სამღვდლო ფართო სამოსელი, სინანულისა და მორჩილების სიმბოლური გამოსახულება. „ანაფორა“ მიუთითებს, რომ მისი მატარებელი ასრულებს უსისხლო მსხვერპლის აღვლენას. 2. უსისხლო მსხვერპლის (ე. ი. პურის და ღვინის) მომზადება ჟამისწირვისათვის. 3. „ანაფორა“ ეწოდება ზოგჯერ „დიდ ცას“ (დიდი დაფარნა), რომლითაც იბურება ბარძიმი და ფეშხუმი სამსხვერპლოდან საკურთხეველში საუფლო ძღვენის გადატანისას. 4. საიდუმლო ლოცვა, რომელიც იკითხება ჟამისწირვის დროს. მაგ.: ბასილი დიდის ანაფორა (ე. ი. ლოცვა, რომლის ავტორია ბასილი), იოანე ოქროპირის ანაფორა და სხვ. 5. „მრწამსის“ გალობის შემდეგ იწყება ევქარისტული კანონი, რომელიც ლიტურგიის ძირითადი ნაწილია, „ანაფორა“ წმ. ძღვენის ამალღება ტრაპეზიდან (ჰომილ. მელიქ.).

გამოიყოფა მისი შემდეგი ომონიმური ცალები.

ძვ. ქართ. **I. ანაფორაჲ** დიდი სეფისკვერი. „თანაშეწირულ იქმნას ჯსნისათჳს სულთა ჩუენთაჲსა სამი სეფისკუერი უდიდროვნესი, რომელსა *ანაფორაჲ* ეწოდების“ [პეტრ. ტიპ. 21, 9].

საშ. ქართ. **II. ანაფორა** (ბერძ.) სამღვდლოთ ზეიდამ საცმელი სახლებ-განიერი, პალეკარტი – დ. ჩუბ.

**ანაფორა** [ბერძ. anaphoro < anapherō ზევით აწევა, აღმართვა]

1. მღვდლის სამოსი, ფართო და გრძელი. მღვდელმა გადაიცვა *ანაფორა* და წამოვიდა დათიკოსაკენ (ილია). შავი *ანაფორა* ეცვა ხუცესს, თეთრი ოლარი ეკიდა მხრებზე (კ. გამს.). [წინაპარი] დამეებს ტეხავს და წიგნებს თარგმნის, *ანაფორის* ქვეშ ჯაჭვი აცვია (შ. ნიშნ.). 2. საღვთო ლიტურგიის ერთ-ერთი ცენტრალური ნაწილი – ღვინისა და პურის ზიარებისთვის კურთხევა.

ძვ. ქართ. **III. ანაფორაჲ** მოხსენება; თხოვნა. „და მისცეს მას მათ მიერ აღწერილი *ანაფორაჲ* პაპაჲს თანა შესასმენელად წმიდისა მის, დაბეჭდული ბეჭდითა ექსარხოსისაჲთა“ [Ier. = 179r, 16-18].

ძვ. ქართ. **IV. ანაფორა** [ბერძ. anaphora] პოეტური და ორატორული ხერხი – ერთისა და იმავე სიტყვის (წინადადების, ბგერის) გამეორება რამდენიმე ტაეპის (ფრაზის) დასაწყისში. მაგ.: „სიყვარული სულ გრძელ არს სიყვარულსა არა შურნ: სიყვარული არა განლაღნის“ (I კორ 13, 4).

**ანგალ-ი:**

ძვ. ქართ. **I. ანგალი** გველთევეზა.

ანგალი რ. ერისთავთან ახსნილია, როგორც ანგალი (ანგალი ლათ. ანგულილა – ფუმეს ხომ არ იმეორებს?) (ქერქაძე 1974, 201).

ახ. ქართ. **II. ანგალი** ლაზღანდარა მასხარა. ვიღაც *ანგალს* საკონტროლო ორმოსთვის ხუფი აეხადა (კ. გამს.). ხეხელა ჭიტუამ, სოფლის *ანგალმა* და ენაკვიმატმა დედაბერს ალერსიანი ხმით დაუძახა (ნ. შატ.). ეს *ანგლები*, ესა, – ბურტყუნებდა მღვდელმსახური, – რომ არ დაიშლიან! (ა. ჭუმბ. თარგმ.). ვამბობდი: «ცოდნას ვინ მომანიჭებს, ან რას შევიძენ ანგალ პირებთან?» (ი. გრიშ.).

სპარსულში არის ლექსიკური ერთეული [ანგალ] შემდეგი მნიშვნელობებით: 1. ბიოლ. პარაზიტი; მუქთამჭამელი; 2. საუბ. აზუზარი.

აშკარაა, რომ ქართული და სპარსული ანგალი ერთი და იგივე ლექსიკური ერთეულებია (ბართაია 2010, 16).

დიალექტ. **II. ანგალი** მომიჯნავე. ბინა ერთი აქ არი, მეორე იქ, აი ესენია *ანგლები* (ფარცხ. ქართლ. მენთ.). ანგალი < ამგალი.

**ამგალი** სამწყსო მეზობლად მდგარი (საბა).

შდრ. აგრეთვე დიალექტ. **ამგალი** მხოლოდ მრ-ად *ამგლები* მომიჯნავენი (თონ., დვალ., ლოლოვ.). აიქით ის იდგმება, მე აქეთ ვიდგები (გუთანია თუ ცხვარი), *ამგლები* ვიქნებით (მარაბ.). **მოანგლე** მეზობლად მყოფი მსგავსი მეურნეობა. ჩვენი *მოანგლე* იყო მთაში (ლოლოვ., ქართლ. მენთ.).

**ანგალა:**

საშ. ქართ. **I. ანგალა** ბეჭი – დ. ჩუბ.

ახ. ქართ. **ანგალა** საკლავის ნაწილი, მუხლიდან ბეჭის სახსრამდე, – მხარი უბეჭოდ – ქეგლ.

ახ. ქართ. **II. ანგალა** სპეც. ოქრომჭედლის იარაღი – ქეგლ.

ახ. ქართ. **III. ანგალა** კნინ. ლომინა... ცოტა ხანს სამადლობელ სიტყვას ეძებდა, რომ ვეღარ იპოვა, დათვის *ანგალა* თვალები ერთბაშად აუწრიალდა («ცისკ.»).

შდრ. *ანგალი* საუბ. ლაზღანდარა, მასხარა; ოხუნჯი, ანცი. ვამბობდი: «ცოდნას ვინ მომანიჭებს, ან რას შევიძენ *ანგალ* პირებთან?» (ი. გრიშ.).

ანგალა < ანგალი. შდრ. II. ანგალი.

**ანგარ-ი:**

საშ. ქართ. **I. ანგარი** „უსამართლოდ შემკრებელი“ საბა; შდრ. **ანგარი**, **ანგარი** უსამართლოდ შემძინებელი; ვეცხლის მოყვარე – დ. ჩუბ.

თავგებრ გაეზმის საბრჯესა, არ შეუძლია *ანგარი* (ქილ. 548, 21). თვალ-გულ ხარბი, *ანგარი*, მუცელი გაუძლომელი *ანგარსა* ბევრჯელ მოუვა ეს საქმე ამა წესადა (ვახტ. VI, 41, 59, 4). თუ ეგ გჭირდეს მარტო ოდენ,



*ანგარსა* და უსამართლოს (არჩ. 451, 124, 1). პირველად მითხარ ვერცხლის მოყვარებისათვის, თუ რად არს, და ანუ *ანგარებად* (კალმას. II, 527, 3). ვე-ჭვობ, ის იყოს ორგული, ვინც გახლავთ წინამძღომელი, თვალ-გული ხარბი, *ანგარი*, მუცელი გაუძღომელი (დ. გურამ. 200, 10, 4).

მომდინარეობს ძვ. ქართ. ანგაჰრი, ანგაჰარი ხარბი, გაუმაძღარი ფორმებიდან: ანგაჰარი: ვითა არიან ბუნებით მძლავრნი და *ანგაჰარნი* და ჯელოვანნი (პეტრ. ტიპ. 24, 2).

თავის მხრივ კი გამოთქმულია მოსაზრება, რომ ქართული ფორმა ანგაჰრება მომდინარეობს საშ. სპარსული სიტყვიდან (h)angārtan „თვლა, აღრიცხვა (ანდრონიკაშვილი 1966, 282).

ახ. ქართ. **ანგარი** ძვ. 1. ადამიანი, რომელიც პირადი სარგებლობის, გამორჩენის მიზნით მოქმედებს. 2. ასეთი ადამიანის შესაფერი, – გაუმაძღარი, ხარბი, ანგარიშიანი. კაცისა ხელმა *ანგარმა* მითც არ დაინდო იგია: მუხას მიუხდა ცულითა ვილაცა ერთი გიგია (ვაჟა). კეთილს ამბობდა, თუმცა გული *ანგარი* ედვა და მოსისხლე (ვ. ბარნ.).

ამავე შინაარსისაა **ჰანგარი** ძვ. ანგარი. მიქელი თვითონ იყო *ჰანგარი*, მექრთამე (ი. გოგებ.) – ქეგლ.

დიალექტ. **II. ანგარი** ეკლის ღობე, მცენარეთა საფარი (მ. ჩიქ.). **ანგარა** ეკალბარდიანი ნაპირი ყანისა (გურ. ჯაჯ.).

ს.-ქართვ. \*ა-გარ-ა „შემოღობილი ადგილი, სახლი, ბაკი“ > ქართ. აგარა || ანგარ-ი : ზან. ა(ნ)გვარა < აგორა < \*ოგორა (ჩუხუა 2000-2003).

**ანგარი** სამზარეულო ზან. (ლაზ. თანდ.). შდრ. ჰანგარ (თურქ.) ფარდული.

ამავე მკვლევრის აზრით ეს სიტყვა ქართველურიდანაა შესული ინდოევროპულ ენებში.

**III. ანგარი** [ფრანგ. hangar] სპეციალური ნაგებობა თვითმფრინავების სადგომად, დასაცავად და მიმდინარე რემონტის ჩასატარებლად.

დიალექტ. **IV. ანგარი** ამაღა; მხედრობა. სოლომან ბძენი მოდიოდა თავის *ანგარით* (სანახშირე, ზ.-იმერ. ძოწ.).

### ანდაზა:

საშ. ქართ. **I. ანდაზა** ანდერძი. ასრე დახვდენ ორნიც ძმანი, ვით მამისგან *ეანდაზა* (არჩ. 373, ქვ. 3).

დიალექტ. ეს რაჟიმ ძველ *ანდაზა* კი გამიგია-დ მერავ, მართალიმ რაიან ან ტყუილმ – ეს რაღაც ძველი გადმოცემა კი გამიგონია და არ ვიცი მართალია თუ ტყუილი (თუშ. ცოც.). შდრ. **ანდერძი**, **ანდერზი** «წიგნი» დანაბარები – აბულ. ეს ტერმინი სპარსულია და სპარულად „ანდარზ“, „ანდერზ“ რჩევას, განგებას, შევედრებასა და ანდერძსა ჰნიშნავს (ჯავახიშვილი VII, 277). იხ. II ანდაზა

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **II. ანდაზა** სპარ. მორფი, მაგალითი; იგავი, სიტყვის მასალა (საბა, დ. ნ. ჩუბ.).

**ანდაზა** დასრულებული სახის მოკლე გამონათქვამი (ჩვეულებრივ დამრიგებლობითი ხასიათის ბრძნული დასკვნის შემცველი).

იტყვიან ერთსა *ანდაზას*: ნემს-მახათს ნუ სცემ მჯიღებს (დ. გურ. 103, 288, 1).

ბევრი ნათქვამი რუსთაველისა მშვენიერ *ანდაზად* გადაიქცა (ი. გოგებ.). ნიკოსთვის... *ანდაზების* გახსენება ერთგვარი თამაშია (ო. ჭილ.). ზოგი *ანდაზაც* მაცდურია, წამაქეზები (ო. ჩხ.).

დიალექტ. **ანდაზა** 1. საერთო მნიშვნელობით: სუ *ანდაზებით* ლაპარაკომს (ჯავახ. ზედგ.).

**ანდაზა** ქართულში მომდინარეა სპარსული სიტყვიდან [ანდარზ], რომელიც „ქართულში დაახლოებით XI საუკუნიდან გვხვდება. „ანდაზას“ ქართულში გადმოჰყვა ყველა ძირითადი მნიშვნელობა, მაგრამ ჩვენში მან დამატებით შეიძინა „აღმზრდელობითი ხასიათის ალევორიული გამო-ნათქვამის შინაარსი...“ (შურღაია 1989, 117).

**ანდაზა** გრძელი ამბავი; თადარიგი; თავდაპირველი გეგმა; თარგი, ქარგა (ამბისა) ზან. (მეგრ. ქობ.).

საშ. ქართ. **III. ანდაზა** – სამოსელთა და საბუხართა და ხამლთა და რაოდენნი გამოიკვეთებიან ეგევითარნი (საბა).

რაც უცხოს სანახავს ვნახევედით, თითოს *ანდაზას* ავიღებდი (ხოსრ. 32, 10).

**ანდაზით** ზომით, ზომაზე, ზომიერად. *ანდაზით* აჭამეთ და ასვით (ქანან. 41, 27).

შდრ. სპარს. **ანდაზა** (სპ. ანდაზე ზომა, წესი) ზომა, საწყაო, სიდიდე; წყრთა, ადლი, ოდენობა.

დიალექტ. 1. **ანდაზა** თარგი (ტანისამოსისა, ფეხსაცმლისა). ეხლა რო ახალგარდები რიკრიკას ეტყვიან, რიკრიკას დაადებენ, შემოხაზამენ და გამოჭრიან, წინათი ვეტყოდით ჩვენა – *ანდაზა* (ხც.). ვინც კერვა იცოდა, ის გამოგვიჭრიდა *ანდაზასა* და იმითი ვკერამდით ხომე (ნაბახტ., ქართლ. მესხ.).

ამავე მნიშვნელობით გვხვდება *ანდუზიც* (ქვ. იმერ., მრეწ. ტ. III, ნაწ. I, 21).

2. **ანდაზა** 1. სახე, ორნამენტი. კინთადთ თენთენიებს ვქსოვდით, *ანდაზებს* გამოვყვანდით. 2. ნიმუში. რაც რომ მოგწონდეს და გედელეგ, *ანდაზა* ჰქვია (აჭარ. ნოლაიდ. X).

3. **ანდაზაი** (თუშ.) ყალიბი, კალაპოტი, ფორმა. მაგ., ბალკონის მოაჯირისათვის *ანდაზას* დაადებენ ფიცარს, გადახატავენ და ისე გამოსჭრიან (თუშ. ბოჭორ. 51, თუშ. მრეწ. 1, 161).

4. **ანდაზა**: დო ცოტა რო მოსქელდების, თითან *ანდაზა* აქ, თაის დრო აქ, ჩავაქრობავთ და დავლევით (ფერეიდ. ჩხუბ. 309).

5. **ანდაზა:** „პადოში“ რუსულია, ქართულად ლანჩა არის, თარგს *ანდაზს* ვეძახდით (ზ. ქართლ. მრეწ. III, I, 175).

დიდრონები... იმავე ფეხის *ანდაზეზე* იჭრება (ქიზ. მრეწ. III, II, 30).

საპირე იჭრება ჯერ, თუ ხმელია, დაენამავთ, გავჭიმავთ, რო გუდალი არ გამოვიდეს ფეხსამოსი. ქუდის სახმარ[ა] *ანდაზა* ანუ თარგი (ქიზ. მრეწ. ტ. III, ნაწ. I, 23).

6. **ანდაზა:** ფიცრის ნაჭერისაგან დამზადებული კუთხის საზომი ხელსაწყო, თარგი. „სახლი ქოშა“ *ანდაზაზე* თუ არ დაიჭირე, ბრუდეთ მოგივა (ჯავახ. ზედგ.).

**ანდაზები** – სალესი ტყავის გასაქნელათ (ქიზ. მრეწ. III, I, 29). ვკუწავთ *ანდაზებზე*; *ანდაზები* გაწყობილია კალაპოტზედ (ქიზ. მრეწ. III, I, 30). ვაჭრიდით ქალად *ანდაზებზე*; *ანდაზები* პირისა ცალკე იყო და ძირისა ცალკე (გ.-კახ. მრეწ. III, I, 58).

#### **ანტლია:**

ძვ. ქართ. **I. ანტლია** ტვირთი: „არს ნავი... ოდესმე *ანტლიასა* მისგან შინაგანისა დამძიმდების და დაინთქმის“ (მ. ცხ. 294v).

საშ. ქართ. **II. ანტლია** ბერძულად საყენებელი წყალთა – საბა, დ. ჩუბ.

ახ. ქართ. **ანტლია** გალაქტიკა. სფერული ჯუჯა გალაქტიკა *ანტლია* მზის სისტემას 4,6 მილიონი სინათლის წლითაა დაშორებული (გალაქტიკა).

#### **არაბ-ი:**

საშ. ქართ. **I. არაბი** (არაბ.) არაბეთის მკვიდრი, არაბის ტომი. აწ მერაბ ნათესავია არაბთა ჯელ-მწიფისანი (შჰნ. I, 1390,2). ერთმან *არაბმან* ერთი ცხენი მოიყვანა (საბა).

ახ. ქართ. **არაბი** საერთო ეთნიკური სახელი სემიტური მოდგმის ხალხებისა, რომლებიც ცხოვრობენ ჩრდილოეთ აფრიკაში, მცირე აზიაში და სხვაგან; არაბთა წარმომადგენელი. გავუძელით საბერძნეთს, რომსა, მონღოლებს, *არაბებს*, ოსმალ-თურქებს, სპარსელებს, რჯულიანსა და ურჯულოს, და დროშა ქართველობისა... ხელში შევირჩინეთ (ილია). დგახარ ქუჩის განაპირას, ვარდებს ჰყიდი... – ჩემო კარგო, *არაბი* ხარ? – იეზიდი (ანა).

საშ. ქართ., დიალექტ. **II. არაბი** არაბული ცხენი. არაბი ცხენი (შავი). ჩემს თეთრს თულუნს არვინ გაცვლის შენს შავს *არაბზეო* (დ. გურ. 121, 396, 4). ამათ ჰყამდათ *არაბი* ცხენი (ჯავახ. მარტ.).

ზან. **არაბი** შავის სინონიმი; არაბია არაბული ცხენი (მეგრ. ქობ.).

**III. არაბი** ბერიკვების წინამძღოლი, შემურული, მურით გაშავებული (მთიულ. მაკალ.) – ალ. ღლ.

ახ. ქართ. დიალექტ. **IV. არაბი** კუთხ. (რაჭ.) ვისაც ზედა ტუჩი დაბადებიდანვე გაჭრილი აქვს (ვ. ბერ.) (კურდღლის ტუჩი).

შდრ. ურიბი „მრუდად გაჭრილი“ – საბა. შდრ. wirāb „სიმრუდე“, „ალმაცერობა“, „არაპირდაპირობა“ (გიგინეიშვილი 2016). ვეჭვობ, რომ \*ირაბი / \*ურაბი > არაბი.

### არაკ-ი:

ძვ. ქართ. **I. არაკი** რაღაც საშენი მასალა: „ვითარცა-იგი ნაშენები ქვითა თლილითა და არაკითა განგებით აღშენებულ არნ“ (მ. სწ. 160, 4).

შდრ. სპ. არიკილ მინ. კაოლინი.

ძვ. ქართ. **II. არაკი** (ხალ.) ნედლი ცერცვი (საბა): „პოვა არაკი მცირე ნედლი გზასა ზედა“ (მ. ცხ. 108r). შდრ. (თურქ.) არაკა „ბარდის, მუხუდოს სახეობა“.

საშ. ქართ. **III. არაკი...** ანეგლოტი (თ. ბაგრატ.). არაკი სომხურად იგავს ჰქვიან (საბა). არაკი ზღაპარი, იგავი (დ. ჩუბ.).

**არაკი** სიყვარულისა არაკი ზღვისა მსგავსი, მისი ძირი და ნაპირი არა ჩანს (ვისრ. 270,17). და რომ მასმია, დამემართოს მე ნათქუამი არაკისა (შჰნ. I, 1545, 4). ერთი არაკი მასმია ბრძენთა ნათქუამი შორიო (შჰნ. I, 1546, 1). ესე არაკი მართალი ჩინს ქვასა ზედა სწერია (ვეფხ. 854, 1). (ლომისა ბოკუერ)... ესდენ დიდი და საზარელი შეიქმნა, რომელ არცა ველური, არცა შინაური გაზრდილი არცა-ვის უნახავს მისი არაკი (ქ. ცხ. II, 62, 2). აქ ცხადად ითქმის... მაზედან ქართლის არაკი, მტერთაგან გაბასრულისა (დ. გურამ. 88, 184, 3). არაკად თქმულა-შენს იქით კაცის ისარის კვრა ბუხუას ცემას დაადარეო! (საბა 34, 9).

ახ. ქართ. **არაკი 1.** ზღაპრული შინაარსის იგავი, იგავი, ზღაპარი. წუხელის აღარ დაგვადინა, გვიამბო ზღაპრები, არაკები (ვაჟა). ერთი პატარა წიგნი მომიტანა... „არაკი“ კი ჰქვია, მაგრამ, რაც შიგა სწერია, სრულებით მართალია (ნ. ლომ.). გადაგიშლი წიგნსა პატარას, მეც მოგიჯდები გვერდსაო; გასწავლი წერა-კითხვასა, არაკებს გეტყვი ბევრსაო (ხალხ.). 2. გადატ. ტყუილი, მოგონილი ამბავი. შენ ყური უგდე ჩემს ლაპარაკსა, მე მართალს გეტყვი, არ თუ არაკსა (დ. გურამ.). ისევ იმათ გადაუგდეთ, ვისაც კვებდით არაკებით (ი. ევდ.). || თქვა რუქამ არაკი საუბ. დაცინ. დიდი რამ „სიბრძნე“ კი თქვა [გამოთქმა წარმომდგარია საბას „სიბრძნე სიცრუისა“-ში რუქას მიერ მოთხრობილი არაკების მიხედვით] (ქეგლ).

დიალექტ. **არევი** მთ., ფშ. ზღაპარი (ა. შან.). **არეკაჲ** || **არიკაჲ** არაკი, ზღაპარი: „თებრომ იცის ბევრ არეკაჲებ, წედ, გაიმბობს“ – თებრომ იცის ბევრი ზღაპრები, წადი, გაიმბობს (თუშ. ცოც.).

**არაკი** ანდაზა. **საიარაკო** საარაკო, ანდაზად სათქმელი, არაჩვეულებრივი ამბავი: საიარაკო საქმეა (იმერ. ქავთ. III).

სვან. **არაკ** ამბავი, რომელიც სამაგალითო უნდა იყოს ყველასთვის (სვან. ლიპარტი.).

მეცნიერთა აზრით: შემოსულია სომხურიდან **არაკ** „იგავი“ (გიგინე-იშვილი 2016).

მ. ჩუხუას მიერ აღდგენილია ს.-ქართვ. \*არეკ-არაკი; ზღაპარი“. მისივე აზრით ქართველურ-აფაზურ-აბაზურ ძირ-ფუძეთა ერთიანი წარმომავლობა გამოირიცხავს ქართველურ ალომორფთა სომხურ წარმომავლობას, მით უფრო, მაშინ, როდესაც დადესტურ ენებში ლაპარაკის აღმნიშვნელი მონათესავე ზმნები დასტურდება (ჩუხუა 2017).

**არამ-ი:**

ძვ. ქართ. **I. არამი** (Արամ) არამეა, არამეელთა (სემიტური მოდგმის უძველესი ხალხის) ქვეყანა: „თავ *არამისა* დამასკე, და თავ დამასკისა რასენ“ (ეს. 7, 8) – ვ. დან. იხ. აგრეთვე არამეული და არამეისტიკა – ქეგლ.

საშ. ქართ. **II. არამი** (არაბ.) არა რჯულიერი, აკრძალული, აშლილი, შეუნდობელი, მავნებელი – დ. ჩუბ. *არამ* სიცოცხლე უშენოდ (ვეფხ. 1302,3). მე ეს მიყო საწუთრომან, ხან-გრძლად არვინ გათავდების, / *არამი* და ცრუ, მტყუანი-ყოვლსა კაცსა ემტერების (შჰნ. I, 2826, 3). მეტად უზომოდ *არამსა* ალაღში არა რევედესა (დ. გურ. 68, 46,3).

ახ. ქართ., დიალექტ. **არამი** 1. რაც არ ეკუთვნის, რაც არ შეერგება; რაც ამოშხამდება (საპირისპ. ალაღი). *არამი* იყოს იმისთანა მწყემსზე შენი ტყავი! (ვაჟა). 2. ის, ვისთვისაც რამე არმად მიაჩნიათ, – უპატიოსნო, უძღვები, უკუღმართი. ალაღი – *არამთ* საფარი (ანდაზა). 3. დარგ. ხის (ვაზის) ძირზე ამოსული ზედმეტი ყლორტი, – ბარტყი. მიწის პირად ვაზის ტანზე ხშირად „ბღალა“ ანუ „არამი“ ამოიყრის (ა. ლეკ.).

იხ. აგრეთვე დიალექტ.: არამი (ზ.-იმერ. მოწ., ქართლ. ლექსიკ., ხევს. ჭინჭ.) და სხვ.

დიალექტებში გვხვდება **ჰარამიც** (ინგ. ღამბ., ჩვენ. ფუტკ., ჯავახ. ბერ.).

**ჰერამი, ხერამი** (აჭარ. ნიჟ.).

დასტურდება აგრეთვე **არამ** – ფუძიანი ნაწარმოები სიტყვებიც როგორც სამწერლო ქართულში, ისე დიალექტებში. მაგ.: ნაარმი, ნაარმები, ნაარმალი, ნაარმევი – ქეგლ.

**არამა** ნახშირი, ფული ან სხვა რამ, რომელსაც ხუმრობით ხინკალში დებენ (მთ. კაიშ.).

არამი ხარბი ზან. (მეგრ. ქობ.).

საშ. ქართ. **III. არამი, არამხანა** (არაბ.-სპარს. Harāmchāne აკრძალული სახლი, საჯალაბო, ჯალაბის სადგომი სახლი – დ. ჩუბ. დიახ ბევრს ეცადა, რომ *არამხანის* კარზედ მისულიყო (შჰნ. III, 298, 30).

ახ. ქართ. ათასობით გზავნიდნენ სტამბოლში ტყვე ქალს ოსმალთა დიდკაცების *ჰარამხანების* დასამშვენებლად (უიარ.).

**არამხანა** საშუალო ქართულში გვხვდება მარტივი „არამ“ სიტყვის სახითაც, როგორც ჩანს მან იტვირთა მთლიანად კომპოზიტის შინაარსის გადმოცემა და მეტყველების ერთი კლასიდან მეორე კლასში გადავიდა.

შე უმგზავსო, შენ ვინა ხარო, რომ ჩემს არამში შემოსულხარ და ჩემს ტახტზე ზიხარო! (შჰნ. III, 308, 19). რომელიც უკეთესი მხევალი იყოს ჩემს არამში, გაიყვანე, ქალაქი დააროინე (რუსუდ. 521, 37).

შდრ. აგრეთვე დიალექტური **ჰერამ ოდა** (არაბ. +თ.) ძველებური სახლის ერთი იმ ოთახთაგანი, რომელშიდაც ცხოვრობს ცოლშვილის პატრონი ოჯახის წევრი; ამ ოთახს ოჯახის საერთო ჯალაბობის ან სტუმრისათვის ჩვეულებრივ არ იყენებენ (აჭარ. ნიჟ.).

### არაყ-ი:

საშ. ქართ. **I. არაყი** არაბულად ოფლს ჰქვიან, ვინადგან იგიცა ევაბი-სა ოფლი არს, ხოლო ქართულად არაყსა სახელად იყი ეწოდების – საბა.

ხანდისხან ცამ რომ ნამი გამოუშვას, ისე სურნელის არაყების ნამი მოვიდის (რუსუდ. 218, 30).

ამავე ძეგლში დასტურდება **არაყ-ფუძიანი კომპოზიტები: არაყბარი და არაყბარაყი**. სურნელოვანი მცენარის ნაყენი, არაყმერეული.

დედოფლის ავზი ბროლის ეშმისა იყო არაყბარით (რუსუდ. 219,16). ხან ზილფალა ჩამოევიდის უცხო ჭიქებითა, ხან არაყ-ბარაყი (რუსუდ. 218, 32).

ახ. ქართ., დიალექტ. **არაყი** მაგარი ალკოჰოლიანი სასმელი (გამოხდილი პურეულისა, ჭაჭისა თუ ხილისაგან). არაყით სავსე ჭიქას ხელი წამოავლო (შ. არაგვ.). ავი ენები იძახდნენ, სანთლის არაყმა გადაუწვა ხმაო (გ. დოჩ.).

დიალექტ. **II. არაყი: ოქროს არაყი** ოქროს ვარაყი. *ოქროს არაყი* ნაღები, ხანჯარი ნასევდიანი (ხევს. პოეზ. 347, ბ, 9) – ალ. ჭინჭ. შდრ. **ოქროს ვარაყი**: ოქროსა და ვერცხლის ვარაყი ათ ათი დირჰამი (იად. 572, 10).

არაყი < ვარაყი. **ვარაყი** [არაბ. ვარაკ «ფურცელი»] ლითონის (ოქროს, ვერცხლის...) თხელი ფენა, ნივთებზე გადაკრული შესამკობად- ქეგლ.

### არდ-ი:

საშ. ქართ. **I. არდი** კაჭაჭი – საბა. **I. არდი** შინაური ვარდკაჭაჭა – ნ. ჩუბ. აჭამე მხალთაგანი არდი და ხავარტი... (ფანასკ. 235, 2). **არდის წყალი, არდის ფურცელი** (ქანან.).

ახ. ქართ. **არდი** [Cichorium indivia] ვარდკაჭაჭას მსგავსი ერთ- ან ორწლოვანი ბოსტნეული მცენარე რთულყვავილოვანთა ოჯახისა; ფოთლებს იყენებენ სასალათედ. ახლა სხვა წამლები დაუნიშნა ახალმა აქიმმა: კიტრის თესლი და აყიროს თესლი, არდის თესლი და კატკატოს თესლი (კ. გამს.).

საშ. ქართ. **II. არდი** (სომხ.) ჟამი.

**არდიფრუ** ანაზდი, აწ (სომხ.) – საბა, ნ. ჩუბ.

**არე:**

არე: არე რომელსა ეწოდების ჰარე. ესე არს უქვემოესი ჰაერი ქვეყანისა მახლობელად, რომელსა თემთა ზედა სადამე **ჰაერ**-კეთილობასა და მამწენობასა იტყვიან და სადამე ჰაერ- მძიმობასა და უმაწნობასა – საბა.

საბა მიუთითებს: **არე** ესე ოთხნი დრონი არიან წელიწადთან: გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა და ზამთარი. რომელსა მსოფლიონი ჯგუფად სახელ-სდებენ.

**არე** (ბერძ.) ოთხი კუთხე ხმელეთისა, ან ოთხი დრო წელიწადისა, საკუთრად გაზაფხული (ნ. ჩუბ., თ. ბაგრატი.).

არე ბერძნ. ოთხი კუთხე ხმელეთისა ან ოთხი დრო წელიწადისა, საკუთრად გაზაფხული სანახები, გარემონი ადგილები თემი, მხარე – დ. ჩუბ.

ძვ. ქართ. **I. არე** „ყანა, ველი, ადგილი“. „ვიჰსნნეთ დღეს *არენი* და ვენაჰნი და ზეთისხილოვანნი“ (ო, ნეემია, 5, 11). „შეწვს *არღ*“ (ფიზ. 4, 9). „დაშთომილი მისგან განვიდის მით *არიით*“ (გრ. ნოს. კაც. აგებ. 170, 8). „შესაბამისად არეობა გარეთ ყოფნა, ღია ცის ქვეშ ყოფნა: „არას გუავენბდეს ჩუენ... ვიდრე-იგი ვიყვენით ჩუენ *არეობად*“ (M, I მფ. 25, 15).

საშ. ქართ. მას თურე *არესა* არა იყო (ამირან. 523, 5). სხვათ მზღვართა *არე* იარა (ვეფხ. 178, 2). ღამით შიშველ მთას მოვადექ შუა დადისტნის *არესა* (დ. გურამ.). ბნელი მოჰვინა ტფილისის არეს (ჰარეს) (ნ. ბარათ.). მივიდა მალვით იგი ყმა საჭვრეტლად მზისა *არესა* (ნ. ციც. 490, 467, 1).

დიალექტ. **არე** მხარე: ჩვენ *არესკენა* ფახირი არი, ათასში ხუთი გრამი (უ., შავშ.).

**არე** -კაცის ეზო-ყურე. აი ჩემი *არეო* (ფარცხ.) (ქართლ. მენთ.).

დასტურდება თანხმობანშეცვლილი ფუძეგაორკეცებული კომპოზიტიც. არე-არე; არე-მარე. **არე** გამოიყოფა რთულ სიტყვებში: არე-კარე, ყურე-მარე.

ახ. ქართ. ტერმ. **არე** მათემატიკაში, ევკლიდეს სივრცის ღია ბმული ქვესიმრავლე. ე. ი. ისეთი ქვესიმრავლე, რომელიც ყოველ თავის წერტილთან ერთად შეიცავს ამ წერტილის მომცველ რაიმე სფერულ მიდამოს და ყოველი ორი წერტილის შეერთება შეიძლება ამ სიმრავლეში მდებარე უწყვეტი წიროთ (ქსე).

ძვ. ქართ. **II. არე** «ზაფხული» დრო, სეზონი (ბერძ. ეარ): „შენ დაჰბადე ზაფხული და *არე*“ (მც. სჯ. 124, 25).

**არე** გაზაფხული: „დღეთა მათ *არისათა* ერთი იგი ბუნებად მათი აჩუენეს, რომელ არს სიცხზ“ (ბ. კეს. 111, 28). „ახლოს არნ ზაფხული, DE – ახლოს არნ *არღ*“ (C მთ. 24, 32). „ვითარცა ღრუბელი ცუარისად დღეთა *არისათა*“ (I ეს. 18, 4). „არა აქუს მას ჟამსა ნაყოფი *არესა* მას ზამთრისასა“ (მრთ. F 134r).

საშ. ქართ. **არე** გაზაფხულისა (ქ. ცხ. 302, 26). მოეწურა *არე* ზაფხულისა (ქ. ცხ. 303, 24). მეტის *არის* სიცხის ჭრტიალისაგან ფრინველთა ძვლიდამ ტვინის ნიჟი სდიოდა (ქილ. 267, 6).

დასტურდება **ეარი** ფორმაც ამავე მნიშვნელობით. „ხოლო მოიწია რა ეარი, წარავლინა მკედართმეყვანებელი იოავოს“ (ფლავ. 7: 6, 3).

მ. ჩუხუას აზრით ქართული **არე** ფორმის სტრუქტურულ-სემანტიკური შესატყვისი ორა (ჟან.) შეთვისებულია ლათინურ-იტალიკური ენების მიერ, შდრ. ora „ჟამი“ ზან. ორა მკვლევარი ადადგენს ს.-ქართვ. \*არ- „არე; ჩრდილიანი ადგილი; აჩრდილი; მზის სხივი“ > ქართ. არ-ილ-ი, არ-იელ-ი, არ-ე: ზან. ორ-ო, ორ-ა: სვან. ჰარ- < არ- (ჩუხუა 2000-2003).

ბ. გიგინეიშვილი კი ვარაუდობს, რომ შესაძლოა, ჰანური ორა ნა-სესხებია ბერძნულიდან (შდრ. ora, დროის მონაკვეთი, „წელიწადის დრო, „გაზაფხული“, რაზეც მიუთითა ნ. მარმა. ბერძნული ora ინდოევროპული ეტიმოლოგიის მქონე სიტყვაა და ჰანურიდან მის სესხებას ვერ ვივარაუდებთ, მეორე მხრივ, ძნელია ქართული **არე**-ს ახსნა, რომელსაც ზუსტად ის მნიშვნელობა აქვს, რაც ბერძნულ ფორმას და ჰანურს. ფონემურად არე ვერ გამოიყვანება ora-საგან, ვერც იმას დავუშვებთ, რომ ეს სიტყვა ნასესხებია ჰანურში, ქართულმა გადაიკეთა კანონზომიერ შესატყვისობათა დაცვით თავის ყალიბზე. ეს გამორიცხულია, ქართულ არესა და ჰანურ ორა-ს შორის ფონემურ-სემანტიკური კანონზომიერი დიფერენციაცია შემთხვევითი არაა (გიგინეიშვილი 2016).

### **არვე:**

საშ. ქართ. **I. არვე** ქარი (დ. ჩუბინაშვილის განმარტება, იხ. ხელნაწ. 1, 3723, გვერდის არშია). დამქროლო ნიაო, *არვედ ეარე!* (ზეს. 54, 2).

**არვე** < **არავი** ძვ. სამხრეთის თბილი ქარი – საბა, ქეგლ.

ძვ. ქართ. **II. არვე** // **არვეზი** «ცხოვარი», ფარა. „მროწეულითგან ანუ *არვისაგან*“ pb., – „სამროწლეთაგან ანუ ცხოვართაგან“ (G, ლევიტ. 22, 21). „თმად შენი ვითარცა *არვე* თხათად“ (O, ქება, 4,1).

საშ., ახ. ქართ. **არვე** ჯოგი, ფარა თხათა და ცხვართა – დ. ჩუბ. წარმოიღეს *არვე* დიდძალი (ქ. ცხ. IV, 617, 12). თხის *არვესავით* წინ გაიგდეს აზნაურები (ვ. გამს.). მინდორზე გამოვიდნენ, სადაც თხების *არვე* მისეოდა ბუჩქნარს და წიწკნიდა (გ. გეგემ.).

უფრო ძველი ფორმაა *არვეზი*, რომელიც დაუცავს ოშკურ ხელნაწერს ბიბლიისას იგავთა წიგნში: ცნობით იცნნე სული საწმყოდა შენისანი და მიჰსცე გული შენი *არვეზთა* შენთა (იგავ. 27, 23(O)). *არვეზ* ფორმის არსებობა კიდევ უფრო მეტ დამაჯერებლობას ჰმატებს მ. ანდრონიკაშვილის მოსაზრებას, რომელსაც იგი მიაჩნია ოსურიდან ნასესხებად (შდრ. ærwæz „ირმების ჯოგი“; ანდრონიკაშვილი 1966, 77; გიგინეიშვილი 2016).

### **არია:**

საშ. ქართ. **I. არია** ცთომილნი – საბა.

**არია** მარიხი, -კლანეტა მარსი (ბერძნული მითოლოგიის ომის ღმერთის სახელის მიხედვით).



ახ. ქართ. **II. არია** [იტალ. arie სიმღერა] მუს. ერთხმიანი ვოკალური ნაწარმოები აკომპანემენტით (ჩვეულებისამებრ – ოპერაში). კიაზოს არია ოპერა «დაისიდან». – ლენსკის არია ოპერა «ევგენი ონეგინიდან».

#### **არიელ-ი:**

ძვ. ქართ. **I. არიელი, არიილი:** (ებრ. ბერძნ.) ძირი, საფუძველი, სამსხვერპლო; საკურთხეველის ზემოთა ამაღლებული ნაწილი, საკუთრივ საკურთხეველი, საიდანაც იწყებოდა მსხვერპლის შეწირვის ცერემონიალი.

**არიელი (არიილი Ⴆ):** „წყრთითა ოთხ და არიელითგან (არიილითგან Ⴆ) ვიდრე ზემო რქათამდე წყრთა ერთ“ (ეზეკ. 43, 15-16) – თ. ცქიტ.

საშ. ქართ. **I. არიელი** არიის მკვიდრი. **არია** (ბერძ. არია) ძველი საბერძნეთის აღმოსავლეთი მხარე. თქვენ ინდოეთი, კვირინ-გუთეთი, / *არიელ-ფოტელ-გერგესეველი* (შავთ. 60, 1).

ახ. ქართ. **II. არიელი: არიელები** [სანსკ. arias] 1. ინდოირანულ ენებზე მოლაპარაკე ტომებისა და ხალხების (ინდოელების, ირანელების...) საერთო სახელწოდება. 2. საერთოდ, ინდოევროპული მოდემის ხალხი. «საიდან გაჩნდა ეს გერმანელი?» – ჰკითხა იქვე მდგომ ადიუტანტს და ფერწასულ *არიელს* მიუახლოვდა (კ. მუმლ.).

**III. არიელი** პლანეტა ურანოსის თანამგზავრი, აღმოაჩინა ინგლისელმა ასტრონომმა უ. ლასელმა 1851 წელს – ალ. ელერდ.

**IV. არიელი** (ებრ.) წყლის სული. საჰაერო სული, უდანაშაულოთა მცველი – ალ. ელერდ.

#### **არილ-ი:**

საშ. ქართ. **I. არილი** ძვ. «დასასვენებელი სიწმიდეთანი» (საბა).

საბას ლექსიკონში შესულია გვიანდელი **არიილ** იკითხვისის გამართივებული **არილი** და (ეზეკ. 43, 15-ზე მითითებით განმარტებულია, როგორც „დასასვენებელი სიწმიდეთანი“ (თხზ. IV, 68). ცხადია, „სიწმიდეთნი“ ნაგულისხმევია შესაწირი მსხვერპლი, საკურთხველზე მიტანილი (დანელია 1998, 139).

გადატ. არიილ («ლომი ღმრთისა») აღნიშნავს იერუსალიმსაც, როგორც ღმრთის ქალაქს (ჰარ – „ქალაქი“, ელ|ლი «ღმერთი», ი შემაერთებული ხმოვანი); „ვამ ქალაქსა არილსა, რომელსა დავით ებრძოლა“ (ეს. 29, 1). ასევე აღნიშნავს „ლომს ღმრთისასა“ ანუ ძლიერ, ღმრთისაგან დაცულ ქალაქს – იერუსალიმს, რომელიც მძიმე დღეში ჩავარდება: „რამეთუ ვაჭირვო *არიილსა* და იყოს ძალი მისი და სიმდიდრე ჩემდა“ (ეს. 29, 2M) (დანელია 1998, 138).

**‘არიელ || არიილ’** საკუთარი სახელიცაა. ვ. გეზენიუსით საკუთარი სახელი ასე დაიშლება: ლომი ღმრთისა (ცქიტოშვილი 1976, 294, სქ. 4).

ახ. ქართ. **II. არილი** „მზის შუქი, რამეზე დამდგარი» (ბ. გაბ.). ცთომილის სხივებს ზეთავი მთისა შეემოსათ უცხო *არილით* (კ. გამს. თარგმ.). წითელი მზე მოჩანდა, რომლის სხივთა *არილი* არანივთიერ მეწამულ სითხესავით შეშხეფებოდა ცის უსასრულო ტატნობს (გ. გეგემ.). ფიგურ. თვითონ ზამთარიც ბებრულ ნაოჭებს ისრესდა თოვლით და მზის *არილით* (შ. ნიშნ.).

დიალექტ. **არილი** სინათლის მკრთალი ანარეკლი. ტუტილის კიდურ ნისლი დგას, *არილს* გაიგდებს მზისასა (ხევს. პოეზ. 246, 1) – ალ. ჭინჭ.

**არილად** (მოხ.) ბუნდოვნად, გაურკვეველად. ამ კაცის სახე არილად მახსონო (ო. ქაჯ.).

არილი-სათვის მ. ჩუხუა აღადგენს ს.-ქართვე. \*არ- „არე; ჩრდილიანი ადგილი; აჩრდილი; მზის სხივი“ (ჩუხუა 2000-2003).

#### **არიფ-ი:**

**არიფი** საყვარელი, ფავრიტი – საბა. თ. ბაგრატიონის განმარტებით, „არიფი ეს არის ერთი მეორის აზრზედ მდგომი. არიფ – ესე იგი ნერიფ, არაბული სიტყვა არის, ნიშნავს მეგობრობაში, გინა ჭკვაში თანასწორებას და თანახმაობასა ნიშნავს, გინა ურთიერთის სიყვარულშია თანასწორებასა“ (წიგნნი ლექსიკონნი, 1979). **არიფი** (სპარს. პურის მტე, ან შესაკუთრებული შინაყმა) – დ. ჩუბ.

საშ. ქართ. **I. არიფი** ამხანაგი, ტოლი. უსენ *არიფი* მეფისა (ვეფხ. 1165, 2). მიწყვი მისი არიფი (ვისრ. 72, 5). ანუ ვით მკადრაო ჩემს გვერდით ჩემის *არიფის* მოკვლაო (რუსუდ. 205, 26). არა ვარ მისი *არიფი*, არც მისი მეომარია (შჰნ. III, 129, 1).

ახ. ქართ. **არიფი** ძვ. ტოლი, ამხანაგი, თანამოზიარე, თანამეინახე (სუფრაზე). ყაფლანი დიდხანს ცეკვავდა ცალფად და განგებ ეძებდა *არიფს* (რ. გვეტ.). ვეება კაკლის ხის ძირას ინებეს *არიფებმა* სუფრის გაშლა (ლ. ავალ.).

**არიფანა** (სპარს.) ყრმათა საერთოდ პურობა – დ. ჩუბ. **არიფანა** ბავშვებმა იციან, იქეიფებენ. დედ-მამა გაატანს საჭმელს (ლოლოვ.). *არიფანა* ქალების სუფრაა (ფარცხ.). *არიფანა* გავაკეთოთო, ვიქეიფოთო“ (მარაბ., ქართლ. მენთ.).

საბას მიერ განმარტებული „არიფი“ სპარსული გზით შემოსული არაბული სიტყვაა (იმედაძე 2014).

ახ. ქართ. **II. არიფი** 1. საუბ. გამოუცდელი, ხეპრე, ხალხში გამოუვლელი. ბადე წყლიდან ხშირად ცარიელი ამოდის და... *არიფ* მებადურებს... იმედი უცრუვდებათ (ა. ქუთათ.). ელგუჯამ იფიქრა, ალბათ ცუდად მაცვია და [გოგოს] *არიფი* ვგონივარო (რ. ჭეიშვ.).

2. მასწავლებლის დამხმარე; მოსწავლე. უნდა მომდინარეობდეს არაბული სიტყვისაგან ‘არიფ – „რწმუნებული“. მასწავლებლის დამხმარე. XIV-XV საუკუნეების სირიის ქლაქებში, ...უსტაბაშებს, ე. წ. „არიფებს“ ამტკიცებდა მუჰთასიბი (კუცია 1984, 86).

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში მოტანილი განმარტებანი ორი არაბული სიტყვის კონტამინაციას წარმოადგენს. 1. ‘არიფ – „რწმუნებული“. 2. ჰარიფი–ტოლი, ამხანაგი, თანამონაწილე. ორივე შემთხვევაში არაბული თავკიდური ჯდა ჯ ნასესხობებში იკარგება (იმედაძე 2014, 112).

**არმუჯ-ი:**

საშ. ქართ. **I. არმუჯი** უწყლო ტკბილი ღვინო – დ. ჩუბ.

ახ. ქართ. თუ გული გიძგერს დაჰკარ დაირას, რომ შევარწიო ტუჩთან *არმუჯი* (ი. მამულ.).

საშ. ქართ. **II. არმუჯი** ბალ. – საბა, დ. ჩუბ.

**არული-ი:**

საშ. ქართ. **I. არული:** ზამთრისა ჭირმა მიგურიდა, ლხინი მოგვეცა *არული!* (ქილ. 634, 22). იხ. II. არე.

ახ. ქართ. **II. არული** ძვ. ეთნ. 1. ხალხის წარმოდგენით: ავი სულების მიერ ანთებული ჭიაკოკონა და მის გარშემო ცეკვა–თამაში. ვაიმე, აყრილა ავი სული, ქაჯი. მავნე, მაცდური და *არული* გაუმართავთ (ო. იოს.). შვების პოეზია თანადთა გეზია, ვით ცოფი ფარული ეშმათა *არულის* (ზ. გამს.). 2. შემახილი ჭიაკოკონასთან ავი სულების დასაფრთხობად. თუ არ დავსძახე ავსულთ *არული*, ისე მერმისი რამ განანათლოს? (კ. კალ.). ღმერთო, შენ დაგვიფარე, *არული* კუდიანებს! (რ. ჯაფ.).

**არფა:**

საშ. ქართ. **I. არფა** Lapidium sativum. წიწმატი. და უყო აბიბალასანი და ძირი *არფასი* (ფანასკ. 35, 9, 2).

საშ. ქართ. **II. არფა** ჩანგი – თ. ბაგრატ.

ახ. ქართ. **არფა** [გერმ. Harfe < ლათ. harpa] უძველეს სიმებიანი საკრავი (ხის სამკუთხედ ჩარჩოზე ვერტიკალურად დაჭიმული სიმებით). მარინა...უკრავს *არფას* და ზედ დამღერის (ევ. გაბ.).

**III. არფა** (თურქ. arpa) ქერი ზან. (ლაზ. თანდ.).

**არქი-ი:**

საშ. ქართ. **I. არქი** ბერძულად მთავარი – საბა. შდრ. **არქეი** მთავარი. „პეროჟავრი დედოფალი ქართლისა ერისთავისა დედაჲ იყო *არქისი*“ (მოქც. 100, 17).

**არქი-** [ბერძ. Archē დასაწყისი; უფროსობა, ხელმძღვანელობა] – წიგნ. თავსართი სიტყვა, რომელიც აღნიშნავს უფროსობას ან რაიმე უმაღლეს ხარისხს. რაც მოცემულია სიტყვის ძირითად ნაწილში: არქიეპისკოპოსი, არქიმელიონერი, არქიპატრიოტი. **არქიერი**, არხიერი – დ. ჩუბ.

საშ. ქართ. **II. არქი:** „წისქვილის თოხი“ (საბა).

დიალექტ. **არქი** წისქვილის ღერძზე ჩამოცმული სქელი ბრტყელი რკინა, რომლის ფრთებიც ჩასმულია ზედა ქვის ჭრილებში, არქი ღერძთან ერთად ბრუნავს და აბრუნებს ზედა ქვასაც.

**არქი გამდის** ხმარობენ მაშინ, როცა უნდათ აღნიშნონ, რომ მათ თავიანთი გააქვთ, წარმატებას აღწევენ. მაგასთან გამდის *არქი* მე და სხვები-სა არ ვიცი“ (ჯავახ. ზედგ.).

აგრეთვე: არქი: (ზ.-იმერ. ძოწ., იმერ. წერეთ., ქართლ., სალარ., მესხ. ფეიქრ.), არქა (იმერ. გაჩ.); ალქე (გურ. ჟღ.).

ზან. **არქე / არქი** რკინის ღერძი, რომელზედაც ტრიალებს დოლაბი (მეგრ. ქობ.).

მეგრულად თოხს „ბერგი“ ეწოდება. „ბერგი“-საგან ნაწარმოები ნასახელარი ზმნაც არსებობს, „ბარგუა“, რომელიც თოხით მარგვლას ჰნიშნავს. „მაბარგალი“ მთოხნელს ეწოდება... როგორც „თოჰნა“ თოხისაგან არის ნაწარმოები, ისევე მეგრული „ბარგუა“ უნდა „ბერგ“-საგან იყოს ნაწარმოები. „ბარგუა“ თავისი „ბა“ მარცვლით უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ თოხს უნდა „ბარგიც“-ც რქმეოდა ოდესღაც. საფიქრებელია, რომ „ბარგის“-აგან უნდა იყოს წარმომდგარი, თავკიდური ბგერის ჩამოცილებით „წისქვილის თოხის“ აღმნიშვნელი ტერმინი **არქიც** (ჯავახიშვილი 1930, 212). მ. მაჭავარიანის აზრით **არქი** ნამდვილად მიღებულია ბარგისაგან, მაგრამ არა „თავკიდური ბგერის ჩამოცილებით“ (როგორც ამას ივ. ჯავახიშვილი ფიქრობს) არამედ ასე: \* ბარგი > \* ჰარგი > არქი (მაჭავარიანი 1989, 252).

### **არქატი-ი:**

დიალექტ. **I. არქატი** ფერმკრთალი. არა ჰყოფილხარ, მძავ, ბადრო / ვერი *არქატი* გქონია, დაჯე და ჰკერე ტყავები, სხვა ხელი არა გქონია. ამ სიტყვებით ამირანი მიმართავს ბადრის, რომელმაც უარი უთხრა დახმარებაზე გველემათან შებმის წინ. ივ. ქეშიკაშვილი შენიშნავს რომ ეს კონტექსტი თ. რაზიკაშვილის მიერ ფშავში ჩაწერილი „ამირანის“ ტექსტში გვხვდება და **ალქატის** მსგავსად საერთოდ უქონლობაზე მიუთითებს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ აქ უკვე ფერის არქონაზე, მხოლოდ სიფერმკრთალებზეა საუბარი (ქეშიკაშვილი 1969, 29). იხ. II. ალქატი.

დიალექტ. **II. არქატი** „უბარაქო, უხვოფა“ (გურ. ჯაჯ.). იხ. I. ალქატი.

ახ. ქართ. **III. არქატი** ქურუმი, სიდჰა, რომელსაც ჯერ არ დაუმთავრებია ცხოვრება და შესაბამისად, ბოლომდე არ მოსცილებია ამქვეყნიურს.

ვარდჰამან... უარი თქვა ყველანაირ ამქვეყნიურ საკუთრებაზე სამოსის ჩათვლით და ცხოვრობდა უკიდურესად ასკეტური მკაცრი წესების შესაბამისად. მან მოახერხა თავის გრძნობებისა და შეგრძნებების დაუფლება... ეს მისი სულიერი გზის ყველაზე ღირსშესანიშნავი წლები იყო, რომლის ბოლოსაც მან მიაღწია *არქატის* მდგომარეობას (ინდ. კულტ. 51). იხ. I. ალქატი.

**არღავან-ი:**

საშ. ქართ. **I. არღავანი** წითელი – საბა.

სამთავე ღაწვთა ალამნი *არღავნის* ფერად ალამნეს“ (ვეფხისტყ. 943, 3). მათის სისხლით *არღავანად* მინდორი შემიღებია (შპნ. II, 4083, 2).

„...და სისხლის ღვარი წავიდა, რომე კაცის მძორი მიჰქონდა, უნაოდ არ გაისვლებოდა და კლდე და მინდორი *არღავნის* ფერად იყო (რუსუდ., 290, 10).

ახ. ქართ. **II. არღავანი** (არაბ.-სპ.-თურ.) [*Cercis siliquastrum*] ძვ. წითელი ხე. ჭიჭიკო დაიღალა და ცოტა ხნით ბილიკის პირას მდგარ *არღავანის* ხეს მიეყრდნო, ატმიყვავილას (გ. გეგეშ.).

სპ. არღავანი, აქედან არაბიზირებული არჯავან-არღავნის, ანუ არჯავანის ხე. (თურქ.) არგუვან – იუდას ხე, ლამაზი ხე, რომელიც იასამნისფერ-წითელ ყვავილებს ისხამს (გვახარია 2008, 55). არაბულ ენაში arjavān 1. ძოწეული 2. ხის სახელი. Arjavānī – ძოწისფერი.

ახალ სპარსულში არგავანი წითელი, მეწამული, ძოწისფერი (რუხაძე, კაჭარავა 2014, 81-85).

**არშივ-ი:**

საშ. ქართ. **I. არშივი** ურჩი – დ. ჩუბ.

შდრ. სიმეოსინი ერთი მიხაელ მეფისაჲ პეწინაგისა *ჰარშივისათვის* (პეტრიწ. 35ა, 12). **მოჰარშივეობაჲ** შეძენა; მიტაცება: „უვნებელად დაშთენ ძნიად *მოჰარშივეობისა* და მომხუეჭელობისა ზრახვათაგან“ [A = 689 45r, 36-39b] – ზ. სარჯ.

დიალექტ. **არშივი** ურჩი, ჯიუტი, თავისნება. *არშივი* შვილის ყოლასა, სულ არ გყამდეს, ის ჯობია“. **არშივეობა** ურჩობა, ჯიუტობა. შვილი *არშივეობას* რო დაგიწყებს, რაღა უნდა ქნა!“ ჰო, მარა ეგ *არშივეობას* ვერ გამიბედამს (ჯავახ. ხედგ.).

ა. შანიძის აზრით „ჰარშივის“ მნიშვნელობა იგივე უნდა იყოს, რაც სომხურ ჰაშივისა რომელიც „ანგარიშს“ ნიშნავს (პეტრ. ტიპ.).

საშ. ქართ. **II. არშივი**: არშივი, ს. ორბელიანის ახსნის თანახმად, არის კერძი (BC) ან საჭმლის კერძი (Z) – საბა. **არშივი** წილი, კერძი – ნ. და დ. ჩუბ.

**არშივი** არჩივი, წილი, კერძი, სარგო: რადგან ის წვევიდა, მისი *არშივი* ალაგ-მამული შენთვის მოგვიცემია: (ქუთ. მუზ. საბ. №1488, 1805 წლ.).

**არშივი** (სპ. აშ) სახვრეპი (სახვრეტელი), საზრდო, საკვები, კერძი, შექამანდი.

მოართვეს მას ერთი კვერი, დიდი და საკვირველია; ვერა ვართ შენნი არშივნი, ვინ ხარ, სით მოხველ ხელია?! (შჰნ. II, 5084, 4). რა გამოჰსცვალა ჭურჭელნი, თვის-თვისი არშივი ჩვენთა სახლთა წარიღიან და სხვა მოიტანიან (პ. ლარ.).

**„შენი არშივი“** – ეტყვიან დასალოცად, ჭამის დროს ვისმე ხველა რომ უტყდება სასულეში ნამცეცის გადაცდენით (ეს უკანასკნელი თითქოს იმიტომ ხდება, რომ ვიღაცამ ლუკმა დაამაძლა) (იმერ. ქავთ. III).

დიალექტ. **III. არშივი** არამი, ფუჭი, ამაო. „არშივია ზოგითვის სიკეთე, გლახა მაინ არ დაგისწავლის“ (მთ.-რაჭ. რეხვ.).

დიალექტ. **IV. არშივი** არქივი. „ერზრუმის დათ თრაბზონის არშივებში ბელქიდა იქნება გურჯების ქითბები“ (იმ., ჩვენ. ფუტკ.).

#### **არხ-ი:**

საშ. ქართ. **I. არხი** ბერძულად მთავარი – თ. ბაგრატ. არხიდიაკონი ბერძ. მთავარდიაკონი; არხიპისკოპოსი ბერძ. მთავარ ეპისკოპოზი. იხ. I. არქი.

საშ. ქართ. **II. არხი** რუ, რუსხმული (დ. ჩუბ.). სახასოს მამულში არხის სათავეა ამოღებული (სამ. VIII, 604, ქვ. 4).

ახ. ქართ. **არხი** 1. წყლის სადენი საგანგებო თხრილი. ბევრგან ახლაც იპოვება გრძელი სარწყავი არხები (ი. გოგებ.). || წყალსაწრეტი თხრილი. [სოფელს] ირგვლივ... საწრეტი არხებით დასერილი სამოვრები და სათიბები არტყია (რ. ჯაფ.). 2. ზღვათა (ან მდინარეთა) შორის გაჭრილი თხრილი ამ ზღვების (ან მდინარეების) ერთმანეთთან დასაკავშირებლად. არხებს ზუსტად უნდა გაყვე, თორემ თავთხელზე დაჯდები (რ. ჩაჩან.). 3. ტექ. ჰაერის სადენი მილი. – ჰაერმომყვანი არხი. 4. ანატ. ცოცხალ ორგანიზმში – მილის მსგავსი სადინარი. ყურის არხი. 5. თხრილი, ახალშენი ვაზის ჩასაყრელად. ცარიელებში არხები გავჭრათ და ვენახები გავაშენოთ (დ. მაჩხ.). || იგივეა, რაც ბაგა<sup>3</sup>. ცარიელ ადგილში ახლო-ახლო არხებსა ჰყრიან და სამ-ოთხ წელიწადში ვენახად აქცევენ ხოლმე (დ. მაჩხ.). 6. გადატ. გზა, საშუალება. დიპლომატიური არხები.

დიალექტ. გარდა „არხისა“, ამავე მნიშვნელობით გვხვდება ხარღი // ჰარღი (აჭარ. სურმ. 1979, 28). არხი შემოსული ჩანს თურქულიდან არა უადრეს XVIII საუკუნისა (გიგინეიშვილი 2016).

#### **არჯალ-ი:**

ახ. ქართ., დიალექტ. **I. არჯალი** / **აჯალი** (არაბ.): „ბოლო დღე სიცოცხლის“. **არჯალი მოუვა** აღსასრულის დღე დაუდგება. წამალი დავალევიწე, მაგრამ კაცს რომ არჯალი მოუვა, მაშინ ყველაფერი ტყუილია! (ა. ერ.-ხოშტ.).

**არჯალი შეეყარა, არჯალი მოუვიდა** მოკვდა (ქართლ. მენტ). რა არჯალი აწვალამს ამ სამგლე ძროხას (ჯავახ. ბერ.). *არჯალი შეეყარა, არჯალი მოუვიდა* მოკვდა (ქართლ. მენტ).

არაბულსა და სპარსულ ენებში არის ლექსემა [aǧal]. მისი მნიშვნელობებია: 1. დროის მონაკვეთი; 2. საზღვარი, ვადა; 3. დასასრული, სიკვდილი, საიდანაც მომდინარე ჩანს ქართული არჯალი. [aǧal]-იდან არჯალ-ის მიღება (აჯალ > არჯალ) კანონზომიერი ფონეტიკური მოვლენაა – ხშული ჯ-ს წინ მოხდა ვიზრანტ რ-ს განვითარება. ეს პოლისემანტი სიტყვა ქართულში მონოსემანტად არის გადმოსული (ბართაია 2010).

სამ., ქართ. **II. არჯალი** საძაგელი „ურცხვად ანჩხლი!“ (საბა). ნუმცა შენი არჯალი პირი და უბედური (ვისრ. 88, 23). და ზააქის უსამართლეობასა ქვეყანასაგან გასწმენდს, არჯალსა და წარმართსა მისა თავსა ვეშაპიანსა საწუთროშიგან გააქარვებს (შჰნ. II, 384, 5).

ახ. ქართ. **არჯალი** ავი, კაპასი. არც [ბესოს ცოლი] არის გულზე დასახატი, არჯალია, არჯალი (კ. კობ.). *არჯალი* რძალი შუბლშეკრული შეხვდა მაზლს (რ. ჯაფ.).

დიალექტ. გადატ. **არჯალი** ადამიანი საშინლად ავი, ანჩხლი. „ვერ გადავრჩი მაგ არჯალს“. „არჯალ კაც არ' ნა ელაპარაკო (ჯავახ. ზედგ.). 2. გალანძღული. რა მინდა მაგასთან, არჯალი ქალია, შერცხვენილი (შომახეთი, ზ.-იმერ. მოწ.).

**არქალი: გულ-არჯალი** ფშ. ავი, ბრაზიანი. ბოზო, რას მზობ, დიაცო, არჯალო აუგიანო? უწყლო, უღარო წისქვილი მთაში ვის აუგიანო? (მერკ. 13) – ა. შან.

დიალექტ. **III. არჯალი** 1. არჯანი, მაგარი, გამძლე, ჯანმრთელი. *არჯალი* კაცი ვარ (ქორეთი). *არჯალი* კაცია ბაბუა (შომახეთი, ზ.-იმერ. მოწ.). შდრ. არაჯანი საუკეთესო, ჩინებული, გამორჩეული, წარჩინებული (სპარსული არჯუმად) ფიცხლა გაგზანეს ფაიქი, ცქვიტი და *არაჯანია* (შჰნ. III, 620, 4).

#### ას-ო:

ძვ. ქართ. **I. ასი** ათჯერ ათი, ხუთმეოცი – საბა. ასი 100: „რომელსა თანა-ედვა მისი ასი დრაჰკანი“ (მთ. 18, 28). „ას წლის სადამე იყო“ (ჰრომ. 4, 19). „უკუეთუ ასისა წლისასა ესუას“ (ო, დაბ. 17, 17).

ახ. ქართ. – **ასი** რიცხვი 100, – ათჯერ ათი. *ას* ლიტრა რკინას დავდე-ჭავ კევივითა და ყლაპს ვუზამ (ხალხ.). კაცმა რომ შემომხედოს, *ასი* წლისა ვეგონები (ილია). ხუთ წუთსაც არ გაველო, *ასამდე* ქალსა და ბერიკაცს მოუძლოდნენ წინ (კ. კობ.). || ელიფს. **ასი კაცი** (სული). *ასი* ათასსა აჯობებს, თუ გამორჩევით მქნელია (ხალხ.). *ასნი* რად უნდა დედასა, ერთი სჯობ დაღურბლებული (ხალხ.) – ქეგლ ახ. რედ.

ს.-ქართვ. აღდგენილია \*ას – არქეტიპი (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

საშ. ქართ. **II. ასო** – *Myrtus communis* – მვირსინი. ამისი წამალი: მატყლი, *ას[ი]იყოს* (ფანასკ. 261, 36).

**III. ასო** [ფრანგ. *as tuzi*] – 1. სახელგანთქმული მფრინავ-გამანადგურებელი, საჰაერო ბრძოლის ოსტატი, რომელმაც გარკვეული რაოდენობის მტრის თვითმფრინავები ჩამოყარა. 2. საუკეთესო (ექსტრაკლასის) სპორტმენზედაც იტყვიან – მ. ჭაბ.

**IV. ტერმინი ასო** 1. (ლათ.) სპილენძისაგან ჩამოსხმული რომაული მონეტა (წონა 272, 88გ) მონეტის შუბლზე გამოსახულია იანუსი, ზურგზე – გემის ცხვირი (ქსე).

### ასაკ-ი:

ძვ. ქართ. **I. ასაკი/ჰასაკი** ძალა: „გიორგი მოუწოდა ვისმე ჭაბუკსა *ასაკითა*, რომელ არს ძალითა“ (ზარზმ. 328, 6) – ზ. სარჯ.

საშ. ქართ. **ასაკი** ტანი. სად არი შენი საროს უმაღლე თავი და *ასაკი* ტანი? (რუსუდ. 146, 34).

**ასაკი** ტანადობა. ტანადი იყო სახითა შვენიერი და *ასაკითა* სრული (რუსუდ. 322, 8). დაიბადა მთვარისაგან საწუთროსა მჭირავი ვაჟი, *ასაკითა* სრული (შპნ. II, 414, 22). იყო კაცი *ასაკით* შუენიერი (ქ. ცხ. I, 33, 13).

რა ესენი ნახა ყარმან მეფემან, თავად მათსა შვენებასა და *ასაკოვნობასა* გაჰკვირდა (რუსუდ. 398, 35).

ძვ., საშ. ქართ. **II. ასაკი** წლოვანება, ხანი. ყუავილონებაჲ იგი სიჭაბუკისაჲ შეურაცხ-ყვეს და უფრომს მამა-დედათა და შვილთა უფალი შეიყუარეს და ამას ოდენ *ჰასაკსა* ცხორებისასა ზედა დადგეს (სინ. მრ. 123, 15). რათგან ვარდი ამას იტყვის უსულო და *უასაკო* (ვეფხ. 879, 1).

შვენებითა სრული და *ასაკითა* მცირე (რუსუდ. 12, 9). რა იგი ჩჩვილი *ასაკით* აღმორჩდა, ახევდა (დ. გურ. 73, 81, 1).

ახ. ქართ. **ასაკი** 1. წელთა რაოდენობა, ათვლილი დაბადებიდან. უნივერსიტეტი 22 წლის ასაკში დავამთავრე. 2. ადამიანის სიცოცხლის ეს თუ ის ხანი, პერიოდი. თითოეულს ცალკე ადამიანს თავისი *ასაკი* აქვს: ბავშვობა, ყრმობა, ჭაბუკობა, ვაჟკაცობა და ბოლოს სიბერე (ილია).

სიტყვა შემოსულია სომხურიდან, სადაც მას იგივე ფონემური სახე და მნიშვნელობა აქვს (*hasak* ხანი, ხნოვანება). რაც ძველ ქართულში ჰქონდა მნიშვნელობის განვითარება ასე გვესახება „მოზრდილობა ანუ სიდიდე (ტანის ან წლოვანების) > წლოვანების სიდიდე. თვით სომხურში ეს სიტყვა გაურკვეველი წარმომავლობისაა. მ. ანდრონიკაშვილი ფიქრობს, რომ იგი უნდა იყოს საშუალო ირანული \**hasak*, რომელიც თვით ირანულში დაიკარგა და ქართულსა და სომხურში შემოგვრჩა (ანდრონიკაშვილი 1966, 278; გიგინეიშვილი 2016).

**ასაკი / ჰასაკი** < პართ. *ასა*, *სა* მსგავსი (ო. კახიძე).

ვფიქრობთ, რომ **ასაკი**-ს ომონიმური ცალები სხვადასხვა გზებით დამკვიდრდა ქართულში.



**ასალო-ი:**

საშ. ქართ. **I. ასალო** (იმერ.) ყაჯარი – დ. ჩუბ. *აბაიებ-ასალებზე* ევლო ხალასი მილია (შპნ. I, 198, 3). *ასალო* მარგალიტისა აღმასის ყუთაზიანად (ფემ. 983, 3).

ფეოდალურ საქართველოში გავრცელებული იყო ოქრომკედით ნაქარგი და ოქროს ან ვერცხლის კილიტებით, კოპლებით, ბურთულებით, ზოგჯერ კი ძვირფასი თვლებით შემკული ასალო – ქსე.

დიალექტ. **ასალო (ან ასლო)** ცხენის ჩული ძვირფასი ფარჩეულისაგან. ასალო ფოჩიანი ქეჩა სედლოს ქვეშ დასაგებია (გურ. ჟღ.).

**ასალო** || **ასანი** უნაგირქვეშ დასაფენი ქსოვილი, რომელიც გადაყვლეფისაგან იცავს ცხენის ზურგს, საბურველი საქალო უნაგირისთვის, რომელსაც ამხედრებული ქალი დაუფარებდა ხოლმე; ქალის მხედრულ კაბაზეც იტყვიან; სიმაღლეში წასასვლელი ადგილი; ასავალი, ასასვლელი, ცხენზე ასამხედრებელი ზან. (მეგრ. ქობ.).

ს.-ქართვ. \*ა-სალო-ა- < „ქეჩა, ჩოხა, პერანგი“ (ჩუხუა 2000-2003).

საშ. ქართ. **II. ასალო:** და ნიადაგ *ასალოთა* ან პირსა წაიგდებინოს (ფანასკ. 257, 15). შდრ. **ისალო** „სისხლის ყვანა“ (ფანასკ. 255, 9).

**ასლო-ი:**

ასლო მცენ. ასლო (არაბ.) ზედ. ნამდვილი – დ. ჩუბ.

ძვ. ქართ. **I. ასლო** მარცვლეული (ბრინჯი). **ასლო** არს მსგავსი პურის მარცვალთა (თ. ბაგრატ.).

და შენ მოილე თავისა შენისა იფქლი და ქრთილი და ცერცვ და ოსპნი და ფეტვ და *ასლო* (ეზეკ. 4, 9). ხოლო იფქლი და *ასლო* არა იგუემა (სეტყვთა) (გამ. 9, 32) – კ. დან.

საშ. ქართ. მხვენელმა უთხრა (მეაქლემეს) *ასლოს* ვთესაო (საბა). ფეტუისა და ასლისა გუნება ერთია (ფანასკ. 431, 1).

ახ. ქართ. **ასლო** [*Triticum dicoccum*] კილიანი ხორბალი; კორკოტი ვჭამე *ასლოსა*, დრო არის ჩემი წასვლისა (ხალხ.). ამ მიწებში ეთესა...ლობიო, დიკა, *ასლო*...(ნ. ლომ.). *ასლომა* კაი ხალიფაფაგ იცოდა, სახაჭაპურედ ხომ მას ვერც ერთი ხორბალი ვერ შეედრებოდა (ნ. კეცხ.).

დიალექტ. ასლო დასტურდება (ქიზ. მენტ., აჭარ. ნიჟ., ალგ. სალ., ფშ. ხორნ., ფშ. მრეწ. IV, II, 184., ქიზ. მრეწ. IV, II, 158., ჯავახ. ზედგ.).

ივ. ჯავახიშვილს ასლო, ისე როგორც იფქლი და დიკა, ქართულ სიტყვად მიაჩნია; „არც ერთ სხვა ენაში ხორბლეულის ამ ჯიშს ასეთი სახელი არ ეწოდება და ამის გამო ეს ტერმინი, ნამდვილ ქართულ სიტყვად უნდა ვიცნათ (ჯავახიშვილი 1930, 338; კახაძე 1987, 35, 36).

საშ. ქართ. **II. ასლო** სხვადასხვა სახის იარაღი (არაბულ-სპარსული ასლაჰე). მოასხეს ოთხასი დარჩეული ტაიჭი ოქროთა აკაზმულითა უნაგირთა და ჩარყაფისა *ასლოთა* და აბაითა დაკაზმული (შპნ. III, 243, 43). იხ. I. ასალო.

ახ. ქართ. **III. ასლი** (არ. ასილ || ასლი) **ასლი** ძვ. დედანი, ორიგინალი; ნამდვილი. *ასლი* საომარი მოედანი კია ბანკი (ილია). 2. ზმნს. სწორედ, ნამდვილად. ეგ ქალი *ასლი* საშენოა! (ა. ერ.-ხოშტ.). 3. პირი (დედნისა), – ნუსხა. საჩივრის *ასლი*... სიმონას მუდამ თან ჰქონდა (დ. კლდ.). 4. ძალიან მსგავსი, ზედგამოჭრილი, პირწავარდნილი. ყმაწვილი პირწავარდნილი დედა იყო, ცაგოს ნამდვილი *ასლი* (გ. აბაშ.). ◊ **ასლი და კვალი** ინდ. იგივეა რაც ასლი (მნიშვ. 4). ბიჭიკო შესახედავად *ასლი და კვალი* მამა იყო (ო. კუპრ.).

დიალექტ. **ასლი აბრეშუმი** – „ასლი აბრეშუმი ყაჭის პარკია“ (აჭარ. ნოლაიდ. X).

იხ. აგრეთვე: (ჩვენ. ფუტკ., ხევს. ჭინჭ., ქიზ. მენთ., აჭარ. ნიჟ., გურ. შარაშ.).

მკვლევართა აზრით: 1. **ასლი** არაბულ-სპარსული ლექსემა – ასლ (ბართაია 2010, 143). 2. **ასლი**-ს კავშირი არაბულ ასლ-თან (ძირი, ფესვი, ორიგინალი) საეჭვოა (გიგინეიშვილი 2016).

#### **ასპიდ-ი:**

ძვ. ქართ. **I. ასპიდი** ἄσπις გველი: „და ყრმამან ჩჩვლმან ჯურელსა *ასპიდის* საჯელი დასდევს“ (ეს. 11, 8). – კ. დან. „და თქუა: *ასპიდს* და იქედნესა ზედა ხვდოდი“ (მ. ცხ. 62, 37). „გამოჯდენ ნაშობნი *ასპიდთანი*“ (ო, ეს. 14, 2).

ახ. ქართ. გადატ. ბოროტი, ავი. „სამაგელო, *ასპიდო*“... შენ ჩაყლაპე ჩემი გული (ა. ყაზბ. IV, 405, 36).

ძვ. ქართ. **II. ასპიდი** ფარი: „ნაწლევენი მისნი – *ასპიდნი* რვალისანი“ (ო, იობ. 41, 6) – კ. დან. „ფარი *ასპიდი* რვალისად შორის ბეჭთა მისთა“ (I მეფ. 17, 6).

ახ. ქართ. **III. ასპიდი** (ბერძ. iaspis (iaspidos) შერეული მინერალი, შავი ფიქალი, რომლისაგანაც ამზადებენ გრიფელით საწერ პატარა დაფას (ფიცარს).

*ასპიდის* ფიცრით, წიგნებით მიდიან სკოლის კარსაო (ი. დავით.). კეთილშობილი *ასპიდის* სახურავი შეეცვალათ უზადრუკ თუნუქზე (გ. ქიქ. თარგმ.). *ასპიდივით* ჩაშავებული ფანჯრის იქით არაფერი ჩანდა (ს. დემურხ.).

#### **ასპიტ-ი:**

ძვ. ქართ. **I. ასპიტი**, იხ. I. ასპიდი. „კუერცხნი *ასპიტთანი* განტეხნეს“ (I, ეს. 59, 5). „მე უწყვი, რამეთუ *ასპიტნიცა* ნელითა სიტყვთა დაიმწყსიან“ (სინ. მრ. 214, 14). „რამსათვს ისმენტ ამას ყოველსა და დაიყოფთ სასმენელთა თქუენთა, ვითარცა *ასპიტნი*“ (მ. სწ. 269, 23). „გულის წყრომად მათი მსგავს არს გუელისა ვითარცა *ასპიტსა* და იქედნისა ყრუისა, რომლისანი დაყოფილ არიედ ყურნი მისნი“ (ფსალმ. 57, 5). „მოსრნეს გუელნიცა

იგი ნაშობნი *ასპიტანი*“ (აპოკრ. 4, 30). „და იყო ადგილი იგი მეყსეულად სავსე საცთურებითა, გუელებითა, *ასპიტებითა*“ (მ. ცხ. 15, 15).

საშ. ქართ. **ასპიტი** (ბერძნ.) გველი ფრიად გესლიანი ჯარბი (დ. ჩუბ.).

**ასპიტი** გველი ფრიად სასტიკი (თ. ბაგრატი.).

გარდაემოეცემოდა გესლი *ასპიტისა* ბაგეთაგან მისთა (ქ. ცხ., II, 451, 4). ვითა *ასპიტი* მჭვრეტელთა მისთა თვალითა მლაღავი (ვეფხ. 1231, 4). ძალ-გულად მქნეო, სვე-ბედით ქვეო, *ასპიტ-ცემულ-ჰყოფ* მტერთა, ახოვ-ნად მყის მოამდოვრებ (აბდულ., 57, 3).

მაშინ დამოყვრდნენ ყოველნი მტერნი,... კაც, *ასპიტნი*, გველნი, ცხვარნი, თხა და მგელნი (დ. გურამ. 293, 543, 3). ენას აქვს გესლი ბოროტი, უმწარე *ასპიტისაგან* (არჩ. 468, ქვ. 5). იგ ზარიანობს ჩვენზედა, ვითა *ასპიტი* გველია (შჰნ. II, 4433, 2). იგი *ასპიტი* გველი გაუწყრა: რას იკითხავ, ვინც უნდა იყოსო! (რუსუდ. 549, 9).

ახ. ქართ. **ასპიტი** [ბერძ. aspis (aspidos)] [Vipera aspis] 1. ერთგვარი შხამიანი გველი. იქ, სადაც იქედნე, *ასპიტი*... ბუდობენ,... უბრალო გველ-ბაყაყს ვინლა მიაქცევს ყურადღებას? (აკაკი). 2. გადატ. ავი, ბოროტი (ადამიანი). დაჩუმდი, შე *ასპიტო!* (ა. ცაგარ.). ასეთი ანჩხლი და *ასპიტი* ხდებოდა, როცა ამღვრეული თვალებით მიეჭრებოდა ქვეყნიერებას (ნ. სამად.). ფი-გურ. ზუოდა კარი, *ასპიტი* ქარი (ო. ჩხ.).

დიალექტ. იყო ქვა სიპი, იჯდა გველი *ასპიტი* (ფშ. ბოდ., 96). გადატ. ბოროტი, ავი. *ასპიტი* ავი, ცუდი ხასიათის ქალია (ჯავახ. ბერ.). ცოლი ყამდა ძრიან *ასპიტი* (ჯავახ. მარტ.). **ასპიტი** ავი, არსზი, უმეტესად ბავშვზე ან ქალზე იტყვიან. „ისრეთი *ასპიტა*, ეგ გასაწყობი, რო ცხენიდან კაც ჩამოიდებს“ (ჯავახ. ზედგ.).

საშ. ქართ. **II. ასპიტი**: *ასპიტის ქვა* ჭრელი ქვაა ერთგვარი – საბა.

**ასპიტი**, შავი ქუა ფილაქანი, დარქმეული იაშმისა ან იასპის ფერისაგან – ნ. ჩუბ. იხ. III. ასპიდი.

ახ. ქართ. **ასპიტი** პიტალო, სალი, მიუკარებელი, – ასპიდი (კლდეს) სალსა, *ასპიტსა*, დიდრონსა ფერფლიც კი არა სცვიოდა (ვაჟა) – ალ. ჭინჭ. შდრ. III. ასპიდი.

**ასულ-ი:**

ძვ., საშ., ახ. ქართ. **I. ასული** ქალიშვილი: „*ასული* ჩემი აწდა მოკუდა“ (მთ. 9, 18). „არა მისცნენ *ასულნი* მათნი ძეთა მათთა და არცა მოჰგუარნენ *ასულნი* იგი მათნი ძეთა თვსთა“ (ო, ნეემია 13, 25). „ერთი *ასული* ესუა“ (შუშ. I, 34).

უფალმან თვისად მიზიდა, ყრმა იყო, გინა *ასული* (არჩ. 478, 245, 4).

**ასული** 1. ადამიანის შვილი მდედრობითი სქესისა, – ქალიშვილი, გოგო. შეკრთა წერეთლის *ასული* (აკაკი). ბაგრატი მეოთხის მცირეწლოვანი *ასული*... თავის ტიკინებთანად მიიყვანეს ბუკლეონის სასახლეში (კ. გამს.).

ფიგურ. ნაზიბროლა სახელია, სამეგრელოს ასულია (აკაკი). 2. აუცილებელი ელემენტი ქალის მამის სახელით მოხსენიების დროს. თამარ პეტრეს *ასული* გელაშვილი.

**\*ასულ-** არქეტიპი აღდგება საერთო-ქართველური ფუძე-ენის დონეზე (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

საშ. ქართ. **II. ასული** აწეული, აყვანილი (ასვლა) – დ. ჩუბ.

ბრძენი ხამს მისად მაქებრად და ენა ბევრად *ასული* (ვეფხ. 33, 4).

**ასული** აზრდილი, ამართული. ათინას აღზრდილს აქებდეთ აღვად ავნორჩად *ასულსა* (ბეს. 96, 1).

ცოდვისგან უფრო მადლისას ხარისხისა ზედან *ასული* (არჩ. 478, 245, 2).

ახ. ქართ. **ასული** 1. ქვემოდან ზემოთ სვლით გადაადგილებული. სასაფლაოზე *ასულმა* ბიჭებმა ხმელ-ხმელი წკირები მოამტვრიეს (რ. ინან., ნ. ლომ.). 2. გადატ. უფრო მაღალ დონეს მიღწეული. განვითარების უმაღლეს საფეხურამდე ასული ტექნიკა და მეცნიერება. ◊ **ტახტზე ასული** გამეფებული. ფიგურ. *ტახტზე ასული* ფარისევლობა სისხლით და ცრემლით შავ პირს იბანდა (აკაკი).

**ასული** ასვლა ზმნის მიმღებური ფორმაა.

### ატლას-ი:

საშ. ქართ. **I. ატლასი** (არაბ.) აბრეშუმის ნაქსოვი – საბა; დ., ნ. ჩუბ. სხვა სტავრა, სხვა *ატლასია* (ვეფხ. 471, 1). მოითხოვს, მკვევალთა კეკლუცთა... ოქროისა სარტყლითა და *ატლას-ოქსინოითა* მოსილსა (ვისრ. 39, 19). მოაღებინა ბერძული ძვირფასისა *ატლასები* (შპნ. II, 388, 9). შავი *ატლასი* ჩაიცვა, მარგალიტითა ნაკერი (ნ. ციც. 433, 150, 2). მკერვლის ნემსმა *ატლასში* გაიაროს (შპნ. III, 325, 12).

ახ. ქართ. **ატლასი** აბრეშუმის პრიალა ქსოვილი. იერემიას ეცვა წითელი *ატლასის* ახალუხი, სირმით გაწყობილი (გ. წერეთ.). [თოჯინებს] ზემოდან ეფარათ... *ატლასის* საბანი (რ. ინან.). მკლავზე შავი *ატლასის* ბაფთა ეკეთა (ჭ. ამირეჯ.).

დიალექტ. ქალის ჩაფკანსაც ჰქონდა ყოშები უკან, წელზე გადაკიდებული, სიგრძით ოთხი მტკაველი იყო და ლაზადას ჰგავდა. მას ჰკერავდნენ ისტიფადთი, დიზადთი, მახმურით, *ატლასით*, ზარბაბით და სხვ. (საინგ. III, I, 66). ახალოხი შაიკერებოდა ქიშმირისა, სარის, *ატლასის*, ყარაზანდულის (შ. კახ. მრეწ., III, 1, 35).

საშ. ქართ. **II. ატლასი** წიგნი დეოდრაფიული ქარტათა – დ. და ნ. ჩუბ.

ახ. ქართ. **ატლასი** [მითოლოგიური ტიტანის – ატლანტის – ბერძ. **ატლას** (ტლანტოს) სახელიდან] გეოგრაფიული რუკების კრებული. [ვახუშტიმ] შეადგინა გეოგრაფია საქართველოსი გეოგრაფიული *ატლასით* (ი. გოგებ.). *ატლასმა* უდიდესი როლი შეასრულა საზღვაო მოგზაურობე-

ბისა და დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების დროს (რ. ჯაფ.). 2. სპეციალური ნახატებისა და ტაბულების ალბომი (ჩვეულებისამებრ, მეცნიერულ წიგნებს დართული). *ანატომიური ატლასი*.

ახ. ქართ. **III. ატლასი** ტერმინი: იგივეა რაც ატლანტი, კისრის პრველი მალა ქვეწარმავლებში, ფრინველებსა და ძუძუმწოვრებში (ი. ლაჩაშ.) – ა. სიხ.

**აფთ-ი:**

ძვ. ქართ. **I. აფთი** ბრტყელი, ტარიანი მახვილი: „გარემოდს უკუე საყდარსა მისსა მდგომარე იყვნეს კაცნი, მქონებელნი *აფთთანი*“ (ფლავ. 11, 6, 3).

საშ. ქართ. **აფთი** მახვილია ბრტყელი – საბა; ნ. ჩუბ.

ზოგსა თავსა *აფთი* შევიდის, ვითა ტუინი (ვისრ. 50, 5). ლახტის, ხლმისა და *აფთისა* ცემა საშინელი იყო (რუსუდ. 292, 37). ჭეხა ისმოდა *აფთისა* (შჰნ. I, 1513, 2). ჯმლითა სჭრიან ჯაჭვ-ბაბრაბსა, *აფთებისა* არის ელვა (შჰნ. II, 4357, 2). არმურისკენ ამწეველსა აღმასს *აფთსა* აქაქებდეს (ვახტ. VI, 63, 4). მემნას უხეთქა *აფთითა* თავს (ქ. ცხ. IV, 202, 20).

ახ. ქართ. **აფთი** ძვ. მარჯვნივ ჰქონდა დაწყობილი: ხმალი, შუბი, *აფთი* (გ. წერეთ.). ზღუდესთან მდგარმა სპარსელმა მეციხოვნემ თავში *აფთი* სცა და ცხენიდან უსულოდ გადმოაგდო (გ. აბაშ.).

**აფთივით** [დანა, ხანჯალი, ცული...] ძალიან გალესილი, ფხაწყობილი. *აფთივით ა, აფთივით, აფთივით*, ერას არ გაშჭრის? (ხევს. ჭინჭ).

მკვლევართა აზრით **I. აფთი** (ოსმ.) სამკუთხი ექოს მსგავსი თოხი, ფართე თოხი (იბერ.) (იუსტ. აბულაძე 1916).

2. ა-ფთ-ი „იარაღი“ < ეტ. „საჭრელი“. ს.-ქართვ. \*ფეთ- / \*ფით- „ჭრა, კრეჭა“ (ჩუხუა 2000-2003).

საშ. ქართ. **II. აფთი** ქერქი მუხისა. *აფთი* არს ქერქი მუხისა (ფანასკ. 415, 33).

**აფსინდ-ი:**

ძვ. ქართ. **I. აფსინდი** ვარსკ. ესე იგი ვარსკვლავია იოანე მახარობელმან რომ იხილა – საბა. და სახელი ვარსკულავისაჲ მის არს *აფსინთი* (გამოცხ. 8, 11). – სამოც. სიმფ.

ძვ. ქართ. **II. აფსინდი, აფსინთი** იხ. II. აბზინდა. „მცირე *აფსინდი* დაამწარებს დიდსა ჭურჭელსა თაფლსა“ (მ. ცხ. 160v).

საშ. ქართ. და მით მწყევარსა ჩვენსა აჩრდილის ფერსა ბედსა *აფსინდისა* უმწარესთა სიტყვათა დაუფენ (ბეს. 69, 5). „მაშინ მიიღე ერთი მჯიღი *აფსინდი*“ (ფანასკ. 127, 33).

გვხვდება ფონეტიკური ვარიანტებიც:

გარდაიქცა მესამედი წყალთაჲ *აფსინთად* (აპოკ. 8, 11).

**აფსანთინი // აფსანთინი // აფსინთა || აფსინთი** (ფანასკ. 177, 7; 130, 5; 9, 30).

**აფურ-ი:**

საშ. ქართ. **I. აფაური** / **აფური** მრგვალი სალესავი ჩარხით საბრუნავი – დ. ჩუბ.

საშ. ქართ. **II. აფური** ძველი ფული – დ. ჩუბ.

**აღაჯ-ი:**

საშ. ქართ., დიალექტ. **I. აღაჯი** (თურქ.) იელის ხე. აღაჯი ვითამცა და იელის ხეო მხურვალი და ხმელია (იად. 470, 5).

2. **აღაჯი** „თათრულად ჯოხიო“ (დოლოვ., ქართლ. მენთ.).

საშ. ქართ. **II. აღაჯი** ძვ. სიგრძის საზომი; უდრიდა დაახლოებით 5-6 კილომეტრს. იმ კაცმა უთხრა: მარჯვენას მხარეს არისო და ერთი აღაჯი სავალი იქნება (შჰნ. III, 314, 41). აღაჯი, თუ მილი? გმართვეს შენ დუმილი მის სარიცხველად (დ. გურამ. 297, 568, 3). ერთს აღაჯსა მოეგება შარიერი ამა ყმასა (ფეშ. 658,1). არხი ძველათგან გამოტანილი არის ერთს აღაჯს გაივლის (სამ. VIII. 60, ქვ. 2).

ახ. ქართ. ჯალალედინ უკუ მიდგა, სამს აღაჯზე დაბანაკდა (რ. ერისთ.). მიჰყვნენ ქართველნი ოთხს აღაჯზე, ასე გააქციეს მაჰმად-ხანი (პ. ორბ.).

**აში-ი:**

საშ. ქართ. **I. აში** ახი ანუ აჰყი არაბულად სამართლიერად თვის საყოფელსა რადმესა კაცისასა განიმარტება – თ. ბაგრატ.

საშ. ქართ. **II. აში:** (თურქ.) აში დო ჯორციტ ნამზადი. მასტაფა – საბა. მოსამსახურემან აში შემოტანა (მეფ. სალ. 364, 8). იხ. II. აშა.

ახ. ქართ. **III. აში** ქელეხი – ი. გრიშ.

**IV. აში** (ეგვ.) ერთ-ერთი უძველესი ღმერთი ეგვიპტური მითოლოგიისა. გამოისახებოდა შვეარდნისთავიანი ადამიანის სახით (ენციკლ. ლექსიკ.).

**აშა:**

საშ. ქართ. **I. აშა** უარის თქმა. **აშა თქვა, აშა ჰკრა** – დ. ჩუბ. აში (თურქ.) აშა ვარძმი. ვარძმი უარის ყოფა, რომელსა სპარსნი ჰაშას უწოდენ – საბა.

ლაჯანდრისშვილი იმ წიგნს *აშას* იყო: ჩემი მოცემული არ არისო (სამ. IV, 419).

ახ. ქართ. აშა: **აშას ჰკრავს**: ხელაღებით უარს იტყვის (ეტყვის), ჯიქურ უარყოფს. ერთმა... კნიაზმა *აშა ჰკრა* ას თუმანზე! (ს. მგალობ.). **აშას კვრა** რაკი დამტკიცებაზე მიდგა საქმე, უარყოფა განა დამტკიცება ბრალდების ტყუილისა? უარყოფა პატიოსანი კაცისა და *აშას კვრა* ქურდისა ერთმანეთისაგან როგორ არ უნდა გაირჩეს? (ილია).

საშ. ქართ. **II. აშა** (სპარს.) ფლავი აშითა და ბორნით – დ. ჩუბ.

**აშარ-ი:**

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. აშარი** (არაბ.) თავხედი – დ. ჩუბ.

**აშარი** კაპასი, ანჩხლი. – როგორც კი ვუხსენებ ხოლმე თქვენს დიდებულ სახელს, მეტი აღარ ეჭირვება, მოთვინიერდება ხოლმე ის *აშარი!* (აკაკი). რა გადაარჩენს... აშარი დედინაცვლისგან დამონავებულ-დაძალულს? (ვაჟა). რა აყვირებდა იმ *აშარს?* (დ. მეგრ.).

**აშარი** ანჩხლი, მეტად ავი, შარიანი. „მაგრან აშარ ქალ რა'ნა ელაპარაკო!“ *აშარ* კაცთან ქეიფიც არ ვარგა“ (ჯავახ. ზედგ.).

დიალექტ. **II. აშარი** (არაბ.-თურქ.) თურქობის დროინდელი გადასახადის ერთ-ერთი სახეობა, რეკოლუციამდე აჭარაში. აჭარის სახით თვითეულ კომლს უნდა გადაეხადა შემოსავლის ერთი მეათედი. მოგშორდებათ რუსუმატი, თახშირი და თუნდ *აშარი* (მ. ვარშ.) – შ. ნიჟ.

**ახ-ი:**

საშ. ქართ. **I. ახი** ვაება – დ. ჩუბ. ოხვრა, ოხვრა-კვენსა. თქმა მჭირდეს მიწყვი *ახისა* (ვეფხ. 688,1). კმარა მუდამა სულთქმა, *ახი* (თეიმ. I, 72, 142, 4). ვარ ვაით მგონე, შენალონე, / მომხსენი *ახის*, / აჰა, მანდა ვით! (ბეს. 67, 5).

საშ. ქართ. **ახი** აღტაცების გამომხატველი სიტყვა. დანაზრახისა თუ სადმე, ბრძენთა საქებად ახისა, / ახისა მუფარახისა, ვაი, აწ განალახისა! (ბეს. 85,14). შდრ. წუხილისა და წუხილის გამომხატველი შორისდებული „ახ“ – ქეგლ.

საშ. ქართ. **II. ახი** ანუ აჰყი არაბულად სამართლიერად თვის საყოფელსა რაჲმესა კაცისასა განიმარტება (თ. ბაგრატი.). თუ ტყუილათ მამეცით, რაც *ახი* იყო, რათ მამატყუეთ (სამ. VII, 623, ქვ. 4). ჩემს *ახს* არ მამლევსო (სამ. IV, 629, ქვ. 8).

ახ. ქართ. **ახი** 1. სამართლიანი, კუთვნილი, ჯეროვანი. სამართლიანია! ეგრე უნდა! ეგრე ეკუთვნის! ღირსია იმისა, რაც მოუვიდა! ბრალი ჩემია და ტუქსვაც ჩემი *ახი*ო (ილია). ♦ **ახია (მასზე)**! ფუტკარს ჯერ გული მოუვიდა და იფიქრა: «*ახი* არ იქნება, რომ ამ ბრიყვს ჩემი შხამიანი ისარი ვჰკრა!» (ი. გოგებ.). 2. სამართლით კუთვნილი. ვაჟო, რა გინდა, რას მერჩი? ხომ მოგე შენი *ახი*? მიიღე თავნი და ვახში, განა კი დასამრახია?! (რ. ერისთ.). ♦ **ახი არა მაქვს?** საუბ. არ ვემართლები? არ ეკუთვნის? განა ღირსი არ იქნება?! *ახი* არა მაქვს, ახლა ერთი ბიჭი გამოვუყენო და სულ თავ-პირი დავამტვრევინო?! (ა. ცაგარ.). *ახია* ჩემზე, რაც დამემართა! (ილია). ვიშ! რად გავტეხე მამის ნათქვამი!. ♦ იხ. აგრეთვე **ახი / ჰახი** – ი. გრიშ.

დიალექტ. **III. ახი** საფასო. ერთი ძროხის *ახი* მამე, მეტს კი აღარას გელო (მოხ. ლუდ.). **ახი** გადასახადი მარცვლეულის დაფქვისათვის, – მინდი. საწყაოთი დააყარე პური და იმის მიხედვით *ახიც* აიღე! (ჯავახ. მარტ., ქართლ., სალ.).

არაბულსა და სპარსულ ენებში არის ლექსიკური ერთეული [ჰაქქ] მისი მნიშვნელობები: 1. ჭემმარიტი, მართალი; უფლება; 2. ფულის გადახდა, საფასური, გასამრჯელო; 3. კუთვნილი, განკუთვნილი.

ვეფქრობთ, ქართული ახი და არაბულ-სპარსული [ჰაქქ] ერთი და იგივე ლექსიკური ერთეულებია. ფორმით [ჰაკ], თურქულშიც არის დამკვიდრებული (ბართაია 2010, 145).

#### **ახორ-ი:**

ძვ., საშ. ქართ. **I. ახორი** ბოსელი: „შევალს *ახორსა* მათსა და აღჰჰჰჰჰის კარაულსა მათსა“ (მ. ცხ. 107v).

**ახორი / ახური** (არაბ.) ცხენთ ბაგა, საჯინიბო – საბა, დ. ჩუბ. ცხენი ჩემი, რომელ კანჯარსა აჯობებდა, *ახორსა* ზედა ჩემებრ იგიცა დაუსუსურებულა (ვისრ. 235, 6). სითაც ცხენებს თავი ჰქონდა, ლამაზად გაკეთებული *ახორი* იყო (რუსუდ. 212, 22).

არცა *ახორსალარი* დარჩა და არცა მეაქლემე (შჰნ. III, 209, 30).

ახ. ქართ. **ახორი** 1. ცხენის ბაგა (საბა). 2. სახლს მოშენებული (ან მოლობილი) სადგომი, სადაც ზამთარში საქონელს აბამენ, – ბოსელი. სახლის უკან ახორში ჩალას ახმაურებენ (დ. შენგ.). წყლის პირას ნაუცბათევად გამართულ ახორში ცხენები დააბინავეს (ო. დგებ.).

დიალექტ. **ახორი** (სპარს.-თურქ.) ბოსელი. *ახორი* ბოსელ ჰქვია. ამა აქ ხშირათ არ იხმარება, უფრო ბებრები თუ ვიტყვით (მესხ. ფეიქრ.) აგრეთვე: (აჭარ. ნიჟ., ჩვენ. ქართ. ფუტკ.); **ახური** (ქიზ. მენთ.). **ახვირი** (მთ. კაიშ.).

დიალექტ. **II. ახორად** მრავლად, ბევრად (მოხ. ქაჯ.) – აღ. ლლ. მოხ. **ახორი** მრავალი, ბევრი. ს.-ქართვ. \*(მოხ.) ახორი, მრავალი, ბევრი (ჩუხუა 2017).

#### **აჯი-ი:**

საშ. ქართ. **I. აჯი** (არაბ.) მომლოცავი წმიდათა ადგილთა – დ. ჩუბ. „ჰაჯი საერთო-მუსლიმურ ტერმინად არის ქცეული და ნიშნავს არა ზოგადად მლოცველს, არამედ, კონკრეტულად – მექაში მოსალოცავად წასულს“ (ბართაია 2010).

საშ. ქართ. **II. აჯი** არაბ. სპილოს ძვალი – დ. ჩუბ.

**აჯი** „რქის მშვილდი“ – საბა.

**აჯი: აჯის ტახტი...** გვირგვინი და *აჯის ტახტი* მათ წავულო, ვარ მოსურნე (შჰნ. II, 3679, 1). მაში *აჯის ტახტი* იდგა, მარგალიტის გვირგვინები იდგა (რუსუდ. 489, 38). გადატ. წარბი აჯისა მშვილდისა (შჰნ. III, 450,12).

მიუხედავად ლექსიკოგრაფთა **აჯი** ლექსემის არაბულ წარმოშობისად მიჩნევისა, გასათვალისწინებელია ს. –ს. ორბელიანის სწორი მინიშნება ამ სიტყვის ფალაური ენიდან მომდინარეობის შესახებ. როგორც არაბიზებული ფორმა სავარაუდოა ამ ლექსემის ქართულში სპარსულის გზით დამკვიდრება დაახლოებით XV საუკუნიდან (იმედაძე 2014, 145).



**აჯამ-ი:**

საშ. ქართ. **I. აჯამი** ('აჯამ) ირანი. ნუმრევანს უკან *აჯამთა* ჯელმწიფენიცა დიდის სურვილით ამასავე იკითხვიდენ (ქილ. 195,31).

საშ. ქართ. **II. აჯამი** ირანელი (არ. აჯემ). ამისთვის რომე არაბთა და *აჯამთა*, ფრანგთა და თურქთა აქიმთა ყუელათ ასრე უთქუამს (იად. 244, 33).

ახ. ქართ. **III. აჯამი** უჭკუო, რეგენი, ბრიყვი. მხეცი რამ იყო ბატონი ჩვენი, ერთი *აჯამი*, გულქვა, რეგენი (ილია). ისევ მოსეს უნდა შევუჩნდე, *აჯამი* და უვიცია (დ. ზურაბ.).

დიალექტ. **აჯამი** ფშ. (რაზ. -ჭყ.) „ბრიყვი, გაუთლელი“, მთ. გაუგონარი, კერპი. რომ არ ეყურება, ჯიუტი. ჯ., თ. გაუგებარი (არაბ. აჯამ) არა-არაბი, სპარსი, გამოუცდელი) (შან., ხორნ.).

შდრ. **აჯემი** უცოდინარი, ნაკლებად კვალიფიციური. ეს გელინი თლათ *აჯემია* (ინ., ჩვენ. ფუტკ.).

საშ. ქართ. **II. აჯამი** ჰანგი. *აჯამისა* მცოდინარეთ და ბრძენთა ასრე უთქვამთ ესე ამბავი (ხოსრ. 30, 4).

ნ. ბართაია შენიშნავს რომ აჯამი, როგორც ჰანგის სახელი, მის ხელთ არსებული სპარსულ ლექსიკონებში არ დასტურდება (ბართაია 2010, 146).

**აჯილა:**

საშ. ქართ. **I. აჯილა** საქორწილო ტახტი – საბა, დ. ჩუბ. შდრ. II. აჯი.

დიალექტ. **აჯლა, აჯილაკი** პატარა მაგიდა, ტახტის მაგვარი. „ჩემ განაყოფებიდან წამოვიღე ეს *აჯილაკი*, ისე მაგარია, ჩემ თორუნსაც ეყოფა“ (ჯავახ. ბერ.). **აჯლა** ქორწილის დროს ნეფე-დედოფლის სადგომად გამართული ტახტი. როცა ნეფე-დედოფალი, ნათლია შედიან, *აჯლაზე*, *აჯლის* წინ ერბოთი სავსე ქოთანს დადგამენ (ჯავახ. ბერ., მარტ., ზედგ.).

აჯი > აჯილა > აჯლა > აჯილაკი.

საშ. ქართ. **II. აჯილა** ჩადრი, თერისტრო, ქალთ მოსაფარი თეთრი ზეწარი – დ. ჩუბ.

## ბ

**ბაზღან-ი:**

საშ. ქართ. **I. ბაზღანი** – (ფრინვ.) ფრინველია მოწყენილი, წყლის უსმელი, რომელსა თურქნი ბუთიმარს უხმობენ– საბა. **ბაზღანი** (თათრ.) (მფრინ.) – დ. ჩუბ.

**ბაზღანი** ბუ. რა ძალლი მივიდა, მაშინვე *ბაზღანი* გამოჰყვა და მოვიდა (ქილ. 887,10).

სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია, რომ კლასიკური და აღორძინების პერიოდის არც ერთ ლიტერატურულ ძეგლში ეს სიტყვა არ არის მოხსენიებული, მხოლოდ „ქილილა და დამანაში“ ვხვდებით პირველად (იმედაძე 2014, 20).

საშ. ქართ. **II. ბაზღანი** დათვის ტყავი – დ. ჩუბ.

**ბადალ-ი:**

საშ. ქართ. **I. ბადალი** (თურქ.) ნაცვალი, მისი მაგიერი – საბა. ამ გიორგის სანაპიროს მიწის *ბადალი* მიწა სხვა მივეციტ ჩინელსა (სამ. IV, 386, 13). იმ სოფელში ამის *ბადალი* გლეხი დათებმა ამ თავის ძმას ქაიხოსროს მისცეს (სამ. IV, 579. ქვ. 10).

ახ. ქართ. დიალექტ. **ბადალი** 1. ტოლი, სწორი, მსგავსი. კარგიო?! *ბადალი* არა ჰყავს, *ბადალი* ამ სოფელში! (ილია). ეგეთი ექიმი დააყენეს [ელგუჯას], ...რომ თემობაში *ბადალი* არა ჰყავს! (ა. ყაზბ.). ჩვენს სოფელს, უნდა გითხრა მართალი, არ გაუზრდია მისი *ბადალი* (გ. აბაშ.). 2. მაგიერი, სანაცვლო. მიაქვს და აღარა მოაქვს წადებულისა *ბადლადა* (ვაჟა). აგრეთვე: (თუშ. ცოც.).

შდრ. ბედლობა (არაბ.) კერძო მეურნეთა ურთიერთდახმარების ფორმა (აჭარ. ნიჟ.).

სიტყვა არაბული წარმომავლობისაა (შდრ. არაბ. badal ტოლი“, „ეკვივალენტი“, „შემცველი“ – (წერეთელი 1951, 24; გიგინეიშვილი 2016).

დიალექტ. **II. ბადალი** 1. თამამი მაღალი ბალახი, ხარობს გაპატივებულ ადგილზე ბოსელთან, კალოსთან (თუშ. დიალექტ., 577). მსუქან ადგილზე ამოსული თამამი ბალახი (თ. უთურგ.) – აღ. დღ. აგრეთვე: (თუშ. ცოც.).

ვგიქრობთ, რომ ბადალი < ბადალო < ფათალო // ფათალა (**ბადალო** ქიზ., **ფათალო** ქიზ., ქართლ; **ფათალა** ფშ., ხევსურ., მოხ., მთიულ. თიან; **ფათარი** მოხ.). საინტერესოა, ამ სიტყვების მიმართება ს. -ქართვ. \*ფოთელ-ძირთან (ფოთელი // ფოთოლი) (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

დიალექტ. **III. ბადლი: ბადლ მიწა** შავი, ნაკელით გაპატივებული მიწა, რომელიც კარგ მოსავალს იძლევა. ძირში დააყრიან სიპ-ადეშზე ბადლ მიწას, მემრ-კიშს (შინამრეწვ. 198, ხევს. ჭინჭ).

აღდენილია არქეტიპი \*ბადლ- (კელაურაძე 2017).

**ბადია:**

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. ბადია** დიდი ჯამი საბა. **ბადია** თავს დასაფარებელი არის ორმოსი+ თავს დასაფარებელს ფრინვლის შესაპყრობსა ბადესაც ჰქვიან (თ. ბაგრატი.).

ბადია (სპ.) ღვინის საწყაო. მერმე ოქროსა ბადია შემოიღეს (შპნ. III, 246, 9). მოიღეს დიდი ბადია, დადევს აავსეს ღვინითა (შპნ. I, 230, 1).

**ბადია** ქუსლიანი დიდი ჯამი (უპირატესად – ლითონისა). 2. ყანწის მაგიერ ბადია აიღეს ხელში (ნ. ლორთქ.). ასოცამდე ღვინის სასმელი ჭურჭელი იყო სუფრაზე: *ბადიები*, თასები, ყანწები, კულები, თორმეტი აზარფეშა და სხვ. (ვ. ბარნ. 3). გადატ. რაც ბადიაში ჩაეტევა. ოთარანთ ქვრივი ყოველკვირა დღეს ერთ ათიოდ შოთს და ერთ ბადია კორკოტს თავის ფეხით გადაუტანდა ხოლმე [ქვრივ დედაკაცსა] (ილია). 3. სპეც. ამწეზე დაკიდებული ლითონის დიდი ჭურჭელი; იხმარება მშენებლობაზე ბეტონის, აგურის და მისთ. გადასატან-გადმოსატანად.

ახ. ქართ., დიალექტ. **ბადია** თხელი და ღრმა თასივით მრგვალი დიდი ჯამი სპილენძისა, ძველად თიხისაც ყოფილა, შიგ რძეს წველიდნენ და ინახავდნენ (თუშ. ცოც.).

საშ. ქართ. **II. ბადია** ბადე. პირბადე. ოდეს ახადეს ქალს პირს ბადია, / პირთ სანახავად ვერცხლის ბადია (დ. გურამ. 251, 266, 2). ბადე > ბადეა > ბადია. ა პროსოდიული ხმოვანია.

დიალექტ. **III. ბადია** ბადექონი. ღორს შიგნი აქ ღვირძლი, წელები, ფიჭვი, გული, ჭაჭები, თათბურა, ბადია (ხვაშითი, ზ.-იმერ. ძოწ.).

აღდგენილია ს.-ქართვ. \*ბად-„ქსოვა“, ბადე „ბადე, ქსელი“ (ჩუხუა 2017).

**ბადრ-ი:**

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. ბადრი** გავსილი მთვარე – საბა. მთვარე ბადრი მო და მნახე (ნ. ციცი. 1550, 2). დილა ჩემი როს გათენდეს პირო ბადრო და სათელო?! (ალ. ჭავჭ. 60, 11).

ახ. ქართ. **ბადრი** სავსე, სრული (მთვარე). ამ დროს აღმოხდა ბადრი მთვარე და სიამითა მოფინა არე (ნ. ბარათ.). ჩვენ კი დღეისთვისაც ის ბადრი მთვარე გვყოფნის (რ. ინან.). ფიგურ. სქელი გაშლილი თმა შემობურდნოდა ბადრ მთვარესავით გადაშლილ სახეს (გ. წერეთ.). || გადატ. სავსე, სრული (სახე). მზის სხივით განათებული ჰქონდა ბადრი სახე (ვაჟა). იხ. აგრეთვე: (ა. შან., ჯავახ. ზედგ.).

არაა დადგენელი, **ბადრი** როდის შემოვიდა ქართულში, რადგან ცნობილ წერილობით ძეგლებში გამოვლენილი არაა. დასტურდება საბას ლექსიკონში ბედუა (არაბ.-თურქ ბედავა) სავსე მთვარე ზან. (ლაზ. თანდ.).

ქართულში ეს სიტყვა ატრიბუტის ფუნქციით იხმარება და ხშირად ადამიანის სახესთან დაკავშირებით... ..თურქულ ენაში ეს ტერმინი საერთოდ არ ფიქსირდება. თანხმოვანთა სრული დაცვითაა „ბადრი“ ლექსემა ქართულში დამკვიდრებული. რადგან ძველ და კლასიკური პერიოდის

ქართულ წერილობით ძეგლებში იგი ნაკლებად დასტურდება, სავარაუდოა მისი, როგორც ასტროლოგიური ტერმინის, ზეპირი გზით გავრცელება. ხოლო მოგვიანებით მოხდა მისი წერილობითაც გაფორმება (იმედაძე 2014, 116). ბადრი არაბული წარმომავლობისაა (გიგინეიშვილი 2016).

დიალექტ. **II. ბადრი: ბადრი ჩითი** იგივეა, რაც ბადლის ჩითი. რავა დაქტკუცვია კანჭები ბადრი ჩითივით (შომახეთი (ზ.-იმერ. ძოწ.).

შდრ. **ბადლის ჩითი** ჭრელი ჩითი. *ბადლის* ჩითის კაბა შევიკერე (ბაჯითი. ზ.-იმერ. ძოწ.). **ბადლის ჩითი // ბარდლის ხამი** (ტილო), რომელზედაც ფერადი ფოთლოვანი სახეებია (ზ.-იმერ. წერეთ.). სავარაუდოა, ფართალი საუბ. „საფიქრო ნაწარმი“ < ბარდალი > ბადრი. შდრ. ს.-ქართვე. \*ბარდ – „ნაქსოვი, ქსოვილი“ (ჩუხუა 2017).

### ბადრაგ-ი:

საშ. ქართ. **I. ბადრაგი, ბადრანგი** (სპ.) მცენარეა – დ. ჩუბ.

ახ. ქართ. **II. ბადრაგი** 1. შეიარაღებული რაზმი, რომელიც ადგილზე იცავს ან აცილებს რაიმე დასაცავ ობიექტს. *ბადრაგი* გვექცეოდა ძალიან კორექტულად. შეიმჩნეოდა, რომ მათ ამის შესახებ ბრძანება ჰქონდათ მიღებული («24 საათი»). **საზღვაო ბადრაგი** სამხედრო ხომალდების ჯგუფი, რომელიც სამზავრო ან სავაჭრო გემებს აცილებს. 2. ასეთი რაზმის წევრი თბილისის ფსიქიატრიულ კლინიკაზე შეიარაღებული თავდასხმის დროს დაჭრილი *ბადრაგი* ორდენს მიიღებს («ახ. ამბ. -საქ.»).

შდრ. საშ. ქართ. **ბადრაგა // ბადრა** ჭაბუკი მოგზაურთა წინამავალი, რათა მეკობრეთაგან უვნებელად გაატაროს – საბა. მათი *ბადრაგა* ავთანდილ უძღვის გულითა ქველითა (ვეფხ. 1037, 2). ვიცით მტერი ვერ დაუდგამს, არც უნდა გზისა *ბადრა* (ფეშ. 1071, 4).

ბადრაგა (სპ. ბადრაკაჰ) გამძლოლი, ყულაოზი (აბულაძე 1916, 795).

### ბადური-ი:

ძვ. ქართ. **I. ბადური** (ბალათური, ბაჰადური) მამაცი, გულადი, გაბედული, გმირი, მონღოლ დიდებულთა საპატიო წოდება იყო (ძვ. ქართ. შეერთ. ლექსიკ.).

ახ. ქართ. **II. ბადური** ბადისებრი. ქალს სახეზე ეხურა წმინდა აბრეშუმის ბადური დოლბანდი (გ. წერეთ.). ქალი ბადურად ნაქსოვ თეთრ ხელთათმანებს იხდიდა (რ. ინან.). ბადე > ბადური.

### ბავრუკ-ი:

ძვ. ქართ. **I. ბავრუკი** nitrum: „გან-თუ-იბანო *ბავრუკითა*“ (იერემ. 2, 22). „ვითარცა მოვიდოდეს გზასა, პოვა მცირე *ბავრუკი*“ (მ. ცხ. 164v). **სა-ბავრუკე** ბავრუკისა: „წარვიდა ტბასა მას *საბავრუკესა*“ (მ. ცხ. 347r).

საშ. ქართ. **ბავრუკი // ბავროკი** მარილს ჰგავს, ოქრომჭედელნი იჭმარობენ ოქროსა დასადნობელად. „აილე ბავრუკი ერთი ნაწილი და მარილი საცომე ერთი ნაწილი“ (ქანან. 24, 24). „დაუზილე ტანი ზეთითა ბერძული-

თა და ბავრუკითა“ (ფანასკ. 227, 28). „მაშინ, თუ ათხვედე, აიღე ბოკილი და ბავრუკი და შეგბოლოე“ (ფანასკ. 356, 32).

გვხვდება **ბავროკი**-ც: რომელსა წაეკიდოს დღისა ცხრო, თუ წუნწუ-ბისა წყალსა ბანილ იყოს, ...ანუ ბავროკისასა (ფანასკ. 881, 9).

საშ. ქართ. **II. ბავრუკი** ერთს საჭმელსაც ჰქვიათ – საბა. იხ. II. ბორაკი.

### **ბაზ-ი:**

საშ. ქართ. **I. ბაზი** შევარდენი. მონადირენი ჯერგა გაშვებული ფრინველთა ადევნებდეს *ბაზთა* გონებახალისიანთა (ქილ. 261,31). არამედ არცა ერთმან მიხედა *ბაზმან*, თვნიერ წითლის ქორისა, და მით შეიპყრნა ყოველნი (ქ. ცხ. IV, 578, 2).

ახ. ქართ. ძვ. მწყერჩიტა ზეცას მიფრინავს, ...შედგა ჰაერში, ფარფატებს, *ბაზსაც* არ უკრთის მუხთაღსა (რ. ერისთ.). ვამეხ თორელიც *ბაზთა* მოყვარული აღმოჩნდა (კ. გამს.).

როგორც ძვ. ისე ახალ ქართულში გვხვდება **ბაზი**-საგან ნაწარმოები სიტყვები: **ბაზიერი** ქორ-შევარდენთა სანადიროდ დამგეშველი; **ბაზიერთუხუცესი** ბაზიერთა უფროსი ბაზიერობა ბაზიერის თანამდებობა, ბაზიერის საქმიანობა, -ქორ-შევარდენთა დამგეშველობა-მწვრთნელობა.

**ბაზი** (მფრ.) სომხურად ქორს ჰქვიათ, ხოლო ქართულად ეწოდების ზოგად მონადირეთა მფრინველთ: ქორთა, შავარდენთა, მიმინოთა – ნ. ჩუბ.

**ბაზი** ფიქსირებულია მე-12 საუკუნიდან, შემოსული უნდა იყოს ახალი სპარსულიდან. თვით სპარსულში იგი არის დერივატი (bāz შევარდენი“) სიტყვისა. ეს უკანასკნელი სპარსულში არაბულიდან ჩანს ნასესხები (გიგინეიშვილი 2016).

საშ. ქართ. **II. ბაზი** ფრთიანი ყვითელი მწერი, ფუტკარს ჩამოჰგავს (საბა). ახ. ქართ. არ დაგინდობს უჯიშო და მკაცრი, გიკბენს, როგორც *ბაზი* (მ. ვარშ., აჭარ. ნიჟ.). დიალექტ. უსარგებლო ფუტკარს *ბაზი* ფუტკარი ქვიათ (ზ. -ქართლ. მრეწ. IV, II, 22).

ს.-ქართვ. \*ბეზ-„ბზიკი; კრაზანა; ზან. (მეგრ.) ბაზი ბუზანკალი; ბზიკი; კრაზანა“ (ჩუხუა 2017).

დიალექტ. **III. ბაზი, ბაზე** სიმწიფეში შესული მარცვლეული.

ბაზი ლობიოს პარკიდან მარცვლებს იღებს (რაჭ. კობახ.). შდრ. **დამბაზებული, დაბაზებული**. სიმწიფე დაუსრულებელი ლობიო ან სიმინდი. –აი ლობიე არაა კაი წიფე, *დამბაზებულია* (რაცხ. გურ.).

ს.-ქართვ. \***ბაზ**- „სიმწიფე; სიმწიფეში შესვლა; ნაყოფიერი“ არქეტოპების კანონზომიერი შესატყვისი უნდა ჩანდეს ბასკურ ბიზი „სიცოცხლე, ცოცხალი; ცხოვრება“ ფუძეში (ჩუხუა 2017).

საშ. ქართ. **IV. ბაზი** ბადი, ბამვა. ტახტზე დასხდეს საფერისოდ, მათ აიღეს მზისა *ბაზი* (ფემ. 349, 2). **ბაზი** – „მური“ – ი. გრიშ.

დიალექტ. შურმა დალივა სოფელი, *ბაზმა* კი ააშენაო (ფშ. ხორნ.).

**ბაზი** ბაძი, ბაძვა. თხაივ თხის *ბაზით* გაიბოტნავ (ხევს. თავისებ. 437, 32). აგრეთვე: ბაზიანი, ბაზილი, მიღბაზოის. – ალ. ჭინჭ.

**ბაზი** < **ბაძი**. საშ. ქართულში ამ მნიშვნელობით გვხვდება ბაძი < ბაძვა, მიმბაძველობა. ბრძენის ურიგოდ ქცევითა *ბაძით* წახდების ერია (დ. გურამ.).

მაცთუნებელია კავშირი ბრძ-ძირთან, შდრ. ბაძა-ავ / ბრზ-ავ- (არა-ბული 2001, 65).

### **ბაზარ-ი:**

საშ. ქართ. **I. ბაზარი** სავაჭრონი დუქნები (თ. ბაგრატი.).

მოატყდეს მოქალაქენი, დააგდეს მუნ *ბაზარია* (ვეფხ. 1460, 4).

მოეგება ბაზარს ძესა თჳსსა (ქ. ცხ. II, 383, 2). ერთი ცუდი ვერცხლის ბეჭედი ვიშოვნე, ის *ბაზარში* ჩავიტანე (რუსუდ. 612, ქვ. 10). ჩემს ეზოში პატარა დუქანი არის, პირი ბაზრისკენ აქვს (სამ., VII, 403, ქვ. 8). **ოთხბაზარი:** ბაზარში ორი რიგის გადაკვეთაზე გადახურული მოედანი. *ოთხბაზარის* ბოლოს მეჭიქის დუქანია (ქილ. 667, 22). გადატ. ის მეჯლიში *აშიყობის ბაზარი* იყო (ხოსრ. 43, 34). *მოწყალების ბაზარი* მან გაამრავლა (ხოსრ. 30, 7).

**ბაზარი** (სპ. ბაზარ.) „ბაზარი“ სავაჭრო მოედანს ერქვა და იგი, როგორც ჩანს, ქართულ ენაში XII ს-დან დამკვიდრდა. XII ს-მდე ბაზრის მაგიერ, როგორც ივ. ჯავახიშვილი ვარაუდობდა, „სავაჭრო“ უნდა ყოფილიყო „... ჩვენთვის ცნობილი დოკუმენტების მიხედვით თბილისში შემდეგი ბაზრებია: „ზემო ბაზარი“, „ქვემო ბაზარი“, „მეიდნის ბაზარი, ანუ „რასტა-ბაზარი“ და „ჩარსუბაზარი“ ანუ ჩორსო დიდი და პატარა (მესხია II, 1983, 637, 638).

ახ. ქართ. **ბაზარი** 1. სურსათ-სანოვაგისა და ფართო მოხმარების საგნებით ვაჭრობისათვის განკუთვნილი ადგილი (ჩვეულებისამებრ მოედანი). მეურმეები დაქსასულიყვნენ, *ბაზარში* გასულიყვნენ, ზოგს რა უნდა ეყიდა საშინაოდ, ზოგს – რა (ილია). 2. ძვ. ვაჭრობა ასეთ ადგილას, – ბაზრობა. დღეს კარგი *ბაზარი* იყო. 3. საუბ. გადატ. გასავალი, გასაქანი. მედიდურობას და ბლინძვას *ბაზარი* აქვს (ვაჟა). ახლანდელ დროში ცოდნა ყველაფერია: ფულზედაც დიდი *ბაზარი* აქვს, ხმალზედაც უფრო მეტად ჭრის! (დ. მაჩხ.). 4. საქონლის მიმოქცევის სფერო. საშინაო ბაზარი. – **საგარეო ბაზარი**. || ქვეყანა (ქვეყნები), სადაც ქვეყნის საქონელი გააქვთ გასასაღებლად. 5. საუბ. გადატ. უწესრიგობა, აურზაური. რა *ბაზარია* აქ?! **ბაზარ-ბაზარ** ზმნს. ბაზრიდან ბაზარში, ბაზრებში (ხალხის სიმრავლეში).

ახ. ქართ. ნაწარმოები სიტყვები: ბაზრობა, ბაზრული – ქველ.

საშ. ქართ. **II. ბაზარი** ფაზარი, ცხოველური ქვა. იდგა *ბაზარი* თეთრი ძოწეულისა და ტახტი შანშისა (შჳნ. II, 412, 19). იუსტინე აბულაძის განმარტებით, «ბაზარი – სპ. ბადზაჰრ ბადზარი, ანუ ფაზარი – ბაზაჰრი,

ცხოველური ქვაა – იპოება ცხოველთა ღვიძლში, ან მინერალური ფაზარი, რომელიც ჩნდება ძვირფასი ქვებისაგან – ლალისა, იაგუნდისა, მოწისა და სხვათაგან, აქ სწორედ ამ უკანასკნელზეა ლაპარაკი» (აბულაძე 1934, 570). იხ. აგრეთვე: (დარსაველიძე 1987, 10-11; ქაზემი 2008, 103).

### **ბაზმა:**

ძვ., საშ., ახ. ქართ. **I. ბაზმა** // **ბაზმაკი** «სანთელი», სასანთლე.

„დაბურონ ... *ბაზმაკნი* მისნი და მარწუხნი მისნი და მისაყოფელნი მისნი“ G – „შებურონ *სანთელნი* მისნი და მოსაჟღუნნი მისნი და განსაჯოცი მისი“ (პხ., რიცხ. 4, 9).

ძველსავე ქართული დასტურდება ნაწარმოები სიტყვა **საბაზმაკე** «სასანთლე».

ბაზმა ბროლისაგან ქმნილი სანათებელი (თ. ბაგრატი). ბაზმა, ბაზმაკი (სომხ.) ლამპარი, სანათი ან კანდელი – ბაზმის ზეთი (დ. ჩუბ., ნ. ჩუბ.).

ტარიელს პირსა ციმციმი ათქს (=ადგას) უნათლესი *ბაზმისა* (ვეფხ.). სანათი და ზეთისა *ბაზმა* თუ წაგილო, ცუილისა სანთელი მოგცა (ვისრ. 66, 7). *ბაზმათა* შინა... თუალ-მარგალიტის უძვირფასე ზეთი ავანთო (ქილ. 227, 5). **ბაზმა** ხშირად გადატ. იხმარება. პირსა ასეთი სინათლე ადგა, ვითა *ბაზმა* ენთებოდა (რუსუდ. 69, 7). თვალთ ანათებს, ვითა *ბაზმა* (შპნ. III, 13, 4). სულ[ა] ცხოვრების მპყრობელი, ვით *ბაზმა* გაუქრობელი (დ. გურამ.).

ახ. ქართ., დიალექტ. შუა ცეცხლმა და მარჯვენა კუთხეში, თაროსთან, ანთებულმა *ბაზმა* გაანთა შიგნიდან სახლი (მელნ.). 2. ძვ. ეთნ. ყვა-ვილით, ქუნთრუშით, წითელათი დაავადებისას ე. წ. „ბატონების“ საამებლად ანთებული ნიგოზი – ახ. ქეგლ.

იხ. აგრეთვე: დიალექტ. (ქიზ. მენტ., ინგ. ღამბ., გურ. ღლ.).

ეგვევ ფუძე უნდა დასტურდებოდეს სიტყვებში 1. **ბაზალაჲ** // **ბაზმალა** „პატარა თიხის ლამპა, ფითილად შეგრეხილ კარკატანს ხმარობდნენ, საწვავად შავ ნავთს ასხამდნენ. ანთებდნენ მხოლოდ პირსალამოზე, ვახშამზე, მერე აქრობდნენ“ (ინგ. როსტ.).

2. **ბაზმაკალმასი** ძველი წეს-ჩვეულება ერთგვარი. ბატონები რო ჰყავთ შინა, შეუთქვამენ *ბაზმა* შემოვლასა, შემოივლიან, მოაგროვებენ კაკალსა და ფულსა ან კვერცხსა, წაიღებენ ბარბარეში, ან რომელ ხატსაც შეუთქვამენ, და ღამეს უთევენ ხატსა, ეგ არი *ბაზმა* კალმასი (რუისი) (ქართლ. მესხ.), კალმასი სომხურია, კალოზე პურის მოშობა, ქართულად მ უ ჩ ი რ ო ბ ა ჰქვიან – საბა).

**ბაზმა** სომხური բազմასկ ჭრაქი, შანდალი სომხური თავის მხრივ უკავშირდება (ირან.) ბაზმაკ „ჭრაქი, შანდალი“ (აჭარ. I, 375).

სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით სიტყვები **ბაზმა** // **ბაზმაკი** განვითარების ასეთ სურათს უჩვენებს. სანთელი, სასანთლე, სასანთლე ჭურჭელი გარკვეული რიტუალური ქცევა. ... სინათლის აღნიშვნის მნიშ-

ვნელობა ამ სიტყვამ კვლავ შეინარჩუნა, ოღონდ არა უშუალოდ განათების მიზნით (კაკიტაძე 2005, 103).

საშ. ქართ. **II. ბაზმა** ლხინი, ქეიფი. აქ არის *ბაზმის* სოკბათი, სუფრი-სა შემკობილობა (თეიმურაზ I, **ბაზმა** გრემის სასახლე, 3, 1).

სპარსული „**ბაზმ**“ – „ლხინი, ქეიფი“ (გვახარია 1983, 132). შდრ. **სოდ-ბათი** საუბარი, ურთიერთობა, შექცევა. მისცეს თავი ლხინსა და შექცევასა, სოდბათსა (შჰნ. III, 248, 40).

დიალექტ. **III. ბაზმა** იაზმა. პატარა *ბაზმა* გვიბოძეთ, ჩვენ ღვთის კარს დიდად გაგვივა (ფშ. ხორნ.). ამ შემთხვევაში სიტყვა მისი გადააზრების შედეგადაა მიღებული, ან ფონეტიკური ცვლელელებით: იაზმა [ბერძ. აგაიასმოს კურთხევა] წმინდა, ნაკურთხი (წყალი) > ბაზმა.

#### **ბაზმანდ-ი:**

საშ. ქართ. **I. ბაზმანდი** (სპარს.) ტილისმა. ბაზმანდიანი ბაზმანდის მქონებელი – დ. ჩუბ.

საშ. ქართ. **II. ბაზმანდი** ცალ სასწორი – დ. ჩუბ.

შდრ. ახ. ქართ. **ბეზმენი** [რუს. безмeh] ხელში დასაჭერი ზამზარაიანი ან ბერკეტაიანი სასწორი, რომელსაც საწონი (გირები) არ სჭირდება, – ცალ-სასწორი. ჩარჩებმა, ქორვაჭრებმა ფულეები იშოვნეს, *ბეზმენები* და არშინები გადაყარეს, ვითომ კაცები გახდნენ (ჭ. ამირეჯ.).

#### **ბა-ი:**

საშ. ქართ. **I. ბაი** ძვ. კაკაოს ხის თესლი. ბაი, ბაიკი კერკი, ჩოკოლათოს შესამზადებლად – დ. ჩუბ.

ახ. ქართ. **II. ბაი:** (თურქ. bay) ოქტომბრის რევოლუციამდელ შუა აზიაში, ყაზახეთში, ალტაის მხარეს და ნაწილობრივ, კავკასიაში მსხვილი მიწათმფლობელი, მესაქონლე, მევახშე (შდრ. ბეი, ბეგი).

#### **ბაია:**

ძვ. ქართ. **I. ბაია, ბაია** palma palmulas, ფინიკი: „განთიად დავალბობ ბაიასა და ვშურები“ (მ. ცხ. 116v). „დაუღბო მას ბაია და განუმზადა მას საკერავი“ (მ. ცხ. 72v). „ჟამსა ბაიასსა სცვიდეს ნაყოფსა მას ხეთასა“ (მ. ცხ. 296v).

საშ. ქართ. ვით სონღულს დრო ხვდა შეფრინვად წეროთა დამზარ ბაიას (ბეს. 128, 2). ახ. ქართ. [baion] ბზა 1. ძვ. ფრთისებრი ფოთოლი პალმისა. 2. კუთხ. გვიმრის ფოთოლი.

**ბაია** ბზა (ბერძნ. ბაიონ) ბზობის კვირა, ზან. (მეგრ. ყიფშ., ქობ.).

ახ. ქართ. **II. ბაია** იხ. I. ბაი.

საშ., ახ. ქართ. **III. ბაია** (anunculus) დანაკვთულ-ფოთლებიანი და ყვითელ პრიალა ყვავილებიანი ბალახი.



ყვითლად ყვავოდას *ბაია*, ნარგიზი ვერ ედაოსა (ვახტ. VI, 27, 35 2).

წახდა [იერემია], თურმე ფერი ეცვალა, ისე გახდა, როგორც ყვითელი *ბაია* (გ. წერეთ.).

**ბაია:** **ბაიას ფერი** სიმინდის ფქვილი უხდებდა ტომრებს, ვით ოქრო – ქისას (ა. აბაშ.).

საშ. ქართ. **IV. ბაია** (იმერ.) იმერულად კომში (დ. ჩუბ.).

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. V. თვალის გუგა. ვით ორბი მაღლით მხედვარე ხედვას მისცემდა *ბაიას* (ბეს. 128, 2). თუალის *ბაიათა* სინათლესა უძღვნის (ქილ. 196, 26). ტრფიალო ლამაზო მეტრფიალა *ბაია* შენი (მ. ბარათ. 27, ქვ. 1).

თვალის კაკლის შუაგულში ჩვენ მრგვალ შავს *ბაიას* ვამჩნევთ და ბაიის გარშემო ფერადს სალტასა (ი. გოგებ.).

დიალექტ. **ბაია** თვალის ჩინი, თვალის შავი ნაწილი. შიგან თუალის *ბაიაში* მოხდენია ფწკალი (იმ., ჩვენ. ფუტკ.). **ბაია** თოლის ბაია, გუგა (ფერეიდ. ჩხუბ. 310). ზან. თვალის გუგა (მეგრ. ქობ.).

საშ. ქართ. **V. ბაიას** ჩჩვილნი ჩჩვილთა უწოდენ – საბა.

ახ. ქართ. **ბაია** ჩვილი ბავშვი (ბავშვის ენაზე). თამარო, ჩემო თამარო, მითხარი, ჩემო დაია! რატომ არ მოდის ჩემთანა შენი პატარა *ბაია*? (შ. მღვიმ.).

შდრ. აგრეთვე: ბაა „პატარა ბავშვს ეტყვიან, „აღუს რო ეტყვიან“ (მარაბ., ქართლ. მენტ.).

საბას მიხედვით „ბაიას ჩჩვილნი ჩჩვილთა უწოდებენ“. ხომ არა გვაქვს აქ საქმე მცირეწლოვანთა, პატარათა, უჰასაკოთა აღსანიშნავად ქართველურ ტერმინებში დადასტურებულ **ბაა** – ელემენტთან, რომელიც გვხვდება სიტყვებში: ბავშვი, ბაღლი. ძნელი აქ ალბათ ვამტკიცოთ ი. ჯავახიშვილის კვალდაკვალ, რომ უთუოდ სქეს-კატეგორიის აღმნიშვნელი ბ-თავკიდური გვაქვს. სამაგიეროდ, არ არის გამორიცხული, რომ აქ რაღაც საკმაოდ არქაულ სიტყვათმანარმოებელ ძირთან გვკონდეს საქმე, რომელიც „მცირეს, უმნიშვნელს“ გაგებას შეიცავდა (გორდეზიანი 1985, 63).

ახ. ქართ. **VI. ბაია** რუმინული ფული, კაპიკის მესამედი (ი. იმედ.).

დიალექტ. **ბაია** (თ.) საკმაოდ, საერთოდ, თითქმის, როგორც საჭიროა. ბადა ღამე გამხდარა (მეზ., ჩვენ. ფუტკ.).

### **ბაკი:**

**ბაკი** მრგულად მოვლებული ღობე ან ფიცრული ხვასტაგთ დასაყენებელი // მზისა ანუ მთოვარის გარემო ზოგჯერმე ხილული ნათლის სარტყელი – ნ. ჩუბ. ბაკი მოზღლდვილი ხეებითა და ხარხებითა; ეზო, რომელსა შინაცა გლეხნი ზროხათა და საქონელთა დააყენებენ; მთოვარეს რომ შემოერთყმის, გარშამო რომ შუქი მოველების მას ეწოდების. ბაკმა ესაეთსა სიმგრვლესა ეწოდების, რომელიცა სიმრგვლე კაცისასა შეუცავს (თ. ბაგრატი.).

ძვ. ქართ. **I. ბაკი** «ეზო», საჩები: «სხუაცა ცხოვარ არიან ჩემნი, რომელ არა არიან მის ბაკისანი“ C, – „სხუანიცა ცხოვარნი მიდგან, რომელნი არა არიან ამის ეზოსანი“ (DE, ი. 10, 16). „გამოგიყვანე შენ ბაკისაგან უკუნაგან სამწყსოთა“ (I ნშტ. 17, 7). „მპარავნი იგი უხილავმან ძალმან ბაკსა მას არვისასა შეაკრნა“ (მ. ცხ. 347r).

საშ. ქართ. ბაკი და ძველი სახლები ყველას ამილახორის შვილებს დარჩა (სამ. IV, 433, 5). რომელი იყო ბაკი, ფიცხელად შებმა გვიყვებს (ქ. ცხ. IV, 133, 5). ექმნათ ბევრი საშოვარი, დაეცალათ ცხვართა ბაკი (არჩ. 468, 11).

გადატ. მერმე დათმენის ბაკთა შევიდა (ქილ. 940, 8). სიკუდილის ბაკი *კიდაძე* გამოსულა შეუძლებელია (ქილ. 462, 22).

ახ. ქართ. **ბაკი** 1. საქონლის სადგომი, ირგვლივ მოზღუდული, უსახურავო. ჩვენი კამეჩი მეველეებს ბაკში ჰყავთ დაჭერილი (ილია). [ზაბუცა] ნახირიდან მომავალ ძროხას მიეგება, ხბო ჩამოაცილა და ბაკში დაამწყვდია (ნ. ლომ.). სახლებისვე გვერდით გაკეთებული აქვთ ბოსლები და ბაკები (ი. გოგებ.). 2. ძვ. ურმების დასაყენებელი მოზღუდული ეზოყურე ქალაქში. პეტრემ ნაყიდი წისქვილის ქვები დაუდო ურემზე და ბაკში მიიტანა, საცა ქარავანი იყო გამოშვებული (ილია). ხარ-ურემი საბურთალოს ბაკში დააყენა (ბ. ჩხ.).

დიალექტ. **ბაკი**: ძველებურ მიწურ სახლში შესასვლელი, ვიწრო და ბნელი დერეფანი (მესხ. მაისურ.). ბაკი გავრცელებული სიტყვაა დიალექტებში მაგ.: ფშაურში, თუშურში, კახურში, იმერულში, აჭარულში... გვხვდება ბაკე-ს სახითაც (ზ.-იმერ. ძოწ.).

**ბაკი** 1. პირუტყვის შემოღობილი სადგომი ცის ქვეშ ცხვრის საწველი ადგილი მეცხვარეთა საზაფხულო ბინის კომპლექსში. საწველავ მოუწველავი გადასვლა გვინდა ბაკშია.

**ბაკი** ეზოს მიბმული სახნავი მამული ბარად. წინავე გზაზე არა მუყარით, ბაკებზე-დაც გადავ-გადმოვიდნით – უწინ გზაზე არ მოუვლიდით, პირდაპირ ბაკებზე გადავდი-გადმოვდიოდით.

**ბაკის კარი** ბაკის მისადგომები – თავდასხმის ობიექტი მეკობრული ლაშქრობების დროს. „წინავე მომიყვანე ბაკის კარ, თვალ გქონდეს მოჯერე-ზედა“ (თუშ. ცოც.). **მეზაკე** მეწინავე მეკობრული ლაშქრობის დროს, პირველი დამცემი. ხულანტიტებ რო გადმოედით იობს ერთ ჭედილაყ მისცეს, მეზაკეიავ ესევ (თუშ. ცოც.).

ბაკი // ბაჭი ბოსელი ზან. (ლაზ. თანდ.). 1. ს.-ქართვ. \*ბაკ- „საქონლის დასამწყვდევი ადგილი“ (ჩუხუა 2017). სომხ. =bak „ეზოს შენობის მახლობლად (გიგინეიშვილი 2016).

საშ. ქართ. **II. ბაკი** 1. ბაკში, მთვარის გარშემო სინათლის რკალი (ნ. ჩუბ.). მთვარე იჯდა ბაკსა შუა, პირი ბადრი მოევანა (არჩ. 572, 6).

დიალექტ. **ბაკი** მთვარის გარშემო მოყვითალო ფერის რგოლი, – ბაკში; ამბობენ, ცუდი ამინდის მანიშნებელიო (იმერ. გაჩ.). სავსე მთვარეს გარს მოვლებული ნათლის ზოლი. „მთვარეს რო ბაკ ექნების, სიციობა იქ-

ნება, იციან“ – მთვარეს რომ ირგვლივ ბაკი ექნება, სიცივეები იქნებაო, იტყვიან (თუშ. ცოც.).

**ბაკიან** თვალ, **ბაკის თვალ** იყოს. ნაქსოვის ორნამენტი – წრეში ჩასმული წერტილი. თეთრ მირგველაჟში რო თეთრ ზის, იცმისად იციან *ბაკიან* თვალის (თუშ. ცოც.).

ახ. ქართ. **III. ბაკი** [ფრან. bac] ლითონის დიდი დახურული ჭურჭელი სითხის შესანახად – ავზი. წყლის ბაკი, – ბენზინის ბაკი – მ. ჭაბ.

დიალექტ. **ბაკი** წულის მკერავის ტყავის საღობო ჭურჭელია (გურ. ჟღ.).

ახ. ქართ. **IV. ბაკი** (ნიდერ. bak ტაშტი) ხომალდის კიჩოს დაშენება ზედა გემბანის დასაცავად შემხვედრი ტალღისაგან, ჩაუძირაობის გასაზრდელად (დახურული ბ.). აგრეთვე ღუზისა და გემსაბლის განლაგებისათვის; მოდის ფორმტევენთან და ეწოდება ნახევარბიჯი; 2. დიდი ჭურჭელი სითხისათვის.

ახ. ქართ. **V. ბაკი** (გერმ.) უპირატესად მრ. ფორმით მოკლედ შეჭრილი ბაკენბარდი – მ. ჭაბ.

### **ბაკან-ი:**

საშ. ქართ. **I. ბაკანი** ხის ჯამი, გინა კუს ზურგი – საბა, ნ. და დ. ჩუბ.

მოგართმევს კვერცხით სავსე *ბაკანსა* (დ. გურამ.). თუცა შემძლებოდა მისსა თავისა *ბაკანსა* ველთა მიწათა გავასწორობდიო (ქილ. 340, 33).

ახ. ქართ. **ბაკანი** 1. კუს ზურგის რქოვანა ფარი. კუს *ბაკანი* გაუტყდა – ჭირადაც ეყო და ლხინადაცო (ანდაზა). ფიგურ. ქვეყანა დავიწროვდა, ჟინჟლიანი ბურუსის *ბაკანში* შეძვრა (ნ. შატ.). 2. ხის ჯამი. ვხვეწდი თაბხებს, ხონჩებს, ხის ჯამებს, თეფშებს, *ბაკნებს* (ვაჟა). დედამ უბრად დაწველა ფურები, უბრადვე შეზიდა რძიანი *ბაკნები* სარძევეში (ს. ქეთ.). 3. სამზარეულოს ონკანის ქვეშ დამონტაჟებული ფაიფურის ან ლითონის ავზი. ზინა სამზარეულოში გავიდა, ჭუჭყიანი თეფშები *ბაკანში* ჩააწყო (თ. ჭილ.). დაიბზარება ნაპირიდან ნაპირამდე შედუღაბებული *ბაკანი* (ვ. ჩხიკვ.).

დიალექტ. **ბაკანი** მეტ-ნაკლები სემანტიკური გადაწვევით დასტურდება: დიდი ჯამი ხის ან სპილენძისა; 2. ვარცლის მსგავსი მრგვალი ჭურჭელი, რომელშიც რძეს ჩაწურავენ; ქვაბი (თუშ. ხუბ., ცოც. ფშ. ხორნ.). ისარი უსო კოზო, რო *ბაკანილა* გაწვრიტა (მოხ. ლუდ.). ბაკან, მრ. ბაკნები ქვაბი. მაქალათები იტყვიან ციციკიდეთა– ფაფიან ბაკნებო-დ’ წავიდეთა– (თუშ. ხუბ.). რაჭულში გვხვდება ბაკანას სახითაც. საწყაო (ოთხი ბაკანი ერთი ფუთია).

ს.-ქართვ. \*ბაკან- „ბაკანი; ქვაბი; სკამი (ჩუხუა 2017).

საშ. ქართ. **II. ბაკანი** ჭიის ყირმიზი. წითელი სამხატვრო წამალია ჭიაფერისაგან ქმნილი. ლათინურად ეწოდების ფლორენციის სანდალოზი, ხოლო რუსულს ენაზედ მიუღიეს სახელი თვისი სპარსეთის ქალაქისა ბაქოსაგან, სადაცა ჭიაფერისა სიმრავლისა გამო აკეთებენ წამალსა ამას საკმაოდ (ი. ბაგრატი.).

### III. ბაკანი (თურქ.-არაბ.) ერთგვარი ლაქის საღებავი – მ. ჭაბ.

შესამღებელია, რომ II და III ბაკანი < ბაკამი; **ბაკამი** იუსტინე აბულაძე ამ სიტყვას არაბულიდან შემოსულად მიიჩნევს: «ბაკამი – არაბ. baqam ბაკამ ბრაზილიის ხე» (აბულაძე 1934, 570). „ტურფა საჩრდილო ხევნარი დარიგებულ: ნარინჯი ...*ბაკამი* (შპნ. I, 370). მ. ანდრონიკაშვილის მიხედვით, «ბაკამი – საღებავი (წითელი), ბრაზილიის ხე, სინათლის ზოლი მთვარის ან მზის გარშემო (ანდრონიკაშვილი 1996, 66). შდრ. **ბაკმი** მკრთალი შუქის რკალი მთვარის ზოგჯერ კი (მზის) ირგვლივ, შარავანდედივით.

#### ბალ-ი:

საშ. ქართ. **I. ბალი** წვეულობა – დ. ჩუბ.

დიდს *ბალს* უკეთებს (ნ. ბარათ.) – გ. გოგატ.

ახ. ქართ. **ბალი**: [ფრან. bal] საზეიმო წვეულება (მუსიკით, ცეკვით), – მეჯლისი. დაგვხვდება *ბალი* გაჩაღებული, ხალხი მრავალი (აკაკი). ან კიდევ *ბალი*, სტუმართა გროვა, ქარვის ვარაყი, დეზთა ხმაური... მუსიკა, ცეკვა, ქათინაური (ი. გრიშ.). საცეკვაო სადამო *ბალში* ვნახე ერთხელ და მასუკან გაგიქებულსავით დავდივარ (ა. ყაზბ. IV, 379, 13).

საშ. ახ. ქართ. **II. ბალი** ხე – ნ. ჩუბ.

**ბალი** [Cerasus avium] 1. საშუალო სიმაღლის ხეხილი ვარდისებრთა ოჯახისა; აქვს მსხვილი დახრილი ფოთოლი, თეთრი ყვავილი და კურკიანი წვრილი ნაყოფი. პეტრეს... იმ სახლთან ედგა მსხალ-ვაშლი, *ბალი*, ქლიავი, ჭანჭური (ბაჩ.). *ბლის* ქერქით ჭურს თავი გაურეცხა... და *ბლის* კანის ორჩხობით ხელმეორედ დაუწყო ჭურს რეცხა (ნ. ლორთქ.). 2. ამავე ხეხილის ნაყოფი, გრძელყუნწიანი, მომრგვალო, წვნიანი და ტკბილი. *ბალი* კენწეროში გამწარდებაო (ანდაზა). *ბალი* დამწიფდა ლალისფრად, ძირს დაუხრია ტოტები (აკაკი). დამწიფდა **ბალი**, დამაქრდა, გამოჩანს, ვითა ბროლია (ი. გოგებ.). მარგალიტის ტყუპის ცალი ტოკავს ბალი ნება-ნება (გ. ლეონ.).

დიალექტ. აგრეთვე: **ბალი** (ჩვენ. ფუტკ.).

სპეციალურ ლიტერატურაში მითითებულია, რომ სიტყვა სპარსული წარმოშობისაა. სხვათა კვალდაკვალ ჩვენ მივიჩნევთ, საერთო-ქართველური ფორმაა. შდრ. : ქართ. ბალი : მეგრ. ბული : ლაზ. ბული (ფენრიხი, სარჯველაძე 2000).

ახ. ქართ. **III. ბალი**: [ფრან. balle] 1. ამა თუ იმ მოვლენის (მაგ. : ქარის ქროლის, ზღვაზე დელვის და მისთ.) ინტენსიურობის ციფრობრივი გამოხატულება. ზღვის დელვა რვა *ბალს* აღწევდა. – მიწისძვრის სიძლიერე ოთხ *ბალს* უდრიდა. 2. მოწაფეთა ცოდნის შეფასების ნიშანი (შდრ. ხუთ-ბალიანი [სისტემა]). 3. ციფრებით აღნიშვნა მოპოვებული წარმატებისა სპორტის ზოგ სახეობაში.

**ბალიში-ი:**

ბალიში თავის ქვეშ სადები სასთაული დასაძინებლად // სვეტთა, ბოძთა და მისთანათა თავს შესადგმელი ქუა ან ხე, ბულაური – ნ. ჩუბ.

საშ., ახ. ქართ. **I. ბალიში** (სპ.) ბუმბულით ან სხვა რბილი მასალით გავსებული თავქვეშ სადები (ჩვეულებისამებრ, ოთხკუთხა ფორმისა). მას *ბალიში* შემოეგდო (ვეფხ. 409, 3). თავით დასადები ბალიშიც აღარ მომცეს (სამ. VII, 155).

გიორგის თავი უღონოდ მოწყდა *ბალიშზე* (ილია). თავით *ბალიშად* ქვა ედვა, ლეიბად – შამბი ძირზედა (ვაჟა). საბრალო დედაც ბალიშთან უჯდა წინოს (რ. ერისთ.). ეს სიტყვა დასტურდება სხვადასხვა წყვილებში: უნაგირის ბალიში, ჟანგბადის ბალიში, თითის ბალიში ...

დიალექტ. **ბალიში** ლავაშის თონეში ჩასაკრავი ბალიში (ფერეიდ. ჩხუბ.).

დიალექტ. **II. ბალიში** (სპ. ბალეშ) თხელი პური. ბალიშსაც მოიტანთ, პური ბალიშია (ფერეიდ. ჩხუბ.).

ახ. ქართ., დიალექტ. **III. ბალიში** 1. ძელის ქვეშ საყრდენად ამოღებული ხის ნაჭერი. 2. არქიტ. ძელის (კოჭის) ქვეშ საყრდენად ამოღებული ხის ნაჭერი. || სვეტისთავი (ოთხკუთხა ფილა). [მარანს] ორ ნაწილად ჰყოფს თაღებიანი კედელი ან ხის დედაბოძი ზედ დაბჯენილი გრძელი ბალიშით, რომელიც უხვადაა მოჩუქურთმებული (ა. ლეკ.).

დიალექტ. **ბალიში** ბელიში. რვილის თავის დასდები ღირღიტაზე (ლოლოვ., ფარცხ., ქართლ. მენთ.). ტორმუზის ღერძს აქ ხის ნაჭერი, რო ტორმუზის ღერძს არ შეეხოს ბორბალი, და იმას ქვია *ბალიში* (სხვიტორი, ზ-იმერ. ძოწ.). აგრეთვე: (თუშ. ცოც.).

შდრ. ბელიში «ხეზე ანახეთქი დიდი ნაფლეთი» (რაჭ. კობახ., ქეგლ, ზ-იმერ. ძოწ., ი. ჭყ.).

ვფიქრობთ, რომ ბელ-ეში < ბელ-ვა. სპ. **ბალიშისა** და ქართ. **ბელიშის** ფონეტიკური მსგავსების გამო განხორციელდა სიტყვათა მნიშვნელობის გადააზრება.

**ბამ-ი:**

საშ. ქართ. **I. ბამი** „ადგილი არს შესაწყვედველი, ვითარცა ჩვეული კერპთა ბოროტად მსახურებისა“ (საბა).

საშ. ქართ., დიალექტ. **II. ბამი** ძვ. „ალყის (= აბრეშუმის სიმის) ბოხი ხმა“ (საბა). დაბალი რეგისტრის ბგერის აღმნიშვნელი ძვ. ქართული მუსიკის ტერმინი; იოანე პეტრიწის (XI-XII სს.) განმარტებით – სამხმიანი სიმღერა, გალობის მესამე ხმა და სამსიმიანი საკრავის მესამე სიმი.

დიალექტ. **ბამ** [აზ. ბამ, ბამ] დაბალი ხმა, ბანი; ბამ ნაღრაჲ, ბამ იგი-ვეა, რაც დიდ ნაღრაჲ (ინგ. ლამბ.).

შდრ. **ბამბი** ბოხი ხმა დუდუკის დაკვრის დროს – ი. გრიშ.

საშ. ქართ. **III. ბამი**: პილპილი ინგლისური (დ. ჩუბ.).

ახ. ქართ. **IV. ბამი** [*Abelmoschus esculentus*] ერთწლოვანი მცენარე (ბალბისებრთა ოჯახისა); || ბამბის თესლი. მასალად მიეცით: ...რვა ბაჰარი ანუ (= ანდა) *ბამი* (ბ. ჯორჯ.) – ქეგლ., ახ. რედ.

#### **ბან-ი:**

ძვ. ქართ. **I. ბანი**: **აბანე** ბანის მაგიერ მიუმღერე. და ეს სიმღერა მის თქმას, მოძახილს *აბანე* (მც. სჯ. 313, 11, 4).

საშ. ქართ. **ბანი** ბანი გალობაში ანუ საკრავში დაბალი და ბოხი ხმა – ნ. ჩუბ. ძველად **ბანი** ხმაშეწყობილობას ეწოდებოდა (ჯავახიშვილი 1990, 306). ხოლო სხვათა გალობათა შინა ჳმა არს: მთქმელი, მაღალი *ბანი*, ანუ მომძახნებელი, და *ბანი*, ანუ მობანე (კალმას. II, 524, 1).

ახ. ქართ. *ბანი* მითხარით, ბიჭებო, ლექსი უნდა ვთქვაო! (ხალხ.). ჯაჯალამ დაიწყო სიმღერა, იმას სხვებმა მისცეს ბანი (ა. ყაზბ.). *ბანი* ისეთი ძლიერებით გუგუნებდა, რომელაც ხუთ-ექვს კაცზე ნაკლები ვერ მოახერხებდა (ნ. ლომ.).

დიალექტ. **ბანი**: ექო, გამოძახილი. „მე რომ სიმღერას ვიტყოდი, სხვები ბანს მომცემდნენ“. „ჰო ამან თქვა და იმანაც ბანი მომცა“. ისრე ყვიროდა, რო ხევი *ბანს* აძლემდა. „საყდარი ისეა გაკეთებული, რო დაილაჰარაკამ, *ბანს მოგცემს* (ჯავახ. ზედგ.).

ებანი უძველეს ხანში მხოლოდ შებანებისათვის იყო განკუთვნილი, მარტო შემბანებელი საკრავი იყო და ამიტომაც გვებადება აზრი, რომ ბანი, რომელიც თავდაპირველად აგრეთვე მხოლოდ შებანებასა ნიშნავდა და ებანი, რომელსაც ეგვიპტურს ზემოყვანილ სახელთან, უეჭველია, კავშირი უნდა ჰქონდეს ერთი და იმავე წარმოშობის სიტყვები უნდა იყოს (ჯავახიშვილი 1990, 275).

**ბანი** ბანი; მესამე სასიმღერო ხმა ზან. (მეგრ. ქობ.).

საშ. ქართ. **II. ბანი** ერდო, სართული სახლის //კომლის სავალი კერი-სა, ბუხრისა – ნ. ჩუბ.

საშ. ქართ. ჩემთა მჭვრეტელთა მოეცვა ქალაქი, შუკა და *ბანი* (ვეფხ. 478, 1). ...სამნი კაცნი *ბანთა* ზედა სხდეს (ამირან. 111, 8).

მაშინვე ფიცხლად ჩაირბინა *ბანი* (ვისრ. 137, 28). ერდო წარმოდგეს *ბანსა* ზედა (ქ. ცხ. II, 59, 3). წინ დალალი დავითას *ბანის* გზამდინა (სამ. VIII, 703, ქვ. 9). ყარიბთა *ბანი*, გზის საბანი, ეკლით შევსჩმახეთ (ბეს. 47, 9).

ახ. ქართ. **ბანი** დატკეპნილი მიწის სწორი (ბრტყელი) სახურავი სახლისა თუ სხვა ნაგებობისა (ოდნავ უკან დაქანებული). ჩავუხტეთ მუხრან-ბატონსა, თავს დავაქციოთ ბანიო! (ხალხ.). გაშალეთ სუფრა, გადმოვინეთ *ბანზე* ხალები (ი. გრიშ.).

ბანი მომდინარეობს შემდეგი სპარსული ლექსიკური ერთეულიდან – [bân], მოგვიანო გამოთქმაში – [bâm]. მისი მნიშვნელობაა – ბანი (ანდრონიკაშვილი II, 1996; ბართაია 2010, 25; გიგინეიშვილი 2016).

ბანე ბანი; მოსწორებული ადგილი ზან. (მეგრ. ქობ.).

საშ. ქართ. **III. ბანი** ბალახი. *ბანი* ერთი ბალახი არის რომე მისრეთს იშოვების ... ყუელა კარგად დანაყონ (იად. 521, 16). და ზეთი *ბანისა* და ზეთი ნარდისა... მოუსუსას ქანთელსა (კარაბ. 301, 28).

ახ. ქართ. **IV. ბანი** ქართული ანბანის მეორე ასოს სახელწოდება. ანს დახედე, *ბანს* დახედე, სიგრძესა და განს გახედე! (ანდაზა). ეს არის ანი, ეს არის *ბანი*; ისწავლეთ, გენაცვათო! (ი. გოგებ.). ხელახლა უნდა მოვინათლოთ ყველანი ქართველებად და ხელახლა უნდა შევისწავლოთ ანი და *ბანი*. მტერმა შეიძლება სკოლა დაგვინგრიოს (ო. ჭილ.).

ახ. ქართ. **V. ბანი** (რუმ. ბან) მოლდავეთისა და რუმინეთის ხურდა ფულ-მონეტა, უდრის ორ ლეის – ა. სიხ.

### ბანგ-ი:

საშ. ქართ. **I. ბანგი** ბანაკი. გზანი შეიკრნეს მძორითა, ჰყრია, მართ ვითა ბანგია (შჰნ. I 499, 1). ბანგი (თურქ.) ბანკ-ათასეული, ათასეული, ათასიანი, ათასი – იუსტ. აბულაძე. შდრ. ძვ. ქართ. **ბანაკი** «ერი», მხედრობა, რაზმი; გუნდი, ჯგუფი.

საშ. ქართ. **II. ბანგი** (სვ.) ბანგ-მათრობელა მცენარე; აქ კი მთვრალი, ნათრობი. საამისურ არ იყურა, ვითამც იყო ღვინით *ბანგი* (შჰნ. I, 1025, 3). ნუთუჰკუა შემეცვალა, ანუ ვიყავ მეტად ბანგი? (ნ. ციც. 424, 103, 3). ეშყით ბანგობს ვითა მთურალი (ფემ. 740, 2).

ახ. ქართ. ერთხელ შეაპარა *ბანგი*, დაათრო ქალი და ვაჟი (ზღაპ.) ლამის ისიც ვიფიქრე, ვინმემ ბანგი ხომ არ შემაპარა-მეთქი (ო. ჭილ.). ფიგურ. სიტყვისა და ლექსის სიტკბო ეკიდება, როგორც ბანგი (გ. ლეონ.).

**ბანგი** ირანული წარმომავლობისაა „მათრობელა მცენარე“ (იუსტ. აბულაძე).

დიალექტ. **III. ბანგი** ბანკი. იმ სახელმწიფოში იყო ერთი *ბანგი*. სუყოველდამე ტყდებოდა ი *ბანგი* (ხიდარი, ზ.-იმერ. ძოწ.).

ბანგი < ბანკი. შდრ. ახ. ქართ. **ბანკი** [ფრან. Banque] 1. მსხვილი ფინანსური დაწესებულება, სადაც ხდება ფულადი სახსრების თავმოყრა, მისი წარმართვა მიმოქცევაში, საკრედიტო ოპერაციები და სხვ.

### ბანდ-ი:

საშ. ქართ. **I. ბანდი** ნაჭერი: „იხილეს ძმაჲ ვინმე შიშუელი, რომელსა *ბანდი* რადმე მოესხა სარცხინველთა მისთა“ (მ. ცხ. 208r). „და *ბანდი* ჩასჭრა და ჩასცვივდა ნაკაზმი დანაფერია“ (შჰნ. I, 1972, 4).

ახ. ქართ. ბანდი 1. ჭრილობის შესახვევი (ქსოვილი). შდრ. ბინტი. ფეხზე მალამო წაუსვა და *ბანდით* შეუხვია (ლ. მალაზ.). ვანოს ცხვირ-პირი ბანდით აქვს აკრული (რ. ინან.). ჩანთაში მუდმ დახვეული *ბანდის* ნაჭერი მოუჩანდა (გ. ხალვ.). 2. წვრილი თოკი ან თასმა (რისამე სახლარ-

თად, მოსაკრავად). ქალამნები დამიძველდა, ზედ ავიხვიე *ბანდები* (ხალხ.).

დიალექტ: **ბანდი** ძველი ქსოვილის (ტყავის) ნაგლეჯი ქალამანში ჩასაფენად, ფეხზე დასახვევად. ქალმეფში რო ჩაიგებენ ხომე ჩვრეფსა, იმას ექვიან ბანდი (ტყვ.). ახალ წინდას რო ჩაიცვამდენ, ზედ გადაიხვევდენ ბანდას, როქალმეფს არ გაეფუჭებინა წინდები (ომ., ქართლ. ლექსიკ.). **ბანდი, ბანდები** 1. ძარღვებს ნიშნავს. ადამიანი რომ დაიხუთება იტყვის: „დამხუთა, *ბანდებ* მტკივაო“ ამასთან, იგი გურულში დადასტურებული სემანტიკური ელფერთაც გვხვდება. ცუდ, უვარგის, საქმის შემაბრკოლებელ თარს ადამიანს აღნიშნავს. ასეთი ადამიანი საქმეს ვერ ახანებს, აბანდებს, დროში აჭიანურებს. **დაბანდება** საქმის გაჭიანურებაა. 2. ქალამნის ამოსასხმელი ანუ ამოსაბანდავი (=ამოსახლართი) წვრილად დაჭრილი თასმებია, იგივე საბანდი, კოპი. ვაჟა-ფშაველასთან ეს ლექსიკური ერთეული გადატ. მნიშვნელობით გამოიყენება და 3. დოვლათს, ბარაქას აღნიშნავს. „ცხვარს დიდი მადლი აქვს, ბევრი *ბანდი* სცვივა; წელში ერთი ორადა ხდება, ორჯერ იპარება, ახლა ყველი ვიანგარიშოთ, ხაჭო (ფშ. გოგატ. 6). აგრეთვე: (ინგ. ღამბ., როსტ., ზ.-იმერ. მოწ., ჩვენ. ფუტკ., ზ.-იმერ. წერეთ., თუშ. ხუბ., ქართლ. ლექსიკ., ფერეიდ. ჩხუბ., აჭარ. ნოღ., ნიჟ.).

**ბანდი** სიტყვა ირანული წარმომავლობისაა (შდრ. ფალ. ბანდ „შესაკრავი“, „რგოლი“, „შეკვრა“) (გიგინეიშვილი 2016).

დიალექტ. **II. ბანდი** ჯებირი. ერთ ჯებირია ჩონ სოფელჩი, ჰქვიან ირაკოტის ბანდი (ჯებირი) (ფერეიდ. ჩხუბ.).

გამოთქმულ მოსაზრებათა მიხედვით 1. ბონდი საფიქრებელია, რომ ეს არის ლათინური პონ-ს / ნათ. პონტ-ის („ხიდი“) ფორმის ნაირსახეობა, მიღებული გამჟღერებით, რაც უნდა მიეწერებოდეს შუამავალი ენის გავლენას. თვით შუამავალი ენა გამოვლენილი არაა (გიგინეიშვილი 2016).

ქართ. ბანდი, მეგრ. ბონდი, „დაწნული; დაკიდებული დაწნული ხიდი“; ბონდილი „ბადე“; სვან. ლიბანდე „გაკერილი“ სპარსულიდან კი არაა ნასესხები, არამედ საერთო-ქართველური ოდენობებია (ბუკია 2013, 282).

**III. ბანდი** თეთრი ყურძენი, ნახჭავანის უბანსა და შარურში იყო გავრცელებული (ჯავახიშვილი V, 570).

დიალექტ. **IV. ბანდი** ცუდი, უვარგისი „ყოლიფერი ბანდი საქმე მეზარება“. „ბანდი კაცი, ყოლიფერს რუ ეტანება და ვეფერს აკეთებს, აგია“ (ს., გურ. ჯაჯ.). შესაძლოა, რომ სპ. „ცუდის“ მნიშვნელობის **ბადი**-საგან ნ-ს განვითარებით მიგველო **ბანდი**.

**IV. ბანდი** უნიკალური არაბული სალექსო ფორმა (ლექსი პროზად, სხვადასხვა სალექსო სტრიქონის გაერთიანებით). ბანდი არის შუალედური რგოლი ლექსსა და პროზას შორის (სილაგაძე 1992).



**ბანდა:**

საშ. ქართ. **I. ბანდა** მონა. მეც თქვენი მოსამსხურე ვარ, შენ თუ გინდივარ, მით, და არ[ა] ამითა, შენი ბანდა ვარ (ხოსრ. 54, 21). შდრ. (სპ.) ბანდე მონა; 2. ლაქია – ალ. ელერდ.

ახ. ქართ. **II. ბანდა** [იტალ. ბანდა] რაიმე სახის დამნაშავეთა (ყაჩაღთა, მძარცველთა, დივერსანტთა...) დაჯგუფება. ილიას ეტლს თავს დაესხა შეიარაღებული ბანდა და „მოკლეს, განგმირეს მგოსანი“ („არქივი“). [არსებობს] ტერორისტული ბანდის მაგვარი რაღაც (რ. თვარ. თარგმ.).

საშ. ქართ. **III. ბანდა**, ბანდი (სპ.) შეკრული, შეშარტული; უხმარი ძონძი; წვრილი თასმა სახლათავი; რომელიმე სენი ხვასტანგთა (დ. ჩუბ.). იხ. I. ბანდი.

**ბანიან-ი:**

ახ. ქართ. **ბანიანი I.** ბანის მქონე (სახლი). [მეფეს] ორიოდე ბანიანი სახლი ედგა (ვ. კობახ.). ყველა შეამჩნევდა...პატარა ბანიანი სახლს (რ. ინან.). იხ. III. ბანი.

ახ. ქართ. **I. ბანიანი** [ჩინ. ] ფიკუსის სახეობა, მრავლდება და იზრდება სწრაფად. არ ცდილობს ბანიანის ხედ გადაიქცეს და ამის გამო დედამიწა მომხიზვლეელი მწვანით იმოსება (რ. ინან.). კრიტიკა ვერ მოითმენს შთაგონების სიმულაციას, – როცა ბალახი ცდილობს ბანიანის ხედ იქცეს (ა. კალანდ.).

**ბაჟი:**

**ბაჟი** სომხურად თუმცა ეძახიან բაზ (ბაჟ ანუ პაჟ), მაგრამ ბაჟ სპარსული არის და არა სომხური. ქართულად ბაჟი ზვერი არის, აქედამ მეზვერე-მეზაჟე (თ. ზაგრატ.).

ძვ. ქართ. **I. ბაჟი** (სპ.) საქონელზე დადებული გადასახადი: „იხილეს რაჲ მეზუერე მისცეს ბაჟი მათი“ (მ. ცხ. 55r) „ანუ სამუშაო, ანუ სუხრაი, ანუ ბაჟი აღებული, ვითა არაი ზედა სდებია“ (საბუთ. 6:15).

ძველსავე ქართულში დასტურდება მეზაჟე, საზაჟე.

ანუ ბაჟს, დავლას, რად იღებთ სადუქნეს, საქულბაქოსა (დ. გურ. 138, 511, 4), იმერეთში ბაჟს ყოველს ალაგს იღებენ და გზაზედ გაგვრჯიან (სამ. VIII, 58, 10). ასე, რომ საჩხერის ბაჟი მესამედი ჩვენს ძმასა ბერს ქონდეს (სამ. VIII, 924, ქვ. 7). აიღონ ბაჟი... საჰყათ საქონელზე, ესე იგი საწვრილმანოზე, რომელ არს კალა, შაქარი, ჩაი... სანდალი (სამ. ბატ. დავ. 159, ქვ. 6). ართმევს ბაჟსა იმა ბოლაზში გავლის მიზეზით (კალმას. II, 77, 23). არ შეუნდო საწუთრომან, ბაჟ-ბეგარა მასცა სთხოვა (შჰნ. I, 182, 606, 30).

ახ. ქართ. **ბაჟი** 1. სახელმწიფო გადასახადი ქვეყანაში შემოსატანსა თუ ქვეყნიდან გასატან საქონელზე. გატანილ ნავაჭრზე ბაჟი უნდა გადაეხადა (დ. კლდ.). 2. მოძვ. გადასახადი ამა თუ იმ საქონლის დამზადებაზე. სოფლის სამართველოს დადგენას ზედ მოჰყვა ცვლილება ღვინისა და არყის ბაჟის თაობაზე (ილია).

**ბაჟი** გადასახადი, ბეგარა ბაჟი გადასახადი, ბაჟი. ზან. (მეგრ. ელ., სვან. თოფ. ქალდ.).

დიალექტ. **II. ბაჟი, ბაჟე** შეთვალეული ლეღვი. „ჩამოდი, გოგო, ძირს, ბაჟე ლეღვით რას ითითქავ ტუჩებს! (იმერ. გაჩ.).

დასტურდება **ბაჟ-** ფუძიანი შემდეგი ნაწარმოები სახელები და ზმნური ფორმები: **ბაჟიანა** დაუმწიფებლად, დაუვარგებლად. სულ *ბაჟიანა* ვჭამეთ ლეღვი (განთიადი, ზ.-იმერ. ძოწ.). **დაბაჟდება** ლეღვი შემწიფდება. *დაბაჟდა* ლეღვი, მალე დამწიფდება. **დაბაჟებული** შემწიფებული (ლეღვი). ლეღვი დაბაჟებულია უკვე. **შებაჟებული** სიმწიფედაწყებული, შეთვალეული (ლეღვი). ჩვენი ბორა ლეღვი ქვა *შებაჟებული* (იმერ. გაჩ.).

### **ბაჟე:**

დიალექტ. **I. ბაჟე** შეთვალეული ლეღვი. *ბაჟე* ლეღვს ჩვენ ვეძახით, როდესაც კუხია, კანს რომ მოვაძროვთ, თეთრი რძესავით გამოვა. ბაჟეს ვეძახით კიდო, ქათამს რომ დავკლავთ და მის ნიგვზისაგან წვეწვინ რომ გაუკეთებთ, ნიგვზიდან ზეთს გამოვხთით ხელით და იმ წვეწვინში გოურევთ (ზ. ქართ. მრეწ. IV, III, 1989, 53). იხ. II. ბაჟი.

ახ. ქართ., დიალექტ. **II. ბაჟე** უმად შეკმაზული ნიგვზისა და ნივრის საწებელი. შეწ წარმოიდგინე, ხეირიანი ნიგვზის *ბაჟეც* ვერ შეკაზმეს (ს. კლდ.). *ბაჟეში* ჩაწყობილი ქათმის ჩიჩია მოგიტანე (ნ. შამან.). წინ გვედგა სავსე სუფრა... *ბაჟეთი*, ღომით... (ტ. ჭანტ.). [გულჩინამ] *ბაჟეში* ჩაწყობილი წიწილი ტაბლაზე ჩამოდგა (ო. იოს.).

დიალექტ. **ბაჟე** ნიგოზს, ხმელ ქინძს, ზაფრანს, ნიორს, მარილს და პიმპილს დანაყავენ, გახსნიან გადახარშულ ცივ წყალში და ჩააწყობენ შიგ მოხარშულ აქნილ ქათამს, კვერცხს. ბაჟე აჭარაში ცნობილია აგრეთვე ზანტაკას და კაკლის წუწუნას სახელებით (აჭარ. ნოდ. 1986, 32).

ამავე მნიშვნელობით დასტურდება **ბაჟა: ბაჟა წვეწვი** ხორციანი კერძის შესაკმაზავი მომჟავო წვეწვი, ხაჟუჯი წვეწვი. ბევრჯერ მომენატრება შენი ნახელავი *ბაჟა* (ბ. თათარ.).

ზან. (მეგრ.) ვამზადებდით აგრეთვე წვეწვს, რომელსაც ვეძახდით *ბაჟაში* საწებელი (ქვ. სამეგრ. მრეწ. III, II, 214).

### **ბარ-ი:**

ძვ. ქართ. **I. ბარი** «ველოანი», «ღელე», ვაკე: ქუეყანად მთად და *ბარი* M, – „ქუეყანად მთოანი და ველოანი (არს) (G, II შჯ, 11, 11). „ვერ შეუძლეს დამკვდრებად მკვდრთა მათ *ბარისათა*“ M, – „ვერ შეუძლეს მოსრულებად მკვდრთა ღელისათა“ (მსჯ. 1, 19).

საშ. ქართ. **ბარი** „ვაკე“. *მთა-ბარი* ახლორებს ესრეთ (ქ. ცხ. IV, 657, 15). მზემან გაყრითა დაგაჭნე, ვითა ყვავილი *ბარისა* (რუსთაველი). ასი არაბთა ნახედნი ცხენი, მოსრული *ბარითა* (ნ. ციც. 601, 1082, 2).

გამოყენებულია როგორც საკუთარი სახელი, ადგილის აღსანიშნავად: **ბარის ერისთავი**: რამეთუ ესე *ბარის ერისთავი* იყო გენათელი (ქ. ცხ. IV, 886, 4, 8).

ახ. ქართ. **ბარი** 1. დაბლობი, ვაკიანი ადგილი, ჩვეულებისამებრ – დასახლებული და სახნავმიწებიანი (საპირისპ. მთა). მთისა მეცხვარესა ჰკითხე, *ბარისა* – გუთნისდედასაო (ანდაზა). 2. გადატ. ბარის მცხოვრებნი ერთობლივ. მაშ, *ბარი* რაღასა ჩადის და ან იმისი ერთობა? (ზაჩ.).

საშ., ახ. ქართ. **II. ბარი** [Falco cherrug] მონადირე ფრინველი, მოლურჯო ფერით.

ჭორცისმჭამელნი: ყაჯირი, სუავი,... *ბარი*, ქორი თეთრი და წითელი (ქ. ცხ. IV, 42, 13). ჰკრა, მოკლა და ჩამოყარნა, გლონი ჯოგი ვითა *ბარმან* (შვიდ. 508, 1064). გავაზები და *ბარები* გავჰყარეთ, მაღლა აუშვით (არჩ. 392, 317, 3). მოასხმევიანის მრავალი სონღული, შავარდენი, გავაზი, *ბარი*, ქორი, მიმინო და ავაზა (რუსუდ. 323, 31). ფიცხლა აცნობეს, აფრინეს, ვითა ორბი და *ბარია* (შჰნ. I, 865, 4). გავაზს *ბარი* მივადევენოთ (ფემ. 233, 3). იხ. II. ბაჭრი.

საშ. ქართ. **III. ბარი**: ...მისთვის არცა სად სამარე, არცა სათხარად *ბარია* (ვეფხ. 1116, 4). გლებთა: ცული და წალდი, *ბარი*, თოხი (კალმას. 558, 6). არარა ჰქონდა პინა და ჯოხი / და კუთხეშია ეყუდა *ბარი* (ს. რაზმ. 118, ქვ. 2).

ახ. ქართ. **ბარი** 1. ბრტყელი წვერმახვილი რკინის იარაღი, ხის ტარზე დაგებული (მიწის ჩასაჭრელ-გადასაბრუნებლად ან სათხრელად). *ბარს* დაჰკრავს, *ბარს*, ასე გგონია, დედამიწა უნდა შუაგულამდე ჩაანგრიოსო! (ილია). 2. იგივეა, რაც სახნისი. გუთნისდედამ შეაყენა გუთანნი, *ბარი* ძირს დაუშვა, ნაკვეთი შესაფერად მოუწყო და თავში ერთის მხრიდან სოლი მიცა საკვეთს (ილია).

**ბარ**-ფუძიანი ნასახელარი ზმნები, ნაწარმოები და რთული სახელები ფართოდაა გავრცელებული მეტ-ნაკლები სემანტიკით, როგორც სამწერლო ენაში ისე მის ყველა დიალექტში. მაგ. **ბარავს**, **გაბარვა** (აჭარ. ნიჟ.; რაჭ. ასათ.; ზ.-იმერ. მოწ.).

მეგრულად თოხს „ბერგი“ ეწოდება. ეს ტერმინი ჭანურშიც არსებობს და „ბერგი“-სავე (არქაბ., ვიწ. ხოფ.) და „ბერჯი“-ს სახითაა დაცული. იქ ეს სიტყვა ვიწრო, წვეტიან რკინის თოხსაც ჰნიშნავს, რომელიც მიწას ღრმად არ სთოხნის, და ცულსაც... შესაძლებელია, „ბარგი“-საგან იყოს წარმომდგარი მიწის სათხრელი იარაღის სათხრელი „ბარიც“ („გ“-ს გაქრობით, როგორც „მორგვისაგან წარმოსდგა „მორი“, კარგისაგან – „კაი“ და სხვ. იხ. სქ. 2 (ჯავახიშვილი 1930, 212, 213).

წარმომავლობა უცნობია. შესაძლოა ბარი ნასესხები იყოს ზანურიდან (შდრ. ბარუა „ბარვა“), ხოლო ქართული შესატყვისი – \*ბერი ან \*ბელი – დაკარგული იყოს. იგი შემონახული ჩანს ფალაური ან. ახ. სპარსული *bēl* („ბარი“) სიტყვის სახით, რომელსაც ინდოევროპული ეტიმოლოგია არ ეძებნება და ქართულიდან ჩანს ნასესხები (გიგინეიშვილი 2016).

აღდგენილია ს.-ქართვ. \*ბარ – „ბარი, ბარვა“. მ. ჩუხუას აზრით საკითხი დამატებით შესწავლას მოითხოვს (ჩუხუა 2017).

დიალექტ. **IV. ბარბ** მარილში გამოყვანილი და გამშრალი ან შიგნეული. ხარშავენ ან როგორც ხაშს, ან მხალეულის შებოლილი პირუტყვის წვნიანს, უშვრებიან ცხიმის მაგივრად. შეიძლება დააღებონ და ხინკალიც გააკეთონ. **ბარიან კვერებ** ბარის ხინკალი. *ბარიან კვერებ* მეტაყ საკარგაგოდ იტყვის წინავე-დ დახლ კი აღარა იციან (თუშ. ცოც.). **ბარი** ძროხის, ცხვრის, თხის ან ნადირის ფაშს (ფაშვი), ნაწლევს და ფირტვა[ყ]ს გარეცხავენ, გასუფთაებენ, ...*ბარს* ხმარობენ ან კვერის (ხინკლის) გულად (ხშირად), ან კიდევ ხორცად (იშვიათად) (თუშ. მრეწ. III<sup>2</sup>, 84). **ბარ** (ინგ.) ღვიძლის ნაჭერი. „ფურტს – ფილტვს წვრილად დასჭრიან, ნაწლავებს მოახვევენ და მოჰხარშავენ. ამას *ბარი* ჰქვიათ (მ. ჯან., 163; ა. შან., 347).

ს.-ქართვ. \*ბარ-„ფილტვი; კუჭი“ (ჩუხუა 2017).

აბ. ქართ. **V. ბარი** [ინგ. bar] 1. პატარა რესტორანი, სადაც, ჩვეულები-სამებრ, დგომელა შეექცევიან საჭმელ-სასმელს. *ბარში* ბევრი ხალხი იყო; ბლუზს უკრავდნენ (ე. მადრ.). 2. სპეციალური მისასხდომი დახლი ასეთ სასადილოში. 3. სასმელების შესანახი კარადის სახეობა.

აბ. ქართ. **VI. ბარი** [ინგლ. bar] თავდაპირველად შემოსაზღვრული ადგილი (დგამი) სასამართლო დარბაზში, რომლის უკან დგას მოსამართლე.

აბ. ქართ. **VII. ბარი** (ინგლ. bar, აქ – ლითონის ზოლი), საყელავი მანქანის (ან სამთო კომბაინის) მუშა ორგანო, მიმმართველი ჩარჩო, რომლის რალში მოძრაობს კბილებიანი ჯაჭვი. განკუთვნილია მასივში (მაგ., ნახშირის ფენაში) ყელის შესაქმნელად – ქსე.

აბ. ქართ. **VIII. ბარი** (< ინგლ. bar, ფრანგ. barre, აქ – მეჩეჩი). 1. სანაპირო ბარი ხმელეთის ვიწრო ნაპირის გაყოლებით წარმოიქმნება ზღვასა და ლაგუნას შორის ტალღების მიერ ზღვის ფსკერის ნატანი – ქვიშის, ნიჟარების, კენჭებისა და კაჭარის ნაპირისაკენ მოხვეტის შედეგად.

აბ. ქართ. **IX. ბარი** [ძვ. -ბერძ. βάρια სიმბიმე. [ატმოსფერული წნევის საზომი ერთეული (შდრ. ბარომეტრი).

აბ. ქართ. **X. ბარი** (Bari) ქალაქი და დიდი ნავსადგური სამხრ. იტალიაში – ქსე.

დიალექტ. **XI. ბარი** (თ. bar) ხალხური ცეკვა. ბარი კაი ყედიია, ართვინლები ზოვლი ისამებენ (ინ., ჩვენ. ფუტკ.).

დიალექტ. **XII. ბარი** წილი, არჩივი. ნუ გეშინია, მეცხვარეც, ეგ ჩემი ბარი იქნება (ქხპ., 1973). შდრ. IV. ბარა, ბარობა.

დიალექტ. **XIII. ბარი** ბრალი, დანაშაული. – შენ თუ მუცელი გტკივა, რა ჩემი *ბარია* (რაცხ. გურ.). ბარი < ბრალი.

**ბარა:**

საშ. ქართ. **I. ბარა** გადასახადი. იქაურს მამულის *ბარაზედ* ხელი აიღონ (სამ. VIII, 728, 15). ნიქოზი ჩემი არის, ა[მ] მამულის *ბარას* მე ავიღეფო (სამ. IV, 362, 24). რომელიც ამ არზით თქვენის სიმაღლისათვის მომეხსენებინოს, სამართლით თეიმურაზ ფარემთუხუცესსა ებრძანოს ამ მამული *ბარისა* და კულუხის აღებისა (სამ. VIII, 461, 19). შარშან მერგებოდა ორმოცი კოდი *ბარა* (სამ. IV, 512, 5).

დიალექტ. **ბარა, ბაჰრა** მოსავლიდან ბატონისათვის გადასახადი (ჯავახ. მარტ.).

საშ. ქართ. **II. ბარა** მცენ. წბო – დ. ჩუბ.

საშ. ქართ. **III. ბარი, ბარა, ბარე** ვაკე ადგილი, დაბლობი. აწ გესალმე-ბი ყველასა, სოფელსა, მთა და *ბარასა* (ბეს. 156, 18, შერითმულია სიტყვებთან არასა, ჩქარასა). -ოდეს გასცილდა სოფლისა არესა, მთასა და *ბარეს* (ბეს. 159, 9).

დიალექტ. **ბარა** არემარე, ეზო-ყურე. – მაგან ისე გამამწარა, რომე ვერ გეიარს ჩემ *ბარაზე* (რაცხ. გურ.). ცოცხალმა აფერმა გეიარა მის *ბარაზე* (გურ. ჟდ.).

ზან. **ბარა** სამზეო, მზიანი, გაშლილი ადგილი, სანიავო; ეზოს მიმდებარე სასიცოცხლო სივრცე, გასაქანი, მიდამო (მეგრ. ქობ.).

ს.-ქართვ. \*ბარა „კარ-მიდამო“ (ჩუხუა 2017).

დიალექტ. **IV. ბარა || ბარობა.** ჩემ *ბარაზე* ჩემს წილად. ჩემ *ბარაზე* არაფერი ყოფილა (ტაბაკინი, ზ.-იმერ. მოწ.). აი ერთი ბიჭია, მეტი აფერია ჩემ *ბარაზე* (ჩოჩხ.). ყოველთვის-ზე თანდებულთ იხმარება (გურ. ჯაჯ.).

დიალექტ. **V. ბარა: ერთ ბარაში ატარებს** (გაატარებს) ერთი საზომით უდგება (მიუდგება), ერთნაირად 'და' აფასებს. უხეიროსა და კარქს რო ერთნაირათ გამოიყენეფს, იმაზე იტყვიან, *ერთ ბარაში გაატარაო* (კავთ.). ან-ჩხლი დედაკაცია და სუ ჩხუბოფს განთავათა, არც ბებერი იციო, არც ჯეელი, სუყველაჲ *ერთ ბარაში ატარეფს* (წილკ., ქართლ. ლექსიკ.).

შდრ. **ბერაში გატარება** ვისიმე დამარცხება ან დაშინება და შერცხვენა (შდრ. ალაიაში გატარება). ყველა ჩვენს მჭამელ-მცარცველსა *ბერაში გაატარებენ* (ბაჩ.). ჩოხელმა არ იფიქროს, მისი ადგილი უნდა და *ბერაში ატარებსო* (ვ. ლორთქ.).

**VI. ბარა** ძვ. შვილის ორივე სქესის მაუწყებელი ზოგადად (ივ. ჯავახ.).

**ბარაკ-ი:**

საშ. ქართ. **I. ბარაკი // ბარაკია** (სომხ.) იხ. I. ბავრუკი. აიღე ბარაკი, მარამხოტი, თეთრი ხარბაყი (ფანასკ. 47, 38).

ახ. ქართ. **II. ბარაკი** [ფრან. baraque] 1. ხის სახელდახელო ნაგებობა (დროებით საცხოვრებლად). სამუშაო გაუჩინა თავის ქარხანაში და ცალკე *ბარაკშიც* მოათავსა (შ. დად.). ვიდრე ბურიდან დაბრუნდებოდა, მირიანი

იმავე *ბარაკში* შეუსახლებიათ (ა. სულაკ.). [სოფლის] ერთი მხარე... *ბარაკებმა* და კოტეჯებმა დაიკავეს (რ. ინან.). ერთ-ერთი *ბარაკი* ზედ კოლექტორზე დაიდგა (ჭ. ამირეჯ.). 2. მოძვ. განცალკევებული საავადმყოფოს შენობა გადამდები სნეულებით დაავადებულთა საიზოლაციოდ (ეპიდემიების დროს) – ქეგლ.

### **ბარდი-**

საშ. ქართ. **I. ბარდი** მცენარეა: უგრეხელი – დ. ჩუბ.

საშ. ქართ. **II. ბარდი** ბუჩქის ღერო. ბიისა მშვილდო ფიცხელო, *ბარდის* ისრისა მძმურო-და (ზეს. 115, 8).

ახ. ქართ., დიალექტ. **ბარდი** ბუჩქების ან ბალახეული მცენარის ერთმანეთში გართხმულ-გადახლართული ღეროები. დავუწყე ძებნა, გადავწი-გადმოვწიე *ბარდები* და მივაგენი ერთ მწიფე ნესვს (აკაკი). ტყის პირად გაბმულ *ბარდებში* შვილებს რომ ვეტყვი ნანასა... (შ. მღვიმ.). მიყვარს შაშვიცა, შავად მზინავი, ეკლის *ბარდებში* რომ იმალება (დ. მეგრ.).

ზან. **ბართვი** ბარდი (მეგრ. ქობ.).

დიალექტ. **III. ბარდი** საფარველი. მაშინ თოვლის ბარდი ჰფარავდა, მაგის შაოსან სახეს (ბ. „ჯეჯ.“ – ივ. ქეშიკ.). იხ. II. ბარდანი.

ახ. ქართ. **IV. ბარდი** [კელტ. bard] კელტური ტომების სახალხო მგოსან-მომღერალი (ირლანდიაში, უელსში, შოტლანდიაში). გამოჩენილი *ბარდის* დაბადების დღეს მისი მრავალრიცხოვანი თაყვანისმცემლები შეიკრიბნენ («ახ. ამბ. -საქ.»).

### **ბარდა:**

საშ. ქართ. **I. ბარდა** ჩენჩო, პარკი მწვანე ცერცვისა, მუხუდოსი და სხვ. ბარდა, ცერცვი; ბარდის გული – დ. ჩუბ. ბარდა ბალ. კატაბარდა – საბა.

ახ. ქართ. **ბარდა** [Pisum sativum] ერთწლოვანი პარკოსანი კულტურული მცენარე; ღერო-ფოთოლი იხმარება საქონლის საკვებად, მწვანე პარკი და მარცვალი – ადამიანის საკვებად. მწვანე *ბარდა* მოხარშეთ 8 წუთის განმავლობაში («იმედ. ფორ.»). **მინდვრის ბარდა** [Pisum arvense] იმავე მცენარის სახეობა, რომელიც უმთავრესად მინდვრად ითესება საქონლის საკვებად.

ახ. ქართ. **II. ბარდა** (თურან.) სპირტის წარმოების მეორადი პროდუქტი, რომელიც იქმნება კარტოფილის, მარცვლეული ან ბადაგის დუღილისას – ა. სიხ.

### **ბარდანი-**

საშ. ქართ. **I. ბარდანი** ძამის ტომარა საბზეე. სხვათა ენაა, ქართულად თ ა ლ ი ა ჰქვია(ნ) – საბა.

**ბარდანი** ბარგი, ტვირთი. შდრ. II. ბარდანა. „ლუკიდი ვირითვინ ბარდანი ბერსა“ (იმ., ჩვენ. ფუტკ.).

ახ. ქართ. **II. ბარდანი** ბლომად დადებული თოვლის ფანტელები (შდრ. ბარდნა, ბარდნის). ტოტებზე ფოთლების მაგივრად თოვლის *ბარდანები* და ყინულის ლოლუები ჰკიდია (ი. გოგებ.). თოვლი ლხვებოდა პირმზითში, *ბარდანი* ჩამოდიოდა (ვაჟა).

დიალექტ. **ბარდანი** ახლად ნათოვლი ხეებს რომ დაედება. ამ *ბარდანში* რა ნადირობისია, ტყეში არ შეისვლება (ფშ. ხორნ.). ქარმა ახალი თოვლი და ხეებიდან ჩამონადენი *ბარდანი* შეაყარა ყურებში (თ. მოთხ. 38, 1 – ივ. ქეშიკ.). აგრეთვე: (თუშ. ცოც.).

შდრ. **ბარდამი** მცენარეებზე, ხის ტოტებზე შერჩენილი წვიმის წვეთები ან სველი თოვლი (ხევს. ჭინჭ.).

შდრ. სვან. **ბურდან** თოვლიანი ნამქერი (თოფ. ქალდ.). იხ. შდრ. III. ბარდი.

დიალექტ. **III. ბარდანი** იხ. II. ბარდი. ბუჩქები იყო გადასული, *ბარდანი* ის იყო, ქვეშ იმტენი ადგილი იყო, ნადირი დაიმალებოდა (იგ.); კაპარჩხანამა დიდი *ბარდანი* ბუჩქები იცის (იგ.); *ბარდანში* ვერ გაივლი (კავთ., ქართლ. მესხ.).

### **ბარდანა:**

საშ. ქართ. **I. ბარდანა** მც. ძირხვენა – დ. ჩუბ.

ახ. ქართ. **II. ბარდანა** დიდი ტომარა, ჩვეულებისამებრ, მატყლის, ბამბის, ბზისა და მისთანათა ჩასადებ-გადასაზიდად. ეს *ბარდანები* აქეთ დააწყეთ (ვ. ჩეკურ.). მართო სამი *ბარდანა* წვრილი წიწაკა მაქვს დაკრეფილი (რ. ინან.). ერთი *ბარდანა* მზესუმზირა მოეპარა ვეშაპა ნაპოს (ა. გალდ.). ფიგურ. თქვენ ბარაქის *ბარდანები* მოგაქვთ ყველა მხრიდან (გ. ლეონ.).

დიალექტ. **ბარდანა** ფშ., თ. ტილოს ან შალის ტომარა მატყლისათვის – ა. შან. შდრ. (სპ.) ბარდან საგზაო ჩანთა.

### **ბარსაბონ-ი:**

ძვ. ქართ. **I. ბარსაბონი** რაღაც მოხელეა: „აჰა *ბარსაბონი* სომხითისაჲ... რომელ იყო მფლობელ ქუეყანისა ჩუენისაჲ და აქუნდა კელმწიფე ბაჲ დივანთა განგებასა ზედა“ (Sin –11, 44r).

ძვ. ქართ. **II. ბარსაბონი** ბალზამი Balsamum: „სხუაჲ არს ასქინოსა გომიზი და სხუაჲ *ბარსაბონისაჲ*“ (ბას. კეს. -ექუს. დღ. 74, 8). **ბარსაბონი** არაბ.-სპ. balasān – „ბალზამის ხე“ (ანდრონიკაშვილი II, 1996). ძველ ძეგლებში ამავე მნიშვნელობით გვხვდება აგრეთვე: ბალსამი, ვალსამო, ვალანო.

### **ბარქაზ-ი:**

საშ. ქართ. **I. ბარქაზი** (არაბ.) დიდი გემი – დ. ჩუბ. იგივე უნდა იყოს რაც ახ. ქართ. ბარკასი [ჰოლან. barcas] 1. დიდი მრავალნიჩბიანი ნავი (გემ-ზე). 2. თვითმავალი პატარა გემი ნავსადგურის მომსახურებისათვის, – კარაპა – ქეგლ.

საშ. ქართ. **II. ბარქაზი** სოკოა – დ. ჩუბ. ჯერ კიდევ არ არის დადგენილი, კერძოდ რომელ სოკოს მიეკუთვნება მთელი რიგი ქართული სახელე-ბი: *ბარქაზი*, *გორნიჭულა*, *თხილის ... სოკო* (სამზარ.).

#### **ბასმა:**

საშ. ქართ. **I. ბასმა** (სპარს.) თმის შავი საღებავი – დ. ჩუბ.

ახ. ქართ. **ბასმა** დარგ. 1. საღებავი, ჩვეულებისამებრ, შავი. ერთი ჩარეკა ჰინა და **ბასმა** ბროწეულის ქერქარეული – თავის ტკივილისათვის კარგია (ი. გრიშ.). 2. თეთრი წებოვანი საღებავი, ჰაერზე მალე შრება; ქალის ლეჩაქებზე ამ *ბასმით* გამოჰყავდათ ყვავილის სახეები.

დიალექტ. **II. ბასმაი** ერთგვარი ავადმყოფობა. უმთავრესად ბავშვებს ემართებათ, სუნთქვა ეკვრით და ახველებთ. ყმაწულს *ბასმა* ქნაში მიჰყონენ ბებერთან. ეე ბებერ ლაჯავს ყმაწულს (ინგ. ღამბ.).

დიალექტ. **III. ბასმა** (თურქ. basma) ჩითი, მიტკალი. სიცხეში *ბასმა* გუაცვია (ინ., ჩვენ. ფუტკ.).

საშ. ქართ. **IV. ბასმა** სტამბა სპ. თურქ., სომხ. ბასმა; ესე არს დასაბეჭდავი წერილთა, რომელ არს თ ე გ ი – საბა.

**ბასმა** [თათრ. ბასმა ანაბეჭდი] – (ისტ.). 1. ლითონის (ვერცხლის, სპილენძის, ოქროს) თხელი ფურცლები ზედ ამოტვიფრული ნახატით; ხმარობდნენ სამკაულად. 2. ლითონის ფირფიტა (ან ბეჭედი), რომელზედაც გამოსახული იყო თათრის ხანი; წარმოადგენდა რწმუნების სიგელს – მ. ჭაბ.

#### **ბასრი-ი:**

საშ. ქართ. **I. ბასრი** ფოლადი, რკინაა – საბა, ნ. ჩუბ. ჩემი გაჰკვეთს ხორცსა მათსა ხრმალი *ბასრი* (ვეფხ. 439, 3).

კმაღნი *ბასრისა* მკვეთელნი (ამირან. 475, სქ. 8). ცეცხლსა ზედა ჯდომა ვით დავთმო, თუ სული ჩემი *ბასრიცა* იყოს ანუ რვალი? (ვისრ. 198, 3). მისითაა ჯელოვნებითა და გრძნეულობითა ეგზომ მაგალითი იყო, რომელ *ბასრისა* გურდემლისაგან ვარდსა ააყუავებდა (ვისრ. 151, 33).

გადატ. სიხარულისა წალკოტსა შიგან სარო ვიყავ და ომისა ველსა *ბასრი* მთა (ვისრ. 194, 3).

ნავშადურ... ამას იტყოდა: *ბასრისა* რკინისა გამტეხელო (რუსუდ. 155, 9). ოდეს ისარს ხმალი *ბასრი* შეხვდეს, ვედარ ღონით ისროს (ბეს. 128, 229). ვით ფურცელი, კაცის თავი, მოცვიოდა *ბასრის* ჯრმლითა (შჰნ. III, 357, 4). რაც რბილად ჰგონოს, უმაგრდეს, ვით *ბასრი* წყალსა ნაყოფი (ვახტ. VI, 135, 4). **პირბასრი** პირმახვილი, პირწვეტიანი. მათ შუა მოციქულად ქორაფისა ისრები არწივისა ფრთოსანი, *პირ-ბასრნი*, მიდიოდეს და მოდიოდეს (ვისრ. 49, 30). *პირ-ბასრი* არყის ისარი ქარქაშიგა მიც ლესული (შჰნ. I, 1509, 3). ხელთ *პირბასრი* ხიშტი უჭირავს (რუსუდ. 289, 21).



ახ. ქართ. **ბასრი** 1. მეტად მჭრელი, მახვილი. *ბასრი* ყოფილხარ, ფოლადო, თუ აგრე ჭრიდი ძვალსაო (ხალხ.). და გაკვეთს *ბასრი* მახვილი ერთად რბილსა და ძვალსაო (აკაკი). ფიგურ. ძნელად შეიძლება საქმე ისე წარიმართოს, რომ პირადობამ არ ამოყოს თავი და თავისი *ბასრი* კლანჭი არ გამოჰკრას საზოგადო საქმეს (ილია). 2. მკვეთრი, ძლიერი, მძაფრი. დაუნდობელმა, *ბასრმა* ტკივილმა აზროვნება ჩაუხშო (გ. გეგემ.). 3. ძვ. მაღალი ღირსების ფოლადი. ისრის პირი *ბასრისა* იყო (საბა). ცელო, გამიჭერ! მჭედელმა პირი გიდულა *ბასრისა* (ზაჩ.). || ასეთი ფოლადისაგან გაკეთებული იარაღი (ხმალი). დაე, მოვკვდე მე უპატრონოდ, მისგან ოხერი! ვერ შემეშინოს მისმა *ბასრმა* მოსისხლე მტერი! (ნ. ბარათ.). ◊ **ბასრი ენა** მჭრელი ენა; მომწყვლელი მეტყველება.

დიალექტ. **ბასრი** ძალიან მჭრელი რკინა, ფოლადი. ჩემი დანა იგეთია, როგორც *ბასრი* რკინა (ქიზ. მენტ.).

**ბასრის წმალი** მჭრელი, მკვეთრი ხმალი. ქმოსტელი ყარდანაული *ბასრის წმალია* ფხიანი (ხევს. პოეზ. 169, 10). გახუა ხიტალიონი *ბასრის წმალია* ფხიანი (ხევს. პოეზ. 51, 8) – ალ. ჭინჭ.

დიალექტებში გარდა ზემოაღნიშნული მნიშვნელობისა **ბასრი** გვხვდება შემდეგ სინტაგმაშიც: **ბასრის ქვა** ბასრი ქვა, რიყის ქვა. შდრ. ხოხის ქვა. ზენ-უზან დაგიჯაზნებდი ნაგებსა *ბასრის ქვისასა* (ხევს. პოეზ. 134, 18) – ალ. ჭინჭ. **ბასრი** მოშავო ფერის ქვის ერთ-ერთი სახეობაა. **ბასრი ქვა** ხოხად არ ვარგა – მაგარია და ვერ ლესავს ცელესა (მოხ. ლუდ.).

**ბასრი** (ქვა, კლდე) ფშ., ჯ., გუდ., მთ., მოჯ. მაგარი, საპირისპიროა ჩეთი: ჩეთი კლდე მთ., გუდ., ადვილად დასაშლელი კლდე. მაგარი ქვა, სალესავი ქვა – ა. შან.

**ბასრი** არის დანა-ჩხირი (დანა), რომელიც იხმარება ვიწრო ჭურჭლის გვამისა და ყელის თავის შემოსაჭრელი – შემოსაწმენდად (ზ.-იმერ. მოწ. 575).

სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით 1. **ბასრი რკინა** (მომდინარეობს ერაცის ქ. ბასრადან, განთქმული იყო იარაღით) (კობიძე I, 1983, 323).

2. შემოსული ჩანს არაბულიდან (შდრ. არაბ. ბასრ *„ბასრული „ბასრელი – (წერეთელი 1951, 27; იმედაძე 2014, 117).*

3. ივ. ჯავახიშვილის აზრით, სიტყვა ბასრი ქართული წარმოშობისაა: «იგი მოდის უძველესი, ნამდვილი ქართული ზმნისგან – «სრევა»-საგან და წარმოადგენს მის უსქესო მიმღობას, ე. ი. ეს ცნება უძველეს დროს ეკუთვნის» ... «სრეველა უძველესი ქართული სიტყვაა და სალესს ნიშნავს» (ჯავახიშვილი 1962, 251-252).

4. მ. ჩუხუა გამორიცხავს ქართული ბასრი ფორმის რაიმენაირ კავშირს არაბულ ბასრა-სთან (ქალაქია) (ჩუხუა 2017). იგი აღადგენს ს.-ქართვ. \*ბასრ- ფოლადი (ს.-ქართვ. \*ბასრ- „ბასრი, მჭრელი; მამრი“ > ქართ. ბასრი: ზან. ბოშ-ი: სვან. ბასრ < \*ბაშრ-; ს.-ქართვ. \*ბასრ- ფუძეს შესატყვისები ეძებნება სხვა იბერიულ-კავკასიურ ენებშიც (ჩუხუა 2000-2003).

5. მოჩვენებითა ამ სიტყვის ასოციაცია ზმნასთან ბასრობა (დაცინვა, „ბოროტი ენამახვილობა, გაკიცხვა“), რომელიც ძველ ქართულში გვხვდება და რომელიც კავშირშია ძველ სომხურ ფორმასთან ბასრელ „გაკიცხვა, გაკილვა“ „საყვედურის თქმა“ (გიგინეიშვილი 2016).

საინტერესოა ამ თვალსაზრისით „დაცინვის“ აღმნიშვნელი ბასრ-„შეფერვის“ აღმნიშვნელი ფუძეთა ურთერთკავშირი. შდრ. ს.-ქართვ. \*ბასრ-შეფერვა, შეღებვა ქართ. ფშ. ბასრავს, გაბასრავს შეღებავს, შეფერავს (ჩუხუა 2017).

დიალექტ. **II. ბასრი** ქათმის ავადმყოფობაა, უეცრად კლავს. შარშან ჩვენ ქათმეფს ბასრი დეერია. ქათამა იცის ბასრი, ინდოურმა – ჭირი (შომახეთი, ზ.-იმერ. მოწ.).

შდრ. ბასერანი, ბასრანი სენია, რომელსა ბერძულად აბასარიკას უჭმობენ – საბა.

### **ბატონ-ი:**

სამ. ქართ. **I. 1. ბატონი** (სწარმოებს) პატრონისაგან, რომელიც არის ლათინური სიტყვა და ჰნიშნავს: მფარველსა, ან მფლობელსა) – დ. ჩუბ.

ახ. ქართ. **ბატონი** [ლათ. patronus მფარველი] 1. პრივილეგირებული წოდების წარმომადგენელი ბატონყმობის დროს, მიწისა და ყმების მეპატრონე, – მებატონე, მემამულე. მაშინ თორმეტი წლისა ვიყავი, როცა ბატონმა სახლს მომაშორა (ილია). მხოლოდ საფლავი ჰქონიათ ბატონის წაურთმეველი! (გ. ლეონ.). 2. მპყრობელი, მმართველი, მბრძანებელი, მეფე. ბატონს თვის ჯარი კრწანისის მინდვრად დაეხანაკა სპარსთა საომრად! (ნ. ბარათ.). 3. გადატ. რისამე განმგებელი, უფროსი. ან მე უნდ ვიყო მთებში *ბატონი*, ან შენ, არწივო! ორივეს აქ ბინა არა გვაქვს [ამბობდა სვავი] (თ. რაზიკ.). 4. თავაზიანი მიმართვა ან ხსენება ვისიმე (ჩვეულებისამებრ, სახელთან ერთად) გემორჩილებით, ძმაო *ბატონო* (ნ. ლორთქ.). 5. თავაზ. საპასუხო სიტყვა დამახებისას. „დედა, დედა!“ – „*ბატონო!* – „ბიჭო, დათიკა!“ – „*ბატონო!*“ (ნ. ლორთქ.).

დიალექტ. **ბატონი** ხატი, ჯვარი. შდრ. ყმა. უკენ ჩვენ წაოლთ საყმონი, წინ *ბატონ* გაგვიძღებო (ეთნ. რელიგ. 15, 175, ალ. ჭინჭ.). **ბატონი** ფშ., გუდ., ჯ., თ. „ხატი თემის „*ბატონია*“, თემი კიდეც ამ **ბატონის** „ყმა“ (ურბნელი, „ივერი“). „გუდამაყრელები ეძახიან *ბატონსა*“ (მთ. ა. შან.). **ბატონი** მე-15 საუკუნითგან ჩნდება ბარად და ამიტომაც მთიანეთის წარმართულ სიტყვიერ ძეგლებში მე-16 ს-ზე საყოველთაოდ ძნელი წარმოსადგენელია (ჯავახიშვილი 1950, 171).

**ბატონი** (პირდაპირი მნიშვნელობის გარდა) პატრონი. რეიქნა ამ ცხენის *ბატონი*? (აჭარ. ნიჟ.). იხ. აგრეთვე: (ნ. მარი, იმერხ., საჩინ. შარამ. ჩვენ. ფუტკ., იმერ. ქავთ.).

დისიმილაციური გამჟღერების შედეგია (პატრონისაგან წარმომდგარი *ბატონი* რომლის ფარდი დღესაც პატონი (ან პატენი) არის მეგრულში თვით „პატრონი“ ლათინურისაგან შემოვიდა ქართულში (შანიძე III, 27ა).

**ბატონ**-სიტყვიანი მრავალ ნაწარმოები თუ რთული სიტყვები დასტურდება: დავასახელებთ ზოგ მათგანს. მაგ.:

**ბატონები** [მხოლოდ მრავლობითში] ეთნ. ბავშვთა გადამდებ (მორულ) ავადმყოფობათა (წითელა, ქუნთრუშა, ყვავილი, ყივანახველა...) კრებსითი სახელი. აქ *ბატონები* მოზრძანდნენ, იავ-ნანინაო! (ხალხ.). ◊ **დიდი ბატონები** ძვ. ყვავილი (მოარული სენი) – ქეგლ ახ. რედ.

**ბატონიანი, დაბატონებული** ცრუმორწმ. „ავი სულების“ ფერიების, ქაჯების მიერ დასადგურებული, დაპატრონებული ადგილი ეს ღელეღურდანი *ბატონიანია*, მარტუაი რომე გეიარო, ვინცხაი ქვებ დაგაყრის, შაგაშინებს ილლა“ (ინ., ჩვენ. ფუტკ.).

**გაბატონებული ქარი:** როცა ქარი ერთი და იმავე მიმართულებით ხშირად ქრის, მას *გაბატონებულ ქარს* ეძახიან (თ. წყ., ალგ. სალ.).

2. **ბატონ** ძალუას... მოვახსენებ (ნ. ბარათ.).

XIX საუკუნის გასულამდე ბატონი იხმარებოდა (მიმართვაში მაინც) როგორც მამაკაცის, ისე ქალის მიმართ. წინათ ბატონი სიტყვის ფარდი იყო როგორც ქალბატონი, ისე ვაჟბატონი. ეს უკანასკნელი უარყოფით ემოციურ იერს არ შეიცავდა. თქვენის კარგად ყოფნით, ბატონო, დავლევთ და დავლევთ ჩვენი ახალგაზრდა *ქალბატონის* და *ვაჟბატონის* სადღეგრძელს (ე. ნინოშვილი). მას შემდეგ, რაც პატივსაცემი ქალის აღნიშვნაში ქალბატონი დამკვიდრდა, ბატონი უპირატესად ქალბატონის საპირისპირო მნიშვნელობით დარჩა, ე. ი. „მამაკაცი ბატონის და „პატივსაცემი მამაკაცის“ მნიშვნელობა მიიღო. ამრიგად, ბატონი და ვაჟბატონი სინონიმებად იქცა. ეს სიტყვები ძალიან ჩქარა განსხვავდნენ ემოციური ელფერის მიხედვით. უარყოფითი ელფერი – ვაჟბატონი – სიტყვას დაუმკვიდრდა (ფოჩხუა 1974, 281).

**ბატონი** (ქართ.) ბატონი ზან. (ლაზ. თანდ.).

ახ. ქართ. **II. ბატონი** ბატონი [ფრან. bâton ჯოხი] 1. წაგრძელებული ფორმის თეთრი პური. 2. საკონდიტრო ნაწარმი, რომელიც ფორმით პატარა ჯოხს მოგვაგონებს. *შოკოლადის ბატონი*. 3. ბუტაფორული ჯოხი, – ჩალიჩი – ქეგლ ახ. რედ.

შდრ. ბასტონი (იტალ.-თურქ. ბასტონ) ტროსტი ზან. (ლაზ. თანდ.).

**ბად-ი:**

სამ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. ბადი** 1. (სპარს.) შემოკავებული მიწის ნაკვეთი საგანგებოდ დარგული ხეებით. ბუჩქებით ანდა ყვავილებით სამოთხე, წალკოტი, ხილნარი, მტილი ხეხილთა (დ. ჩუბ.). *ბადი* ვარდისა ცრემლითა აივსებოდა (ვეფხ. 47, 2). არ დარჩა ერთი *ბადი-ვენახი* (ვისრ. 71, 8).

მეკრემან ფარდასა ასწივა, შველეს ბაღისა კარია (შჰნ. I, 250, 1). ორს ძმასა მთელი ქვეყანა სახნად, სათესად, ბაღადა რატომ არ ეყოთ, ეს მიკვირს, ერთმანერთს ხოცდენ რაღადა? (დ. გურ. 205, 41, 3). სიბრძნე ბაღია კაცისა, ხე-ხშირი, მსხმოვარიები, / ბაღისა ვარდი ლექსია, მკითხველნი-მოზადნარები (ნ. ციც. 5, 407, 1).

გიგლა სწავლობს გაკვეთილს, არ უყურებს ბაღში ხილს (რ. ერისთ.). წინ უძევს ბაღი ხეხილის, ხელოვნად შენაკაზმისა (აკაკი).

ბაღი სხვადასხვა საწარმოქმნო საშუალებით და ასევე სხვადასხვა სინტაგმებში ნაირგვარი მნიშვნელობით ხშირად დასტურდება. დავასახელებთ ზოგ მათგანს. მაგ: **საბავშვო ბაღი** სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულება სკოლამდელი ასაკის ბავშვთათვის. დეიდა ვარო... *საბავშვო ბაღის* გამგე იყო (თ. ჭილ.).

**ბაღი ვაშლი** ქვ. საზაფხულო ვაშლის ჯიშია. ნაყოფი მსხვილი აქვს, შეფერილი წითელი ზოლებით, მომჟავო-მოტკბო გემოსი (რაჭ. კობახ.).

**ბოტანიკური ბაღი** სამეცნიერო-პრაქტიკული დაწესებულება, რომელშიც საგანგებოდ გამოჰყავთ და აშენებენ სხვადასხვა სახის მცენარეებს. **ზოოლოგიური ბაღი** იხ. ზოოპარკი.

**ბაღნარი** ადგილი, სადაც ბევრი ბაღია, აყვავებული ადგილი. გაზაფხულის პირზე ვარდები კოკრდებიან იმ ბაღნარში (ვ. გამსახ.). იხ. აგრეთვე: დიალექტ. (ზ. ქართლ., მესხ., ქვ. იმერ., შ. კახ., ზ. რაჭა, მრეწ, IV, III).

დიალექტ. **II. ბაღი** (თურქ. სპ. ბაღ) თასმა, ბაწარი. თითების შემწეობით ვქსოვთ წვივსაკრავებს, ყაითნებს, ბაღებს და ხონჯრებს (მესხ., მრეწ. II, II, 157). იფარებს წითელი შალის ფეშტამალს და ბაღებით იმაგრებს წელზე ხუთ-ექვსჯერ გარშემოხვევით (ჯავახ., მრეწ. III, I, 206). იხ. აგრეთვე: (გურ. ჟღ., საინგ. მრეწ. IV, II, 51., ჩვენ. ფუტკ., ინგ. როსტ., აჭარ. ნიჟ., ინგ. ღამბ.).

საინტერესოა **ბაღ** სიტყვის შემცველი კომპოზიტები: **ქალიმზადი** – (ქალმნი ბაღი, ქალმი ბაღი) ხეე სპეციალური ფიწალივით ხე ქალამნის შესაკრავი ზონრის დასაწნავად (ინგ. ღამბ.);

**ბელბაღ** [აზ. დიალ. ბელბაღ+ სარტყელი] მეტად მსხვილი აბრეშუმის ძაფი. ბელბაღსაც მანქნიკში ახევენ (ახვევენ), ჰათაარაც (როგორც) ხადათს (ინგ. ღამბ.).

**ყობაღი** ძვ. «სამაჯური». ქალის სამკაული: ...პერანგის იახა, ყობაღი და სხვ. (ი. გრიშ.).

სალიტერატურო თურქულ ენაში დადასტურებულია ყობაღი, გობაღი „სამკლავურის“ მნიშვნელობით. თურქულ-აზერბაიჯანული სიტყვა **გობაღი** კომპოზიტია, მისი შემადგენელი ნაწილებია კოლ, გოლ (მკლავი) და ბაღ (შემოსაკრავი, საბამი (შდრ. ყელსაბამი) (რუხაძე 1988, 144-152).

დიალექტ. **III. ბაღი** სართული. მივცემ შქერის ჩივს. ამით აშენდა ქვეშაე ბაღი (აჭარ. მრეწ. I, 416). სახლი იქნება *სამბაღიანიც* (აჭარ. მრეწ. I, 417).

ზან. (მეგრ.) ერთ სახლს კაცი ოც ისეთ ხეს მოანდომებდა ხოლმე, რომელთაგან თითოეულისაგან ორმოც-ორმცი ბალი ყავარი გამოდიოდა (ზ. სამეგრ. მრეწ. I, 386). **ხოლა ბაღე** სიმინდის ჩასაყრელი შენობა სამეგრელოში ბაღე ფიცრებისაგან ყურებდაფსკვნილი პატარა სახლია (ქვ. სამეგრ. მრეწ. I, 399).

შდრ. ბედელი. ქართ. ბელი-: მეგრ. ბალ-: ლაზ. ბალ- ზმნურ ძირთა შეპირისპირებით შეიძლება ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისათვის აღვადგინოთ \*ბელ- არქეტიპი (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

### **ბაღჩა:**

სამ., ახ., ქართ., დიალექტ. **I. ბაღ** სპარსულად წალკოტსა ჰქვიან. **ბაღჩა** სპარსულად მცირეს წალკოტს ჰქვიან. ჩა- კნინობითი მარცვალი არის სპარსულად (თ. ბაგრატი.).

*ბაღჩა* ვნახე უტურფესი ყოვლისავე სალხინოსა (ვეფხ. 341, 1).

განათლდა მათის შუქითა ბალი, *ბაღჩა* და უბანი (ნ. ციც. 434, 154, 4).

ბალი თუ *ბაღჩა*, ნაწნავი თუ რამე წააჭდინონ, ბატონთან იჩივლონ და ჩვენ გავამტყუვნოთ (სამ. IV, 224, 4).

მე თითონ არ ვიცი, რა გზით და როგორ მივადეგ უეცრად პეპიას *ბაღჩის* ღობეს (ილია). 2. საზამთროს, ნესვის ბალი. ერთი მანქანა გვაკლია და როგორმე მოვაგროვებთ საზამთროს ამ ჩამქრალი *ბაღჩიდანო* («ლიტ. საქ.»).

დიალექტ. 1. ახალქალაქის ბაღს ხან *ბაღჩას* უმახოდნენ (ჯავახ. ზედგ.). ნაფუძარს *ბაღჩასაც* ემახიან... ბაღჩის საუკეთესოდ მოვლილ ნაწილს *გულბაღჩას* უწოდებენ „*გულბაღჩა* დავთესე და გარეთა ყანა როიცხა იქნება – მაშვინ“; საშვაგულოზე *გულბაღჩაში* დავრგე ჩხოლა (აჭარ. სურმ.).

**ბაღჩა:** ზოგან ტირიფს ხეს უმახოდნენ. კარებს წინ იმთენი ბაღჩა ურგია რო (ჯავახ. ზედგ.).

„*ბაღჩათა* შიგან ამოა ყვავილი ფერად-ფერები“ (ნ. ციც. 407, 1).

ხშირად დასტურდება ფონეტიკური ვარიანტი: ბაჩჩა (სპ.) (განსაკუთრებით დიალექტებში). აჭარ. ნიჟ., ქვ. იმერ. მრეწ. IV, III, 50, გურ. მრეწ. IV, II, 148, გურ. მრეწ. IV, II, 223, IV, II) და სხვ.

აგრეთვე: **ბაჩჩეა, ბაღჩეა** 1. თუთის ხეების ბალი აბრეშუმის ჭიისათვის. 2. იგივეა, რაც ფურცელ (ინგ. ღამბ., როსტ.).

ქართ. **II. ბაღჩა** თვლებით შემკული შუბლის ქინძისთავი; ჩიხტში გასამაგრებელი დიდი თვალი, ირგვლივ წვრილი ქვებითაა „ჩაქვავებული“. არის აგრეთვე „ბაღჩა ბეჭედი, „ბაღჩა საყურე“ და სხვა (ი. გრიშ).

შდრ. ბახშიში (სპ. ბახშიშ) საჩუქარი. მეგრე *ბახშიშ* მოკრეფდნენ (თ. ქ.). შდრ. (ნ. მარი (იმერხ.) ჩვენ. ფუტკ.).

შდრ. **ბახჩა** (თურქ. ბახჩა) ზან. (ლაზ. თანდ.). ბახჩიში (სპარს. თურქ.) საჩუქარი ზან. (ლაზ. თანდ.)

**ბაყ-ი:**

საშ. ქართ. **I. ბაყი** «მესერი, ღობე» (დ. ჩუბ.).

საშ. ქართ. **II. ბაყი** ამას ქუიან, რომე კაცსა პირსა, ანუ ტანზედა დაუფოლხუდეს და გათეთრდეს (ფანასკ. 317,11). მერმე ბევრი მლაშე ჭამოს მისგან *ბაყი* დაიბადების (ქანან. 27, 32). შდრ. **ბაჰყი აბიაზ** კეთრი. ავადმყოფობაა, კაცი რომ აჭრელდების და თეთრი ლაქები დააჩნდების (ქანან. 27, 32).

საშ. ქართ. **III. ბაყი** ძვ. „გარდმოვლით სამდურავი“ (საბა), – ყვედრე-ბა. საწუთრომ უთხრა *ბაყითა*: «რალა არს ბოდით ხდილობა?» (დ. გურამ. 204, 38, 1).

დიალექტ. **ბაყის გატეხა** დაბრალება. სხვას რო დააბრალებენ, იტყვიან *ბაყი ჩვენზე გატეხესო* (ფარცხ.). კაცი რო ტყუოდეს და გავიტეხინოთ, *ბაყი დავადეთო* (მარაბ., ქართლ. მენთ.).

საშ. ქართ. **III. ბაყი // ბაყვი** წვივის წინა დიდი ძვალი – დ. ჩუბ.

ახ. ქართ. ბაყვი: „მუხლს ზეითი“ (საბა), – ბარძაყი. || ბარძაყის შიგნითა მხარე. [ხიხუნა] დაჯდა და აზგა *ბაყვებში* ამოუდო, არავინ მომპაროსო (ნ. შამან.). 2. თეძოს ძვალი.

აღდგენილია ს.-ქართვ. \*ბაყუ- „ბარძაყი“, ბაყვი (ჩუხუა 2017).

**ბაყამ-ი:**

საშ. ქართ. **I. ბაყამი** იხ. II. ბაკანი.

ახ. ქართ. **ბაყამი** 1. ძვ. «ლაქა» (საბა). 2. კუთხ. (ქიზ.) უხეირო ლურჯი საღებავი.

საშ. ქართ. **II. ბაყამი** იხ. II, III. ბაკანი. ბაყმის ხე. ბაყმის ხე. თათრ. მცენ. – დ. ჩუბ.

**ბაჯ-ი:**

საშ. ქართლ. **I. ბაჯი** (თურქ.) დაი – საბა.

საშ. ქართ. **II. ბაჯი** იხ. I. ბაჟი. მერმე დაასხა ისარი, ეს არის მძიმე *ბაჯია* (შჰნ. II, 3683, 2).

დიალექტ. შამეყარა თათარი; „ბაჯ უნდა მამცა ცხვრისაო!“. „მე ბაჯს ვერ მაგცემ, თათარო, ცხვარი მზარავის სხვისაო!“ (ხევს. თავისებ. 404, 27-28). – ალ. ჭინჭ.

**ბაჰრი-ი:**

ძვ. ქართ. **I. ბაჰრი** ორკბილიანი ძალაყინი: „საწმარ იქმნის მათდა შემზადებად რომელთამე სამუშაოთად, საწნისისა გინა *ბაჰრისა*“ (ფლავ. 6: 6, 1). შდრ. საერთო-ქართველური \*ბახ; „ნიჩაბი, კეხი“; – სინდ. \*ბაჰ- „ნიჩაბი“ (ჩუხუა 2017).

საშ. ქართ. **I. ბაჰრი** – შავარდენს ჰგავს (საბა). იხ. II. ბარი.

**ბეგ-ი:**

საშ. ქართ. **I. ბეგი** (თურქ.) ბატონი, წარჩინებული. მიეტევა ერთსა... წარჩინებულსა *ბეგსა* ოსმალსა (ქ. ცხ. II, 529, 18).

ხანები უსხდა მრავალი, ბეგი, სულთანი აღარა (ფეშ. 208, 1).

ახ. ქართ. **ბეგი** [თურქ. ბედ «ბატონი»] ძვ. ფეოდალი, ბატონი, მემამულე (თურქებში, აზერბაიჯანელებში). ერთმა თათრის *ბეგმა* შეაჭენა ამ ფრიალოზე ცხენი (ს. მაგლობ.). ოსმალეთისგან წაქეზებულმა *ბეგებმა* თავი აიშვეს (ს. შანშ.).

**ბეგი** გამოიყოფა აგრეთვე სიტყვებში: **ბეგთაბეგი** და **ბეგლარბეგი** [თურქ. ბეგლარ ბეგი „ბეგთა ბეგი“] ისტ. თურქული სამოხელეო ტერმინი; ძველ ოსმალეთში ერთ-ერთი უმაღლესი ხელისუფალი; შემდეგში, უბრალოდ, საპატიო სახელწოდება.

დიალექტ. მემლექეთში *ბეგებმა* ჩამოკიდება იცოდენ თავაწევლ, იგით კაცებზე“ (შავშ.); იხ. აგრეთვე: (ჩოხარიძე 2013, 21).

საშ. ქართ. **II. ბეგი, ბეგობი** პატარა გორა – ნ. ჩუბ.

ახ. ქართ., **ბეგი** იგივეა, რაც უფრო მართებული ბეკი. ღენერალს მართავს ჩინებული ცხენი, რომელზედაც შებრძანდა, გააკუნტრუშა და *ბეგზე* გადადგა, მის წინ გაიჭიმა დარაზმული ლაშქარი (ა. ყაზბ.). ამ ხევხუვის ზემოთ ერთ *ბეგზე* დაცემული ტრიალი მინდორია (გ. წერეთ.).

აგრეთვე, დიალექტ. (მთ.-რაჭ. რეხვ., ზ.-რაჭ. ლობჯ., მოხ. ღუდ.).

ტერმ. **ბეგი** მცირე სიგანის ბაქანი, რომელზედაც სამუშაოები არ წარმოებს (სამშენ.).

**II. ბეგი** ტექ. 1. ბეგი ფოლადის რგოლი ხიმინჯის თავზე, რომელის ჩასობისას იცავს მას.

2. მიწის მაღალი კაშხალის, რკინიგზის ყრილის, არხის ან კარიერის ფერდობზე გაკეთებული საფეხური, რომლის დანიშნულებაა ფერდობის მდგრადობის გადიდება და მისი დაცვა ატმოსფერული წყლით წარეცხვისაგან (სამშენ.).

**ბედი-ი:**

ძვ., საშ., ქართ., დიალექტ. 1. **ბედი** ბედნიერობისა და უბედურებისა საშუალო სახელი. **ბედი-ცხოველი** ცხოველი ბედი ბედნიერება არის, ხოლო **მკვდარი ბედი** – უბედურება – (თ. ბაგრატი.). აგრეთვე: საბა, დ. ჩუბ.

**ბედი** განგება, სვე, წერა: „განუმზადებდით *ბედსა* ტაბლასა და აღუვსით ეშმაკსა საწდე“ (ეს. 65, 11). „*ბედმან* დაიცვა საპყრობილე“ (თომა მოც. 16, 21). ძვ. ქართულში დასტურდება აგრეთვე: მნელბედი, ბედიანი, ბედნიერი.

ვთქვი, თუ: „მოვკვდე, *ბედი* ჩემი ამის მეტსა რასლა ღირსა! (ვეფხ. 357, 4). სოფელმან და *ბედმან* კრულმან ჩემი ლხინი განაქარვა (ნ. ციც. 707, 1654, 3). არ ასცილდების ღმრთისაგან კაცსა *ბედი* და აწერა (ფეშ. 651, 3).

**ბედმა** დამიბრიყვა: ცუდ დროს დავობლდი (ვაჟა). ერთი ვაჟიშვილი ჰყოლოდა თურმე და ისიც შეშურებოდა იმისთვის *ბედსა* და წაერთმია საწყლისათვის (ილია). ყველა ხომ ერთი *ბედის* არ არის! (რ. ინან.).

სამყაროს კონცეპტური სურათის აგებაში დიდი ადგილი უკავია **ბედის** კონცეპტს, რომელიც ცნობიერების უმნიშვნელოვნესი კატეგორიაა. ქართველის ენობრივ ცნობიერებაში **ბედი** არსებობს როგორც სავსებით რეალური – ადამიანი გრძნობს მის თვისებებს, მის გამოვლინებას, რასაც გამოხატულება აქვს ქართულ ენასა და დისკურსში (ომიამე 2009, 96-108).

ბედი ხშირად დასტურდება სინტაგმებსა და მყარ გამოთქმებში. იტვირთება ახალი სემანტიკით და დამოუკიდებელი ერთეულის სახით გვევლინება. მაგ.:

**ბედი** ვაჟიშვილი, წული, ვაჟიანობა. წულ-ყმათ გახვეწებდას, უზიანოდ დაუზარდნიდი, *ბედ* მარიგეს ღმერთს გამუთხოიდი, დიდ კვირაეს გამუთხოიდი. 2. სამეკვლეოს ამოხვრეტილ გულში ჩატენილი ბაწარი (მატყლისა ან ბამბისა), რომლის ნაგლეჯსაც ოჯახის ყველა წევრს მიაბამდნენ (ან ჯიბეში ჩაუდებდნენ) (ხევს. ჭინჭ.).

**ბადი** – ბედი; ვაჟიშვილი, მემკვიდრე ზან. (მეგრ. ქობ.).

**ბედ(ნ)ი** შეამხანაგებული, თანამოზიარე. [აშლის გადაშლისას] ზოგი ბავშვები შეამხანაგდებიან და ამ შეამხანაგებას „ბედი“ ჰქვიათ. ერთი-მეორეს ეტყვიან: „ბედნი“ ვიყვნათ“-ო ე. ი. ამხანაგნი, და აშალს რასაც მოკრეფენ..., ბოლოს გაიყოფენ (ეთნ. კალენდ. 12, 136) (ხევს. ჭინჭ.).

**ბედი** წარმომავლობით იგივე უნდა იყოს რაც არაბულსა და თურქულში ლამაზის, ჩინებულის, დიდებულის აღმნიშვნელი **ბედი**.

ძვ. ქართ. **II. ბედი** „ამაო, ფუჭი“. დაჰქსნა ვარსკულავთმრაცხველობად და განაქარვა *ბედსა* მეტყუელებად (Ler-12, 63r 3-4).

შდრ. **ბედითი** ძვ. ბედუკულმართი, ავი ბედისა, ავი მომასწავებელი – ქებლ.

დიალექტ. **ბედი** უქნარა, უხეირო, ბედოვლათი. *ბედის* ერთია, ვერაფერში ვერ ვარგომს. „მაგ *ბედს* სად ნა უყურო, რო წამოვიდეს“ (ჯავახ. ზედგ.). **ბედიქალი** „ცუდიქალი“. **ბედი** მეტსახელიცაა. შე *ბედო*, აქ რა გინდა, ცხვარი წავიდა, გაჩუმდი, შე *ბედო*, შენანა (ჯავახ. ბერ.).

გამოთქმულია შემდეგი მოსაზრებები 1. **ბედი** ფორმაში ბოლოკიდური -ი-ს გავლენით მომხდარა ა > ე. მეგრული ფორმა უბადო („ბოროტი“, „ცუდი“), ი. ყიფშიძის აზრით, ნაწარმოებია არსებითი სახელისაგან \*ბადი, რომელიც „ბედნიერს“ ნიშნავდა. მაგრამ დღეს გამევეებულია ქართული ბედის მიერ (ყიფშიძე 1994, 403). 2. საინტერესოა მიმართება ძვ. სლ. беда-სთან „ბედისწერა“ (გიგინეიშვილი 2016).

3. ს.-ქართვ. \*ბედ-ცუდი, ბედითი (ჩუხუა 2017). შდრ. აგრეთვე: სპარს. **ბად** 1. ცუდი, უვარგისი. 2. ავი, ბოროტი – ალ. ელერდ.



**ბედენ-ი:**

საშ. ქართ. **I. ბედენი** კათოლიკე ძარღვ. ბედენი BD, ბედენ C.) (+ კარაბად ZAA) მკლავის შუა ძარღვი, (+ რომელსა თურქნი ბ ე დ ე ნ ს უჭმო-ბენ Z) – საბა.

დიალექტ. **III. ბედენი** ახალუხის წინა ფერდი ზედმოყოლებული თავისი კალთით, მთლიანია (ქიზ. მენტ.). ბედენი < ბადენი.

**ბადენი** ესე არს ლევიტელთ სამოსელი სპეტაკი, გინა ყვავილოვანი ZA – საბა.

**ბადენი** ტილოს პერანგი: „ჭრქუეს კაცსა მას, რომელსა ემოსა ბადენი“ (დან. 12, 6). 1. ეს სიტყვა ებრაული წარმომავლობისად მიაჩნიათ (ე. დოჩანაშვილი, ჰ. აჭარიანი, ა. ხუდაბაშიანი), სომხურიდან ნასესხებად მიიჩნევენ (დ. ჩუბინაშვილი, ჰ. აჭარიანი) – (ბინიაშვილი 1997, 7).

2. ქართ. **ბადენი** „სამოსელი ზან. (მეგრ.). ბედანი „ჩოხის ნაწილი“. სვან. ბარდ-ან „ფართალი“. ჯერ კიდევ გ. კლიმოვმა შეაჯერა ერთმანეთს ყველა ქართველური მონაცემი (კლიმოვი 1964, 48). მაგრამ ავტორი ბად- – „ბადე“ ძირს თვლიდა ამოსავლად. ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ ქართ. ბადენი, მეგრ. ბედანი და სვან. ბარდან ერთიანი წარმომავლობის სხვა ალომორფებია და ამიტომაც რეკონსტრუირდება \*ბარდ „ნაქსოვი, ქსოვილი“ (ჩუხუა 2017).

**ბე-ი:**

საშ. ქართ. დიალექტ. **I. ბეი** ესე არს მცირე საწინდარი, რომელსა თურქნი ბეას უწოდებენ ZAB– საბა. ბე, ბეი თათრ. არამონი, საწინდარი – საბა, დ. ჩუბ.

**ბეი** 1. წინდი, დაწინდვის დროს ვაჟის მხრივ ქალიშვილისათვის მირთმეული საჩუქარი. „ჩვენებმა ანანიენტ მართას ერთ კვირის წინ მიუტანეს ბეი“. 2. ვაჭრობაში წინდი. „ხარებ მოურიგდა, ორი თუმანი ბეიც დაუტოვა“ (ჯავახ. ზედგ.).

ახ. ქართულში ქეგლის მონაცემებით აღნიშნული შინაარსით დასტურდება **ბე** სათანადო ილუსტრაციებით.

საშ. ქართ. **II. ბეი** ძველი თურქული ტიტული, ბატონი, უმაღლესი ოფიცრისა და მოხელის ტიტული – ა. სიხ.

**ბერილ-ი:**

ძვ. ქართ. **I. ბერილი** მსუბუქი: „ხოლო ჰოროლი იყო არა ბერილი, ტვრთული მარჯუნისაგან“ (ფლავ. 6: 9, 1).

საშ. ქართ. **II. ბერილი** გამოყვანილი ილეკრო – საბა.

ახ. ქართ. **ბერილი** 1. მიმდ. ვნებ. ნამ. რაც 'გა'ბერეს ან 'გა'იბერა. 2. დარგ. «ბერვით გამოყვანილი (ლითონი)» (საბა) – ქეგლ.

დიალექტ. **ბერილი** ამობურცული ადგილი (გზაზე, მინდორში, ყანაში) (იმერ. ქავთ. სტრუქტ. IV).

დიალექტ. **ბერილი** (რაჭ.) „ბუჩქებისაგან ან წაქცეული ხის ტოტები-საგან შეკავებული თოვლის გროვა“ (ვ. ბერ.). – ქეგლ.

ზემონახსენები ომონიმების ამოსავალი უნდა იყოს საერთო ქართველური \*ბერ-არქექტიპი (ბერვა „ქროლა“) (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965, 250).

დიალექტ. **III. ბერილი** „ერთგვარი ბალახი“ – საბა.

**ბერილი** (ზ. იმერ.) შვია (ა. მაყ.). იხ. აგრეთვე: **ბერილა** ბალახი ერთგვარი; მაღალი იზრდება, ორლებნიანია (იმერ. გაჩ.).

დიალექტ. **IV.** ქართ. (აჭარ.) **ბერილი** „დათვის ბუნაგი; გურ. **ბერეთი** „ხვრელი, ბუნაგი“. გამონაწევრებული –ილ, -ეთ სადერივაციო აფიქსებია ქართულში, ხოლო ბერ- ბუნაგის აღმნიშვნელი ძირი. ბერ- საერთო ქართველური წარმომავლობისა ჩანს. გამომდინარე გარეენობრივი მონაცემიდან (ჩუხუა 2017).

ახ. ქართ. **V. ბერილი** ბერძნ. 1. სილიკატების ჯგუფის მინერალი, რომლისგანაც ბერილიუმს იღებენ. 2. სხვადახვა ფერის გამჭვირვალე ძვირფასი თვალი (ბივრილი, აკვამარინი, ზურმუხტი და სხვ.) – მ. ჭაბ.

ძვირფასი ქვა ბერილი ქართულ წყაროებში ცნობილია სხვადასხვა სახელწოდებით: **ბერილოსი, ბივრილი, ბივრიტი, ბერილიონი** ქართულ ენაზე მას მეტწილად ბივრიტს ან ბერილიონს უწოდებდნენ (ჩაჩანიძე 2012, 84-86). ქეგლ-ში მითითებულია **ბერილიუმი** [ლათ. Beryllium] ქიმიური ელემენტი; ვერცხლისფერი ლითონი, მეტად მსუბუქი და მაგარი.

### **ბია:**

საშ. ქართ. **I. ბია:** ბია (ხე) გარეული წვრილი კომში – ნ. ჩუბ.

**ბია** (სპარს. ბიჰ და აბიჰ) კომში. ეს ხილები არის რომე კაცსა შეჰკრავს ბია, ვაშლი, სხალი და ბროწეული (იად. 106, 30). თურინჯი, ბია, ოქროვე, გვანდა – მოსილი ტყე არი (შჰნ. II, 4285, 4). ჩემს დროს ასხია ხე-ზედან ნარინჯ-თურინჯი ბიאו (თეიმ. I, 126, 30, 1).

ახ. ქართ., დიალექტ. **ბია** [Cydonia oblonga] 1. გარეული კომში. გდია ე დედაკაცი და ისეთი ფერი კი ამევს, როგორც ყვითელი ბია! (რ. ერისთ.). 2. კუთხ. იგივეა, რაც კომში. ნორჩი ხეხილები – ლეღვი, ატამი, ბია და სხვა საქონელს დაუმტვრევია და გაუფუჭებია (ე. ნინოშ.).

იხ. იგივე ბია: (ქვ. იმერ. მრეწ. III, II, 174; ზ.-აჭარ. კობერ. 95; საინგ. მრეწ. III, 273; ინგ. ღამბ.; ზ.-იმერ. მოწ. და სხვ.).

საშ. ქართ. **II. ბია** სნეულეზა. ამა მონადირეთა ფრინველთა სნეულეზა ეს არის, და მეტადრე უფრო ქორისა: ხაფაყანი, მავლი, კვანჯალი, კორი, ბია, ტილი, ღრღილი... (კალმას. 246, 16).

შდრ. **ბია** საქონლის ნალურსმევი ჩლიქის აყროლება დაჩირქების გამო (ქიზ. მენტ.). შდრ. (თურქ.) bihal სისუსტე.

დიალექტ. **III. თოლის ბიაი** თვალის გუგა (მოხ. ქავთ.).

დიალექტ. **IV. ბია** მიმართვაში: ლამაზი, კარგი, საყვარელი. „დამჭუხე თოლები, ჩემო ბიავ, და დეგეძინება“ (მოხ. ქავთ.).

### **ბიამან-ი:**

საშ., ახ. ქართ. **I. ბიამანი** უკაცრიელი, ყრუ, უხვედრი, მიუვალი ადგილი. ისეთი მივარდნილი იყო, ისეთი *ბიამანი*, რომ შევფიქრიანდი, თითქმის შიშმა ამიტანა (ვ. ბარნ.). *ბიამანი* და უკაცრიელი ხატის გალავანი... უეცრად ლაშქარმრავალ ბანაკად იქცა (ლ. გოთ.).

**ბიაბანი** სპარს. ვერანი მინდორი, ტრამალი – დ. ჩუბ. აგრეთვე: ფერეიდ. (დიალექტ., 628).

ახ. ქართ. **II. ბიამანი:** *ბიამანზე* დარჩენილი ქალი უნებლიეთ მომავლისაკენ იყურებოდა (ვ. ბარნ., „ვარდფანჯრები“, 202). ამბობენ, ამა და ამ კაცმა *ბიამანი* გამხადაო“ – ი. გრიშ.

ნ. ბართაიას აზრით სპარსულ ენის **ბიაბანი** „უდაბნო“ წარმოქმნილი სიტყვაა და იშლება უარყოფის მაწარმოებელი **ბი** „უ“ პრეფიქსისაგან **აბან** „წყლები“. სპარსულ ენაში არის ასევე ანალოგიურად წარმოქმნილი სიტყვა **ბიამანი** მნიშვნელობებით ულმობელი, დაუნდობელი, შეუბრალებელი; 2. უმოწყალოდ, შეუბრალებლად, სადაც ასევე **ბი** არის უარყოფის მაწარმოებელი პრეფიქსი -უ, ხოლო მან უსაფრთხოება, სიმშვიდე.

ეტყობა, **ბიაბანისა** და **ბიამანის** ფონეტიკურმა ურთიერთ სიახლოვემ ქართულში მათი სემანტიკური დატვირთვის ურთიერთ არევა განაპირობა. ი. გრიშაშვილის მიერ ნიმუშად მოყვანილ წინადადებებში ჩვენთვის საინტერესო სიტყვა არის სწორედ [biâmân]-ი „უსაფრთხოების გარეშე არა – მასთან მხოლოდ ფონეტიკურად ახლოს მყოფი [biâbân] – უდაბნო. ვფიქრობთ, სახეზეა ორი სხვადასხვა სიტყვის კონტამინაცია (ბართაია 2010, 32).

### **ბინარ-ი:**

საშ. ქართ. **I. ბინარი** სნეული ჩუმად მივარდნილი – დ. ჩუბ. ბინა ხომ არ არის ფუძე? შდრ. მელოგინე.

ახ. ქართ. **II. ბინარი** (ფრან. binaire) ორი წევრისაგან შემდგარი, ორწევრა. გვხვდება ნაწარმოები სიტყვაც **ბინარული** 1. ორი ნაწილისაგან შემდგერი, – ორმაგი, ორფა. 2. სპეც. ორობითი. ბინარული თვლა. **ბინარული თარგმანი** უშუალოდ თარგმანი ერთი ენიდან მეორეზე – ქეგლ.

**ბირკ-ი:**

საშ. ქართ. **I. ბირკ-ი** (თათრ.) ოქროს ბირკი ან ღილი, ჯოხზედ ჭდე – დ. ნ. ჩუბ.

ზაალს რკინისა ოთხყური ბირკი შეექნევინა და იგი მოაყრევინა და ესერა არცა ვის ავსოვდა. მას ბირკისა რა დააგდებდენ, მას ერთი თავი შუბისა პირივითა და მაწვილი თავი აღმა აემართებოდა. რა იგი ბირკი იმა კაცმან ყოველსა ადგილსა მოაბნივა, დაბრუნდა, ფიცხლად ზაალს წინაშე მოვიდა (შჰნ. III, 491, 4). იხ. I. ბირკა

დიალექტ. **II. ბირკი** პირუტყვის გამოსაცნობი ნიშანი, ყურზე გაკეთებული. იხ. II. ბირკა. დაადვა ცხუარსა ბირკი (ჩვენ. ფუტკ.).

საშ. ქართ. **III. ბირკი** იხ. III. ბირკა. ბირკი და ეკალი გამომივიდა თმობისა გზასა ზედა (ვისრ. 196, 24). ...ვითამცა საგებელი მისი მას ქუეშე ეკალი და ბირკი ყოფილ იყო (ვისრ. 240, 7).

დიალექტ. **ბირკი** ბირკა. ბირკი ბალახია, რო გაიარო, ზედ ეგედება (ქართლ. მენთ.). ამავე სახით დასტურდება გარეკახურში, ხევსურულში...

**ბირკა:**

საშ. ქართ. **I. ბირკა** ძვ. „ოქროს მძივი“ (საბა). იხ. I. ბირკი.

ახ. ქართ. **II. ბირკა** ქალაღისა თუ პლასტმასის სათანადო წარწერე-ბიანი პატარა ფირფიტა, რომელსაც აკრავენ ბაგაჟს, სამრეწველო საქონელს.

დიალექტ. **III. ბირკა** ყურზე დადებული ნიშანი საქონლის გამოსაცნობად. ზაფხულში რო თაში საქონელი მიდის, ყველას ბირკა აქ ყურზე (მესხ. ფეიქრ.).

ახ. ქართ. **IV. ბირკა** 1. ზოგიერთი ბალახის ნაყოფი, შემოსილი კაუჭიანი ეკლით. ნუ მიდიხართ ამ ცუდ გზაზე, ვერა ხედავთ, ბირკები გედებიან, ეკლები გესობიან...? (აკაკი). ბირკა მოსდებოდა ქუდზედაც ბერს (კ. გამსახ.). მისი კაბის კალთები და წინდები სავსე იყო ბირკებით (ო. ჩხ.). ბირკითგადაპენტილი ფაფარი ცხენებს ლამის კოჭებამდე დასთრევდათ (ო. ჭილ.). ფიგურ. მე ბირკებმა დამიქარგეს კაბა (ო. ჭილ.).

**ყანის ბირკა** [Caucalis daucoides] ხორბლეულის ნათესებში გავრცელებული ერთწლოვანი მცენარე (ქოლგოსანთა ოჯახისა); **ჩიტის ბირკა** [Lappula] ცისფერყვავილებიანი მცენარე (ლამქარასებრთა ოჯახისა); **ბირკა ბალახი** ბალახი, რომელიც ბირკას იკეთებს; ბირკიანი ბალახი. ეს ბირკა ბალახი ცოტა ხანში თუ არ ამოაგდეთ... აბლაბუდასავით გაეზმება (მ. კახ.). დასტურდება აგრეთვე: ქართლურში, ფშაურში, ინგილოურში, იმერულში და სხვ.

**ბირკიან-ი:**

ახ. ქართ. **I. ბირკიანი** 1. რასაც ბირკა აქვს, ბირკის მქონე. ღორის ტყავის ქალამნებს ზემოდან ლობიოს ფოთლები და *ბირკიანი* მურწა მიჰკვროდა («ცისკ.»). 2. იგივეა, რაც ბირკამოდებული. **ბირკა** > **ბირკ**-იანი-იხ. III. ბირკა.

ახ. ქართ. **II. ბირკიანი** რასაც ბირკა (წარწერებიანი პატარა ფირფიტა აქვს დაკრული. იხ. II. ბირკა. ბირკა > ბირკ-იანი-ი.

**ბისტი-ი:**

საშ. ქართ. **I. ბისტი** თვალში ფრჩხილი – ნ. ჩუბ.

ახ. ქართ. **ბისტი** თვალის გუგაზე თეთრი ლაქა, – ლიბრი, კატარაქტა. ბერის ბრდღვიალა თვალს *ბისტი* ჰქონდა გადაკრული (ვ. გამს.). ◊ თვალეზე *ბისტი* გადაეკრა დაზაფრულს (ვ. გამს.). შდრ. ბლიტი (ზ.-რაჭ.) თვალის ქუთუთოს დავადება, გამონადენი ჩირქი (რეხვ., ჭიორა) – ალ. ღლ.

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **II. ბისტი** [სპარ. bīsthī] ძვ. სპილენძის ფული, წვრილი შავი ფული. ხუთი *ბისტის* ხორცი მინდოდა მეყიდა (საბა).

**ბისტი** შავი ფული ესე იგი სპილენძისა ოთხფულიანი, იჭრებოდა ტფილისში, რომელს ბისტს ეძახდნენ; ბისტი სპარსული სახელი არის: ხუთი ბისტი, რომელ არს ათი ორფულიანი\_ორი შაური არის, რომელ არს კირმანეული ანუ თენგირი; ათი ბისტი ერთი აბაზი არის, რომელ არს ერთი თელთი (თ. ბაგრატ.).

ახ. ქართ. ქართ. ოცი თეთრი მინალთუნი ჩაგითვალე ხელში, შენ კი ერთი *ბისტისაც* არა გააკეთე რა! (ვ. ბარნ.). *ბისტისაც* ნუ მომცემ, ბატონო! (ვაჟა). საქმისათვის ხელიც არ გაუნძრევია და ერთი ბისტიც არა გაულია რა! (თ. ბუაჩ.).

ბისტი (სპარს.) სპილენძის წვრილი შავი ფული (ფშ. ხორნ.).

**ბიჭი-ი:**

ძვ. ქართ. **I. ბიჭი** «ნაბიჭი», ნამცეცი: „ტაბლასა ქუეშე ჭამედ ბიჭისაგან შვილთადას“ DE – „ტაბლასა ქუეშე ჭამედ ნაბიჭსა ყრმათასა“ (C, მრ. 7, 28).

**ნაბიჭი, ნაბიჭევი** «ბიჭი», ნამცეცი: „სწადინ განძლომად ნაბიჭევისა მისგან, რომელი გარდამოვარდის ტაბლისაგან“ (C, ლ. 16, 21). „კრებდეს ნაბიჭევისა ტაბლასა ჩემსა ქუეშე“ (M, მსჯ. 1, 7).

ავთ. არაბულის აზრით ბიჭ-ზმნური ძირი აღდგება ქართ. ნაბიჭი // ნაბიჭევი და სვან. ბიჭკუ // ბეჭკ, ბაჭკუ (ლიბჭკუტე „სკდომა“, აბიჭკუტე „გახეთქა“) აბლაუტური ფუძის შეპირისპირებით. ეს ძირიც, როგორც ჩანს, გართულებულა თემის ნიშანზე –ენ სუფიქსის დართვით: ხევს. ბჭვნის; ნა-ბჭვენი „ნამსხვრევი“. **ბიჭი** სიტყვის ძველი მნიშვნელობა იგივეა „ნაბიჭია“. ჩანს, მისი მნიშვნელობა მეტაფორულ ნიადაგზე გადაწეულა: ბიჭი – ბუში.

ბიჭი ლექსების სემანტიკური ამპლიტუდა გასაგებია: შდრ., ერთი მხრივ, ნაბიჭვეი, მეორე მხრივ – ნაბიჭვარი (არაბული 2001, 59).

ს.-ქართვ. \*ბიჭუ – დანამცეცება; სკდომა. ძვ. ქართ. ბიჭ- ნაბიჭი // ნა-ბიჭვეი, ნამცეცი (ჩუხუა 2000-2003)

საშ. ქართ. **II. ბიჭი** ყმაწვილი, ახალგაზრდა ვაჟი. **ბიჭი** არაცოლთან შობილი, ბუში საბა. ნაბიჭვარი ბუშის შვილი – საბა. შდრ. თავცსნიერი მართალი შვილი – საბა. დ. ჩუბინაშვილი მიუთითებს **ბიჭი** (სპარს.) ბოვში, ბავშვი, მოსამსახურე (ძველ ქართულში ამავე მნიშვნელობით გვხვდება მამძირი ნაბიჭვარი. მართლიად გეტყვ შენ, მამძირო (მ. ცხ. 308, 17-18) – ზ. სარჯ.

მათგან შობილნი შვილნი, ვითარცა უწესოდაგანნი, არცა ბუნებითნი არიან, არცა ბიჭნი (დ. სჯ. 177, 43). უბედური და ბიჭი იყოს (ეტლ. 8, 49). ოდეს ცხენსა სხდეს, ყოლა არა გვანდეს ესრეთ, ვითამცა ცუდთა ბიჭთა რკენასა ერთმანერთს ფრჩხილები დაემტვრეს და სისხლი სდიოდათ (ამირან. 676, სქ. 9). ვითარ მისცემს ბიჭთა გონებისა მზაკუარება (ქ. ცხ. II, 30, 20). ერთი პატარა ბიჭი გავზარდე და ახლა იმ ბიჭს მართმევენ (სამ. VIII, 70). მუნით წყალს-ლეკნი რჩეულნი, დაღისტანს ბიჭად თნულები (ბეს. 81, 5).

ახ. ქართ. **ბიჭი 1.** მამრობითი სქესის მოზარდი ადამიანი, – ყრმა (საპირისპ. გოგო) ბიჭო, ვისი ხარ მალხაზი, დაურჩი დედა-შენსაო! (ხალხ.). || ახალგაზრდა, ყმაწვილი, – ჭაბუკი. გზა სიარულმა დალია, სიპი ქვა წყალთა დენამა, ლამაზი გოგო და ბიჭი ერთმანეთისა ცქერამა (ხალხ.). 2. ვაჟკაცი. შენი გამჩენის ჭირიმე, შენი! ბიჭი ყოფილხარ, ხმლისა დამშვენი! (ილია). 3. ვაჟიშვილი. ერთი ძუძუთა ბიჭი ჰყავდა (თ. რაზიკ.). 4. ძვ. ხელზე მოსამსახურე ყმაწვილი. „ერთად წამოდით! – უბრძანა ბატონმა თავის ორ ბიჭს“ (ნ. ლორთქ.).

სხვა ნაწარმოებ სიტყვებთან ერთად როგორც სამწერლო ენაში, ისე მის დიალექტებში დასტურდება **ნაბიჭვარი** (ბუშის შვილი). მაშინ იყო ვინმე იმერელთ ბატონის ბაგრატის *ნაბიჭვარი* (ქ. ცხ. II, 442, 23). ჩვენ დავარქმევინებ ბოზთ, მეძავს, მრუშებს, და ჩვენს შვილებსა *ნაბიჭვრებს*, ბუშებს (დ. გურამ. 220, 77). **ნაბიჭვარი** დავიბადე, მიმაბარე *ნაბიჭვარად* მეცხოვრეთა (შჰნ. II, 4986, 2).

არის მოსაზრება, რომ **ნაბიჭვარი** წარმოსდგება სიტყვიდან ნაბიწვარი (ბიწი, ბიწიერება) – ი. გრიშ.

### **ბიჭობა:**

ახ. ქართ. **I. ბიჭობა 1.** ბიჭად ყოფნა; ბიჭად ყოფნის დრო. ალაზანშია ვყრიდით ძროხასა, თან ჩავყვებოდით უკანაც ჩვენა... ბევრიც სხვა ახსოვს ჩემს ბიჭობასა, მაგრამ სად არის ახლა ის ლხენა?! (ილია). 2. ვაჟკაცობა. მართლაც ბიჭობა დაიტრახხოს, ვინც ახლა ოჯახი შეინახოსო (ო. ჩხ.).

3. კრებ. ბიჭები, ბიჭების ერთობლიობა. მას დასდევს მთელი სოფლის ბიჭობა (ვ. ჩხიკვი.). ◊ **კარგი (კაი) ბიჭობა** ვაჟკაცობა. გურამმა გვიან გამოიჩინა თავისი კარგი ბიჭობა (თ. ნატრ.). კარგ ბიჭობაზე ვდებ თავს და კარგი ბიჭი უნდა ვიყო («ცისკ.»). იხ. II. ბიჭი.

საშ. ქართ. **II. ბიჭობა** მოღორება, მატყუარობა. არა გავა ეგე შენი მაღორებლობა და ბიჭობა (ვისრ. 77, 29). ...ძიძამან... საღორებელნი სიტყუანი შეკაზმნა და ბიჭობისა სიამოვნობითა შეამკუნა (ვისრ. 80, 27).

შდრ. **ბიჭ** (აზ. ბიჭ) 1. ეშმაკი, გაიძვერა, ცუდლუტი. აღნაზარად (საკუთ. სახელია (ბიჭ ყოფილ; 2. იგივეა, რა ნაბიჭოვარ. ბიჭოვად, ბიჭუვად ეშმაკობა, გაიძვერობა, ცუდლუტობა. შენ ერ ბიჭოვად მაფგონ! ქაჩალ ბიჭოვით (ეშმაკობით, ტყუილად) ავად ჯდევ (ინგ. ღამბ.).

**ბოა:**

ახ. ქართ. **I. ბოა** [ლათ. boa] მახრჩობელა გველი. შდრ. ბუა (თურქ.) მორიელი – საბა.

ახ. ქართ. **II. ბოა** 1 [ფრან.boa] ქალის ბეწვის მოსასხამი. ბედნიერია [ევგენი], თუ მოახურავს მას ბეწვის ბოას მხრებზე, შემთხვევით (ვ. ჭელ. თარგმ.). || ბეწვის საყელო (აკერებენ ზამთრის პალტოებს). ქათიბი ქათიბია შვილო, აი, ბოა, ქალები, რომ იკეთებენ ხოლმე პალტოს საყელოზე, ისაა (რ. ინან.).

**ბოზ-ი:**

საშ. ქართ. **I. ბოზი** (ფუთანა B.; ყახბა ZAaBCqD, ყაჰბა Cab.; ბუოზ ZAa, ბოზ CqD.) ძ. მეძავი A. ესე ბოზობა განიყოფებიან ორად: სიძვად და მრუშებად – საბა. ბოზი (სომხ.) როსკიპი – დ. ჩუბ.

*ბოზო*, შენ *ბოზო*, რად მომკალ (ვეფხ. 577, 4). ჩვენ დაგვარქმევენ ბოზთ, მეძავს, მრუშებს, და ჩვენს შვილებსა ნაბიჭვრებს, ბუშებს (დ. გურამ. 220, 77).

ქურდსა და *ბოზს* როდესაც მოურავი დაიჭერს, ამის ჯარიმას მოურავი რომ გამოართმევს, ათისთავი მოურავისა არის (კუცია 205, 38).

ახ. ქართ. **ბოზი** საუბ. ცუდი ყოფაქცევის ქალი, – მეძავი, როსკიპი, კახპა. ორთაჭალის ტურფას – თვალეზმობატულ *ბოზს* – ვევაჭრები «პედროს», ვევაჭრები «ტურბოს» (ტ. ჭანტ.).

**ბოზვი** ბოზი (შდრ. ა. შან.: ბოზვი). ბოზ-ტროვი მექალთანე, მუსუსი. [ვაჟა] თუ ქალებთან თავ-დაუჭერია, [ემახიან]: „ბოზვ.ტროვს“, საწლე-გახსნილს, „ბოტს“... (ეთნ. სწორფრ. 22) – ალ. ჭინჭ. აგრეთვე: ქურდ-ბოზვი (ხევს. ალ. ჭინჭ.).

1. ბოზი თურქული წარმომავლობისა ჩანს. შესაძლოა, ნასესხები იყოს ქართულში უშუალოდ თურქულიდან ან სომხურის მეშვეობით (გივინეიშვილი 2016).

2. ს.-ქართვ \*ბოზ-ქართ. ბოზი და ზან. ბოზო სიტყვები ერთი არქეტიპიდან მომდინარეობენ, რომელსაც „გოგოს, ქალიშვილის“ მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა (ველაურაძე 2017, 20).

დიალექტ. **II. ბოზი** მონაცისფრო, ბოზი ჯორი – მონაცისფრო სახედარი (ჯავახ. ზედგ.). **ბოზი** სერი, რუხი ხარი (ჯავახ. მარტ.). აგრეთვე: (აჭარ. ნიჟ.). შდრ. ბოზო /-ჲ (თ. boz) რუხი, ლემა (ხარი, კამეჩი...) (აჭარ. ნიჟ.).

### **ბოკელ-ი:**

ძვ. ქართ. **I. ბოკელი** ნაზუქი, ზეთიანი პური: „სამინდოდ შესუარული ზეთითა ბოკელთა თანა“ (ლევიტ. 7, 12).

საშ. ქართ. **ბოკელი** ერთგვარი პური, მრგვალად გამომცხვარი, აფუებული. ანუ აიღე ბოკელი სქელი, აფუებული (ფანასკ. 137, 32).

ს.-ქართვ. \*ბოკელ- „ნამცხვარი“ (ჩუხუა 2017).

საშ. ქართ. **II. ბოკელი, ბოკილი** შულო – დ. ჩუბ. **ბოკელი** რაღც მობოკლვით შემოხვეულია: ოქროს თმა და რაღც ილეკროს აშკი, ანუ ალყა და ძალი და დვრინი, გინა პური **მოზოკლვით** შექმნილი – საბა.

ახ. ქართ. **ბოკილი, ბოკელი** ძვ. «ქორის ფეხსაბამი თასმა ან ზონარი, ვითა ბორკილი“ (ნ. ჩუბ.); ფიგურ. ცა ახურავთ თავზე ქუდად, დააქვთ ელის ბოკელი (ნ. ჯალაღ.).

საშ. ქართ. **III. ბოკელი** ცერცვი, ჳნდური **ბოკლად** ითქმის საბა. **ბოკოლი** ცერცვი – დ. ჩუბ. შდრ. ბაკლა (თათრ.).

შდრ. საშ. ქართ. **ბაკილა** სომხურია, ქართულად ჳნდური ჰქვიან – საბა. **ბაკლა** ცერცვი რომე კაცმან ჰამოს, პირიდაღმან ავსა სულსა გაუგდებს (იად. 332, 27). ახ. ქართ. **ბაკლა** [Vicia faba] «მსხვილი ცერცვი» (საბა), ცერცვის სახეობა. კირკაჟი იყიდე, ბაკლა არ იყიდო! (გ. ერისთ.).

### **ბოლტ-ი:**

დიალექტ. **I. ბოლტი** 1. ბელტი. „დიდი ბოლტები ჳვნის დროს დავკუწითვე“; „ბოლტითა და ქვით ამაგართომს სულსა“, 2. გამინდვრებული ნიადაგი (მოხ. ქავთ.). იხ. II. ბორტი.

ახ. ქართ. **II. ბოლტი** [ქვ. გერმ. bolt] სამაგრი დეტალი, ჩვეულებრივ ექვსწახნაგა ან კვადრატული თავიანი ღერო კუთხვილით ქანჩის მოსაჭერად – ს. თეზ.

### **ბოლქე-ი:**

ძვ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. ბოლქუი** ძირი: „ვიხილეთ მსგავსი კაცისად, მდგომარღ მახლობელად ბოლქუს მარილმხლისასა“ (მ. ცხ. 252, 16) – ზ. სარჯ.

**ბოლქუი** ბალახთ ძირი, ხახვისა ან ნივრისა – საბა, დ. ჩუბ.

ზოგი ბოსტნეულისა და ბალახოვანი მცენარის მსხვილი მომრგვალო ძირი. ხახვის ბოლქვი. – ყოჩივარდას ბოლქვი – ქეგლ.



დიალექტ. ნიორს, რომელსაც *ბოლქვი* კიბილებად დაყოფილი არა აქვს, ობოლს ეძახიან (აჭარ. სურ. II, 44).

**ბოლქვი** ფშ. ჯგუფად ამოსული ყანა, გროვა, ქუჩი; ერთ მარცვალზე ბურჩხად ამოსული ღერი (ოთხი-ხუთი); თ. ჯინჭველაცის ბოლქვი, ჯინჭველთ გორალა – ა. შან.

შდრ. ბურქვი კუკური (სინონ. ხუხური). როცა რო გაშლილი არ არი სოკოი, *ბურქვი* ქვია იმა, მანჭკუალას არა აქ *ბურქვი* (ქორეთი). ახალი ამოსული როა სოკო, კუკური როა ამოსული *ბურქვია* (იქვე) (ზ.-იმერ. ძოწ.).

თუ ჩავთვლით, რომ ზემოიმერული **ბურქვი** არის მეგრულიდან ნასესხები სიტყვა, რომელიც თვით მეგრულს არ შემოუნახავს, შეიძლება აღვადგინოთ ქართ.-ზან. არქეტიპი \*ბოლქუ-ი „მრგვალი, ფენოვანი ძირი ზოგი ბოსტნეული მცენარისა“. მეორე მნიშვნელობა მეტაფორიზაციით ჩანს მიღებული (გიგინეიშვილი 2016).

ახ. ქართ. **II. ბოლქვი** კვამლის მრგვალ-მრგვალი ფარტენები. ქარხნის მილიდან კვამლი *ბოლქვებად* ამოდიოდა – ქეგლ.

შდრ. **ბურქუად-ბურქუად** ბოლქვებად: „ვინ არს ესე, რომელი გამოვალს უდაბნოთ, ვითარცა *ბურქუად-ბურქუად* კუამლისა აღსვლად“ (შატბ. კრებ. 266, 5). „ვიდრე ცეცხლი იგი *აღბოლქუებული* ატყდებოდა“ (Ath. -11, 88r). – ი. აბულ.

**ბურქი** ბოლქვი (კვამლისა) ზან. (მეგრ. ქობ.). სავარაუდოა, ეტიმოლოგიური კავშირი ლექსემებთან: ბური, ბოლი, ბუქი, ფუქი „ბუქი (კახ.) ფრქუევა „ფრქვევა“ (აბაშია 1997, 29).

**III. ბოლქვი** გროვა, ჯგუფი. *ბოლქვი* შვლების და არჩვების ირმებს კვალ-დაკვალ ჰყვებოდა („ნახევარ-წიწილა“, VIII). **ბოლქვად** „ჯგუფად“. ჩვენ ერთ მუხის ქვეშ მივსხედით, მივიკუნჭენით *ბოლქვად* (ვაჟა).

ბოლქვი < თათრ. ბოლუქი თათრ. გუნდი – დ., ნ. ჩუბ., თ. ბაგრატ.

**ბოლიქი** ჯოგი, ფარა (ფშ. ქეშიკ.).

შდრ. ბოლუქ-ბოლუქ (თ. bolük bölük) ჯგუფ-ჯგუფად, გუნდ-გუნდად (აჭარ. ნიჟ.).

დიალექტ. **IV. ბოლქვი** ამაღლებული მიწა, აგრეთვე ბელტი მიწა (თუშ. ხუბ., ცოც., ხევს. ჭინჭ.). შდრ. ბექი.

საშ. ქართ. **V. ბოლქვი** ZAB (ხე) ეკლიანი ბურქი C (ხე) – საბა.

#### **ბომონ-ი:**

ძვ. ქართ. **I. ბომონი** „ბაგინი“, კერპთა ტამარი, საკურთხეველი: „დააქციენით ბომონნი მათნი“, G – „ბაგინები დაამკვთ“ (M, II შჯ. 12, 3). „რომელი დადგრომილიყო ბომონსა მას შინა არტემისსა“ (ი. მოც. 66, 9). „აღჰმართა ბომონი ბაალისა სახლსა შინა სამაგელებისასა“ (III მფ. 16,22) – ი. აბულ.

**ბომონი** კერპთშესაწირავის ტაბლა. ბრძანა მოღებად *ბომონი* რვალი-საჲ, რომელ-იგი არს ტაბლაჲ საკერპოჲსაჲ [A= 1104 277v, 11-13b].

ბომონიანი კერპთათყვანისმცემელი: „ჰაერი წმიდა იქმნა, *ბომონი-ანთა* სისხლთაგან გავთავისუფლდით“ [A= 182 8r, 2-4b].

საშ. ქართ. **ბომონი** სვეტია, ხატსა ანუ კერპს(ა) ზედ აღმართვენ ძა. სვეტია, ხატთა ანუ კერპთა ზედ აღსამართავი. კედელი (+ ბ ო მ ო ნ ი – ურიათ შესაკრებელი Cb) – საბა.

ხომ იცით, თეატრი ჩემი ბომონია (მ. თუმან. 651, ქვ. 3).

ახ. ქართ. **ბომონი** ძვ. წარმართთა ტაძარი – სალოცავი; სვეტი, რომელზედაც კერპს აღმართავდნენ. და კაცთა კერპნი და *ბომონნი* პირქვე დაამხოს (ვ. ორბ.). [მამამხესა და ჭიაბერს] მიუვალ მთებში წარმართული *ბომონები* ჰქონდათ მუხოვანებში აღმართული და იქ ლოცულობდნენ იდუმალ თავად (ვ. გამს.). || გადატ. საერთოდ, სალოცავი. ჩვენს *ბომონში* სურს თავის სჯულზედა წიროს... (აკაკი). სასაფლაოს ბოლოში ნახევრად დანგრეული *ბომონი* იდგა (გ. გეგეშ.).

სიტყვა შემოსულია ბერძნულიდან აკუზატიური ბრუნვის ფორმით (შდრ. ხომῶს „ამაღლებული ადგილი“, „კუარცხლბეკი“, „საფეხური“, „საფეხურებიანი საკურთხეველი“ (გიგინეიშვილი 2016).

საშ. ქართ. **II. ბომონი** ჰასი. აიღე აყირყარა, ქუნჯითა და პილპილი თეთრი, და ანჯუდანი და *ბომონი* (ფანასკ. 296,30).

### **ბორ-ი:**

ახ. ქართ. **I. ბორი** [ლათ. borum < ლათ. borax < არაბ.] სპეც. ქიმიური ელემენტი, რომელიც შედის ბევრი მინერალის შემადგენლობაში. ცხოველმყოფელობისთვის აუცილებელია ალუმინი, ნიკელი, *ბორი*, ბარიუმი... („საქ. ბუნ.“). **ბორის მყავა** სპეც. თეთრი კრისტალური ნივთიერება, იხსნება წყალში; იყენებენ მედიცინაში ანტისეპტიკურ საშუალებად (ქეგლ.).

ამავე მნიშვნელობით გვხვდება **ბორაქი**. მოიტანე ოქრომჭედლის *ბორაქი* და მარილი თვითო დირჰამი (იად. 307,13). შდრ. ბორაყი, ბორაყიანი.

საშ. ქართ. **II. ბორი** ხმელი ნისლი. მტვრის მსგავსი. შენს დღეთა ვერას გააგებ, ვით *ბორი* ჭარმალაო! (ქილ. 818, 12).

დიალექტ. **III. ბორი** ბელტი; ამწვანებული მინდორი, მოლი (ფშ. ხორნ.).

დიალექტ. **IV. ბორი** (თ. ბორუ) 1. მილი, მილაკი (თუნუქის ღუმელისა). ბუხარში *ბორით* შეყუდებული სობა იცი შენცა? (ად.). თიჯის *ბორები* ამოვყარეთ სოფლის თავში (იმ., ჩვენ. ფუტკ.). *ბორები* დახეთქილა (დას); წყალი არ გაქ, შეიყვანო'ნა *ბორით* (უ., შავშ.). წყალი არ გაქ, შეიყვანო'ნა *ბორით* (უ); თიხიდან ვაკეთეფთ სობისი *ბორს* [ფეჩის მილია] (აჭარ. მრეწ. I, 439).

2. **ბორი** ბუკი, საყვირი boru. „საათი ხუთზე მივიდა, დუუკრეს სიკ[ვ]დილის ბორიო (შდრ. მარი, იმერხ.: არ მომიკლა ჩემი გული, შიგან დოუკარი ბორი (ჟღ. ჭან. ტექსტ. ბორუ (აჭარ. ნიჟ.). ბორი დუუკრა (იმ. ჩვენ. ფუტკ.).

ახ. ქართ. **V. ბორი** [გერმ. bohr ბურდი] ბორმანქანის სპეციალური მინიატურული ბურდი, რომელსაც კბილის სამკურნლოდ (დასაბურდად) იყენებენ – ქეგლ ახ. რედ.

ახ. ქართ. **VI. ბორი** (ძვ. -ისლ. borr შობილი) სკანდინავიურ მითოლოგიაში ერთ-ერთი მთავარი ღმერთი, პირველი ადამიანი, ბურის ვაჟი – ს. თეზ.

**ბორა:**

საშ. ქართ. **I. ბორა** იგივე I. ბავრუკი. საცხები ამისი: გოგირდი, ამლაჯი... ბორა (ფანასკ. 231, 9). ჯავაშირი, ბორა, შამიანდალი ესე სამივ დანაყე (ქანან. 73, 33). მერმე პატარა თაფლი და პატარა ბორა, -რომე ოქრომჭედელნი იკმარებენ... მერმე უკანასა კარშიგან ჩასახი (კარაბად. 289, ქვ. 5).

**ბორა** – ოქრომჭედლობაში ბორა გამოიყენებოდა ვერცხლის ნაჭრების ერთმანეთთან დასაკავშირებლად. პოტაშს და თანუქარს ერთმანეთში აურევდნენ, ზედ მარილს დაურთავდნენ და ცეცხლზე აადულებდნენ. დუღილის შემდეგ ჯამის ძირში დალექილი მასა არის ბორა. დასაკავშირებელ ნაჭრებს გაახურებდნენ, ერთმანეთზე დაადებდნენ და ზედ ბორას დააფრქვევდნენ, შემდეგ კვლავ გაახურებდნენ და ნაჭრები ერთმანეთს მიედულებოდა (ქართ. მატ. ლექს.).

საშ. ქართ. **II. ბორა** დიდი ბუზი და მკბენარი, ცხენთ ძალიანა ჰკბენენ და აწუხებენ ესენი (თ. ბაგრატ.). ხოლო მწერნი: კოლო, ბუზი, ბორა, კრაზანა... და სხუანიცა დიდნი და მცირენი მრავალნი (ქ. ცხ. IV, 44, 2). შდრ. **ბოვრი** (მწერ.) სომხ. ბორ, დიდი ბუზი – საბა.

ახ. ქართ. **ბორა** [oestridae] ერთგვარი ფრთიანი მწერი, რომლის ჭუპრებიც ხშირად პარაზიტობენ საქონლის კანქვეშ, ცხენის კუჭ-ნაწლავში, ცხერის შუბლის ფოსოში. პროხის ბორა [იპოდერმა ბოვის] (შდრ. ზღმურდლი). **ცხერის ბორა**. [Oestus bovis]. **ცხენის ბორა** [astrophilus intestinalis] – ქეგლ ახ. რედ.

დიალექტ. **ბორა** ბუზი ბუზია ერთგვარი, ფუტკრის ტოლი იქნება. დიდი გვალვების დროს საქონელს ეხვევა. მწარედ იკბინება. ბორა ძაან მავნებელი ბუზია, კრაზანასავით იკმინება და თანაც სისხლსა ძწოვს ბლომათ (გ.-კახ. სახლთხ.). იხ. აგრეთვე: (ქიზ. მენტ., თუმ. ხუბ.). **ბაურა** (ფშ. ხორნ.).

დიალექტ. **III. ბორა** მცენარის ფოთოლი, რომელსაც ფორს ქვეშ უფენენ. *ბორაში* კარგი ფორი გამოდის (მთ. კაიშ.). ვფიქრობთ, რომ **ბორა** < **ბურა**.

**ბუერა** [Petasites] მრავალწლოვანი ბალახი რთულყვავილოვანთა ოჯახისა; გავრცელებულია ტენიან ადგილებში; აქვს დიდი, გრძელყუნწიანი ფოთლები – ქველ.

სამ., ახ. ქართ., დიალექტ. **IV. ბორა** (ფრინ.) ძერას (ჰ)გავს, უდიდეა – საბა, ნ. და დ. ჩუბ.

შემომავარენ მიწა-ყორები, არ დამეხვივნენ ყორან-ბორები (ბეს. 156, 11).

ახ. ქართ. **ბორა** [Milvus milvus] მოზრდილი მტაცებელი ფრინველი, ძერის მსგავსი.

უბრძანა ჯაფარას: „მომიყვანე ძერა, ქორი, სვავი, ორბი, არწივი და ბორა!“ (თ. რაზიკ.). სარკმლიდან შემოსულ უსუსურ ნათელს გაუჩრდილავს ბორას ნისკარტებით მოდრეკილი, სიფრიფანა ცხვირი და პერგამენტით გაყვითლებული სახე [ფარსმანისა] (ვ. გამსახ.).

ჩვენ ბევრა ბორა მავკალით, შენ არ მაგიკლავ მწყერიო (ალ. ოჩ. 119, 20, ხევს. ჭინჭ.). შდრ. **ბურაული** ძვ. მწყაზარი ქორი (საბა, ქველ), რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში დაკავშირებულია ფერის აღმნიშვნელ სპარს. სიტყვასთან ბურ, ბორ „რუხი, ყვითელი, წითური“ (ანდრონიკაშვილი 1966, 82).

ახ. ქართ. **V. ბორა** იხ. II. ბორია.

ახ. ქართ. **VI. ბორა** დიდი, მსხვილი. ამ მნიშვნელობით ბორა გამოიყოფა შემდეგ რთულ სიტყვებსა და სინტაგმებში: 1. **ბორავაშლი** ვაშლის ერთ-ერთი ჯიშის ხე. [ის] ბორავაშლის ქვეშ... მაგიდასთან იდგა (ო. ჩხ.). || ამ ხის ნაყოფი. [თამრომ] ახადა ხის ყუთსა, ერთი ბორავაშლი ამოიღო (ს. მგალობ.). ტასა ბორავაშლივით დაუბეჭავთო (ი. ეკალ.).

დიალექტ. აქანა იყო ერთი ძირი ბორავაშლი, თითო გირმაქა მოდიოდა თითოი (იმერ. გაჩ., ქავთ.).

გვხვდება დამოუკიდებელი სახითაც: **ბორუა** საშემოდგომო მსხლის ჯიშია. ნაყოფი მრგვალი ფორმისა, მსხვილი, წვნიანი (რაჭ. კობახ.).

2. **ბორა ბატკანი**; 3. **ბორა კარტოხაი** (მოხ. ქავთ.). 4. **ბორაცხვარი** უდუმო, გრძელრიკიანი და მოკლებეწვიანი ცხვარი. **ბორაი** (**ბორაცხვარ**) მატყლი არ უვარგა, ბეწვი მოკლე ეზდება, სამაგიეროთ ხორცი აქ ბევრი და მაგრათაც სუქდება (გ.-კახ. სახლთხ.). მერინოსის ცხვარი (მოხ. ქაჯ.) – ალ. ღლ.

**ბორა** გამოიყოფა კომპოზიტშიც: **თავბორა** დიდთავა (ჩვეულებრივ, ძალლი, უპატივც. იტყვიან ადამიანზეც (იმერ. ქავთ. სტრუქტ. IV).

შდრ. მეტსახელი **თავბერა**. ისე რა მაგარია არა? კარგი გუნდი რო გყავს ჰანიკენის (რეგბის ჩემპიონთა ლიგაა) თასს თამაშობ და ყოველ კვირა ესეთი ამბავი გაქვს ქალაქში! – ამბობს თავბერა (ლ. კილას.).

ახ. ქართ. **VII. ბორა** მთის ძალლი. საქართველოს ფარგლებში ბორა გვხვდება თითქმის ყველგან (ნადირ.). // ძაღლის სახელი. მონადირე ძაღლების ...კარგი ქართული სახელები... დექსი, დორა, ბორა, ბოი, ყანწია, ყელისა და უამრავი კარგი სახელები (ბაზ.). შდრ. მურა შავ-წითელი ძალლი (საბა).

საშ. ქართ. **VIII. ზორა** იხ. I. ბორანი.

**ზორა** „საჭმლის“ მნიშვნელობით ჩვენ ვერ დავადასტურებთ. შეიძლება საჭმელი **ზორა** ბერძნულის საჭმლის, საკვების მნიშვნელობის **ზორა**-დან მომდინარეობდეს (ბერძნ. გიორგ.). არც ისაა გამოსარიცხი, რომ ფონეტიკურად იგი უკავშირდებოდეს თურქულ-სპარსული წარმომავლობის ბორან-ს რომელიც მეტნაკლები სემანტიკური გადაწევით დასტურდება როგორც სამწერლო ქართულში, ისე მის დიალექტებში.

**ზორაკ-ი:**

საშ. ქართ. **I. ზორაკი** იხ. I. ბავრუკი. გაურთიე *ბორაკი* – ერთი დრამი (ფანასკ. 220, 20).

საშ. ქართ. **II. ზორაკი** ფახლავა – საბა. იხ. II. ბავრუკი.

შდრ. **ზორეგი, ბურეგი** (თ. ბორეკ) ნამცხვარი: პურის ცომის თხელ-თხელ ფენებში ჩატანებულია დანაყილი ნიგოზი, რომელიც შეზავებულია შაქრით და გამომცხვარია, ერბოთი (საბა (თ.) ღუემილი **ზორაკ, ზორაკი**, ფახლავა, მარი ჭან. გრამ. **ბურედი**) (აჭარ. ნიჟ.).

**ბორან-ი:**

ახ. ქართ. **I. ბორანი** ერთმანეთთან შეერთებული ორი ბრტყელძირა ნავი, ზედ დაგებული ფიცრებით, მდინარის ერთი ნაპირიდან მეორეზე გადასასვლელად და ტვირთის გადასაზიდად (მოდრაობს ნაპირებს შორის გაბმულ ბაგირზე). ოძელაშვილი არსენა ზედ *ბორანზედ* დაუდგესა (ხალხ.). გაღმა გასვლისა მსურველთა უკულმა მიგვყავს *ბორანი* (ვაჟა). დიღმის *ბორანთან* მოწყდა ადგილიდან და გამიჭენდა [ცხენი] (ვ. გამს.). სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ეს სიტყვა მე-19 საუკუნემდე არ გვხვდება. **ბორანი** შედარებულია რუს. паром /паром ასევე ამ წარმომავლობის სერბ.-ხორვ., ჩეხ., ქვ. გერმ. სიტყვებთან და შენიშნულია, რომ ძნელი ასახსნელია თავკიდური ყრუ თანხმოვნის გამჟღერება ქართულში. ბოლო კიდური ნ < მ (გიგინეიშვილი 2016)

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **II. ბორანი** კულინ. 1. მაწონგადასხმული მხალეული (დ. ჩუბ.). 2. მწვანე ლობიო ვარიით. აქ იყავით! ...მწვანე ლობიო გვაქვს *ბორნით*, შენი საყვარელი საჭმელი (ვ. ბარნ.). ახალი ლობიოს *ბორანი* (ბ. ჯორჯ.). შემდეგ ქალს *ბორანი* შემოაქვს (ფ. ხალვ.).

დიალექტ. **ბორანი** (თურქ., სპ. ბორანი) ერთგვარი კერძი (კარაქში შემწვარი კვერცი და ყველი). *ბორან* რომ მეიტანებენ, შენ ხელები შიგიკრან და მე ფეხები (ინ. ჩვენ. ფუტკ.). იხ. ასევე: (ინგ. როსტ. აჭარ. ნიჟ., ნოლაიდ. VI, 1987, 34).

დიალექტ. **III. ბორანი** არც ძილი და არც ღვიძილი, ძილ-ბურანი (მაღალი ტემპერატურის დროს მოსდის ადამიანს): დილლამდინ *ბორანში* ვიყავ, ერდნა არ დამიზინნი (ინგ. როსტ.). იხ. შდრ. I. ბურანი.

**ბორაყ-ი:**

საშ. ქართ. **I. ბორაყი** იხ. I. ბორაკი (ფანასკ. 220, 20).

საშ. ქართ. **II. ბორაყი** ნისლი ხმელი და მტვერის მსგავსი – დ. ჩუბ. შდრ. ბორიაცი – ქეგლ. ახ. რედ.

ახ. ქართ. დიალექტ. **III. ბორაყი** ხევეს. იგივეა, რაც ბაირალი. წინათ, როცა ხევსურეთი გაილაშქრებდა მტერზე, გუდანის დროშა – „*ბორაყი*“ – წინ მიუძღოდა ჯარსა (ნ. ურბ., ქეგლ ახ. რედ).

**ბორაყ-ალვისტანი** იხ. ბორაყი. „გამიძღვასავ თათარივ, აზაის შვილივ ჩამიბარებასავ ჩემ *ბორაყ-ალვისტანივ* [დროშა]“ (თ. ოჩ. სარწმ. 68). – ალ. ჭინჭ.

ბორაყი < ბავრაყი. **ბავრაყი** ბაირალი. ლომსა... მისი სვიანობისა *ბავრაყი* აუმაართავს (ქილ. 325, 30).

**ბორია:**

საშ. ქართ. **I. ბორია** იხ. I ბორა. „ოქრომჭედელნი რომე ბავრუკსა იგმარებენ, ბორია იმას ჰქუიან“. „ცოტა ბორია გაურიე“ (ფანასკ. 51, 4).

ძვ., საშ. ქართ. **II. ბორიაჲ** ჩრდილოეთის ქარი: „ქარი იგი ჩრდილოეთისაჲ, რომელსა ეწოდების *ბორიაჲ*, იგი ქროდა მას ღამესა სასტიკად“ (ბ. კეს. სწავლ. 174, 17). „ჩრდილოდსა ქარი შეძრვიდა, რომელსა *ბორია* ეწოდების“ [ლერ. = 151 108v, 7-8]. ...ზეფიროს, ფვინიქსი, *ბორია*, ნოტოს (დ. გურამ. 208, 5).

იქმნა ჰავა ბორიასა კეთილი (ტ. გაბ. 126 ,5).

ახ. ქართ. **ბორია** კუთხ. სიო, ნიავი. ოჰ! მეტისმეტად ცხელა, ლამის სული შემიგუბდეს, ერთი კაი *ბორია* ახლა ათას ქისა მარჩილად ღირს! (უიარად.). მეზობლებიდან თუ მეიტანა *ბორიამო* [თოფის წამლის სუნი] (ე. ნინოშ.).

საქართველოს ზღვისპირეთში, ისევე, როგორც სხვაგან, სხვადასხვა მხრიდან მონაბერ ქარს კონკრეტული სახელიც გააჩნდა. სამხრეთის ქარს სამეგრელოში „**წანი ბორია**“ (ჭანური ქარი) ან კიდევ „**გურული ბორია**“ ეწოდებოდა. აჭარასა და ჭანეთში ჩრდილოეთის ქარის აღმნიშვნელად „**ფოთის ქარი**“ იხმარებოდა. დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთში ჩრდილოეთის ქარს ზოგჯერ „**ბორას**“ ან კიდევ „**ფორიაშს**“ უწოდებდნენ. ორივე ძველი ბერძნული „**ბორიასიდან**“ მოდის, რომელიც ჩრდილოეთის ქარს ნიშნავს. **ბორა** ძველი ბერძნული სიტყვის იტალიური ვარიანტია, ხოლო **ფორიაში** ამავე ქარს ეწოდება შუასაუკუნეების ბერძნულის ერთ დიალექტში. შესაძლებელია ეს ტერმინები ჩვენში უშუალოდ ამ ენებიდან იყოს შემოსული ან თურქულიდან, სადაც ორივე ეს სახელწოდება რამდენიმე საუკუნის წინ დამკვიდრდა (ბერაძე 1981, 42).

სიტყვა ნასესხებია ბერძნულიდან (შდრ. boréas „ჩრდილოეთის ქარი“) თავდაპირველად ბორეა ფორმით, რომელიც შემდეგ კანონზომიერად იცვალა ბორია-დ (შდრ. თეატრი > თიატრი და სხვ), მეტყველებაში. ბო-

რიო ფორმა შესაძლოა მოდიოდეს (**ბორეოს** ჩრდილოეთის“, „ჩრდილოური“) ფორმისაგან ან საკუთრივ ქართულ ნიადაგზე -ო სუფიქსის დართვის ნიმუში იყოს (გიგინეიშვილი 2016).

### **ბორიო:**

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. ბორიო**. 1. ქარი ზამთრისა ვარდთა და ყვავილთა შემაწუხებელი (თ. ბაგრატი.). ნარგისთათ იძვრის *ბორიო* (ვეფხ. 1456, 4).

ნავით მომავალნი მონაზონნი ბერვითა სპეტთა იალქანთათა *ბორიოს* მიმოტაცებული თვალთა მხედველთასა განაცვიფრებდა (ტ. გაბაშ. 151, 9).

**ბორიო** დაღმუით თავზე *ბორიო*, აგლეჯს თმა-წვერს და ქოჩორსა (ვაჟა). ფხიან *ბორიოს* ნისლი გაეფანტა და ნახევრად მოწმენდილი ცის კიდე ჩამავალი მზისაგან წითელ შუშასავით ბრჭყვიალებდა (რ. გვეტ.).

**ბორიო** ნელი ქარი (გურ. ჟღ.). **ბორიო** „ჩრდილოეთის ქარი“ (ა. შან.). შდრ. II. ბორია.

დიალექტ. გადატ. 2. **ბორიო** იმერ. გადატ. უთავბოლო კაცი (ი. ჭყ.).

გადატ. **ბორიო** უთავბოლო, მოუწესრიგებელი. სიმონანთ რძალი ძიელ *ბორიო* რამა ყოფილა, თელი დღე ფეხზე ტრიალევს და გაკეთებულ კი არა უჩანს რა (ნაბახტ., ქართლ. მესხ.).

**ბორიო ხალხი** უსაქმოდ მოხეტიალე ხალხი. „მაისანა *ბორიო ხალხს* რა გამოლევს, მაგას რო უყურო შენ, დეილუპები“ (საჩინ. შარაშ.).

**ბორიო** ზედმეტად ხელგაშლილი ადამიანი. „*ბორიოა, ბორიო* ფაციე, – იტყოდა ბაბუაშენი, – ქვეყანასა გარდაყოლილი და არ უმადლის არაკაცი“ (ი. ჭყ. უთავბოლო) (საჩინ. შარაშ.).

დიალექტ. **II**. 1. **ბორიო** ოქრომჭედლის ხელსაწყო: გრძელი მილია, რომლითაც ჭრაქის ცეცხლს უბერავენ და ოქროს ან ვერცხლს ახურებენ (ქიზ.). შდრ. V. ბორი.

2. ბუკი, საყვირი. „სათი ხუთზე მივიდ, დუჟკრეს სიკ[ვ]დილის *ბორიო* (შდრ. მარი. იმერხ.).

3. კაკიტადის აზრით **ბორიო** იმავე წარმომავლობისა უნდა იყოს რაც ძველსავე ქართულში დადასტურებული საბერველი. ...მაშასადამე, საბერველის ფუნქციის მქონე ხელსაწომ სახელი ქარისაგან აიღო; ქარი – ის რაც უბერავს. ბორიო – ის, რითაც უბერავენ (კაკიტაძე 2005, 75).

### **ბორტი-ი:**

დიალექტ. **I. ბორტი** (მთიულ.) უძრავი მიწა (მთ. კაიშ.). **გაბორტული** (მიწა) ნახნავი, მაგრამ სულ ბალახად ქცეული (მთ. კაიშ.). **ბორტი** გუდ. მთ; ბორტვი, ბორტი (რაზ. ჭყ.) – ა. შან.

**ბორტვი** 1. დაბალი ბალახით დაფარული, ბელტებად შეკრული მიწა (ხევს. ჭინჭ., თუშ. ცოც., ფშ. ხორნ., რაცხ. გურ.). **ბორტოი** (ინგ. ასრათ.).

აგრეთვე: **გაბოტებული** დიდი ხნის ნასვენი მიწა. „მიწა თუ ქვიშრობი და ნაბეჩხარი იყო, სამს-ოთხს წელს აღარ ვკნავდით, *გაბოტებული* გაუშუტიოვ“ (მოხ. ქავთ.).

**ბორტ**-ფუძე გამოიყოფა ძველი ქართულის ნაწარმოებ ლექსემაში **ბორტნაანი** ბალი, ბაღჩა: „შეჰგავს მონაზონსა, რადთა არა მოცალე იყოს... არცა წყაროებისათვის კეთილად აღმომდინარისა ანუ სამოთხეთათვის და *ბორტნაანთა* და ფერდ-ფერადთათვის მხალთ“ (მ. ცხ. 79r). ეგევე ფუძე დასტურდება „მხვნელის“ შინაარსის ბოლტველ სიტყვაშიც ქართულისათვის დამახასიათებელი ფონეტიკური პროცესით რ > ლ. მპოვნელმან საფატომს ყრმისა, ელისსეომსმან, მკნელად და მის თანა სხუათა ვიეთმე, ბოლტველთა ათორმეტთა უღლეულთას (ფლავ. 8: 13, 7).

ახ. ქართ. **II. ბორტი** [გერმ. Borg, Borte] 1. გემის, თვითმფრინავის... გვერდითი კედელი. **მარჯვენა ბორტი**. – გემის მარცხენა ბორტი. || სატვირთო ავტომობილის, ღია საბარგო ვაგონის და მისთ. ძარას კედელი. მანქანის უკანა *ბორტზე* რკინის პატარა კიბე იყო ჩამოკიდებული (რ. ინან.). 2. გემის, თვითმფრინავის, კოსმოსური ხომალდის, მთვარემავლის შიდა სივრცე. [კორესპონდენტი] გამანადგურებლის *ბორტიდან* გამოგზავნილ რეპორტაჟებში მოუთხრობდა მკითხველს მეომრების თავდადებაზე (გ. აბაშ.). 3. პალტოს, პიჯაკის მარჯვენა ან მარცხენა ნაპირი (ღიღებინი და კილოებიანი).

ახ. ქართ. **III. ბორტი** [ნიდერ. boort) დაბალი ხარისხის ალმასის კრისტალები – მ. ჭაბ.

ახ. ქართ. **IV. ბორტი** (გერმ. Bord) 1. შემოღობილი, შემოსაზღვრული მაგ. ბილიარდის მაგიდის ზედა კიდე, აუზის ან ჰოკეის მოედნის კედელი და ა. შ.

### **ბორჯ-ი:**

საშ. ქართ. **I. ბორჯი** ვალი – დ. ჩუბ.

ახ. ქართ. **ბორჯი** (თ. ბორჯ) ვალი, გადასახადი. მაშ, გავყიდოთ, შვილო, შენი ჩვრები..., გავისტუმროთ ხარჯი, *ბორჯი!* (ი. ევდ.). *ბორჯიც* მიიღო, რადგანაც დარწმუნდა, რომ ფულს მალე მიიღებ ბანკიდან (აკაკი).

დიალექტ. იმ ზავალსა *ბორჯიც* ახლა აართვეს მეგემ (იმერ.); *ბორჯიდან* თავი ვერ გამეილო ზავალმა, ქულფეთ ვერ უუთავა ვეეფერი (სტ., ჩვენ. ფუტკ.). „მე რომ [რ]ძალი მოვიყვანე, ოც მანათი ბორჯითაო (აჭარ. ნიჟ.). **ხარჯი-ბორჯი**: „ეგეც კარგი, ეხლა გადახდილი გვექნება მაგისი ხარჯი-ბორჯი“ (ჯავახ. ბერ.).

საშ. ქართ. **II. ბორჯი, ბორჯალი** (თათრულად ეწოდების ვალსა) ქართულად და იმერულად უხმობენ პაემანსა, ვადასა, *срок* – ნ. ჩუბ.

**ბორჯი** კუთხ. 1. მორიგეობის დრო, – ჯერი, რიგი, ვადა. მხიარული დრო არის, მაგრამ სამი თვის მეტი *ბორჯი* კი არც ამასა აქვს (აკაკი). მოჯა-



ლაბემ მოგახსენათ, ექვსი თვის *ბორჯი* გამოვიდა და უნდა წვედიდო (გ. წერეთ.). იმ თათარმა ორი საათი მოგვცა *ბორჯად* (აკაკი).

ბორჯი დრო. ბორჯი შფოთი ზან. (მეგრ. ფიფია).

შდრ. **ბორჯალი** ძვ. „პაემნის ჟამი, პაემანი“ (საბა).

საშუალო საუკუნეების ძეგლებში ხშირად იხმარება სიტყვა **ბორჯალი** (დრო, გარკვეული ვადა, ხანი; პირობა) რომლის თავდაპირველი სახეა ძველუზბეკური bulĉar, mulĉau, bolĉar. ქართულში შესაძლოა ბოლჯარ (> ბორჯლი) ფორმაც ყოფილიყო (ქავთარაძე 1964, 361). თუ ამ *ბორჯალ-ზედ* თეთრი ვერ მოგვცეთ, მასუკან ნასყიდობის წიგნი მოგვცეთ (სამ. VIII, 856). ბორჯალზე ყუელა მოვიდენ (ფემ. 821, 1).

შესაძლოა **I ბორჯი** და **II ბორჯი** ერთი წარმომავლობის სიტყვებია, მაგრამ, ვფიქრობთ, რომ სხვადასხვა დროს და გზებით უნდა იყოს ქართულში დამკვიდრებული.

დიალექტ. **III ბორჯი** დიდ მალალ ადგილებსა ბორჯს დაძმახიან, ქართულად ბურჯს იტყვიან (ფერეიდ. ჩხუბ. 311). შდრ. **ბურჯი** (ჩიქ.) (არაბ.) კოშკი (ფერეიდ. ჩხუბ. 312).

ახ. ქართ. **IV ბორჯი** ფესვი (შდრ. ბორჯღალი). ◊ **ბორჯს გა'იდგამს** ფესვს გაიდგამს. ჯეჯილმა ამოიწია, გაიდგა ბორჯი და ძირია (ი. ევდ.). ფიგურ. ფეხის თითებმა ბორჯი გაიდგა, შავმა ქოჩორმა ცვივნა დაიწყო (ხალხ.). || გადატ. ერთ ადგილას დიდხანს დარჩება. რა ბორჯი გაიდგი და აღარ იძვრი ადგილიდან?! – ქეგლ.

**ბორჯგადგმული** ფესვგადგმული. მატიტელა, მრავალძარღვა და საძირკველში ბორჯგადგმული ბალბა... თეთრად არიან გაგანგლულები (კ. კობ.).

შდრ. დიალექტ. **ბორჯვბ** (თუმ. ცოც.). – ქეგლ. **ბორჯოყო** ვაზის განტოტვილი ადგილი (ალავ., ასათ., კობახ.).

შდრ. **ბორზ (ბარზე)** 1. ამაღლებული ადგილი. 2. ხის ტოტი (სპარს. ალ. ელერდ).

### **ბოტ-ი:**

საშ. ქართ. **I ვაც-ბოტი** თხა. **ბოტი** თხის ერკემალი – ნ. ჩუბ.

„*ვაც-ბოტისა* კისერი გაქუს“ (ჯუანშ. 190, 7). აწ სად წაგვივლენ არდავლით სულტანნი ხრდალნი და *ბოტნი* (არჩ. 378, 917, 4). ბოტის ნაღველი იხმარებოდა წამლად (იალიგ. 299, 22).

ახ. ქართ., დიალექტ. **ბოტი** 1. დაუკოდავი მამალი თხა, სანაშენე და ფარის წინამძღოლი (სინონ. ვაცი, ელქაჯი; გუდამაყ. ხევის. ქეჩი). რა გიჭირს, ცხვარო, ტიალო, მოვე ბალახი ხშირია! *ბოტო*, გუძელ იქისკე, სადაც ალაზნის პირია! (ვაჟა). იყო ერთი თხაო, ბოტად გადიქცაო (ი. დავით.). || ირონ. ამ ჯარგვალში ხუთი სავაცე *ბოტი* რომ იზრდებით, წყვილგამოუს-

ხამი, ისიც კმარა, ჭირიმე! (ლ. ქიაჩ.). 2. გადატ. ყოჩალი, მამაცი. ეს მხვდა, როგორც ლომს, არ ვიღებ მალვით... ესეც მე შემხვდა, როგორც ძლიერ ბოტს (რ. ერისთ.).

დიალექტ. **ბოტი** (თ. ბოტ) მამალი თხა. წრეველი სულ ბოტებ შოვნილობენ თხები, წალი ნაკლებია (აჭარ. ნოდ. VII, 36). გვიან შემოდგომით, ნერბობის დრო რო დადგება, ბოტებსაც გაუურემთ ხომე ცხვარში (ჯავახ. ზედგ.)

ამავე მნიშვნელობისაა **ბოტი** (ხევს. ჭინჭ., მესხ. ფეიქრ., თუშ. ცოც.) **ბოტალა** ექვსი თვიდან დაუკოდავი მამალი თხა. „ნუ აჭყერ ბოტალსავით თოლებსა“ (მოხ. ლუდ.).

შდრ. სვან. **ბოტა** (სვან. ლიპარიტ.).

ზან. **ბოტი** (მეგრ. ქაჯ. II). **ბეტარი** მამალი თხა (მეგრ. ფიფია).

1. **ბოტი**-ში ჯავახიშვილი გამოყოფს სქეს –კატეგორიის აღმნიშვნელ უჰასაკოთა აღმნიშვნელ ბ-თავსართს და მიაჩნია, რომ **ბოტი** დროთა განმავლობაში არის მამალი თხის სახელად ქცეული, თავდაპირველად და წინათ-კი ეს სიტყვა თხისა და მისთანათა ზოგადი აღმნიშვნელი სახელი იყო. თუ იმ დროს ამ ცხოველის მამრობითობის აღნიშვნა ჰსურდათ, მაშინ ბოტს წინ მამალი ცხოველის სახელი ვაცი ერთვოდა ხოლმე (ჯავახიშვილი X, 1992, 217). 2. **ბოტი** ნასესხები ფუძეა ქართულში (ქერქაძე 1974, 154).

ახ. ქართ. **II. ბოტი** (პოლანდ. botte) ძვ. დიდი ნავი (ნიჩბიანი ან ანძიანი ან მოტორიანი). ხომალდი-ლოცმანის ბ., სამაშველო ბ., სადესანტო ბ., სათევზაო ბ. და ა. შ.

ახ. ქართ. **III. ბოტი** (ფრანგ.) დაბალყელიანი წყალგაუმტარი ფეხსაცმელი სინთეტიკური მასალისაგან. [პეპელა ძალომ] დაიწყო ბოტების ჩაცმა (რ. ინან.).

### **ბეირ-ი:**

საშ., ახ. ქართ. **I. ბეირი** უგულო ფეტვი – საბა, დ. ჩუბ.

**ბეირი** ფშუტე, უგულო მარცვალი, ფეტვი ან პურეული (განიაგებისას ნიავს მიაქვს ან გვერდზე ცვივა). **ბეირივით** ზმნს. მრავლად, ბზესავით, თავზე საყრელად. იმ დროს ფული ბეირივით იყო (გ. წერეთ.).

დიალექტ. **ბეირი** იგივეა, რაც ბეიტი. ბეირი მშიერი, უგულო ფეტვი; განიაგებისას ნიავს მიაქვს ან გვერდზე ჰყრის (ქიზ. მენთ.).

შდრ. **ბეირი** უმწიფარი ზან. (ლაზ. თანდ.).

დიალექტ. **II. ბეირი** 1. წვრილი ნამსხვრევი. შოთამ ფანჯარას თოფი ხკრა, ჩამედიანა ბეირია. 2. ერთი ბეწო რამ, ნამცეცი. ოცდაათის ხინკლისაი არ გასწირე ბეირიან (ფშ.-ხევს. პოეზ. 248, 20) – ალ. ჭინჭ.

**ბეირი** წვრილი, სასროლი ბადის ღონეს აქვს ბეირი თვლები, რომ თევზი არ გამოძვრეს. რაც ღონეს ვცილდებით, თვლები დიდდება (შროშა, ზ.-იმერ. მოწ.). **ბეირვა** რაიმეს წვრილ ნამსხვრევებად ქცევა, ძალზე ხმელი

მზეზე გაფიცხებული თივის ფშვენტა სეტყვის შემდეგ (ამიტომ ასეთს არა ხვეტენ) (ფშ. ხორნ.).

საშ. ქართ. **III. ზჳირი** ჟირი ან ჯირი, ორპირად მოქნილი ტყავი ირმისა და მისთანათა – დ. ჩუბ. შდრ. (სპარს.) ჯირ ნატი, ზამში ნატი – ალ. ელერდ.

**ზრა:**

საშ. ქართ. **I. ზრა** გავუცვლი – დ. ჩუბ. იხ. I. გაბრა

ახ. ქართ. **II. ზრა** [ფრან. bras ხელი] კედელზე მისამაგრებელი ელექტრო-გასანათებელი მოწყობილობა. კედლებზე... *ბრები* მიუჭედეთ («ლიტ. საქ.»).

**ზრაგა:**

საშ. ქართ. **I. ზრაგა** ზღვაში გორა უხილავად – საბა.

შდრ. **ზრაჟა:** *ბრაჟათა* შეეხეთქები აფრითა მოკუეთილითა (ქილ. 807, 2).

ახ. ქართ. **ზრაგა** (თითქმის წყლის ზედაპირამდე ამომავალი წყალ-ქვეშა კლდე (მთა) ზღვაში, – რიფი. ბიჭი წავიდა. მარჯნის *ბრაგებზე* ფეხ-შიშველი მიაბიჯებდა (ნ. ღამბ. თარგმ.). ჩრდილოეთის მხრით *ბრაგებია*, სასწაულით თუ გადარჩება გემი (ო. იოს.).

დიალექტ. **ზრაგა** ყამირი მიწა; გამოფიტული, მწირი მიწა, ადგილი. ზრაგა ყანა ქონია და იმა ხნევედა მეგემ (თ. ქ., ჩვენ. ფუტკ.).

ახ. ქართ. **II. ზრაგა** [რუს. неpara] შინ დამზადებული ლუდის მსგავსი სასმელი. ბუდარიხა *ზრაგას* რომ დააყენებდა და გადაწურავდა, ბოზალუყი მთლად სევასი იყო (ჭ. ამირეჯ.). უკვე გამოეტანათ: შემწვარი შინაური ძეხვი, მჟავე კიტრი..., ორი შტოფი შინნახადი არაყი, დიდი ქვაბი *ზრაგა* და ერთი ლიტრი მურაბით შეფერილ-შემტკბარი არაყი ქალებისათვის (ჯ. იოს.).

**ზრაწი:**

ძვ., საშ., ახ. ქართ. **I. ზრაწი** styrax; გრაკის ხე (საბა, დ. ჩუბ.). „იაკობ მოიღო კუერთხი *ბრაწისად* ნიგუზისად“ (დაბ. 30, 37)

**ზრაწი** კლდის მცენარე უცვეთელს ჰგავს (თ. რაზიკ.).

[ცირცელს სურდა] მოესმინა იმ ბრძენი *ბრაწის* ნაამბობი, ბერიკაცის წვერებივით კლდეს რომ ეკიდა (თ. რაზიკ.). თუმც ბევრი ვცემე, არ ადგა, ზედ დავამტვრიე *ბრაწია* (ვაჟა).

ს.-ქართვ. \*ზრაწ – „წითელი; შებრაწვა (ქართ. ბრაწი „წითელივით“ (საბა), (ჩუხუა 2008, 135).

დიალექტ. **II. ზრაწი:** (იმერ., გურ.) გამოსაჯავრებლად, ნიშნის მოსაგებად აწეული ცერის ჩვენება; (გადატ.) ნიშნის მოგება. შდრ. ბრაწი – ქეგლ. შდრ. პრეწა, ვიპრუწ ტუჩსა, ვიპრიწები – დ. ჩუბ.

**ბრინჯ-ი:**

ძვ., საშ. ქართ. **I. ბრინჯი** (ხე) აკაკის ხე – საბა, ნ. ჩუბ. იგივე უნდა იყოს **ბრინჯაოს ხე**, ხე ბარდა – დ. ჩუბ.

„და მუნ დგა ხე შუენიერი *ბრინჯისად*, მაღალი და რტომრავალი“ (შატბ. კრ. 336, 7).

ბრინჯი < ბრინჯაო. ბრინჯაო ირანული წარმომავლობისაა. შდრ. ფალ. ბირინჯ (გიგინეიშვილი 2016).

ქეგლში ამ მნიშვნელობით მხოლოდ **აკაკია** დაფიქსირებული.

საშ. ქართ. **II. ბრინჯი** (ბალ.) მარცვალი თეთრი – საბა. **ბრინჯი** (თათრ.) ქრთილის გუარი თეთრი მარცვალი – ნ. ჩუბ.

მისი საჭმელი გიშრფეთი და *ბრინჯი* რძითა შექნილი (ფანასკ. 378, 4). მე ვჰგდივარ წყალში ნავითა, ვით ქვაბში *ბრინჯი* სადამე (დ. ორბელ. 38, 13). კაცთა საზრდელნი: *ბრინჯნი*, ძაძა, მაშა // სელი და სხვანიცა (ვ. ბაგრ. 67, ქვ. 4). ოცდახუთი ლიტრა ბრინჯი მოგვცეს (ი. ბარათ. 228, ქვ. 3).

ახ. ქართ. **ბრინჯი** [*Oriza sativa*] პურეული მცენარე (მარცვლოვანთა ოჯახისა); მოჰყავთ ტენიან ადგილებში. ოდიშში... *ბრინჯი* ნაყოფიერებს ურწყავად (ვახუშტი). [წიგნში] ენციკლოპედიური სიზუსტით არის საუბარი საქართველოს კულტურულ მცენარეებზე. ესენია... ზამბა, ქერი, სიმინდი, ფეტვი, *ბრინჯი* («ლიტ. საქ.»). ჩანს, რომ სამეგრელოში *ბრინჯის* მოყვანას დიდი ხნის წარსული უნდა ჰქონოდა და ფართოდაც ყოფილა გავრცელებული (ივ. ჯავახ.).

ბრინჯი სპ. „ბირინჯ“ ტერმინი გვხვდება ბიბლიის ქართულ თარგმანში (IX). შემოტანილია ახალი სპარსული ენიდან. მეგრულში ხმარობენ ფიტონიმ „ორიზას“ – ბრინჯის მნიშვნელობით. ივ. ჯავახიშვილის მიხედვით ეს ტერმინი შემოტანილია საბერძნეთიდან (ზ. მაყაშვილი 1996, 107).

**ბრუტ-ი:**

საშ. ქართ. **I. ბრუტი** ძვ. «მეკვე»<sup>1</sup>, C თიხის ჭურჭლის მკეთებელი (საბა). ბრუტი. ZAaBCE; ბრუდ ZAaBCE ბრტი E – საბა.

საშ. ქართ. **II. ბრუტი** 1. ბრუტიანი და ბრუციანი – ნ. ჩუბ.

დიალექტ. **ბრუტი** საქონლის დაავადება ერთგვარი. *ბრუტით* დაავადებულ საქონელს ახასიათებს საერთო სისუსტე, ბარბაცი, მოწყენილობა და სხვ. ზოოპათოლოგიაში შეესაბამება მზის დაავადება (აჭარ. ნიჟ.). „შე *ბრუტო*, შენ! შენ გნახას კაცმ!“ 2. ბრაზი, ბოღმა, დარდი. ... მაგრამ ბევრი მაქვ *ბრუტადა* საგონი სხვა-და-სხვისაო (ხევს. პოეზ. 453, 9) – ალ. ჭინჭ.

**ბრუტს ადენს** აბრაზებს. ყმაწვილო, შენ აქით დაიკარგ, *ბრუტს ნუ მადენ*, თორე!... (ხევს. ჭინჭ.).

შდრ. ქეგლ – **ბრუტიანი** ბრუციანი. ირემი კოჭლი იყო და *ბრუტიანი* (ნ. ლორთქ.). ყველა ყრუ და *ბრუტიანი* რატომ უნდა გამოერიოს ჩვენში (გ. დოჩ.). მაგას თუ ი *ბრუტიანი* ცხენის გაშვება არ მოვამლევიწე, არ იქნება (რ. ინან.).

**ბრუტდასეული** საუბ. ბრუდასხმული, ბრუდახვეული. რა უთხრას ტანდაბეგვილმა *ბრუტდასეულის* თავითა? (ვაჟა).

დიალექტ. **ბრუტაიანი / ბრუცაიანი** ცუდადმხედვლი. ძველ ქართულში გამოვლენილი არაა. ეს ფორმები ნაწარმოებია **-იან** ბოლოსართით. დარჩენილი **ბრუტ-ბრუც-**ფუძეც, ჩვენი აზრით, შესაძლოა იშლებოდეს ბრძირად (შდრ. ბრმა და -უტ/-უც ელემენტებად, რომელთა ფუნქცია დადგენილი არაა. ეს მსჯელობა, ცხადია, უალრესად ჰიპოთეტურია (გიგინეიშვილი 2016).

### ბუ-ი:

ძვ., საშ., ახ. ქართ. **I. ბუ//ბუი** თავდიდი ფრინველი ღამისა – საბა. დ. ჩუბინაშვილს მისი წარმომავლობაც აქვს მითითებული ბუ, ბუვი (სპარს.), მფრინ. Сова, Филинь. **ბუ** ზარნაშო, ჭოტი ანუ წოტი, ბაიყუში და სხვანი ესენი სხვადასხვა გვარნი მღამიობნი მფრინველნი არიან, ღამე ხედვენ და დაფრინვენ, დღე ბრმანი არიან და დაიმალებიან (თ. ბაგრატი.). სამწერლო ქართულსა და მის დიალექტებში დასტურდება ბუი / ბუვი/ ბუ ფორმები, რომელიც მრავალფეროვანი სემანტიკით გამოირჩევა (გვანცელაძე 2009).

„ვიყავ მე, ვითარცა ბუვი (ბუღ ლ) ნატამალსა“ (ტ, ფს. 101, 7).

ქეგლ-ში ამ სიტყვის მნიშვნელობით დაფიქსირებულია **ბუ** და **ბუვი**.

გამოთქმულ მოსაზრებათა მიხედვით: 1. ბუ სპარსული წარმომავლობისაა (დ. ჩუბინაშვილი, ანდრონიკაშვილი II, 1996).

2. ბუ ძველ ქართულში შემოსულია სომხურიდან (შდრ. ძვ. სომხ. ბუ „ჭოტი“ სადაც მას ინდოევროპული ეტიმოლოგია აქვს (გიგინეიშვილი 2016).

3. საერთო ქართველური სიტყვაა. მკვლევარი აღადგენს ძირს \*ბლუ-„ბუ“ > ქართ. ბუვ-ი // ბუ-: ზან. ბლუ > ღუ : სვან. ღუჰ (< \*ბლუჴ) (ჩუხუა 2000-2003).

ახ. ქართ. **II. ბუი** [პოლანდ. boei] 1. **ბუი** – სხვადასხვა ფორმისა და ფერის წყლის ზედაპირზე მცურავი მსხვილი სასიგნალო ტივტივა მეჩეჩების, წყალქვეშა ქვების ან სხვა მხრივ სახიფათო ადგილების აღსანიშნავად – მ. ჭაბ.

### ბუა:

საშ. ქართ. **I. ბუა // ბუ // ბუვი** – ნ. ჩუბ.

**ბუა** იხ. I. ბუი. სიფიციე მათი ამსგავსეს, რა ბარი სცემდეს *ბუას* (არჩილი, 901, 2). ღამით ეშმაკსა შეგადრიან, დღისით «*ბუაო*» (ბეს. 99, 3).

ახ. ქართ. **II. ბუა** მოგონილი საფრთხობელა, რომლითაც ბავშვებს აშინებენ. [ქალები] ეუბნებიან: შვილებო, მამას უძახეთ «პაპაო», სამშობლო ენა ნუ გინდათ, ის *ბუამ* გადაყლაპაო! (ი. დავით.). ლიზა [ეუბნება]: «სად წავიდა, და... *ბუამ* მოიტაცა!» (ა. ცაგარ.). სადღა არიან დედოფლები? *ბუას* შეუჭამია სულ ერთიანად! (თ. რაზიკ.). შდრ. ბულა

საშ. ქართ. **III. ბუა** (თურქ.) მორიელი – საბა.

**ბუთა:**

საშ. ქართ. **I. ბუთა** (თურქ.) „სასაგნო“ – საბა. ესე არს მშვილდოსანნი, სადა ნიშანსა დასდებენ ისართა სასროლელად ჯელის წაყრის სიმარჯვისათვის – საბა.

*ბუთა* დასვეს, დაერჩივნეს, მშვილდოსნები უკეთესი (შჰნ. I, 1713, 4). შესტყორცა და *ბუთასა* ჰკრა, ჭანდართშიგან გაირბინა (შჰნ. I, 1714, 4).

ახ. ქართ. **II. ბუთა** (ქიზ.) «ოქრომჭედლის ხელსაწყო: თიხის ჭურჭელი ოქრო-ვერცხლის დასადნობად და დასახალასებლად» (ს. მენტ.).

მეგრ. ბუთა, ბუთი ოქრომჭედლის იარაღი. ზან. (მეგრ. ქობ.).

ახ. ქართ. **III. ბუთა** კონა. ამბობენ: ეს გუდურა *ბუთად* შეკრული არ არისო, ე. ი. დაშლილია და რიგზე არ არის შეკონილიო. ამბობენ კიდევ: ეგ ბოხჩა რა *ბუთად* შეგიკრავს (ი. გრიშ). შდრ. **ფუთა** // **ფოტა** შეკვრა ნივთებისა, ერთად შეკრული ტანსაცმელი ხელში დაჭერა რომ შეიძლება (გურ. იმერ.) – აღ. ღლ.

**ბუკ-ი:**

საშ. ქართ. **I. ბუკი** საყვირი დიდი ბუკი (სპარ.) რქის ნაღარა; ნოვბათი, ტაბლაკი (დ. ჩუბ., საბა, ნ. ჩუბ., თ. ბაგრატ.).

„დილასა შევეჯე, ვუბრძანე: „ჰკარით *ბუკსა* და ნობასა!“ (ვეფხ.). „ეგრეთვე წარმოდგეს ყოველნი კაცნი და სცემდეს *ბუკსა* და დაბდაბსა“ (ამირან. 18, 8). *ბუკმან* მოაზადის დარბაზსა ტირილი დაიწყო... (ვისრ. 145, 22). შეიქნა *ბუკთა* ტკრციალი და ნაღარის დგერა (რუსუდ. 287, 7). აგრეთვე: (ქ. ცხ. II, 452, 11; ბეს. 126, 2; ვახტ. VI, 85, 187; შჰნ. I, 211, 2).

ახ. ქართ. შეიქნა *ბუკის*, საყვირის ცემა, ატყდა ჭიჭყინი ზურნის საზარი... აჰა, თენდება დ ეშხადება სისხლის სათხველად ორივე ჯარი! (აკაკი). ატყდა *ბუკის* ხმა მეფის ნაკრძალში (კ. გამს.).

ბუკი არ.-სპ. ბუკ-საყვირი (ანდრონიკაშვილი II, 1996). სიტყვა არა-ბულია (შდრ. არაბ. ხუგ) (გიგინეიშვილი 2016).

საშ.ქართ. **II. ბუკი** გურულად სკა – დ. ჩუბ.

ახ. ქართ. **ბუკი** 1. დიდი მრგვალი კუნძი, მორი. 2. კუთხ. იგივეა, რაც სკა (გეჯად გამოთლილი მორი) ბაღში მოუწყვიათ საფუტკრე და დგას ასამდე *ბუკი* (ს. ქვარ.).

ამავე მნიშვნელობით გვხვდება დიალექტებში: (აჭარა. IV, II, 35; გურ. ღლ; ქვ. იმერ. მრეწ. IV, II).

ბუკი სკა ზან. (მეგრ. ფიფია). **ბუკი** გამოფიტული ხის ნაჭერი, გადატ. ბუკის მსგავსი ზან. (ლაზ. თანდ.).

**ბიკვი** შდრ. აგრეთვე: ლოფირას *ბიკვსაც* ვეტყვით (ლექს. IV, II, 28).

დიალექტ. **III. ბუკი** || **ბუკვი** პირი, სახე: „მარტივი ბუკები გვეჩნდაო“ (იმ., ჩვენ. ფუტკ.). შავი ბუკი, თეთრი კბილი. **ბუკზე** შეეტყობა ინსანსა, რა სურიელია, გულში რა აქ (მეზ., იმერხ. ფაღ., ცინც.).

**ბუკი** რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი *ცხვირ-ბუკი* (სინ. ცხვირპირი;) ერთ გაცინებულს ვერ შეხდები, ყოველთვის უტირის ცხვირ-ბუკი (აჭარ. ნიჟ.).

შდრ. **ბუკა** გაბუმტული. [პატიამ] *ბუკა* ცხვირში რაღაცა გაურკვეველად ჩაიბლუკუნა (ბ. ჩხ.).

ზან. **ბუკა** თავმორგვა (მეგრ. ქობ.).

**წინდის ბუკი** (ხელვ.) ჯერ ვქსოვთ წინდის ბუკს, მერე თათს, ქუსლს (აჭარ. ნოღ.).

დიალექტ. **IV. ბუკია** სულელი, ყყეჩი ადამიანი: აჲ ბუკი! (ინგ. როსტ., ღამბ.).

### **ბულა:**

საშ. ქართ. **I. ბულა** – დ. ჩუბ. იხ. II. ბუა.

ფშ. **ბულა** საშინელი რამ, ვისი სახელითაც ბავშვებს აშინებენ (შან., ხორნ.).

შდრ. **ბულოი** ბუა. ნუ სტირ, დედავ, ნუ სტირ, თვარ *ბულოს* გეცგონების (თუშ. ცოც.).

ს.-ქართვ. \*ბულა დიდი არსება (ტყიური); მამალი ცხვარი (ჩუხუა 2017).

საინტერესოა ამ თვალსაზრისით ადიღეურ ენაში დადასტურებული ბლამარლა „გველი“ და სვანურ ენაში მე-ბულ-//მე-ბილ სიტყვებში გამოყოფილი ბულ // -ბილ ძირი (საღლიანი 2013, 42).

ახ. ქართ. **II. ბულა** (ლათ. bulla) რომის პაპის სპეციალური მიმართვა მორწმუნეებისადმი (დაერქვა მრგვალი ბეჭდის სახელის მიხედვით, რომელიც ასეთ მიმართვაზე იყო ხოლმე მიმაგრებული). ირონ. კორპუსების უფროსებმა. პატიმრებს ციხის უფროსის – ბატონი კოცის შეთხზული *ბულა* წაიკითხეს (ჭ. ამირეჯ.).

**ბულა:** ძვ. რომში ბურთულისა და დისკოს ფორმის ამულეტი, რომელსაც კისერზე ჩამოკიდებულს ატარებდნენ ბავშვები სრულწლოვანებამდე – ა. სიხ.

ქართლის უძველეს ნაქალაქარზე, ძალისში, ახ. წელთაღრიცხვის მე-3 საუკუნის პერიოდის ბულა აღმოაჩინეს, რომელზეც სპარსეთის შაჰის თავია – (ქართლ.).

### **ბუმბა:**

საშ. ქართ. **I. ბუმბა** მც. შავცეცხლა საბა. დ. ჩუბ.

საშ. ქართ. **II. ბუმბა** (ბერძნ.) ბომბი – დ. ჩუბ.

საშუალი და ახალი ქართულის სამწერლო ძეგლებში ამ მნიშვნელობით **ბომბი** დასტურდება.

შდრ. **ბომბი**: ხმა დაუმდაბლდათ, მოუღბათ სიტყვის თქმა ამაყობისა, რა ნახეს ცეცხლი, ნაწვიმი ყუმბარისა თუ ბომბისა (დ. გურამ.).

**ბომბი** [ფრან. bombe] 1. ასაფეთქებელი ნივთიერებით (ანდა ცეცხლ-გამჩენი ან ქიმიური მომწამვლელი ნივთიერებით) დატენილი ჭურვი სხვადასხვა ფორმისა და სიდიდისა.

### **ბულქე-ი:**

საშ. ქართ. **I. ბულქე** ეკლიანი ბუჩქი – საბა. იხ. V. ბოლქვი.

დიალექტ. **II. ბულქე** რამდენიმე თხილი ჯგუფად. ორი *ბულქე* მოვწყვიტე. *ბულქე*, 4-5 თხილი ერთათ რო იქნება (ფუთი, ზ.-იმერ. მოწ.). იხ. I. ბოლქვი.

### **ბუნ-ი:**

ძვ. ქართ. **I. ბუნი** ნამდვილი, *მკვდრი*: „წარვიდეს... ბუნსა თვსსა სა-მკვდრებელსა საზეპუროსა სოფელსა“ (სჰკ. 83, 11).

კ. დაწელია ბუნს განმარტავს (ὕπυρδῶσα) „მკვიდრი, ადგილობრივი (და არა მოსული)“. მოისოს კაცი იგი ერისაგან ძეთა ისრაჴლისათა გარეშე მოსრულთა მათ მწირთა და შვილთა *ბუნთა* (დაბ. 12, 19). შდრ. აგრეთვე ქართული სიტყვები ბუნი (ბუნ-თურქნი „მოქც. ქართ.“) და ბუნაგი, რომლებშიაც იგივე ძირი ბუნ- გვაქვს შემონახული (ანდრონიკაშვილი I, 1966).

ძვ. ქართ. **II. ბუნი** ბუდე (თვალისა). რამეთუ იყო იგი ჯორციტაცა განრღვეულ და თუალნი არა *ბუნსა* ზედა სხდეს (მ. ცხ. 37, 23).

**ბუნი** რისამე ჩასათესად ამოთხრილი ორმო (თონ., დვალ., ღოლოვ.) (ქართლ. მენთ.).

შდრ. **ბუნე** ბუდე, ბუნაგი. „ზამთრობით დათვი თავი ბუნეში წევს და თათ ილოკამს“ (ჯავახ. ბერ.). შეიტანა ისევ თავის ბუნეში (ჯავახ. მარტ.).

შდრ. **ბუნაური** საბუდარი – დ. ჩუბ.

გამოთქმულია, მოსაზრება, რომ 1. **ბუნი** || **ბუნია** არაბულათ საფუძველს ნიშნავს – ბუნიათ; სომხურად უფრო ჰგავს բուն (ბუნ, პუნ) (თ. ბაგრატ.). ბუნი – სომხ. բուն (ნ. მარი, *Тексты* 3, 62).

2. ფალაური ბუნ საფუძველი, ძირითადი პრინციპი, საბაბი, ფესვი < ახ. სპარსული – ბუნ „ძირი, ფუძე, საძირკველი, ნიადაგი, სომხური բուն, բնութիւն... შეადარეთ აგრეთვე ქართული სიტყვები ბუნი (ბუნ-თურქნი „მოქც. ქართ.“) და ბუნაგი, რომლებშიაც იგივე ძირი ბუნ- გვაქვს შემონახული (ანდრონიკაშვილი I, 1966).

3. აღდგენილია ს.-ქართვ. \*ბუნა „ბუდე, ორმო, საძირკველი (ჩუხუა 2017).

დიალექტ. **III. ბუნი** „ერთი წინაპრის შთამომავლობა მეოთხე-მეხუთე თაობამდე“ ერთ ბაბუიშვილებს ერთი *ბუნი* ქვია. ჩვენ ერთი ბუნის ვართ, ისი არ არი ჩვენი *ბუნის* (ხანისწყალი, იმერ. გაჩ.). **ბუნი** წრე ბიძამ-ვილებისა, რომელთაც საერთო წინაპარი ჰყავთ: *ბუნი* მოიცავს სამ, ხუთ



(ზოგჯერ, თუ სათვალავი იციან, – თორმეტ) თაობას, რომლის შიგნით ქორწინება არაა მიღებული (იმერ. ქავთ.).

**ბუნი** // **ბუნე** მნიშვნელობით: ერთი პაპის შთამომავალნი, ერთი ოჯახის განაყოფი. 10 მოსახლე ვართ განაყოფი, გვიძახიან ერთ *ბუნს*, ერთი ბაბუის ნაშიერს (ხიდარი). ერთ *ბუნს* მადრამეებისას ბაბუა ყოლებოდა მორჩილი კაცი და აქედან დეერქვათ კუკური (ლელვანი). თქვენი *ბუნეს* გარდა არიან ხარატიშვილები? (ხიდარი). ერთი ბაბუის განაყოფი ერთი *ბუნეა* (ტაბაკინი). რაც იქ ვიცით, ის ვიცით ამ ჩემ *ბუნეშიც* (ფუთი). **ბუნობით** „გვარის შიგნით“. ერთი პაპიდან წარმომავლობის, *ბუნის* მიხედვით“. „ჩვენე *ბუნობით* მახარობლიშვილებს გვიძახოდენ“ (ლელვანი, ზ.-იმერ. მოწ.).

აღდგენილია ს.-ქართვ. \*ბუნ- „შთამომავლობა“. მ. ჩუხუა სინდურ ენებთან პარალელებთან გავლებით ამყარებს ამ მოსაზრებას (ჩუხუა 2017).

ძვ., საშ. ქართ. **IV. ბუნი** შუბის ტარი (საბა). **ბუნი** ტარი შუბისა ანუ იარაღთა ხელთსაქმარისათა – ნ. ჩუბ.

**ბუნი** ტარი, წვერი: „*ბუნი* ჰორლისა მისისაჲ ექუსასი სასწორი“ (I მგ. 17, 7). „მიყო *ბუნი* ჰორლისა თჳსისაჲ, დააწო გოლსა მას თაფლისასა“ (I მგ. 14, 27). „*ბუნი* ჰორლისა მისისაჲ იყო ვითარცა ღვილი ქლისაჲ“ (II მგ. 21, 19).

ორთავ ოროლის ტარები მიჰყვეს (*ბუნი*) (ამირან. 590, სქ. 4 ტარი).

ახ. ქართ. **ბუნი** 1. დროშის ტარი. დროშები სხვადასხვაგვარი იყო და არის ხოლმე: ზოგს ალაში ლურსმნებით აქვს *ბუნზე* მიკრული, ზოგს კი ტილო საჭიროებისამებრ მიეზმება და ჩამოეშვება (ივ. ჯავახ.). მედროშენი დროშის *ბუნს* ადგამდნენ სულით ავადმყოფს ქედზე (ვ. გამს.). || შუბის ტარი. შუბს *ბუნი* გაუტყდა. 2. იგივეა, რაც ბუნიკი. მჭრელი ფრანგული უბრჭყვინავს *ბუნით* ვადამდე (ვაჟა). ქვევით გაისმა ლოდებზე მგზავრის ხმლის *ბუნის* ჩხარაო (ვაჟა). აფშინამ ხანჯრის *ბუნისა* ვერცხლი არაყში ჩათალა (ვაჟა).

დიალექტ. **ბუნი** ხანჯლისა და ხმლის ქარქაშის ბოლოზე წამოსაცმელი რკინა – ბუნიკი (ხევს. ჭინჭ.).

**ბუნი** ბუნიკი, დროშის შუბის ტარის დაბოლოება ზან. (მეგრ. ქობ.).

1. **ბუნიკი** < სომხ. **ბუნიკი** (ანდრონიკაშვილი 1966).

მიგვაჩნია, რომ ბუნი < ბუნიკი.

1. ძვ. ქართულის 1. „ბუნი „ტარი“ და 2. ბუნი „მკვიდრი, „ძირითადი“. 2. ეს ორი მნიშვნელობა ალბათ ერთიანდებოდა უფრო ზოგად ერთ მნიშვნელობაში: ძირი „საფუძველი, საყრდენი, რომელთაგან ერთის მხრივ მივიღეთ „მკვიდრის მნიშვნელობა“. მეორე მხრივ კი – „კონკრეტული საგნის საყრდენის“ ანუ „ტარის“ მნიშვნელობა. შემოსულია სპარსულიდან (მდრ. ფალ. ბუნ „ნიადაგი, საფუძველი, „სულიერი ღერძი“, „სულიერი საყრდენი“, ახ. სპ. ბუნ იმავე მნიშვნელობით (გიგინეიშვილი 2016).

საშ., ახ. ქართ. ამავე მნიშვნელობისაა **ბურნუკი** ბუნიკი (დ. ჩუბ.).

**ბურნუკი**. უხდებოდა ქვეთარს მაღლა აწეულ ხელზე ბეჭედი, ძირს – ტყავის პალტოს კალთიდან გამვერილი ბრჭყვიალა *ბურნუკი* (გ. ბუთხ.).

**ბუნა:**

საშ. ქართ., დიალექტ. I. **ბუნა** (თურქ.) განაბული. შიშით გაცქნაფული – საბა.

**ბუნა** გაუგებელი, მიუხვედრებელი, უბირი. *ბუნად* იმითანა კაც ვეტყვით, ვინცა გამოუსვლელია, არა იცი რა (წილკ.). ნამდვილი *ბუნაა* ჩვენებიანთ სიძე, იმი კარებ წინ ვიდექი, და ერთი არ მითხრა, წამო შინ, დაღლილი იქნებო (ქართლ. ლექსიკ.).

ახ. ქართ. II. **ბუნა** კუთხ. «ნაწილი, ზომა» (ვ. ბერ.). ◊ **ერთი ბუნა** ერთხანს. *ერთი ბუნა* წრფელი გზით იარეს, მერე – მიტეხილ-მოტეხილით (ა. გალდ.). *ერთი ბუნა* ქვეითად მივდიოდი, მერე ცხენი ვიქირავე (ვ. ბერ.). || ერთ მომენტში, დროის მცირე მონაკვეთში. [დათიკომ] *ერთი ბუნა* ისიც კი გადაწყვიტა, სულ მიეტოვებინა ეს მუდრეგი ხარები (ა. გალდ.).

**ბუნა** (ქვა): მარტო ძირს იყო ერთი *ბუნა* ქვა გამოშენებული (ლექს. მრეწ. I, 36).

ზან. **ბუნა** წყება (მეგრ. ქაჯ. IV). **ბუნა-ბუნა** წყება-წყება; ბმული: (ბუნა-ბუნათ ჯგუფ-ჯგუფად) (მეგრ. ქობ.).

ახ. ქართ. ტერმ. III. **ბუნა** [ინგ. buna] სინთეტიკური კაუჩუკის ნაირ-სახეობა.

ახ. ქართ. IV. **ბუნა** ტერმ. [ინგ. buhne] ბუნა (გერმ.) – 1. რეგულაციური ნაგებობა, რომელიც ნაპირს (ნახ. 1) ან ჰიდროტექნიკურ ნაგებობას იცავს წარეცხვისაგან; 2. მორებისაგან შედგენილი მცურავი ჯაჭვი სავაჭრო ნავსადურის რომელიმე უბნის გადასაღობავად (სამშენებ. ტერმ.).

**ბური-ი:**

საშ. ქართ. I. **ბური**, ბურუსი (არაბ.) ბორი, ნისლი – დ. ჩუბ. მყის მოეხვია *ბური* და იქმნა ბნელი მძაფრი (ქ. ცხ. IV, 86, 9). პირსა ოფლი მოედი-ნა, თავს დაადგა სიციხის *ბური* (დ. გურამ. 295, 3).

გადატ. მაგრამ კვლავ შესცდენ მის მზითა, რა ცოდვის *ბურმან* მონისა ჩაცვივდენ ცოდვის მორევთა, გზა ვერ სცნეს მაღლთა ფონისა (დ. გურამ. 83, 145, 3).

ახ. ქართ. **ბური** 1. სიციხის დროს ჰაერში დამდგარი მტვერი, რაც ჰაერს გამჭვირვალობას უკარგავს. გადაყარა ნარიყალას ნაცრიანი *ბური* (გ. ლეონ.). 2. ანაორთქლი, ბურუსი (შდრ. ბუერი). იმ მთას გაუწყვეტელი ნისლი და *ბური* ახვევია (მელან.). ალაზნის ველი ჩანს. დილაა მზიანი, გარშემო *ბურია* ღამენათევარი (გ. ტაბ.). 3. გადატ. სიბნელე. მთისკენ აღმოჩნდა ღრუბელი, ცას მოეფინა *ბურია* (ხალხ.).

დიალექტ. **ბური** ნისლი. დილას ისეთი *ბური* იყო, კაცს ვერ დეინახთი (ტაბაკინი, ზ.-იმერ. მოწ.).

**ბური** ბურუსი. [საკვიდლიანი] ვეშაგთ ნადენთა მთა-წვერთა თან *ბურს* დაადებს ნისლისა (ქხპ. I, 73, 16) – ალ. ჭინჭ.

საშ. ქართ. **II. ბური** ხორბალი ჩვეულებრივი *Triticum vulgare*. აიღე ნიშასტაკი, დამწუარი *ბური* (ფანასკ. 339, 8).

დიალექტ. **III. ბური** ნაღმის ასაფეთქებელი იარაღი, ქვის საჭრელი. *ბურია*, ქვას რო ჭრიან, ფოლადია გამოპირული (ვახანი, ზ.-იმერ. მოწ.). *ბურს* თავი რგვალი აქვს, პირი კი თხელი ლაღუმის საცლელად (ქვ.-იმერ. მრეწ. I, 320). კდეს ვბურღავთ *ბურით* (ქვ. რაჭ. მრეწ. I, 334).

შდრ. **ბურო** (რუს.) საბურღი, სატეხი. **ბურაო, ბურავო** ბურღი (ხის სახვრეტად). – (ხევს. ჭინჭ., ზ.-იმერ. მოწ.).

**IV. ბური** გარეული ფუტკრის შავი ჯიში ზან. (ლაზ. თანდ.),

დიალექტ. **V. ბური** თავსახური. დახურეს ორმოს *ბური* და ორმოში დარჩა (ჯავახ. მარტ.). შდრ. საბურველი, საბურავი.

### ბურან-ი:

საშ., ახ. ქართ. **I. ბურანი** 1. «არც ძილი, არც ღვიძილი» (საბა), – გარდამავალი მდგომარეობა ძილსა და ღვიძილს შორის (დაძინებისას და გაღვიძებისას). ვაჟო! მე *ბურანში* ვიყავი; სიზმარს თუ გაიმზობდი. არაფერია (ს. შანშ.). 2. გადატ. გაურკვეველი მდგომარეობა, უგონობასავით. გულმა ცემა ერთს წუთს შეწყვიტა, დამეცა *ბურანი*, თვალთ დამიბნელდა (ილია). ◊ **ბურანში ყოფნა** თავის ტვინის ავადმყოფური მდგომარეობა. || გაუნათლებლობა, ბნელში ყოფნა. გეყოფათ ამდენ ხანს *ბურანში ყოფნა...* ახლა მაინც აახილეთ თვალები! (დ. მაჩხ.). აგრეთვე: (თუშ. ცოც.).

ვფქრობთ, რომ **ბურანი** < **ბურჰანი**. **ბუჰრანი** (არაბ. ბუჰრან) კრიზისი ავადმყოფობის დროს. **ბურჰანი** გამომავალსა ოფლსა ჰქვიათ. *ბუჰრანისა* და ცხელებისა ნობათის დროსა ავად მყოფსა კაცსა საქმელი არ უნდა აჭამონ (იად. 122, 22).

დიალექტ. **II. ბურანი** იხ. II. ბორანი. ტრიან გოგრისა და ხორცის ბორანი (ინგ. ჯან.) – რ. ღამბ.

### ბურახ-ი:

საშ., ახ ქართ. **I. ბურახი** «ქერ-ფეტვთა და სხვათაგან სასმელი რამე» (საბა). ბურახი (თათრ.) ბოზა ფეტვისა – დ. ჩუბ. *ბურახი* კვასის მსგავსი სასმელია (ზ. ჭიჭ.). მერე ჩამჩებით აყოლებდნენ ზედ ჩამჭავებულ *ბურახს*, ლხინობდნენ (ე. ზედგ.). კერძებს ერთი გრაფინი *ბურახიც* მოაყოლეს (რ. ინან.).

ახ. ქართ. დიალექტ. **II. ბურახი** მსხვილღეროიანი მაღალი ბალახი, – ლიხი. ფშ. თ. შამბი – ა. შან. ბურახი ბურა, „უეცრათ ტახი გამოძვრა, ტაფობში *ბურახი*დამა (ბ. 343, 18 – ივ. ქეშიკ.). ბურახი ხშირი და მაღალი ბალახი (ხევს. ჭინჭ.). **ბურახ** [ბურახა] ტყე უღრანი ტყე. ძალიენ არს დათვია-ნი, ტყენ გვხვდებიან, *ბურახანი* (ხევს. ჭინჭ.).

**ბურდო:**

საშ. ქართ. **I. ბურდო** (სპარს.) დურდო, მღვრიე სასმელი (დ. ჩუბ.). ვიეთნიმე *დურდოს* და *ბურდოს* არ განარჩევენ ხმარებაში – დ. ჩუბ. **ბურ-დოიანი** მღვრიე სასმელი – დ. ჩუბ.

შდრ. **დურდო** წამხდარი ყურძენი – საბა. **დურდო** წყალი რო აიმღვრევა ხოლმე, იმას ვეტყვით (ლოლოვ.). ძირში რო ჩაილექება (მარაბ., ქართლ. მენთ.).

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **II. ბურდო** ზრო, ღერი მცენარისა – დ. ჩუბ. *ბურდოსა* და მტკველს შემოვიტან აივანზე ქვეშ გასაშლელად (ნ. კეცხ.). ქალმა წუმწუმას გაჰკრა და *ბურდის* შეუკეთა (ნ. ლორთქ.). შდრ. ბარდი. *ბურდო* ეკალ-ბარდი, ჩირგვი (მესხ. ფეიქრ.).

შდრ. ბურდოსფერი მწვანე, ბალახისფერი. „სკლატის ხალათ ეცვა, *ბურდოსფერივ*“ (თუშ. ცოც.).

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **III. ბურდო** ულენავი ბზე (ფეტვისა) – (საბა), ფეტვის ნალეწი ანუ ბზის მტვერი (ვიეთნიმე ხმარობენ დურდოს მაგიერადაც) – ნ. ჩუბ.

მიამურეს სოროებში ფეტვის *ბურდოს* [თაგვებმა] (რ. ერისთ.). || ჩალაბულა, აწეწილი თივა. წამოვედით შინ და ხელით ყველამ თანაც წამოიღო *ბურდო* ქალამანში ჩასაგებლად (ვაჟა).

დიალექტ. **ბურდო** ხორბლის, ქერის ან ფეტვის გალენილი ჩალა „(ნანება) შორიდან აღმე სათრევსა, *ბურდოს* და თივას ჰტვირთავდა“ (ბ. 427, 21) – ივ. ქეშიკ.

**ბურდო** ფეტვის წველი, არ ილენება (ქიზ. მენთ.). იხ. აგრეთვე: **ბურდნა** (ნაწარმოვია ბურდო სიტყვისაგან) ფეტვის ლენვა. შდრ. ბონდო (აჭარ. ნიჟ.).

**ბურდო** თოკის მოკლე ნაჭერს რომ დაშლიან, დაარღვევენ და ხელით მატყლივით გაწეწავენ, ამას ბურდოს ეძახიან. ხვრელები *ბურდოთი* მაინც ამოტენე, რომ სახლში მტვერი აღარ შემოვიდეს, – სთხოვა ცოლმა მეულ-ლეს (მთ.-რაჭ. ლობჯ.).

ს.-ქართვ. \***ბურდ**- „ფშენა, ლენვა“ (ჩუხუა 2000- 2003).

**ბურსა:**

ახ. ქართ. **I. ბურსა** [ლათ. bursa ჩანთა; სალარო] სასულიერო სასწავ-ლებლის, სემინარიის საერთო საცხოვრებელი. წარმოვიდგინოთ თბილისის სემინარია. წარმოვიდგინოთ მისი *ბურსა*, მოწაფეთა კარჩაკეტილი ცხოვრება (თ. სახ.).

დიალექტ. **II. ბურსა** თოვლიანი ნისლი (ქართლ. კირიონი) – ალ. ღლ. ს.-ქართვ. \***ბურსა** „ნისლი (თოვლიანი)“ (ჩუხუა 2017).

**ბურჯღულ-ი:**

საშ. ქართ. **I. ბურჯღული** ბურჯი. სადა არის შენი ლამაზად მოხდომილი ტანი და შავი თმა, ბროლის *ბურჯღულზე* სწორად შემოკეცილი (რუსუდ. 150, 31). ვფიქრობთ, რომ ბურჯღული < ბურჯი.

ადვილი შესაძლებელია ბურჯი სიტყვის უშუალოდ არაბულიდან სესხება. შემდგომი ლექსიკური დამატებანი უფრო მოგვიანო პერიოდს განეკუთვნება და სპარსული გზა იგულისხმება, რადგან XII საუკუნე სპარსული სიტყვების შემოდინებისთვის საკმაოდ ხელსაყრელი პერიოდი (იმედაძე 2014, 120).

საშ., ახ. ქართ. **II. ბურჯღული** (ბურჯღლი Cq) [დიდ-დიდი ნაბერწყალი ZA. დიდრონი საბერწყალი BCD. ცეცხლი – საბა.

**ბურჯღუმი, ბურჯღული** ბლომად გამოყრილი ნაპერწკლები. შდრ. ბურჯღალი. ტერფით ცეცხლი დააკვესა, ქვათ *ბურჯღული* გაადინა («შაჰ-ნამე»). მე მარად ვიყავი ცეცხლი სიყვარულის, ალი, ღველფი, ნაკვერჩხალი..., *ბურჯღული* (მ. სალუქვ.). ფიგურ. წავიდა ის დრო, თვალთაგან ცეცხლს რომ *ბურჯღულმად* ისროდა (ვაჟა).

ზან. ბორჯღება თვალის მოჭრა, აჭრელება, ბორჯღოლი, ბორჯღლედი ნაპერწკლები (თვალისა) (მეგრ. ქობ.).

**ბუტ-ი:**

საშ. ქართ. **I. ბუტი** ბუშტი. ბუშტი (ვესიკა; ფუჩიკ CbqDE, ფუჩიეკ Ca) (ბუშტი და ბუტი E) ფსლის პარკი დაბუშტება – საბა.

ბუშტი < (თურქ.) ბუშტ (იუსტ. აბულაძე).

ს.-ქართვ. \*ბუშთ-ბუშტი; დაბუშტება ქართ. ბუშტი (ჩუხუა 2017).

ახ. ქართ. **II. ბუტი** [ლათ. buttis კასრი] დიდი, მუცელგანიერი ჭურჭელი, უმეტესად პლასტმასისა ან ხისა. მათ გულდასმით დარეცხეს ვებერთელა კასრები და მუხის *ბუტები* («სოფ. ცხ.»). ყველაფერი გაწკრიალე-ბული დახვდა – უზარმაზარი ბუნკერები, *ბუტები*, ჩანები, ქვევრები («ლიტ. საქ.»).

**ბუხარ-ი:**

საშ. ქართ. **I. ბუხარი** (არაბ. ბუხარი) ორთქლი, კვამლი. *ბუხარსა* მალედ თავშიგა გაიყუანს (იად. 172, 36). თუ კაცისა ცხურისა სისხლმან დაუწყოს დენა... ისი ცხროსა და სასისა *ბუხრისაგან* არის (ქანან. 229, 25). ღვინითა გამძღარიყო და *ბუხრითა* გატენილი მალლად ამას იზახდა (შჰნ. III, 289, 28).

საშ., ახ. ქართ. **II. ბუხარი** ღია (უკარო) ღუმელი აგურისა ან ქვისა, სახლის კედელში შიგნიდან დატანებული. გამიკვირდა: კამარა და კამარა შეკრული და იმაში *ბუხრები* იყო და საწვავი ყველა იქ მზადდებოდა (რუსუდ. 255, 9).

იქით, პატარა მოშორებით, ვიღაც დედაბერი კედლის პატარა ბუხრის წინ ქვაბებს დასტრიალებდა (ილია). მამიდანამ... ბუხარს შეშა შეუმატა (ნ. დუმბ.).

საბას მიერ „თურქთა ენად“ კვალიფიცირებული – „ყოველსა აორთქლებას სტომაქისა ანუ ქვეყნისა ბუხარად უწოდენ“ არაბულიდან მომდინარე სიტყვაა, ხოლო „კედელთა სახლისათა დატანებულსა საცეცხლეთა ბუხარსავე უწმობენ, ქართული არ არის“, არაბულიდან მიღებული სპარსული / ბოჰარი ფორმაა (იმედაძე 2014, 54).

საშ. ქართ. **III. ბუხარი** მარამა დევა დაბანი, კოჩივარდა, ვირის ყურა (იად. 205, 33).

დიალექტ. **IV. ბუხარი** კაპარი „ბურახი“ – ა. შან. ბურახი > ბუხარი.

### ბჭე:

ძვ. ქართ. **I. ბჭე** შესასვლელი სახლთა ტაძართა – საბა. ბჭე «კარი», მთავარი შესავალი, კარიბჭე: „დადგეს შესავალთა მათ ბჭეთა ქალაქისათა“ – M, დადგეს კარსა ზედა ქალაქისასა“ (G, ისუ ნ. 20, 4). „შევიდოდეთ იწროს მას ბჭესა“ (მთ. 7, 13). „მიეახლნეს იგინი ბჭეთა ქალაქისათა“ (ლ. 7, 12). „ალიკიდიან და დასვან... ბჭეთა თანა მის ტაძრისათა“ (საქ. მოც. 3, 2). „დადგეს იგი ზღურბლთა ზედა მის ბჭისათა“ (H – 341, 685). „დაშთეს იგინი გარეშე ბჭეთა“ (მ. სწ. 59, 3).

**ბჭითი-ბჭედ** კარიდან-კარამდე. განზომა ეზოდ იგი ბჭითი-ბჭედ (O, ეზეკ. 40, 23).

საშ. ქართული: **ბჭე**: მუნებურნი ვაჭარნი ფარჩას გაუშლიან შესავალს ქალაქის ბჭეშია და ზედან გარდაუვლის ხელმწიფე თუ ხანი (კალმას. 222, 4). აღახვენით, მთავარნო, ბჭენი (დ. გურამ. 155, 7, 1).

საშ. ქართ. გადატ. **ბჭე** „გულის კარი“. ქაავ მჭედელს წინა ქონდა ტყავი, კალთას უკუსაკრი, / ცეცხლისათვის მოსაფენი ბჭედაზედა წესი არი (შ3ნ. III, 443, 2). შენი სიცოცხლე გაგრძელდეს საუკუნემდე ბრჭეო და, მოჩივართ დია ედირსოს თქუნის გულისა ბჭეო და! (ქილ. 402, 15).

ახ. ქართ. **ბჭე** ძვ. 1. დიდი კარი, შესასვლელი. მზის ყვავილი გადაშლილა დიდუბიდან ისნის ბჭემდე (ა. ბაშ.). ბალი მაქვს იგეთ-აგეთი, გარს ზღუდე, ხუროს ნაგები... უჩემოდ ვერვის მიართვეს იმის ბჭის კარის საღები (ბაჩ.). ისევ დახშავდნენ ბჭეებს ციხისას (კ. გამს.). გუნდის ზეციურმა ხმებმა კვლავ აღავსეს ტაძრის მაღალი ბჭეები (რ. ჯაფ.).

**ბჭენი ჯოჯოხეთისანი** ძვ. ჯოჯოხეთის კარი. გაისმა ჯოჯოხეთის ბჭეთა რაკუნნი (ვაჟა). დაიქცა ბჭენი ჯოჯოხეთისანი (ნ. ლომ.).

2. გადატ. ზღუდე-გალავანი, რაშიც ასეთი შესასვლელია დატანებული. იქნებ დადამებამდე რომელიმე ქალაქის ბჭეს მივადწიოთ (ა. სულაკ.). ფიგურ. გაზაფხული სალამზეა, ქართლის ბჭესთან შემოსული (გ. ლეონ.).

**ბჭე** გამოიყოფა ხევსურულში დადასტურებულ კომპოზიტივი ჭერაბჭონი სახლის ჭერი და კუთხე-კუნჭულები, – ჭერი და ბჭეები (ხევს. ჭინჭ.).

გამოთქმულია მოსაზრება რომ ქართ. ბჟე ნასესხები უნდა იყოს ადიღური ენებიდან (შაგიროვი, 1977, 84). ვფიქრობთ, რომ **ბჟე** < **მჟე** „მჭერი“.

ძვ. ქართ. **II. ბჟე** «მთავარი», «კრიტისი», მსაჯული, მოსამართლე. მისცეს პილატეს *ბჟესა* C – „მისცეს იგი პილატეს მთავარსა“ (DE, მთ. 27, 2). „მე დღეს მოცალე ქმნილ ვარ და *ბჟე* და კრიტის“ (მ. ცხ. 225r). „უკუეთუ დიდი... საქმე არნ გინა სამეფომ, გინა *ბჟისამ*, ეკლესიას დაიუზნის ძმანი“ (ი-ე. 38, 4).

**ბჟეთ-მწიგნობარი** მდივან-მწიგნობარი: „დავწერე... *ბჟეთ-მწიგნობარმან* გორდიანე მეფისამან“ (ფლკტ. 160,22).

**ბჟე** მოსამართლე: „ესე ბურჯი კათალიკოზთა, ებისკოპოსთა და *ბჟეთამ* არს“ (ეტლ. 9, 12) ...„მისნი არიან... და ადგილთაგან ეკლესიამ და მონასტრები და *ბჟეთა* საჯდომი“ (ეტლ. 9, 16).

საშ. ქართ. თინათინ ზედა აწვივა ტახტსა მეფეთა ზეთასა; ტარიელ უთხრა: „შენ დაჯე! სწადიან *ბჟესა ბჟეთასა*“ (რუსთაველი).

თქვენსა და ჩვენსა შუა მოსამართლე და, შემოქმედი იყოს ამისა მოწამე *ბჟე* (შჰნ. III, 473, 38). პირველ *ბჟედ* საშუალ გცნობდეს (თეიმ. 325, ქვ. 3). ყოველსა წელიწადსა ჰხამს გამორჩევა *ბჟისა*, ნებითა მეფისათა (სამ. ბატ. 12, ქვ. 5). დავსხედით ღმრთის შიშს ქუეშე *ბჟედ* და მოსამართლედ (სამ. IV, 691, ქვ. 14).

ახ. ქართ. მოსამართლის მნიშვნელობის **ბჟე** ქეგლის მიხედვით უკვე ძველი ფორმაა.

**ბჟე** ძვ. სადავო საქმის გამრჩევი, – მედიატორი, მოსამართლე. სტუმარი რომ *ბჟედ* დადგება, სახლი მაშინ სწორდება (ანდაზა). *ბჟეების* მეტი ყველანი დაითხოვეს და დაიწყეს განსჯა და აწონა ყველა ჩვენებისა და გაგონილისა (ა. ყაზბ.).

დიალექტ. **ბჟე** რაიმე სადავო საქმის გადასაწყვეტად თავმეყრილი უფროსები, მერჯულე ხალხი. ლხინსა ვეძებდი, ვერ ვპოვე, ჭირი ჩემზედა ბევრდება. *ბჟეს* ვკითხე, მითხრა: „გაიძელ, შენ სხვა არაი გერგება“ (ხევს. პოეზ. 675, 5). სალაშქროს დროშას ხკაზმევდეს *ბჟენი* და ჰევის-ბერია (ხევს. პოეზ. 541, 23). – „რაი გაღბჟევეთ, *ბჟეებო?* რაისანი ხართ მთქმელნია?“ (ხევს. პოეზ. 560 ბ, 18) – ალ. ჭინჭ. **ბჟენ** სასამართლო, მსაჯულთა შეკრებილობა. ბჟენ შიყყარნიან (თუმ. ცოც.).

**ბჟე** შეიძლება შემდეგი ფონეტიკური სახითაც შეგვხვდეს

**ბრჟე** ან **მობრჟე** განმსჯელსა და მოსამართლესა ეწოდება (თ. ბაგრატ.). გეაჯები შენ, მართალსა ბრჟესა (ვეფხ. 959, 1).

...შენ მართო მისრულ ხარ *ბრჟისასა* და ცუდად უსამართლო დია გითქუამს (ვისრ. 118, 16).

ვაჟო, რად ვიბრძვით, *ბრჟემ* გვისამართლოსო! (ქილ. 402, 10). ჩუენ ბრჟეთა ასრე გავაჩინეთ (სამ. IV, 52, 15).

დავსხედით მათისა კარისა ბრჭენი და მოურავნი (სამ. IV 46, ქვ. 1). სწადიან *ბრჭესა ბრჭეთასა* (ვეფხ. 1542, 2).

**პრჭე:** გივი იტყვის: შემოქმედო, *პრჭე* ხარ, ამას ემართლები (შჰნ. II, 4256, 1).

**პჭე:** შეწევნითა ღმრთისათა დავსხედით ჩუენ *პჭენი* (სამ. IV, 114, 53, 11).

საშ. ქართულში ერთმანეთის პარალელურად გვხვდება **ბრჭე** და **პრჭე** შდრ.: გათენდა და ტანს ჩაიცვა, ეხვეწების *პრჭეთა პრჭესა* (შჰნ. II, 4505, 1).

ხევსურულში გვხვდება **მბჭე:** ბევრის მტრისა გამრიგესაო ენასა მბჭეჩი ზიდავ-დაეო? (ეთნ. III, 1, 11) – ალ. ჭინჭ. **მბჭე-ჭევისბერნი:** აბეჩვ, ჯუნჩალაურაო, *მბჭე-ჭევისბერნი* მარულო (ეთნ. III, 2, 4) – ალ. ჭინჭ.

**ბჭე** სიტყვის ომონიმურ ცალების შესახებ შემდეგი მოსაზრებები არსებობს სამეცნიერო ლიტერატურაში:

1. სახელთა ფუძეებისაგან ნაწარმოები მოქმ. გვარის ობ-იან ზმნათა შორის ა. შანიძეს დასახელებული აქვს ასევე ბჭე (= მოსამართლე) – ვბჭობ („კაცი ბჭობდა“) (შანიძე 1980, 402).

2. ივ. ქავთარაძეს მიაჩნია, რომ საშუალო გვარის -ობ სუფიქსი მოუდის მოქმედებითსაც, რომელსაც ჩვეულებრივ ა- პრეფიქსიც შეიძლება ექნეს: გან-ა-ბჭობ-ს, ნამყო წყვეტილი განაბჭო (კიმ. I, 120, 14). უძველესი წარმოების დამახასიათებელია მიმღეობა ბჭე < მ-ბჭე (შდრ. ძალ-ი: მ-ძლ-ე) (ქავთარაძე 1954, 109).

3. ფუძის მომდევნოდ გაუჩინარებულია -ევ მარცვალი: ბჭ < \*ბჭევ (კაცობრივ განბჭე, სწავლ. 29, 20; ფრიადითა გამოძიებითა განბჭო, ცხრ. 118, 20; შდრ.: განვაბჭვეთ, სკლ. სბთ. II, 158, 5; \*ბჭევ > ბჭვ. ბჭვ-მარტივდება, > ბჭ, ამ უკანასკნელისაგან > პჭ, შდრ.: პჭობა, გურმ. 169, 23, 1; ერთელიშვილი 1970, 271).

4. ბჭე სიტყვათა ომონიმია მეორეულია და ბიბლიურ რეალიებთან უნდა იყოს დაკავშირებული. ცნობილია, რომ ბიბლიურ სამყაროში, -იერუსალიმსა თუ სხვა ქალაქებში გალავნის შესავლელთან, ბჭესთან, კარიბჭესთან თავს იყრიდა მილეთის ხალხი და აქ წყდებოდა ქვეყნის ყველა საქმე – სასამართლო, სამედიცინო თუ სხვ. ეს იყო მსჯელობის, თათბირის, ბჭობის ადგილი. ამ საქმიანობის წარმმართველი კი იყო ბჭესთან მდგომი პიროვნება – გამრიგე, მომწესრიგებელი, რომელსაც როგორც საუბარში ზ. სარჯველაძემ აღნიშნა, შეიძლება მ-ბჭე ერქვა. შემდგომში თავკიდურა მ-ს დაკარგვამ გამოიწვია კიდევ ის ომონიმია, რაზედაც ზემოთ იყო ლაპარაკი. ამგვარად, მოსამართლის, „მსაჯულის“ სემანტიკას ამ შემთხვევაში უდევს „კარის“ (ბჭის), „შესასვლელის“ მნიშვნელობა. თვითონ ბჭე კი უნდა მომდინარეობდეს მჭე სიტყვისაგან, სადაც უნდა გამოიყოფოდეს ჭ ძირი, მ- ე კონფიქსით ნაწარმოები. მ-ჭე კონფიქსით ნაწარმოები



მ-ჭე (> ბჭე) ოდესღაც ნიშნავდა – „მჭერი“, დამჭერი“. კარი – ბჭე < კარის მჭე „კარის დამჭერი“. ...ამავე სიტყვას უკავშირდება ბჭობა-ც \*მბჭის საქმიანობა (თოფურია 1998, 106-108).

5. ბელა შავხელიშვილის ზეპირი ცნობით, ბჭე-ში თავკიდური \*ბ- კლასის ნიშანი უნდა იყოს, მისი \*ბ-კლასი იმას მიუთითებს, რომ შესაძლოა ბჭე - \*ჭა-ს (\*ჭა-ი > \*ბ-ჭ-ე) უკავშირდება, და თუ გავითვალისწინებთ, რომ ჭა მოსახლეობის თავშეყრის ადგილი იყო, მაშინ \*ბ-ს დამატება ზმნა-ში \*ბ-ჭობა – კანონზომიერია, რადგან იგი მრავლობითი კლასის მარკერია. ჭიმკარიც ხომ აქედანაა > ჭი-ს-კარი (თავდაპირველად ჭას ხომ უკეთდებოდა ერთგვარი ღობედაცვა, რომ არ დაბინძურებულიყო ან განგებ არ შეეღალახათ ეს ადგილი).

6. ბ. გიგინეიშვილის მოსაზრებით, ბჭე წარმოშობით მიმღეობაა და აღნიშნავს მას, ვინც ბჭობს. ნაწარმოებია იგი მ-ე ცირკუმფიქსით ბჭა- ძირისაგან. თავდაპირველი \*მ-ბჭ-ე არ შემონახულა მ-ს დაკარგვის გამო ბ-ს წინ სიტყვის თავში... თვით ბჭ- ძირის ეტიმოლოგია დაუდგენელია (გიგინეიშვილი 2016). ჩვენც მიგვაჩნია, რომ ბჭე (< მ-ბჭ-ე) ვინც ბჭობს.

## ზ

### გაბრა:

საშ. ქართ. **I. გაბრა** ძვ. „ცხენის საწმედელი“ (საბა). შდრ. ამავე მნიშვნელობის (თურქ.) გებრე.

საშ. ქართ. **II. გაბრა**: გაბრა ანგარიშში ჩავუგდებ – დ. ჩუბ.

ახ. ქართ. **გაბრა** სახელი გაუბრის, გაებრება ზმნათა მოქმედებისა, – რაიმეს ბადლად მიჩნევა, ანგარიშში ჩაგდება, რაიმეს სამაგიეროდ ჩათვლა, – გაქვითვა. ვალში გაბრა. – იმ ბიჭებს რომ ღვინის მაგივრად წყალი მიეცი, იმას გაბრა არ უნდოდა? (გ. პაპუაშვილი). შდრ. ბარება გაუბრი, გაუვთვლი – დ. ჩუბ.

ზან. **გაბრა** საწონი, პინების გამთანაბრებელი. **გაბრა** თანასწორი, გულისსწორი; თეთრყურმნიანი ვაზის ჯიში; ცხენის სამუნველზე იტყვიან (მეგრ. ქობ.).

### გაზ-ი:

საშ. ქართ. **I. გაზი** ჰაეროვანი სინოტიე – დ. ჩუბ.

ახ. ქართ. **გაზი** [ფრან. gaz] 1. ნივთიერების აიროვანი მდგომარეობა, – იგივეა, რაც აირი. რატომ ამოგუდეს გაზით პარტიზანები, რას ამბობდნენ? (ო. იოს.). 2. საერთო სახელწოდება გაზისებრი ან ორთქლისებრი საწვავი ნივთიერებებისა, რომელთაც იყენებენ გასანათებლად, გასათბობად და სხვა მიზნებისათვის. შიშინობდა სადგურის დარბაზში და ბაქანზე დაკიდებული გაზის სანათი (ს. კლდ.). ◊ მძლოლმა... მანქანა დაძრა, გაზი მისცა (რ. ინან.).

საშ. ქართ. **II. გაზი** მარწუხი – საბა.

განჯურვებულის გაზებით დაგლიჯეს (ქეთევანს) ძუძუები (ქ. ცხ. II, 402, 9). ვერავინ გაგვყრის გაზითა, ვერცა კვერითა (რუსთ. მიმბად. 36, ქვ. 1). ტანთ მიჭირებენ ცხელ-ცხელ გაზებსა (დ. გურ. 308, 4).

ახ. ქართ., დიალექტ. **გაზი** 1. ლითონის ორტუჩა ხელსაწყო, რომელიც იხმარება რაიმეს (ლურსმნის, კბილის...) ამოსაძრობად. ვუთხარი თუ არა კბილის ექიმს ჩემი სურვილი..., მაშინვე სავარძელში ჩამსვა და საუკეთესო გაზები ამოალაგა (შ. არაგვი). ხედავ, თაროზე პატარა ჟანგიანი გაზი დევს (ჭ. ამირეჯ.).

იხ. ამავე მნიშვნელობით: (თუშ. მრეწ. I, 160., ზ.-იმერ., მრეწ. I, 266., ქვ. სამეგრ. მრეწ. III, 1, 249).

აღდგენილია ს.-ქართვ. \*გამ- „თოხი“, „მარწუხი“ (ჩუხუა 2000-2003).

საშ., ახ. ქართ. **III. გაზი** ბრჭყალი (ცხოველისა, ფრინველისა). გველნი ნაკუთალთ მღერდენ გაზებსა (დ. გურ. 308, 14, 2). არწივი გაჯავრდა, დაჰკრა გაზი; ყორანი მხარგაშლილი თავქვე წამოვიდა (ვაჟა). [ვეფხვმა] გაზებით გაართვა კალთანი ჯაჭვისა, ჯავშანისანი (ხალხ.).

დიალექტ. **გაზით გაართომს** გაზით დაუგლეჯს, დაუფხრეწს. [მოყმე] ფარს უფარობს და ვერ ასწრობს, ვეფხვნი ჩქარნია კლდისანი, *გაზით გაართვნა* კალთანი ჯაჭვისა, ჯავშანისანი (ხევს. პოეზ. 519, 11), – ალ. ჭინჭ. შდრ. გაზვად (თუმ. ცოც.).

მ. ჩუხუას აზრით, ს.-ქართვ. \*გაზ- „წვივი; წვივის ძვალი (ძარღვი)“ > ქართ. გაზ-(ა) : სვან. გოჯი < \*გოჟი; სვან. განზ < \*გაჟ (ჩუხუა 2000-2003).

ახ. ქართ. **IV. გაზი** ქსოვილი. სალამოს დიასახლისი... პირისფერი *გაზის* კაბით დაფრიალებს (ეკ. გაბ.). საყელოდან ოდნავ ამოსწეოდა *გაზის* წითელი შარფი (რ. ინან.).

დიალექტ. **გაზი** (გაზ) მარლა. **გაზი** [სირიის ქალაქ ღაზის სახელის მიხედვით] თხელი, გამჭვირვალე. თავზე ლამაზი *გაზი* ებურა (ინ., ჩვენ. ფუტკ.). სახლეების მაგივრათ *გაზსა* და აგრამატის არშიას აკერებდნენ (შ. კახ. მრეწ. III, I, 42).

დიალექტ. **V. გაზი** გაზის ხის მტვრისაგან დამზადებული ტკბილეული (შდრ. სპ. Güz – მცენარე, რომელიც იძლევა ტკბილ ფქვილს) (ფერეიდ. ჩხუბ.)

#### **გაზირ-ი:**

საშ. ქართ. **I. გაზირი** მისანი (დ. ჩუბ.).

ახ. ქართ. **II. გაზირი** იხ. IV. გაზი. სამი საზაფხულო თავზე მოსახვევის მეტი ვერ გიშოვე, შვილო...; აი, ალისფერი *გაზირისა*, ჩაგხატავს, შენმა გაზრდამ (ლ. არდაზ.).

#### **გაზმაზუ:**

საშ. ქართ. **I. გაზმაზუ:** იგივე გაზამაზუ. *გაზმაზუ* (იმას ჰქუიან) რომე გუნდშიგან სხუავე გუნდა იდვას (ქანან.).

საშ. ქართ. **II. გაზმაზუ** ძროხის ენა (სპ. gavzabani), ქართ. გრაკის ხე გრაკის ხის ხილი აიღე... ამულა, *გ ა ზ მ ა ზ უ* თვითოსაგან ოროლი დანგი (ქანან. 73, 37).

ცხელი მას ესე ყურსი შეუწყევით, – *გაზმაზუ* (ფანასკ. 243, 21).

#### **გალ-ი:**

საშ. ახ. ქართ. **I. გალი** მშვილდად მაქვს და ისრად გია (ბეს. 115, 14). ცრუმან საწუთრომ მარიდა პირი, ვით *გალსა* ხესა გამიხმო ძირი (დ. გურამ.).

შემქმნა უმრტო, უნაყოფო, ვით ხმელის ხისა *გალია* (დ. გურამ. 144, 558, 1).

**გალი** ძვ. და კუთხ. შტოებგაცლილი, უმტოო ხე. მე მარტო რას გაგხდები, *გალივით* ვარ ამ უდაბნოში (ნ. კეცხ.).

დიალექტ. **გალი** გუდ., მთ., მოგ., ჯ., თ. გრძელი და მომსხო შეშა (გა-უჭეჩელი). „ხე, რასაც კაცი მჭარზე შაიდებს“. შეშას *გალს* აქვ ბარაქაჲ, ტო-ტები-დ ფიჩხ უბარაქორ (თუშ. ცოც.).

**გალი 1.** შტოებგაცლილი ან ბუნებრივი უტოტო ხის ნაჭერი.

...ყველა სახლის პატრონი შასხამს ცეცხლში ხუთ-ხუთს შეშის *გა-ლებს*, მაუდებს ცეცხლს (ბ. გაბ. 150, 19; ხევს. ჭინჭ.).

2. ტყავის (ქურქის) კალთებში გასაყრელი დაჭრელებული ხეები (იყ-რიდნენ, რომ კალთა არ დაჭმუჭნილიყო). ... ტყავის კალთაზე *გალები*, ხუ-თაით გავსებულა (ალ. ოჩ. 137, 12). **გალ-ნ-ი** ყდის, საქსოვი დაზგის იარა-ღი, ორი წვრილი და გლუვი ხე. ორშიანს სულ შჭირდება სამი გარა, ოთხი ქიჩი, ორნი *გალნი* და ერთი საშევარი (ნ. ბალ., ხევს. ჭინჭ.).

მაფის ერთი წვერი. შდრ. გალა. „თითო მარცტლად ვთჷლი ოთხ-ოთხ *გალს*“ (მოხ. ქავთ.).

დიალექტ. **II. გალი: ფერცხლის გალი** ნეკნი. შდრ. VI. გალა; I. გალო. ორ-სამ *ფერცხლის გალ* ხქონივ ჩამტვრეულ, იმის სიცოცხლე საორჩიგოი (ხევს. ჭინჭ.).

საშ. ქართ. **III. გალი** საკუჭნაო (დ. ჩუბ.). იხ. I. გალია.

გალეა, გალია, გალიაკი – საბა. შდრ. გალია, გალიაკი. შემოსულია ბერძნულიდან (გიგინეიშვილი 2016).

**IV. გალი** კაბინა. გალი – ამწევი მოწყობილობა (ლითონის კაბინა), რომლის დანიშნულებაა შახტის ჭაურში სასარგებლო წიაღისეულისა და ფუჭი ქანის ვაგონებით ზიდვა, სხვადასხვა მასალისა და მოწყობილობის ჩაშვება და მომუშავეთა ჩაყვანა-ამოყვანა (ტექნ. ტერმ.).

ახ. ქართ. **V. გალი** სპეც. [გალილეო გალილეის გვარის მიხედვით] აჩქარების ერთეული ( $= 1 \text{ სმ/წმ}^2$ ) – ქეგლ.

**გალა:**

საშ. ქართ. **I. გალა** მხალი დაწნული გასახმობად – საბა, დ. ჩუბ.

ახ. ქართ., დიალექტ. **გალა** გასაშრობად და შესანახად დაწნული ბოსტნეული ან ხილეული (უმთავრესად – ხახვი, ნიორი, ღოღო...). ქურ-დი, ქურდი, ბაცაცა – ნივრის *გალა* მომტაცა (ხალხ.). მარნის ჭერზე ნივრი-სა და ხახვის *გალები* ჰკიღია (ო. ჭილ.). ფიგურ. ცხენების შეკრთომამ გაუ-წყვიტა ფიქრების *გალა* (კ. გამს.). სხვენში... ხახვისა და ნივრის *გალები* ეკიდა (გ. ლეონ.). აგრეთვე *გალა-გალა[დ]* – ქეგლ.

ჩემმა დამ სამი გალა ღოღო გამამიგზავნა ამას წინებზე (ჯავახ. ზედგ.).

ივ. ჯავახიშვილის აზრით **გალა** „მხალი დაწნული გასახმობლად“ თავკვეთილი ვნებითი მიმღეობის ფორმის „ნაგალავი“-საგან შეიძლება იყოს წამომდგარი. ეს ტერმინი, ვითარცა მიწითგან ამოგლეჯილი და ნაწნა-ვის აღმნიშვნელი გვაფიქრებინებს, რომ „გალვა“ ოდესღაც ამოგლეჯისა და მოწყვეტის აღმნიშვნელიც უნდა ყოფილიყო (ჯავახიშვილი V, 1986, 100).

დიალექტ. **II. გალა** ტყავის გასაჭიმავი ჯოხი (ჩაჩ.) – (შან.). იხ. I. გალი.

ახ. ქართ. **III. გალა** [ფრან. gala] 1. მე-17-18 სს.-ში დიდი ზეიმი მეფის სასახლეში. გალა-კონცერტი დიდი საზეიმო სანახაობა; დიდი კონცერტი. *გალა-კონცერტების* დროს... ქართული ცეკვები ჩართო („ახ. ივერ.“).

დიალექტ. **IV. გალა**: გალა ჩაი უფერული, ღია ფერის, ბაცი ჩაი. „გალა ჩაი უნდა დავლიო მე“ (საჩინ. შარაშ.). **გალა** უფერო სუსტი (ზ. გურ. კიწმარ.). **გალა** ვოტკა სუსტი, რბილი არაყი. „აი გალა ვოტკა დალიე“ (გურ. ჯაჯ.). **გალა** ფერი ღია ფერი. „ეს რმე რატომაა ასეთე გალა, ისე გავ წყალი დიგიმატებია!“ (აჭარ. ნიჟ.). თუ გამიგალდა (არაყი), უნდა გავაკეთო, გალა ოტკას სპირტს მივცემთ (გურ. იმნ. 301, 11).

**გალა** (ხუმრობით) დაუოსტატებელი. „გალა უსტა“ (გურ. მალაზ.).

მ. ჩუხუას მიერ აღდგენილია ს.-ქართვ. \*გალ- „ძლიერება, ღონე“ > ქართ. გალ-ა, გალ-: სვან. გაჷ- < გალ- (ჩუხუა 2000-2003).

დიალექტ. **V. გალა** (კახ.) საქონლის ნაკვალევი ბილიკი ტყეში ან მინდორში (კახ. მარტ., იმნ.).

გამოთქმულ მოსაზრებათა მიხედვით: 1. ქართულ **გალ-/გლ-** ძირის შესატყვისი უნდა იყოს სვანური გილ-/გლ- ძირი. ქართული და სვანური ენების მასალა შეაპირისპირა ვ. თოფურიაძე. გ. კლიმოვმა საერთო-ქართველური ფუძე-ენის დონეზე აღადგინა \*გლ-არქეტიპი (ფენრიხი, სარჯველაძე 2000).

2. 3. ფოგტიც აღნიშნავს რომ გლეჯა ზმნის ძირი მარტივი სახითაა გლა ზმნაში „დამსხვრევა“ (ფოგტი 1968, 290).

3. ს.- ქართვ. \*გალ „ტეხა, დანაყვა-ჩეჩქვა“ (ჩუხუა 2000-2003).

ახ. ქართ., დიალექტ. **VI. გალა**: იხ. I. გალო. ადგილი ფრინველის ფეხზე, სადაც დეზია; საქონლის ფეხის ძვალი კოჭსა და წვივს შორის: ფრინველის ფეხის ერთ-ერთი ძვალი კოჭსა და თითებს შორის (ყვავი) წაადგა თავსა, როს ბრძენი (სვავი) სწიწკნიდა ძროხის *გალასა* (ვაჟა) – ალ. ჭინჭ.

**VII. გალა** ყომარის თამაშობის დროს იცინა: *გალა!* (ი. გრიშ.).

**VIII. გალა** [შუმერ. ], **გალუ** [აქად. ] შუმერულ-აქადურ მითოლოგიაში მიწისქვეშა სამყაროს გამძვინვარებული დემონები საშინელი შესახედაობის, შეუბრალებელი და მოუსყიდავი (რადგან არ საჭიროებენ საჭმელ-სასმელს) – ა. სიხ.

**IX. გალა** (გეილ.) ახალზელანდიური ვაშლის ჯიში, წითელი ფერის ნაყოფი (ფეხმოკიდებულია საქართველოშიც – ა. სიხ).

**გალია**:

საშ., ახ. ქართ. **I. გალია**: რა ხელ-ჰყრის პატივს ნაზი ბულბული, გალიაშია დატყვევებული (ნ. ბარათ.).

აქ აღაშენა შანშემ ციხე-სიმაგრედ თუსად, არამედ ექმნა გალიად, რამეთუ გამოიყვანეს ცოლი და დედაწული მისი მუნიდამ (ქ. ცხ. IV, 362, 24). V საუკუნეში გალიაკი ქალებისათვის განკუთვნილი საჯდომი ადგილის სახელი ყოფილა გალიაკი (გალეაკრი) თავის სამშობლო ენაში (ბერძნულია წარმოშობით) იმას ნიშნავს, რასაც თანამედროვე გალია (პირუტყვთა თუ ფრინველთა დასამწყვდევი) (ძიძიგური 1965, 191-192).

ახ. ქართ. **გალია**. მავთულის ან რკინის ბადის შემოზღუდული სადგომი ცხოველების ან ფრინველებისათვის. ვერ გაუძლოს ბნელ გალიას ცის კამარას დაჩვეულმა (ა. აბაშ.). ორივე გალია ვალიკომ დაწნა კატაწნორის წითელი წნელისაგან (რ. ინან.).

დიალექტ. **II. გალია** იხ. I. გალა. წადი, ნივრის გალია რო არი იქ, შეაწყვიტე ნიორი და წამეიღე (მანდაეთი). ნივრის გალია კიდეა (წყალშავი) (ზ.-იმერ. ძოწ.). აგრეთვე: **სააბრაშუნია გალია**: საკერავ გარმავიტანე სააბრაშუნე გალიო (ფშ.-ხევს. პოეზ., 202, 12).

#### **გალო:**

ახ. ქართ., დიალექტ. **I. გალო** ღრუიანი ძვალი ბარძაყისა (მკლავისა.). გალოს გავტეხდე შურთხისა (ხალხ.). მეორე დილა გათენდა, გალო გამოვხარ წვნიანი (ვაჟა). || ბარკლის დიდი ნაჭერი; გამობრული ძვალი. ლემზე ნაჯდომი არწივი გალოს ჩაყლაპავს ძვლიანსა (ხალხ.).

**გალო** (ჩაჩნ. გუოლა „ნიდაყვი, მუხლი“). ღრუიანი ძვალი (ბარკლისა, წვივისა, მკლავისა...) გვერდით მოგისვა ყორანი: „გალო გამოხარ წვნიანი“ (ხევს. პოეზ. 43, 11) – ალ. ჭინჭ. **გალო, გალი** ნახური წარმოშობის სიტყვა ჩანს (უთურგაიძე 1966, 64).

იხ. ასევე (ფშ. შან., ხორნ., მოხ. ქავთ., თუშ. ცოც., ხუბ.).

ახ. ქართ. **II. გალო** [ძვ. ბერძ.] ღია ფერის წრეები, რკალები, სვეტები, ლაქები, რომლებიც შეინიშნება მზის და მთვარის გარშემო ან სიახლოვეს; გამოწვეულია ჰაერში შეკიდულ ყინულის კრისტალთა გარდატეხით და არეკლვით – სიხარ. ფანჯრის ცენტრში მოთავსებული მანათობელი წრე ცნობილი ალქიმიური სიბოლოა – გალო – ოქროს სული (რემბრ.).

ახ. ქართ. **III. გალო** საწყაო. შვიდი მილიონი ძირი ვაზი ას ოცდაერთათას გალო ღვინოს იძლევა (თარგმ. ნ. კურდღ.). შდრ. გალონი (ინგლ. gallon) თხევადი და ფხვიერი სხეულების საწყაო სხვადასხვა ტევადობისა – მ. ჭაბ.

**IV. გალო** [ძვ. ბერძ.] მარილი. სიტყვის ნაწილი, რომელიც მიანიშნებს მის კავშირს მარილთან, მარილებთან მაგ. გალობიონტები (გალო+ბიონტი) გადამლაშებულ წყალსატევთა ცოცხალი ორგანიზმები – ა. სიხ.

**გარიელ-ი:**

საშ. ქართ. **I. გარიელი** ფრინვე. – საბა, დ. ჩუბ.

ახ. ქართ. **გარიელი** [melanitta] გარეული ფრინველი ბატების ოჯახისა. აგრე მოგდევ თავრიზამდე, ვით მწყაზარი *გარიელსა* (თ. რაზიკ.). არ აკლდათ არცა დიდ ლიად და პრაწიად ხმობილნი ჩიტნი, *გარიელი*, ჟერო და ყანჩა (გ. გოგიაშვი. თარგმ.). ეს ფრინველი **გარიელა** სახით დასტურდება ფშაურში, ქართლურში, ქიზიყურში.

ახ. ქართ. **II. გარიელი** სპარსულად ჰანგის სახელია (ი. გრიშ.).

**გაფ-ი:**

საშ., ახ. ქართ. **I. გაფი** შაირი რვა მარცვლოვანი და 5 ტაეპოვანი – დ. ჩუბ.

**გაფი** (არაბ.-სპარს. kaff) [ოთხმარცვლოვანი ტერფის ერთ-ერთი (უკანასკნელი) მარცვლის ჩავარდნა]. პოეტ. ლექსთწყობის ერთი ფორმარვამარცვლოვანი და ხუთტაეპიანი ლექსი. რა ზომა უფრო მოგწონს ლექსისა: შაირი, გაფი თუ მუხამბაზი (ვ. მაყ.). შეიბნენ ერთად შაშვი, კაკაბი, ბესიკის გაფი და საიათნოვა (ტ. ტაბ.).

დიალექტ. **II. გაფი** (ჩიქ.) ამბავი, საქმე: შავკერეთ *გაფი* – გადავწყვიტეთ (ფერეიდ. ჩხუბ. 314).

დიალექტ. **III. გაფი** ჩათოს (თხის ბალნისაგან ან ცხენის ძუა-ფაფრისაგან, აგრეთვე საქონლის კუდის ბალნისაგან დაგრეხილი და დაწნული ბრტყელი საბელი. ერთ თავზე დამაგრებული კობალა *გაფი* ჩათო, ერთ თავზე დამაგრებული პატარა კობალა ხით (სოფ. ოკამი, ჯავახ. ზედგ.).

**გეზ-ი:**

საშ. ქართ. **I. გეზი** წყლით კიდე გასავალი – საბა.

ახ. ქართ. **გეზი** 1. მიმართულება; გზა; კურსი (გარკვეული პუნქტისაკენ). [ჩიტებმა] იცოდნენ მიმინოს მოსასვლელი *გეზი* და თვალი... ეჭირათ, რომ... მოესწროთ საბმელლობებში შეძრომა (თ. რაზიკ.). 2. გადატ. (მოქმედების, მსჯელობის...) მიმართულება, ხაზი, კურსი. მეფის მიერ ამ ბოლოჟამს აღებული გეზი არც ჭყონდიდელს მოსწონდა (ვ. გამს.). 3. კვალი, ნიშანი. ბევრი იარა კარიდან კარს ზურიაშ და გიორგის *გეზს* ვერსად მიაკვლია (მიხ. მრეველ.). 4. კუთხ. თოფის დასატენი, – ზუმბა.

1. შესაძლოა შემოსულია თურქულიდან (შდრ. თურქ. გეზი) (გიგინეიშვილი 2016).

2. აღდგენილია ს.-ქართვ. \*გეზ- „გაგზავნა, სვლა; გზა, გეზი, გზა (ჩუხუა 2000-2003).

საშ. ქართ. **II. გეზი** უფრთო ისარი – საბა, დ. ჩუბ.

შდრ. (თურქ.) **გეზ** სამიზნე კორა.

**გელა:**

საშ. ქართ. **I. გელა** თორნის სარეველი კეტი – საბა.

ახ. ქართ., დიალექტ. **გელა** 1. ხის ან რკინის კეტი მოღუნული ბოლოთი, ცეცხლის საჩხრეკი. 2. ლურსმნის ამოსადრობი ორკაპი რკინა. მუნჯი ყველგან თან ახლდა, რათა საჭირო ხელსაწყო, ყადაღა ლურსმანი იქნებოდა თუ პირდაბჩენილი **გელა**, თავის დროზე მიეწოდებინა (რ. ჯაფ.).

**გელა** ლურსმნის ამოსადები ორკაპა რკინა (ზ.-იმერ. წერეთ.). **გელა** რკინის იარაღი, რომელიც ლურსმნის ამოსადებად იხმარება. **გელა** მთხოვა ივანემ (განთიადი (ზ.-იმერ. მოწ.). აგრეთვე: (ზ.-იმერ. მრეწ. I, 266; რაჭ. კობახ.; იმერ. გაჩ.).

შდრ. **გელბერი** გელა, ცეცხლის საჩხრეკი. „**გელბერი** მომიტაი, სობას შუჭიჩხინო!“ (ად., ჩვენ. ფუტკ.). შდრ. (თურქ.) **გელბერი** ცეცხლის საჩხრეკი, გელა.

აგრეთვე: ახ. ქართ., დიალექტ. **გელბარანი** დიდი მარწუხი რკინის მსხვილი ნაჭრების დასაჭერად. იასაულმა... **გელბარანს** ფეხი წამოსდო და წაბარბაცდა (ს. დემურხ.).

ახ. ქართ. **II. გელა** ნარდის თამაშში: მოკლული ქვის გასაცოცხლებლად საჭირო კამათელი რომ არ დაჯდება (ა. სიხ.). შდრ. ამავე მნიშვნელობის. (თურქ.) გელე

დიალექტ. **III. გელაი** მსხვილნასვრეტებინი საცერი (ცხავი). **გელაი** საცერია ესა, ამაში არ გეიცრება, ქატო გაყვება (ინ.). **გელაი** საცერი გვათხვევითო, ბაღმა (ინ., ჩვენ. ფუტკ.).

ძვ. ქართ. **IV. გელ(ის)-ყოფა** ლაგმის დადება: „უბრძანა სებასტიანე გელ-ყოფად პირს მისსა, რადთამცა დააყენნეს სიტყუანი ჭემმარიტებისანი“ (ფლკტ. 140, 9). „გამოვიქსნე **გელ-ყოფად** ესე შენგან“ (ფლკტ. 140, 13). „**გელის-ყოფამან** პირისამან კუალად აქცინის სიტყუანი“ (ზირ. 20, 31).

შდრ. (თურქ.) **გემ** „ლაგამი“.

ახ. ქართ., დიალექტ. **V. გელა** ელვა, ელვარება (ფშ. ხორნ.). გელა ელვა, ელვარება. „აიქამც გაგემარჯვება, საცა ხმალნ იქმენ **გელასა**“ (ვაჟა).

ვფიქრობთ, რომ გადატ. ამ მნიშვნელობის **გელა** იგივე ფუძეა, რაც „ლაღად ჭენების, ნავარდის“ მნიშვნელობის **გელვება**, **აგელვებს** ზმნაში გამოიყოფა. – ათმა დარეკა. ეტლის **გელვებით** გავარდა იგი (ო. ჭელ. თარგმ.).

სიტყვის მნიშვნელობა შეცვალა ელვა სიტყვასთან მისმა ხშირმა გამოყენებამ. შდრ. იშლები ცეცხლის გირკალი, ვითა ელვაი **გელდება** (ხევს. პოეზ. 137, 10). [ჯიხვს] მაშორდა ნისლის კოტრები, ცეცხლის გირკალი **გელდება** (ალ. ოჩ. 87, 31). **გელავს** ელავს, ლაპლაპებს, ბრდღვინავს. ჩაგროვდეს კისტნის ჭალასა, თეთრ ჩაჩქნებ გელევედისაო (ალ. ოჩ. 33, 14) – ალ. ჭინჭ.



დიალექტ. **VI. გელა** ყოჩადი, მარიფათიანი. „მაგად ვინ აჯობევს საქმეში, გელაა ნამდვილი, გელა“. ხშირად გვხვდება მეტსახელადაც. „პაპა-ჩემ ფილო (ფრიდონი) ერქვა, მაგრამ ყველანი „გელად“ ეძახდნენ (გ.-კახ. სახლთხ.). ვფიქრობთ, რომ მგელი > მგელა > გელა.

**გენია:**

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. გენია** [ბერძ. geena] რელიგ. გენა. შემიპყრეს, წამომიყვანეს, ხელ-ფეხს მომიდევს *გენია* (დ. გურ. 109, 328, 1).

იხ. აგრეთვე: საშ. ქართ. **გენა, გენია** ფონეტიკური ვარიანტები (ალექსანდრ. 127, 17; ბეს. 105, 9). **გაენიის ცეცხლი** (შპნ. III, 453, 9).

თქვენი მტერი ცეცხლსა და *გენიაში* ჩავარდა! (დ. კლდ.). || ფიგურ. „გულში *გენა* მეკიდება, ლამის ცოცხლად დავიხრაკო და რად ილანძღებო!“ (ა. ცაგარ.). „გულს მეკიდება *გენა*!“ (გ. ლეონ.). მიწა გამისკეს, ჩამყლაპოს, ტანზე მომედოს *გენა* (ვაჟა).

*გენიას ნიჩაბი* ძვ. ეთნ. გენას ნიჩაბი, – ჯოჯოხეთის ცეცხლი, ჯოჯოხეთის ნიჩაბი. შავი (რწყილი) შინაა? – არც შინ არის, არც გარ არის, *გენიას* ნიჩბით სახვეტი (აჭარ. ნიჟ.).

შდრ. ძვ. ქართ. **გეჰენია, გეჰენია** გენია: „თანამდებ არს იგი *გეჰენიასა* მას ცეცხლისასა“ (მთ. 5, 22).

ძველად იყო **გეჰენია** (ოთხთავის ძველ რედაქციებში მხოლოდ ასეა!= ჯოჯოხეთი, „აბდულმესიაში“ კი ჰაე აღარა აქვს ფორმას: გენია 54, 3). ნ. მარი მას სომხურს უკავშირებდა. სიტყვა სემიტურია. ქართ. გეჰენია ჰაეთი სირიულ-სომხურს მიჰყვება, ხოლო ა დაბოლოებით – სირიულ-ბერძნულს (სხვათა შორის ეს სიტყვა მეგრულს აქვს დაცული გენია-სახით (ეე > ე) (დანელია 1998, 440). ქართული **გენია, გეგენია, გაგანია**, მეგრული გენია და სვანური გერგჰჰ // გეგენ უნდა მომდინარეობდეს ერთი საერთო წყაროდან. ეს წყაროა ებრაული სიტყვა – გენია „ჯოჯოხეთი, ცეცხლი“ (მაჭავარიანი 2015, 101).

ახ. ქართ. **II. გენია** [ლათ. genius] 1. უდიდესი შემოქმედებითი ნიჭი. გისურვებ კიდევ სიცოცხლეს სამოცს, მშრომელი ხალხის დიდო *გენიავ*“ (ი. გრიშ.). ჩემო სამშობლოვ, შენ გიხაროდეს, აზრთა *გენიის* რომ ხარ მშობელი (ა. მირცხ.).

2. მითოლ. ძველ ბერძნულ მითოლოგიაში – მფარველი სული, რომელიც თითქოს თან ახლავს ადამიანს მთელი მისი სიცოცხლის განმავლობაში და წარმართავს მის საქმიანობას: შემდეგში ბოროტი ან კეთილი სული.

**გენია-დან** იწარმოება მთელი რიგი სიტყვები: გენიალობა, გენიალური, გენიოსი, გენიოსობა, გენიოსური. იხ. ქველ.

**გერმა:**

საშ., ახ. ქართ. **I. გერმა** ფრინველთ თივთიკი– საბა.

**გერმა** რბილი, წმინდა ბუმბული; ღინღლი (უმთავრესად ბატისა), – ყურთუკი. [მელიას] ლოგინად ქათმის ბუმბული და ბატის *გერმა* ეგო (ვაჟა). ბურდოსა და მტკველს შემოვიტან აივანზე ქვეშ გასაშლელად. ისეთია, როგორც *გერმა* (ნ. კეცხ.).

საშ. ქართ. **II. გერმა** წმინდა. აიღე ფქული *გერმა* (ფანასკ. 349, 11). ანუ მოიღე ბაკილა დაფქული, და *გერმა* ფქვილი (ფანასკ. 39, 20). აიღე ფქვილი გერმანდი (ფანასკ. 267, 31).

დიალექტ. **III. გერმა** წყალი თბილი წყალი, ზამთარში ეძახიან ბუნებრივსა და ფშების წყლებს (მესხ. ფეიქრ., ჯავახ. ბერ.). შდრ. სპ.-თურქ. *გერმა* „ცხელი“.

საშ. ქართ. **IV. გერმა** მქრქალი, უფერული მინა – დ. ჩუბ.

შდრ. **გრემლეზა** ვიოლავ, გამოვისურმავ თვალთა საგრემლით – დ. ჩუბ. საგრემი, საგრემელი, საგრემილებელი, საგრემილველი საოლავი, წარბთ საღებავი სურმა – დ. ჩუბ., საბა.

ვფიქრობთ, რომ გრემა < გრემანი. სიტყვა გრემანი ძველ ქართულში კონკრეტულ ფერზე კი არ მიუთითებდა, არამედ ზოგადად აღნიშნავდა „ლამაზი ფერისა, ლამაზი, მომხიბლავი“. მკვლევარის აზრით, „ამოსავლად გრემანისათვის უნდა მივიჩნიოთ სპარსული გუნემანდ (ანდრონიკაშვილი 1976, 18).

**გვარ-ი:**

საშ. ქართ. **I. გვარი** სახე, – ნაირი. ბინდის *გვარია* სოფელი, ეს თურე ამად ბინდდების (ვეფხ. 1094, 3).

ფშ. გვარი სხვა სიტყვაზე დართვისას გამოხატავს ოდნაობას, უდრის თავსართ-ბოლოსართ მო-ო-ს: კმელგვარი მოხმელო, ტკბილ-გვარი – მო-ტკბილო და სხვ. (ფშ. ხორნ.).

ბ. გიგინეიშვილის აზრით, ქართულ-ზანურ დონეზე შეიძლება აღვადგინოთ \*გუარი და მისგან ნაწარმოები ზმნა გურ-ებ-ა „მსგავსება“ (გიგინეიშვილი 2016).

საშ. ქართ. **II. გვარი, გუარი, გოარი:** პატიოსანი თვალი და მარგალიტი. თავსა *გვარი* გარდააყარეს (რუსუდ. 61, 25).

გუჰარი, ანუ გოჰარი, მართლაც სპარსული სიტყვაა და ნიშნავს ძვირფას თვალს, უპირატესად მარგალიტს. მისი სპარსული გამოთქმაა: გაჰჰარ, გოჰჰარ (უმარცვლო უნით). ქართულში იგი გადმოსულა ჰაეს ჩავარდნით და ოდნავი გამარტივებით: გოვარი, გოარი, გუარი. იგივე გაჰჰარი არაბულშიც გადავიდა და იქ ჯაჰჰარად იქცა, რომელიც სპარსულშიც იხმარება და ქართულშიც (ქართულში ოღონდ უჰაეოდ: ჯავარი) (შანიძე V, 1986, 196).

საშ., ახ. ქართ. **II. გვარი**: აგრე მიბმანა: გვარი და ბედაურობა ბედუკულმართს უგაო (რუსუდ. 220, 19). მონას ჰკითხა: „თუ გასმია, ვინ არიან, ვისთა გვართა?“ (შჰნ. I, 1002, 1). ამაღ ვჰქენი, მამით იყო ბაგრატივანთ თესლი, გვარი, დედას ვინდა იკითხევდა, გლეხი იყო თუ რა გვარი (ტფილ. 624, ქვ. 7). და ამას ემორჩილებიან ყოველნი გვარნი სომეხთანი, და ამას აძლევენ ხარჯსა (კალმას. 364, 21).

ახ. ქართ. **გვარი** 1. მემკვიდრეობითი საგვარეულო სახელწოდება, რომელიც ერთვის ადამიანის საკუთარ სახელს. [ქალის] გვარს შეგნებულად არ ვასახელებ (თ. ბუაჩ.). 2. ჩამომავლობა. გვარსა და ჩამომავლობაზე ნურცა რას ვილაპარაკებთ (რ. ერისთ.). || ჯიში, მოდგმა (ადამიანისა, ცოცხალი არსებისა) კვიცი გვარზე ხტისო (ანდაზა). 3. პირველყოფილ-თემურ წყობილებაში – ძირითადი საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც წარმოადგენს მონათესავე ოჯახების გაერთიანებას. ეგზოგამიის წესის თანახმად, გვარს არ შეეძლო დამოუკიდებელი არსებობა და ტომში იყო გაერთიანებული („ელექტრ. ბიბლ.“). || საერთო ნიშნების მქონე მცენარეთ და ცხოველთა რამდენიმე სახეობა. ბაზი – ბუდის მშენებელი მწერების გვარი ფუტკრისებრთა ოჯახისა („ვიკიპედია“). 4. სპეც. დიდი მოცულობის ცნება მასში შემავალ მცირე მოცულობის ცნებასთან (ცნებებთან) შედარებით. ადამიანის ცნება გვარია, ხოლო მისი სახეები „რუსი“, „ქართველი“ და სხვ. თანაქვემდებარე ცნებებს წარმოადგენენ. 5. ხელოვნების, მხატვრული ლიტერატურის ერთ-ერთი ჟანრობრივი საკლასიფიკაციო კატეგორია. 6. სპეც. ზმნის მორფოლოგიური კატეგორია, რომელიც ზმნაში აღნიშნავს მოქმედების მიმართებას ობიექტთან. მოქმედებითი გვარი. – ცნებითი გვარი.

ამავე ლექსიკონში ვრცლად არის მოხმობილი **გვარ** სიტყვის შემცველი როგორც იდიომატური გამოთქმები ისე ახალი ლექსიკური ერთეულები.

1. გ. კლიმოვს ქართ. გვარ-; სვან. გუწრე (საქონლის ან ხარის ტყავი) მიუხედავად სიტყვის პრობლემატურობისა, მაინც შესაძლებლად თვლის საერთო ქართველურ ძირად მიიჩნიოს და აღადგინოს \*გვარ (კლიმოვი 1964, 61).

2. ქართული გვარი რომელშიც გამოიყოფა ძირი გარ- (გვარ) || გოარ || გოვარ || გუარ ფონეტიკურად უკავშირდება ქართული ენის დიალექტებში გავრცელებულ ტერმინებს: ნოგრო-ს (ნოგორ || გორი || გორ. ნოგრო- < (ნოგორ || გორი || ნოგრი || მონაგარი || მონაგვარი || მონაგრობა || ნაგრაში || ნაგრო) ხოლო ძირეული მასალა კი (-გორ- || -გარ- || გვარ) ჩრდილოკავკასიურ ტერმინ „გარ-ა-ს“-თან პოულობს არა მარტო ფონეტიკურ, არამედ სემანტიკურ შესატყვისობასაც (მგელაძე 2002, 117).

დიალექტ. **III. გვარი** (ქართლ.) ჭიის ჩანასახი, ცხოვრობს ცხოველთა კუნთებში; **ფეტველა** – ღორ რო დავეკლამთ და მარცვლებივით აყრია ხორცსა, გვარი ის არის (ბროწლ. ქართლ. ლექსიკ.). ღორი დავეკალი და გვარი

არ აღმოაჩნდა (გ.-კახ. სახლთხ.). იხ. ასევე (გურ. იმერ.). გორმეხა ლეჩხ. ღორის ჭირი (მ. ჩიქ.) – აღ. ღლ.

თუ გავითვალისწინებთ სიტყვა **ფატველას**, შესაძლებელია ზემონახსენები **გვარი** იმავე წარმომავლობისა იყოს რაც **გორველა** [Vicia] სარეველა მცენარის სახეობა. || ამ მცენარის მრგვალი და მუქი ფერის მარცვლები, რომლებიც ურევია ხოლმე ხორბლის, ქერისა და სხვათა მარცვლეულში – ქეგლ.

### **გვარიან-ი:**

საშ. ქართ. **I. გვარიანი** იხ. II. გოვარი. ფასდაუდებელითა *გვარიანი*-თა ძვირფასითა სარტყლითა ასულნი მოკაზმნა (რუსუდ. 107, 2).

ახ. ქართ. **გვარიანი** 1. საკმაოდ კარგი, – რიგიანი. *გვარიანი* სახლ-კარი და მამულები დარჩათ (ილია). ლექსი *გვარიანი* გამოვიდა (ტ. ჭანტ.). 2. საკმაოდ დიდი შესამჩნევი; ბევრი ტროლეიბუსიდან ჩამოსულებს *გვარიანი* აღმართი დარჩათ ასავლელი (რ. ჭეიშვი.). ყოველ ჩასვლას *გვარიანი* ხარჯი ახლდა თან (ჯ. ქარჩხ.).

საშ. ქართ. **II. გვარიანი** კარგი გვარისა, ჯიშისანი. ერთი ცხენი, უცხო და *გვარიანი*, მე მიბოძა და აგრე მიბძანა: გვარი და ბედაურობა ბედუკულმართს უგაო (რუსუდ. 220, 18). იხ. II. გვარი.

„წარჩინებული გვარისა. ერთ ქალაქში მოვიდა და ერთ *გვარიან* კაცთან სამ თუმნად დადგა (ქართ. ხალხ. ზღაპ.).

დიალექტ. **III. გვარიანი**: გვარის სენით დაავადებული. მეტი წილი ღორი გამოდის *გვარიანი* (ატ.). *გვარიანი* თუ გამოგვადგა ღორი, იმი ხორცსა რაღა გვაჭმევს (კავთ., ქართლ. ლექსიკ.). „ეჰ, დავილუპე და ეგ არი „ამოდენა ღორი დავკალი და გვარიანი გამოდგა“ (გ.-კახ. სახლთხ.). იხ. III. გვარი.

### **გზა:**

ძვ. ქართ. **I. გზა** სავალი: „სხუთ გზით განემორნეს და წარვიდეს“ (მთ. 2, 12). „გზასა ცოდვილთასა არ დადგა“ (ფს. 1, 1). „გზანი სიბრძნისანი გასწავნე შენ“ (იგ. სოლ. 4, 11).

საშ. ქართ. **გზა** არს ზომიერი კაცთა სავალი – საბა.

ძველ და საშუალ ქართულში **გზა** სხვადასხვა წარმოებისა და სხვადასხვა წყვილებისა და კონტექსტების მიხედვით ნაირ-ნაირი სემანტიკით იტვირთება. საბოლოოდ კი ეს ცვლილებები ამოსავალ ფუძეში იყრის თავს, რის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს ქეგლში დადასტურებული მისი მნიშვნელობები.

ახ. ქართ. **გზა** 1. მიწის ზედაპირზე გაყვანილი (გასწორებული, გატკეპნილი...) ზოლი, განკუთვნილი მიმოსვლისათვის. ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მაშინ გამოჩნდებაო (ანდაზა). ფიგურ. ათი გზა მაქვს, ათივე შენსკენ მოდის (გ. ორბ.). ცუდად ხომ მაინც არა ჩაივლის ეს განწირუ-

ლის სულისკვეთება, და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩება (ნ. ბარათ.). 2. ადგილი, ხაზი სივრცეში, სადაც ხდება მიმოსვლა, გადაადგილება, – ტრასა. საზღვაო გზა. – 3. გადატ. მიმართულება, გეზი, მარშრუტი. ფრთიანი კალიის გზა ქარზე არის დამოკიდებული (ი. გოგებ.). 4. მგზავრობა, მოგზაურობა. [მოხუცმა] გზა დამილოცა (აკაკი). დააპირა ყარამანმა გზის გაგრძელება (ა. ბელ.). 5. გადატ. გამოსავალი (რაიმე მდგომარეობიდან); საშუალება, შესაძლებლობა, ხერხი. ვინც გზა იპოვა, ის დაიკარგა (გ. ალხაზ.). 6. გადატ. ვინმეს მოღვაწეობის მიმართულება; რაიმეს განვითარების გეზი. ღონე გამოიჩინა ფილოლოგიამ... მაშინ, როცა ადამიანის გონებამ მიაგნო ერთგვარ გზას კვლევისას, რომელსაც «შედარებითი მეთოდი» ჰქვია (ილია). 7. ძვ. სპევ. ზმნის კატეგორია, რომელიც გამოხატავს, უშუალოდ სუბიექტის მიერ სრულდება მოქმედება თუ შუალობით (სხვის მეშვეობით), – კონტაქტი.

გზა სიტყვისათვის აღადგენენ 1. \*გზ – არქტიკოს აღადგენენ საერთო-ქართველური ფუძე-ენის დონეზე (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

2. ს.-ქართვ. \*გეზ- „გაგზავნა, სვლა“; გზა, გეზი, გზა (ჩუხუა 2000-2003).

საშ. ქართ. **II. გზა** სენია. ერთი სენი სხუა არის, გზა ჰქუიან, იმავე თსანუჯსა ჰგავს (ფანასკ. 52, 32).

### გლასე:

ახ. ქართ. **I. გლასე** [ფრან. glacé] მოძვ. აბრეშუმის ბრჭყვიალა ქსოვილი. [ლიფსიმეს] ღია იასამნის ფერი გლასის(!) კაბა აცვია (ლ. არდაზ.).

ახ. ქართ. **II. გლასე** [ფრან. glacé გაყინული] ნაყინშერეული რძიანი კოქტეილი. შდრ. **გლიასე** *გლიასე* დავაღვევინე ბებიას, მოეწონა (რ. ინან.).

### გნომ-ი:

საშ. ქართ. **I. გნომი** (ბერძნ.) ძალი სულისა განხილვად მსგავსებისა ნივთთასა – დ. ჩუბ.

**გნომი** გონება, ჭკუა, აზრი, შეხედულება. არს ბრძენ *გნომით*, დავლის ეთერს (ბეს. 110, 1).

შდრ. **გნომა** [ბერძ. γνώμη აზრი] მოკლე ზნეობრივდამრიგებლობითი, დიდაქტიკური გამონათქვამი (ხშირად – ლექსად); აფორიზმი – ქეგლ.

ახ. ქართ. **II. გნომი** [გერმ. Gnom] 1. ევროპული მითოლოგიის მახინჯი ქონდრისკაცი, რომელიც მიწისქვეშა სიმდიდრეს იცავს. მისი წიგნები დასახლებულია ევროპული მითოლოგიის ისეთი ფიგურებით, როგორცაა დრაკონები, გობლინები, ელფები, *გნომები* და ა. შ. («ელექტრ. ბიბლ.»). 2. ქონდრისკაცი. დაფრთხა მეშჩანი, დაფრთხნენ *გნომები* (თ. აბულ.). გზის გასაყარზე ორი *გნომი* დგას («გზა»). პატარა *გნომო*, სად მიდიხარ ობობას ქსელით? (ანა).

**გოგ-ი:**

საშ. ქართ. **I. გოგი** თითის გარეგანი ნაწევარი – საბა.

**გოგ**-ძირიანი სიტყვები ძველსავე ქართულში იჩენს თავს. მაგ.

**ქუემგოგვარი** მიწის (კალია): „უწმროგებასა თანა მოჰდა მკალი *ქუემგოგვარი* ფრიად [მამ. ცხორებანი 101, 6] – ზ. სარჯ.

დიალექტ. **II. გოგი, გოგა, გონგი, გოგი** მთავარი ბოძი, რომელზედაც სახლის თავია დადგმული (ზ.-იმერ. წერეთ). სათავეს ბოძი ქონდა შემდგარი, იმას *გოგი* ქვია. სათავეს შეუყენებდით დიდ ბოძს, *გოგის*, ზამთარ თოვს რომ არ ჩამოეტეხა სახლი. *გოგის* თავი რომ სათავეზე ქონდა მიდგმული ძირი წინაზე ედგა (ლექს. მრეწ. I, 357).

სახლის სახურავის დაქანებათა შესაყარის დასაყრდენი, ერთი ან ორი ბოძი ქუდით, – ვაცა. *გოგი* დირის შუიდან ამართული ბოძი, რომელზეც სათავეა გადებული (ზ.-იმერ. მრეწ. I, 261).

მეტაფორიზაციის გზით **I. გოგი-საგან** მივიღეთ სამშენებლო ტერმინი **გოგი** (ჩხენკელი 1988).

2. ძველთესულსაც აქვს *გოგი*, იგიც სიმინდსავე გოგზე შედგება (აჭარ. სურმ. II, 36).

დირეზე დააჯენენ გოგას, თუ არა და მარწუხებზე გადებდენ სათავეს (ზ.-იმერ. მრეწ. I, 268).

ს.-ქართვ.- \*გოგ- ფეხი (ჩუხუა 2000-2003).

ახ. ქართ. **III. გოგი და მაგოგი** ყოვლისშემძლე ან შიშისმგვრელი და თავზარდამცემი ვინმე ან რამე (ბიბლიური მძვინვარე მეფის – გოგის – და იმისი ხალხის – მაგოგის – სახელის მიხედვით). დავითი... სდარაჯობდა კასპიის კარებს, რომელთა გადაღმა ჩაკეტილნი არიან გოგი და მაგოგი (კ. გამს.)

**გოვარ-ი:**

ძვ. ქართ. **I. გოვარი** იხ. II. გვარი. „მრავალი კაცთაგანნი... იქადიან *გოვარსა* და ტომობასა ქუეყანისა ნათესავთასა და იტყვან: „მე იგი ვინმე ვარ და მისი შვილი ვარ“ (მ. სწ. 106, 4).

1. „გუარის წინარე ფორმა ქართულ მწერლობაში „გოვარი“ ყოფილა: **გოვარი** > გუარი. ასეთი გადასვლა „ოვა კომპლექსისა „უა“-დ ქართულისათვის უცხო არ არის, გოვარი VII – IX სს. -ის უწინარესაც უნდა არსებულიყო ქართულ სიტყვახმარებაში. და ეს იმიტომ, რომ, როგორც ჰრ. აჭარიანს აქვს გარკვეული, ამ სიტყვის დღემდის ცნობილი სახე „გუარი“ ახლო კავშირშია ძველი სომხურის գաւար-თან, რომელიც, მისივე მტკიცებით, სომხურს ქართულიდან აქვს შეთვისებული (ჰ. აჭარიანი II, 2. ილ. აბულაძე მიუთითებს, რომ, ძველი ქართულის ძეგლებში სომხ. գաւար-ის შესატყვისი სიტყვებია: სანახები, სოფელი. ქუეყანა, ჯევი) (ილ. აბულაძე 1953, ანდრონიკაშვილი 1, 1966, 303). 3. **გუარი, გოვარი, გვარი** სიტყვების დაკავშირება ბ. გიგინეიშვილს საეჭვოდ მიაჩნია (გიგინეიშვილი 2016).

საშ. ქართ. **II. გოვარი** ჯავაირი ძვირფასი ქვა. *გოვარის* თასთა აშბარბუ შიგ გაშლილ იყო, მეფეო (ვახტ. VI, 20, 18).

**თულ-გოვარი** მარგალიტი: აღივსნენ ოქრო-ვერცხლითა *თულ-გოვარითა* (ქ. ცხ. IV, 183, 13). მოვიდეს პირმზე საყენი, მსმეველნი *ხოშგოვარისა* (ნ. ციც. 452, ქვ. 3).

ამავე მნიშვნელობით იხმარება **გოარი**.

ოქროსა და *გოარსა* აყრიდის ნიავი თავსა (ვისრ. 276, 22).

უძღვნეს მდიდართა ურიცხვი *გოარი* ძვირის ფასისა (ნ. ციც. 532, ქვ. 4).

### **გოლ-ი:**

ძვ. ქართ. **I. გოლი** თაფლი ფიჭით, თაფლის კვერი; ტკბილი: „მიუპყრეს მას... თაფლისა *გოლი*“ (DE ლ. 24, 42). „*გოლი* თაფლისაჲ – სიტყუანი კეთილნი“ (იგ. სოლ. 16, 24). „დაუტკბნების ძილი მათი უფროჲს თაფლისა *გოლისა*“ (მ. სწ 139, 2). „*გოლი* არს იგი უმეტეს ყოვლისა ქუეყანისა“ (ეზეკ. 20, 6).

**გოლეული** თაფლი ფიჭისა: „უტკბილეს არიან იგინი უფროჲს თაფლისა მის *გოლეულისა*“ (ფს. 18, 11).

*გოლი* გგონია შერგებად, ხელად გაგაჭრობს ზე ველად (ქილ. 448, 25).

დიალექტ. **გოლი** თვით ფუტკრების მიერ აშენებული ფიჭა (მთ. კაიშ.). თაფლის ჳვეზა (საბა, ჩუბ.).

ამ მნიშვნელობით როგორც საშ., ისე ახალ ქართულში ძირითადად *გოლეული* დასტურდება.

აღდგენილია ს.-ქართვ. \*გოლ- „თაფლი (ფიჭა)“ (ჩუხუა 2000-2003).

დიალექტ. **II. გოლი** ყვავილი სპ. Gol „ვარდი, ყვავილი“. ზადიონი... ისიც თითან *გოლს* იქს, და გამაძბამს იმ დანსა (ფერეიდ. უთურგ., ჩხუბ., გიუნ. იკე, XXIII, 201, 28).

ახ. ქართ. **III. გოლი** [ინგლ. goal] –ბურთის (ჰოკეიში – შაიბის) გატანა კარში. მეკარემ ბევრჯერ იხსნა გუნდი აშკარა *გოლისაგან* (ვ. ურჯუმ.).

დიალექტ. **IV. გოლი** (თ.) ტბა. „გოლში თევზი დაცურავდა“ (აჭარ. ნიჟ). აგრეთვე: (ჩვენ. ფუტკ., იმერხ. ფალ., ცინც., გურ. ჯაჯ.).

შდრ. **გოლი** (თურქ.) ტბა ზან. (ლაზ. თანდ.).

### **გონგ-ი:**

ახ. ქართ. **I. გონგი** [ინგ. gong] დასარტყმელი მუსიკალური საკრავი, ბრინჯაოს თეფში; უკრავენ ჯოხებით; გამოსცემს სხვადასხვა სიმაღლის ბგერას; იხმარება სიგნალის მისაცემად. ძალიან დავიღალე, *გონგს* რომ არ მოეხწრო, წაგებას ვერ გადავურჩებოდი (რ. ჭეიშვ.). ყოველ შემთხვევაში, *გონგის* ხმა თითქმის მესმის (თ. წივწ.).

ახ., ქართ. დიალექტ. **II. გონგი** პატარა ხელის ფიცარი, რომელსაც თიხის ჭურჭლის მუცლისა და ყელის გამოსაყვანად, „თორნის კედლის“ მოსაწორებლად იყენებენ („დიალ.“) ყოველი შემოქმნის დამთავრებისას ქვევრს *გონგით* გასწმენდს [მექვევრე] (ა. ლევ.). იხ. აგრეთვე: ქიზ. მენტ., ვ. ბერ.). გონგი < გოგი.

### **გრიგალ-ი:**

ძვ., საშ., ახ. ქართ. **I. გრიგალი** მსწრაფლი ქარი არის (თ. ბაგრატი.).

**გრიგალი** ქარიშხალი: „*გრიგალნი* აღმარღუველნი ღელვათა ზღვსათანი“ (მ. სწ. 124, 3). „ვითარცა გრიგალი რადმე მოხუეულ არს საქმეთა ზე და ჩუენთა“ (A – 92, 240).

ვით *გრიგალმა* ჩაირბინა (ვეფხ. 867, 4). მას მოუხდა *გრიგალ* ქარი (ტფილ. 613, 4). შემოუმრგლო ვახტანგ სინდთა მეფესა, ვითარცა *გრიგალმან* (ქ. ცხ., სიმფ. II, 194, 14).

აშფოთდა ავი *გრიგალი* და ჩამოსცვივდნენ შტოები ხესა (ილია, თარგმ.). *გრიგალს* წვიმა და... ხშირი და თანაც მსხვილი სეტყვა მოჰყვა (შ. არაგვ.).

დიალექტ. ამოვარდა *გრიგალი*, დალეწა ყოლიფერი“ (იმერ. გაჩ.). *გრიგალი* ამოვარდა (მანდაეთი). *გრიგალი* ქარები იცის (იქვე) (ზ.-იმერ. ძოწ.).

**ამოგირგალეზა** ქარის მოვარდნაზე იტყვიან (გურ. ჟღ.).

\*გირ-გირ < გირ-გილ < \*გირ-ილ < გრ-ილ (ამოგირგილდება (გურ.) – ამოვარდება, ამოიჭრება (ქარი, ნიავი) (ერთელიშვილი 1980, 193).

დიალექტ. **II. გრიგალი** 1. ღობის თავზე ტალღისებურად გადაქსოვილი მსხვილი წნელი. რომ მოღობავ ღობეს, მერე გრიგალი უკეთებთა, სხვილი წნელით გოდუვლი (ბოსლევი). წნელ რო ერთხელ შამოავლებენ ღობის თავზე, ერთი *გრიგალი* ქვია (სავანე). 2. მჭადის ნაპირებზე საგანგებოდ დატოვებული კვალი. *გრიგალი* გოუკეთა ჭადს (მანდაეთი), – (ზ.-იმერ. ძოწ.).

**გრიგალიანი ჭადი** მჭადი, რომელსაც, ნაპირებზე გრიგალი აქვს გაკეთებული. დედამ *გრიგალიანი ჭადი* დააცხო (მანდაეთი) (ზ.-იმერ. ძოწ.).

**გრიგალი** ჭილობის ნაწიბური; წნული სასიმინდის ერთგვარი სახეა: როდესაც სასიმინდე უკვე მოწნულია, ზევიდან გადაავლებენ წნელს, რომელიც ერთგვარ ხვეულ, ტეხილ ხაზსა ქმნის (ზ.-იმერ. წერ.).

**გრიგლური:** თუ წნელის არი სასიმინდე, სხვადასხვანაირათ ვწნავთ: ...[მასზე] გადავავლებთ გვერდიდან ხუთ-ხუთ წნელს, მერე ზევიდან გადავავლებთ კიდევ 2-3 წნელს ანუ *გრიგალს*. ამისთანა სასიმინდეს ქვია გრიგლური, რადგანაც მიხვეულ-მოხვეული წნელია ზედ გადავლებული (ზ.-იმერ. მრეწ. I, 269). **გადაგრიგლა** ღობის თავის გადაწვნა ტალღისებურად მსხვილი წნელით (იმერ. ქავთ. III).



შდრ. **გირგლური ღობე** მსხვილი წკნელებით ორმხრივად მოწნული ყველაზე მაგარი ღობე – ტყრუშული. **გირგალი ღობე** თავიდანვე სულ *გირგალით* რო იწვნება. წკნელები ერთმანეთშია გადაწნული ხან ერთი მხრიდან, ხან მეორიდან (რაჭ. კობახ.).

### **გრილ-ი:**

ძვ. ქართ. **I. გრილი** «ჩრდილი», ცივი: „სასუმელ ერთ წყალი გრილი“ (მთ. 10, 42). „დაფარნა მთანი გრილმან“ (ჩრდილმან Z) „მისმან და ბაბილოთა მისთა“ (ფს. 79, 11). „არცა გრილი ხარ, არცა ტფილი, ჯერ-ყო, რათამცა ანუ გრილ იყავ, ანუ ტფილი. არამედ ესრეთ ნელტფილი ხარ და არც გრილი, არცა ტფილი“ (გამოცხ. 3, 15-16).

საშ. ქართ. იყო მუნ *გრილი*, და მათ *გრილოთა* შინა შეეკაზმა პური (ამირან. 396, 1). და დედალი არს და ბუნებად *გრილი* და ნედლი არს (ეტლ. 20, 20). მეთერთმეტესა დღესა მივხუდით ქუეყანასა შუენიერსა, ყოვლის კეთილითა სავსესა, ვენაჯიან-ხილიანსა, წყაროებსა და *გრილსა* (ამირ. 422, 7). მთა ესე არს მაღალი, ... წყაროიანი და *გრილი* ფრიად (ქ. ცხ. IV, 547, 25). და თუ სტომაქ *გრილი* კაცი იყოს, ხამის თაფლითა მოზილონ (იადიგ. 582, 10). ტირიფი *გრილი* და ნედლია (იადიგ. 405, 11).

ახ. ქართ. **გრილი** 1. ოდნავ, სასიამოვნოდ ცივი (შდრ. თბილი). აღმოსავლეთის უფრო ხმელია და ცხელი, დასავლეთისა კი ნოტიოდა *გრილი* (ი. გოგებ.). მიედინება *გრილი* მდინარე, არც ნაკვალები არ ჩანს სილაში (თ. ბექ.). 2. იგივეა, რაც ჩრდილი. ხევებში ჩადგა *გრილები*, ისმის ყვირილი წყლებისა (ვაჟა).

დიალექტ. 1. გრილი ჯ., თ., ფშ. (იშვ.) ცივი (საპირისპიროა მწვავე) ნ. ცივი (ა. შან.). **გრილი** ცივი. ბრალია უშიშაისა, მიწას უთხრიდან *გრილსაო!* (ხევს. პოეზ. 108, 24). ვაშკაცს კი *გრილმა* მიწამა გაუდნა მკერდის ძვალა (ა. ოჩ. 204, 9, ხევს. ჭინჭ).

**გრილად ნაფუარი [ლუდი]** გარკვეული წესით დაყენებული ლუდი, აფუებისას ცივად დაყენებული ლუდი, რაც შემდეგ გარკვეულ გემოს აძლევს მას. „ოჰ, კა ლუდ არ მოგჯდომივათა! ცოტას სვე აკლავ და გრილად ნაფუარიც ას“ (ბ. გაბ. 126, 22) – ალ. ჭინჭ.

2. **გრილი** ფშ., გრილო გუდ., მთ., ჯ., თ., ჩდილო ჯ. ჩრდილი. – ა. შან. იხ. აგრეთვე **გრილო** – ქეგლ.

გრილომ ჩრდილი. „დავისვენოთად კარგა რაჟიმ გრილომ“ (თუშ. ხუბ.).

**გრილო** 1. ჩრდილი. 2. გაფოთლილი ტოტებისაგან გაკეთებული ფანჩატური (მთ. კაიშ.).

**ნაგრილო** მთ., მოჯ., გრილბ 1. ცივი. „გადავალ გრილსა წყაროზე, გრილ წყარო მაღალ მთისაო“. 2 გულცივი (ადამიანი). „გრილბ, თავისობა არა იმდენ იცის“ – გულცივია, ნათესაობა იმდენად არ იცის (თუშ. ცოც.). აგრეთვე: **გრილოებგამოყრით** საღამო ხანს, მზე რომ დასავლეთისკენ

გადაიხრება და ხევებში ჩრდილები გაჩნდება. *გრილოებგამოყრითა* ვიარენტა-დ დაღამებამდ მაინც მოახრჩიეთ (თუშ. ცოც.).

ახ. ქართ. **II. გრილი** [ინგლ. grille < ფრანგ. griller] ხორცის შესაწვავი სპეციალური მოწყობილობა – ქეგლ.

### **გროშ-ი:**

საშ. ქართ. **I. გროში** მომსხო. **გროში** მოსხოსავით – საბა.

დანაყენ *გროშად* და ჩაასხი ქოთანსა შიგა (ფანასკ. 139, 8).

**გროშ** რომი, მსხვილად დაფქვილი, დაღერლილი, დანაყილი *გროშ* ფქულ; *გროშ* მარილ (ინგ. ლამბ.).

შდრ. **როში** მსხვილად დაფქვილი რამ – დ. ჩუბ.

**საშ. ქართ. II. გროში** (რუსულ.) ორი კოპიკი – დ. ჩუბ.

ახ. ქართ. **გროში** [რუს. роща] 1. ისტ. რუსული (სპილენძის) ფულის ერთეული; უდრიდა ნახევარ კაპიკს. მცირე ნომინალების ღირებულება 1,5 *გროშ* შეადგენდა («მეგ. მეგ.»). 2. საუბ. გადატ. ძალიან ცოტა (ფული), – კაპიკი. თუმც არა მაქვს *გროში* ფული, მაგრამ ბედნიერი ვარ... (აკაკი). მაწვალეს, მცემეს, *გროშები* მქონდა, ქრთამში ამართვეს (გ. ლეონ.).

### **გუარ-ი:**

ძვ. ქართ. **I. გუარი** «წესი». „დაიცევით მღდელობად თქუენი ყოვლი-საებრ გუარისა (წესისა pb.) საკურთხეველისაჲსა“ (G, რიგხ. 18, 7).

ქართულ-ზანურ დონეზე შეიძლება აღდგეს \*გუარი და მისგან ნაწარმოები ზმნა \*გურება „მსგავსება (გიგინეი-შვილი 2016, 82).

ძვ., საშ. ქართ. **II. გუარი** გვარი, ჯილაგი, მოდგმა. სამოცდამეათხუთმეტენი შვილნი ხართ თქუ(ე)ნთა *გუართანი* (საბუთ. 38:17). არცა ძმანი და არცა სხუანი *გუარნი* კაცნი არა ყოფილან ეგზომ მოყუარულნი (ამირან. 500, 6).

**გუარტომობა** შთამომავლობა: ლანგ-თემურ *გუარტომობით* იყო ჩინყის სამარყანელი (ქ. ცხ. II, 446, 26).

საშ. ქართ. **III. გუარი** იხ. II. გვარი. თავსა აყრიდენ *გუარსა* (ამირან. 600, სქ. 2; 658, 12). მაზედ დადგეს ოქროს ტახტი, *გუართა* გაფრქვეული (შჰნ. I, 2548, 2). აყრიდიან *თვალ-გუარსა*, პილოტანი იქივ დგისცა (შჰნ. III, 70, 2).

### **გულ-ი:**

ძვ. ქართ. **I. გული** «გონება», «თავი თვისი»; შუაგული. „განადგინეს *გული* ერისაჲ G, – „გარდაცვალებს გონებაჲ ერისაჲ“ (M, ისუ ნ. 14, 8). „ცნა იესუ *გულსა* თვისსა“ C, – „იესუ გულისჴმა-ყო თავით თვისით“ DE, მრ. 5, 30). „შეგიშალოს გონებაჲ *გულისა* შალვითა“ (მ. სწ. 159, 16).

გული და მისგან ნაწარმოები სიტყვები როგორც ძვ., ისე ახ. ქართულში ფართოდ გავრცელებული ლექსემაა.

გული ქართულში „წარმოდგენილია აზროვნებითი პროცესების ცენტრად, გრძნობების წყაროდ, ტემპერამენტ-ხასიათის განმსაზღვრელად და ორგანული შეგრძნებების ამთვისებლად“ (ჩიქობავა 1938, 66).

საერთო ქართველურისათვის აღდგენილია ს.-ქართვ \*გუილ- „გული“ (ჩუხუა 2017).

საშ. ქართ. **II. გული** (სპ. „გულ“) ვარდი. სამოთხის გული, სამოთხის ვარდი. ედემს დარგული სამოთხის გული, ციერთ უმაღლე, ქვეყნის მპყრობელი (შავთ. 45, 3).

ვარდი გიულის სახითაც დასტურდება: გიული შეხურიტოს. გიულის წყალი სამი ხურეტა (ქანან. 78, 28).

შიგ ათასფერნი ყვავილნი, ვარდი გამლილი გულოსა (თეიმ. I, 170, 2, 2).

ცხადია, **გულმა** „ვარდის“ მნიშვნელობით ვერ მოიკიდა ფეხი, რადგან ქართული გულის არსებობა უშლიდა ხელს და, რაც მთავარია, მისი მნიშვნელობით ქართულს ვარდი ადრე (X საუკუნემდე) ჰქონდა ნასესხები სპარულიდან (დანელია 1998, 44).

### **გუნდა:**

ძვ., საშ., ქართ. **I. გუნდა** „საღებავი მუხის კაკრა“ (საბა). 1. **გუნდა** კრკოს მსგავსი ხილი მუხის ხისა, ხმარებული მელნის გამოსახდელად და სხვად საღებავად – დ. ჩუბ. 2. გუნდა ქვა შავი ქვა (დ. ჩუბ.).

„ორნი ვინმე კაცნი წარვიდეს მთასა მას, რომელსა კარკულ ეწოდების, და ვიდოდეს მას შინა და შეჰკრებდეს გუნდასა“ (1er=3 73v, 23-25). „მოვედით მთათა ამათ კრებად გუნდაძსა, რადთა ესევეითართა ამით საჭმრითა მოვირეწოთ საჭიროდ იგი ჯორცთა საჭმარი“ (იქვე, 74r, 19-22).

**გუნდა** მოიპოვება შავი და თეთრი. ცხვრი დანაყილის გუნდით გამოუტენონ (იადიგ. 140, 5). ვინცა გუნდა წმიდად დანაყოს და გაცრას და იასამანის ზეთშია ამოჟღვლიმოს და ყურშიგა ჩააწუროს, ტკივილი უშველოს (იადიგ. 302, 27). აიღე გაუხურეტელი გუნდა (ფანასკ. 18, 25).

ახ. ქართ. **გუნდა** ძვ. გუნდის ხის გირჩა. || მისგან დამზადებული საღებავი. [ფუფალას] იმ ჭრელ ბოხჩაში... ფერუმარილი ულაგია, გუნდა, ლახუსტაკი, ზირა... (გ. ლეონ.). ვარდიას სჩვევოდა გუნდით შეღებილი, დადრეკილი წარბების მოშვილდვა (კ. გამს.). **გუნდის ხე** ძვ. კვიპაროსი – ქეგლ.

**გუნდა** გუნდა. გუნდამ ჯა გუნდის ხე, კიპარისი ზან. (მეგრ. ქობ.).

**გუნდაჲ** გუნდა. გუნდის ხის გირჩა ან მისგან დამზადებული საღებავი (სვან. თოფ., ქალდ.).

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **II. გუნდა** (სომხ.) დაგუნდავებული ან დასორსლებული რამ, ან პურის კუტი, თოვლის გუნდა – დ. ჩუბ.

**გუნდა** ბურთივით დამრგვალებული ცომი, თოვლი, მიწა და მისთ. სანამ თორნე ცხელია, *გუნდას* დაიჭერსო (ანდაზა). იმ დღეს ჩვენთვის აღარც კაკანათი იყო, აღარც თოვლის *გუნდა* (ილია).

**გუნდა** 1. ბურთი. 2. ცომის გუნდა (ფერეიდ. ჩხუბ. 316).

აგრეთვე: (ინგ. როსტ., ალგ. სალ. 136; ჯავახ. ბერ., ზედგ., ერწ. თიან. მრეწ. I, 121; ქიზ. მრეწ. I, 78; ქართ. მტკვრ. ჩრ. მრეწ. I, 213).

## დ

**დაბლა:**

საშ. ქართ. **I. დაბლა** დოლი, დაფდაფი – დ. ჩუბ. შდრ. **დავლი** ებანი, ბობლანი – დ. ჩუბ.

საშ. ქართ. **II. დაბლა:** სიხარულიდამ დაბლა კერძ დაზი! (ბეს. 30, 2).

ახ. ქართ. **დაბლა** (საპირისპ. მალლა) 1. ქვედა, ქვემო, ძირა. ჩაინაცვლეს მტრედებმა კაკლის დაბლა ტოტებში (ს. მგალობ.). ყველანი შინა ვართ, დაბლა ძველებურ დარბაზში (რ. ინან.). ◊ 2. ზმნს. ქვევით, ქვემოთ, ძირს, ფსკერზე. დაიჭექა თოფმა დაბლა და მალლა ქორმა შეიფრთქილა (აკაკი). ლააკ! ლააკ! – მიხაზავს დაბლა, ჩაღრმავებულში ჩამძიმებული ნისლის ტბორებს ღაღღის ხმა (რ. ინან.). 3. ძირს, მიწაზე. დამჭრეს დაბლა დაცემულიც, ტყვედ არავის არ დავნებდი (კ. კალ.).

**დაბლა** ნაწარმოებია **დაბალ**-ისაგან უფრო გვიან (ძველ ქართულში წარმოდგენილი მდაბლად არ წარმოადგენს ახალი ქართული დაბლას ადრინდელ ფორმას) (გიგინეიშვილი 2016).

**დავ-ი:**

საშ. ქართ. **I. დავი** იგივეა რაც დავა. ფიცხლად დახლტოდეს ყურდგელი, სროლაზე ჰქონდეს დავია (ვახტ. VI, 29, 2). ◊ ციხე-ქალაქი ავიღეთ, გამოგვითხოვეს არ დავი (არჩ. 360, 834, 2). „რას მამდევ, შენ რა გაქვს ჩემთან დავია? (ი. ტფ. 620, 152, 1). **დავი საკმელი** არ გაყიდონ და მკვახე ხილი (სამ. ბატ. დავ. 180, 18).

**დავი < დავა.**

ეს სიტყვა შემოსულია არაბულიდან (შდრ. არაბ. da'vat „სარჩელი“ (წერეთელი 1951, 72). უფრო მოსალოდნელია სიტყვა შემოსული იყოს ახალი სპარსულიდან (გიგინეიშვილი 2016).

საშ. ქართ., დიალექტ. **II. დავი** ნარდის თამაშის ერთგვარი წესი, ანგარიშის მომატება, მოგების გაორკეცება. მას მტრობის ნარდის დავის თხოვა მოუჭდება (ქილ. 568, 19).

**დავი** (სპ. dav) სვლა ჭადრაკის თამაშისას პირობის დადება, სიტყვის თქმა რაიმე სადავო საქმეზე მოწმეთა თანდასწრებით. „დავი ვქნათ და დავამთავროთ ეს საქმე“ (ინ., ჩვენ. ფუტკ.).

**დავლა:**

**დავლა** საშოვარი ნივთნი, ანუ სიმდიდრე; + დოვლა სპარსულად დიდებასა და სიმდიდრესა მრავალთა ოქროთა და ვეცხლის ქონებასა ნიშნავს+ესე იგი დოვლა, არაბულად დიდსა სიმდიდრესა ეწოდება. + ქართულს ენაში ნატყვენავსაც ეწოდება. ესე იგი ნატაცებსა, ეს სრულიად სხვის მნიშვნელობის ლექსი არის+ დოვლა, დოვლათი, ესე იგი სიმდიდრე და დიდება არის, დავლა საშოვარი არის, ნატაცები – თ. ბაგრატიონი.

ძვ. ქართ. **I. დავლა** ქონება: „აკურთხენინ ღმერთმან დღენი შენნი და ნაყოფიერ-ყავნ დავლაჲ შენი“ (მ. ცხ. 237, 1).

საშ. ქართ. **დავლა** (არაბ. დავლათ) სვე, ბედი, ბედნიერება, სიმდიდრე, დოვლათი, ალაფი დოვლათი – დ. ჩუბ.

სვიანმცაა დავლა თქვენი (ვეფხ. 1440, 4). დავლა ოდეს არ მისმენ სწავლასა ხუალ დაინანებ დავლასა (ქილ. 595, 10). დავლა და წაღმართი ჩემი მაშინდა იქმნების, ოდესცა შენისა პირისა ჭურეცა მომხუდეს (ვისრ. 77, 9). საამ ჩამოჯდა, რა ნახა ჯელ-მწიფე სვით და დავლითა (შჰნ. I, 666, 2). შეაძულვებს და დასწყევლის მისსა ბედსა და დავლასა (ვახტ. VI, 465, 2).

ახ. ქართ., დიალექტ. **დავლა** ომში ნაშოვარი ქონება, იარაღი და სხვ., – ალაფი, ნადავლი. გმირს არ აჯავრებს ნადავლი, შვერული არის წარბშია, სახელს ვერ გაცვლის დავლაზე, მით არ ერევა ხალხშია (ვაჟა). მცირე დავლით და მცირე შაშხანით ვბრუნდებით (მ. ლებან.). თათარყან... არც ერთს დავლას არ ააცდენდა (ა. ყაზბ. IV, 165, 35). აგრეთვე: (ფშ., თუშ. – ა. შან., თ. უთურგ.).

შემოსულია არაბულიდან (შდრ. არაბ. დაულათ „ბედის ტრიალი“, „სიმდიდრის, ძლიერების მოზრუნება“, „სვე“ (იუსტ. აბულაძე 1916, 800).

ახ. ქართ. **II. დავლა** მოვლა, შემოვლა. მეფე ლუი მეთექვსმეტე მთელი სამეფოს დავლას აპირებდა (ი. მაჭავ. თარგმ.). აჩქემა მარტო ყოფნა, დღენიადაგ ტყეში დავლა (ი. გრიშ.). 2. ცეკვაში რამდენიმე წრის გაკეთება, წრის შემოვლა. 3. დარბენა, გავრცელება (მაგ., ტანში ჟრუანტელისა). ამის წარმოდგენა და ტანში ჟრუანტელის დავლა ერთი იქნებოდა ჩემთვის“ (გ. წერეთ.).

დიალექტ. **III. დავლა** დამბლა. დავლა დაცემია საწყალს, რაღამ უნდა გადაარჩინოს ისი, მოხუცებული“ (იმერ. გაჩ.). დავლა აქ დაცემული, დავლა დეეცა (რაჭ. კობახ.). აგრეთვე **დავლა**: გურ., იმერ. (დლ., ვ. ბერ.).

**დავლა** < დამბლა; **დამბლა** სენი ხელ-ფეხის და ტანის დადუნება. წვეთის დაცემა; ზონზოლი, ზანტი უგერგილო (დ. ჩუბ.). შდრ. (თურქ.) **დამლა** „წვეთი“.

#### **დალ-ი:**

ახ. ქართ. **I. დალი** 1. ეთნ. ნადირთა (შველთა, ჯიხვთა და მისთ.) მფარველი ღვთაება. ვითომდა მასზე იყო დამოკიდებული მონადირის ბედი: მას შეეძლო როგორც წყალობის მიცემა, ისე მონადირის დალუპვაც. სვანები მონადირეობის მფარველ ღვთაებას ეძახიან «დალ»-ს, რომელიც ოქროს ნაწნავიან მშვენიერ ქალადა ჰყავთ წარმოდგენილი (ივ. ჯავახ.). მოწყალეებით... დამხედა... დალმა ოქროს თმიანმა (ვ. ბარნ.). იხ. აგრეთვე: **დალ** (თუშ. ცოც.).

ქალღმერთ **დალ**-ის ფუნქცია, რომელიც ნაყოფიერების ღვთაებად გვევლინება (შდრ. მისი კანონზომიერი კოლხური შესატყვისი დო-:

დო-უ-ნანა. ო-დო-ია, სვან. დალ. **დალ**-ის სახელი ჩვენთვის საცნაური ხდება თქმულებიდან ამირანის შესახებ. სადაც დალი დედაა ამირანისა, ხოლო მამად უბრალო (რიგითი) მონადირე, ჩვეულებრივი მოკვდავი გვევლინება (ჩუხუა 2013, 229).

ს.-ქართვ. \*დალ „ნადირობის, ნაყოფიერების (ქალ-) ღმერთი > ქართ. დალი : ზან. [დო-], ოდოია < \*ოდოლია: სვან დალ || დალ (ჩუხუა 2000-2003).

დალ-სვანეთი კოდორის ხეობის ზემო წელს მოიცავს. ხეობის სახელწოდება დალ- მომდინარეობს ნადირობისა და მონადირეთა მფარველი ღვთაების, ულამაზესი ქალღმერთის დალის სახელისაგან, ადასტურებენ შუა საუკუნეების მოგზაურები ლულიე და ნორდმანი. ისტორიულ მეცნიერებაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად ეს სახელი კოდორის ხეობას უნდა ეტარებინა უხსოვარი დროიდან, თვით მატრიარქატის ეპოქიდან მოყოლებული (მარგიანი 1998, 138).

დიალექტ. **II. დალი** რეზინის საწოვარა. „ქალაშავსათუი დალი ვერცად ვიშოვე“; „დალით ნაზარდიო“, – იტყვიან რძითა და საწოვართი გაზრდილ ბავშვზე (მოხ. ქავთ.).

**დალი** ფშ. მოჭ. რძის საწოვარა. დედა არა ჰყავს, დალით გაზდილია (მოჭ.) ნ. დვალი შან. 2. საწოვარა თუ არა აქვთ, „დალით წუება ხდება შემდეგნაირადაც: თითს ჩაუყოფენ პირში /ხბოს, ბატკანს.../ იმას აწოვებენ, თან ბოთლიდან ასხამენ პირში რძეს“ (ფშ. ხორნ.).

ამავე მნიშვნელობით გვხვდება: **I. დალა** გუდ. მთ. **2. დვალი** ჯ. რძის საწოვებელი ბავშვისთვის (თვითვე აკეთებენ, რქაზე ჩამოაცმენ „თითს“, ე. ი. ძუძუს წვერს) (შან.). **დვალი** ჯ., ფშ., ა) ჯარატარზე ჩამოსაცმელი რგოლი, შუშანაყი თ. ბ) ყანწზე წამოცმული ძუძუს თითი, უდედო ბავშვების საწოვად. **დვალი** გუდ. ორ-კაპიანი ჯოხი ჯარაში, რომელზედაც ჯარატარი ტრიალებს, ბატი თ. (ა. შან.). შდრ. სპ. დულ ჩამჩა, ძაბრი.

საშ. ქართ. **III. დალი**: დალი შავი – დამწუარი (ფანასკ. 269, 30).

### **დალალი-ი:**

ძვ. ქართ. **I. დალალა** ნაწნავი: „არა მოიპარსოთო გარემოდს შესახედავი თავისა თქუენისაჲ, ხოლო უფროდსა – კოწოლი, რომელ არს დალალაჲ, და არს იგი ნათხზენი“ [A= 1108 22r].

საშ. ქართ. **დალალები**, თმები დაწნული, ზურგისა კერძ გარდამვებული (თ. ბაგრატი.).

**დალალი, დალალა**: გარემემო მოეკვეცნეს უკანამო დალალანი (ვეფხ. 1579, 3).

ზილფო ნაშალო, შემაშალო, მკვლელი დალალო (ბეს. 44, 2). სამნი ნაწნავნი დალალნი ოქროდსა მეწამულისანი (ალექსანდრ. 66,14). გიშრის დალალი უწნავი, მხრებზედ აქვს გადაშლილი (ვ. ორბელ. 509,3).

ახ. ქართ., დიალექტ. მშვენიერი წაბლისებრი *დალალები* აყრია ზურგზედა (ნ. ლომ.). ფიგურ. გელით იორი და ალაზანი – ზღაპრული ქალის წყვილი *დალალი* (ი. ნონემ.).

**დალალი** ნაწნავში დატანებული სხვისი თმა. *დალალებს* იტანსავ, იცოდინ, გან თავის თმებ აქვავ – დალალებს იტანსო, ამბობდნენ, განა თავისი თმები აქვსო (თუშ. ცოც.).

გვხვდება **დარალაი** (მოხ. ქავთ., ლუდ.). **დარალა** (ხევს. ჭინჭ.).

ს.-ქართვ \*დალ- ნაწნავი, დალალი“. ძირად აქ დალ- ჩანს გამოსაყოფი, -ალ სუფიქსია (ჩუხუა 2017)

საშ. ქართ. **II. დალალი** (არ. დალალი) მაკლერი. **დალალი** „რომელი ატარებს სავაჭროთა“ (საბა). მერმე მნახა *დალალმა* ერთმა (ამირან. 741, 5). ძოწის მჯობმან, ბალახშისა *დალალმან*, / უწყალოსა სიკვდილისა *დალალმან*, / დახე, გული მძაფრად დაწვა *დალალმან*. /რასა ჰყოვნო? არ მასმინო, აარე (ბეს. 174, 10).

მას დღეს ფასსა არა სდებდა ლალ-გოარსა მუნ *დალალი* (ნ. ციც. 262, 1).

სიახლეს *დალალი* იყო, მივა თვალის მსყიდველთანა (შჰნ. II, 4025, 4).

ახ. ქართ., დიალექტ. **დალალი**. ძვ. *დალალის* გული მხიარულიაო (ანდაზა). მყიდველი და გამყიდველი თავის მოვალეობად თვლიდნენ დაეპატიჟათ *დალალი* (ს. კლდ.). // შუამავალი, მაჭანკალი. თედო, როგორც კარგი *დალალი*, არიგებდა ქალებს (ნ. ლორთქ.). 2. ფეხზე მოვაჭრე. დავითი ფეხზე მოვაჭრე იყო, *დალალი* (ა. ახნაზ.).

დიალექტ. **დალალი** საქონლის ფეხად მოვაჭრე; შუამავალი ვაჭრობაში (ფშ. ხორნ.). **დალალი** გზირი, რომელიც მოსახლეობას ხმამაღლა რადაც ამბავს ატყობინებს. ერთი ფაშა არის, *დალალს* ამახებს (ჯავახ. მარტ.).

ზან. **დალარი** დალალი ცხენით მოვაჭრე (მეგრ. ქობ.).

აღნიშნულმა ლექსემამ განვითარების მრავალი საფეხური გაიარა. ერთნაირი ინტენსივობით იხმარებოდა სპარსულ თუ თურქულ ენებში, მნიშვნელობათა მოდიფიკაციის ცვლას თუ გავითვალისწინებთ, იგი თურქული გზით დამკვიდრებული ჩანს ქართულში. დღევანდელ სალიტერატურო ენაში დალალი უკვე არქაიზმია (იმედაძე 2014, 55). სიტყვა არაბულია (არაბ. dallala „შუამავალი, „მაკლერი, „მეაუქციონე“), მაგრამ უშუალოდ არაბულიდან არ უნდა იყოს შემოსული (გიგინეიშვილი 2016).

### **დამ-ი:**

საშ. ქართ. **I. დამი, დამის კაცი**, სათამაშო ძვალი ნარდისა, ჭადრაკისა – დ. ჩუბ.

საშ., ახ. ქართ. **II. დამი** (სპ.) ორთქლი ბუდი. პაატავ, გებრალეზოდე: ხსნილდება, მანდ არს გულია. რამდენჯერ *დამი* აილოს, გახსოვდე დაკარგულია (ბეს. 89, 8).



**დამი:** ◊ **დამის მოხდა / დამში მოყვანა / დამში მოსვლა:** *დამის მოხდას* ეძახიან ორთქლისგან შეგროვებული ნამის გადმოწურვას (ბ. ჯორჯ.). ◊ როდესაც ბრინჯი *დამში მოიყვანოთ*, ბლუდზე დაასხით, ნუმ-ქიშმიშსაც ზემოდან დააყრით (ბ. ჯორჯ.). || საქმის ბოლომდე მიყვანა, საქმის მოგვარება, გათავება. თუ შენ შემეწევი, ...საქმეს *დამში მოვიყვანო* (ილია). ◊ ჩვენი ბანკის საქმე ჯერ კიდევ *დამშია* (ილია). საქმე *დამში* კი მოიყვანა წითელმა დათამ (ვ. ლორთქ.).

დიალექტ. **დამი:** ფლავის დამში მოსვლა. გადმოდგი ქვაბი, წყალში ჩადგი, *დამში მოიდესო* (ქიზ. მენტ.). სპ. (ბრინჯი] დო საათ უნდა **დამზე დადგა** (ფერეიდ. უთურგ., ჩხუბ.).

როგორც ჩანს, სპარსულში **დამ**-ს ძირითადად ორი შინაარსობრივი დატვირთვა ჰქონია, რომელთაგან ერთი დაკავშირებულია ჰაერთან, მეორე დროსთან. ქართულ და სპარსულ ლექსებებს ერთმანეთთან აკავშირებს საერთო სემანტიკური დატვირთვა – ორთქლი. იდენტური ფორმით შემოსული სპარსული ლექსიკური ერთეული [დამ]-ი ქართულში სემანტიკურად დავიწროებულია. აქვე აღვნიშნავთ, რომ დამ-ი იმ მნიშვნელობებით, როგორც ეს ქართულ ლექსიკონებშია მოცემული – „საქმეს დამში მოვიყვან“, ჩვენს ხელთ არსებულ სპარსულ ლექსიკონებში არ დასტურდება (ბართაია 2010, 42). იხ. აგრეთვე: (ლორთქიფანიძე 1991, 156-159).

დიალექტ. **III. დამი** ჩითის ყვავილიანი ჭრელი წინდა ერთგვარი ჭრელი წინდა (ქიზ. მენტ.)

ახ. ქართ. **IV. დამი** მედუდუკეთა დასტის სამთაგან ერთ-ერთი, დაბალი ხმა, ბანი. მედუდუკეთა დასტა, დოღს თუ არ ჩავთვლით, ძირითადად სამი მედუდუკისაგან შედგება, ხოლო ერთ-ერთი მათგანი *დამია* (ნ. დუმშ.). ხოლო როდესაც დაუკრეს, ერთმა მეორეს უთხრა: *დამი* დაბლა დაიჭიო, – ანუ ჰანგს დაუკელიო, ანუ ხმა შემიწყვიტეო, ანუ ჩემს ჰანგზე დაუკარიო (ნ. დუმშ.).

### **დამა:**

სამ. ქართ. **I. დამა** ხათუნი – თ. ბაგრატიონი.

ახ. ქართ. **დამა** [ფრანგ. Dame] ძვ. საუბ. 1. გათხოვილი, ქმრიანი ქალი, – მანდილოსანი; ბურჟაუზიულ-თავადუნაურულ საზოგადოებაში – მაღალი წრის ქალი. პირველი *დამა* იქნება საზოგადოებაში (ლ. არდაზ.) 2. კავალერთან მოცეკვავე ქალი. მესამე, მეხუთე და მეექვსე კადრილში. კავალრები *დამებს* შესცვლიდნენ ხოლმე (გ. წერეთ.).

სამ. ქართ. **II. დამა** [ფრანგ. dame, რუს. Дамка] „სამღერებელია (= სათამაშო) ჭადრაკივით“ (საბა), – შაში მეუბნების: „ემაწვილი ხარ, არ იციო *დამა* ჯერა“ (ვახტ. VI 38, 34).

ახ. ქართ. ეს ახირებული სოვდაგრები *დამისა* და ჭადრაკის თამაშობაში აღამებდნენ (გ. ქიქ. თარგმ.).

ახ. ქართ. **III. დამა** ძვ. აბრეშუმის ქსოვილი. „[მოვიტანეთ] დამა, გლასი და ატლასი“ (ლ. არდაზ.). შდრ. სპ. დამ ბადე, აბლაბუდა.

საშ. ქართ. **IV. დამა** თვალის ტკივილი. არ. ზმნისაგან დაჰამა მას შემეტხვა ფათერაკი. სხუაი თვალისა ტკივილი რომე დამა ქუიან. მისი ნიშანი ისი არის რომე თვალი მუდმად სავსე იყოს ცრემლითა (ქანან. 206,11).

დიალექტ. **V. დამა** იგივეა, რაც დაკეცა (დაკეცა გასაშრობად და შესანახად ერთმანეთზე დაკეცილი (დადებული) და ყუნწებში შეკრულ თამბაქოს ფოთლების დასტა (წყება). თუთუნის დამა მოზრდილი მორჩილია. ოთხი მოზრდილი დამა თუთუნი გაყვიდე (ფარცხნალი, ზ.-იმერ. ძოწ.).

შდრ. დემა (ქეგლ., გურ. შარაშ.). დემეთი (თ. demet < ბერძ.) გამხმარი თამბაქოს ფოთლების კონა – დასტა, გამზადებული დასაჭრელად (აჭარ. ნიჟ.). დამატი გამხმარი თამბაქოს ფოთლების კონა (ქიზ. მენტ.). დამათი (მესხ. ფეიქრ.).

### დანა:

დანა არს უდიდესი ყოველთა ჯორცისა მოსათლელი, და ანაკი – უმცრო მისსა და ზომიერი, ხოლო დინწი – მცირე დანაკი კალამთ მოსაჭრელი და დანა მახვილი (თ. ზაგრატ.)

ძვ., საშ., ახ. ქართ. **I. დანაკი, დანა** დანა, მახვილი: „დაადგა დანად, რათამცა განკუეთა თევზი“ (მ. ცხ. 356r). „არიან აქა ორ დანაკ“ (ლ. 22, 38).

ყელსა დანა დააბრჯინა (ვეფხ. 238, 4). გული ასე დაუკუნწავს, ვით გალესილს დანას ხამი (გურამ. 562, 4). რად გულს განიწონ სიკვდად დანე-ბით? (ბეს. 32, ქვ. 4). ...გულსა დაიცეს დანაო! (ვახტ. VI, 26, 8). მათ გალესეს მისთვის დანა (შპნ. II, 3096, 4).

ახალ ქართულსა და მის დიალექტებში დანა სხვადსხვა წყვილების სახით დასტურდება: პურის დანა. – დასაკეცი დანა – სამყნობი დანა და სხვ. იხ. ქეგლ.

დიალექტ. დანა „ხმლის მსგავსი, უფრო ცოტათი ხმალზე მოკლე იარაღი, რომელსაც ქმარზე შეიბამენ ხევსურები და ხმარობენ ხმლის მაგიერ“ (ალ. ოჩ.) – ალ. ჭინჭ.

საშ. ქართ. **II. დანა** მარცვლებს ჰქვიან. თესლეულთასა დანა, რომელიც მარცვლებს ნიშნავს, არაბული ლექსია (თ. ზაგრატ.).

დანა – ეს სიტყვა იხმარება მზითვის სიაში: მაგ.: „ერთი დანა დარაიის ბოლჩა, დანა მარცვალი, ან თვითოეული ერთგვარი ნივთთაგანი: ექვსი დანა ვეცხლის კოვზი, ათი დანა ხელსახოცი – დ. და ნ. ჩუბ. ორი დანა – თეთრი ჩარსავი, სამი დანა იუფკა“ და სხვ. (ი. გრიშ.).

დიალექტ. ვაშლები: ...დანა ვაშლი, თეთრა ვაშლა, შაქარა (ნ. კეცხ.). დანა ვაშლი, მომყავო გემოსია, თეთრია და მოგძელო (ქვ.-რაჭ. მრეწ. IV, III, 57).

დანა მომდინარე ჩანს სპარსული ლექსემიდან dāna/e/, რომლის სახით ნუმერატის სესხება დასტურდება (ბართაია 2010, 43).

**დანდალ-ი:**

ძვ. ქართ. **I. დანდალი** ლაგამი, აღვირი: „დანდალი ყბათა შენთა“ (O, IV მფ. 19, 28). **დანდალი** ლაგამი თუ პირის მახე–საბა.

შდრ. ნადალი. 4 მეფ. 19, 28 (+ სენექერე მეფე და ესაია): აწ განვაცვათ ხატრუკი ცხვირთა შენთა და ნადალი ყბათა შენთა – საბა.

საშ. ქართ. **II. დანდალი** დანდალუკი [სომხ.] კიბის საფეხური (დ. ჩუბ.). 1. დანდალი კიბის სახელური (ჭერი). არაბას აქ *დანდალი* (იმ., ჩვენ. ფუტკ.). 2. ხელნებში გაყრილი ოთკუთხი ლარტყა ურმის შესაკრავად (სინონ. სახიდარი). უბე გავაწყვე ლართხებით, *დანდლებით* გადაბმულია, ისე გაუძღვებს ას ქვასა, არსად დასჭირდეს ცულია (რ. ერისთ.). თუ გახსოვთ ურმის ნაწილების სახელები – შეეკითხა გიორგი შვილებს. – თათი, კვერნა, ღერძი..., *დანდალი* ჩამოთვალეს ბიჭებმა] (ნ. კეცხ.).

დიალექტ. ხელნებში *დანდლების* ჩასმას დადანდვლას ეძახიან (ჩხ., მაწ.) (ალგ. სალ.).

აგრეთვე: დიალექტ.: (ქიზ. მენტ.,ზ.-იმერ. მოწ., იმერ. გაჩ., ქიზ. მრეწ. I, 421, ზ. ქართ. მრეწ. I, 231). დასტურდება სემანტიკური ვარიანტიც. **დანდანი** ურმის ხელნების შემაერთებელი (ჯავახ. მარტ.).

**დანდალი** 1. იაილებში გაკეთებული თაროები რძის პროდუქტების დასაწყობად; თის ქოხებს სარძე, მარანი ცალკე აქ, სარძეში *დანდლები* გუ-აქ დაკეთებული (იმ., ჩვენ. ფუტკ.). „რძით სამსე გობებს *დანდალზე* დავაწყობთ“ (აჭარ. ნიჟ.).

სამეცნიერო ლიტერატურაში ტერმინი დანდალი ირანული ენებიდან შემოსულადაა მიჩნეული, სადაც იგი აღნიშნავს კბილებს, ღრძილებს. ნ. მარი ქართულ დანდალს სომხურიდან შეთვისებულად მიიჩნევს. მისი აზრით, ქართული დანდალი წარმოადგენს სომხური (ლაგამი) პირველი ნაწილის გადმოცემას. შდრ. დანდალი „ლაგამი ანუ პირის მახე“. მამასა-დამე, სხეულის ნაწილის აღმნიშვნელი ეს უცხო სახელი ქართულმა ენამ სამშენებლო ტერმინად გადმოიტანა (ჩხენკელი 1988, 83).

ახ. ქართ. **III. დანდალი** ნელი, მძიმე სიარული. პანტა-თაფლის საძებნელად ტყე-ტყე დადის *დანდალით* (გ. ჭიჭ.).

**დანდალი** ზონზროხი, მსუქანი, ბრგე ადამიანის ტანის თახთახით სიარული. ამბროსიმ ექიმს მაინც მიაკითხოს. ამ ბოლო დროს *დანდალით* დადის და სიარულის დროს მთელი სხეული უთახთახებს (მთ.-რაჭ. ლობჯ.).

ივარაუდება ამოსავალი ძირი სონორის ნ/ლ მონაცვლეობით (არაბული 2001, 83).

**დარ-ი:**

ძვ. ქართ. **I. დარი** ცა: „გამოწერნეს მართალთადა ზრახვანი მისნი ყოველთა შინა დართა“ [უდაბნ. მრავალთ. 144v].

საშ. ქართ. **დარი** ამინდი. არ დარობს დარულად (ვეფხ. 820, 4). ტრფიალთ ცეცხლს უგზავნი, / მუნ დარი დარა, ვით მზემან ღრუბლითა მუნ დარი დარა (ბეს. 53, 7). მისგან შვენის მთა და ბარი, დარი დარობს, დარანიცა (თეიმ. 317, ქვ. 3). ი. „ესროლეთ, თოფის კომლითა ვერ დაინახონ დარები!“ (ტფილ. 603, ქვ. 3). მათ ჰქონია გამარჯვება, ერანელთა დღეს აქვს დარი (შ3ნ. II, 3017, 3).

ახ. ქართ. **დარი** ამინდი. – ცინგლიანი კაცის მიზეზი ავი დარიაო (ანდაზა). || კარგი ამინდი, ტაროსი (საპირისპ. ავდარი). დარი მუშაობდა, კაცი იკვებნიდაო (ანდაზა). გადმოიფრენს მწვანე კოდალა კიკვივით – დარი, დარიაო! (რ. ინან.).

დიალექტ. ამინდის აღმნიშვნელი სიტყვა გურულში არის **დარი**. იგი გულისხმობს როგორც კარგ ამინდს, ასევე ცუდსაც („ცუდი დარები დეიჭირა“) (ტულუში 1987, 106).

**დარი:** არაბ. დარ -სამოთხე; აქედან დარი ნეტარი დღე, სამოთხის დღე, ნეტარი დრო. შემდეგ: კარგი ამინდი, საამო დღე. იხ. აგრეთვე (ჭუმბურიძე 1978, 60).

ს.-ქართველურისათვის აღდგენილია \*დარ- არქტიპი. (ფენრიხი, სარჯველაძე; ჩუხუა 2000-2003, 91).

დასტურდება ფონეტიკური ვარიანტი **მდარი** (ქვაცხე) (ზ.-იმერ. მოწ.).

საშ. ქართ. **II. დარი** შესადარი, იმისი სწორი (თ. ბაგრატი.). „მათ მონათა ხელთა მივეც იგი პირი მზისა დარი“ (ამირან. 326, 3).

მუხთალი არის და თუ რას *დარსა* დაიდებს, იმას კაცსა მშუიდობით არა გაუშუებსო (ამირან. 547, 3). სულით ქებულო, შეგნებულო, სადა გყავს დარი? (ბეს. 48, 2). **დარსა დაიდებს:** რასაც ჩაიფიქრებს, გადაწყვეტს.

ახ. ქართ. **დარი** ტოლი, ბადალი; შესადარი; მსგავსი. კარგი ამხანაგობა კარგი ძმობის *დარიაო* (ხალხ.) || ფიგურ. მზის ჭიატის დარი იყო უცნაური ეს ღიმილი (აკაკი) – მისი დარი კი არა, მისი ნახევარიც არავინ მეგულებოდა (გ. ხორნ.).

დიალექტ. ილიას დარი კაცი აპა მითხარი ვინ გყამთ!. იმი დარი კაცი ჯავახეთში არ დადიოდა (ჯავახ. ზედგ. უთურ., ჩხუბ., გიუნ.).

**დარი** წვერი, თამაშობის მონაწილე ოთხნი *დარნ* იყნიანყე (ფერეიდ. იკე, XXIII, 182, 31).

ჰრ. აჭარისანის აზრით, **დარი** შემოსულია ქართულში სომხურიდან (შდრ. სომხ. დარ „ტოლი“, „მსგავსი“, „თანაბარი“, „წყვილი“), ხოლო სომხური ფორმა უკავშირდება სპარსულ (tarōh-ს („კენტი“). გიგინეიშვილის აზრით, სომხურისათვის ამოსავალია არა ტარძ, არამედ ფალაური – tar „-ვით“, სუფიქსი შედარებითობისა (გიგინეიშვილი 2016).

**III. დარი** ირანელი ხალხების (სპარსელების, ტაჯიკების და სხვ.) ლიტერატურული ენა – ა. სიხ.

**დარაბა:**

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. დარაბა** საფარი ფიცარი საბა. **დარაბა** (არაბ.) ასაფარებელი ფიცარი ან ფიცარი მისი სისქე – დ. ჩუბ.

„არ მიმიბას ყური სამსჭულითა დუქანსა ჩემსა და დამიცეს წიხლი დარაბასა ამას ჩემსა ათაბაგმან შენმან ამისთვს (ქ. ცხ. IV, 709, 3).

ახ. ქართ. **დარაბა** 1. ფიცრის დასაკეცი საკეტი, ასაფარებელი ფანჯარაზე ან კარზე. ფანჯრის მიხურულ დარაბაზე დავაკაკუნეთ (ა. ქუთათ.). 2. ძვ. **დარაბებიანი** ოთახი ქუჩის პირას (გამოყენებული იყო სავაჭროსთვის ან სახელოსნოსთვის). გავმართოთ დარაბები და დუქანი გამოვა მშვენიერი (ვ. ბარნ.). 3. (იმერ.) ფიცრის მოაჯირი მიწური აივნისა (დერეფნისა).

დიალექტ. **დარაბა** ფიცრით გაკეთებული ტიხარი (ჯავახ. მარტ., თუშ. ცოც.).

დარაბა შემოსულია სპარსულიდან დარაბა (<\*დარაბანდ) ეტიმოლოგიურად უნდა იყოს „შეკრული ხის ფიცრები“. საინტერესოა, რომ ფალაური ნიშნავს დარ-ბანდ „გამაგრებულ ადგილს“, „ბარიერს“, „ჭიშკარს“ ერთიგა და მეორეც თავდაპირველად ალბათ ხისა იყო (გიგინეიშვილი 2016).

ახ. ქართ. **II. დარაბა** იხმარება დავა სიტყვასთან. ვალი ამათ (ცოლქმარს) არ ემართათ და ვახში, დავა არავისთანა ჰქონდათ და დარაბა (ილია). შდრ. სპ. **დარობზრდ** „ბრძოლა, ჩხუბი“.

**დარან-ი:**

ძვ. ქართ. **I. დარანი** კლდეში ანუ მიწას ქვეშ შესასვლელი (საბა).

ძველ ქართულში იგი შემდეგ ვითარებაში გვხვდება: **დადარნება** «დამალვა», «მხერა», «საფარს ცხოვრება»: „დაიდარნა ველსა შინა“ G – „დაემალა მათ“ (M, მსჯ. 9, 43); **დადარ(ა)ნებული** «მზირი», ჩასაფრებული. „დადარანებულნი იგი აღდგენ ადრე ადგილით მათით“ M – „მზირნი აღდგედ მწრაფლ ადგილით მათით“ (G, ისუ ნ. 8, 18).

**დადარნეულებული** ჩასაფრებული: „გუელი დადარნეულებული გზასა ზედა ცემად ტერფთა ჰუნთასა“ (იპ. რომ. – კურთხ. ისაკ და იაკ. 90, 6).

**სადარანო, სადარნე, სადარნო** «სამზირი», «სამსტრო»: „მივიდეს სადარანოდ“ M, – „წარვიდეს სამზირად“ (G, ისუ ნ. 8, 9). „მრავალ სადარნე არს ეშმაკისად“ (O, ზირ. 11, 31). „სხუად მთავარი მოვალს... მალნართადთ სადარანოდ (სამსტროთადსა M)“ (G, მსჯ. 9, 37).

საშ. ქართ. მას ღამით უქმნეს *სადარნო* (ვეფხ. 1412, 3).

**დარანი** გადატანითაც გვხვდება: რისხვა გულის *დარანთა* ქუეშე იმაღვის (ქილ. 759, 14).

ახ. ქართ. **დარანი** 1. გამოქვაბული კლდეში ან მიწაში. გმირის ხმა ისმის მედგარი, ზანზარებს კლდისა *დარანი* (ვაჟა). 2. თევზის ბუნაგი, სამალავი, – ჯილე. [ორაგულეები] თუ დაინახავდნენ ონავარ თევზსა, თვალის დახამხამებაში გაქრებოდნენ და აქეთ-იქით *დარნებში* მიიმალებოდ-

ნენ (ი. გოგებ 3. მიწისქვეშა სახიზნავი ნაგებობა, სამალავი (ჩვეულებრივ ციხის ქვედა სართულში). ორის რაინდი მზეჭაბუკი, გულის ორივე *დარანი* სავსებით სავსე ჰქონდა ორსახე სიყვარულით არსებით ერთით (ვ. ბარნ.). 4. გვირაბი. ამ *დარანით*, იგივე გვირაბით უკავშირდება ერთმანეთს ქვესკნელი და სამზეო (თ. ჩხენკ.).

დიალექტ. **დარანი** 1. თხრილი სამირკვლის ძირში, რომ წყალი იქ დაგროვდეს და კედელს არ შეეხოს. 2. კუთხ. (ხევს.) «წისქვილის ძირის თვალი, რომელშიაც წყალი გადის» (ბ. გაბ.).

**დარანი** მნიშვნელობათა მეტ-ნაკლები გადაწევით ქართული ენის უმეტეს დიალექტში გვხვდება, დავასახელებთ ზოგ მათგანს: (ჯავახ. მარტ., ხევს. ჭინჭ., მოხ. ქავთ., ქიზ. მენთ.) და სხვ.

გადატ. **დარანი** საკუჭნაო. „ბუხრიან ოდაში ბუხრის გვერდზე *დარანი* გვქონდა (აჭარ. ფუტკ. დიალ. VI, 1987, 70). ...ბანიდან ჰქონდა პატარა *დარანი*, როგორც აი კარი გაალო, *დარანი* ჰქონდა, ჩადიოდა მერცხალი (ქართ. მრეწ. I, 240).

ზან. *დარანი*, გვირაბი წყლის დონისა, წყალქვეშა ბუდობი (თევზებისა), ნაპრალი, გამოქვაბული კლდეში, წყალში (მეგრ. ქობ.).

გამოთქმულია მოსაზრება, რომ, ქართული **დარანი** შეიძლება მომდინარეობდეს 1. „აკლდამის, სამარის მნიშვნელობის სომხურ დამბარან სიტყვისაგან *დარანი* < *დარან* < \**დამრან* < \**დამბრან* < *დამბარან* (ლომთათიძე 1997, 3).

2. „სადარნო“ ჩასასაფრებელ ადგილს ნიშნავს. სვანური ლადრენ-ის მსგავსად სადარნო დაიშლება ასე: სა-დარნო, სადაც ძირია „დარნ“, რომელშიაც სა-პრეფიქსის დართვის შემდეგ რ და ნ თანხმოვნებს შორის შეკუმშულია ე ხმოვანი... დარენი ქართულ სვანურის წარმოშობისა უნდა იყოს და ნიშნავს სადარაჯოს, საგუმზაგოს (მიზჩუანი 1987, 163).

საშ. ქართ. **II. დარანი** მარგალიტი.

ვსთქვი: რა ვნახე უცხო სახე და რანი,

მიესხივნეს გულთ სათენი *დარანი*, ლალს მოეცვა ბარაინის *დარანი*,

სადაფს ვარქვი: შენ ტიელად ეარე! (ბეს. 54, 13). როგორც ბესიკის

თხზულებათა ლექსიკონის შემდგენელი ვ. თოფურია განმარტავს **დარანი** მრ. მარგალიტებია; ბარაინი კი ბაჰრაინი, ბაჰრეინი კუნძული სპარსეთის ყურეში), ცნობილია მარგალიტის მოპოვებით.

**დარანი** მარგალიტი < სპ. Dor(r)r.

**დარაჯა:**

**დარაჯა** ყარაული, მხმილავი. +სპარსულად ხარისხი არის (თ. ბაგრატ.).

**დარაჯაგი** საყარაულო (თ. ბაგრატ.) **დარაჯანი** მხმილავნი, ყარაულნი, გვამის მცველნი. **დარაჯება** მხმილავნი, ყარაულნი (თ. ბაგრატ.).

საშ. ქართ. **I. დარაჯად** (არაბ.) გრადუსი: „ოცდაათი დარა/ჯად/ არს და თუითო დარაჯად სამოცი დაყიყად არს და რად მზე პირველსა დარაჯასა მოვიდეს“ (ეტლ. 1, 6-9). „თუითო დარაჯად სამოცი დაყიყად არს“ (ეტლ. 1, 7). „რად მზე ხუთმეტ დარაჯამდის მივიდეს, შუა გაზაფხული არს“ (ეტლ. 2, 4).

**დარაჯა** ხარისხი. ანისონი მჭურვალი არს მეორესა დარაჯასა შიგან და გაახუამს ნესუტთა ღუიძლისათა (ფანასკ. 409, 15).

**დარაჯა** შემადგენელი ნაწილი. ყურძენი 4 დარაჯა არის: ხორცი, 3 კურკა, 4 წვენი (ქანან). – (იუსტ. აბულაძე).

დიალექტ. **დერეჯე** (არაბ.) ზომის ერთეული, სკალა, ხაზი – საფეხური; ხარისხი. „ცოტა კიდევ დუმატე, ერთი დერეჯე მაინც, და, გასტორდება“ (აჭარ. ნიჟ.). შდრ. **დარიჯი** ტერასი, (ჯავახ. ზედგ.).

საშ. ქართ. **II. დარაჯა** მცველი, დარაჯი, ყარაული. დაიზახა ქედით მათმან დარაჯამან (ვეფხ. 449, 1).

„დაიჭირეთ და წაასხით, ჩაყარეთ ღრმასა ხაროსა; თავს დააყენეთ დარაჯა, არვინ გამოთხაროსა“ (დ. გურამ. 105, 300, 2). შავნი ჰინდნი მას დარაჯად ეარე! (ბეს. 54, 14). შეჯდა რუამ, წამოვიდა, დაინახა დარაჯამან (შჰნ. II, 3449, 1). დარაჯნი არა უდგეს სულტანსა (ქ. ცხ. II, 96, 8). მუნ მპარავი დარაჯად შეიცვალეზის (საბა II, 15, 36). რაც დარჩეს, წინამწოლნი და კარის დარაჯა და საწოლის მეკრე წაიღებენ (გარიგ. 76, 5).

ახ. ქართ. **დარაჯა** ძვ. მცველი რაზმი, – დარაჯები, გუშაგები, ყარაული. [გიორგიმ] ბრძოლა...გარდაიხადა სპარსთ დარაჯასთან (ვ. ბარნ.).

სიტყვა შემოსულია არაბულიდან, სადაც გვაქვს ფორმები. პირველის მნიშვნელობაა „გზა, საფეხური, „კიბე, მეორისა –აგრეთვე საფეხური, „კიბე, „ხარისხი“. ორივე ეს ფორმა მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან. ხსენებული მნიშვნელობებიდან ქართულში „გზის მნიშვნელობა იცვალა „გზის მცველად“, ხოლო შემდეგ საერთოდ „ყარაულად“. მეორე მნიშვნელობა – „საფეხური“, „ხარისხი“, გრადუსი უცვლელად გვაქვს საშუალო ქართულში. თანამედროვე ქართულში დამკვიდრდა მხოლოდ „მცველის, „ყარაულის“ მნიშვნელობა (გიგინეიშვილი 2016).

### **დარიჯაგ-ი:**

საშ. ქართ. **I. დარაჯაგი, დარიჯაგი** უცხოთ სავანე; სადგური; საყარაულო – დ. ჩუბ. **დარაჯაგი** საყარაულო ანუ ნეობახტი (თ. ბაგრატიონი).

წავდევ წინა დარაჯაგთა (ვეფხ. 1216, 2). მუნ ზაალისთვის საჭურეტელად დარაჯაგები აჰყარეს (შჰნ. I, 1744, 2).

ამ სიტყვას იუსტ. აბულაძემ სპარსული ეტიმოლოგიაც დაუძებნა (დარაჯა-გაჰ) (აბულაძე 1967, 297, 348). **დარიჯაგი** ფანჯრის, სარკმლის სინონიმია და მომდინარეობს სპარსულ დარიჩასაგან. რომლის კანოზომიერი შესატყვისი ჩანს ქართული დარიჯაგი. დარ -კარი + კინიზ. სუფიქ. – იჩაკ). სიტყვა **დარიჯაგი** შემორჩა ქართულ ენას (გვახარია 1983,73-77).

საშ., ახ. ქართ. **II. დარ'ი'ჯაგი** «ყალიბი» (საბა). ფიგურ. ვინც გაარღვევს სიკვდილის დარჯავს უშიშარ გულით, ხმლითა და შუბით, მისი მარჯვენის გამოჩნდეს გარჯაც და დაიდაფნოს იმისი შუბლიც (ა. აბაშ.).

ახ. ქართ. **დარიჯაგი** დარჯაკი. ჩვენ კი ერთს დარიჯაგში ვატარებთ ყველას (ვ. ბარნ.). ფიგურ. რაკი საბოლოვო ნაბიჯი გადადგა ოთარმა და წარმოსთქვა უკანასკნელი სიტყვა, ...ჩადგა თავის დარიჯაგში (ვ. ბარნ.). არც დრო, არც შეძლება გამოვიდეს დარიჯაგიდან (ვ. ბარნ.).

**დარჯაგი, დარჯაკი** 1. ლითონის ჩამოსასხმელი ყალიბი – ქველ. შდრ. **დარიჯა/ი**: ოქრომჭედლის ხელსაწყო: ჩამოსასხმელია, ლითონის ყალიბი (ქიზ. მენთ.).

### დასტ-ი:

საშ. ქართ. **I. დასტი** კოკა – საბა. **დასტი** (სპ.) სასმისი. **დასტიდარ** (დ. ჩუბ.). **დასტი** ჭანნი კოკას უხმოზენ (თ. ბაგრატი.).

რაცა კაცნი ვიყვენით, თუითო დასტი ოქროსა წინა ყუელასა გუედგა (ამირან. 236, 8).

საშ. ქართ. **II. დასტი** გუნდი. შვიდი დასტი „შვიდკაციანი გუნდი“ (შდრ. სპ. däst „ხელი). იწინამდღვრეს მოციქული, წინ წარმოსდგა სამი დასტი (ბეს. 127, 18). მან მელექსე მოიმდურვა აღარ მისცა დასტი ფასი (ფემ. 5, 4).

საშ. ქართ. **III. დასტი** ხელკეტი. ფრანგ დივზადაც თავისის დასტა შუბით შიგან გაერიუა (შპნ. III, 350, 23). შდრ. (სპ.-თურქ.) დასტაკ ჯოხი, კეტი.

### დასტა:

საშ. ქართ. **I. დასტა** საღვინე – დ. ჩუბ.

საშ. ქართ. **II. დასტა** ჯგუფი, დასი. იქითისა მხარეს დევნი დასტა დაწყობით დადგნენ (შპნ. III, 318, 38). საამ ფალავანის ჯარი დასტა-დასტა დაწყობით მოვიდოდნენ (შპნ. III, 350, 5). ნახა რომე ერთმა დასტა ნადირმა ხოსროვშირს წინ ჩამოურბინა (ყარამ. 248, 5).

**დასტა** შეკვრა. ყოვლი ფერისაგან თითო დასტა ეწყო ისრე თაქ-ნაზა-დები (რუსუდ. 211, 6).

ახ. ქართ. **დასტა** [სპარს. დასთა „სახელური“] აქვს აგრეთვე სხვადასხვა მნიშვნელობები: ჯგუფი, რაზმი; გუნდი; დასი; კონა, შეკვრა და სხვ.). იხმარება მსაზღვრელადაც. 1. საწერი ქალაქის საზომი ერთეული (24 ფურცელი), საერთოდ, კონა, შეკვრა (ქალაქისა, ქალაქის ფულისა და სხვ.). მაგიდას მივუჯექი... კრიალა ქალაქის მთელი დასტა დავიდევი წინ (რ. გვეტ.). || ფიგურ. ჩამოილო ნოქარმა ყაფაზიდან ერთი დასტა პერანგი (ი. გრიშ.). 2. აღმოსავლური მუსიკალური საკრავების დამკვრელთა მცირე დასი, ანსანბლი (სამეული, ტრიო). ყველა ეს სამუსიკო ინსტრუმენტი მოთავსებულია საზანდრისა და ზურნის დასტაში (ი. გრიშ.). მედოლე-



თა და მეზუკეთა დასტა გამოჩნდა (ს. კლდ.). 3. ძვ. ჯგუფი, გუნდი, დასი, კრებული, რაზმი. „ახლავ გაგზავნეთ მთელი დასტა ჯარისკაცთა“ (ი. მაჩაბ. თარგმ.).

სპ. *däste* „ჯგუფი, გუნდი“ (ფერეიდ. ჩხუბ. 104).

დიალექტ. **დასტა** ზომის ერთეული დაბლებში (მეტყავებში). ხუთი ცალი საპირე ტყავი (მეში, სამოგვე ქოსალა) (ქიზ. მენტ.).

გამხმარ თამბაქოს დასტად შეკრავენ (ზ.-აჭარ. კობერ.). მოიტანა ერთი დასტა თუთუნი; დააწყო რამდენიმე დასტა ქალამნი ზოლი (ჯავახ. ბერ.).

მოდის ძველი ქართული ფორმისაგან დასტაგი, რომელიც, წარმოდგენილია „ქართლის მოქცევის“ ტექსტში: დასხნა კაცი მერუვენი დასტაგითა რუფსათა; და ჰრქვან ადგილსა მას ნასტაგისი (შატბ. 320, 21). ხსენებულ კონტექსტში **დასტაგ** ფორმას უნდა ჰქონდეს „განშტოების ადგილის“, „წყალთა შესართავის“ მნიშვნელობა. იგი შემოსული ჩანს ფალაურიდან (შდრ. ფალ. დასტაგ „კონა“, „შეკვრა“, „ჯგუფი“, „კვანძი“) თითქმის ყველა ეს მნიშვნელობა დაუცავს ახალ ქართულ ფორმასაც (გიგინეიშვილი 2016).

#### **დასტამალ-ი:**

საშ. ქართ., დიალექტ. **I. დასტამალი** ძვ. [სპარ. გასთმალ «ხელსახოცი», «ცხვირსახოცი»] ძვ. მჩვარი (დ. ჩუბ.).

ზედ არის გადაფენილი ქვაბებისა და ქოთნების საწმენდი *დასტამალეზი* («ივერია»). **დასტამალი** მჩვარი გასაწმენდი ჭურჭელთა, ანუ პირდასაცმელი კოკათა და მისთანათა (ნ. ჩუბ.).

*დასტამალი* კოკის პირის დასაცობი სუფთა ტილოა (დ. თონ.). *დასტამალი* არა გაქვთ რა, მაგიდა გადავწმინდო? (ძეგ., ქართლ. ლექსიკ. მენტ.).

დიალექტ. **II. დასტამალი** ბევრი, ფენა-ფენა. ბევრი ჭუჭყი რო აქ, იმაზე იტყვიან, *დასტამალი* ჭუჭყი ედო კისერზეო, *დასტამალი* ფქვილი აყრია ტანისამოსზეო, უფრო ჭუჭყზე ითქმის (ერედ., ქართლ. ლექსიკ.).

ამ მნიშვნელობის **დასტამალი** „ბევრი, ფენა-ფენა“ მომდინარეობს **დასტა** (სპ. „დასთა“ სახელური) „კონა, შეკვრა“ სიტყვისაგან (რამიშვილი 2016, 47).

#### **დასტურ-ი:**

ძვ., საშ., ახ. ქართ. **I. დასტური** (სპ. დრუსტ) ჭეშმარიტი სიტყვა, საწმენო სიტყვა, მართალი, ნამდვილი, პირობა, თანხმობის გამოცხადება. „მითხარ დასტური, თუ რად გჭირს“ (მ. ცხ. 52v). „უწყია, ვითარმედ კელი ესე დასტური არს და მართალი?“ (ლიმ. 79, 2). ჩემი სიკვდილისა დღე დასტურა (ვეფხ. 326, 4). *დასტური* მივეც, შეირთოს მან მისი საყუარელი (შჰნ. I, 1725, 3). ცოლის შერთვის *დასტურს* თუ დამცემთ, დრო არს (დ. გურამ. 263, 335, 3). მრავალგზის მოავლინა *დასტური* მეფემან დატევებად ქალა-

ქისა (ქ. ცხ. II, 175, 5). მერმე *დასტური* ვთხოვე და წაველ ისევ კარდანებს (ი. ბარათ. 221, 20). წასვლის ნებართვის მიცემა ვეჭობ, მაინც იყოს ჩემის *დასტურის* ბოძების დრო (რუსულ. 239, 3).

სიტყვა «კარგი» ხშირად ნიშნავს ლაპარაკის დროს დათანხმებას და *დასტურს* (აკაკი). [მან] საქმე მომწიფებულად ჩათვალა და ბექასაგანაც *დასტური* მიიღო (ჯ. ქარჩხ.). მამამ კი ჯერ თავი ჩაიქნია, თითქო *დასტური* მისცაო (მ. ჯავახ.). || აღიარება, დამოწმება.

აგრეთვე: **დასტური** გუდ., მთ., მოკ., ჯ. დათანხმება, *დასტური* დამეცი (ყ. 239, 7). *დასტური დამიცია* (გუდ.) – ა. შან.

ძვ. ქართ. **II. დასტური** ნდობით აღჭურვილი პირი: „ბრძანა წარვლინებად *დასტური* თვისი, რომელმან ჭემმარიტად გამოიწულილოს მისთვის“ (Sin – 11, 126r).

ახ. ქართ. **დასტური** მთ. ძვ. ეთნ. ხატის მსახური, რომელსაც ლუდის ხარშვა ევალებოდა სალოცავში. იგი დეკანოზს ეხმარებოდა აგრეთვე საკლავების დაკვლასა და ხორცის განაწილებაში. *დასტურს* ირჩევდნენ განსაზღვრული ვადით (ერთი, ზოგან ორი წლით). რაც ეს სალოცავი დაარსდა, მას შემდეგ მის მსახურად ხევისბერები და *დასტურები* იყვნენ (ვაჟა). ხახმატის ჯვარში საათენგენოდ ადუღებენ *დასტურები* ლუდს (გ. ჩოხ.). ამავე მნიშვნელობით და სხვადასხვა სინტაგმებში იხ.: (ფშ. ხორნ., ხეც. ჭინჭ., შან.).

გამოთქმულია მოსაზრება, რომ ქართულისათვის ამოსავალია საშუალო სპარსული ფორმა „**დასტავარ**“ მსაჯული, მოსამართლე, უმაღლესი მოხელე სასანიანთა სამეფო კარზე, და რომ გამოთქმაში შესაძლოა ყოფილიყო **დასტურ** ფორმაც, როგორც მანიქეველურ ფალაურში გვაქვს (ანდრონიკაშვილი 1966, 310).

ილ. აბულაძის აზრით, ქართული ფორმის უშუალო წყაროა ახ. სპარს. *დასტურ* (ილ. აბულაძე 1955, XVII) – (გიგინეიშვილი 2016).

### დაფ-ი:

ძვ. ქართ. **I. დაფი** დაირა: „რაჟამს *დაფსა* დასციან, მუნთქუესვე მკედარნი შეკრბიან“ (მ. სწ. 74, 2). „ბრძანა მაშინ ამირა მუმლმან დაცემაჲ საყვრისა და *დაფისაჲ*“ (ი. ურკ. 274v).

ჰკრეს, გაემართნეს, იზახდა მაღლად ქოსი და *დაფთა* (შჰნ. I, 279, 3). ნობათთა რა ცემა იწყეს *დაფისა* (დ. გურამ. 90. 198, 3). ჰაი რა საძაგელია: თემი დასდევს უკან *დაფით* (ბეს. 97, ქვ. 2). მას დღეს დამემდის სმა იყო, კვრა ჩანგ-ბარბითთა, *დაფისა* (ნ. ციგ. 501, 533, 3). საშუალებს ალაგს ერთი დიდი ოქროს *დაფი* დაედგათ და ერთი ვერცხლის ჩოგანი გვერდთა მოედვათ (ყარამ. 519, 13).

ახ. ქართ. **დაფი** [არაბ. დაფ] საცემელი საკრავი, – დაირა. დაჰკრეს *დაფსა* და ნაღარას, შეინძრა მთა და ბარია (ვაჟა). გმირებს უძახის, უყვივის ჩემი *დაფი* და ნაღარა (აკაკი). გმირებს უძახის, უყვივის ჩემი *დაფი* და ნაღა-

რა (აკაკი). დამკვრელებმა დასცხეს *დაფი* და ნაღარა (ვ. ურჯუმ.). || გადატ. დაფის ხმა, – ხმაური. მატულობს წყალი! ზათქით და *დაფით*, ზვირთების ქაფით, შლამით და ლაფით აქ მომავალი (მ. ჯგუბ.).

დიალექტ. **დაფი-ზურნა** საკრავი; დაფი, ზურნა, დუდუკი, დასტა დამკვრელების, დაკვრა. *დაფი-ზურნა* ხო გვაქვს, მეზურნეებსაც მოვიყვანთ; *დაფი-ზურნა* მყამდა ქორწილზე; *დაფი-ზურნით* გავაცილეთ (ჯავახ. ზედგ.).

სპეცილურ ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა **დაფი** ტერმინის წარმოშობის შესახებ. ზოგი მას სპარსულ ლექსემად მიიჩნევს (კობიძე 1916, 801; აბულაძე 1914, 189; ჩუბინაშვილი, 1984, 430), ზოგიც არაბულად: (იუსტ. აბულაძე 1926, 300); ...დაფი უშუალოდ არაბულიდან შემოსული არაბიზებული სიტყვაა (იმედაძე 2014, 157).

დიალექტ. **II. დაფი** იხ. II. დაფნა. – *დაფს* აღარ იბარებენ, ფასი დუუ-წიენ (რაცხ. გურ.).

ზან. **დაფი** დაფნა (მეგრ. ქობ.; მეგრ. ყიფშ.).

შდრ. **დაფნი** (ბერძნ.) რაფინდი, დაფნის ფოთოლი – დ. ჩუბ.

#### **დაფა:**

ახ. ქართ., დიალექტ. **I. დაფა** დაფი. უკრავს *დაფას* და ზურნასა (ვაჟა). *დაფა-ზურნა* საუბ. დაფი და ზურნა. *დაფა-ზურნის* ჭიჭყინით ყურთასმენა აღარ იყო (აკაკი). || გადატ. ხმაური, მხიარულება – ქეგლ. ◊ **დაფას** დაჰკარით, მიმღერეთ (გ. ლეონ. 27, 11). იხ. I. დაფი.

**დაფაჲ** დოლი. მემრნ ნეფედ დაფას მოხპარავს (თუშ. ხუბ.).

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **II. დაფა** შავი საწერი ფიცარი – დ. ჩუბ.

**დაფა**1 ბრტყელი ფიცარი ხისა (მარმარილოსი და მისთ.) 2. შავად შეღებილი ფართო (ოთხკუთხი) ფიცარი ცარცით საწერად (სკოლაში სახმარი). გულმოდგინედ უჩვენებდა ბავშვებს დიდი *დაფაზე* დახატულ ასოს (ეკ. გაბ.). რთული სიტყვები: ◊ ასპიდის დაფა, ჭადრაკის დაფა. ◊ გულის დაფა, ◊ შავი დაფა – ქეგლ.

**ყური დაფაჲ**; *ყური დაფაჲ* წაღვედა ყურთასმენის წაღება, ვისიმე გამოყრუება. ემ ყალ-მაყალმამ ყური დაფაჲ წაღლა (ინგ. ღამბ.).

**დაფა, ჩარხის დაფა** მეჭურჭლის ჩარხის ქვედა ნაწილის მრგვალი ფიცარი, რაზედაც მეჭურჭლე სცემს ფეხს და ჩარხი ისე მოჰყავს მოძრაობაში (ქიზ. მენტ.).

შდრ. არაბ. daffat „საბურავი“, „წიგნის ყდა“ (გიგინეიშვილი 2016).

#### **დაფნა:**

საშ. ქართ. **I. დაფნა** მიწისქვეშ დამალული ნივთები, ფული, ქონება. შენ ადექ, შადადის ხაზინა და *დაფნა*, რაც რამე ჰქონდეს, ეგენი სულ ერთიანათ ერანში გაგზავნენ (შპნ. III, 417, 45). დაფნა < დეფინე (არაბ. თურქ.).

საშ. ქართ. **II. დაფნა**: აიღე... *დაფნის* ფურცელი (ფანასკ. 24, 15). იხ. II. დაფი.

**დაფნა** [aurus nobilis] მორჩილი ტანის ხე ან ბუჩქი, რომელსაც აქვს მოგრძო მარადმწვანე სურნელოვანი ფოთლები, იცის მომწვანო თეთრი ყვავილები. *დაფნის*, ნაძვისა და ვარდის შეზავებული სურნელება სცემს (ნ. ლორთქ.).

ძვ. ქართ. **დაფნი**: „და ყოველნი მცენარენი იქმნეს მრავალ, ვარდი და მურტი და *დაფნი*“ (ბ. კეს. 69, 27). შემოსულია ბერძნულიდან (შდრ. ბერძნ. *dapne* „დაფნის ხე“, „დაფნა“ (გიგინეიშვილი 2016).

#### **დაღ-ი:**

საშ. ქართ. **I. დაღი** (თურქ.) დამლა E. ესე არს საბეჭდავი გაჭურვებული ცეცხლით(ა) ZA – საბა.

საშ. ქართ. **დაღი** (სპ.) ნიშანი დასმული სავაჭროთა ზედა ან ხვას-ტანგთა გასარჩევლად; იარაღი რკინისა რომელსაც გაახურებენ და დასდაღვენ ხვასტანგთა – დ. ჩუბ. დამლა (სპ.) დაღი, ნიშანი, ბეჭედი საბა-ქოსი – დ. ჩუბ.

გადატ. ნუ გაჩნია გულსა დაღი (ვეფხ. 397,2).

ახ. ქართ. **დაღი** 1. გახურებული რკინის იარაღით (შანთით...) დასმული ნიშანი (ცხენის, კამეჩის სხეულზე). [ყარამანი] სულ დაწვრილებით ჩამოუწერდა: ვისი ცხენი რამდენი წლისა იყო, ...ჩამოუწერდა დაღის მოხაზულობას (ა. ბელ.). 2. რკინის იარაღი, რითაც დაღს (ნიშანს) აკრავენ. ◊ დაღის დასმა დაღის დაკვრა. || წიგნ. კვალის დატოვება, კვალის დაჩნევა. ერთფეროვან, მოსაწყენ ცხოვრებას მათ ხასიათებზეც დაესვა დაღი (რ. ჭეიშვი.). 3. გადატ. რისამე კვალი, ნიშანი. ძველი ჭრილობის დაღი შუბლზე თითქოს გამქრალა (ნ. ლორთქ.). ფიგურ. ეს საუკუნო დაღია სიყრმის ოცნებებზე დაჩნეული (ა. სულაკ.).

შდრ. ძვ. ქართ. **სადაგველი** სადაღავი: „ბრძანა რკინისა სავარცხალთა შექმნად და *სადაგველთა*“ (საკ. წიგ. II. 76, 5). **სადაგავი**: „*სადაგავნი* უკუე და დასაწუველნი...არიან“ (მ. ცხ. 49r).

საშ. ქართ. **II. დაღი** მთა. ფანან დაღისაკენ წავალ (შჰნ. III, 397, 11).

#### **დაყურსვა:**

ახ. ქართ. **I. დაყურსვა** დახალასება, დაწმენდა (ვერცხლისა, ოქროსი).

შდრ. ძვ., ახ. ქართ. **I. ყურსი** ძვ. 1. მკვრივი, კომტი რამ (დ. ჩუბ.). 2. ზოდი (დ. ჩუბ.).

**ყურსი** (არ. ყურს) კვერი, ტაბლეტი. ვინცა ცერეცო მოხარშოს და ამა ცერეცოს წვენითა ესე *ყურსი* გალესოს და სვას, გულისა და სტომაქისა ტკივილსა უშველის (იად. 586, 16).

**II. დაყურსვა** გაჩუმება, დადუმება.

შდრ. **ყურსელა** მისანი – დ. ჩუბ. მისანი წინამთქმელი მომავალისა – დ. ჩუბ.

**დახლ-ი:**

ახ. ქართ. **I. დახლი** წინიდან დახურული გრძელი ვიწრო მაგიდა (მაღაზიაში, დუქანში და მისთ.), – გამყიდველის დაზგა. [ქონდარამ] არაყი ჩამოსახა და ბოთლი დახლზე დადგა (ს. შანშ.). ასეთი დაზგით გამოყოფილი ადგილი, – გამყიდველის დასადგომი ადგილი. გადასმახა დახლში მდგომ მედუქნეს (ნ. ლორთქ.).

ახ. ქართ. **II. დახლი** ძვ. ვაჭრობით აღებული ფული, – შემოსავალი, ნვაჭრი. ას თუმნამდის ავიდა... დახლი (ეკ. გაბ.). ♦ **კარგი (კაი) დახლი დაუდგება!** ძვ. ირონ. მცირე შემოსავალი ექნება. გამოვიდა, რომ... დახლი სათუმანნახევარი მამიტანა, რომელიც უკანვე სახარჯოდ წაიღო (ილია). [ჩიგუნია] ალბათ გულში გაივლო: დღეს კარგი დახლი მექნებაო (გ. წერეთ.). || ცუდად წაუვა საქმე. ამოიოხრებს ბერ-დედა ნაღვლით: «რას, ვერჩოდითო, რა ისეთი დაგვიდგა დახლი! რა მოვიგეთო, ჩალისფასად გავყიდეთ სახლი» (მ. ლებან.). თუ მთავრობის ვალმა ამგვარი ტემპით იმატა, ეროვნულ ბანკს კარგი დახლი დაუდგება («ლიტ. საქ.»). || სუყველას ლაპარაკს თუ აჰყე, კარგი დახლი დაგიდგება (გ. გოგიაშვი. თარგმ.).

გ. წერეთლის აზრით, სიტყვა არაბული წარმოშობისაა (შდრ. არაბ. დახლ „შემოსავალი“, „მოგება“ – წერეთელი 1951, 71). სიტყვა უშუალოდ არაბულიდან ნასესხები არ უნდა იყოს, საფიქრებელია სპარსული გზა (გიგინეიშვილი 2016).

არაბ. **დაჰლ:** 1. შემსვლელი. 2. შეტანილი რამეში; მონაწილე. 3. დამოკიდებული – [და:ხელ] 1. შემოსავალი; მოგება. 2. შეხების ქონა; ურთიერთობა – [დახლ]. 1. შემოსავლიანი; მომგებიანი. კომპანიონი; თანამონაწილე – [დახლდა:რ] ყულაბა – [დახლდა:ნ] დახლიდარი (ბართაია 2010).

**დეზ-ი:**

ძვ. ქართ. **I. დეზი** „ცხენის საჩხვლეტელი“ – განმარტავს საბა. მხედართ ქუსლზედ მიკრული რკინა ცხენის საჩხვლეტად (დ. ჩუბ.); მკედართა ექმნება ჩექმებზე დაკრული ცხენის ფიცხელად გაჭენებისათვის (თ. ბაგრატიონი).

„ფიცხელ არს შენდა წიხნად დეზსა“ (საქ. მოც. 9, 4). „ვითარცა... ტანჯვად ცხენსა და დეზი ვირსა“ (ო იგ. სოლ. 26, 3).

გადატ. „სიტყუანი ბრძენთანი ვითარცა დეზი ჯარსა“ (ო ეკლ. 12, 11).

საშ. ქართ. ხოსროვ... დეზი დამრა, გააფრინვა (შჰნ. II, 3218, 3).

ცხენი გაქუსლა დეზითა (ვეფხ. 214, 1). დეზებიც ყირმიზის იაგუნდისა ჰქონდა (რუსუდ. 532, 30). მოგიდებს მიზეზებს, შემოგკრავს მით დეზებს, დაგიჩხვლეტს გვერდებს (დ. გურამ. 266, 356, 3). ჩექმა დეზითურთ კმა არის (არჩ. 505, 11, 2).

ახ. ქართ. **დეზი** (ჩვეულებრივ იხმარება მრ. რიცხვში). 1. ყანწის მსგავსი რქოვანი გამონაზარდი, რომელიც უვითარდება ფეხებზე ზოგიერთი ფრინველის (უპირატესად ქათმების ოჯახის) მამლებს. პატარა ყვინჩილა... იმ ადგილითა სცემს ფეხს, სადაც *დეზები*... ამოუვა (ი. გოგებ.). 2. ლითონის რგოლი, რომელსაც იკეთებს მხედარი ფეხსაცმლის ქუსლზე ცხენის საჩხვლეტად და გასარეკად. სამხედრო პირი *დეზებს* მოაჩხარუნებდა (ვ. ბარნ.). გავშრი, ვეღარც ხმა ამოვიდე, ვეღარც *დეზი* ვიხმარე (ჭ. ამირეჯ.). || გადატ. ქუსლი. *დეზი* ჰკრა მერანს... და გააჭენა (აკაკი). 3. ბოტან. ზოგიერთი ყვავილის (იის, სოსანის)... ჯამის ან გვირგვინის ფუძის ღრუს გამონაზარდი. ნექტრის დამაგროვებლად ასეთ გრძელ გამონაზარდებს *დეზი* ეწოდება (ზ. ყანჩავ.).

სიტყვა შემოსული უნდა იყოს საშუალო სპარსულიდან; ახ. სპ. *tēz* „მახვილწვეტიანი“. ტ-ს გამჟღერება ქართულში ჩანს მომხდარი \**tezi* > *დეზი* (რეგრესიული ასიმილაციის შედეგად). ადგილი აქვს მნიშვნელობის რამდენიმე დავიწროებასაც (გიგინეიშვილი 2016).

დიალექტ. **II. დეზი** (თუშ.) წინდის თვალი. **დეზი** წინდის თვალი, ქსოვის დროს *დეზებს* ანგარიშობენ (თუშ. მაკალ.).

**დეზი წინდა** – სადა, ერთი ფერის ძაფით, სახეების გარეშე ნაქსოვი წინდა (თურქ. *düz-ვაკე*, მინდორი) (აჭარ. ნოლ. დარგ. 2008, 21).

**დეზდრ** ხელით ნაქსოვის თვალი (თუშ. ცოც.).

დეზისათვის ვფიქრობთ, რომ ამოსავალი უნდა იყოს თურქული *dişi* „ნაქსოვის თვალი“.

დიალექტ. **III. დეზი** „კარგი, საგანგებო“.

შრომა *დეზია*, *დეზი*, კაი სოფელია! საბალახო *დეზი* გვაქ (ზ.-იმერ. მოწ.). *დეზი* მიხვეულ- მოხვეული გზაცაა (ი. გრიშ.).

ახ. ქართ. მხოლოდ ერთ პატარა ვიწრო *დეზში* ბზინავდა წყალი (რ. გაბრ.).

შესაძლებელია, რომ **დეზი** თურქულის **დეზ** სივრცის აღმნიშვნელი სიტყვიდან მიგვეღო.

### დეკა:

საშ., ახ. ქართ. **I. დეკა** ეკლიანი ჭყორი – დ. ჩუბ.

**დეკა** [*Rhododendron caucasicum*] მორჩილი ტანის ბუჩქი; აქვს მარადმწვანე მოგრძო ფოთლები და მსხვილი, ლამაზი, მოთეთრო ან მოვარდისფრო ყვავილები. გავრცელებულია მაღალ მთებში. მოგესალმებით, ქედებო, მომაქვს სალამი გვიანი, ჩემსამც სამარეს ამკობენ თქვენი *დეკა* და ღვიანი! (ვაჟა). ახლო *დეკის* ჩინჩხვარს მოაგროვებდნენ, დაანთებდნენ ცეცხლს (გ. გეგეშ.).

ახ. ქართ. **II. დეკა** [გერმ.] სიმებიანი მუსიკალური საკრავის კორპუსის ნაწილი ხის ასარეკლავად და გასაძლიერებლად.

**დეკნა:**

საშ. ქართ. **I. დეკნა** „ესე კრკალი (გრკალი) არს ცისა, სამხრით კერძო, რომელსა მზე ზამთარ მას ვერ გასცილდება (საბა).

დიალექტ. **II. დეკნა** საფურე ხბო ერთიდან სამ წლამდე. **დეკნა** საუბ. იგივეა, რაც დეკეული – ქეგლ.

**დეკნა** მოფერებითი სახელი დეკეულისა (ჯავახ. ბერ.). ორი- სამი წლის საფურე ხბო *დეკნაა // დეკეულია* (შდრ. საბა უგი) (ზ.-აჭარ. კობერ.).

შდრ. **დიაკეული, დიეკეული** დეკეული, საფურე ხბო „მომგუარე მე *დიაკეული* სამ წლისაჲ“ (ო, დაბ. 15, 9). „შეჭრისხენ... კრებული ზუარაკთა და *დიეკეულთა* შორის ერისათა“ (ფს. 67, 31).

ძვ. ქართ. დიაკეული, დიეკეული დეკეული, საფურე ხბო: დიაკეული ← დიეკეული > დეკეული.

დიაკეულში გამოიყოფა **დია** „დედალს გამოჰხატავს (ჯავახიშვილი X, 1992, 183)

დე- პრეფიქსი გამოყოფილია დე-კეულშიც (პარალელურად: დი-ა-კ-ე-ული, რომლის კ ძირი თავდაპირველად ადამიანის კატეგორიის შესაბამის მ-კ-ე ზედსართავში გამოიყოფა (ქავთარაძე 1954, 308).

გამოთქმულია მოსაზრება, რომ **დეკნა** ბერძნულ *δέκνον* („მოზილი“) სიტყვას უკავშირდება (გიგინეიშვილი 2016).

**დელ-ი:**

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. დელი** [თურქ. დელი] ძვ. გიჟი, ხელი, გადარეული. საცემრად მიდგა კეტითა, ან გიჟი იყო ან *დელი* (ბეს. 157, 12). ...ხოლო მაჰმადიანნი უჭმობენ *დელი* სჯმონს (ქ. ცხ. II, 418, 2). ერთისა უებრობა და მეორის ხელქმნა *დელობა* (თეიმ. I, 127, 35, 3).

ჩვენს *დელ* შვილს ჩვენვე მოვუვლით (პ. ლორ.) (ნ. მწერალ პ. ლორიას რომანი „დელი მურადი“ (აჭარ. ნიჟ.). *დელი* ხომ არ ხარ?! (ინ. ჩვენ. ფუტკ.). **დელიანი** ჭკუა ნაკლები, გიჟი; ძალიან თამამი, თავხედი. „*დელოანი* ბაღვები ყავან, მოსაფირთან არ შეიშვებიან (თ. ქ.). „ციცაი ყავდენ ერთი, *დელიანი*“ (ად. ჩვენ. ფუტკ.). **გადელეზა** ზომაზე მეტად გაბრაზება. – ჭიჭი-ნიე ნამეტანი *გადელა* ბაღანამ (რაცხ. გურ.).

ახ. ქართ. **II. დელი** გერმ. წყლის მუდმივ ნაკადს მოკლებული ბრტყელი უკალაპოტო ღარტაფი – ქსე.

ახ. ქართ. **III. დელი: დელი-დელა:** დელი-დელა 1. ქართული ხალხური სიმღერის მისამღერი სიტყვები. ვისმენ თქვენს სუფრულ მღერასა, იმახებთ «ჰარუნანოსა», ზედ დართულს «*დელი-დელასა*» (ვაჟა). 2. «ძველი ხალხური სიმღერა» (გ. შარაშ.).

**დენ-ი:**

ახ. ქართ. **I. დენი** ელექტრული მუხტების მოძრაობა. დიდი ძაბვის დენი. – მუდმივი დენი. უხვი *დენის* მისაღებად კარგია მთის მდინარეები (ვ. კანდელ.). ისინი სკამში *დენს* უშვებენ (რ. თვარ. თარგმ.). თითქოს *დენი* უვლიდა მხარში (გ. გეგემ.). შდრ. დენა, დინება.

დიალექტ. **II. დენი** იხ. II. დანა. „სიმინდ რომე დავზორავთ ტოკუეცით, *დენი* დარჩება ცალკე“ (მ.). „ამასა *დენები* დიდრუანი აქ“ (იმ.) „ყურზენსა აქა წვრილი დენი აქ“ (იმ., ჩვენ. ფუტკ.). „სიმინდის *დენი* იშტა, დენი, ჩვენ ვეტყვით მაგა“ (ჩაქ., შავშ.). აგრეთვე: (ინგ. ლამბ.). (სპ.) **დან/დანე** მარცვალი (ფერეიდ. ჩხუბ. 247).

**დიბა:**

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. დიბა** (სპარს. დიბა ან დიბაჰ) სახიანი აბრეშუმის ქსოვილი ფარჩა მძიმედ ნაკერი ან ნაქსოვი ოქრომკედითა (დ. ჩუბ.).

რა ზაალ წვერსა ავიდა, ფრთა ეხვია *დიბაზედა* / მუჯამარით ცეცხლი აგზო, ცოტა ფრთე დადვა მაზედა (შჰნ. II, 5603, 1). კარგი *დიბითა* სტავრა ბერძული მშრალად წახვიეს (შჰნ. II, 413, 15). ტანზედა *დიბის* ქათიბი, გიხდების კაბის არშია (დ. გურამ. 197, 16, 3). სამოცდაათი ხომალდი კარგის *დიბით* და სტავრებით სავსე იყო (ხოსრ. 39, 13).

უქონლობამ *დიბის* კაბა მაცვეთინაო (ანდაზა). მანდილოსნები... ჭრიდნენ და კერავდნენ ფარჩას და ატლასს, *დიბას* და ხავერდს (შ. დად.).

ზოგადად ძვირფასი ქსოვილების აღსანიშნავად **დიბა** ხშირად დასტურდება სხვა ძვირფას ქსოვილებთან ერთად: **დიბა-ატლასი**, **დიბა-სტავრა**, **დიბა-ფარჩა**, **დიბა-ზარზაბი**...

დიალექტ. **II. დიბაი** // **დიბი** (თ. dip) თამბაქოს მცენარის ძირა ფოთლები; მისგან ჩვეულებრივ დაბალი ხარისხის, რბილი თამბაქო გამოდის (აჭარ. ნიჟ., ქიზ. მენტ.).

**დივან-ი:**

ძვ., ახ. ქართ. **I. დივანი** სამდივანმწიფოობრო: „ვითარცა მკედარი, რომელმან დაიწერის თავი თვისი *დივანსა* შინა მეფისასა“ (მ. სწ. 120, 8). „ოცდაშვიდი წელი განსრულდა მაგისი, ვინადთგან დაიპყრა მაგან *დივანთა* განგებაჲ“ (Sin – 11, 39v).

**დივანი** [სპ. დივან] 1. ისტ. უმაღლესი სახელმწიფო ორგანო; სახელმწიფო კანცელარია. || სულთნის თურქეთში – დიდ მოხელეთა და დიდგვარიანთა სახელმწიფო საბჭო. *დივანის* წყალობით უმაღლეს ხარისხამდე აყვანილი ახმედ-ფაშა კახაბერი (აკაკი). 2. სასამართლო, ტრიბუნალი. || ისტ. საქართველოში – სამდივნო სახლი, სასამართლო დაწესებულება.



**დივანხანა** სასამართლო სახლი: სამსჯავროსა რომელსა *დივანხანად* უწოდდეს (ქ. ცხ. II, 290, 15).

გადატ. **დივანი**: დიდი სამსჯავრო, მეორედ მოსვლის დღე. მაშინ მიყოს ღმერთმან სამართალი, როდესაც დიდი *დივანი* იყოს (რუსუდ. 242, 10). გვხვდება დევანიც.

სიტყვა შემოსულია ახალი სპარსულიდან (შდრ. სპარს. *divān* „მთავრობის ოფისი“, „მთავრობის კანცელარია,,. აქედან ხდება მნიშვნელობის გადატანა იმ პირზე, ვინც ამგვარ დაწესებულებას განაგებს. ასო **მ** ქართულ ნიადაგზე განვითარებულა სიტყვის თავში (გიგინეიშვილი 2016).

სამ. ქართ. **II. დივანი** „წერილი“, სადაც აღრიცხულია რამე: მისცა, ლაშქარი მისი რჩეული, რომელი *დივნითა* ხუდებოდა (რომელიც სიით ჩააბარა (ქ. ცხ. II, 315, 25). მე მდივანმან ავთანდილ... გომარელთ *დივანი* უყავ (სამ. ძეგ. IV, 184, 8).

ახ. ქართ. **III. დივანი** (სპარს. ჩანაწერი, წიგნი) ლიტ. აღმოსავლეთის ქვეყნებში – ლირიკული ლექსების კრებული (ერთი პოეტისა). [მან] მოამზადა და დასაბეჭდად წარმოადგინა პოეტის აზერბაიჯანული *დივანის* მეცნიერულ-კრიტიკული ტექსტი («მნათ.»).

ახ. ქართ., დიალექტ. **IV. დივანი** ზურგიანი რბილი (მოგრძო) საჯდომი ან საწოლი ავეჯი. რით ჰგავს ერთმანეთსა და რით გაირჩევა: მაგიდა და სკამი, *დივანი* და ტახტი? (ი. გოგებ.). ივანიკა წამოწოლილია... *დივანზე* და... „გვეგონას“ მღერის (აკაკი).

დიალექტ. **დივანი** (სპ. *divan*) დივანი (ტახტი). *დივანზე* გიგიშალო დომეგი?! (ინ., ჩვენ. ფუტკ.).

### **დინგ-ი:**

სამ. ქართ., დიალექტ. **I. დინგი** საცეხველი, ცეხვა – საბა.

(ქიზ.) თრიმლის საბეგვი (წყლისაგან ამოძრავებული ბორბალი ედება და მაღლა სწევს კეტს, რომელიც შემდეგ ეცემა და ბეგვავს გულამოღებულ მორში ჩაყრილ თრიმლს) – ქეგლ.

**დინგი** დიდი ზომის სანაყი ქვა; **სადინგე** თოფის წამლის დასამზადებელი ადგილი უმალოში. მოხუცების გადმოცემით, საწამლე მასალას ნაყავდნენ უზარმაზარ ქვის ფილში *დინგით* (თუმ. ხუბ.). **დინგი** წისქვილთან მოწყობილი კორკოტის დასანაყი. მუსიკანთ ბარე ორი *დინგი* ჰქონდათ კორკოტის დასანაყათ თავთ წისქვილში გამართილი (ჯავახ. ზედგ.). **დინგი** ნიორწყლის სანაყავი, როდინი (ჯავახ. ბერ.).

**დინგი** თრიმლის საბეგვი, ჩამური (ქიზ. მენთ.). **დინგ** [აზ. დინგ] ბრინჯის საცეხვი მოწყობილობა, საცეხველი (ინგ. ღამბ.). შდრ. დენგი დიდი ქვასანაყი (თუმ. ცოც.).

სამ., ახ. ქართ. **II. დინგი** ღორის ცხვირი – საბა.

**დინგი** 1. ზოგიერთი ცხოველის (უმთავრესად ღორის) წაგრძელებული ცხვირი და ყბები. [ზღარბები] თავისი *დინგით* მარჯვედ იჭერდნენ და თქველედნენ მრავლისაგან მრავალ მატლსა და ჭიასა (ი. გოგებ.) 2. უმართებულოდ უხმარიათ ფუტკრის ხორთუმის მნიშვნელობით 3. ბოტან. ბუტკოს ზედა, გაფართოებული ნაწილი.

ს.-ქართვ. \*ნი-დგ- „ნისკარტი“ > დინგი (ჩუხუა 2000-2003).

ახ. ქართ. **III. დინგი**: (ინგლ.) ერთგვარი პატარა ღია ნავი – მ. ჭაბ.

#### **დიე-ი:**

საშ. ქართ. **I. დიეი / დიყა** (არ. დიე) 1. ჭლექი. ერთგვარი ცხრო (ციე-ბა-ცხელება). თუ ამა სენსა უკნის სილი და *დიეი* გამოჩნდეს, არა ეშუელების (ფანასკ. 259, 12). **ჰიომია დიეი** (არ. დიე) ჭლექი, განელებული ცხრო. „წვრილი ტკივილი“. ამა ცხელებასა *ჰომია დიეი* ჰქუიან (იად. 489, 21).

ახ. ქართ., დიალექტ. **II. დიეი** [Heracleum] მთის მცენარე ქოლგოსანთა ოჯახისა; რუს ნაპირებზე ერთმანეთში არეული ბუერა, დიეი და შუპყა არის ამოსული (ვაჟა). **დიეიანი** ადგილი, სადაც მეტწილად დიეი იზრდება. [კაცი] ხან თავს დააჩენს კლდის პირზე, ხან დიეიანში ხტებოდა (ვაჟა). იხ. აგრეთვე: (ხევს. ჭინჭ., ინგ. ღამბ.).

აღდგენილია ს.-ქართვ. \*დიე- ძირი (ფენრიხი, სარჯველაძე 105).

#### **დიყა:**

საშ. ქართ. **I. დიყა** იხ. I. დიეი. ვინცა აბანოშიგა დედაკაცთან დაწვეს, მისგან *დიყა* და იარაყანი დაიბადების (ქანან. 28, 5). იხ. დიეი

საშ. ქართ., დიალექტ. **II. დიყა** ბალახი. – საბა. იხ. II. დიეი.

დიყას ფართო ფოთოლი აქვს და მსხვილი ყლორტი, იხმარება საქონლის საკვებად, მთებში იზრდება (ჩიხა, ზ.-იმერ. ძოწ.). შდრ. აგრეთვე: **დილყა** სამკურნალო მცენარე, დიეი (იმ., ჩვენ. ფუტკ.).

#### **დო:**

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. დო** მაწვნის ნათქვეფი – საბა.

პაპა თორნიკე... პურით სავსე *დოს* შეჭმანდს მადიანად შეექცეოდა (მიხ. მრეველ.) ◊ **დოს პერანგი** დოში ამოვლებული პერანგი (ან ზეწარი), რომელშიც ახვევდნენ ავადმყოფს, ჩვეულებრივ, სიცხის გამოსანელებლად. „თუ ციება დასჩემდეს, *დოს პერანგში* ჩააწვინე ხოლმე“ (ს. მგალობ.).

აგრეთვე: დო (ქიზ. მენტ., ჩვენ. ფუტკ.); დოვრ (თუმ. ცოც., ხუბ.).

**დუა** რძე და სახვრეპი რამ ბავშვის ენაზე (ფშ. ხორნ., ხევს ჭინჭ.). აგრეთვე: **დოილა** (ხევს. ჭინჭ.).

**დო** ხშირად დასტურდება სხვადასხვა კომპოზიტების შემადგენლობაში. მაგ.:

**დოს შაკამანდი** (ქიზ. მენტ.). **დონთარი, დოვლად, დო-ზორანად** (აჭარ. ნიჟ.). **დოღბაჭი // დოღობაჭი** (მესხ. ფეიქრ.) **დოკორკოტა** (ჯავახ. ბერ.). **დომბალი, დოპერა** (ქართლ. ლექსიკ.).

ახ. ქართ. **II. დო** [იტალ. Do] მუს. მუსიკალური გამის ერთ-ერთი ნოტთაგანი, მუსიკალური ანბანის დასაწყისი ტონის სახელწოდება – ქეგლ.

**დოგ-ი:**

საშ. ქართ. **I. დოგი** საკრავი ბრძოლის დროს დაბდაბის მსგავსი. დუმბულსა და დოგსცემდეს, ზედან ტკბილად იმღერდიან (მჰნ. I, 2439, 2).

ახ. ქართ. **II. დოგი** [ინგ. dog ძაღლი] ერთგვარი ჯიშის დიდი და ღონიერი ძაღლი. მერმე უნივერსალის გაქურდვისას... დოგმა ისე დაფლითა, რომ გაქცევა ვეღარ შეძლო (ა. სულავ.). კართან გაშმაგებული იყეფება დოგი («ლიტ. საქ.»). და აი, იმ გოდერძი ჩოხელის სკოლის ეზოდან უნდა შევეუთვალო: გოდერძო, გუშინწინ ჩემი გერმანული დოგი მომიკვდა (მ. მოსულ.).

დიალექტ. **III. დოგ** 1. სამანი, მიჯნის აღმნიშვნელი ხის დაბალი სვეტი. პირველად რო დაპლანეს, ბაკებ დოგებით გაყვეს. 2. მაქც-ფატერაგითან მტრის ხელით მოკლულის სიკვდილის ადგილზე დასობილი ხე მიცვალებულის ვინაობისა და სიკვდილის მიზეზის აღმნიშვნელი წარწერით. გარდაცვაკეს დგას კარხილაურის დოგ (თუშ. ცოც.).

**დოღ-ი:**

საშ., ქართ. **I. დოღი** გოჭების დაყრის დრო; გოჭების დაყრა. ◊ დოღის დამერა დოღის დაწყება. დოღი ფური – დ. ჩუბ.

ორი დოღი აუღიათ (სამ. VII, 544).

გამოვიდა დოღი გაიზარდა მოლი (დ. გურამ. 213, 38, 3).

ახ. ქართ., დიალექტ. **დოღი** დარგ. წვრილფეხა პირუტყვის ნაშიერთა (ბატკანი, თიკანი) მოგების პროცესი. – ცხვარს ვუვლიდი, შენი ჭირიმე. დოღი დაიწყო და თავი ვერ დავანებე (მ. ჯავახ.).

დიალექტ. დოღის დამერიდან ფარეხი ლასტებით დაიყოფა (ქიზ. მრეწვ. I, 66).

**დოღი-ბატკანი** დოღის დროს დაბადებული ბატკანი (მთ. კაიშ.). აგრეთვე : **დოღ** დოღი, ბატკნის მოგების დრო (ინგ. ღამბ.).

დოღი სომხურად ხვასტაგთ შობასა ჰქვიან, რომელსა ქართულად იზვებას უწოდენ – საბა.

მეგრულ-ჭანურ დვალა-სა და „დების“ სვანურ ლი-თვალ-ს „შობის“ შეპირისპირებით ჯავახიშვილი დაასკვნის რომ დვალ ფუძე დებას და ნაყოფის გამოღებას, წარმოშობას ნიშნავს და როგორც ფრინველთა და პირუტყვთაგან, ისევე ადამიანისა, დედაკაცისაგანაცა (ჯავახიშვილი X, 231).

დოლი შესაძლოა მოდიოდეს თურქულიდან (თურქ. döl „შთამომავლობა“, „ჯიში“, „ჩანასახი“) დაკავშირება პრობლემატურია (გიგინეიშვილი 2016).

დიალექტ. **II. დოლი** მთ., მოკ. გარეული ღორის ბინა. *დოლში* მიასწრო (მთ.) – ა. შან. „აგერ, ბეჟან, ღორის *დოლი*, ღორი შავიდა დოლჩიგა“ (ხალხ. „ბეჟანიანი“). ღორებმა *დოლი* აიღეს. ღორებმა ბუნაგი გააკეთეს. || იგივეა, რაც დოლაფარა, სადოლე (მოხ. ქავთ.). შდრ. (თურქ.) დოლა.

შდრ. **დოლფარი, დოლფარა** მეცხოვ. საღორეში ან ბინაში კედელთან შემოწნული ცალკე სამყოფი, სადაც ამწყვდევენ დედა ღორს გოჭებიანად ან სადაც მაკე ღორი ყრის გოჭებს. – ეწყვნენ ლოგინში ბალები, ვით *დოლფარაში* გოჭევი (ვაჟა). აგრეთვე: (ქიზ. მენტ.).

**დოლის სახლი:** ამის შემდეგ იწყეს ჩვენში *დოლი სახლის* შენება, უჭერო და უიატაკო, ისლით ან ჩალით დახურული (გურ. მრეწ. I, 404). ჩვენში საცხოვრებელი ბინა იყო *დოლის სახლი* (დიდი დარბაზი) (გურ. მრეწ. I, 409).

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **III. დოლი** უჭვაო იფქლი – საბა.

**დოლი, დოლის პური:** ქართული *დოლის პური* ქართველი ხალხის პირმშოა (ნ. კეცხ.). *დოლის ხორბალი* მივეცი და თავთუხს მედავებაო (გ. პაპუაშვი.).

**დოლის პური** პურეულის ჯიშია, კარგი ღირსებისა. თეთრი დოლი, წითელი დოლი (ქიზ. მენტ.).

*დოლი...* რაკი პურეულის სახელად ქართულს გარდა არსად იხმარება, საქართველოში კი უკვე IX ს. ქ. შ. გეოგრაფიულ სახელში, „დოლის ყანა-ში გვაქვს აღბეჭდილი, საქართველოს გარეშე მისი სადაურობა საძიებელი არ არის... თვით გამონათქვამი „დოლის პური კი, ძალიან ძველი არ შეიძლება იყოს, რადგან აქ „პურს“ უკვე მარცვლეულის მნიშვნელობა აქვს, თავდაპირველად – კი „პური“ გამომცხვარს ეწოდებოდა (ჯავახიშვილი 1930, 396-397).

საშ. ქართ. **IV. დოლი** შაბი მარილის გვარი თეთრი ქვა (დ. ჩუბ.).

ახ. ქართ. **V. დოლი** 1. საკრავი იარაღი – ხის რკალზე ორივე მხარეს გადაკრულია საგანგებოდ გამოყვანილი ტყავი, რომელსაც თითების ან ორი ჩხირის ცემით ხმას გამოაღებინებენ, – დაფდაფი. ◊ **დოლს დაჰკრავს** წინ. გადატ. ხმაურს, განგაშს ასტეხს... || ირონ. პირველად *დოლი* ილია ბახტაძემ დაჰკრა, მას მიჰყვა «დედაკაცების» და «მამაკაცების» ხმაც (ილია). 2. ტექ. ღრუ ცილინდრი (მექანიზმში).

დავულ დიდი ბარაბანი (თურქ.) – საბა. შემოსული უნდა იყოს თურქულიდან (თურქ. დავულ „დიდი დოლი“) (გიგინეიშვილი 2016).

**დოლა:**

დიალექტ. **I. დოლა:** იხ. III. დოლი. **დოლა პური** დოლა პური ზმ. პურის ერთ-ერთი ჯიშია, უფხო, ითესება გზაფხულზე (რაჭ. კობახ.).

დიალექტ. **II. დოლა** ურქო ცხოველი (ძროხა, ცხვარი, თხა). || ურქო ცხვარი, – ქოიკი (საბა). *დოლა* თხამ წყალში ჩაიხედა: რქები არა მაქვს, ჯერ პატარა ვარო (ანდაზა). „რა ძროხებს დამიჩხვერავენ *დოლეები*, ურქოები) (ფშ. ხორნ., გურ. შარაშ., ქიზ. მენთ., თუმ. ცოც., მესხ. ფეიქრ., ხევს. ჭინჭ., მთ.-რაჭ. ლობჯ.).

ქართული და კოლხური (მეგრული) მასალის შეპირისპირების საფუძველზე აღადგენენ \*დოლ-არქექტიპს (ფენრისი, სარჯველაძე 2000).

დიალექტ. **III. დოლა:** იხ. II. დოლი. **დოლა სახლი**, რომელსაც არა აქვს მიდგმული ნაგებობა. თუ სახს არ ქონდა არც ერთი კედრიდან მოდგმული, იმას ქვიოდა *დოლა სახლი* (გურ. იმნ. 168, 34).

**დოლაბ-ი:**

ძვ. საშ., ქართ. **I. დოლაბი** მდინარიდან წყლის ამოსაღები ბორბალი: ჯმისაგან *დოლაბის* მეჯურღმულესა არა ესმა რეკაჲ (ლოცვისაჲ) (ლიმ. 91, 22).

გული ბრუნვასა *დოლაბითა* დაგიწყებს (ვისრ. 185, 19). გარ მოვიგზნათ დახოცილი, როგორც *დოლაბს* ედვას ხრილი (ტფილ. 602, 60, 4).

სამთავ მოიღეს ოროლი *დოლაბთ* ოდენი ქუანია (შპნ. I, 59, 183, 1).

გადატ. აქვს ხელთა *ლახტი-დოლაბი*, ტარითა რკინის ძელითა (ნ. ციცი. 604, 1999, 4).

ახ. ქართ. **დოლაბი** 1. წისქვილის ქვა. წისქვილი მოქუხს, *დოლაბი* ბრუნავს და ბრუნავს მალადა (რ. ერისთ.). ფიგურ. დუმდა სამრეკლო და კრიჭაშეკრული ფიქრობდნენ *დოლაბები* (ო. იოს.). || ხელით საფქვავის საბრუნებელი ქვა. ხელსაფქვავე *დოლაბის* ხრიგინი გოგიას მჭევრმეტყველებაში იკარგებოდა დროდადრო (მ. ელიოზ.). 2. გადატ. მრგვალი ფორმის მბრუნავი რამ (ქვა...). ტიხარი, რომელსაც მიწისზემოთ გამართულ ორ უზარმაზარ *დოლაბს* ჩაჭიდებული ორმოცი მონა ატრიალებდა, მიწისზემოთ იზიდებოდა (თ. ჩალ.). 3. (იმერ. გურ.) წისქვილი.

იხ. აგრეთვე: (ჩვენ. ფუტკ., ზ.-იმერ. ძოწ., გურ. ჟღ., იმერ. გაჩ.).

ზან. **დოლაბი** დოლაბი; დიდი ქვა (მეგრ. ქობ.).

**II. დოლაბი** ნართის საქსელავი ხელსაწყო. „შალისათვის მოვახვევთ ორწვერად, დავზახავთ და მერე *დოლაბზე* დავქსელავთ“ (აჭარ. ნოდ. დარგ. X).

საშ., ახ. ქართ. დიალექტ. **III. დოლაბი** ქვითკირის კედელში დატანებული კარადა, განჯინა, თახჩა.

„რომ ავსწიე, თითოს ფარდის შიგნით, ერთი ზეით და ერთი ქვეით ასეთი დოლაბი იყო, თვითოს და თვითოში შვიდი დიდი ზანდუკი იდგა“ (რუსუდ. 454, 16).

სცენის სიღრმეში *დოლაბივით* კარაპანია (გ. ყიფში. თარგმ.).

იხ. აგრეთვე: (აჭარ. ნიჟ., ჩვენ. ფუტკ., ჯავახ. ბერ.).

ახ. ქართ., დიალექტ. **IV. დოლაბი** 1. ბანიანი სახლის სათვალე, სანათური, საიდანაც სინათლე ჩადის და კვამლი ამოდის. უცხო მგზავრი თუ დაიბნა ღმეში, შეხედოს და *დოლაბის* შუქსა ენდოს (ს. ჩიქოვ.). აგრეთვე: (ქიზ., მენტ.).

სპეციალისტები სპარსულსა და თურქულში უთითებენ დოლაბის შემდეგ მნიშვნელობებს: 1. ხის ბორბალი, რომლითაც თოკზე მიბმული ჭურჭლით ჭიდან წყალს იღებენ; წყლის ბორბალი; 2. განჯინა; კედლის კარადა (აბულაძე 1916, 802; გურგენიძე 1973, 25; კობიძე 1983, 392; ბართაია 2010, 47; ჩოხარიძე 2014, 52; გიგინეიშვილი 2016). როგორც ჩანს, ეს სიტყვა და მისი მნიშვნელობები სხვადასხვა დროს და გზით ისესხა ენამ.

#### **დოლოზა:**

დიალექტ. **I. დოლოზა** იხ. III. დოლი. შემოდგომით თესვის პროცესს ეძახიან, რადგან შემოდგომით ითესება დოლი (ჯავახ. ბერ.) (შდრ. ქერობა, ქერი ითესება გაზაფხულზე).

ახ. ქართ. **II. დოლოზა** დარგ. დოლის პროცესი.

დიალექტ. ახ. ქართ. **დოლოზა** იხ. I. დოლი. ამ დროს არის, გვიჩნდება ბატკნები (ვაჟა). **დოლოზა** დოლის – ბატკნების დაბადების პერიოდი (მოხ. ქავთ.). **დოლოზა** მთ., მოჯ., ფშ., თ. ხანი, როცა ცხვარი ბატკნებს იგებს – ა. შან. **დოლოზა** ბატკნის მოგების პერიოდი ცხვარში (თუშ. ხუბ.).

#### **დომბა:**

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. დომბა** ოთხფეხი – დ. ჩუბ. კვლავ ნიამორი უცხონი, *დომბისა* შესადარები (ვახტ. VI, 28, 44, 3).

ფური *დომბა...* უფრო მცირე ზომისა იყო (ნ. დამბარ.). უკანასკნელი *დომბა* საქართველოში 1944 წელს მოკლეს («ლიტ. საქ.»).

გადატ. **დომბაი** (dombay) კამეჩი. ბაბოს მიყავს მეგემ *დომბები* (კამბეშები) შაბმული (ად. ჩვენ. ფუტკ.).

დიალექტ. **II. დომბა** ჯებირი, ხერგი, რაბი – მდინარეზე წყლის ჩასაკეტად ან მეორე მხარეზე გადასაშვებად (აჭარ. ნიჟ.).

შდრ. ქეგლ – დამბა [გერმ. Damm] ხელოვნური მიწაყრილი ან ნაგებობა (ხისა, ქვისა ან რკინა-ბეტონისა) მდინარის ან ზღვის ნაპირების გასამაგრებლად და წყლის გადმოხეთქისგან დასაცავად, – ჯებირი. კაცის ხელი მოხვედრია მდინარესაც..., ჯებირით გადაუღობავთ, რკინა-ცემენტის *დამბებში* ჩაუსვამთ (ბ. ჩხ.).

**დონა:**

საშ. ქართ. **I. დონა** ფუნდრუკის სასვენებელი – საბა.

საშ., ახ. ქართ. **II. დონა** დედაკაცი, დიაცი – საბა. დონა (იტალ. donna) ქალბატონი – მ. ჭაბ.

საშ. ქართ. **III. დონა** ყველა თავის დონეზედ იყოს – დ. ჩუბ. **დონა-ზედ დადგომა. დონაზედ მოსვლა** – დ. ჩუბ. შდრ. დონე.

ახ. ქართ. **IV. დონა** კახ. ადუღებული ქონით გაჟღენთილი ბამბა, რომელსაც ადებენ ნაღრძობზე. თქვენს ნათლიდედასა ხელი რამ ეღრძო თომეში, ქადები დამიგვიანა, – ახლაც მკლავი აქვს *დონაში* (რ. ერისთ.).

დიალექტ. **V. დონა** (ქართლ.) უთაური – ქეგლ. შდრ. დონე. დუნე.

**დონე:**

ახ. ქართ. **I. დონე** 1. ჰორიზონტალური სიბრტყე, რომელიც საზღვარს წარმოადგენს სიმაღლის გამოსარკვევად. 2. რისამე განვითარების, სიდიდის ხარისხი. განათლების დონე. 3. გადატ. ამა თუ იმ საგნისა თუ მოვლენისათვის მიჩნეული გარკვეული ადგილი, კალაპოტი, მდგომარეობა. [მახარე] გახვეული იყო მხოლოდ გრძნობის ქსელში, როდესაც აზრი არ მუშაობს... აი, სწორედ ამ *დონემდე* იყო მახარე მისული (შ. არაგვ.).

ძველ ქართულში გვაქვს ზმნიზედა **ოდენ** „ხოლო“ და სუბსტანტივი **ოდენი** „ტოლი. მისგან სხვადასხვა გზით მივიღეთ დონე, ხოლო შემდგომ დონა, დუნი, დუნე (ო-უ ხმოვანთა შენაცვლებით) **დონე** სიტყვის სემანტიკის განვითარებით მიღებული სიტყვებია. მათ უკვე დამოუკიდებელი მნიშვნელობა მოიპოვეს, თუმცაღა მათგან სალიტერატურო ქართულში დამკვიდრდა მხოლოდ დუნე (მოშვებული, დაუჭიმავე ფომფლე; ბოში) (ჭინჭარაული 1974, 103 -111).

ახ. ქართ. **II. დონე** (ფშ.) დუნე. დონე კაცი. დონედ ზმნს. იხ. დუნედ. «მინდია ცრუობს სწორედა»... – ამბობდნენ ხალხში ზოგები გაუბედავად, დონედა (ვაჟა). დუნე გაუჭიმავე, გინა სრულიად მოსუსტებული, უძალო Cq – E საბა.

შდრ. **დუნ, დუნი** (სპ.) უმნიშვნელო, არაფრის მაქნისი.

**დორა:**

ძვ., საშ. ქართ., დიალექტ. **I. დორა** ღვინის საწყაო: „წარიღე შენ თანა დორაჲ ერთი ღვინოჲ და მიართუ“ (მ. ცხ. 224v).

**დორაკი** კნინობითი ფორმა სახელისა დორა, – დორის ნახევარი (საბა). **დორაკიც** ლიტრიანი საზომი იყო (ივ. ჯავახ.).

**დორაკი** სითხის საწყაო, „მოდრაკი: „აღსუარული ზეთითა მეოთხედითა *დორაკისადათა*“ (G, რიცხ. 15, 4). „მეექუსე წაწილი *დორაკისადა* ჟამითგან ჟამადმდე სუემდი მას“ O, – „მეექუსედი *მოდრაკისადა* ჟამითგან ვიდრე ჟამამდე სუა“ (pb., ეზეკ. 4, 11).

**დორა** ღვინის საწყაოდ დასტურდება სიგელში („დავთარი ბალახ-ვნისა“. 1519 წ. თ. ჟორდანიას, ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა წ. II, 1897, 342). „მმართველს საჩხეურს ღუნის ჯუმალი სამოცდა შუდი დორა“ (თაყაიშვილი ექ., საქართველოს სიძველენი, I, ტფ., 1920, 57). „ბერმა კაკრიაშვილმა შესწირა მის მიერ სოფ. წედისში ნაყიდი ყმაგლეხის ოჯახი, რომელიც ვალდებულყო ყოველწლიურად მონასტერს გადაუხადოს ოთხი დორა და ათი კოდი ხორბალი“ (1782 წ.) (დ. ფურცელაძის „გუჯრები“ (Чиджавадзе К., Виноградарство и виноделие Лечхумского и Рачинского уездов, КСХ, №481, 1903). (ზემონახსენები ლიტერატურა დამოწმებული მაქვს ლ. ფრუიძის მონოგრაფიის მიხედვით (რაჭა, 1974, 182).

ახ. ქართ. **დორა** 1. თიხის ჭურჭელი (წყლისათვის). ძველთაგანვე აკეთებენ აქაურები (შორაპნის სოფლებში) თიხის ჭურჭელს: ჩაფს, დერგს, დორას... (ბ. ჩხ.). 2. სითხის საზომი ერთეული (სხვადასხვა დროს და სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა ზომისა იყო. დორა თორმეტი მანერკა არის ანუ სამი ბათმანი (ბ. ჯორჯ.). ისე მოიძებნა ხუთ-ექვს თუნგიან დორას, როგორც ერთ ჩარეკიანსა (ს. მაგლობ.). „დორა-ც...ხუთლიტრიანი ყოფილა“ (ივ. ჯავახ.).

აგრეთვე: (ლექს. მრეწ. IV, III, 1989, 153, ლექს. ალავე, ქართლ. ძიძიგ., კეცხ., ხუბ., ჯავახ. ბერ.).

დასტურდება აგრეთვე ვარიანტები **დორობა** უნისკარტო დოქი (ლიხ. გურ. ჯაჯ.). **დურუბაი** სწორე პირიანი, მუცლიანი და ყელდაბალი დოქი (გურ. შარამ.).

**სადორე** ლექს. სითხის ჭურჭლის დასადები მოწყობილობა ხისა – (ლლ.). ძვ. ქართულის **დორაკი**-დან კი უნდა მომდინარეობდეს სიტყვები

**დურაკი** „საწველი ჭურჭელი“ (საბა). **დურკი** ფშ. ცხვრის საწველი ჭურჭელი ცილინდრული ფორმისა, – ტაგანი, საწველელი – ქეგლ.

ზან. დორა (მეგრ. ქობ.). დორაჲ (სვან. თოფ., ქალდ.).

ფალ. dōrak, dōlak ჭიქა, საწყაო სპ. Dōra ვაზა, თასი (აჭარ. I, 68).

დიალექტ. **II. დორა** ძაფის საქსელავი პატარა ხელსაწყო. „დაძახილ ძაფს დორაზე დაქსელავდენ დორას ოთხი თითი აქვს, შუაზე – დირეგი“ (აჭარ. ნიჟ. დარგ. X).

შდრ. (თურქ.) **თარაკ** საჩეჩელი.

### **დოსტაქარ-ი:**

საშ. ქართ. **I. დოსტაქარი** სასმისი. ხელთ აიხვნეს *დოსტაქარი*, ხომ-გოარსა ღვინოს სმიდეს (ნ. ციც, 610, 1133, 4).

შდრ. დოსტაქანი მეტად დიდი სასმისი – საბა.

ასეთი მიჯნურობისა ისარი მეცაო, რომ დიდი *დოსტაქანი* უნდა და მკურნალნი მის გამოღებასაო (თიმს. 70, 3). რა მეფემან უსენს წინა სვა მრავალი *დოსტაქანი* (ვეფხ. 1166,1). *დოსტაქანი*, ღვინით სავსე, დალივა (შჰნ. III, 5558, 2).



სიტყვა შემოსულია ახალი სპარსულიდან (შდრ. სპ. *dostakān* „ფიალა“, სასმისი“ – (იუსტ. აბულაძე 1918, 802).

დიალექტ. **II. დოსტაქარი** სმაში თანატოლი, თანამეინახე (ფშ. ხორნ.).

დოსტაქანი (სპ.) ღვინის სმა მეგობრებში. ტერმინი **დოსტაქანი** მოდის სპარსული სიტყვიდან „დუსთგანი“, ან მისი პარალელური ფორმიდან „დუსთქამ“. პირველის შედგენილობაა: დუსთ (მეგობარი) + განი (სუფიქსი). მეორეში „ქამ“. ნიშნავს სურვილს. სპარსულში ამ კომპოზიტებს რამდენიმე მნიშვნელობა აქვთ: 1) სატრფო, მეგობარი; 2) განსაკუთრებული საღვინე სასმისი, დიდი თასი; 3) ღვინის სმა მეგობრებში. ქართულ ტექსტებში „დოსტაქანი“ ნიშნავს ძვირფას საღვინე სასმისს, რომელიც – მეტწილად ლითონისა და მორთულია ძვირფასი ქვებით (ლალი, ზურ-მუხტი და სხვ.) (გვახარია 1995, 186-192).

ახ. ქართ. **III. დოსტაქარი** წიგნ. იგივეა, რაც დასტაქარი, – ქირურგი. *დოსტაქარმა...* ჭრილობა გასინჯა (ვ. ბარნ.). ჩვენში ტოლი არა ჰყავდა ამ *დოსტაქარს* გასაოცარს (გ. აბაშ.). ძალიან მესიამოვნა, რომ ასეთი დიდი *დოსტაქარი* დანიშნეს ჩვენს საკურნალოში (მ. ჯავახ.). ჭრილობაზე სახელდახელოდ რა დამადო და რით შემიხვია, არ ვიცი, მაგრამ *დოსტაქარი* რომ არ უძებნიათ ეს ვიცი (ო. იოს.).

შდრ. სამ., ახ. ქართ. **დასტაქარი** [სპარ. გასტქარ «ხელოსანი», «ოსტატი», «დახელოვნებული ქირურგი»] «წყლულის მკურნალი, ჯარა» (საბა), ქირურგიის სპეციალისტი ექიმი, – ქირურგი. მკურნალნი და *დასტაქარნი* წამალსაყე მოგიტანდეს (რუსთაველი).

სიტყვა შემოსულია სპარსულიდან (შდრ. სპარს. *dastakar*) (შანიძე 1975, 55; გიგინეიშვილი 2016).

### დომი-ი:

სამ., ახ. ქართ. **I. დომი**, ზუთხის გვერდი დამარილული და ლორად გამოსული (ნ. ჩუბ.).

**დომი** ზუთხის (თართის და მისთ.) ლორად გამოყვანილი გვერდი. ვთქვათ ერთი რამ დიდი თევზი. იქიდან ამოდის: *დომი*, ზურგიელი, სათალი, ჭიპა, წელა, ხიზილალა და წებო (ა. ცაგარ.). მოსთხოვა კარგი თართისა *დომი* (რ. ერისთ.). თითონაც უნდოდა ერთი ამისთანა ალერსი მოეწყო რამ, მაგრამ, როცა ეს გაჭირება დაადგებოდა, თვალეზში სულ ზურგიელი, თართის *დომი* (ილია).

შდრ. დრშ დიალ. (თურქ.) *döş* საკლავის წინა ნაწილი.

დიალექტ. **II. დომი** (< ქსტ. დომ „სიტყვა“) ტყუილი, ლაყავი. ტყუილ *დომია*, ჭყებით არ მადის ავდარი (ფშ.-ხევს. პოეზ. 96, 16). მე გეტყვი ყველა მართალსა, არა ტყუილებს, *დომებსა* (ხევს. ჭინჭ.).

**დრამ-ი:**

საშ. ქართ. **I. დრამი** იხ. I. დრამა. ვაი მას კაცსა, რომელმან კიდე გლახათაგან ამათგან ერთი *დრამი* აიღოსო (რუსუდ. 87, 12).

**დრამი** ლიტრა – საბა.

**დრამი** // **დრემი** წონის საზომი. ოყაში 400 დრამი იყო (გურ. მატ. შა-რაშიძე). შდრ. **დრემი** (არაბ.-სპ.) (აჭარ. ნიჟ.).

**ერთი დრამი** პაწაწა, პაწაწკინტელა, ბეწო, ნატამალი, ერთი ციცქნა, მცირე წონის (აჭარ. ნიჟ.) იხ. I. დრამა.

ახ. ქართ. **II. დრამი** კუთხ. (ქართლ.) დროის უმცირესი მონაკვეთი, – თვალის დახამხამება, წუთი. ცეცომ მიანება საქონელს თავი... და იმავე *დრამში* გაჩნდა პაკოსთან (ს. მგალობ.).

**დრამი** დროის უმცირესი მონაკვეთი, წამი. ერთ *დრამში* აქ მობრუნდა-მეთქი და, აბა, სად არი?! (წვ., ქართლ, მესხ.).

**დრამა:**

ძვ., საშ., ქართ. **I. დრამა** ფული: „წარაგებნ დღესა შინა ასსა *დრამასა*... ხოლო ასისა მისგან დრამისა იყიდონ იგი თვსა საზრდელად ათორმეტის *დრამისასა*“ (მ. ცხ. 208r). „ამას ოთხთავსა ზედა არს... ოცისა *დრამისა* ოქროდ“ (წყაროსთ. ოთხთ., ანდ.).

საშ. ქართ. **დრამა**, ფულსაც ჰქვიან და მცირე საწონიც არის B1) (წაქაძე 1976, 29). **დრამა** ექვსის დანგის წონა. 1. დრამა ძველებური წვრილი ვერცხლის ფული. წონა, მისხლის ორი მესამედი, ანუ ოთხი დანგი: საქართველოში დრამად უხმობენ მღუდელ-თავრის მისართმევსა წლის დებულეზას. **დრამა** საწონი ფულისა და ესე ვითართა დრამა თრიმლის მარცვლები, რომელიც ფერთა მარგარიტსა ემსგავსების. **დრამი** საწონი, ერთი დრამი – ექვსი დანგი არის (თ. ბაგრატი.).

არ მივსცემ არცა *დრამასა* (ვეფხ. 544, 3). წითელი იაგუნდი, წონა *დრამისა* ოცდაექუსისა (ვისრ. 33, 26). ჭიქასა ათსა ერთს *დრამად* მისცემენ (ქილ. 667, 39). *დრამასა* და საკანონოს. ნიკოლაოზ აალებინებდეს (სამ. IV, 156). აწდა თქვენ გაძლევს ყოველი ხარაჯასა და *დრამას* (ნ. ციცი. 431, 141 ქვ. 3). ხორცი ვირისა ლიტრა იყო ხუთ *დრამად* (ქ. ცხ. IV, 145, 27).

**დრამა** გადატ. მცირე, ცოტა. მტერი მჩანს, ვითა *დრამა!* (შჰნ. I, 830, 4).

ახ. ქართ. **დრამა** 1. ისტ. ვერცხლის ფული 20 – 25 კაპიკის ღირებულებისა. 2. ისტ. წონის ერთეული, დაახლოებით 3, 5 გრამი. 3. გადატ. საერთოდ, მცირე წონის ან მცირე მნიშვნელობის რამე, – მცირე, ცოტა. || ფიგურ. ერთი *დრამისოდენა* ცოდნა ყოველგვარ საგანზე მიუღია და ამით... გაამაყებულა (გ. წერეთ.).

ახ. ქართ., დიალექტ. **დრამა:** ◊ **დრამის ფული** რევოლუც. გადასახადი, რომელსაც კომლი იხდიდა ეკლესიის გასამრჯელოდ. სამი წლის აუკრეფელი *დრამის ფული* შეაწერეს მოსახლეობას (პ. ჩხიკვ.). **დრამა** ფული საეკლესიო გადასახადი თვითმპყრობელობის დროს (გურ. ღლ.).

**დრამა** – გლეს კოდნახევარი სიმინდი უნდა მიეცა ღვდლისათვისა საწირავისათვის (ზ. ქართლ. IV, II, 208).

**დრამა** დაჭრაში ან მოკვლაში მიცემული ფული ან საქონელი –(შან., ხევს. ჭინჭ., ფშ. ხორნ.).

**დრამზე გადარჩა** – კინალამ დაიღუპა, ბეწვზე გადარჩა (გურ. მალაზ.).

**ერთდრამიან** // **ერთდრამიხან** ცოტა ხანს, მცირე დროით. ერთდრამიან ვიყვნეთ“ (იმ.). **ერთ დრამიხან** ზმა მეახლა (იმ., ჩვენ. ფუტკ.).

აგრეთვე ...**დრამბაი** ლითონის ფული (20-25 კაპ. ვერცხლის ფული); იხმარება სპილენძის მნიშვნელობით. „ვემსურებმა იმ კაცის საფასურჩი *დრამბაი* მათხოვეს. იმ *დრამბაის* სპილენძს ეძახიან“ (კარაკუჭა, მოხ. ქავთ.).

სპეციალური ლიტერატურის მიხედვით: ქართულში შემოსულია 1. ფალაურიდან (ანდრონიკაშვილი 1966, 312); 2. სომხურიდან (სომხ. დრამ.) თვით სომხურში ნასესხებია ფალაურიდან (გიგინეიშვილი 2016).

ახ. ქართ. **დრამა II**. [ბერძნ. drama მოქმედება, წარმოდგენა] 1. ლიტ. დიალოგებად დაწერილი ლიტერატურული ნაწარმოები, რომელშიც ასახულია მძაფრი კონფლიქტი, ძლიერი განცდები; იგი მეტწილად განკუთვნილია სცენაზე წარმოსადგენად. *დრამის* შექმნა ყველა სხვაგვარ პოეტურ თხზულებაზე გაცილებით ძნელია (ილია). || მხატვრული ლიტერატურის დარგი, რომელსაც ასეთი ნაწარმოები განეკუთვნება. 2. თეატრი, სადაც დრამებს (საერთოდ, დრამატულ ნაწარმოებებს) დგამენ. „მე ძალიან ხშირად დავდივარ მარტო ოპერაში, *დრამაში*“ (ნ. ლორთქ.). 3. წიგნ. გადატ. ცხოვრებაში მომხდარი უბედური, შემადრწუნებელი შემთხვევა. სისხლის-მღვრელი *დრამა* დატრიალდა.

ახ. ქართ. **III. დრამა** მუსიკით (dramma per musica), ოპერის პირვანდელი სახელწოდება, რომელიც შემოიღეს XVII ს-ში იტალიაში (მუსიკ. ენციკ.).

### **დუბელა:**

საშ. ქართ. **I. დუბელა** სენი. და წაეკიდების კულა თირკმელთა *დუბელა*, და ჰქუიან სნება ჭურჭლისა (ფანასკ. 290, 31). თუ ძუძუსა შიგან *დუბელა* იყოს და ან შეექნას, აიღე სელი და ქუნჯითი (ქანან. 153, 6).

ამავე მნიშვნელობისა ჩანს ძველი ქართულის **დუბელი** ციებ-ცხელება. „შთავარდა იგი სენსა *დუბელისასა*“ (A=1103 169r 30–31b).

საშ. ქართ. **II. დუბელა** წყალი მოთბო და მოწვდილი – საბა.

ახ. ქართ. **დუბელა** ნელთბილი უგემური (მდგარი) წყალი. *დუბელა* რუში ბატ-იხვები ჰყიყინებენ (მ. ჯავახ.). *დუბელა*, მწკლარტე სითხემ [გიორგას] კინალამ გული აურია (ო. ჭილ.). *დუბელით*, შრატით და ნაგუბარით – წყურვილს იკლავდნენ (მ. აბულ.).

დიალექტ. **დუბელა** გუბის თბილი, ფინთი წყალი (ქართლ. მენტ.).

დიალექტ. *დუბელაგორ* ბუნებრივად თბილი, უგემური წყალი. „რა *დუბელაგორი-დ'* მონაა ეს კახეთის წყალ“ (თუმ. ხუბ.). შდრ. დუბე „დაბალი ადგილი“.

ზან. **დუბელა** წყარი ხევისწყალი; ნადგომი, თბილი წყალი (მეგრ. ქობ.).

#### დუგა:

საშ. ქართ. **I. დუგა** ნასკვი – საბა. შდრ. **დუგმა** ხრიკი სპილენძისა ან თითბრისა – დ. ჩუბ.

ახ. ქართ. **II. დუგა** [სპარ. dugāh] 1. მელიოდის სახელწოდება. 2. ლექსთ წყობაში – ორსტრიქონიანი ლექსია ლექსანდრე ჭავჭავაძის ლექსი „დუგა“ შდრ. (სპ. dogāh)

ახ. ქართ. **III. დუგა** დუგლუგი, კონდახი. [ტყვიამფრქვევის] დუგა მკერდზე მიიბჯინა [კლოიამ] (დ. კვიცი.). შდრ. **დუგლუგი, დიბლიგი, დიგლიგი** შუბისა ან თოფის ბოლო – დ. ჩუბ.

**IV. დუგა** სოკოს სახეობა – ა. სიხ.

#### დუზ-ი:

საშ. ქართ., დიალექტ. **I. დუზი** – კენჭთ სამღერელი – საბა

**დუზი** (თ. düz) ერთგვარი თამაში, ჭადრაკის მსგავსი (აჭარ. ნიჟ.). დუზათ ფიგურების გარეშე, მარტივად. „ამ საკაცო წინდასა დუზათ ვქსოვ (ინ.). ფიცარზე დავხაზევდით დუზსა, სიმინდი კაკლებითა და ლობია კაკლებით ვითამაშებდით დუზსა (ინ., ჩვენ. ფუტკ.).

ახ. ქართ., დიალექტ. **II. დუზი** 1. (ფშ. ქიზ.) დაცემული, სწორი მინდორი, – ვაკე. ისეთ ადგილს ირჩევენ დასასხდომად, მისაპარები არა აქვს, *დუზი* მინდორია (ვაჟა).

კავთიხევის ხიდ რო გახვალ, გძელ მიწებზე სუ *დუზი* გზა არი აღმართებამდინა, აღმართებ აივლი და გადახედამ სოფელსა (კავთ., ქართლ., მესხ.). იხ. აგრეთვე: (ალგ. სალ., თუმ ცოც., მოხ. ქავთ., ფშ. ცოც., ფშ. ხორნ., ინგ. ლამბ., იმერხ. ფაღ., ცინც.).

იხ. აგრეთვე სინტაგმები: 1. **დუზი კედელი**. *დუზი კედელი* ის არის, რო სწორი კედელი იქნება (ქართ. მრეწვ. I, 242).

**დუზი წინდა**: *დუზი* წინდა სადა, ერთი ფერის ძაფით, სახეების გარეშე ნაქსოვი წინდა (აჭარ. ნოლაიდ. დარგ. X). „დუზი წინდა მოქსუა“ (მ., ჩვენ. ფუტკ.).

#### დუკატი:

ძვ., ახ. ქართ. **I. დუკატი** კონსტანტინე დუკას მიერ მოჭრილი დრაჰმანი (1057-1067). „ძუელი განძი იყო: რომანატი... *დუკატი*“ (პეტრიწ. 2, 16). და სალაროს მოლარეს – *დუკატი* ორი, მეგოდრეს – *დუკატი* ერთი (გარიგ. 75, 11).

**დუკატი** [იტალ. ducato] ისტ. მე-13–19 სს. ჯერ ვერცხლის, შემდეგ ოქროს ფული დასავლეთ ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში. ერთი ოქრო... ერთ *დუკატს* ნიშნავდა... *დუკატი* ღირებულებით 10 აბაზს ან 2 მინალთუნ ვერცხლის ფულს უდრიდა (ივ. ჯავახ.). მაშხალის შუქზე აელვარდნენ ბიზანტიური ოქროს სოლიდები, *დუკატები*, ბოტინატები და კონსტანტინები (ვ. გამს.). ფიგურ. მე არ მინდა დაკარგოთ ღრო, თქვენთვის ეს ძვირფასი *დუკატი* (ვ. ბუაჩ.).

საშ. ქართ. **II. დუკატი** აქლემის გვარი, გარნა მომცრო – საბა, დ. ჩუბ.

ახ. ქართ. **III. დუკატი** ვაშლის ჯიშია. სახელწოდება მომდინარეობს სიტყვა დიუკიდან (ჰერცოგი) (ზ. მაყაშვილი 1996, 114).

**დუმა:**

ძვ., საშ., ქართ. **I. დუმა** ცხვართ კუდის ქონი – დ. ჩუბ. „კუდური და *დუმა-კუეთილი* ნუ შეიწირვინ ტაძრად უფლისა“ (II შჯ. 23, 2).

შამის ხელმწიფემან გაგზავნა კაცი და ასი აქლემი მაია სთხოვა, შავთვალი *დუმა*, მალი, წითელბეწვიანი (მეფ. სალ. 376, ქვ. 11). ჩემთა ყმათა წინ მიმასწრეს, პალური ჰკრეს *დუმაშია* (არჩ. 338, 740, 4). მაჭამეს *დუმა* და ხალი მე *დუმის* ჭამას არ ვჩივი (დ. გურ. 109, 329, 1). დუმის ქონი სენს... ეს ერბოები უნდა დასცხონ, ან მართალი ერბო, ან კარაქი, ან *დუმის* ქონი (იად. 507, 24). იქ იქნებით დაჩვეული *დუმისა*, ქონისა, ხინკალის ჭამას (ი. ბაგრატი. 440, 3). **ყურის დუმა** ბიბილო. ყურის *დუმა* კაცს ასრე ეგონებოდა, რომ ბროლი მჯარზედ ჩამოსწვეთს (ხოსრ. 70, 5).

ახ. ქართ. **დუმა** 1. ცხვრის ქონიანი დიდი კუდი. ცხვარს უთქვამს: *დუმა* რომ არ მიშლიდეს, ისე გავიქცევი, ვერავინ დამეწევაო (ხალხ.). || *დუმა* მეგონა შორიდან ყველის ნაჭერი (მ. ელიოზ.). ფიგურ. ამ ვენახს ისე უნდა მოვუაროთ, რომ სანიმუშო გავხადოთ, *დუმასავით* მიწა და ვაზიც ძალიან თამამია (მ. კახ.). ◊ **დუმის სარჩული** დუმის ის ნაწილი, რომელიც ტიტველია. 2. კუთხ. (ქართლ.) ხელნის ნაწილი, რომელსაც ან გათლაშივე სქელს ტოვებენ, ან ნაჭერს აჭედებენ, რომ ბორბლის ტრიალისას მორგვმა ხელნა არ გახეხოს. 3. კუთხ. (იმერ.) «თოფის კონდახის ბოლო» (ი. ჭყ.). იხ. აგრეთვე: დიალექტ. **დუმა** (კავთ., ქართლ. მესხ., ზ. ქართლ მრეწ. IV, II, 115).

გადატ. ტვინიკიანი კაბის ნაოჭს *დუმებს* ვეძახოდით (შ. კახ. მრეწვ. III, I, 41).

დასტურდება სინტაგმა: 1. **ცხვრი დუმა** მცენარეა ერთგვარი, ქვებზე იზრდება როცა ქვებს მიწა თხლად დაეყრება, ზემოდან იზრდება, ჩვენ ბავშვები ვჭამდით კიდეც. 2. **ცხვრი დუმა** გადატ. ამბობენ ისეთ ნიადაგზე, რომელშიც კარგი მოსავალი მოდის, ნოყიერი მიწაა. „მანდ ისეთი ყანებია, როგორც *ცხვრი დუმა*, მიენ კარქი მოსავალი იცის“ (ჯავახ. ბერ.).

ჰრ. აჭარიაანის აზრით, ქართული დუმაკ და სომხ. duma ფორმებისათვის ამოსავალია ფალაურში სავარაუდებელი \**დუმაკ* (შდრ. ფალ. დუმ / დუმბ „კუდი დუმა < დუმაკ საკუთრივ ქართულში (გიგინეიშვილი 2010).

ახ. ქართ. **II. დუმა** [რუს. дума] 1. ისტ. რუსეთში – წარმომადგენლობითი კრება; ჰქონდა საკანონმდებლო ან ადმინისტრაციული ფუნქციით. [მეფის მთავრობა] სახელმწიფო *დუმას* იწვევს (შ. დად.).

საშ. ქართ. **III. დუმა** დუმილი მდუმარება, ჩუმობა – დ. ჩუმ.

ზმნის ძირია დუმ-. სხვა ქართველურ ენებში შესატყვისი არ უჩანს. გამოთქმულია მოსაზრება, რომ (იგი შეიძლება ნასესხები იყოს. მას ერთი ერთი მხრივ აკავშირებენ გერმანიკულ ენათა ფორმებთან შდრ. გერმ. dumm „სულელი, „გონებაჩლუნგი“ შესაძლოა მეორე ვარაუდიც, რომლის მიხედვით ქართ. დუმილი უკავშირდება ხეთურ ზედსართავს დუდდუმი „ყრუ“ და მისგან ნაწარმოებ ზმნიზედას 2. **დუმ-ილ-ი**; -ილ (მიმღეობისა და საწყისის სუფიქსი); \*დუმ- კი საერთო ქართველური ძირია (ფენრიხი, სარჯველაძე 1990). შდრ. ხეთ. duddumili (გიორგაძე 1979, 65).

### **დუმან-ი:**

საშ. ქართ. **I. დუმანი** ბევრი– საბა.

**დუმანი** [თურქ.-მონღ. თუმენ „ათი ათასი“] სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეული XIII–XV საუკუნეებში მონღოლეთსა და მათ მიერ დაპყრობილ ქვეყნებში (ქსე).

გამოცდა სამეფოსაგან დავითისა ცხრა *დუმანი* მწედარი (ქ. ცხ. II, 235, 10). და განაჩინეს თათართა ბევრისა მთავარი, რომელსა *დუმნის* თავად უწოდეს (ქ. ცხ. II, 207, 10).

საშ. ქართ. **II. დუმანი** [სპ.] ნისლი (დ. ჩუმ.). შდრ. (თურქ.) **დუმან** „ბოლი, ნისლი, კვამლი, მტვრის დრუბელი.

### **დურა:**

ძვ., ახ. ქართ. **I. დურაჲ** მოსასხამი: „*დურაჲ* სამეუფოჲ ოქსიკასტორი ოთხი; ერთი მათგანი ოქროქსოვილი არს“ (პეტრ. ტიპ. 34, 47).

ახ. ქართ. კიდევ გენახოთ ფირუზი..., მოესხას თავისი *დურა* (ხალხ.). თვალმახარამ ჭაბუკს ტახტზე ნაბადი გაუშალა, სასთუმლად ტყავი დაუკეცა, დააწვინა და *დურა* დაახურა (ა. გალდ.). დაბალი, შავგვრემანი, ჩოფურა, დაჯაგრული, ზამთარ-ზაფხულ *დურა ტყავში* გამოხვეული (გ. ლეონ.).

დიალ. ◊ **დურა ტყავი** ცხვრის ტყავისაგან შეკერილი წამოსასხამი, რომელსაც ბეწვი შიგნით აქვს მოქცეული; იხმარება ჩასაცმელად და დასახურავადაც, – ტყაპუჭი. „შენ *დურა ტყავს* მკათათვემიც არ იშორებ; რა დროს სუსხვავა?! (შ. არაგვ.). [გიგოლას] ჩააბარეს ჩომბახი მძიმე, წამოსახეს *დურა ტყავი* (ვ. ბარნ.).

იხ. აგრეთვე: (ხევს. ჭინჭ., ფშ. ხორნ., ქიზ. მენთ., შ. კახ. მრეწ. I, 436; თუშ. ცოც., შან., ქეშიკ.).

შდრ. **დორა** ბერძნ. ტყავი.

ახ. ქართ. **II. დურა** საუბ. პისტოლეტი, რევოლვერი. *დურის* ტარე-ბისთვის სროკს ნუ ამკიდებ, არ მეკადრება მე, მურტალოს იარაღზე ჯდომბა (ნ. დუმბ.). ევგენი ალექსანდროვიჩმა *დურა* დაუმრო (თარგმ. თ. კვაჭანტ.).

ახ. ქართ. **III. დურა** [არ. „დურ“ მარგალიტი] მაილო; სორგოს ერთ-ერთი სახეობა – ს. თეზ.

**დურად-ი:**

საშ. ქართ. **I. დურადის კრვა** კამბეჩთა და ცხენთა ავად გახდომა შეცივიებისაგან – დ. ჩუბ.

**დურადი** ავადმყოფობა, რომელიც ზამთარში დამზრალ ცხვარს (საქონელს) ზაფხულში გამოაჩნდება (დახეთქილი ფეხებიდან ჩირქი და სისხლი სდის). საქონელი «*დურადს*», ჭირს... გაეწყვიტა (ა. ყაზბ.).

**დურადი** ძალიან მაგარი სიცივე, ყინვა (ხევს. ჭინჭ.).

**დურადა** სიცივისაგან გამოწვეული ავადმყოფობა პირუტყვის. სიცივის დროს პირუტყვს ნაუღელა და „*დურადა*“ უჩნდება (მ. ბალ. ნ. მაკალ. 57, ხევს. ჭინჭ.).

აგრეთვე: *დურადავს*, *დურადნაკრავი*, *დურადს ჰკრავს* (ქართლ. ლექსიკ.).

შდრ. **დუმადი** (თურქ.) დიალ. სურდო.

ახ. ქართ. **II. დურადი** დურაყი. დურაყი «წლის ჯიხვი» (საბა).

ს.-ქართვ. \**დურაყ-* „წალი, ბერწი“ > ქართ. *დურაყი* (ჩუხუა 2000-2003).

დიალექტ. **III. დურადი** (თ. durak) გაჩერება, სადგომი, გასაჩერებელი. ოთობუსის *დურადი* ჩუენ ეზოსთან გუუკეთებიან (ად., ჩვენ. ფუტკ.).

**დურბელა:**

ახ. ქართ., დიალექტ. **I. დურბელა** იხ. II. დურბელა. მოაწყაპუნებს ჭრელი ყურშა *დურბელს* და ტალახს (მ. ლებან.).

**დურბელა** ძალიან მწარე, შხამივითაა. რა უბედური წარეა, თლა დურბელაა, რაგორნა დალიო (მესხ. ფეიქრ.).

ძალიან მწარე, შინაც შემოხრჩოლდა შხამი და დურბელა („ურაკვ.“).

ახ. ქართ., დიალექტ. **II. დურბელა** იგივეა, რაც დორბელა (გურ. ჯაჯ.). „დორბელა ყოველგვარი ცუდისა და ადამიანი შემაწუხებლის ზოგადი სახელია, იხმარება სპეციალურ გამოთქმებში. რა დორბელა მოუდა?“ (გურ. ჯაჯ.). შდრ. I. დურბელა.

აგრეთვე: **დურბელი**, **დურბლის ქარი**, კისრის ავადმყოფობა ძნელი მოსარჩენი (იმერ. ბერ.). ავადმყოფობა (სიმსივნე) ყელ-ყბის ჯირკვლებისა; შთამომავლობაზე გადადის. **დურბელმა** კისრის (=ყელის) გამოჭრა იცის (იმერ. გაჩ.). **დურბელი** ავადმყოფობა (იმერ. უკლება).

ქეგლში – **დურბელი** მიჩნეულია კუთხურად (იმერ. რაჭ.) და განმარტებულია როგორც (კისრის) ჯირკვლების ჭლექი.

**დურბელი** კანის კიბო, მჭამელი, ცუდი ნაფურთხი „დურბედი“ ავადმყოფობა (სვან. ლიპარტ.).

ზან. **დურბელა: დურბელაშ ქარი** დაავადებაა ერთგვარი (მეგრ. ქობ.).

დიალექტ. **III. დურბელა** მცენარე (იმერ. უკლ.).

#### **დურო:**

საშ. ქართ. **I. დურო** „მნიად გასატეხი“, სიმაგრე – საბა.

ახ. ქართ. დურო ძვ. ეთნ. სათოფური. მეოთხე სართულს ოთხივე მხრიდან დატანებული ჰქონდა ოთხ-ოთხი თაღიანი ჰუჭურუტანიანი „დურო“, რომელსაც თავიდან საისრის დანიშნულება ჰქონდა, შემდეგ სათოფურად გადაკეთდა (ვახ. ბერ.).

**დურო** ქვიტკირით ნაშენი ბინა-კოშკი მთარაჭაში შდრ. სვან. მურყვამი (რაჭ. ძიძ., 205).

**დუროიანი სახლი** საცხოვრებელი სახლი, სვანური კოშკის (მურყვამის) მსგავსად ნაგები ქვიტკირი. უმაღლ იყო *დუროიანი სახლი* სამატაჟიანი (რაჭ., დიალექტ. 532, 684).

ახ. ქართ. **II. დურო** [ესპ.] ესპანური ვერცხლის ფული, უდრის 20 რეალს. გინდა იშოვო ერთი დურო? (გ. ქიქ. თარგმ.).

ახ. ქართ. **III. დურო** მცენარე (ალ. მაყ.). ნასესხებია ლათინურიდან (ზ. მაყაშვილი, 1996).

დიალექტ. **IV. მდაბ. დურო** ქალის უკანალი (რაჭ. ბერ.).

#### **დუშმან-ი:**

საშ. ქართ. **I. დუშმანი** მტერი- დ. ჩუბ. ვინც იყოს თქვენი *დუშმანი*, სულნიმცა ამოხდებიან (შჰნ. I, 916,3).

ახ. ქართ. **დუშმანი** [სპარ. დუშმან] ძვ. მტერი. აღარ აფრთხობს ძველი ელდა, *დუშმნის* მოლოდინი (თ. ბექ.). ნეტავ კაი ყმის სამარის კარებიმც გაიღებოდა, დაილეოდა მაცილი, *დუშმანი* დამიწდებოდა («ლიტ. საქ.»). ფიგურ. იბრძვის ეს სული, გააფთრებით ერკინება *დუშმანს* (გ. ასათ.). (ჩვეულებრივია გამოთქმაში: მტერი და დუშმანი). ისემც ნუ მოუხედნია შენს მტერსა და *დუშმანს*, როგორც ჩემმა შვილმა ვერ მოიხედა (ს. მგალობ.).

დიალექტ. **II. დუშმანი** მაგრად მოხარული კვერცხის ჩაღრმავებული ნაწილი (მოხ. ქავთ.). შდრ. (თურქ. დიალექტ.) დრშ – გული.



## ე

### ეგირ-ი:

საშ. ქართ. **I. ეგირი** მცენ. კოთხუჯი – საბა, დ. ჩუბ.

კოთხოჯი, აირი *ეგირი* და მარილის თვალი თვითო დირჰამი... კარგად დანაყონ (იად. 135, 38). დიალექტ. **ეგირი, ინგირი** ვარსკვლავა, მცენარეა (გურ., რაჭ. ა. მაყ.).

საშ. ქართ. **II. ეგირი** (არაბ.) წელთაღრიცხვა მაჰმადიანთა, რომელიც იწყება 623 წლიდგან – დ. ჩუბ.

### ელი-ი:

ძვ. ქართ. **I. ელი** ღმერთის ერთ-ერთი ებრაული სახელწოდებაა.

**ელი/წლი.** ღმერთო ჩემო: „*წელი, წელი*, ლამა საბაქთანნი (საბაკთანნი C)“ (თ. 276 46).

**ელ** (ელოაჰ, შდრ.: არაბ. ალლაჰ), რომელიც ეტიმოლოგიურად „ძლიერის“ მნიშვნელობის ალ ძირს უკავშირდება და მიღებულია ელო-ჰიმ-ის გამარტივებით (დანელია 1998, 133).

საშ. ქართ. **II. ელი** არაბ. ქოჩად მავალი – დ. ჩუბ.

**ელი** არაბ. აჰლეს არაბული სახელი არის ელი, აჰლიათ ეს არაბული არის საზოგადო სახელი სხვათა და სხვათა ნათესავთა ელს უწოდებენ საქართველოს ერნი (ესე იგი მცხოვრებნი), ვინც ზაფხულით და ზამთრით ადგილს იცვალევენ; ზამთრით სახლთა შინა სცხოვრებენ და ზაფხულით – მთათა და გრილთა ადგილთა კარავთა შინა. **ელი** ჩვენებურად მას მცხოვრებთ ეწოდება რომელიც დღესაც საქართველოს და მცხოვრებთ მისთა ყმათა ჰყავსთ. თათარნი არიან, მახმადიანნი. ოცი ათასს სახლამდის იქმნებიან იგინი საქართველოს შინაგანს მამულში მკვიდრნი და ადრიდგანვე მარადის ყმანი საქართველოსანი (თ. ბაგრატ.).

ბნელმა კაცი დააბნელოს, ჭირით ბაძე, მონათ *ელსა* (ვახტ. VI, 37, 18, 2).

დაიფორაქეს *ელი* და დახოცეს მრავალი თათარი ყენისაგან შეწყალებულნი (ქ. ცხ. II, 342, 26). არამედ ზაალ ერისთავმან მოსწყვდნა ელნი კახეთს (ქ. ცხ. IV, 448, 2). იყო ერთი თარაქამა *ელთა* თავი ხვარასნელი (დ. გურამ. 135, 497, 2). (ყორნევი) მუსტაფა-ადას *ელი* ესახლა (სამ. IV, 224, 8). მერე მათს უმაღლესობას რომ *ელი* მოუბარებია, თუ მაგის ასაყრელათ ან ქართველი მოვიდეს და ან თათარი, ორივ დაიჭირეთ (სამ. VIII, 365, 6). მთიდან რომ *ელნი* ჩამოვიდნენ, გაწესებულნი მეფისათვის ფეშქაშად ცხენნი *ელზედ* და *ელზედ* მოიყვანონ და მოართვან მეფეს (სამ. დავ. 212, 1).

ახ. ქართ. შემოდგომაზე, *ელი* ჩამოვა თუ არა მთიდან, საქონლის პატრონი თათარი მთელ თბილისის გუბერნიაში წინა და უკან დაძრწის (ილია).

შდრ. ზან. ელანი, ელი (მეგრ. ყიფშ.).

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **III. ელი** იელი. აილე... ბუნდრი და ელი, და სუმბული და ასრიონი (ფანასკ. 172, 29).

**ელი** იელი (გურ. იმნ. 272, 7). – *ელებთან* იყო წახანე ძროხა (რაცხ. გურ). გრიგალი არის *ელის* წნელი (ელი ხე არის დაბალი და წვრილი (ქვ. იმერ. მრეწ. I, 302, იხ. ასევე (იმერ., რჭ., ლჩხ., ა. მაყ).

ელი < იელი.

საბა უთითებს, იელი – ხე, თაფლის განმრყენელი. დ. და ნ. ჩუბინა-შვილები კი აღნიშნავენ იელი – შავ-ფაფარა, თაფლის განმრყენელი.

ზან. **ელი** იელი (მეგრ. ყიფშ.). ს.-ქართვე. \*ი-ალ- „იელი“ > ქართ. ი-ელ-ი || იალ-ი: (ჩუხუა 2000-2003).

ახ. ქართ. **IV. ელი** [ინგ. Ale] ღია ფერის სქელი მაგარი ინგლისური ლუდი – მ. ჭაბ.

შოტლანდიის ლუდსახარში ...აწარმოებს *ელს* ზღვის წყალმცენარეებიდან („თბილისის ფორუმი“).

**V. ელი** ინგუშებისა და ჩეჩნების მითოლოგიაში მიწისქვეშეთში მდებარე საიქიო – ა. სიხ.

დიალექტ. **VI. ელი** „მელი“-სთან ერთად შელოცვის დასაწყისი სიტყვაა. „ელი ელებდა, მელი მელებდა, რას ხნებდა, ზღვას სნებდა... (იმერ. გაჩ.).

**ელამ-ი:**

ძვ., საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. ელამი** მრუდე: „გარდაიქცეს, ვითარცა მშულდი **ელამი**“ (ფს. 77, 57). „წინა-ალუდგებიან ვითარცა თუალნი *ელამნი*“ (A-92, 344).

**ელამად** „მრუდედ“. რათა მოქცევასა შინა სიმრგულისასა არარად *ელმად* და უცხოდ მიდრკეს (ქ. ცხ. II, 1, 48, 9). ვინაიდგან მხაზველობასა შინა უფრორე ხმარებულ არიან: *ელამნი*, ბრუდენი, მრგუალნი და გრკა-ლის სახე ხაზებნი (კალმას. II, 228, 5).

**ელამი** თვალბრუცი. *ელამი* და მჭლე მწითური ნათესავი ქიშვადისი (შპნ. II, 3079, 1).

ახ. ქართ. **ელამი** 1. თვალი, რომლის მხედველობის ღერძი უსწოროდაა დაყენებული დაყენებული, – მრუდე (თვალი). 2. ვისაც ასეთი თვალი აქვს, თვალმრუდი. [ნინო] ოდნავ *ელამი* იყო, ოდნავ კოჭლი და ოდნავ კუ-ზიანი (ა. ბელ.). გვადის იგი (= ნოქარი) *ელამი* ეგონა (ლ. ქიაჩ.).

დიალექტ. ციცაი ავით რომ იყო, იმის შემრე *ელამი* გახდა (ჩვენ. ფუტკ.). აგრეთვე: **ელამა** ელამი (თუშ. ცოც.).

ძვ. ქართ. **II. ელამი** კამარა, გუმბათი: „შორის *ელამსა* და შორის საკურთხეველსა“ (O, ეზეკ. 8, 16). „შემიყვანა მე ელამსა მის ტამრისასა და განზომა ელამი იგი წყრთითა ხუთ სივრცე... და სამჭრენი კარისა მის *ელამისანი* ათ წყრთა ამიერ“ (ეზეკ. 40, 48).

საბასთან დასტურდება: **ელამი** ბჭეთა თანა ალაგიან სადგომი კაცთათვის, რათა ჰამბვისა შესლვა-გამოსლვადმდე მუნ დაიცადონ. **ელამონი** კარის ადგილს სადგომი ადგილი Zaa. **ელაჲ** ელამონს ქვეით მომცრო კამარა კარის პირი ცალი Zaa. **ელამი** (ებრ.) ელამონი, დიდი კამარა, კარიბჭე, სტოვა (დ. ჩუბ.).

დიალექტ. **ელამი** ბიბლიურ წიგნთა ქართულ თარგმანში ბერძნული წყაროდან ჩანს შესული, რადგან მისი განსხვავებული იკითხვისები ზუსტად გადმოსცემს სათანადო ბერძნულ ფარდებს: **ელამი, ელამონი, ელამოთი**. თავის მხრივ, ბერძნული ფორმები ებრაულ წყაროში ამ სიტყვის მსაზღვრელი ნაწილაკის დართვა-დაურთველობითა და რიცხვის ცვლილებით არის განპირობებული (ცქიტიშვილი) – (გიგინეიშვილი 2016).

დიალექტ. **III. ელამი** ელაგი. **ელაგი** პატარა ბრტყელი თევზია (იმერ. გაჩ.). **ელვანა** ერთგვარი თევზი (გავრცელებულია აჭარისწყალში დაბა ქედის ქვემოთ). ჭარბობს წვერა, *ელვანა*, ჭაფალა და სხვ. (თ. სახოკ.). შდრ. **ელვანა** მწერ. წყალზე შავნი ჭუანი მიმორბენალნი – საბა. ელვის მსგავსი? სწრაფი?

**ელატი-ი:**

ძვ. ქართ. **I. ელატი:** „მაშინებელი, გინა მწაფელი!“ (საბა).

**ელატი** მდევარი, გამრეკავი. „ეგრეთვე პტოსისაცა ზედა ვიტყვთ უკუე **ო ელატის** და **ო ელატი**. „და ონისა მიერ ვიდრემე ართრონისა დავნიშნეთ „მარბეველი“, ხოლო ონისა მიერ დავნიშნეთ „ხე ელატი“ (ამონ. 110, 5).

ძვ. ქართ. **II. ელატი:** იგივეა, რაც აღმოსავლური ნამძვი – საბა. **ელატი** (ხე) სოჭი, ნამძვის გვარია (ნ. ჩუბ.). **ელატი** ἢ ἐλάτῳ ნამძვი: „ელატსა რომელსამე ქუეშე დამდებელი ყრმისად უშორესად-რე წარვიდა“ (ფლავ. 1: 12, 3).

**ელატი** [ბერძ. elate] [Picca orientalis] ძვ. იგივეა, რაც აღმოსავლური ნამძვი. ეკალმუხისა ისარი *ელატის* მშვილდით მშვენოდეს (ა. ჭავჭ.). ქვე დაზრა ზრონი და ელატ არს, შესაწყალა (დ. რექტ. 302 3, 3).

**ელატი** ნამძვის უძველესი დასახელებაა („elcaur“-ბასკურად კაკალი) (ზ. მაყაშვილი 115).

**ელევენ-ი:**

საშ. ქართ. **I. ელევენი** „საზრდელია მწყერმარხილთა, სავენებელს არგებს“ (საბა).

საშ. ქართ. **II. ელევენი** სარკმელი კამაროსანი, მაღალი ტაძართა შინა, გინა სახლთა (საბა). შდრ. ძვ. ქართ. **ელევი** კამარა: „ელევენი და ელამონნი და დანაკის – კუდები“ (I, ეზეკ. 40, 21).

**ემინ-ი:**

საშ. ქართ. **I. ემინი** (არაბ. emin) გამგე, უფროსი, ინტენდანტი, ზედა-მსტოვარი, მეფის ერთგულთაგანი. *ემინად* იყუნეს, შესცვივდეს (შპნ. I 447, 1). ისინი მოვლენ *ემინად* (შპნ. I, 921, 2).

ახ. ქართ. **II. ემინი** გულუბრიყვილო, არაეშმაკი ადამიანი (ქიზ. მენთ.).

დიალექტ. **II. ემინი ამინდი** ქართლ. კარგი ამინდი, დარი (თვალად. შატბ). **გაემინება** გამოდარება. *გაამინდება* გუშინ ავდრობდა, დღეს გადაიყარა და **გაემინდა** (თვალად. შატბ.).

**ერი-ი:**

**ერი** წერილის სიტყვით ჩვენებურად, სამხედროსა ჰქვიან. მგონია, ესე ებრაული უნდა იყოს, სწორეთ კი ვერ დაგიმტკიცებ და ირწმუნე, ერი არც (აპლ) აქედამ არს წარმოებული, არც ერიდამა. **იერე** ბერძულიც არის. საკუთრად ჩვენებური – ნათესავი, თესლი, მოქალაქე, მცხოვრები; სამხედრო, სამკვირცხლო, მკვირცხლნი ესენი, რომელსაც აქვს წასმული, სალაშქრონი ანუ ლაშქართანნი არიან და სხვანი (თ. ბაგრატ.). ერისგანნი ჯარისკაცნი. ერისთავი ჯარის უფროსი, მოსავე (თ. ბაგრატ.).

ძვ. ქართ. **I. ერი** «გუნდი», «შესაკრებელი», «ნათესავი», «ბანაკი», «მკედრობა», «ძალი», ჯარი, ხალხი «ერი»: „იუდა წარიყვანა *ერი*“ DE – „იუდა წარიყვანა მის თანა გუნდი ერთი“ (C, ი. 18, 3). „მოიყვანეთ *ერადად*“ G – „წარმოადგინოთ ნათესავად – ნათესავად“ M, ისუნ, 7, 14).

საშ. ქართ. **ერი** 1. კრებული. „უკუეთუმცა ოქროსა განუყოფდი *ერსა*“ (ბ. კეს. 143, 20, 2). **ერისა კაცი** ჯარისკაცი: „ჰრქუა *ერისა* კაცთა მათ“ (აპოკრ. 19, 32).

ზარი გახდა, შემოაკრფეს ქალაქისა *ერნი* სრულად (ვეფხ. 1075, 1). ანათლებს, ვითა ვარსკულავი, ლაჟვარდსა ცასა *ერია*, / მხესა წაუღო შვენება, მოაკლო ფერი *ერია*. / ხშირად სხდის უცხო თვალები, ვითა სეტყუა და *ერია*, / არ მოსრულიყო ქელმწიფე ჯერ, არცა მისი *ერია* (შპნ. III, 271, 4). მდიდარნი *ერისანი* ლიტანიობდეს (ქ. ცხ. II, 21, 8). **ერი** ხალხი. ვა, მგონე ერი, ლეო, სად ბედნიერი? (ბეს. 146, 23).

ახ. ქართ. **ერი** წარმომობილი ენის, ტერიტორიის, ეკონომიური ცხოვრებისა და იმ ფსიქიკური წყობის ერთობის ბაზაზე, რომლის გამოხატულებაა კულტურის ერთობა“ (სტალინი). ვაჟკაცსა უნდა უყვარდეს მამული, თავის *ერია* (ხალხ.). „ვეტრფი ჩემს *ერს* და სამშობლოს, ოცნების თავზე ვეველები (ბაჩ.).

**ერი** ხალხი, თემ-სოფელი. ლაშარს მშავლები ახორხორდა, გიგა არ სჯერდა თავისასა. – „გიგავ, დასჯერდი, და გენაცვალოს! *ერთა* ხობორი ცუდი არი“ (ხევს. პოეზ. 751, 4) – ალ. ჭინჭ.

აღდგენილია არქეტიპი \*ჰერ- > \*ერ (ჩუხუა 2000-2003).

საშ., ახ. ქართ. დიალექტ. **II. ერი** იერი. ისივ ეშმაკი მოვიდა, სხვაფერად, სხვაებრ *ერთითა* (შპნ. III, 419, 3). ადვილად საცნობი იყო კაცი ფშაურის ერთითა (ვაჟა).

ცის *ერზე* დაჩნდა კაციო (მთ.) – ა. შან.

ზან. ნერი იერი, ნირი, ეშხი, შარმი. ნერია იერიანი, ეშხიანი, მიმ-  
ზიდველი ნერი-ფერი იერ-ფერი (მეგრ. ქობ.).

დიალექტ. **ერი** (მთიულ. გუდმაყ.) ძალა, შნო (ა. ვირს.). გათენდა და  
საწუთროსა მოაფინა მისი *ერი* სხივი, სინათლე (შჰნ. III, 567, 1).

დიალექტ. **III. ერი** ერთი (გურ. შარაშ.). მაგის *ერი* მანეთი მმართვეს  
(რაცხ. გურ.).

### ეტლი-ი:

ძვ. ქართ. **I. ეტლი** 1. „ესე არს ურმის მსგავსი, კამაროსანი დიდე-  
ბულთ საჯდომელად“ – საბა. „ვითარცა ნიავექარი ეტლები მისი“ (იერემ. 4, 13).  
„მავლებელნი ეტლთა მათთანი“ (ო, ნაუმ. 2, 3). „ბრძანა დადგინებად  
ეტლთად მათ“ (ანდ. ანატ. 19, 3).

**ეტლის-თუალი** „ბორბალი, გოგორა“: „ეტლის-თუალნი ეტლებისა  
მათისანი ვითარცა ნიავექარნი“ (I, ეს. 5, 28).

**მეეტლე** ეტლის მძღოლი: „ყვნეს მკედრებად და რომელნიმე *მეეტ-*  
*ლედ* და წინამცოროვალად“ (ო, I მფ. 8, 11). იხ. აგრეთვე ამავე მნიშვნელო-  
ბით ეტლის – მწაფელი – ილ. აბულ.

ეტლი 1. ცხენებით სატარებელი მსუბუქი ოთხთვალა, – ფაეტონი.  
ორი ბედაური ცხენი ნიავესავით მიაქროლებდა ეტლსა (ი. გოგებ.).

2. ჭადრ. კოშკისმაგვარი ფიგურა, რომელიც სვლის შესაძლებლობე-  
ბით ლაზიერზე ორჯერ ნაკლებია.

**ეტლის** წარმომავლობის შესახებ შემდეგი მოსაზრებებია გამოთქმუ-  
ლი. 1. მეგრ. **ერტი** < ქართ. ეტლი, არ. იტლა (ანდრონიკაშვილი II, 1996).  
2. ს.-ქართვე. \*ეტელ-სიგან გამოჭრილი საკაცე“. ქართ. ეტლი, \*ეტელი: ზან.  
ატარი ჯამი, გობი (ხისა). ეტლი საერთო ქართველურ სინამდვილეში ხის-  
გან გამოჭრილ საკაცეს თუ აღნიშნავდა, თავდაპირველად ეტლი ბორბლი-  
ანი არ უნდა ყოფილიყო, ამაზე მეგრულის სემანტიკა მიუთითებს. შდრ.  
მეგრ. ატარზიდი „ხის გოდრის მზიდი“ (ჩუხუა 2000-2003).

საშ. ქართ. **II. ეტლი** ციური სხეული, „ცთომილი“, ვარსკვლავი. ცისა  
*ეტლთა* სინათლეო, დამწველო და დამანთქმელო (ვეფხ. 1107, 4). ამის  
*ეტლისა* პატრონი და მნათობი ზუჰალი არის (ეტ. და შვიდ. 10, 34). მბრუ-  
ნავიმცა ეტლი გიძღვის (შაჰნამე, III, 36, 2). მიუძღვის *ეტლი* საკეთო (ფემ.  
21, 109, 3).

ახ. ქართ. **ეტლი** ძვ. ცთომილი, ვარსკვლავი || ცრურწმენით – ბედის  
ვარსკვლავი. რა *ეტლზე* დაბადებულა! (რა ვარსკვლავზე დაბადებულა, რა  
ბედი ჰქონია). პოეტ. გადატ. ბედი, ბედისწერა სად არ ვიყავ, სად არა, ცხრა  
მთა გადამატარა *ეტლმა* წუთისოფლისამ (ი. ნონემ.).

დიალექტ. 1. **ეტლი** იღბალი, დავლათი; შნო, ლაზათი. ომათა ნათე-  
ლისძესა *ეტლი* თან ჩახყვა ღთისაო (ხევს. პოეზ. 52, 3) – ალ. ჭინჭ. ეტლრ  
იერი, შესახედაობა, ლაზათი. ნუ მოხკლავ, დამბადებელო, სოფელსა

ეტლი ხტდებაო (თუშ. ცოც.). გადატ. **ეტლი** უწყინარი, მორჩილი ადამიანი. *ეტლია* კაცათ (გურ. შარაშ.).

**ეტლიანი** კარგი ბედისა, ღვთისგან კურთხეული. *ეტლიანი* იყო ხვთისავარი, რამთვენგან დეცენეს იმის ცხვარსა და ერთხელაც ვერ აზარა-ლეს (ფშ. ხორნ.). ამავე შინაარსისაა **ეტლიან-დავლათიანი** (ხევს. ჭინჭ., მთ. კაიშ.). **უეტლო** ულაზათო, ავად შესახედი. დიდონი საერთოდაც რაყგვერემ უეტლონრ, თვარ მონა არარ დიდოები ხომ მაინც როგორღაც შეუხედა-ვები (უსანდომონი) არიან, თორემ ცუდი არაა (თუშ. ცოც.). **საეტლო** ბედისწერა. ბიჭებუ, საეტლო ხუ არ აგვერია (თუშ. ხუბ.) უსერტლო (უ-სერ-ეტლ-ო) შეუხედავი (სერი შესახედაობა, სახე, გარეგნობა) (ხევს. ჭინჭ.).

ამ სიტყვის ფონეტიკური ცვლილებების შედეგი უნდა იყოს მოხეუ-რის **უსეეტლო** უბედო, უანგელოზო, მოუსვენარი ადამიანი, ცხოველი. *უსეეტლო* ბაღდია, *უსეეტლო* ცხენია (მოხ. ქავთ.). დასტურდება ფუძეგა-ორკეცებული თანხმოვანშეცვლილი კომპოზიტის სახითაც. **ეტლიან-ბეტ-ლიანი** ბედნიერი, იღბლიანი (დალოცვაა ნეფე-პატარძლის). ეჯობო, შენ ნეფეს გაუმარჯოს, ქნეს *ეტლიან-ბეტლიანი* (ფშ. ხორნ.).

«ეტლი – ძ. არაბ. ტალა’ა ტალაა – „ამოვიდა, გამოჩნდა». ტალი’უ ტა-ლიუ – ამომავალი: ბედის ვარსკვლავი, ბედი: «ეტლი და ბედი შენზედა დაიწყებს ბრუნვას», ეტლი – მბრუნავი. «მბრუნავი საწუთრო ბედის ჩარ-ხი» (იუსტ. აბულაძე 1934, 584).

### ეშმა:

ძვ. ქართ. **I. ეშმაკი**, სატანა, მაცთური, ბოროტი, ავი სული: „ეშმაკი *ეშმაკსა* – განჰკდის“ (მთ. 12, 26). „შურითა *ეშმაკისა*დთა სიკუდილი სოფ-ლად შემოვიდა“ (ო, სიბრძ. სოლ. 2, 24). „*ეშმაკსა* პირი დაეყავნ“ (განს. ი. 201, 11). ამავე სიტყვისაგან გვაქვს ნაწარმოები სიტყვები: **ეშმაკეული**, **ეშმაკეულობა**, **საეშმაკო**.

საშ. ქართ. **ეშმა**, **ეშმაკი** – საბა. რად მოგრეგია ასრე ეშმა, რომელ თა-ვისა სულისა დაღვეისათუის ესრე ებრძუი და ცრემლთაგან თვალნი და-გიშურიან? (ვისრ. 106, 36). ვითა *ეშმა* დამეკარგა, არ კაცურად გარდამკოც-ნა (ვეფხ. 110, 3).

**ეშმა** ძველი ირანული ფორმაა (ავ. aešma = ავი სული, დემონი), ფა-ლაურში კი გვაქვს hešm მხოლოდ „რისხვის“ „ცოფის“ „ბრაზის მნიშვნე-ლობით (ანდრონიკაშვილი 1966, 317).

საშ. ქართ. **II. ეშმა**, **ეშმი**, ეშმის ქვა [არაბ.] ამარტა ან იასპი (დ. ჩუბ.). სახლები სულ *ეშმისა* და ამარტისა იყო შეწყობილი (რუსუდ. 207, 35).

ადრეულ ხანაში *ეშმას* იცნობდნენ იასპის სახელწოდებით (ქართ. მატ. ლექსიკ.). ამარტა – **ეშმა** – იასპისი – მოყვითალო ფერის საიუველირო ქვა (ფოფორაძე 2010; ზუხბაია 1982).

## 3

**ვადა:**

საშ., ახ. ქართ. **I. ვადა** დროის განსაზღვრული მონაკვეთი; პაემანი, ბორჯი – დ. ჩუბ.

**ვადა** [არაბ. ვა'და – დაპირება; დრო] 1. დროის განსაზღვრული მონაკვეთი. სამი დღე მომიცია ვადა!“ (ვ. ბარნ.). პრეზიდენტს... ირჩევენ ოთხი წლის ვადით (ი. გოგებ.). ვადა სესხისა 9 თვეა დადებული (ილია). 2. გარკვეული დრო (დანიშნული დღე, საათი..., რომელსაც არ უნდა გადასცდეს ნაკისრი (ან დაკისრებული) ვალდებულების შესრულება. ერთი საათი-და აკლდა ვადას, რომ შემოვიდა ვეზირი (ი. გოგებ.).

დიალექტ. იხ. აგრეთვე (ინგ. ლამბ.).

ვადე (არ. ვადე) დრო, დროის მონაკვეთი. „მოიდა წასლის ვადე“ (ინ., ჩვენ. ფუტკ.).

ვადა ზან. (მეგრ. ყიფშ.).

არაბ.-თურქ. vaat ვადა ზან. (ლაზ.) თანდ.).

საშ. ქართ. **II. ვადა** ხმლის ჯვარედი – საბა. ვადა ხლმის ტარი ჯვარედინი. უვადო ხმალი, ე. ი. ლეკური – დ. ჩუბ.

პირ-მზემან მაგარ-ვადამან (ვეფხ. 1244, 1).

**ვადიანი** ვადის მქონე. სახელ კაცი, საქმებრძენი, ხმალძლიერად ვადიანი (ბეს. 130, 39, 2).

ახ. ქართ. მახვილის (ან ხმლის) გადაჯვარედინებული ადგილი, სადამდისაც მახვილი ქარქაშში ჩადის. ალავერდში ნაპოვნია ბრინჯაოს მახვილი, რომელსაც ვადასთან სამი პარალელური, ბოლოსაკენ კი ერთად შეყრილი შაშრის ღარი აქვს (ივ. ჯავახ.). // ხმლის ან ხანჯლის ტარი. იძრო ხანჯარი, მუსასა გულში უმარჯვა ვადამდე (ვაჟა).

დიალექტ. იხ. აგრეთვე (ხევს. ჭინჭ., ჯავახ. ბერ.).

**ვალ-ი:**

ძვ. ქართ. **I. ვალი** «თანანადები»: „მიუტეო ყოველი ვალი თჳსი, რომელი თანა ედვას შენი მოყუასსა“ G, – „მიუტეო შენ ყოველი თანანადები შენი, რადცა თანა-ედვას მოყუასს შენსა“ (M, II, შჯ. 15, 2). „მიეც ღმერთსა ვალი ლოცვისა შენისაჲ“ (მ. ცხ. 306r). იხ. ძვ. ქართ. მოვალე, ვალიანობა – ილ. აბულ.

საშ. ქართ. დიდი მაცო თქვენი ვალი (ვეფხ. 432, 3).

სხვა ვალი არა ემართა (თეიმ. 316, 11). ჰკადრა: „ღმერთმან კვლა შემოგზღოს, თუცა დამდვა შენ მე ვალი“ (ნ. ციც. 423, 14). 5). თქვენც გმართებთ აწ გადახდა, თქვენზედ იღვა რაც მან ვალი (დ. გურამ). ლეხანელს კაცს საყანე ალაგი ან მიჰყიდა, ან ვალშიდ მისცა (სამ. IV, 14, 10). იქიდან აქამდინ ვალიც ამან გარდამიწყვიტა (სამ. VIII, 752, ქვ. 11).

ზან. **ვალი** (მეგრ. ყიფშ.).

ახ. ქართ., დიალექტ. **ვალი** 1. სესხად აღებული ფული, ნისიად წაღებული საქონლის საფასური და სხვა მსგავსი თანხა, რომელიც უნდა იქნეს გადახდილი. *ვალი* ჭუჭრუტანაში შემოძვრება, მერე ისე გაიზრდება, კარებშიც ვეღარ გაეტევავო (ანდაზა). *ვალი* და სესხი არ დაბერდებაო (ანდაზა). [სარქის ბეგაშვილმა] ასი თუმანი *ვალი* აიღო მოქალაქეებისაგან (ლ. არდაზ.). 2. მოვალეობა. «მივეშურები იქით, საითკენაც ჩემი *ვალი* მიმიწოდებს! ... სიკვდილი ან გამარჯვება!» (აკაკი).

**ვალი** მოვალეობა, ვალდებულება. „ჩვენ ეხლა აქ *ვალ* აღარ გვაქვ“ (ბ. გაბ. 123, 2) – ალ. ჭინჭ.

საშ. ქართ. **II. ვალი** (არაბ.) ისტ. ოლქის, პროვინციის (ე. წ. ვილაეთის) მმართველი თურქეთსა და ზოგ მუსლიმანურ ქვეყანაში.

ქართლს დაუტევა ალიმირზა ძე იმანყულისა ვითარცა *ვალი* (ქ. ცხ. IV, 515, 17). დაუტევა შანდირ ტვილისს ვითამ *ვალი* (ქ. ცხ. IV, 628, 6). კიდევ ჰკადრეს: მუხანათობს ვახტანგ გურჯისტანის *ვალი* (დ. გურამ. 93, 222, 2). ან რაღად უნდა ირაკლისა თავი ცოცხალი, თუ ქართველთ მეფეს დაერქმევა ყენის *ვალი*?! (ვ. ორბ.).

დიალექტ. **ვალი** მემრე *ვალი* იყო იზმირის ვილაეთისა (სტ.); ისტანბულ ქალაქში *ვალი* გახადა (ინ., ჩვენ. ფუტკ.).

*ვალი* არაბულ-სპარსული ლექსემა – [vali]. მისი მნიშვნელობებია: *ვალი*, მხარის მმართველი (ბართაია 2010).

საშ. ქართ. **III. ვალი** საცერი. „*ვალითა* გაცარ“ (ქანან.).

**ვალაი ელაქ** წვრილუჯრებიანი ფსკერის მქონე საცერი, რომელიც წმინდად ცრის (ინგ. როსტ., ღამბ.).

**IV. ვალი** მაგრამ (არაბ. -სპ. *ვალი*) „მაგრამ“ (ფერეიდ. ჩხუბ., 105).

**ვალა:**

საშ. ქართ. **I. ვალა** აბრეშუმის ქსოვილი. მან მოაფინა ჳმელზედა ყირმიზი *ვალა* ფენადო (შჳნ. III, 523, 1).

დიალექტ. **ვალა** აბრეშუმის მანდილი ან ხელსახოცი, – ბაღდადი. გაშალა *ვალა*, გაიმართა სუფრა (ჯავახ. მარტირ.). **ვალა** შარფი. „შავშეთიდან გადმუვედი, / გადმევტანე *ვალაო*, შენითანა მოშაირეს დაუყარე ჩალო“ (აჭარ. ნიჟ.). **ვალა** შარფი, შინნაქსოვი აბრეშუმის თავსაფარი ქალისა (აჭარ. ნოლაიდ. დარგ. X). **ვალა** (თ. ვალა) პირბადე, დედოფლის თავსაფარი. „დოდოფალ შეგვიკაზმენ, *ვალას* გადააბურვენ“ (ზ.). „დოდოფალ დანით ახდიდენ *ვალას*“ (ზ., შავშ.).

**ვალა** თავსაბური ზან. (ლაზ. თანდ.).

დიალექტ. **II. ვალაი** ერთგვარი საცერი, რომელიც წმინდად ცრის“ (შინამრეწვ.; ინგ. ღამბ.). შდრ. III. *ვალი*.



**ვანა:**

საშ. ქართ. **I. ვანა** ვანი, ბინა. დაშრეტავე სჯობს ბაზმისა, თუცა და-  
გიწვას *ვანანი* (ქილ. 422, 22) ნუ მიგაჩანს უკეთესად, ნურცა ერთი შენად  
*ვანად* (ვახტ. VI, 109, 172, 1). შდრ. ვანი – ილ. აბულ.

შდრ. (სომხ.) Վան სამყოფელი, სადგომი, ფალ. bān და ēvān, ახ. სპ.  
bān (ანდრონიკაშვილი I, 235).

ახ. ქართ., დიალექტ. **II. ვანა** [გერმ. Wanne რუს. ენის მეშვ.] საუბ.  
ლიტერატურულია აბაზანა. ჩაით, სადილით, *ვანი*თ, გათბობით, განათე-  
ბითა და დალაგებით... ოთახს ეძებს [წნელიშვილი] (ი. გედევ.).

მერე *ვანები* გავაკეთეთ, ვათბობდით თუჯეფში წყალს (გურ. იმნ.  
283, 11).

**ვარ-ი:**

ძვ. ქართ. **I. ვარი** (ბერძნ.) ციხე-სიმაგრე, სასახლე: „დაშენა ეკვატან-  
თა შინა მიდიაღსთა ვარი“ (ესე იგი არს ტამარი) (ფლავ. 10, 11, 7).

საშ. ქართ. **II. ვარი** სნება, გარდამდეგი სენი, სატკივარი (დ. ჩუბ.).  
იხ. I. ვარა.

**დავარვება** ტკივნეულება, შეწუხება, «განჭრეტა»: „თუალნი ქურივ-  
თანნი არა დავარვენ“ O – „ქურივთა თუალნი არა განვჭრეტ“ (იობ. 31, 16).

დიალექტ. **III. ვარი:** 1. (გურ.) იგივეა, რაც უარი, უარყოფით პასუხი  
თხოვნაზე, მოთხოვნაზე, წინადადებაზე. ქალმა იმასაც ვარი უყო და იყო  
ტანშიშველი (ა. ზეპირ.; აჭარ. ნიჟ.). ცივი ვარი მტკიცა (რაჭ. კობახ.). „შენ  
გოუცხადე იმას ვარი...“ (იმერ. გაჩ.).

დიალექტ. **IV. ვარი** (თ. ვარ) ქონება, სიმდიდრე. იმასა ბევრი ვარი აქ  
ანა-ბაბოდან დარჩენილი (ინ., ჩვენ. ფუტკ.).

ახ. ქართ. **V. ვარი:** დენის რეაქტიული სიმძლავრის ერთეული.

ახ. ქართ. **VI. ვარი:** ალაბი (ი. იმედ.). იგივეა, რაც ადლი, სიგრძის სა-  
ზომი ერთეული; გადატ. საზომი კრიტერიუმი.

**VII. ვარი** ქართული დასარტყამი საკრავი (ა. ყიფში.).

**ვარა:**

საშ. ქართ. **I. ვარა** სენი. დაბანიტა და ვარაი სენებს ჰქვიან ასურუ-  
ლად – საბა. იხ. II. ვარი. საშ. ქართ.

**II. ვარა** 1. ესე არს ყვავილთა მრავალფოთლობა ნამეტნაობით ბუნე-  
ბითსა (საბა).

ახ. ქართ. **III. ვარა** (ესპ. Vara) სიგრძის საზომი ლათინური ამერიკის  
ბევრ ქვეყანაში) უდრის 80 – 100 სმ-ს)

საშ. ქართ. **IV. ვარა:** (ცხოვ.) ვარას გავწონდი ვეგ ზედან, მწვადი  
ცეცხლს მაქვდის ცვრიანად (ბეს. 116, 10).

**ვარვარ-ი:**

საშ. ქართ. **I. ვარვარი** ბარბაროზი – დ. ჩუბ.

შდრ. **ბარბაროზი** (ბერძნ.) წარმართი -დ. ჩუბ. **ბარბაროსი** [ბერძ. ბარ-ბაროს უცხო, უცხოური] 1. ველური ადამიანი, მოძალადე, კულტურის მტერი. 2. ისტ. ძველ საბერძნეთსა და რომში – ყველა უცხოელი (არაბერძენი და არარომეელი).

საშ. ქართ. **II. ვარვარი** ლაპლაპებს, უკომლოდ ანთია – დ. ჩუბ.

ახ. ქართ. **ვარვარი** სხეულის (უპირატესად ლითონის) ძლიერი გახურება, როდესაც ის ფერს იცვლის (წითლდება, თეთრდება) და შუქს გამოსცემს, ელვარებს. რკინის ვარვარი სამჭედლოს ქურაში. – კეცი ისე გახურდა, რომ ვარვარი დაიწყო, || რისამე დიდი სიმხურვალე. ◊ ვარვარი გააქვს (გაუდის) ისე ძლიერ გახურებულია, რომ შუქს გამოსცემს. გამდნარ რკინას ვარვარი გააქვს. იხ. ასევე ვარვარა „ვარვარ- რედუპლიციონებული ფუძეა, რომლის სვანურ შესატყვისად მიჩნეულია უარ- უალ „ბრწყინვა“ (გიგინეიშვილი 2016).

**ვარია:**

საშ. ქართ. **I. ვარია** ზრდადუმთავრებელი ქათამი (კვერცხის დებამდე). და ამრიგი საქმელები აჭამონ: ვარია, ხოხობი, დურაჯი (იადიგ. 364, 13).

დანაბი, თავს ნუ ანებებ ვარიათ დასაპეპლადა! (დ. გურამ. 64, 24, 2). საჭამადი... მათგან ასკატაკი და ვარიებე (ფანასკ. 297, 38).

ახ. ქართ. შავი აქ დაკლა ვარია, თეთრი თან წაიტანაო (ხალხ.). ქათმის პატარა შვილს წიწილა ჰქვია, მოზრდილს – ვარია (ი. გოგებ.).

დიალექტ. **ვარიებს** რომ დავკლავდით, შევწვავდით (ზ. ქართ. III, II, 135). დასტურდება ვარიკა-ც (მესხ.-ჯავახ. ლეონ.).

ვარიკა ვარია ქათამი ზან. (ლაზ. თანდ.).

საშ. ქართ. **II. ვარია:** ვარიად ითქმის ყურდგლის დიდი ბაჭია (საბა).

**ვარია** მიღებული ჩანს ვარიკა-საგან. შდრ. მეგრ. ვარიცა, (სომხ.) varik (გიგინეიშვილი 2016).

საშ. ქართ. **III. ვარიას** ემახიან გლეხნი სადღობელსა (საბა).

ახ. ქართ. ვარია სადღვებელი. აქვეა წყლის საზიდავი თულუხი, ერ-ბო-კარაქის სადღვებელი «ვარია» («სახალხო განათლ.»). [აჭარაში] ვარია – სადღვებელი მაწვნისა – იმგვარივეა, როგორც ქართლში (თ. სახოკ.).

დიალექტ. **ვარია:** არის ასეთი თქმა: „გელსუნდელთა მოსავალი ვარიაში ჩავყარეო, სათესლეც ზედ დავაყარე, ნახევრად ვერ მოვყარეო“ (ჯავახ. ბერ.), იხ. აგრეთვე (ჯავახ. ზედგ., მარტ., ჩვენ. ფუტკ., შავშ.). აგრეთვე: (ზ-აჭარ. კობერ. 146; აჭარ. ნიჟ., ფშ. ქეშიკ.).

**ვარია** || **ვარელა**, (აჭარ. სურმ.). **ვარიანი** სადღვებელი (ალი, ქართლ. მესხ., იმერ. ქავთ.).

ზან. (მეგრ.) **ვარია** (|| **ვარელა**) (ფრ. ბარილ) თიხის ან ხის მოგრძო ჭურჭელი, რაშიც კარაქს იღებენ რძის ან მაწვნის შედღვებით, – სადღვებელი.

ს. ქართვ. \*ტარ- „ურო“ > ქართ. ვარ-ია (-ე), ვარ-იან-ი : ზან. ურ-ო < \*ვორ-ო (ჩუხუა 2000-2003).

დიალექტ. **V. ვარია** ურო, დიდ ჩაქუჩი. პატარას კუერი ჰქუიან, დიდსა კი ვარიაი (მოხ. ქავთ.).

ვარიოზი (თ. varyoz) დიდი ჩაქუჩი, ურო (მთ., მოხ., მესხ., შავშ.) და სხვ.

ძვ. ქართ. **VI. ვარია** „...ქარაგმას ეწოდების, რომელ არს მძიმე“ – საბა.

იოანე პეტრიწს პროკლე დიადოხოსის თარგმანებაში აშიაზე მო-ჰყავს პროსოდის ათი ნიშანი ბერძნული სხელწოდებებით: ოქსია, ვარია, პერისპომენი, მაკრა, ვრაქია, ფსილი, აპოსტროფოს, ჯვენ, ჯოდისტელი (H-1337, 100r). ამ ცნობას საბა იყენებს თავის ლექსიკონში. საინტერესოა მისი განმარტება ეფრემის მიერ შემოღებულ ორ პროსოდისეულ ნიშანზე „ამას ეწოდების ოქსია, რომელ არს მახვილი. სადაცა სიტყვასა ზედა აკრულ აქვს, მუნ ქმისა ამაღლება ჯამს: ამას ეწოდების ვარია, რომელ არს მძიმე, სადა ქუეიდამ უჯდეს, მუნ ჯმისა დამდაბლება ჯამს აღსანიშნავია, რომ მახვილის ნიშნები – ოქსია და ვარია, რომლებიც ბერძნულის გავლენითაა შემოღებული, ქართულ ხელნაწერებში მიანიშნებს გამორჩეულ ინტონაციას, კითხვით (ან ბრძანებით წინადადებებს) (დანელია, სარჯველაძე 1997, 324).

### ვასვასა:

საშ. ქართ. **I. ვასვასა** ძვ. «მძიმე ფიქრებით შეპყრობილის მდგომარეობა, უძილობა (სენი)» («წიგნი სააქიმოჲ»). **ვასვასა** (არ. ვასვასა) ცთომა. ტვინის ავადმყოფობა–მძიმე ფიქრებით შეპყრობა (იად.). ვასვასა რომელ არს სიცოფე და სხვანიცა რამე უცხონი და საკურველნი საღმობანი (ქანან. 8, 33). ვის საურავი და შეჭირვება შეექნას, შიში ემშავის მაგიერი, და ან ცნობის წასულა და ან ვასვასა (ქანან. 77, 9).

ახ. ქართ. **II. ვასვასა**: 1. (ქიზ.) რასაც ვასვასი გააქვს. ვასვასი გააქვს, გაუდის, – ელვარებს, ლაპლაპებს, პრიალებს; ბიბინებს – ქეგლ.

### ვახ-ი:

ძვ. ქართ. **I. ვახი** «ვაშტი», «მმაცუვა», გულძვირობა, ცუდის ზრახვა: „ვახად აღუდგა მას“ M, – „აღდგა ვაშტად ძმისა თვისისა“ G, – „მმაცუვად აღდგა მას ზედა“ (pb., II, შჯ. 19, 18). „ვახი გულსა ედვა აბესალომს ამნონისთვს“ (O, II, მფ. 13, 32).

საშ. ქართ. **ვახი** ვასხი, ვახში – საბა.

საშ., ახ. ქართ. **II. ვახი** ძვ. „საკრავია ერთი“ (საბა, თ. ზაგრატ.). გაგრძელდა სმა და პურობა, ხმა წინწილისა, ვახისა (დ. გურამ. 91, 202, 20). მოკრფეს ჯარი სატურფალი, „ვახი“ ჰქონდეს მუნ მჭვრეტელთა (ვახტ. VI, 29, 50, 2).

**ვილა:**

საშ. ქართ. **I. ვილა** (სომხ.) ნასთის ბოკელი, შულო – საბა.

ახ. ქართ., დიალექტ. **II. ვილა** [ლათ. villa] მდიდრული სახლი ქალაგარეთ. ბაღიანი მდიდრული აგარაკი. ნიკოლაძეს დიდი მოკრძალებით როდენის *ვილაში* და ატელიეში შევჰყავდით (გ. ქიქ.).

**ვილა** ვილა. „ჩუენ ჯუმურ ბაშქანსა ვილიეზი აქ ამერიკას“ (ინ., ჩვენ. ფუტკ.).

**ვრაქია:**

საშ., ახ. ქართ. **I. ვრაქია** არს ადგილი ზღვათა შინა – საბა. ქეგლ.

საშ. ქართ. **II. ვრაქია** ქარაგმაა ამგვარი – საბა. „პროსოდის ათი ნიშანი: ოქსია, ვარია, ...მაკრა, ვრაქია“ (H-1337, 100r).

## ზ

**ზაზაკ-ი:**

ძვ. ქართ. **I. ზაზაკი** სადაფქარი; ზამზაკი ზამზიკი, ზღვის ნიჟარა, მარგალიტის მომქმედი – დ. ჩუბ.

შდრ. **ზამზიკი** ნიჟარა. „თვთ ვითარცა მარგალიტი საშოვალ ფიცართა ზამზიკისათ“ (ეპ. კვპრ. -აღვს. 227, 17).

**ზამზაკი** ძვ. მარგალიტის შემცველი ნიჟარა – ქეგლ

დიალექტ. **II. ზაზაკი** ნაკლი (გურ. შარაშ., ზ. გურ. კიწმ.). **უზაზაკო** უნაკლო, უმიზეზო. „უზაზაკო შვილები მყავს დიახაც... კოჭლი არაა და ბრუტიანი“ (ლექს. ალაგ.).

შდრ. **ზაზაკიან** ნაკლის მქონე, ნაკლოვანი (სვან. თოფ. ქალდ.).

დიალექტ. **III. ზაზაკი**. მტყუანი, დამნაშავე. არა, რაც უნდა პატივი ცეს ახლა, ერთში მაინც არი ბიცოლაჩემთან ზაზაკად (იმერ. ქავთ. III).

**ზავალ-ი:**

საშ. ქართ. **I. ზავალი:** მე გამათავა, აწ შენზედ მოიცლის, არ აქვს ზავალი (არჩ. 270, 434, 4). თეიმურაზ პირველის კრებულის 1934 წლის გამოცემაზე დართულ ლექსიკონშია მითითებულია, რომ (შემდგენელი გ. ჯაკობია) თითქოს აქ უნდა ვივარაუდოთ რუსული სიტყვა завал ზავავი, შვავი ხერგი.

დიალექტ. **ზავალი** (არ. ზევალ) ზვავი. „ამ წვიმებზე მიწა გახეთქილა და გზაში ზავალი ჩამოსულა (თ. ქ.). „თოვლის ზავალები კიდვენ იცის მემლექეთში!“ (ინ., ჩვენ. ფუტკ.).

შეიძლება **ზავალი** სხვადასხვა ენებიდან იყოს ნასესხები.

დიალექტ. **II. ზავალი** (zavalli) ღარიბი, ღატაკი, უბედური. „რა დეემართა ზავალსა (ბ.), „მომკდარა ზავალი კაცი (ჰ.), „ზარხოშია ზავალი, ბევრი უსუამს შარაბი“ (ინ., ჩვენ. ფუტკ.).

**ზალა:**

საშ. ქართ. **I. ზალა** (ფრანც.) დარბაზი – დ. ჩუბ.

ახ. ქართ. **ზალა** [გერმ. Saal] დიდი ოთახი ბინაში ან დაწესებულებაში; დარბაზი. ზალა სულ მაყურებლებით გაივსო (აკაკი). || სასატუმრო ოთახი. შვეიპარე სახლში. ზალა ჩუმად გავიარე (აკაკი).

საშ. ქართ. **II. ზალა** შიმში, ოჟორა, სამართი კალატოზთა – დ. ჩუბ.

შდრ. ძალაყინი, ზალაყინი ძელი სანგრევი კედელთა ან საკეტი კართა – დ. ჩუბ.

ს.-ქართვ. \*ზალ- „გასწორება; ხაზვა; გამართვა (ჩუხუა 2017).

საშ. ქართ., დიალექტ. **III. ზალა** წალა, ჩირქი – დ. ჩუბ.

ზალა თუშურად ჩირქია (ა. შან.; თუშ. ცოც.). შდრ. (ძვ. სპ.) სელე სიმ-სივნე.

დიალექტ. **IV. ზალა** მარილიანი, მლაშე წყალი, რაშიაც ყველს ინახავენ. წათხი წინ უყრავ იფქლის ლავაში, ხაშლამა ცხვრის და ძროხისა, ყველი ნადები ზალაში (ბ. 476, 19) – ივ. ქეშიკ.

**ზალა-ძმარი** წათხი, წაკა (ხევს. ჭინჭ., ფშ. ქეშიკ., ფშ. ხორნ.).

აღდგენილია, ს.-ქართვ. \*ზალა „მლაშე; წათხი თუშ. ზალა მლაშე წყალი (ჩუხუა 2017).

დიალექტ. **V. ზალა** ძალა. ემ არაყს ზალაჲ არ აქ (ინგ. ღამბ.). ზალა < ძალა.

დიალექტ. **VI. ზალა** კნინ. რძალი. ეტყოდიან ქალასაო, ასმენდიან ზალასაო (ხევს. თავისებ. 437, 17; აღ. ჭინჭ.). **ზალაჲ** ბიცოლა, ძალუა. ზალაჲ ბიზაჲ დეკაცი (ბიძის ცოლია) (ინგ. ღამბ.). **ზალა** ძალო (ინგ. როსტ.).

### ზანგ-ი:

საშ., ახ. ქართ. **I. ზანგი** კაცი შავი. ერთი ზანგი ვამსახურე (ვეფხ. 1144, 4). რა ესე წიგნი მისცეს მას გრძნეულსა ზანგსა, მცირე ღართწამოსხმული გაფრინდა ვითა ისარი (ამირან. 742, 7). ზანგთ საკვდავად გულნი მისნი მიხარეს (ბეს. 183, 4).

თავს, პირს იცა, დაილება, მუნვე გახდ, ვითა ზანგი (ნ. ციც. 424, 103, 4). **ზანგეთი** გრძნეულთა, ჯადოქართა ქვეყანა. მე... მზე ვარ და ლამაზთა სიტურფითა მეფე ვარ ზანგეთისა (ვისრ. 260, 20).

**ზანგი** [სპარ. ზანგი «შავკანიანი»] შავკანიანი ადამიანი, – ნეგრი. ბუნება ადამიანისა... ზანგია თუ თეთრი, დიდთავა თუ წვრილთავა, ყველგან ერთი და იგივეა (ილია). აფრიკა დასახლებულია უმეტეს ნაწილად შავ-კანა ზანგებითა (ი. გოგებ.).

დიალექტ. **II. ზანგი** (სპ.) ზარი (ინგ. როსტ.). დაანგრივეს საყტრევ, ქომბადთ (გუმბათიდან) ზანგევ (ზარები ჩამაგდეს (ინგ. ღამბ.).

საშ. ქართ. **III. ზანგი** კბილის სიშავე (ჟანგი). კაცმან რომე უდი დანაყოს, გაცრას და ცოტა მარილი ურიოს და დამრულსა კბილზედა დაიყაროს... ზანგსა და ბაყლსა გარდაართვამს (იადიგ. 209, 37).

დიალექტ. **ზანგი**: გაზანგული (სპ. ჟანგი) გასვრილი, გათითხნილი (იმერ. ბერ.) აგრეთვე (გურ. ღლ.) შდრ. ზანგელაჲ (აჭარ. ნიჟ.) ძანგელა/ჲ (მესხ. მაისურ.).

### ზანდუკ-ი:

ძვ. ქართ. **I. ზანდუკი** სხვათა ენაა, რომელსა აწ უწოდენ; ქართულად კიდობანი ჰქვიან (საბა). ზანდუკი ყუთი: „მომართუთ ზანდუკი იგი თუალებისად, და მოიღეს, მაშინ განაღო ზანდუკი იგი და იწყო აღმოღებად ქვებსა მას და მარგალიტებსა“ (მ. ცხ. 52v).

საშ. ქართ. **ზანდუკი**: ძღვენსავე თანა თავსაბურავი ოქროქსოვილი ორასი *ზანდუკი* (ვისრ. 273, 1). მოაღებინა ხელმწიფემან თორმეტი მსხვილი *ზანდუკი* სახელმწიფოთ ტანისამოსითა (რუსუდ. 51, 9). ლალ-გოარი გაუთლელი *ზანდუკებით* მოედინა (ნ. ციცი. 415, 54, 2). ვეცხლისა დიდი *ზანდუკი* ბროლით გაკეთებული (საბა 276, ქვ. 3). ერთს მის მსგავს დევს მისი *ზანდუკი* ეპყრა (ყარამ. 379, 6). შეჰკრეს ყუელა – და აჰკიდეს – *ზანდუკი* დაბეჭდულები (შჰნ. I, 193, 2).

ახ. ქართ., დიალექტ. **ზანდუკი** (არაბ. sandók) 1. 1. კიდობანი (საბა), – ხის სახურავიანი ყუთი, გარედან ჩვეულებრივ თუნუქით შემოჭედილი; ხმარობენ საოჯახო ნივთების (ზოგჯერ სანოვავის) შესანახავად (სინონ. სკივრი). [ლუარსაბს] ვსთხოვე... ფული შეენახა დაკეტილ *ზანდუკში* (ლ. არდაზ.).

იხ. აგრეთვე: (ქართ. მტკ. სამ. მრეწ. I, 241; ზ.-იმერ. მრეწ. I, 444; ქვ. იმერ. მრეწ. I, 445; ქიზ. მრეწ. I, 431; გურ. მრეწ. I, 452; ქვ. რაჭა, მრეწ. I, 447).

ქართულ დიალექტებში **ზანდუკი** ნაირგვარი ფონეტიკური ვარიანტებით დასტურდება. კერძოდ: იმერხეული: სანდული (მარი 1911, 59; ძიძიგური 1956, 39); სანდუკი (გიგინეიშვილი 1961, 654); გურული: ზანტუკი (ჟღენტი 1936, 224); ზანდული: (ზ.-აჭარ. კობერ. 172; აჭარ. ნიჟ., ჩვენ. ფუტკ.).

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ზანდუკის წარმომავლობის შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა. საბა მოცემული სიტყვის სადაურობას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს (საბა 1991, 276). დ. ჩუბინაშვილი მას სპარსიზმად მიიჩნევს. არაბული წარმომავლობისადაა ჩათვლილი ი. ყიფშიძისა (1994, 440) და ი. აბულაძის (1938, 361) მიერ. მ. ანდრონიკაშვილი მიუთითებს, რომ ქართულში ის სპარსულ-არაბული ნასესხობაა (ანდრონიკაშვილი 1996, 205).

სავარაუდოდ, მისი შემოსვლის გზა უშუალო და ზეპირია, ხოლო XV საუკუნიდან უკვე წერილობითი ფორმით, თარგმანებიდან, ხვდება სპარსულის გზით იგი ქართულში (იმედაძე 2014, 160). სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია, რომ არაბული და სპარსული წარმომავლობის სიტყვებში **ს** ხშირად მჟღერდება. ...**ზანდული** // **ზანდუყი** ვარიანტები აჭარულში, თურქული **სანდაკ** ფორმიდან მომდინარეობს... ზანტუკი ფორმა გურულში მიღებულია ზანდუკისაგან დისტანციური ასიმილაციის (გამკვეთრების) საფუძველზე. ... სვან. ზანდუიკ // ზანდიკ < ზანდუკი (ი, უ ბგერთა მეტათეზისის საფუძველზე (ავალიანი, დადიანი 2005, 3-5.).

ძვ. ქართ. **II. ზანდუკი** ხორცისფერი, «წითელი»: „რომელ ზანდუკითა გამონიშნული (წითლითა გამონიშნული)“ (A-1335, 2v). „რომელი იგი *ზანდუკითა* არს (რიცხვ), აუწყებს თითოეულის წიგნისა წამებათა განწესებასა“ (S-407).

გადატ. **ზანდუკი** საძიებელი, ცხრილი წიგნისა: „*ზანდუკი* საწელიწდომ, გამოკრებული სახარებისად, საძიებელი“ (Q-1062); „განთესულნი არ-

ღარა დავეწერენ ამისთვის, რამეთუ *ზანდუკი* მასვე მოასწავებს“ (A-484, 10r). „შევეწირე ოთხთავი ერთი სრული და გამოკრებული *ზანდუკითა* და კამარითა“ (A – 484, 315).

**მეზანდუკე:** ერგო... *მეზანდუკეს* თანბერინას შვილი რომ ზის, ის დუქანი თავისის სიგლითა (სამ. IV, 296, 21).

**ზანდუკი**, იგივე ბერძნ. Σανδύκ ანუ „წითელი მელანია“. და ამ მნიშვნელობით ეს სიტყვა XI საუკუნის ტექსტში კი ეგევე სიტყვა „სარჩევს“ აღნიშნავს. რომ გასაგები გახდეს ამ სიტყვის მნიშვნელობათა ასეთი ცვლა, უნდა გავითვალისწინოთ, რომ წითელი მელნით ანუ **ზანდუკით** იწერებოდა სათაურები და ამ სათაურთა კრებულის ანუ სარჩევის დასაწყისი ასოები (ან თვით სარჩევი მთლიანად) რადგან „სარჩევში“ დომინირებდა წითელი მელანი ანუ *ზანდუკი*, თვით მელნის სახეობის სახელწოდება მეტაფორულად გადატანილ იქნა ამ მელნით შესრულებულ სარჩევზე (დანელია, სარჯველაძე 1997, 302; აბულაძე II, 1976, 85).

ახ. ქართ. *ზანდუკი* ძვ. სარჩევი (წიგნისა). „ყარამანიანის“ *ზანდუკი*.

**III. ზანდუკი** რეისტრი – თ. ბაგრატი. შდრ. რეესტრი-ი [საშ. ლათ. *registrum*-იდან რუს. ენის მეშვ.] ოფიც. 1. სია, ნუსხა. 2. საქმეებისა და დოკუმენტების ჩასაწერი წიგნი, დავთარი.

#### **ზარ-ი:**

ძვ. ქართ. **I. ზარი** მწყობრი, გუნდი; ხალხი. „აჰა ესერა *ზარი* დიდი წარმოჰვლიდა, და იტყოდეს წარმავალნი“ (მ. ცხ. 311v).

შდრ. არაბ.-სპ. *zâri* გლეხი.

საშ. ქართ. **II. ზარი** (სპ. ზაჰრ.) შხამი, გესლი. გემოდ გუელისა *ზარსა* ჰგავს (ვისრ. 53, 22). შდრ. **ზაჰრიანი**: იმას თუ უკუნისამდიცა შეაგუბებ და მსახურებ, იგივე *ზაჰრიანი* გუელია, ოდესცა კბენა დაემართების (ვისრ. 231, 6).

„რად არ ასპიტისა გუელისა *ზარი* შევსუი?“ (ვისრ. 225, 35). ვეშაპი... *ზარისა* – გესლისა და ნაფასისა მთესვარი (შჰნ. III, 279, 31). და თერიაყსა მოსაკლავად აღზავარდს *ზარი* გაერივა (შჰნ. I, 1989, 4).

**ზერია** (სპარ. ზეჰრ, ზაჰრ) შხამი, საწამლავი. ესენი დაძღნენ თრიაყით, *ზერია* რა სასმელია (შჰნ. II, 3771, 3).

სპ. *zâhr* – „შხამი, გესლი“. საშ. სპ. ზაჰრ – „შხამი“, (სომხ.) „ზაჰრ“ (ანდრონიკაშვილი II, 1996).

საშ. ქართ. **III. ზარი** ოქრო. „მერმე გაუგზავნა შაჰრო ასულსა, ვითა ჳელმწიფეთა წესია, ეგრე *ზარიანად*, მაჰრანით კუბო ოქროითა, თუალითა მარგალიტითა შეკაზმული“... (ვისრ. 39, 33).

დიალექტ. **ზარ** ბრჭყვიალა ამობურცული წერტილები ანუ ბზინები ქსოვილზე. ისტიფას შიგ *ზარ* აქ (ინგ. ღამბ.). საშ. სპ. *Zarrën* – „ოქროსი“, *ზარრ* – „ოქრო“. ძვ. ირან. \*ზარნუ (ანდრონიკაშვილი II, 1996).



ზარი სპარსული ლექსემა – [ზარ]. მისი მნიშვნელობებია: ოქრო და მოხუცი. ქართულში ეს სიტყვა დავიწროებული სემანტიკით შემოსულა (ბართაია 2010).

ძვ. ქართ. **IV. ზარი** შიში. „დაეცა მათ ზედა ზარი და შიში ფრიადი“ (O, ნემ. 6, 15). „კელარი იგი შეპყრა შიშმან და ზარმან ფრიადმან“ (მ. ცხ. 424r).

**ზარი** დიდი ხმაურობა, ტირილი, მოთქმა, შიში, ძრწოლა. ორთავე ლაშქართა შიგან იყო კვილი, ზათქი და ზარი (რუსუდ. 378, 14). ეგრევე ტირილითა და ზართა მოვიდა (რუსუდ. 199, 12). ერთი ასეთი ზარი მი-თქსო ე შვიდი წელიწადიაო, რომე შინ მოსვლა აღარ მიაგებაო (რუსუდ. 31, 35). ამ სიტყვასა ტკბილად გითხრობ, გაგეხარდეს, არ გეტყვი ზარს (არჩ. 203, 117). მისთა ლაშქართა შიგან ზარი და ტირილი შეიქნა (შპნ. III, 508, 25). დასცა ლაშქართა ზარი (ამირან. 139, 4).

ახ. ქართ. უზომო შიშით ან რაიმე საშინელი სანახაობით, ამბით გამოწვეული შემფოთება, – შეძრწუნება, ელდა. და [ბერმა] შიშით, ზარით გარს მოიხედა (ილია). // ის, ვინც, ან რც შიშსა და ძრწოლას იწვევს. ისპანია, ერთხელ გათქმული და ზარი ევროპისა, თითქმი მიწასთან გასწორდა (ილია). || გადატ. ელდა (მოულოდნელი სიხარულით გამოწვეული. ვით დიდ ბოროტს, ისეც დიდ მადლს თავისი ზარი ჰქონია (ილია). 2. ძვ. სამგლოვიარო უსიტყვო გალობა მიცალებულის გასვენებისას. მე ვიქნები ზარის მთქმელი, მე ვიქნები მესაფლავე (ი. გრიშ.). || მოთქმით ტირილი, დატირება ვისიმე. გლოვა და ზარი იყო სათაგვეთში (თ. რაზიკ.).

მ. ანდრონიკაშვილს შესაძლებლად მიაჩნია **ზარი** დაუკავშიროს სპარსულ ფორმას **ზაჰრ** „შხამი“ (ანდრონიკაშვილი 1966, 323). ბ. გიგინეიშვილი კი მიიჩნევს, რომ მნიშვნელობათა დაშორება, სერიოზულ დაბრკოლებას უქმნის ამ ვარაუდს (გიგინეიშვილი 2016).

იუსტ. აბულადის აზრით, ზარი „ხმაურის“ მნიშვნელობით უკავშირდება ახალ სპარსულ *zāri* ფორმას, რაც ნიშნავს „დიდ ხმაურს, ყიჟინას, „ოხვრა-კვნესას (იუსტ. აბულაძე 1916, 895; გიგინეიშვილი 2016). აღდგენილია ს.-ქართვ. \*ზარ „მოთქმა, ძახილი, ქართ. „ზარი, ზარის თქმა (ჩუხუა 2017).

საშ. ქართ. **V. ზარი** (სპარს.) რვალის დიდი სარეკელი – საბა, დ. ჩუბ. მისთა კერძთა კაცთა დაუწყიან ცემა ზარსა (ამირან. 471, 1). შეიქნა ხმა ტაბლაკთა და ზრიალი ზართა (რუსუდ. 191, 16).

ახ. ქართ. **ზარი** ლითონისაგან (ჩვეულებრივ, სპილენძის შენადნობისაგან) ჩამოსხმული ღრუ სარეკელი. ატყდა, ატყდა ზარის რეკა, დიდი ზარიც ბოხ ხმას აძლევს (რ. ერისთ.). || პატარა ზარი (ან სხვა რაიმე სახის სარეკავი მოწყობილობა) რისამე სანიშნებლად. ენკენის თვის პირველში გაისმა სკოლის ზარის წკრიალიც (თ. რაზიკ.).

ს.-საერთ. \*ზარ- არქეტიპი (ფენრიხი, სარჯველაძე 2000; ქურდიანი 2010; ჩუხუა 2017).

ახ. ქართ. **VI. ზარი** საუბ. იგივეა, რაც კამათელი. ზარის გაგორება.

ზარი (თურქ. ზორ) კამათელი ზან. (ლაზ. თანდ.).

საშ., ახ. ქართ. **VII. ზარი**, ძარი გოდორი, შესანახავი სიმინდისა, ან ქორთა საჯდომი გალია (დ. ჩუბ.). შდრ. ძარი ქორის საჯდომი გოდორი – საბა.

მოჰყვანდეს ზარში ნაჯდომი იგ ბედაური ქორები (თეიმ. I, 134, 69, 2). გოდორს თავი აკლიაო, ცხრის ურმისა ზარში ჰყრიდენ (დ. გურ. 107, 317, 3).

**ზარი** დაწნული სასიმინდე, ოთხბოძზე მდგარი (შდრ. ძარი). სიმინდი ბევრი მოსულა, ყველას დაუდგამს ზარია (თ. რაზ.). ზარში ნაჯდომი შავარდნის ხმითა/ შენთან ვუყვივი პირველ სიყვარულს (გ. ლეონ.)

დიალექტ. **ზარი** ძარი, წნელით მოქსოვილი, გოდორზე მოზრდილი ჭურჭელი. ესა დედეს მოქსოვილი ზარია (იმ., ჩვენ. ფუტკ.). ზოგი სასიმინდის კედელს ვწნავდით წწნელით. ასეთ სასიმინდეს ვეძახდით ზარს (ქვ. სამეგ. მრეწ. I, 399). ზარი სისიმინდეა (გ.-კახ. მრეწვ. I, 116).

#### **ზარა:**

ახ. ქართ., დიალექტ. **I. ზარა** კუთხ. (მთ.) ნიშანი, რომელსაც უსვამენ ქვის პატარა ნატეხზე კოჭაობის თამაშობის დროს. იხ. აგრეთვე: (მოხ. ქავთ.). ზარა.

დიალექტ. **II. ზარა** იხ. **VI. ზარი**. ზარა შამოქმედის მონასტერზე ზარას რომ შამოკრავდენ, ავდგებოდით ყველაყაჲ (გურ. იმნ. 195, 20).

მამისონის უღელტეხილთან ტყის თავს სახლები იყო, ზარა ეკიდა და, თუ ვისმე გაუჭირდებოდა, რეკდა (რაჭ. კობახ.).

გადატ. ზარასავით ხმა კარგი, მკაფიო და მაღალი ხმა (იმერ. ქავთ. III).

დიალექტ. **III. ზარა ყვავილი** ქარცხვის ყვავილი. საკვირაოს იცის ლურჯ ბუბუნაებ ზარსავითეად. ზარა ყვავილ ხქვიანის – საკვირაოს (მთაა). ამოდის ლურჯი ყვავილი, ზარსავითაა (ფორმით) და ზარა ყვავილი ჰქვია (თუმ. ცოც.).

საშ. ქართ. **IV. ზარა**: მსუქნის ქათმისა ხარშო შეაქნევინეთ და შიგან ზარაცა გაურიოს და აჭამოს (ფანასკ. 16, 38). შდრ. II. ზირა.

დიალექტ. **V. ზარა** მცირე, ცოტაოდენი, ძალიან ცოტა (შდრ. არაბ. > სპ. zārre „ცოტა“, მცირე“). „ერ ზარა ფოთოლი მამე – წადლო, დოოყარო ემ თხასაო“ (ფერეიდ. ჩხუბ.).

#### **ზარარ-ი:**

საშ. ქართ. **I. ზარარი** სიყვითლე. წამალი ღუიძლის ზარარისა. იცოდით რომე ღუიძლის ზარარი მას გამოუჩნდეს, რომე ცხელსა სიცხეშიგა ევლოს (ქანან. 300, 14).

ზარარი (არაბ. ზარირ) 1. ზიანი, ვნება. 2. სიყვითლე (იუსტ. აბულაძე 1940). შდრ. ზარალი (არაბ. ზარარ).

საშ. ქართ. **II. ზარარი** მარიულსა ქვიან (არაბ. ზარარიჰ) – შპანსკის ხოჭო ან შპანსკის ბუზი (ქანან).

### ზარაფ-ი:

საშ., ახ. ქართ. **I. ზარაფი**, მეკერმე, ფულის პატრონი ან დამახურდავებელი (არაბ. თ. ზარაფ., ნ. ჩუბ.).

ახ. ქართ. **ზარაფი** ძვ. საფასურით ფულის დამხურდავებელი. ფულის დახურდავება და ამაში გროშების აღება სახელდახელო რამ იყო *ზარაფი-სათვის* (ვ. ბარნ.). || სარგებელით ფულის გამსესხებელი. ერთმა *ზარაფმა* თავის შვილს განათლება მისცა და მილიონიც ადრე დაუტოვა (აკაკი).

ზარაფი გამოიყოფა კომპოზიტი ზარაფხანა – [არაბ.-სპ.] 1. სახლი, სადაც ზარაფი ფულს ახურდავებდა და სესხად აძლევდა. 2. სახლი, სადაც ფულს ჭრიდნენ – ქეგლ. იხ. (ბართაია 2010, 51).

ახ. ქართ. **II. ზარაფი** 1. პატარა, დასაწყარუნებელი ხელის ზარი (აწ ელექტრონის ზარის ღილი). *ზარაფს* ჩამოჰკრავდა და საუზმის მოტანას უბრძანებდა (ნ. ავალ. თარგ). 2. ფულების დამხურდავებელი. ბანკირი ეს *ზარაფები* 30-40-იან წლებში იყვნენ სიონის ქუჩებში და ბანკის მოვალეობას ასრულებდნენ. „ზარაფული ანგარიშია“ (რ. ერისთ.) – ი. გრიშ.

### ზარდაო:

საშ., ახ. ქართ. **I. ზარდაო** (სპ.) კვერნა – დ. ჩუბ., ქეგლ.

საშ., ახ. ქართ. **II. ზარდაო** ცხენის ერთგვარი ავადმყოფობა, რომლის დროსაც ცხენს სითხე უდგება მუცლის ღრუში – საბა; ქეგლ. **ზარდაო** – მუცელში სითხის ჩადგომა (ზნენ. 15).

### ზარიფ-ი:

საშ. ქართ. **I. ზარიფი** (არაბ. ზარიჰ – ლამაზი, კეკლუცი) – იუსტ. აბულაძე. მოხენილი, კეკლუცი, ნარნარი. მიაბარეს მისი *ზარიფი* და სურნელობით სავსე ტანი შავსა და ყოველთა შვენიერთა დამლუპავსა მიწასა (რუსუდ. 600, 14); **ზარიფობა** მოხდენილობა, სიკეკლუცე, სინარნარე... დედოფლისა სახელმწიფოსა სწავლისა საქციელითა უნაკლულოსა და სიყრმიტგან ზარიფობითა აღზრდილისა (რუსუდ. 601, 13).

ღვინო ოქროსა თასისა, მზესა ჰგავს ქალი *ზარიფი* (შჰნ. I, 2257, 3).

ახ. ქართ. **II. ზარიფი** მეკერმე – ი. გრიშ. იხ. I. ზარაფი.

### ზილ-ი:

ძვ. ქართ. **I. ზილი** კოლო. „მოუვლინოს ღმერთმან *ზილი* და ბზიკი ფესანგი“ (S – 1141, 511). „ვერ დამდგომ იქმნეს იგინი წინაშე ბზიკისა და *ზილისა*“ (იქვე, 512).

საშ. ქართ. **II. ზილი** წულილი ჳმის ცემა – საბა. ზილი საშუალო ხმა სამხმიან სიმღერაში. ფიგურ. შაშვი ამბობს *ზილსა*, მსმენი იკრთობს ძილსა (დ. გურამ. 213, 36, 3). მაიორს *ზილი* წილად ხვდა (ბეს. 88, 8). მგალო-ბელნი უნდა იყვნენ ექვსნი და შეაწყონ ესსახედ, რომელთაცა უწოდებთ: თქმა, მაღალი ბანი, და *ზილი*... (კალმას. 398, ქვ. 1).

მულნსა ჰკრეს, ძალსა მოსწივეს, *ზილს* ჰქონდა მორთუით ებანი (ფეშ. 161, 1).

ახ. ქართ. დედა-შაშვი ერთ მუხლს დაათავებდა თავის ტკბილი *ზილისასა*, ჩაჰკორტნიდა შვილებსა, ჩახილავდა და შემდეგ მეორეს დაიწყებდა (ს. გალობ.).

დიალექტ. **ზილი** სიმღერის ხმაა (გურ., შარაშ., ინგ. ღამბ.).

ს.-ქართვ. \*ზილ- „ტირილის ხმა“. ხათურში შემორჩენილია წინარესინდური ფუძე-ენიდან მომდინარე ალომორფები, რომელთაც კანონზომიერად შეესატყვისება ს.-ქართვ. \*ზილ-არქექტიპი (ჩუხუა 2017).

დიალექტ. **III. ზილი** (სპ. თურქ.) პატარა ზარი, ზანზალაკი, ეჟვანი (ჯავახ. ბერ., აჭარ. ნიჟ., ჩვენ. ფუტკ.).

დიალექტ. **IV. ზილი** ძილი. „*ზილი* მუჟდა, გო! ძილი, მუსაფირსა! დააწვინე! (იმ., ჩვენ. ფუტკ.). **ზილ** (1) ძილი; მიმღ. ზილიან მძინარე (ინგ. ღამბ.).

### **ზინდა:**

საშ. ქართ. **I. ზინდა** ნაჭერი. ფოლადის *ზინდა* ფოლადის ნაჭერი. კბილები ფოლადის. *ზინდას* უგვანდა (შჰნ. III, 315, 15).

ს.-ქართვ. \*ზინდ- „საკვერავი, საწური“ > ქართ. ზინდანი || ზინდალი: სვან. ზერდ || ზერდ < \*ზინდ (ჩუხუა 2000-2003)

საშ. ქართ. **II. ზინდა** მრისხანე, მძვინვარე, მთვრალი, საშინელი. **ზინდა სპილო**: მძვინვარე სპილო. ერთის მუშტის დაკვრით *ზინდა სპილო* მოკლავ (შჰნ. III, 312, 1).

საშ. ქართ. **III. ზინდა** ჯადო. საშინელი ჯადო იქ, იმ მთაში ერთი *ზინდა* ჯადო ზის, რომ იმისი შიშით იქითკენ ვერავინ გაივლისო (შჰნ. III, 328, 19).

შეიძლება, რომ **II.** და **III.** ზინდა ერთი წარმომავლობის სიტყვები იყოს.

### **ზინდან-ი:**

საშ., ახ. ქართ. **I. ზინდანი**. გრდემლი (ჩახრუხ. 76) – ნ. ჩუბ. შდრ. I. ზინდა. გასაპრტყელებელი ვერცხლისა თუ სხვათა თხლად ფურცლებად, *ზინდანი* მავრატელი (კალმას. 350, ქვ. 13).

**ზინდანი** 1. კუთხ. (ქართლ.) საკვერავი პატარა გრდემლი, რომელზედაც სამეურნეო იარაღს (მაგ., ცელს) წკეპენ. იკურთხოს თქვენი მარჯვენა, ვინც კვერსა სცემდეთ *ზინდანსა* (ი. დავით.). 2. (ქიზ.) ოქრომჭედლის პატარა კვერი.

**ზინდალი** იგივეა, რაც ზინდანი – ქეგლ.

დიალექტ. **ზინდანი, ზინდალი** (ქიზ. მენტ.). **ზინდანი** (ქართლ. დი-  
მიგ., კეცხ., ხუბ., გრიშ.).

**ზინდალ** [აზ. ზინდან] ზინდანი, საკვერავი გრდემლი (ინგ. ლამბ.).

დიალექტ. **II. ზინდანი** (სპ. zindan) სიბნელე, ციხე. ძესირი მეგემ  
*ზინდანში* ჩააგდეს (მეზ., ჩვენ. ფუტკ.).

„ქალაქური ლექსიკონის“ მიხედვით **ზინდანი** „ტაჯიკისტანში“ ანუ  
ტაჯიკეთში ნიშნავს – საპყრობილეს. დავუმატებდით, რომ ზინდანი არა  
მხოლოდ ტაჯიკეთში, არამედ მთელ სპარსულენოვან სამყაროში ნიშნავს  
საპყრობილეს, რადგან ის არის ანალოგიური შინაარსის მქონე სპარსული  
(სპარსულ-ტაჯიკური) ლექსიკური ერთეული – [zendân]. რაც შეეხება მის  
მეორე განმარტებას – გრდემლი, ამ შემთხვევაში სხვა სპარსულ ლექსემას-  
თან გვაქვს საქმე, ეს არის – [sandân] – გრდემლი. როგორც ჩანს, ქართულ  
ენაში სპარსულიდან შემოსულა ორი სხვადასხვა ლექსემა – [zendân] – სა-  
პყრობილე და – [sandân] – გრდემლი (ბართაია 2010, 55).

**ზირა:**

საშ. ქართ. **I. ზირა** (სპ. ზირა) მცენარე. მსუქანი ცხურის ხარშო მუ-  
ხუდოთა ანუ დარიჩინითა და ანუ *ზირითა* (ქან. 44, 26). შიგან გაურის...  
სათარი, *ზირა* (ფანასკ. 10, 33).

ახ. ქართ., დიალექტ. **ზირა, ზირაკი** ქოლგოსანთა ოჯახის ერთწლო-  
ვანი მცენარე; მისი სურნელოვანი ნაყოფი იხმარება საჭმლის საკმაზად.  
[ხორცს] მოაყარეთ... ჩაის კოფი დანაყილი *ზირა* (ბ. ჯორჯ.). „გვინდა ჭინ-  
ჭარს მოვიყვანო, გვინდა სალათას დავეთესავო, ანუ *ზირასა* და ეკალას!“  
(ი. მაჩაბ. თარგმ.).

**ზირა** ერთგვარი მცენარის სუნოვანი თესლია, რომელსაც საჭმელში  
ხმარობენ (ი. გრიშ.).

**ზირა** (კახ., ფშ., ქართლ., რაჭ.) ტყიურა; კვლიავი, მცენარეა ერთგვა-  
რი (ა. მაყ.).

**ზირა** (სპ.) ზირე „ზირაკი წონე ზირა, მწვანე ზირაკი, სანელებელი  
წონე ზირასა, ზარდაჯუას, პილპილია ჩოგოდეფთ გემოსათი (ფერეიდ.  
ჩხუბ.).

დიალექტ. **II. ზირა || ზირი: ზირა მეჭრე** გუთანთან ახლოს მყოფი  
მეხრე. გუთანში სამი წყვილი უღელი ება, თითოეულ უღელთან ჩარგავზე  
იჯდ ერთი მეჭრე: *ზირი* ულაცს *ზირა* მეჭრე მისკლავდა (ინგ. როსტ.).

**ზირაი** ძირი, ძირს. „იმისი ზირაიც დუზია“ (ტ., ჩვენ. ფუტკ.).

სპარს. ზირ – „ძირი, ქვედა ნაწილი“ (ანდრონიკაშვილი II, 1996). შდრ.  
ძირი.

**ზმილაკ-ი:**

საშ., ახ. ქართ. **I. ზმილაკი** «სუროა» (ხე) (საბა). ზეთისხისა მშვილდსა ისრად ხე – ზმილაკი შეუგროვე, და ზირაქას ვკარ ზურგსა ზედან, ხელთ სიმარჯვე დავახსოვე (ბეს. 116, 7, 4).

საშ., ახ. ქართ. ქართ. **II. ზმილაკი** მცირე სფირიდი – საბა, დ. ჩუბ.

**ზმირინ-ი:**

საშ. ქართ. **I. ზმირინი** (ზმირნი) გუნდრუკი (მური) – საბა. **ზმირინი** (ბერძნ. < smyrna) გუნდრუკი. *გუნდრუკ-ზმირინებ* ყრჩის ცა რაზარინ- ნა- რდიონ ალოდ (ბეს. 51, 4).

ნუ გაქვს *ზმირინთ* ზინზლად ფშეება! (დ. გურამ. 183, 1, 4).

საშ. ქართ. **II. ზმირინი** // სმორენა // სმორენე ...გველ-თევზისებრთა ოჯახის (ლათ. muraenidae, რუს. мурены) ერთ-ერთი წარმომადგენელი მტაცებელი თევზის სახელია. სპეციალურ ლიტერატურაში ეს თევზი Muraena–ს სახელითაა ცნობილი (რუს. мурена). საბასთან დადასტურებულია **ზმირნი** ფორმა; ასევეა დ. ბაგრატიონთან, რომლის მიხედვით ზმირნი – ზღვის გუჭლთევზია.

„და კუალად ამის შორისცა არიან ბევრეულნი განყოფილებანი: ვითარცა ვეშაპნი და გრძელ-თევზნი და *ზმირინი*, და გუელ-თევზნი, რომელნი იგი უყვანთა მდინარეთა და ტბათა შინა იშვებიან“ (ექუს. დღ. 82, 17).

ბერძნული σ-სიგმა ქართულში ჩვეულებრივ გადმოიცემა ს და ზ ბგერებით. ჩვენს მაგალითში ორივე ეს შემთხვევაა დადასტურებული (ბერძ. ზმირინი – სმორენა). რაც შეეხება ხმოვნებს, ბერძ. ὄ ერთ შემთხვევაში გადმოიცემა ი ხმოვნით, ხოლო მეორეში – ო-ნით. საერთოდ კი ბერძნულ ფუძესთან ახლო დგას **სმორენა** ფორმა. ზმირინი // სმორენა იმეორებს ბერძნულ ფუძეს, ახალ ქართულში თევზის ამ სახეობის აღსანიშნავად გამოყენებულია სახელი გველთევზა (ქერქაძე 1974, 202).

**ზმირნ-ი:**

საშ. ქართ. **I. ზმირნი** გუნდრუკი – საბა.

საშ. ქართ. **II. ზმირნი** თევზია – საბა.

**ზმური-ი:**

ძვ. ქართ. **I. ზმური: მური** mirrha. „ველთა ჩემთა დასუწუთა (დასუწუთა M) **ზმური** (მური)“ (ქება, 5, 5). როგორც ჩანს ზ-ს განვითარებით ფუძის წინ ზმირინის (ბერძნ. smyrna) გუნდრუკის კონტამინაციით.

საშ. ქართ. **II. ზმური** ნიშნავს ზურმუხტს, ის წარმოშობით ირანულ-სომხურ სამყაროს უკავშირდება. ზამირი < ზმირი; ეპიფანე კვიპრელის ძეგლი „პატიოსანი თუალი“. იცნობს სახელწოდებას **ზმური**. ზმირი < ზმური („ზურმუხტი“): გვრგვნი აღკმული იაკინთთა, *ზმირთა* და სმარადოთა მიერ (ქ. ცხ. II, 21, 7, კეკელიძე IV, 79-80).

**ზოფა:**

საშ. ქართ. **I. ზოფა, ზოფაი, ზოფვა** „ურცი“: urcithymus. აიღე, ზოფა, ჯმელი პიტნა და ქუშტი (ფანასკ. 141, 25) **ზოფაი** (ფანაკ. 415, 19); **ზოფვა** (ფანასკ. 388, 28).

დიალექტ. **II. ზოფა** (sopa) მსხვილი კეტი, ხელკეტი, კომბალი. *ზოფა*-ი უნდა დედაბერსა (სტ.); სიმინდი სანაყელაი *ზოფაი*, ტაკვეცი გუაქ (იმ., ჩვენ. ფუტკ.).

**ზუზ-ი:**

ახ. ქართ. **I. ზუზი, ზუზვი** საუბ. გარკვეულ ზომაზე ცოტათი ნაკლები. «დათიავ! აი შენ თითონ ხედავ *ზუზია* [ლიტრა], მაგრამ შენის ხათრისთვის ლიტრად ავიღებ!» (ზ. ანტონ.). შდრ. იხ. **I. ზუზა**. შდრ. გამოზუზული ზუსტად, ძალიან სწორად გაზომილი (გურ. შარაშ.).

ახ. ქართ. **II. ზუზი** (გურ. აჭარ.) შვეული. იხ. **II. ზუზა**.

**ზუზა:**

საშ., ახ. ქართ. **I. ზუზა** ქართულად ეწოდება რუზლსა და დიდრაქმასა. **ზუზა** სწორედ საკუთარი ქართული სახელია, დიდრახმა (!) ებრაული უნდა იყოს და ბერძულიც (თ. ბაგრატ.). ზუზმა, რუზმა – დ. ჩუბ.

ახ. ქართ. **II. ზუზა** ძვ. წონის საზომი ერთეული, დიდრაქმა (საბა). (რაჭ.) რისამე სისქის საზომი, ხის ნაფოტი ზედ დაჭდობილი დამყოფებით.

ყოფილხარ მრუდე-მრუდეი, *ზუზაში* გაგასწორებო! (ხალხ.). «არ მიმტყუნოს *ზუზაძე* და გონიომ!» [რაჭველის ნატვრა] (რ. ერისთ.).

**ზუზია:**

საშ. ქართ. **I. ზუზია** გესლი მსწრაფლ მომაკვდინებელი – დ. ჩუბ. ფილიპე მოციქულის ნეტაფრ.: „დასთხია თქვენ ზედა მკვდარი იგი ზუზია“ სტრაბონის მიერ აღწერილი სვანთა მიერ ხმარებული საოცარი შხამი, ან ზუზია, რომელიც სულხან-საბას განმარტებით არის „გესლი სწრაფმაკვდინებელი“, აგრეთვე ტეტანუსის შემცველი ნაკელი, და სხვა (ზნენ. 5).

საშ. ქართ. **II. ზუზია**: ზრუნავს ზარგანხდით, ზარობს, *ზუზია* ზატიკობასა (დ. გურამ. 159, 4, 1).

ახ. ქართ. **ზუზია** 1. საქმეში ნელი, საქმის ნელა მკეთებელი. 2. ძუნწი, ხელმოჭერით გამცემი რისამე. 3. კუთხ. (იმერ.) მორცხვი, გაუბედავი.

საშ. ქართ. **ზუზვა** ვსწუწკობ; ვკვვიანობ; **ზოზინი** გვიანობა, ვკსჯანჯლობ – დ. ჩუბ. **ზუზვა** გამოუმეტებელობა, წუწკობა, ან ზოზინი (ნ. ჩუბ.).

**ზუკ-ი:**

საშ. ქართ. **I. ზუკი** storax შავ საკმელს ჰქვიათ. აიღე... *ზუკი* დაზაფრანი (ფანასკ. 267, 32). ამავე მნიშვნელობისაა **ზუკია** (ფანასკ. 159, 4); **ზუგი** (ფანასკ. 410, 19).

საკმეველია სუნნელი ZAB. ხ ა ტ თ თ ა ყ ვ ა ნ ი ს ც ე მ ი ს მ ე - ტ ა ფ რ ა ს შ ი : „საკმე(ვე)ლი, კოჭუპრია, **ზუ(ნ)გია** და მასტაქი“ – საბა.

საშ. ქართ. **II. ზუკი** კუზი – დ. ჩუბ. შდრ. **კუზი** ღურკანი – დ. ჩუბ.

კუზი ხერხემლის (ან გულ-მკერდის) ძვლების დამახინჯებით გამოწვეული ამოზნექილობა.

დიალექტ. **ზუკი** კუზი, ბეჭების მოხრილობა. **ზუკიანი** – კუზიანი. „ჯერ რა ხნისაა, რო *ზუკი* გაუჩნდა?!“ (ჯავახ. ზედგ.).

**ზუფ-ი:**

საშ. ქართ. **I. ზუფი** (სპ. ზაფა) ურცი, ერთგვარი სამკურნალო ბალახი – უსუფის ყვავილი *Hissopus Officinalis*. *ზუფი* მინდორულსა ურცსა ჰქვიათ (ქანან. 64,1).

გვხვდება შემდეგი ფონეტიკური სახითაც: **ზოფა** „ურცი“ (ფანასკ. 388, 28); **ზუუფა** (ფანასკ. 87, 7); **ზუფა** (ფანასკ. 10, 20); **ზუფვა** (ფანასკ. 414, 8).

საშ. ქართ. **II. ზუფი** ძვ. „ლარია (ფარჩა) უჭრელო, ღელვაიანი“ (საბა).

ახ. ქართ. **III. ზუფი**, იგივეა, რაც ზუფანი. ზუფანი / ზუფინი [სპარ. ზუბინ] ძვ. სასროლი მოკლე შუბი (საბა).

მას (ზაალს) აბჯარი ტანთ ჩააცვეს, ხელთა მისცეს *ზუფინია* («შაჰნამე»). *ზუფინი* და ჯმალი, ლახტი მის აბჯარსა არას ავნებს (შჰნ. II, 4684, 2).

**IV. ზუფად** ერთად: „შე-ღავე- სძინავს უცხო თესლთა მათ *ზუფად* კრებულად უბესა მას ველისა მის ტიტანელთაძსა“ (O, II, მგ. 5, 22).



## თ

**თაბახ-ი:**

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. თაბახი** (არაბ.) ღრმა ტაბაკი ან მრგვალი ვარცლი – დ. ჩუბ.

ხის დიდი ლანგარი, გობის მსგავსი. ვხვეწდი *თაბახებს*, ხონჩებს, ხის ჯამებს (ვაჟა). [მონადირემ] *თაბახს* სახურავი დააფარა (ი. გოგებ.). ძირს დაფანტულა დუქანბაზარი: გოდრის თევზი და *თაბახზე* – ხილი... (გ. ლეონ.).

აგრეთვე: (ფშ. ქეშიკ., შ. კახ. III, II, 39, გ.-კახ. III, II, 42). თაბალი // თაბალა (ჯავახ. ზედგ.).

ზან.(მეგრ.) **თაბახი** თაბახი, დიდი ფართო გობი (მეგრ. ქობ.).

საშ. ქართ. **II. თაბახი** ფურცელი ქალაღდისა (დ. ჩუბ.).

ახ. ქართ. გარკვეული (დიდი) ზომის საწერი ქალაღდის ფურცელი. ბატონის მიერ ნახევარ *თაბახ* ქალაღდზე დაბლაჯნილი საჩივარი საკმარისი იყო (ე. ნინოშ.). 3. პოლიგრ. ერთი ნაბეჭდი ფურცლის დაკეცვით მიღებული თექვსმეტი გვერდი, რომლებისგანაც იკინძება წიგნი, – ფორმა. როცა [ასოთამწყობმა] *თაბახის* ანუ თექვსმეტი გვერდის აწყობა გაათავა, აწყობილი შავად აღბეჭდა ქალაღდზე (ი. გოგებ.).

თურქულ ენაში ცალ-ცალკე განიხილება ტაბაკ – თევზი, სინი, თასი. და ტაბაკა – ფენა, ფურცელი (ქალაღდის). ორივე ფორმა არაბული წარმომავლობითაა დაფიქსირებული. ქართული tabaki სპარსული წარმოშობის, მაგრამ არაბიზებული ფორმაა, რომელიც ასეთივე სახით მიიღო ქართულმა (იმედაძე 2014, 167). შემოსული ჩანს თურქულიდან არაუადრეს მე-18 ს-ის II ნახევრისა (შდრ. tabak/tabayi „ქალაღდის ფურცელი (გიგინეიშვილი 2016)).

**თავლა:**

საშ. ქართ. **I. თავლა** მკბენარი ჭიის სახელწოდება. ერთი ჭია სხვა არის თავლა ჰქვიან (ქანან. 447, 28).

ახ. ქართ., დიალექტ. **II. თავლა** (არაბ.) ცხენის (ჯორის და მისთ.) სადგომი შენობა, – საჯინიბო. «შედი თავლაში, რომელიც საუკეთესო რაში იყოს, იმაზე შეჯექი!» (ზღაპ.) გამოიყვანეს ვირი თავლიდან (ვაჟა).

**თავლა** (არაბ.) საცხენე, ცხენის ბოსელი. ბაბამ ცხენი დააბა *თავლში* (ინ., ჩვენ. ფუტკ.). აგრეთვე: (ინგ. ლამზ., როსტ.).

**თათარა:**

საშ. ქართ. **I. თათარა** მწერი – საბა.

ახ. ქართ. **თათარა** ნემსიპარია (რ. ერისთ.).

საშ. ქართ. **II. თათარა** ტკბილი კვერი – საბა.

ახ. ქართ. **თათარა** ნადული ყურძნის ტკბილისა და პურის ფქვილი-საგან გაკეთებული ფაფისებური საჭმელი (სინონ. ფელამუში). ჩურჩხელებს *თათარაში* ავლებენ. – ასი ჩურჩხელა შეჭამა, ორი თაბახი თათარა (ხალხ.). თათარი თეთრ *თათარასა* ჭამდა (ენის გასატეხი). [მოხარშული ტყემალი] დაასხით ფიცარზე თხლად და, როგორც *თათარა*, ისე გააკარით (ბ. ჯორჯ.).

თათარა (თურქ.) tatar (გურგენიძე, რუხაძე 2017, 49).

ახ. ქართ., დიალექტ. **III. თათარა** კუთხ. (იმერ.) ღველფში დახეთქილი სიმინდი, – ბატი-ბუტი («დიალ.»).

### თაკარა:

საშ. ქართ. **I. თაკარა** „ჭიქათა სადნობელი, შესაქნელი ადგილი“ – სა-ბა. **თაკარა** მინდორი. ცხელი ვარვარა მინდორი. *თაკარა* მინდორი მძორითა ავსილ იყო (შჰნ. III, 232, 19).

ახ. ქართ. **თაკარა** 1. მხურვალე, მცხუნვარე, მწველი, ვარვარა (ჩვეულებრივ ითქმის მზის, ცხელი დღის და მისთ. შესახებ). ადნობს თოვლიან მთებს *თაკარა* მზე (ა. მირცხ.). 3. დიდი სიცხე, – პაპანაქება. გავარვარებული მზე *თაკარას* აფრქვევდა (რ. გვეტ.). გაზაფხულის მცხუნვარე მზემ ადრევე შეუკიდა *თაკარა* უჩრდილო ფერდობებს (ა. ადამ.).

დიალექტ. **თაკარა** დიდი სიცხე. დღეს *თაკარაში* ვმუშაობდი (ფუთი) (ზ.-იმერ. მოწ.). **თაკარო** მაგარი სიცხე. – იმისთანა *თაკარო* იყო, სული კინალამ ამომიშპა ზეით (რაცხ. გურ.).

ზან. (მეგრ.) **თაკარუა** 1. დაცხუნება. 2. დიდ ცეცხლზე ცხობა და მოწვა პურისა (მეგრ. ელ.).

საშ. ქართ. **II. თაკარა** დალაგებული. მკუდრისა გორი *თაკარად* იდგის (შჰნ. III, 221, 28).

ახ. ქართ. **თაკარა** ერთმანეთზე დაწყობილი ფიცრები, შეშა. «*თაკარა* დააყენაო, შეშას რო[მ] დაჭრიან ხოლმე» («დიალ.»). || (იმერ.) ერთმანეთზე დაწყობილ კეცებში ჩასმული მჭადები.

დიალექტ. **თაკარა** ერთიმეორეზე მიყოლებით დაწყობილი, შემოწყობილი შეშა, ლოგინი, დაკეცილი ტანსაცმელი, ჩალის ან ნეკრის კონები და მისთ (რაიმე ნივთების მოწესრიგებული რაოდენობა, გროვა). სამი *თაკარა* შეშა აქ საშეშეში (თ. ქ.); მივაყარე *თაკარა*, ტანში გამაკანკალა (სტ., ჩვენ. ფუტკ.). **თაკარა** წყობა, დალაგება. რათ გინდოდა მაგდენი, ერთი *თაკარი* პური, რომ შემოიტანე? **დათაკვრა** რაიმეს ერთმანეთზე დაწყობა, დალაგება. ცხელ პურებ ეგრე ნუ დათაკვამ, დაიტყლირჭნება! (ჯავახ. ზედგ.). შდრ. (თურქ.-სპ. თეკერ).

**თალა:**

ძვ. ქართ. **I. თალა** ძველ ქართულში «ძაძა», „ტომარია“: „ერთი ოდენ თალაჲ იფქლისად, რომელ არს ძაძად, უქმნით მას წელიწადსა შინა“ (მ. ცხ. 108r).

საშ. ქართ. **თალა** ძაძის ტომარი. თალისა ნატათაგან შთასადებელი საუბე(დ) გინა მისი უდიდეს ჩანთა – საბა, დ. ჩუბ.

დიალექტ. ლეჩხუმურში **თალა** ნაჭერი, ნაგლეჯი (ლექს. ალაგ.). სავარაუდოა, რომ **თალა** – ბერძნ. tallis ტომარა (გორდეზიანი 1985, 100).

ახ. ქართ. **II. თალა** (საუბ.) ერთი (ორი...) **თალა**, ერთი (ორი) ხელი (თქმის რისამე თამაშის შესახებ). *ერთი თალა* ნარდი ითამაშეს. 2. ერთ-ხელ, ერთი პირობა. ერთი *თალა* შევჭოჭმანდი (მენტ.) – ქეგლ.

იწყევლებოდა, თან *ერთი თალა* კიდევ გაუხარდა (გ. ლეონ.).

**თალა** ერთი ჯერობა, ერთხელ; ამბობენ: მოდი, მოდი ერთი *თალა* ჩავარტყათ და მერე წადიო. იმიტომ რომ თითო *თალა*ზე აქ სამოცდაათი მოზინავე შემოდის (მედგარი, „მუშა“, 1938 წ., №198) – ი. გრიშ.

**ერთი თალა** ერთ ხანს. *ერთი თალა* მთაში წასვლა დავაპირე (გ.-კახ. სახლთხ.). **ერთი თალა** შავჭოჭმანდი, ვიფიქრე, რა არი, მეთქი (ქიზ. მენტ.).

**თალა** ჯერი, წყება. **ერთი თალა** ერთი ხელი, ერთი ჯერი, ერთი წყება, ერთი პირობა, ერთი მომენტი (მოხ. „დიალექტ.“).

**ერთალა** ერთხელ, ერთჯერ; პირველად. *ერთალა* ვიფიქრე, დავბრუნდები- მეთქი (მესხ. ფეიქრ.).

ამ შინაარსის **თალა** ვფიქრობთ მომდინარეობს სპარსულის დასაწყისის, პირველის აღმნიშვნელი tāly! სიტყვიდან.

ახ. ქართ. **III. თალა** [ბერძ. Thaleia] ბერძნულ მითოლოგიაში: კომედის მუზა – მ. ჭაბ.

ქანდაკების მარჯვენა ზემო თავში იყო სილამაზის სამი ქალღმერთი, სამი და აგლაია, თალა და ეფროსინე (ზევს.).

**თალისა:**

საშ. ქართ. **I. თალისა** (მცენ.) ბარდანა (დ. ჩუბ.).

საშ. ქართ. **II. თალისა** ნატათაგან შთასადებელი საუბე(დ), გინა მისი უდიდესი ჩანთა (საბა). იხ. I. თალა.

**თალხ-ი:**

საშ. ქართ. **I. თალხი** «სამგლოვიარო ფერი» (საბა). თალხი (სპარს.) მოჭირებული ან სამგლოვიარო ფერი – დ. ჩუბ.

სოსანძმან უთხრა რეჰანსა: „ქუფრი გაქვს, *თალხი* ფერები“ (თეიმ. I, 104, 20, 1). შეატყობოდათ, განთიად ჩაცმა არ სწადდათ *თალხისა* (დ. გურამ. 91, 202, 3).

მყუდროება ... *თაღხად* ბნელისა მაისის დროს (ნ. ბარათ.) – ვაჟნო, სჭვრიტეთ ამა სახლსა, / სადგურსა ბნელსა, ყოვლით *თაღხსა* (ალ. ჭავჭავ. 33, 16).

ახ. ქართ. ჩაგიცვამს *თაღხი* ძამა (ი. გრიშ.). [ქალმა] დედისეული *თაღხი* ქიშმირის შალი ამოიღო, მხრებზე მოიგდო (მიხ. მრეველ.). ტახტზე მოკეცილი იჯდა დედაკაცი, რომელსაც *თაღხი* ტანისამოსი ეცვა (ევ. გაბ.). || მუქი ფერისა. ჩოხა ეცვა გაცვეთილი, *თაღხი*, უფრო მტვრის ფერი (ლ. ქიაჩ.). **თაღხად** ზმნს. თაღხ ფრად, – შავად. კარის-კარად დავალ გლახად, ტანთ მაცვია *თაღხად* (დ. გურამ.).

დიალექტ. **თაღხი** ძამა, შავი, სამგლოვიარო (ჯავახ. ზედგ.).

წინდები... მოხუცებულებისათვის *თაღხი*, დარბაისლური ფერისა (ქიზ. მრეწვ. III, 117). თუ *თაღხი* კაბა იყო, თეთრი დილი უხდებოდა სარდაფის (ზ. ქართლ., მრეწ. III, I, 165). ქალი რომ დაქვრივდებოდა... *თაღხებს* აცმევდნენ (შ. კახ. მრეწ. III, I, 45).

**თაღხი ფქვილი** მოშავო ფერის ფქვილი (კახ. მარტ., იმნ.).

დიალექტ. **II. თაღხი** 1. ზომაზე ფართე: სამოსის ჩამცმელი რომ ვერ ავსებს, ჩახვრეტილი ხვრელი რაც უნდა ჩაისვას მასში, რომ ვერ ჭედავს, ბოლი. „*თაღხი* არის ეს კაბა ხო ხედამ, გოგოს როგო განზე ადგია“. „ჩავხვრიტე მარა ცოტა *თაღხი* მამივიდა, მანჭვი არ გაიჭედება შიგ, სოლე-ბით'ნა გავჭედო“ (ჯავახ. ზედგ.).

**თაღხ** წყლიანი, თხელი ფაფის მსგავსი. იხ. ასევე გათაღხევა (ინგ. როსტ.). **თაღხი ჭკუა** დამჯდარი ჭკუის პატრონზე ითქმის, ჭკვიანზე – ი. გრიშ.

შდრ. თაღხნათ/თაღხნეთ თავისუფლად, გამლილად. ჭაჭას ნიჩფით დავშლით და წყალში იქნება *თაღხნათ* თავისუფლათ, შეკუმშულები არ იქნება (წიფა); კარები *თაღხნეთ* არი (მორძგვ. ზ.-იმერ. ძოწ.). ვვარაუდობთ რომ თარხანი [არაბ. თარხ «თავისუფალი»] > თაღხანი > თაღხი.

საშ., ახ. ქართ. **III. თაღხი** (არაბ.) სალამანდრო, ქვა ჭიკის მსგავსი, თხლად დაიპობის და იხმარების სარკმელთა და სანთურთათვის – დ. ჩუბ. თაღხი < ტალკი.

#### თამაშა:

საშ. ქართ. **I. თამაშა, თამაში** (სპარს.) შექცევა თვითოგვარი უცხო სახანავი რამ – დ. ჩუბ.

**თამაშა** სეირი, სანახაობა; გართობა. სულ იმის სეირსა და *თამაშაში* ვიყაო (რუსუდ. 201, 23). აყვედრიან ერთიერთსა, ჩვენ *თამაშა* გავიბაქეთ (ბეს. 149, 28).

ახ. ქართ. **თამაშა** ძვ. და საუბ. იგივეა, რაც სეირი. «ერთი მანდ მოვიდე, მე გაყურებიანებთ თქვენს *თამაშასა!*» (თ. რაზიკ.). «ჩვენ თუ ერთმანეთს მხარი არ დავუჭირეთ და მაგისტანა რამეები ვილაპარაკეთ – ნახეთ ჩვენი *თამაშა!*» (ს. შანშ.). || სანახაობა, თვალის სეირი. ყველამ თავის სახლისაკენ

გასწია სრულიად კმაყოფილმა, რომ ეს სამარცხვინო და გულის ამაზრზე-  
ნი *თამაშ* ნახა (ილია). «შეგხვდებით, როცა *თამაშ* დაიწყება» (გ. ყიფშ.  
თარგმ.).

ახ. ქართ. **II. თამაშა** ფარღალალა კარებზე აკრული გრძელი ვიწრო  
ფიცარი – ა. სიხ. შდრ. თამასა კარისა, ფიცრისა – დ. ჩუბ.

**თანგი-ი:**

საშ. ქართ. **I. თანგი** სპ. Täng „ვიწრო“, „მჭიდრო“, შევიწროება, მოუს-  
ვენრობა. ამათიძე ომი შეიქნა ერთმანერთში და *თანგია* (შპნ. III, 475, 2).

დიალექტ. **თანგი** (ჩიქ.) (სპ.) ვიწრობი. თები რო წამწნიკდების, *თან-  
გია*, რო შაქუჩდება გორები და ანქ წნიკ გზა არი; გული *თანგი* აქ კელეფს  
შოოკრავყე ყმაწილსა, *თანგს* ნუ იქყე ყმაწილსაო (ფერეიდ. უთურგ. ჩხუბ.).

ზან. (მეგრ.) **თანგი** (მეგრ. ყიფშ.).

საშ. ქართ. **II. თანგი** საწნახლის ძირის გასამაგრებელი ხე. ოლეს  
მშვილდი მოკლე *თანგი* ოსტერად მაქეს ისრად ფრანგი (ბეს. 117, 21).

ახ. ქართ., დიალექტ. **თანგი** I. ხელოვნ. დურგლის (ჭახრაკებიანი)  
ხელსაწყო, რომელშიაც წებოთი შეკავშირებულ ფიცრებს დებენ, ვიდრე  
გაშრებოდეს და შემტკიცდებოდეს. **თანგი** დურგლის ხელსაწყოა ერთგვა-  
რი (ქიზ. მენტ.).

**თართ-ი:**

საშ. ქართ. **I. თართი** თევზია ზუთხა-ღორა – დ. ჩუბ.

ახ. ქართ. **თართი** [cipenser stellatus] თევზი (ზუთხების ოჯახისა),  
რომელიც გავრცელებულია შავსა და კასპიის ზღვებში, ქვირილობისას შე-  
დის მდინარეებში; მისგან მზადდება ზურგიელი, დოში, სათალი, ჭიპა,  
ხიზილალა (შდრ. ზუთხი). «ბოზბაში წვნიანების მეფეა, როგორც *თართი*  
თევზებისა» [ამბობს ლუარსაბი] (ილია). [მზარეული] შებრუნდა იქვე სა-  
მიკიტნოში, მოსთხოვა კარგი *თართისა* დოში (რ. ერისთ.).

საშ. ქართ. **II. თართი** დიდი ძაღლი (საბა). თართი დიდი ძაღლი სა-  
ცხვრე – დ. ჩუბ.

დიალექტ. **III. თართი** კუთხ. (მთიულ.) სუსტი («დიალ.»). თართი  
(კაცი) გულ., მთ., მოხ., ფშ. ხ. უღონო კაცი, სუსტი (ა. შან.).

ხევს. *ითართების* – დრკება („ხმალი გაითართა“). უკავშირდება  
თრთის ზმნურ ძირს (არაბული 2001, 67).

**თარგი-ი:**

საშ. ქართ. **I. თარგი** (არაბ.) მხარე – დ. ჩუბ.

ახ. ქართ. **II. თარგი** ძვ. 1. მოწნული ლანკანი, თაბახი. თბილისელი  
კინტო ვარ, *თარგით* ვყიდი წიგნებსა (ი. დავით.). 2. ეთნ. ასეთი ლანკანი,  
თაბახი, საცხე სხვადასხვა ხილით ქორწილზე, დღეობაზე და მისთ. მოსარ-  
თმევად. *თარგით* მოლოცვა მიღებული იყო ქორწილ-ლხინებში (ი. გრიშ.).  
ახალი წლის *თარგი* მოდის, გოლეულით თავმოდგმული (ი. გრიშ.).

**თარჯ-ი:**

საშ. ქართ. **I. თარჯი** გვირგვინი (კორონა B.; თაჯ Z, თაჯი Aa; სამეფო სახურავი – საბა. იხ. I. თაჯი.

*თარჯ-* თომრიან-ჯილოანნი გაგვიხადა, ქმნა უჯილო! (დ. გურამ. 88, 183, 3). „ვინც მოგხადა *თარჯ-*თომარი, იმისგანვე დაიხურე!“ (დ. გურამ 103, 289, 4).

ახ. ქართ. დიალექტ. **II. თარჯი** (იმერ.) სასაზღვრო ნიშანი, – სამანი. 2. (იმერ. გურ.) ნაჭდევი ხეზე საზღვრის ნიშნად. პირობის ნიშნად ამოიღო ხანჯალი და ეზოში მდგომ მუხას სამჯერ შემოჰკრა, *თარჯი* დაადვა (ნ. ლორთქ.). 3. ძვ. ზღუდე, გალავანი ქალაქისა. 4. სპორ. სარბენ ბილიკზე დადგმული სპეციალური პატარა ღობე, რომელსაც უნდა გადაახტეს მორბენალი (იხ. თარჯრბენა).

**თარჯი** ნაჭდევი ხეზე რისამე საზღვრის, მიჯნის ნიშნად, საზღვარი ტყეში (ლექს. ალავ.).

**თარჯიანი** რასაც თარჯი – საზღვრის ნიშანი აქვს – ხე, ქვა და სხვ. „თარჯიანი ხიები აჩეხა და კოლექტივის ფართობისკენ გეიწია, ბეური ადგილი მეიმატა“ (გურ. ჯაჯ.).

აღდგენილია ს.-ქართვ. \*თერმ- „პირველხენა; საზღვრის მიჩენა კვალის გავლებით“ (ჩუხუა 2000-2003).

**თაფ-ი:**

საშ., ახ. ქართ. **I. თაფი** [სომხ.] რომლისაც მეორე მხარეს ჰქვიან ჭუტი (დ. ჩუბ.). **თაფი** სათამაშო კოჭის (ვეგის) ერთ-ერთი მხარე (თამაშში ცუდ მხარედ ითვლება). ამ კოჭს ოთხი მხარე აქვს: ალჩუ, თოხანი, ჭიკვი, *თაფი* (ი. გრიშ.). ფიგურ. [იაკობს] არ გამოუდის თავისი გუნების ცხოვრება, აყრილი კოჭები ალჩუზე არა ჯდებათ, სულ *თაფი* და *თაფი* (ბ. ჩხ.).

საშ., ახ. ქართ. დიალექტ. **II. თაფი** პურის თორნეში ჩავარდნა – საბა. **თაფს იზამს** კუთხ. (ქართლ.) იგივეა, რაც ითაფებს – ქეგლ. ითაფებ-ს (ითაფა, უთაფნია) კუთხ. (ქართლ. კახ.) აიტკრიცება და ჩავარდება (თონეში ჩაკრული პური), – თაფს იზამს.

იხ. აგრეთვე: *თაფი ქნა, თაფად ჩაცვივდა* (პური): ამ პურ რა მოუვიდა, თაფი ქნა, სუ ითაფა (ჯავახ. ბერ.).

2. **თაფ** ხიდან ჩამოცვენილი და დაბეჭილი ხილი (ინგ. ღამბ).

**თაფა:**

საშ. ქართ. **I. თაფა** გორა – საბა.

ახ. ქართ. **თაფა** მიწის ყრილი; ბორცვი, გორაკი ველზე. ირაკლის *თაფაც* (სადაც ერეკლე მეფემ ერთ-ერთი ბრძოლა გადაიხადა) გამოჩნდა..., აჰა, მთაც კიდობანისა! აი მყვირალა ზანგიცა და ბურჯნი ერევანისა (გ. ორბ.). ჩაჩქანს, მუზარადს, ერეკლეს *თაფას* მწყემსი ლექსებში თაფლა აღარ ახსენებს (ი. გრიშ.).

დიალექტ. **თაფა** (თურქ.) პატარა გორა, გორის თავი, ბორცვი. *თაფზე* გოვიდა, ჳმას ჩედიოდა (გორაკზე ავიდა და იმახდა); *თაფი* ზედადთი (გორაკიდან) დაგორდა (ინგ. ღამზ.).

შდრ. **თეფა** (ქიზ. მენტ. თუშ. უთურგ, აჭარ. ნიჟ.).

ახ. ქართ. **II. თაფა: თაფა ლაფაში** ან **თაფლა ლაფაში** (ქართლ.) პატარა ზომის ლაფაში.

**თაღარ-ი:**

საშ. ქართ. **I. თაღარი** სამკოდინანი საწყაო (თათრ.) ტაგანი (დ. ჩუბ.). შდრ. (თურქ.) tagar.

ახ. ქართ. **თაღარი** 1. დიდი ზომის პირფართო თიხის ჭურჭელი, საწნახლიდან ტკბილის ჩასასხმელად. *თაღარი* ქვევრის მაგვარია, თიხისაა, მაგრამ პირი უფრო განიერი აქვს. ხმარობენ ყურძნის დაწურვის დროს, საწნახლიდან ტკბილი ჩადის ჯერ *თაღარში* და იქიდან გადააქვთ ქვევრებში («დიალ.»). საწნახელს მერე მიუდგამდნენ *თაღარს* და იმაში ასხამდნენ ტკბილს. *თაღარიდან* იღებდნენ ტკბილს ხაპით და ასხამდნენ ჭურში («შინამრეწვ.»). აკეთებენ... თიხის ჭურჭელს: ჩაფსა, დერგს, დორას, ქოთანს, ჯამებს, სურას, კრამიტსა და ქვევრსა, კეცსა და *თაღარსა*, ქოცოსა და თონეს (ბ. ჩხ.). || ასეთი ორყურიანი ჭურჭელი სხვადასხვა საჭიროებისათვის (საღებავის ან სათრიმლავის დასაყენებლად, ხორცის დასამარილებლად და სხვ.). *თაღარი* თიხის ორყურიანი ჭურჭელია, რომელსაც აქვს ფორმა შუაზე გადაჭრილი ქვევრისა..., მეჭურჭლეები ქაშანურის მისაღებად მასში ასხამენ დაფქული ბროლის, შუშისა და ტყვიის ნაერთს («დიალ.»). || ზოგან ქვევრის სახელადაც იხმარება. დალოცვილმა ტკბილმა იქუხა, გამოვარდა მილიდან და დაიწყო დენა ოცკოკიან *თაღარში* ანუ ჭურში (ი. გოგებ.). მოხადეთ მამაპაპური თაღარი (გ. შატბ.).

**II. თაღარი** ლაშქრის გამოსაკვებად აკრეფილი, ნატურალური გადასახადი (რ. კიკნ., ა. სიხ.). შდრ. (თურქ.) დაღარ.

დიალექტ. **III. თაღარი/ა** ყანის საზღვარი (გურ. შარაშ.). კოლექტივმა ყანიების *თაღარი* სულ გაასტორა (აჭარ. ნიჟ.). თაღარა შეუკავებელი, გაშვებული ტყე ან მინდორი, მიწის ფართობი მოსავლის აღების შედეგ. ნათესს ადგილს, ყანასაც ემახიან. საყოლი *თაღარაში* ჩევიდაო – იტყვიან, როცა საქონელი ყანაში შევა (გურ. ჯაჯ.).

**თახუმი-ი:**

ახ. ქართ. **I. თახუმი-ი** (ქიზ.) «ხარაზებში მიღებული სათვალავი ერთეულია ერთი ჯგუფი ფეხსაცმლისათვის, რომელიც შეიცავს №№19–31. ე. ი. 11 წყვილს» (ს. მენტ.). ერთი კაცი ერთ დღეს 30 *თახუმს* კერავდაო («შინამრეწვ.»).

**თახუმი** (თ. takim) აჯათი (ინსტრუმენტი), ზინათი (აჭარ. ნიჟ.).

დიალექტ. **II. თახუმი** გვარი, ტომი ჯიში, ჯილაგი, ჩამომავლობა, ოჯახი, ჯალაბობა (აჭარ. ნიჟ.).

**თაჯ-ი:**

საშ. ქართ. **I. თაჯი** სპარსთა მეფის გვრგვნი, რომელსაც დაახვევენ მძიმედ ოქროს ქსოვილს, დილმანს და შეამკობენ 12 ჯიღითა (სომხურად თაგ და თაგავურ გვრგვნოსანი, ე. ი. ხელმწიფე) – ნ. ჩუბ.

**თაჯი** (არაბ.-სპ. თაჯ) გვირგვინი. თავსა შვიდი უთარე თაჯი ეხურა (შჰნ. III, 297, 4). მე თაჯ-ბეჭედი გავგზავნე ნიმროზელთ დასაცდელითა (შჰნ. I, 1447, 3). კელმწიფურებ თაჯი ხურავს (ხოსრ. 32, 22). დახურა თავსა ზედა თაჯი და დოლბანდი (ქ. ცხ. IV, 395, 4). თუის თაჯზე მოვა ხალათი, თაჯი, ჯიღა და თომარი (ფეშ. 221, 1).

ახ. ქართ. **თაჯი** ძვ. გვირგვინი. [მეფემ] თავს პაწია ოქროს თაჯი დაიხურა (შ. დად.). მცხეთის ერისთავს თაჯი ახურავს თაჯზე (კ. გამს.).

დიალექტ. დადგეს თაჯ-თომარი და დააყენეს მეფეთ (ჯავახ. ზედგ., ბერ.).

**თაჯი** 1. გვირგვინი 2. ქოჩორი. დოდოფალსა ლამაზი თაჯი ქონდა თაჯზე (სტ., ჩვენ. ფუტკ.).

დიალექტ. **II. თაჯი** (არაბ.) თაჯის დადება საქონლის საკუთრების გამოსახატავად ნიშანდება, დადაღვა, თალის (დალის) დაკვრა (აჭარ. ნიჟ.).

დიალექტ. **III. თაჯი** პურის გამოსაცხობი ხელსაწყო, თუჯის ამობურცული მრგვალი თუნუქი (ჯავახ. ზედგ.). იხ. I. თაჯა.

**თაჯა:**

საშ. ქართ. **I. თაჯა** ჯავახური პური. თუმც არ მეჭამა მე პური თბილ-თაჯა ჯავახურია (დ. გურამ. 127, 439, 1).

ახ. ქართ. **თაჯა** კუთხ. (ჯავახ.) «ახალი გამომცხვარი პური» («დიალ.»);

ახლად გამომცხვარ (დღევანდელ გამომცხვარ) პურს თაჯა პურს ეძახიან (კლდ., ალგ. სალ.) **თაჯა** (**თაჯა** < თაზა თურქ.) (ჯავახ. ბერ.).

დიალექტ. **II. თაჯაი** ბოტ. დაჯირა, ხმარობენ საღებავად (მოხ. ქავთ.). შდრ. **დაჯირა** [*Salvia verticillata*] ბოტან. ტუჩოსანთა ოჯახის მრავალწლოვანი სარეველა ბალახი, აქვს მოპირისპირე ფოთლები და ღეროს წვერზე რგოლ-რგოლად შეკრებილი სოსანი ყვავილი. ესალმება ფხოვის ტყეებს, ტყეებს მწვანე მოლიანსა, დაჯირას და უკადრისას, სატყრობელას ჭორიანსა (ანა).

**თეგ-ი:**

ძვ. ქართ. **I. თეგი** დასაბეჭდავი (საბა). **თეგი** დასაბეჭდავი ნიშანი განსაშვენებლად წიგნთა შეკრულობისა (ნ. ჩუბ.). „საცეცხური... თეგითა შექმნულნი“ (A–484, 315v).

**თეგი** დასაბეჭდავი, სტამბა. ჩემსა ჯუფთისაგან ლხინისა თეგითა ჩემსა პირსა სიხარულისა ნახჭსა დავაჩნევდი (ქილ. 674, 15).

**თეგი** 1. სპეც. ვარაყის დასაკვრელი ხელსაწყო, – სატვიფარი. ამ სიაში სარკის მაგივრად ნახსენებია «მიჭვრიტინა» («მიჭვრიტინა ვერცხლის



თეგით მოჭრილი») (ი. გრიშ.). || ბეჭედი, შტემპელი; შტამპი. *თეგის* დასმა ხელს უშლის წიგნის დატაცება-მითვისებას («სახალხო განათლ.»). *თეგზე* აღნიშნული უნდა იყოს სკოლის სახელწოდება («სახალხო განათლ.»). 2. სატეხი («დიალ.»). || კუთხ. (გურ.) პატარა სატეხი, – თენგი (გ. შარაშ.).

**თეგი** პატარა სატეხი (ლექს. მრეწ. I, 409). **თეგი** დიალექტ. მოხ., ფშ., ხ., რკინის გასაჭრელი იარაღი (რკინაა, პირიანი, მჭედლები ხმარობენ) – ა. შან. მცირე ზომის სატეხი (რაჭ. კობახ.). გვხვდება თენგიც: „ძელების საყელოებს ამოიღებდით პირთხელით, საკოტავებს – თენგით“ (ზ.-იმერ. მრეწ. I, 267). სახლის გძელებს თენგით გამოთენგავენ ხოლმე (ქვ.-იმერ. მრეწ. I, 295).

შდრ. აგრეთვე: II. **თანგი**.

ახ. ქართ. II. **თეგი** კუთხ. (ქიზ.) მიწაში ჩარჩენილი მსხვილი ძირი მოჭრილი ფიჩხის ან გათიბული ბალახისა. გაბომ თეგს ფეხი წამოჰკრა და წაიქცა (ს. შანშ.). 2. ბალახი («დიალ.»). თეგი მიწაში დარჩენილი ხის ყუნჭი (თუშ. ა. შან.; ცოც.). შდრ. სპ. *tärke* სპ. როკი, ნუჟრი.

#### **თეე:**

ძვ. ქართ. I. **თე, თეე, თჳ, თჳ** საბრჯენი კავი / ჩანგალი, კოჭი, დირე: „თჳ იგი მესამჳ, სწორ ლერწმისა მის სივრცჳ და სწორ ლერწმისა მის სიგრძჳ“ (O, ეზუკ. 40, 8). „თჳ იგი ბჳისად მის შინაგან და თეჳნი სამნი იმიერ და სამნი ამიერ“ (O, ეზუკ. 40, 10). „გაზომა ბჳჳ იგი კედლითგან თეჳსადთ სივრცჳ ოცდახუთ წყრთა“ (O, ეზუკ. 40, 13).

საშ. ქართ. II. **თეეა** დირე, კოჭი: ექუს-ექუს თეეის ზომათ (წყობილ. 133, 4). ძვ. ქართ. თეე (|| თევი || თეი) ებრ. *tā', ἄρμᾶ*. მცირე ზომის გვერდითი ოთახი (ჯიხურივით) ტაძრის შესასვლელში, განკუთვნილი ტაძრის მცველთა და მეთვალყურეთათვის. ამგვარი ოთახები განლაგებული იყო კარიბჭის ორივე მხარეს (სამ-სამი თითო მხარეს); ამ ე. წ. საყარაულო ოთახებიდან მოდარაჯენი თვალყურს ადევნებდნენ ტაძარში შემსვლელთ (ცქიტიშვილი 1976, 303).

#### **თეო:**

საშ. ქართ. I. **თეო** (ბალახ.) თერო – საბა.

საშ. ქართ. II. **თეო** მდგურის კიდე – საბა.

თეო, თეოა (ფშ. თუშ. ქართლ.) ადგილი ცხვრის ბინის განაპირას (ვაჟა).

დიალექტ. საყარაულო ადგილი ცხვრი ფარასთან (თუშ. უთურგ.). თეოა ღამით დამდგარი ცხვრის ადგილის ნაპირი, სადაც მეცხვარეს სძინავს. „ბოსელაა დაწოლილიცჳ – თეოზედ! „ბალდი-დ' ძაღლ თეოსაჳ“ (თუშ. ხუბ.).

**თეომოკრულ** ცხვრის ფარის წინა წყების რკალისებურად მოვება (თუმ. ხუბ.).

ცხვრის ბინის გარშემო ალაგი, სადაც ძაღლები დარაჯობენ (კირიონი). ძაღლები ლეკვობიდანვე თეოზედა ჰყავთ, სწურთიან და აჩვევენ (ფშ. მრეწ. I, 182).

ქართულ ძირს კანონზომიერად შეესატყვისება კოლხ. (მეგრ.) თიბ-, თიფ- (< \*თიბ) (კელაურაძე 2013, 6).

#### **თერო:**

საშ. ქართ. **I. თერო** ბალახი, თეო – საბა. შდრ. I. თეო.

დიალექტ. **თერო** მრავალწლიანი მცენარე პარკოსანთა ოჯახისა (ფშ. ქსნის ხეობ., ფერეიდ.).

საშ. ქართლ. **II. თერო** თეო „მდგურის კიდე“ (საბა). იხ. II. თეო.

#### **თირ-ი:**

საშ. ქართ. **I. თირი: თირი** ღბილი კლდე; მჭადაქვა – დ. ჩუბ.

ახ. ქართ. **თირი** 1. ნაცრისფერი რბილი ქვა; ითლება, ცეცხლზე არა სკდება (მისგან აკეთებენ კერას), – რბილი კლდე, მჭადაქვა. || «მიწაა ერთგვარი, აკეთებენ მისგან ქოთნებს, ქვევრებსა» («შინამრეწვ.»). ჭურის თავზე აყალო მიწა რომ არ გახმეს, *თირს* მოაყრიან («შინამრეწვ.»). თონესა და ღობეს შუა ჩაყრილია *თირი* (მშრალი მიწა) («შინამრეწვ.»). 2. ბოსტნის კვლებს შუა დარჩენილი გასავალი ბილიკი («დიალ.»).

დიალექტ. **თირი** მიწა (გუდამაყ. მრეწ. II, II, 200). **თირი ფაყლაა** ბოსტნის თირებზე დათესილი ღობიო (ინგ. ღამბ.). **თირი** თავსაბანი მიწა (ფარცხ., მარაბ.; ქართლ. მენთ.). შდრ. (აზ. თირა) „ნათესში კვლის ირგვლივ მოსაზღუდავად აბეჭებული მიწა“ (ინგ. ღამბ.).

ახ. ქართ. **II. თირი** (ინგილ.) იგივეა, რაც საყვავე. *თირის* გადება («შინამრეწვ.»). *თირის* გათლა («შინამრეწვ.»). თავსა და ბოლოში სვამენ თავკაპიან დაბალ ბოძებს და ზედ დებენ «*თირს*» – საყვავეს («შინამრეწვ.»).

დიალექტ. **თირ** 1. (აზ. თირ) კოჭი, გათლილი ძელი, რომელიც ჭერზე გარდიგარდმო გადებული და რაზედაც ღამფაა მიკრული; ანდა იატაკქვეშ გადებული ასეთივე ძელები იატაკის ზედ დასაგებად (ინგ. ღამბ., იმნ.).

დიალექტ. **III. თირი** (სპ. tior) ისარი (ფერეიდ. არნ. ჩიქობ.).

#### **თიღ-ი:**

საშ. ქართ., დიალექტ. **I. ხუავი-თიღი** – საბა. **თიღი** (თურქ., სომხ.) ხვავი. **თიღი** (თ.) გალწილი ხორბლეულის, სიმინდისა და მისთ. ხვავი; ერთად, ზედიზედ, დაწყობილი მძიმე ნივთები, საგნები, დიდ გროვად დაყრილი, – დახვავებული (აჭარ. ნიჟ.).

ახ. ქართ., დიალექტ. **II. თიღი** (ქიზ.) ხელოვნ. 1. სადგისის წვერი. 2. სარანდავი იარაღის პირი. **თიღი** (თურქ.) საქსოვი ჩხირი-სადგისი. ეს *თიღით* მოქსოვნილია; ეს *თიღის* ოია არი; დადგება *თიღი* ბულდისა. თიღ-მაქინაით გაასუფთებენ (იმ., ჩვენ. ფუტკ.). **თიღი** სალაშინის დანა, რომელიც ჩამაგრებულია ავშართ. ავშარა არი ხე, რომელიც სალაშინის *თიღს* ამაგრებს (კავთ., ქართლ. მესხ.).

**თიღი** რკინის მახვილპირიანი იარაღი. აკაკი კარის გულფიცრის ბაზოების გაშალაშინებას რომ მორჩა, ფოლადის პირიანი *თიღი* კარგად გალესა და იმით იმ ბაზოების ერთმანეთში ჩასასმელი ჭრილი ამოჭრა (მთ.-რაჭ. ლობჯ.)

დიალექტ. **III. ქართ. თიღი** „ჯიღა (მამლისა).

ს.-ქართვ. \*თღლ-„მამალი ცხვარი; ბატკანი (ჩუხუა 2017).

**თომარ-ი:**

საშ., ახ. ქართ. **I. თომარ-ი** (სპარ.) თომარ «გრაგნილი (რომელსაც ჯიღასთან ირჭობდნენ)» ძვ. ძვირფასი ქვებით მოჭვილი ქუდზე სატარებელი ფრთა; ჯიღა (დ. ჩუბ.). თუის თავზე მოვა ხალათი, თავჯი, ჯიღა და თომარი (ფეშ. 221, 1).

(თურქ.) თომარი ანუ (არაბ.) თუმარ აღრიცხვა, წვრილი, გრძლად ნაწერი ქაღალდი დახვეული (ი. გრიშ.).

დიალექტ. **II. თომარი** ბევრი, სულ ერთნაირი (ჯავახ. ბერ.).

ახ. ქართ. **III. თომარი** ჟარგ. ლაპარაკი, საუბარი. „ჩემზე რომ ყიამყრალი *თომარი* დაიწყოს, სკოტლანდიარდში ჩემზე რამე მართლა ხომ არ მოიძებნება“ (გ. და კ. ჯორჯანელები, თარგმ.) „მთელი დღე ისმოდა ქურდული *თომარი*“ (ტ. ჭანტურია). აგრეთვე: **თომარი გაუშვა** ლაპარაკი დაიწყო; **თომარობს** ლაპარაკობს – ლ. ბრეგ.

**თორ-ი:**

საშ. ქართ. **I. თორი** თორნი. ძვ. ტანთ საცვამი რკინისა, ჯაჭვივით – საბა.

ახ. ქართ. სხეულის დასაფარავი ჯავშანი. ლომს დაეხურა თავს მუზარადი, ტანთ საომარი ჩაეცვა *თორი* (გ. აბაშ.). თავადაც *თორი* ეცვა რაჟდენს (კ. გამს.).

თორი იგივე უნდა იყოს რაც (სპ.) დერ ჯავშანი.

დ და თ-ს მონაცვლეობა ქართულში ცნობილია. რაც შეეხება ფუძის თავკიდურში დ || თ მონაცვლეობის ორიოდე მაგალითს, რეგრესული ასიმილაციის გარდა, აქ საფიქრებელია იგი იმ ენის დიალექტური მონაცემია, რომლიდანაც სათანადო სიტყვა შემოვიდა ქართულში: დოვლათი > თოვლათი: თქუენის ქვეყნის თოვლათით (საქ. სიძვ. 503. 1794 წ.); შდრ. აგრეთ-

ვე: დუშმანი || თუშმანი (აქედან გვარის სახელი თუშმალიშვილი), მაგრამ ასეთი თითო-ორორია და ინდივიდუალური ჩანს (ქავთარაძე 1964, 339).

საშ. ქართ. **II. თორი** ავადმყოფობა (ქანან.).

დიალექტ. **III. თორი** ზისცვრისას აკეთებენ ერბოს, სატანს, კალტსა, დოვს, ხარშოს, ტკბისვლის *თორს* (შინამრეწვ. 64). [ტკბისვლის] ადულე-ბიდგე ძირჩი კალტ ჩაიყრებია-დ' აიმას ტკბისვლის თორნ ხქვიან. გაწურიდგე კალტ-ხქვიან (შინამრეწვ. 74-ა). შდრ. თუბრ (სვან. თოფ., ქალდ.).

დიალექტ. **IV. თორი**: დაიქირავა თამბაქოს საკრეფად, თორებზე ასასხმელად და დასადასტებლად (მელან.) (ი. გრიშ.).

**თორი** (თ. თორ) 1. ბადურად ნაქსოვი სარტყელი; 2. ბადე. წელს უმშვენებს – თორი სირმით მოქარგული (ლ. გელ., აჭარ. ნიჟ.).

თორ [აზ. თორ] ბადე, ქსელი. ფარდა ძაფით ნაქსოვი; თევზი დანაჭერ *თორ* (თევზის დასაჭერი ბადე); აბრეშუმის ჭიის ქსელი გაბმული პარკის მოსაქსოვად (ინგ. როსტ.); *ჭიაბ თორ* (აბრეშუმის ჭიის ქსელი) (ინგ. ღამბ.). **თორი**: თევზსაჭერი ბადე; ღელეებში დეფქირავ, საჩმაით, თორით (ხობ., შავშ.). *თორსა* დაქსელვენ ფილფიტებით (ინ.). ჩუენი ძუელები *თორსა* იბმიდენ წელზე (ჰ., ჩვენ. ფუტკ.).

**თორი** წელზე შემოსარტყამი ქამრის მაგიერი, რომელიც მოქსოვილია აბრეშუმის ძაფისაგან ზან. (ლაზ. თანდ.).

მიიჩნევენ, რომ **თორი** (< tor) ხელმანდილი. „სილგის მერე ახურავთ *თორი*, იგივე ხემანდილი (ბოძაური); *თორი* თხელი ნა იყოს, ბადესავითაა (შუბანი). თურქულში დადასტურებულია სიტყვა tor „ნაქსოვი ნაჭერი“, თხელი ბადე, ფაქიზად მოქსოვილი ნაჭერი „დაწული სარტყელი“, აჭარულში სიტყვის მნიშვნელობა დავიწროებულია (გურგენიძე 1973, 45).

2. ს.-ქართვ. \*თორ- მოხვევა, ჩაცმა, ჩასაცმელი=მოსახვევი“ > ქართ. თორ-ი || თორნ-ი (პლურალია ტანტუმ) ზან. 'თორ-' : სვან შდარ- || შტორ- || შდორ- < \*შთორ (ჩუხუა 2000-2003).

აზ. ქართ. **V. თორი** [სკანდინ. თჰორ] სკანდინავიურ მითოლოგიაში: ჭექა-ქუხილის ღმერთი, მიწათმოქმედების მფარველი – მ. ჭაბ.

### თორნე:

ძვ. ქართ. **I. თორნე** «ფარი»: მოიღო *თორნე* – უძლეველი სიწმიდე O, – „მოიღოს ფარი– უძლეველი ღირსებისა“ (pb., სიბრძ. სოლ. 5, 20). „თორი, ჯავშანი, ფარი, და *თორნე* ჯაჭუედი ემოსა მას“ (I მეფ. 17, 5).

1. ძირითადად ამ მნიშვნელობით დასტურდება **თორი, თორნი**. სიტყვა ბერძნულიდან უნდა იყოს ნასესხები ὁ θώρακ, -άκο 1. ჯავშანი (უპირატესად გულმკერდის დასაფარავდ). 2. საფარი, სიმაგრე, საყრდენი; 3. (სხეულის ნაწილი, რომელსაც ჯავშნით იფარავენ), ე. ი. მკერდი ან ტორსი (გელენიძე 1974, 76).

2. ს.-ქართვ. თორ „მოხვევა, ჩაცმა, ჩასაცმელი= მოსახვევი“ > ქართ. თორი || თორნი (pluralia tantum): ზან. [თორ- : სვან. შდარ- || შტორ-|| შდორ- \*შთორ-) (ჩუხუა 2000-2003).

ახ. ქართ. **II. თორნე, თურნე** საცხობი, ღუმელი. „ფურნე და თორნე განჭურვებულნი“ (ტიპ. 29, 2). „გამოცხობილი თორნითა“ (O, ლევიტ. 2, 4). „ვითარცა თორნე, შთაგზებული ცხობად“ (O, ოვსე, 7, 4). „ხვალე თორნესა შთაგზნეს“ (ლ. 12, 28). „აღატყდა ვითარცა თორნე გულნი მათნი“ (O, ოვსე, 7, 6). „და გამოჯდეს მდინარისა მისგან მყუარი... და შევიდეს სახლსა შენსა... და სახლთა მსახურთა შენთასა და ერისა შენისასა და თბესა შენსა და თორნესა შენსა“ (გამოსლ. 8, 3) – ვ. დან.

სამ. ქართ. **თორნე** პურის საცხობი – საბა. **თორნე** (თათრ.) თიხისაგან შექნილი უძიროდ დიდი სიავი პურის გამოსაცხობი – დ. ჩუბ.

შეჭირვებისაგან გული მწუადას უგუანდა, თორნესა შიგან შემწუარსა (ვისრ. 87, 19). შევკრიბო... ყოველნი... თორნითა და ჩაფხუტებითა“ (O, ეზეკ. 38, 5). საცხობლად პურისა აქვთ თორნეები ძველადვე, ხოლო უკანასკნელ ქალებთა შინა შემოიღეს ფურნე, რომელსა შინა აცხობენ ლავაშსა ყიზილბაშის გვარზედ (კალმას. II, 556, 20).

ახ. ქართ. **თორნე** იგივეა, რაც თონე. ერთი დედაკაცი თორნიდან თბილ-თბილ შოთებს ყრიდა (ბაჟა). [ხაბაზები] დღეში ორჯერ გაახურებენ თორნეს, გამოაცხობენ საცხობს (აკაკი). მოშორებით იდგა... სამზარეულო..., პატარა ხულა..., იქით თორნე, მარანი (დ. კლდ.).

დიალექტ. **თორნე** თონე. ქერაბინს... მერე წვევიღვთ საწვავ თორნეში (გურ. იმნ. 221, 4).

რთონეს უძახით და თორნე ქვე ჰქვია თურმე (რაჭ. კობახ.).

ქეგლში დასტურდება როგორც თორნე ისე თონე ლექსემები. ძირითად სალექსიკონო ერთეულად თონეა მიჩნეული. სიტყვა თონე უნდა მომდინარეობდეს სირ., ებრ., არაბ., აქად. tinûru სიტყვიდან (ვ. წერეთ.). შესაძლოა, ეს სიტყვა ინდოევროპული იყოს. ძირია მან (ურუშაძე 1980, 216). ასევე გავრცელებულია თორნე (ინგ., ქართ., ჯავახ., ზ.-იმერ., ქვ. სვან., გურ.; მრეწ. III, II).

ჰრ. აჭარაიანი სომხურ tonir ფორმის შესახებ ამბობს, რომ ის ნასესხები სიტყვაა და ამასთანავე მთლიანად შემოსული აღმოსავლეთიდან. მოაქვს სხვადასხვა ენათა ფორმები: თვლის რომ სემიტური არეალიდან სიტყვა შევიდა ირანულში (ზენდ. სოლდ, ფალ. და ახ. სპ.) ხოლო სპარსულიდან ისესხეს ავღანურმა, ქურთულმა და ქართულმა. გიგინეიშვილის აზრით, უფრო მოსალოდნელია, რომ სომხური ფორმა ადგილობრივ ბრუნვაში (i tonri) ყოფილიყო ქართულის წყარო. \*თონრი უთუოდ მოგვცემდა \*თორნის, რადგან ნრ მიმდევრობა ქართულისათვის არაბუნებრივია. მაგრამ ბოლოკიდური ი-ს ე-დ გარდაქმნა მაინც აუხსნელი რჩება (გიგინეიშვილი 2016).

**თოფ-ი:**

საშ. ქართ. **I.** ცეცხლის სასროლი (+ ჯ ე ლ მ ე ხ ა ქართულად ჰქვიან უჯმ.) – საბა. შემოსული ჩანს თურქულიდან შდრ. (თურქ.) ტოფ „ზარბაზანი“. „ესროლეთ, თოფის კომლითა ვერ დაინახონ, დარენი!“ (ი. ტფილ. 65, 2).

უნდა მიეცეს ჩახმახის თოფი (სამ. IV, 303).

რა განქარდა თოფის კვამლი, შეუტივეთ ერთპირობით (არჩ. 316, 643, 1). **თოფ-ზამბურაკი:** ავღანთა იწყეს თოფ-ზამბურაკთა სროლა (ქ. ცხ. IV, 488, 17).

**თოფჩიბაში:** ხოლო იესემ... რომელი იყო თოფჩიბაში (ქ. ცხ. IV, 492, 20). თოფსა... დამბაჩაც უნდა (ნ. ბარათ.) – გ. გოგატ.

**თოფხანა** საჯაბადრო, ჯაბახანა. ჩემ[მ]ა ერთმა სახლისკაცმა თოფხანის ატუტენტმა თავის რასათი ხარჯი მომცა (სამ. VIII, 436, 19).

**თოფი** სპარსულად ზარბაზანს ნიშნავს (ი. გრიშ.). თოფი (თურქ.) top ზარბაზანი (ლაზ. თანდ.).

ახ. ქართ. თოფი ხელში დასაჭერი გრძელლულიანი ცეცხლსასროლი იარაღი. სანადირო თოფი. – ორლულიანი თოფი. – თოფის სროლა. – თოფის გატენა. – თოფის დაცლა. – ცარიელი თოფისა შორს მტერს ეშინია, ახლოს – პატრონსაო (ანდაზა). თოფს მსროლელი უნდაო (ანდაზა). [მხედრებმა] მხარზე თოფები გადიგდეს. ფარ-ხმალი დაიკიდესა (ვაჟა). ბატონს თოფი დავუმიზნე, გადმოვიღე მაჭახელა (აკაკი). უცებ სადღაც ტყეში გავარდა თოფი (ნ. ლომ.).

საშ. ქართ. **II.** **თოფი** მატერიის, ქსოვილის მთლიანი ნაჭერი, ბრტყლად დახვეული მატერიის ზომის მსხვილი ერთეული. ერთი თოფი ეხლაც დაკარგული მაქვს სხვის ხარჯისათვის (სამ. VIII, 21, 13). ერთი თოფი ნარმა (სამ. VIII, 336).

ახ. ქართ. [ოქრომჭედელი] რამდენს ტანსაცმელს დაიფერთხდა, იმდენი თოფი ფარჩა, აბრეშუმი და ხავერდი ვარდებოდა ციდან (ნ. ლორთქ.). იმ წამსვე რამდენიმე თოფი ფარჩა გადმოაწყო (ნ. ავალ. თარგ.) – ი. გრიშ.

ზან. (მეგრ.) **თოფი** ქსოვილის ზომის ერთეული (ქაჯაია 2009, 252).

დიალექტ. **III.** **თოფი** (თურქ.) ბურთი. აქა თოფ ექცვიან, ითამაშებენ (იმ., ჩვენ. ფუტკ.).

**თოხლ-ი:**

საშ. ქართ. **I.** **თოხლი** კვერცხი – ნ. ჩუბ.

შდრ. თორხოლო (კუერცხი). თოხლო «კვერცხი ნახევარმწვარი» (საბა, ქეგლ). თორხულო თოხლო, ნახევრად მწუარი (საბა): კვერცხის გული თოლხოლო (ქანან. 278, 18)

საშ. ქართ. **თოხლო** 1. ისე მოხარშული კვერცხი, რომ ცილა და გული გამაგრებული არა ჰქონდეს, – ოდნავ მოხარშული. **თოხლოდ** ზმნს. ისე, რომ თოხლო იყოს. თოხლოდ მოხარშული კვერცხი, 2. საუბ. გადატ. უფხო, უგერგილო, დონდლო, ლაყე. ჰაი, შე *თოხლო*, შენა!

საშ. ქართ. **II. თოხლი** ბატკანი. მისი საჭმელი: ჯორცი კრავისა ან *თოხლისა* (ფანასკ. 131, 26).

ახ. ქართ. **თოხლი** ცხვარი ექვსი თვის ასაკიდან ერთ წლამდე (პირველი გაპარსვიდან მეორე გაპარსვამდე), – ბუწი (საზა). **მამალი თოხლი**. – **დედალი თოხლი**. – ცხვარში ერთი შავი *თოხლი* ურევია (ზღაპ.). ახლად ნადოლებ ბატკანს ორივე სქესისას შემოდგომაზე მთით დაბრუნებისას «*თოხლს*» ემახიან («შინამრეწვ.»). ორ მეცხვარე თუშს ოთხიოდე ჭედილა და ხუთიოდე *თოხლი* წინ გამოეგდოთ და სოფელში მიერეკებოდნენ..., იქნება გავყიდოთო (ილია). დღეობისათვის სამი დეკეული დაკლეს, ამდენივე *თოხლი* (ს. შანშ.).

ს.-ქართვ. \*დოხლ- „ერკემალი, ცხვარი“ > ქართ. თოხლი: ზან. თოლხი < \*დოხლი: სვან. დუხ > || დუხ (< \*დოხჴ) (ჩუხუა 2000-2003).

**თოხლი** შემოსული ჩანს თურქულიდან (გიგინეიშვილი 2010).

ახ. ქართ. **III. თოხლი** (ყარგ.) პურმარილი, ქეიფი („თოხლი“ ებრაულად ჭამას ნიშნავს). „გუშინ თოხლი იყო“ (ზურდან გემაზაშვილი) – ლ. ბრეგ. თოხლი ჩახეთქვა, გატყვრომა – ი. გრიშ.

**თოხუმ-ი:**

საშ. ქართ. **I. თოხუმი** ჯიში, ჩამომავლობა – დ. ჩუბ.

ახ. ქართ. **თოხუმი** [სპარ. თოხმ «თესლი»] ჩამომავლობა, ჯიში, ჯილაგი. ჩვენი იუდა არც ისკარიოტელია, არც ძმა იაკობისა, იგია ნამდვილი ქართული *თოხუმისა* (ს. მგალობ.). «თქვენი *თოხუმი* გაწყდეს და, გასაწყვეტიცა ხართ!» (ვაჟა). «ავი *თოხუმისა* ხარ» (ს. მენტ.).

**თოხუმი** ჯიში, ტამაზლუხი, ხვასტაგი, მშრომელი, თესლი კვერცხი. ამბობენ: გეტყობა, რა *თოხუმიცა* ხარო! ძველ ინდოეთში ხალხი რამოდენიმე ნაწილად, კლასად ან *თოხუმად* იყო გაყოფილი (ი. გრიშ.).

დიალექტ. **თოხუმი** ჯილაგი, ჯიში. თარაქაებ და თურქებ ერთი *თოხუმი* აქთ (ჯავახ. ზედგ.). ეგა ჩვენი ცხვრის *თოხუმისა* არ არის (ქართ. მიძ. კეცხ. ხუბ.).

ჩონ ერ მწზრრ გოქ (მოზვერი გვყავს), თოხუმიზე (საჯიშედ) შოგინახი (ინგ. ღამბ.).

**თოხუმობა** იგივეა, რაც თოხუმი, შთამომავლობა, შვილები, შვილიშვილები, მათი შვილები. ჩემი *თოხუმობა* ორმოცზე მეტია (მოხ. ქავთ.).

დიალექტ. **თოხუმი** კუთხ. (ლექხ.) «ემმაკი ადამიანი» (მ. ალაგ.).

საშ. ქართ. **II. თოხუმი** კუთხ. (ქიზ.) იგივეა, რაც თახუმი. «სამი *თოხუმი* ფეხსაცმელი» (ს. მენტ.). 2. ხარაზის ტერმინი, იგივეა რაც *თახუმი* (ლექხ. ალაგ. 1).

**თუთ-ი:**

საშ. ქართ. **I. თუთი** ფრინ. (თურქ.) სხვათა ენაა, ქართულად ზორაყი ჰქვიან (საბა). *თუთი* ლაღობს რაღა წვად (ბეს. 56, 13). შდრ. თუთიყუში.

დიალექტ. **II. თუთი** (ქიზ.) ხელოსნ. სადგისის ტარზე წამოცმული სალტე, სარჩიელი. «სადგისის ტარს თიდის გარშემო რომ სარჩიელი აქვს შემოკრული, *თუთი* ჰქვია» («შინამრეწვ.»).

**თუთუნ-ი:**

საშ., ახ. ქართ. **I. თუთუნ** (ოსმ.)თამბაქო დ. ჩუბ.

**თუთუნ** [თურქ. თუთუნ] საუბ. იგივეა, რაც თამბაქო. **თუთუნის** მოწევა. – **თუთუნის** ქისა. – «ერთი დააკვესე. პატარა *თუთუნი* მაინც მოვწიოთ!» (ს. მგალობ.). «*თუთუნის* ერთი შეკვრაც მიმაქვს თან ფოთლად» (ლ. ქიაჩ.). *თუთუნს* ვახვევ სიფრიფანა თხელ ქალაღდის სამოსელში (ი. გრიშ.).

დიალექტ. **თუთუნი** (თურქ.) თამბაქო. „*თუთუნ* გავახმობთ, ზამთრისთვის შევნახავთ (ინ., ჩვენ. ფუტკ.).

დიალექტ. **II. თუთუნი** კუთხ. (ფშ.) «მრავალი ადამიანის ერთად მოძრაობა» («დიალ.»). შდრ. ფუფუნი, ფუთფუთი.

**თული-ი:**

საშ., ახ. ქართ. **I. თული** ძვ. და კუთხ. მთ. «მეკობარი, ავაზაკი» (დ. ჩუბ.). ყაჩაღი. «მამ არ მესროლა, რომ *თულეზივით* დამტაცეთ საქონელი?!» (შ. არაგვ.). «ერთი უყურეთ, უყურეთ მაგ სისხლის მწოველ *თულეზსა*» (ვაჟა).

თულიაანთ რატო ემახიან მაგათ? იმიტო, რო წინაპარი *თული* დყოლიათ, გავარდნილი ყაჩაღი (გ.-კახ. სახლთხ.). „ხომ არ მოვიდნენ *თულეზი*, ნეტა რამ იბირდგნიალა“ (ბ. 133, 24) – ივ. ქეშიკ. „შენ, ბაკურიშვილო, შემოგეხვივნეს თულეზი) (თუშ. ხუბ.).

შდრ. თულინგრი (გურ. ღლ.).

დიალექტ. **II. თული** (იმერ. მესხ.) მოღუნული წნელი, ოდრიკალი, რომელზედაც აჯენენ მიმინოს გასაწაფავად (ვ. ბერ. კ. დონდ., 372). **თულანა** ერთი მეტრის სიგრძის მრგვალი ხე, რომელზედაც მოქსოვილი შალი ეხვევა (მთ. კაიშ.).

**III. თული** ნაკლები ძალის მქონე არაყი, სულ ბოლოს გამონადენი გამოხდის დროს არაყს რო ძალა გამეღევეა (თანაც მომჭაო გემოსია), იმას ვეტყვით *თულს*. იმერლები უმახიან საიას (მესხ. ფეიქრ.).

**თულო:**

საშ. ქართ. **I. თულო** ძვ. ფუნდრუკი, ერთგვარი თამაშობა (საბა). „თამაშ-თულობით, თავის თხოვნით შენ, თავხედო ბრიყო“ (დ. გურამ. 159, 5, 1). **თულო**-ერთგვარი თამაშობა-შექცევა. „ყვერიელი რო მოვიდოდა, ჩადგებოდნენ ოთხიოდე კაცი, შუაში უცხო კაცსა – სიძეს მოიგდებდნენ და



სცემდნენ აპეურებით. ეს შუაში მოქცეული კაცი როცა გასჭრიდა (ფეხით) რომელსამე აპეურიდან კაცს, რომელიც სცემდა მას, მაშინ გაშველდებოდნენ“ (წრელახტა (თონ., დვალ., ღოლოვ., ქართლ. მენთ.).

**II. თულო** თივისაგან დაგრეხილი მსხვილი თოკი (ნადირაძე 2011).

**თულო** ულო უჭერენ ხორომს, როცა კონად კრავენ. „ძიენ უხეირო თულო მეგეჭირა, დაშლილა ხორომი“ (ჯავახ. ბერ.). შდრ. II. თული.

ოტია კახადის აზრით ცალკე უნდა აღინიშნოს, რომ ზემო რაჭაში ზოგან ულო თულო-ს სახითაცაა ცნობილი და ამავე მნიშვნელობით „სარტყელიც“ იხმარება; მაგ.: ნამჯი კონას „თულოთი“ შევკრამთ. **თულოს** „სარტყელიც“ ქვია (ზემო რაჭა, 38). სვანურად ჭერა, შემოჭერა ლი-თლე და თელა ჰქვია (ხვითლე, ხითლე, ხოთლე...) საინტერესოა, ხომ არაფერი აქვს საერთო მასთან თულოს, რომლის გამარტივებულ სახეს თითქოს ულო უნდა წარმოადგენდეს (კახაძე 1987, 91).

**თურ-ი:**

საშ. ქართ. **I. თურ-ი** ძვ. «ქორის საჯდომი» (საბა). თუ ქორი ზედ აღარა ზის, კაცს რას არგებს, მარტო *თური* (ი. ტფილ. 647, 301, 3).

ქანდარაზე ან *თურზე*... მიბმული თეთრი მიმინო... თვალებს კუსავ-და (დ. შენგ.).

საშ. ქართ. **II. თური** ხმალი. ისარი წუიმას ემგზავსა, მწარედ ისროდენ თურებსა (ფეშ. 773, 3)

დიალექტ. **თური** (ქისტ. თურ „ხმალი) ხმალი. მამასწვრეს ხახონაურთა, იდგა *თურების* პრიალი (ხევს. პოეზ. 584, 3) – ალ. ჭინჭ. **თურო** თური სომხურად ხმალი – საბა.

დიალექტ. **III. თური** მაქმანი (სპ. თური) მაქმანი ახანძალს ლაბას ჩააცმენ, *თური* ლაბასსა (ფერეიდ. ჩხუბ.).

**თუხმ-ი:**

საშ. ქართ. **I. თუხმი** მოუნელებლობა. შეიქნას მისგან სიმსივნე გრილი და ჯმელი (ფანასკ. 344, 18).

საშ. ქართ. **II. თუხმი** (სპ. თრხმა) მარცვალი, თესლი. თუხმი რეანისა – ხუთი დრამი (ფანასკ. 184, 38).

## o

**იალქან-ი:**

საშ. ქართ. **I. იალქანი** ქალის თაჯი, ანუ გვირგვინი. თავთ იალქანნი ქალთანი დევთა რქად გამოვსახეო (დ. გურამ. 131, 466, 2).

ძვ. ეთნ. პატარძლის საქორწინო (ჯვრისწერის) გვირგვინი. სადედოფლო იალქანი არ ედგა ქალსა (ვ. ბარნ.). გვირგვინს ანუ იალქანს აქვს ოთხი ტოტი («შინამრეწვ.»). *იალქანი* თუით დარბაზსავე დარჩომოდა (ვისრ. 166, 28). და რომელნიმე იხმარებენ ყანჩასა – ჯილასა... *იალქანსა* და სხვათა იარაღთა (კალმას. 555, ქვ. 9).

ამავე მნიშვნელობით გვხვდება იელქანი (ქიზ. მენტ.).

საშ. ქართ. **II. იალქანი** „აფრას მნიშვნელობით ეს სიტყვა პირველად ტიმოთე გაბაშვილის „მიმოსლვაშია“ მოხსენიებული და ისიც მხოლოდ ერთხელ: „ნავით მიმავალი მონაზონნი ბერვითა სპეტითა იალქანითა ბორიოს“... (ბერაძე 1981, 35-36).

ახ. ქართ. **იალქანი** 1. ხომალდის (ნავის) ანძაზე მიმაგრებული ტილო, რომელსაც საჭიროებისამებრ გაშლიან ხომალდის ასამოდრავებლად (ქარის საშუალებით), – აფრა. დიდი იალქნის დაბერვას დიდი ქარი უნდაო (ანდაზა). და განთიადის თეთრი ღრუბელი აცურდა ისე, ვით იალქანი (გ. ტაბ.). აფრის პარალელურად ქართულ ენაში დამკვიდრდა იალქანი. ეს სიტყვა ამავე მნიშვნელობის თურქული „იელქენიდან“ მოდის. ეს თურქული ტერმინი, როგოც აკად. ს. ჯიქიამ გაგვიმარტა, ორი თურქული სიტყვის – „იელ“ – ქარი და „იქენ“ – სვლა – შეერთების შედეგადაა მიღებული და ქარით მავალს ნიშნავს. საინტერესოა, რომ იალქანი ქართული მწერლობის ძეგლებში XVIII საუკუნის დასაწყისიდან გვხვდება და თავდაპირველად რაღაც სამკაულს აღნიშნავდა, რომელიც თავისი ფორმით იალქანს წააგავდა (ბერაძე 1981, 35-36).

სიტყვა შემოსულია თურქულიდან (გიგინეიშვილი 2010).

**იარა:**

საშ. ქართ. **I. იარა** ლერწამი. *იარა* და თურბუთი დანაყონ და გაცრან (იად. 419, 6). ერთი დირჰამი *იარა* და ნახევარი დირჰამი დანაყილი და გაცრილი თეთრი თურბითი გაურიონ (იად. 418, 4).

საშ. ქართ. **II. იარა** დაჭრილი – საბა. ანუ სხუათა ადგილთა უყამოდ *იარა* პირზედა (ფანასკ. 240, 34). თმისა ტევრი, სისქე მიჯრით ბაღსა შენ *იარა*, / სურნელებთა სუნი შენ გდის, დაცა სჩაგრე შენ ია რა, / სხივნი შენნი გულსა ჩემსა მოეფონა შენ *იარა*, / წყლულსა ჩემსა ვინ ჰკურნებდა, მოსწრებოდა შენი არა? (თეიმ. I, 158, 6).

ახ. ქართ. **იარა** 1. ჭრილობა, წყლული; დაწყლულებული სიმსივნე. დაჭრილობა... წამოდგომა დააპირა, შენძრევაზე ოდნავ შეხვეული იარა გა-  
ეხსნა (ეკ. გაბ.). ბერდიამ მოჰბანა ელგუჯას იარები (ა. ყაზბ.). გააკეთებინა  
რალაც ბალახების წვენი და იარებზე დააფენინა რალაც ფოთლები...  
(ნ. ლორთქ.). 2. გადატ. სულიერი ტკივილი; დარდი, მწუხარება; ტანჯვა.  
წუთის სიტკბოების გრძნობამ მხოლოდ... ძველი იარები აუშალა (ა. ყაზბ.).

დიალექტ. **იარამ** ჰავა აილო იტყვიან, როცა ჭრილობა გამიზნებდება,  
შესივდება (განსაკუთრებით სიცივის გამო) გაჭრილი თითი არ შეიხვია,  
ეტყობა შესცივდა და იარამ ჰავა აილო – გაუსივდა (მესხ. ფეიქრ.). იარა-ფა-  
რაიანი ფეხები ეგე გასივებული და იარა-ფარაიანი გოქონდა, ქი დედამი-  
წაზე ვეღარ ვდგებოდით (ფერეიდ. ჩხუბ. 323).

**დაიარალება** (< თ. yarali იარის, ჭრილობის მიყენება, დაკოდვა, და-  
ჭრა (აჭარ. ნიჟ.).

სიტყვა შემოსულია თურქულიდან შდრ. (თურქ.) yara „ჭრილობა“  
(Deeters 1926, 60, გიგინეიშვილი 2016).

ზან. **იარა** ჭრილობა (ლაზ. თანდ.).

**იფ-ი:**

ძვ. ქართ. **I. იეფი** უხვი. საბა კი განმარტავს **იეფი** „გამცემელი და პუ-  
რადი“. ნ. ჩუბინაშვილი – **იეფობა** „სიმრავლე ნივთთა მცირით ფასითა სა-  
შოვართა || პურადობა, უხვება. იეფის „გაიეფდების, განმდიდრდების“.

**იეფი:** „უხვი“ „სიუხვე“: „იყოს... ყოველი ნაყოფი იეფად“ (Sin-38,  
139v).

**იეფობა:** „სისავსითა პურისაფთა და იეფობითა ნუკვეულობდა იგი“  
(ეზეკ. 16, 49). „სადა იეფობაჲ ბოროტისაჲ, მუნ მოკლებაჲ კეთილისაჲ“  
(ი. ბოლნ. 135, 10). „კულად შემდგომთა მათთა მრავლისა ქებისა მიმთხუ-  
ეულ არს იეფობისათჳს ნაყოფთა მისთასა“ (ასურ. 13, 4).

საშ. ქართ. მოეგებნეს დიდებულნი, ძღვენსა სძღვნიდა იეფოსა  
(ვეფხ. 142, 2). აივსებოდა ნილოსი და იეფობდა ეგვპტე (ქ. ცხ. II, 13, 34). მო-  
ვდევ შენსა საწდომელსა, რაცა გწადდეს, გიიეფე (ვახტ. 42, 65). ჯიმშედს  
აჯობეს სამართლით, ნუმრევანს მოიეფობით (თეიმ. I, 98, 305). მქონდა  
ლხინი და უკუყრა საქებო სიიეფობით (ფეშან. 48, 9).

ქართლურ, მოხეურ და მთიულურ დიალექტებში კი **იფი** გულუხ-  
ვი, ხელგაშლილი კაცის ეპითეტად გამოიყენება. **იფი** „ხელგაშლილი“  
(მთ. კაიშ.). თავის ქონება რო არც თავისთვინ შურს და არც სხვისთვინ,  
ადვილათ რო მისცემს ყველაფერსა, ის იაფი კაცია, რო დაინანეფს, ის ძვირია  
(ქორ.). იაფა გოგიაი, იაფი (ქორ.). აგრეთვე (მეგ., ხოვ. ქართლ. ლექსიკ.).

საშ. ახ. ქართ. **I. იაფი / იეფი** ადვილი. ყველა იეფად იშოებოდა (რუ-  
სუდ. 414, 2). მაინც ჩემი სული არ არის ეგრეთ იაფი (გრ. ორბ. 352, 1). ქარ-  
თველებს როგორღა დაუჯდათ ეს სახელოვანი გამარჯვება, ძვირად თუ

იაფად (ი. გოგებ.). სწორედ კარგ მოყვარეს შოულობთ, მერე სულ იაფად (დ. კლდ.).

დიალექტ. გადატ. **მოუიაფებს** გაიუიოლებს. რა გატირებს? სად წავა, მოვა... *მოუიაფა* ზესნახემ (ნ. წულეისკ.).

**იაფი** ხშირად გვხვდება სინტაგმების შემადგენელ ნაწილად: 1. **იაფი წისქვილი** წისქვილი, სადაც საფქვავე ცოტაა. წისქვილში, საცა *იაფები* იყო, იქ წაიღებდნენ ხომე საფქვავესა, საცა ძვირები-არ წაიღებდნენ (ბაზ.) (ქართლ. ლექსიკ.). 2. **იაფური ქალამანი** ერთგვარი წესით ამოსხმული ქალამანი. ნახვრეტებში კოპი ნაკვანძი კი არ არის, ნახვევია. ასე ამოსხმული ქალამანი არც კოხტაა, არც მკვიდრი (ქიზ. მენტ.). 3. **ჩალის სახურავის იაფური დართვა**. ერთგვარი წესით სიგრძივ დახურვა ჩალისა სახურავად. ასეთი სახურავი მალე ცვდება (ქიზ. მენტ.).

**იაფად** ხშირად. [ქადაგს] თუ ზარის დაკვრაჩი მაუვიდის ჯვარი, თუ არადა სკამზე ნაჯდომი იქადაგის ძვირა მაუვიდის, არ მაუვიდის *იაფად* (თ. ოჩ. სარწმ. 66; ხევს. ჭინჭ.).

ახ. ქართ. ახალ ქართულში იგი ხშირად დასტურდება ფას-სიტყვასთან: ისინი ყიდულობდნენ კავკასიის ნაწარმოებს *იაფვასად* და გაჰქონდათ უცხო ქვეყნებში (გ. წერეთ. 7, 8). ქინძისთავი და ყველაფერი ეს უზრალლო, შესახედავთ უმნიშვნელო, *იაფვასიანი*, მაგრამ მცოდნეთათვის ერთადერთი იშვიათი, ფასდაუდებელი (ნ. ლორთქ.).

ამ მნიშვნელობით ძველ ქართულში იხმარებოდა „ადვილფასი“. რადცა-რა მუნ უუნდოესი და ადვილფასისაჲ (A=689, 31r, 37 a-b) – (სარჯ.). (შდრ. ხევს. ალფასი იაფი, იაფვასიანი, მუქთი. იარმუკაზე გაგიყვანთ, *ალფასად* გადაგიყიდითა. ასევე: ფშ. ალფასი – ალ. ჭინჭ.).

იაფვასიანის“ პირველი ნაწილი **იაფი** იღებს მთლიანი კომპოზიციის მნიშვნელობას და აღნიშნავს „მცირედ ფასად ღირებულს, მცირე ფასისას“ (საპირ. ძვირი). *იაფი* ხორცი წვეწს არ გამოსცემსო (ანდაზა).

დიალექტებში **იაფი** გვხვდება **იეფი**, **ეფი**-სახითაც. იეფი დაბალი ფასისა, ნაკლებად ღირებული, *იაფი*. წინწინ იმფო *იეფი* იყო საჭამადიც და ჩასაცმელ-დასაბურავიც (ინ.). **იეფობა** სიიაფე. თქუენტან *იეფობა* ყოფილა, გერჩექია?! (ინ., ჩვენ. ფუტკ.).

**ეფი** იაფი. *ეფად* მიყიდა. **ეფობა**: ბაზარში *ეფობა* არი თუ ძვირობა? **გაეფდება** იაფი გახდება, გაიაფდება. წნეულს კაი მოსავალი იყო ხილი *გაეფებულა* ბაზარში (რაჭ. კობახ.).

ზან. **ეფი** იაფი, იოლი, ადვილი, ეფიანი იაფიანი, იაფვასიანი (მეგრ. ქობ.); მაეფა ძალიან იაფი (მეგრ. ქაჯ.).

სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით იეფი || იაფი || ეფი „უხვი, მრავალი“ სპარსულიდან მომდინარეობს (ანდრონიკაშვილი II, 1996, 103, 105).

დიალექტ. II. **იაფი** (თურქ.) „შენობა, სახლი, ნაგებობა დაფი. აქ რაცხა *იაფი* ყოფილ; გოუკეთებთან იაფი (იმ., ჩვენ. ფუტკ.). დღეს მაგაჰ კაი დაფი აქ, მუშებ ვერ აუვა (ჯავახ. ბერ.).

**ილი-ი:**

საშ. ქართ. **I. ილი** (ებრ.) „ღმერთი“ (საბა).

საშ. ქართ. **II. ილი**, ამამა, დედამძღვრა, ჰილ (ი. ბაგრატი.). ვინ არ დიდსულობს, სულმოკლედ არს ყოვლგან დანაფიცარი. / დამკარით პირსა და ტკაცი მიქმენით, თუ სცნათ, ვინც არი, / მას მოკამათე ლიზღვრად სჩანს, ვით მუხას ილი მისცარი, / ვით არ ბად ლურჯად შევიდე, არც მას-თან დავიმტკიცარი (ბეს. 113).

ახ. ქართ. **ილი** [Elettaria cardamonum] ბოტან. სამხრეთ ინდოეთში გავრცელებული მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე, რომელსაც მოგრძო ფოთლები და თავთავად შეკრებილი ლამაზი ყვავილები აქვს. 2. ამ მცენარის ნაყოფი; გამოიყენება მედიცინაში, აგრეთვე კულინარიაში.

დიალექტ. **ილი** მოცვი (მთ. ალ. მაყ.).

დიალექტ. **III. ილი** (სპ.) საზაფხულო საცხორებელი კარავი (ბახტი-ართა) (ფერეიდ. ჩხუბ. 323).

**იოლი-ი:**

ახ. ქართ. **I. იოლი** ადვილი; მარტივი, უბრალო. ტარიელმა... იგრძნო, რომ საქმე იოლი არ იყო (ლ. ქიაჩ.). ირმა ღონიერი გოგო იყო, ჩალის ღერებს იოლად თხრიდა (რ. გვეტ.). ◊ **იოლად (იოლას) მიდის, გა[მო]დის (წავა, გა[მო]ვა...)** იოლად, ადვილად [მი]აღწევს რასმე, – თავი გააქვს (თავს გაიტანს); მცირედით [და]კმაყოფილდება. „გზას აღარ მამღევენ, რომ პატარა მივდგე, მოვდგე, ვიშოვო რამე, შენი სიკეთეც გადავიხადო და თავადაც იოლად გამოვიდე“ (ვაჟა).

დიალექტ. იოლწ საშუალება, ეკონომიური სახსარი. „რაცისიც იოლ მექნებ, იმას გავაკეთებ მეაც, აბა დიდიოდ ქორწილს ვერას ვიქ (თუშ. ცოც.).

**იოლათ** (|| **იოლათ წასვლა**) 1. გაჭირვებით, მაგრამ როგორმე თავის გატანა. შენი წულები ჯერამ ისოვ თელია, ცოტა ხან კიდო *იოლათ* წახვალ 2. გადატ. ერთმანეთთან შეთვისება, კეთილგანწყობილება. არა უჭირს მეზობლები არიან და *იოლათ* წავლენ (მესხ. ფეიქრ.).

საშ. ქართ. **II. იოლი** ამქრის წესდებაში ჯარიმას ნიშნავს. შეგირდი ხელობის შესასწავლად რომ ჩაიწერება ამქარში, ვიდრე ოსტატად არ იკურთხება, იხდის ჯარიმას, რომელსაც უწოდებენ „**იოლს**“. ვინც კვირა გასტეხოს, ხუთი აბაზი *იოლი* აქვს (კუცია 1984, 92). ვინც მკვდარზედ დააკლდეს აბაზი *იოლი* აქვს (კუცია 1984, 138).

**III. იოლი** ადვილი. სპარსულად „იოლ“ გზას ნიშნავს. ამბობენ *იოლად* წაველიო, ე. ი. გზა ვიპოვნეო (ი. გრიშ.).

**იონ-ი:**

ძვ. ქართ. **I. იონი** ბერძენი (საბა) იონი (Ἰόν, ὶ) ბერძენი: „აღვად-გინნე შვილნი შენნი, სიონ, შვილთა ზედა *იონთასა*“ (ზაქ. 9, 13) – კ. დან. „მეფეჴ იონთად არს“ (ო, დან. 8, 21). „*იონთა* სოფელი“ (რიფს. 172, 5).

საშ. ქართ. **იონი** იონელი, ბერძენი. იონთ ბრძენთა მოვეწივე (ქილ. 388, 11).

იხ. ახ. ქართ. იონიური (წიგნ.) იონიაში (ძველი საბერძნეთის ერთ-ერთი კუთხე) წარმოქმნილი, შექმნილი; იონიისა თუ იონიელების დამახასიათებელი. ძველი ბერძნული ენის იონიური დიალექტი. – იონიური ფილოსოფია.

**იონი** საბერძნეთი, ბერძენი ზან. (ლაზ. თანდ.).

ახ. ქართ. **II. იონი** (ბერძნ. ἰόν) მიმავალი ფიზ. დამუხტული ატომი ან მოლეკულა, რომელშიც ერთი ან რამდენიმე ელექტრონი ნორმაზე მეტია ან ნაკლები – მ. ჭაბ.

**ირეოს-ი:**

საშ. ქართ. **I. ირეოსი** სურნელი „კასია“. გამოსლ.: „კალამი, *ირეოსი*, სთველი და ქალბანა“ E – საბა. შდრ. აგრეთვე: ირეოანი – საბა.

საშ. ქართ. **II. ირეოსი** საწყაო, ინი – დ. ჩუბ.

**ირო:**

ძვ. ქართ. **I. იროი** სურნელი; „სპარსნი დარიჩინს უწოდებენ“ (საბა). „მიუყიდიან რჩეულნი იგი სულნელთა შორის *იროი* და კინამოი შეუმწინ-კულებელი“ (A=129 211v, 2-4b). შდრ. **I. ირეოსი** კასია – საბა.

საშ. ქართ. **II. ირო** (ბერძ.) გმირი. პირითა მნათობიერთა კაცი ირო-ად საგონებელი (ქ. ცხ. II, 25, 9).

საშ. ქართ. **III. ირონი და ირო** ესე ორნივე ემშაკთა ბუნების მქონე-ბელ არიან, არა სრულიად მსგავსი მათი, არამედ უდარესნი (საბა). ირონი, **ირო**, იონე, მოჰკალ, იმან ეს გიყო! (დ. გურამ. 159, 5, 2).

საშ. ქართ. **IV. ირო** ირონი. ირონი ბერძნულად თოვლი(ა) – საბა.

**იჯარა:**

საშ. ქართ. **I. იჯარა** (თურქ.) სავაჭროთა ხარკი – საბა.

ახ. ქართ. **იჯარა** [არაბ. იჯარა] ეკონ. 1. უძრავი ქონების (შენობის, მიწის...) დროებით დაქირავება სათანადო ხელშეკრულების დადებით, – არენდა. ზოგმა *იჯარით* აიღო მიწა (დ. კლდ.). [ვაჭრებს] სადუქნე ადგილი *იჯარით* აქვთ აღებული აქაური მემამულისაგან (თ. სახოკ.). 2. გადასახადი ასეთი ხელშეკრულების მიხედვით. «არხი ყველგან მონაწილეების მიწაზე არ უწევდა და ვის მიწაზეც ხვდებოდა, *იჯარას* ვაძლევდით» («შინამრეწ.»).

საშ. ქართ. **იჯარა** იგივეა, რაც იჯრა. ორი პური ყოველთა დღეთა *იჯარად* მქონდა (შპნ. III, 582, 36). შდრ. ინჯრა, იჯრა, ჯერი – საბა.

შდრ. **იჯრა** არს ერთი დღე საყოფი ღომი, თუ პური, ან სხვა რაივე რაიცა – საბა. ახ. ქართ. **იჯრა** ჭამა ერთ ჯერობაზე. არ შეიძლება, რომ აქ სამი თუ ოთხი საპალნე ღვინო ერთ *იჯრაზე* არ დალეულიყო (გ. წერეთ.). || საჭმელი, რასაც ერთ შეჭმაზე, ერთ ჯერობაზე ჭამენ. [ლეღენდერას] მადაც... იშვიათი დაჰყოლოდა, სამი კაცის *იჯრას* თვალის დახამხამებაში ნთქამდა (რ. გვეტ.). «ჩემთვის... ადამიანს არ ენანება მჭადის ნატეხი, *იჯრის* გადანარჩენი ხორცი» (ნ. ლორთქ.).

**იჯრა** ერთი ჯერი საჭმელი. „იქ ძალიან კაი *იჯრა* გვექონდა, გვრჩებოდა“ (ჯავახ. ბერ.). შდრ. არაბ. *iğra* – „საჭმელი“.

## 3

**კაბალა:**

ძვ. ქართ. **I. კაბალა**. ძველ ქართულში კაბალა დასტურდება ნაწარმოებ სიტყვში 1. **მაკაბალეობა** „მორიგება“. „ჯერ-არსო კვრიაკესა შინა მაკაბალეობად“ (დ. სჯ. 156, 33) – ზ. სარჯ. 2. **მიკაბალეობა** მიტაცება, მითვისება. „არცა ეპისკოპოსმან, არც მოყუასმან, არცა მონაზონმან, არცა დაბაჲ ანუ სოფელი მიკაბალოს“ (დ. სჯ. 269, 27).

საშ. ქართ. **კაბალა** ჯართა გააბარებენ სასარგებლოდ იფქლთა მოსაცემელად პირობითა რითმე სხვადასხვითა (საბა); *მიკაბალოს* კაბალად შეიქმნას – საბა (არაბ.) გამუშავებული ხარი სამუშაოდ ან ქირით (ნ. და დ. ჩუბ.).

ახ. ქართ. **კაბალა** [არაბ. კაბალა «ვალდებულება»] 1. ისტ. ძველ რუსეთში (მე-14 – მე-17 ს. ს.) – ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც მოვალე სესხის მიმცემის ყმა ხდებოდა, თუ ვალს ვადაზე არ გადაიხდიდა. 2. მონობის მსგავსი, მეტის მეტად მძიმე დამოკიდებულება ვინმეზე.

თუ რუსეთში **კაბალა** ვალსა ჰნიშნავდა და აღებულ ვალში გადასახდელ სარგებელს, საქართველოში უძრავ ქონებას ეხება... **კაბალა** აქ იმ ქონებრივი სახსრის, სახელდობრ თითქოს სახლის ქირის, აღმნიშვნელი უნდა იყოს, რომელიც საკაბალოდ მიღებული ქონების მფლობელს პატრონისათვის უნდა გადაეხადა (ჯავახიშვილი VII, 1984, 319-320). კაბალა, როგორც სამართლებრივი ტერმინი უშუალოდ არაბულიდან ზეპირი გზით გავრცელებული ფორმაა ქართულში ადრეული საუკუნეებიდან (იმედაძე 2014, 122).

ახ. ქართ. **II. კაბალა** [ძვ. ებრ. კაბალა «საიდუმლო მოძღვრება»] 1. ებრაელთა მისტიკურ-რელიგიური მოძღვრება საშუალ საუკუნეებში. 2. გადატ. გაუგებარი, გონებით მიუწვდომელი რამ.

დიალექტ. **III. კაბალა** 1. ოთხკუთხა ფიცრის ჩარჩო ქსოვის დროს სახეების გამოსაყვანად „კაბალაი გუქონდისკე ოთხკუთხი ხისა, იმაზე ტყლაპი გამავაკრიტკე მიტკლისა და იმაზე ძაფი დავასთით“, 246. 2. რიკი, კოტა, გუთნის ან ცელის ხელმოსაკიდი. 3. ჩაჭდული მოკლე რიკი ხამუთის ტყავის გამოსანასკვად. 4. ურმის ნაწილია – ოთხკუთხა ჩარჩო უბის წინ, ცხენს იცავს დაწოლისაგან (მოხ. ქავთ.). ურმის ღერძში გაყრილი რკინის რიკი, ჩალხი რომ არ მოსძვრეს (რაჭ. კობახ.).

**კადრ-ი:**

საშ. ქართ. **I. კადრი** [არაბ. „შესაფერი პატივი“, „ღირსება“] გაბედვა, შებედვა (დ. ჩუბ.).

ვფიქრობთ, რომ ამ მნიშვნელობის სიტყვაში იგივე კადრ- ფუძე გამოყოფა, რაც ძველსავე ქართულში დადასტურებულ სიტყვაში კადრება, კადნიერი „გამბედავი“, „თამამი“, „მხნე“, მორიდებული “ სიტყვაში გამოი-



ყოფა. იუსტ. აბულადის ვარაუდით. **კადრ**-არის იგივე არაბული კადრ „ზომა“, „ხარისხი“, „ღირსება“, „ფასი“ (იუსტ. აბულადე 1938). ბ. გიგინეიშვილის ზრით, სიტყვის ეტიმოლოგია დაუდგენელია (გიგინეიშვილი 2016).

ახ. ქართ. **II. კადრი** [ფრან. cadre] ჩვეულებრივ მრ.-ში კადრები: 1. რომელიმე დაწესებულების, წარმოების, მეურნეობის ამა თუ იმ დარგის, პროფესიული ან პარტიული ორგანიზაციების მუშაკთა ძირითადი შემადგენლობა; ამა თუ იმ საქმიანობისათვის, სპეციალობისათვის საგანგებოდ მომზადებული მუშაკები.

2. სამხ. სამხედრო ნაწილების მუდმივი შემადგენლობა.

ახ. ქართ. **III. კადრი** [ფრან. cadre] კინოლენტის ცალკეული სურათი. || კინოლენტის ნაწილი, რომელზედაც აღბეჭდილია ფილმის ერთი რომელიმე სცენა, ეპიზოდი.

### **კაკაბ-ი:**

ძვ., საშ. ქართ., ქართ. დიალექტ. **I. კაკაბი** [Perdix] ზოოლ. „ვარიის ტოლა გარეული ფრინველი (ქათმების ოჯახისა)“. „ჴმა-ყო კაკაბმან“ (I, იერ. 17, 11).

დააბა, ვითა კაკაბი მახესა (ვეფხ. 2331, 3). კაკაბს შეხედავდა, სიარულში შირინს ამგზავსებდა (ხოსრ. 51, 14). ზედა მიუჭდა საომრად, ვითა კაკაბსა ბარია (ფემ. 846, 2).

ქორი ხან კაკაბსა და ხან როჭოს იჭერდა (თ. რაზიკ.) არ კაკანებენ კაკბები, მელაც თვლემს დიდი ხანია (პ. იაშვ.).

აგრეთვე: **კაკაბივით არის, კაკბის მკერდა, კაკბობა** (ეთნ. ნადირობა, XIV, 162; ხევს. ჭინჭ.).

ამ სიტყვას შეეხო შმიდტი, კლიმოვი, მათ მოსაზრებებზე დაყრდნობით აღდგენილია ქართულ-ზანური ერთიანობის დონეზე \*კაკაბ-არქეტიპი (ფენრიხი, სარჯველაძე 2000).

**კაკაბი მ.** მაჭავარიანს ფრინველის ხმიანობის აღმნიშვნელ სიტყვად მიაჩნია (მ. მაჭავარიანი 1989, 84).

ნასესხები სიტყვაა კაკაბი: ხეთ. კაკაპა, აკად. kakbanu (ურუმადე 1980, 223).

ბ. გიგინეიშვილის აზრითაც კაკაბი ნასესხებია ბერძნულიდან ქართულ-ზანურ პერიოდში. ფორმა კა-კა-პო = კაკაბოს („კაკაბი“) დამოწმებულია –B- ხაზოვანით შესრულებულ მიკენურ ტექსტებში, რომლებიც ძველი წელთაღრიცხვის XV-XIII სს-ებს განეკუთვნებიან (გიგინეიშვილი 2010).

ახ. ქართ. **II. კაკაბი** (ქართლ. კახ.) „ხის სადგამი, რომელზედაცაა დამარებული ქართული გუთნის ფრთა“ („დიალ.“) – ქეგლ.

**კაკაბი** გუთნის ნაწილი. გუთნი ფთა უნა დაიჭიროს *კაკაბმა*, უნა ჩავიდეს კბილში და კბილში დამაგრდება (ომ.); ხებრუნდი *კაკაბი* უჯდა გუთანსა (კავთ.); *კაკაბი* ქართული გუთნისა არი, ფთა უნა დავაკრათ იმაჲ ზეიდანა (ერთაწმ., ქართლ. მესხ.). **კაკაბა** გუთნის ნაწილი – „კბილასთან ზევიდან არის, იმაზე მანჭია, და ზედ ფრთაა. ბელტსა წყვეტდა (ქართლ. გაჩ.).

**კაკაბი** გაყრილი იყო ფთეში. და კბილში და ქვეიდან *კაკაბს* გაყრილი ქონდა ფარეში, რომ ზემოთ არ ამეეგლიჯნა (ფშ. მრეწ. IV, II, 105).

**კაკაბი** წინდა წინდის ორნამენტი (აჭარ. ნოლაიდ. დარგ. X).

**კაკაბი/ა** კომპოზიტია. კაკაბი გადატანით იგივე უნდა იყოს რაც კაკვიბერა.

ს.-ქართვ. \*კაკ-აბ- „დირე, მორი“ > ქართ. კაკაბი || კაკაბ-ა : სვან. კიკბერ (ჩუხუა 2000-2003).

დიალექტ. **III. კაკაბი** (რაჭ.) საცერი, ცხრილზე მომცრო თვალედები აქვს (ვ. ბერ.).

**მოკაკბვა:** განიავებულ პურს „მოკაკბავენ“. მოკაკბვის დროს *კაკაბაში* გადის პური და სარეველა მცენარეების კაკლები. რომ გავანიავებთ ჯელლოთი გავჯელდავთ, მერე *გავკაკბავთ*, მერე ცხრილით გავცხრილამთ, ჯელლოში ბზეს მოვართმევთ, *კაკაბაში* ქვა და ხვინჭკი (წვრილი ქვა) ძირ გაცვინდება, მერე ცხრილით გავკაზმავთ ბლვერს (ზ.-რაჭა, 38; კახაძე 1987, 90). როცა *გავკაკბავთ*, კაკალი ძირს ცვივა და ბულახი და ქვა *კაკაბაში* რჩება (ლექს. მრეწ. IV, II, 232).

**კაკაბა** 1. დიდი ძარი. ბზე *კაკაბა* ძარში ჩაყარე: 2. ცხრილი (ლექს. ალაგ.) ვფიქრობთ, ამ მნიშვნელობის კაკაბი კავშირში უნდა იყოს ლათინური ქვაბის აღმნიშვნელ caccabus-თან.

### **კანტი:**

სამ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. კანტი** (სომხ.) მომცრო, სუსტი; გამხდა-რი, ჭანი – დ. ჩუბ.

ახ. ქართ. კანტი 1. «მომცრო და მჭლე» (საბა). 2. კუთხ. (ქართლ.) მარდი, მოქნილი ტანისა, სხარტი. სიღარიბემ თავისი დალი დაასვა ცეცოსა: ის იყო *კანტი* ანუ, როგორც ჩვენში იტყვიან, სხარტი ბიჭი (ს. მგალობ.). 3. (ქიზ.) ზანტი მჭამელი; მძიმე, ზარმაცად მოძრავი.

**კანტი** 1. წვრილი და თხელი ადამიანი. 2. კობტად ჩაცმულ-დახურული ადამიანი (მარაბ., ქართლ. მენთ.).

ახ. ქართ. **II. კანტი** [გერმ. Kanke რუს. ენის მეშვ.] ქსოვილის ვიწრო ზოლი ტანისამოსის კიდეზე მოვლებული ან ნაკერში ჩაყოლებული. დიდ განიერ შარვალსა... სიგრძეზე წითელი *კანტი* აქვს ჩაყოლებული (აკაკი). || რაიმე მასალის ვიწრო ზოლი, შემოვლებული რისამე კიდეებზე. ქუდის კანტი. – კანტი წიგნის ყდაზე.

**კაპარ-ი:**

ძვ. ქართ. **I. კაპარი** ტყვია. „განქარდეს კაპარი“ (O, ეკლ. 12, 5).

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **II. კაპარი!** (ლათ.) ბალახი. არს კაპარი მრავალი (ქ. ცხ. IV, 332, 19).

არ მინდა შირაქის შავი ხე, ქარქვეტა, ბროწეული, წიწმატ-ბოლოკი, კაპარი, თუთუბო მოწეული (რ. ერისთ.). 2. (იმერ.) ჯონჯოლი – ქეგლ.

დიალექტ. **კაპარი** მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე, რომლის გაუმღელე კოკრებს ხმარობენ მწნილად და უწოდებენ ჯონჯოლს. კაპარი ტყის მცენარეა, ჯონჯოლს ისხამს (პერევი). უნდა მეიტანო ჯოხები თხილისი, წაბლის, კაპარისი (ჯონჯოლი რო იცის, ფოთლეფს რო აკეთებენ ჯონჯოლათ, ისაა კაპარი, დათალო პაწია დანითი და გააკეთო ტკეჩი (ბოსლევი, ზ.-იმერ. ძოწ.). აგრეთვე: კაპარი / კამპარი (რაჭ. კობახ., ქვ. რაჭა, მრეწ. I, 336., ზ. გურ. კიწმ.).

ზან. (მეგრ.) კამპარი /კაპარია /კაფარი/ კამპური (მეგრ. ქობ., ქაჯ.).

საშ. ქართ. **კაპრის წნილი:** 1472 წლის დავით გარეჯის ერთ-ერთ სიგელში ვკითხულობთ: „დოდოს უდაბნოს დავით გარეჯის ძღვენი უნდა მიერთმეოდეს ქართველთ მეფეს და კახთ მეფეს: ქ: ექესი ქვევრი თაფლი: ქ: სამი ქვევრი კაპრის წნილი [ჟორდანია, II, 1897, 300]. გარეჯული ძღვენი: კაპარი, კალამი და ცოტა ძღვენი (გარიგ., 87, 11).

**III. კაპარი** ბურახი. ხორბლისას აკეთებენ ხომე, ოსები ბურახს უძახიან, ქართველები – კაპარსა. **კაპარი**, როგორც მაჭარი, ისე შუშამს პირსა, ტკბილიც არი (ქვ. ჭ.); აგრეთვე მჭად., ქართლ. ლექსიკ.). აგრეთვე: (ხევს. ჭინჭ., მთ. კაიშ., მოხ. ქავთ., თუშ. ცოც.).

ს.-ქართვ. \*კაბ- „მყავე, დამყავებული; კუხი“ > ქართ. კამპ-არ-ი || კაპ-არ-ი: ზან. კობ-უ || -ო || -ალ-ა. ეძებნება შესატყვისები იბერიულ-კავკასიურ ენებში (ჩუხუა 2002-2003, 118).

**კაპარჭი-ი:**

ძვ. ქართ. **I. კაპარჭი, კაბარჭი** საისრე: „განმზადნეს ისარნი კაპარჭთა მათთა“ (ფს. 10, 2). „კაპარჭნი მათნი, ვითარცა სამარჯ ალებული“ (I, იერემ. 5, 16). „კაპარჭნი ისართა მისთანნი წარმოაცალიერნა“ (მ. სწ. 84, 21).

„კაბარჭსა მისსა დამფარა მე“ (I, ეს. 49, 2). „მბრძოლთა სახლებსა ჰკიდავენ მრავალფერი საჭურველი: წრმლები და ჰორლები, ფარები და მშვლდ-კაბარჭები შემზადებულები“ (მ. სწ. 10, 10). იხ. აგრეთვე: **მშვლდ-კაპარჭი // კაბარჭი, კაპარჭოსანი [მეკაბარჭე],** მემშვლდ-კაბარჭე) – ილ. აბულ.

საშ. ქართ. **ხმალ-კაპარჭი** მოიმაგრა (ვეფხ. 93, 2). თუ შენი კაპარჭი ისრითაცა სავსეა, მუნით ერთსაცა შენსა მოყუარესა ნუ შესტყორცებ (ვისრ. 215, 15). შეირტყა მშუილდ-კაპარჭი და გავიდა (ამირან. 233, 5). **ხმალ-კაპარჭთ** რიდი არ აქვდის (დ. გურ. 85, 159, 1). კაპარჭი ისრით სავსე წელთ

ერტყა (რუსუდ. 324, 14). რა ჩემი შვილი მოვიდეს, წელთ ერტყას *კაპარჭი* მშვილდები (შპნ. II, 3083, 3).

ახ. ქართ. **კაპარჭი** ძვ. ისართ ქარქაში (საბა), ისრების ჩასაწყობი ბუდე, ისრების ქარქაში (იოთამმა) მშვილდი და *კაპარჭი*... დედაბოძე წნელით მიმაგრებულ ირმის რქაზე ჩამოჰკიდა (ვაჟა). // ფიგურ. სპარს ცხენოსანთა სპასპეტი ცხენიდან გადაიხარა, დახარჯა მთელი *კაპარჭი*, ჯავრი ვერ ამოიყარა (გ. ლეონ.).

დიალექტ. **კაპარჭი** „ისართა ქარქაში. მისი შვილდნი და *კაპარჭნი* კლდეთა ჩაუცხიაო“ (რაჭ. ძიძიგ. 207). აგრეთვე: (ხევს. ჭინჭ., თუშ. ცოც.).

მკვლევართა აზრით 1. **კაპარჭი** (სომხ.) კაპარჭ ისართ ბუდე. ისართ ქარქაში – (საბა, დ. ჩუბ., გიგინეიშვილი 2016). 2. კაპარჭი ქართული ლექსი არს, მშვილდ-ისარს თავისის ბუდით ეწოდება (თ. ბაგრატი.).

ქართ. კაპ-არჭი-ი გამოიყოფა ს.-ქართვ. \*კაპ- „ჯოხი, ხის ტოტი > ქართ. კაპ-ი, ორ-კაპი : ზან. კომპ-ულ-ი < \*კოპ-ულ-ი, კოპ-ალ-ი : სვან. კაპ > || კაპ || კაპ. როგორც ჩუხუა მიუთითებს სქოლიოში -არჭ-ის გამონაწევრება სხვა მაგალითშიც არის შესაძლებელი: ძვ. ქართ. მ-ღულ-ი, ღულ-არჭ (ჩუხუა 2000-2003).

ახ. ქართ., დიალექტ. **II. კაპარჭი // კაპაჭი: კაპარჭი** (ფშ.) ფუტკრის საშოვარი, ფეხებით რომ მოაქვს (ი. ჭყ.). რა კარგია მინდვრიდან თაფლით და ყვავილთა ფქვილის *კაპარჭით* დატვირთული ფუტკარი (თ. რაზიკ.). შდრ. **კაპაჭი** ფუტკრის საკვების ძირითად წყაროს ნექტარი და ყვავილის მტვერი ანუ კაპაჭი შეადგენს (ვ. ერისთ.).

ფშაურსა და ხევსურულში კაპარჭი „ყვავილის მტვერი, ფუტკრის საშოვარი, ფეხებით რომ მოაქვს“ (ფშ., შან; ხორნ; ხევს. ჭინჭ.).

**კაპარჭი, კაპარჭის მიკვრა:** გადატ. კაპარჭის მიკვრა გამორჩენა, გამოძალვით გამდიდრება, გასუქება. „*კაპარჭს იკრავსო*“, – იტყვიან კაცზე, სხვისაგან გამორჩენი გამოძალვით რომ მდიდრდება (ფშ. გოგატ. 143).

(ბიგა) დიდკაცების სახლებშიც შინაურივით იყო და ყველგან საკმავო *კაპარჭს* იკრავდა (თ. რაზიკ.) – (ივ. ქეშიკ.). შდრ. (თურქ.) Kapıcık თესლოვანი მცენარეების თესლკვირტი; ყვავილის ჯამი

ახ. ქართ. **III. კაპარჭი** ნავის ერთ-ერთი სახეობა – ა. სიხ. შდრ. კარჭაპა – დ. ჩუბ. კარჭაპი მოზრდილი განიერი ნავი ტვირთის გადასაზიდად – ქებლ.

### კაპოეტ-ი:

ძვ., საშ. ქართ. ქართ. **I. კაპოეტი** „მწვანე“: „ვითარცა წიგნნი ეწამებიან სიტყუათა ამათ ჩუენთა, ვითარმედ ფისონ მდინარესა იპოვების ზმური, და იტყვს, ვითარმედ: „ფისონ მდინარე მოეხუევის ქუეყანასა მას ევილათსა. მუნ არს თუალი პატიოსანი აკატე, ძოწეული და *კაპოეტი*“ (შატბ. 130, 33).

ძვ. ქართ. **II. კაპოეტი** ძვირფასი ქვა: „მუნ არს ანთრაკი და ქვად იგი *კაპოეტი*“ [sin=37 12v). აყიყი და *კაპოეტი*... და სხვანიცა არიან მრავალნი ქვანი (კალმას. II, 272, ქვ. 1).

ძვ., საშ. ქართ. **III. კაპოეტი: კაპოეტება** ფრთების გაცვენა. „რაჟამს *იკაპოეტის* ყარყატი სიბერიითა...დაატფიან იგი ფრთითა თჳსითა“ (ზ. კეს. – ექუს. დღ. 115, 9).

**კაპოეტი** წელიწადგამოვლილი მიმინო, ან ქორი, აქედან: *ხუთკაპოეტი*: ხუთი წლის. *ხუთკაპოეტსა* ქორსა გავს (შჳნ. I, 1345, 3). ზებერმან ხეზე-და მჯდომი *კაპოეტი* ქორი ნახა (ნ. ციც. 5 448, 235, 1).

ახ. ქართ. **კაპოეტი** 1. „ფრინველი წელიწად-გამოვლილი“ (საბა). 2. მტაცებელი ერთგვარი. მეშავარდნეთა სამკლავზე დინჯად ისხდნენ *კაპოეტები* (ს. კლდ.). გულს გლეჯდათ *კაპოეტი* (გ. ლეონ.). || გადატ. ავი. || სუსხიანი. „ცივა, ხომ ხედავ? – „ჰო, ჰო, ჰო, *კაპოეტი* დილაა!“ – ჩაილაპარკა ქუციკომ (ზ. ჩხ.).

კაპოეტი-ს მნიშვნელობა თავდაპირველად იყო „მწვანე“, „ღია მწვანე იყო „მწვანე“, „ღია მწვანე“ „ლაჟვარდისფერი“, რომელიც მოგვიანებით შეიზღუდა ფრინველით („ლურჯი ფრინველი“ > „მტრედი – სანსკრიტში, „ღია მწვანე ფრინველი“ > ქორი ან მიმინო-ქართულში. მტაცებელ ფრინველებისაგან გამოვიდა „ფრთების გაცვენის და ახლით შემოსის“ მნიშვნელობა. საბოლოოდ კაპოეტი/კაპუეტი ქართულში ქორ-მიმინოსთვის იქნა გამოყენებული (გიგინეიშვილი 2016).

საშ., ახ. ქართ. **IV. კაპოეტი**: გემრიელი თევზი არის, აქ, რუსეთში არ იცის, საქართველოში მრავალი არის (თ. ბაგრატ.). აიღე *კაპოეტის* თევზის ნავდელი (ფანასკ. 340, 13). კაპოეტი (თევზი): ფრონეთა შინა შემოვალს წყალდიდობას მრავალნი *კაპოეტნი*, იქმნების ჟამად ორაგულნიცა (ქ. ცხ. IV, 378, 11). თევზები: *კაპოეტი*, ფიჩხული, სვია (კალმას. 551, 19).

ახ. ქართ. **კაპოეტი** ზოოლ. მტკნარი წყლის ერთგვარი თევზი (კობრისებრთა რიგისა). „აბა მედუქნე მიხაკასავით ცოცხალ-ცოცხალი *კაპოეტები* მოგიტანო, თუ იმავე წამს მოწყალე თვალით არ დამიწყო ცქერა?! (ნ. ლომ.).

ამ მნიშვნელობის სიტყვისათვის ამოსავალია \*კაპ – კაპოეტი < ირან. kapot თევზი (ანდრონიკაშვილი 1966, I, 90).

**კაპუეტ-ი:**

ახ. ქართ. **I. კაპუეტი** ზოოლ. იხ. II. კაპოეტი. გამოდის მდინარიდან ორაგულები..., კალმახები – თითო ორი-სამი მტკაველი, ჭანრები, *კაპუეტები* (ვაჟა). [მცურავები] რა *კაპუეტებს* იჭერდნენ ბოროტად მოცეკვავე ტალღებში! (ვ. ბარნ.). უცებ გაექანა მელა, დასტაცა პირი ერთ *კაპუეტსა* და მოცხრილა (ი. გოგებ.).

ახ. ქართ., დიალექტ. **II. კაპუეტი** ზოოლ. იხ. III. კაპოეტი (მნიშვ. 2). ჩამოლამდა. ტყის უღრანში *კაპუეტმა* შეჰკვივლა (მიხ. მრევლ.). || გადატ. ავი, კაპასი, კაპარჩხინა. «ჰო, რა *კაპუეტი* [მაიაა]! გამიგონია სისხლი უყვარსო!» – მძიმედ წარმოთქვა ახალგაზრდა გლეხმა (ლ. ქიაჩ.).

**კაპუეტი** ძველი მიმინო. ძველ მიმინოს *კაპუეტი* ქვია, მიორე წლისას. რამდენ ხანს გეყოლება სულ კაპუეტი ქვია (გურ. იმნ. 297, 26). კაპუეტი დასრულებული ასაკის ყოჩი (კახ. მარტ., იმნ.).

**კაპუეტი** თავისნათქვამა, უტეხი; მნელად მოსახარშ ქათამზედაც იტყვიან: *კაპუეტიაო* (გურ. შარაშ).

**კაპუეტი** სიმსუქნე, (მსუქანი), გასუქება. „*კაპუეტში* ჩასცვივდენ ქათმები და კუერცხს აღარ დებენ“ (იმ. ჩვენ. ფუტკ.).

ახ. ქართ. **III. კაპუეტი** კაპუეტა. მრავალწლოვანი ბალახი (მარცვლოვანთა ოჯახისა).

შდრ. **კაპიოტა** ბოტ. ბალახია – კაპუეტა. *კაპიოტა* სასთულო ბალახია, ლელის ბალახსაც ეძახიან (მოხ. ქავთ.)

ივ. ჯავახიშვილს ცნობით ად. როლოლოვს... დანდურის სახელად კაპოეტი-ც აქვს აღნიშნული... რ. ერისთავის განსაზღვრით კი კერეტა, კაპოეტი, ანუ კაპუეტი (ჯავახიშვილი, V, 1986).

ზან. (მეგრ.) **IV. კაპუეტი** იხ. კაპეტი. კაპუეტი, მაგარი (გადატ.); მნელად დასამუშავებელი, ნასვენნი, მაგრამ ნოყიერი მიწა (იგივეა, რაც კაპეტი) გარეული მონადირე ფრინველი (საზოგ.); კალმახ-ორაგულის მსგავსი ჯიშის თევზიცაა ზან. (მეგრ. ქობ.).

### კარაბა:

კარაბა (ყარაბა ZAAბ.; + 17, 1 იერემ. ZAA) ფრანგულია, ჭიქის საღვინეს ჰქვიან ZA – საბა.

ძვ., საშ. ქართ. **I. კარაბა** ჭურჭელი ნელსაცხებლისათვის. ალაბასტრი *კარაბა* არს [A- 88 407r]. შდრ. **ყარაბა** (სპ. ყარაბე) ფიალა, სასმისი.

*ყარაბა* საღვინე თითოსა და თითოს *კარაბას* ღვინოს დალევდიან (ხოსრ. 35, 17). აიღე ხუთი ღრიანკალი ცოცხალი და ჩააგდე ჭიქის *კარაბას* შიგ (ფანასკ. 297, 11).

ახ. ქართ. **II. კარაბა** (იმერ.) 1. ზღურბლი. 2. კარის ჩარჩოს ზედა ნაწილი. დუქნიდან თავდახრით გამოდიოდნენ, რომ კარების *კარაბასთვის* თავი არ მიერთყათ (ნ. ლორთქ.).

შდრ. **კარაბანი** (იმერ.) კარის ადგილი, ზღურბლი- ქეგლ. კარაბა < კარაბანი.

კარაბანი < კარაპანი არდგმული, საცეხველი – დ. ჩუბ. კარაპანი (კალაპან BCDE.) არდგმული ZABCab. ესეც (კარაპანი CqD) სომხურია, ქართულად არ დგმულ ი ჰქვიან CqDE – საბა.

კარაპანი 1. სახლის უკედლო დერეფანი. ერთხელ დედა-ჩემი ჩვენს *კარაპანში* იჯდა, მარცხნივ კალათი ედგა, მარჯვნივ კვერცხები ეწყო (ი. გოგებ.). ერთი დედაბერი *კარაპანში*, სახლის კარების ზღურბლთან იჯდა და... მზეზე თბებოდა (შ. დად.). სცენის სიღრმეში დოლაბივით კარაპანია (გ. ყიფშ. თარგმ.). 2. ძვ. კალოს სახლი (საბა). სინონ. არდგმული – ქეგლ.

**კარაპი-ი:**

ძვ. ქართ. **I. კარაპი** მომცრო ნავი: „გარდამოვიდა მეფე... ნავისაგან კარაპად“ (Sin. – 11,95r). „იხილეს მენავეთა მათ დიდი იგი ჭირი, კარაპსა გარდაიცვალეს“ (Ler. – 140, 176r). ეს სიტყვა ნასესხებია ბერძნულიდან (მდრ. საშ. ბერძნ. karábi „გემი“) (გიგინიევილი 2016).

საშ. ქართ. **II. კარაპი** ფრინვე. სომხურია, აკაური ქართულად ჰქვიან – საბა.

„არვეონად და გროანად ფრინვენ, ვითარცა კარაპნი და ღერღედნი და წერონი“ (A= 689 39r, აშიაზე).

„კარაპი“, ისევე, როგორც „ჩინი“ ქართულშიც იხმარებოდა, რასაც მოწმობს საბას ლექსიკონში განსამარტ ერთეულად მისი შეტანა (მაჭავა-რიანი 1989, 134).

**კარგი-ი:**

ძველ ქართულში დადასტურებული **კარგი** ქართულ ლექსიკონებში სხვადასხვანაირადაა ახსნილი, ანდა განუმარტებლადაა მოცემული.

კარგი „რიგსა“ ჰქვიან ახლა რომ ვეძახით იმას არა ჰქვიან (რმა); კარგი რიგს ჰქვიან და საკარგავი – ყოველ გასარიგებელს (ტლა). – ვახტანგ VI. თეიმურაზ ბაგრატიონი კი აღნიშნავდა – კარგი ქართულში ორ სახედ განიმარტება: კარგი კეთილს რასმე ნიშნავსკარგად და წესიერად... ანუ კადნიერად საქმესა რასმე ქმნილსა, ანუ ნივთსა. კარგი, ანუ კარქი რიგსა ნიშნავს.

საბას „სიტყვის კონის“ ZA რედაქციაში კარგი შეტანილი ორ სხვადასხვა სიტყვად სათანადო კონტექსტების მითითებით კარგი (28, 17 გამოსვლ.); რიგი, კარგი (5, 9 ესაია) კეთილი. კარქი რიგია სომხურად და ჩვენს მწერლებს ზოგჯერ გაუსინჯაობით კარქის ნაცვლად კარგი დაუწერია. კარგი კეთილს ჰქვიან, ხოლო კარქი რიგსა“.

ასევე ორ სხვადასხვა სიტყვადაა განმარტებულ **კარგი** ნ. ჩუბინაშვილის მიერაც. ამასთანავე რიგის აღმნიშვნელ კარგთან სომხური კარქ სიტყვაა მითითებული.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ შ. მესხიას აზრით ეს განმარტება საბას არ უნდა ეკუთვნოდეს. ამის საბუთად იგი აღნიშნავს, რომ საბა თვით იქვე განმარტავს კარგს, როგორც რიგს, სხვაგან კიდევ ანგელოზთა ჩამოთვლის დროს, თვით ხმარობს კარგს (და არა კარქს) რიგის მნიშვნელობით (მესხია 1982, 34).

ძვ. ქართ. **I. კარგი** რიგი: „რამეთუ ფერჯთა შესასხმელისა სამოსელი-სა იყო ყოველი სოფელი და მამათა დიდებანი *ოთხ-კარგთა* მათ ანთრაკად გამოქანდაკებული და დიდებად შენი შარავანდსა თავისა მისისა“ (სიბრძ. სოლ. 18, 24). *კარგი* ერთი იყოს ანთრაკთა სარდიონი, პაზიონი, და სამარაგდონი და *კარგი* მეორე ანთრაკი და საფირონი და იასპი; და *კარგი* მესამე ლიგვრიონი და აქატე და ამეთესტონი და *კარგი* იგი მეოთხე, ოქრო

ანთრაკი და ბირვლიონი და ანუქიონი, გარე მოთხზულ ოქროთა, შეტკეცილ ოქროთა იყუნედ *კარგად*, *კარგადი* იგი მათი“ (გამოსლ. 28, 16-21).

2. წესი: „ვისწაოთ მისგან სათნოება და წესი, საქმე კეთილი და სამართლი, სახე, სიტყუად და *კარგი*, შევიდეთ და ვიხილოთ ქალაქი“ (ეფ. ას. იონ. 48, 5).

კარგ- ფუძისაგან არის ნაწარმოები განკარგვა ზმნა, რომლის მნიშვნელობაა „განწესება, განგებულება. შესაძლოა, თავდაპირველი მნიშვნელობა იყო „რიგი“, წესი და სწორედ ამის გამო არის ეს სიტყვა მიჩნეული სომხურიდან ნასესხებად (სომხ. კარგ „რიგი, წესი (აჭარიანი II, 1973, 548). არაა ნათელი, რა კავშირი აქვს კარგ-თან კარგვა // დაკარგვა ზმნას (გიგი-ნეიშვილი 2016);

ძვ. ქართ. **II. კარგი** სასურველი, მოსაწონი: „რამეთუ ისმინეს ყურთა უფლისა საბაოთისთა ესენი, რამეთუ უკეთუ იქმნენ სახლნი მრავალნი, საოჯრად იყუნეთ, დიდნი და *კარგნი* და არა იყუნენ შორის მკვდრნი“ (ეს. 5, 7). „ველსა ზედა *კარგსა*, წყალთა შორის მრავალთა, ეგერა განპოხნების ყოფად მორჩთა და გამოღებად ნაყოფსა, ყოფად ვენაჯად დიდად“ (ეზექ. 17, 8). „შვილნო ჩემნო საყუარელნო და *კარგნო*“ (მაკარ. 57, 24). „ხოლო თანაღრაცხილ იყვნეს *კარგთა* უკეთესნი“ (ორენტ. 310, 31).

საშ. ქართ. *კარგი* რამ მჭირდეს, გიკვირდეს, ავი რა საკვირველია (ვეფხ. 1175, 3). რა *კარგი* არქუა ხუასრომან მოლაშქრესა: რათგან სირცხული არა გაქუს, რაც გწადიან, იტყოდით (ვისრ. 83, 21). **კარგნაქნარი** და გინა ავნაქარი ყმაწვილობისა და ბერობისა – ყველა ამაში გამოიყვანია (რუსულ. 146, 2).

ახ. ქართ. **კარგი** 1. ისეთი, როგორც საჭიროა, საჭირო თვისების მქონე, საჭირო ღირსების, – სასურველი, მოსაწონი (საპირისპ. ცუდი, გონჯი, უხეირო, ავი). *კარგი* ვაჟკაცი ყოველთვის პატივსადებია (ვ. ბარნ.). 2. სიკეთე. *კარგი* ქენი, ქვას დადევნი, გაიარე, წინ დაგხვდება (ხალხ.). 3. საკმაოდ, მნიშვნელოვნად, კარგა (მნიშვ. 1). გაიარა *კარგმა* ხანმა, სადილობ გადავიდა (ა. ყაზბ.). 4. კეთილი! ჰო! დაე, ეგრე იყოს! [სვიმონი] მივიდა ახლოს მათიასთან და გადაწყვეტით უთხრა: „*კარგი*, წამოვალ!“ (ა. ყაზბ.). 5. მოსწავლეთა ცოდნის შეფასების ნიშანი – ფრიად დამაკმაყოფილებელზე ერთი ნიშნით ნკლები, – ოთხიანი. 6. ზმნისართის მნიშვნ. კმარა, გეყოფა! „ეს რა ვნახე, თქვენნი ჭირიმეთ!“ – „*კარგი*, ნულარ მომაგონე! – (ილია). 2. ჯანმრთელად. „ოღონდ შენ მყავდე *კარგად*, თორემ მე არა მიშავს-რა!“ [უპასუხა ცალთვალამ არსენას] (მ. ჯავახ.).

„სასურველის, მოსაწონის“ მნიშვნელობით ნახმარი კარგ-ფუძიანი ზმნები იშვიათად თავს იჩენს სამწერლო ენაშიც. ჟურნალ-გაზეთობა და მწერლობა გაძლიერდა და *განკარგდა* (ილია). კაი ბიჭები შეაქე, რომ ლაჩრებიც *გაკარგდნენ* (გ. ლეონ.). კარგმა ცხოვრებამ ხალხიც გააკარგა (ო. ჭილ.).



დიალექტ. **III. კარგი:** კოჭის მხარეები: ალალი, ჳელმწიფე, ქურდი, კარგი, ვირი, ჳვრამფი (ფშ. გოგატ. 308).

შუა საუკუნეების სამწერლო ძეგლებში. **კარგი** გამარტივებული კაი / კაა-ს სახითაც გვხვდება. თუ სამ კაი სანადიროა, ხვალ ვინადიროთო (რუსუდ. 219, 37). თუმც მამუკა უმჯობეა, მაგრამ არის ისიც კაი (არჩ. 474, 9). დარბა-ისელნი იბრძვიან, მეფისა *კაამყოლანი* (ი. ტფილ. 604, 67, 4). *კაი* თავს იჩენს დიალექტებსა და სასაუბრო მეტყველებაშიც.

### **კარდ-ი:**

საშ. ქართ. **I. კარდი** ხაოს მიმცემი ხორკლიანი კენკრა – დ. ჩუბ., საბა. დაასხი ზედა *კარდის* ზეთი (ფანასკ. 158, 24).

ახ. ქართ. **II. კარდი** (ზ.-იმერ.) სამგლოვიარო (ჩასაცმელი). შდრ. კა-ბაკარდი. გლოვის დროს საქართველოში კაცთათვის მიღებული იყო ქამარ-ხანჯლის გარეშე შავი ჩოხების ტარება. სპეციალურ ტანსაცმელს, რომელსაც ამ დანიშნულებით იყენებდნენ, ზ. იმერეთში „კაბა-კარდი“ ერქვა, აღ. საქართველოში კი „კაბა“, რომელიც იყო ახალუხის ტიპისა ყოველგვარი გაწყობის გარეშე (ნადირაძე 2011).

ახ. ქართ. დიალექტ. **კაბაკარდი** (იმერ.) «ბამბის ტანსაცმელი, საშავო (სამგლოვიარო); ჩოხასავით იკერებოდა, ოღონდ საქილეები (სამასრეები) არა ჰქონდა» (ბ. წერეთ.). სამგლოვიარო ჩოხა, კაბაკარდი, ჩაიცვა (კ. ლორთქ.).

**კარდი** სამგლოვიარო სამოსელი. შდრ. კარტი ავერლოვი, კერვის სახეობა, უხეირო სამოსი, ფლასი, მძიმე ძაძა ზან. (მეგრ. ქობ.).

### **კარკაც-ი:**

საშ. ქართ., დიალექტ. **I. კარკაცი** (მესხ.) კარგი კაცი, კარგკაცობა; თავის კარგ კაცად მოჩვენება, თავის მოწონება, ჳვიადობა (ი. მასიურ.) – აღ. ღღ.

**კარკაცობა:** კარგკაცობა, კარგი კაცობა, კაიკაცობა. მისის ავკაცობისა და მტერობის სანაცვ[ვ]ლოდ კიდევ ასთენი მოყრობა და *კარკაცობა* უყავ (სამ. IV, 61, ქვ. 1). ვისგანც *კარკაცობა* გინახავს, შენის კარკაცობის მუქაფა ყოფილა (ხოსრ. 51, 32). ხოსრომ ესეზი *კარკაცობით* ასწავლა (ხოსრ. 56, 36). მერმე ჩვენის კარკაცობის დაუნახსოობისა და მოყვრობის გაშვების სა-მდურავი მივსწეროთო (რუსუდ. 475, 5).

შდრ. **კარგკაცობა.** თვით *კარგკაცობა* არ ძალუცს, სხვისა შურს კარგკაცობა (დ. გურ. 205, 42, 2).

გადატ. კარკაცობა / -კარგკაცობა / რაზ. ჳყ.) „გამჩვენეობა“, „პირმოთ-ნეობა“ /ა. შანიძე/. კარგ კაცად თავის მოჩვენება; ისეთი რამის ლაპარაკი ან ისეთი უბრალო რამის გაკეთება, რითაც ხალხს ნაცარს შეაყრის თვალში (ფშ. ხორნ.).

დიალექტ. **II. კარკაცი** (გურ. იმერ.) გადაჭარბებული სიცილი, ხმამაღალი კისკისი (ვ. ბერ., ა. ლლ.).

საფიქრებელია, \*კარკაც-რედუპლიკაციის შედეგად იყოს მიღებული (ფენრიხი, სარჯველაძე 2000).

#### **კარს-ი:**

ძვ. ქართ. **I. კარ[ა]სი** «კარდალა», ვედრო. **კარსი** ობობაჲ ჭურჭელი, კასრი: „ვითარცა ნაწუეთი *კარსისანი*“ (ეს. 40, 15) – ვ. დან.

საშ. ქართ. **II. კარსი** კუნთი, შეშამარღვი (დ. ჩუბ.). კართი, კარსი კუთი, კუნთი, შეშამარღვი – დ. ჩუბ.

საშ. ქართ. **III. კარსი** ვერისნავი თხმელა (ფანასკ. 9, 12). აიღე... საბრი ოროლი დრამი და *კარსის თესლი* (ქანან. 52, 32). შენიშნულია, რომ კარსის თესლი უნდა იყოს ქასნის თესლი. რომ ქასნი (სპარს. ქასნი იგივეა, რაც არაბ. ჰინდბა) ვარდკაჭაჭა (მცენ.), ქართ. არდი, ციკორი (იუსტ. აბულაძე 1940).

#### **კარტ-ი:**

საშ. ქართ. **I. კარტი** იხ. I. კარდი. აიღე ჯულინარი და *კარტი* (ფანასკ. 269, 38). **კარდი**: დაასხი *კარდის* ზეთი (ფანასკ. 158, 24).

ახ. ქართ. **II. კარტი** [გერმ. Karte რუს. ენის მეშვ. ] სათამაშო ქალაღდი, – ბანქო. ატუამ ჯიბიდან *კარტი* ამოიღო და «კონჩინკის» თამაშს შეუდგენენ (ს. კლდ.). *კარტის* სათამაშო ოთახები სავსე იყო ხალხით (ს. შანშ.).

ახ. ქართ. **III. კარტი** (ინგლ. cart) მცირე მოედანზე სარბოლი მიკროლიტრაჟიანი ავტომობილი ორტაქტიანი ძრავათი – მ. ჭაბ.

დიალექტ. **IV. კარტი** მუხლის სახსარი, კართი. **კარტი** (მთ.), მყესი მუხლის უკან (ა. შან.). **კარტი** მუხლის სახსარი, ფეხის მთლიანი სახრელი მუხლთან (ფშ. ხორნ.). შდრ. კართი ფეხის ძარღვი. „უბრძანა განჯურეტად *კართთა* მისთა (ფილიმ. 295r).

#### **კასია:**

ძვ. ქართ. **I. კასია** დარიჩინი casia: „მური, შტახსი, *კასია* სამკაული-საგან შენისა“ (ეზეკ. 27, 17).

ძვ. ქართ. **II. კასია** ოქრო, ქსოვილში ჩატანებული. შტახში გუნდრუკი არს, *კასია*, რომელი შინა ქსოვილ იყო (შატბ. კრებ. 269v (აშიაზე)).

#### **კატაბან-ი:**

კატაბანი – ტყუილი თუ სატყუარი B. „კატაბანზე დიდი ცილება იყო და წიგნში გარჩევით ვერცად ვნახე. მრავალი წიგნია, რომელთა არც სახელი მასმოდეს. მთიულთ მოურავმან მოგვითხრა, მთის კაცნი ტყუილს უწოდენო. ამას „ვეფხის-ტყაოსანიც“ მიჰგავს: „ჩემნი მჭვრეტელნი კვი-

რობდენ, მართალ არს არ კატაბანი“. მაგრამ „ქართლის ცხოვრებაში“ სწერია, კეისარმან ზაგრატ მეფეს კატაბანი გამოატანაო. ეგება მატყუარი გამოატანაო, დასაჯერებლად არ დამიწერია, თქვენც იმიეთ“ E. – საბა.

საშ. ქართ. **I. კატაბანი** მცველი: „კატაბანი მერემაკჷ არს“ (ფიზ. XII, 5).

**კატაბანი** წინამძღოლი (ბერძნ. Ὁ κατεράνας) ხოლო პაემანსა წარმოგზავნა ბასილი კეისარმან ძე მეფისა, არამედ მოვიდა რა ტაოს მამულსა თვსსა, ეწია წიგნი *კატაბანსა* კეისრისა შექცევად კუალად მუნვე ზაგრატი-სა. ... მაშინ კატაბანსა არღარა ძალ-ედვა შექცევა მისი და თვთ მიიქცა უქმი (ქ. ცხ. IV 143, 23).

საშ. ქართ. **II. კატაბანი** (არ. ტყუვილი)- დ. ჩუბ.

**კატაბა** მატყუარა თუ სატყუარი სიცრუე. ვინცა მიჭვრეტდის, ბნდე-ბოდის, – მართლად არს, არ კატაბანი (ვეფხ. 478, 4). კოცნა კადრე *კატაბანათ*, კარიოტელ კარაულო (ვახტ. VI, 64,17).

კატაბან- სიტყვის შესახებ ს. იმედაძე შემდეგ აღნიშნავს:

ილ. აბულაძის მიხედვით, „ვეფხისტყაოსანში“ დადასტურებული კატაბა „ტყუილი, სიცრუე“ არაბული კადაბა – დან მომდინარეა („ვეფხისტყაოსანი“ 1914: 192). ამ აზრს იზიარებს იუსტინე აბულაძეც და დამატებით აღნიშნავს, რომ „კატაბანი“ მრავლობითი რიცხვია ლექსისთვის. კატაბანი = სიცრუენი („ვეფხისტყაოსანი“ 1926: 260). მ. ანდრონიკაშვილი არაბული წარმოშობის ამ ლექსემას სპარსული გზით ქართულში დამკვიდრებულად მიიჩნევს (ანდრონიკაშვილი 1965, 303). თავის მხრივ, კი შენიშნავს, რომ „ლექსიკონი ქართულის“ წყაროებში ორი სხვადასხვა მნიშვნელობის სიტყვაა დამოწმებული: არაბული კაზაბა- „ტყუილი“ და ბერძნული კატეპანო „ქალაქისთავი“. კატაბი „ტყუილის“ მრავლობით ფორმაში გამოყენებამ ეს ორი სიტყვა დაამსგავსა ერთმანეთს. „ვეფხისტყაოსანში“ – „კატაბანი“ არაბული ფორმაა დამკვიდრებული. სავარაუდოდ, **კატაბანი** ნარიანი მრავლობითის ფორმითაა გავრცელებული ქართულში ზეპირი გზით XI-XII საუკუნეებში (იმედაძე 2014, 124).

**კატარ-ი:**

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. კატარი** ხე. ცუდი ფიჭვი – საბა. კატარი Pinus. აიღე *კატრის* თესლი-ოთხი დრამი (ფანასკ. 95, 20).

**კატარი** კუთხ. (იმერ. აჭარ. მესხ.) იგივეა, რაც კავკასიური ფიჭვი. **კატარი** ნორჩი ფიჭვი. კატარი ფიჭვია იგივე: სოფელ ზემოთა ერთი ადგილი არი, სუ *კატრები* დგა, კატრიანს ვეტყვით იმ ალაგსა (კავთ., ქართლ. მესხ.). ბუკათ ხე ვარგა ცაცხვი, *კატარი* და თხმელა კატარი- ფიჭვი აქედან [მომდინარეობს] გეოგრაფიული სახელი ბახმარო. მახლობლად აჭარელთა სამოვარი ადგილისა კატრიანი (აჭარ. მრეწ. IV, II, 35). კატარი 1. წიწვოვანი მცენარე, ფიჭვის სახეობა. კატრი კუარ მევეტანდით და იმით გავანათლებდით სახლსა; კატარმა ბუსირა ხმოზა დეიწყო (იმ., ჩვენ. ფუტკ.).

ახ. ქართ., დიალექტ. **II. კატარი** კუთხ. (გურ.) 1. «სიმინდის ყვავილი» (გ. შარაშ.). ფოთლებს ზევით სიმინდს ასხია ლამაზი ქოჩოჩი, რომელიც შედგება თავთავებისაგან და რომელსაც გურულად *კატარი* ჰქვია (ი. გოგებ.). 2. ხის წვერი, კენწერო.

მაღალი ადგილი. *კატარი* ჩუენსა მაღალ ადგილ ქვია (ჰ.). 3. სიმინდის (მცენარის წვერო). **კატარი** სიმინდი ზეიდან ამეილებს კატარი (მ.). სიმინდი *კატარში* შევდაო, ვიტყვით (მ., ჩვენ. ფუტკ.).

კანტარი კენწერო, ხის წვერი (გურ. ჟღ.).

შდრ. **კეწერი**, ხეთ რტოთა შინა მწვერვალი საბა, დ., ნ. ჩუბ. **კანტარი** / **კანტაი** ლაზურში „სიმინდის კენწეროს“ ნიშნავს. არნ. ჩიქობავას მის შესატყვისად მოჰყავს ქართული კენწერო (ჩიქობავა 1938, 143).

ახ. ქართ. **III. კატარი** [ბერძ. katarrhos დენა, დინება] მედიც. რომელიმე ორგანოს ლორწოვანი გარსის ანთება. ყელის კატარი. – ბრონქების კატარი.

დიალექტ. **IV. კატარი** ხელსახოცი ან ცხვირსახოცი. ჟიბით *კატარი* ამილა ოფლი მაწმენდლა (ინგ. ასრათ.). კატარ ინგილ. ტილოსა ან აბრეშუმის დიდი ხელსახოცი ან ცხვირსახოცი (დიალექტ. 618).

#### **კედ-ი:**

ძვ. ქართ. **I. კედი** კედი საკუთხე ქვა – დ. ჩუბ.; საკუთხი ქვა – საბა.

**კედი** „კუთხის“: „მოუმზადე საჯმარი ...ძელი და ქვა *კედი* და სოომი“ (M, I, ნეშტ. 29, 2).

შდრ. ს.-ქართვ. \*კედ- „ნაპირი, კიდე, მხარე“ (ჩუხუა 2000-2003).

საშ., ახ. ქართ. **II. კედი** მკედი. მკედი > კედი.

**მკედი** ძაფი, ნართი: „განჭრა იგინი ჯელთაგან თჳსთა, ვითარცა მკედი“ G – „განხეთქნა იგი მკლავთაგან მისთა, ვითარცა მკედი“ (M, მსჯ. 16, 12). ვით ბამბის მკედსა სჭრიდიან (ვეფხ. 1370, 3).

მკედი // კედი ძველი სამწერლებო ქართულისა და სამხრული მეტყველების საერთო სიტყვაა (ცინცაძე, ფალავა 1998, 108).

დიალექტ. **კედი**: „საკერებლ დაკერებდა შავ *კედი* მინდა, არ გაქუა? (ინგ. ასრათ.)

**კედ** კოჭის ძაფი. შავ *კედ* (შავი კოჭის ძაფი) – ძაფი (ინგ. ღამბ., ჯან.).

**კედი** ძაფი წავალთ, *კედსაც* დუქანსაცყე მოიტანთ (ფერეიდ. უთურგ., ჩხუბ., გიუნ. იკე, XXIII).

**კედი** ძაფი, მომსხო ძაფი. აი *კედი* ძაფით გაკერე, არ გეინგრეს (ჩვენ. ფუტკ. 483). **კედის ძაფი** ბამბის, კანაფის ან სელის ძაფი, მკედის ძაფი. „*კედის* ძაფიდან ბალებს, ხვანჯრებს, თორებს მოქსოვდენ“ (აქარ. ნოლაიდ., 2008, 28).

**კედარ-ი:**

ძვ., ახ. ქართ. **I. კედარი:** დავემკვდრე მე მყოფთა (საყოფელთა) თანა *კედარისათა* (ფს. 119, 5).

დიალექტ. **კედარი** მხარე კიდე (ჯავახ., გრ. ბერ.).

შდრ. ქეგლ- კედარო (გურ. იმერ.) მხარე; კიდე. ეს მდინარე მთების გაწყვეტილ რგოლში გავლის შემდეგ, ერთვოდა წყალწითელას, რომელსაც, აქეთა *კედაროს*, ტყიბულის რკინის-გზა მიჰყვებოდა (რ. გვეტ.). «ტყვია აღარ არის შით», – თქვა თამარამ, როცა გასინჯა [ბესიას] წყლული წინდის ჩხირით. – «არა, აღარ არის, მეორე *კედრით* გავარდა» (ე. ნინოშ.). «ბატონო, აი ბიჭები როტავენ,... იმ *კედაროდან* რაცხა იყო» (ნ. ლორთქ.).

საშ. ქართ. **II. კედარი** (სომხ.) ბნელი საჭმუნავი – საბა. **კედარი** სიბნელე – დ. ჩუბ.

ძვ., საშ., ახ. ქართ. **III. კედარი** [Cedrus წიწვოვანი ხე]. კედარი (ბერძნ.) მცენ. – დ. ჩუბ.

**კედრონი** «ნაძოვანი»; ნაძვებიანი ადგილი: „განვიდა მოწაფითურთ თვსით წიად ჰევსა მას *კედრონისასა*“ C, – „გამოვიდა მოწაფეთა მისთა წიად ჰევსა მას ნაძოვანსა“ (DE, ი. 18, 1).

**კედარი:** ოდესღაც ლიბანის მშვენიერ წიწვოვან ტყეში სამი *კედარი* აღმოცენდა. *კედრები* ძალიან ნელა იზრდებოდნენ. ამიტომ მათ საუკუნეები გაატარეს სიკვდილ-სიცოცხლეზე (თბილისელები). როცა სახლიდან გამოვედით, ერთი გუბე შევამჩნიე, რომელშიც *კედრის* ანარეკლი ეკიდა (ურაკპარაკი) – ქეგლ.

**კენტრო:**

საშ. ქართ. **I. კენტრო** იგივე კენტი – დ. ჩუბ. შდრ. **კენტი** (კიენდ Cb.) არალუწი საბა.

საშ. ქართ. **II. კენტრო** ბერძნ. სიმრგვლის შუა გული, ან შუა წერტილი – დ. ჩუბ. კინტრო (2 ნემეს.) ესე არს ქვეყანით ცის კიდის კიდე ჩენა რა-ოდენისაცა, რომელსა ფრანგნი **ორიზანტედ** (ორიზონტედ Ab) უწოდენ ZA (2 ნემეს.) – საბა.

**კენტრომ** ცენტრი: „ყოველნი სიმძიმენი თვთაღძრვით მიიმართებენ *კენტრომსა* მიმართ“ (ამონ. 133, 7).

**კერატ-ი:**

ძვ. ქართ. **I. კერატი** წვრილი ფული: „გამოართუ ბერსა მალაკი, რომელსა შინა იდვა... სამი *კერატი* ოქრომ, და გამოიღო პირისაგან ნაჭერი მესამედი *კერატისად*“ (მ. ცხ. 307v).

**კერატული** წვრილი ფული: „აღვიღებდი *კერატეულსა* და ნასამალსა დრაჰკუნისასა“ [Jer. = 3 118r, 26-27].

ძვ. ქართ. **II. კერატი** დროის ერთეული: „მთუარე ოცდაცხრა დღედ და ნახევრად ვერა სრულებით განაწევს... მარცვალნი და *კერატნი* რამდე დააკლდებიან, გინა ჟამი რამდე დღისად, ანუ ღამისად“ [A= 85 330r, 7-12].

საშ. ქართ. **III. კერატი** ოთხი ქრთილის მარცვალი ერთი კერატია. **კერატი** ჰქვიან ხილსა ერთსა, არაბეთს მოვა, ლობიოს ჰგავს; ვიეთნი რქად სახელს დებენ ZA– საბა. კარამფული და სუმბული ამათგანი წონა თითოს დრამისა და მუკლი *კერატის* წონა, შეკრიბენ ესე წამლები დანაყე (ქანან. 66, 30). ექუსი კერატი ნახევარ დრამსა ჰრქვიან (ფანასკ. 420, 3).

შდრ. 1. ყირათი [არაბ. ყირა\*ტ ბერძ. კერატიონ-იდან] წონის ერთეული ძველ საქართველოში, უდრიდა დაახლოებით 0,189 გრამს, – კერატი. «კერატი» ანუ «ყირათი» ძველი საზომის სახელია (ივ. ჯავახ.).

2. კარატი [გერმ. Karat < არაბ. კირატ] ძვირფასი ქვების წონის ერთეული; უდრის გრამის მეხუთედს.

ძვ. ქართ. **III. კერატი** (ბერძნ. კერატიონ) რკო. „უნებნ განძლებად მუცლისად *კერატთა* მათგან, რომელსა ჰამედ ღორნი“ (მრთ. C, ოქრ. -უძღებ. 513). „არარად აქუნდა, რამდცა ჰამეს, გარნა *კერატი* და ზოგჯერ გურკად“ (სს\*. 214v). „რქად იგი, რომელ არს *კერატი*“ (Ath. – 1, 22r).

საშ. ქართ. და მესამესა ჟამსა სამსა *კერატს* ჰამს და ქათმის ყიულისა ჟამსა ორს *კერატსა* ჰამს და იმით იზრდების ყმაწვილი (ქანან. 33, 22).

ახ. ქართ. კერატი 1. [Caratonia siliqua] ბოტან. პარკოსანთა ოჯახის ხე, რომელსაც მარადმწვანე რთული ფოთლები და ორსახლიანი პატარა ყვავილები აქვს. მოჰყავთ ხმელთაშუა ზღვის ნაპირებზე. 2. ამ ხის ნაყოფი; შაქრით მდიდარი, იხმარება საჭმელად, საქონლის საკვებად და როგორც ყავის სუროგატი.

დიალექტ. გადატ. **კერატი** ძალიან ხმელი. საჭმელ არ ჰამს და აფერი, კერატი ეგა! ქალი რაფერნა გახდოს?! (გულ., ჩვენ. ფუტკ.).

საშ., ახ. ქართ. **IV. კერატი**: კერატს უწმობენ ღორსა გამოუყვერავსა – საბა. **დააკერატებს** კერატებად აქცევს, *კერატებად* დაზრდის. საეშვე გოჭებს ვიყიდი, დავასუქებ, *დავაკერატებ* და ორ-ორ მარჩილად დავყიდი“ (საბა 141, 10).

ახ. ქართ. **კერატი** დაუკოდავი ღორი. სოლოს დაეკლა დიდი *კერატი* (ა. ერ.-ხოშტ.). მეორე ნათლიაც... *კერატივით* დააბოტებდა (გ. ლეონ.).

დიალექტ. **კერატი** და მისი ფონეტიკური ვარიანტები ამავე მნიშვნელობით დიალექტებშიც გვხვდება. **კერი** || **კერატი** დაუკოდავი ღორი (რაჭ. კობახ.). **კერტანი** დაკოდილი ჰქედილა (ჯავახ. ზედგ.).

აღდგენილია ს.-ქართვ. \*კერ- „ტახი, დაუკოდავი ღორი“ (ჩუხუა 2000-2003).

**კერმა:**

ძვ. ქართ. **I. კერმა** ჭურჭელი. თქუა: „ჯურღმულო, გეტყუის შენ ბერი ჩემი, აღმივსე *კერმა*დ ესე წყლითა. აღმოვიდა წყალი ზე და აღავსო მან სარწყული იგი“ [ნოველები, II, 258, 3-5].

ძვ., სამ. ქართ. **II. კერმა** წვრილი ფული. ან ფულის დასახურდაგებელი ადგილი – საბა, დ. ჩუბ.

**კერმა** სპილენძი, ფული: «ვალი»: «პილენძი»: „დასდებდა კერმასა ფასის შესაწირავსა მას ზედა“ C – „დასდებდა რვალსა ფასის-საცავსა მას“ (DE, მრ. 12, 41).

*კერმის* – *მსყიდელთა* მათ დაუთხია კერმა DE, – „პილენძი თესლის- მოფარდულთა მათ განუბნია“ (C, ი. 2, 15).

**კერმის-მცვალებელი** «მეკერმე»: „პოვან... კერმისმცვალებელი, რამეთუ სხდეს“ C, – „პოვან... მეკერმენი მსხდომარენი“ (DE, ი. 2, 14).

**კეს-ი:**

სამ., ახ. ქართ. **I. კესი** წამი– საბა. **კესი** ძვ. წამის მესამოცედი ნაწილი.

სამ., ახ. ქართ. **II. კესი** ხომალდის აფრის გასაბამი ლატანი, საყვავე – საბა.

**კესი** ფიქალი, რომელსაც სახურავის ორივე გვერდის შეერთების ადგილას აწყობენ. „რასც ელოდებით, *კესი* მიცლეთ“ (თუმ. ხუბ.). **კესის ჯიდი** დვირო (თუმ. ხუბ.). **კესი** (ფშ.) შუა სახურავზე ქვეშ გადებული დირე (ფშ., შან., ხორნ.).

შდრ. **კეზი** ხეცს. „მალიან სქელი და მაგარი ხე“ („შინამრეწვ.“) – ქეგლ.

**კეტი-ი:**

ძვ. ქართ. **I. კეტი**: ურდული: „აღელო *კეტი*... და მოჰმუსრვიდეს წვეთა წმიდათა მათ“ (ანდ. -ანატ. 235, 27).

2. **კეტი** ხისაგან ჯოხის მსგავსი გამოჭრილი და მსხვილი, მძიმე და დიდი. ძველად ბრძოლაშიაცა ხმარობდნენ კეტსა და მდაბიოთა კაცთა სახლის შიგნიდამ დასაკეტი კეტად იწოდება, მაგრამ სახლის დასაკეტი ურდული სხვა არის და კეტი სხვა (თ. ბაგრატი.).

წამ-წამ იკრის გულსა ლოდი, თავსა *კეტი* (ვეფხ. 269, 3). სურხაბ ცალი ხელი მის მოქნეულსა *კეტსა* მიაშველა (ყარამ. 489, 4).

სხვას საომარს იარაღსა მოუმატა რკინის *კეტი* (არჩ. 294, 547, 3). ქვა დაგვკრიბეთ თავსა კეტად (თეიმ. I, 85, 290, 4). *კეტსა* ხელი აღარ ახლო (ბეს. 159, 66, 2).

ახ. ქართ. **კეტი** დიდი, მსხვილი ჯოხი. ბიჭს... მხარზე გაედო უზარმაზარი **კეტი** (ვაჟა). სოფონასთვის შუბლში დაეკრათ *კეტი* და ღვარად ჩამოსდიოდა სისხლი (ე. ნინოშ.). || აზარმაცი (შდრ. ბერკეტი). გლეხებმა შეუყარეს *კეტები* ხის სახლს და სულ ჭრიჭინ-ჭრიჭინი დააწყებინეს (აკაკი).

კეტი ცეცხლის საჩხრეკია, რკინისა რკინისავე ან ხის ტარით (თუმ. მრეწ. III, 90). *კეტებითა* ზელამენ (ფესახი) (-პასექის) ცომს (ქართ, მტკვრ. სამხ. მრეწ. III<sup>3</sup>, 146). *კეტებზე* დაჰქსელავენ (ქიზ. მრეწ. II<sup>2</sup>, 18).

გვხვდება ნაწარმოები და რთული სიტყვებიც, მაგ.

**კეტალა** (მთ.) „მოკლე ჯოხი“ («დიალ.»). **კეტურა** ჯიუტი, გაუტენავი – ჰაი, შე *კეტურავ*, ჰაი, შე გოჭისკუდავ! (გ. ლეონ.).

**კეტი** ქართულიდან გადასულად უნდა იქნეს შეწყნარებული სომხურში (აბულაძე II, 1976, 259).

საშ. ქართ. **II. კეტი** რიგი. წინათა *კეტითა* მიტრაპოლიტი შეუდგეს და უკანათა – ქადაგი (კურთხ. მირონ.66, 13).

ახ. ქართ. **III. კეტი** წონის ერთეული ჩინეთში – ა. სიხ.

**IV. კეტი** (ინგლ. cat) ერთანძიანი გემი, რომელსაც ერთი იალქანი აქვს – მ. ჭაბ.

#### **კეფა:**

ძვ. ქართ. **I. კეფა** «კლდე, გინა ფიქალი» (საბა). **კეფა** (არაბ. კეფა) *კეფასა* და ან კუნთებზედა კოტოში მოიკიდონ (იადიგ. 241, 19).

**კეფა:** „შენ გეწოდოს (გერქუას C) კეფა, რომელ ითარგმანების კლდე“ (ი. 1, 42).

საშ. ახ. ქართ. **II. კეფა** და კემხა თავის უკანა კერძო–საბა.

ახ. ქართ. **კეფა** ადამიანის თავის უკანა ნაწილი. ზემო ნაწილს თავისას საქორე ჰქვია, უკანა ნაწილს – *კეფა*, წინას – პირისახე (ი. გოგებ.). რუსუდანმა ხელები წყალში ჩაყო, დაისველა, გახურებული შუბლი და *კეფა* გაიგრილა (ბ. ჩხ.).

1. კეფა qifa / qifa არაბული ძირიდან მომდინარე სიტყვაა, როგორც ანატომიური ტერმინი, დადასტურებული სამედიცინო ხასიათის კარაბადინებში, ქართულში დამკვიდრებულია სალიტერატურო გზით. კერძოდ, XIII საუკუნიდან (იმედაძე 2014, 126).

2. უნდა უკავშირდებოდეს ბერძნულ kepalé-ს („თავი“) (გიგინეიშვილი 2016).

#### **კეფალ-ი:**

საშ. ქართ. **I. კეფალი** / **ყიფალი**. იგივეა სისხლის გამოსაშვები ვენა. შუა ღვიძლისაგან მარღვები არის. ზემოსა *კეფალი* ქვიან და ქვემოსა ბასლიკე ჰქვიან (ქანან. 37, 21). *კეფალა* გაუხსენ (ფანასკ. 16, 16).

ახ. ქართ. **II. კეფალი** (ბერძნ.) [Mugil kephalus] ზღვის თევზი ერთგვარი (კეფალისნაირთა რიგისა); დიდი არ იზრდება; ნაზი, გემრიელი ხორცი აქვს.



**კვართ-ი:**

ძვ., საშ. ქართ. **I. კუართი** «სამოსელი», «შესამოსელი», ტანსაცმელი, პერანგი: „დამოიპო *კუართი* თვისი“ C – „დაიპო სამოსელი თვისი“ (DE, მრ. 14, 63). „მოგცე... ოცდაათი *კუართი*“ M – „მიგცნე ... ოცდაათნი შესამოსელნი“ (G, მსჯ. 14, 12). „მოჰკუეთნა კალთაკნი *კუართისა* მათისანი“ (O, II, მგ 10, 4).

საშ. კვართი აღხადენ *კვართნი*, სევდის დამმართნი (ბეს. 77, 11).

ახ. ქართ. **კვართი** ძვ. იგივეა, რაც პერანგი. || პოეტ. ოქროსფრად... ელვარებდა თმა სხივნართი და სიოზე ირხეოდა გამჭვირვალე თეთრი *კვართი* (გ. ტაბ.).

დიალექტ. **კუართი** ჯუბა, გინა პერანგი. „ქსოვდა ქსელსა მოწეული-სასა კუართსა ხვთისასა“ (გურ. ჟღ.).

აღდგენილია არქექტიპი \*კუართ- (ფენრიხი, სარჯველაძე 2000).

ახ. ქართ. **II. კვართი:** ◊ **კვართი ხე** (ქიზ.) მოხრილი ხე, ფერსოდ ან გუთნის რვილად გამოსადეგი – ქეგლ.

შდრ. დიალექტ. კართი, მრ. კართები ძირი, ფესვი ხისა. „გუშის წინ ხეს კართებ დავაჭერი“ (თუმ. ხუბ.). **კართი** მუხლის სადრეკი (უკანა მხრიდან). უთის თოფი არ გავარდა, დათვი მისჯდა *კართთა ზედა* (ეთნ. ნადირობა, XIII, 147) – ალ. ჭინჭ.

დიალექტ. **III. კვართი** საწყაო, ხუთი ჩაის ჭიქა ჩადის. „ამ ჩემი ცოდით სამსევეს, თითო *კვართი* არაყი გამოეთრაქათ“ (გ.-კახ. სახლთხ.).

**კვართიანი** ბოთლი, რომელშიც ერთი კვართი ანუ ხუთი ჩაის ჭიქა ჩადის. „წინათ სუ *კვართიანი* ბოთლები იყო, ახლა, ისეთ ბოთლ იშვიათათ თუ მნახამ (გ.-კახ. სახლთ.).

შდრ. **კვარტი** (ლათ.) საწყაო ფხვიერი და თხევადი ნივთიერებისა; განსხვავებული სიდიდისაა სხვადასხვა ქვეყანაში; ჩვეულებრივ ლიტრზე ცოტა მეტია. || საუბ. ასეთი მოცულობის ჭურჭელი (ბოთლი). ერთი კვარტი ღვინო – ქეგლ.

**კვიმატ-ი:**

ძვ. ქართ. **I. კვიმატი** კომეტა, „კუდიანი ვარსკვლავი“.

„მრავალგზის უკუღ ჰყოფენ *კვიმატნიცა*, საწაულად რადმე მეფეთა სიკვდილისასა“ (A – 24, 58). „ხელნაწერის თარგმანი შესრულებულია ეგრემ მცირის მიერ“.

საშ. ქართ. რამეთუ ამას წელსა გამოჩნდა ვარსკვლავი, *კვიმატი*, ლახურის სახე, ჩრდილოეთ კერძო (ქ. ცხ. II, 303, 12). მრავალი საუკუნეების განმავლობაში, ათასში ერთ-ხელ, ცის ტატანზე *კვიმატი* გამოჩნდება ხოლმე, ყოველ მთიებზე უფრო ბრწყინვალე, სხივმფენარი (აკაკი VII, 117, 8). იმ ლამაზ ხანში, როს შესაძლოა შეიყვარო ცაში *კვიმატი* (ვ. ბარნ. ფერ. 64, 9).

**კვიმატი** < **კომეტა**. კომეტა „კუდიანი ვარსკვლავის“ აღმნიშვნელი ბერძნული წარმოშობის სიტყვა კომეტა (χιμήτης „გრძელთმიანი“, „კუდიანი“), **კომიტი**, **კვმატი** სახით იხმარება იოანე დამასკელის „გარდამოცემის“ სხვადასხვა რედაქციაში.

შდრ. **კომეტა**: წელსა 1811, აგვისტოს 28 ღამესა, საათსა 10, გამოჩნდა ვარსკვლავი *კომეტა* და იდგა ნოემბრის გასვლადმდე (ბაგრ. ბატონ. 112, 22). ბუფფონ ჰგონებს, რომ მიწა ჩვენი წარმოსდგა მზისა ნაწილისაგან, *კომეტის* მიერ მოგლეჯილისა (გრ. ორბ. 300, 23). გალაქტიკაში გასკდა ვარსკვლავი, დედამიწისაკენ მოჰქრის *კომეტა* (ირ. აბაშ. 91, 6).

საშ., ახ. ქართ. **II. კვიმატი** გადატ. საბა შენიშნავს კვიმატი „ბოროტი ჟამი თუ ვარსკვლავი“.

**კვიმატი** 1. ავი, ბოროტი, უკუღმართი, ბედითი, ფათერაკიანი. კვიმატი დღე. – გრძელ ღამეებში, როცა ხარ მარტო და სევდას გმატებს *კვიმატი* მარტი (რ. გვეტ.). 2. მოსწრებული, ენამახვილი. მის მოსწრებულ სიტყვა-პასუხს, მის *კვიმატ* ლაპარაკს, მის მოშაირობას და ხუმრობასა სახელი ჰქონდა გავარდნილი მთელს იმ ახლომახლო სოფლებში (ნ. ლომ.). 3. ავი ბედი, ბედისწერა. «არა! რაცხა *კვიმატია*, ეშმაკია თუ ბედია, კი დასდევს მაგ ოჯახს!» (ნ. ლორთქ.).

დიალექტ. **კვიმატი დღე** „უამინდო დღე, კარგ ტაროსს რომ მოულოდნელად ავდარი ცვლის და სამუშაოდ კაცს არ გაეცვლება, ფათერაკიანი დღე“ (ქართლ. ძიძიგ., კეცხ., ხუბუტ.).

**კვიმატი** დღეები: მარხვის დღეები ოთხშაბათი და პარასკევი მოკლე დღედ ითვლებოდა (ჩვეულებრივზე ადრე წყვეტდნენ მუშაობას). მარხვის დღეებს – ოთხშაბათსა და პარასკევსა *კვიმატ* დღეებს ეტყოდნენ; დანარჩენი დღეები მთლიანი იყო (კავთ., ქართლ. ლექსიკ.).

აგრეთვე გადატ. **კვილმიტი** ენამოსწრებული. შენ და ამირანს რო ეგეთი *კვილმიტი* სიტყვაც არ გქონდეთ, აქამდინ თავვეები სოროში შაგათრევდნენ (დ. მაჩხ. 230, 6).

დიალექტ. **III. კვიმატი: კვიმატაი, კუმატეი** ფეხის თითების ავადმყოფობა, ფეხშიშველთ ემართება (გურ. ბერ., იმერ. ქავთ.).

შდრ. **კვინტალი** 1. დაყრილი და გამაგრებული ადგილი სხეულზე ხორცსა და კანს შუა: ენაზე რაცხა *კვინტალი* გამიჩთა. 2. ძროხის დიდი ცური (ჯიქანი), გამოწველის შემდეგ რომ ცოტას იკლებს (იმერ. ქავთ. III).

### კილ-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. კილი** მცირე რამ წუნი (საბა). კილი (ბერძნ.) მცირე რამ წუნი – დ. ჩუბ.

**კილი** მცირე ნაკლი, – წუნი. ერთიც გახსოვდეთ ამ ქალის *კილი*: მაგის ტრფობაში იყავით ფრთხილი! (რ. ერისთ.). ◊ **კილში** [ჩა]უდგება კილის გამონახვას [შე]ეცდება. ანდრია ავციამვილი ერთის შეხედვით შნოია-

ნი კაცია, ... ხოლო თუ კილში ჩავუდგებით, მოსაწონი არა აქვს-რა (ი. ევალ.). მასწავლებელნიც... [იერემიას] რუსულ-ქართულ გამოთქმას კილში არ უდგენენ და ახალისებდნენ კარგი ბალების დასმით (გ. წერეთ.).

დიალექტ. **კილი**: ჩემ სიტყვას კილს ატანს (ჯალაურთა (ზ.-იმერ. მოწ.). **კილიანი**: გამქირდავი, გამკილავი, ჭორიანი. *კილის გამობმა*: სოსე-ლასა ჰკითხეთ, მაგაზე კილიანი არავინ მეგულება! (ტყვ., აგრეთვე ქემ., ქართლ. ლექს.).

საშ., ახ. ქართ. **II. კილი** ხვარბლის ბუდე (საბა); || საერთოდ, თავთავიან კულტურათა მარცვლის ბუდე. ფეტვის მარცვლის საერთო წონაში საკმაოდ დიდი ნაწილი მოდის *კილებზე* (ი. ლომ.). საერთოდ, თავთავიან კულტურათა მარცვლის ბუდე.

დიალექტ. **კილი** მარცვლეულის (თესლის) კვირტის ჩანასახი გაღვივებისას. „*კილი ექნება ახლა გამოღებული სიმიდს, კაი კვირეა დათესილი*“ (იმერ. გაჩ.).

1. კ-ილ-ში –კ- ძირეულია და ის იგივე უნდა იყოს, რაც დი-კ-ა-სა და კ-ილ-ო-ს – კ არის; -ილ დეტერმინანტი სუფიქსია“ (კახაძე 1987, 82).

2. ს. ქართვ \*კილ- „ხორბლის ბუდე“. ლექსემა დატურდება მხოლოდ ქართულში, მაგრამ გააჩნია გარენობრივი შესატყვისები, რაც მის საერთო-ქართველურ წარმომავლობას ამტკიცებს (ჩუხუა 2017).

3. აღდგენილია \*კულ- არქეტიპი (კელაურაძე 2017, 24)

დიალექტ. **III. კილი** კაკლის (ზ.-იმერ. მოწ.). იხ. **II. კილი**. კილი ლე-ბანთა გამყოფია (ლოდორა, საბე, ზ.-იმერ. მოწ.).

ახ. ქართ., დიალექტ. **IV. კილი**: თუ ჭიამ ხე დაღრღნა, გაუჩნდება ფხვნილი, რკილი (ი. ჭყ.); დაჩრჩილული ხის მტვერი; ჭიის მიერ დახრული ფიცრის მტვერი (ა. ლლ.).

**კილი** ბუზის კვრცხი, მსხმილი. ერთნაირი ბუზია, მწვანე, დააჯდება თუ არა, მაშინვე კილს ჩააყრის (ბიწმ., ქართლ. ლექსიკ.). შდრ. გრკილი.

ქართული და მეგრული ენების მასალა შეაპირიპირა და ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისათვის \*კრკილ-არქეტიპი აღადგინა გ. კლიმოვ-მა (ფენრიხი, სარჯველაძე 2000).

დიალექტ. **V. კილი** ქათმის განავალი თეთრად (ჯავახ. მარტ.). იქაც „ლაქა“ მიუთითებდა – ნ. ჩუბ.

ახ. ქართ. **VI. კილი** (ჰოლანდ.) 1. გემის კილი – გრძივი, ჩვეულებრივ შედგენილი კოჭი რომელიც გემის ძროზეა გადებული ცხვირიდან კიჩომდე. 2. საფრენი აპარატის კილი. – თვითმფრინავის კუდის ფრთასხმულობის ნაწილი. – ქველ.

ახ. ქართ. **VII. კილი** (თურქ.) მთის ქანი, მათეთრებელი და საპნის თიხების ნაირსახეობა, შთანთქმის მაღალი უნარის გამო ფართოდ გამოიყენება ნავთობპროდუქტების გაწმენდისთვის, შალისთვის ცხიმის მოსაშორებლად – ს. თეზ.

**VIII. კილი** (ნიდერ.) 1. გულმკერდის ამონაზარდი გულმკერდის კუნთების დამატებითი მიმაგრებისთვის. კარგად აქვთ განვითარებული მფრინავ ცხოველებს-ფრინველების უმეტესობას, ღამურებს; არ გააჩნია არამფრინავ ფრინველებს (მაგ. კაზუარებს), მაგრამ გააჩნია იმათ, ვინც ფრთების დახმარებით დაცურავს (მაგ. პინგვინები); ცის სამხრ. ნახევარსფეროს თანავარსკვლავედი – ს. თეზ.

**კილო:**

ძვ. ქართ. **1. კილო** ნაპრალი; „მივიდა და დაესხა მათ ზედა დავით კილოსა მას ზედა მოსაწყუედელსა“ (მფ. 5, 2). „ერქუმის ადგილსა მას კილომ მოსრვისად“ (ო, II, მფ. 5, 20).

დიალექტ. **კილო** მთის თვალუწვდენელი უღელტეხილი (რაჭ. მი-ბიგ. 207).

ძვ. ქართ. **II. კილო** ყულფი, ღილის გადასაცემელი: „უქმნე მას კილოები იაკინთისა“ (ო, გამოსლ. 26, 4). **ღილო-კილო** ღილ კილო; წიგნის შესაკრავი: „კულად მისცეს...ოთხთავი სტავრაძთა შემოსილი და ვეცხლის ღილო-კილოძთა და ჯუართთა“ (ი.-ე. 22, 32).

**კილო** ძაფით და ყაითნით გაკეთებული პერანგის ღილი. ლამაზო, შენსა ხვევნასა / კილო შემაწყდა პერანგსა, / იშოვნე, გამომიგზავნე, / შენი შვილების ღხენასა (ხალხ.; ჯავახ. მარტ.).

ახ. ქართ. **კილო** 1. ღილის შესაკრავი ჭრილი ტანსაცმელზე, კიდე-ბამოხვეული, – საღილე. [გვადიმ] სცადა ღილის კილოსთან მიტანა (ლ. ქიაჩ.); მისს ლარკინსი აღტაცებაში მოდის ყვავილისაგან, რომელიც ჩემი ფრაკის კილოში მიკეთია (ქ. ბაქრ. თარგმ.). || თასმისა ან დაგრებილი ძაფისაგან გაკეთებული ყულფი, ღილზეგადასაცემელი. ჩოხა-ახალუხის ყველა ღილებს კილოებზე... აიბნევდა (დ. შენგ.). 2. ტექ. იგივეა, რაც ანჯამა. 3. კოჭის, ძელის ან ფიცრის სიგრძივ ამოდრუებული ჭრილი, ჭდე, რომელშიც შედის (ერთიმეორესთან დასაკავშირებლად) მეორე კოჭის, ძელის ან ფიცრის საგანგებოდ მორგებული ვიწრო შვერილი (შდრ. კოხი).

**კილო** ნაჭდევი; დედოსაც და კვირტსაც ირიბულად წაჭრილი თავის შუაში უკეთებენ ნაჭდევს-კილოს (იმერ., ჭუმბ.) – ლ. ასათ.

საშ. ქართ. **III. კილო** „ისართა მშვილდის საბელთა ჩასაგდებელი“ (საბა). იაგუნდისა პირსა დაგაგებ და ოქროისა ხალასისა კილოსა (ვისრ. 147, 30). რომელმანც შენზე მშვილდი მოიზიდოს – ისარიმც კილოში გაუტყდეს-მეთქი (რუსუდ. 543, 12).

სოფლისა ბრჭალმან, ვით გრიგალმან, ჩემსა ბედასა უსწორა კილო (ბეს. 66,14). და შუყავ მშვილდსა, კილო ისრისა და თვით უზაბარივე ჩაუგდებს (შჰნ. III, 466, 17).

დიალექტ. ისრებს წებოთი ბრთეებს ვაკრავდით კილოს გვერდზე (ვაჟა). **კილო[ნ-ო]** ამოჭრილი ისრის, ცხემლის თავში, სადაც ლამბი, ან ძაფი უნდა მოედოს, – ყუნწი. თბეების წინ ისარს მშვილდის საბმის ჩასაჯ-

დომი ჭდე აქვს, ამ ჭდეს ჰქვია „კილონი“ (ალ. ოჩ. კალენდ. 130, 20, ალ. ჭინჭ.).

საშ. ქართ. **IV. კილო** „თვალის კუთხე წარზიდული“ (საბა); თუალთა კილოებთა გარემოთა იასა და იასამანისა მსგავსად მორთულსა ხედვიდა (ქილ. 732, 18). არ მისცეს ნება შეძვრისა წარბს, წამწამს, თვალის კილოსა (დ. გურ. 69, 56, 3). თვალის გუგა მოწითანო, კილოთა და ქუთუთოთა მღიერი და ქავილი (ქანან. 8, 15-16). თვალის კილოს შეხედვითა პირსა და თვალსაც გააჯავრებდა (ხოსრ. 48, 15).

ახ. ქართ. **კილო** ქუთუთოს კიდე. ერთი ყარიბი ჩიოდა... სიყრმითვე თვალთა კილონი ერთმანეთს შესწებებოდა (რ. ერისთ.); წამწამებზემოც-ლილ წითელ კილოებზე გადმოხჯდარი მისი ჭროლა, დაკუსული თვალე-ბი არასოდეს არ იცქირებოდნენ პირდაპირ და თამამად (რ. გვეტ.). || თვალის ჭრილის კუთხე, ქუთუთოს შესაყარი. **თვალის კილოები** ყურებამდის გახვევას ლამობდნენ, ისე შემეშინდა (შ. არაგვ.). [მოახლეს ჰქონდა] მაცვა-ლივით შავი, კილოებში გაზიდული, მეტყველი თვალეები (შ. დად.).

შდრ. კიკილო თვალის უბე (მრ. რ. კიკილეები) „იმ ცხვარ თვალის კიკილეები ატკივდა“ (აჭარ. ნოდ. VII, 34).

**კილო** ნაპირი. და თუ კაცსა პირის კილოებიცა დაუსქდეს, იცოდით დუზლუ ბალღმისაგან არის (იადიგ. 555, 9).

**კილო:** უკან ქუსლთან და წინ შუა ქალამანთან აქეთ-იქით თასმის ამოსაყრელს უკეთებდნენ, ამას „კილოს“ ეძახდნენ (ფშ. ზოდ., 20).

საინტერესოა ქართული კილოს მიმართება ბერძნულ *kýlon* („ქვემო ქუთუთო“) ფორმასთან (გიგინეიშვილი 2016).

დიალექტ. **V. კილო** ნიგვზის ლებნებს შორის მოთავსებული მაგარი გარსი (იმერ. გაჩ.). **კილო** იგივეა, რაც კილი, კილარი. *კილო* ნიგვზის ლებ-ნეფს ყოფს (ტაბაკინი, ბოსლევი, სვირი) (ზ.-იმერ. ძოწ.).

**კილონაწვავი** კაკალი დავარგებული ნიგოზი, რომელსაც ლებნების გამყოფი უღელი (კილო) უკვე გამაგრებული აქვს. *კილონაწვავია* კაკალი, გულს რო გეიჩენს (მოხვა). *კილონაწვავი* ითქმის კაკალზე, როცა ის გულს დეივარგეფს და გასაკუჭი გახდება (გორისა) (შდრ. ბ. წერ.; ზ.-იმერ. ძოწ.).

ძვ. ქართ. **VI. კილო:** „მეტყუელთა ავაჯთა მათ და კილოთა სიძვისათა“ (H – 2251, 289). **კილოვნება** მოთქმა, მწუხარე ხმიანობა: „იყო მის შორის გოდებდ, გურინგად და კილოვნებად და ვაებად“ (ეზეკ. 2, 10 გელ.).

**კილოა** კილო, მელოდია: „მუსიკი მოიპოვებს კილოთაცა რათმე“ (ამონ. 14, 14).

ძველ ქართულში დასტურდება სინტაგმები: 1. **სათეატრონო კილოა** სასცენო მუსიკა, მელოდია: „გუესმოდის რად *სათეატრონოთა კილოთად*, უმსუამრესობად წარვჰმართებთ სულთა“ (ამონ. 14, 20). 2. **მსუამრი კილო:** „მხილველმან... მეავლისა *მსუამრსა კილოსა* მეავლეობისასა შედგომილი-სამან უბრძანა მას“ (ამონ. 14, 22).

საშ. ქართ. ჭრელებს, რომელიც უფრო მიმედ სათქმელ არიან, რაოდენ გვარი ჰქონან *კილონი*? ყოველთა ჭრელთა გვარნი უკვე არიან ოცდაოთხნი *კილონი*, ...და ესე ოცხაოთხნი *კილონი* შემოიცვენ ყოველთა ჭრელთა და მათნი კილონი მიმოვლენ ურთიერთისადმი და იკანკლედებიან (კალმას. 398, 2). *კილოს* და *კილოს* ჯორჯში ამოდ დაირაკრაკებს (ნ. ბარათ. 148, 23).

ახ. ქართ. **კილო** საერთო-სახალხო ენის განშტოება, რომელზედაც ლაპარაკობენ ამა თუ იმ კუთხეში, – კუთხური მეტყველება, დიალექტი. ქართლური და კახური თანამედროვე სალიტერატურო ქართულის საყრდენი კილოებია. 2. ამ თუ იმ ენისათვის თუ კილო-კავისათვის დამახასიათებელი თავისებური წარმოთქმა, – აქცენტი. არუთინა ყველას იცნობს, ... დაშინაურებული კაცია, ფშაური ფიცი იცის, ფშაურ *კილოზე* საუბრობს (ვაჟა). || ინდივიდისათვის დამახასიათებელი გამოთქმა, ლაპარაკის მანერა. [გამყრელიძემ] სიტყვა-პასუხის *კილო* მშვენიერი გამოიჩინა (ილია). || საუბრის ესა თუ ის ემოციური ელფერი, იერი; ინტონაცია. განსჯაში და დარიგებაში ლაპარაკის *კილოს* დიდი მნიშვნელობა აქვს (ილია). 3. (ფშ.) იგივეა, რაც გუნება. მშიერ-მწყურვალი მოვჯერდი, შევიქმენ კაის *კილოს* (ბაჩ.). „რას *კილოს* ხართ, დამიტირე, ხომ არ გიჭირსთ?“ (ვაჟა). 4. გრამატ. ზმნის ფორმა, რომელიც აღნიშნავს, თუ როგორ წარმოუდგენიათ მოქმედება: ნამდვილად მომხდარად, სავალდებულოდ, სასურველად, რაიმე პირობაზე დამოუკიდებლად. თხრობითი კილო. – ნატვრითი კილო 5. მუს. ხმის მიმოქცევა (სიმღერაში), ჰანგი (სიმღერისა, სამუსიკო ნაწარმოებისა). ნიავს რომ ავუმღერდებით, *კილოც* კარგი გვაქვს, ხმებიცა (შ. მღვიმ.) || მოტივი (სიმღერისა). „ამ ბიჭმა ცოდნით *ყველა კილო* იცის!“ (ე. ნინოშ.).

შესაძლოა, ქართული კილო („ხმის მიმოხრა“, „ინტონაცია“) მოდიოდეს ბერძნულიდან (შდრ. *kyllós* „მრუდი, „დასახიჩრებული“) ე. ი. ეტიმოლოგიურად როგორც „მიღებული ნორმის გამრუდება, დამახინჯება“ იქნეს გაგებული (გიგინეიშვილი 2016).

ახ. ქართ., დიალექტ. **VII. კილო** (ფრან. kilo, ბერძ. Chilioi-დან ათასი) კილოგრამი (შემოკლებით). ღირსშესანიშნავი ტალავარი ჰქონდა იონას..., მტევანი ორ *კილომდე* იწონის (ა. ქუთათ.).

ერთ ქურა ჭურჭელს 2 *კილო* წერნაქი ეყოფაო (ქიზ. II, ტ. ნაწ. I, 1979, 19). კეცის ფასი ადრიდან იყო ხუთი შაური ფულად, პურად-ერთი ლიტრა, ანუ ჩარექი (*კილო*) ნიორი (ფშ. ტ. II, ნაწ. I, 1979).

**კილო** კილო, კილოგრამი ზან. (მეგრ. ქობ.).

დიალექტ. **VIII. კილო** ასაკი, დრო. ქალო ლაღი ხარ, თამამი სანდომი კაის *კილოს* (ბ. 56, 16; ნ. კ. 408, 4); შენ დიახ აჩქარებულხარ, მე ველი ჩემსა *კილოს* (თ. ხ. ლ. 112, 3 (ქეშიკ.)). **კილო** შესახედაობა, გარეგნობა. „მალიან კაი *კილოზე* დამხვდა, ლოყები ვარდივით უღაჟღაჟებდა“ (გ.-კახ. სახლთხ.).

**კირ-ი:**

ძვ. ქართ. **I. კირი** საბა განმარტავს კირი არს ქვა, დამწვარი, საშენებელად სიმაგრისათვის. საილუსტრაციოდ მოჰყავს შემდეგი ფრაზა „დაბადებიდან“: „მოჰკირო კიდობანი ესე შინაგან და გარეგან“ (დაბ. 6, 14). „კირსა შინა ახალსა, დამბალსა, ცეცხლის-სახედ მოტყინარესა დაჰფლეს სიტყვერი იგი“ (H-2251, 352r).

საშ. ქართ. *კირი* დაზელილი მზად ჰქონდა (საბა 166, 14). ესენი არ არის ქვაბები, ეს ქვით და *კირით* აშენებული აუზებია (კალმას. II, 224, 14).

**დაკირწყლული** უმეტესნი ბანნი სახლთა ამათ არიან მოყვანილ მსგავსად ყრუდს დარბაზის გუმბათისამებრ, **დაკირწყლული** თლილისა ქვითა (კალმას. II, 653, 1).

ახ. ქართ. **კირი** კირქვის გამოწვით მიღებული თეთრი ნივთიერება (კალციუმის ჟანგი), ფართოდ იყენებენ მშენებლობაში. შენ, ჩვენო დიდო იმედო, კოშკო, ნაგებო *კირითა!* (ხალხ.). [ქართლში] სადაც ქვაც ბევრია, ქვიშაც და *კირიც* იშოვება, უფრო ქვიტკირს აშენებენ (თ. რაზიკ.).

დიალექტ. გამოიყენება კულინარიაშიც: ახალწენგიონი კაკალი... რაოდენიმე დღეს *კირში* იქნება (მესხ. მრეწ. ტ. III, ნაწ., II, 152). *კირი* გამოყენებულია კაკლის მურაბის მოსამზადებლადაც (მესხ. მრეწ. III, II, 152).

აგრეთვე (ზ. ქართლ. მრეწ. I 225, ქიზ. მრეწ. I, 38; შ. კახ. მრეწ. I, 100).

დასტურდება სინტაგები: 1. კირით-ხურო. იგივეა, რაც კალატოზი. ყველის-ციხიდან მოვდივართ, ქვის მთლელები ვართ და *კირით-ხურონი* (კ. გამს.).

2. კირსაგალი ძვ. კირი და საგალი, კირში არეული საგალი (თევზების დასაჭერად). მეფემან ვახტანგ მოინადირა ტბა ესე კირსაგალითა, და იპყრეს ორაგული, თვნიერ კალმახისა და სხვა თევზთა, მას ერთსა დღესა (ქ. ცხ. IV, 319, 7).

1. კირი- (ბერძნ.) Κίρα / κίρα „კირივით თეთრი მიწა“ (გორდეზიანი 1985, 84).

2. კირი შემოსულია სომხურიდან (შდრ. (სომხ.) kir „კირი), ხოლო თვით სომხურში, როგორც ჰრ. აჭარიანი ფიქრობს, – სირიულიდან. შდრ. აგრეთვე ჩეჩნ. კირ „თეთრი თიხა“ (გიგინეიშვილი 2016).

ძვ. ქართ. **II. კირი** «წვევი». „გამოსტაცის მწყემსმან პირისაგან ლომისა ორნი კირნი, ანუ ყურის-ძირი“ O, – „გამოსტაცის მწყემსმან პირისაგან ლომისა ორნი წვევი ანუ ნაჯლეხი ყურისა“ pb., (ამოს. 3, 12).

**კირთა დაკუეთა** «მარლუ-კუეთილ ყოფა»: „*კირნი დაჰკუეთენეს კუროსა*“ (ივ. რომ. - კურთხ. ისაკ და იაკ. 60, 9).

**კირდრეკილი** მოუძღურებული, წვივმოხრილი: „იხილა პავლე, მორად ვიდოდა, რამეთუ იყო იგი ასოფთა მდაბალ... *კირ-დრეკილ*... ცხვრ გრძელ“ (თეკლა 92, 5).

ამ შინაარსის *კირი* საბასთან **კირნი** სახით დასტურდება.

ვფიქრობთ, კირ-ფუძისათვის შეშამარღვის მნიშვნელობა უნდა იყოს ამოსავალი (გელენიძე 1974, 29).

აღდგენილია ს. ქართვ. \*კირ-წვივი; ქანჩი (ჩუხუა 2017).

ახ. ქართ. **III. კირი** [თურან. ] ბრტყელთავიანი პლატო, ჩვეულებრივ ფერდობებით, ძირითადად შუა აზიაში.

ახ. ქართ. **IV. კირი** მცენარე პაულონიას ერთ-ერთი სახელწოდება, იზრდება სწრაფად, -ხარობს საქართველოშიც – ა. სიხ.

### კისტ-ი:

საშ. ქართ. **I. კისტი** ერთგვარი საწყაო. ძმარი- სამი კისტი (ფანასკ. 151, 9). შდრ. კიშტი კალათა – დ. ჩუბ.

შდრ. **კესტი**: მომართუეს ჩუენ ალექსანდრიადთ... *კესტითა* ზეთი, დაგოზილი ცარცითა (Ath. - 12, 194 v).

შდრ. კისტა [ბერძ. kistē ჩანთა, ქისა, პარკი რუს. ენის. მეშვ.] მედიც. პარკის მსგავსი სიმსივნე, სითხით სავსე.

საშ. ქართ. **II. კისტის კვრა** კისერში ცემა – დ. ჩუბ.

ახ. ქართ. **კისტის-კვრა** იგივეა, რაც კინწის კვრა. შდრ. ქისტი.

ახ. ქართ. **III. ბარბარ. კისტი** ფუნჯი „კისტი“ (რუს.) (ი. გრიშ.).

**IV. კისტის თოფი.** ტირის თოფი.

### კნუტ-ი:

საშ., ახ. ქართ. **I. კნუტი / კნოტი** შვილი კატისა – საბა.

**კნუტი** 1. კატის ნაშიერი. კატას სამი *კნუტი* ჰყავდა. – დაჰკრეს ტაში და აცეკვეს *კნუტები* და ლეკვი ერთად (გ. კაჭახ.). თვითონ ლამაზია..., მისი საცოლე-ვი... უდღეურ კატის *კნუტს* ჰგავს (ჭ. ლომთ.). 2. ლლაპი (თაგვისა), წრუწუნა. [თრითინა] თაგვის *კნუტებს* სინსილას უქრობს და ამით ამცირებს ამ ყოვლად მავნე ცხოველს (თ. რაზიკ.).

დიალექტ. **კნუტ** კნუტი (კატისა). კატი ბახალაჲ და კატი *კნუტ* – ოორნიმ ერთი (ორივე ერთია). – (ინგ. ღამბ.).

შდრ. **კნოტი** ძვ. და კუთხ. (ფშ.) იგივეა, რაც კნუტი. «ციცავ, რას მემუქარები მაგ შენის ორის *კნოტითა*?» (ხალხ.).

ახ. ქართ. **II. კნუტი** [რუს. кнут] საუბ. მათრახი (გრძელი), შოლტი. ყვიროდა კოსტაია და თან წვრილსა და გრძელ მათრახს, რომელსაც «*კნუტს*» უძახდა, წამდაუწუმ ფეხებთან ატკაცუნებდა (ა. ბელ.).

### კოდ-ი:

საშ. ქართ. **I. კოდი** (კოთ ZAaBCE.; კოთ ZAaBCE.) ადგილით-ადგილ მეტ-ნაკლები იციან, არამედ სწორი სარწყავი ესე არს: ახლისა ლ ი ტ რ ი - თ ა ათი შთაიტიოს, რომელ არს ორასისა თ უ ხ ტ ი ს ა წონა – საბა.



**კოდ-სასწორ-ადლი** კოდი (საწყაო), სასწორი და ადლი, – სხვადასხვაგვარი საზომ-საწყაო. ვამე, თუ, სულო, არ გაქვდეს მადლი, მრუდედ მეხმაროს კოდ-სასწორ-ადლი (დ. გურამ.).

ოთხი კოდი პური სამ თუმნად იყიდოდა (ქ. ცხ. IV, 519, 22). სამი კოდი (შეადგენს) სამა მინანთულსა (სამ. ბატ. დავ. 35, 14). ორის წლის კოდის-პურსა მთხოვენ (სამ. ძეგ. VIII, 18, 1). კოდით წაიღეს ფლურები (ფემ. 330, 3).

ახ. ქართ. **კოდი** 1. ხის დიდი ჭურჭელი, გაკეთებული გულგამოთლილი მორისაგან. იხმარება ჩვეულებრივ მარცვლეულისა და ფქვილის, აგრეთვე რძის ნაწარმის შესანახად (ან კიდევ სითხის ჩასასხმელად). *კოდებს*, სადღვებლებს, კასრებს სულ ცაცხვისაგან აკეთებენ (თ. რაზიკ.). 2. მთლიანი ხის მოგრძო ჭურჭელი, წყაროსთან დადგმული საქონლის დასარწყულებლად. ეს წყარო კარგა მოზრდილია ასე, რომ კოდიც კი უდგა საქონლის წყლის სასმელად (ილია). 3. მარცვლეულის საწყაო სხვადასხვა ზომისა (ქვემო ქართლში-ოთხი ფუთი ანუ ათი ჩანახი და ა. შ.) საუკეთესო მოსავლის დროსაც კი ერთ კოდს ხორბალს მოჰყავს მხოლოდ ათ-თხუთმეტ კოდამდის (ი. გოგებ.). „ექვს აბაზად კოდი პური მოგცე და ისიც შენი უძირო ჩანახითა?!“ (ნ. ლომ.). 4. გულამოდებული მორი უძირო, რომელიც მიწიდან ამომდინარე წყაროშია შვეულად ჩადგმული წყლის შესაკრებადა და გამოსადენად. ეგე – კოკა და ეგე – კოდიო (ანდაზა). 5. (ქიზ.) ფუტკრის გეჯა, რომელსაც შვეულად დგამენ.

დიალექტ. კოდი საკრამიტე მიწის საზელი მანქანა (იმერ. წერეთ.).

აგრეთვე: 1. (გურ. იმნ. 223, 12; ქიზ., ერწ.-თიან; ქართლ., იმერ., რაჭ., გურ. მრეწ. IV, III, 228).

2. აჭარაში ლარებიანი, ანუ როგორც აქ უწოდებენ, ძაფებიანი საკრავის ნაწილებს ჰქვიან. კოდი მუცლის მნიშვნელობით (ჯავახიშვილი 1990, 106).

ზან. კოდი კოდი, ხის ჭურჭელი; მარცვლეულის საწყაო (32 კგ), ღვინის სასმისი (წელში გაწვრილებულია, ფეხიანი, იტევს ერთ-ორნახევარ ლიტრს). სითხის საწყაო, იტევს 10 ლიტრა, აგუბებდნენ კოდის წისქვილისთვის ან წყაროზე ჩადგამდნენ, რომ შიგ წყალი ჩაგუბებულიყო; კოდია კოდისებრი (მეგრ. ქობ.).

სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით ქართული 1. **კოდი** არ გვხვდება ძველ ქართულში. გ. კლიმოვმა ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისათვის აღადგინა \*კოდ- (ზმნური), \*კოდ (სახელური) და \*კოდალა-არქეტიპები (ფენრიხი, სარჯველაძე 2000; გიგინეიშვილი 2016).

2. შესაძლებელია ქართ. სიტყვა კოდი, რომელიც აგრეთვე საწყაოს აღნიშნავს, კუტალის კუტ-თან იყოს დაკავშირებული (გონიაშვილი 1940, 614).

ახ. ქართ. **II. კოდი** [ფრნ. code] საგანგებო პირობით ნიშანთა კრებული დიპლომატიურ, სამხედრო და სხვ. ცნობათა გადასაცემად (ტელეგრაფის თუ სხვა საშუალებით).

დიალექტ. **III. კოდი** მცენარეა ეკლიანი. კედლებს შემოაცლიან. გულს სჭამენ, იზრდება მიწის ზედაპირზე, დაბალი მცენარეა (მესხ.-ჯავახ. ლეონ.). შდრ. **კორდი** მაღალი ბალახი – საბა. შდრ. კორდის ენა – ქეგლ.

დიალექტ. **IV. კოდი, კოდები** უტყეო მთა, სადაც მარტო ბალახია ამოსული (რაჭ. ბერ.).

**კოდი** კორდი, უტყეო მთა, რომელზედაც მხოლოდ ბალახია ამოსული ზან. (მეგრ. ქობ.).

#### კოდა:

საშ. ქართ. **I. კოდა** იხ. კოდვა. რომელმან ცული იყიდა, შეშას კოდა დაუწყეო (საბა).

დიალექტ. **II. კოდა**. წყაროზე დადგმული უძირო კასრი (კირიონი) – ალ. ლლ. ხის გობი, რომელსაც წყაროს უდგამენ (ქართლ. ქსნ. სომხ.). შდრ. კოდი.

ახ. ქართ. **III. კოდა** [იტალ. coda კუდი] 1. მუს. მუსიკალური ნაწარმოების უკანასკნელი, დამამთავრებელი ნაწილი. 2. ლიტ. დამატებითი სტრიქონი სონეტებსა და სხვა ისეთ ლექსებში, რომელთათვისაც დაკანონებულია სტრიქონების გარკვეული რიცხვი. **კოდა** მდგრადია, მასში შეიძლება გამოიყენებოდეს ტონილური საორღანო პუნქტი, მელოდიკურ-ჰარმონიული შებრუნებები, ნაწარმოების განმაზოგადებელი თემატური მასალა (მუს. ლექსიკ.).

#### კოვზ-ი:

ძვ., საშ. ქართ. **I. კოვზი** მცირე ციცხვი მეტალისა გინა ხისა, სახმარი დასასხმელად ან საჭმელად წვნიანთა. **ჩაის კოვზი; გულის კოვზი** – დ. ჩუბ.

„ფეშხუმი *კოვზითურთ* და ბრწყლით“ (ი. -ე. 22, 25). ძველსავე ქართულში დასტურდება სინტაგმა **კოვზი ზღვსაჲ** ზღვის ლოკოკინა: „სხვსა თესლისაჲ არს ქეცეანი იგი, ვითარცა ლოფოთქინი... და *კოვზი ზღვსაჲ*“ (ბ. კეს. ექუს. დღ. 97, 18).

კვლა ჭურჭელი თვალთა თლილთა, არ *კოვზები* არ ჩამჩები (ვეფხ. 1658, 2).

ახ. ქართ. **კოვზი** მცირედ ჩაღრმავებული ტარიანი მოგრძო საგანი (იარაღი), ფქვილის, სითხის, ფაფისა და წვნიანი საჭმლის ასაღებად. ზღვა კოვზით დაილევაო (ანდაზა). ღვთისო ჩორკნიდა ხის *კოვზებს*, ნიჩბებს (ვაჟა). «მაწონი გახლავსთ ჩინებული და *კოვზიც* თან ახლავს!» (აკაკი). || იმდენი, რამდენიც ერთ ჯერზე აიღება კოვზით. ძალუა ელისაბედმა... ზედადგარზე გამოსჭიმა ტაფა და შიგ ორი *კოვზი* ერბო ჩადო (ნ. ლომ.).

1. **კოვზ**-ს კ. ჰშიდტი, გ. კლიმოვი ქართველური წარმომავლობისად მიიჩნევენ (შიდტი 1962, 119-120; კლიმოვი 1964, 119-120).

2. არნ. ჩიქობავა ექვის გამოთქვამს რომ ქართველური სიტყვა იყოს (ჩიქობავა 1938, 170).

3. მზ. ანდრონიკაშვილის აზრით, ძველი ქართული გოვზაკი (სურა, დოქი, თასი) მომდინარეობს სავარაუდებელი საშუალო სპარსული ფორმისაგან \*კოვზაკ. მისგანვე არის მიღებული ახალი ქართული კოვზიც (ანდრონიკაშვილი 1966, 303).

4. ბ. გიგინეიშვილი იზიარებს ამა უკანასკნელ მოსაზრებას (გიგინეიშვილი 2016).

დიალექტ. ხევს. თუშ. **კოზი** კოვზი (დიალექტ. 553., ხუბ.). იხ. აგრეთვე: **კობზი** (რაჭ. კობახ., ზ.-იმერ. მოწ.).

სამ. ქართ. **II. კოვზი** «თევზთ-საჭერი მცირე ბადე» (დ. ჩუბ.). შდრ. **კოსიო** (ქვ.-იმერ.) ნავიდან წყლის ამოსასხმელი («შინამრეწვ.») – ქველ.

### კოკა:

ძვ., სამ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. კოკა** ჩაფი: „გუამი მისი მსგავ არს თაფლისა *კოკასა*“ (H – 622), „აკვიდა... *კოკითა* ზეთი“ (O, ივდ. 10, 5). „იყვნეს მუნ ჭურჭელნი ორნი, კოკანი ცალიერნი“ (მ. ცხ. 265v). გაკუეთილი შეუქმნეს... *კოკად* ერთი ღვინოდ თუესა შინა (ი. -ე. 41, 13).

სამ. ქართ. *კოკასა* შიგან რაცა დგას, იგივე წარმოსდინდების. იაგუნდის *კოკითა* ლალის ფერს ღვინოს სმიდესა (შჰნ. I, 1232, 3). ახლო მოდევ და ნუ ესრვი ქვასა სურვილის *კოკასა* (ქილ. 722, 33.). ...ერთი პარტახტიც შეწირეს ხუთის ექვისს *კოკისა* (სამ. VIII, 128, 11). მოიღეს... საღვინენი და *კოკანი* (რუსუდ. 73, 12).

ახ. ქართ. **კოკა** 1. წყლის საზიდი თიხის ჭურჭელი: მოზრდილი, დიდმუცლინი, ვიწროქულიანი, დაბალყელიანი, და ცალყურიანი. გოგობი მხარზე *კოკებით* წყლისკენ მიდიან (შ. არაგვ.). 2. ღვინის საწყაო, სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა ზომისა (საშუალოდ ერთი ფუთიდან ფუთნახევრამდე). დაინთქა და დაილია ას *კოკამდე* ღვინო (ნ. ლომ.).

დიალექტ. აგრეთვე: ზ.-იმერ. მოწ., ჩვენ. ფუტკ., ჯავახ. ზედგ.).

გვხვდება კოკა სიტყვისაგან ნაწარმოები სიტყვებიც **კოკურა** კოკაზე პატარა ჭურჭელი წყლისა, კოკის მსგავსია (ქიზ. მენტ.). **კოკუნა** პატარა კოკა (განთიადი, იმერ. ქავთ. III). **კოკინე** პატარა კოკა (სურ., გურ. ჯაჯ.).

სირ. qmāq „თიხისაგან დამზადებული ჭურჭელი ღვინისათვის > ქართ. კოკა (წერეთელი 1992, 95).

მეგრ. კოკა და სვან. კოკა, საფიქრებელია, უფრო ქართულიდან ნასესხებნი უნდა იყვნენ ვიდრე კანონზომიერი შესატყვისები (გიგინეიშვილი 2016);

ახ. ქართ. **II. კოკა** [Erythroxyton coca] ბოტან. ერთგვარი ბუჩქი პერუს ანდების მთებში. მისი ფოთლები შეიცავენ კოკაინს (coca პერუს ინდიელთა ენიდანაა) – მ. ჭაბ.

**კოლტ-ი:**

ძვ., ახ. ქართ. **I. კოლტი** ჯოგი, გროვა. „იყო მუნ კოლტი ღორთად მრავალი, მძოვარი მთასა გარე“ (ლ. 8, 32). და ვითარ განვიდა დღესა ერთსა, იხილა კოლტი ქურციკთა და მივიდა მათ თანა (ბალავარ. 35, 33). ... არიან იგინი დიდ-დიდთა შინა კოლტსა თევზთასა და რიცხუებსა მათსა მიუთხრობენ (ექ. დღ. 82, 33). ...იხილო ბევრეული კოლტი ორბთად შედგომილი ზანაკსა მზრძოლთასა (ექ. დღ. 100, 19).

ახ. ქართ. **კოლტი** – ღორის ჯოგი – განმარტავს საბა. **კოლტი** – ჯოგი აქლემთა ანუ ღორთა (ნ. ჩუბ.). ვითა იჩქურა ახლად ფლორენცას კოლტმან მგელთამან უსირცხლოდ (წყობ. 26, 5).

კარგი ხერხი იხმარა თებერამ: დასტაცა ტახს ხელი უკანა ფეხებში... და კოლტშივე გადაისროლა გაჯიუტებული (ვ. ბარნ.). ავდგე, თორემ გამართული გუთანი არ მიცდიდეს, ...ღორის კოლტი მოსავლელად (გ. ლეონ.).

ქართულში ეს ფუძე შეთვისებული უნდა იყოს სომხურიდან (ქერქაძე 1971, 144-145). შდრ. (სომხ.) կալի– კოფტ (ანდრონიკაშვილი 1966).

ახ. ქართ., დიალექტ. **II. კოლტი** (კახ.) ერთნაირი დასორსლებული და გამომწვარი თიხა: გამოწვისას ქურაში მასზე დგამენ გამოსაწვავ ქვევრს – ქეგლ.

**კოლტ** 1. კომტი, შემკვრივებული, დასორსლებული რამ ცომში, ფაფაში და მისთანაში; კოლტ-კოლტ ქნა იგივეა, რაც დაკოლტევა. ფაფა კოლტ-კოლტ ქნა 2. კომტი. შემკვრივებული მიწის გუნდა, მიწის კომტი. მიწად დაკოლტულ, კოლტ-კოლტ ქნილ (ინგ. ღამბ.).

3. **კოლტი** შედედებული, დაკვეთილი (სისხლი). **კოლტ-კოლტი** კოლტებად შედედებული, ნაკვეთ-ნაკვეთი (სისხლი...) – ივ. ქეშიკ. **კოლტი** შედედებული სისხლი. „კოლტები დაყარა ცხვირიდან“ (თ. ქ., ჩვენ. ფუტკ.). აგრეთვე: (ქიზ. მენთ., მთ., გუდამაყ., ინგილ., ქართლ.).

ახ. ქართ. **III. კოლტი** ამერიკული დამბაჩა. კოლტი [საკუთ. სახ.] ერთგვარი სისტემის რევოლვერი – მ. ჭაბ.

**კომიტ-ი:**

ძვ. ქართ. **I. კომიტი** იხ. I. კვიმატი. ხოლო შეიქმნებიან მრავალგზის *კომიტნიცა*, სასწაულად რადმე მეფეთა სიკვდილისა (S – 1463, II, 66; ხელნაწერის თარგმანი შესრულებულია არსენი იყალთოელის მიერ).

სამ. ქართ. **კომიტი**, კომეტა კომეტი. კუდიანი ვარსკვლავი – ნ. ჩუბ. ...იგი არიან ნივთნი ცისა და ქუეყანისა, ზღვსა, ჰაერისა, ეთერისა, ცხოველთა, ნერგთა, წვმის, თოვლისა, ძვრისა და *კომიტთა* (ზღაპ. ელენ., III, ივლ. განქ. 34).

ოდესაც *კომიტნი* გამოჩნდებიან, მოასწავებენ მიწის ძვრას სასტიკთა, ომიანობათა ძლიერთა... (კალმას. II, 287, 23).

ძვ. ქართ. **II. კომიტი** კარისა და სახელმწიფო მოსამსახურე: „პალატა რადთა თვთმფლობელობითი აქუნდეს პოტირიტისობად *კომიტთა* უვალ-რესისა მიმართ წარვლენილთა მათ გამორჩეულთა პოტირიტისთა“ (დიდი სჯ. 338, 26). „და წინაშე *კომიტისა* დამასკედ მიიყვანეს [Ier. = 24 24, 23-24]. წინაუძლოდეს *კომიტნი* რეგონისნი“ [A=199, 125v, 12).

**კონ-ი:**

საშ. ქართ. **I. კონი** თევზის საპყრობი – საბა. ფაცერი, ერთგვარი, ორაგულთ სანადირო ფაცერი – დ. ჩუბ. ზის მას შინა თევზნი მრავალნი და გემოიანი, რომელსა იპყრობენ *კონით* (ქ. ცხ. IV 305, 18). ყველიერში *კონს* თევზი არღა მოხვედრია და ის კვირა თითქმის უთევზოდ დაშთომილან (კალმას. 419, 3).

ახ. ქართ. მიწის მფლობელობის უფლებამ დაადო ყმას... გადასახადი... *კონის* თავი (რაც კონს თევზი მოხვედებოდეს, თორმეტისაგან ათი საბატონოდ უნდა გადაიდვას) (ა. ჯორჯ.). ისინი წააწყდნენ ქვის *კონსა*, რომელიც მდინარის ერთი ნაპირიდან მეორემდის იყო გაბმული (ი. გოგებ.).

ს.-ქართვ. \***კონა** „კალათა; კუნო (ჩუხუა 2017).

საშ. ქართ. **II. კონოი, კონი** ორთავე თვალთა ბაიათა მხედვარეობა ერთად შეკრული საბა. **კონი, კონოსი** (ლათ.) – დ. ჩუბ.

ახ. ქართ. **III. კონი** ერთი ხელი თამაშობა რამისა.

**კონდახ-ი:**

საშ., ახ. ქართ. **I. კონდახი თოფის** გარ(ე)შემო ხე გათლილი – საბა. **კონდახი** (ბერძნ.) თოფის ლულის ჩასასმელი ამოჭრილი ხე – დ. ჩუბ.

[მიხომ] თოფის ლულა მიწას დააბჯინა და *კონდახზე* დაეყრდნო (შ. არაგვ.). [ბახვას] თოფის *კონდახით* სცემდნენ და ისე მიათრევდნენ პოლიციში (გ. წერეთ.).

ქართული კონდახი თურქულიდან ნასესხებად უნდა ჩაითვალოს: ქონდაქ > \*კონდაყ > კონდახ (დისიმილაციურ ნიადაგზე) (გიგინეიშვილი 2016).

**II. კონდახი** [ბერძ. kontakion] ეკლ. მოკლე საეკლესიო საგალობელი. | საეკლესიო წიგნი, რომელიც ამ საგალობლებს შეიცავს.

**კონქ-ი:**

ძვ. ქართ. **I. კონქი** «საბანელი»: „მოილო წყალი, შთაასხა *კონქსა*“ C, – “მოილო წყალი და შთაასხა საბანელსა“ (ი. 13, 5). კონქი (λεκάνη) ტაშტი: „და გამოჭდა ცუარი მის საწმისისაგან სავსე *კონქი* ერთი წყალი“ (მსაჯ. 6, 38) – კ. დან.

საშ., ახ. ქართ. **კონქი** „ტაშტსაც ჰქვია“ – საბა.

ძვ. ქართ. **II. კონქი** კამარა, თალი: „კანკელი დიდისა *კონქისაჲ*“ (პეტრიწ. 34a, 12).

აღმოსავალით იყო *კონქი* ღმრთით-შწნებული (მ. ცხ. 66, 9).

ახ. ქართ. **კონქი, კონქა** [ბერძ. kogchē ნიჟარა] არქიტ. 1. „კამარა“ (საბა). 2. მეოთხედ სფეროს მოყვანილობის გადახურვა, ჩვეულებრივ ნახევარ ცილინდრული მოყვანილობის სადგომისა (მაგ., ეკლესიის საკურთხევლის აბსიდისა); კამარა. ჯარშიაც *კონქა* მოზაიკით იყო მორთული (გ. ჩუბ.).

### კორდ-ი:

ძვ. ქართ. **I. კორდი** «ოჯერი». „იყვნეს... ვითარცა კუვები *კორდსა ზედა* ველსა“ pb., – „იყვნეს... ვითარცა კუვები ოჯერსა ქუეყანასა“ (O, ოვსე 12, 11).

საშ. ქართ. **კორდი** „უნამუშავარო მიწა“ (საბა). მოდი და დავსხდეთ, მეფეო, ამოა *კორდი* მწვანისა (ვეფხ. 1518, 2). ზეით კერძი ახალშენი იყო, ცოტა მისის *კორდითა* (სამ. IV, 133, 4). *კორდნი* მწვანენი, ზურმუხტისფერნი (უცნ. 312, 2)

ახ. ქართ. „აბა, წყაროვ, მარდო წყაროვ, თამაშობით მომდინარო, *კორდი*, ველი და ნახნავი ვინძლო კარგად გაახარო!“ (ი. გოგებ.). მეც ჩამოვჯექ ერთ *კორდზე*, მაგრამ სინესტე ვიგრძენ და ჭიანჭველაც დამეხვია (ვ. ბარნ.).

აგრეთვე: (ჯავახ. ბერ., ზედგ., აჭარ. ნიჟ., ჩვენ. ფუტკ., ზ.-იმერ. ძოწ., გურ. ჯაჯ.).

1. ძვ. ქართ. \*კორდ-: ქართ. კორდ-; ჭან კორდ. მართალია პირობითად მაგრამ მაინც აღდგება ქართულ-ზანური ერთიანობის დონეზე (კლიმოვი, 1964, 114).

2. **კორდი** (სომხ.) კორდ „მაგარი, „დაუმუშავებელი“, „მოუხნავი“, „გაუნაყოფიერებელი“, „ველური“ (გიგინეიშვილი 2016).

ახ. ქართ. ტერმ. **II. კორდი** [ფრანგ. Corde თოკი]. ბამბის ან ხელოვნური ბოჭკოს ნაგრები ძაფი ძალიან მაგარი – მ. ჭაბ. შდრ. **კორდა**, – გრძელი თოკი, რომელსაც იყენებენ საჯდომი და ჩორთიანი ცხენების წრიულ ჯირითში ვარჯიშის დროს.

ძალი დააწვინეთ, კორდა გაშალებთ, საყელურზე ჩააბით... აკრიფეთ *კორდის* ნაწილი, როცა ძალი გაგისწორდებათ (ნადირ.).

საშ. ქართ. **III. კორდი** მახვილი (შდრ. корд) (ალექსანდრ. დართული ლექსიკონი).

ახ. ქართ. **კორდი** ცეცხლსასროლი იარაღი. *კორდის* ორფეხიდან სროლაც შეიძლება და საგრძნობლად ზრდის ოცეულის ცეცხლის ძალას (თბილისის ფორუმი).

### კოტორ-ი:

ძვ. ქართ. **I. კოტორი** ლუკმა; ნატეხი, «ნამუსრევი»; ნახევი: „ამან კოტორისა პურისათჳს განსცეს კაცი“ O, – „ესევეითარნი ნამუსრევისათჳს პურისა მისცემს კაცსა“ (pb, იგ. სოლ. 28, 21). „ვერ გამოხვდე მიერ, ვიდრე

არა მისცე დანგისა კოტორი“ (მთ. 5, 26). „არარად ემოსა, გარნა კოტორი ძა-  
ძისაჲ“ (ბალ. 85, 19).

ახ. ქართ., დიალექტ. 1. **კოტორი** „პურის მონატეხი“ (საბა). || კვერი. ჩემი შრომა ვედარ იძლეოდა ვერც პურს არსებობისას, დღიურად საკმა-  
რისს, შავი პურის *კოტორს* გაუცრელს, ბზეზედ დაზელილს (ვ. ბარნ.).  
2. (იმერ.) ხის მრგვალი ნამორი.

დიალექტ. აგრეთვე: (თუშ. ხუბ., ბოჭ., ცოც., ხევს. ჭინჭ.).

დიალექტ. **კოტორი** ნატეხი, ყუა (პურისა, ყველისა...) ნაგლეჯი (ნის-  
ლისა, ღრუბლისა). ვინც აიკიდა გოდორი, იმან შეჭამა *კოტორი* (ანდაზა,  
ხევს. ჭინჭ.).

**ნისლის კოტორი** გად. ნისლის ხროვა. ცრიატი ნისლის კოტორი ხან  
წინ გადაუდგებოდა, ხან გვერდით მოუდგებოდა (გ. ლეონ.). ამხანიგი მყავ  
ბურდული, *კოტორ* დაქანავს ნისლისა. – ფხიტუს მაღალო, გადამიშვი,  
ნისლის *კოტორო*, გადამრიდე! (ხევს. პოეზ. 746, 12) – ალ. ჭინჭ.

2. **კოტორი** 1. ზომების მიხედვით დაჭრილი ხე, მორი. – ეზოში *კოტ-  
რები* ეყარა (სვერი); *კოტრები* მოუტანია გოგიას (მერჯვევი); კოტორი დასა-  
ხერხათ გამოსაყენებელი ხეა (პერევი); ხეს დავჭრით ზომეფში, – დავკოტ-  
რამთ. ზოგი ხე დამპალია, ბოლოიანია, ორ *კოტორს* იქით კაია (ლელვანი  
ზ.-იმერ. ძოწ.) იხ. აგრეთვე: (რაჭ. კობახ., ქვ.-რაჭ. მრეწ. I, 330).

3. **კოტორი** ტარო. „ყანაში ქი მოტეხ *კოტორ*, ზარით მეიტან (იმერ.);  
„კოტორსა აქ კოკოტი, იმა და დავწუავთ, დადა საქონელ შევჭმევთ“ (იმერ.,  
ჩვენ. ფუტკ). არა, არ აქ სიმინდ *კოტორი* (იმერხ. ფაღ., ცინც.).

4. დიალექტ. კოტორი პატარა მამული (მთ. კაიშ.).

ფ. ერთელიშვილის ვარაუდით კორტნის ნამყო დროის მიმდებარე  
მნიშვნელობის ფუძეა (ერთელიშვილი 1970, 233). ჰრ. აჭარაიანი ქართულ-  
ში არსებულ კოტორს სომხურიდან შემოსულად მიიჩნევს და მას ინდოევ-  
როპულ შესატყვისებს უძებნის. ალ. ჭინჭარაულის მიხედვით თუ სწორია  
კოტრ-ძირის სომხური (და არა სპარსული) გზით წარმომავლობა, იგი ქარ-  
თულს ძალიან ადრე შეუთვისებია, რადგან ჯერ კიდევ კოტორი ბიბლია-  
შია დადასტურებული (ჭინჭარაული 1997, 66).

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **II. კოტორი** 1. ძვ. „ყურდგლის მართვი“  
(საბა), – ბაჭია, ბაცაცა. 2. ახალდაბადებული (ბავშვი); ცხოველის ნაშიერი  
(პატარა). მიმართა გამჩენს ჩვენმა ჩოჩორმა და მოახსენა ასე *კოტორმა*  
(რ. ერისთ.).

**კოტორი** 1. ბაჭია || გადატ. პატარა ბიჭი ან მოზვერი. „კაი *კოტორი*  
ყოლია“ (=კაი ბიჭუნა ჰყოლია). „კაი *კოტრები* ეზდება, მალე ხარები გა-  
ხთებიენ“ (იმერ. გაჩ.).

ზან. **კოტორი** ბაჭია; 2. ნისლის კოტორი, ქულა, ფუმფულა, პირი-  
მზისებრ ნახეთქი საყავრე მორი (მეგრ. ქობ.). შდრ. **კოტოლი** პატარა, ცო-  
ტად (მეგრ. ქობ.).

ახ. ქართ., დიალექტ. **III. კოტორი** იგივეა, რაც კოტრი. სასამართლო-შიც აღარ მიესვლებოდა ქუციკოს. ხარაზი *კოტორი* აღმოჩნდა (ბ. ჩხ.).

**კოტორი** ფულის მხარჯველი; მფლანგველი, ფლანგვის შედეგად გაღარიბებული. „კაი *კოტორი* ხარ შენც, მასე თუ ქენი, მიდღემჩი არ გექნება ფული“ (საჩინ. შარაშ.). შდრ. I. კოტრი.

### კოტრ-ი:

საშ., ახ. ქართ. **I. კოტრი** ვალის გადახდის უნარდაკარგული, – ვალ აუვალი გაკოტრებული, ბანკროტი. *კოტრად* იწოდებიან იგინი, რომელთაც არა ძალ-უმსთ სრულიად ვალისა თვისისა (სამ. ბატ. დავ. 176, ქვ. 4). *კოტრისა* საქონლისა აღწერასა დაესწრნან მუნ: მდივანბეგნი ორნი, ანუ ბჭე: მოურავი და ნა[ვ]ცვალი (სამ. ბატ. დავ. 177, 15).

ახ. ქართ. კოტრი ან ვალი უნდა გადაეხადათ, ან სახელმწიფო *კოტრად* გამოეცხადებინათ [საფრანგეთის მთავრობის წევრებს] (ი. მაჭავ. თარგმ.). || ვისაც მთელი ქონება დაეკარგა, – გადატაკებული. [ზაქარიას] წინ მოუძღვა ჩვენი *კოტრი* აზნაური ზურაბი (ვაჟა). || ფიგურ. გილოცავთ ახალ წელიწადს, ძველისთვის არა მცალიან: სიკეთეს ვერას შეგვყარა და *კოტრიც* იყო ძალიან! (რ. ერისთ.) (შდრ. ფრანგ. *koter* (ფინან.) კოტირება ან სავალუტო კურსი).

დასტურდება ამავე სიტყვის ფონეტიკური ვარიანტი **კუტრი**: ოდეს *კუტრად* აღმოჩნდეს კაცი, მაშინ მიეცეს მისთვის განცხადება მრთელსა სამეფოსა და მოიკითხონ, ის რა მართებს მისი ანუ იგი ვისდა არს მოვალე (სამ. ბატ. დავ. 177, 21). ჰრ. აჭარიანი **კოტრი** ფორმას უკავშირებს ძველ ქართულ **კოტორს** „ნატეხი (პურისა), „ლუკმა“, „ნაფლეთი“, რომელიც, თავის მხრივ, სომხურიდან ნასესხებად მიაჩნია (აჭარიანი 1973, 643). ბ. გიგინეიშვილის აზრით დაკავშირებაა არაა გამორიცხული, ოღონდ სიძნელეს ის ქმნის, რომ ქართულში მნიშვნელობის ევოლუცია არაა დადასტურებული (გიგინეიშვილი 2016).

დიალექტ. **II. კოტრი** იხ. I. კოტორი. მოვათრიე *კოტრი* (შომახეთი) (ზ.-იმერ. ძოწ.; რაჭ. კობახ).

### კოწოლ-ი:

ძვ., საშ., ახ. ქართ. **I. კოწოლი** «ნათხზენი», «თხზული თმათა», ნაწნავი: „უკუეთუ დაქსოვო შვდი ესე კოწოლი თავისა ჩემისაჲ საგუასალსა თანა“ M, – „უკუეთუ დაქსოო შვდი ნათხზენი თავისა ჩემისაჲ საგუასალსა თანა“ (მსჯ. 16, 13). „დაჰყვნა შვდივე იგი კოწოლი თავისაჲ“ M, – „დაჰყვნა შვდნი ნათხზენნი თავისა მისისანი“ (G, მსჯ. 16, 19). „კოწოლნი მისნი ვითარცა ხჭჷ დანაკის-კუდისაჲ“ O, – „თხზული თმათა მისთაჲ ვითარცა ჭედილი, შავ ვითარცა ყორანი“ (M, ქება 5, 11).



სადა არს თხემის დალაღა, ბეჭთ საშუალოთა *კოწოლნი*? (არჩ. 494, 322, 1). თმა *კოწოლს* გველებერ გრაგვნით შეუეშხავს მიჯნურთ წყლული (ა. ჭავჭ.). გარდმოუტევებენ შეგრეხილს თმასა *კოწოლთა* ყელსა ზედა (კალმას. 555, ქვ. 3).

საბასთან ეს სიტყვა გვხვდება -ებ სუფიქსიან მრავლობითში ფუძე-შეკუმშული სახით კოწლები. შესაძლოა, სიტყვა ნახური ჯგუფის ენებიდან იყოს შემოსული ქართულში. შდრ. ბაცბური კოწოლ, ჩაჩნ.-ინგუშური (გელენიძე 1974, 16).

ახ. ქართ., დიალექტ. **II. კოწოლი** 1. (ფშ.) კორიანტელი. და რომ გადუხტა [ძალი ტურას], მტვერისა *კოწოლი* დააყენაო, – ამ დროს ეკლიან ჩირგვებში ტურამ შორს ჩაახველაო (ბაჩ.). 2. (ლექხ.) ცეცხლის ალი; შემავება (მ. ალაგ.); აღნაკრავი. «კეცი რო შვა ცეცხლში ჩაგიდგამს, ჭადს სულ *კოწოლი* გასჩენია» (მ. ალაგ.).

**კოწოლი** ცეცხლის ალი. ნაფწკიალებს რომ ისვრის – ნაპერწკლებიანი ალი (რაჭ. კობახ.). **კოწოლი** კვამლი, ოხშივარი. თან მაზდევს ნისლის *კოწოლი*, შამაბნელა ჯეგია (ხალხ., გარბანი (მოხ. ქავთ.).

**კოწოლა** კოწლი ფერის მსგავსი, ალისფერ-მოწითალო (საქონლის ფერის აღსანიშნავად ან ასეთი ფერის საქონლის სახელადაც ხმარობენ) (რაჭ. კობახ.).

აღდგენილია ს. ქართვე. ფუძე \*კოწ- (ჩუხუა 2000-2003).

### კობლო:

ძვ. ქართ. **I. კობლო** ლოკოკინა: „კუალად შეუნიერებანი იგი ზღვთ გამომავალნი: *კობლო* და პინაჲ“ (ბ. კეს. სწ. 101, 18). შდრ. **კობლიო** concha. „ლოფოთქიმან, რომელთა ჰრქჳან *კობლიოს*“ (ბ. კეს. – ექუს. დღ. 105, 11). შდრ. **კობლიო** (კობლიოს, კობილოს) **კონხლიო** (მძრომ.) ლოფოთქინი. **კონქილიო** (კონქილიო და კობლიო მსგავსი არს ლოფოთქინისა, რომლისა სისხლით იტყვიან პორფირის შეღებ(ვ)ასა. **კონქუთი** იგივე **კონქ(ი)ლიო** – საბა. **კონხლიო** იგივე **კონქლიო** – საბა. **კობლიო** ეკლოვანსავით რამეა – საბა.

ძვ. ქართ. **II. კობლო** „ორღანოა ძვალთა შემმუსრველი“ (საბა). „შეაგდეს სატანჯველსა მას, რომელსა *კობლო* ეწოდების“ [1er. = 24 35r, 29-3] (ქერქაძე 1974, 193).

### კრინ-ი:

სამ., ახ. ქართ. **I. კრინი** [ბერძ. კრინონ] ბოტან. „შროშანი ყვითელი“ (საბა).

შდრ. ძვ. ქართ. **კრინო** შროშანი. „იგი იყო მოთხზულ გარემოვს ვარდითა და *კრინოითა*, რომელ არს შროშანი“ [A = 199 81r, 12-14b].

ახ. ქართ. **II. კრინი** 1. სიმღერაში – ერთ-ერთი წვრილი ხმა, ზილზე უფრო მაღალი, თქმული ხმის აუწევლადად. შემდეგ გალობის ცოდნამ და *კრინის* ხმამ უშველა [ბერს] (მ. ჯავახ.). **კრინით** ზმნს. მაღალი ხმით, მა-

ღალ ხმაზე. სადღაც ისმოდა... *კრინით* თქმული ზაიათი (ა. ქუთათ.). „*კრინით* ვიტყვით, ბატონო, *კრინით!* – დაამშვიდა [მან] სიმღერის ხსენებით შეფოლოცებული აღმასკომის თავმჯდომარე (კ. ლორთქ.). 2. იგივეა, რაც კრინტი. და მხოლოდ ცალთვალას ვერ ამოაღებინეს *კრინი* (მ. ჯავახ.).

დიალექტ. **კრინი** სუსტი კვნესა, სუსტი ხმიანობა. **კრინავს** სუსტად, მიკნავლებულად ლაპარაკობს (შდრ. ქართლ. კრინცხავს) – ალ. ჭინჭ.

**კრინი** მიღებული ჩანს \*კნინი-საგან („მცირე“, „პატარა“, „წვრილი“) დისიმილაციით: ნ... ნ > რ... ნ (გიგინეიშვილი 2016).

### კრკო:

ახ. ქართ. **I. კრკო** მცენარეა, ზაფრანა (დ. ჩუბ.). შდრ.

შდრ. ძვ. ქართ. **I. კრკონი** ზაფრანი, crocum: „მომიპკურებებს სარეცელი ჩემი კროკონითა“ (ო, ივ. სოლ. 7, 17). κρόκος კროკოსი „ზაფრანა“ საზა. კროკო (ურუშაძე 1980, 219).

საშ. ქართ. **II. კრკო**: მუხის ხე ან ხილი მისი კენკრა (დ. ჩუბ.). მუხის ხულა – საზა. აიღე გომიში *კრკოსა* ოდენი (ფანასკ. 68, 26).

ახ. ქართ. **კრკო** ძვ. 1 იგივეა, რაც რკო. 2. ყურმენი მარცვალმოგრძო და მრგვალი, მოწითაწი-მოშავო და საჭმელად გემრიელი“ (საზა).

1. კრკო, ძველი გაგებით უნდა ჰრქმეოდა ხესაც და მის ნაყოფსაც, ე. ი. მუხას ერქვა კრკო > კრკო > კურკო > გირკო > რკო (შანიძე 1980, 136).

2. ს.-ქართვ. \*გრაკალ- „მუხა“, \*გრაკო || \*გრკო „რკო“ > ქართ. გრაკალი, გრკო: ზან. კურკა < \*გურკალ-, კვ < \*რკუ < \*გრკო (ჩუხუა 2000-2003).

### კუბა:

ძვ. ქართ. **I. კუბა** «ოთხკუთხედი» „შეამტკიცე იგი ვითარცა ლოდსა კუბად“ M. – „შეყოფილ არს მისა ვითარცა ლოდი ოთხკუთხედსა ზედ“ (pb., იობ. 38, 38).

ძვ., საშ. ქართ. **II. კუბა** ფარდა; სასძლო, საქორწილო სახლი; საჩრდილობელი; ტახტრევანი. „სხუად ვინმე კაცი (დგა) გარეგან კართა მათ *კუბი-სათა*“ (H – 341, 84). „განჰზადნეთ სავედარსა ზედა *კუბად* ჩემი და შემსუთ მას შინა“ (Sin – 11, 87v).

მათ ერთად ლხინი კვლავ ნახეს, დგეს სად სანდლისა *კუბანი* (ნ. ციც. 617, 1171, 2).

საშ. ქართ. **III. კუბა** მიწის ბელტი – დ. ჩუბ.

### კუბო:

ძვ. ქართ. **I. კუბო**. იხ. II. კუბა. „ვითარცა პატიოსანი ქალწული უში-ნაგანესად *კუბოდ* შემოივლტოდე აქა“ (მაცხ. 248v).

საშ. ქართ. **კუბო** (არაბ. კუბბაჰ) ტახტრევანი, კიდობანი; გიჭვრეტდი კუბოსა შიგან მჯდომია (ვეფხ. 378, 3). მაშინ უბრძანა ორთა დიდებულ-თწასვლა და შეკაზმა *კუბოსა* აქლემთა ზედა (ამირან. 26, 6). როდამს ზედა ხალასისა ოქროს *კუბო* გადაადგეს (შჰნ. I, 1817, 1) აფრასიობის ქალი ვარ,

*კუბოსა* ვიჯდის ჩრდილითა (შჰნ. II, 4314,1). რათა შეუქმნას *კუბო* ჯუარსა მას (ქ. ცხ. IV, 91, 22). *კუბოსა* ჩასვეს, დაფარეს, მას დაუკლიტეს რაზები (თეიმ. I, 67, 113, 3).

საშ., ახ. ქართ. **II. კუბო** მიცვალებულის ჩასასვენებელი ყუთი. „კუ-ბო! ძეს მოწესე მკუდარი... *კუბოსა* შინა (ქ. ცხ. IV, 370, 20). უკვიროთ, მკვდარი ვერ გაჰყარეს, *კუბოზედან* შემოჰკროდა (თეიმ. I, 91, 227, 4)

ასწიეს *კუბო* და წაიღეს გალობითა და ტირილითა (ილია).

სიტყვა შემოსული ჩანს ლათინურიდან (შდრ. ლათ. Cub-are „დაბანაკება“, „მიწოლით ყოფნა“, მშვიდად წოლა „რბილი ადგილი მისაწოლად“. ლათინურთან დაკავშირება ეკუთვნის იუსტ. აბულაძეს. მაგრამ ვფიქრობთ გასათვალისწინებელია ბერძნული *kybos* „კუბური ფორმის სხეული“, „კამათელი“, რამდენადაც ამოსავალი თუ არა, ერთ-ერთი მნიშვნელობა არის „კუბური ფორმა“ (გიგინეიშვილი 2016).

საშ. ქართ. **II. კუბო:** (თ.-ოსმ.) ხორცმეტი გაუხეთქა *კუბო* ფარისა და განავლო მჭარსა შიგან (ბ. ეგნატ. 707,1 8). ფარის *კუბოს* შუბი მიკრა (არჩ. 327, 693, 4).

დარაკა ყელსა მეკიდა, *კუბო* ყალმაგი გესრული (შჰნ. I, 1509, 4).

**კუბო ყალმაგი** (თურქ. კუბო ყალმაგი) ჯავშანი, ხვაფთანი, ჯაჭვი საკურტაკე. აქედან: თ. -ოსმ. **კუბო ყალმაგი**, ჯავშანი.

**კურტან-ი:**

საშ., ახ. ქართ. **I. კურტანი** 1. „სატვირთავი მაღალი, პალანი“ (საბა), – ტვირთის საზიდავი კეხი (სახედრისა). ვირის ზურგს ვირის *კურტანი* მოუხდებო (ანდაზა). 2. საზურგული – ადამიანის მიერ ზურგით ტვირთის საზიდავად. ერთხანს *კურტანიც* ეკიდა [ბოჩს]. ხან რიონზე სვანეთიდან ტივებს აცურებდა (რ. გვეტ.). **კურტნის მუშა** ძვ. საზურგულით ტვირთვის მზიდავი მუშა. იხ. აგრეთვე: (გურ. ჟღ., ჯაჯ., აჭარ. ნოლ. VII, 34.).

შდრ. ძვ. ქართ. **I. პალარ-კურტამი:** მივეციოთ ერთი ჯორი *პალარ-კურტამითა* (საბუთ. 1: 21).

ძვ., საშ., ახ. ქართ. **პალან-კურდანი:** „შეკაზმული მოვაქსენე სამოცდათხუთმეტი დუკატი, ერთი პალან-*კურდანი*თა შეკაზმული დიდად კ(ა)რგი ჯორი“ (საბუთ. 27: 27). უნაგირი, *კურდანი* და ყოველი შეურაცხი სამსახურებელი თუალითა და მარგალიტითა... განტენიან (ქ. ცხ. II, 233, 7).

ახ. ქართ., დიალექტ. **II. კურტანი** (ქართლ.) ორი ფიცარი სახურავის წვერზე (კრამიტების თავის დასაფარავად) – ქეგლ.

დიალექტ. კურტანი 1. სახლის სახურავის ფერდების შეერთების ადგილი, ღარიან კრამიტით დახურული. სახურავს რო დაჰკუთხამ, ორ კუთხეს რო შეჰკრამ, იმ შეკრულზე საკურტნე კრამიტს დააფარეფ, ეგ არი *კურტანი* (კარალ.). ეხლა ამ სახლსა ოთხი *კურტანი* აქს, ზოგს მეტი აქს, ზოგის – ნაკლები (კარ.). აგრეთვე ატ., ბაზ., დ. თონ. 2. იგივეა, რაც **კურ-**

**ტნის კრამიტი.** *კურტანი* მორკალული კრამიტია; სახლის შუაში ყველაზე მაღალ ადგილას რჩება ხანი; აქ უკეთეფთ *კურტანს* (სამთ.). დათვლა უნდა, რამდენი ცალი *კურტანი* ეჭირება (ძეგ.). **კურტნის კრამიტი** ღარისებური კრამიტი, თავვიწრო და ბოლოგანიერი. *კურტნის კრამიტი* სხვანაირია, დასახური – სხვანაირი (ქართლ. ლექსიკ.).

გაუთლიდი საშენ ქვას პირს და გაუკეთებდით უკან *კურტანს* (ქვ. იმ. მრეწვ. I, 309). **კურტანი** გარეთა კუთხის თავი ქვით ნაშენებ კედელში (მოხ. ქავთ.).

**კურტანი:** სახლის სახურავზე კუთხეებში დაცემენტებული ადგილი, რომ წვიმის წვეთები არ ჩავიდეს (ვ. სომხ.).

„კურტანი“ – ქვის კედელი მდინარის კლდოვან ნაპირზე (სვან. ლიპარტ.).

**კურტამი** (რაჭ.) ხის (ან) ქვის) ნაგებობა მდინარის ნაპირზე – ხიდის დირეების დასყრდნობი – ქეგლ.

**კურტამ** – ხიდის საყრდენი ხის ჯარგვალი; ქვით ამოვსებული. კურტამი ფიცრის შემკრავი ზან. (ლაზ. თანდ.). შდრ. ყურწამი ხიდის ბურჯი. „ყურწამების გაკეთებას შჭირდება დრო, თორე მემრ, ჳიდის გადებას ერთ დღეიც არ უნდ (თუშ. ცოც.).

შესაძლებლად მიგვაჩნია, რომ კურტანი < კურტამი; კურტამი კი წარმომავლობით იგივეა, რავ ძველსავე ქართულში დადატურებული კურტიმალი „ზღურბლი“. შდრ. კურტიმლები, კურტამები, კურტი „კარის კამარები“ – საბა.

დიალექტ. **III. კურტანი** ჩვარი, ძველი ტილო, ძველმანი ახლა შეხუვა კურტნებში (ინგილ. იმნ. 196, 14, ღამბ.). შდრ. (თურქ.) კორტუმ

### კურტუმ-ი:

საშ. ქართ. **I. კურტუმი** «ფრინვლის გავა» (საბა). ბექ-მკერდი, კუზი და *კურტუმი* გაქვს უკუღმართი (ბეს. 98, 6).

ახ. ქართ. **კურტუმი** ფრინვლის სხეულის სულ ბოლო, ცხიმოვანი ნაწილი. ქათმის კურტუმი. – [იხვს] გამოუჩნდებოდა წყლიდან მარტო *კურტუმი* და წითელი ფეხები (ი. გოგებ.). [კაჭკაჭს] *კურტუმს* უკან ზურგი სულ უჩანდა და გაწიწკნილსლა ჳგავდა (თ. რაზიკ.). || მწერის ზურგის ბოლო. დედალი კალია თავის *კურტუმით*, რომელზედაც ნემსივით ოთხი წვეტი აბია, პატარა ორმოსა თხრის (ი. გოგებ.). ◊ კვერცხის *კურტუმი*-კუთხ. (ქართლ. კახ.) კვერცხის ფართო ბოლო, კვერცხის ძირი.

ს. ქართვ. \*კურტუმ-კურტუმო ხათ. kut ღვიძლი (ჩუხუა 2017).

საშ. ქართ. **II. კურტუმი** / კორტუმი არს ქურქუმისა თესლი (ფანასკ. 419, 10). აჭამე სახურეტელი, რომელი იქმნების *კორტუმითა* (ფანასკ. 234, 30).

**III. კურტუმები** ხიდის დასაყრდენი თავები მოპირდაპირე ბოლოზე (მოხ. ქავთ.). ქვის კედელი მდინარის კლდოვან ნაპირზე (ლექხ. ალაგ.). იხ. II. კურტანი.

**კურცხალ-ი:**

ახ. ქართ., დიალექტ. **I. კურცხალი, კურცხალა** ორი წლის უხნავი მიწა. შდრ. **კრცხალი** ორ წელ უთესველი ნარბილი (საბა).

ჩიტე ეკალს შეეხიზნა და ტოროლა –*კურცხალსაო* (ანდაზა). **კურცხალი** მოხნული, დასვენებული მიწა, რომელზედაც რამდენიმე წელიწადი არაფერი დათესილა (ჯავახ. მარტირ.). კურცხალი ყანაში მოუხნავად დარჩენილი ადგილი, გუთანი რომ ვერ მიუდგება და ვერ გამოხნავს (კავით ჩაახნავენ ხოლმე) (ჯავახ. ზედგ.).

აღდგენილია ს.-ქართვ. ფუძე \*კურცხ- „ბელვა, თიბვა“ (ჩუხუა 2000-2003).

ახ. ქართ. **II. კურცხალი** მსხვილი ცრემლი. ბავშვს. თბილი *კურცხალით* ლოყა ეწვება (გ. ლეონ.). [გვადიმ] იმდენი იცინა სანამ თვალებიდან *კურცხალი* არ გადმოყარა (ლ. ქიაჩ.). [არსენა] მიტრიალდა და ლოყებზე რამდენიმე *კურცხალი* ჩამოუცურდა (მ. ჯავახ.). | მსხვილი წვეთი (ცრემლისა). ესმას საცოდაობის შემხედვარემ ცრემლის *კურცხლები* გადმოყარა თვალებიდან (გ. წერეთ.). შდრ. კურცხლი ძვ. კუნცხი, მწარე ცრემლი (საბა).

ნ. მარის აზრით, კურცხალი აგებულით რთული სიტყვაა და წარმოდგება ორი კომპონენტის შეერთებისაგან: ყურ „თვალი“ + ცხალი (< წყალი) „წყალი“ (მარი, II, 1936; 102; 362). ნ. მარისეული დაშლა და გაზიარება მისაღებად მიაჩნია ბ. გიგინეიშვილს, მისი აზრით \*ყურ-წყალი ჯერ \*ყურ-ცხალად შეიძლება ქცეულიყო, ხოლო მომდევნო დისიმილაციის შედეგად (ყ -ბ > კ-ბ) (გიგინეიშვილი 2016).

**კუბ-ი:**

ძვ., საშ., ახ. ქართ. დიალექტ. **I. კუბი** – თათართა ენაა, ჟამთა ვითარებით შემოუღიათ, ქართულად საპყარია – საბა.

**კუბი** დავრდომილი: „ღირს ვიქმენ მე, უღირსი და ცოდვილი საბა კუბი, დაწერად ჰელითა ჩემითა წმიდასა და ჭემმარტისა წიგნსა გამოცხადებისასა“ [H=1346 208r]. ფერხზედ დგომა არ შემეძლო, *კუბი* ვიყავ (სამ. VIII, 752, ქვ. 13).

არამედ ამან პაატამ (რომელსა უკმობდნენ წუწკად უძღურებისათვის რამეთუ იყო კუბი) უმეტესად შთაუდვა ლევანს მტერობა გიორგი მეფისა (ქ. ცხ. IV, 726, 1). უტყვს ენას ძღვნიდა, ყრუს – სმენას, კუტს-საპყარს – სლვას შვენიერსო (დ. გურამ. 75, 94, 3).

დიალექტ. **კუბი** დავრდომილი, საპყარი. „ჩემ ძმას *კუბი* ქალი ყავდა, წელში მოკაკული“ (სტ., ჩვენ. ფუტკ.).

ახ. ქართ. **კუბი** ადამიანი, რომელსაც ფეხები არ ემორჩილება, სიარული არ შეუძლია, – საპყარი. [კატო] *კუბივით* იჯდა ერთ ალაგას (ნ. ლომ.). უღრუბლო სადამო შემოდგომისა კუტსაც კი ფეხს აადგმევინებდა და გარეთ გამოახედებდა (ილია).

სიტყვა კუტი ხშირად დასტურდება სხვადასხვა სინტაგმებში. მაგ.:

**კუტი:** ხალხი „კუტ ლობიოს“ ისეთ ჯიშთა ჯგუფს უწოდებს, რომელიც მხვიარა არ არის და პატარა ბუჩქის მსგავსად იზრდება (ჯავახიშვილი V, 1986, 57, ზ.-იმერ. მოწ., ჩვენ. ფუტკ., ზ.-აჭარ. კობერ.).

**კუტი ჯაგი** დაბალი, განზე გასული ჯაგი. რო არ იზრდება, დაბალი ხეები რო არი, *კუტი ჯაგი* ჰქვია იმას (ატ., ქართლ. ლექსიკ.).

**კუტი ბალახი** ბალახი ერთგვარი; ხმარობენ წამლად ფადარათის დროს. *კუტ ბალახს* დაბალი და თეთრი ყვავილი აქ, მოსაჭრელი წამლია (ქვ. ჭ., ქართლ. ლექსიკ.).

**კუტი მატყლი** მოკლებუწვიანი მატყლი. მოკლე მატყლია, ვერა ვწეწამთ ხომე *კუტ მატყლსა*; რო გადასაყრელი იყვეს, ეგრეთიც არ არი; სამუთაქე მატყლია. ნაცვეთ მატყლსაც ეძახიან *კუტ მატყლსა*, მოკლე ბეწვები რო აქ (ატ., ქართლ. ლექსიკ.).

**კუტი ქვაბი** პატარა, უყურო ქვაბი (ჯავახ. მარტ.).

**კუტი ლამბა** იდარე ლამბა. კუტი ლამბაი ჭრაქია ლამბა. ბუხარში შევდგემდით *კუტი ლამბას* და იქიდამ გვინათებდა“ (ად., ჩვენ. ფუტკ.).

**კუტი ქვა** გლუვი, უნაპირებო ქვა (მდინარისა) ერთ საკირესა ათი ურემი თალის ქვა, ოცდაათი ურემი *კუტი ქვა* უნდა (მეჯვრ., ქართლ. ლექსიკ.).

ძვ. ქართ. **II. კუტი** – იდვა ზედა კერძო კარაულისა *კუტი* სიმინდოდა აღილო და შეტყოცა გლახაკსა მას ... ხოლო მან აღიტაცა და მიიქცა მოყუასთა თანა და ჰრქუა თვთ ველითა მისითა მოვიღე პური ესე [A= 199 39v, 3-9a].

**კუტი პური.** რომე თორნეშიგა ჩავარდეს და გამოცხვეს ნაცრის ძალი შიგ დარჩების (კარაბ. 435, 14).

ახ. ქართ. *კუტი* თონეში ჩავარდნილი (და ნაკვერცხლებზე გამოცხვეარი) პური. ვინ დასდევს ბებრის ქორწილში *კუტსა* და ქერის ლავასაო (ხალხ.). [მირონას] ვანო *კუტსაც* არ გადაუგდებდა ნახშირ-ნალვერდლიანს (ვ. ბარნ.)... მეზობლიანთასაც არ უდევთ, რომ ისესხო ორიოდ *კუტი* მაინც (ა. ერ. -ხოშტ.).

**კუტი** დახალვისას გაუშლელად (დაუბატავად) დარჩენილი სიმინდი. მე რო სიმინდი დავახალე, ერთი ცალი არ დაბატდება, სუ უნდა *კუტათ* იქცეოდ (წილკ.); ჩვენ სუ ჩვეულებრივ სიმინდსა ვხლიდით, ათასში ერთი თუ დარჩებოდა *კუტათა* (მეგ. ქართლ. ლექსიკ.).

პური თუ ჩაუვარდათ თონეში, კუტი ეწოდება (ქიზ. მრეწ. III, II, 10). კუტი ჩავარდნილი პური (ქართლ. მტკვ. ჩრ. III, II, 124).

ახ. ქართ. **III. კუტი** ტექ. საცემი მექანიზმის დეტალი. ორთქლის უროს კუტი – ურნალის კუტი.

**კუტალ-ი:**

ძვ. ქართ. **I. კუტალი** || **კუტალაი** (ბერძნ.) სასმისი: „(მივსცენ) სხუად ბროლისა წყლის სასუმელი, პირ-ცხავი *კუტალი* ერთი“ (პეტრ. 34, 6). „*კუტალი* ოქროდსად, სავსე სასუმლითა რადთმე ტკბილითა ვითარცა თაფლითა“ (მარკ. 251r). „იოვანე გაცუეთილმან *კუტალადთა* ღვინოდ მომართუა“ (პარხლ. მრავალთ. 611v, 30-31a).

საშ. ქართ. **კუტალი** (ბერძნ.) ხის ციცხვი; ან ბადის სარწყავთა ჩარხთა გარშემო მოკრული თიხის ქილა – დ. ჩუბ. თუ ჯამი შესტყორცნო, კუტალსა შემოგტყორცებს (ვისრ. 264, 16). ერთად *კუტლად* ფუკისად გაყდიან (ქ. ცხ. II, 128, 13). ჩაყარენ *კუტალსა* და ჩადევ ყუერბთა მჭედელთასა ანუ თორნესა... (ფანასკ. 355, 17).

ახ. ქართ. **კუტალი** 1. ხის კუმკუმა (საბა), – ხის ჭურჭელი ტუჩიანი წყლისთვის, ხის სარწყული. ტყის მასალისგანვე კეთდება... *კუტალი* (ი. გოგებ.). [სანდალა] წამოდგება... და მოიწაფებს *კუტლით* წყალს (ს. მგალოზ.). 2. ძვ. პატარა ქოთანნი, – კოჭობი. ღრიანკალი ახალსა კუტალსა შიგან ჩააგდონ და ვეცხლსა შემოსდვან («წიგნი სააქიმოდ»). 3. (ქიზ.) საცობი ვიწროპირიანი ჭურჭლისათვის, – პირსაცავი. «კოხტად და მაგრად შეგრეხილი კავი ქალისა» (ს. მენტ.).

კუტალის ფონეტიკურად ცვლილი ფორმები კი უნდა იყოს: **კუნტალი** „თუნგის მსგავსი ხის ჭურჭელი“. გოგო, მათხოვე **კუნტალი**, ამოვიღო და ვსვა წყალი (ზედუბანი, ზ.-იმერ. ძოწ.).

**კუტუ, ყუტუ** თ. ლაგინა (ლაგინას გურიაში პატარა საწყლე დოქს ეძახიან თუჯისას (შან.). **კუტოი** თუჯის პატარა თუნგი ძუძუთი. კუტოებ ქისტეთითა მოგვექონდის (თუშ. ცოც.).

აღდგენილია, ს.-ქართვ. \*კუტ- „ჭურჭელი, სასმისი“ (ჩუხუა 2000-2003).

დიალექტ. **II. კუტალი** 1. მჭიდრომარცვლიანი, კუმსი მტევანი. *კუტალი* მტევანი არ მიყვარს ყურძნისაი (კავთ.). 2. მსუქანი, მკვრივი (ბავშვი). *კუტალი* ბამშვი ძნელათ გახდება ავათა (კავთ. ქართლ. მესხ.). კუტალი მტევანი. **კუტალი** მტევანი შაკრული მტევანი, ძიელ შაკრული, როგორც კუტალი“ (ქართლ., ასათ.). შდრ. I. კუტი.

დიალექტ. **III. კუტალი** მაყვალი. მაყვლის ერთ-ერთი სახე, ტყეში იზრდება, ისხამს მოგრძო ნაყოფს, მიწაზეა გართხმული. შვინდი, ზღმარტლი, ასკილი, ჟოლი, კუტალი მაყვალი ხომ ყველგან არის (ბ. „ნაკ. ქთ“. რაზიკ., ქემიკ.). იხ. I. კუტი. შდრ. IV. ◊ კუტალი კავი კუთხ. (ქიზ.)

**კუფხალ-ი:**

ძვ. ქართ. **I. კუფხალი** «მარცვალი»: „არცა *კუფხალნი* ვენაჯისა შენი-სანი შეჰკრიბნე“, G, – „არცაღა მარცვალი ვენაჯსა შენსა აღკრიბოთ“ (pb., ლევიტ. 19, 10). „რომელი (შეჰკრიბნ) კუფხალსა სთულეგასა შინა“

(O, მიქია, 7, 1). იხ. აგრეთვე: მეკუფხლე, მოკუფხლვა, მოსაკუფხლველი, საკუფხებელი.

**კუფხალი** მტევანი: „აღმოხაზეს უკუე მწულილი კერძობითითა და შრომისმოყუარებითითა ჯელოვნებითა თითოეული ფერჯთაჲ, სუროსა და ვენაჯთა რტოებსა *კუფხალთა* თანა აღმომაცენებელთა“ (ფლავ. 12: 2, 9).

დაბადების თარგმანიდან ირკვევა, რომ ძველად ეს ტერმინი მარტო ყურძნის მტევნის რამდენიმე მარცვლიანი რტოს, ანუ ბურძღენის აღსანიშნავად კი არ იხმარებოდა, არამედ ზეთისხილისთვისაც ამავე ტერმინს ხმარობდნენ. „ვითარცა კუფხალნი მომსთულებელისა ზეთისხილისანი ორნი, ანუ სამნი მწურვალსა ზედა ზენა კიდესა, ანუ ოთხნი, ანუ ხუთნი რტოთა ზედა მისთა დაშთომილნი ზენა კიდეთა“-ო. ამ წინადადებითგანც ჩანს, რომ კუფხალი აქ ყურძნის მტევანის კი არა, არამედ ზეთისხილის კუთვნილებასა ჰნიშნავს (ჯავახიშვილი V, 1986, 318).

საშ., ახ. ქართ. **კუფხალი** „მტევნის რტო“ (საბა).

მტევნის რტო, რომელზედაც ორი, სამი კიმჰალია. მტევანს ბურძღენებზე ორ-ორი, ზოგჯერ სამი მარცვალი ასხია ხოლომე, ასეთ რამდენიმე მარცვლის შემცველ ბურძღენსაც თავისი სახელი ჰქონდა და *კუფხალი* ეწოდებოდა და ეწოდება ახლაც (ივ. ჯავახ.). [გულნაზს] ყურძნის მტევნიდან დაენანა *კუფხლის* აგლეჯაც (ვ. ბარნ).

დიალექტ. დასტურდება ფონეტიკური ვარიანტები. **კუფხალი, კუფხალა, კოფხალი, კუმფხალი, კუმხალი** (ლ. ასათ.).

არნ. ჩიქობავას აზრით „კუმხ იგივე კუფხ – არის; ამ უკანასკნელში „ფ“-მ-საგან უნდა იყოს მიღებული ხ-ს მეზობლობაში (ჩიქობავა 1938, 134).

საერთოქართულისათვის აღდგენილია \*კუფხ-ძირი (ფენრიხი, სარჯველაძე 2000).

საშ. ქართ. **II. კუფხალი** ძვ. „კალათი, ხახალი“ (დ. ჩუბ.). შდრ. ლათ. - ბერძნ. cophhinus კალათა.



## ლ

### ლაბ-ი:

საშ., ახ., ქართ., დიალექტ. ქართ. **I. ლაბი ბაზრაცატუნისა:** ლაბი ბაზრაცატუნი ამას ქუიან, რომე ბაზრაცატუნი ცოტათი წყლითა მოხარშონ (ფანასკ. 102, 1-2).

**ლაბი** საჭმლის (ლობიოს, ბრინჯის, ტყემლის და მისთანათა) ხარშვის შედეგად წარმოქმნილი შედედებული სქელი მასა, ლაბი გეიკეთა ლობიომ (ტაბაკინი). ზოგი ტყემალია, ლაბი არ იცის, არ შეიკვრება, წყალი ცალკე წავა და ტყემალი ცალკე (იქვე, ზ.-იმერ. ძოწ.).

**ლაბი** გარო. გალაბვა წვნიანი ან ფაფისებური სითხის (საჭამადის) ზედაპირის შესქელება, თავზე თხელი აპკის გაკეთება, გაროს მოყენება (იმერ. ქავთ. III).

**ლაბი** (გურ.) ნაღები (რძისა) – ქეგლ.

**ლაბი** თხელი ფენა, რომელსაც მოიგდებს მოხარშული ლობიო (ფაფა და მისთ.).

ბრინჯის **ლაბი**, როგორც ნაღები ზან. (ლაზ. თანდ.). იხ. I. ლაბა

საშ. ქართ. **II. ლაბი** (ხე) ხიჩატელი ერთი (ნ. ჩუბ.). იხ. II. ლაბა

საშ. ქართ. **III. ლაბი** (არაბ.) გული ხისა ან კაკლის (დ. ჩუბ.). იხ. II. ლაბა.

**IV. ლაბი, ლამბი** თასმა, ბაწარი. იგ ლაბები ზუჩის შესწყდათ, ერთმანერთსა ჯაჭვსა ზიდეს (შჰნ. III, 845, 3). ვფიქრობთ, რომ **ლაბი** < **ლამბი**; ლამბი შესაძლოა ნასესხები იყოს ახალი სომხურიდან (შდრ. (სომხ.) lambak „მარყუქი“: – ak ელემენტი სომხურში აფიქსით სიტყვა შემოსულია lamb ფორმით (გიგინეიშვილი 2016).

დიალექტ. **V. ლაბი:** ბიჭების თამაშობა; ბრტყელი კენჭების მიზანში სროლა (მესხ. მაისურ.). შდრ. (ლათ.) **ლაპის** ქვა.

### ლაბა:

საშ. ქართ. **I. ლაბა** მოსქე(დ) იწვდებოდეს – საბა. **ლაბა** ექსტრატი, წვენი და მისი ლაბა გამოვიდოთ, და იისა ზეთი ჩაურთოთ (ფანასკ. 392, 34). მუდამ სელის ლაბა შემოსდევ (კარაბ., 365, 22).

შდრ. წვენი ლოაბი ნახარში (კარაბ. 65, 2). დანაყენ წამალნი, ხმელი დაალბე, რომელთა ლოაბთა გამოლება ხამს ვითა ბიის კურკა (კარაბ. 65, 1).

ახ. ქართ. **ლაბა** 1. ქიმ. სქელი, ფაფისებური მასა. ერთ-ერთ ცდაში მოცემულია სილიციუმის ლაბის მიღება («სახალხო განათლ.»). ◊ მგრგვინავი ლაბა ერთგვარი ასაფეთქებელი მასალა აფეთქებისათვის და დინამიტის დასამზადებლად. 2. კულინ. საჭმელი – გაცივებით შესქელებული ხორცის (ან თევზის) ნახარში, რომელშიც არის ხორცის (თევზის) ნაჭრები (შდრ. ლაბი). დიდება ლაბასა წვენისა შენისა! (გ. ლეონ.).

დიალექტ. **ლაზა** გარო. გალაზვა. წვნიანი ან ფაფისებური სითხის (საჭამადის) ზედაპირის შესქელება, თავზე თხელი აპკის გაკეთება, გაროს მოყენება (იმერ. ქავთ. III). ბალს გამობურკავ, ადუღებ შექერწყალში, თან ლაზას (ქაფს) მოხდი (ზ.-აჭარ. კობ. 143).

**ლაზა**: კირს (ქვიშასა და ცემენტს) რომ აურევენ, მანამდე ზელენ ნიჩბებით, სანამ ზემოდან „წვენს“ არ მოიგდებს. ამას უწოდებენ „ლაზას“. „მაგდენი ზელვა აღარ უნდა, უკვე ლაზა გაიკეთა“ (გ.-კახ. სახლთხ.). ლაზა კორკოტისა და მისთ. წვენი) (ალგ. სალარ. 150).

აგრეთვე: **ლაზო** (შ. კახ. მრეწ. III, II, 39, აჭარ. ნიჟ., ქართლ. ჩრდ. მტკვ. მრეწ. IV, II, ქიზ. მენთ.). **ლაზდო** (იმერ. ქავთ. III).

მკვლევარების აზრით: 1. **ლაზა** (არაბ. ლუზბ „გული“) საუკეთესო ნაწილი, ემულსია, ექსტარტი, წვენი (იუსტ. აბულაძე 1940).

2. ქართული **ლაზი, ლაზა** < თ. ლაფა (რუხაძე 1988, 148).

3. ეს, ჯერჯერობით პერიფიული ხასიათის, ლექსიკური ერთეული წარმოადგენს იმ საერთო ქართველური ზმნური ფუძის არქეტიპულ სრულხმოვნთან მოდელს, რომელიც აღდგება ქართ. ლბ-ობა, ლბილი; მეგრ. ლიბ-: ლიბუ „რბილი; ჭან. ლობ-/ლიბ-: დოლობინუ „ლბობა“ დოლიბინუ. დაალბო“ ფუძეთა შეპირისპიებით. არნ. ჩიქობავას მიერ ნავარაუდები არქეტიპი \*ლაბ-ვფიქრობთ, რეალურად ვლინდება ზოგ დიალექტში: ლაბი (გურ., ზ.-იმერ.) ღომის, ბრინჯისა და მისთანათა ნაღები დუღილის დროს შედედებული ნახარში თევზისა და სხვათა (შარაშ., ძოწ.). როგორც ჩანს, ამავე ფუძის ვარიანტებად გვევლინება: ლაზა, ლაზო, ლაზბი (არაბული 2001, 50). აგრეთვე ლაპა, ლაპო, ლოპო და მისთ (იქვე, სქ. 1).

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **II. ლაზა**: რომე არის აფსკასა და ტუინისა საზურავსა შუა (ფანასკ. 4, 30-31). **ლაზა / ლაზ-ი** „გული ხისა ან კაკლისა“ (დ. ჩუბ.).

**ლაზა** [ხის] ქერქის შუა ტყავი (ქართ. მტკ. სამხ. მრეწ. II, II, 150, 1982). შდრ. **ლებანი**. ლებერი, ლებანი, ლებერია, დიდლებნიანი; ტუჩფართო (მეგრ. ქობ.).

საშ. ქართ. **III. ლაზა** (ხე). ხიჩატელია ერთი საზა.

ახ. ქართ. **ლაზა** [*Ribes alpinum*] დაბალი ბუჩქი, რომელსაც აქვს მტევნებად შეკრებილი ერთსქესიანი ყვავილები და დანაკვეთული ფოთლები; ისხამს წითელი ფერის წვრილსა და მრგვალ ნაყოფს, რომელიც იჭმება, მთის მოცხარი (სინონ. მოხევ. ხუნწი, თუშ. ხევს. ალუდა). **ლაზა** მთის მოცხარი (ა. მაყ.).

დიალექტ. **ლაზა** არახილზე ცოტა უფრო მსხვილნაყოფიანი მცენარეა, ტკბილი, – ლუყურტი (კლდ., ალგ. სალ.).

საშ. ქართ. **IV. ლაზა** (სპარს.) უღელი ხართა (დ. ჩუბ.).

დიალექტ. საყვერის უღელი, დახრილობოლოებიანი (ქიზ. მენთ.).

ახ. ქართ., დიალექტ. **ლაბა** 1. რქებდახრილი ხარი (სინონ. ბელეშა). ლაბა ხარი. || ხშირად ასეთი ხარის საკუთარი სახელი. ერთ ბედ ქვეშა ვართ, ლაბავ მე და შენ (ილია).

პოეტად ვიხსენიები, / თუმც ხარი ვარ ლაბაო; / ჩემისთანები ბაგებზე / ასი, ათასი აბაო (ვაჟა, 387, 13).

**ლაბა** „კარგი ძროხა, მოწითალო ფერისა“ (ჯავახ. ბერ.).

**ლაბა** გადატ. დაცოლშვილებული, საზრუნავშეყრილი კაცი (ქიზ. მენტ.). **დალაბავება** „რქების დახრა: გადატ. „ხის გამრუდებას, ტანისამოსის კალთის დატოლმეტებას და სხვ. ანდაზაა: კაცი სანამ უცოლოა, ჭოტაა, ცოლ რო შაირთამს – დალაბავდება, შვილი რო ეყოლება – დოლა გახდება“ (ქიზ. მენტ.).

ამ სიტყვის შესახებ არსებობს შემდეგი მოსაზრებები: 1. **ლაბა, ლაბამ** (შესაბმელი, უღელი (ერთელიშვილი 1969, 156, 157).

2. ლი-ლამბი ლშხ, ლილამბი „დატვირთვა, საპალნის აკიდება“. შდრ. ლიპარტელიანი ილამბი „ცხენით ტვირთს ეზიდება, იტვირთება“, ლამბარ „საპალნის ტვირთები“. როგორც ჩანს, ამოსავალ \***ლაბ**-ძირს „უღლის, სათარის“ სახელური და „უღელში შებმული ხარებით ტვირთის გადათრევის“ ზმნური მნიშვნელობები უნდა ჰქონოდა (კელაურამე 2013, 8).

3. ვვარაუდობთ, რომ ქართული **ლაბა** „უღელი“ მომდინარეობს სპარსული სიტყვიდან **ლოზად** „ჯორის უღელი, ხოლო ჯორის, ცხენის თუ ცალი ხარის უღელი „ცალული“, „მარტულელი“ მოკლე თავბოლო ჩამოხრილი უღელია, სპ. > ლოზად > ლაბა.

**ლაგაზ-ი:**

საშ., ახ., ქართ., დიალექტ. **I. ლაგაზი** 1. «ტალახი ძნელად გამოსარეცხელი» (საბა); ახ. ქართ. ნოტიო თიხნარი ნიადაგი. ნოტიო ნიადაგის აღმნიშვნელია *ლაგაზიგ...*, *ლაგაზი* მიწის თვისების აღმნიშვნელ და დამახასიათებელ სიტყვად გურიაში ახლაც ცოცხალია (ივ ჯავახ.). 2. კუთხ. (გურ.) «მაგარი, ძარღვებიანი, ძნელად დასამუშავებელი ხის მასალა» (გ. შარაშ.).

სათემო მიწათსარგებლობის გვერდით სახატო მიწათმოქმედებაც ყოფილა. სახატო მიწებზე მოწეული ხორბალი „წმინდა ფქვილის“ სახით რელიგიურ დღესასწაულებზე გამოიყენებოდა. სახატო მიწათმოქმედების გვერდით ადგილი ჰქონდა ღვთისადმი „ლაგაზი // ლაგუზ“ ყანების სახით მიწის შეწირვის წესს. ლაგაზი // ლაგუზ დაბნარ, პირდაპირი თარგმანით „საგვიზე“ ყანები, სახატო, შეწირული მიწის კატეგორიას მიეკუთვნებოდა. მასზე მოყვანილი ხორბლიდან მიიღებოდა „წმინდა ფქვილი“. „წმინდა ფქვილს“ შემოდგომაზე გადარჩეულ ხორბლის თავთავებიდან ღებულობდნენ (ფირცხელანი 2000, 319-323).

ახ. ქართ. დიალექტ. **II. ლაგაზი** კუთხ. (ქართლ. კახ.) ერთგვარი ადგილობრივი ჯიშის ღორი, სადა ბალნიანი («დიალ.»).

ახ. ქართ., დიალექტ. **III. ლაგაზი** ნაგაზი. საღორის კარსა გემინა, გვერდ გიწვა შავი ლაგაზი, ტოტიტოტ გადაგეხვივნა (ხალხ.). **ლაგაზა, ლაგაზი** 1. ძალიან ავი, ძნელად დასამორჩილებელი ჯიუტი ძაღლი (ფშ. გოგატ.).

ახ. ქართ. **IV. ლაგაზი** კაცის საკუთარი სახელია თუშეთში. ცოლს ეტყვის გიგის ლაგაზი: «წამალ ამიწყე ხანზედა» (ხალხ.). შემოგეხვივნენ ქისტები, ციხეო ლაგაზისაო (ხალხ.). ვფიქრობთ, რომ ზემოთდასახელებული II, III, IV ლაგაზი < ნაგაზი.

#### **ლაგანი-ი:**

საშ., ახ. ქართ. **I. ლაგანი**, გარდამოლილი ტაშტი უფროვე თიხისა (ნ. ჩუბ.).

**ლაგანი** (სპ., თურქ.) სპილენძის დიდი თასი., ძვ. ტაშტი. მუთაქას თან ახლავს... საბანი; შემდეგ სამურაბე ტაშტი (*ლაგანი*)... და სხვ. (ი. გრიშ.). 2. ფოტოგრ. ბრტყელი ოთხკუთხედი ჭურჭელი, რომელშიც ხდება ფოტოგრაფიული ფირფიტებისა და ქალაღდების დამუშავება (გამომქლავნება).

დიალექტ. **ლაგანი** აბანოში სახმარი წყლის ჭურჭელი, პატარა ჯამი (ფერეიდ. ჩხუბ. 249). ლაგანი სპილენძის პირგაშლილი დიდი თასი, უფრო მეტად იყენებდნენ სტუმართა ხელ-პირისა და ფეხების დასაბანად (ჯავახ. ზედგ., ბერ). გვხვდება ლეგენის სახითაც (ჩვენ. ფუტკ., აჭარ. ნიჟ.).

დიალექტ. **II. ლაგანი** ნაგანი. ნიკა ყაჩაღად გავიდა, რო გადაშრა მთაო, ლაგანი და მაუზერი ორივ აიღაო (ხევს. ჭინჭ.). „თორმეტი წლის შვიკენი, / აი იარაღი შვეიყვარე; / მავიზორი და ლაგანი, / ჯიფეზე ამოვიფარე“ (აჭარ. ნიჟ.). „მეკოპრებ რო დაჯოც, იმისგნივი ფარსიკაყანთ ლაზარეს თოფიც მისცესა-დ' ლაგანიც (თუშ. ხუბ.).

**ლაგანა** ნაგანი, ერთგვარი სასროლი იარაღი (ჯავახ. ბერ.).

**ლაგანი** < ნაგანი. **ნაგანი** ერთგვარი სისტემის მბრუნავცილინდრია-ნი რევოლვერი [გამომგონებლის გვარის მიხედვით] – ქეგლ.

#### **ლაგლაგ-ი:**

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. ლაგლაგი, ლაკლაკი**, ყარყატი. – დ. ჩუბ.

**ლაგლაგი** წეროა, ბაყაყსა და გველს იჭერს (ინგილ. «შინამრეწვ.»). აგრეთვე (დიალექტ. 651; მესხ. ფეიქრ.).

**ლაგლაგი** ფრინველია მაღალი, გრძელკისერა, აქვს თეთრ-შავი ფრთები და წითელი ფეხები, მარტში მოდისო (ფარცხ., მარაბ., ქართლ. მენთ.).

ახ. ქართ., დიალექტ. **II. ლაგლაგი** ლაქლაქი, ყბედობა – ლაქლაქებს, ლაყბობს (ლექს. ალაგ. მესხ. ფეიქრ.).

**ლაგლაგი** (თურქ. < არაბ.) leylek „ყარყატი“, „ყარყატისათვის დამახასიათებელი ბგერები“, „შეუჩერებელი ლაყბობა, ტყუილ-უბრალო სიტყვები“ (გურგენიძე 973, 74).

**ლაინ-ი:**

საშ., ახ. ქართ. **I. ლაინი** ფრინველ. ღალღის მსგავსია – ნ. ჩუბ. ...ღალღა, ლაინა, ესენი ზამთარ არიან (ქ. ცხ. IV, 42, 6).

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **II. ლაინი** შეღებილი ნარმა (საბა), შინაური წესით დამზადებული თხელი ზამბის ქსოვილი, უპირატესად მუქ ლურჯად შეღებილი. ახლაც იცის ზოგიერთმა და ქსოვენ კიდევ ლამაზ მერდინებს, ლაინებს, ხამებს (დ. მაჩხ.). მისი ცოლი ლაინის კაბას და ხამის პერანგს აღარ დასჯერდა (ნ. ნიკოლ.). [ქვრივს] ლურჯი ლაინის პერანგი ეცვა (გ. წერეთ.).

საშ. ქართ. **ლეინი**: – უწარჩინებულესნი მათნი იცმენ იმრიგადვე ლეინსა, დარაიას (ქ. ცხ. IV, 638, 5). ამდენი სკალატი და ჩითი, ან ლეინი სად უშოვიათ? (ი. ზაგრატი. 490, 10).

დიალექტ. ლაინი ქვია ლურჯად შეღებულ სამოსელს (ზ.-იმერ. მრეწ. II, II, 163, 9).

ლაინი შავ ფერის აღმნიშვნელი. ლურჯი ან შავი სატინა და ლაინი ვიცოდით (რაჭ. მრეწ. III, I, 229). გაყინული ხორცი რო ჩავყარე თუჯიაში, ლაინივით გარეიქცა (ე. ი. გაშავდა) (საჩინ. შარაშ.).

**ლაინის-ფერი** პოეტ. მუქი ლურჯი. ლაინის-ფერ მთებზე ალაგ-ალაგ ელავდა ხასხასა სითეთრე (კ. გამს.). ლაინის-ფერმა გადაჰკრა ხუროთმოძღვარს სახეზე (კ. გამს.). საჯავახოს მთები დაინესტებოდა და ლაინის-ფერს გადაიკრავდა (დ. შენგ.).

შდრ. **ლაინი** არაბ.-სპ. „ლაინ“ ან „ლეინ“ ნიშნავს რბილს, ნაზს (ნადირაძე 2011). **ლაინი** (სპ.) შეღებილი ლურჯი ქსოვილი.

**ლაკლაკ-ი:**

საშ. ქართ. **I. ლაკლაკი** იხ. ლაგლაგი. უთხრა ლაკლაკმან, «ღვთის გულისთვის ნუ მომკლავო» («მელის წიგნი»). ჯორცისმჭამელნი: ...ოყარი, ლაკლაკი (ქ. ცხ. IV, 42, 17).

დიალექტ. **ლაკლაკი** რომელიღაც ცხოველის სახელია, რადგან ერთ-ერთი თამაშობის დროს ამბობენ: „იწილო, ბიწილო, შროშანო, გვრიტინო... შენი ფესვი ფესმანდუკი, ახტა, დახტა, გადასკუპდა... იმას ერგოს ლაკლაკი და გველაშაპიო“ (იქნებ წერო, იგივე ლაგლაგი, იგულისხმება (ნ. ლაგლაგი) (ჯავახ. ბერ.).

ახ. ქართ., დიალექტ. **II. ლაკლაკი** (ქართლ.) იხ. II. ლაქლაქი. შდრ. ლახლახი (მესხ. ფეიქრ.).

დიალექტ. **III. ლაკლაკი** აქა-იქ უხეიროდ სიარული, წანწალი. „რაღ დაღლაკლაკებ ამ სიციხეში, თავი არ გენანება?“ „დღევანდელი დღე დავაღამე, რეერთი ვილაკლაკე და ვერაფერ გავჭდი“. **2. ლაკლაკი: გულის ლაკლაკი** გულის ცემა, გულის აჩქარებული მოქმედება შიმშილისაგან, კანკალი. გული მილაკლაკებს (ქიზ. მენტ.).

**ლალ-ი:**

საშ. ქართ. I. **ლალი** ბალახში – თ. ბაგრატი.

საშ. ქართ. (სპ. ლალ). ძვირფასი ქვა წითელი). ლალი ქარვად გარდიქცია (ვეფხ. 659, 2). *ლალ-გოარი* გაუთლელი ზანდუკებით მოედინა (ნ. ციც. 415, 54, 2). გააყვითლებ ქარვისფერად პირველ *ლალს* განაჭვირსა (რუსთ. მიმბ. 33, 7). მისალოცად მრავალი იაგუნდი და *ლალია* (შპნ. I, 106, 3).

ზადახშანს ლალი სად არი? (თეიმ. I, 147, 111, 13). რაგინდ შვენოდენ, როგორცა *ლალნი* / მაინც არ ვარგან, ვითა კლდე სალნი (საბა II, 46, 30). არც გემო აქვს *ლალის* ფერს ღვინოსა (ხოსრ. 52, 29).

თასიც ოქროსი იყო. გარედან *ლალითა* და ფირუზით მოჭედილი (ვ. ბარნ. 73, 14).

«ლალი – სპ. *lāl* ლალ – წითელის ფერის ძვირფასი ქვა, აქედანვე: ლალი – წითელი» (აბულაძე 1934, 592).

ახ. ქართ. **ლალი** [არაბ. ლა'ლ] წითელი ფერის ძვირფასი ქვა, პატიოსანი თვალი (სინონ. იაგუნდი). მოჰქონდათ ლანგრებით ოქრო და ვერცხლი, იაგუნდი და *ლალი* (ვაჟა). [მაიამ] წაიძრო ერთი *ლალის* თვლიანი [ბეჭედი], ხელისგულზე შეათამაშა (ლ. ქიაჩ.). «გვითხარ, რა არის წამალი მთვარისა შუქ-ნამკრთალისა, რას შეუქმნიხარ ზაფრანად შენ, ფერად მსგავსი *ლალისა*» (რუსთაველი). ფიგურ. ელავს ჩამავალ მზეში იაგუნდი და *ლალი* (გ. ტაბ.). || წითელი ღვინის ეპითეტად ხმარობდნენ. ფერი *ლალისა*, გემო წყალისაო (ანდაზა). გწყალობდეს მაგის ზედაშე! ხომ ხედავ, *ლალის* წვენია? (აკაკი). ბრმამ შეიძახა: «ვიმ ამ *ლალს*, ერთს კიდევ დავლევ სავსესო» (რ. ერისთ.).

საშ. ქართ. II. **ლალი** იხ. II. ლალა. ვაჭართა ქველი გარდახდა *ლალისა* ხასთა სეფესა. მუნ დააყენა, ვით ხამდა, *ლალი* ეახლა მეფესა (ნ. ციც. 909, 2).

დიალექტ. III. **ლალი** (არაბ. თურქ. სპ. ლალ) მუნჯი, ბლუ, წყნარი, ჩუმი. „*ლალი* ხომ არ ხარ, ამეილე ხმა (მ., ჩვენ. ფუტკ., აჭარ. ნიჟ). „მაგ, *ლალ* რანა გავაგებინო (ჯავახ. ბერ.). ამ *ლალს* როგო გამოატანეს ქალი?! *ლალია* მარა ისრე მარჯვეა, რო ბარე ორი ენიანიც ვერ მიუდგება (ჯავახ. ზედგ.).

\*ს.-ქართვ. \*ლელე „ლენჩი; უსულგულო; სუსტი (ფენრიხი, სარჯველაძე 2000; ჩუხუა 2017).

**ლალა:**

საშ. ქართ. I. **ლალა** ყაყაჩო. ჯარ-მრავლობისა ყაყაჩო, ლალა, ხაშხაში... (ვახტ. VI, 20, 9). სუმბული და იასამან, ზამზაღ, ლალა მათვე ჰყმობენ (ნ. ციც. 1286, 3). მარგალიტისა სადაფსა ია გუნდი სცავს და ლალა (თეიმ. I, 149, 8, 1). მუნ აავსეს საბოძვრითა, ვინ არს კაცი, *ლალითა* მსური (ნ. ციც. 1169, 3).

საშ., ახ. ქართ. **II. ლალა** გამზრდელი, მზარდული, მამამძუმე, ლალა; ესე ითქმის კაცთათვის, ხოლო ქალთათვის გადია და წერილთ შინა დედამძუმე (ნ. ჩუბ.).

ლანძღევდეს თავის *ლალასა* (დ. გურ. 64, 22, 3). მუსაბეგ იყო თალიში, კარგი, პატიოსანი კაცი, მამისაგან *ლალათ* ჰყვანდა მიცემული (სამ. ძეგ. VIII, 350, ქვ. 10). შენ რომ შვილი გყვანდეს, იმის გამდლობას ვიქ, არამთუ შენის ვეზირის შვილის *ლალაობა* ვქნა-მეთქი (რუსუდ. 255, 17).

**ლალა** [სპარ. ლალა] გამზრდელი (ჩვეულებრივ მამაკაცი). მე გამიზრდია მეფე გიორგი, მე ვიყავ მისი ერთგული *ლალა* (აკაკი). ჩვენი ჩვეული ლალა ჩვენზე ხელს იღებს (ილია). || მომვლელი, მზრუნველი. ჩემი მსახური, რომელიც *ლალად* გამყვა რუსეთში, ერთხანად მეტად გართული იყო უცხო-უცხო სანახაობით (აკაკი). სვიმონს მიუჭინეს გამდლები, *ლალები* და დაუწყეს ნებივრად ზრდა (ა. ყაზბ. IV, 69, 34). აგრეთვე: (ჯავახ. ბერ.)

საშ. ქართ. **III. ლალა** სიმღერა, ჭუკჭუკი. იმღერდეს „ხართა *ლალასა*“ (დ. გურ. 64, 22,1). შდრ. ლალე.

დიალექტ. რა თენების დრო მოვიდას, მწყერ ყანას ეტყვის *ლალასა* (ხევს. პოეზ. 359, 8) – ალ. ჭინჭ.

დიალექტ. **IV. ლალა** თხელი ტალახი, ლაფი. **ლალა** თხელი ტალახია (განთიადი). იმ გაღმა რავარი *ლალაა* (ზარანი). ძიელ დიდი *ლალა* არი, ფეხზე გადამიარა (იქვე) (ზ.-იმერ. ძოწ.). „ლალაში ჩავარდი და ღორით ამევისვარე“ (იმერ. გაჩ.).

### ლალობა:

საშ. ქართ. **I. ლალობა**. იხ. I. ლალი. „მე ქალი ვარ და ჩემს უფრო უშენის დაწვთა *ლალობა*“ (თეიმ. I, 126, 31, 4). იხ. II. ლალა.

ახ. ქართ. **II. ლალობა** მოვლა-პატრონობა, გამდელობა – ლალაობა. საოჯახო საქმეც და *ლალობაც* მარტო ფიქრის დაწვა (მ. ჯავახ.).

ძვ. ქართ. **III. ლალობა** ჩხუბი, ცილობა, წაკიდება: „*ლალობად* იგი მათი ყურთა კელის შესასხმელ არნ“ (ზირ. 27, 15). იხ. ლალვა – ილ. აბულ.

### ლამ-ი:

ძვ. ქართ. **I. ლამი** // **ლამა** ბეჭედი: „მყის მოქლონებითა და *ლამებითა* დააკუეთებს მათ“ [ler. = 9 80v 5-7a].

საშ. ქართ. **II. ლამი** შავი ღია – საბა. შლამი, შავი ქვიშა საფლობი; ნამი, სინოტიე; ქვიშიერსა ალაგსა რა წყალი დაესხს, შეიქმნნების **ლამი** (თ. ბაგრატ.). ლამი სრულებით ღია არ არის, არამედ მდინარე წყლისაგან გამორიყული დალეკილი სილაა (ჯავახიშვილი V, 1986).

მუნ მეცა მივალ, ცრემლისა მიწად სად გამდის *ლამი*, სად (ვეფხ. 885, 4). მისისა უგულობისაებრ *ლამსა* შიგან დაფლულსა მოკართულსა ვირსა დამსგავსა და უღონო იქმნა (ვისრ. 178, 11).

მოედანს დადგეს კარავნი, დაფარეს ჯმელი და *ლამი* (შჰნ. I, 486, 3). რომ მოვკვდე, ჩამდვან საფლავად, მაყარონ მე მიწა *ლამი* (გურამ. 112, 345, 3). *ლამთა* და იწროთაგან ძნად ვიდოდინ (ქ. ცხ. IV, 251, 21). მას სდიოდა თვალთა სისხლი, ცრემლთა *ლამში* მიეფლობა (თეიმ. I, 50, 36, 4). სადა ყარიბი ჰგებს და *ლამს* სითხ[ა]რად მიწას, მტვერს და *ლამს* (ბეს. 86, 8).

ახ. ქართ. **ლამი** 1. მდინარის, ტბის ან ზღვის წყლის დანალექი სილა. წაილო წყალმა აღაზა, *ლამსა* და ქვიშას შერია (ვაჟა). *ლამი* წმინდა ქვიშაა, თიხის მოზელის დროს ქვეშ დაყრიან, რომ მიწამ არ მიიკაროს თიხა (დ. დონდ.). 2. (ქიზ.) უქვო, უკენჭო შავი მიწა, ადვილად დასამუშავებელი (ს. მენტ.). 3. ძვ. ნამი, სინოტივე (დ. ჩუბ.).

დიალექტ. **ლამი** ტალახი. „გავხდით ამ ჟვავში თლათ *ლამი*“ (ინ., ჩვენ. ფუტკ.). **ლამი** წყლის წმინდა ქვიშა, (ფშ. ხორნ., შ. კახ. მრეწ. I, 104, ქიზ. მრეწ. I, 78, თუშ. ხუბ., ქიზ. მენტ.). თიხის ერთ-ერთი სახეობა, (ვახანი,ზ.-იმერ. ძოწ., ზ.-აჭ., მრეწ. IV, III, 1989, 4, ქართ. მრეწ. IV, II, 20, ზ. ქართ. IV, III, 40, თუშ. ხუბ.).

დასტურდება ლამ-სიტყვიანი რთული სიტყვები. **ღვინის ლამი**: (ჭურს)... ამორეცხავენ, „ღვინის ლამს“ გააცლიან და მუჯუროში სუფთა წყალს ჩააყენებენ (რაჭ. ფრ. 208).

**ლამ-კირი** ლამი და კირი ერთად არეული – ქეგლ. (მოხ. ქავთ.). ლამ-კირი მოჭ. ბათქაში – ა. შან.

ახ. ქართ. **ლამიტობია** ჭაობის წვივმაღალი ფრინველი ერთგვარი. „კაცო, რა ბატებივით აგილიათ თავი და **ლამიტობიასავით** მოდიხართ?“ («მოამბე»).

**ლამიყლაპია** ჭაობის ფრინველი ერთგვარი. „კარგი ვაჟკაცია გირშე-ლი, **ლამიყლაპიას** რომ არ წაგავდეს ცოტა“ (კ. გამს.).

ზან. ლამი, ლექი, შლამი (მეგრ. ქობ.).

ლამ – ჭანჭრობი (სვენ. თოფ., ქალდ.).

ფრ. ნაისერის მიხედვით ქართული **ლამი** მიღებულია ნამისაგან და შემოსულია ახალი სპარსულიდან. შდრ. სპარს. nam „სინესტე, ტენი“ (ნაისერი, 1953, 24; გიგინეიშვილი 2016).

საშ. ქართ. **III. ლამი** ნამი, სინოტივე (დ. ჩუბ.).

დიალექტ. **ლამი** 1. ნამი, წვეთი. სიმდი ისე შეინახეს, *ლამი* არ მოხვეთერია (ხიდარი) (ზ.-იმერ. ძოწ.). ლამი ნამი. *ლამები* წამოვიდა იწვიმებს (ილამავს ნამები ცვივა, – ნამავს (რაჭ. კობახ.). „ამ დილადა ჭალაში გამევიარე, და, სულ *ლამი* გავხდი“; „წვიმა წვიმს და *ლამი* არა, სულმაც უწინ გაიპარა“ (აჭარ. ნიჟ.). *ლამები* წამოვიდა, იწვიმებს (რაჭ. კობახ.). ლამავს ნამები ცვივა, – ნამავს (რაჭ. კობახ.). **ლამი** თქორი; წამოლამა წამონამა, მცირე



წვიმა დაიწყო (ლექს. ალავ.). ლამი „ნამი“ ვფიქრობთ ფონეტიკური ცვლილებების გზით უნდა მიგველი სპარს.-თურქ. ნამისაგან, ხოლო ლამი „ტალახი“ კი ქართველური წარმომავლობისა ჩანს.

#### ლამა:

ძვ. ქართ. **I. ლამა** იხ. I. ლამი.

ახ. ქართ. **II. ლამა** (ესპ.) [Lama glama] ზოოლ. ძუძუმწოვარი ცხოველი აქლემების ოჯახისა, ცხოვრობს სამხრეთ ამერიკაში.

ახ. ქართ. **III. ლამა** [ტიბეტ.] ლამაისტების ქურუმი.

ძვ. ქართ. **IV. ლამა** «ელმანა»; «რადსა»: ელოი, ელოი, ლამა საბაქთანნი“ (ელმანა საბაქთანნი C) რომელ არს გამოთარგმანებით: ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, რადსა დამაგდებ მე?“ (DE, მრ. 15, 34).

#### ლამფა:

საშ. ქართ. **I. ლამფა** არწივაკი სახლის მეორე ძელი – დ. ჩუბ.

ხის თხელი ფიცარი (კოჭებზე ქვევიდან მიჭედებული). [გიგიაშვილმა] მასახლისობაში გააკეთა ოროთახიანი ქვიტკირის სახლი... *ლამფით* და ფილაქნით დაფენილი (მელან.). ტყე გვადღევს შენობის მასალასა, რისგანაც ჩვენ ვაკეთებთ... *ლამფასა*, ფანჯრებსა (ი. გოგებ.). || ასეთი ფიცრის ჭერი.

დიალექტ. *ლამფები* ან („ნაფოშტარები“) ხის გვერდის ჩამონათალი (რაჭ. ფრ. 110). იხ. აგრეთვე: შიგათი პოლი, *ლამფაი* სრუ ხერხით დახერხილია (ხევს. პოეზ. 732, 9) – ალ. ჭინჭ.

**ლამფა:** (ქვ. რაჭა, მრეწ. III, III, 1986, 184, ქვ.-იმერ. მრეწ. I, 261, იმერ. წერეთ., იმერ. ქავთ. სტრუქტ. IV, თუშ. მრეწ. I, 154, აჭარ. ნოღაიდ. დარგ. X, ზ.-იმერ. მრეწ. I, 261, ლექს. მრეწ. I, 358, ქიზ. მრეწ. I, 53, აჭარ. მრეწ. I, 18, შავშ.).

**ლამფა** ლამფა (ჭან. ასათ. 19, 60). [და]ლამფული ლამფამიკრული (მიჭედილი) (მეგრ. IV ქაჯ.).

შდრ. სპარს. Lape დახერხილი ან დანაფოტებული მორის გვერდები.

ახ. ქართ., დიალექტ. **II. ლამფა** ლამპა. ბუხარზე *ლამფა* იდგა (ვაჟა). ოდნავ მბჟუტავ *ლამფას* ძლივს შეამჩნევდა კაცი (ნ. ლორთქ.).

**მელამფე** ლამფის მკეთებელი ხელოსანი. || ლამფების ამნთები. დღისით... [კარტოფილას მამა] მენავე იყო, ღამით კი – *მელამფე* სატახტო ქალაქის ერთ-ერთ თეატრში (ქ. ბაქრ. თარგმ.).

დიალექტ. **ლამფა** ლამპა. მივა, მიინთებს *ლამფასა*, თავს ღამე ადგა ბნელია (ხევს. პოეზ. 216, 5) – ალ. ჭინჭ.

**ლამფა** ჭრამი. „მაუტანა ის ჯელის *ლამფა* და შამოიდა“ (ფშ. ცოც.). აგრეთვე: (ინგ. ღამშ., ქიზ. მენტ., თუშ. ხუბ.). ლამფა < ლამპა (ფრანგ. Lampe). თავის მხრივ ლამპა < ლამპარი. ივარაუდება, რომ ლამპარი ბერძნული წარმომავლობისაა (გიგინეიშვილი 2016).

ზან. (მეგრ.) **ლამპა** ლამპა (მეგრ. ქაჯ.).

**ლანგ-ი:**

საშ. ქართ. **I. ლანგი** (სპარს.) „კოჭლი“ „მკელობელი“. და ჟამსა მას გამოჩნდა კაცი ერთი თურქეთის ქვეყანასა, სახელით თემურ, ხოლო ეწოდაცა ლანგი. და იყო ესე მკელობელი და სპარსთა ენათაგან „ლანგ“ მკელობელსა ეწოდების, ამაღ ეწოდა ლანგ-თემურ (ბ. ეგნატ, 682, 6).

დიალექტ. **ლანგი** კოჭლი. „ჩვენებიანთ ლანგი ბიჭი“ (ქიზ. მენტ.).

საშ. ქართ. **II. ლანგი** ლანგი სალესი ქვა, გალესილის პირის ასაწყობი (საბა, დ. ჩუბ.).

დიალექტ. **III. ლანგი** (ქართლ.) ადიდებული მღვრიე წყლის ლამი, ლექი, ლამიანი ქაფი. „ახალ მორწყულში ვთოხნიდი. თოხმა ლანგი აიკრა!“ (გ. შატბ.). **ლანგი** ჭუჭყი. ლანგი ჭუჭყია, სხვა რაა? (ქვ. ჭ.). **ლანგიანი**: რაც ჭუჭყიანია, ლანგიანია (ქვ. ჭ., აგრეთვე კარალ., ტყვ., ქორ., ქართლ. ლექსიკ.).

დიალექტ. **IV. ლანგი** ლანგმოდებით ერთიანად, მთლიანად. ლანგმოდებით გათავდა ყველაფერი (მეგ.). **ლანგმოდებით** მოუსპიათ სულა (ზ. ხანდ.), **ლანგს მოუსვამს** (გაუსვამს) ერთიანად შეჭამს, შესანსლავს. ზოგი პირს აიკანამს და არა ჭამს, ზოგი ლანგს მოუსვამს და აღარაფერს დაარჩენს (ქვ. ჭ.). გადი იქითა, არ გაუსვა ე ჩირსა ლანგი! (ტყვ., აგრეთვე: ოძ., ქართლ. ლექსიკ.).

შდრ. ლაგამი ტურების კიდე. რო ლაპარაკობს, თეთრათ გადასდის ნაქაშები ლაგმებზე (მეგ.). ლაგმები ერთ მეტრაზე აქს გახეული (ტყვ. ქართლ. ლექსიკ.).

**ლარ-ი:**

ძვ., საშ., ახ. ქართ. **I. ლარი** სიმი, ალყა, ძალი: „ჯორჯი...არს ესე ვითარცა სტური, ჳმისა გამომცემელი ლართაგან“ (ბ. კეს. -ექუს. დღ. 159, 3). „ურონი ლართა და წარნაქითა განასწონენ ფიცართა“ [A = 689 269r, 34-36b).

ახ. ქართ. 1. კაკლის ჩონგურს გავაკეთებ, ზედ დავასხამ ლარებს (ხალხ.). მოვებნე ჩემი ჭვარტლიანი ფანდური, გავაბ-გამოვაბი მისი დაწყვეტილი ლარები და დავუკარ (ვაჟა). მესაკრავენი ლარებსა ჭიმავედნენ (შ. დად.).

2. გაჭიმული ბაწარი (თოკი, ძაფი...) სხვადასხვა დანიშნულებისა. კედლის სწორად ასაშენებელი ლარი. – «მაშ, შენის ფიქრით, ლარი აღმადადმით უნდა დაგვეჭირა თავთავქვესაკენ?» (ილია).

3. კუთხ. (იმერ.) იგივეა, რაც საპენტელი. [ძიძიშვილმა] ჩამოიღო ლარი, მოიტანა ბამბა და დაუწყო პენტვა (აკაკი). სადედოფლო: მაქვა და თითისტარი, კეცი და ჩოგანი, ლარი და საჩეჩელი (ნ. ლორთქ.).

4. ძვ. მარღვი, ნერვი.

დიალექტ. **ლარი** საქონლის გამხმარი ნაწლავი (ძაფივითაა). საქონლის ლარს ვეტყვით, დაახვიეს ხელეზზე (ჯავახ. მარტირ.).

ლექსს იტყვის ითირიშვილი, გართა ფანდურის ლარიო (ხევს. პოეზ. 643, 1) – ალ. ჭინჭ.

იხ. აგრეთვე ლარ-ფუძისაგან ნაწამოები ზოგი სიტყვა: **ასალარი** ლარის გასავლები ვით ბულბული დავმღეროდი ვარდსა, ვითა მძლავრთა ლართა, რა მეგონა გულის დაჭრა ასაკერავ-ასალართა (ქილ. 734, 6). **ლარულად დაგება** ერთი მიმართულებით. არცა ლარულად ჰგებოდა მას ქსელი, არ ორხაულად (ვეფხ. 461, 3).

საშ. ქართ. შვეულის **ლარი** (დ. ჩუბ.).

**ლარი** კალატოზის იარაღი. გრძელი, წვრილი ბაწარი. „შენ კუთხე თქვი, თორე სადა კედლი აშენებაჲ რა უნდა, გაჭიმე ლარი და დააწყე დუხანი ქვა“ (გ.-კახ. სახლთხ.). შდრ. რალი (ლარი) (რაჭ. ფრ.).

ლარ-ფუძე სომხურიდან ჩანს შემოსული ქართულში. სომხურშია *լար* „წვრილი თოკი“. აჭარიანი მას უკავშირებს ბერძნ. *Λύρα* „ქნარი“, ლათ. *lōrum* „ღვედი, ქამარი“, სიტყვებს **ლარი** განძი (გელენიძე 1974, 27, გიგინეიშვილი 2016).

საშ., ახ. ქართ. **II. ლარი** განძი ყველაი უჩვენა (ვეფხ. 1079, 1). ავკიდენ ლარნი ყოვლის ქვეყანისანი და წამოველ (ამირან. 459, 8). მრავალფერი საჯელმწიფო ლარი და ძღუენი აჰკიდა... და თან წაიტანა ვისისთუის (ვისრ. 65, 16). თუალ – მარგალიტნი და უნჯნი და ლარნი მოწყობით ისხნეს (ქილ. 204, 5). ფერად-ფერადად ააგეს სტავრა-ატლასი, ლარები (შპნ. I 1230, 1). ყიდდენ ფარჩა-ლარებსა (ბეს. 154, 4).

ახ. ქართ. 1. ძვ. ძვირფასი ნივთეულობა, – განძი, საუნჯე (შდრ. სალარო). ჯუმბერ მოახსენა:... «მე ვარ შენი საუნჯე, შენი განძი და ლარი» (საბა). ლარსა ხვეტდიან ლაშქარნი, მართ ვითა მეკობრენია (რუსთაველი). 2. ძვ. ძვირფასი აბრეშუმის ქსოვილი, – ფარჩა. ქორწილი ქმნეს და გამრავლდა ძღვნობა ლარისა ლბილისა (რუსთაველი). 3. კუთხ. (გურ.) «ბადურად ნაქსოვი სარტყელი; ხვანჯარი» (გ. შარაშ.).

ბიზანტიის კეისრების სამეფო სამოსლის კუთვნილებას ოქრონემსული, მოთვალული, გრძელი, მაგრამ ვიწრო ზოლის მსგავსად ნაკერი, ფერადსარჩულიანი სამკაული შეადგენდა, რომლის ერთ წვერსაც ორსავე მხარეზე მოიხვევდნენ და წელზე შემოხვევის შემდგომ მის მეორე წვერს მარცხენა მკლავზე გადაიდებდნენ ხოლმე. ბიზანტიაში ამ სამკაულს *λάρια* ლოროს, ლათინურად ლორუმ-ი ეწოდებოდა. იგი ძველი რომაელი კონსულების ანუ პუპტოსების ტრაბეა-საგან არის წარმომდგარი და კეისრების სამოსელს ეს სამკაულად შერჩა (ჯავახიშვილი III-IV, 1962, 32).

**ლარის** შესახებ არსებობს შემდეგი მოსაზრებები.

ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა: 1. სპარსული **ლარ** იგივე – *lūr* „ლურისტანი“, როგორც ჩანს, ეწოდებოდა ამ ქალაქის ნაწარმ ძაფსა და ძვირფას ქსოვილს, შემდეგ კი გადატანით ყველაფერ ძვირფასს – „თვალმარგალიტს, განძს. შდრ სალარო, მოლარე (ანდრონიკაშვილი II, 1996).

2. ლ. გელენიძის აზრით **ლარ-ფუძე** სომხურიდან ჩანს შემოსული ქართულში (გელენიძე 27).

3. თვით საშუალო ქართული ფორმის ლარის წარმომავლობა დაუდგენელია (გიგინეიშვილი 2016).

4. აღდგენილია ს.-ქართვ. არქეტიპი. \*ლარ-არქეტიპი (კელაურაძე 207, 24).

საშ. ქართ. **III. ლარი** (იმერ.) წნელის სახლი ან ქოხი (დ. ჩუბ.). **ლარი** სადგომი, ბინა. ბრძანეთ ჩუენსა ლარსა, და მერმე მუნ მოგაკსენოთ ჩუენი ამბავი (ამირან. 277, 2).

ახ. ქართ., დიალექტ. **IV. ლარი** (მოხევ.) გრძელი და განიერი სკამი, რომელზედაც კიდევაც წვებიან („დიალ.“).

ახ. ქართ. **V. ლარი** ანუ თეთრხელება გიბონი (*Hylobates lar*) პატარა მაიმუნთაგანია, რომელიც ტენ-სარიმსა და მალაკის ნახევარკუნძულზეა გავრცელებული (ჯანაშვილი 1977).

**VI. ლარი** ძველი რომაული მითების მიხედვით იყო გარდაცვლილი წინაპრების სული.

**VII. ლარი** ფულის ერთეული. 1995 წ.-ის 2 ოქტომბრიდან საქართველოს ფულის ერთეული, ტოლია 100 თეთრისა – ს. თეზ.

### ლაფშა:

საშ., ახ. ქართ. **I. ლაფშა** ცხენი ცუდი ცხენი, ჯაგლაგი – დ. ჩუბ. **ლაფშა** (იმერ. გურ.) დაკოდილი ცხენი, – იაზო. გადმოხტა და ლურჯი ლაფშა მისცა ხელში, ჩააბარა (აკაკი). შევჯექე კაი მარჯვე ლაფშაზე და გამოვემგზავრე (რ. ერისთ.). მდინარე ადიდებული იყო, საომარ ლაფშასაც კი უჭირდა გასვლა (ნ. ლორთქ.).

**ლაფშა** უფრო ქართული ენის დასავლურ დიალექტებშია გავრცელებული. დასავლეთ საქართველოს სამეფოს, ეგრის-აფხაზეთის, აქტიური ურთიერთობა ხაზარებთან VI–VIII საუკუნეებში იძლევა საფუძველს, ვილაპარაკოთ მათ ენობრივ ურთიერთგავლენაზე. ასევე ცნობილია ხაზართა კონტაქტები სლავურ და ფინურ-უნგრულოვან ეთნოსებთან. ქართ. ლაფშა, როგორც ჩანს, თურქული უბნის ამ შტოს საშუალებითაა გავრცელებული სხვა ენებში. შემდგომ ლაფშა სხვა ენებშიც გავრცელებულა. შუალედურ გზას თურქულენოვანი სამყარო წარმოადგენს (ბადათურია 2000, 33-36; ბუკია 2013, 93).

ახ. ქართ. **II. ლაფშა** [რუს. лапша] კულინ. ვიწრო და თხელ ზოლებად დაჭრილი და გამხმარი პურის ცომი; იხმარება სხვადასხვა საჭმელების მოსამზადებლად. – ლავაშურა.

დიალექტ. **III. ლაფშა** დიდბაგეებიანი. გააღო თავის ლაფშები (ჯავახ. ბერ.). **ლაფშა** დიდპირა, ბევრის მჭამელი, დაუღია ლაფშა პირი და რას არ ამომს. **ლაფში** პირი. იმხელა ლაფში დაელო, რო კაც გადაყლაპემდა.

რა დაგიფრენია ე ლაფში და მამჩერებიხარ, მაჭმემსო (ჯავახ. ზედგ.). **ლაფში** დიდი ტუჩი. გრიგოლს ცხენი უყივია, / უნდა იყოს ბაშელი, / მუხლში წყალი ჩადგომია, უმიგმიგოს ლაფშები (საჩინ. შარაშ.). შდრ. **ლაში**: არც ლაში დაუსველებია (ხოსრ. 51, 35). ლაში > ლაფში.

დიალექტ. **IV. ლაფშა ჯამი** დიდი ჯამი. დიდი ჯამი არი ლაფშა ჯამი (ბრ.) ნადიამა თქვა, ჩაი რატო ლაფშა ჯამზე არ გამიკეთეო? (ბრ., ქართლ. ლექსიკ.).

**ლაქ-ი:**

საშ. ქართ. **I. ლაქი**, თუ ლუქი ზუმბური – ნ. ჩუბ.

**ლაქი** სპარს. ხალი, ბრგვილი, ფოლაქი – დ. ჩუბ.

**ლაქი** (სპ. ლაქ) საღებავი. *ლაქი* ბუზური რომელი არის საღებავი (ქანან. 61, 20).

დიალექტ. **ლაქი** ციცაბო ფერდობში ვაკე ადგილების გრძელი ზოლები. ჩხატისკარს რო შასცილდები, მამრე *ლაქები* დაიწყება ზაითა (მოხ. ქავთ.).

ახ. ქართ. **II. ლაქი** [იტალ. lacca რუს. ენის მეშვ.] 1. სპირტში გახსნილი ფისი; ხმარობენ ხის, ლითონის, ტყავის ზედაპირის გასაპრიალებლად. ლაქის წასმა. – ტყავეულობის ◊ **ლაქის ფეხსაცმელი** (ჩექმა და სხვ.) ლაქით დაფარული ტყავის ფეხსაცმელი (ჩექმა და სხვ.). მამინაცვალს მკლავზე მაღალყელიანი *ლაქის* ჩექმა წამოეცვა და მაუდის ნაჭრით გულდაგულ წმენდდა (რ. გვეტ.).

2. **ლაქი** ლაქა. დუქნის ბანიდან შორს, შორს ქალაქი მოჩანდა, თითქო ცაზე შავი *ლაქი* დაუსვამთო (ი. მაჭავ. თარგმ.).

3. **ლაქი** ლუქი. და აი ახლა მივიღე... [ბიძისაგან] წერილი *ლაქით* მე დაბეჭდილი (ი. ევდ.).

**ლაქი** ქართულში შემოსვლა XI-XII საუკუნეებს უკავშირდება (იმე-დამე 2014, 63).

**ლაქა:**

საშ., ახ. ქართ. **I. ლაქა** ესე არს სამოსელთა ანუ კედელთა სხვა ფერი აღმოჩნდეს, რომელსა მსოფლიონი ბ ა ყ ა მ ს უკმობენ, ვიეთნი ლ ა ქ ა ს B (+ სვირინდებისა მრავალი გამოვიძიე D). ლათინურს ლექსიკონში ლ ა ქ ა დ – საბა.

**ლაქა** 1. განსხვავებული ფერის პატარა ადგილი, ნიშანი რისამე ზედაპირზე. გულზე ერთი დიდი წითელი ლაქა დაუნახა (თ. სახოკ. თარგმ.). 2. ჭუჭყად ჩამჯდარი და დაჩნეული რამე (მაგ., ზეთი, მელანი, ღვინო და სხვ.) რისამე ზედაპირზე. ლაქების ამოყვანა. – ყველგან აუარებელი მელნის ლაქებია (ქ. ბაქრ. თარგმ.). || გადატ. რამე შემარცხვენელი, თავის მომჭრელი. «ბუნებას ჩემსას არ ეკუთვნის, ვფიცავ ის ლაქა, და ის განკიცხვა, რაც აქ ითქვა ჩემის ენითვე!» (ი. მაჩაბ. თარგმ.).

2. **ლაქა** (იმერ.) ცხენის სენი, – უბალნო ადგილები გაუწითლდება და დაუსივდება, წვრილად დააყრის და ექავება (ი. ჭყ.).

შდრ. ლათ. *lacca* „სიმსივნე ცხოველის ფეხზე!“ ქართულთან უფრო ახლოსაა არაბულში წარმოდგენილი მნიშვნელობა. შდრ. არაბ.-თურქ. ლაკა („ლაქი“) (გიგინეიშვილი 2016).

დიალექტ. **II. ლაქა**: ◊ მათრახის ლაქა კუთხ. (იმერ.) «მათრახის ბოლოს მიბმული ფართო ტყავი» (ბ. წერეთ.).

### **ლაყაფ-ი:**

**ლაყაფი** – ქართულად ცუდ-მოუბარი. სპარსულად მეორე სახელი ZAB. – საბა.

საშ. ქართ. **I. ლაყაფი** მუდარა, ხვეწნა. აწე მე რაღას მამრალეზ, ლაყაფი აღარას გარგებს (შჰნ. III, 449, 22). ფრანგ არ შეისმენდ ალაყაფსა (შჰნ. III, 391, 3).

**ლაყაფობა**: ამბავნი... ვპოვენ და ლექსად გარდავთქვენ, ამითა ვილაყაფეთანი (ვეფხ. 1667, 4)

ახ. ქართ. **ლაყაფი** [სპარ. ლაყაბ „გრძელი წერილი“, «გრძელი სიტყვა»] ძვ. 1. უსაქმური ლაპარაკი, – ლაყაბობა, ყბედობა; ჭორი. ვინ ჩაგიგდებს ამას მწერლობად? უბრალო «ლაყაფიო», ჩაიხუმრებენ (შ. დად.). 2. ყბედი, ჭორიკანა. «ერთმა ლაყაფმა აზნაურმა ეს როგორ უნდა მოახდინოს?» (ზ. ანტონ.).

დიალექტ. **ლაყაფა** „ფინთათ მოლაპარაკე კაცი (ქართლ. მენთ.)

შდრ. **ლაყაბი** ძვ. ლაყაფი: მეც მომეწყინა ლაყაბი ბევრი (თეიმ. I). „ლაყაფ“-ის პარალელურად „ლაყაბ“-ის არსებობა, ალბათ, მიუთითებს ხალხურის პარალელურად ამ სიტყვის ლიტერატურული გზით შემოსვლაზე და მისი შემომტანიც ცდილა სრულად დაეცვა არაბული ბგერის ფონეტიკური თავისებურება (ლეკიაშვილი 1992, 57).

საშ. ქართ. **II. ლაყაფი** სპარსულად მეორე სახელი- საბა

**ლაყაფი** არაბული *la=iiba* ზმნიდან მიღებული ფორმაა, ხოლო სპარსულად მიჩნეული „მეორე სახელი“ არაბული *laqab* ლექსემაა. აქ უბრალოდ თანხმოვანთა სუბსტიტუციასთან გვაქვს საქმე. ამ ლექსემის ქართულში შემოსვლა XI-XII საუკუნეებს უკავშირდება (იმედაძე 2014, 68).

### **ლაყვა:**

საშ., ახ. ქართ. **I. ლაყვა** «წვიმის გუბე» (საბა). გზის კიდევებს ლაყვებში ჩამდგარი წუმპე ლომნის (ლ. ქიაჩ.). შდრ. **ლაკუა** წყლის საცავი, აუზი, ჭა. „წარვიდა იგი უდაბნოს აღმოსვლად წყლისა ლაკუსაგან“ (მ. ცხ. 422v). „ვინ უკუე ჯდა ლაკუსას მას და... წყალსა ცხორებისასა ვინ მისცემდა?“ (საკ. წიგნ. II, 17, 18).

**ლაცვა:** ჯურღმული ნაგები ZAB. ლაცვა ლათინთა ენითა წყალს ეწოდების, ხოლო ჩვენთა წერილთა შინა ჯურღმულად უჩენიათ (+ რომელი ნაგები იყოს C) – საბა.

საშ. ქართ. **II. ლაცვა / ლადვა** (არ. ლაცვა) ნერვის დამბლა. თუ სნეულსა პირისა სახენი და საფეთქელნი ემღეროდეს, *ლაცვასა* ნიშანი არის და (ქანან. 28, 15). ფილენჯისა, *ლაცუისა* და რაშასი (ფანასკ. 52, 30).

დიალექტ. **III. ლაცვა / ლაყო** ლოყა (მთ. კაიშ., დიალექტ., 568).

**ლაცლაყ-ი:**

საშ. ქართ. **I. ლაცლაყი** იმხივარი – დ. ჩუბ. I. იხ. ლაკლაკი.

საშ. ქართ. **II. ლაცლაყი** ლახლახი, რაკრაკი – დ. ჩუბ.

ახ. ქართ. **ლაცლაყი** 1. ხმა, რომელსაც გამოსცემს შენჯღრევისგან ლაცე კვერცხი ან სითხე ნაკლულ ჭურჭელში. ლაცე კვერცხიც ისეთს ეწოდება, რომელშიც ცილას და გულს *ლაცლაყი* გააქვს (ივ. ჯავახ.). || ხმა, რომელსაც გამოსცემს მოძრაობისაგან მოშვებული, მოზომებული რამე. 2. ნჯღრევა, რყევა. დანჯღრეულმა ზარმა დაიწყო თავისი უგემური ჟღარაჟღერი, პოვოსკამ – ქვებზე ხტომა და მე – *ლაცლაყი* ხან აქეთ და ხან იქით (ილია).

**ლებ-ი:**

**ლები:** ლებე ანუ ლები ეულად გამოითარგმანება, ესე იგი უპატრონოდ, უცხოდ და პატრონისაგან მოშორებულად ლებული, მიმოკუჭთებული. ესე ლებე გინა ლები ებრაული ლექსი არის, ხოლო დალებება დაჟეჟა და დაღურჯება არის ცემით ანუ დაკვრითა სხეულსა ზედა კაცისასა. ეს ქართული არის (თ. ბაგრატ.).

საშ. ქართ. **I. ლები / ლებე** ეული (თ. ბაგრატ.)

ძვ. ქართ. **II. ლები** ხორცის ან სხეულის რომელიმე ნაწილის სიღურჯეს, გამოწვეულს ყინვისაგან, ცემისაგან, ავადმყოფობისაგან. ამ მნიშვნელობით გვხვდება როგორც სახელური, ისე ზმნური ფორმები: „ჯორცნი, რომელნი მყინვარსა შეცვვიან, პირველად *ლებ* იქმნნიან შეყინებითა მით სისხლისადათ“ (ბ. კეს. – 40-თვის 119, 4).

**ლებ-**ფუძიანი სიტყვა ძვ. ქართულში მიემართება სულ- გულ სიტყვას და გადატ. მიუთითებს „ტანჯულ, წამებულ, გვემულ სულზე“. „[სული დაგესლებული ცოდვითა] უკუეთუ *შეკლებო* იგი ბრძმედსა შინა შიშისა ღმრთისასა, ყოველთაგან გესლთა უკეთურებისა მისისათა განწმიდნეს მცირედთა დღეთა და ბრწყინვიდეს“ (მ. სწ. 43, 22).

საშ. ქართ. ორგნით ჩანს *ლები* მჯიღისა მართ გულსა გარდანაკარისა (ვეფხტყ. 498, 2); თუ სნეულსა... ტანსა შიგა *ლები* გამოჩნდეს, მაშინ ხელსა ნუ მიჰყოფთ და ნურცა სწამლობ (ქანან. 123, 33). ჩემა მზემა, მთვარეს *ლები* დააჩნივა (არჩ. 199, 98, 4) შენთა სახმილთა ნადაღი გულსა მაჩნია სუ

ლები შენგან დაჭრილი ლახვრითა ვწევარ, მიგია სულ ლები (ნ. ციც. 425, 106, 3). აწ გაპარვაა წამალი ამა გულისა ლებისა (ვეფხისტყ. 786, 2).

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **III. ლები** „არჯასპი“, „მიწალები“ – საბა:

**ლები** სპევ. ჭაობიანი ნიადაგების ფენა მოლურჯო ფერისა (სინონ. გურ. მიწანელა). ამავე ფენაში იწყება ნიადაგის გაღებება, რომელიც სიღრმი-საკენ თანდათან მატულობს და გადადის *ლების* მთლიან ფენაში (მ. საბ.).

**ლები** (მოვ. ფშ. ვ.) კლდიდან გამონადული შაბის მსგავსი რამ (შრება, მლაშეა). ჯიკვი და ფსიტი ეტანება და ლოკავს. მონადირეებმა იციან ეს ადგილები. კლდიდან გადმოდის, შაბის გემო აქვს. საღებავად ხმარობენ (წითლადაც, შავადაც და სხვ.) ყოველგვარია (შან., ფშ., გოგატ., მოხ. ლუდ.).

**ლები** საღებავი სილა: ღია მოლურჯო ფერის ტალახი შალეულის შესაღებად (პ. ჭარაია).

**ლებ-** ფუძე დასტურდება სხვადასხვა ნაწარმოებ სიტყვებსა და სინტაგმებში.

**მიწალები:** (ზ. რაჭა, მრეწ. II, II, 1982, 195).

არჯასპი სომხურია ქართულად მიწალები ჰქვიან, შავის საღებავია – საბა. ჩვენი აზრით **მიწალები** კომპოზიტია: მიწა + ლები („ლურჯი, შავი“).

ზან. (მეგრ.) ლები: ტალახი, ლაქა; ლებონი ბინძური, ტალახიანი (ნ. მარი; მეგრ. IV, ქაჯ.).

გამოთქმულია მოსაზრება, რომ ლბ ← \*ლაბ || \*ლებ (ა-ლბ-ობ-ს) შდრ. მეგრ. ლიბ, ჭან ლიბ || ლობ (ერთელიშვილი 1970, 163).

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **IV. ლები** ლეიბი. ქართ. შდრ. შიგან იდვას ერთი მომცრო უკეთესი ორხოვა, ერთი *ლაიბი* (გარიგ. 75, 21)

**ლები** (იმერ. გურ.) იგივეა, რაც ლეიბი. ყველაფერი ღარიბული იყო... ტახტზე გაფენილი უზეწრო საბანი და ლები, სასთუმლად უნაგირის ბალიში (ნ. ლორთქ.). ოღრო-ჩოღრო ფიცრის ტახტზე ეწყო ჭილობი, ძველი ჭუჭყიანი ლები, ასეთივე საბანი და ბალიში (ე. ნინოშ.).

მატყელი ცოტუნია არი *ლებისთვინ*. *ლებს* ათი გირვანქა მატყელი უნდა (რაჭ. კობახ.).

**ლების გამოცვლა** აბრეშუმის ჭიის გადაყვანა ახალ თაროზე, ხარხიხაზე. „დიდი კანიდან რომ ამოვა, მეორე დღეს გაამეჩხრეფ, თან ლებს გამუცლი“ (აჭარ. ნოდ. 2008, 30).

ზან. (მეგრ.) ლები, ლეიბი. ლებიში პიჯი ლეიბის პირი (მეგრ. ქაჯ.).

შდრ. **ლაიბი** ლაიბების საპირე (ეკ. ისტ. III, 259, 1795). ლებები პირები ლეები ტილოსი (იქვე 258, 1796). სპარს. ლაჰიბ > ლაიბი > ლეიბი > ლეები (ქავთარაძე 1969). ბ. გიგინეიშვილი მიიჩნევს, რომ მეგრ. **ლები** და სვან. **ლებ** ქართულიდან ჩანს ნასესხები და ამ სიტყვებს უდარებს ლათ. levis „გლუვი“ – ბერძნ. leĩos „გლუვი“, „სწორი“ მნიშვნელობის სიტყვებს (გიგინეიშვილი 2016).



**ლეღ-ი:**

ძვ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. ლელი** შავფაფარა 2. წვრილი შავი ლერწამი ფართო და გრძელი ფურცლოვანი – დ. ჩუბ. მრავალწლოვანი ფესურიანი ბალახოვანი მცენარე (მარცვლოვანთა ოჯახისა). რომელსაც მაღალი წვრილი ღერო და წვერზე მსხვილი საგველა აქვს, გავრცელებულია მეტწილად ჭაობისა და მდინარის პირებზე – ქველ.

**ლეღი:** *juncus, pratum, carectum*: „ქუეშე თითოფერთა ხეთა დაწვს ჭილსა თანა, ლერწამსა და ლელსა“ (M, იობ. 40, 16).

მოლამ ღორის ქაშანზე დიდი ორმო ჩათხარა და ლელი წაჰპურა – საბა.

ჭყანტობი დაფენილია ლელით, ბუერით, ჯორისკუდათი (ვ. ბარნ.). შენტვის ვასუქე ირმები, ვადოვე ლელი, ქუჩია (ვაჟა). წალდიც ლელში ჩაიკარგა (გ. ლეონ.).

დიალექტ. **ლეღი** ბოსტნის სარეველა მცენარე ერთგვარი. ხახვსა ან თუ სხვა რამ ბოძტნულსა წმინდა ბალახი რო შეერევა და დაიტანს, იმასაც ლელს ეძახიან (წილკ). ნეტა რა გაუბედურებულებია, ქაა, ხახვები, მუხლამდინ ლელში იდგა, აღარც კი ეტყობა, რო იქა ხახვი მდგარა (წილკ.) (ქართლ. ლექსიკ.). ლელი წვრილი ლერწამი (მისგან სტვირს აკეთებენ) (ჯავახ. მარტირ.).

საერთო ქართვ. \*ლეღ- ქართულ-ზანური ერთიანობის პერიოდის ფუძეა. ქართული და მეგრული ენების მასალა შეაპირისპირა გ. როგავამ (როგავა 1945, 231). გ. კლიმოვმა ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისათვის აღადგინა \*ლეღ- და \*ლეღ-წ.ემ- არქეტიპები; \*ლერ-წ.ემ-არქეტიპები (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

ძვ. ქართ. **II. ლელი** სწორი, არა-ხუჭუჭი (თმა): „უკუეთუ მართლ განვიდის (ორთქლი), არნ თმაჲ იგი მწუჭუ და ლელ“ (გრ. ნოს. კაც. აგებ. 229, 2).

„და უკუეთუ ქვეულთა ორთქლთა აღიყვანებდეს გულარძნილთა და მიმოდრეკილთა ნესტუთაგან თავისა მიმართ, გრუზთა და ლულარჭნილთა თმათა აღმოაცენებს, ხოლო უკუეთუ თმათა აღმომაცენებელნი იგი ორთქლნი მართლ და წრფელად აღვიდოდინ – ლელთა და განმარტებელთა თმათა წარმოაჩენენ“ (საქართ. მუზ. ხელნაწ. A-55, 2400).

ჰშვენის აკრვა ლელსა (ვეფხ. 1420, 30).

ი. აბულაძეს კონტექსტის შესწავლის შედეგად დადგენილი აქვს ლელი რომ მიემართება თმას და აღნიშნავს ისეთს, რომელიც ხუჭუჭი კი არაა, არამედ სწორი და ვარაუდობს, რომ იგი შესაძლებელი მომდინარეობდეს სომხური სწორი, კარგი თმის აღმნიშვნელი სიტყვისაგან. განსხვავებას ქმნის უ, რომელიც დაკარგულია ე. ი. ძვ. (სომხ.) ულილი // ულელ ქართ. ლელი. ეტიმოლოგია უცნობია (აბულაძე II, 318).

**ლია:**

ძვ., საშ. ქართ. **I. ლია** ლამი, საფლობი ტალახი (საბა). ცხენი მისი შთაფლული იყო *ლიას* შინა (ქ. ცხ. IV, 536, 13). ლხინისაგან ლოდაკითა ლია ლამავს ლულა-ლულად (ვახტ. VI, 64, 21) თუ ცოლს მიეცა ქმარზედ უფლება / ქმარი *ლიაში* უკუეფლება (დ. გურამ. 267, 358, 2). ჯურღმულსა შიგან შთამადგო, შიგან დამიხვდა და ლია (თეიმ. I, 167,16,3). ...გარნა ბრძოლსა მას დაეფლა *ლიასა* ცხენი (თ. ბაგრატ. 62, 16).

შდრ. ძვ., საშ. ქართ. **ლიემპალი** ტალახი, ტლაპო: „ვიხილე კაცი ვინმე, რომელი დაფლულ იყო ვიდრე მუკლთადმდე *ლიემპალსა* შინა და უყესა მდინარისასა“ (მ. ცხ. 232v).

გზათა ზედა *ლიამპალი* დახუდათ (ქილ. 290, 2). შდრ. ლიამპარი (ზ.-იმერ. ძოწ.).

ახ. ქართ., დიალექტ. უეცრივ *ლიას* ჩაგეფლა ჰუნე (ს. ჩიქოვ.). 2. (ქართლ. კახ.) მოვარდნილი ან მიშვებული წყლის ღვარი ან გუბე. დაასხა და, რა დაასხა [წვიმამ] რომ სულ *ლიეები* წავიდა (ს. მგალობ.).

დიალექტ. **ლია** 1. სისხლის ღვარი. დანა სახეში დეერტყა და სახეზე ლია ჩამორბოდა (სვერი). 2. წვიმის ღვარი. წვიმდა და ლია გაგვდიოდა სულ (მანდაეთი). 3. გუბე; ლაფი, ტალახი. ლია დგას ყანეფში, რას გახვალ (წყალშავი, ზ.-იმერ. ძოწ.). **ლია-ლიად** გუბე-გუბედ. ეს როგორი მორწყულია, კვლებში ლია-ლიადა დგას წყალი (ტყვ., ქართლ. ლექსიკ.).

ზან. **ლია** მოვარდნილი და დაგუბებული წყალი ლიამპალი (მეგრ. ქობ.).

ირკვევა, რომ ლია ორნაირი ყოფილა: ერთი, როგორც ეტყობა, უმცენარეო საფლობს წარმოადგენდა, და მარტივად ლია-დ იწოდებოდა, მეორე კიდევ ისეთ საფლობს, რომელშიც ზოგიერთი მცენარეულობა, ალბათ, საზას თქმისა არ იყოს, ლერწამიც, იზრდებოდა. ასეთ ადგილში წყალმრავლობისაგან მცენარეულობა, რასაკვირველია. საფიქრებელია, რომ სწორედ ამნაირ საფლობს უნდა ჰრქმეოდა ლიამპალი (ჯავახიშვილი V, 1986, 138).

ნიაღვარ ← \*ლია-ღვარ; ნია ← ლია: \*ლია-ღვარის მოკლებული სახეობაა ლია-ღვ (ლიადვი მომატებული, ამღვრეული მდინარე ლეჩხ.), ხოლო შესაძლოა ამ უკანასკნელში ღ-ს დაყრუების შედეგად იყოს მიღებული ჰიდრონომი ლია-ხვი > ლიახვი (ერთელიშვილი 1980, 132).

საშ. ქართ. **II. ლა, ლია** მფრინ – დ. ჩუბ.

**ლეი** [აზ. დიალ. = ქორი] ალალი (ფრინგ.) (ინგ. ჯან., ღამბ.).

**ლია III.** (ძვ.-ებრ.) დეკეული – ა. სიხ.

**ლია** (ძვ.-ებრ.) ანტილოპა – ა. სიხ.

**ლია IV.** (ძვ.-ებრ.) დაქანცული, დაღლილი – ა. სიხ.

**ლიბრი-ი:**

ძვ., საშ. ქართ. **I. ლიბრი** თეთრი ლაქა თვალის გუგაზე, ბისტი, კატარაქტა, „ლურჯ-მოიისფრო“ (საბა); ჩალურჯებული (ნ. ჩუბ.). **ლები, ლიბრი**, „დალურჯებული ტანი ან ფერი, ლურჯ-მოიისფრო, ლიბრი, ლები „ჩალურჯებული“ – დ. ჩუბ.

**ლიბრი** „ლიბრი“. ლიბრი თვალზედ რომ თეთრი გარდაეკვრის (თ. ბაგრატი.).

„ვისნი ლ[ე]ბილ არიან თუალნი“ O, — „ვისა ლიბრი თუალნი“ (პბ., იგ. სოლ. 23, 29).

ახ. ქართ. [დანელიას] ზედ (თვალზე) თეთრი ლიბრი გადაჰკროდა (დ. შენგ.). ეგ (ემმაკვი) თვალში ლიბრს აკეთებს, კაცს აბრმავეს (ი. მაჩაბ. თარგმ.).

დიალექტ. **ლიბრი** 1. ცხიმოვანი თხელ აპკივით ზედაპირზე გადაკრული რამ. ამ სალესავ ლიბრი მოეკიდა, გარეცხე, თორე, აღარ ლესამს. 2. თვალის გუგაზე გაჩენილი გარსოვანი აპკი. თვალზე ლიბრი გადაეკრა, იმიტვინ ვედარ ხედამს (ჯავახ. ზედგ.).

ძვ. სამედიცინო წიგნებში ამ მნიშვნელობით დასტურდება **რიბელიც** (ფანასკ. 72, 4).

საშ. ქართ. **II. ლიბრი** ლურჯი ფერი. (კმალე) კარგი და გამორჩეული ეს არის, რომელ გვარიც იყოს... ლიბრი იყოს და და არა თეთრი, ზომიერი სიგრძით და სიპტყითა (ვისრ. 6, 25). ნიშადური სამი რიგია: ერთი ისპაანისა, ერთი ლაჰურისა... ლაჰურისას, მინასავით გასჰვირს და ლიბრია (ზეთ. 78, 34).

ახ. ქართ. ეს მხურვალეა... სულ სხვაგვარია, უფრო ჩუმი, მქისი და მძიმე ლიბრი ფერიც აქვს (ო. ჩხ. 122, 17).

დიალექტ. **ლიბრი** ჭრელი. „უღლათ ხარებს არ დამჯერდნენ, ზედ დავადე ლიბრი ცხვარი“ (აჭარ. ნიჟ.).

**ლიბრი ლობიო:** „ლობიოს ჯიში ერთგვარი. ლიბრი ლობიო უბეწვო გამოდის, მარცვალი წაწითალო აქ, ხახვის ფურცელში რო კვერცხ შევლებამთ, ისეთი“ (ერედ., ქართლ. ლექსიკ.).

**ლიბრი მიწა:** ღვინობისთვიდან ცოტა ლიბრ მიწას, უფრო დაკმენდილი ფერი აქვს (ზ.-ქართლ. მრეწ. I, 1976, 34).

დიალექტებში ამავე მნიშვნელობით დასტურდება **ლიბერიც**. ლიბერი თეთრი, ოდნავ მორუხო-მოიისფრო ელფერით“. კარტოფილის ფქვილი უფრო ლიბერია თუ კრახმალი? წისქვილში ფქვილი შემეცვალა, ეს ლიბერია (ზ.-იმერ. ძოწ.).

**ლიბერი** მომკრთალო, გაურკვეველი ფერი (გურ. შარაშ.); ფერმკრთალი, მკრთალი ფერის (რაჭ. კობახ.).

წისქვილისფერს იმიტომ უმახით რომ, მაშინ აბრეშუმი იქნება ლიბრისფერის და წისქვილისფერი ხომ ლიბრისფერია (ქვ.-იმერ. მრეწ. IV, II, 61).

**ლიბრი:** რომ შემოღამდებოდა, დედაჩემი იტყოდა ლიბრი ჩამოწვაო (ცნობა მოგვაწოდა მ. გალდავაძემ). **ლიმბრი / ლიმბრაი** ქობულეთურ კილოკავში მუქი ლურჯი ფერია (აჭარ. სურმ. VII, 3).

იხ. აგრეთვე: ახ. ქართ. **ლიბრედი** მუქი ფერი, საშუალო თეთრსა და შავს შორის (დიალ.); თუთუნის ბოლში *ლიბრედად* მოჩანან სარდაფის კედლებზე გამოსახული ადამიანები (რ. გვეტ.).

არაა გამორიცხული **ლიბრ-ფუმის** კავშირი სიტყვასთან **ლები** „ლურჯი, დაღებება „დალურჯება“, თუმცა ლიბრის დანაწევრება გარკვეულ სიძნელეებს აწყდება (გიგინეიშვილი 2016).

საშ. ქართ. **III. ლიბრი:** თავხედი; უტიფარი; ლირფი, ლირწი, ურცხვი, გლისპი (დ. ჩუბ). **ლირბი** სომხურია, თ ა ვ ჯ ე დ ს ა, გინა უ რ ც ხ ვ ს ა ჰქვიან ZAA. – საბა.

შდრ. **ლირბი** ურცხვი, უნამუსო, გლისპი: „ურცხვნოჲ და ლირბი პირი, რომელი იტყოდის ღმრთისათჳს სიცრუვესა, აღივსოს გინებითა (A, სბსტ. 132, 18). **ლირფი** – ქეგლ; **ლიფრი** მლიქვნელი, პირფერი, მატყუარა. დიალექტ. მაგრაინ *ლიფრ* კაც რა დაეჯერება (ჯავახ. ზედგ.).

#### **ლიმონ-ი:**

საშ., ახ. ქართ. **I. ლიმონი** [Citrus limon] ციტრუსოვანი ხე. რამეთუ თვნიერ ნარინჯისა, თურინჯისა, *ლიმონისა* და ზეთისხილისა, ნაყოფიერებენ ყოველნი (ქ. ცხ. IV, 535, 24).

**ლიმონი:** მისი თხუთტმეტწლიანი ორი *ლიმონის* ხე მთელ რაიონში თითოთ საჩვენებელი იყო (ლ. ქიაჩ.). 2. ამ ხის ნაყოფი. [ნინოს] ხელში უჭირავს ერთი *ლიმონი* (აკაკი).

საშ. ქართ. **ლიმო:** ქაღალდი ქვისაგან აროდეს შეიქმნების და არცა ღუინო-ლიმოსაგან (ვისრ. 257, 6); აგრეთვე: (რუსუდ. 452, 33).

თანამედროვე ქართული **ლიმონი** საშუალო ქართული ლიმო-ს გაგრძელება არ უნდა იყოს. ის ნასესხები ჩანს, მაგრამ არა ახალი ბერძნულიდან (ახ. ბერძნ. limóni), რომელთანაც მისი შემოსვლის დროს (არაუადრეს მე-19 საუკუნისა) ქართულს კონტაქტი არ ჰქონდა, არამედ, საფიქრებელია, რუსულიდან ან იტალიურიდან). შდრ. რუს. лимон, იტალ. ლიმონე (გიგინეიშვილი 2016). შდრ. ინდ. – სპ. ლიმუ.

საშ. ქართ. **II. ლიმონი** ნავსადგური. **ლიმონა, ლიმენა** „ლიმენა ელენებრივ ნავთსაყუდელი“ – საბა. რომე დელვაგვემულსა *ლიმონის* პირი გუაჩუენოს და ამა შეჭირვებისაგან გვილხინოსო (ქილ. 503, 15). *ლიმონში* დაისადგურეს (ქ. ცხ. II. 360, 19).

შდრ. ლიმანი (ბერძნ. -თურქ. ლიმან) ნავსადგური.

ახ. ქართ. **III. ლიმონი** ჟარგ. მილიონი (ლ. ბრეგ.).

**ლიფ-ი:**

საშ., ახ. ქართ. **I. ლიფი** გასანთლული ნარმა – საბა. დ. ჩუბ. ლიფვა, გავსანთლავ, სანთელს წავუსვამ – დ. ჩუბ. შდრ. (სპ.) ლიფ.

საშ. ქართ. **II. ლიფი** ლიფლიფი. დამესა გულის წვით ათენებდა, და ღვიძლი ლიფსავით ენთებოდა (ქილ 939, 27). შდრ. **ლიფლიფი** ფანარი – საბა.

ოთახში... ენთო ლიფი, რომელიც თუმცა ცრიატი იყო, მაგრამ საკმარისი იყო დედა-შვილის დასანახავად (ი. იკოთ.).

ახ. ქართ. **II. ლიფი** [ჰოლან. lif რუს. ენის მეშვ. ] ქალის ან ბავშვის ტანისამოსის ნაწილი, წელს ზევით მჭიდროდ ჩასაცმელი, უსახელოებო.

დიალექტ. **III. ლიფი** ტალახი, მწვირე; გალიფული დასვრილი, და-ზანგული (იმერ. ბერ.).

ვფიქრობთ, რომ ლიფი < ლაფი; ლაფი კი ჰრ. აჭარიანის აზრით შემოსულია სომხურიდან (გიგინეიშვილი 2016).

**ლომ-ი:**

ძვ., საშ., ახ. ქართ. **I. ლომი** leo: „ვბო და ლომი და ზუარაკი ერთად მოვდენ“ (I ეს. 11, 6). „ვითარცა ლომი იზახებდეს“ (ო, ოვსე 11, 10).

ლომ-ვეფხი მოვიდეს ერთგან რებულნი (ვეფხ. 908, 1). ლომი გადატ. „რაინდი“ ლომი იგი ლომთა (ვახტანგ გორგასალი) (ქ. ცხ. II, 17, 20).

მელიის მფარველობასა, ლომმა შემჭამოს ჯობიაო (ანდაზა). ლომს ნადირთ მეფეს ეძახიან (ი. გოგებ.). || ფიგურ. საშინელის წამის დროს ძმანი ხერხეულიძენი არამც თუ არ შედრკნენ, არამედ ლომებად გადაიქცნენ (ი. გოგებ.). 2. გადატ. ძლიერი, გულადი, უშიშარი, გამბედავი (შდრ. ლომ-გმირი). სიბერე ახლავს, მარამ ჯერ კიდევ გულით ჭაბუკი, სიმხნით ლომია (აკაკი).

**ლომი** ნაირგვარი წარმოებით და მეტაფორულად დასტურდება ქართულში. ამ სიტყვის სემანტიკური ცვლილებების შესახებ ახალ ქართულში იხ. (გვანცელაძე 2009).

ლომი ეტლი, ზოდიაქო. ოდეს ლომსა შეჯდეს მზე (ვეფხ. 1201, 3).

ერთი დიდი ლომი რომლის შიშითა ცის გრკლისა ლომი ღრუბელსა პირსა აფარებდა (ქილ. 733, 5).

ლომი [ფელის ლეო] უძველესი სიტყვაა ქართულში. „ლომ“ ფუძეს შეიცავს სამივე ქართველური ენა. „ლომის“ აქადური სახელწოდება, „ძველებრაული, – „ლზბ „რომლებთანაც ფონეტიკურად ერთობ ახლოა ქართული „ლომ“-ი (მაჭავარიანი 1989, 93).

ახ. ქართ. **II. ლომი** [რუს. лომ] ძალაყინი. [თორღას] პატარა რკინის ლომი ეჭირა (ა. ყაზბ.). ლომებით შეანგრის რკინის ჭიშკარი (კ. გამს.). დაჰკათ, ძმებო, დაჰკათ ლომი, მარგანეცი ვაპოთ (გ. ქუჩ.). აგრეთვე დილექტ.: (აჭარ. მრეწ. IV, III, 229; ზ.-იმერ. მრეწ. I, 273; ქიზ. მრეწ. I, 86; ოკრ. ალავ. X).

**ლომა:**

ძვ. ქართ. **I. ლომა** წვრილი ფული (სირ. lumā): „ვაჭარმან მან თქუა სასყიდელი ყურმნისაჲ მის, და ეპიფანე მოილო *ლომა* დადებად ვაჭრისა მის“ (საკითხ. წიგნი II, 117, 3).

საშ., ახ. ქართ. **II. ლომა** ძვ. ღონიერი კამეჩი (დ. ჩუბ.). || ბაცი შავი, მოჩალისფრო შავი კამეჩი (ჩვეულებრივი ასეთი კამეჩის საკუთარი სახელია). „ბიჭო, ქაჯანა, წამო, ე ჩვენს *ლომა* კამეჩზე შეგსვა!“ (ნ. ლომ.). || ხარის საკუთარი სახელი. აჟანას ხარებს, – *ლომას* და ჭოქას, – ჩააბეს თოვი და მისცეს ერთ ვაჭარს (ე. ნინოშ.). 2. ქართლ. მთიულ.) საქონელი, რომელსაც ზურგზე თეთრი ზოლი გასდევს თასმასავით («დიალ.»).

დიალექტ. **ლომა** ჯიხვზე ნადირობა არ შეიძლებოდა: წმინდა ნადირია და მიტომ (რაჭ. კობახ.). შდრ. I. ლომი.

დიალექტ. **III. ლომა** ქიზ. წყალი, რომლითაც მეჭურჭლე თიხის ჭურჭლის კეთებისას ხელს ისველებს. *ლომას* ძველად ტალახს ვეტყვოდით (ქართ. მტკვრ. ჩრ. მრეწ. I, 235).

**ლოტო:**

ახ. ქართ. **I. ლოტო** [ფრან. loto] 1. აზარტული სათამაშო, რომელიც შედგება ციფრებიანი მუყაოს ფურცლებისა და კოჭებისაგან; ვაჭრის ცოლები... დასხდებიან გასიებულები და ძლივსღა ქშინავენ ლოტოს თამაშობაში (რ. ერისთ.). || თამაში ამ სათამაშოთი. [ქალებმა] ლოტო გააჩაღეს (რ. ერისთ.). 2. იმავე პრინციპზე აგებული აღმზრდელითი ხასიათის საბავშვო გასართობი, სადაც ციფრები შეცვლილია ნახატებით. ბალი მომარაგებულია საბავშვო *ლოტოებით* («სახალხო განათლ.»).

ახ. ქართ., დიალექტ. **II. ლოტო** (იმერ.) სწორტანიანი, კარგად ტანაყრილი (მცენარე, ხე) (ზ. წერეთ.). «საუკეთესო სამასალო *ლოტო* ხეებია ჩვენში» (ზ. წერეთ.). რიონის ჭალებშიც იშვიათად მინახავს ასეთი ძარღვიანი, ლოტო სიმინდი...; ზედა ტაროს კაცი ძლივს შესწვდებოდა (კ. ლორთქ.).

შდრ. **ლიტაო** სწორად აზრდილი ხე – ქეგლ.

ვეჭვობ, რომ სიტყვა ბერძნული წარმომავლობის სიტყვა ლიტონიდან უნდა მომდინარეობდეს იხ. ლიტონი < litos (აკუზ. liton) „გლუვი“, „მარტივი“, „უბრალო“ (გიგინეიშვილი 2016).

**ლოხმა:**

ახ. ქართ. **I. ლოხმა** ლუკმა. **ლოხმას** უფრო უწოდებენ აქლემის სადექ ლუკმას: დროს გასატარებლად აქლემს ცომს ჩაუდებენ პირში და აქლემიც ღეჭავს და არ კი ჰყლაპავს. ხშირად ადამიანი თუ უშნოდ ილუკმება, – ეტყვიან: კაცო, რა აქლემის *ლოხმასავით* ღეჭავ მაგ პურს, გაათავე და მორჩი რაღაო. „მაშ არა და შენსავით უმი ხაშლამა ვიქნები, სანამ რამეს ვი-

ტყოდე, სიტყვებს აქლემის *ლოხმასავით* პირში ვლექავდე“ (გ. სუნდ., „პეპო“, 1880 წ., 13) – ი. გრიშ.

ამავე მნიშვნელობისაა ძველ ქართულსეული **ლუკმა** ნატეხი, ნაჭერი, ულუფა: „ჰნებავს, რადთამცა ტაბლად გარდაგებული მრავალთაგან კეთილთა, ერთ *ლუკმადმცა* შთაიდვეს“ (მ. ცხ.126v).

შდრ. არაბულსა და სპარსულ ენებში დადასტურებული ლექსემა – [lukმა // loqm/a/e] – 1. პატარა ნაჭერი; ლუკმა; 2. წვერი (რალაცის) (ბართაია 2010).

ახ. ქართ. **II. ლოხმა** (კახ.) იხ. II. ლომა. «დაზგაზე ჯამი გვაქვს დაკრული, შიგ *ლოხმას* ჩავასხამთ ხოლმე და მუშაობის დროს ხელებს ვისველებთ» («დიალ.») – ქეგლ.

### ლუქ-ი:

სამ. ქართ. **I. ლუქა/ლუქი** მგლის ხორხა. ბალახია. *ლუქი*, ზაფრანი და მწუანე წყლის მხავსი, ესე ყუალა მსივანსა თავზედა შემოსდვას (ფანასკ. 14, 26). სამცი, *ლუქი*, გილიერმანიცა მოუმატე (ქანან. 74, 4).

ახ. ქართ. **II. ლუქი** მუქწითელი ფისი, რომელსაც ხმარობენ რისამე დასაბეჭდად (მაგ., პაკეტისა, კარისა და სხვ.). კარებს *ლუქი* დაადეს. – ლუქის გატეხა. – შიკრიკმა ბატონს გადასცა ბარათი, *ლუქით* დაბეჭდილი (ნ. ლორთქ.). შდრ. არაბ. lak'k'a(t) („კუპრი“, „ლაქი“, „ლუქი“), აგრეთვე: (თურქ.) laka (ლაქი) (გიგინეიშვილი 2016).

## მ

### მაგალით-ი:

ძვ., საშ. ქართ. **I. „მაგალითი** არს რომელიმე გენეზის ქმნა ტაძრისა, სახელისა, გინა კარვისა, ანუ ხატთა და ყუავილთა, აჩვენენ და წინა დაუდვა იგი, რათა მსგავს მისსა ყონ“ – საბა.

**მაგალითი** «იგავი; ნიმუში; პირმშო»: „ვეზრახი მას ხილვით და არა მაგალითთა მიერ“ G,– „ვეტყოდი მას ხილვით და არა იგავით“ (pb., რიცხ. 12, 8). „მატყარნი ანუ მწერალნი პირმშოსა მას ხატსა ანუ წერილსა განიცდიან, რამეთუ ვერ ძალ-უც ჯეროვნად გამოწერად, უკუეთუ არა ხედვიდენ *მაგალითსა* მას წინამძღურად საქმისა თვისისა“ (A – 92, 974). „არარადასაგან დაჰზადნა და თვნიერ *მაგალითისა* გამოსახნა“ (ბალ. 71, 17).

**მაგალითება** მსგავსება: „მერმეცა დაიყენების მღელმოქმედებისაგან მქონებელიცა მღიერისა ძნელისა, რომელი *ემაგალითებოდედ* უწესობასა ვნებათასა“ (გელ. ბიბლ. 64v, 28-31).

**მაგალითად** სამაგალითოდ, სანიმუშოდ. ძიძა *მაგალითად* გრძნეული იყო (ვისრ. 70, 21).

არსებობს მოსაზრება რომ 1. მაგალითი < (სომხ.) მაგალათ, მაგრამ 3. აჭარიანი თვითონ სომხურშიც ნასესხობად მიიჩნევს (3. აჭარიანი); 2. ბ. გიგინეიშვილს შესაძლებლად მიაჩნია, რომ იგი მომდინარეობდეს ბერძნულ მეგა-ლიტოს-ისაგან („დიდი ქვა ნიმუშად, ნიშნად აღებული“) (გიგინეიშვილი 2016).

საშ. ქართ. **II. მაგალითი** ეშმაკი, ცბიერი, მატყუარა. სახლიმცა აუოჯრდების ვიროს, რომელ უსჯულოისა და *მაგალითისაგან* კიდე არა გამოვა შენისა გუარი! (ვისრ. 109,18). **მაგალითობა** სიცრუე, ცბიერება, ეშმაკობა. ჩემზედა მოიჭმარა, რაცა შეეძლო, მისი *მაგალითობა* და ბიჭობა, ქენება და შეხუეწა (ვისრ. 100, 17). ამ ნიშვნელობის მაგალითი, ვფიქრობთ უკავშირდება სპარსულ მოღალატის მნიშვნელობის მაგალითი-ს .

### მაზა:

ძვ. ქართ. **I. მაზა** მასა, წონა: „მოვწენლმან ხლამჯდასა სამეუფოსა, ოქროსგან ვიდრემე ყოველსა ქსოვილსა, ხოლო *მაზასა* ოქროდსასა საწონსა მომღებელსა სიკლათა ორასთასა, ... დაჰფლა“ (ფლავ. 5: 1, 10). შდრ.  $\mu\alpha\zeta\alpha$  ბერძნ. მასსა

საშ. ქართ. **II. მაზა** თვალსაჩინო რამ, შესანიშნავი, სანუკვარი... – საბა, დ. ჩუბ.

**მაზა** ღვინის შესატანებელი ვერ ვნახე (შჰნ. III, 226, 30). ღვინო და მისი *მაზა* [მიართვეს] (ხოსრ. 35, 32).

**მაზა** გემო. ტკბილეული იყნოსე *მაზად* (ბეს. 165, 18). შეიტკბე, ჩვენ თქვენთვის მოვამზადებთ კარგს *მაზასაო* (დ. გურ. 146, 572, 2). ხილზედ დასხდეს, მოიტანეს უცხოები ბევრი *მაზა* (არჩ. 226, 221, 2). გადატ. გასძო-



წებოდეს ბაგენი, უკვდავებისა *მაზები* (თეიმ. I. 67, 113, 4). ხან ერთმანეთს მაზას აძლევდენ პირით ლაშებიდან (ხოსრ. 66, 1).

ახ. ქართ. **მაზა:** [ბატკანი] კარტოფილსა და ხახვს კაი *მაზასავით* ახრამუნებდა (თ. რაზიკ.). 2. გადატ. მშვენება; შნოსა და ლაზათის მიმცემი. ია ტყის თვალი, ტყის *მაზა!* (ი. გრიშ.). „მშვენიერი გოჭი გახლავთ. თქვენებურად შემწვარი, სუფრის *მაზა* იქნება“ (ვ. ბარნ.).

დიალექტ. **მაზა** სასურველი საჭმელი, დესერტი. „მაზად რად მიირთმევთ?“ (ქიზ. მენტ.).

შდრ. (სპ.) მაზე გემო „გემო“ (ფერეიდ. ჩხუბ. 249).

აგრეთვე: დიალექტ. (ქიზ. მენტ., ფშ. ქეშიკ., ჯავახ. ზედგ.).

1. ს.-ქართვ. \*მაზ-ა- მომწამლავი, მათრობელა (თაფლი)“ > ქართ. მაზა-, მაზა-ო: ზან. ნოზ- (< \*მოზ-): სვან. მანზა-უ (\*< მაზა-უ) (ჩუხუა 2000-2003).

2. მაზა სპარსულად იწერება და იკითხება ასე [maza/e/] // [maʒa/e/]. მისი მნიშვნელობებია – შეგრძნება, რომელიც რაიმეს გასინჯვის შემდეგ დარჩება; სიტკბო, სიმჟავე. მცირე საჭმელი, რომელსაც სასმელთან ერთად მიიღებენ (ბართაია 2010).

დიალექტ. **II. მაზა.** სასიამოვნო, მოსაწონი; მაზა ქალი სასურველი, კარგი ქალი (ქართლ. დლ.).

ს.-ქართვ. \*მაზ-ა „კარგი“. სიტყვა განმარტოებით დგას ქართულში, მაგრამ ფუნქციური წარმომავლობა ახასიათებს; გამომდინარე იქიდან, რომ მეტად სარწმუნოა შესატყვისები სინდურ (და არამხოლოდ) ენებში (ჩუხუა 2017).

დიალექტ. **III. მაზა** სულელი ადამიანი. „შენ ცარიალ მაზა ხარ“. შდრ. ქართლ. მაზალო (ინგ. ასრათ.). მაზალო 1. ძვ. კოხტა, სასიამოვნო. 2. ახ. ვულგ. უცნაური, ახირებული (ბართაია 2010).

### მაზრა:

საშ., ახ. ქართ. **I. მაზრა** თემი, სამოურავო, საერისთო. ერთის მაზრის სასამართლო – დ. ჩუბ.

მთიელთა შემოსევისაგან დაზღვეულ ამ *მაზრებს* ნეტარებით უნდა ეცხოვრა (ალ. ჭავჭავ.).

**მაზრა:** ძვ. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული ძველ რუსეთში (გუბერნიის შემადგენელი ნაწილი). რუსის იმპერია დაყოფილია გუბერნიებად, გუბერნიები – *მაზრებად* (ილია). 2. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული საბჭოთა კავშირში რაიონებად დანაწილებამდე. || ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული ზოგ მოკავშირე საბჭოთა რესპუბლიკაში (მაგ., ლიტვის, ლატვიის, ესტონეთის და მოლდავეთის რესპუბლიკებში).

ახალი ქართული **მაზრა** „გუბერნიის“ გაგებით. აგრეთვე დაკავშირებულია მარზ-თან „საზღვარი, კიდე, ქვეყანა“. შდრ. მარზაპანი. შეიძლება სიტყვა მაზრა სირიული გზით მოდიოდეს. საშ. სპარს. მარზ: საზღვარი, ქვეყანა, კიდე“ ქართულში მეტათეზისი გვაქვს: **მარზა** > **მაზრ** (შდრ. მაზრაკი და მარზაკი) (ანდრონიკაშვილი 1966, 340).

დიალექტ. **მაზრა** საზიარო საძოვარი რამდენიმე ოჯახისთვის. „ჩონ ეილაღზე რო მივდივართ, იმას ხო ბიაბანი აქს, ბიაბანი გაყოფილია, რაქ-თენ კომლს საშერიქო („საზიარო“) მიწა აქ, ეს არი მაზრა, მისაც მამული არა აქ, იმას მაზრა არა აქ (პ. იოსელიანი; ფერეიდ. ჩხუბ.).

**მაზრა** საზღვარი, ქუეყანა, ოლქი. ხარგა დავდგი, არ *მაზრები* (ვეფხ. 431, 3). მოწსა მარგალიტი გარე ტურფად *მოემაზრა* (ვეფხ. 536, 3). ალ. გვახარია შენიშნავს, მართალია, ქართულ ლექსიკოგრაფიაში „ხარგა“ განიმარტება, როგორც „ბეწვიანი ტყავის ან ნაბდის კარავი“, თუმცა „ვეფხის-ტყაოსანს“ უფრო მიესადაგება სპარსულ ლექსიკონთა განმარტება: „ხარგაჰ“ – „დიდი, მრგვალი სამეფო კარავი“. მას კონტექსტით უპირისპირდება „მაზრები“, როგორც „მცირე, სალაშქრო კარავი“.

ავტორის აზრით, „მაზრები“ მომდინარეობს არაბული ზმნიდან „დარაბა“ (დაარტყა, სცემა), მიღებული მადრიბ (მადრაბ)–იდან, რაც ნიშნავს როგორც კარვის დასაცემ, გასაშლელ ადგილს, ბანაკს, ისე – საკუთრივ კარავს, ნაბდის კარავს, დიდ ჩარდახს, კარვის გადასახურავ ქსოვილს ან სახელდახელო ნაჭრებით შემოზღუდულ ადგილს სახურავის გარეშე. ავტორი თვლის, რომ სწორედ ეს სპარსული გზით შემოსული სიტყვა („მაზრები“) გვხვდება „ვეფხისტყაოსანის“ განსახილველ ტაეჰში, სადაც ერთმანეთს უპირისპირდება „ხარგა“ და „მაზრები“ და ორივე მხოლოდობით რიცხვშია (გვახარია 1989, 28- 34).

საშ. ქართ. **II. მაზრა** // **მაზარა** მანდვია, პალეკარტი, შავი ზედ წამოსასხამი, საბერო, მხრებში ნაოჭებიანი – დ. ჩუბ. თავსა ჯილით ადგიმალღებ, წამოგასახმ განა *მაზარს!* (თეიმ. I, 203, 117, 3) კათალიკოზმაც იმათ შავი *მაზრები* გადააფინა (ალ. ორბელ. 132, 6).

ახ. ქართ. მაზარა 1. სამხედრო ფორმის პალტო, – ფარაჯა. ერთი ქოხის წინ კაცი დგას, ტანზე აცვია მაზარა (ვაჟა). 2. ძვ. «ზედ წამოსასხმელი» (საბა).

ძვ., საშ. ქართ. **III. მაზრა**: მაზრაკი სათხედი, ბუნ-მოკლე ლახვარი – დ. ჩუბ. **მაზრაკი** ხელშუბი. „პირველად ვიდრემე *მაზრაკითა* უკუნ-აქცინა მრავალნი“ (ფლავ. 14: 15, 5).

**მარზაკი, მაზრა, მაზრაკა** შუბის სახე, ლახვარი, „გურზი“. მაზრაკი (ანდრონიკაშვილი 1966, 339). მარზაკი წარმოადგენს ახ. სპ. არაბულ ფორმას \*ვაზრაკ, რომელიც არაბულში გადავიდა mizrāk-ის სახით აგრეთვე: ბიბლიაში დადასტურებულია ვაზრიც (ანდრონიკაშვილი 1966, 339).

**მაია:**

საშ. ქართ. **I. მაია** (სპარს.) თავნი, სათავნო ამხანაგთა – დ. და ნ. ჩუბ.

შამის ხელმწიფემან გაგზავნა კაცი და ასი აქლემი *მაია* სთხოვა, შავ-თვალი დუმა, მალი, წითელბეწვიანი (მეფ. სალ. 376, 25).

დიალექტ. **II. მაია** მაია (სპარს.) მაჭიკი, დვრიტა, კვეთი (აჭარ. ნიჟ.).

**მაია** (თურქ. maya) საფუარი, დვრიტა...პურის *მაია* ილქნორას მუა-ტანიე (ინ.). „პურის *მაია* პურის ჟავე ცომია“ (ინ., ჩვენ. ფუტკ.).

**III. მაია** (სანსკრ.) ძველი და შუა საუკუნეების ინდური რელიგიის, ფილოსოფიისა და კულტურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და ყველა-ზე უფრო უნივერსალური ცნება, -პირველად აღნიშნავდა შამანის, მოგვის ან ქურუმის უნარს სასწაულების მოხდენისას – მ. ჭაბ.

**IV. მაია** ჯგუფი ენეობრივად მონათესავე ინდიელი ხალხებისა, რომლებიც ცხოვრობდნენ მექსიკის ჰონდურასისა და გვატემალის ტერი-ტორიაზე – მ. ჭაბ.

**V. მაია** (ბერძნ. Maia, თათ. Masa) ბერძნულ და რომაულ მითოლოგი-აში უფროსი პლეადა, ჰერმესის დედა – მ. ჭაბ.

**მალ-ი:**

საშ. ქართ., დიალექტ. **I. მალი** ერთი მჯარე სართულისა – საბა.

**მალი** ნაწილი, მონაკვეთი ნაგებობისა სვეტებს, ბოძებს შორის. ე ბალკონსა შუშაბანდი უნდა გაუკეთოთ ორ *მალზედა*, ასე, კუთხეშია (ერედ.). ბოსელი გვეკონდა ოთხი *მალი* (ქართლ. ლექსიკ.). აგრეთვე: (ქართლ. მტკ. სამხრ. მრეწ. I, 238, ზ.-იმერ. ძოწ.).

დიალექტ. **II. მალი** სიმი, ალყა.

**მალიცი** (ხევს. თუშ.) ხის პატარა სოლი, ჩარჭობილი ფანდურის ყელში; დაკვრის დროს თითებს იცვლიან მასზე – ქეგლ. ფანდურის ყელს ზევითა ნაწილში, 3-5 მალი, ანუ *მალინკი* აქვს, რომელსაც საქცევიც ეწო-დება (ჯავახიშვილი 1990, 103).

საშ. ქართ. **III. მალი** (არაბ.) (ფულადი გადასახადი). მალი სახელმწი-ფო, ყოველწლიური, პიროვნული გამოსადები იყო, რომელსაც იხდიდნენ საქართველოს უმთავრესი ქალაქების, როგორც სამეფო-სადედოფლო, ასე-ვე საეკლესიო და კერძო საბატონო, ყმა ვაჭრები და ხელოსნები (მესხია II, 1983, 330).

[ალექსანდრემ] დასდვა კომლზედ ექუსი შაური, ყოელსა წელიწად-სა ამ *მალს* გამოართმევდა (ქ. ცხ. II, 340, 13). მდივანბეგის კაცმა *მალიც* გამოართვაო (სამ. IV, 571, ქვ. 9). მამლევდიან ხარაჯასა და *მალსა* (რუსუდ. 408, 20). უბრძანა თუ: „ჩინეთს წადი, გამოართვი წლისა *მალი*“ (ნ. ციც. 418, 72, 3). ყოველსა წელიწადსა ამა *მალს* გამოართმევდა (ბ. ეგნატ. 699, 10). ჰკუირობდა მისი მნახუელი, სად იყო ეზომ *მალია* (ფემ. 100, 4).

აგრეთვე (ფერეიდ. ჩხუბ.) **მალი** (არ. mal) ქონება, საკუთრება, საქონელი, ნივთი. გაი ჩარში და დეიძახე: – რუს *მალი!* რუს *მალი!* – დეგესევიან მუშტრები“ (ინ., ჩვენ. ფუტკ.).

შდრ. **მალი** (თურქ. მალ) ჯოგი, რემა. მალი საქონელი, ნახირი. მალი სიმდიდრე; ქონება. მალი ნაჭერი, ქსოვილი ზან. (ლაზ. თანდ.).

შდრ. ახ. ქართ. **მალიათი** [არაბ. მალიათ] 1. ძვ. ფულადი გამოსაღები. 2. კუთხ. (იმერ. ქიზ.) ქონება, სიმდიდრე, შეძლება – ქეგლ.

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **IV. მალი** ქაფჩა გალატოზთა – დ. ჩუბ. **მალი** ბათქაშის შესაღესი იარაღი- ქეგლ. აგრეთვე: (ზ. ქართ. მრეწ. I, 228, ქიზ. მრეწ. I, 50, ქიზ., მენტ.).

საშ., ახ. ქართ. **V. მალი** სწრაფად მორბედი (საბა). სწრაფი, მარდი: დამალა ქვას დამალვით *მალითა* (ვეფხ. 265, 1). თუცა დია *მალი* არის, ყოლე არა შეჯდებიო (ამირან. 48, 11). იყენეს ფერჯითა *მალი* (ქ. ცხ. II, 306, 7). ცხენტა სიფიცხე წაუხდათ თურქმანთა მუხლად *მალებთა* (არჩ. 353, 807, 2). ვერ მოურჩებთ მართ, ვითა კურდღელი *მალსა* მწევარსა (თეიმ. 1, 40, 96, 3).

ახ. ქართ. *მალია*, როგორც ხირიმის ტყვია და ტყვიასავით დაუნდობელი (ილია). აგერ პეპელაც თავზე გეველება და დაგჭიკჭიკებს მერცხალი *მალი* (შ. მღვიმ.). მეომარი ხარ მკვირცხლი და *მალი* (რ. ერისთ.).

დიალექტ. გადატ. **მალი** ადრე. „დილაიც *მალეე* ავდგნიდით, გაყინულში ვლეწიდით (თუშ. ციც.).

შდრ. ძვ. და ახ. ქართულის მალე. მალე-საგან ძველ ქართულში-ად სუფიქსის დართვით იწარმოებოდა ზმნიზედა **\*მალე-ად** რომელმაც მოგვცა *მალიად* ფორმა. ამ სიტყვის ფუძედ მიჩნეული იქნა მალ-, რის გამოც წარმოიქმნა ახალი სახელი-მალი. შესაძლოა, ეს უკვე ძველ ქართულში მომხდარიყო, მაგრამ წერილობით ფიქსირებულია საშუალო ქართულის ძეგლებში. მალის ეტიმოლოგია დაუდგენელია. შდრ. არაბ. malā „სწრაფად წინსვლა“, „სირბილი“ (გიგინეიშვილი 2016).

**V. მალი:** სიტყვის მნიშვნელობა უცნობია. „აღისასა მალისასა, შეგილოცავ თვალისასა“ (ნაბელლ. შელოცვიდან) (გურ. ჯაჯ.).

### მალა:

საშ. ქართ. **I. მალა** ზურგის ძვლის ნაკვეთი; ზურგი. წარბი აჯისა მშვილდსა, გოზა რომე *მალა* დაედრიკოს (შჰნ. III, 450, 12). ამისთვის მწყდება წელი და უკანა ზურგის მალეები (დ. გურამ. 194, 2, 1).

ახ. ქართ. **მალა** 1. ანატ. ხერხემლის შემადგენელი ცალკე ძვალი. მაშინ ვაჟმა კისრის *მალიდან* ვიდრე კუდუსუნის *მალაძლე* დაუსვა ათრთოლებული ხელი (ნ. დუმბ.).

2. გადატ. მალის შემცველი ხორცი. ვინც ჩემთან ძროხას დაურევს, ვაჭმევ ძროხისა *მალასა* (ხალხ.). იქვე მოიწყო: ნამგალი, პური, ღვინო, ღორის *მალა* (რ. ერისთ.).

შდრ. **ყვრიმალი** მიღებულია ყურის მალ-ისაგან, სადაც მალი იგივეა, რაც მალა და „ძვალს“ ნიშნავს: ასე, რომ ყვრიმალი უდრის „ყურის ძვალს“; იგივე მალი შედის ხერხემალში, რომლის მნიშვნელობაა „ხერხა“ (ე. ი. ხერხისებური, დაკბილული ძვალი (ჭუმბურიძე 1978, 38; გიგინეიშვილი 2016).

ზან. **მალა**: ორცხუა კითიში-თითის სახსარი (მეგრ. IV, ქაჯ.).

დიალექტ. **II. მალა** იხ. II. მალი მლესავის იარაღი. კედელსა რომ ლესავენ, ზედა პირს მალით მოასწორებენ, მოაპირკეთებენ. „ძველი ხერხი ხო არ გიგდია სადმე, *მალა* გამიცვდა და ახალი მინდა გავაკეთო“ (გ.-კახ. სახლთხ.). ამავე მნიშვნელობით იხ. (ინგ. ღამბ., როსტ., ჯავახ. ბერ., ქართლ. მესხ., ქართლ. მენთ., ქიზ., მენთ. აჭარ. ნიჟ.).

დიალექტ. **III. მალა** არს ერთი მხარე სართულისა სახლთასა (საბა); ერთი რომელიმე მხარე ან შესახედავი სახლის, სართულისა (დ. ჩუბ.). შესასვლელის ორსავ მხარეს გაკეთებულია თაღოვანი მალეების ერთიანი მწკრივი (ვ. ბერ.).

ერთი ისეთი თავლა გვქონდა, რომ ექვსი *მალა* ჰქონდა (გ.-კახ. მრეწ. I, 114).

საერთო ქართველურისათვის აღადგენენ: 1. \*მალ-ს (ფენრიხი, სარჯველაძე 2000). 2. \*მალა-ს (ჩუხუა 2017).

დიალექტ. **IV. მალა** წყვილი ჯოხი, რომლებსაც თავლის გამოწურვისას იყენებენ. მეორე [კაცი] ორთავ ჰელით მაუჭიკებს ტომარას ორ ჯარჯ შამაცმულ *მალათა-დ* გასწურვენ თავლს (შინამრეწვ. 162-1, ხევს. ჭინჭ.).

დიალექტ. **V. მალლა** // **მალა** (თურქ. უზანი). „ზედა და ქვეშა *მალლას*, ყველას შიატყობინე“ (ჯავახ. ბერ.).

დიალექტ. **VI. მალა** ბროწოლი მუქი, ოდნაც მომჟაო-მოტკბო ბროწეული სასიამოვნო (ქიზ. მენთ.). შდრ. ნარი.

დიალექტ. **VII. მალა** (ზ.-იმერ.) მართლა, ნამდვილად. „*მალა* გეუბნები, ბოშო, კი არ გეხუმრები!“ (ბ. წერეთ.). *მალა* უნომ? (ზმ.); მალა უმბობ? (რაჭ. კობახ.).

### მალაკ-ი:

ძვ., საშ. ქართ. **მალაკი** წყლის ჭურჭელი, მათარა; აბგა. **მალაკი** (სომხ.) მცირე სფირიდი (დ. ჩუბ.).

„აღილო ბერძან *მალაკი* ჩემი... და მომართუა მე იგი, სავსე წყლითა“ (მ. ცხ. 302r). „წარმოებერტყა ყოველი *მალაკები* ჩუენი და პოვა მცირე ნატეხი პურისა“ (ლიმ. 96, 2).

ძვ. ქართ. **II. მალაკი** კეც-ლბილი, ლბილ-ტყავი: „კუალად მრავალნი არიან უკუფ სულიერ: სელქანი და *მალაკნი* და სიპენი, ტევთიდნი და ზმულნი და ყოველი კეცტყავოანნი...“ (ზუნ. კაც. 27, 22).

სიტყვა ბერძნული წარმომავლობისაა და მომდინარეობს ბერძნული სახელიდან μάλαχος „რბილი“ (ქერქაძე 1974, 184).

**მაღვა:**

საშ. ქართ. **I. მაღვა** მცენარე. ბალბა მალოქი – დ. ჩუბ. ბალბა (მაღვა B.) (ბალ.) მალოქი ZAB. კორკოტანა – საბა.

დიალექტ. **მაღვაი** ბოტ. მალცი, ბუჩქოვანი, მომადლო, ღეროწითელი, სწორი მცენარეა, იყენებენ ცოცხად (მოხ. ქავთ.).

ახ. ქართ. **II. მაღვა** სახელი მ ა ლ ა ვ ს ზმნის მოქმედებისა, – ფარულად, სხვისთვის შეუმჩნევლად შენახვა, [და]ფარვა, არგამოჩენა. [ონისე და მაცვალა] ადრული გრძნობის *მაღვას* შეჩვეულიყვნენ (ა. ყაზბ.). ბეჟანა ორი თვის *მაღვის* შემდეგ... თავისუფლად დაუბრუნდა თავის სახლს (დ. ქიაჩ.).

1. მაღვა ზმნის ძირს მალ- სხვა ქართველურ ენებში შესატყვისი არ უჩანს. შდრ. ბერძნ. *mále* რომელიც გვხვდება მხოლოდ გამონათქვამში *hypó máles* „ილიაში“, გადატანითი მნიშვნელობით – „ფარულად“ „მალულად“ (გიგინეიშვილი 2016). 2. ს.-ქართვ. \*მალ- ფუძე პოვნირია მხოლოდ ქართულში და აქტიურად გამოიყენებოდა ძველ ქართულშიც. სავარაუდოდ ფუძეენური წარმომავლობისაა, რასაც გარეენობრივი პარალელები ადასტურებენ (ჩუხუა 2017).

**მან-ი:**

ძვ. ქართ. **I. მანი** ილეკროს შუშა (საბა). მინა, ბროლი: „იგი გარდაიცვალა წინაშე მათსა და იქმნა კიდობან *მანის*“ (აპოკრ 5, 19).

საშ. ქართ. **II. მანი** (ბერძნ.) შეშლილი; აღფრთოვანებული. ქვის მთლელი, სახლის ამგები, მხატვარი, მსგავსი *მანისა* (ნ. ციც. 495, ქვ. 2). ჰკადრა: ეჰა, ხელმწიფეო, მა ვარ *მანი*, სრული ზნითა (ნ. ციც. 64, 2). ველარა თქვა რა შემცოდემ მელიქმა, ცრუმა, *მანისა* (არჩ. 386, 960, 1).

შდრ. **მანი** [< ბერძ. მანია ვნება, სიგიჟე] – რთული სიტყვის ბოლო შემადგენელი ნაწილი; ნიშნავს რისამე დიდ მოყვარულს მაგ. მელომანი. ბიბლიომანი – მ. ჭაბ.

საშ. ქართ. **III. მანი** (იგივე მანინ) მანიქველური სექტის მეთაური. *მანი* ვინმე ცით იტყოდა რეცით გარდმოტანასა ჯორცთა მისთასა (შავთ. 85, 2).

საშ. ქართ. **IV. მანი** ესე არს, რომელსა თათარნი მისცემენ მიზდად საწოლისა მათთა გულისთქმისა მათისათვის, მარიც იგივე(ა) – საბა.

საშ. ქართ. **V. მანი** მარი – დ. ჩუბ. მანი, მასის ერთეული შუა საუკუნეების ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში. მისი მასა სხვადასხვა ადგილას სხვადასხვა იყო... XVI ს-იდან მისი მასა 3. კგ. – ქსე. შდრ. სპ. *mán*.

ახ. ქართ. **VI. მანი** ქართული ანბანის მეთორმეტე ასოს სახელწოდება.

ონს წარბად ვუწოდ, სანს წამწამად, *მანი* ყურად მეჩვენება და ტარი წინამოსავით დაგრეხილა, ხოლო რაე შენს მიხრა-მოხრით სლვას მაჩვენებს (დ. ორბ. 37, 4).

ახ. ქართ. დიალექტ. **VII. მანი** აბრეშუმის ქსოვილზე გამოყვანილი მან-ასოს მსგავსი სახე – ქველ. **მანი** (სახე) *მანების* სახე წინასწარ დახაზულია, უჯრაში უნდა ჩაიხაზოს ასო *მანი* (ზ. ქართლი, მრეწ. II, II, 132).

ახ. ქართ., დიალექტ. **VIII. მანი**, თურქული (თ. mani) ხალხური ლირიკული ლექსი – ქსე.

არ ვიცი ქი *მანები* (იმერხ., ფაღ., ცინც.).

**IX. მანი** სიტყვის მნიშვნელობა უცნობია. „ანი იძრა, *მანი* იძრა“ (ქვაბ. შელოცვიდან) (გურ. ჯაჯ.).

**მანა:**

ძვ. ქართ. **I. მნა, მანა, მანაა, მანნა, მანანა** (ებრ. man hū ბერძნ. μάννα, (სომხ.) **მანნა**).

**მანა** ბურღული [ბერძ. მანნა < ძვ. ებრ. რა არის ეს?]. *მანა* გემოთი წააგავს თაფლის კვერს (გამ. 16, 31). *მანა* გემოთი წააგავს ზეთიან კვერს (რიცხ. 11, 8). *მანა* ცვარივით ეფინება მიწაზე (გამ. 16, 14). *მანა* ცვიოდა სალამოს ცვართან ერთად (რიცხ. 11, 9);

შდრ. **მანანა** იყო სასწაულებრივი საჭმელი, რომელიც ზეციდან მიეცა ისრაელს უდაბნოში (გამ. 16, 4). **მანანა** არის ანგელოზებრი საკვები (ფს. 77, 25m). *მანანა* არის სულიერი საკვები (I კორ. 10, 3).

ამ ბიბლიურ სიტყვას უკავშირებენ ებრ. manhū-ს. იმის გამო, რომ ეგვიპტელთა მონობისაგან თავდახსნის ებრაელებს უდაბნოში 40 წლის ხეტიალისას თითქოს ღმერთი ციდან უგზავნიდა ერთგვარ საჭმელს, თეთრ, ქინძის თესლის მსგავს მარცვლებს. გაცელებული იუდეველნი კითხულობდნენ: მანჰუ („რა არის ეს?“)... ეს სიტყვა ქართულში ნაირგვარად არის გადმოღებული ბერძნული μάννα-ს ადაპტაციის მიზნით (მანა, მნა, მანნა, მანანა...) და გადმოსცემს როგორც ღვთიურ პურს, ასევე უსისხლო, პურეულის შესაწირავს ღმრთისადმი...

აღსანიშნავია, რომ ახალი აღთქმის ქართულ რედაქციებში **მანანა** კი არ არის, არამედ სისტემებში მანანა (ქართულისათვის უჩვეულო გემინაცია დაძლეულია ხმოვნის ჩართვით: მნ > მან: მანნა > მანანა). ...ძველ აღთქმაში მანნა ქრისტეს წინარე სიმბოლო იყო. ამიტომ ახალ აღთქმაში **მანანა** ქრისტეს მიემართება, უკეთ, მის მოძღვრების რწმენას: ზეციური პური სიმბოლო იყო ხსნისა, ხოლო ქრისტეს მოძღვრების რწმენა – საბოლოო ხსნა ადამიანისა: ამიტომ ამბობს ქრისტე: მე ვარ პური ცხოველი, რომელი ზეცით გარდამოვედ (ი. 66, 51). ...მწიგნობრულ ქართულში **მანანა** გადავიდა გადატანითი მნიშვნელობით, მოულოდნელი დახმარების, სასიხარულო ამბის გაგებით (დანელია 1998, 150).

ძვ., საშ., ახ. ქართ. დიალექტ. **II. მანა** პალო, სარი: „არცა შეირყინენ *მანანი* კარვისა მისისანი უკუნისა[მ]დე ჟამთა“ (I, ეს. 33, 20). „დაასვენეს ოთხნი *მანანი* ქუეყანასა“ (რიფს. 175, 16). „დააბნიან *მანანი* (ნავთათეს)“ (ფიზ. 175, 16). „*მანანი* იგი უკუმჭუალნეს კედელსა“ (აპოკრ. 5, 15).

საშ. ქართ. ლხინმან ბნელი განმინათლა, ამიფოლხვა ჯაჭვთა მანა (ვეფხ. 392, 3). მშვილდისა და ისრის სიგრძე სისხო ჰქონდა ვითა მანად (არჩ. 401, 103, 2).

უკუვიყრი კაემანსა, არ დამესმის გულსა მანა (ფემ. 105, 3).

ახ. ქართ. მანა ძვ. ბოლოწათლილი მომცრო მარგილი, – სარი; პალო. ძველად **მანა** სწორედ სარის აღმნიშვნელი ყოფილა (ივ. ჯავახ.). // კუთხ. იმერ. იგივეა, რაც ჭალი (ურმისა, მარხილისა და მისთ). ერთმანეთთან შეთანხმებით, სასარედ ვენახს დაბალი მანა ჩაურიგეთ [მე და ჩემმა ძმამ] [უამბობდა პავლე სტუმრებს] (ნ. კეცხ.). იხ. აგრეთვე: (ხევს. ჭინჭ., ჩვენ. ფუტკ., ქიზ. მენტ., ინგ. როსტ. რაჭ. ფრ. 74, ქართლ. მესხ., ქართლ. ლექსიკ., თუმ. ხუბ., ქიზ., შ. კახ., გუდ., ქართ. მტკვრ. ჩრდ., ზ. ქართ. მრეწ. ტ. II, ნაწ. I, 1979, 28).

ივ. ჯავახიშვილმა დაწვრილებით შეისწავლა ვაზის საყრდნობი ტერმინები მანად, სარი, ჭიგო, ხარდანი და ჩხირი როგორც ძველ ქართულში ისე მის დიალექტებში. შეეცადა სხვა ენათა მონაცემების საფუძველზე დაედგინა მათი ეტიმოლოგია. კერძოდ ძველქართულისეული მანა მას ქართულ ტერმინად მიაჩნია. ამ სიტყვის წარმომავლობის შესახებ იგი წერს: „უეჭველია, იგი სარჭობისა და ლურსმნის აღმნიშვნელი ძველი ქართული მანჭუალი-ს ბოლოშეკვეცილი ფორმა უნდა იყოს“. მკვლევარს მიაჩნია, რომ მაჭი და მანჭი სომხურში სადაც მას ძირი არ უჩანს, ქართულითგან შეთვისებულად უნდა ვიცნოთ და არა წინაუკმო, როგორც აჭარიანი ფიქრობს (ჯავახიშვილი 1986, 336).

ზან. **მანა** ცხაური, გალია. მანუ მანა; ლარი; ლურსმანი; ჯაჭვის სამაგრი ჩხირი; სხივი (მეგრ. ქობ.).

ძვ. ქართ. **III. მანა** იხ. I. მანი.

მოვიდა იგი სახლსა მას და აქუნდა მანითა ნელსაცხებელი (სინ. მრ. 211, 7).

მანა წარმოადგენს ასურულ (სირიულ) სიტყვას (მანან) ჭურჭელი (შანიძე 1959, 327).

შდრ. **მანიკა** ერთლიტრიანი თიხის ჭურჭელია. უმეტესად ღვინისათვის იყენებენ (მახ., გურ. ჯაჯ.).

ძვ., ახ. ქართ. **IV. მანა** ძვ. «სადილე ქალთა, რომელსა ზედა კერვენ» (საბა).

იქმოდა მძივსა მანისასა (რიფს. 166, 4). იქმნა კიდობან მანის (ფლპ. მოც. 5, 19).

გვხვდება **მანა** სიტყვისაგან ნაწარმოები სახელიც **მემანე** მძივების მკეთებელი. „ერთი მათგანი იყო მემანედა იქმოდა მძივთა მანისასა“ (რიფს. 166, 4). **მანა** რიფსიმე და გაიანეში: ერთი იგი მათგანი იყო მემანე და იქმოდა მძივსა მანისასა და ურეწდა როჭიკსა დღისასა – საბა. შდრ. I. მანი.

დიალექტ. **V. მანა** ნუნა. ფიცხ ოჭრდებოდ აი ყანა, მანან დამისქდეს (ხევს. ჭინჭ.).



საშ. ქართ. **VI. მანა** შესაწირავი. საბასთან შესაწირავის მნიშვნელობით დასტურდებ მანაა (45, 25 ეზეკ.) ZAa. მანათ ძღვნით, გინა შესაწირავით ZABCბყ. ყოვლად წმიდის შობისათვის [მა[ქ]სიმე (თევდორე) აღმსარებელის თქმულში: „ვინ(ა) ეგე *მანათ* დართულ იქმნას სიტყვითა მით ცხორებისათა“. მანაა (41, 5 იერემ; 1, 10 ბარუქ) შესაწირავი ZA. B – საბა. შდრ. მანანა.

**მანა** თავ-შემოსავლებელი ფული, რომელსაც შემდგომ ხატზე დაჰკიდებენ (ი. გრიშ.).

დიალექტ. **VII. მანა** წესი, ჩვეულება (ჯავახ. ზედგ.).

**VIII. მანა**, ზებუნებრივი ძალა მალანაზიისა და პოლინეზიის ხალხთა რწმენებში; მიეწერებოდა ცალკეულ ადამიანებს, ცხოველებს, სხვადასხვა საგანსა და აგრეთვე „სულებს“ – ქსე.

**IX. მანა**, ძვ. აღმოსავლეთის სახელმწიფო I ძვ. წ. ათასწლ. I ნახევარში, თანამედროვე აზერბ. ტერიტორიაზე – ქსე.

მანა ფილოსოფოსთა სიტყვითა მან მამლად ითქმის ხოლო მანადეღლად – საბა.

**მანა, მანა!** იგივეა, რაც ქუქა, ქუქა! მანა, მანა!– დაუძახებთ მარტო ქათამს, კვერცხი რო აქ და არ დაგვიკარგოს (ძეგ., ქართ. ლექსიკ.).

**მანა** მანდ. რა ნახე *მანა?* (ხვაშითი); არაფერი არ ჩაწერო მანა (წიფა); მე არ მიდივარ მანა (ზოვრეთი) (ზ.-იმერ. ძოწ.). შდრ. II. მანდაური.

**მანათ-ი:**

**მანათი** მანეთი, ხუთაბაზიანი თეთრი – დ. ჩუბ.

საშ., ახ. ქართ. **I. მანათი** მ ა ნ ე თ ი. დგებუაძემ მანათათ დააფასა და ის ხბოს ფასი არ მომცა კაცმა (სამ. VIII, 776).

«ხუთი თუმანი რამდენი *მანათია?*» (ე. ნინოშ.).

ბ. გიგინეიშვილი ფასმერზე დაყრდნობით მიუთითებს რომ მანეთი შემოსული ჩანს ხალხური რუსული მეტყველებიდან (შდრ. რუს. ხალხ. монет „ვერცხლის რუბლი“). თვით რუსულში ნასესხებია პოლონურიდან, წარმოშობით სიტყვა ლათინურია (გიგინეიშვილი 2016).

საშ., ახ. ქართ. **II. მანათი** მანათობელი, მნათე, ბრწყინვალე – დ. ჩუბ.

შდრ. ძვ., ახ. ქართ. მ ა ნ ა თ ო ბ ე ლ ი – ქეგლ.

ამ სიტყვების ნათ- ძირისათვის აღდგენილია \*ნათ- პარქეტიპი (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

**მანალ-ი:**

საშ. ქართ. **I. მანალი** მსოფლიონი ბანაკს უწოდებენ – საბა.

საშ. ქართ. **II. მანალი** ბერძნულია სასანთლეს ჰქვიან – საბა.

**მანდარ-ი:**

ძვ. ქართ. **I. მანდარი** პური *laganum, placenta*: „სცემდა... *მანდარსა* ერთსა ტაბაკისაგან“ (O, II, მფ. 6, 19). „მანდარი, მანდაური პური ფართო და განიერი“ – დ. ჩუბ.

საშ. ქართ. **II. მანდარი** სხვათა ენაა, საგებელი, გინა მოზღუდვილი სვიმეონ ალაბელის სვეტის გარმოზღუდვილს მანდარი ეწოდოდა, გალავნის შიგნითს. ეს მეფეთაში *მანდარი* სხვა არის, ვეჭობ – საბა.

**მანდარინ-ი:**

ახ. ქართ. **I. მანდარინი** [სანსკრიტ. *mantrin* მრჩეველი რუს. ენის მეშვ.] ჩინეთის უმაღლესი სახელმწიფო მოხელე ევროპელთა სიტყვახმარებაში. «მე რომ არ ვიყო, ისე მოგეტვლიპებოდა თავი, ... როგორც ჩინეთის *მანდარინს*» (ქ. ბაქრ. თარგმ.).

ახ. ქართ. **II. მანდარინი** [*Citrus nobilis*] დაბალი ტანის უეკლო ციტრუსოვანი ხეხილი. ჩაის გარდა, გაშენებული იყო... *მანდარინი*, ფორთოხალი (დ. კლდ.). || ამავე ხეხილის ნაყოფი. [გვადის] ხურჯინში ოციოდე... *მანდარინი* ეწყო (ლ. ქიაჩ.).

**მანდაურ-ი:**

საშ. ქართ. **I. მანდაური** პური ფართო და განიერი – დ. ჩუბ. იხ. I. მანდარი.

საშ., ახ. ქართ. **II. მანდაური** მუნებური მანდ, მანდეთ – დ. ჩუბ.

**მანდაური:** „რადთა *მანდაური* ხუცესი ხუთთა მიერ განიკითხვოდის ეპისკოპოსთა“ (დ. სჯ. 296, 11). შდრ. ძვ. ქართ. მანდა.

მართალია, ვერ უნდა გაებედნათ – კახელებს მისთანა საქმეო, – იწერებოდა ვერაგი, – მაგრამ, როგორც შევიტყე, სულ *მანდაური* მმართველობის ბრალი ყოფილაო (აკაკი). «იქნება მოახერხოთ როგორმე და *მანდაური* ამბები შემატყობინოთ» (ი. მაჭავ. თარგმ.). მანდ > მანდაური: აღდგენილია ს.-ქართვე. \*მანდ- არქეტიპი (ჩუხუა 2017).

**მანიაკ-ი:**

ძვ., საშ., ახ. ქართ. **I. მანიაკი:** ესე იგი ყელსაბამის მძივი (თ. ბაგრატ.). ფარლული, გულის ჩამოსავლები მოოჭვილი – დ. ჩუბ. (სომხ.). ყელის სამკაული, ოქროს ან ვერცხლის რგოლი თუ ძეწკვი: «მძივი დაცუმული»: „გარდააცუეს *მანიაკი* ოქროსაჲ ყელსა მისსა“ (M, დაბ. 41, 42). „ნასხმანი გუერდის შენისა[ნი] მსგავს *მანიაკთა*“ (pb., ქება, 7, 1). „რომელიმე შუბლის საკრავ არნ და რომელიმე *მანიაკ*“ (ზას. კეს. 101, 20).

თვთეულმან იწყო ძღუენთა მოღებად: *მანიაკთა* ოქროსათა თუალიან-მარგალიტიანთა (ქ. ცხ. II, 26, 9). ხახულისა ღვთისმშობელს დროშაჲ და *მანიაკი* მიართვა (ქ. ცხ. IV, 184, 5). „ოდეს დორბეუეს ყაისის *მანიაკ* ყელ-მოღებისა“ (არჩ. 370, 883, 2).

შორენას] არც აღმასების *მანიაკი* ეკიდა ყელზე (ვ. გამს.).

ახ. ქართ. **II. მანიაკი** [ფრ. Maniaque < ძვ. ბერძ. <  $\mu\alpha\nu\acute{\iota}\alpha$  შემლილობა, აღფრთოვანებულობა, ვნება) მანიით შეპყრობილი. და, აი, აღმონაცენი შავბნელი ეჭვისა: ხან გიჟი და ხან *მანიაკი*, ხანაც სულთქვემე ბუდეთა მცოდნე (ბ. ხარან.).

### მანქან-ი:

საშ. ქართ. **I. მანქანი** ეშმაკი. რომელი იყო კაცი მქნე, ძლიერი, ახოვანი, *მანქანი* (ქ. ცხ. IV, 298, 17). **სოფლის მანქანი**: როსტომ იყო მცდელი და სოფლის *მანქანი* და განერა ყოველთაგან (ქ. ცხ. IV, 440, 20). შდრ. II. მანქანება.

საშ. ქართ. **II. მანქანი** არს (+მბრუნავი) ვითარცა ჭახრაკი და **მანქანე-ზა(ღ)** საქმისა კაცობრივისა სიბრძნით ბრუნ(ვ)ება(ღ) საძლეველად სხვათათვის ზაკვით (საბა). შდრ. I. მანქანება.

### მანქანა:

**მანქანა** || **მანქანი** ჭახრაკი – საბა. **მანქანა** (ბერძნ.) ოწინარი ხრახნი-ლებითურთ ასაწევად სიმძიმეთა, ჭახრაკი, მორგვი (დ. ჩუბ.).

ძვ., საშ. ქართ., დიალექტ. **I. მანქანა** იარაღი (ხელოსნური): „*მანქანანი* მათნი და ზღუდენი და გოდოლნი დაამქუნნიან და მოკლნიან“ (O, I ეზრა 4, 4). „არაჲ სარგებელ... არიან... შრომაჲ *მანქანათა*ჲ მათ და ჳელოვნებათა მენავეთაჲ ამათ“ (ოქრ. -მარხ. და იონ. 105, 36).

ერთსა შებორკილებულსა ვირსა მღვიძარე მცველნი უდგანან და მისის შოვნისათვის სულსა *მანქანაში* შესდებდი (ქილ. 667, 37).

მერე რო გაათავებენ დახელასა, ფიცრებსა მიცემენ *მანქანაში* (საინგ. მრეწ., III<sup>2</sup>, 14, 3).

იხ. აგრეთვე: (ხევს. შან..ჭინჭ., ფშ. ხორნ., გოგატ. შან.).

ახ. ქართ. **II. მანქანა** მექანიზმი, რომელიც ასრულებს რაიმე სამუშაოს. ორთქლის მანქანა. საქსოვი მანქანა. ჯოჯოხეთის მანქანა საათის მექანიზმიანი ნაღმი, რომელიც დანიშნულ დროს ფეთქდება.

იგივეა რაც ავტომანქანა. სატვირთო მანქანა. მსუბუქი მანქანა. ბიძინამ *მანქანა* დაქოქა (მ. ელიოზ.). „*მანქანის* მოტორი გამორთული მქონდა“ (ე. ყიფ.). შვიდი კილომეტრი ხრიალით აიარა *მანქანამ* (გ. დოჩ.).

ბ. გიგინეიშვილი: სიტყვა შემოსულია ბერძნულიდან. შდრ. ბერძნ. (დორ.)  $\mu\alpha\chi\alpha\acute{\nu}\alpha$  „გამონაგონი“, „იარაღი“, ქართულ ფორმაში ქ-ს წინ გვიანდელი დანართია (გიგინეიშვილი 2016).

ძვ. ქართ. **II. მანქანა** ეშმაკი, მზაკვარი, გაიძვერა: „*მანქანანი* იგი მხატვარნი“ (ბ. კეს. 83, 27). „(გლახაკი) უკუეთუ ქუეყანად ხედვიდეს სირცხლეული განსაცდელისა მის მიერ, *მანქანად* სახელვსდებთ“ (ბ. კეს. 213, 30). იხ. II. მანქანება.

**მანქანება:**

ძვ. ქართ. **I. მანქანება** იხ. I. მანქანა. „უკუე და ძელთაგან უღონონი მოქმედებისა მიმართ *მანქანებათადასა*, ნუ განჰპარსავთ ქუეყანასა, შინაურთ ხეთა მომკუეთელნი“ (ფლავ. 4: 8, 42).

ძვ. ქართ. **II. მანქანება** მრავალსახე ჯერჯის ქცევა. „მოხერხებულობა“, „ღონე, ხერხი“: „დიდ არიან *მანქანებანი* მტერისანი“ (მრთ. A, ანტ. დ. 22r). „განახუნა კარნი ესე *მანქანებითა* გრძნებისადათ“ (თომა მოც. 16, 16). „რადთა შეუძლოთ თქუენ წინადადგომად *მანქანებათა* მათ ეშმაკისათა“ (ეფეს. 6, 12). „ყრმამან მცირემან არა იცის ამპარტავანებად, არცა ზაკუვად, ანუ *მანქანებად*“ (ბ. კეს. 132, 30).

**მანქანითი** ბოროტგანზრახვითი: „განაშორა თავი თვისი ეგევითართა მათ *მანქანითთა* საქმეთა მათთა“ (იპ. რომ. კურთხ. ისაკ. და იაკ. 60, 4).

საშ. ქართ. **მანქანება** ხიბლი, ხერხი, ზაკვა, მანქანება მზაკვრობა, თაღლითობა, გაქნილობა, თვალმაქცობა. ნუ განაქარვებ შენსა საფარველსა დაცულსა სამ წელ ღარბისა თავსა ჩემსა ეშმაკის *მანქანებითა* (რუსუდ. 58, 1). ზოგიერთს ვისმე შეუხდა ეშმაკის *მანქანებანი* (დ. გურამ. 83, 146, 3). და ეშმაკისა *მანქანებით* გარდღებრუნდა იმას გული (შჰნ. I, 15, 4). ეგ ეშმაკის მანქანება არისო (შჰნ. III, 306, 4).

ახ. ქართ. **მანქანება** ფარული ხერხი, ხრიკი, ეშმაკობა; გრძნეულება. აქაც დეიდაშენის *მანქანებას* უმუშავნია (აკაკი). სალობერიძე ერთი იმ აზნაურთაგანი იყო, რომელთაც რაღაც *მანქანებით*... კიდევ შერჩენიათ... მამული (დ. კლდ.). მე რა *მანქანებით* უნდა მოვახერხო ეგა (ა. ყაზბ. )

შდრ. **მაქანებით**-მოხერხებულად: „იყვნეს ქუეყანასა ქუეშე მაქანებით დაფლულნი, რადთა არა ცხად-იყვნენ შემავალთათვს საფლავთა შინა“ (ფლავ. 7: 15, 3). (სომხ.) **სიტყვისაგან** მექენაჲ ხიბლი, ხერხი, ზაკვა.

**მაჟარა:**

საშ. ქართ. **I. მაჟარა** ძვ. მ ა ჟ ა რ ი. ძველებური თოფი. მბევრი ირემი დაეჩოქებინა [კობას]... «მაჟარას» (ა. ყაზბ.). **მაჟარი** (madjar) მადიარული, უნგრული კაჟიანი თოფია, ერთგვარი (ხევს. ჭინჭ.).

ახ. ქართ. **II. მაჟარა** [Thalictrum minus] მინდვრის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარე.

საშ. ქართ. **III. მაჟარა** ძვ. «წყალში დამწნილი მხლები» (საბა), მხალეულის მწნილი.).

**მარ-ი:**

ძვ. ქართ. **I. მარი** „საწნეხელი“, სარწყული: „ასი მარი ზეთი C“ – „ასი საწნეხელი ზეთისაჲ“ (DE, ლ. 16, 6).

**მარი** ხოისი, ათი ქსესტი, ე. ი. თხუთმეტი ძველი ლიტრა (დ. ჩუბ.).

აკად. ნ. ბერძენიშვილის აზრით, **მარი** უკავშირდება სამარხს. სამარის ადგილია, სადაც იმარხება მარები, მას დადასტურებული აქვს, რომ მარ თიხის დიდ ქვევრს ეწოდება, რომელშიც ძველად მიცვალებულებსაც

მარხავდნენ. ამრიგად, მარანი ის ადგილი, სადაც მარები, ქვევრია დამარხული... მაჲ მშრალი რისამე ან სითხის ზომაა, რომელსაც ბერძენი ავტორები μάρις ფორმით გადმოგვცემენ. შესაძლებელია იგი ირანული სიტყვა ყოფილიყო, რომელიც ძველ მაჲრ ფორმიდან მოდის (თოფურია 1984, 5).

დიალექტ. **მარი** (მთიულ., გუდამაყრ., თუშ.) მიწის ზვაავი (ე. ვირს.) – ალ. ლლ.

საშ. ქართ. **II. მარი** (მაჲრი) მიზდი, ქებინი, წინდი, ფულის თანხა, რომელსაც ქორწინებისას საქმრო უნიშნავს საცოლეს.

მუნვე *მარი* გაუკუეთა და ცოლად შეირთო (ამირანდ. 494, 6). რომელმანცა ამა საცოლოსა *მარის* გაკვეთა მოინება, მისის საწადლის მკლავი ნდომასა ვერ გარდახვივა (ქილ. 661, 5).

შდრ. **მეჲარი**: ვინ ცოლად შეგირთუიდე, შენი მშობელნი მისგან *მეჲარსა* რას ითხოვენ? (ვისრ. 189, 2).

„მარი“ და „მეჲარიც“ ქრონოლოგიურად სხვადასხვა დროს შემოსული, მაგრამ თანაბრად უცხო წარმომავლობის სიტყვებია ქართულში. ეს სიტყვები არაბული (მაჲრ) სიტყვიდან მოდის და აღნიშნავს „მზითევი ან საჩუქარი, რომელსაც სასიძო უკეთებს სასძლოს დაქორწინებისას“. ამავე მნიშვნელობისაა ქებინი მარი, როგორც საკანონმდებლო ლექსიკური ერთეული, უშუალო გზით უნდა იყოს ქართულში დამკვიდრებული. მეჲარი – ლექსიკური ერთეული უფრო მოგვიანო ხანას განეკუთვნება. შესაძლოა ოსმ. მეჲრ > ქართ. მეჲარი (იმედაძე 2014, 59).

ძვ., საშ. ქართ. **III. მარი** მიდიელი: „რომელნი-ესე ვართ *მარნი* და უჟიკნი და ელამიტელნი“ (საქმე, 2, 9).

**მარი** ითქმის მომერიდე – საბა. **მარი**, მარე, შემოკლ. მომერიდე, ჩამოდექ, ხაბარდა (დ. ჩუბ.). **მარი**, **მირი** ქართულად მორიდებას ჰქვიან, რომ დაერიდოს რასმე საშიშს კაცი (თ. ბაგრატი.). ასე მითხრა: „ჩამომეხსენ. გამეცალე, *მარი*, არ მინდიხარ (დ. გურამ. 180, 4, 1).

**მარი!** 1. მომეცალე, გაიწი, დადექი! „*მარი*, იქითა ბაღლო! „*მარი*, რას ფეკებჩი მეჭირები!“ 2. აბა ერთი, მოდი ერთი, მოიტა, მაჩვენე! „*მარი* მამე ეგ აქა!“ „*მარი*, როგორი კარტოხაი ამაგდისთ! (ა. კ.) (მოხ. ქავთ., ლუდ., ხევს. ჭინჭ., მთ. კაიშ.).

### მარაგ-ი:

ძვ. ქართ. **I. მარაგი** რიცხვი: „სახარებას შინა ქართულსა თავსა ხოლო მათწისსა წილი ზის რომელ ასო არს და იტყვს ყოვლად ოთხ ათასს *მარაგსა*“ (სინ. მრ. 38, 11). ამოსავალია საშ. ირან. marag, marak (ანდრონიკაშვილი 1966, 249).

ძვ., საშ., ახ ქართ., დიალექტ. **II. მარაგი**: *მარაგი* ცად რა თხელითა ღრუბლითა შემოსილ იყოს, იგი არს *მარაგი*, ხოლო აქა-იქ ღრუბელი და ვარსკვლავთ-მჩენი იალკიალი – საბა.

ახ. ქართ. ცას *მარაგი* გადაეკრა და მთვარე თითქოს კვამლმა დაჰფარაო (ა. ყაზბ. IV, 49, 32). გადატ. დაბნელებული სოფელი უფრო ჩამოებნელებინა ღრუბლიანს ცას, რომელსაც ჭმუნვის *მარაგი* შავად გადაჰკროდა

(ა. ყაზბ. II, 244, 35). *პირს მოიმარაგებს* პირს მოიქურუმებს, მოიღრუბლებ. ცამ პირი *მოიმარაგა*, პირ-თავქვე მწრები დაჰხარა (ზაჩ.).

შდრ. დიალექტ. **მარანგი** მშრალი ნისლი, ბურუსი (ჯავახ. ბერ., ქართლ. მესხ.).

წარმომავლობით ამავე სიტყუებს უნდა უკავშირდებოდეს „ვარ-სკვლავის“ მნიშვნელობის **მარგი**: *ასპიროზ-მარგი*, მჭმუნვარე-მკარგი მე ვსცან უწყალოდ (ბეს. 51, 6). ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში პოეტურ ლიცენციასტნ უნდა გვქონდეს საქმე.

მკვლევართა თანახმად: 1. მარაგი (სომხ.) ცა თხელის ღრუბლით შემოსილი იალკიალი – დ. ჩუბ.

2. ივ. ჯავახიშივილმა თავის გამოკვლევაში „ქართველთა უძველესი მსოფლმხედველობა“ სხვადასხვა კავკასიური ენების შეპირისპირების საფუძველზე აღადგინა მზის აფხაზური უძველესი სახელი **მარახ**- (ჯავახიშივილი 1950, 144).

3. გ. კლიმოვმა **მარგ**- საერთო ქართველურ ძირად მიიჩნევს და აღადგენს ს.-ქართვ. \*ვარგ \*არქექტიპს (კლიმოვი 1964, 82).

4. მ. ჩუბუას აზრით მარაგ-ში გამოიყოფა ს.-ქართვ. \*მარ-, „ღრუბელი, ღრუბლიანი ამინდი“ და ამ უძველეს სიტყვას შესატყვისები ეძებნება სხვა კავკასიურ ენებშიც (ჩუბუა 2000-2003, 2017).

ძვ. ქართ. **III. მარაგი** ვარსკვლავთმრიცხველობა, ასტროლოგია: „დავისწავე მუნ... ზრახვად *მარაგითა* და *მარაგი* ზრახვითა“ (A კვპრიანეს ცხ., 95, 758a). **მარაგით-ზრახვა** არს სიტყვა ესრე გვარად სთქვა, ადვილ საცნაურ არ იყოს, არამედ ვითარცა ღრუბელი რამ(ე) ემოსოს, ანუ ორ-სამ რიგად გაისინჯოს \_ საბა.

„მაშინ იწყო რაქის *მარაგებად* წინამსწარ ცნობისათვის, თუ განემარჯუებისა, რასა-იგი ეძიებენ, და ჰრქუა მეფესა: აჰა ესერა, სათუალავი გუა-უწყებს, ვითარმედ არა ვიქცეთ თვნიერ განმარჯუებისა, და პყრობილთაცა ვჰხედავ, რომელნი მოიწვიან ჩუენდა, და ახლო არს ესე“ (ბალავ. 94, 15).

„შეკრიბა სიმრავლე ვარსკვლავთმრიცხველთა და ფილოსოფოსთა და *მემარაგეთა*, რადთა აუწყონ, თუ რად წინა-უც ძესა მისსა“ (ბალავ. 9, 34ბ).

გამოთქმულია მოსაზრება რომ 1. ამ მნიშვნელობის სიტყვა (საშ. ირან.) „რიცხვის, როდენობის“ **მარაგი**-დან მომდინარეობს (ანდრონიკაშვილი 1966, 249-252). ვფიქრობთ, ეს სიტყვა საერთო კავკასიური წარმომავლობისაა. II. მარაგი.

ახ. ქართ. **IV. მარაგი** რაც მომავალში გამოყენების მიზნით არის დაგროვებული, შესანახავად გადადებული (საჭირო ნივთები, საგნები, მასალა, იარაღი, სურსათი და მისთ; ვეღარ ეტევა ქვევრში, ბელღებში, ღვინო, პური და ყველის *მარაგი* (ა. მირცხ.). || ბუნებრივი გამოყენებითი სიმდიდრე.

ქოხში საკმელი არაფერი იყო, საკუთარი *მარაგით* დანაყრდა (ჭ. ამირეჯ.). უბრძანა, გაესინჯათ ჩემი *მარაგი* (ვ. ბარნ.).

გვხვდება **მარაგ-სიტყვიანი** მყარი გამოთქმებიც. მაგ.: ცოდნის მარაგი გამოცდილების, ცოდნის სიმდიდრე, მთელი ცოდნა. სიტყვების მარაგი სიტყვათა ერთობლიობა, ყველა სიტყვა, რაც ვინმემ იცის.

გვაქვს მარაგ-ფუძისაგან ნაწარმოები როგორც სახელური ისე ზმნური ფორმები. მაგ., **სამარაგო**: აქ აწყვია *სამარაგო* იარაღი და დინამიტი (მ. ჯავახ.). კოლუმელლას ნეკისა, ანუ სამამულე რქისათვის სახელად სუბსიდიარიუს-ი, ანუ *სამარაგო*-ც აქვს ნახმარი (ჯავახიშვილი V, 1986, 368).

**გამარაგინებულია** გადარაჯებული. ღვდელიც გამარაგინებულია, რო კაცი წავა სადმე (ტაბაკინი, ზ.-იმერ. ძოწ.).

1. ძველ ქართულსეული *მარაგი* „რიცხვი, „რაოდენობა“, გვიანდელ ქართულში დაკონკრეტებულა, მომხდარა მნიშვნელობის დავიწროება და მიგვიღია „დაგროვილი სურსათის თუ სხვა მასალის რიცხვი, რაოდენობა“ (გიგინეიშვილი 2016).

2. მარაგი < მარგ-სიტყვისაგან. „სადმართოდ სიტყუად ახარებს და *მარაგ-ექმნების* სულეზსა შემწყნარებელთასა“ (A-1108, 138r).

**მარგი, მარგებელი** ისევე, როგორც სარგებელი || სარგო საერთო ქართველური წარმომავლობის რგ-ძირის მქონე რგება ზმნის მიმღეობებია. ძვ. და ახ. ქართულში ერთსა და იმავე შინაარსის მიმღეობებში განსხვავებას ხშირად ფუძისეული ხმოვანი ქმნის. მაგ., ძვ. მოცალე, ახ. მოცლილი; ძვ. მოზარდული, ახ. მოზრდილი; ძვ. მესარი, ახ. მესრე; ძვ. მეჯვრე ახ. მეჯვარე; ძვ. მზარდი, ახ. მზრდელი.

ჩვენს შემთხვევაშიც **მარაგი, მარგი** ფუძეში ა-ს გაჩენა სემანტიკური დიფერენციაციით უნდა იყოს გამოწვეული.

დიალექტ.V. **მარაგი** ფშ. ა) ნამგლის ყუა; ბ) სათითებით ყანის მკა, საპირისპიროა ღუღით მკა (შან.). ძირში მოუსვი *მარაგი*, ყანამ დააგდოს ალაგი (ფშ. ხორნ.).

**მარაგი** ნამგლის ყუა, ნამგლის პირის მეორე მხარე, გარეთა მხარე. 2. **მარაგი** იგივეა, რაც ნარიგი. ნარიგი, მარაგი, ქნარი კვერის ბრტყელი მხარე (ქიზ. მენტ.).

იხ. აგრეთვე: (ქიზ. მენტ., ფშ. მრეწ. IV, II, 187, ქიზ. მრეწვ. IV, 71, ხევს. ჭინჭ.).

შდრ. **ვარაგი** „ნამგლის გნდე, ყუა“ (საბა, დ. ჩუბ. – ქეგლ.).

**მარდ-ი:**

ძვ., საშ., ახ. ქართ. **I. მარდი** კაცი სწრაფი, გინა სხვა რამ ცხოველი – საბა, დ. ჩუბ.

**მარდი** კაცი, ადამიანი: „რიცხვთა იგივე არიან, ვითარცა კაცი, *მარდი*“ (ამონ. 52, 10).

**მარდი** (სპარ.) ზედ. ცქვიტი, მარჯვე, მკვირცხლი. ქვა რომ... ესროლო ბელურას, ვერ მოარტყამ, უთუოდ აიცდენს, ისეთი *მარდია* (ი. გოგებ.). *მარდად* ზმნს. სწრაფად, ცქვიტად, მკვირცხლად. მხედარი მყისვე გადმოხტა *მარდად* და წამოჰყარა აღვირი ცხენსა (ილია). [პატარა გოგო] თითისტარზე ძაფს *მარდად* ახვევს (ი. გოგებ.).

საშ. ქართლ. **II. მარდი** დედაზარდლი (სარდი ZAaBC aqD, მარდი Cb, სართი E.) (მძრომ.) (+ 89, 10 fsal. ZA) ბაბაჟუა ZABCDE. See also: [ზარდლი] – საბა.

საშ. ქართ. **II. მარდა / მარდი** E. ესე არს არა დღითი ფასი, არამედ გარდაკვეთით მუშაკობა ZA. მარდა(დ) არს, რომელმან (რომელ) მუშა(კ)თა არა დღიურ(ი) ფასი...– საბა. ნარდად – მარდა საბა.

ს.-ქართვ. \*მარდა „საუფროსო, სამუშაო ფასი“ > ქართ. მარდა: ზან. მოდ-ი/ა < \*მოდა: სვან. მადა > ||ლადა (ჩუხუა 2000-2003).

შდრ. **III. ნარდი** ზედ. ფასის გარდაკვეთით აღებული მუშაკობა – დ. ჩუბ.

### **მარტო:**

საშ. ქართ. **I. მარტო** სასიკვდილო მაჯა. თუ მაჯა ჰფეთქდეს და ფეთქა ამოვიდოდეს მაღლა და რაგვარაცა ზე ამოვიდეს დასცხრეს და კიდევ ასრე ფეთქდეს ამას *მარტო* ჰქვიან, სიკუდილისა ნიშანი არის (ქანან. 10, 25). თუ ამ წამლებსაგან დაამეტებ და ან *მარტოსა* მისცემდე შხამად შეერგების (ქანან. 32, 12).

ძვ. ქართ. **II. მარტო** «მხოლო», განცალკევებული, მარტოხელი: „გარნა *მარტომ* ღმერთი“ C – „გარნა მხოლოსა ღმერთსა“ (DE, მრ. 10, 18). „*მარტომ* იპოვა მუნ“ (მთ. 14, 23). „ერი *მარტო* დაემკვდროს“ (G, რიცხ. 23, 9). აგრეთვე: მარტოდ მყოფი, მარტოდ-შობილი, მარტოქმნული, მარტორქა და სხვ. – ილ. აბულ.

**მარტო:** ავთანდილ *მარტო* ზღვის პირსა მივა (ვეფხ.1027, 1). თუ სულ მარტო ხარ, დაამოს შენი სულთქმნაო (არჩ. 519,79,2).

ახ. ქართ. **მარტო** 1. ვისაც არავინ ახლავს, ვისაც არავინ ეხმარება, – ცალკე მყოფი, ცალკე მოქმედი, «ცალკე ერთი» (საბა). *მარტო* კაცი ჭამაშიაც ბრალიაო (ანდაზა). 2. ზმნს. მის მეტი რომ არავინ არის, ისე. *მარტო* დარჩა მოხუცი თავის დიდ სასახლეში (ნ. ლორთქ.). 3. ზმნს. უმეთვალყურეოდ, მიუხედავად, უპატრონოდ. «მძინარე ბალები *მარტო* დავყარე შინ» (აკაკი). 4. ზმნს. მხოლოდ. წინათ ქინაქინა მეტად ძვირი იყო, რადგანაც *მარტო* ამერიკაში ხარობდა (ი. გოგებ.). შემწეობა განა *მარტო* ფულით შეიძლება? (აკაკი).

ს.-ქართვ. \*სთ-, \*მა-სთ- „მარტო, ერთი“ > ქართ. \*მა-რთ-ო> მა-რტ-ო, ე-რთ-ი, ე-რთ -|| ი-რთ-: ზან. ა-რთ-ი, ა-რთ-: სვან. შდ-ა-შ- „მარტო, ცალკე“, მა-შდ-ა-შ-ა > || მაშდ-ა-შ-ა || მა-შტ-ა-შ-ა (ჩუხუა 2000-2003).



**მარჯან-ი:**

ძვ., საშ. ქართ. **I. მარჯანი** ქორი. მარჯანი მცირე ბაზი თვალშავი – საბა, დ. ჩუბ.

**მარჯანა** (სპარს. თურქ.) ათრთოლდა და გაემართა, მარჯანას ტორო ვითა!? (შპნ. I, 2031, 4). მერმე რაზმსა მუხდა და, ვითა *მარჯანმან* ტროსა, ეგრე დაფანტა (შპნ. III, 170, 16). ან ვინ შესწვდა ცას *მარჯანსა!* (ი. ტფ. 609, 95, 7). *მარჯანს* მუხლთა გაუხვრეტდი (ბეს. 117, 11).

საშ., ახ. ქართ. **II. მარჯანი** (არაბ.) წითელი მძივები, ზღვაში პოვე-ბულნი, რომლისამე ხისაგან – დ. ჩუბ. ძვირფასი ქვა, წითელი ფერისა; იპოვება თეთრიც. ამაზედა ფალავანი ფარემუზ *მარჯნის* ფერად სისკლითა შეისვარა (შპნ. III, 532, 31).

[დედაკაცს] ხელში ეჭირა მსხვილი *მარჯნის* კრიალოსანი (ეკ. გაბ.). || პოეტ. იხმარება წითელი ფერის ეპითეტად. «ეგ რა ღიმს ვხედავ *მარჯნის* ტუჩებზედ?» (ვ. ბარნ.).

სიტყვა შემოსულია არაბულიდან. შდრ. (არაბ.) margān (გიგინეიშვილი 2016).

**მასა:**

საშ. ქართ. **I. მასა** ცალწვერი და კენჭებმობმული ბადე – საბა. **მასე** თევზთბადე, ცალწვერი და მსუბუქი – დ. ჩუბ. ვეჭვ, მას დარჩეს პირველობა, დაგიხოს შენი *მასა* (არჩილი 195, 80, 3).

ახ. ქართ. **II. მასა** [ლათ. massa ზოდი; ლოდი] 1. მრავალრიცხოვანი ჯგუფი ხალხისა; ფართო მოსახლეობა. 1. უპირატესად მრავლობითში მრავალრიცხოვანი მთლიანი ჯგუფი ხალხისა; ფართო მოსახლეობა. მუშათა მასა. – მშრომელთა მასები. 2. რაიმე ნივთიერება ცომისებური სახით, რომლისგანაც წარმოიქმნება ან კეთდება რაიმე საგანი ან ნივთი. 3. ფიზ. სხეულისა და ენერჯის ინერციულობის საზომი. შდრ. I. მაზა.

დიალექტ. **III. მასა** (არ. მასა) სუფრა, მაგიდა. „მასაზე დვია კრისტალი ვაზო (ინ.). „მასას სანდალიები მუუწყე და მოსაფირებ დუუძახე სადილზე (ინ., ჩვენ. ფუტკ.). **მასა** (თურქ. მასა) მაგიდა ზან. (ლაზ. თანდ.).

**მასტიკ-ი:**

საშ. ქართ. **I. მასტიკი** ძვ. «ფეიქრის იარადია» (საბა, დ. ჩუბ.).

ახ. ქართ. **II. მასტიკი** პარკეტის პოლის გასაწმენდავი, შედგენილი ზეთისა და წმინდა სანთლისაგან – დ. ჩუბ.

იგივეა, რაც **მასტიკა** [ბერძ. მასტიკა] 1. სპეც. ზოგიერთი ხის კეთილსურნელოვანი ფისი. 2. სქელი, ცომისებური ნივთიერება, რომელიც იხმარება ჭურჭლის საწებავად, პატარა ქანდაკებების ჩამოსასხმელად და სხვ. 3. იატაკის და ავეჯის საწმენდი ცვილნარევი სითხე – ქველ.

შდრ. **მასტიკი** სურნელოვანი ბალახი: „იუდა,... მხილველმან ვაჭართა რავთამან,... რომელნი მიიღებდეს ეგვიპტელთა მიმართ ტვრთსა ღალადინისაგან, სურნელთა და *მასტიქსა* განაზრახებდა“... (ფლავ. 2: 3, 3).

### მაღალ-ი:

საშ. ქართ. **I. მაღალი**: 1. მანღალი; მანკანი, ლანძვი საცეცხლე მეტალისა ან თიხისა ზამთრის წინდასადგმელი – ნ. ჩუბ.

მაღალი < მაყალი. მაყალი (ოსმ.) მანღალი, მანკანი – დ. ჩუბ. maqāli ვლ. ლეკიაშვილის აზრით არაბულიდან შემოსული სიტყვაა (შდრ. არაბ. maqāl). შემოსული უნდა იყოს ზეპირი გზით (გიგინეიშვილი 2016).

ძვ., საშ., ახ. ქართ. **II. მაღალი** „ზე აღმართებით რომელი უგრძეა“ – საბა. 3. „საკურთხეველივით“ – საბა.

**მაღალი** «მალლოვი», ძლიერ მაღალი, მაღლობი; ამპარტავანი, ამაყი: „კაცთა შორის *მაღალი* საძაგელ არს წინაშე ღმრთისა O, – რომელი წინაშე კაცთა *მალლოვ* არს, პილწ არს წინაშე ღმრთისა“ (ლ. 16, 15, DE).

**მაღალი** 1. დიდი სიმაღლისა, ქვევიდან ზევითკენ დიდი ზომისა (საპირისპ. დაბალი). ვხედავ, ერთი *მაღალი* კაცი მარტოკა ზის (თ. რაზიკ.). ხშირი და *მაღალი* ბალახი ზღვასავით ღელავს (ი. გოგებ.). || მიწის ზედაპირთან შორს მყოფი. ცაო, მიყვარხარ, *მაღალო!* (ზაჩ.). || ზღვის დონიდან დიდი სიმაღლისა (ადგილი). მაღალი ადგილები. – არწივს საცხოვრებლად მაღალი მთიანი ადგილები უყვარს (ი. გოგებ.). 2. გადატ. დიდი, დიდ ციფრებით გამოხატული; ნორმალურზე მეტი. მაღალი ტემპერატურა. – მაღალი წნევა, – მაღალი ძაბვის დენი. 3. გადატ. წვრილი, წვრიალა (ხმა, ბგერა). ჰაერში გაისმა ნაზი, *მაღალი* ხმა... უფროსი გასათხოვარი ქალისა (ნ. ლომ.). || ძლიერი, მყვირალა (ხმა). ხან თავისთვის ბუტბუტებდა იოთამი და ხან კი *მაღალი* ხმით ყვიროდა (ვაჟა). 4. გადატ. საპატიო, სასახელო, პატივსაცემი. მაღალი ჯილდო. პროფესიურობას მოსდევს სახელი, დიდება, *მაღალი* ადგილი საზოგადოებაში (ილია). || გადატ. ღირსეული, დიადი, აღმატებული; სპეტაკი. აქ არის, დედავ, შენი *მაღალი* დანიშნულება და საღმრთო ვალი! (ილია). || გადატ. დიდი. || ოფიც. დიპლომ. საერთაშორისო ურთიერთობაში ხელშეკრულების დამდები მხარეების საპატიო წოდება. ხელშეკრულების დამდები მაღალი მხარეები. || ძვ. ღმერთის ეპითეტი. ცოტას მხვნელი და მთესველი *მაღალ* ღმერთს ემდურებოდა (ხალხ.). 5. ძვ. გადატ. იგივეა, რაც უ მ ა ლ ე ს ი (განათლება, სასწავლებელი). ბევრია თურმე იმისთანა ახალგაზრდა კაცი, რომ ევროპაში *მაღალ* სასწავლებელში სადმე ესწავლოს (ილია). || გადატ. უფროსი (კლასი). ამ *მაღალ* კლასში, ცოტა არ იყოს, დავთარი შემეშალა (აკაკი). 6. გადატ. ძვ. დიდი რანგისა, დიდი თანამდებობისა. მაღალი თანამდებობა. – *მაღალსა* და დაბალ მღვდელმსახურთა შორის, ეპისკოპოსსა და ხუცეს-დიაკონთა შორის განკერძოება V ს-ში ჯერ არ ჩანს (ივ. ჯავახ.). 7. რევოლუციამდ.

გადატ. საზოგადოების უმაღლეს საფეხურზე მყოფი; წარჩინებული, რჩეული. ჩვენი ეგრეთწოდებული *მაღალი* საზოგადოება... თავილობს თავის დედა ენით ლაპარაკსა (ილია). || ძვ. გადატ. მაღალფარდოვანი. «შენ ეს მიზრძანე: რა გვარად, რა სახით [უნდა იწერებოდეს სტატიები] – *მაღალი* ენით თუ დაბალი ენით?» (რ. ერისთ.). 8. გადატ. ძალიან კარგი. მაღალი ხარისხის საქონელი. ◊ მაღალი შუბლი ფართო შუბლი, დიდი შუბლი. ◊ მაღალი დონე განვითარების, წარმატების კარგი მდგომარეობა. რაც შეეხება თანამედროვე ქართველ მსახიობთა და მხატვარ-ხელმძღვანელთა კოლექტივებს, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ისინი *მაღალ* დონეზე დგანან თავიანთი ნიჭით და შრომისმოყვარეობით (გ. ქიქ.).

დიალექტ. **მაღალ** ამაყი, ამპარტავნული სიტყვა. „ჩემი დაბალი, იმისი *მაღალი*, მეჩხუბა, რაცს ვიზამ, ჩემების ბრალ იყვ“ (თუშ. ცოც.);

სიტყვა ნაწარმოებია მ-ალ ცირკუმფიქსით აღ-ზმნისწინიდან, რომელიც მიუთითებს ქვემოდან ზემოთ აღმართებაზე (გიგინეიშვილი 2016).

ს.-ქართვ. \*მაღალ- „მაღალი“. ქართ. მაღალი, მაღალ-ა-შვილი (ანთროპ.) ზან. [მურლული] „მაღალი“, ლაზ. მურღულ-ი, მეგრ. მურღულია (ანთროპ.). მეგრულ-ლაზურ ონომასტიკაში პოვნეირი მურღულ-ძირი უნდა ინახავდეს ქართულ მაღალ-სახელის ზანურ შესატყვისს. **რ** ფონეტიკური დანართი ჩანს. შდრ. მაღალ-აშვილ-ი=მურღულ-ა (ჩუხუა 2017).

### მაშა:

საშ., ახ., ქართ. დიალექტ. **I. მაშა** არის „ცეცხლის ასადებელი, გინა თოფისა, თურქთა ენაა, ქართულად ტკეცი ეწოდების – საბა.

ისარს დაუწყებს სროლასა, თოფსა დაუძრავს *მაშას* (არჩ. 321, 664, 3). ზინდანი... კვერი, ფარგალი, *მაშა* (ი. ბაგრატიონი 524, ქვ. 6 ). ერთი ბიჭი არ მყვანდა, *მაშა* აედო (ი. ბარათ. 264, 5).

**მაშა** ორად მოკეცილი ხის ან ლითონის იარაღი ნაკვერჩხლის ასადებად, – საკეცი. თხელი რკინის *მაშით* [ზეინაბს] ნაკვერცხალი მივაწოდე (რ. გვეტ.). // ასეთივე სახის პატარა საოჯახო იარაღი. საბიამ *მაშას* წამოავლო ხელი (ვ. გამსახ.). გუდუნა პერტიმ *მაშა* ილო (ჭ. ამირეჯ.).

დიალექტ. **მაშა** (თურქ. masa) ბოლოებმოდუნული ორტოტა რკინის ჯოხი, ნაკვერჩხლისა და მუგუზლების ასარევად, – ქარცახი, ტკეცი, გელა. „შუგლიკინე მაგ ცეცხლ მაშა, თუარა ჩეიპარება!“ (აჭარ. ნიქ.). იხ. აგრეთვე: (ჯავახ. ზედგ., ხევს. ჭინჭ., ჩვენ. ფუტკ., მთ. კაიშ., ლაზ. თანდ.).

სიტყვა თურქულიდან ჩანს შემოსული შდრ. (თურქ.) masa (გიგინეიშვილი 2016).

საშ., ახ. ქართ. **II. მაშა** სამარხოთაგანი ერთი. ამის მარცვლებს მოხარშვენ და მარხვის დღეებში ჰსჭამენ (თ. ბაგრატი.), ოსპი. საჭმელად უფრო საზოგადოდ ხმარობენ... *მაშას* მოხარშულსა მშრალად (კალმას. II, 144, 11). აილე... *მაშა* წონა სამის დრამისა (ქანან. 81, 36).

და აჭამე თათმისა საჭმელი, ანუ აყირისა *მაშა* (ფანასკ. 235, 4). პარკოსან მარცვლეულთაგან ვახუშტის... დასახელებული აქს: „მუხუდო, ლობიო, ოსპი,... *მაშა*, ურეხელი (ივ. ჯავახ.). ცეილონზე და იავაზე [მწვანე სასუქად თესენ] *მაშა-ლობიოს* (ი. ლომ.).

„**მაშ**“ ამ მცენარეს თურქულად ეწოდება, სპარსულად კი მაშაჰ, ე. ი. ისევე როგორც ქართულშია. აღსანიშნავია, რომ ს. ორბელიანი ამ მარცვლეულს «მაშა-ცერცვს უწოდებს და არა „მაშა-ლობიო“ ე. ი. ლობიოდ კი არა, არამედ ცერცვად მიაჩნდა (ჯავახიშვილი V, 1986, 66). ქართული მაშა-ს შესატყვისი ზანური ფაჩქა შემორჩენილა საბას ლექსიკონში.

აღდგენილია ს.-ქართვ. \*ზაჩა „ფეტვი, ცერცვი“. ს.-ქართვ. \*ზაჩა სიტყვის შესატყვისები სხვა კავკასიურ ენებშიც დასტურდება (ჩუხუა 2000-2003).

შდრ. ამავე მნიშვნელობის **მაში** / **მეშაკი** ცერცველი (სპ.) maşak ცერცველი (ფერეიდ. ჩხუბ.). შდრ. **მაში** მაშა, ანუ ოსპი. ოსპი, *მაში* და ან ბოგრუჯა ამავე მჭავებშიგან მოხარშონ და ისრე ჭამონ (იად. 107, 3).

**მაშა** იქნებ, მაინც, მაშინ, აზა: „იკუეთუ არა, მაშა ვითარცა უგუნური თავს-მიდევით მე“ (II კორ, 11, 16). **მაშა** მაშასადამე. *მაშა* მე ეგრე მეგონა (ვისრ. 206, 28). *მაშა*, ღმერთო, კრძალად კმა იყო (ამირან. 68, 2). **მაშ**, **მაშა** სხვადასხვა კონტექსტში აღნიშნავს: 1. დასკვნას. *მაშ*, თუ ასეა, აღარ გვაქვს ბრალი! (აკაკი). *მაშ*, მეგობრებო, ხელის-ხელ მივცეთ! (ი. ევდ.). 2. დასტურს. მართლა თავადიშვილია ის ყმაწვილი თუ არა“ ვა, თავადიშვილია, მაშ! (შ. არაგვ.). შენც ისწავლი, შვილო, *მაშა!* (თ. რაზიკ.).

### მახალ-ი:

**მახალი** სასმელი, რომელიცა მისცემს მხიარულებასა და დაათრობს, (მახალი თუმცა ხურჯინსაც ეწოდება, მაგრამ აქ ხურჯინის თქმა ყოვლითურთ უშესაბამო არის და არც რუსთაველს ხურჯინი უთქომს). მახალი საუკეთესო სასმელი არის ღვინო თუ ოტკიერი რადმე; მახალი ხლასაც ნიშნავს, ესე იგი ორი სასმელი დოსტაქანი – ორთა მოყვასთა რა აღიღონ და ერთმანერთის სდღეგრძელო შესვან და დოსტაქნები ერთმანერთსა მიახალონ (თ. ბაგრატი.).

საშ. ქართ. **I. მახალი** იმერეთში ერთს რიგს პურსა ჰქვიან (საბა).

### მახალი < მახა.

ს.-ქართვ. \*მახა „ხორბლის ჯიში ქართ. მახა „ყანაა, ასლსა ჰგავს(საბა) ზან. (ლაზ.) მოხა „ხორბლის ჯიში“, „მახა“ (ჩუხუა 2017).

ძვ. ქართ. **II. მახალი** აბგა, ხურჯინი; მათარა: „აჰკვიდა... *მახალი*“ (O, ივდ. 10, 5). „მამაო, მწყურის! და მიიღო ჩემგან *მახალი*, რომელი მკვიდავენ მე ზურგსა... ყო ლოცვაჲ და მომართუა მე იგი წყლითა სავსე“ (Ath – 17, 27v).

ს. ქართვ. \*მახალ- „ხურჯინი“. ძველი ქართულიდან კარგად ცნობილი ფუძეა (აბულაძე 1973). დასტურდება საბას ლექსიკონშიც. ვვარაუ-

დობთ მის ფუძემდებურ წარმომავლობას, ვინაიდან გააჩნია მეტად სარწმუნო კანონზომიერი შესატყვისები რიგ. იბ.-კავკ. ენებში (ჩუხუა 2017).

საშ. ქართ. **III. მახალი** ღვინოსავით სასმელი – დ. ჩუბ. დასხედეს, შეიქმნა პურობა, გაამრავლებდეს *მახალსა* (ვეფხ. 1012, 1).

დ. ჩუბინაშვილით „მახალი“ არის „ღვინოსავით სასმელი, ან შემოკვრა ჭიქებისა სადღეგრძელოს სმის დროს“. იუსტ. აბულადით: „ტკბილი სასმელი, შარბათი, ღვინო“. მახალის სომხური შესატყვისის მახალი – მახალის ქართულთან თანხვედნილობა როგორც ფონემური, ისე (მეტწილად) შინაარსობლივი მხრით, შესაძლებელს ხდის მათ იგივეობას და ამდენად ქართულშიც იმას გვაგვარაუდებინებს რომ აქაც ეს სიტყვა ერთგვარი სასმისია („ფილა“, „ჯამი“ თუ მათარა რითაც ის ნახმარი ჩანს (აბულადე II, 1976, 83). ს. კაკაბაძემ და იუსტ. აბულადემ ეს სიტყვა არაბულ-სპარსული მავალ-იდან მომდინარედ მიიჩნიეს, რაც საჭმელს, ხორაგს, საკვებს აღნიშნავს. ალ. გვახარია იზიარებს ამ ვარაუდს და მოცემულ კონტექსტში მახალის განმარტებას „საჭმლის, ხორაგის“ მნიშვნელობით მისაღებად თვლის (გვახარია 2008).

#### **მახალაკ-ი:**

ძვ. ახ. ქართ. დიალექტ. **I. მახალაკი** ხურჯინი – საბა. იბ. II. მახალი. „აღმოიღო *მახალაკისაგან* თვისისა წმიდაა სახარება“ (ლიმ. 13, 16). „ხუთთა ქვათაა ნაღურევისაგან შთამდებელი სამწყემსოსა *მახალაკსა* შინა, ...მივიდოდა“ (ფლავ. 6: 4).

[იგი] მხოლოდ მადლის სამ ქვას იღებს, ჩაიწყობს ხურჯინში (*მახალაკი*) და უკან ბრუნდება (ი. ნიშნ.). ჩვენამც ქალნი გვქნა ლამაზნი, საქმარედ ცუდი აგვიკიდა! ანამც ვინ ბარის ხუცესნი, ყელს *მახალაკი* დაგვიკიდა! (ხევს. პოეზ. 518, 6) – ალ. ჭინჭ.

დიალექტ. **II. მახალაკი**. მახალაკი სავსე რუმბის დასამაგრებელი (ი. გრიშ.).

**მახალაკი**, ჩიტები საფეიქრო ხელსაწყოს ნაწილი: ჯოხებია, რომლებზედაც დგომია მობმული დაბლა. ყოველ ჩლას ერთი ცალი *მახალაკი* აქვს მობმული (ქიზ. მენთ., რაჭ. ბერ.). შდრ. **მახარი** – კოლოტის პალო (მანა). სომხურია – საბა.

#### **მახმურ-ი:**

საშ. ქართ. **I. მახმური** // **მახმული** ნამთვრალევი, ნაღვინევი, მთვრალი: მაშინ ღვინოსა სუმა გაიმებოდა და აწ *მახმურობითა* ღვინო აღარ გინდა. მაგრა რა ღვინო ნახო, იგივე მოგინდების, – და *მახმურისა* წამალი ღვინისა კიდე აღარა არის (ვისრ. 217, 27). მისის კითხვით წამოსრულვარ, არ მთვრვალურად, არ *მახმურად* (ვეფხ. 933, 2). თუ *მახმური* სჭირდეს და სწყუროდეს, შარბათი ისრიძისა და შარაბი რევაჯისა და შარაბი მჟავისა

ვაშლისა სწორსწორი ერთმანერთსა გაურიონ და შეასუან, -*მახმურიცა* გაყაროს და წყურვილიცა მოკლას (კარაბად. 275, 12). მას ამბავსა თანა გაჰყვა გული წრფელი, *არმახმური* (ბეს. 125, 11).

მახმული ხმევიდან არის ეს ლექსი წარმოებული, ხოლო ხმევა ეწოდება ხმარებასაცა და სმასაცა, მაგრამ **მახმული** – სიმთვრალესა შინა შესრული და ჯერეთ სრულიად არა მთვრალი. **მახმური** მახმული (თ. ბაგრატი.).

maxmóri არაბული სიტყვაა; ნიშნავს ნამთვრალევს, „ნაღვინევს“ (ბართაია 2010).

საშ., ახ., ქართ., დიალექტ. **II. მახმური** ხავერდი ნაქსოვი, მცენარე – დ. ჩუბ.

ნარგიზივით *მახმური* იყო შეხედვითა (ხოსრ. 69, 32). „პირ-*მახმური* ხავსი, შენი მზგავსი არსად იქნება“ (ჰაზირა) (ი. გრიშ.). „გაიხარე, თან იქეიფე, ჩაიცივი *მახმური* და ხარა, ერთი გულშიც ჩამხედეთ, კეკელამ გაიხარა?“ (ხალხ.). შენ კი რა, შენმა მზემ, *მახმურები* გაცვია!“ (ქიზ. მენთ).

**მახმურ** (ახ. მხმწრ) 1. ხავერდი. 2. მახმურ ჩიჩავ ერთგვარი ყვავილი (ინგ. ღამბ.).

### მდელო:

ძვ. ქართ. **I. მდელო** ბალახი, მწვანელი, მოლი: „თივა-ცენებული“, „მწუანე“: „სთიბო *მდელო*“ (ო, იგ. სოლ. 27, 25). „არა იყოს *მდელო* მას ზედა სიკმელისაგან“ (I, ეს. 27, 11). „დიდებად სოფლისად... ვითარცა *მდელო* დაჭნების“ (მ. სწ. 10, 17).

საშ. ქართ. სრვიდეს სპათა ვითარცა მხლთა *მდელოსთა* (ქ. ცხ. II, 510, 8). *მდელო*, სიცხითა დამჭკნარი (ნ. ბარათ. 25, 8).

მცენარენი იწოდებიან ხედ, ბუჩქად, ბუძგნარად, *მდელოდ*, ანუ ბალახად (კალმას. 343). აწ ქვეყანა განაშვენა, ხე, ყვავილთა, მდელო ვსებად (არჩ. 428, 21, 40).

ახ. ქართ. მდელო 1. ძვ. ველის ყოველგვარი მწვანე ბალახი. დაჰქროლა ნიავმა, აბიბინდა *მდელო*, აშრილდნენ ფოთლები (აკაკი). 2. მწვანით მოსილი მინდორი. აყვავებულა *მდელო*, აყვავებულან მთები (ილია, ი. გოგებ.). 3. სპეც. მრვალწლოვანი ბალახი დაფარული საძოვარი ან სათიბი.

1. ეგების ჭანური „ო-ნტულე“ დაკავშირებული იყოს „მდელო-ს მეგრულ-ჭანური შესატყვისობა „ნდოო“სთან (ჯავახიშვილი V, 1986).

2. სიტყვა სომხურიდან ჩანს შემოსული, ჰ. აჭარიანის აზრით, ქართული მდელო წარმოადგენს ძალიან ძველ ნასესხობას სომხურიდან (შდრ. (სომხ.) „სამკურნალო ბალახები **დელ** „წამალი“)... მეგრული ნდოლო ქართულიდან უნდა იყოს ნასესხები (გიგინეიშვილი 2016).

3. ქართ. მდელო ზან. (ლაზ.) მინდორ-ი. მეგრ. მინდორ-ი „ველი მინდორო „ველად“, მინდორია მცირე მიწა“ შდრ. ქართ. (< ზან.) მინდორი. ს.-ქართვ \*მიდალ-ო „მინდორი“ (ჩუხუა 2017).

ძვ. ქართ. **II. მდელო** საპონი; «განსაწმედელი»: „შემოვალს... ვითარცა მდელოსა მრცხელთასა“ О (...„მდელოდ მრცხელთად“ pb) (მალ. 3, 2). „უკუ-ეთუ... განიმრავლნე თავისა შენისა მდელონი, შეგინებულვე ხარ“ pb., – „თუ... განამრავლნე შენდად განსაწმედელნი, შეგინებულვე იყო“ (О, იერმ. 2, 22). იხ. აგრეთვე მდელოვანი, მდელოას – მძოარი – ილ. აბულ.

საბა განმარტავს: მდელო ესე არს ყოველივე მწვანევილი ველისა. მა-ლაქია წინასწარმეტყველისა წიგნთა წერილ არს, ვითარცა მდელოდ მ(რ)ცხელისა არა რა სხვადა არს, გარნა არიან მდელონი, რომელი სარცხელ-სა განასპეტაკებს, ხოლო მსოფლიონი მდელოსა ზროხის ახალსა სკორესა უწოდენ, რამეთუ შართა და ხამთა განასპეტაკებს.

შდრ. დელო ცხვრის ფარის დიდხანს ნაბინავებ-ნადგომ ადგილზე დაგროვილი ჭუჭყი, ნეხვი, სიბინძურე. რაც სადმე დელო უპოვია იმ საცო-დავს, სულ ერთიანად ტანზე აკრავს,- გაიფიქრა მალხაზმა მათხოვრის და-ნახვაზე (მთ.-რაჭ. ლოზჯ.).

შდრ. **დივნე** ნაკელი, პატივი, მიწის სასუქი (გურ. ღლ). მდივნე ნაკე-ლი (გურ. შარაშ.).

„ბანვის, რეცხვის, საპნის, ფაღარათის“ აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები სხვადასხვა ფონეტიკური ცვლილებებით ინდოევროპულ ენათა ფართო არეალს მოიცავს და ერთი ფუძის ნაყარად მიიჩნევა. მაგ. რუსული **мыло** საპონი, **мыть** ბანვა, ფაღარათი; მკვლევრები პრასლავური-სათვის აღადგენენ \*მდლო ფორმას (ფასმერი). ვფიქრობთ ამ უძველეს ფუ-ძეებს ეხმაურება ძველ ქართული სეული მდელოც.

### მელან-ი:

ძვ. ქართ. **I. მელანი** შავი საწერელი – საბა. „იოვანე მოილო ქარტაჲ და მელანი და დაწერა ებისტოლწ“ (ი. მოც. 75, 2). „დაწერილი არა მელნი-თა, არამედ სულითა ღმრთისაა ცხოველისადათა“ (II. კორ3, 3). „და მე და-ვსწერდი წიგნსა ზედ მელნითა“ (I, იერემ. 36, 18).

საშ. ქართ. *მელნად* ვიხმარე გიშრის ტბა (ვეფხ. 4, 3). მერმე მუშკითა და ღალიითა *მელანი* შეაზავა (რუსუდ. 230, 34). გადატ. **მელნის ტბა** თვა-ლები. *მელნისა* ტბათაგან უშვებდა წვიმასა (რუსუდ. 554, 18).

ახ. ქართ. **მელანი** [ბერძ. მელანოს შავი] საწერად სახმარი სხვადასხვა ფერის სითხე. მდივანს მზადა აქვს ქაღალდი, საწერ-კალამი, *მელანი* (აკაკი). მაიორს *მელანი* და კალამი დასჭირდა (მ. ჯავახ.).

თუ დღეს ქართულში **მელანი** ყველა ფერის საწერ საღებავს აღნიშ-ნავს, ძველად მხოლოდ შავ საწერ სითხეს ერქვა და ეს გასაგები იქნება, თუ გავითვალისწინებთ მის ისტორიას: **მელანი** ნასესხებია ბერძნული ენი-დან, სადაც μέλαν უპირველესად შავს ნიშნავს და შემდგომ შავ საწერ საღე-ბავსაც. ძველ ქართულში ზოგადად საწერი საღებავის მნიშვნელობით წა-მალი იხმარებოდა (დანელია, სარჯველაძე 1997, 272).

დიალექტ. **II. მელანი** ფშ., ჯ., თ. „შავი მელა“ (ა. შან.). **მელანი** შავი მელა (ხევს. ჭინჭ.). **მელან-ყორანი** მელანი და ყორანი. გავხედენ ბაბილოვანსა, შავი, თმაშავი, თვალშავი, შალგვიხარ *მელან-ყორანსა* (ალ. ოჩ. 68, 16) – ალ. ჭინჭ. შდრ. I. მელია.

### მელია:

ახ. ქართ. **I. მელია** ძალისებრთა ოჯახის მტაცებელი ძუძუმწოვარი ცხოველი (ხალხის რწმენით, გარეულ ცხოველთა შორის ყველაზე ეშმაკი და მოხერხებული).

კვრინჩხიან გორაკზე, ხევის პირას ამოეთხარა *მელიას* სორო (თ. რაზიკ.).

**მელიასავით** ზმნს. გადატ. ეშმაკურად, ცბიერად. წუნკალა *მელიასავით* შეეპარა ბახვას (გ. წერეთ.)

იხ. აგრეთვე კნინ. **მელოი** მელა. „ციცო ზის სუროშიგ დაჭყეტილაჲი, ამ დროს მოედ, თურბ, მელოი (თუმ. ხუბ., ცოც.)

ძველ ძეგლებში მხოლოდ მელი გვხვდება. ახალ ქართულში ჩვეულებრივია მელა და მელია. „მელი-მელა – მელი ისეთ ურთიერთობაშია ერთმანეთთან, როგორც კაცი-კაცა – კაცია, ოღონდ ეს არის, რომ კნინობითობის გაგება დღეს აღარც მელს ახლავს და აღარც მელიას“ (შანიძე 1980, 162). სიტყვის ძირია მელ- იგი საერთო ქართველური ფუძე-ენის კუთვნილებაა. ამას მოწმობს მისი შესატყვისები სხვა ქართველურ ენებთან (ჩიქობავა 1938, 89). დასტურდება მელ-ფუძისაგან ნაწარმოები ნაირ-ნაირი სემანტიკის სიტყვები

ახ. ქართ. **II. მელია** [ლათ. Melia] ფოთოლცვენის ან მარადმწვანე ხე ან ბუჩქი; გვხვდება ევროპის, აზიისა და აფრიკის ტროპიკულ და სუბტროპიკულ არეებში: ფოთლებს და ფესვების ქერქს იყენებენ მედიცინაში; მისი შხამიანი ნაყოფისაგან იღებენ ინსექტიციდებს – მ. ჭაბ.

### მენა:

ძვ. ქართ. **I. მენა** «მენაკი», სხვენი, ჭერი: „*მენანი* საროდსანი“ O, – „მენაკნი საროდსანი“ (M, ქება, 1, 16).

საშ. ქართ. **მენა** სამყოფი, სადგომი საბა. ვითა ვეფხსა წავარნა და ქვაბი აქვსო სახლად, *მენად* (ვეფხ. 700, 8).

გზის შრომისაგან განერას, ვანად მივიდეს *მენასა* (ქილ. 399, 30). ჩემი ძმა სუემდეს ღვინოსა, მე ცუდად უჯდე *მენასა* (ქილ. 465, 25).

1. ნ. მარის აზრით, „თამარიანში“ უკვე იხმარება სიტყვა მან – „საცხოვრებლის, სადგომის“ მნიშვნელობით მომდინარე სპარსული mān სიტყვიდან. მეორე თავის შრომაში მარი „ვეფხისტყაოსნის“ მენა-ს თვლის საშ. სპარსულიდან ნასესხებად (იხ. ИАН № სერია VII, 7, 1917).

2. ეს სიტყვა მოდის საშ. სპარსული māhan-იდან ავესტური maēθana – შორის, შინა“ შდრ. ქართ. შინა, შინ (ანდრონიკაშვილი II, 1996).



3. ს.-ქართვ. \*მენ- „სენაკი, სორო“ > ქართ. მენა: ზან. მან-, ო-მან-ე (ჩუხუა 2000-2005).

საშ. ქართ. **II. მენასა** კახნი ტაგარასა უწოდებენ და იგიცა ტკბილის(ა) სადგომია – საბა; ნ. და დ. ჩუბ.

ინგილ. თიხის ნახევარქვევრა – მ. ჯან., რ. ღამბ.

საშ. ქართ. **III. მენა** მე. თქვა: „დავდგები აქა მენა“ (შჰნ. II, 3921, 3).

დიალექტ. (ფშ. გუდამაყრ., ქსნის ხ., ინგილ.) მე. „*მენა*, შენი ჭირიმე, გლახა ჭირიშვილი გახლავარ“ (ილია). „*ეხლა* შენც მშვიდობით წადი და *მენაც* გამარჯვებითა“ (ზაჩ.) – ქეგლ.

### **მენაკ-ი:**

ძვ., საშ. ქართ. **I. მენაკი**. იხ. I. მენა

ძვ., საშ. ქართ. **II. მენაკი**. ძვ. ხარისხი ცისმზომელობისა (საბა); გრადუსი. ერთი *მენაკი* ასხუთი რუსული ვერსია (დ. ჩუბ.).

**მენაკი** «ხარისხი», საფეხური: „ექუს *მენაკ* აღსავალი მისი“ (O, III, მფ. 10, 18). „ადვილ არს აჩრდილისად მის „გარე-მო- ათსა *მენაკსა* შთასლვად“ (O, IV, მფ. 20, 10). „ვაქციო აჩრდილი მზისად *მენაკთა* მაგათ, რომელ შთასრულ არს აჩრდილი ათსა *მენაკსა* ტაძართა მაგათ აქაზის, მამისა შენისათა“ O, – „აჰა მოვაქციევ აჩრდილთა აღსავალთასა, რომელთა შთავიდა მზე ათთა ხარისხთა სახლისა მამისა შენისათა“ (pb., ეს. 38, 8).

სარწმუნოების *მენაკსა* ველარავისთან მიუწევს (ქილ. 678, 14).

### **მერ-ი:**

ახ. ქართ. **I. მერი** [ფრან. maire] ქალაქის თავი ინგლისში, საფრანგეთში, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სხვ.

დიალექტ. **II. მერი** ჭაჭის დასაწურავი ხელსაწყო. შდრ. III. მერე.

### **მერე:**

ძვ., საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. მერე** უხნავ-უთესი მიწა – დ. ჩუბ. ძველ ქართულში **მერე** გვხვდება ტოპონიმად: „დედამ ფებრონია მოიწია სამცხით და დაემკვდრა *მერეს* შინა“ (გრ. ხანძთ, აგრ. ძ. I, 261, 28) – ბ. გიგინ.

**მერე** ძვ. წყლის სანაპიროზე მდებარე ვაკე ადგილი (ივ. ჯავახ.). ყოველ ვაკე ადგილს *მერე* არ ეწოდებოდა, არამედ მხოლოდ წყლის სანაპიროზე მდებარეს (ივ. ჯავახ.) – ქეგლ.

**მერე** მდინარის პირას მდებარე ვაკე ადგილი, საყანედ გამოსადეგი მიწა. „რაზე მივალთ და, გზანდა ვთხაროთ *მერეში*!“ (აქარ. ნიჟ., გურ. ჟღ.). ზროხები *მერეში* ზოვდენ“ (იმ., ჩვენ. ფუტკ.). **მერე** მდინარის ნაპირას მდებარე საყანე მიწა (გურ. ტულუში).

1. ქართული ენის დიალექტებში დღემდე ცოცხლობს თურქულიდან ნასესხები სიტყვა **მერე** („მდინარისპირა ვაკე“), რომლისგანაც წარმოქმნილია არაერთი ტოპონიმი როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლურ საქართველოში: მათ შორისა მერე და მერია გურიაში (ჭუმბურიძე 1992, 141).

2. არა ნათელი ქართული მერე-ს კავშირი მეგრულ მერე-სთან, რომელიც „ტბას“ ნიშნავს. შესაძლოა, **მერე** აღნიშნავდა ადგილს, რომელიც მდინარის, ტბის ან მთის შემდეგ იყო განფენილი. თავდაპირველად ასეთი ადგილები აღნიშნებოდნენ გამონათქვამებით: მდინარის მერე, ტბის მერე, მთის მერე ... ასეთი ვარაუდის მიღების შემთხვევაში მერე დაუკავშირდებოდა ეტიმოლოგიურად ნაწილაკ მერე/მერმეს (გიგინეიშვილი 2016).

საშ. ახ. ქართ. **II. მერე, მერეთ** ზმნიზ. მასუკან, აწის შემდგომ – დ. ჩუბ. **მერე** ზმნს. 1. შემდეგ, მერმე. მერე გადაჰკრა ხელი გავაზე და მყის გაიგდო ცხენი ბალახზე (ილია). || რამდენიმე ხნის შემდეგ; სხვა დროს. „ამ წუთს არა გვაქვს და, თუ *მერე* შემოივლი, მზად გვექნება! (შ. არაგვ.). || რამდენიმე ხნის შემდეგ; სხვა დროს. „ამ წუთს არა გვაქვს და, თუ *მერე* შემოივლი, მზად გვექნება!“ (შ. არაგვ.). 2 იხმარება ნაწილაკის მნიშვნელობით და აღნიშნავს; კითხვას, გაკვირვება-გაოცებას, – კი მაგრამ?! „ბაჩუა ხარ? *მერე* ასე შორს რატომ გაჩერებულხარ?! (ლ. ქიაჩ.). || თანაც, ისიც. „როგორ გამოჭიმულა კრესლოზე, *მერე* ბატონისაზე!“ (შ. არაგვ.).

**მერე**: მერის მერე შემდეგის მერე. ეგრე მეტყვის ხომე, ეხლა არა მცალიან, მერე მოვალო და მერის მერეც არ მოვა ხომე (ქართლ. მესხ.).

**მეგრე** მერმე. მერე, შემდეგ. მეგრე რო გაუგეს, აღარ დაუჯერეს.

მერე < მერმე; მერმე დამოწმებულია V-ს-დან. მერმე ძველ ქართულშიც და საშუალებით დამოწმებულია ხან როგორც ნაწილაკი, ხან როგორც ზედსართავი სახელი (მნიშვნელობით „შემდეგი“, „მეორე“) შესაბამისად გვაქვს ფორმები **მერმე** (ზმნიზედა) და **მერმეი** (ზედსართავი). მერმე ნასესხები ჩანს სვანურიდან, სადაც „მეორის“ მნიშვნელობით გვხვდება... რადგან ქართულში „მეორე“ უკვე არსებობდა, სვანურიდან ნასესხები ფორმა სხვა მნიშვნელობით უნდა გამოყენებულიყო. ასეც მოხდა: ქართულში მერმე დამკვიდრდა ძირითადად ზმნიზედად (გიგინეიშვილი 2016).

დიალექტ. **III. მერე** (ოკრიბ.) 1. მერეტაფის ნაწილი, ქვაბი ქვის; 2. ბალქაშის როფი, რომელიც დროგამოშვებით წყლით ივსებოდა და იცლებოდა; 3. ქვის კოდი, საიდანაც წყარო გამოდის (ალავ.) – ალ. ღლ.

მერე წისქვილის ქვედა ქვა (აჭარ. ჯაჯ.). შდრ. მერეტაფა (გურ. შარაშ.). მერეტაფა ქვ. წბერის ნაწილია (რაჭ. კობახ.).

მიგვაჩნია, რომ მერე < მენე < მენა. იხ. II. მენა.

### მეტ-ი:

ძვ. ქართ. **I. მეტი** ზომიზედ ან წონაზედ ჭარბი – დ. ჩუბ.

**მეტი** «ნამეტნავი»: „განიშორეთ მეტი იგი სიბოროტისად“ (იაკ. 1, 2), „მეტ რამე მიჩს მიწერად თქუენდა“ („ნამეტნავ არს ჩემდა მიწერად თქუენდა“), (II კორ. 9, 1).

საშ. ახ., ქართ. **მეტი** გარდა. ამბრი არაბის *მეტი* არავინ არისო (ამირან. 112, 5). 1. შედარებით ბევრი, უფრო ბევრი (საპირისპ. ნაკლები). თვეზე **მეტი** იყო, რაც წერილი გამოეგზავნა (ა. ბელ.). 2. შედარებით დიდი, უფრო დიდი. ასჯერ დიდი ვარ შენზედა, ასჯერ *მეტი* მაქვს სხეული! (ვაჟა). 3. ნამეტანი, ძლიერი. მისი მოსისხლე გული ღელდება და ღელდება *მეტის* მოუთმენლობისა გამო (ილია). 4. ზედმეტი. ამისთანა ალაგას კი ერთი *მეტი* კაცი მთელი ლაშქარია (ა. ყაზბ.). || არა საჭირო. ამ საგნის თაობაზე ლაპარაკი *მეტი* იქნებოდა (ივ. ჯავახ.). 5. სხვა. «ერთხელ ქათმები შეინძრნენ ხეზე. მეტი ხმა არ გამოიგონია» (ს. კლდ.). 6. გარდა. «რაც დავკარგე, რას დავკარგავ იმის *მეტს?*» (გ. ტაბ.). 7. კვლავ, ისევ. «ამ ამბავზე *მეტს* თავის დღეში ნულარ ვილაპარაკებთ» (ნ. ლორთქ.).

დიალექტებში **მეტი** სხვადასხვა სემანტიკური ნიუანსებით და სხვადასხვა წარმოებით გვხვდება. ქართველური არქეტიპი ამ სიტყვისა აღსადგენია \*მატის სახით (ფენრიხი, სარჯველაძე; გიგინეიშვილი 2016).

ძვ. ქართ. **II. მეტი** საქსოვი: „პალესტინეს შინა მოჰქსოენ ქსელთა, არა ვითარცა ჩუენ შორის, ზემო ვიდრემე ყოფითა *მეტთა* და საქუსლისადათა, ხოლო ქუემო ქსოითა სამოსლისადათა და ესრეთა აღსვლითა, არამედ წინაუკმო, ქუენა უკუე არიან *მეტნი*, ხოლო ზენადთ იქსოების ქსელი“ (თეოფილ. 139v). ტექსტის გამომცემელი თ. ცქიტიშვილი წერს: **მეტი** ჩვენ ერთი შეხედვით ქართულ სიტყვად აღვიქვით, მაგრამ კონტექსტმა აშკარად დაგვანახა, რომ ბერძნული სიტყვაა. იგი საქსოვი ტერმინია, ქსოვის ერთ-ერთი ნიმუშია, საფეიქრო ტერმინი, ქსოვის ძირის ძაფი. ტექსტისეული შესატყვისია ბერძნული *μίτον*. დღევანდელ საქსოვ ტერმინოლოგიაში ეს მყარად დამკვიდრებული ტერმინია. ძველ ქართულ ძეგლებში ჯერჯერობით ჩვენი ძეგლის გარდა ვერსად დავადასტურეთ (ცქიტიშვილი II, 2014, 153).

### მეტრ-ი:

ახ. ქართ. **I. მეტრი** [ბერძ. *metron* ზომა] 1. სიგრძის საზომი ერთეული – უდრის (პარიზის) მერიდიანის ერთ მეორმოდ-მილიონედს. *მეტრში* ასი სანტიმეტრია. 2. სიგრძის საზომი იარაღი ერთი *მეტრის* სიგრძისა. ხელში *მეტრი* უჭირავს. 3. რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი. სანტიმეტრი. კილომეტრი თერმომეტრი. კალორიმეტრი.

**მეტრე** (მეტრე) **მეტრო** (ზომის ერთეული). „ეს ფათისკა ხუთი *მეტრე* არ იყო?!“ (თ. ქ., ჩვენ. ფუტკ.).

შდრ. **მეტრი** (ბერძ.) მეტრონ რთული სიტყვის ბოლო შემადგენელი ნაწილი; აღნიშნავს 1. საზომ ხელსაწყოს. მაგ., ბარომეტრი, თერმომეტრი. 2 სიგრძის საზომს მეტრული სისტემისას. მაგ., კილომეტრი, სანტიმეტრი.

ახ. ქართ. **II. მეტრი** (< ბერძ. მეტრონ) (ლიტ.) ლექსის საზომი; იამბიკური მეტრი. 2. მუს. მუსიკალური რიტმის ორგანიზაციის სისტემა.

ახ. ქართ. **III. მეტრი** (ფრანგ. maitre) მასწავლებელი, მოძღვარი.  
2. ადვოკატის, ნოტარიუსის საპატიო ხსენება, დასახელება. მეტრი მასწავლებლის, ადვოკატისა და ნოტარიუსისადმი მიმართვა.

#### მეტრო:

ძვ., საშ. ქართ. **I. მეტრომ** (ბერძნ.) საწყაული, საწყაოს ერთეული: „ღვნოდ ორი მეტრომ ღვნოდ ორი მეტრომ“ (პეტრიწ. 29, 1). „ღვნოდ მეტრომ ერთი“ (პეტრიწ. 29, 6). შდრ. ღვნოდ საწყაული ერთი (29, 7). შდრ. **მეტრა, მეტრე** „გაუკეთეთ ზეთი... მეტრამ ერთი სამსახურებელად სამარხოსა“ (ი. -ე. 54, 27). 15 ლიტრა ერთი მეტროა – საბა.

ახ. ქართ. **II. მეტრო** [ფრანგ. metro] იგივეა, რაც მეტროპოლიტენი.

#### მზარეულ-ი:

ძვ. ქართ. **I. მზარეული, მზარაული** 1. საჭმლის მომზადებელი, მწე, „მეპურე“: „მეპურე ანუ მზარეულ არს, სადა არს პური ანუ პირად-პირადი სანოვავც, რომელი მაგას დაუმზადებეს“ (ფლკტ.134, 25). „მზარეულმან მიიღო იგი და შეწუა ტაფითა“ (მ. ცხ. 424r). „უკუეთუ კოჭობნი იხილნის ცეცხლის კიდესა, იკითხის მზარეულისაგან“ (ი-ე. 40, 25). „დაყო მზარეულობას შინა ორი წელი, გინა უმეტეს“ (ი. ე. 7, 7). „მოკუფხლვა-ყო მზარეულმან“ (გოდ. იერემ. 2, 20). „არა პატივ-ვსცემდეთ...სიველოვნესა მზარეულთასა“ (გრ. ანძ.-შობ. 295, 1). „მზარაულნი, მეპურენი, მემარნენი მონადირენი, მხატვარნი, ყოვლისავე გულისთქუმისა მოქმედნი და აღამასრულებელნი“ (ბ. კეს. 99, 10). „განუსუნენ მზარაულსა შენსა, ეც მოცალებამ მეტრაპეზესა შენსა“ (ბ. კეს. 6, 36).

ახ. ქართ. *მზარეულებმა* ნებიერი წამოაქციეს, ხაბაზებმა თორნე ჩაუკიდეს (აკაკი). სოფლის *მზარეულები* საკლავთან დაქვავებთან ფაცა-ფუცობდნენ (ეკ. გაბ.).

მკვლევართა მოსაზრებების თანახმად: 1. ფ. ერთელიშვილი მზარეულში შესაძლებლად თვლის გამოიყოს \*მზარ, რომელიც უნდა დასტურდებოდეს მზა, მზად „საბოლოოდ გაკეთებული, სახმარებლად ვარგისის“ მნიშვნელობის ლექსემებში (ერთელიშვილი 1980, 106).

2. ეკ. ოსიძის აზრით ძველი ქართულის **მზარეულ || მზარაული** „საჭმლის მომზადებელი“ მნიშვნელობით და მასალობრიდავაც ახლოს დგას უზმა ფუძის ზვმ „ჟამის“ აღმნიშვნელ ძირთან. ოღონდ აქ თანხმოვანთა კომპლექსში შებრუნებული რიგი გვაქვს – მზ და ზმ-. შესაძლებელია მზარეულ < \*მზამარეულ (ოსიძე 1987, 40, სქ. 33). არ არის გამორიცხული შენიშნავს მკვლევარი აგრეთვე მზა < \* მზარ, < მზარ ფუძე უკავშირდებოდეს „ქმნის“ აღმნიშვნელ ზამ- ძირს (იქვე, 42).

3. მ. ჩუხუა აღადგენს ს.-ქართვ. \* ზარ- არქეტიპს (ჩუხუა 2017).

ძვ. ქართ. **II. მზარაული** ყასაბი, მტარვალი. **მზარაულთ-მთავარი** და **მზარაულთ-მოძღვარი** „მტარვალთუფროსი“: „მიიყიდა იგი პეტეფრე... *მზარაულთ-მთავარმან*“ (დაბ. 39, 1). „მისცნა იგინი საპყრობილესა *მზარაულთ-მოძღვრისა* მის“ (O, დაბ. 40, 3). **მთავარმზარეული** «მთავარსაჭურისი»: „მიუგო...არიოქს *მთავარმზარეულსა* მეფისასა“ pb., – „მიუგო...არიოქს მთავარ საჭურისსა მეფისასა“ (O, დან. 2, 14). საბა განმარტავს **მზარეული** არს საჭმლის მოქმედი, არამედ რომელთამე წიგნთა შინა **მზარეული** ქონდაქარი აღუწერიათ მკვლელობის მოქმედი. დ. ჩუბინაშვილიც მიუთითებს მზარეული, ქონდაქარი. კ. დანელიას გამოკვლევული აქვს, რომ „სამოციქულოს“ სხვადასხვა ნუსხებში დადასტურებული სამზარეულო, საქონდაქრო, საკასბო ერთი და იმავე შინაარსის სიტყვებია და გადმოსცემს ბერძნული ტექსტის μάχελλοι სიტყვას, რომელიც აღნიშნავს სასაკლავოს, საყასბოს, ანუ საკასბოს (არაბ. კასსაბ „საქონლის დამკვლელი ან ხორცის გამყიდველი). ქონდაქარი კი ნ. მარის აზრით, ირანული წარმოშობის სიტყვაა და ნიშნავს (resp. ჯალათს (დანელია 1983, 343).

ვფიქრობთ, რომ „ჯალათის“ აღმნიშვნელი მზარეული ზარავს „ზარს განაცდევინებს, აძრწუნებს, თავზარს სცემს“ ზმნის მიმღეობა უნდა იყოს.

ახალი ქართულის **მზარავი**, შემზარავი და ძველი ქართულის **მზარაული** ერთი და იმავე ზმნური ფუძიდან მიღებული მიმღეობებია, ერთი ახალი მეორე ძველი. ძველ ქართულშივე მზარეული ყასბის შინაარსით უკვე არქაიზმს უნდა წარმოადგენდეს,

ამიტომაცაა, რომ სამზარეულო „სამოციქულოს ნუსხებში შეცვლილია უფრო გასაგები საქონდაქრო და საკასბო სიტყვებით. მ-ურ (ულ) სასუბიექტო მიმღეობის აფიქსებია. თემის ნიშნისეული ვ ბგერა უ-ს მეზობლობაში დაკარგულია. ე კი ა- საგან დისიმილაციით უნდა მიგვეღო. „მზარავის“, „მტარვალის“, „ყასაბის“, კულინარის ერთ სემანტიკურ რგოლში გაერთიანება ვფიქრობთ დაბრკოლებას არ ქმნის.

**მილი-ი:**

საშ. ქართ. **I. მილი** სოლინარი, ლულა, წყლის სადინელი. *მილი* თვალისა სასურმელი ჩხირი – დ. ჩუბ.

მილი გადატ. უხვად მდინარი, ურიცხვი. ცრემლი ზდის, ვითა *მილია* (შპნ. I, 600, 3).

ახ. ქართ. **მილი** გრძელი, მეტწილად მრგვალი ღრუ საგანი სითხის, ორთქლის, კვამლისა და მისთ. სადენად. შიგ სოფელშივე არის წყარო, რომელიც ამ ოცი წლის წინათ გამოიყვანეს... *მილებით* (ილია). 2. გადატ. სისხლმარღვი. ეს ხომ ახალი არ არის, სისხლმა იდინოს *მილითა* (ვაჟა).

საშ. ქართ. **II. მილი** ეჯი ან ალაჯი 7 ვერსი-დ. ჩუბ. მილი [ლათ. mille ათასი] მანძილის საზომი ერთეული (სხვადასხვა სახელმწიფოში სხვადასხვა სიგრძისაა). გეოგრაფიული მილი (7. 420 მეტრს). – საზღვაო

მილი (1852 მეტრს). – და ერთ კვადრატულ... მილზე 1. 200 კაცის მაგიერ 5. 200 კაცი გამოჩნდა (ილია). პოლკი... ქალაქიდან ნახევარი მილის მან- მილზე იდგა (ი. აგლ. თარგმ.). შდრ. ძვ. ქართ. მილიონი – ილ. აბულ.

ფიქსირდება საბას ლექსიკონში, თუმცა არ ეძებნება ქართველური შესატყვისები. ფიქრობენ ქართ. მილ-ის პარალელებზე მცირეაზიურ არე- ალშიც (შ. გაბისკირია).

ს.-ქართ. \*მილ- „მილი“. ქართ. მილი, მილაკი (ჩუხუა 2017).

საშ. ქართ. **III. მილი** საწყაო. ტანს მოაბადნი დამოსნა, აჩუქა ოქრო მილითა (შჰნ. I, 1186, 2).

საშ. ქართ. **IV. მილი** (სპ. მილ) შემკულობა, სახე, ნახატობა; ნატიფი სახე, კაზმა, მოხატულობა. აბაიებ- ასალებზე ევლო ხალასი მილია (შჰნ. I, 198, 3).

დიალექტ. **V. მილი, მილობა** ქვირითის დაყრა, ქვირითის დაყრის პერიოდი. მეთევზეებისათვის მილის მიგნება ბედნიერი შემთხვევაა (აჭარ. ნიჟ).

### მინა:

**მინა** ჩვენებურად ბროლსა რასამე უსრულსა, რომელსა შუშასაც უწოდენ, მას ეწოდების, ხოლო სპარსულად მინა მინიატურსა ეწოდების, რომელსა ჩვენ მინანქარს უწოდებთ. ბროლი ანუ მინიატური. მინა-მინოს ბრძენი. მინა-სპარსულად ცასაცა ჰქვიან (თ. ბაგრატი).

ძვ., საშ. ქართ. **I. მინა** ემალი: „დავასუენე ხატი წმიდისა გიორგი მთავარმოწამისაჲ, ოქროსაჲ მინათა“ (A – 484, 315).

„ამათგანნი უმრავლესნი დიდძალითა წარსაგებელითა შემკულ არი- ან თუალებითა პატიოსნითა და მარგალიტითა, მინათა და შემეფტონი- თა“ (პეტრიწ. 2, 18).

სათნი დავკარგენ, მინანი (ვეფხ. 837, 3). მას ზაფრანად გადაექცა ღაწვი ვარდი, სათი-მინა (ნ. ციც. 413, 9). გადატ. თმა სათ-გიშერი, შვენიე- რი მინა ყელია (ბეს. 48, 14).

მინა: ქართულად „აქლემის თვალს“ და „ცის ნატეხას“ უწოდებენ (ნადირაძე 2011).

სპარსული minā – „შუშა, ბროლი, ემალი (ცისფერი)“, შდრ. ავ. minav– „მარგალიტი, ძვირფასი ქვა“. შდრ არაბული min’an „ემალი, ჭიქა, მინა“, ფარს. მინო – „ზურმუხტი“, minā– „მინა“, ქურთ. minā და სხვ. (ანდრონიკაშვილი II, 1996).

საშ. ქართ. **II. მინა** ჭიქა არს ფერადი ელვარედ შემზადებული ილეკ- როთ ზედა მხატ(ვ)რულად ქმნად შემზადებული (საბა). ვით წესია საყიან- თა, ხელთა მქონდეს ბროლის მინა (ნ. ციც. 421, 85). ცრემლის მაგიერად მინის პირიდან წითელი ღვინო ჩამოსდიოდა (ხოსრ. 30, 17). წინა მინით ღვინო უთქს (რუსუდ. 204, 8).

ახ. ქართ. **მინა** 1. გამჭვირვალე ნივთიერება, რომელიც მიიღება კვარცის ქვის გადნობის შედეგად. მინის ქარხანა. 2. ამგვარი ნივთიერებისაგან დამზადებული ფინი ან სხვა ფორმის საგანი. შევხტი ფანჯარაზე, გავამტვრიე *მინები*... და მოვკურცხლე შინისაკენ (აკაკი). 3. ძვ. ამ ნივთიერებისაგან დამზადებული ჭურჭელი (ბოთლი, შუშა, ჭიქა). ხელში ეჭირა... თავმოტეხილი წამლის *მინა* (ილია).

დიალექტ. **მინა** ბოთლი. არაყი და პური თითო ჩარეკი ან თითო მინა ყველა თან მოაქვს (ვაჟა) – ალ. ჭინჭ. იხ. **მინა** (ვ., ფშ., გუდ., მთ., მოვ.) – ა. შან.

**მინაის არაყი** საგანგებო არაყი, ცხარე არაყი. „ქალების შანახულ მინას არაყს კი შავსვემდი“ (სწორფრ. 154, 25) – ალ. ჭინჭ.

საშ. ქართ. **II. მინა** [ლათ. mina < ბერ. მნა] ფულისა და წონის ერთეული ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში და ანტიკურ საბერძნეთში – მ. ჭაბ.

ახ. ქართ. **III. მინა** [ფრან. mine] ნაღმი. ძლიერი ფეთქებადი ჭურვი, რომელსაც დებენ რისამე ქვეშ ან წყალში – ა. სიხ.

#### **მისხალ-ი:**

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. მისხალი** miskal მისხალი წონის ერთეული ძველად (არაბ.) წონა 4 დანგისა და 27 კერატისა, გინა 108 ქერის მარცვალი (დ. ჩუბ.). კაცს უთხრა: „ჭკუვით იქცევი წონით არც ერთის *მისხლითა* (დ. გურამ. 202, 23, 2).

ერთი *მისხალი* ოცდაოთხი მუხუდო არის (ბ. ჯორჯ.). || ძალიან მცირე, სულ ცოტა. «სამი დღის განმავლობაში... ერთი *მისხალი* საჭმელი არ მიიღოს!» (ჭ. ლომთ.).

ერთი *მისხალი* არ მომწევია მე, ყუელაი მაგათ შეჭამეს (ინ., ჩვენ. ფუტკ.).

საშ. ქართ. **II. მისხალი** ძვ. ერთგვარი საკრავი. მისხალი სოინარი – საბა. ოსებს ჰქონდათ სასულე, სიმეზიანი, დასარტყამი საკრავი. ინსტრუმენტები. ...ვათალარი, ყარაბაღარი, ჯულრაღარი, *მისხალი*, ალბაბა, აბრამადარი, ჩალატეზი (ეთნოს.).

#### **მიტკალ-ი:**

საშ. ქართ. **I. მიტკალი** იხ. I. მისხალი. ანძრუთი- ორი *მიტკალი* აიღო ზაფრანი მიტკალი და სუმშული-*მიტკალი* (ფანასკ. 77, 13).

შდრ. **მიტყალი** მისხალი დრამ-ნახევარი, ლიტრა – საბა. ერთმანეთის გვერდით დასტურდება მიტყალი (ფანასკ. 15, 4); მუტყალი (ფანასკ. 14, 24); მუტყალი (ფანასკ. 85, 11).

ახ. ქართვ. **II. მიტკალი** [არაბ. მიტკალ] ბამბის თეთრი ქსოვილი. სიკოს ეცვა... თეთრი *მიტკლის* პერანგი (ე. ნინოშ.). [ბამბის] ძაფიდან ქსოვენ...: ჩითსა, მიტკალსა... და სხვ. (ი. გოგებ.).

**მიტრა:**

ძვ., საშ., ახ. ქართ. **I. მიტრა** მღდელთ-მთავართ გვირგვინი – საბა. [ბერძ. Mitra] **მიტრა** «ვარშამაგი», თავდასაბურავი: „დასდვა მიტრამ თავსა ზედა მისსა G- დაბურა ვარშამაგი თავსა მისსა“ (O, ლევიტ. 8, 9).

**მიტრა** მეორე ურემში ეპისკოპოსის მიტრა და კვერთხი აღმოუჩენიათ (ნ. ლორთქ.).

**II. მიტრა** [ძვ. -სპარს. ხელშეკრულება] ირანულ მითოლოგიაში აკურთხავდას შექმნილი ხელშეკრულების შესრულებისა და სინათლის (მზის) ღმერთი, ბნელეთის ძალებთან მებრძოლი – ს. თეზ.

**მლევან-ი:**

ძვ. ქართ. **I. მლევანი** მსგავსი: „ესევითარსა უჭმან დაშნნი სიტყუანი, რადთა მლევანით მით ჰფარვიდეს ბოროტსა მას“ (ბალ. 166, 17).

**ეგემლევანი** მაგნაირი: „ეგემლევანითა მწართა და უწყალოდთა ტანჯვითა გუტანჯენ ჩუენ“ (ანდ. -ანატ. 195, 1). **ესემლევანი** „ეგევითარი“ ამნაირი, ამისებრი, „ესევითარი“: არა იყო *ესემლევანი* დღე პირველი, არცა დასასრული“ M – „არა იქმნ დღე ეგევითარი არცა პირველ, არცა უკუანამსკნელ“ (G, ისუ ნ. 10, 14).

ძვ. ქართ. **II. მლევანი** მწუხარე. **მლევანება** მწუხარება: „წარმგზავნეს ბერი მრავლითა მლევანებითა“ (მ. ცხ. 210 r).

საშ. ქართ. **III. მლევანი**: ესე ცხრო *მლევანი* არის, რომელ მოეკიდებოდა ასოთა მაგართა და ძუალთა (ფანასკ. 378, 27). შდრ. მლეველი მომსპობი, მმუსრველი – ქეგლ.

**მოგვი-ი:**

საშ. ქართ., ქეგლ **I. მოგვი** ჩექმა „სხვათა ენაა ქართულად მოგვი ჰქვია“ (საბა).

შემოსეს, *მოგვი* ჩააცვეს, დგას ოქროს სარტყელიანი (შჰნ. I, 1152, 3). ხოლო აზნაურნი განიყოფიან ოთხად: პირველად, მეორედ, მესამედ და მეოთხედ; ხოლო მეოთხესა ეწოდების *ცალმოგვი* (საშ. 151, 14). *მოგვი* იგან ედვის ხანჯალი, ქიშვადიანთა წესია (შჰნ. II, 4023, 4).

როგორც ჩანს, „მოგვი“ მაღალყელიანი ფეხსაცმელი იყო; და ყელი ისეთი ჰქონდა, რომ დაშნაც კი ეტეოდა შიგ. იგი თავისი ქუსლითაც ძლიერ მოგვაგონებს თანამედროვე ჩექმას (მესხია I, 1982, 108).

ს.-ქართვ. \*მეგუტ „ტყავის თასმეზიანი ფეხსაცმელი“ > ქართ. მოგვი (< \*მეგუტ-ი) : ზან. მაგუ- > || მანგუ-: სვან. მეგუტ, სამეგუტ (ჩუხუა 2000-2003).

ლ. გელენიძე შესამლებლად თვლის, მოგვი „ქუსლის“ აღმნიშვნელ სვან. ჰაგუტ-ს დაუკავშიროს. ანდრონიკაშვილი მას საშ. სპარს mōk-ს „ფეხსაცმელი“ უდარებს და თვლის, რომ მოგუტ-ში იგივე ძირი უნდა გვექნოდეს, რაც მკობა-სა და მოსვა-ში გვაქვს (ბინიაშვილი 1997, 16).



ძვ., საშ., ქართ. **II. მოგვი** 1. ზოროასტრის სჯულის მღვდელმსახური, ცეცხლმსახურთა ქურუმი. მაზდეანებს მღვდელმსახურნიც ჰყავდათ, რომელთაც „*მოგვებს*“ ეძახდნენ (ივ. ჯავახ.). პოვეს მუნ კაცი ერთი *მოგვ* (საქ. მოც. 13, 6). წარმოითრით მოგვ ეგე (თეკლა, 99, 20). წიგნებიც მოილო *მოგვას* მის ფილექტიმოთისგან (ფლკტ. 158, 7). „ხოლო იესოს შობასა ბეთლემს ჰურიასტანისასა, დღეთა ჰეროდე მეფისათა, აჰა *მოგვნი* აღმოსავალით მოვიდეს იერუსალიმად და იტყოდეს სადა არს, რომელი-იგი იშვა მეუფე ჰურიათა“ (მათ. 2, 1-27).

გადატ. **მოგვ** „ემშაკი“, „მოხერხებული“ როგორც მოგვი. კაცი *მოგვ* და ტრელი (ქ. ცხ. 13, 7).

2. ვარსკვლავთმრიცხველი; გრძნეული, მისანი. მათ არ მართებდათ ღვთის მცნობთა, ეს საქნელია მოგვისა (არჩ. 489, 17). ვარსკვლავი იპყრეს, მტერი გაიპეს პირველ *მოგვებთა*, ოდეს მგზავრობდენ (ბეს. 64, 1).

მზად იყო მკითხავისთვისაც-კი მიემართნა, ენახა ყველა ბრძენი, ნასწავლი, *მოგვი* (ვაჟა).

### მოგუ:

ძვ. ქართ. **I. მოგუ**. იხ. I. მოგვი: „იკონომოსისაგან ითხოვიან: გინა თუ *მოგუნი* გინა თუ ჩაფლანი გინა თუ ტყავი“ (ი. -ე. 44, 26). „შევეკრნეთ *მოგუნი*“ (ბ. კეს. -ექუს. დღ. 134, 18).

*მოგუისაგან* კლიტე ამოილო, ზარდსა მიუგდო (ვისრ. 154, 31). ორნი დაშნანი იქით და აქეთ *მოგუშიგან* ესხნიან (ამირან. 99, 1). ცხენსა ზედა მოსიათ საწარმართული და *მოგუნი* (ქ. ცხ. IV, 45, 17).

ძვ. ქართ. **II. მოგუ** ვარსკვლავთ-მრიცხველი, მისანი, კუდიანი, მაზდეანთა მოძღვარი: „მოუწოდა *მოგუთა* მათ“ (მთ. 2, 7). „იხილეს რად ესე *მოგუთ(ა)-მთავართა* და მოგუთა ... შეკრბეს“ (ატმ. 95, 11). „ორნი უკუე კაცნი *მოგუნი* გამოცდილნი მომცნეს მე იერუსალჴმით“ (აპოკრ. 66, 31). იხ. აგრეთვე: მოგუნა, დამოგუნა, მოგუება, მოგუთ(ა) – მთავარი – ილ. აბულ.

### მოდა:

ძვ., საშ. ქართ. **I. მოდა** ძველებური ჩანახი, რომელიც შთაიტევს ასს კვერცხს – დ. ჩუბ. **მოდა** იგივეა, რაც მოდი (ებრ. ბერძნ.) ძვ. ებრაული საწყაო.

„დიკად *მოდი* ერთი“ (პეტრიწ. 29, 6). „ეს რიგია და ყოველს ადგილს არის დიდზე და მცირეზედაც *მოდს* აღება და შენც აძლიე ჯეროვანი მოდი“ (სამ. VIII, 778, 1).

ახ. ქართ. **II. მოდა** (ფრანგ. mode) 1. ამა თუ იმ საზოგადოებრივი წრისათვის გარკვეულ ხანაში დამახასიათებელი გემოვნება ჩაცმა-მორთვისა, ქცევის წესები და სხვ. თეიმურაზი იყო უკანასკნელ *მოდაზე* თავდავარცხნილი და ტანთჩაცმული (ლ. არდაზ.). 2. ასეთი გემოვნების შესაფერისი ტანისამოსი (ფეხსაცმელი და მისთ.).

**მოგ-ი:**

საშ. ქართ. **I. მოგი** არს სადა ოქრო, ვეცხლი, ბრპენი, სპილენძი და მისთანანი ითხრების და გამოიდნობის Cab. – საბა. შდრ. ბოვი «ილეკროს პირველად გამოსადნობელი» (საბა), – ლითონის გამოსადნობი ღუმელი.

საშ., ახ. ქართ. **II. მოგი** სხვათა ენაა, ქართულად ლ უ რ ჯ ი – საბა, დ. ჩუბ. იხ. მოვი აბრეშუმის ნაქსოვი, უფრო საპერანგე – დ. ჩუბ. შდრ. მავი საბა, დ. ჩუბ.

წითელი მოვის პერანგო, მაღლა შეკრულო ღილითა! (ხალხ.). დიღებ-ჩახსნილი ახალუხიდან [კაცს] წითელი მოვის პერანგი უჩანდა (ვ. ბარნ.).

სხვადასხვა ფერის ქსოვილების სახელად მოვი დასტურდება ასევე ჯა-ვახურ, ქიზიყურ, ქართლურ, მოხეურ, ინგილოურ და სხვ. დიალექტებშიც.

**მოლ-ი:**

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. მოლი** ახლად ამოსული ხშირი და წმინდა ბალახი. რაშსა მისცა სამოვარი, მან დაიგო ქუეშე მოლი (შპნ. I, 2263, 1). გაიზარდა მოლი, ხეთა ფოთოლი (დ. გურამ. 213, 38, 4). ვით ხავედი მოეფინა წყლისა პირსა მწვანე მოლი (ნ. ციც. 720, ქვ. 5). მიწა – მოლითა სავსე (რუსუდ. 172, 5).

ცხენები... ახლად ამოყრილი მოლისაკენ იწევდნენ (მიხ. მრევლ.).

**მოლი** ქორფა (ყლორტი, ნაჭუჭი...) ვაზის რქა სანამ ახალია, მოლია, რო მოიწევ, სვინტრივით იმტვრევა (ზ. ხანდ.). კაკალი მოვკრიფე და მოლი იყო, სამურაბეთ არ ვარგა (მეგ., ქართლ. ლექსიკ.). იხ. აგრეთვე **მოლი**: (ზ. შავშ., მთ.-რაჭ. ლობჯ., ფშ. ხორნ., ჩვენ. ფუტკ., გურ. ჯაჯ., რაჭ. კობახ.).

ზან. **მოლი** მოლი, გაზაფხულის პირველი ბალახი; მომდებარე, წინამდებარე (ველი) (მეგრ. ქობ.).

1. \*მოლ-არქექტიპი საერთოქართველური ფუძე-ენისათვის აღადგინა ჰ. ფენრიხმა (ფენრიხი, სარჯველაძე 2000).

2. \*ბალ-/\*ბოლ ან \*მალ-/\*მოლ-, რომელსაც თავდაპირველად „ბალახეულის, ფოთლეულის“ მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა, არის მიღებული ისევე, როგორც ქართ. მოლი/ რომ თვით ქართ. მოლი საკმაოდ არქაულია, დასტურდება მისი ფართო გავრცელებით ქართველურ ტოპონიმიკაში: მოლითი, მოლიახო, სამოლეთი და სხვ. (გორდეზიანი 1985, 93- 94).

ჰომეროსის „ოდისეას“ მიხედვით „მოლი“ (Moly) არის მაგიური ძალის მქონე შავფესვება და თეთრყვავილიანი მცენარე, სამკურნალო წამალი (ფარმაკონი), რომლითაც ადამიანი თავს იზღვევს გრძნეულთა ჯადოსნური საწამლავებისა და სხვა რაიმე თილისმური ზემოქმედებისაგან (ლოლაშვილი 1984, 33).

საშ. ქართ. **II. მოლი** მანტია, მოსასხამი. მან გრძნეულმან მოლი რამე წამოისხა ზედა ტანსა (ვეფხ. 1276, 3). რაშსა მისცა სამოვარი, მან დაიგო ქუეშე მოლი (შპნ. I, 2263, 1). თქვენგან ქურუმთა მყის აქ ურუმთა / მოლითა ცუდ-ყვეს ბომონთ-მოთხრობა (შავთ. 79, 3).

1. **მოლი** არაბულ სიტყვას უნდა უკავშირდებოდეს, რაც მოსასხამს ნიშნავს (კობიძე 1967, 200). 2. თ. ცქიტიშვილი მართებულად მიიჩნევს ივ. გიგინეიშვილისა და ივ. ლოლაშვილის მოსაზრებას, რომლის მიხედვით „ვეფხისტყაოსანში“ მოლი მაგიური ფუნქციით აღჭურვილი ბალახია (ცქიტიშვილი 1985, 67-77).

ახ. ქართ. **III. მოლი** (ლათ.) ნივთიერების რაოდენობის ერთეული, რომელიც მოლეკულების, ატომების, იონების ან ნივთიერების სხვ. სტრუქტურული ელემენტები 6, 022-1023 შეიცავს – ს. თეზ.

ახ. ქართ. **IV. მოლი** (იტალ. molis) იგივეა, რაც მინორი [1] მუსიკალური კილო, რომლის მდგრადი ბგერები (I, III და V საფესურისა) ქმნის ნაღვლიანი შეფერილობის მქონე სამხმოვნებს. იგივეა, რაც მინორული.

ახ. ქართ. **V. მოლი** (იტალ.) ზღვაში ნავსადგურის შესასვლელთან აგებული გრძელი კედელი, რომელიც ერთი ბოლოთი ნაპირს ებჯინება; იცავს ნავსადგურს ზღვის დელვისაგან – მ. ჭაბ.

**მოლა:**

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. მოლა** [არაბ. მაულა „ბატონი“] მუსულმანთა მღვდელი. ბერი იყო იგი *მოლა*, ბრძენი, ერთობ მონახული (თეიმ. I, 47, 20, 1). ქართლი ოსმალომ დაიპყრა, კახეთი ლეკთა მოლამა (დ. გურ. 108, 323, 2). რა შეატყო მიჯნურობა, გაგულისდა მეტად *მოლა* (თეიმ. I, 48, 26, 2). დაუდგინნეს *მოლანი* მათნი დაბნებთა (ქ. ცხ. IV, 622, 27).

*მოლა* მოჰყვება ლოცვასა, იხსენებს თავის მკვდარსაო (ვაჟა). არ მოისმოდა *მოლის* ჩვეულებრივი ძახილი მართლმორწმუნე მაჰმადიანთა ლოცვად მისაწვევად (ა. ყაზბ.). *მოლა* ავიდა ზევით (ვ. ბარნ.).

იხ. აგრეთვე: (ჩვენ. ფუტკ.).

**მოლა** გადატ. თვალთმაქცი, ეშმაკი, გაიძვერა ადამიანი. „ეგ? კაი დიდი *მოლაა*, ვინც არ იცნოფს!“ (გ.-კაბ. სახლთხ.). **მოლა** გაიძვერა, პირფერი. ქასქანჯიელს *მოლა* ადამიანს ეტყვიან, ისეთი ენა აქ, ვისაც რას ეტყვის, დაჯერებს (კავთ.). **მოლურად** პირფერულად. *მოლა* ადამიანმა იცის, რამის გამორთმევა რო უნდა, ისე დაუწყევს ლაპარაკსა *მოლურათა*, მოფერები-თა, რომ გამოსტყუეფს (გრაკ. ქართლ. ლექსიკ.).

დიალექტ. **II. მოლა** იხ. მოლი. *მოლაზე* ჩამოხტა ცხენიდან და წაწვა ნაბადზე (შემ., გურ. ჯაჯ.). **მოლა** მინდორი, კონინდარი, ბალახი. „გუშხამ ვბანდი და ჩამიგდო წყალში საპონი. მოლე იყო იქინე და ვერ დადვა?!“ „ამისანა სიცხეში კაია *მოლაზე* წამოწოლა, მარა დითხანს არ ვარგა“ (საჩინ. შარაშ.).

**მიწა-მოლა** ბალახიანი ადგილი (მოლი?) შელოცვებში ეს სიტყვა უფრო ბგერათა უზრო კომპლექსად გამოჩანს. „მიწა-მოლა იძრა, ციხე-ქალაქი იძრა“ (ქვაბ., გურ. ჯაჯ.).

დიალექტ. **III. მოლა** ერთად შეკრული ტილოები ქვევრის გაქონვისას ქონის მისასმელ-მოსასმელად (ქიზ. მენტ.).

**მორ-ი:**

საშ. ქართ. **I. მორი** მხურვალე წამალია. *მორი* მხურვალეა და დედა-კაცისა წესსა გახსნის (ქანან. 465, 16).

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. მორი** ძელის მონაკვეთი, გინა მომგრგვალებული – საბა.

**მორვა** გაკვეთა, დაჭრა ხის მორებად: გარე შემოეხვივნეს, ზოგთა უყო შუა *მორვა* (შჰნ. I, 896, 4).

**მორი** მოჭრილი მსხვილი ხე, ტოტებგაცლილი და უხეშად გათლილი. მთებიდან დაქანებული უზარმაზარი *მორები* ცვივიან ენგურის კალაპოტში («ლიტ. და ხელოვნ.»). იხ. აგრეთვე: (ჩვენ. ფუტკ.)

ქართ. მორი, ნამორი. ს.-ქართვე. \*მორ- „მორი“. წ. –სინდ. \*მურ-უ „მორი, კოჭი“, ხათ. მურუ „მორი; კოჭი. ადვილი შესამჩნევია ხათურ- ქართველური იზოგლოსების ერთგვაროვანი სტრუქტურა და სემანტიკა, რაც ძირის პალეოკავკასიური ეტიმოლოგიით აიხსნება მხოლოდ (ჩუხუა 2017).

დიალექტ. **II. მორი** (mor) იისფერი, ლილისფერი ამას *მორი* რენგი ქვია (იმ., ჩვენ. ფუტკ.). შეიღებება: ეშელი, *მორი*, ჭახე ყვითელი, ნარინჯი, ყირმიზი (აჭარ. მრეწ. III, II, 242).

**მროწეულ-ი:**

ძვ. ქართ. **I. მროწეული** ბროწეული: „*მროწეული* და დანაკის-კუდი და ვაშლი და ყოველი ხს ველისაჲ განჯმა“ (იოვ. 1, 12).

ძველ ქართულში malum punikum-ის და punika granatum-ის აღსანიშნავად გვხვდება ფონეტიკური ვარიანტები: მრეწეული, მროწეული, ბროწეული.

**მროწეულოვანი** ბროწეულიანი: „ქუეყანაჲ ლელოვანი და ვენაცოვანი და *მროწეულოვანი*, ქუეყანაჲ ზეთისხილოვანი“ (კალ. ლექც. 24,4- 7b). **მროწეულაკი** ბროწეული მცირე: „ქმნა *მროწეულაკები* ასი და მოასხა გარდამოკიდებულთა მათ“ (M, II, ნშტ. 3, 16). „ჯდა... ხესა ქუეშე *მროწეულსა*“ (I მფ. 14, 2). უჩუენეს ნაყოფი მისი *მრეწეული* და ტევანი იყო ყურძნისაჲ (შატბ. 127v, 2-3).

შდრ. „ვითარცა ნაქურცენი *ბროწეულისაჲ (მროწეულისაჲ)* საკეთენი შენნი“ (M, ქებ. 6, 6). „გამოართუა ბერსა მალაკი, რომელსა შინა იდვა ჩამიჩი და ბროწეული, არცა წყალი არს სასუმლად“ (რიცხ. 20, 5). „ქუეყანასა... ვენაცოვანსა და ლელოვანსა და *ბროწეულოვანსა*“ (M, II, შჯ. 8, 8).

სამეცნიერო ლიტერატურაში ბროწეული საერთო ქართველურ ფუძედაა მიჩნეული (ჩიქობავა 1938, 125).

ირ. ქერქაძე საბაზე დაყრდნობით შემდეგს აღნიშნავს: **მროწეულ-**ფუძე ძველ ტექსტებში ზოგჯერ ბროწეულის მნიშვნელობით იხმარება. ეს ცხადია შეცდომაა. ამის თაობაზე საბასთან ვკითხულობთ: „ვითთა ბროწეული მროწეულად აღუწერიათ, არამედ ხილსა არა ეწოდების მროწეუ-

ლი, არამედ ბროწეული: მაგ.: „და იყო ყოველი *მროწეულები* ას კანკელსა მას ზედა“ (იერ. 52, 33). „და საულ ჯდა ბორცუსა მას ზედა ხესა ქუეშე *მროწეულსა* მაგდოს“ (მფ. I, 14, 2).

ირ. ქერქაძეს ეს ადგილები შეუდარებია ბერძნულ ბიბლიასთან და ასკვნის, რომ ეს არის სწორედ ბროწეული მნიშვნელობით: 1. ხეხილი; 2. ამავე ხეხილის ნაყოფი (ქერქაძე 1974, 13).

საფიქრებელია, რომ **მროწეული** // **მრეწეულ** სიტყვები ძველ ქართულში დიალექტიზმებია. იმის გამო, რომ არ მოგვეპოვება ქართული ენის დიალექტთა ადრეული ჩანაწერები, დღეს თითქმის შეუძლებელია მტკიცება თუ რომელი დიალექტის (თუ დიალექტთა წრის) კუთვნილება უნდა იყოს სალიტერატურო ენის ძეგლებში გამოვლენილი ესა თუ ის ფორმა (სარჯველაძე 1984, 110).

ძვ. ქართ. II. **მროწეული**, **მროწლე** ნახირი: „კურთხეულ იყვნენ... *მროწეულნი* ზროხათა შენთანი და სამწყსონი ცხოვართა შენთანი“ (M, II, შჯ. 28, 4). „წარმოსტყუენვიდეს ცხოვარსა და *მროწეულსა* მათსა“ (O, I, მფ. 27, 9). „ტიროდეს *მროწეულნი* ზროხათანი, რამეთუ არა იყო სამოვარი მათა“ (O, იოვ. 1, 18). „რამეთუ არღარა ქუეყანისა მოცემად აღვთქუა, გამომცენარისა სძისა და თაფლისად, არცა... სამწყსონი ცხოვართანი და *მროწეულებად* ზროხათად, ანუ-არვებ თხათად“ (Ler = 12 218v, 8-10). „*მროწლად* მირბიოდა იგი და მოიბნა მ~რ ორნი ზუარაკნი“ (ტობია, 7, 5).

გვხვდება **მროწლე** სიტყვიდან ნაწარმოები ახალი ლექსემებიც. **სამროწლე** „სამწყსო კარი“, «მროწეული»: „ვერძნი უბიწონი სამროწლისაგან და ცხოვართაგან და თხათაგან“ G – „უბიწოდ ვერძი სამწყსოდსად კართა ცხოვართაგან და თხათაგან“ (pb., ლევიტ. 22, 19). „აკურთხეს... ზროხანი *სამროწლისა* შენისანი და არვები ცხოვართა შენთა“ (M, II შჯ. 7, 13).

როგორც ირ. ქერქაძე შენიშნავს ძველ ქართულში **მროწლედან** ნაწარმოები **მემროწლე** სიტყვაც გვხვდება მენახირის, მწყემსის მნიშვნელობით (ქერქაძე 1974). ყრმანი *მემროწლენი*, განპებასა შინა ორნატოსა, თამარის ქებასა მელექსეობდიან (ქ. ცხ. II, 354, 22).

საშ. ქართ. **მროწლე**: წარავლინნა სპანი მცირენი, რათა წარმოიღონ *მროწლენი* ტფილისისანი (ქ. ცხ. IV, 413, 15).

შდრ. **მემროწლე** მწყემსი. ყრმანი *მემროწლენი*, განპებასა შინა ორნატოსა გაუსია მეფემან სვმონ მცირე ჯარი და დაატაცებინა *მროწეულნი*, და რა იხილნეს *მემროწლეთ*, ივლტოდენ (ქ. ცხ. IV, 373, 24).

**სამროწლე** ნახირის ბინა. დაიპყრეს და ყვეს წმინდანი მონასტერნი *სამროწლედ* და ცხოვართა სადგურად (ქ. ცხ. II, 427, 20).

აღნიშნული სიტყვის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში ვკითხულობთ: **მროწეულ/მროწლე** ფუძეთა არსებობა უფლებას გვაძლევს გამოვყოთ -ეულ - ევულ სუფიქსი (ჩიქობავა 1942, 45).

**მროწელ** და **მროწლე** სიტყვათა წარმომავლობის შესახებ ჩვენი ვარაუდი შემდეგში მდგომარეობს. ამ სიტყვებისათვის ამოსავალი უნდა იყოს „სიმდიდრის, მოგების, შეძენის“ მნიშვნელობის **რეწ**- ფუძე. რეწ- ფუძისაგან ნაწარმოები ლექსემები ფართოდაა გავრცელებული როგორც ძველ ისე ახალ ქართულში. მაგ. **მორეწე, მორეწული, მროწელი**.

ძვ. ქართ. მორეწე ძველ ქართულში „მუშაკის, დაქირავებულის, „მოქმედის“, „სასყიდლით დადგინებულის“ შოვნის შინაარსით იხმარება.

„შემრაცხე მე ვითარცა ერთი *მორეწეთა* შენთაგანი“ C – „მყავ მე ვითარცა ერთი მუშაკთაგანი“ (DE, ლ. 15,19). „რავდენთა *მორეწეთა* მამისა ჩემისათა გარდაერევის პური და, მე აქა სიყმილითა წარვწყმდები“ C – „რაოდენთა სასყიდლით დადგინებულთა მამისა ჩემისათა ჰმატს პური და მე აქა სიყმილითა წავრწყმდები“ (DE, ლ. 15, 17).

ძვ. ქართ. **მორეწეს** სინონიმად ძველ ქართულში იხმარება **მროწელი**. «მორეწე».

**მორეწენი (მროწელნი O)** მისნი, ვითარცა ზუარაკნი, მართებულნი მუნ შინა (I იერემ. 46, 21).

**მორეწე** და **მროწელი** სხვადასხვა დიალექტური წრის მიხედვით გარჩეული მიმღებობური ფორმებია. ე // ო მონაცვლეობა ცნობილია მაგ. ტკეჩი // ტკოჩი.

**მროწელის** „სასყიდლით დადგინებულის“, „მოქმედის“ მნიშვნელობის ცვლით უნდა მიგველო „ნახირის“ შინაარსი. **მროწელიც** მიმღებობა უნდა იყოს. *მროწლე* „მსხვილფეხა საქონელი ერთიდან სამ წლამდის, ნახირი“ დადასტურებულია ქართულურში (ალ. ლლ.). იგი შესაძლებელია რედუქციით მომდინარეობდეს **მროწელი** ფორმისაგან. ამ უკანასკნელზე მიგვიტოთა ალ. ჭინჭარაულმა.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ ს.-ქართვ. \*მ-როწლ-ე „ნახირი, საქონელი“ > ქართ. მროწლ-ე: სვან. ბრუჟ „ბერწი“ < ბროჟჟ < \*მროჟლ- (ჩუხუა 2000-2003).

### **მოურავ-ი:**

საშ. ქართ. **I. მოურავი**: გვედრებით...ჯამასპი მოურავს მიმაბაროთ (სამ. VIII, 57, ქვ. 11). აგრეთვე: მოურავი, მოვრავი (სამ. VII, 38). ყაენმან თავის ტახტის ისპანის *მოურაობა* გვიბოძა (ფ. გორგიჯ., 10). დუქანზედ *მოურავს* სამ-სამი ლიტრა ქონი სამარხო უნდა მიართვან (ამქრ. 203, 15).

**მოურავი** 1. ძვ. მეზატონის, მემამულის ქონების გამგებელი. საოჯახო საქმეები, მამულის მოვლა-პატრონობა ძველებურად *მოურავის* ხელით წარმოებდა (ეკ. გაბ.). ზვრის კარებთან... [გედევანს] შეხვდა *მოურავი* (ნ. ლომ.). 2. ისტ. რომელიმე პროვინციის, ქალაქის, თემის და მისთ. გამგე, ქართლის მოურავი. – თბილისის მოურავი. – ერეკლეს თან ახლდნენ გორისა და ქიზიყის *მოურავები* (ნ. ლომ.). დიდ *მოურავს*, სააკაძეს, როგორც

ერთ უპირველეს კაცს იმ დროში, დიდი გავლენა... ჰქონდა... მთელ საქართველოზე (ილია).

**სტრაპი** ...ქალდეულის ენით თ ა ვ ა დ ი და ხაზარულად მ ო უ რ ა ვ ი – საზა.

**მოურავი** (არაბ.) მთარაფ. 1) საკ. ამბის მიმტანი, მომხსენებელი. 2) მეკარე, შინაყმა. 3) მეურნე ან მოურნე, მნე. 4) მიჩენილი. 5) ზედამდები, მზრუნველი (შპნ. II, იუსტ. აბულაძე).

ძვ., საშ. ქართ. **II. მოურავი**: მზრუნველი, ქომაგი: „რომელთა არა ესხნენ *მოურავნი* და მზრუნველნი“ (H-622, 36r). შდრ. „მოურნე მზრუნველი, მეურვე. ჰყოფ მონაზონსა ყოლადვე მოურნე“ (მ. ცხ. 20v.).

ჩემზედა ღმერთი მიწყით მოწყალეა, იგი არასოდეს გამწირავს და *მოურავია* ჩემისა საქმისა (ვისრ. 172, 9). მეტის *მოურაობა* არავისათუის არის სუიანი (ვისრ. 86, 17). სავარაუდოა, ამ შემთხვევაში სიტყვა **ურვა** „წუხილი“, „ზრუნვა“ მიმღებობური ფორმა იყოს.

### მური-ი:

ძვ., საშ., ახ. ქართ. **I. მური** გუნდრუკი. „მოილო *მური*, შეზავებული ჰალოდითურთ“ (ი. 19, 39). „მოვისთულე მური ჩემი“ (კ. იერ.-აღდგ. 159, 21). „შესწირეს მისა... მური“ (მ. 2, 11). „მისცემდეს მას მურითა აღზავებულსა ღვინოსა“ (მრ. 15, 23) – კ. დან.

მური (ბერძნ.) ზმირინი, სუნნელთ ხეთ ნაწვეთი – დ. ჩუბ.

მერე მოიტანეთ საბრი, საკმელი, ანზარუთი, *მური* (იადიგ. 297, 26). *მური* მჭურვალი არს (ფანასკ. 409, 11).

ქეგლის მიხედვით იგი ძველი ფორმაა. მური [ბერძ. myrrha-დან] ძვ. სურნელოვანი ფისი. იკმეოდა მური, კესი, მუშკ-ამზარი (ს. შანშ.).

მისი სიტყვები ვერ გაიგონეს ვერც მწყემსებმა და მოგვთა, რომელთაც ძღვნად შესწირეს მას ოქრო, გუნდრუკი და *მური* („წმმაკი“, ვაჟა) – ალ. ჭინჭ.

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **II. მური** ჭვარტლი, კვამლის ფარილი – დ. ჩუბ. არს ცეცხლისა მიერ და კვამლისა გაშავებულნი ცეცხლის აღსანთებნი ღუმელნი გინა ბუხარნი და მათთა კედელთა შავი მტვერმოკიდებული არს მური (თ. ბაგრატი.).

გადატ. მიღამებდა გულსა *მური* (ვეფხ. 592, 2). ლხინად ვიჯე, სევდა რამე შემომგარდა გულსა *მურად* (არჩ. 533, 19, 1). ჭმუნვა განაგდო, გარდუწმდა, გულს ეკრა რაც ჯანგ-*მურია* (დ. გურამ. 90, 201, 2). არცა მომკლას ჯავრმან მისმან, ვისაც უქმენ პირი *მურად!* (ბეს. 159, 65, 5).

ქვაბის *მურის* მონალესით მომიძადა მელანია, ხარის ბეჭი დაფად მქონდა, მასწავლიდა მელანია (ი. დავით.). «ყენს» თავ-პირს სულ მთლად უშავებენ წყალში გახსნილი ბუხრის *მურით*, ჭვარტლით (ივ. ჯავახ.).

დიალექტ. გადატ. **მური** სოკოვანი დაავადება სიმინდისა, პურისა. როცა ხშირი წვიმებია ხომე ზაფხულში, პურმა მაშინ იცის. სიმინდს მალლა, ქუჩუჩოზე უჩნდება, პურსა – თავთავში; შავია სოკოსეფა, სოკოსაც ემახიან (ქემ.). ყანამაც იცის *მური*, ხორბალმა, რო გასრესამ მარცვალსა, მურია შავი (კარ., აგრეთვე ზერ., ტყვ., ქართლ. ლექსიკ.). გარედან ტარო გეგონება, შიგნიდან *მურია*, ცუდია სიმინდია (ქართ. ჩრდ. მრეწ. IV, II, 207).

მზ. ანდრონიკაშვილს **მურ**-ის ამოსავლად მიიჩნია „ყავისფერის, შავწითელის“ აღმნიშვნელი ფერის აღმნიშვნელი ბურ- ძირი, რომელიც ვ. აბაევის აზრით მომდინარეობს ძველი ევრაზიული სუბსტრატული სიტყვიდან, და წარმოდგენილია სხვადასხვა ენობრივ ჯგუფებში... თურქ., მონგოლ. ბორო (თურქ.) ბორა, ბორო „მიწისფერი, ნაცრისფერი“ და სხვა. თავკიდური შენაცვლებულია მ-თი სიტყვაში *morae* „ყავისფერი“, რომელსაც ემბრობა ქართ. მურა შავწითელი (ანდრონიკაშვილი I, 1966, 82).

ახ. ქართ. **III. მური** ახლად გამოსული აბრეშუმის ჭია – ქეგლ.

დიალექტ. „ჩემი აბრეშუმი *მურათ* გაფუჭდა და პარკს როგორ აახოვდა“ (ვ. ბერ.). *მურს* გამოჩვევენ და წამევიყვანთ სამ-სამ გრამ აბრეშუმს (ლორეშა). *მურის* კანი პირველი კანი, რომელსაც იცვლის აბრეშუმის ჭია კვერცხიდან გამოსვლის შემდეგ, პირველათ ამოდის მურის კანი, თეთრთება შავი აბრეშუმი (სანახშირე, ზ.-იმერ. ძოწ.). შდრ. სპ. მურ „ჭიანჭველა“.

### მურა:

საშ. ქართ. **I. მურა**. იხ. I. მური.

საშ. ახ. ქართ. **II. მურა** „შავ-წითელი ძაღლი“ – საბა. მურა ზედს. ინ-გუშა შავ-წითელი, მურა ცხენი. – დ. ჩუბ.

ჩვენმა *მურამ* ვიღაცას ყეფა დაუწყო (ვაჟა).

**მურა დათვი:** -სულ ადვილად შესაძლოა მურა დათვს, კვერნას, მე-ლას, მთის არწივს, ... გადაეყაროთ („საუნჯე“). იხ. II. მური.

დიალექტ. **III. მური, მურა** ახალგამოსული აბრეშუმის ჭია (ქიზ. მენთ.).

დიალექტ. **IV მურა** (იმერ.) რკინის რგოლი, მჭედელნი ხმარობენ ლურსმნის თავის გასაკეთებლად (ვ. ბერ.).

### მუსა:

საშ. ქართ. **I. მუსა** ტაბლათ მოსაგველი (საბა).

ს.-ქართვ. \*მუს-ა „ცოცხი (ერთგვარი)“. სახელი დასტურდება მხოლოდ საბას ლექსიკონში. ამავდროულად, გარეენობრივი იზოგლოსებიდან გამომდინარე, შესაძლებლად მივიჩნევთ მის ფუძემდებურ წარმომავლობას (ჩუხუა 2017).

ახ. ქართ. **II. მუსა** ელექტრულ მანქანებში, ნახშირის ელექტროდი, რომლითაც მანქანის შინაგანი ელექტრული წრედი უკავშირდება გარეგან წრედს (ტექნ. ტერმ.)



**მულამა:**

საშ. ქართ. **I. მულამა** – „(მუჰამმა) გამოცანა. საიდუმლოება. ჰანგის სახელია სპარსულად. „სტეფანე, ჭიანჭურზე *მულამები* დაიწყო“ (საქ. მუზ. ხელთ., გრ. ბატონ. ლექსი, 2130, 141, 160). „ბევრჯელა სცადა ატეხვა შუღლის და სისხლის მღვრელობა, მაგრამ გაუგეს *მულამი*, არ გაუვიდა ველობა“ (ფარსად. ლექსი, „ნიანგი“, 1931 წ., №15, 03. 5)“ (ი. გრიშ.).

დიალექტ. **მულამი** – საიდუმლოება (იმერ., ბერ).

მულამას ეს მნიშვნელობა მომდინარე ჩანს არაბულ-სპარსული ლექსიკური ერთეულიდან მუ‘ამმა // [mo‘ammá] 1. გამოცანა; რებუსი; თავსატეხი; 2. ლიტ. მოამმა (გამოცანა ლექსში); 3. გაუგებარი, აუხსნელი. სიტყვაში კაცის სახელი ან სხვა რამე ფარულად არის მინიშნებული და მკითხველმა ან მსმენელმა უნდა გამოიცნოს. ფონეტიკური გზა ასეთი ჩანს: mo<sup>-</sup>amma > mo<sup>-</sup>ama > mu<sup>-</sup>ama > მულამა (ბართაია 2010).

საშ. ქართ. **II. მულამა** ჰანგის სახელი. მულამას მეორე მნიშვნელობა – „ჰანგის სახელი“ მომდინარე ჩანს სპარსული სიტყვიდან [maqám] (ბართაია 2010).

შდრ. *მულნსა* ჰკრეს, ძალსა მოსწივეს, ზილს ჰქონდა მორთუით ებანი (ფეშ. 161, 1). მეჩანგენი და *მემულნე* ამოსა ჳმასა ჰკურიდიან (შჰნ. I, 87, 2). მულნი (არაბ.) მულანნი ბარბითი, ებანი ან ქნარი (იუსტ. აბულაძე 1916, 818).

**მუშავაზ-ი:**

საშ. ქართ. **I. მუშავაზი** (არაბ.) რიდე, თავზედ მოსახვევი თათრებისა – დ. ჩუბ. *მუშა-ვაზნი* მუშკისა ყუანჭად შეჰქმნოდა (ვისრ. 73, 14).

საშ. ქართ. **II. მუშავაზი** ამბრისფერი – დ. ჩუბ. **მუშავაზი** ძველი ვაზის ფერი, ამბრისფერი (საბა).

შდრ. დიალექტ. **II. მუშა-ვაზი** დედავაზი (კახ. ასათ.). მუშავაზი ძველი ვაზის ე. ი. ვაზის ლერწის იმ ქვედა ნაწილის აღმნიშვნელი ყოფილა, რომელიც თვითონ ყურძენს არ იხსამს, არამედ რომელსაც რქები გამოაქვს და მთელი ვაზის კვებისათვის მუშაობს (ივ. ჯავახიშვილი). ჯერ გასხლული ვაზის მუშა-ვაზს ჭიგოსა ანდა სარზე ორგან, ან ორ ალაგას ამაგრებდენ (ჯავახიშვილი V, 347).

## 6

**ნა:**

საშ. ქართ. **I. ნა** ჩასაბერი საკრავი. მეღნად ვიხმარე გიშრის ტბა და კალმად მე *ნა* რხეული (ვეფხ. 4, 3). მოვშორდი ლხინსა ყველასა: ჩანგსა, ბარბითსა და *ნასა* (ვეფხ. 179, 4).

ნა, ანუ ნა ირანულად ლერწამსა ნიშნავს და ამავე დროს ჩასაბერი საკრავის სახელიც არის (ჯავახიშვილი 1990, 173).

დიალექტ. **II. ნა** უკანალი. რას ეფერები მაგ მამაძაღლსა მაგასა, ამაჰკარ *ნაჩი* წიხლი და გააგდე! (მოხ. ლუდ.).

**ნა** შემოკლებული უნდა, რომელიც მეტყველების ყველა ნაწილს ერთვის. ვის/ნა – ვის უნდა უთხრას? *ნა* გააკეთებინოს – უნდა გააკეთებინოს (ჯავახ. ბერ.).

**ნა:** 1. „ნარი ყოველთა მყოფობიდან გარდასრულთა ართრონი არს, გინა სამწეოდამ და გარდადგინებულთა სახელთა თვისა“ – საბა.

**ნაბად-ი:**

საშ. ქართ. **I. ნაბადი:** იხ. I. ნაბათი. ოცდაათი დრამი *ნაბადი* შაქარი გაურიე (ფანასკ. 42, 20).

ძვ., საშ., ახ. ქართ. **II. ნაბადი** ნაქმარი გინა შეთელილი – საბა. **ნაბადი** შალისაგან დამზადებული ქუდი. „ზედა კერძო თავისა ჰმოსიეს *ნაბადი* არა მაღალი, არცა გარდაწვენილი ყოვლისა თავისა მიმართ, არამედ მცირედ გარდასრული საშუვალისაგან (ფლავ. 3: 7, 3).

მოთელილი საფენი მატყლისა; წამოსასხამი ღართი – დ. ჩუბ. აწ ლხინთა ნაცვლად სოფლისა ჩალა მაქვს და *ნაბადია* (ვეფხ. 304, 4). მომპარეს,... იარაღი თოფი, *ნაბადი* (სამ. VII, 541). ამხანაგად მყავს *ნაბადი* (ნ. ბარათ, 594, 7). ზოგი უშუშავს ნაცარსა და ზოგი *ნაბდი* ძველასა (მანანა, 323, 4).

დარში *ნაბადს* ნუ დააგდებ, ავდარში ქალამანსაო (ანდაზა). შემოვიდა ერთი *ნაბადში* გახვეული ყმაწვილი კაცი (ილია). სოფელში სამ *ნაბად-ზე* მარტო თევდორა ხტებოდა (ვაჟა). 2. მოთელილი მატყლი, სქელი ქსოვილის მსგავსად დამზადებული, – ქეჩა. ნაბდის ჩექმები. – [სვანი] იხურავს მაღალსა და წვეტიან *ნაბდის* ქუდს (ი. გოგებ.). *ნაბდის* კარვები ჰქონდა წამოღებული ჯარისთვის (აკაკი). 3. რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი. გუდა-ნაბადი.

იხ. აგრეთვე: (ინგ. ღამბ. თუშ. ცოც.).

ს.-ქართვ. \*ნი-ბად- „ნაბადი“ > ქართ. ნა-ბად-ი < \*ნი-ბად-ი : ზან. ლი-ბად-ი < \*ნი-ბოდ-ი (ჩუხუა 2000-2003).

საშ. ქართ. **III. ნაბადი, ნაბადები** ზედ. ქმნილი, დაბადებული, ან ნაქონები – დ. ჩუბ. **ნაბადი** ნაშობი, ქონებული. არჩვსა ხოცდენ, სხვას ნადირსა, თუ რამ ჰქონდეს მთას *ნაბადით* (ვახტ. VI, 28, 42, 2). **ნაბადი** ზმნური მიმღეობაა. ნა-ბად-ი. ბად- ძირი.

**ნაბათ-ი:**

საშ. ქართ. **I. ნაბათი** (არაბ.) მყინვარე შაქარი. აკიდეს მრავალი მუშკი, ამბარი, შაქარი, *ნაბათი* და თეთრი (რუსუდ. 111, 15). ქანი ეს არის, აქ იყვის ყანდი, *ნაბათი* სულაო (თეიმ. I, 77, 162, 1). შიგან *ნაბათი* შაქარი გაუორიე (ფანასკ. 287, 21

ახ. ქართ. **II. ნაბათი** [არაბ. ნაუბათ «დოლის კვრა»] ძვ. ხალხის შესაგროვებელი ნიშანი, ზარის რეკა, რომელსაც მიმართავდნენ ხოლმე რაიმე უბედურების დროს. «წადი ჩქარა, *ნაბათი* დაჰკარ!» (ი. მაჩაბ. თარგმ.). მედგარი *ნაბათის* ხმა ლივლივით მისდევდა ნიავს (მიხ. მრევლ.).

შდრ. **ნავატი** ბუკი. მბერველო ჩუენ ზედა *ნავატისსა* (A = 109r 259r 3-4).

დიალექტ. **III. ნაბათ** (აზ. ნაბაათ). ინგილ. რიგი, ჯერი, დრო. *ნაბათ* მოდის პატრა ზმაზე (ინგ. ღამბ.). შდრ. **II. ნობათი**.

**ნაგებ-ი:**

ძვ. ქართ. **I. ნაგები** სამხრეთი: „ხოლო მეხუთესა დღესა უბრძანე მეშუდესა მას ნაწილსა, სადა იყენეს წყალნი, რომელსა ჰრქვან ნაგებ, გამოცენებად საცხოვართა, მფრინველთა და თევზთა“ (ეზრა სუთ. 4, 47). „ვერ უძლო მეშუდემან ნაწილმა, *ნაგებმან*, სადა დგეს წყალნი, დატევენად მათა“ (ეზრა სუთ. 4, 50).

**ნაგები** (ებრ. negev ბერძნ. Ναγέβ) სიტყვა ებრაულში ორი მნიშვნელობისაა: 1. სამხრეთი. 2. ბიბლიის მიხედვით, გარკვეული ქვეყნის სახელწოდება. ეზრა სუთიელის წიგნის ქართულ თარგმანში **ნაგები** ნახმარია პირველი მნიშვნელობით, გამოხატავს დედამიწის სამხრეთ ნაწილს, წყლით დაფარულს. აქ ბიბლიურ კოსმოგონიაზეა საუბარი, რომ ღმერთმა შექმნა რა მიწა და წყალი (ქურციკიძე 1973, 294-295; დანელია 1998, 157).

ძვ. ქართ. **II. ნაგები** „ნაზორევი“, ნაკერპავი“, ძღვენი: „ჭამა ერმან ნაგებთა მათთად“ G, – „ჭამა ერმან ნაზორევთა მათთად“ Fr., – „ჭამა ერმან მან ნაკერპავი იგი მათი“ (pb., რიცხ. 25, 2). „ჭამეს *ნაგები* დამშთერისად“ (ფს. 105, 28). „ჰსუემდით ღვნოსა *ნაგებსა* მათთასა“ (GM, II შჯ. 32, 38). შდრ. **გება** «ზორვა», შეწირვა: „აიძულელებდეს *გებად*“ A – „არა თავს-იდვეს ზორვად“ (B, ორმოც. 124, 15).

ახ. ქართ. **III. ნაგები** მიმლ. ვნებ. ნამ. 1. რაც ააგეს ან აიგო, – აგებული, აშენებული, ნაშენი. ერთი დრო იყო ამ ადგილასა ბრწყინავდა მკვიდრად ციხე *ნაგები* (ვაჟა). იქ ნავსადგური იყო *ნაგები* (გ. ტაბ.). ბალი მაქვს იგეთაგეთი, გარს ზღუდე, ხუროს *ნაგები* (ბაჩ.). 2. რაც დააგეს ან დაიგო, – დანაგები. 3. გადატ. რაც დაუგეს, – დაგებული (ბადე, ხაფანგი...). ვხედავ შენს ბადეს, მზაკვრულად *ნაგებს* (კ. მაყ.).

სიტყვის ძირია გ-; რომლის ამოსავალია საერთო ქართველური არქეტიპი გ (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

**ნადიმ-ი:**

საშ. ქართ. **I. ნადიმი** ამხანაგი, თანამოსაქმე, თანამეინახე. ამხანაგი მისი შეჭირვება იყო და *ნადიმი*-მგზავრობა (ვისრ. 125, 10). ნადიმთა შინა გამორჩეული ადგილი უბოძა (ქილ. 787, 12).

საშ., ახ. ქართ. **II. ნადიმი**, ნადიმობა (არაბ.) სტუმრობა, წვეულება, ტაბლა – დ. ჩუბ. **ნადიმი** (არ.-სპარს.) ნადი, მეჯლიში, ლხინი, წვეულება. „და საბოდერის უხვად გამცემო, არ სიძუნწისა ჩვეულო!“ (შჰნ. 48, 3). **სანადიმოა**: ადგილნი სათამაშონი და *სანადიმონი* და სანადირონი (ეტლ. 7, 18). მაშინ ითხოვეს პური და შემდგომად პყრობისა დაიდევს *ნადიმი*, სიკეთე და სიტურფე გამოუთქმელი (ქ. ცხ. II, 66, 16).

უხდება სუფრას *ნადიმი*, ვით ამინდს გამოდარება (გ. ლეონ.). ტევრეთელები... მოიყრიან თავს მწვანე მინდორზე... და სადამომდე ლხინსა და *ნადიმში* არიან (ე. ნინოშ.). საქორწინო *ნადიმი* მთავარმართებლის სასახლეში გაიმართა (გ. ქიქ.). აღმოსავლურ ენებში დადასტურებულ ამ სიტყვას ორივე ეს მნიშვნელობა უდასტურდება.

ახ. ქართ. **III. ნადიმი** დინჯი, ნელი. ამბობენ: რა *ნადიმათ* დადიხარო, ვითომ დინჯათო. გაღვივებულ პატარა და კოხტა ცეცხლსაც უწოდებენ, აგრეთვე: იფ, რა *ნადიმი* ცეცხლიაო, ვითომ ნელიო. „ნადიმი ცეცხლი“, ე. ი გაღვივებული, ნელი, სამწვადე ცეცხლი. „მიყვარს ნადიმად მუშაობა“, ე. ი. ნელ-ნელა, ნება-ნება. „ოთხფეხების ბედიც კი შემშურდა, რომლებიც თბილად, *ნადიმად* იწვნენ ერთ ალაგას და გამოიყურებოდნენ უდარდელად (ა. ცაგ.) – ი. გრიშ.

**ნალ-ი:**

საშ. ახ. ქართ. **I. ნალი**: ჩლიქის მოყვანილობის ბრტყელი რკინა, ლუმბა, საჭედარი – დ. ჩუბ. **ნალი** ჩლიქის მოყვანილობის ბრტყელი რკინა, რომელსაც მუშა საქონელს (ცხენს, ხარს) აკრავენ ჩლიქებზე.

დიდებულნი სულტნისანი განყიდნა *ნალსა* ზედა თამარ დიდებად სახლისა თვისისა (ქ. ცხ. IV, 188, 6). – ბარე ამდენი ლურსმანი და *ნალი* სად მოუჭრიათ? (ი. ბაგრატი. 491, 15). მოლარეთ ხუცობა მქონდა წელიწადში ცხენის ნალს არ ეყოფოდა (ი. ბარათ. 214, ქვ. 8). ცხენთ აღარ შერჩეს *ნალეები* (თეიმ. I, 133, 60, 3).

კარგა ხანს არბენინა გოგამ ცხენი აქეთ-იქით, ასე რომ ცხენს წინა მარჯვენა ფეხზე *ნალი* ავარდა (ვაჟა). [მეეზოვეს] უპოვნია... გზაზე... ცხენის *ნალი* (გ. ტაბ.).

იხ. აგრეთვე: დიალექტ. (ხევს. ჭინჭ., ჩვენ. ფუტკ., რაჭ. კობახ.).

**ნალი** პატარა, მრგვალი ნაჭერი (მაუდისა), ლეიბის დალიანდაგებელი, – ლურსმანი. ესე, ემოდენა პატარა რგვალს გამოვჭრით *ნალსა*, იმითი დავლუსმავთ (მეგ.). გამომიჭერი *ნალეები*, ბარემ დავლურსმავ (მეგ., ქართლ. ლექსიკ.).

ნალი უშუალოდ არაბულიდან დამკვიდრდა ქართულში ზეპირი გზით (იმედაძე 2014, 79).

საშ. ქართ., დიალექტ. **II. ნალი** სათხეპელი, სართხმელი, ძელი კედელში დატანებული; ნალი კარისა – დ. ჩუბ.

**ნალი** სახლის კედლებზე გადებული სქელი ძელი. *ნალებზე* კოჭებია გაწყობილი, *ნალები* გადებული იყო წინა და უკანა კედელზე (კავთ.). წინა კედელზე ორი *ნალი* არი გადებული, ერთი შიგნითა, ოთახის კოჭებისთვის, მეორე გარეთი, აივნის კოჭებისთვის (კავთ., ქართლ. მესხ.).

**ნალი** კედლის კოჭი, კედელზე დადებული სიმაგრისათვის (ლოლოვ., ქართლ. მენტ.). აგრეთვე (ფშ., ხორნ.).

დიალექტ. **III. ნალი** მიზეზი. ეკალი შეგსმია და მისი ნალითა გტკივა ხელი (რაჭ. კობახ.). **ნალი** მიზეზი, იტყვიან, როცა ერთი ავადმყოფობა მიზეზია მეორე სატკივრის გამოწვევისა – ყელი ეტკინა და ჭაჭებში რაღა დეემართა? – იმის *ნალით* არი, ნუ გეშინია (იმერ. ქავთ. III). მუწუკის *ნალით* ჯირკვალი ჩთება... მისი *ნალით* ხელიც ეტკინა (ხიდარი, ზ.-იმერ. ძოწ.).

დიალექტ. **IV. ნალი ნალის ჭია** (< ლალის ჭია). „ჭიაყელა. *ნალის* ჭიანებს დააყრიან მარილს. დაიჯოცებ ი ჭიანები' დაასხმენ ნაჭრევს, რომენსაც ჯორც აქვ გაფუჭებული“ (ხევს. ჭინჭ.).

**V. ნალი** ლეიბი (ქართ. მატ. კულტ.). შეუძლებელი არაა, ნაჰალონ – ნაჰალონ – ნაჰალ ქართულში, ერთი მხრივ, ნაალად გადმოსულიყო, როგორც ა. შანიძეს აქვს აღნიშნული, და, მეორე მხრივ, ნახლად, ძვირფასი ქსოვილის, საფენის, საგების, ნოხის და სხვა მნიშვნელობებით (კობიძე 1974, 639).

### **ნალო:**

საშ. ქართ. **I. ნალო** ზღვის ცხოველი უზარმაზარი, გველვეშაპი. დიდი ვეშაპი, ან ნიანგი. ვით ვეფხნი გაფიცებულნი, – დგან, გააპობენ *ნალოს* (შჰნ. I, 2598, 4).

საშ. ქართ. **II. ნალო** (ბერძნ.) ანალოდია საწიგნე – დ. ჩუბ.

საშ. ქართ. **III. ნალო** ესე არს ეტლის მაგიერ ზამთარ საჯდომი უთვალო, მარჯილივით თოვლზედ სათრევი – საბა, დ. ჩუბ.

ახ. ქართ. დიალექტ. 1. **ნალო** ძვ. ეტლის მსგავსი მარხილი. 2. უღლით მოთრეული დიდი მორი; სათარი. [კერას] ზედ დიდი *ნალოები* (ხის მორები) ედო (გ. წერეთ.). || 3. ურმის ბოლოში გამოზმული ფიჩხის დიდი კონა ან ხე, რომელიც მიწაზე ეთრევა და ანელებს დადმართზე ურმის სვლას. «ჩემი სიმძიმით *ნალოსავით* კუდზე ვიყავი მოზმული და [რაში] იმასაც კი ვერ ახერხებდა, პირი ნაპირისკენ ექნა» (შ. არაგვ.).

დიალექტ. **ნალო** დაუხერხავი ხე, რომელსაც ხარებს (ან კამეჩებს) უღელზე გამოაბამენ და მოთრევენ ურმის გარეშე (სინონ. სათრევი, სათრიალა). ხეს რო წამოუბამ მარტო ხარეფს, ურემი რო არ იქნება, *ნალო* მოვჭრით ხეს, ამოვსხეპამთ-ტოტეფს შევაჭრით, მერე თავში ერთ ადგი-

ლას გავხვრიტავთ. გამოცხვირამთ ნაჯახითი, რო გამოვაბათ ჯაჭვი და მივაბათ უღელზე ისე, რომ დაკიდებული არ იყოს ეს ხეი ხარის კისერზე, ძირ უნდა ხოხიალობდეს (ზარანი, პერევი). მოვჭრი ხეს, გამევიტან, დავხერხავ, დავაწყოფ, ხარებით მევიტან. *ნალოთაც* მევიტან და დახერხილიც მამაქ ხომე. *ნალო* დოუხერხავი ხეა, დახერხილი ფიცარია (ლეღვანი). რამდენი *ნალო* მოიტანე? (ვახანი, ზ.-იმერ. მოწ.). იხ. აგრეთვე: *ნალო* (მოხ. ქავთ., შან.).

ქართ. **ნალო** (საბა) და ნალი სათხეპელი, სართხმელი. ქიზ. ერთმანეთთან დაკავშირებული აქვს კელაურაძეს (კელაურაძე 2013, 9).

დიალექტ. **IV. ნალო** წვრილი, გალეული. ცხრილს მარტო ცურცუმელი-დ' *ნალო* მარცვალ უნდა გაუვიდას, იმდენად მტკიცერ-ას (შინამრეწვ. 168). **დანალოვების** გაწვრილდება, (გაილევა (თითი და მისთ.) (ხევს. ჭინჭ.).

შდრ. **V. ნალევი** დალეული – დ. ჩუბ.

გადატ. **ნალო** ადრიდან მოყოლილი დამძიმება. „მაშინ რო ავათ იყო, მისი *ნალო* ახლაც მოსდემს, შესცივა თუ არა, მაშინათვე ავათ ხდება“. „შარშანდელი მოუსავლობის *ნალო* მოგვდევს და ამ წელსაც ვერ გავსწორდით წელში (ჯავახ. ზედგ.) შდრ. III. ნალი.

### ნანა:

საშ. ქართ. **I. ნანა** ან ნანინანა ჩვილთ დასაძინებელი სიმღერის ხმა – დ. ჩუბ. არც სადა მითხრა მან *ნანა* (თეიმ. I, 168, 20, 3).

ახ. ქართ. **ნანა** 1. დედა; დედის მიმართვა თავისი შვილისადმი (სამეგრელოში...). «ვაი, ნანა, რა დაგემართა?» (გ. წერეთ.). 2. იგივეა, რაც ი ა ვ ნ ა ნ ა. პატარძლებს აკვნები გვერდით ედგათ, არწევდნენ, შვილებს ნანას ეუბნებოდნენ (ვაჟა). 3. ძილი, დაძინება (ბავშვის ენაზე). ნინომ თვალეზი დახუჭა, შვილმა ჰკითხა კიდევ: დედა, სენა (შენა) ნანაო? (რ. ერისთ.).

დიალექტ. **ნანა** ბებერი, მოხუცი ქალი, ავსული. ჯაზი-ნანა (ჯავახ., ბერ., ზედგ.).

\*ნანა: ქართვ. \*ნენ-ა „დედა/ბებია“ დიდი ხანია, ცნობილია ამ საერთო ქართველური ძირის ქართულ-ზანურ ალომორფთა წარმომავლობა (ჩიქობავა 1938).

ძვ. ქართ. საშ. ქართ. **II. ნანა** სანდომი (სამო) – საბა. ნანარი წყნარი და სანდომი. შდრ. დაუნანარებია, ნარნარი, უნანარესი. ნარნარი თუ ნანარი – საბა. აგრეთვე: ნანარი «კეთილი», «გულმახვილი», გონიერი, თავმდაბალი (ილ. აბულაძე).

საშ. ქართ. **III. ნანა** „სინანული“ თვარა დაიწყებთ *ნანასა* (ვეფხ. 1194, 4). ოდენ ის დარჩეს ცოცხალი, სხვანი შეიქმნენ *ნანასა* (არჩ. 372, 888, 3). ვახტანგ ჯელთა დაიჭირეს, მას შეექნა მეტად ნანა (ფეშ. 329). შდრ. ნანება ნადვლობა, შენანება (ილ. აბულ.). ნანა < ნანვა.

ნანი სინანული. **ნანი არა მაქვს** არ ვნანობ. „გულში *ნანად ჩამყვა*“ (მენტ.).

საშ. ქართ. **IV. ნანა** (არ. ნა'ნა ან ნა'ნაი) პიტნა. აიღე...: საჭამადი *თუ-თუბისა* წვენითა და *ნანა* ისრიმითა ნედლისა (ქანან. 348, 8).

#### **ნარ-ი:**

საშ., ახ. ქართ. **I. ნარი** ქართული ანბანის მეცამეტე ასოს სახელწოდება.

*ნარი* აღიღევით ცოდნიდან და ვინი დართევით (ი. ბაგრ., 601, ქვ. 4).

საშ. ქართ. **II. ნარი** (სპარ.) მამალი, მამრი. სცემდეს ბუკსა და ტაბ-ლაკსა, ყვიროდეს, ვითა *ნარები* (შპნ. I, 477, 4). კარს მიუდევნეთ აქლემი, ტანად მოდიდო *ნარიო* (ს. თან. 138).

გადატ. აღნიშნავს მამაც, უშიშარ ადამიანს. „ერთი მათგანი წინ მოვა უშიშრად, მსგავსად *ნარისად* (ს. თან. 138).

როგორც გამოკვლეულია: „სპარსული ნარი – ზოგადად „მამალი, ხვადი აზერბაიჯანულში აღმნიშნავს მამალ აქლემს, მისი ჯიშის დამოუკიდებლად“ ... ზემოდასახელებულ ძეგლებში გამოვლენილი ნარი მამალი აქლემის მნიშვნელობით, საჩინოს ხდის ქართულის ერთ ნაკადში აზერბაიჯანულის ნასესხობას. ხოლო ნარა იგი უცილობლად მომდინარეობს სპარსულიდან რადგან ამ ძეგლებში ნახმარია ხვადის, მამალი ცხოველის მნიშვნელობით (დარსაველიძე 1984, 80.)

საშ. ქართ. **III. ნარი** ერთი გვარი ეკალი არის (თ. ბაგრატ.). „მითხრა: «ვამად ამოგიღე, არ გასვია გულსა *ნარი* (ვეფხ. 393, 3). ვარდი, ზამბახი, ნარგისი, სურნელად მასთან *ნარია* (ნ. ციც. 1672, 4). თქვეს: „ჟამად გვაქვს ვარდთა კრევა, რად ვამოყვსოთ ხელი ნართა! (თეიმ. I, 55, 57, 2).

დიალექტ. ფუტკარს უყვარს *ნარი* ეკლისა (ზ. ქართლ. მრეწ. IV, II, 22).

**ნარი: ნარი ძოვას** თავში ქვა იხალოს. ვისაც ეწყინოს მართალი, იჯავრას, ძოვას ნარია (ხევს. ჭინჭ.).

დიალექტ. **IV. ნარი** შიგნით, ოთახის კედელზე მიმაგრებული რამდენიმე ადგილიანი ფიცრის საწოლი (მოხ. ლუდ.). ყიზლარჩი, სუყელას ბინაჩი, *ნარები* იყო თანითანა და იმაზე ვიწვითვე მწყემსები კალმახებით ჩაწყობილები (მოხ. ლუდ.). **ნარი** ფიცრის საწოლი „გრძელი ტახტი (სინ. პანდარი). „როცა დევი იწვა, *ნარის* ძირჩი შამრო და ძირით სადგისი შამჩხუტრა“ (მოხ. ქავთ.).

**V. ნარი** (თურქ.-სპარს. ნარ) იხ. ბერწეული ზან. (ლაზ. თანდ.).

ძვ. ქართ. **VI. ნარი:** ვიეთნიმე თვნიერ *ნარისა* აღმოიკითხვენ, ვითარმედ: „აწ ვცან“ და იტყვან, ვითარმედ უფალი იტყვს: „აწ ვცანო მე“, გარნა არა აქუს ამას სიტყუაჲ, რამეთუ *ნარისა* თანა ჯერ-არს აღმოკითხვაჲ: „აწ ცნესო მოწაფეთა ჩემთა“ (A-52 125r-125v).

**ნარა:**

საშ. ქართ. **I. ნარა.** იხ. II. ნარი. ერთ *ნარა* დევს უბრძანა (შჰნ. III, 349, 20). მხეცნი დაფრთხეს და მიმართეს, მუნ იყვნეს მისვე არისა, მაჯნუნი ფეხზე წამოდგა, ყივილი ესმა *ნარისა* (თეიმურაზ I, 59, 76, 3).

საშ. ქართ. **II. ნარა** ყიჟინა. ხმა, მეომართა გამოწვევისა – დ. ჩუბ. სპილომ რა ამ *ნარის* ხმა გაიგონა, დიდათ განცვიფრებული აქეთ-იქით ყურება დაიწყო (შჰნ. III, 311, 33).

ნარ-ხვადი, მამალი ცხოველი, ნარა – ყვირილი, ღრიალი, ტირილი წარმოადგენენ ჰეტეროგენულ ომონიმებს. ისინი სხვადასხვა წარმოშობისა არიან. პირველი მათგანი სპარსული სიტყვაა, იგი ქართულში უცვლელად გადმოვიდა. ერთის მხრივ სპარსული და მეორეს მხრივ აზერბაიჯანული ენებიდან, ხოლო მეორე არაბული წარმოშობის ლექსემაა, მაგრამ ქართულში სპარსულის მეშვეობით დამკვიდრდა (დარსაველიძე 1984, 88).

საშ. ქართ. დიალექტ. **III. ნარა** იხ. III. ნარი. ეკალნი დამხვდეს მუნ, ნარა (თეიმ. I, 149, 9, 4). **მთის-ნარა** მცენარეა ერთგვარი – (ხევს. ჭინჭ.). **ნარაი** მცენარის ძირკვი (მოხ. ქავთ.).

**ნარაქლემა:**

ახ. ქართ. **I. ნარაქლემი, ნარაქლემა** ერთკუზიანი აქლემი. ძველად... თბილისის მეთავლეები მართავდნენ *ნარაქლემა* ჭიდაობას (ი. გრიშ.). აგერ *ნარაქლემა*, პირზე ქაფი რომ მოსდებია (ვ. ბარნ.). შდრ. *ნარაქლემი* – დ. ჩუბ.

სპარსულ ენას არა აქვს სქესის გრამატიკული კატეგორია. მის გამო-სახატავად გამოიყენება რამდენიმე სიტყვა, მათ შორის ზედსართავი სახელი – [ნარ] – მამალი, რომელიც დაერთვის სახელს. ამ შემთხვევაში, თვით სქესის გამომხატველი სიტყვა ქცეულა ტერმინად (იხ. ნარი) (ბართაია 2010, 75).

საშ., ახ. ქართ. **II. ნარაქლემა** ძვ. ეკლიანი სარეველა ბალახი. შდრ. III. ნარი.

**ნარდ-ი:**

საშ. ქართ. **I. ნარდი** ნასრანის პირს *ნარდი* თმობს, მასთან შროშანი დაიზრო (ქილ. 483, 3).

ახ. ქართ. **ნარდი** [Nardostaxhus Jatamasi] ბოტან. სურნელოვანი მცენარე კატაბალახასებრთა ოჯახისა. ნარგიზო, შროშანო, *ნარდო*, სუმბულო... რატომ არ ირხევით სურნელის რხევით? (ვ. მაყ.).

2. ძვ., საშ., ახ. ქართ. **ნარდიონი**, «**ნარდი**», «**ლარდიონი**»: nardus, oleum nardeum: სურნელი ზეთი ნარდისაგან. „აქუნდა შიშითა ნელსაცხებელი *ნარდიონი* პატიოსანი“ C – „აქუნდა ალაბასტრითა ნელსაცხებელი *ნარდისა* სარწმუნოჲსაჲ“ (DE, მრ. 14, 3).



შენი მტურერი საცხებლად თუალთა მქონდა ჩემდა *ნარდად* (ქილ. 247, 30).

საშ., ახ. ქართ. **ნარდიონი** // **ნარდოვანი**: მისსა *ნარდიონთა* ცხელები-საგან დაჭნობა გამოაჩნდა (ქილ. 755, 10). ყრჩის ცა-რაზარინ-*ნარდიონ-*ალოდ (ბეს. 51, 4). ნარდოვანი ძვ. ნარდის სურნელოვანი ზეთი – ქეგლ.

1. **ნარდი**, **ნარდიონი** სპარს. სურნელი ყვავილი; თათარ. სუმბული, ლათ. ნარდუს სპიცა – დ. ჩუბ.

2. ნარდი. მომდინარეობს ძვ. ბერძნ. ნარდოს νάρσις-იდან (მ. ივანოშვილი).

3. ს.-ქართვე. \*ვარდ- „ყვავილი; სუმბული“ > ქართ. ნარდი, ვარდი: ზან. ნორდი (ჩუხუა 2000-2003).

ძვ. საშ. ქართ. **II. ნარდი** (სპარს.) სამორინო სამღერელი კამათლებით – დ. ჩუბ. საწუთრო და შენ ბრუნავ, ვითა *ნარდისა* მღერისა ჟამსა კაბათენი (ვისრ. 9, 10). ვითა მღერა *ნარდისა* (ვეფხ. 82, 1). იყოს... *ნარდისა* და ჭადრაკის მომღერალი (ეტლ. 8, 45). „*ნარდზედ* ზმეები,... რომელ არი ესენი: *ნარდი*, ფიცარი, კარი, კაცი, კამათელი, ხასილი, ბაღლუ, დავი“ (ბეს. 113). ამაზე ხელმწიფემ ნარდი ბძანა. დაიწყეს *ნარდისა* მღერა (რუსუდ. 250, 10). ერისთავი... ნარდს შეექცეოდა (ქ. ცხ. II, 439, 3).

აზიური თამაშობის გვარი და ჩვენც რომ ვთამაშობთ ქალაღდს, თუ სხვას რასმე სათამაშოს, არიან შემდგომნი ესე:... ხოლო კამათლით სათამაშოთ: 1. **პატარა ნარდი**; 2) **დიდი ნარდი**; 3) **უკვდავი ნარდი** ანუ შარსი... (კალმას. 214, 14).

**მენარდეი** კამათლით მოთამაშე: „ნებიერობასა მისცემს ეპისკოპოსთა მხედველთა სინანულსა მოყუასთა მენარდეთასა, ანუ სახედველთათვს მისრულთასა“ (დ. სჯ. 184, 33). **მენარდეობაი** კამათლით თამაში. „შუებად აქა *მენარდეობა*, მეჭადრაგეობა და *მენარდებათა* ბრძანებენ წმიდათა მოციქულთა კანონნი“ (დ. სჯ. 221).

ახ. ქართ. **ნარდი** ერთგვარი სათამაშო – შედგება ბრტყელი და მოგრძო გადასახსნელი ყუთისაგან, წყვილი კამათლისა დ 30 კოჭისაგან (ქვისაგან). ერთხელ ხელმწიფემ დაიბარა სოვდაგარი თავისთან, *ნარდი* უნდა მეთამაშოო (ზღაპ.). ყავის შემდეგ მოგვიტანეს *ნარდი* და ბანქო (ეკ. გაბ.).

ზან. **ნარდი** ნარდი. ქიპაფათ აკა *ნარდი* „ვითამაშოთ ერთი ნარდი“ (მეგრ. ელ.).

სპარს.-არაბ. **ნარდ** – „სათამაშო ქეები, ნარდი“ (ანდრონიკაშვილი II, 1996).

ახ. ქართ. **III. ნარდი: ნარდად**: იგი... იღებდა ქუეყანათა *ნარდად* და ამით მოირჭვაცა ფრიად (ქ. ცხ. IV, 508, 13).

**ნარდი** აღებული სამუშაო, რომლის ანაზღაურება ხდება შესრულებული სამუშაოს რაოდენობის მიხედვით (და არა ამ სამუშაოს შესასრულებლად დახარჯული დროის მიხედვით). სანამ ხვავს არ აიღებენ, კალოს მოშორება როგორ შეიძლება, კალო *ნარდია* (თ. რაზიკ.). **ნარდად** ზმნს. **ნა-**

**რდი** სამუშაოს წესით. აბა, ბიჭო, დატრიალდი, გააცურე ხელი მარდად. გავათაოთ ეს გაზეთი, აგვიღია სქმე *ნარდად!* (ი. ევდ.). || ერთიანად, ერთბაშად, მთლიანად. ნათლად მოაგონდა [გოგიელას], რომ ეზოში ჩამოიყვანა ნახშირის *ნარდად* მყიდველი (ნ. ლორთქ.).

დიალექტ. **ნარდი** ზედმეტი. ეს ცხენი სხვა სოფლის კაც გაუცვალა და ზედ ნარდი წაართვა (ჯავახ. მარტირ).

**ნარდიბაზრობა** ნარდიბაზრობა – „ამ სიტყვას ხმარობენ ვაჭრები. თუ მყიდველმა უნიხროდ მოითხოვა საქონელი ან ცოტა შეადლია ვაჭარს და ვერ მორიგდნენ ვაჭრობაში, მაშინ ვაჭარი ეუბნება: მაგ ფასად მოგცე, რა *ნარდიბაზრობა* ხომ არ არისო“ (ი. გრიშ.). ჩვენი აზრით, ნარდი ბ ა ზ რ ო ბ ი ს ნაცვლად უნდა იყოს ნარდი ბ ა ზ ო ბ ა, აი, რატომ: სპარსულ ენაში არის რთული სიტყვა – [nardbâzi] მნიშვნელობით – ნარდის თამაში, რომელიც შედგება სამი ელემენტისგან – [nard] – ნარდი, [bâz] – bâxtan] – „თამაში“, „წაგება“ ზმნის აწმყო დროის ფუძე და – [ აი ] – აბსტრაქტულობის მაწარმოებელი სუფიქსი. ეტყობა, კომპოზიტის მეორე ელემენტის – [bâz]-ის ბგერობრივმა სიახლოვემ ბაზარ-თან გამოიწვია თხზული სიტყვის სემანტიკური გადააზრება და nardbâzi] – ნარდბაზობა (ნარდის თამაში) ნარდიბაზრობად (ნარდის ბაზრობა) იქცა (ბართაია 2010).

დიალექტ. **IV. ნარდი** ქორი ან მიმინო ერთ წლამდე (გურ. შარაშ.). ნარდი < მარდი.

### ნას-ი:

საშ. ქართ. **I. ნასი** ნაზი. ერთი წყარო მოსასვენოდ შვენიარი, ტურფა ნასი (შჰნ. I, 2253, 1). არ უმძიმდა კელმწიფესა კვლავ უბრძანა სიტყვა *ნასი* (შჰნ. II, 3356).

შდრ. და თვით წინ მიუდევ, შენ წადი, ტურფად ტანითა ნაზითა (შჰნ. I, 1596, 4). შდრ. (სპ.) ნაზ.

საშ. ქართ. **II. ნასი** უშნო, ულამაზო, ართვალი. და მაზედა საამ აწვი-ეს არა ტანითა ნასითა (შჰნ. I, 669, 4). შდრ. **ნასება** ვნება; დაშავება. მადლითა ღმრთისადათა ასეულად განფენილ არს სიმრავლჳ ქრისტჳ მორწმუნეთა და არა *უნასებენ* (გობრ. 179, 31). მჭლე არის და პირად *ნასი* (ვეფხ. 1205, 1).

**ნასი** ნავდრი პური, გამოდის ალაო, წებოსავით ეკვრის ადამიანს. გადატ. ხმარობენ ულამაზო, უხეირო ადამიანზე. „ეგ პური ძიენ *ნასია*, ნაწვიმია, შვილო“ (ჯავახ. ბერ., ზედგ.).

ალ. გვახარია აზრით, ნასი უნდა იყოს არაბულ-სპარსული ნაჰს („უბედური, მოღუშული, საცოდავი“). აქედან ვ-ს ჩამატებით მიღებული ჩანს ნავსი („ცუდის მანიშნებელი, თარსი“). თვალად ნასი იქნება შესახედავად საცოდავი, უშნო, დაბლვერილი (გვახარია 2000, 262-271).

**ნატამალ-ი:**

ძვ., საშ. ქართ. **I. ნატამალი, ნატამნევი** „ნანგრევი“: „ვიყავ მე ვითარცა ბუვი (ბუდ) *ნატამალსა*“ (ფს. 101, 7). „ვიყავ მე ვითარცა ბუვი *ნატამნევსა*“ (ფიზ. VII, 7). ამაღ არა სჩანს სიკეთე წონა ბუ *ნატამალისა* (არჩილი, 495, 325, 4). მე ვარ გუარად დიდი ვინმე, სოლომონის *ნატამალი* (ფემ. 222, 3).

საბა აღნიშნავს **ნატამალი** „მიდამო, გინა ნაოხარი“. დ. ჩუბინაშვილი კი მიუთითებს ძვ. სამკვიდრო მამული, სამფლობელო. **ნატამნევი** მომდევნო საუკუნეების ძეგლების მიხედვით არ დასტურდება.

აწ შორის ნანგრევთ და *ნატამალთა* მარტო ქარიღა დადის და ქშუის (ილია). მჟაუნაშვილი და მისი გადარეული მეუღლე დასახლდნენ დიდებული გვარის *ნატამალზე* (ნ. ლომ.). მიდამო ხედავს უპატრონობას, აღოხრებასა და *ნატამლობას* (ნ. ბარათ. 64, 416).

**ნატამალი** წარმოადგენდა წყალობის ბოძების იურიდიული ფორმულის ერთ-ერთ კომპონენტს. მაგ. „დამიმკუიდრეთ საბოლოოდ სოფელი გოროვანი ყოვლის მათის სამართლიანის სამძღვრითა და *ნატამალითა*“ და მარანს იქით რომ *ნატამალი* არის, უწინაც ქარხნები ყოფილიყო იმაზე და (სამ. IV, 307, 16).

საშ., ახ. ქართ. დიალექტ. გადატ. „ნანგრევი, ნაოხარი“ „ნაკვალევი“, „ნასახი“, „მცირე ნაშთი“. არა წოტსავით კლდეს იჯდე, *ნატამალშია* სრინევდე (ქილ. 249, 2). შური უვარყო, ვისაც რომ ჭკვა ქონდა *ნატამალია* (დ. გურ. 147, 578, 1).

[ციხელი] ვითომ ცრემლს იწმენდდა, თუმც მის თვალებზე ცრემლისა *ნატამალიც* არა ჩანდა (ვაჟა). მთელ სოფელში ადამიანის *ნატამალი* არსად ჩანდა (ეკ. გაბ.). [ონისეს] გაყვითლებულ პირისახეზე სიცოცხლის *ნატამალი* აღარ ეტყობოდა (ა. ყაზბ.).

**ნატამალი** უმცირესი რამ, უმცირესი ნაწილი. იმ მატყლის ნატამალიც აღარ მინახავს (ი., ჩვენ. ფუტკ.).

ვფიქრობთ, რომ **ნატამალი** < (თურქ.) ნათამამ „არასრული, დაუსრულებელი“.

საშ., ახ. ქართ. **II. ნატამალი** ნაშიერი, ნათესავი. იმავე ტომისა, მოდგმისა. მე *ნატამალი* ვარ შაჰი მოაბადისი (ვისრ. 255, ქვ. 5). შენ ევოლე მას და *ნატამალი* გაგვიმრავლე (ვისრ. 251, 24). და სადაც ნათესავი და *ნატამალი* მსმენარი მათდა იყო (ქ. ცხ. II, 18, 5). გარნა ეგრეცა თვსთა და *ნატამალთა*, შვილთა და ძმათა ამის სახლისათა მიზეზითა ქმნილა (ქ. ცხ. II, 49, 2). მე ვარ გუარად დიდ ვინმე, სოლომონის *ნატამალი* (ფემ. 222, 2).

ამ მხრით (სანდალა) თქვენი *ნატამალი* არ არის, თქვენი სისხლხორცი არ არის (ილია).

დიალექტ. **ნატამალ-მაკეთე** ახლო ნათესავი. განა' დედის ხათრ არ გაქვ, თორემ დედის *ნატამალ-მაკეთეთ* საცოლქმრედ არ დაუწყებდ დედენას (სწორფ. 97, 31, ხევს. ჭინჭ.).

**ნატამალი:** **ძაღლის ნატამალი** სალანძღავი სიტყვაა, ზოგჯერ ახლობელი პატარის მიმართ მოფერებითაც ამბობს. სადაა ეგ *ძაღლიძე ნატამალი*, გარეთ გამოვიდეთ, შინ რად იმალება (გ.-კახ. სახლთ.).

**თუის ნატამალი** მოგვარე, მაგრამ შორებელი ნათესავი. მიმართვაში: ჩემო თუის ნატამალო ჩემო კარგო, ჩემო მოკეთე ნათესავო. არეულნი დრო-ჟამნი სუფევდა, ჩემო თუის ნატამალო (მოხ. ქავთ.).

სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით „ნატამალი თითქოს უნდა მოდიოდეს *ნა-ტომ-ალიდან* (ჭინჭარაული 1982, 175).

ჩვენი აზრით „ნანგრევისა“ და „ნათესავის“ აღმნიშვნელი ნატამალი ომონიმებია. როგორც აღვნიშნეთ „ნანგრევის“ შინაარსით იგი ძველსავე ქართულში დასტურდება. „ნათესავის“ მნიშვნელობით კი შუა საუკუნეებში იჩენს თავს. ისინი სპარსულის წარმომავლობით სხვადასხვა სიტყვების ფონეტიკური ცვლილებების დამთხვევით უნდა მიგველო. 1. ნატამალი „ნანგრევი – სპარ. *natāman* 2. ნატამალი „ნათესავი – სპარს. „ნახევარი ძმა, და“ სპ. *natany*.

### ნატიფ-ი:

**ნატიფი** ქართულად ეწოდება სუფთად აგებულსა, რასაცა საზომსა შინაცა მშვენიერად მოყვანილსა რასამე ეწოდების. ნათიფ – არაბულად წმიდა ან წმიდად- შობილსა სახელ-ედების; როდისაც რომ უეცარი რამ შეხვდება კაცსა და უეცრად გაწითლდება, იმასაც სინატიფე ეწოდების (თ. ბაგრატი.).

**ნატიფი** ესე არს სახლი, გინა საჭმელი, თუ პურები, ანუ ჯელსაქმარი წმიდად და კეთილად შემზადო, რომელსა სხვანი ნაზუქად იტყვიან ენითა მათითა – საბა.

ძვ. ქართ. **I. ნატიფი** ნამცხვარი, ხმიადი, კვერი: „მან ინება ნატიფი და არა დაიცონა...მორთუმად მისა *ნატიფსა*“ (მ. ცხ. 381v). **ლატიფი** ნაზუქით პური (დ. ჩუბ.).

**ნატიფში** შეიძლება გამოვყოთ საერთო ქართველური ტეფ- || ტიფ ფუძე. ს.-ქართ. \*ტეფ- „კანი, ქერქი > ქართ. ტეფი „თასმა სვან. ტეფ „ქერქი, კანი (პურის, მჭადის, ხაჭაპურის...), ლი-ტეფ-ინ-ე „კანის გადაკვრა (კელაუ-რაძე 2013, 17).

საშ. ქართ. **II. ნატიფი:** იქ ბაღსა შიგან ტურფანი სახლნი, ნატიფად გებულნი (ვეფხ. 1126, 1). და მათგანი იყო ერთი სახელოიანი. . ყოვლითა სიკეთითა სრული, *ნატიფი* (ვისრ. 34, 7). მზეს ეახლა და ჰკვირობდა სინაზე- *სინატიფესა* (ნ. ციცი. 550, 800, 4).

ძველ სამედიცინო წიგნებში ამ შინაარსით **ლატიფიც** გვხვდება. მერმე სცხე ესე წამალი, რაოდენ არს *ლატიფი*, აქცევს ტყავსა გუარსავე თუისსა ზედა (ფანასკ. 311, 4).

ვიქრობთ, რომ ნატიფი < (თურქ.) ლატიფი. შდრ. ლატიფი ნაზი, სასიამოვნო, მშვენიერი – ქეგლი.

სავარაუდოა, რომ ნატიფი < ლატიფი ნასესხები სიტყვა დროთა განმავლობაში გააზრებული იქნა როგორც ნა-პრეფიქსიანი ნამყო დროის სა-ობიექტო მიმღეობა და შესაბამისად უ-არ აფიქსების დახმარებით **ტიფ-ფუ-**მისაგან მივიღეთ ახალი სიტყვა **უტიფარი** „ურცხვი, თავხედი, უზრდელი“.

### ნაღარ-ი:

საშ., ახ. ქართ. **I. ნაღარი** ვნულთ შუა დარჩომილი კორდი – საბა. ნაღარ-ი 1. მიმღ. ვნებ. ნამ. რაც დაიღარა, – დაღარული, დანაოჭებული. [გიორგიმ] ხელმანდილი გადაისვა *ნაღარ* სახეზე (ვ. ბარნ.). 2. ნაფთევთა შუა დარჩენილი მოუხნავი მიწა. იყო ერთი კაცი, *ნაღარსა* ხნავდა (ზღაპ.).

დიალექტ. *ნაღარის* მოხვნა შედარებით ძნელია, ამიტომ შიგ ხარებს ატრიალებდნენ და ისე მოხნავდნენ, *გამონაღრავდნენ* (ალგ. საღარ., ჯავახ. მარტ.). **ნაღარი** გაღარული, გაკვალული (თოვლი, ბალახი...) გავხენე შიბუ-ღელესა, მგელთ გარმაიღეს *ნაღარი* (ეთნ. სტმასპ. 17, 195) – ალ. ჭინჭ.

**ნაღარი** < **ღარი**: **-ღარ-**ისთვის აღდგენილია ს. ქართვ. \*ღარ- (ფენრიხი, სარჯველაძე 1990). შდრ. \*ღარ- (ჩუხუა 2017).

დიალექტ. **II. ნაღარი** იხ. I. ნაღარა. „ჰაერში დაჰკრა *ნაღარმა*“ (ლექსია) (ჯავახ. ბერ).

### ნაღარა:

საშ., ახ. ქართ. **I. ნაღარა** საყვირი. **ნაღარა** [არაბ.-სპარ. ნაკკარა] ძვ. ლითონის საცემელი საკრავი – მრგვალძირიანი ქვაბის მოყვანილობისა, პირზე ტყავგადაკრული. ორგნითვე რაზმი გასწორდა, *ნაღარას* მიაქუს დგარია (შჰნ. III, 63, 1). ემზადებიან სალაშქროდ, *ნაღარა* დანაყვირესო (დ. გურამ. 105, 301, 4). სცემდეს ქოსსა და ზურნასა, ჰგონებდეს მათ *სანაღაროს* (არჩ. 346, 77, 3).

**ნაღარახანი** სახლი, სასახლის ან ქალაქის კარებთან, სადაც უკრავდა მუსიკა; ნაღარის დამკვრელი; გარსაშიბმაც ბძანება მისცა ჯარსა *ნაღარახანის* დაკვრისა (შჰნ. III, 318, 28).

დაჰკრეს *ნაღარა*, გულნი შეზარა და მტერთ საომრად ჯარნი შეყარა (ნ. ბარათ.). ჰკრეს *ნაღარასა*–განიყვნენ ორად [მხედარნი], აჰა, საამო ჩანს სანახავი (გ. ორბ.). || ფიგურ. ის აღარა ვარ, რაც ვიყავ, ძნელი ყოფილა ჭაღარა..., ვეღარ გაჰკვივის თამამად ჩემი დაფი და *ნაღარა* (აკაკი).

**მენაღარე** დოლის დამკვრელი (ფერეიდ. ჩხუბ. 106).

დიალექტ. **II. ნაღარა** ფიზიკურად სუსტი, უღონო; ნაკლები. უნცროსი ბიჭი *ნაღარა* ბიჭი იყო, ორი რო იყო ლომა-კაცები, ისე არ იყო (პერევი, ზ.-იმერ. მოწ.). შდრ. **ნაღიტა** (საბა, დ. და ნ. ჩუბ., მესხ., მაისურ., ქიზ. მენტ.). **ნაღიბა** (აჭარ. ნიჟ.).

**ნაყიშ-ი:**

ახ. ქართ. **I. ნაყიში** 1. ძვ. ნაკლი, ზადი. ჰაზირა... ცდილობდა ხალხისთვის თავისი ნაკლი და *ნაყიში* ეჩვენებინა (ი. გრიშ.). 2. სტამბ. ნაკლული (გვერდი). **ნაყიში გვერდი.**

**საქმე ნაყიშად დამირჩა**, ე. ი. ვერ მოვათავე, დაუმთავრებლად დამრჩა. ხელოსნებისათვის დაუმთავრებელი საქმე, ნაყიში დამრჩა“ (ი. გრიშ.).

ახ. ქართ. **II. ნაყაში // ნაყიში // ნაყმქარი** – კარ-ფანჯრების

მხატვარი, კედლების დამჩითავი (ი. გრიშ.). შდრ. I. **ნახში, ნახჭი** – არაბულსა და სპარსულ ენებში არის ლექსიკური ერთეული ნაყაშ მნიშვნელობით – ნახატი, გამოსახულება, საიდანაც მიღებულია მოსაქმის აღმნიშვნელი სახელი 1. ფერმწერი, მხატვარი; 2. მღებავი. დასტურდება ორი სხვადასხვა სიტყვის კონტამინაცია (ბართაია 2010).

**ნახში-ი:**

საშ. ქართ. **I. ნახში** ძვ. ნახჭი – დახატული, რისამე სამაგალითოდ ან სადენოდ (დ. ჩუბ.). ნახშიში – ი. გრიშ. შდრ. II. ნაყიში.

საშ. ქართ. **II. ნახში** ძვ. ლაპარაკი, მთის კაცთ იციან (საბა). ნახშიობა სიტყვა შათხზნა – საბა.

**ნახშიობა** საუბარი, ლაპარაკი. **ნახშიობს** ლაპარაკობს, საუბრობს (რაჭ. კობახ.).

**ნახჭი-ი:**

საშ. ქართ. **I. ნახჭი** ძვ. «უსულოზე ამოჭრილი» (საბა). შაბაქა ნაყში იხ. I. ნახჭი, I. ნახში.

შდრ. **ნახჭი**: *ნახჭი* აქუს იაგუნდის და ზურმუხტისა ხევანი (ფემ. 188, 2).

საშ. ქართ. ამა ლექსისა *ნახჭი* შესხმის გუარად ჩამოიკითხა (ქილ. 658, 13). სვეტები უანგარიშო, უცხო *ნახჭად* მოჭრილი (რუსუდ. 212, 4). **ნახჭი** თავშალზე მოქარგული ადგილი. **ნახჭიანი** მოქარგული (მთ. კაიშ.). **ნახჭი** ღარი, ჩაღრმავებული (სხეული) – ხევს. ალ. ჭინჭ.

საშ. ქართ. **II. ნახჭი** დავი ნარდის თამაშში (ქილ. 568, 19). შდრ. I. ნაყიში.

**ნიკელი-ი:**

ძვ. ქართ. **I. ნიკელი** «ცხვრი», დრუნჩი. „ვითარცა საყური *ნიკელსა* ღორისასა“ O, – „ვითარცა საყურენი ოქრომსანი ცხვრსა ღორისასა“ (pb., იგ. სოლ. 11, 22).

**ნიკელი** ძვ. „ღორის ცხვირი“ (საბა), – დინგი.

საერთოქართველურისათვის აღდგენილია \*ნიკ-ძირი (ფენრიხი, სარჯველაძე). ს.-ქართვ. \*ნიკელ- „ცხვირი“; „ნიკაპი“ (ჩუხუა 2017).

ახ. ქართ. **II. ნიკელი** [გერმ. Nickel] ვერცხლისფერი ძნელდნობადი ლითონი. ნიკელის საწოლი. – ნიკელის ჩაიდან. ნიკელირებული მონიკელებული. [უცნობს] ტანზე პიჯაკი ეცვა და გულისჯიბიდან *ნიკელირებული* საჭერით დამაგრებულ კალმისტარს ამოეყო თავი (ა. ბელ.).

### **ნირ-ი:**

საშ. ქართ. **I. ნირი** ზნე, ჩვევა. საკურნებლად ღმერთსა ვიხმობ, ვით სნეული, ვიქცევ *ნირსა* (ნ. ციცი. 1535, 4). ჰკადრე: „სინამდი ვიცოცხლოთ ჩუენ ვიყოთ ამა *ნირით* (ფეშ. 135, 2).

და თუ ავადმყოფსა მაჯა მუდმად ერთსა *ნირზედა* უცემდეს, რომე ესე ძარღვი თითებსა ძალიან ძალიანად ეცემოდეს, ორივე მწოვედ კარგი ნიშნები არის (იადიგ. 231, 35).

ახ. ქართ. **ნირი** 1. წესი, რიგი, გეზი, მსვლელობა. თქვა [სოსიკამ]: ჩემ ვაჟს განათლება უნდა მივცეო და შეასრულა, არაფერი დააკლო, ყოველი *ნირი* შეუსრულა, ფეხდაფეხ მისდევდა (ვ. ბარნ.). «ქეიფის *ნირი* გააფუჭეს თავგებმა» (ვაჟა). 2. ზნე, ჩვევა, ხასიათი. მის... ვაჟკაცურ სახეს და მცდელ გამოხედვას რაღაც შინაგანი სიამაყის *ნირი* გადაჰკრავდა (მიხ. მრეველ.).

დიალექტ. **ნირი** ელფერი, განწყობილება, ხასიათი. რო უთხრეს ასე-აო, მაშინათვე *ნირი* შეეცვალა, წაუხდა ხასიათი. შვილი რო დაუჭირეს, იმი მერე თავის *ნირზე* ვეღარ არი“ (ჯავახ. ზედგ.). **ნირშეცვლილი** გუნება-წამხდარი, დაღონებული. ისე *ნირშეცვლილი* დადის, რო ვეღარ იცნომ. ამ კაცის თავზე რაღაც მბავია, რო ისრე *ნირშეცვლილი* იხედება (ჯავახ. ზედგ.). *ნირი* (ვახ.) ზნე-ჩვეულება, ადათი, წესი. კაი *ნირის* კაცია ჩვენი ივანე (იმერ. ჯაჯ. IX.). აგრეთვე: (თუმ. ცოც.).

საშ. ქართ. **II. ნირი** ძვ. «სავაჭრო ფასთ გარდაკვეთა» (საბა). *ნირი* სავაჭროსა ზედა ფასის დადება, რომ რასაცა ფასს გადასწყვეტენ. *ნირი* ქართულად ეწოდება, ნიხრი თათრულად და ნიხლი არაბულად (თ. ბაგრატი.) შდრ. (ირან.) **ნირხ** ღირებულება.

ამბავი და *ნირი* ლართა სყიდისა (ვეფხ. 1073, 4). ყანდაარს *ნირი* შაქრისა (თეიმ. I, 146, 6, 5).

**ნირი** ზომა, ნორმა; ვარაუდი. კაცმ *ნირით* უნდა ჭამას. **გაღწარავს**, **ნირავს** ვარაუდობს, ანგარიშობს, ფიქრობს. **გაღწარავს** გაიანგარიშებს, გაივარაუდებს (ხევს. ჭინჭ.).

### **ნიშ-ი:**

ძვ., საშ. ქართ. **I. ნიში** სასულე ინსტრუმენტების რიგს ეკუთვნის «ნიში», ან «ნიშაგი». უთქვენოდ მყოფნი არ გვინდან ნიშაგნი, ნა-ჩანგ-დაფენი (ვეფხ. 1445, 3). ჳმნა გაუცუდდა ფარსადანს ნიშატისა და *ნიშისა* (ვეფხ. 334, 2).

ძვ., საშ. ქართ. **I. ნიში** «სასწაული», ნიშანი; «ნიშნოვნობა»: „გამოჩნდა *ნიში* იგი კაცისაჲ“ C, – „გამოჩნდეს სასწაული კაცისაჲ“ (DE, მთ. 24, 3). „კელითა მოციქულთაჲთა იქმნებოდა სასწაულები და *ნიშები*“ (საქ. მოციქ.).

5, 12). „გამომჩნდეს *ნიში* ძისა კაცისად – პატიოსანი ჯუარი“ (მ. სწ. 212, 12). „სასწაული და სხუად მრავალი სასწაულები და *ნიშები* იქმნა კელითა ოვანწსითა“ (აპოკრ. 69, 28).

შინდი, რომელი მდგომარე იყო ნიშად ეკლესიისა მის მომასწავებელად (ქ. ცხ. II, 492, 13). ბრძენს რით იცნობ? – კიდევე ჰკითხეს, – ესეაო მისი *ნიში* (ვახტ. VI, 99, 10).

ნიში: ფალ. niš||nišak ნიშანი: ფალ nišān და სხვ. (ანდრონიკიშვილი, 1966, 350).

ზან. ნუში. ნიში საკვირველება (მეგრ. ქობ.).

ახ. ქართ. **II. ნიში** ნიშნი. [გოჩუნას] მოსამსახურეები მასხარად იგდებდნენ და *ნიშს უგებდნენ* (ლ. არდაზ.). ანას არ უყვარდა, როცა *ნიშის მოგებით* ელაპარაკებოდნენ (ე. ნინოშ.).

შდრ. **იშნი** მტრისაგან ბავთზე (=ცუდ ამბავზე) გახარება – საბა.

ამად არ შევიჭირვებ, რომელ შენს ნახვასაცა ადრე ველიო და მტერთაცა ჩემთა *იშნის* მოგებასაო (რუსულ 15, 12).

საშ., ახ. ქართ. **III. ნიში** წალო, კედელში დატანებული – დ. ჩუბ. ნიში ჩვენის ენით აღნიშნულს ალაგს რასამე ნიშნავს (თ. ბაგრატი.).

გამოღრმავებული ადგილი კედელში რამის (ქანდაკების, ავეჯეულობის, ხატის და სხვათა შესადგმელად), თახჩა. [ჭაბუკი] ეკლესიის *ნიშ-მდე* სირბილით ჩავიდა (ს. მგალობ.).

**ნიში** (ისტ., ეთნ.) სამლოცველო ნაგებობა ასეთი თახჩითა და შიგ მოთავსებული ხატით. ყველა მეგრელმა იცის ეს *ნიში* – ამ მუხნარ ტყეში. ამართული ქვიტკირის პატარა სვეტი, რომელსაც პატარა თახჩა, ატანია და შიგ ხატი ასვენია (შ. არაგვ.).

**ნიში** ფშ., ჯ., თ., ნეშტი ჯ. (შატ.). „ნიში ხატის ნაწილი სადმე“ (ა. შან).

**ნიში** 1. სალოცავ ადგილზე გაკეთებული პატარა ქვის ყორე. 2. ახალ ადგილზე გადატანილი სამლოცველო, რომელიც მოქმედებს და ფუნქციონირებს ძირითადის პარალელურად. **ნიშის წაღება** ახალ ადგილზე ხდება რომელიმე თემის მოსახლეობის მიგრაციის შემთხვევაში. „სერობას ეძახიან, მაღლა მთაში არ იერთ *ნიშ* გაკეთებული“ (ფშ. ცოც., ხორნ.). აგრეთვე (ხევს. ჭინჭ.).

ნიში: კედელში ან სვეტში გამოღებული მცირე თახჩა ან პატარა სამლოცველო ნაგებობა მასში დასვენებული ხატით (იხ. ილორიშ ნიში) ზან. (მეგრ. ქობ.).

შდრ. **ნიში** (ფრანგ. niche < იტალ. nicchia) 1. არქიტექტურაში – შეღრმავება შენობის ან ნაგებობის კედელში იყენებენ ქანდაკების, ლარნაკის და სხვ. დასადგმელად ან განჯინის მოსაწყობად. აგრეთვე კედლის პლასტ. დამუშავების მიზნითაც.



**IV. ნიში** ნაძვის ნაკეთობა; ნავი, სახელდობრ, ნაძვის ხეში ამოღებული ნავი (სახელწოდება ნიში მიღებულია ნაძვის სახელისაგან ნუზუ); დიდი ზომის ნავი, რომელიც XX ს. შუა წლებამდე იხმარებოდა რიონსა და ხობზე... ჭალადიდური ნიში 12-15 მ. სიგრძის ნავს წარმოადგენდა და იტევდა 200-300 ფუთ ტვირთს. ტერმინი „ნიში“ მეგრული ნისორიდანაა შემოსული, რომელიც თავდაპირველად ერთ ხეში ამოღებულს ნიშნავდა (კუტალიეშვილი 1987).

#### **ნიშა:**

სამ., ახ. ქართ. დიალექტ. **I. ნიშა** ნიშნიანი ხვასტაგი, ვითარ საღარი – დ. ჩუბ.

ახ. ქართ. **ნიშა**: 1. მოდიდო თეთრი ნიშანი საქონლის შუბლზე; საქონელი, რომელსაც შუბლზე ასეთი ნიშანი აქვს (ჩვეულებრივ, იხმარება საქონლის საკუთარ სახელად). **ნიშა-ხარი** ხარი, რომელსაც შუბლზე ნიშა აქვს. ერთი კვირის წინათ *ნიშა-ხარს* დასჭიდებია და რქა მოუტეხია (აკაკი). ჩვენი *ნიშა* ხარი მოეპარათ (მ. ჯავახ.). ორი სახარე ხბო ამოარჩია... ორთავე შვინდა და ნიშა (ჭ. ამირეჯ.).

იხ. აგრეთვე: ნიშა (ხევს. ჭინჭ.).

ნიშია – ნიშა, შუბლზე თეთრი ხარი, თუ ძროხაა ისეთი – ჭაბში ქვია (სვან. ლიპარტ.).

დიალექტ. **ნიშა: ნიშა ლობიო** ლობიოს ჯიში ერთგვარი. *ნიშა ლობიო* მხვიარღეროიანი ლობიოა, მარცვალი ნახევარი თეთრი და ნახევარიც წითელი ფერისა აქვს (ბრ., ქართლ. ლექსიკ.).

ახ. ქართ. **II. ნიშა** [ფრანგ. nis-kamera, უჯრედი] იმ პირობების ერთობლიობა, სადაც ცხოვრობს და მრავლდება ორგანიზმი (ან პოპულაცია). ტერმინი შემოიღო ამერიკელმა მეცნიერმა გ. გრინელმა 1917 წელს – ს. თეზ.

**III. ნიშა:** სამუსიკო საკრავი. დუდუკი, სალამური; იგივეა, რაც ნიშაგი, წვეულობა, ლხინი – დ. ჩუბ. I. ნიში.

#### **ნობათ-ი:**

სამ., ახ. ქართ. **I. ნობათი** იხ. I. ნაბათი. საყვირ-დაფი. ჩანგსა და *ნობათს* კვრიდეს (შპნ. III, 447, 15). აწ *ნობათი* ხელობისა მომხვდომია, მით ვარ ხელად (ვეფხ. 928, 4).

შდრ. ნობა საყვირ-დაფები. კემწიფობა ცისა სწორად; მუდამ იკვრის დაბდაბ, *ნობა* (ფეშ. 12, 2).

**ნობათი-კარავი** სამეფო კარავი. შაჰი მოაბად აიყარა ხორასნით და *ნობათსა-კარავსა* პირი გურგნისაკენ აქნევინა (ვისრ. 99, 4). **ნობათი კარავი** ე. ი. კარავი მხიარულობისა, სამუზიკო – დ. ჩუბ.

ახ. ქართ. საგანგაშო საკრავი. შეკრბა ხალხი მრავალი! ... ძლიერად სცემდნენ *ნობათს* და მასზე ჰქონდათ თვალი (აკაკი).

საშ. ქართ. **II. ნობათი** (არაბ.) ნობათ-რიგი, დანიშნული დრო. ბუჰრა-ნისა და ცხელებისა *ნობათისა* დროსა ავად მყოფსა კაცსა საჭმელი არ უნდა აჭამონ (იად. 122, 33). უბრძანა, *ნობათი* მოსდევითო (შჰნ. III, 206, 19).

**ნობათი** ჯერი, ხვედრი, მორიგე მოდარაჯე გუშაგობა ან დრო, რომლის განმავლობაშიც ყარაული საგუშაგოზეა. გუშაგი: ნახეს... ათი ათასი *ნობათი* (ვეფხ. 1418, 4). მესამეს მწუხრზედ, *ნობათთა* რა ცემა იწყეს დაფისა (დ. გურ. 90, 198, 3).

მოყმენი *ნობათისა* არ დასცთებიან (ვეფხ. 1300, 3). ნურც ნებას ნახავთ *ნობათად* (ვახტ. VI 64, 30).

ახ. ქართ. **ნობათი** [არაბ. ნავბათ «რიგი, ჯერი»] 1. ძღვენი, საჩუქარი, მოსაკითხი. საახალწლო ნობათი. – მეზადეს მიჰქონდა... [გმირისეულთან] სხვადასხვა *ნობათი* ახლად გაჩენილის ბადეულობისა (ს. მგალობ.). თოვლის პაპა ჯერ არ ნახულს მომიტანს *ნობათს* (ვ. გაფრ.). || ფიგურ. *ნობათად* მომირთმევია თქვენთვის ამბავი ძველია (ვაჟა). 2. კუთხ. (ქიზ.) ჯერი, რიგი. დიდ ოჯახებში რძლებს *ნობათი* ჰქონდათ.

დიალექტ. **ნობათი** (არაბ.-სპ.) რიგი, სირა უფრო წისქვილსა და წყლისა. სხვა რაიმეს მიმართ აღარ ხმარობენ. წყლის *ნობათი*, ბადების ან ბოსტნის მორწყვის ჯერი, რიგი. დღეს წყლის *ნობათი* ჩვენია“. „წისქვილში ნობათი ჩემია“ (ჯავახ. ბერ., ზედგ.). შდრ. ნობეთი (აჭარ. ნიჟ.).

დიდ ოჯახებში რძლებსა აქვთ *ნობათი* შემოღებული: ერთ დღეს ან ერთ კვირას ერთი დისახლისობს, მეორე დღეს ან კვირას – მეორე და ა. შ. (ქიზ. მენთ.). ნობათი ჯერი. ვის ნობათი ახლ წისქვილზედ დაყრის (თუშ. ხუბ.).

**ნობათობა** მორიგეობა, მორიგეობით ყარაულობა; რიგი, ჯერი. ნობათობას იტყვიან, ერთ დღეს რო ერთი მიუდგება საქონელს, მეორე დღეს – სხვა (ზედა ჭალოვანი). საქონლის ვიციით ჩვენ *ნობათობაი*, მოვანგროვევთ ამ კუთხის საქონელს, ორ ადამიანს გამოვყოფთ, დღეს ერთი წეიყვანს, მორე დღეს – მორეი (იქვე, ზ.-იმერ. ძოწ.).

დიალექტ. **ნობათი** 1. ახლად შემოსული ხილი, ბოსტნეული. ახლათ რო შამუა ხილი, კიტრი იქნება, ან თუ ლობიო, ან თუ სხვა რამა, პირველათ დაკრეფილსა იქვიან *ნობათი* (წილკ.). ჯერ *ნობათი* არც კი დამეკრიფა, რო ჩამამირეკა აქ ტალიკ-ტალიკი ხალხი, იტყვი, კარქა გამართული კიტრი ააქო (წილკ.). 2. პატარა კალათი, ყუთი. ერთი *ნობათი* ბალი იყო, ერთიც – თუთა (ბიწმ., ქართლ. ლექსიკ.).

*ნობათს* არაბულ, სპარსულ და თურქულ ენებში ზემოდასახელებული მნიშვნელობები უდასტურდება.

შესაძლოა ეს ლექსემა სხვადასხვა დროსა და გზით იყოს დამკვიდრებული ქართულში. საბას მიერ „სხვის ენით“ მიჩნეული ნობათი უშუალოდ არაბულიდან მომდინარეობდეს. ნობათი საყვირ-დაფი, რიგი ჯერი“ სპარსული გზით ჩანს ნასესხები, ხოლო „დარაჯი, გუშაგი“ უფრო თურქულის (დას. საქართველოს დიალექტებში არსებობის გამო) (იმედაძე 2014, 96).

**ნოვაგ-ი:**

ძვ. ქართ. **I. ნოვაგი** საჭმელი. სამწყობროთ განცხრომა. კლემექსსა შინა ნოაგობა არა საჭმელთა სახელი არს, არამედ გემო(ი)ანი საჭმელი უფროსად სიამოვნესა მისცემს ნოაგობათა შინა ZA – საბა.

**ნოვაგთ-მოყუარე** სმა-ჭამის მოყვარული: „დღეს განუმზადის ჭამადი ნოვაგთ-მოყუარესა და ხვალე შესაჭმელად მატლთა მისცის იგი“ (ბალ. 7, 36).

**სანო(ვ)აგე, სანუ(ვ)აგე** საჭმელი: „სადა არს პირად- პირადი *სანო-ვაგე*, რომელი მაგას (მზარეულსა) დაუმზადებებს?“ (ლკტ. 134, 25). „არა ჰნებავს მას მრვალი *სანოვაგე*, ვითარაც ნაყროანთა“ (მ. სწ. 173, 36). „სადა იყვნენ მაშინ *სანოვაგენი* და საშუებელნი გემოვანნი?“ (მ. სწ. 94, 5).

ახ. ქართ. **სანოვაგე** 1. სხვადასხვაგვარი საჭმელი, – სურსათი, ხორაგი. სოფლებიდან სხვადასხვა *სანოვაგე*: კვერცხი, ფრინველი, მწვანელიულობა, სითეთრე, ხილეულობა მოჰქონდათ (შ. არაგვ.). ზორაბაბელი-კი, ამ დროს ტაბლასთან მიმჯდარი, ნამგზავრზე, ხარბად შეექცეოდა *სანოვაგეს* (შ. დად.). 2. რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი. **სურსათ-სანოვაგე**.

**ნოვაგი** (სა-ნოვაგე) ფორმის მიხედვით, უეჭველია, საშ. სპარსული წარმოშობისად უნდა მივიჩნიოთ... თუმცა თვით საშ. სპარსულში სიტყვა \*nāvāk მნიშვნელობით „საკვები, სანოვაგე“ თითქოს დადასტურებული არ არის. მაგრამ აღსდგება ახალი სპარსულის გზით (ანდრონიკაშვილი 1966, 352).

საშ. ქართ. **II. ნოაგი** (3 ეზრა 5, 59) (+ ესე არს ZA) ყო(ვ)ელივე სამწყობრო საკრავი ZAB. შეე აღსო: გაენუაგა, მენოაგე, ნუაგი, ნოაგობა2, [ნოვაგი] საბა.

**ნო(ვ)აგი** გალობა, კილო: „ყოფად... შესხმითა ნოვაგითა და წინწილადთა (წინწილითა O) და ბობღნითა (I, ნემ. 12, 27). „ვითარცა ისმინ ნოვაგი იგი სახიობისად ეგოდენ ესმინებინ“ (ფიზ. XVI, 11). **მენო(ვ)აგე** მემუსიკე: „ყვეს სიხარული დიდი ყოვლით მენო(ვ)აგითურთ შუდ დღე“ (O, I, ეზრა 4, 63).

საშ. სპარსული nivāk „ხმა, ჰანგი, მელოდია“ (ანდრონიკაშვილი 1966, 352).

**ნოინ-ი:**

საშ. ქართ. **I. ნოინი**: მონღოლთა ერისთავი საბა. წარმოვიდეს ესე ოთხნი *ნოინნი* (ქ. ცხ. II, 184,6). შეიპყრა იგი და მოაშთო და მრავალნი *ნოინნი* მისთანა (ქ. ცხ. IV, 242, 2).

ახ. ქართ. **ნოინი** ისტ. მონღოლების (თათრების) მიერ დაპყრობილი ტერიტორიების გარკვეული ადმინისტრაციული ერთეულის მმართველი. ლხინგადახდილი *ნოინი* ტახტზე ზის დაფიქრებული (აკაკი).

**II. ნოინი** საგალობლის ჰანგი. საგალობლების სახელმძღვანელოში საგალობლის ჰანგზე „რომელნი ქერაბინთა საიდუმლოდ ვემსგავსენით“ განმარტებულია, რომ მისი „თავი «სხუა» და სამ – რიგად ითქმის, «წინთქმა» და ნოინი- საგან შესდგება (ჯავახიშვილი 1990, 241).

**ნოტია:**

ძვ. ქართ. **I. ნოტია, ნოტიე**, ნოტიო (ბერძნ.) ნესტიანი; სველი: „დაჯედ *ნოტიასა* ზედა“ (O, იერემ. 48, 18). „ნოტია იგი წყაროდ გულის-თქუმისად, რომელ ჩემ თანა იყო, განვანემ“ (თომა მოც. 19, 8). „რომელ-იგი დავარდა ნოტიასა და აღმოსცენდა“ (ბალ. 36, 3). აგრეთვე: იხ. ნოტი(ა)ობა სინოტივე.

ხვატს მისტიროდა, სულ ახლახანდელს ქროდა ნოტია (თარგმ. კ. ჭუმბურ.).

ზან. ნოტი სინოტივე, ნამი (მეგრ. ქობ).

ნოტიოსათვის მ. ჩუხუა აღადგენს ს. ქართვ \*ნოტ-არქეტიპს და ეჭვს გამოთქვამს, იქნებ წვეთვა / წვეთება იძლეოდეს გასაგებს მთიულურ-გუდამაყრული ნოტო- ნოტო „ნაწილ-ნაწილ“ სემანტიემისთვის, ეტიმოლოგიით წვეთ-წვეთად (ჩუხუა 2000-2003).

საშ. ქართ. **II. ნოტია** ჩრდილოეთი – საბა.

**ნოტო:**

საშ. ქართ. **I. ნოტო**, რომელ არს კერძი, უკანა კისრის ორღანო – საბა საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **II. ნოტო** ფარის ნაწილი – დ. ჩუბ.

**ნოტო** კუთხ. (ქიზ., თუშ., ფშ., მთიულ.) ფარის ან ნახირის ერთი ნაწილი. «ჯალაბნიც ლეკებმ გარეკეს, როგორც *ნოტო* ცხვრისა» („დიალ.“). || საერთოდ, რისამე ნაწილი. წეროები... *ნოტო* და *ნოტო* ზოგი აღმოსავლეთისკენ მიბრუნდა, ზოგი უკან და ზოგი ძირს დაეშვა (თ. რაზიკ.). უკან გაყოლას ამბობენ ნოტოსი ლაშქარისაო („დიალ.“). იხ. აგრეთვე: ნოტო-ნოტო – ქეგლ.

**ნოტო-ნოტო:** ცხორს *ნოტო-ნოტო* დასხლექა დაუწყეს (მოხ. ქავთ.). იხ. ნოტიო.

საშ. ქართ. **III. ნოტო** ქარი სამხრით – ნოტო – საბა. (ბერძ.) **ნოტოს** სამხრეთის ქარი.

**ნუზლი-ი:**

საშ., ახ. ქართ. **I. ნუზლი** საგზალი. *ნუზლი* ეკიდა ცხენ-ჯორსა (შჰნ. II, 4658, 2). რა ბებერმა *ნუზლი* გააკეთა, დაპირებულს ალაგს მივიდა (რუსუდ., 187,21). იხმნა მან სპანი ჩინელთა *ნუზლითა* წლისა ათისად (ნ. ციც.). შორს წამსვლელი ხარ, მზად გაქვნიდეს *ნუზლი* და საბარგონია (დ. გურამ. 117, 374, 9).

აკლდამაში] მეც ჩამსვეს, შვიდი დღის *ნუზლი* ჩამატანეს (საბა).

[გიორგი] ვერ მოასწრებს *ნუზლის* შეზიდვას, კაცთ შეგროვებას (ვ. ბარნ.).

და მცირე *ნუზლი* გადასცა და დაუმატა: – ესეც მაგდანას გადაეცი (დათუნას სახელი აღარ ახსენა) (მ. ჯავახ.).

დიალექტ. **II. ნუზლ** გუნდი. ჯგუფი რისამე (ცოცხალ არსებათა). სუ *ნუზლი-დ ნუზლ* სოიაც (სვავი) გადადიოდავ იამბიან. ხალხის *ნუზლ* ჩეფყარ თავქვეზე (თუმ. ცოც.).

### ნუზლა:

სამ. ქართ., დილექტ. **I. ნუზლა** (თურქ.) სურავანდი საბა. ნაზლა, ნუზლა (ოსმ.) ნახველი, ხრასტი – დ. ჩუბ.

შდრ. **ნაზლა** (არაბ.) ანთება, სიციხის დანაყარი თეთრად. და თუ ენა-ზედა *ნაზლა* ეკრას, მოიტანე ზიის გული დაჯეჰკე და ლოაზი გამოჰხადე და ენა გარდასწმიდე (იად. 494, 13).

**ნუზლა** პირის ღრუს ავადმყოფობა: ადამიანს ღრძილები უსივდება და სტკივა (მესხ. მაისურ).

ახ. ქართ. **II. ნუზლა** იხ. I. ნუზლი. გიორგის] ერთგულებს სოფლები *ნუზლას* აწვდიდნენ (ვ. ბარნ.).

### ნურა:

ძვ., სამ., ახ. ქართ. **I. ნურა** ნურაფერი: „ნურად გაქუნ გზასა ზედა“ (ლ. 9, 3). „*ნურას* უფროდს განწესებულისა თქუენისა იქით“ (ლ. 3, 13). ახლა ზიფითა და ხალით მეთამაშე და სხვარიგათ *ნურას* მკადრებ (ხოხრ. 63, 15).

„კობაუ... თვალ-ყური დაიჭირე, უბრალოდ კი *ნურას* აწყენინებ [ოფიცრებს]! (ა. ყაზბ.). *ნურას* ინაღვლი, დედილო! (რ. ერისთ.).

სამ., ახ. ქართ. **II. ნურა** „ბალანთ გასაცვივნი წამალი“ საბა – ტარო. ერთმა იხუმრა: „ვიბანებ... აბანოს ნურიითა“ (დ. გურამ.).

დილექტ. **III. ნურა** მური. დედალი თესლს, მურს (შდრ ქვ.-აჭარ. ნური) დაყრიდა კუჭკუბად (ზ.-აჭარ. კობერ. 124). შდრ. III. მური.

### ნუსხა:

ძვ. სამ., ახ. ქართ. **I. ნუსხა** ნაწერი, ეგზემპლარი: „ეფთჳმეს ჳელთა ნუსხისაგან დაგწერია“ (ი. – ე. 23, 9). **ნუსხვა** გადმოწერა: „ბრძანება მქონდა *ნუსხვისა*ოდენ“ (H – 2251, 204r). **მნუსხველი** გადამწერი: „ლოცვა ყავთ... იორდანესთჳსცა მნუსხველისა“ (H – 2251, 104r).

ესე დღეები ყულა ოთხად გაგვიყუია და ერთი *ნუსხა* გაგვიკეთებია (იად. 143, 6).

ახლა მაჩაბლოს *ნუსხაში* დაეწერა (სამ. VII, 355). ნუსხა გაკეთა ქაიხოსრომ და ქაიხოსროს ბეჰედი ზედ დასვა, ის *ნუსხა* შინა მაქვს, იმ ნუსხით უნდა მებოდოს ჩემი მამული (სამ. VIII, 142).

**ნუსხა** 1. იგივეა, რაც სია. || ფიგურ. წერილი უფრო მაგ დარდების *ნუსხასა* ჰგვანდა, ვიდრე ვრცელ და საბუთიან გამოკვლევას (ილია).  
2. იგივეა, რაც ცხრილი.

ახ. ქართ. **II. ნუსხა** კუთხ. (იმერ. გურ.) ჯადო, თილისმა. «*ნუსხა*» თურმე ჰქონდა ალფესი ელიამეს, ისეთი რაღაც საშუალება, რომლის შემწეობით ქალები ვერ ახერხებდნენ წინა აღდგომოდნენ ამ მატყუარა მაცდურს (ჟ. ლომთ.).

დიალექტ. **ნუსხა** ქაღალდზე დაწერილი შელოცვა სამკუთხედად მუშამბაში გამოკრული. ადამიანს ან საქონელს კისერზე ჩამოჰკიდებენ, რომ ავ თვალს არ ევნო. ჯამბაზი რო თამაშობდა, სუ *ნუსხები* ჰქონდა გაკეთებული, რო თვალი არ სცემოდა (ჯავახ. ზედგ.).

**ნუსხა** (არ.) ჯადო, თილისმა. იმ ბერმა ბევრი *ნუსხები* იცის (ინ.). – *ნუსხა* დევაწერიე და თავმაც გიმირა (თ. ქ. ჩვენ. ფუტკ.).

**III. ნუსხა** გაკრული ხელით ნაწერი. კატალოგში ასეა ჩაწერილი: «გაყრა» – კომედია გ. ერისთავისა მხედრული ნუსხით (XIX საუკ.) – ექვთიმე თაყაიშვილის საქმეებში ნაპოვნი («ლიტ. და ხელოვნ.»).

**ნუსხურაი** სახე, ჭრელი, ნახიში (ჩვენ. ფუტკ.).

რამდენსამე სიტყვაში უცხო წარმომავლობის სუფიქსი ი ქართული ურ-ით არის შეცვლილი, ასეა ნუსხურშიც: მოსალოდნელი იყო ნასხური (არაბ. ნასხრ), მაგრამ „ნუსხურად გადაკეთდა „ნუსხა სიტყვის გავლენით, რომელიც იმავე ძირისაა და არაბულიდანვეა ნასესხები და რომელიც პირს (კოპიოს) აღნიშნავდა, ხოლო ზოგ შემთხვევაში დედნად მიჩნეულ ცალსაც („ნუსხად მდებარე იყო დიდსა წიგნის საცავსა“, - ასე იკითხება ვანის სახარების ანდერძში) (შანიძე 1980, 128).

დიალექტ. **IV. ნუსხა** 1. ყანის ან ჭალის მცირე ნაკვეთი. უკან ჭალას *ნუსხა* მაქ ერთი, ვეღარ გამოვთიბევი. ყანა მოვხანი, პატარა *ნუსხა* დამრჩა და იმასაც დილით ადრე გამოვხნამ (ჯავახ. ზედგ.).

**ნუმ-ი:**

ძვ., საშ. ქართ. **I. ნუმი** amygdalum: „ყუაოდის *ნუმი*“ (ეკლ. 12, 5). მისთვის გაამზევენ ბროლ-ლალს შორის ფრცქენილნი *ნუმნი* (ნ. ციც. 652, 1352, 3). *ნუმნი* გააპნა, შეიძრნეს სათნი გიმრის წნელითა (ვეფხ. 1280, 2). იმავე დღეს რომე ესე შეასვა ერთი უკია ნუმის ზეთი შესვი (ქანან. 7, 38). აიღე... უსხური და უფხაური *ნუმის* გული და მური (ქანან. 296, 36). სიმრავლემან ზეთის ხილის ხეთა ბროწეულთა, *ნუმთა*... მიიმსჭვალა სახედველნი ჩვენნი (გ. ავალ. 773, ქვ. 8).

**ნუმის ზეთი:** შირლიდინის ზეთი, ანუ *ნუმის* ზეთი, და თუ იყოს ზეთის ხილის ზეთი ყულასა სჯობს (იადიგ. 121, 1).

**ნუში** [*Amugdalus communis*] 1. საშუალო ტანის ხე ვარდისებრთა ოჯახისა; ისხამს ლენჯო გადაკრულ ნაჭუჭიან ნაყოფს; ნაყოფი (თესლი) მოტკბოა და გემრიელი; იხმარება საკონდიტრო წარმოებასა და მედიცინაში. ბალი, ვაშლი, მსხალი, *ნუში*, ატამი იმოსება ზოგი თეთრი და ზოგი თეთრ-წითელი ყვავილითა (ი. გოგებ.). 2. ამ ხის ნაყოფი. ნუშს და ნიგოზს არჩევდნენ გოზინაყისათვის (ილია).

**ნუში** გვხვდება, როგორც ტერმინი ქარგვასა და ქსოვაში. მაგ.:

**ნუშის გული** ნუშისნაირი ჭრელის სახეა: ხშირად რომბის ან კვერცხის სახეს იღებს (ქიზ. მენტ.). საბნების შეკერვა ვიცოდით *ნუშისგულათა* (სად.). გოზინაყს გავაკეთებდით ხომე; *ნუშისგულათ* დავჭრიდით (არად.) (ქართლ. მესხ.). მე კაბა მქონდა ქიშმირისა, *ნუშის გული* ეხატა ზედა (არად., ქართლ. ლექსიკ.).

**ნუშის გული:** დაშკრი ცომსა *ნუშის გულათა*, რძეში თუ მოხარშამ, აღარაფერი უნდა (ძეგ., ქართლ. ლექსიკ.).

**ნუშის დაბატვა:** „ნუში იბატებაო“, ამბობენ გაზაფხულობით, როცა *ნუშის კვირტი* სკლება და კვირტიდან სიმინდის დახალულ ბატილასავით მოთეთრო-მოვარდისფრო ყვავილის ნისკარტი გამოხედავს (გ. შატბ.).

ივარაუდება, რომ ნუში სომხური წარმომავლობის სიტყვაა შდრ. (სომხ.) նուշ ნუში.

ძვ. ქართ. **II. ნუში** «ყველი», კვერეული; ახალი ყველი ან გაწურული მაწონი: „ათი ესე ნუში მიუპყარ ერისთავს ამას“ ო, – „ათი ყველი სძისა ამისგან და მიართუ ათასის-თავსა“ (pb., ძვ. 17, 18).

აღდგენილია ს.-ქართვ. \*ნუშ-ა „ხაჭო, ყველი“. ძვ. ქართ. ნუშ-ი/ნუშ-ა. პოვნეირია მხოლოდ ძველ ქართულ სამწერლობო ენაში. ახალი ქართული და მისი მრავალრიცხოვანი დიალექტები, ქართველური ენა-კილოები ამ ძირის შესაბამის ფორმებს არ იცნობს. სხვა მხრივ, ძირი თითქმის ყველა იბ.-კავკ. ენაშია გავრცელებული, განსაკუთრებით, დაღესტნურ ჯგუფში (ჩუხუა 2017).

საშ. ქართ. **III. ნუში:** თავის სმელობის *ნუშა-ნუში* იყო (ხოსრ. 65, 26).

დიალექტ. დასტურდება ინგილოურში: ნუშ (აზ. ნუშ= სიამოვნება, სიტკბო; სასიამოვნო, ტკბილი): თქრნზე ნუშ იქნეს! შეგერგოთ, გაამოთ! დალივით, თქრნზე ნუშ იქნეს! (ინგ. ღამბ.).

შდრ. (თურქ.) ნუშ ტკბილეულობა, ელექსირი.

საშ. ქართ. **IV. ნუშა (ნუში)** ნავთ უმცირესი – საბა. და შემდგომ ღუზათა ზედა ნავის დაყენებისა მისცურვეს *ნუშათი* ჩანახ-კალას რეიზმან კონსტანტინე და თათარმან მაჰმად (კალმას. 650, 2). ამავე ფუძის წარმოება ჩანს სინტაგმა **ნუშურა ფიცარი** ტივის ხიდან ჩამონახერხი გვერდის ხორკლიანი ფიცარი (ი. გრიშ.).

თ. ბერაძის მოსაზრებით, ნიში მეგრულში თავდაპირველად მხოლოდ ერთ ხეში ამოთლილ ნავს აღნიშნავდა, შემდეგ კი მან ყოველგვარი ნავის მნიშვნელობა მიიღო. ერთი ხისაგან გამზადებულ ნავს კი ემათოლირ ნიში „ამოთლილ ნავი“ ეწოდა. მეგრულშივეა გვხვდება ნავის აღმნიშვნელი ჭალადიდური ნიში. ნიშ- ფუძე დაცულია შემდეგ ფორმებში: ონიშე „ნავისათვის მოსახერხებელი საცურაო ადგილი“, ნიშონი „ნავსაყუდელი, სანავე ადგილი (ბერაძე 1981, 62).

ნუშას ლექსიკურ-ფონეტიკური ვარიანტები უნდა იყოს მეგრული ნიში || ნგშ „ნავი“, როგორც ეს აღნიშნული აქვს ი. ყიფშიძეს. მეგრულის ზუგდიდურ-სამურზაყანოული ნგში მიღებულია ნუშ-ისაგან, სენაკ. ნიშ-ი < ნგშ-ი < ნუშ(ა) (როგავა 1962, 56). ნუშ-ა-ს ბოლოვიდური -ა ქართულის დიალექტებში უნდა ჰქონდეს დართული, ალბათ კნინობითობის გასახაზავად, საბას, მიხედვით ნუშა არის ნავების სახეობებში ყველაზე მცირე. ზან. ნუშა || ნუში და ქართ. ნავი ერთი და იმავე წარმომავლობის სიტყვა უნდა იყოს, ოღონდ ნუშა ბერძნული (νᾶνδ „ნავი“) ზეპირი გზით ზანურში შესული სიტყვა ჩანს (როგავა 1988, 58-61).

**ნუში** დღესაც იხმარება ლაზურში. ივარაუდება, რომ ეს სახელწოდება ლაზურში უნდა მომდინარეობდეს მეგრული ნისორიდან, რაც გობს ნიშნავს (ნარაკიძე 1986, 85; სალია 2003, 31).



## ო

**ობა:**

საშ. ქართ. **I. ობა** (სპ.). ულუსთ სადგომი – საბა, ნ. ჩუბ.

სრულ ერნი შეეყარა სოფლებიან მას *ობითა* (არჩ. 309, 617, 1).

**ობაი** მომთაბარეთა, ველად მაცხოვრებელთა დასახლება, მობინადრეთა ჯგუფი. „სოფელ რო არაა-დ აგრიაც რამდენიმე კვამლ ცხორობს, ციყმას ვეძახით *ობას*“. „თავგების სუროებ რომე ბევრ ერთად, იყმისადაც *ობაივ* ვიციით“ (თუშ. ცოც.).

ახ. ქართ. **II. ობა** ძვ. დღეობა. დღეს *ობაა*, – ჰო, ღმერთმანი, – და მსურს გიძღვნა სამახსოვროდ უცნაური ხელთათმანი (ი. გრიშ.). ჩვენი *ობაა*, ვემზადებით ხატის კარს წასვლას (ვ. ბარნ.). წარსულ შაბათსა, კვირასა და გუშინ, ორშაბათს, თბილისი სულ დღეობებზე დადიოდა და *ობების* გატარებაში იყო. სამი *ობა* ერთად დაუდგათ თბილისელებს; ფეთხაინობა, სიონობა, ანჩხატობა («ივერია»).

**ობა** ძვ. რელიგ. დღესასწაული, იმართებოდა სექტემბრის კენტ რიცხვში სოფ. კარკუჩაში (მოხ. ქავთ.)

-ობა დღეობის აღმნიშვნელი ნაწილაკი ზან. (მეგრ. ქობ.).

სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით **1. ობა** თურქული ნასესხობაა ქართულსა და სომხურში ანალოგიური გამოთქმითა და იმავე მნიშვნელობით. მომდინარეობს (თურქ.) ობა „*кочевье, стоянка кочевника*“ ლექსიკური ერთეულიდან. როგორც შედარებით ახალი ნასესხობა, სომხური სიტყვა არ გვხვდება პროფ. ჰრ. აჭარიანის ცნობილ ლექსიკონში, მაგრამ დაფიქსირებულია თურქული წარმომავლობის მინიშნებით სტ. მალხასიანის ლექსიკონში: [ობა], (ტრადიციულად ბოლოკიდური იოტი (ა) არ იკითხება – რ. გ.) („თურქ. ობა „დიდი კარავი“) ქალაქგარეთ რომელიმე წმინდანის სალოცავი; წმინდა ადგილი, სადაც წლის განმავლობაში გარკვეულ დღეს მიდიან სალოცავად რელიგიურ დღესასწაულზე (გორგაძე, რუხაძე 2016, 21).

2. საინტერესოა რა მიმართებაა ს.-ქართვე. \*ობ- „წმინდა ობი; დარ-ავდრის აღმნიშვნელი სახელი“ ქართ. ობ- „ყამარის მამის სახელი ამირანიანიდან, მოხ. ობ-ა „წმინდა ობი“ ზან. (მეგრ.) ობ-ი სიტყვაში ობ-იშხა „პარასკევი“ (ზედმიწ. ობ-ის დღე) სვან –ობ „ბედ-ილბალი, ბედისწერა“. გამოთქმულია თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ მეგრულ-ლაზურ-სვანური \*ობ-ი წარმოაჩენს დარ-ავდრის აღმნიშვნელ თავდაპირველ სახელს, რომელიც მომდინარეობს ქართველთა წარმართობის პერიოდიდან (ნ. მარი, ი. ჯავახიშვილი). პრობლემა ამგვარი ძიებების დროს იმაშია რომ ვერ ხერხდება ეტიმოლოგიზირება **ობ**-ძირისა, უფრო ზუსტად, მისი ამოსავალი სემანტიკის დადგენა. ვფიქრობთ, ამ თვალსაზრისით საინტერესო უნდა იყოს სვანურში შემორჩენილი სიტყვის მნიშვნელობა – **ობ** „ბედ-ილბალი, ბედისწერა. აქვე საყურადღებოდ გვკვვენება ქართული ენის მოხეურ კი-

ლოში შემონახული სემანტიკა ობ-ა ფორმისა, რომელსაც წმინდა ობად მოიხსენიებენ ზოგი მკვლევარი . ამავე ობ-ძირს ხედავს ყამარის მამის სახელში ამირანნიანიდან (ბ. კილანავა, კ. კილანავა). საერთოჩერქეზული – აბ- „ელვა; დარ-ავდრის ღვთაება“ პარალელს პოულობს ქართველურ პანთეონში. ამ ეტაპზე მონათესავე ძირ-ფუძეები სხვა იბ.-კავკ. ენებიდან ვერ გამოვლინდა (ჩუხუა 2017).

### **ობოლ-ი:**

ძვ. ქართ. **I. ობოლი** უდედმამო: „არ დაგიტევნე თქუენ ობლად, მოვალ თქუენდა“ (ი. 14, 18). „შენ ხარ მამად ობოლთად“ (ფლკტ. 147, 28). „ძე ჩემი, ვითარცა ობოლი, მძევლად გასწირეთ“ (ი. -ე 16, 33).

საშ. ქართ. ამ ლექსს თავი მოუყარე, საცა მეთქვა თვითო ობლად (დ. გურამ. 59, 9, 3). სულ უმცროსსა მეფემ შვილად ზრდა დაუწყო, არს ობოლიც (არჩილი, 400, 1024, 4). უცხოთა ცის ქვეშ მარტოობს მისი საფლავი ობოლი (გ. ორბ.).

ახ. ქართ. ობოლი 1. უდედმამო (ანდა მხოლო უდედო ან უმამო) ბავშვი. პატარა სანდრო ობოლი იყო მამით (ი. გოგებ.). ქიტუა დაქვრივდა და ორი პატარა ობოლი დარჩა (შ. არაგვ.). 2. გადატ. ვისც თანაგრძნობი, თანამოაზრე, მეგობარი არ ჰყავს, – ეული. ◊ სულით ობოლი იგივეა, რაც ობოლი (მნიშვ. 2). ვერავის ვერავის ვერ მივინდობივარ, გულით ურწმუნო, სულით ობოლი (აკაკი). 3. გადატ. რაც მარტო-მარტო, განცალკევებით იმყოფება, – უპატრონო, მიტოვებული. ჩამოწყვეტილი ფოთოლი, ჩამჭკნარი, კაემნიანი, მიჰქონდა ქარსა ჰაერში, ობოლი, ობოლგზიანი! (ი. ევდ.). 4. ერთად-ერთი, განსაკუთრებული; ძლიერ კარგი. ბაღში ვაზი ობოლი მეტის ლხენითა ტირის (ილია). წავალ მოვწყვეტ ობოლ ვარდსა (ა. აბაშ.); ფიგურ. მარტოდმარტო, განცალკევებით. დაბრუნდნენ შინ მონადირენი... დარჩა ველი ობლად. ზედ მხოლოდ ნაცეცხლარი ეტყობოდა (ვაჟა).

**ობოლი** მოკ., ფშ. კეკერა უდედო ბატკანი, ობლად გაზრდილი „იმას ობოლს ვეძახით“ (ვ) (შან.).

**ობოლი თვალი** 1. ძვირფასი თვალი: მარგალიტი თუ სხვა. 2. გადატ. კარგი თვისებებით გამორჩეული ადამიანი. სოფლის ობოლი თვალი იყო ჩვენი პეტრეი (ჯავახ. ზედგ.).

დიალექტ. ობოლი დასტურდება სინტაგმებში: საშ. ქართ. **ობოლი მარგალიტი**: ვით მარგალიტი ობოლი, ხელიხელ საგომანები (ვეფხ. 9, 21). ობლის მარგალიტით გაკეთებული ზეწარი ეფარა (რუსუდ. 307, ქვ. 5). სულ იმის ფიქრს იყო, რომ ხოსრო ენახა, იმის ობოლს მარგალიტს იმისთვის ინახევდა (ხოსრო. 34, 9). **ობოლი ნაკვერცხალი** მკვრივი ნაკვერცხალი ფერფლდადებული. „ბავშვს მოთხოვეს ობოლი ნაკვერცხალი პაპიროზისათვის“ (იმერ. გაჩ.). **ობოლი ნაკვერცხალი** დაფერფლილ ნაკვერცხალთა შორის ერთადერთი ნაკვერცხალი, რომელიც ღვივის. დაფერფლილ ნაკვერცხლეფში რო იქნება ანთებული ერთი, იმა ობოლ ნაკვერცხალს ვეტყვით (ხიდარი, ზ.-იმერ. მოწ.).

**ობლის კვერი:** ანდაზა: *ობლის კვერი* ცხვაა, ცხვაა, გვიან გამოცხვა, მაგრამ კარგად გამოცხვა, *ობლის ხვედრი* ძნელია, მაგრამ ბოლო კეთილი-აო (ქიზ. მენტ.). **ობლი კვერი** 1. უსაშველოდ გაჭიანურებული საქმე. „*ობლი კვერი* ცხვა, ცხვა და ვეღარ გამოცხვა“. „ყველაფერი მე *ობლი კვერი* რათ'ნა გამიხდეს“. 2. იხმარება მეორე მნიშვნელობითაც. გვიან, მაგრამ კარგად გაკეთებული საქმე. „*ობლი კვერი* ცხვა, ცხვა და როგორც მინდოდა, ისრე გამოცხვა (ჯავახ. ზედგ.). **ობოლი ხე** ცალკე, განმარტოებით მდგომი ან ერთ ღერად ამოსული ხე. სოფლის ზემოთ *ობოლი* პანტა როდგას, იმისთვის დაუმტვრევიათ ტოტები ამ გასაწყვეტ ბავშვებ. კარგი სახრე თუ გინდა, *ობოლი* უზანი ან იფნა'ნა მოჭრა (ჯავახ. ზედგ.).

**ვობოლი:** ვ ვითარდება ანლაუტში ქართ. *ობოლი* > *ვობოლი* (ქავთარაძე 1969, 168).

\**ობოლ*:- ქართ. *ობოლ*; მეგრ. *ომბოლ* ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისთვის აღსდგება (კლიმოვი 1964, 149). ქართ. *ობოლი* ს.-ქართვ. \**ობალ*- „*ობოლი*“ (ჩუხუა 2017).

ახ. ქართ. **II. *ობოლი*** [ბერძ. obolos] ძველი ბერძნული ვერცხლის ფული, დრაქმის ერთი მეექვსედი. ნავის ფსკერიდან ცივ ვარსკვლავებს შესჩერებია ქუდი, გავსილი თეთრი *ობოლებით* (ვ. ჭიჭ.).

**ომბოლა** ფულის ერთეული, სამი თუმანი. *ომბოლი* *ობოლი*; საბადოზე მარტოკა ამოზრდილი ქვა ზან. (მეგრ. ქობ.).

**ოდა:**

სამ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. *ოდა*** თურქთ(ა) ენაა, სენაკსა ჰქვიან – საბა.

თუ არის ცუდი სახლები იგ ნუ გგონია შენ *ოდა!* (თეიმ. I, 96, 256, 2). პაატას *ოდა...* ცალკე ნასყიდი ყოფილა (სამ. IV, 203, 5).

**ოდა** [თურქ. *ოდა* «ოთახი»] 1. ხის, ქვის... ბომბზე (ან პალატზე მნიშვ. 2) დადგმული ფიცრული სახლი. სახლის ზედა სართულს *ოდა* ერქვა (აკაკი). 2. კუთხ. (ქართლ.) ბოსლის ის ნაწილი, სადაც ზღვეები არ აწყვია და საქონელი არ იმყოფება. ბოსლის *ოდაში...* გოგოები... სადედოფლოსა რთავდნენ (ეკ. გაბ.).

**ოდა** (თურქ.) *ოთახი*, მიწური სახლის *ოთახი*, სადაც ცხოვრობს ოჯახი (ჯავახ. ბერ.). **ოდა** (ქართლ.) მოჯამაგირის საწოლი ადგილი ბოსელში (კირიონი).

იხ. აგრეთვე: **ოდა** (ჩვენ. ფუტკ., აჭარ. ნიჟ.). *ოდა* დიდ სახს ქვია *ოდაი* (ზარანი) (ზ.-იმერ. მოწ.) **ოდის თავი** სახლის სახურავი. – ნამეტანი კაია ზამთარში *ოდის თავზე* ნაყარი პანტე. *ოდის ქვეშ* სახლის ქვეშ. -წა, ცა, *ოდის ქვეშე* გამოხვეტე! (რაცხ. გურ.). **ოდის კისერი** *ოდის* უკანა მხარის საძირკვლის ზედა ნაპირი კედლის გასწვრივ (იმერ. გაჩ.). ვოდა -*ოდა* (იმერ. გაჩ.).

**ოდა** ფიცრული დიდი სახლი ზან. (მეგრ. ფიფ.).

ახ. ქართ. **II. ოდა** [ბერძ. *ōdē*] სახოტბო ლექსი, რომელშიაც შექებულია რომელიმე ისტორიული ამბავი ან პირი. *ოდით* ეს ქალი შეამკეთ, შეაქეთ! (ი. გრიშ.). გინდა დავწერ *ოდასა* (კ. მაყ.).

**ოდა** ჰოდა. „ოდა, იმას გაამბობდი“ (მოხ. ქავთ.). **ოდა-ო** დაურთავენ სალანძღავ სიტყვას. „ნუმც იქნები, ოდა-ო!“ ძაღლის სისხლდასხმულო, ოდა-ო!“ (მოხ. ქავთ.).

**ოლე:**

ძვ., საშ., ახ. ქართ. **I. ოლე** მაღლობი, მწვერვალი მთისა; ბუჩქნარი: „ვითარცა მახჭ განმართებული (განმარტებული *px.*) *ოლეთა* ზედა“ (O, ოვსე 5, 2). „*ოლეთა* ზედა... დაიდგნიან და იქმნიან ბუდეჭ თვისი“ (ოქრ. -გურიტ. 225, 8).

ჩვენ მამულზე ფიცი გვაძე[ს], ოლეს გაღმა იმათია, გამოღმა ჩვენია (სამ. VIII, 366,18). მოვედით მცირეს *ოლესა* (დ. სააკ. 45, ქვ. 12) .

**ოლე** (ხე) ბრყენა, გინა მოგრძე ტყე ველთა შუა; ბრყენა, პრკენა, პანტაფშატი (დ. ჩუბ.).

ახ. ქართ. **ოლე** 1. პატარა ტყე მინდორში ან მდინარის პირას. 2. ახოში საჩრდილობლად დატოვებული ხე (ან ბუჩქი). შენ ლიახვის კლდეზე დგახარ ძველი მოსასხამით, – *ოლე, ოლე*, მარტო ხეო, დღისითა და ღამით (გ. ლეონ.). 3. (ქართლ. გ.-კახ.). იგივეა, რაც ბერყენა. 4. (რაჭ.) იგივეა რაც ბუჩქნარი.

დიალექტ. **ოლე** 1. დაბურული, ძნელად შესაღწევი დიდი ბუჩქი, ზოგჯერ ეკალბარდიანი ფთხილის *ოლე* (რაჭ. კობახ.); 2. მწარე პანტა, ბერყენა. ოლე უჯიშო პანტა არი, წვრილი, ამოდის კურკაზედა, არა მწიფდება (არად.) (ქართლ. ლექსიკ.). აგრეთვე: **ოლო** „მაღლობი“ (რაჭ. ძიძიგ.). შდრ. ბერძნ. ოლე „ტყე, ბუჩქნარი“.

ახ., საშ. ქართ. **II. ოლე** ჭაობი, ჭანჭრობი – დ. ჩუბ.

დიალექტ. 1. მდინარის კალაპოტის შეცვლის ან წყალდიდობის შემდეგ დარჩენილი შლამიან-ტალახიანი გუბურები (ფშ. ხორნ.). 2. ტბის ან მდინარის პირას დაგუბებული წყალი; გუბურებიანი ადგილი. ვერაფერს გავხდი, ვყიყინებ, როგორც ბაყაყი *ოლეზე* (ვაჟა). მამვრალისათვის მჭადიც კი ქადაა, შაქრის პურია, დურდო წყალიც კი *ოლეში* ღვინოა, როცა სწყურია (ვაჟა). 3. ჭაობიანი ადგილში ტალახის გუბე ან ტალახის მდინარე (ქიზ. მენტ.). 4. ნაჟური წყლებისაგან შემდგარი მდინარე, რომელიც მინდვრის ჩადაბლებულ ადგილებში ჩნდება, ზოგან რამდენიმე კილომეტრზეც მიედინება და მინდორშივე იკარგება. ეს სიტყვა ხშირად დასტურდება ტოპონიმიში „მყრალოლე, პატრალოლე, დიდოლე“ (გ.-კახ. სახლთხ.). ჩალა ჭაობებში იზრდება, ანუ, ქიზიყურად, *ოლეებში* (ქიზ. მრეწ. I, 71).

სიტყვა იგივე უნდა იყოს რაც თურქულის ძმ „ნესტიანი, ტენიანი მიწა“.

**ომ-ი:**

ძვ., საშ., ახ. ქართ. **I. ომი** შეიარაღებული ბრძოლა სახელმწიფოებს შორის ეკონომიკური ან პოლიტიკური მიზნების მისაღწევად. მგრგვლივ შეიქმნა *ომი* დიდი (ვეფხ. 448, 1). ომად საომრად. ოდეს სეფედავლე დარისპანისძის ომად ვიყვენით, მაშინ მომავალთა აქა ლაშქარნი გარდაგუეკიდნეს და არა ავად ვიყვენითო (ამირ. 17, 6). ესრე ფიცხლად წამოვიდა, ვითა ჯაბანი *ომისაგან* (ვისრ. 235, 33). „ნუ უკუე, მეფევ, ჟამი არს ომისა“ (ქ. ცხ. II, 13, 18) ფიცხლავ ომი გააპირს (შჰნ. II, 3452, 1).

ძვ. ქართულში ამ მნიშვნელობით **ჰომი** დასტურდება. **ჰომის-მკრე-ბელი** განდგომილი: „რომელნი იყვნეს კაცთა მათ *ჰომის-მკრებელთა* კრე-ბულისა მის კორესისა“ (გამოსლ. 38, 1). იხ. ასევე მეჰომე.

განგრძელდა *ჰომი* მათი (ძეგ. ერისთ. 108, 13).

ახ. ქართ., დიალექტ. **ომი** 1. სხვა სხვის ომში ბრძენიაო (ანდაზა). 2. გადატ. ბრძოლა, შეტაკება, შეჭიდება, ჩხუბი. ნუმც მინახია არწივი, შნო ღარ ჰქონდეს *ომისა!* (ვაჟა 3. გადატ. შეურიგებელი მოქმედება, ენერგიულად გალაშქრება ვისიმე ან რისამე წინააღმდეგ.

დიალექტ. **ომის დედობაჲ** ომის ზნე, ხასიათი (?) „ყმაწვილო, ომსა უჩვევო, *ომის დედობაჲ* იცია? (ლაშქრული სიმღერიდან) (თუშ. ცოც.).

ს.-ქართვ. \*ომ- „ომი“ (ჩუხუა 2017).

ახ. ქართ. **II. ომი** ფიზ. ელექტროდენისადმი სხეულის წინააღმდეგობის საზომი ერთეული [გერმანელი ფიზიკოსის Ohm-ის გვარის მიხედვით.

**ონ-ი:**

ახ. ქართ. **I. ონი** ქართული ანბანის მეთოთხმეტე ასოს სახელწოდება (იხ. ო) – ქეგლ.

**ონი** ო: „პოვა, რამეთუ *ონისა* დაეწყო, რადთამცა დასუა, და არღარა მოავლო კალამი“ (მ. ცხ. 226r).

საშ. ქართ. **II. ონი** (სპ. ონია) ერთგვარი ლამაზი მცენარე. თხას უთხრა: „შენი მინდორი მწვანობენ – ტურფად ონები (შჰნ I, 2229, 1).

**ორთ-ი:**

საშ. ქართ. **I. ორთი** ἡ ὄρθη – გრამატ. სახეობითი ბრუნვა: „ღრამმატიკოსნი *ორთისაგან* გენიკისა მიმართ და დოტიკისა ანუ სხვსა რომლისამე“ (ამონ. 115, 2).

საშ. ქართ. **II. ორთი** ბერძულია, დღეობას ჰქვიან – საბა.

დიალექტ. **III. ორთი** გადასაფარებელი. „მაგით ორთ გააკეთავ?“ (მაჭ.); „ესა ქაშე კარყოლასი *ორთი*“ (ინ., ჩვენ. ფუტკ.).

**ორთი** (თ. örtü) სახურავი, ნაბურავი. „ბევრიც აღარ მაკლია სახლში შებარგვას, *ორთზე* მივიყვანე საქმე“ (აჭარ. ნიჟ.).

ახ. ქართ. **IV. ორთი** (ბერძ.) ერთეული ვექტორი.

**V. ორთი** გერმ. ჰორიზონტალური მიწისქვეშა მთის გვირაბი – ა. სიხ.

**ოროლ-ი:**

საშ., ახ. ქართ. **I. ოროლი** ლახვარი, ჰოროლი – ანკანაკი, ორპირი და ბუნგრძელი. შეიქნა აქათ და იქით ცხენის რბევა და ჯირითით და *ოროლითა* მღერა (რუსუდ. 348, 16). მაშინლა მიუხდით ჩვენ *ოროლითა* (ი. ტფ. 605, 75, 2). უყრიდეს *ოროლითა* და ერთმანცა ვერა ცნა ჯობნა (ამირან. 168, 7). როსტომს ჰქონდა ჯელთ *ოროლი* კირჩხიბი სწლავს *ოროლითა* (ბეს. 130, 36, 1).

[მხედარი] იმავ წამსვე შემოტრიალდა და *ოროლით* თავის მოპირდაპირის გასაგმირად გამოექანა (შ. დად).

შდრ. ძვ. ქართ. **ჰოროლი** ლახვარი, შუბი – ილ. აბულ.

საშ. ქართ. **II. ოროლი** ორ-ორი. სულ ყველას სხვას იარაღს გარეთ *ოროლი* ლახტი ეჭირათ (რუსუდ. 305, 26). ამპარტავენნი რომელნიმე იყვნენ საშინელნი ხილვითა, ვითარ უკვე სიმაღლითა *ოროლნი* მხარნი და ფაჩვნიერნი ყოველნივე (ალექსანდრ. 118, 7). სამთავ მოიღეს *ოროლი* დოლაბთ ოდენი ქუანია (შჰნ. 183, 1). გარდალეწეს *ოროლი* ჳრმალი ერთმანეროსა (ამირან. 44, 6). ალიქირუმი თვითოსაგან *ოროლი* დანგი (კარაბ. 69, 7). ბოჭკასა შინა აწყვია თევზი ესე ოროლი ათასი (ი. ბაგრატ. II, 87, ქვ. 2). რომელ არს კაკულა წურილი ამათგანი წონა დრამისა ოროლისა (ქანან. 91, 12).

ახ. ქართ. **ოროლი** საუბ. 1. ორ-ორ. ჩამოითხოვა თინიამ *ოროლი* მუჟა ხორბალი (რ. ერისთ.) [ქორი] მუდამ დღე *ოროლს* იტაცებს, ვეღარ გაუზარდეთ წიწილა (ვაჟა). „აღებულ ფულით გოჭებს ვიყიდი, დავასუქებ და ოროლ მანეთად დავყიდი“ (ი. გოგებ.) 2. რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი თითო-ოროლა.

შდრ. დიალექტ. **ოროლა** „აბრეშუმის ჭიის ჯიში გურიაში ძველად; მოჰყავდათ წელიწადში ორჯერ, ყვითელი მომცრო პარკი იცოდა და მდარე ხარისხის აბრეშუმს იძლეოდა“ (გურ. შარამ.). ოროლაჲ წინდის ნაჭრელის სახეობა – ორი მირგვალი ერთი ფერისაა, ორიც სხვა ფერისა. „ოროლაჲ უბრალოაჲ ნაჭრელ, მეცხვარეთად ვხქსოვთ“ (თუმ. ცოც.)

დიალექტ. **ოროლობა** ხალხის წყვილ-წყვილად სიარული ან საუბარი (ერობაში, საერთო შეკრებაში). *ოროლობას* ნულა ღმარებთ, აქათვე იყურეთლა! (მოხ. ქავთ.).

**ორღანო:**

ძვ. ქართ. **I. ორღანო** იარაღი, ხელსაწყო: „ვითარცა – იგი ხურომან ანუ მაშენებელმან თითოეულისა ჯელოვნებისა ჳურჳელთა *ორღანონი* ნეზისაებრ და განზრახვისა იჯუმინის და არა წინააღმდგომობნ ორღანო იგი“ [A=689 173r 17-24b]. „*ორღანო* თანამიჰყვებოდის ჳელოვანსა“ [იქვე, 173r, 31-32b]. „შეაგდეს იგი ორღანოსა მას შინა, რომელსა კატაპელტი ეწოდების“ [Ier. =24 143v, 4-6].

ძვ. ქართ. **I. ორღანო** სამუსიკო საკრავი. „სახიობათა მათ წილ და *ორღანოთა*... ვჰყოფ... ლოცვათა“ (Ier. -36, 19r).

**ორღანო 1.** ზოგადად მუსიკალური ინსტრუმენტი: „და თანად *ორღანოთა* და სახიობათა შემშაადებელმან ასწავა მათ მიერ ქებად ღმრთისად ლევიტელთა“ (ფლავ. 7: 12, 3).

2. თორმეტსიმინი მუსიკალური ინსტრუმენტი, რომელზედაც თითებით უკრავენ: „ხოლო *ორღანოდ*, ათორმეტთა კმათა მქონებელი, იცემების თითთაგან“ (ფლავ. 7:13).

3. საბრძოლო იარაღი: „აღმოავსო ხანდაკი სიღრმისათჳს ფრიადისა, მიმღებელი მანქანებათა და *ორღანოთად*“ (ფლავ. 14: 4, 2).

**ორღანო 1.** მეთოდი, გზა, იარაღი. „ვითარცა აქუნდეს *ორღანოდ*, ეგრეთცა საქმე კელოვნისად გამოჩნდების“ (ამონ. 38, 25).

2. საგანი, ობიექტი. „თითოეული კელოვნებთაგანი... უფროდს სხუათა კელოვნებათადასა თჳსთა *ორღანოთა* სახელებსა დასდებს“ (ამონ. 42, 9).

საშ. ქართ. საზანდრების ხმითა, ჩანგისა, სამთურისა, *ორღანისა*, უდისა და ქამანჩისა ალყებით ფრინველნი დაბმულნი იყვნენ (ხორ. 48, 6). ხმა მოუდაბლე *ორღანოს*, აშიყ-მაშიყად სტვენასა (დ. გურამ. 69, 52). ოსანაებსა ორობდენ *ორღანოებით* ოხითა (ვახტ. VI, 64, 32). ქრისტიანეთა *ორღანონი* ჯმოვანობდეს კიდით კიდემდე (ქ. ცხ. II, 131, 27).

ჰკრეს ჩანგსა, ბარბითსა წინწილსა და *ორღანოსა*, მუღნსა და ქამანჩასა, უდსა, თანბურასა (რუსუდ. 433, ქვ. 14). დასცეს მგოსანთა მათ საყვირთა და ორღანოთა (ალექსანდრ. 167, ქვ. 8).

**ორღანო** შდრ. არღანი (შდრ. ბერძნ. ორგანონ „იარაღი“ „ინსტრუმენტი“). მაგრამ შემოსული ჩანს რუსულიდან გაცილებით უფრო გვიან, რუსულში ბერძნულმა ფორმამ ასიმილაციით მოგვცა არგან (ფასმერი, გიგინეიშვილი 2016).

ძვ. ქართ. **II. ორღანო** ორგანო. „ხოლო გუამისა ორღანოთა მათ ასოთა განჭაბუკებასა და საცნობელთა გარეშეთა განვრცელებას თანა შინაგან გონებისა *ორღანოთა* და საცნობელთა გააფრთხობდა“ (გიორგი მთაწმ. 171, 10-12). „მრავალნი გუამნი ერთისა ცნობისა *ორღანოდ* გამოჩნდებოდინ“ [A= 689 169v, 36-38a].

საშ. ქართ. მაიძულებელი გული აღძრავს ორღანოსა გონებისასა (ქ. ცხ. II, 59, 16).

### ობრა:

ძვ. ქართ. **I. ოხრა** «ქავილი», «აღძვრა», ხმა, «ბგერა, ყვირილი, ღაღადი, შფოთი: „შეძრწუნდეს უფსკრულნი დიდძალითა (ქავილითა Ⴀ) წყლისადათა“ (ფს. 76, 18). „იყოს... შეკრებად თესლებისად განკვრევებითა *ობრისადათა*“ (ლ. 21, 25). „იყო მეყსეულად ზეცით *ობრად*“ (საქ. მოც. 2, 2). „*ობრად* ღელვათა მისთად შენ დააცხრევ, Ⴀ – „აღძრვასა ღელვათა მისთასა შენ დაამშვდებ“ (Z ფს. 88, 10). „ობრად ფრიადნი შთამოგორვებულთა ქვათად pb., – „ბგერად განმკრთობელი და ზუღევი კლდეთად“ (O, სიბრძ. სოლ. 17, 18).

საშ. ქართ. **ობრა** კუნესა, სამწუხარო ხმა; ბნობის ხმა საკრავთა, ანუ ბგერათა უსულოთა (ნ. ჩუბ.).

**ობრა** გადატ. ქარიშხალი *ობრანი* და ღელვა-ტეხილობანი ზღვსანი ვერ გარდაცდებიან ბრძანებასა ღმრთისასა (ქ. ცხ. II, 15, 4). ოდეს *ობრასა* ოხჭანზე ოხრიდენ ოხა ოხითა, / ოსანაებსა ოხრობდენ ორღანოებით ოხითა, / ორსტოს ონისემესთან ონოფრეც ოხრობს ოხითა (ვახტ. VI, 64, 31). ხმა რამე ესმა *ობრისა* (რუსუდ. 54, 11). გზა ვერ პოვა ჩასასვლელად, გლახ თავს იცა, *ობრა*, ახა (ნ. ციც. 189, 3).

საშ. ქართ. **II. ობრა** ყვითელი წამალი (დ. ჩუბ.). 1. ქუა მურდასანგის გუარი, ხმარებული სამხატვრო წამლად და საღებავადაც (ნ. ჩუბ). [ბერძ. *ochra*] იგივეა, რაც ჟანგმიწა.

უნდა აქუნდეს ფერადნი სხვადასხვა ფერნი, ესე იგი: თეთრი უმარილი, ანუ ქირიშანი, სინგური, ... *ობრა* ყვითელი (კალმას. II, 233, 14).

ახ. ქართ. **ობრა** ოქრა. „ეს კიდევ, ბატონო, *ობრა* გახლავს, საღებავი წამალი! (შ. დად.).

დიალექტ. **III. ობრა** კლდეებით შემოზღუდული დიდი ორმო. დევი მიეყვანა ამ ბიჭმა შახში და ჩააგდო ცოცხლოურა *ობრაში* (ამომენებული დიდი კტეა) და იქიდან ვერ ამოვა, თუ თითვან არ ამეიყვანა (ხიდარი, ზ.-იმერ. მოწ.). შდრ. ხარო.

### **ობჟან-ი:**

ძვ., საშ. ქართ. **I. ობჟანი** ძვ. «ბოლო, დასასრული» (საბა, დ. ჩუბ.).

„ვითარ *ობჟანი* ყვეს სერობისად მის“ (ღმ. შობ. 186, 35). „ყოვლისა დასასრულისა ვიხილე *ობჟანი*“ (ფს. 118, 96).

**ობჟნება, უბჟნება** «აღსასრული» უდაბნო: „იყოს ყოველი ქუეყანად, ხოლო *ობჟნება* (*უბჟნება* I) ხოლო არა ვყო“ O, – „ოჯერ იყოს ყოველი ქუეყანად, ხოლო აღსასრული არა ვყო“ (პხ., იერემ. 4, 27). **უობჟნოდ** დაუსრულებელი: „შრომათა მთ წილ მოუღებებს სიხარული და მხიარულებად *უობჟნოდ*“ (ხანძთ. 249, 21). „არა გწადოდისა ტაბლისა მისთვის *უობჟნოდსა*-სასუფეველისა ცათადას“ (ზას. კეს. სწავლ. 9, 15). იხ. აგრეთვე: უობჟნობება.

საშ. ქართ. **ობჟანი** (სომხ.) *ობჟანსა* შინა სრულიად შეჭურვილი კაცი აღიღო უნაგირისაგან (ქ. ცხ. II, 264, 11). ოდეს ობრასა *უბჟანზე* ოხრიდენ ოხა ოხითა (ვახტ. VI, 64, 31).

ახ. ქართ., დიალექტ. **II. ობჟანი** კუთხ. (რაჭ.) ხელმოჭერილი, პურა-ძვირი ადამიანი.



## პ

**პარ-ი:**

საშ. ქართ. **I. პარი** ქართული ანბანის მეთხუთმეტე ასოს სახელწოდება. პასუხი პატიოსანი, პირო, პოეცა *პარიტა*, / პირმშოსა პირველისასა პყრობას პირობდენ პარიტა, / პატიოსნისა პარაკთა ბრწყინვალეზანი პარიტა, პალამნი პავსაკითა პარპანჯობდიან პარიტაპარი (ვახტ. VI, 64, 35).

საშ. ქართ. **II. პარი** პირველივით ითქმის – საბა, დ. ჩუბ.

ს.-ქართვ. \*აპარ- „ძველები, წინაპრები“ (ჩუხუა 2017).

საშ. ქართ. **II. პარი** ლინი პარი სომხურად სამა – საბა.

**პარი** ფერხული: „პარსა მას იტყოდეს“ (რიფს. 171, 36). იხ. შუშპარი.

**პარიტ-მემღერი** «განცხრომა»: „ესმა ჳმა სახიობისა და *პარიტ-მემღერთა*“ C, – „ესმოდა ჳმა სიხარულისა და განცხრომისა“ (DE, ლ. 15, 25).

დიალექტ. **პარი** (სომხ.) ცეკვა, ფერხულის მსგავსი (წრედ შეიკვრება) კარქათ რო შევთვრებოდით, მერე *პარს* ჩავაბემდით და ვთამაშობდით (დონ.) (მესხ. ფეიქრ.). მერე *პარი* დააბეს (ხიზაბავრა) (ჯავახ. ბერ.). შვიდი წყვილის ფერხულს *წყვილ პარსაც* ეძახოდნენ (ჯავახ. ზედგ.).

**პარეხ-ი:**

ძვ. ქართ. ძვ. ქართ. **I. პარეხი** კლდე გამოქვაბული; **შთაპარეხვა** ნაპრალში ჩაგდება საბა; კლდის ქვაბი, სადგური – დ. ჩუბ. **პარეხი** ბუნებით გამოკვეთილნი კლდენი, ქვაბი (თ. ბაგრატი.).

**პარეხი** ნაპრალი კლდეთა შორის; კიბის საფეხური: „შთამოაბა თავი თვისი *პარეხსა* მას კლდისასა“ (მ. ცხ. 113r). „ასლვასა მას ჩემს ყოველსა ზედ *პარეხსა* კიბისასა“ (ლიმ. 127, 3).

**პარეხი** ჩალის, ლერწმის ან ფოთლისაგან გაკეთებული საწოლი. „*პარეხსა* ზედა წევნ ერთსა ფსჯათსა და ძაძასა“ (მ. ცხ. 86, 30).

„რაჟამს ხანძთად იქმნა სახელოვან მადლითა... მას ჟამსა მიძნადოროდთ ხანძთად მოვიდა დიდი მეუდაბნოწ მიქელ მამად, რომელი დაემკვდრა პარეხთა... და პოვა თავისა თვისისა სამკვდრებელი ბერთისა *პარეხთა*“ (გრ. ხანძთ.). „მოვიდა მუნით (ოპიზადთ) მიქელ და აღაშენა უწყებითა საღმრთოდთა მცირე ეგუტერი და შესაკრებელი მცირეთა ძმათად ადგილსა კლდოვანსა და უვალსა კაცთაგან, რომელსა *პარეხ* უწოდიან“ (სერაპ. ზარზმ.).

ილ. აბულაძე გვაკვლიანებს: ხანძთელის ცხოვრების **პარეხთა** გეოგრაფიული სახელია, ხოლო სერაპიონის ცხოვრებისა კი საზოგადო უნდა იყოს, რადგან აქ იგი, ან მისი ფუძე, იხმარება არა მრავლობითი რიცხვის ფორმით, რაც, როგორც ვნახეთ, საგნის სახელთაგან წარმოქმნილ გეოგრაფიულ სახელთათვის დამახასიათებელია, არამედ მხოლობითით (პარეხ უწოდიან), ამასთანავე ზარზმელის ცხოვრების პარეხის შემცველი

ადგილი, დამოუკიდებლად იმისა, იქნება ის საკუთარი თუ საზოგადო სახელი, საგულისხმოა იმითაც, რომ იქ მოცემულია ამ სახელის მნიშვნელობა ადგილი კლდიანი და უვალი კაცთაგან (აბულაძე II, 1976, 39).

ეს სიტყვა შემონახული უნდა იყოს ოკრიბულში დადასტურებულ „ტერასის, კლდის ბუნებრივი საფეხურის“ შინაარსის **პარხალ** სიტყვაში.

სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია, რომ ტოპონიმში **პარხალი** გამოიყოფა ეგვეე ძირი. შდრ. **პარეხელი** პარხლის საეპისკოპოსო კათედრის წინამძღოლი (ვიკიპედია).

აღდგენილია ს.-ქართვ. \*ზარახ – „გამოქვაბული კლდეში“ (ჩუბუა 2008, 452).

საშ., ახ. ქართ. **II. პარეხი** ძვ. გრძელ-ბანჯგვლიანი ძაღლი (საბა). შდრ. farak (თურქ.) ძაღლის ჯიში.

დიალექტ. **III. პარეხი** ძლიერ მოხუცი, სიბერით დაჩაჩანაკებული (იტყვიან აგდებით). კაცი რო დაბერდება ძალიანა, აღარც მუშაობა შეუძლია, აღარც, *პარეხი* ბებერიაო, ვიტყვით (არად.). ერთი *პარეხი* დიდება მყამდა, ყურთ არაფერი ესმოდა (მერ., აგრეთვე ბროწლ., ტყვ., ქართლ. ლექსიკ.).

**პარეხი** სალანძღავი სიტყვაა, იტყვიან მოხუცზე (შდრ. პარეხი ძაღლი ბანჯულგრძელი (ქართლ. ნოზ.).

დიალექტ. **IV. პარეხი** მოძრავი, ცოცხალი, ღონიერი. „ოო, რა *პარეხი* ღორჯუები დუჭირავს!“ (გურ. შარამ.).

ზან პარეხი ფარეხი; ეხი, კლდის დიდი ნაპრალი, კიბის საფეხური, მსხვილი თოკი, ფარეხის დიდი ძაღლი; ვეება, დიდი მძლავრი (საზოგ.) (მეგრ. ქობ.).

### **პარკ-ი:**

საშ. ქართ. **I. პარკი** (სომხ.) მცირე ტომარა ღაზლისა ან ტილოსი პარკი ბამბისა; პარკი ლობიოსი – დ. ჩუბ.

ახ. ქართ. **პარკი** 1. ქსოვილის, ქაღალდის ნაჭერი, ჩანთის მსგავსად შეკერილი ან გაკეთებული; ხმარობენ რისამე ჩასაყრელად, – პატარა ტომარა. [მიწა] მებრძოლს აბრეშუმის პატარა *პარკით* გულზე ეკიდა (ს. კლდ.). 2. წვრილი ბოჭკოებისაგან შემდგარი ნახვევი, რომელსაც აბრეშუმის ჭია და მისთ. აკეთებენ თავის გარშემო ჭუპრის მდგომარეობაში გადასვლის წინ. პატრონმა გამოხარშული პარკებისაგან წვრილი ძაფი ამოახვია (ი. გოგებ.). 3. პარკოსანთა ოჯახის დამახასიათებელი ერთბუდიანი ნაყოფი. ცერცვის პარკი. – დედაკაცმა... დაურთო კეტი ლობიოს ხმელ *პარკებს* (დ. კლდ.). || ზოგჯერ შეცდომით სხვაგვარ ნაყოფსაც უწოდებენ. ბამბა... ბევრ *პარკს* ისხამს (ი. გოგებ.). 4. პატარა პარკის (მნიშვ. 1) მოყვანილობის რაიმე ორგანული ქსოვილი. კბილების ძირში [შხამიან გველს] პაწაწინა შხამით სავსე *პარკები* უწყვია (ი. გოგებ.).

დიალექტ. პარკა, პარკაი თხელი ნაქსოვის პარკი, ამოყვანილი ყველის შესაწურავად. წუელა რო დავიწყი, წინ პარკაი უნდა გეგუემზადა (მოხ. ქავთ.).

ახ. ქართ. **II. პარკი** [ინგ. პარკ] 1. დიდი დეკორაციული ბალი სასეირნო გზებით, სათამაშო მოედნებით და სხვ. 2. რკინისგზისა და ტრამვაის ვაგონების, ავტობუსების... დასაყენებელი ადგილი (მუშაობის შემდეგ). [მგზავრებს] *პარკში* მიმავალი უკანასკნელი ტრამვაი ჩელუსკინელების ხიდთან შემოხვდათ (რ. გვეტ.). 3. სატრანსპორტო საშუალებათა ერთობლიობა, საერთო რაოდენობა. ამიერკავკასიის რკინის-გზამ,... თავისი *პარკი* ახალი ელექტრომავლებით შეავსო («ლიტ. და ხელოვნ.»). || მრეწველობის რომელიმე დარგის მექანიზმთა ერთობლიობა. 4. სამს. სამხედროტექნიკური ქონების საწყობი (ჩვეულებრივ, მოძრავი). საარტილერიო პარკი.

### პარტახტი-ი:

საშ. ქართ. **I. პარტახტი** დანატოვარი და ფრიდონს დარჩა მისეული ქალაქი და სრულ *პარტახტი* (შჰნ. I, 93, 4). და სხვას *პარტახტებს* და ადგილებს სარჩლიდენ ერთმანერთსა (სამ. IV, 47, ქვ. 1). მღთისმშობლის ეკლესია აშენდა, ერთი *პარტახტიც* შესწირეს ხუთის ექვსის კოკისა (სამ. VIII, 128, 11). პარტახტი < სპ. პარტახტ „მიტოვებული“.

შდრ. საშ., ახ. ქართ., დიალექტ. (სპ.) **პარტახი**, დანტოვარი, ნაოხარი, ოხერ-ტიალი.

ერთი *პარტახი* ტაბატაძისეულ იმისი მიწა-ალაგით მიბოძეთ სისხლშიდ (სამ. IV, 203, 5). ესტატემ კათოლიკეთა ძველ *პარტახ* სასაფლაოზე გაიკეთა ბინა (რ. გვეტ.). *პარტახი მიწა* – ვარგისი და ნაყოფიერი მიწაა (ქვ. იმერ. მრეწ. IV, II, 219)

საშ. ქართ. **II. პარტახტი** მჭურვალის სენის მსხო – საბა. ლაქები, გამონაყარი სხეულზე (ჩვეულებრივ, ავადმყოფობისაგან, მაგ., ტიფის დროს). ეს ია *პარტახტიანსა* და ყუავილიანს კაცსა არ ესმის (იად. 205, 37).

### პატრონი-ი:

ძვ. ქართ. **I. პატრონი** «უფალი» მფლობელი: „მოვიდა *პატრონი* იგი დრაჰკნისაჲ, გინა უფალი“ (მ. ცხ. 166r). „მიჰყიდა ფადლონს, განძის *პატრონსა*“ (ქ. ცხ. 232, 3). „მუნ არს... მონაჲ *პატრონისა* თანა“ (A–92, 385).

საშ. ქართ. **პატრონი** „პატრონი“, „სიუზერენი“. ჩემი *პატრონი*, ჩემი მამა შენ მოჰკალი (ვისრ. 54, 10).

რა ლაშქართა ინადირეს და *პატრონი* მოითვალეს (ვეფხ. 173, 1). ამის ეტლისა *პატრონი* და მნათობი ზუჰალი არს (ეტლ. 30, 30, 9).

მარტო ვიყავ, არვინ მყვანდა მე ღვთის მეტი სხვა *პატრონი* (დ. გურამ. 109, 331, 1). მართალი *პატრონი* ვიშოოთო (რუსუდ. 199, 2). მათ დავანანოთ აქ მოსვლა, არ ჰყვანდეს *პატრონი* ტერია! (ტფილ. 602, 9). მტერი რას

უზამს იმდენსა, რომ ყმა *პატრონზე* მიიღებს?! (არჩ. 522, ქვ. 8). სად მეგობრობა, სად *პატრონის*და ყმოზა (ბეს. 146, 25).

ახ. ქართ. **პატრონი** [ლათ. *pastor* მფარველი] 1. ისტ. პრივილეგიური წოდების წარმომადგენელი პატრონყმოზის დროს (საპირისპ. ყმა). როგორც მეფე თავის დიდებულ ქვეშევრდომ «ყმების» *პატრონად* ითვლებოდა, ისე მეფის «ყმები» თავიანთი მხრივ საკუთარი ხელქვეითების «*პატრონნი*» იყვნენ, ხოლო მათი ხელქვეითნი... ყმებად იწოდებოდნენ. ამ ყმებსაც შეიძლება თავიანთი საკუთარი ყმები ჰყოლოდათ, რომელთათვის ისინი «*პატრონები*» იყვნენ (ივ. ჯავახ.). 2. ყმებისა და მამულის მქონე, – მემამულე, მეზატონე, ბატონი. [თედორემ] იფიქრა, გაბედა, გასწია თავის *პატრონთან*, შემკრთალმა, ათრთოლებულმა ყმამ ფეხი შედგა ბატონთან (რ. ერისთ.). || ქარხნის, ფაბრიკის, საწარმოს მფლობელი კაპიტალისტურ საზოგადოებაში. «ეს ქარხნები... შემოსავალს აძლევს თავის *პატრონებს*» (შ. დად.). || გადატ. მპყრობელი, განმგებელი, მბრძანებელი. «თქვენ მოგენიჭათ ჩვენი ქვეყნის *პატრონად* ყოფნა!» (ი. მაჩაბ. თარგმ.). 3. გადატ. რისამე მესაკუთრე, მეპატრონე, მფლობელი, მქონებელი. *პატრონი* ძალს ხან გაუჯავრდება, კარში გააგდებს... და ხან ისევ დაუძახებს, მოეფერება (აკაკი). || გადატ. რაიმე სულიერი, გონებრივი ან ფიზიკური თვისებების მქონე. ამისთანა თვისების *პატრონებს* რა საქმეები უნდა მოეკითხოს? (ილია). || გადატ. ოჯახის წევრი თავისი ახლო ნათესავების მიმართ.

ახ. ქართ. **II. პატრონი** [ფრან. ტრაფარეტი, თარგი] 1. გილზის საშუალებით ერთ მთლიანობად შეკრული ტყვია (ჭურვი), საფანტის მუხტი და აალების საშუალება (კაფსული). 2. ზოგიერთ დაზგაში დასამუშავებელი ნივთის დასამაგრებელი მოწყობილობა: მაგრდება დაზგის მბრუნავ ნაწილზე; 3. ლამპის პატრონი. – ნათურის ელექტროქსელში შესაერთებელი მოწყობილობა.

დიალექტ. **პატრონაეზი** თოფის ვაზნები. „ზროხათ გაის ავდგები-დ' გავამზადებ თოფსა-დ' პატრონაებს“ (თუშ. ხუბ.).

### პალურ-ი:

ძვ. ქართ. **I. პალური** კიდობანი: „მაშინ გულისწყრომითა აღივსო მეფე და თქუა მოსხმაჲ პალურთა დიდთაჲ და თქუა დაკრვად მათი ოთხკერძოვე, და დასხნა ძუძუნი მისნი ფიცართა ზედა *პალურთასა* და სამშჳალნი გრძელნი დამშჳალნა ძუძუთა ზედა“ [Ier =149 26r, 7-16]. შდრ. **პალური** კიდობანივით – საბა.

საშ. ქართ. **II. პალური** ცხოვ. ბერძნულად დიდს კიბორჩხალას ჰქვია, რომელსაც ქართულად კარკინო ეწოდების“ – საბა. **პალური** პანდური – დ. ჩუბ.

საშ., ახ. ქართ. **III. პანდური, პალური, პანჩური** უკანიდამ მუხლის კვრა ანტ. 4-16 – დ. ჩუბ.

თუ ამას ავად ვამბობდეთ, *პალური* ამომკარია (დ. გურამ.). ჩემთა ყმათა წინ მიმასწრეს, *პალური* ჰრეს დუმაშია (არჩ. 338, 740, 40). *პალური*თ კარში გამოაგდეს (ი. ბაგრატი. 454, ქვ. 7). უჩემოდ რომ კარს მიადგე, *პალური*თ გამოგისტუმრებენ“ (შ. დად.).

შდრ. **პალურისაგან** ნ-ს განვითარებით **პანღური**. ეს მოურავს ეწყინა და ერთი *პანღური* ამოაკვრევინა (სამ. VIII, 114, ქვ. 8).

**პაშტა:**

საშ. ქართ. **I. პაშტა** ერთი ქრთილის მარცვლის წონა – საბა.

და გოჯი ოთხი ქერი არის. ორი ქერი ფრჩხილი არს; ათი ქერი დანგი არს. დანგისა მესამედსა *პაშტა* ჰრქუიან (ფანასკ. 420, 11).

**პაშტა** მცირე: „*პაშტად* წააგო საშენსა შინა წმიდისა... გიორგისსა“ (A=85 352, 2-3).

ძვ. ქართ. **პაშტა. უპაშტაკრსი**: „იყო ადგილი იგი *უპაშტაკრს* მოგზაურთათჳს ფრიად“ (საკ. წიგ. II, 106, 8).

საშ. ქართ. **პაშტა** სხვადასხვა სინტაგმებში დასტურდება:

**პაშტა წყალი**: მუნამდის ქუიშათა ზედა *პაშტა წყალი* დაედინების (ვისრ. 200, 3).

**პაშტა საჭურჭლე**: ნუ წააგებ საჭურჭლესა უსაქმოდ ცუდისა საქმისათუის, ამით რომელ დიდსა ჭირსა ჰნახავ და *პაშტასა საჭურჭლესა* უსაქმოდ გაანქრევო (ვისრ. 56, 15).

**პაშტა ხანი**: დავაგდე მზღვარი ინდოთა, მევლო *პაშტაი ხანია* (ვეფხ. 421, 2).

*პაშტა ხანს* მერმე ასეთს სახლში გავედით, რომ დიდი და პატიოსანი სახლი იყო (რუსუდ. 281, 28). მას უკან არვის ჩაეცვა, იყო *პაშტაი ხანია* (შჰნ. I, 940, 2). და მერმე *პაშტას ხანსა* თვალეში თბილისის წყლის ორთქლზედა დაიჭიროს... და მერმე ეს უკანა კარ გამოქცეული ადამიანი *პაშტასა ხანსა*წელთამდისი ამა წამლებშია ჩასვან (იად. 442, 20.)

ქეგლში ძვ. კლასიფიკაციითა მითითებული **პაშტა** 1. ძვ. ერთი ქერის მარცვლის წონა (საბა). 2. პატარა, ცოტა. [ჭაბუკი] წავლო *პაშტა ადგილი*, მოსამსახურეთ უთხრა: თქვენ წადით, მე ნუ მელიო! (საბა).

დიალექტ. **პაშტა** „კარგა დიდი, ბევრი“. გვხვდება შემდეგ სინტაგმებში:

**პაშტა წყალი**: ემ სოფელში ბრინჟ, *წყალ პაშტა* არის (ინგ. დამბ.).

**პაშტა ქალი**: მანდედან წამომიყვანეს *პაშტა ქალი* მეო (ხალხური) (ჯავახ. ზედგ.).

**პაშტა მანძილი**: *პაშტა მანძილი* გაივარეს, წინ ყურდღელი შაჰხთო (ინგ. ასრათ.).

**პაშტაი მეფვა**: „*პაშტაი მეფვა* მოიდა წრეულ“ (იმ., ჩვენ. ფუტკ.).

გვხვდება ზნისართის მნიშვნელობითაც: **პაშტაი** ბევრჯერ „*პაშტაი* წასულა ბათომ“ (ი., ჩვენ. ფუტკ.).

შდრ. აგრეთვე „ბევრი ლაპარაკის“ მნიშვნელობის **პაშტა-პაშტა** (ჯავახ. ზედგ.) და **პასტა-პასტა** (ქართლ. ლექსიკ.).

იუსტ. აბულადმეს **პაშტა** დაკავშირებული აქვს სპარსულ „საკმაო, ბევრის“ აღმნიშვნელ ბეს-თან (იუსტ. აბულადმე 1916, 823). თვით ქართული სიტყვა **პაშტას** მნიშვნელობა – „ბევრი, საკმაოდ ბევრი“, საბოლოოდ გარკვეულია და დადგენილია ა. ჩიქობავას მიერ (ჩიქობავა 1966, 334-345).

ვეჭვობ, რომ **პაშტა** 1. „მცირე“, „ბევრი“, საკმაოდ დიდი“ და **პაშტა** „წონა“ ერთი წარმომავლობის სიტყვებია.

ძვ., საშ. ქართ. **II. პაშტა** მსახური. მისცნა ლიპარიტ **პაშტანი** (ქ. ცხ. IV, 147, 17).

შდრ. **პაშტნი** მსახურნი. მისცა ლიპარიტ **პაშტნი** (ანასეული და მარიამისეული ნუსხა). ილ. აბულადმის კვლევის თანახმად **პაშტი** ირანული წარმომავლობის სიტყვაა და იგი სომხურიდან ჩანს ქართულში დამკვიდრებული (აბულადმე 1976, 106-108).

### პეპელ-ი:

ძვ. ქართ. **I. პეპელი** «პეტალი», «ნაქურთენი»: „დასდვა ვარშამაგსა მას ზედა წინაშე პირისპირ **პეპელი** იგი ოქროსაჲ“, O – „დასდვა მიტრასა ზედა პირით კერძო მისსა პეტალი ოქროსაჲ“ (G, ლევიტ. 8, 9).

„შეჰქმენ იგინი **პეპელად** ჭედილაჲდ, გარემოსადებელად საკურთხეველისა“ ps., – „ყვენ იგინი მაქურთენად ჭედილებად, გარემოსადებელად საკურთხეველისა“ (G, რიცხ. 16, 38).

ახ. ქართ., დიალექტ. ცხენის რახტზე ჩამოკიდებული ლითონის ჯღარუნა სამკაული. ცხენზე გაწოლა, გადახრა, რახტის **პეპლების** ჟღრიალი (რ. ერისთ.).

**პეპელი** (1) თ. ღილი, ფოლაქი პეპელი – ა. შან. **პეპელი** გატეხილი ცელისთვის დასაკრავი რკინის ფირფიტა. ამაშინ სადა-ღ წამიხოლ, რო დაგჭირდების ჩემ ჳელი, ვითამ სად მეხვეწებოდა: „ცელსა-ღ დამიკარ **პეპელი**“ (ხევს. ჭინჭ.). პეპელღ ღილი. კარგაჲ აღვირებ ხქონდ, სუ ვერცხლის პეპლებიანღ (თუმ. ხუმ., ცოც.).

**პეპლები** „პეტლები“: ერთი მხრივ, ფუძეთა ფონეტიკურმა სიახლოვემ, და, მეორე მხრივ, მათ მიერ აღნიშნულ საგანთა გარეგნულმა მსგავსებამ განაპირობა, ალბათ, ეს ცრუ ეტიმოლოგიური გარდასახვა: „კარი ახლა რკინის პეპლებზე გვიკიდა“ (იმერ. მივლ. მას., სოფ. ჭალა; ჩხენკელი, 1988, 99).

ახ. ქართ., დიალექტ. **II. პეპელი** პეპელა. მაშ, რად მინდა **პეპელი**, უგნურად თავის მკვლელი? (აკაკი).

**პეპელი ბალახი** ანუ ბაღლინჯოს მსვრელა (ი. ბაგრატი.).

**პეპელი** ცხვრის ღვიძლის პარაზიტი; ამ პარაზიტისაგან გამოწვეული ავადმყოფობა. ცხვარს თუ **პეპელი** გაუჩნდა ფილტვებში, წამლად ხმარობენ ბალბას და მარილს (მ. ბალ. ნ. მაკალ. 59) – ალ. ჭინჭ.

*პეპელი* ცხვრისა და თხის ავანტყოფობაა, ღვიძზე თლა *პეპლებივით* აქ (პირველი სვირი) // თავის ტვინს აზიანებს. *პეპელი* როცა აქ ცხვარს ან თხას, თავის ტვინში შეეჭრება მატლები (ბორითი ზ.-იმერ. ძოწ.). აგრეთვე *პეპელი* (ფშ. ხორნ.). მსუბუქი რამ. „ჩუენ ცხუარსა პეპელი გუუჩინდა და დაკვალით“ (თ. ქ.). „მაგას არ ვზიდავ, *პეპელია*“ (ინ. „პეპელი გუუფრინდა“ ინ.). **პეპელათ** მსუბუქად, თავისუფლად. „*პეპელათ* ადექ, ხომ?! (იმ., ჩვენ. ფუტკ.).

1. პე-პელ ← \*პერ-პელ გაორმაგეულია ძირი პერ, შდრ. სვ. ლი-პერ „ფრენა“ (ერთელიშვილი 1980, 161).

2. ს.-ქართვ. \*პერპელ- „პეპელა“ (ჩუხუა 2017).

**პეტ-ი:**

ძვ., საშ. ქართ. **I. პეტი:** **პეტობაი** „მთავრობა“: „ერთი ფლობილებაჲ, ერთი ჳელმწიფებაჲ, ერთი *პეტობაჲ*“ (მატბ. 293, 40).

**ქალაქპეტი** (სომხ.) ქალაქის თავი. უფროსი: „აღტეხეს ერი იგი და *ქალაქპეტნი* იგი სიტყვათა მით“ (საქ. 17, 8) – კ. დან.

**პეტი:** ქალაქის *პეტსა* ერთი მსუქანი თოხარივი კარაული ყავს (ქილ. 667, 21). ლომიც ასრე დაემონა, ჩავაგდო *ქალაქპეტი* რა? (არჩ. 365, 854, 4).

საბა **პეტს** სომხურ სიტყვად მიიჩნევს. **პეტ** ხელმწიფე, მონარქი = ჩრდ. ფალ. \*პეტ ფორმიდან სხვა ირანულ ენებშიც დასტურდება (აჭარიანი IV, 74).

გადატ. სული წრფელი, სული *პეტობისაჲ* (იქვე 295, 7).

საშ. ქართ. **II. პეტი** ქირშანი – თეთრი სამხატვრო წამალი – დ. ჩუბ.

საშ. ქართ. **III. პეტი** (მ) ფრინველია – საბა, დ. ჩუბ.

**პეტაკ-ი:**

საშ. ქართ. **I. პეტაკი** ერთგვარი თევზის ბადე – საბა, დ. ჩუბ.

საშ. ქართ. **II. პეტაკი** სპეტაკი – დ. ჩუბ.

დიალექტ. **III. პეტაკი** რაიმე ნიშანი სახეზე, ნაიარევი. „ნაჳმლევი შუბლზე *პეტაკად* აჩნდა“ (მოხ. ქავთ.).

**პინა:**

ძვ. ქართ. **I. პინა, პინასი;** „**პინა** ბერძნულად და **პინასი** ქართულია, სადაფსა ჳგავს და გრძელია“ – საბა. „*პინასნი* და აკალიფადნი, ვითარ გრძნობადნი ხენი, შეჳმზადნა, რამეთუ ძიროან ყვნა იგინი შორის ზღჳსა, მსგავსად ნერგათაჲსა, და ვითარ შეშაჲ, კეცი გარეშემოსდვა მათ“ (ზუნ. კაც. 9, 11).

„ვინაჲ ზრდიან *პინანი* ზღჳსანი მატყლსა მას ოქროდსასა, რომელსა-იგი ვერვინ ღებილის მღებვრათაგანმან უძლო მიმსგავსებად აქამომდე“ (ექ. დღ. 88, 23).

„აბრეშუმსა გამოიღებს მატლი უნდოდ და *პინა* ზღვსად უცხო სახესა მკედსა გამოიღებს“ (გიორგი მთაწმ. 207, 9).

როგორც ირ. ქერქაძე შენიშნავს ამ მოლუსკის ნიჟარა სამკუთხედის ფორმისაა, მაღალი წიბოთი, ნიჟარის ზედაპირი დაფარულია ფირფიტებით, რომელთა განლაგება სახურავზე კრამიტების განლაგების მსგავსია. **პინა** ბერძნული სახელია ამ მოლუსკის –ή *πίνα* (ქერქაძე 1974, 196). **პინა** [ლათ. *pinna* < ძვ-ბერძ. Πίνος ჭუჭყიანი] მოლუსკების გვარი.

ძვ. სამ., ახ. ქართ. **II. პინა, პინაგი** შუშის ჭურჭელი. *პინა* ცოტად შიარხიონ (იად. 104, 38). ჯიმშედის ჯამს ვით ედრების ხისა *პინა* მოთვალული (ქილ. 869, 2).

საბასთან „დიდი ჯამის შინაარსით დასტურდება როგორც **პინაგი**, ისე **პინაგი** და **პინა**. ნ. და ნ. ჩუბინაშვილები კი უთითებენ მის წარმომავლობასაც. პინა, პინაგი (ბერძნ. „დიდი თეფში ხისა“.).

**პინაგი** თეფში: „გარეშე სასუმელისა და *პინაკისა* განსწმიდით“ (ლ. 11, 39). „ტასტები და *პინაკები* იგი და საგლეღნი ოქროსაგან რჩეულისა“ (O, III, მფ. 7, 50).

**პინა** 1. დიდი ჯამი. კოხტა ქალმა დამპატიჟა დო დამილო პინაზედა (ხალხ.); რამდენიმე *პინა* უნაბი დიდი შესამატი არ იქნებოდა ოჯახისთვის (ვ. ბარნ.). გვერდით ეგდო ძველი თოხი, ნაგუბარ წყლით სავსე *პინა* (გ. ლეონ.). 2. სასწორის თეფში. რა დასწორდა სასწორზედ პინა, უფალი პინას ზედ ადგამს ფეხსა (ილია).

დიალექტ. დიალექტებში სხვადასხვა წარმოებით გვხვდება **პინა**, **პინაკ** – ფუძიანი სიტყვები:

**პინა** 1. ჯამი (კარტოფილს, ხინკალს) საწურით (ქაფქირით) ან ციცხვით ამოიღებენ *პინაში* (ალგ. ქართლ. სალარ.). 2. ხის ჭურჭელი, საწყაო. ორი კოდი ერთი *პინა* არი, რომ გავრიგდით, ორი *პინა* სიმინდი მოგვიწია (თ. ქ., ჩვენ. ფუტკ.). 3. რძის შესაგროვებელი ტაშტი. ნახევარფუთიანი ხის საწყაო; პურის საზომი ერთეული (მთ. კაიშ.). 4. სპილენძის დიდი გობი („ტაშტი“), რომელზედაც ახლად მოწველილ რძეს ასხამენ ხოლმე წანაღვამდე. ნაღებს სარძევე ქვაბში აგროვებენ, მოხდილ რძეს კი შეაყველებენ (ფშ. ხორნ.). 5. ჭურჭელი, ხის კასრი, რომელიც საწყაოდაც გამოიყენება: ჩადის 18 ოყა. ზოგან *პინა* ათოყიანია. არის ნახევარპინაც, როგორც ჭურჭელი დ საწყაოს ერთეული ერთ კოდ... მიწაზე 5-6 *პინა* ხორბალი თუ მოვიდა (თ. სახ.). უწინ *პინობით* ვიცოდით გამორწყვა. მართის ხეობის სოფელ ოლდაურში მეხარეს 2. უღელ ხარში ერთ *პინა* სიმინდს უხდიდნენ (აჭარ. ნიჟ.).

**პინა** 1. საფლავის ქვაზე (თავის მხარეს) ამოჭრილი პატარა ღრმული. საფლავის ქვაზე ვიცით *პინები*, ვითომ წყალი ჩადგეს შიგაო, მოვა ფრინველი, დაიღუვს, მაღლი არისო: *პინა* ორი უნდა ჯვრის გვერდებში



(მეჯვრ.). 2. იგივეა, რაც **პინეული**. კვერეული. ერთი *პინა* ყველი არი (ერედ.). აგრეთვე (ქემ. ქართლ. ლექსიკ.). *პინა* ხის ჯამი, ჩვეულებრივი ჯამის ტოლა (მესხ.-ჯავახ. ლეონ.). *პინა* ძირითადად მარცვლეულის საწყობო იყო (აჭარ. სურმ. VII, 13).

ზან. **პინა** (სასწორისა); დიდი ჯამი (ლიტრამდე ტევადობისა) (მეგრ. ქობ.).

### **პირატ-ი:**

საშ. ქართ. **I. პირატი** ზედ. პირატი პირველით უმაღლე – საბა. იხმარების უალრესობითად: **უპირატესი**. **უპირატესი** მღვდელთ-მთავარი. **პირატება** პირველს ხარისხს ვაძლევ. **პირატობა** უპირველესობა, უფროსობა ვისზედმე – დ. ჩუბ.

ახ. ქართ. **II. პირატი** [ლათ. pirata, ბერძ. peirates] იგივეა, რაც მეკობრე. პირატობს მეკობრეობს. პირატობა მეკობრეობა – ქეგლ.

### **პლან-ი:**

საშ. ქართ. **I. პლანი** (ლათ.) გეგმი, მოხაზულობა შენობისა – დ. ჩუბ.

ახ. ქართ. დაშორებულობის მასშტაბი, ხარისხი. მაგ., წინა პლანი. უკანა პლანი. 2. წიგნ. რისამე განხილვის, აგების, რამესადმი მიდგომის ხერხი. მაგ., შედეგების შეფასება ფართო პლანით. საკითხის განხილვა თეორიულ პლანში. 3. კინემატ. გამოსახულების მასშტაბი კადრში. მაგ., საერთო პლანი, მსხვილი პლანი. 4 (კინემატ.) მიზანსცენების განლაგება კადრის სივრცეში – მ. ჭაბ.

დიალექტ. **პლანი** ნაწილი. სამ *პლანათ* გაყვეს ეს ჯარი (ჯავახ. მარტ.).

შდრ. **პლანიანი** სამოვარი. მივეც კუალად ციხეცა ვანსკაჲ ახალციხითურთ ვრისით... და *პლანიანებითა* და ყოვლითავე ზღვრითა (პეტრ. ტიკ. 2-3).

ახ. ქართ. **II. პლანი** ფსიქოაქტიური (ნარკოტიკული) საშუალება.

### **პრას-ი:**

საშ. ქართ. **I. პრასი** კურო, ბულა, დაუკოდავი ხარი – დ. ჩუბ.

საშ. ქართ. **II. პრასი / პრასა** (ბერძ.) პრასა გარეული. პრასიანი – დ. ჩუბ.

**პრასა** porrum: „გჭამდით... *პრასასა* და ხახუსა და ნიორსა“ (G, რიცხ. 11, 5). შდრ. **პრასინა** (ქართლ. ალ. მაყ., იმერ. გაჩ.).

**პრასის** წყლით დაგორგალე და ორის *პრასისი* წონა შეასვი თბილის წყლითა (ქანან. 69, 27).

**პრასი** (იმერ.) პრასა. ქალმა მოლზე დააწყო... ოხრახუში, *პრასი*, წიწმატი (ნ. ლორთქ.) [თხეზმა] *პრასი* და ნიახური სულ გადახრეს (გ. წერეთ.). ქართ. პრასი : ზან. პურასქ-ია // პროსქია (ჩუხუა 2000-2003).

### **პროტ-ი:**

საშ. ქართ. **I. პროტი** 1. „ცხოველთ ზურგი (საბა). შდრ. **პურტი** ნეკნების ქვემოთა გვერდი ფენტხი (ქიზ. მენტ.).

ს. ქართვ. \*პუსთ- „ნეკნები, კიდურები“ > ქართ. პურტი-ი > სვან. პჷშტჷდ || პჷშდჷ > პჷშტჷ (ჩუხუა 2000-2003).

ძვ. ქართ. **II. პროტი** მამასახლისი მონასტრისა – დ. ჩუბ. **პროტი** არქიმანდრიტი ათონისა: „არცა *პროტი*, არცა სხუანი მამასახლისნი... არარას იქმოდეს“ (ი. -ე. 41, 29).

დიალექტ. **III. პროტი** ხერხი. „ეი რაცხა ძველი *პროტი* არი, მარა ჩვენ ხანდებანდე ვიყენფთ“ (საჩინ. შარაშ.).

**პროტი პროტიალი** მოგონებული ანუ მოჭორილი ამბის თქმა (გურ. ჭყ.). **პროტი** მოგონილი ამბავი. - მაი არ იქნება მართალი, *მოპროტივიდა* ვინცხა (რაცხ. გურ.).

შდრ. **პრუტუნი** სულელური, დაუკვირვებელი ლაპარაკი. „პრუტუნიობს წადმა-უკულმა“ (გურ. ჟღ., საჩინ. შარაშ.).

ქ

**ქაზო:**

ახ. ქართ. **I. ქაზო** [სპარ. შაზ ბუი «ღამის სუნი»] [Cheiranthus cheiri] ბოტან. დეკორაციული მცენარე ჯვაროსანთა ოჯახისა; აქვს ლამაზი, ხავერდოვანი, ყვითელი ყვავილები; მოჰყავთ ქოთნებში, ზოგჯერ ბაღებში. შდრ. მართური ბალახი **შაზუ** (თურქ.) – საბა.

ახ. ქართ. **II. ქაზო** [ფრან. jabot] 1. ისტ. მამაკაცის პერანგის საყელოზე მოვლებული ბაფთა ან მარმაში; ხმარობდნენ XVIII საუკუნეში. შემოვიდა... ახალგაზრდა კაცი... ღიაფერის შარვალსა, მაღალ *ქაზოსა* და წაბლისფერ ფრაკში გამოწყობილი (ი. აგლ. თარგმ.). 2. მარმაშის ან მსუბუქი ქსოვილის გასაწყობი ქალის ზედატანზე ან კაბაზე.

**ქამ-ი:**

ძვ., ქართ. **I. ქამი** «დღე», საათი, სეზონი; დრო: „აღივსნეს *ქამნი* შობისი მისისანი“ DE – „აღივსნეს დღენი შობისანი“ C (ლ. 1, 57). „სიგრძმჳ *ქამთა* და წელნი ცხოვრებისანი (O, იგ. სოლ 3, 16). „საყვრმან... ჳმა-ყვის ქამსა ბრძოლისასა“ (მ. სწ. 17, 37).

საშ. ქართ. **ქამი:** წავიდა იგი *ქამი* და დღე (ვისრ. 282, 28). წვიმა მოჰხდების ექვსის კვირით დღისითა, ღამით, წუთით, *ქამითა* შეუწყვეტელად (დ. გურამ. 290, 519, 3). რად არს *ქამი*, ანუ საათი, ანუ რაოდენად განიყოფების ერთი უკვე *ქამი*? იოანე: *ქამი* ანუ საჟამო, გინა საათი, არს ხელოვნებით ქმნილი რადმე, რომელიც განმართვის ძალით მოძრაობს იგი შეწევნითა ზამბარაკისა და სხვათა ჩარხთათა (კალმას. 160, 1).

ახ. ქართ. **ქამი** ძვ. დრო, ხანი. „ეს დრო და *ქამი* ცვალებადია!“ აკაკი). „წადი, კობავ, აჩქარდით, თორემ ვინ იცის, რა *ქამი* მოვა!“ (ა. ყაზბ.). 2. ძვ. საათი [მეფემ] დღესა ერთსა გახსნა სამნის სალარონი და უხმო ყოველსა საბრძანებელსა, რათა ყოველმა... დიდებულმან, გინა გლახაკმან ათორმეტსა *ქამსა*, რაცა ეძლოს, წარიღონ (საბა).

დიალექტ. *ქამრ* არის დღეს დილიდან ხვალ დილამდე იტყვიან: „სამ *ქამრ*, ოთხი *ქამი* ვიყავიო. ე. ი. სამი-ოთხი დღე-რამე დავრჩიო (თუშ. მრეწ. IV, III, 1989, 186, სქ. 93).

როგორც ძველ ისე ახალ ქართულსა და მის დიალექტებში ფართოდაა გავრცელებული **ქამ-ფუძისაგან** ნაწარმოები როგორც სახელური, ისე ზმნური ფორმები სხვადასხვა სემანტიკით. დავასახელებთ ზოგ მათგანს:

**მეჟამე, მეამოხელი** მგალობელი: „*მეჟამეთაგანი* იყო წმიდისა ღმრთისმშობელისა ეკლესიისთა“ (ლიმ. 29, 32). **უჟამოდ-მჟამელი** ავმუცელა. „მარადის მომთრვალეთათვს და *უჟამოდ-მჟამელთა*“ (შიში ჳამს) (მრთ. C, ოქრ. -მარხ. და იონ.).

**უჟამო** დროით განუსაზღვრელი, მარად არსებული (ღმერთის ეპითეტი) (საეკლ. ლექსიკ.).

**ჟამნი** ეკლ. ზოგიერთ საეკლესიო ლოცვათა (მწუხრის, ცისკრის და სხვ.) კრებული. *ჟამნი* არ ვიცი მე სრული (ვაჟა).

**ჟამდება** ძვ. 1. ჟამი, დრო დგება. საღამო *ჟამდებოდა* (დ. კლდ.). 2. მწიფდება. ნაყოფი... თანდათან *ჟამდებოდა*, მოსაწყვეტად მოიწეოდა (ვ. ბარნ.). **დაუჟამები** უმწიფარი, მკვახე (ხევს. ჭინჭ.). **ჟამი და უჟამო**: ჟამსა და უჟამოს ყოველ დროს. „შენ ბედი' დავლათ დააჯმარზველთაცა' შინაც, *ჟამსაცა-დ' უჟამოსაც*, ღმერთი შენს ბატონობას გაუმარჯვებს“ (ალ. ოჩ. კალენდ. 175, 36) – ალ. ჭინჭ.

1. პ. ინგოროყვას აზრით ჟამი გვხვდება ქართულში, მეგრ.-ჭანურში, პარალელები აქვს სხვა კავკასიურ ენებშიც. ეს სიტყვა გვხვდება სომხურ-შიაც. იგი არ არის ინდოგერმანული ძირის სიტყვა და ამის მიხედვით იგი სომხურში ან პირდაპირ ნასესხებია ქართულიდან, ანდა ეკუთვნის ქართულ-კავკასიურ ენათა საერთო ძირითადს საუნჯეს, იაფეტურ ფენას. ტერმინი **ჟამი** ქართულში ნიშნავს ზოგადად დროს, ვიწრო მნიშვნელობით საათს. პირველადი მნიშვნელობა კი სხვა ყოფილა, კერძოდ, აღნიშნავს 30-დღიან წრის, ე. ო. მთვარის თვისა (ინგოროყვა 1929-1930).

2. არაბულ-სირიული... ზამან ქართულ – სომხურში დამკვიდრდა როგორც ჟამი იუსტინე აბულადის განმარტებით, «ჟამი – (სომხ.) ჯამ ჟამ – დრო, საათი» (აბულადე 1934, 606).

3. მზ. ანდრონიკაშვილის აზრით ამ სიტყვის წარმომავლობა უცნობია (ანდრონიკაშვილი 1966, I, 214, 260).

გამოთქმულია მოსაზრება **ჟამი** ხომ არ მომდინარეობს ბჟამ'საგან ნ-ს დაკარგვით: ბჟამი > ჟამი „მზიანი“ (მეგრ. IV, ქაჯ.).

ს.-ქართვ. \*ზემ- „დრო, ახლო ქართ. ზმ-, ხანდაზმა, ხანდაზმული ზან. (მეგრ.) ჟამი, ხანი (ჩუხუა 2017).

ეჭვი მიჩნდება, **ჟამი** წარმომავლობით ხომ არაა საერთო ქართველური წლის, დროის აღმნიშვნელ \*ზა- საგან მომდინარე, შდრ. ზაფხული, ზამთარი (ფენრიხი, სარჯველაძე 1990). და პირიქით ხომ არაა \*ზა > ზამან. ამასთან ერთად არ გამოვრიცხავთ ამ ენებიდან ქართველურ ენებში მის მეორეულ სესხებასაც.

ახ. ქართ., დიალექტ. **II. ჟამი** „კაცის მკვლეელი“ – საბა.

აღსანიშნავია, რომ კლასიკურ სპარსულში *zamān* – „სიკვდილი“-ს მნიშვნელობით დასტურდება (ქაზემი 2008, 137).

**ჟამი** შავი ჭირი. ორი მოწიფული შვილი *ჟამმა* მოუკლა [თანდარუხს] (ნ. ლორთქ.). მოვიდა ხმა: *ჟამი* შემოსულა ბარში, შავი ჭირი უკურნებელი (ვ. ბარნ.). ვინ იცის, იქნებ *ჟამი* სჭირთ და ჩვენს არ დაგვხოცოს (ე. ნინოშ.). 2. საუბ. უჟმური, პირქუში ადამიანი.

**ჟამიანი** ჟამით, შავი ჭირით დაავადებული. *ჟამიანის* დედა გამოვარდნილიყო ქუჩაში (ვ. გამსახ.).

ამ მნიშვნელობის **ჟამ**-ფუძით ნაწარმოები სიტყვებიც უხვად გვხვდება დიალექტებში.

**ჟამიანობა** ჟამის, შავის ჭირის ეპიდემია. ვის არ ახსოვს, ...რა საშინელი კვალი დატოვა *ჟამიანობამ* ამ საუკუნის დასაწყისში (ნ. ნიკოლ.). **მოჟმე / მოჟამე** დროის შემოჩვევი; ჭირის მომცემი, სენის შემყრელი, მტერი. „მე ხო ჩემი თავი *მოჟმე* არ ვიყავ, რო ძალათ მექნა, კაცო?“ (ქიზ. მენტ.).

**ჟამი** შავი ჭირი; გადატ. ძალზე უსიამოვნო, თავის მომაბეზრებელი ქალი. ანდაზა: „ფანციფუნცი გაცვდება, *ჟამი* სახლში დარჩებაო“- იტყვიან ულამაზო და ავ პატარძალზე (ქიზ., მენტ.).

**ჟამი** 1. ნაღველი, დარდი, ტკივილი. 2. მოურჩენელი ჭირი, სიკვდილი. „*ჟამი* აქ ბუკზე, ვერ დეელაპარაკები“ (ად.). 3. წყევლის ფორმულა. „*ჟამი* შენ თავზე, შენ არ გასახარებლო“ (ად.). „რას ლაპარაკოვს ამდენსა, *ჟამი* შეჭმული ეგა!“ (ინ., ჩვენ. ფუტკ.).

**ჟამი** შეუბრალებელი ვინმე, საშიში რამ. *რაც ჟამსავით* დეცრიავ, იციან ხალხს რო ვინ დეცრევა-დ აწიოკებს“ – რა ჟამსავით დაერიაო, იტყვიან ხალხს რო ვინმე დააწიოკებს (თუშ. ცოც.).

**ჟამნი** ცრურწმენით შავი ჭირის გამავრცელებელი მავნე ანგელოზები. *ჟამნი* ხევსურების რწმენით ღვთიდან მოვლინებული რაღაცა ფარულად ხალხის მხოცველები იყვნენ... მშვილდ-ისრები ჰქონდათ, ვისაც ესროდნენ, მას კლავდნენ (ეთნ. კალენდ. 37, 438) – ალ. ჭინჭ. აგრეთვე (თუშ. ცოც.). **ჟამის კვირა** შავი ჭირი. ძვ. ცრურწმ. უქმე ყველიერის წინა კვირას ღვთაებრივი მოვლენის შავი ჭირის წინააღმდეგ სალოცავად (მოხ. ქავთ.).

როგორც მეგრულში ისე სვანურში ხშირად დასტურდება ამ მნიშვნელობის **ჟამ** – ფუძიანი სიტყვები: ზან. ჟამი იგივეა, რაც უჩა ჭირი – შავი ჭირი (მეგრ. IV, ქაჯ.). ჟამ ჭირი (სვან. თოფ., ქალდ.).

#### ჟირ-ი:

საშ. ქართ. **I. ჟირი, ზეირი ან ჯირი**, ორპირად მოქნილი ტყავის და მისთანათა – ნ. და დ. ჩუბ. **ჯირიმი** ცხენის მოსართავი გულის თასმა – ნ. და დ. ჩუბ.

საშ. ქართ. **II. ჟირი** საკრავთ ძალი მსხირპანესა და ბოხს შუა – დ. ჩუბ.

ცხადია, რომ **ჟირი** და ზილი სხვა და სხვა მნიშვნელობისა და წარმოშობის სიტყვები უნდა იყოს. ზილი ხომ მართლაც ირანულია, ჟირის სადაურობა კი გამოურკვეველია, მაგრამ, თუ იმ გარემოებას გავიხსენებთ, რომ ჟირი, როგორც დავრწმუნდით, მეორე, შუალედი, ძალი იყო, თანაც თუ გავითვალისწინებთ, რომ ძალების, ლარებისა და სიმების სახელები ან დაჭიმულობის ოდენობისა და ბგერითი თვისების, ანდა რიგობითი ადგილმდებარეობის მაუწყებელი ყოფილა, მაშინ ჟირიც ერთ-ერთი ამ სისტემის ტერმინთაგანი უნდა იყოს. რაკი პირველი სისტემის არავითარი ნიშანწყალი ამ სიტყვას არ უჩანს, ამიტომ ბუნებრივია, რომ აქ მეორე სისტემის ანარეკლი ვეძიოთ. მართლაც ჟირი მეგრულად ორსა ნიშნავს... ამიტომაც საფიქრებელია, რომ შუალედი ძალის სახელი ჟირი თავდაპირველად სწორედ მისი რიგობითი, ადგილმდებარეობის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო (ჯავახიშვილი 1990, 293).

ახ., საშ. ქართ. **ჟირი** ესე არს შაქარი (შაქრისა A), ანუ თაფლ-წყალი, (+ ანუ ვაჟინა Z – საბა. ჟირი, ჟარი. თხელი შაქარწყალი ან თაფლწყალი, ვაჟინი – დ. ჩუბ.

საშ. ქართ. **IV. ჟირი** უგულო ფეტვი და მისთანანი – ნ. ჩუბ. შდრ. ბჟირი უგულო ფეტვი და მისთანანი – საბა.

#### **ჟოლ-ი:**

ახ. ქართ. **I. ჟოლი** 1. ჟოლო. წითლად დაბრაწული მარწყვი, ჟოლი და შავად დამწიფებული მაცვალი შემოგვაჟყეტს თვალებსა (ი. გოგებ.). 2. (თუშ.) იგივეა, რაც მოცვი. 3. აჭარ. იგივეა, რაც ბჟოლა.

**ბარის ჟოლი** მოცვი (*Vaccinium myrtillus*) არჩვენ ჟოლს ბარისას და მთისას. *ბარის ჟოლს* მარცვლები წვრილი აქვს და მთის ჟოლზე უფრო მაღალზე იზრდება., ვიდრე მთის ჟოლი. „ნინ, მაქად მოდი, ჟოლ არ გინდაა?“ (თუშ. ხუბ.).

შდრ. **ჟოლა** «თვთმავალი ლელოვანი»: „ვითარცა ჟოლა, რომელი მინდორთა ზედა სიმრავლითა არს“ pb – „(მისცა)... ვითარცა თვთმავალი ლელოვანი ველსა სიმრავლითა“ (O, III, მგ. 10, 27).

ახ. ქართ. **II. ჟოლი:** ფუტკრის ბარტყი რამდენიმე წუთის შემდეგ, როგორც ფუტკრის ჟოლი თავის დედას მისდევს, ისე ეს ხალხი აღმასკომის თავჯდომარეს მისდევდა და ზოგიც წინ უსწრებდა (ს. შანშ.).

*ჟოლი* ნაყარი, ფუტკრის ბარტყი ახალ გეჯაში ან სკაში რომ გადადის (ქიზ. მენთ.).

ერთხელ გეჯამ სამი ჟოლი გამოუშვა (ქიზ. მრეწ., IV, II, 11).

ქართულ (ქიზიყურ ჟოლ- ძირს კანონზომიერად შეესატყვისება კოლხური (მეგრული) ჟურ- (< \*ჟორ-). გასარკვევია ამ ფორმებთან სვანური (ბალსქვემოური) შაჟლუ, შალუ „მამალი ფუტკარი“ ფორმების მიმართება (კელაურაძე 2013, 15).

დიალექტ. **III. ჟოლი** თუთა. „ბეთმეზს ჟოლიდანაც მუადულებთ ჩვენ“ (იმერ. ბჟოლა, გურ. ბჟოლი). **ჟოლის ჟვერი** თუთის ფოთოლი. „ამტენი ყაჭი, რომ აშენე, ქალო, რაფერ უნდა უთავო ჟოლის ჟვერი!“ (აჭარ. ნიჟ.). **შავი ჟოლი** (|| შავკაკალა ჟოლი) თუთის ჯიში (აჭარ. ნიჟ.). ფერის მიხედვით განასხვავებენ თეთრ, შავ და ბეჟანა (ვეჟანი) ჟოლს (აჭარ. სურმ. II, 49).

საბას განმარტებით, „თუთა სხვათა ენაა, ქართულად ჟოლი ჰქვიაან“. ამრიგად, სიტყვის ძველი ფორმაა *ჟოლი*, რომელსაც თავში ბ დართვია (ბჟოლი დღესაც ამ ფორმით იხმარება გურულში), შემდეგ ბოლოში ა სუფიქსიც გაჩენილა და ასე მივიღეთ ბჟოლა (ჭუმბურიძე 1978, 53). მედტან ჟოლის ჟვერს, დააწვიტებ, დუუხრისაც (აჭარ. მრეწ. IV, II, 69). შდრ. ისრად ჟოლა მეპყრა (ბეს. 72, 16).

**რ**

**რაბ-ი:**

ძვ. ქართ. **I. რაბი, ჰრაბი** «მოდლუარი». „რაბი, რომელ გამოითარგმანების მოძლუარ“ (ი. I, 38). „ჰრაბი, ოდეს მოუედ აქა?“ (ი. I, 6, 25).

„რაბუნი, ჰრაბბუნი, ჰრაბბონი «მოდლუარი». ჰრაბუნი, რომელ ითარგმანების მოძლუარი“ (20, 16). „აროდეს მისცემდა რაბუნსა“ (მ. ცხ. 262r).

**რაბი, ჰრაბი, ჰრაბბუნი, რაბბუნი, ჰრაბბონი** (ებრ. სირ. ბერძნ. (სომხ.) რაბბი) დიდის, ბატონის და შემდეგ მოძღვარ-მასწავლებლის მნიშვნელობის ეს ებრაული სიტყვა ბერძნული გზით არის ქართულ თარგმანში გადმოსული. **რაბი, ჰრაბი** ფორმების **ი** ქართული სახელობითის ნიშანი კი არ არის, არამედ ებრაული (სირიული) კუთვნილებითი ნაცვალსახელი «ჩემი», ე. ი. რაბი= „მოდვარი ჩემი“... ჰაეიან ჰრაბი“ (ი. 9, 5C, ი. 6, 25C), ჰრაბბი (ი. 9, 2), ჰრაბბონ (მრ. 10, 51C) და ჰრაბბუნ (ი. 20, 16C) ფორმები, ისინი ორმაგი ბანითა და ჰაეთი ბერძნულის ფორმის ტრანსკრიფციას წარმოადგენენ, ხოლო რაბი ადაპტირებულია ქართული ბგერითი სისტემისებრ. ეს სიტყვა სალიტერატურო ქართულმა შეინარჩუნა რაბი, რაბინი-ს სახით, როგორც ებრაული ყოფის, საკულტო მსახურის მნიშვნელობის სიტყვა (დანელია 1998, 141).

ახ. ქართ. **რაბი** [ძვ. -ებრ. რაბბი-დან] ძვ. მოძღვარი (საბა), – იგივეა, რაც რაბინი. «*რაბი!*» გიჟივით წამოიძახა ქალმა (განდეგ.).

ახ. ქართ. **II. რაბი** ტექ. მდინარეზე ან არხზე ნაგებობა, რომლის საშუალებითაც გემები გადაჰყავთ ერთი უბნიდან მეორეში, სადაც წყლის დონე განსხვავებულია; შედგება კამერისა და ალაყაფის კარისაგან. 2. მოწყობილობა, რომლის საშუალებითაც ჩაკეტავენ ან მიუგდებენ წყალს (არხში, წისქვილში...).

ს.-ქართვ. \*რაბ-ო „ორმო“ > ქართ. რაბ-ო : ზან. რობ-უ : სვან. რუებ || რობ < \*რებ— (ჩუხუა 2000-2003).

**რად-ი:**

საშ. ქართ. დიალექტ. **I. რადი** (არაბ. რად') ხელის კვრა, გაგდება, მრუდობა. ცხენსა იჯდა, შუბი ჰქონდა, არ უქნია ვრმლითა რადი (შჰნ. I, 2817, 1).

**რად** (აზ. რადდ) რად იქენ! „მომშორდი“ (ინგ. ღამბ.).

საშ. ქართ. **II. რადი** (არაბ.) რადა მდგომარეობა, ხარისხი, გარეშემოადგილი. დღეის იქით ლხინთა ნაცულად მოვიკაზმო ჭირთა რადი (შჰნ. I, 1968, 1).

**რაკა:**

საშ. ქართ. **I. რაკა** „ასურთა ენითა, ვაი შენ, გინა სანერწყველი – საბა.

**რაკა** (ებრ.) რეგვენი, სულელი, შმაგი, ცოფი თავს დაცემა ზარისა – დ. ჩუბ.

„რომელმან ჰრქუას ძმასა თვსსა! რაკა, რომელ არს სამაგელ, თანამდებ არს იგი კრებულისაგან განსვლად“ (მ. 5, 22).

**რაკა** ებრაულ-არამეული სიტყვაა, რომელიც „სულელს ნიშნავს“ (დანელია 1998, 455).

საშ. ქართ. **II. რაკა** ბალ. მიმწარე, – თეთრი რაკა – საბა

**რანგ-ი:**

ახ. ქართ., დიალექტ. **I. რანგი** თაფლისაგან დამზადებული სასმელი, თაფლის ღვინო. [კუზმამ] უშველებელი ხის კათხით მოიყუდა თაფლის რანგი და ბოლომდე დაცალა (შ. დად.).

**რანგი** სახარჯო ღვინო იყო (რაჭ. კობახ.). თაფლის ღვინო (ვ. ბერ.). რაჭაში, იშვიათად მაინც სცოდნიათ „რანგი“ თაფლის ღვინო (რაჭ. ფრ. 227). **რანგი** (რაჭ.) მეგრ. რანგი, სვან. რანგ–თაფლისაგან დამზადებული სასმელი, „თაფლუჭი“. მომდინარეობს ოსური სიტყვიდან რონგ რომლის ძირიც ვ. აბაევის ეტიმოლოგიური ძიების მიხედვით მომდინარეობს ძვ. ირ. ფორმიდან (ანდრონიკაშვილი 1966, 106.).

ახ. ქართ. **II. რანგი** [გერმ.rang, ფრან. rang] ოფიც. ხარისხი, თანრიგი, რიგი, კატეგორია. ელჩის რანგი. – პირველი რანგის კაპიტანი. – ისინი... წარდგენილი არიან მეორე რანგის ტექნიკოსის წოდების მისაღებად («კომ.»).

საშ. ქართ. **III. რანგი** (თურქ.) ფერი, ნირი; საღებავი – საბა.

დილექტ. შდრ. **რენგი** (სპ. რენკ) ფერი, შეფერილობა. გათბა და რენგი მუჟდა პაწაი (თ. ქ., ინ. ჩვენ. ფუტკ.).

ახალი სპარსული სიტყვა რანგი ინდოირანული წარმოშობისაა. მისი ფალაური ფორმაა „რანგ“, ხოლო სანსკრიტული – „რანგა“ – ფერი ყურადღება უნდა მიექცეს ერთ გარემოებას: „ქალაქური ლექსიკონისეული“ და სპარსული რანგის პირველი განმარტება „ფერი“ ემთხვევა ერთმანეთს, რაც ქართულში ამ სიტყვის სპარსულის გზით შემოსვლაზე მეტყველებს. ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ რანგ-ს ქართულში შეუძენია ახალი სემანტიკური დატვირთვა – თაფლიანი წყალი (ბართაია 2010, 80).

**რთულ-ი:**

ძვ., ახ. ქართ. **I. რთული** შერეული: „ვიდრემდის არცაღა ჯორცსა თანა რთულსა მხალსა ჭამდენ იგინი“ (დ. სჯ. 230, 7). **რთული** რთვა „შერევნა, შერთება“ ზმნის მიმდებარა.



ახ. ქართ. რთული 1. ნაწილებისაგან შემდგარი (საპირისპ. მარტივი). რთული ნივთიერება. – უძველეს ხანაში ბრინჯაოს სარტყლები ვიწრო და სადაა, შემდეგში თანდათან ფართოვდება და შემკულობაც... უმდიდრდება და რთული უხდება (ივ. ჯავახ.). 2. რაც მრავალი სხვადასხვაგვარი ელემენტის, მიმართების ან კავშირის სისტემას ქმნის. 3. ძნელად გამოსაცნობი, არაადვილი, დახლართული, ძნელი. რთული საკითხი. – რთული პირობები. – ადამიანთა საზოგადო ცხოვრება ისეთი რთულია, რომ ბევრში და ბევრგან ეგ სიმართლე ძნელად აღმოსაჩენია (ილია).

დიალექტ. **რთული** დაბნელებული, არეული. ფიქრს დაეწმიდა თვალები, წედან ბუნდი და რთულია (ვაჟა) – ალ. ჭინჭ.

დიალექტ. **II. რთული** იხ. I. თული. „ბევერი მაქ ქონება?! მე შენ გეტყვი, რთულები არ დემეცეს! (საჩინ. შარაშ.). შდრ. **თული** (მვ. და მთ.) «მეკობარი, ავაზაკი» – დ. ჩუბ. თული > რთული.

**რიალ-ი:**

მვ., საშ. ქართ. **I. რიალი** ბოროტი მთქმელობა (საბა). გარილება მოტყუება, «შეურაცხ-ყოფა»: „რამსათვს გამარიალე მე?“ ო, – „რამსათვს ესრეთ შეურაცხ მყავ მე? (pb., I, მფ. 19, 17).

**რიალი** ცხენთა ფეხის ხმა; მარცხი. ჩვენ დავეკაზმით ერთპირად, მიუხდეთ, უყოთ რიალი (შპნ. III. 78, 1). თავსა მით უყვეს რიალი (ვეფხ. 1414, 3).

აშოთ კურატმა ძლიერმა თურქთ უყო დიდი რიალი (ფემ. 28, 1).

ახ. ქართ. **რიალი** 1. არევ-დარევა, აურ-ზაური, შეხლა-შემოხლა. საით მოდიხართ, ფშავლებო, ცხენ-ხეთქით, რიალითაო? (ვაჟა). შეიქნა ერთი აურ-ზაური, შეხლა-შემოხლა, სტვენა, რიალი (ა. მირცხ.). [თედო] უყურებდა ღრუბლების რიალს (რ. ქორქ.).

შდრ. **რია-რია** საუბ. არევ-დარევა, აურ-ზაური, ალიაქოთი. ამაღამ დიდი რია-რია იქნება!“ (კ. გამს. . თარგმ.).

**რიალი** ფშ. (რაზ. -ჭყ.) „ზიანი, ნავნები“. რიალი დადგაო მთ. ატყდა ჩხუბი, ქოთი; ცხორი დარიალდაო მოხ., ცხორმა დაირიალაო მთ., მოქ.; რიალი ფშ. (ვაჟა, 120, 2); გუდ. თქრიალი; ერთბაშად წამოსვლა (სისხლისა). რიალი თ. დანაშაული, ნარიალევი თ. დამნაშავე – ა. შან.

**რიალ** გაჟლეტა, აოხრება. „ფარსმაშიგ ლეკვებ მოიდნეს, აფხაზი-დ' შაყი ხქვიანი, / დაჯოცონ, ნურას გუშობენ, / წინ მაგათ უქნავ რიალი“... (თუმ. ხუბ., ცოც.).

**რიალი** 1. აურზაური, ხმაური, ზრიალი. 3. ცხვრის ფარის დაძვრა, გარეკვა; ცხვრის ფარის ჩამოფრთხობა ფერდობიდან. „ცხვარს უნდა ურიალუბდღ, მიუძღვებოდღე სტვენითა“ (ფშ. ხორნ.).

**მორიალდება** მიმოიფანტება, მოიპნევა. გადმოაბრუნა პეშვი და ხეპექო *მორიალდა* (ტაბაკინი, ზ.-იმერ. ძოწ.).

სვანურში დღესაც ცოცხალია ეს სიტყვა, რიწლ // რიწლდ ადგენე „გა-ლანძღვა. ძნელია იმის თქმა, აქ საქმე სესხებასთან (ამ შემთხვევაში ქართულიდან სვანურში გვაქვს, თუ ისინი ერთმანეთის კანონზომიერი შესატყვისებია (ცინდელიანი 1973, 91).

ბ. ცხადაძის აზრით რიალთან ახლოს უნდა იყოს რია-რია რედუპლიცირებული ძირი. თუ ეს ასეა, მაშინ რიალში გამოიყოფა -ალ ელემენტი შდრ. აგრეთვე არ-ევ-ა, არევს, (< არივა). რიალი, რია-რია დიალექტური მორიალდება, მორიალებული (იმერულში არევ-დარეულს, მონაგავებულს ნიშნავს). ხმაბაძვითი არაა, თუმცა ხმაბაძვითებს კი წააგავს (ცხადაძე 1984).

დიალექტ. **II. რიალი** (ჩიქ.) სპარსული ფულის სახელია (უდრის აბაზს) (ფერეიდ. ჩხუბ.). შდრ. რეალი (ესპ.) ძველებული ესპანური ვერცხლის ფული – მ. ჭაბ.

### რიდე:

საშ. ქართ. **I. რიდე**: პირ-ოქრო *რიდე* ეხვია (ვეფხ. 72, 3). მას ზედა ორი გვირგვინი იდგა, ...ერთი რიდე და ყაბაჩა (რუსულ. 95, 13). შავი ეღუა თავსა რიდე (ფეშ. 564, 2).

ხუთთავე ტანისამოსი და *რიდე* გამორჩეული (შჰნ. I, 1335, 1).

მ. ჩუხუას მიერ აღდგენილია ს.-ქართ. \*დირე „დირე“ (ჩუხუა 2017).

ახ. ქართ. **რიდე** 1. თავსაბურავი, პირსაბურავი ქალისა, – პირბადე. . ბალღებს ვაფარებ პირებზე შავის მანდილის *რიდესა* (ვაჟა). რიდე მოიხსნა შორენამ (კ. გამს.). // ფიგურ. შაშვმა თქვა ... მიყვარს ... გალობა გარიჟრაჟი-სას, ცა რომ მოიხსნის *რიდესა* (შ. მღვიმ.). 2. მაჰმადიან მამაკაცთა თავსა-ბურავი, – დოლბანდი, ჩალმა. [სპარსმა] *რიდე* მოიხადა, გვერდს დაიდვა და ფერხი მუხლთა შემოიდვა (საბა). [ოსმალომ] აიწია *რიდე* ზეით და მოიწმინდა შუბლიდან ოფლი (დ. ჭონქ.).

დიალექტ. შდრ. **რიდა** იგივეა, რაც რიდე, ქალის თავსაბურავი. სახ-ში თინათინის რიდა დარჩება. აჩვენამს ამ *რიდას* ტარიელს (ჯავახ. მარტ.).

ახ. ქართ. **II. რიდე** დირე. მეორე ოთახიდან გამოსული ნატო კარის *რიდესთან* შედგა (მიხ. მრევლ.). კარის *რიდეზე* ჩამოჯდა (გ. ქიქ. თარგმ.).

დიალექტ. **რიდე** ბოძებიდან ბოძებამდე მოაჯირს ვეძახით ან *რიდეს* (ზ.-ქართ. მრეწ. I, 219).

1. რიდე < დირე. დირეგი (თ. დირეკ) დირე, ბოძი.

2. ძველქართულისეული **დვრე, დირე**-სთვის მორი, ძელი აღდგენი-ლია ს.-ქართვ. \*დირ-ე (ჩუხუა 2017).

**როდ-ი:**

საშ. ქართ. **I. როდი** ხე ვარდი – საბა.

დიალექტ. **II. როდი** არნაბი, ტარიანი ძელი, ფიცარი ჩამოთხრილი მიწის გადასაყრელად, კალოზე ბზის ან მარცვლის მისახვეტებლად გამო-საყენებელი. კალოზე მიაროდონა ბზე *როდითა* (ინ.). ვიცით *როდი*, ფიცა-რია, აქ ტარი, იმით მივახვეტებთ (ინ. ჩვენ. ფუტკ.).

დიალექტ. **III. როდი** უმოქმედო, უნიციატივო, მოუქნელი, მძიმე ხასიათისა. ქალმა იჩივლა, როდი კაცი მყავდაო (ბ., ჩვენ. ფუტკ.).

**როდი** როდის? როდი მიხუელ შენ? *როდი* დავთესავთ ყანასა? – გამოსულში, სესხების მემრე (იმ., ჩვენ. ფუტკ.).

**როქ-ი:**

ძვ. ქართ. **I. როქი** გასაცემელი ZABCD. მისაცემელი: „მონაზონი გა-მროქველი, გამცემელი“ E. მროქავი, როლაი. როლაი იგივე საბოძვარი. ესეც საბოძვარი(ა) C. **როლა და როქი** ერთი მგონია: აიასოფიას გებაში: „ყოელთა დღეთა იყო კლიტორი და მიეცემოდა მთავართა როლაი და მადლობდეს ღმერთსა“ E საბა. **როქა** დარეჯან: „როქასა დიდსა ვერა სჭამენ!“ D – (საბა).

**როქი, როლაი** (ბერძ.) როჭიკი, საბოძვარი ან გარდაკვეთილი ჯამაგი-რი (დ. ჩუბ.).

ძვ., საშ. ქართ. **როქი** (ρόγα, πυρα) სარგო, ჯამაგირი (ფულად); „რაათა იყვნენ ძმანი სამ დასად განყოფილი და *როქსა* აიღებდენ“ (პეტ. ტიპ. 9, 2).

– მე ეგოდენი ქონება არა მაქუს, რასცა თქუენ ჰგონებთო: არცალა თუ/იერუსალიმისა გზისა *როქია* (ქილ. 750, 28). მეფეთა ჰყვა როქითა (ქ. ცხ. IV, 18, 12).

– მერაბი ერთადერთ ხსნას *როქის* გაკეთებაში ხედავდა (რ. ჯაფ).

აგრეთვე: **როქის სპა** ძვ. დაქირავებული ჯარი. *როქის სპას* კი იმათ ეძახიან. ვისაც მეომრებისათვის განსაზღვრული ჯილდო ეძლევა, დაქი-რავებულია (შ. დად.). „... ხალხო, ლამაზი დედოფალი მოგიყვანეთ და სა-ნაქებო *როქის სპაი* (ვ. გამს.).

ა. შანიძის საფუძვლიანი გამორკვევით, **როქი** ρόγα მიღებულია ლა-თინ. **ეროგატიო**-საგან (სოფოკლე); ეროგო „გავსცემ“, „ვხარჯავ“. აქედანვეა ძვ. რუს. *пυра*. ამასთან ჰ. აჭარიანის შრომაზე დაყრდნობით შენიშნავს, რომ ქართ. „**როქი**“ ფორმით უფრო ახლოს დგას სომხურში ხმარებულ ფორმებთან *hunq* და *hnp* ფორმებთან (აჭარიანი IV, 414 – 416).

ახ. ქართ., დიალექტ. **II. როქი** // **როქვი** ლექი, ნალექი.

**როქი** ლექი, ნალექი. „ღვინის მალე გადაღება პატრონზე ჰკიდია. თვეზე გადაიღებს. სანამ როქს ანუ ლექს გამოიღევს, არ მოსჭარბდება გადაღება“ (კახ., «შინამრეწ.») – ქეგლ. ლექე, *როქი* ღვინის ნადირი, ღვინის დანალექი ქვევრში (ქიზ. მენტ.). ერთი თვის შემდეგ ქვეშ როქს ან ლექს, დურდოს ჩაინაძირებს (ქიზ., მრეწ. IV, III, 78).

**როქვი** დანალექი (თუმ. უთურგ.). **როქვი** ერბოსი, ღვინისა და სხვ. ნაძირალა, დანალექი“ (ფშ. შან., ხორნ.). კარაქის გადნობის შემდეგ ქვაბის ძირში რჩება ნაძირალა ერბოსი, ბეწვისა და სხვა, რომელსაც „როქვი“ ჰქვიან (თუმ. ბოჭ. 211). როქვ ერბოს ქაფი და ნაძირი გადადნობისას. „როქვზე ყვაც მუცკიდიდითა-დ იეს იყვ ჩეფოყვაცჲ“ (თუმ. ცოც.).

ვფიქრობთ, რომ **როქვი** წარმომავლობით იგივე უნდა იყოს, რაც მეგრულში დადასტურებული სიტყვა **რაქი** „ნარჩენი, ნაშთი, ლექი, გამაგრებული ნაწილი რისიმე“ ზან. (მეგრ. ქობ.).

ახ. ქართ. **III. როქი** ჭადრაკის თამაშის დროს გამოყენებული ტერმინია. მეფისა და ეტლის ერთდროული სვლა, როცა ეტლი დაისმის მეფის გვერდით, ხოლო მეფე გადადის ეტლის მეორე მხარეს – ქეგლ. სიტყვა აღმოსავლური ენებიდან უნდა მომდინარეობდეს. შდრ. ამავე მნიშვნელობის თურქული rok.

### **როჭიკი-ი:**

ძვ., საშ. ქართ. **I. როჭიკი** «საზრდელი», ულუფა, იშვიათად „გასამრჯელოა“: „მიცემად როჭიკისა მათა ჟამსა“ C, – „მიცემად საზრდელი მათი ჟამსა თვსსა“ (DE, მთ. 24, 45). „ლევიტელთა მათ დაუწერა როჭიკი ვიდრე მი-მუნ-დღედმდე, ვიდრემდის აღასრულონ ტაძარი იგი“ (O, I, ეზრა, 4, 55). „განუწესა მათ მეფემან როჭიკი დღისაჲ დღითი-დღედ ტაბლისაგან თვსისა“ (O, დან. 1, 5). „წამოიღებნ იგი (ე. ი. მკედარი, რომელმან დაიწერის თავი თვსი დივანსა შინა მეფისასა) განწესებულსა როჭიკსა ერისკაცთასა“ (მ. სწ. 120, 9). „ლეონტი... როჭიკისა განმყოფელი, წარიყვანეს“ (Sin. – 11, 214r).

**უროჭიკო** უულუფო „შეაყენეს ლომი ერთი ოც დღე ოდენ უროჭიკოდ“ (H – 341, 402). **როჭიკიანი**: ოქროსა და საქონლისაგან **როჭიკიანი** (ეტლ. 33, 25). ჰე, ტურფაო, სანაჯაო და როჭიკიანო მამაცო (შჰნ. III, 547, 21).

საშ. ქართ. 1. ულუფა: მე ესე მიხარიან, **როჭიკსა** ეგზომ დიდსა ველარა სჭამენო (ამირან. 242, 1). ერთ დღეს არ თხოვეს **როჭიკი**, არც სხვა რამ სათხოვარია (ვახტ. VI, 148, 717, 1). ერთსა კაცსა... დღიურ ეგოდენი ჯორცი ჰქონდა **როჭიკად**, შიმშილისა ცეცხლსა დაუვსებდის (ქილ. 547, 25).

2. გასამრჯელო: და მოჯამაგირისას ვაწესებთ ესრეთ, რათა მიეცემოდის მას აღთქმული **როჭიკი** თვისი, უკეთუ იქცეოდეს კეთილსულობით და სიძარტლით (სამ. ბატ. დავ. 55, 7). დიდებულნი... ვითარ ჯამდა, ეგრე შემოუძღვნენ, და მისსა საკადრისსა სრათა გარდაჯდინეს და **როჭიკითა** და **როქითა** უადრეს უმასპინძლეს (ქილ. 799, 31). ღმერთმან მოცეს **როჭიკითა** საჭურჭლე და საქონელი (შჰნ. II, 4309, 2).

ახ. ქართ. დღეს ვაჭრობ, ხვალ ჩარჩობ, ზეგ ბერად **როჭიკობ** (მ. ლებან). მთარგმნელმან საჭიროდ არ ჩათვალა ეხსენებინა **როჭიკობანი** („ლიტ. საქ.“).

დიალექტ. **როჭიკი**: „როჭიკად ვერ წაუვიდა საქმე“ საქმე კარგად, წაღმართიანად ვერ მოეწყო (მოხ. ქავთ.). ფრაზეოლოგიზმში გამოყენებული როჭიკი გადატანით უნდა გამომდინარეობდეს ძველ ქართულის სიტყვიდან როჭიკი საზრდელი, ულუფა, იშვიათად „გასამრჯელო“.

საბა განმარტავს როჭი, როჭიკი, „ულუფა სამეუფოთა გამოსაზრდელი, შჯულიერი მთავრობის(ა) ნიჭი“. დ. ჩუბინაშვილი კი – როჭი, როჭიკი ულუფა, ჯამაგირი. ქეგლში დასახელებული სიტყვა მიჩნეულია უკვე ძველი ქართულის ფორმად და როგორც დ. ჩუბინაშვილთან აქაც ორ ფონეტიკურ ვარიანტზეა მითითებული როჭი, როჭიკი „ულუფა, საზრდო; ქირა ჯამაგირი“.

**როჭიკი** დასტურდება სვანურსა და მეგრულშიც. როჭიკი „როჭიკი, სარჩო, გასამრჯელო“. ალ ზადა როჭიკს ღაჭარ ითხლნეხ (ლშხ.) – ამ წლის სარჩოს მამაკაცები იშოვიან (მოიმეზნიან) (სვან. თოფ., ქალდ.). **როჭიკ** როჭიკი ულუფა (სვან. ლიპარტ.).

მეგრულში კი შემდეგი მნიშვნელობებით გვხვდება: როჭიკი „უმნიშვნელო ნარჩენი“. თაქ როჭიკი ძუ – აქ როჭიკი (უმნიშვნელო ნარჩენი) ძეგს ზან. (მეგრ. ელ.).

ზან. **როჭიკი** როჭიკი; წვრილმანი. როჭიკობა კარდაკარ ჩამოთხოვა მცირე შესაწირისა. როჭიკ-როჭიკი წვრილმანი; წვრილ-წვრილი რამ; ერთგვარი წვრილ-წვრილი გადასახადი; როჭო, საროჭიკო საწვრილმანო ტომარა (მეგრ. ქობ.).

მზ. ანდრონიკაშვილის მიხედვით როჭიკი პართ. rōčik, საშ. სპ. rōzīk, ახ. სპ. rōzī «დღიური» საზრდო, საარსებო საშუალება, საზრდელი, წილი, „ხვედრი, პროვიზია, ქონება“. აღნიშნული სიტყვა დასტურდება სომხურსა და სხვა აღმოსავლურ ენებშიც (ანდრონიკაშვილი 1966, 267).

**როჭიკი** წარმომავლობით ქართველური სიტყვა უნდა იყოს. ვფიქრობთ, ჩვენს ვარაუდს მხარს დაუჭერს მეგრულსა და სვანურში ზემოთ მოხმობილი როჭიკ-ფუძიანი სიტყვებიც.

დიალექტ. **II. როჭიკი** ჭიკჭიკი.

**როჭიკი** მთ., ჭიკჭიკი. როჭიკობს ჭიკჭიკებს (შან.). როჭიკობს – 1. ჭიკჭიკებს. 2. სასიამოვნოდ ლაპარაკობს (მთ. კაიშ.).

შდრ. სვან. **რიჭ** მითქმა – მოთქმა რაიმე საქმის გარშემო (სვან. ლიპარტ.).

**რიჭ** ზს. გაუთავებელი ლაპარაკი (სვან. თოფ., ქალდ.).

**რუბ-ი**:

საშ. ქართ. **I. რუბი** ქართულად რუმბი, თათრულად-ნაოთხალი (საბა).

**რუბი** არაბულად მეოთხედი არის, მაგრამ სასმელს, გრგვალს თასს, ანუ ფიალასაც ეწოდება (თ. ზაგრატ.).

დიალექტ. **რუბი** სანთლის წონის ერთეული 1–2 მისხალი (მახ., გურ. ჯაჯ.). **რუბ** [აზ. =მეოთხედი] ხახვის თესლის წონის ერთეული, რომელიც უდრის დაახლოებით 50 გრამს. ერ კურცხი სიმზიმე ხახვის თესლს ეზახიან ერ რუბ; ერ თახტაში ერ რუბს თესენყ (ერთ კვალში ერთ რუბს თესავენ ხოლმე) (ინგ. როსტ.). რუბი ხორბლის საწყაო, კოდის მეოთხედი დაახლოებით 4 კგ. (ჯავახ. მარტ., ზედგ.). **რუბი** მარცვლეულის საწყაო სპილენძისა, ფუთის მეოთხედი ჩადის. ამან დაიჭირა, ერთი რუბი ოქრო აუვსო; ერთი რუბი ოქრო ჩავვალითო; ერთი რუბი ოქრო წაიღეს (ჯავახ. მარტ.).

ქართულში **რუბ** სიტყვის დამკვიდრების ორი გზაა სავარაუდებელი: არაბული ან სპარსული. იდენტურია ფორმა და სემანტიკა. რადგან აღნიშნული ლექსემა ძვ. ლიტერატურულ ტექსტებში გვხვდება, შეიძლება ვიფიქროთ ამ სიტყვის უშუალოდ არაბულიდან შემოსვლა X-XI საუკუნეებში (იმედაძე 2014, 60-61).

შდრ. **რუბა** «მესამედი დრაჰკნისაჲ», მარჩილი: „გამოილო სადრაჰკნე თვისი და აღმოილო ერთი რუბაჲ – მესამედი დრაჰკნისაჲ“ (მ. ცხ. 318v).

შდრ. **რობ** თხუთმეტი წუთი, მეოთხედი (არაბ. სპ.) (ფერეიდ. უთურგ. ჩხუბ.).

საშ. ქართ. **II. რუბი** ძვ. ერთგვარი მრგვალი სასმისი, – თასი. შინა შევიდი, მას წინა ედგის ცრემლისა გუბები, შიგან მელნისა მორევსა ეყარის გომრის შუბები, მელნისა ტბათათ იღვრების სავსე სათისა რუბები (ვეფხ. 1146, 3).

საშ. ქართ. **III. რუბი** (არ. რუბბ) სიროფი, ჯულაბი.

**რუბი** (არ. რუბბ) სიროფი, ტკბილი ნახარში წვენი, ჯულაბი. შესქელდეს ვითა ყურძნისა რუბი (ქანან. 99, 32). ... ესე წამალნი,... გაცერით და ყურძნისა რუბითა შესქელებულითა შეზილეთ (ქანან. 262, 21). აიღე... რუბისუსი - ერთი დრამი (ფანასკ. 177, 34).

საშ ქართ. **IV. რუბი ლაზიმა**: „ამა ცხელებასა და ციებასა რუბი ლაზიმა ჰქუიან“ (იად. 498, 4).

დიალექტ. **V. რუბი** რუფი კილო, დილის გასაყრელი მუშამბაში (ქიზ. მენტ.). შდრ. **რუფა** გამონემსვა – დ. ჩუბ. **რუფია** ნემსით ნაქსოვი (ქართლ., ძიმიგ., კეცხ., ხუბ.).

### **რუთუბა:**

საშ. ქართ. **I. რუთუბა** (არ. რუთაბ, სპ როთაბ) ახალი მწიფე ხურმა. ხურმას სპარსულად რუთუბა ჰქვიან, მხურვალი და ხმელია (კარაბ. I, 448, 33).

საშ. ქართ. **II. რუთუბა** (არ. რუთუბათ). სინოტიე სისველე, სინესტე, სინედლე. რუთუბა მხურვალია და ხმელი კაცს თესლს მატებს (კარაბ. 465, 35).

**რუმბ-ი:**

საშ. ქართ. **I. რუმბი** ზროხის დიდი ტიკი საბა. ერთი დიდი *რუმბი* ღვინო მას მოართვეს (შპნ. III, 918, 1).

*რუმბებით* და ტიკებით ღვინოები და არაყი (ი. ბაგრატი., 491, 17).

**რუმბი** ძროხის, მოზვრის ან კამეჩის ტყავის დიდი ტიკი. ეშმაკები *რუმბებს* ალბობდნენ და ღვინო არსად იყო (ანდაზა). [დარეჯანი] შეგორდებოდა ოთახში, საცა ხანდისხან... *რუმბსავით* გაბერილი თავადი გორავდა (ილია). *რუმბებში* შენახვა და ზიდვა ბევრ სიკეთეს ართმევს ღვინოსა და აფუჭებს (ი. გოგებ.).

დიალექტ. **რუმბი** საქონლის ტყავის დიდი ტიკი. *რუმბი* საწყეო ერთეულია, შვიდი კოკა ჩავა ოტკაი (პერევი) (ზ.-იმერ. ძოწ.). **რუმბი** დიდი ტიკი გადატ. ხმარობენ კარგად გამამდარ ცხოველზე ან ადამიანზე: „ეგ ოხერი *რუმბივით* გამხდარა, ისე გამამდარა“ (ჯავახ. ბერ.).

**ნარუმბალი** რუმბის ტყავი. წინათ *ნარუმბლის* ქალამანი იცოდნენ, ჩუსტზე მეტი ფასი ჰქონდა, არა ხმებოდა ისა (ზ. ხანდ., ქართლ. ლექსიკ.)

**რუბი** ქართულად რუმბი თათრულად ნაოთხალი საბა. მ ფონემა განვითარებული ჩანს. იხ. I. რუბი.

ახ. ქართ. **II. რუმბი** [ინგლ. rhumb] მიმართულება თვალსაჩინო ჰორიზონტის წერტილებისაკენ ქვეყნის მხარეებთან შეფარდებით ან კუთხე ორ ასეთ მიმართულებას შორის: უდრის ჰორიზონტის წრეხაზის 1/32 ნაწილს. იყენებენ ნავიგაციაში გემის ან თვითმფრინავის კურსის აღსანიშნავად და სხვ. „აბა, თვრამეტი *რუმბით*, ზიუდ-ვესტისკენ, მთელი სვლით გემისაკენ!“ – ჩაგვილაპარაკა ბოცმანმა (ა. ბელ.).

## ს

**საარ-ი:**

საშ. ქართ. **I. საარი** (სპ. საჰრა) ველი, მინდორი. „ჰეიათის *საარისაკენ*“ (ყარამ.).

ახ. ქართ. **II. საარი** (სპ. საჰარ „განთიადი“) ძვ. ჰიმნი, ჰანგი, რომელსაც დილას ასრულებდნენ ზურნით ან დუდუკით რაიმე ნადიმის დროს. გალობს ზურნა დილის *საარს* (ი. გრიშ.). შემთვრალ სტუმრებს გათენება დილის *საარმა* ამცნო (ბ. ჩხ.) ძიები დუდუკს უკრავენ, იციან ტკბილი *საარი* (გ. ლეონ.).

**საბრ-ი:**

საშ. ქართ. **I. საბრი** (არ. საბრ) ალოის მწარე წვენი ხმარობენ წამლად მედიცინაში. *საბრი* მხურვალე და ხმელი არის, ვინცა ესე *საბრი* ძმრითა და ვარდის ერბოთა გააყენონ და მტკივანსა თავზედა შემოსდვან, თავის ტკივილი ეშველოს (იად. 280, 31).

როგორც ირკვევა, საბრი ქართულში არაბულიდან შემოსული სახელია. არაბ. [šabr]: ქართ. საბრი.

საშ. ქართ. **II. საბრი** ამტანობა. ხელმწიფესა მოეწონა სპასალარის მოხსენება, მოუტანა მას პატივი და სიმდიდრე იმოდენის *საბრისათვის* და დაანება მას სრულიად თავისნი სახელმწიფო (მეფ. სალ. 333, ქვ. 3). ხოსროს *საბრი* აღარა ჰქონდა (ხოსრ. 67, 15).

დიალექტ. საბრი (არაბ.) მოთმენა, მმოთმინება, გამღება, ატანა (გაჭირვებისას...) თავის შეკავება. „ეჰ, *საბრი* ქენ, შვილო, ყველა სიკც(ვ)დილის შვილები ვართ, უარესიდან დაგიფაროს ღმერთმა!“ (აჭარ. ნიჟ). აგრეთვე: (ჩვენ. ფუტკ.).

**III. საბრი** ცხვირი დაცემინება. წყვილი *საბრი* მოუვიდა, ხეირია (ჯავახ. ბერ.).

**სადა:**

ძვ. ქართ. **I. სადა, სადდა** (ებრ. sadda, ბერძნ. Σαδδᾶ, (სომხ.) სადაი) ღმერთი (ღმერთის ეპითეტი), „ყოველთა სამყოფი, რომელ არს ღმერთი“ (საბა). „და მესმოდა ჳმაღ... ვითარცა ჳმაღ ღმრთისა *სადდაისად*“ (ეზეკ. 1, 24 Ⴆ; „და ჳმაღ ფრთეთა ქერობინთაჲ მათ ისმოდა... ვითარცა ღმრთისა *სადაჲსად* (სადდაისად Ⴆ)“ (ეზეკ. 10, 5).

**სადდაი, სადა** იშვიათად სახმარი სინონიმია ღმრთისა, ესაა სტიქიურ ძალთა ღმერთის გასაიდუმლოებული სახელი, ჩვეულებრივ მას ახლავს ელ („ღმერთი“) და თარგმანში გადმოდის, როგორც „ღმერთი სადდაი“ (ეზეკ. 1, 24, 10, 5M). „ან ღმერთი სიმრავლისა“ (ეზეკ. I, 24)O ანდა მარტივად როგორც ღმერთი (დაბ. 17, 10 M, დანელია 1998, 134).



საშ. ქართ. **II. სადა** წმინდა, შეურეველი. მას ესე წამალი უნდა *სადა* საქანგუბინითა (ფანასკ. 130, 39). კეკლუცთა მიმოსვლა სადა, ტკბილად უბნობა *სადა* (ბეს. 170, 6, 7). შდრ. ძვ. ქართ. **სადაგი** მარტივი. სადა მიეც ჯორცთა შენთა საზრდელი *სადაგი* (მ. სწ. 153, 22). სადა, სადაგი ზედ. მარტივი, სამარადლეოდ. სადაგე, სადაგი, წრფელი – დ. ჩუბ.

ახ. ქართ. **სადა** 1. უბრალო, მარტივი. სასწაული... მოახერხა... *სადა* ფრინველმა – ბელურა ჩიტმა (ი. გოგებ.). მიყვარხარ, ჩემო ხანჯალო, *სადაგე* და ბასრო, ფხიანო! (ი. ვედ.). 2. იგივეა, რაც სადაგი. ბაყლის ბებერს მოჰქონდა ხოლმე დედა-ჩემთან ყოველ შაბათობით და კვირაობით... ერთი კერძი საქმელი და პური, *სადა* დღეში-კი, დილით ხილი (ლ. არდაზ.).

**სად, სადა** კითხვითი ზმნს. 1. რა ადგილას? «ისიც მითხარი, *სადა* გაქვს ბინა?» (ვაჟა). «ნეტა ახლა *სადა* ხარ და რომელსა მხარესა?» (გ. ტაბ.). 2. ხელოვნ. იგივეა, რაც სადაგ. *სად* დამიღამდეს, იქ გამითენდეს, იქ იყოს ჩემი მიწა სამშობლო (ნ. ბარათ.). 3. გამოხატავს რისამე შეუძლებლობას, – არ; როგორ, რანაირად. «*სად* შემიძლია მე ახლა დაბერებულსა და დაჩაჩანაკებულს იმასთან ომის გასწორება!» (ილია) და სხვ მნიშვნელობები.

#### სათარ-ი:

საშ. ქართ. **I. სათარი** (ირან. სათარ) სამსიმიანი საკრავის სახელწოდება. სამძალი.

საშ. ქართ. **II. სათარი** ბალახის სახელია. მერმე მოიტანე... პიტნა და *სათარი* და ეს წამლები წმიდად დანაყე (იად. 311, 23).

**სათარი** ხარდალი, მდოგვი უნდა იყოს ანუ გარეული პიტნა სათარი, იგ. არ. სა'თარ სამი სხვადასხვა მნიშვნელობით: სათრ, სათარი და სათარას სახეებით (ქანან. 196, 30).

ახ. ქართ. **III. სათარი** «შეშა მოთრეული» (საბა), – «ხე ან შეშა, რომელსაც უღელი ხარით მიათრევენ» («შინამრეწვ.»), – ნალო (მნიშვ. 2). დავანთე ცეცხლი სამწვადე. დავაგურგურე *სათარი* (რ. ერისთ.). თებერა და ეონა განმარტოებით ისხდნენ *სათარზე* და ჭუკჭუკობდნენ (ვ. ბარნ.).

დიალექტ. **სათარი** მოჭრილი ხეების დასაცურებელი ადგილი. სახლის უკან *სათარი*, ერთი ფაცვი რათ არი? (ჩვენ. ფუტკ.). იხ. აგრეთვე (მთ. კაიშ., აჭარ. ნიჟ., ფშ., მთ. შან., მოხ. ქაჯ., თუშ. ცოც.).

#### სათლ-ი:

საშ., ახ. ქართ. **I. სათლი** [არაბ.-სპარ. სადლ «ვედრო»] ძვ. «ტოლჩა, საკიდარი ქვაბი» (დ. ჩუბ.). მეკარე გამოჩლახუნდა ეზოში, ცოცხით ერთ ხელში და წყლის *სათლით* მეორეში (ქ. ბაქრ. თარგმ.). **სათლი**, ჭადანი წყლის ჭურჭელი რკინის, ვედრა (ჯავახ. ზედგ.)

ანალოგიური სემანტიკური დატვირთვის მქონე სიტყვა სათილი არაბულ-სპარსულად ასე იწერება და იკითხება – სატლ (ბართაია 2010, 177).

საშ. ქართ. **II. სათლი** სატალი სენი მუცლისა – საბა. სათლი ჯამი (სპარს.) გაცივება – დ. ჩუბ.

სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით სა-თარ-ი მიმდებარა, ფუძე თარ-; გა-თარ-ვა „ძალით გაყვანა, ანუ ძალით გათრევა, მთის კაცნი ხმარობენ (საბა). აღდგენილია ს.-ქართვ. \*თარ-/თრ- არქეტიპი (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

### საინ-ი:

საშ. ქართ. **I. საინი** მისი არშივი საჭმელი – საბა.

ახ. ქართ. **საინი** იგივეა, რაც თევში. ღომს... იღებენ *საინზე* ანუ თევშიზე ლაფერით (ი. გოგებ.). მაგიდაზე ბოთლები და ორი *საინი* იდვა (ს. კლდ.).

დიალექტ. **საინი** ღრმა თევში. თევშს უძახით ჩვენე პატარას. ყველს, წვანილს რო დააწყოვ და ღრმაა, იგი *საინია* (გორისა, ზ.-იმერ. ძოწ.). **საინი** ვერცხლის ან სპილენძის სასმისი, ჯამის ფორმისა. ჩამაურიგებენ ყველას სამ-სამ თასს, ანუ ვერცხლის *საინებს*, მეკვლეთ (ბ. გაბ. 143, 10); მავლენ დასტურნი, სალუდე *საინებს* ჩამაურიგებენ დიაცებს (დიალექტ. 7, 40); სა-ინები – ხქვიან ლუდის სასმელებია (გ. დოლ. 30, 31) – ალ. ჭინჭ. **საინი** ფართე და დაბალი თასი რვლისა (არაბ.) (ა. შანიძე).

საშ. ქართ. **II. საინი** ძარღვები (არაბ.) ძარღვი. ერთი სხვა უკანა ძარღვი ზურგისა მძივამდი და საჯდომამდის მიაწევს და იქით ექუსად გაიყოფის და კიდევ მობრუნდების წურილსა ძარღუებსა შიგან მოაწევს და მას სახელად ბასლიკე და სალიბ ჰქვია და აბლეზირა და *საინ* და ნალუბადან ჰქვიან (ქანან. 35, 11).

### სალ-ი:

საშ., ახ. ქართ. **I. სალი** მაღალი ტინი, კლდე საბა. სალი მაგარი კლდე, ანუ ქუა (თ. ბაგრატი.).

არასფერითა სავსესა, არც ქვითა, არცა *სალითა* (არჩ. 220, 198, 4). მათმან მოთქმამ გულსადაგმან აატირნა კლდენი *სალნი* (ნ. ციგ. 355, 2). გოდერძის და მისთა შვილთა ვერ დაუდგამს თვით კლდე *სალი* (შპნ. II, 3093, 40).

ამ გორაკის სათაურის ნაპირებზე კბილებსავით *სალი* კლდეები აშვერილიყო (ა. ყაზბ.). არ გავცვლი *სალსა* კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა, არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა! (რ. ერისთ.).

2. გადატ. მაგარი, ურყევი, შეუდრეკელი. სადგომსა მისსა მივიდა, სად კოშვი ედგა *სალისა* (ნ. ციგ. 1308, 3).

შემექმნა გული მართ ვითა *სალია* (ვეფხ. 584, 4).

როგორ გასძლოს მან სიცოცხლე, თუ არ ჰქონდეს სალებრ გული? (ვახტ. VI, 30, 65, 4). მაგრა გახსოვდეს გულსა სალებსა (ბეს. 33, 7). ვისაც

თლილი ქვით მოოჭვილ შარაზედ სურს სიარული, *სალი* გული უნდა ჩაიდოს მკერდში (ვ. ბარნ.).

ახ. ქართ. **სალი** ტექ. მაგარი, მყარი (ნივთიერება). შენადნობი.

ახ. ქართ. **II. სალი** „ფოთოლი მწვანეა, ადგილი საცნაური... შიგნიდან თეთრი ფერი დასცემს, რგვალი ფოთოლი, მაგრამ სალები (ხაზები) აქვს“ (ზ. ქართლ. „შინამრეწვ.“). შდრ. II. სერი.

დიალექტ. **III. სალი** ცხენის ფეხის ტერფი, – სამყვრე. ცხენ დამიკოჭლდავ, *სალჩი* დამეკრავ ლუსმარივ (ხევს. თავისებ. 345, 11).

მ. ჩუხუა აღნიშნავს ს.-ქართვე. \*სალ- ქაჩაჩის ქვედა ნაწილი“ დასტურდება მხოლოდ ქართულში, მაგრამ, სავარუდოდ, ფუძემდებელი წარმომავლობა ახასიათებს. ამას სინდური (და არამხოლოდ) შესატყვისები ადასტურებს (ჩუხუა 2017).

**IV. სალი** სლიპი, ძალიან გლუვი. გასალდების „მოილიპება, გასლიპდება“ (ავთ. არაბ.) – ალ. ჭინჭ. შდრ. I. სალა.

**სალა:**

სამ. ქართ. **I. სალა** ბრტყელი ქვა, სამღერელი – საბა. სალა, თხელი და მრგვალი ქუა სასროლი ვეგთა და მისთანათა თამაშობაში (ნახე ქუა) – ნ. ჩუბ.). უბრძანა: თქვენთვის მტირალსა ყოლა რად მიჩნდეს სალა მე (ვეფხ. 1576, 4). არარა შეგეძინება, ვითა ქუა გქონდეს *სალანი* (ქილ. 550, 15). ქალი იგლეჯს გიშრის თმასა, კლდესა სალსა თავს ახლისა (ნ. ციც. 491, 378, 2). ტაძრის სალა-კლდის ქვას დაემხოზა (ვ. ორბ. 513, 12).

ახ. ქართ. **სალა** 1. ბრტყელი და მრგვალი რიყის ქვა. კავებმა გზა აუქციეს, სხვა მხარეზე გაემართნენ, ისე გასრიალდნენ, როგორც ყინულზე *სალა* (ვაჟა). 2. შდრ. IV. სალი.

დიალექტ. **სალაქვა** ბრტყელი, საშუალო სიდიდის ქვა, რომელაც სალაკოჭურობისას და მის მსგავს თამაშობის დროს ხმარობენ ბავშვები. „ჩემი ქვა რო არ აიღო, რიყეზე ცოტაა *სალაქვები*, წადი და იქიდან მაიტანე (გ.-კახ. სახლთხ.) აგრეთვე სალაკოჭურობა საბავშვო (ბიჭების) თამაშია ერთგვრი (გ.-კახ. სახლთხ.). აგრეთვე: სალაყი (თუმ. ხუბ.).

**სალაქუა** ბრტყელი, მოგრძო ან მრგვალი სიპი ქვა სალესი (უპირატესად) ზან. (მეგრ. ქობ.).

სამ. ქართ. **II. სალა** მოძრავი კუს სიმსივნე. ნიშანი მაგრისა სიმსივნისა რომე არცა *სალასა* გუარი იყოს (ქანან. 382-384).

დიალექტ. **III. სალა** ღორის ქონი (უმი). სუქან ღორ რო დავკლემდით, ხელის სისქე *სალა* ექნებოდა. დავამარილებდით, მერე მზეზე გავახმობდით (გავაშრობდით) და თელი წელიწადი ვჭამდით; უმათაც და მოხარშულსაც (მესხ. ფეიქრ.).

დიალექტ. **IV. სალა** ტირიფისაგან (კაპიჭისაგან) მოწნული ვარცლი. იხმარება მარცვლეულის გასარეცხად ან სარეცხის დასაწყობად (მესხ. ფეიქრ.). **სალა** მოწნული ხახალი. წნელისაგან მოწნული მრგვალი ხახალი

(როგორც კასპში), იმით გობიდან ამოიღებენ ხოლმე გარეცხილ ხორბალს (მესხ.-ჯავახ. ლეონ.).

დიალექტ. **V. სალა** წლის, ასაკის (სპ. სალე) ასაკის, წლოვანების (ფერეიდ. უთურგ., ჩხუბ.).

#### **სალათ-ი:**

ახ. ქართ. **I. სალათი** იხ. სალათა. ლორიც გვექნება..., ყველი იქნება, *სალათი*, ცოტა რამ ხილი (ი. მაჭავ. თარგმ.).

ახ. ქართ. **II. სალათი** (არაბ.) არაბული ქვეყნების მუსლიმანებში: ყოველდღიური ხუთჯერადი ღვთის მსახურება – ერთ-ერთი ძირითადი წეს-ჩვეულება (შეესატყვისება არა არაბული ქვეყნების მუსლიმანთა ნამაზს).

#### **სალათა:**

საშ. ქართ. **I. სალათა** (ოსმალ.) მცენ. (დ. ჩუბ.). სალათა (თურქ.) სალათან – ქინძი, ან *სალათა* და ან ისპანახი გამოუხარშონ (იად. 107, 32). **სალათა** ბალ. (ფრანგულია), ქართულად ტაბუცუნი ჰქვიან – საბა.

ახ. ქართ. **II. სალათა** [იტალ. salato-დან დამარილებული] 1. [Lactuca-sativa] ბოსტნეული მცენარე რთულყვავილოვანთა ოჯახისა; აქვს მკრთალი მწვანე, ფართო ფოთლები, რომლებიც იჭმება უმად, სათანადოდ შეკაზმული, მეტწილად ხორცთან ერთად. კვლებზე მოჩანდა ოხრახუში, პრასა..., *სალათა* (დ. კლდ.). მწვანილის კვლები სავსე ჩანდა ქორფა *სალათითა* და ჭარხლის ტკბილი ფოთლებით (თ. რაზიკ.). 2. ცივი კერძი, რომელსაც ამზადებენ წვრილად დაჭრილი ბოსტნეულისაგან (ზოგჯერ ხორცისა და თევზისაგანაც) ზეთით, ძმრითა და მისთ., – ტაბუცუნი.

დიალექტ. **III. სალათა** წნელისაგან დაწნული დიდი ლაგანი სალათაში ჩავაწყე პური (შდრ. საბა, საჭეჭავი ხალა). „*სალათაში* ჩავაწყე პური“ (ჯავახ. მელიქ.).

#### **სალახ-ი:**

საშ. ქართ. **I. სალახი** სალახავი, სათელი. სრულად გავსწყუიდა მებრძოლი, ფეხ ქუეშე იყოს *სალახად!* (შჰნ. III, 627, 4).

ძირია ლახ- (<\*ლახ-). სხვა ქართველურ ენებში შესატყვისი არ უჩანს. ეტიმოლოგია უცნობია (სომხ.) lexel („დაფშენა“, „დანაყვა“) არ შეიძლება ქართულის წყარო იყოს (შდრ. აჭარაიანი II, 1973, 273) – (გიგინეიშვილი 2017).

ახ. ქართ. **II. სალახი** [არაბ. sallah] საქონლის (ან ფრინველის) დამკვლელი. *სალახები* და მეხაშეები შიშისაგან ეზოს ფიცრულს შეეკუნ-ჭვლნენ და იქიდან დაუწყეს ქამანდის სროლა [კამეჩს] (შ. არაგვ.).

დიალექტ. **III. სალაჯ** პაჭანიკი. შდრ. II. ალახი.

**საღდო:**

საშ. ქართ. **I. საღდო** მწვანელი. ხაშხაში ურთეს და საღდო (მჰნ. I, 1800, 1).

შდრ. საღდა მც. – საბა. დ. ჩუბ. საღდა კუთხ. (რაჭ.) იგივეა, რაც წალიკა ქეგლ. საღდა // საღტა ბალახი (ბოტ.) წალიკა (ზ.-იმერ. ძოწ.).

ახ. ქართ. **II. საღდო** [იტალ. saldo ანგარიში] ფინ. 1. შემოსავალ-გასავლის სხვაობა, ნაშთი. 2 ქვეყნის ექსპორტისა და იმპორტის საერთო დირეზულეზათა სხვაობა. ქვეყანას მუდმივად უარყოფითი სავაჭრო საღდო აქვს (ნ. ლოლ.).

**სამ-ი:**

საშ. ქართ. **I. სამი** სიციხისა მწველობა – თ. ბაგრატ. შდრ. III. სამალი.

**II. სამი** რიცხვი 3, – ორი და ერთი. სამი 3: ...სამ დღე და სამ ღამე (მთ. 12, 40). შემდგომად სამისა დღისა მოვიდა ვარსქენ პიტიახში შუმ. IV, 8). „ვითარ იყო ყრმაჲ იგი სამის წლის“ (ღმობ. 187, 1). იხ.მესამე, მესამედ, მესამედი, ნასამალი, ოცდასამი სამება, სმნიერი, სმუნვილი – ილ. აბულ. სერზედ მიდის სამი მგელი, ტუჩმოკლე და კუდაგრძელი (ხალხ.). ოთხი ურემი ოთხკუთხივ მოსდგომოდა სათივეს. სამი დაცლილი იყო და აწვდიდნენ თივასა (ილია). სიმონას... ჰყავდა სამი ქალიშვილი, სამივე გათხოვილი იყო (დ. კლდ.).

აღდგენილია ს.-ქართვ. არქეტიპი \*სამ- (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

**სამა:**

საშ. ქართ. **I. სამა** მოასხეს მკურელი, მუტრიბი, ვინ რომ იქმოდა სამასა (ფეშ. 169, 20).

**სამა** მც. «როკვა, შუმპარი» (საბა). სამა (არაბ.) ცეკვა, „როკვა“. სამა – სიმღერა მიყვარდა (ჯავახ. ბერ.).

1. ს. ქართვ. \*სამ- „ცეკვა, როკვა“ > ქართ. სამ-, სამ-ა: ზან. სოფ- (< \*სობ-), სოფ-ინ-ი „მომპრობა“ : სვან. სუბ- || ს-ბ- < \*საბ- < \*სამ- (ჩუხუა 2000-2003).

2. არაბულ ენაში არის სიტყვა samâ' რომლის მნიშვნელობებია: 1. მოსმენა; 2. ჰარმონია, კეთილხმოვანება. ანალოგიური ფორმითა და შინაარსით ეს სიტყვა შესულია სპარსულ ენაში, ხოლო მცირე ფონეტიკური ცვლილებით – თურქულში (სემაი). samâ' თანდათან სუფიურ ტერმინად იქცა და გარდა ზემომოყვანილი განმარტებებისა, ნიშნავს დერვიშთა ლოცვასა და ცეკვას მუსიკისა და სიმღერის თანხლებით. რაც შეეხება samâ'-ს ქართულში შემოსვლის გზას: ქართული სამა ფონეტიკურად იდენტურია არაბულ-სპარსული ლექსემისა samâ'. როგორც ქართული ლექსიკონებიდან ჩანს, ცეკვა სამა // სამაია, ქართულში დამკვიდრებულა ქალთა ცეკვად. სავარაუდოა, samâ'-ის შემთხვევითმა ფონეტიკურმა თან-

ხვედრამ ქართულ რიცხვით სახელთან „სამი“ განსაზღვრა, ქალთა რაოდენობა ცეკვაში – სამაია (ბართაია 2010, 179)

დიალექტ. **II. სამა** (არაბ. ბრიყვი) შტერი, ჭკუნაკლები. „ამ სამას უყურო, ესეც რო კაც ჭკუას ასწავლის. *სამა-სუმა* რამდენიმე მოსულელო ადამიანი, სულელ-მულელი (ჯავახ., ბერ., მარტ.). **გამოსამაგება** ჭკუის: გამოცლა, დაკლება. ეს საცოდავი სულმთლად *გამოსამაგება*, ველარაფერ გებულომს. . **სამა-სამა (საქმე, სიარული)** უჭკუოდ, შტერულად შესრულებული რამ. *სამა-სამა* საქმე იცის მაგამ. რა *სამა-სამა* სიარული იცის ამ კაცმა (ჯავახ. ზედგ.).

### სამალ-ი:

საშ. ქართ. **I. სამალი** დასამალავს ნიშნავს, ანუ ჭირის და მწუხარების დამალვასა, გინა სხვისა რადსამე. **სამალი** დასამალავი ადგილიც არის. გული კაცისა არს მრავალთა სხვათა და სხვათა საქმეთა დასაფარავი ადგილი და ესე არს სამალი – თ. ბაგრატ.

სამალი სამალავი. «მალვა მწადს, მაგრა გარდახდა ჟამი პატიჟთა *სამალი!*» (რუსთაველი). ველარა დავსთმე, მიმჭირდა, აწ არღარა არს *სამალი* (ბეს.). თქვა: „მიჯნურობა კეკლუცთა არ არს კაცთაგან *სამალი*“ (ნ. ციც. 431, 1). შდრ. ძვ. ქართ. სამალავი, სამალველი სორო, დასამალავი, მალვა «ფარვა» – ილ. აბულ.

საშ. ქართ. **II. სამალი** ძვ. 1. რკინის ღარი, რომლითაც ისროდნენ მტკაველზე გრძელ ისარს. 2. ამ ღარით სასროლი ისარი (საბა). **სამალი** სამსწრაფლო. ესე არს ღარი ვითარიმე რკინისა სატყორცი ისრისა, რომელსა ექმნების ისარი მტკაველზედ მეტი. ესე არს ერთი იარაღთაგანი ძველად მხედართა, მანქანად ესე აქვნდათ ბრძოლისა სახმარად და ღარისა მისგან მანქანისა ისარსა სტყორცდიან მეზრძოლთა, გინა საგანსა – თ. ბაგრატ.

საშ. ქართ. **III. სამალი** ძვ. აფრიკის ცხელი ქარი, – სამუმი (დ. ჩუბ.).

მუნ სავარდესა ვარდისა ბულბულსა სწვევდა *სამალი* (ნ. ციც. 1481, 2).

ჰკადრეს: „ზმანებით უშრეტი გწვავს გულსა მზისა *სამალი* (ნ. ციც. 315, 1).

ამალი // სამალი სურვილს, ტრფობას ნიშნავს. სწორედ ეს მნიშვნელობა აქვს ამალს „ვ. ტ“-ში. სამალი უნდა მომდინარეობდეს ამალ-ისაგან. პირველ ტაეპში სამალი უნდა შეედგინა დამწვავს ზმნის -ს სუფიქსის (სუ-ბიექტის მესამე პირის ნიშნის) შეერთებას მალ-თან: დამწვავს ამალი. -ს სუფიქსი შეეხორცა მომდევნო სიტყვას- ამალს, მაგრამ დარჩა, რა თქმა უნდა, ზმნაშიც, ... დამწვავს სამალი არის დასაყრდენი ნოდარ ციციშვილისათვის; მისთვის სამალი უკვე ჩვეულებრივი სიტყვაა, უკვე დამკვიდრებულია ქართულში (გიგინეიშვილი 1975, 41).

ქართ. **IV. სა-მალი**, შდრ. მალი? (საბა).

ს.-ქართვ. \*(ს)ა-მალ- „ემმაკი, ქაჯი“ > ქართ. ამალი, სა-მალ-ი: ზან. ო-ბურ-ი : სვან. უ-მან || უ-მან-- || უ-მან-ი < \*უმალ-ი (ჩუხუა 2000-2003). აქვე სქოლიოში ჩუხუა შენიშნავს ხომ არ შეიცავს (ს)ა-მალ-ი ზმნურ მალ-

„დამალვა ფუმეს? უ-მალ, მალ-ე და მელ-ია // მელ-ა: ეს უკანასკნელი წარმოშობით მეტაფორული – ეპითეტური სახელი ჩანს ამ ცხოველის თვისებიდან გამომდინარე მელ-ია < ეტ. ეშმაკი (ჩუხუა 2000-2003, 195, სქ. 1).

### **სამურავ-ი:**

საშ., ახ. ქართ. **I. სამურავი** ძვ. სურნელოვანი ზეთი, მური, რომელსაც იყენებენ მიცვალებულთა შემურვისათვის, – ბალზამი – ქეგლ., დ. ჩუბ. ახ. ქართ. **სამურავი** აკლდამა. მიცვალებულის შესანახი სათავსი (ხუროთ. კვირკველია).

საშ. ქართ. **II. სამურავი** მტაცებელი მწვეცია მაჩვისოდენა (ი. ბაგრატი.). სამური (ქ. ცხ. IV, 832,5).

**სამური** [სპარ. სამურ] სიასამური. ბეწვიანი ნადირიც ბლომად არის: ...*სამური*, თეთრი მელა, ქურციკი და სხვანი (ი. გოგებ.) – ქეგლ.

### **სან-ი:**

საშ. ქართ. **I. სანი** ქართული ანბანის მეთვრამეტე ასოს სახელწოდება (იხ. ს). ონს წარბად ვუწოდ, *სანს* წამწამად, მანი ყურად მეჩვენება და ტარი წინამოსავით დაგრეხილა, ხოლო რაე შენს მიხრა-მოხრით სლვას მაჩვენებს (დ. ორბ. 37, ქვ. 5).

საშ. ქართ. **II. სანი** ჯარის დათვალიერება, ჯარის გასინჯვა, რაოდენობის გაგება. გოგი აჰგარმან... შვილებს დაუძახა და უთხრა ამ ჯარის *სანი* ნახეთ (შჰნ. III, 306, 35). ახლა ლაშკარნივისებს *სანი* უნახავთ, ნაკლებში დაუწერიათ ეს ორი კაცი (სამ. VIII, 50 ქვ. 5). შეექნათ რჩევა აფხაზთა, დავიწყდა ნახვა *სანისა* (ბეს. 127, 4).

საშ. ქართ. **III. სანი, სანა** მარხილი. სანებით მოვედით ადრე პოდოლსკში (ლექსიკ. მწ. 9.).

### **სანათ-ი:**

საშ., ახ. ქართ. **I. სანათი** სანათი, ლამპარი, საკიდარი ბაზმა (საბა).

**სანათი** გასანათებელი პატრუქიანი მოწყობილობა, – კანდელი, ლამპარი. ოთახში *სანათი* ძლივსლა ბჟუტავდა (თ. რაზიკ.). სვეტზე... ვეებერთელა *სანათი* ჰკიდიდა (ს. კლდ.). *სანათის* შუქზე მოხუცმა ხელახლა შეხედა და სტუმარს (ნ. ლომ.). || რასაც განათებისათვის იყენებენ. **სანათი გაზი**. – სანათი ზეთები. დიალექტ. **სანათი** არ ამიბჟღიალო ახლა აქანე სანათი (საჩინ. შარამ.). შდრ. **სანათ** (ინგ. ლამბ.); ასანთი (ქიზ. მენტ.).

საშ. ქართ. **II. სანათი** (თათრ.) ხელწერილი, თამასუქი – დ. ჩუბ. თუ მაგ კაცს ან სანათი არა [ჰქონია] თეთრისა და ან სესხათ არ უსესხებია,... იმაზე დაობდეს (სამ. VII, 276, ქვ. 11). შდრ. **სანთი** (ჯავახ. მარტ.). სულტანს *სანათი* და ჰოქმი არა ჰქონდა (სამ. IV, 104).

**სანახ-ი:**

საშ. ქართ. **I. სანახი** (არაბ.) მრ. სანახები, გარემონი, ახლო-მახლო ადგილები – დ. ჩუბ.

ძვ. საშ., ახ. ქართ. **სანახი** მხარე, ქვეყანა. „ეპიფანე რად ნათესავით იყო ფინიკელთაჲ, *სანახისაგან* ელევთერეპოლისა“ (საკ. წიგ. II, 92, 12). წარავლინეს ყოველსა მას *სანახებსა* (მთ. 14, 35). იხილა ყოველი *სანახები* იორდანისაჲ (O, დაბ. 13, 10). მოვლო ყოველი სანახები *მუხნარისა* (ქ. ცხ. I, 107, 7). მარადის აოჯრებდენ *სანახებსა* ყანდაარისასა (ქ. ცხ. IV, 479, 2). ყოველნივე ჳევსა და *სანახებსა* და თემთა და ადგილთა მკვდრ ქმნილიყვნენ (ქ. ცხ. II, 348, 4).

საშ. ქართ. **II. სანახველი, სანახი** – დ. ჩუბ.

**სანახი** სასინჯი, ყავრისათვის შეგულვებულ ხეს მთაში სასინჯად დიდ ნაფოტს აართმევენ და მას ჰქვია. „როცა ყავარი მომინდება, წავალ ტყეში და *შავასანახებ*“ (ლექს. ჩიქ.) – ალ. ღლ.

**სანახები:**

საშ. ქართ. **I. სანახები** – საბა. ახ. ქართ. **სანახები** ძვ. ქალაქის, კუთხის... ახლომახლო მდებარე ადგილები, გარემონი, მიდამოები. მირიანი თავისი ამალითურთ მუხრანის *სანახებში* სანადიროდ წავიდა (ივ. ჯავახ.). მზე დასდგომია ზარზმის *სანახებს* (გ. აბაშ.). ცდილობდა იგი ღრმად არ შეეშვა ლაშქარი ქართლის *სანახებში* (გ. ბარნ.). იხ. I. სანახი.

საშ. ქართ. **II. სანახები** პირდაპირი შეურაცხება – დ. ჩუბ.

**სანგ-ი:**

საშ., ახ. ქართ. **I. სანგი** ურო, კვერი რკინისა – დ. ჩუბ. ქეგლ.

ს.-ქართვ. \*სანგ- „რკინის დიდი კვერი; ურო (ჩუხუა 2017).

საშ. ქართ. **II. სანგი** მცენ. იტალიანურად – დ. ჩუბ.

**სანდალ-ი:**

**სანდალი** მომცრო ნავი – დ. ჩუბ.

ძვ. ქართ. **I. სანდალი** ნავი: „უკუეთუ მცირე იგი *სანდალი* დაჰვარდეს, დაღაცათუ ჭირსა შეჰვარდების, გარნა ჯერეთცა ვალს“ (მ. ცხ. 153v). „გარდააგდეს ზღუად მცირე ჳუამალდი, რომელ არს მეორე *სანდალი*“ (ler=165 198r, 19-22 af).

საშ. ქართ. მას შიგან დადგეს *სანდალი*, მურასა თლილის ქვებითა (ნ. ციგ. 433, 152, 2). ნავები ჳმელად გაიღეს *სანდლისა*, ულპოლველია (შჰნ. II, 4879, 4).

ახ. ქართ. **სანდალი** ძვ. (თურქ. sandal) სანდალ მომცრო ნავი (საბა) (ჳანებს) თავისი საკუთარი ნავები და *სანდლები* აქვთ (ი. გოგებ.). *სანდლებსა* და კანჯოებს ვაჰ, თუ გზა გაუცუდდესა (რ. ერისთ.). სანდალი.



**სანდალი** ზან. (მეგრ.-ლაზ.) ერთ-ერთ მნიშვნელობით საზღვაო ნავია. სანდალი ნავი. ხვამარდი თეში ვეჩოლუნია, სანდალიმ ხარგაზ ვეგმართასინია: თ. სახოკ. 244 – ხომალდი ისე არ დაიცლებო, ნავის ტვირთი არ გამოვიდესო (მეგრ. ქაჯ.).

ძვ. ქართ. **II. სანდალი** ფეხსაცმელი „შიერთყ სარტყელი და შეისხენ *სანდალნი* შენნი“ (საქ. მოც. 12, 8). „*სანდალნი* მათნი დაძულებულ და დაბებულ იყვნეს ფერტა ზედა მათთა“ (M, ისუ ნ. 9, 5). *სანდალნი* შენნი წარიკადენ ფერტაგან შენთა“ (I, ეს. 20, 2). ძველსავე ქართულში ამავე შინაარსით იხმარება **განდალიც**.

საშ. ქართ. საზარელად სახილავი მისსა *სანდლისა* მსგავსა ფერტა შემოგვღვლაჳნა (ქილ. 880, 31).

ახ. ქართ. **სანდალი** [ბერძ. sandalion] 1. მსუბუქი საზაფხულო ფეხსაცმელი. 2. ძველს საბერძნეთსა და რომში ხმარებული ფეხსაცმელი; წარმოადგენდა ხის, კორპის ან ტყავის საძირეს, რომელსაც ფეხზე თასმებით იმაგრებდნენ. ქვა მომაწოდეთ, გნებავთ ჩაქუჩი, სანდალში ლურსმანმა. ამოჰყო თავი (ვ. კანდელ.). [კალენიკეს] ... ეცვა ... იაპონური თასმიანი *სანდლები* (რ. მიშვ.). ეს იყო ცხვირდაჩხვეტილი *სანდლები* (რ. ინან.).

დიალექტ. ქალებმა იცოდენ ასეთივე უქუსლო ფოსტლები „*სანდალს*“ ვეტყოდით (ლექს. მრეწ. III, I, 235). *სანდალი* – გამოვჭრიდით ერთ მთლიან პირს, იმასაც სარჩული უნდა, შემოვაკერებდით გარშემო ქუზას, გაუკეთებდით წინა ენას, ერთნაირი სილამაზე და სიმაგრე ჰქონდა (ქვ.-იმერ. მრეწ. III, 221). „ზავოდში ვკერავდი *სანდალს* და ქერის ყელიან წულას“ (გ.-კახ. მრეწ. III, 1, 58). [კაცის და ქალის] *სანდალი* ახლაც იციან, ფეხსაცმელს ჰქვია (ზ. სამეგრ. მრეწ. III, 1, 244).

საშ. ქართ. **III. სანდალი** სკამი. აგრე ოქროსა *სანდალნი* მოიხუნეს (მჰნ. III, 245, 43).

დიალექტ. **სანდალი** სკამი (სპ. sändäli სკამი). „ჩონ ეგრე *სანდლები* არა გოჯ რო დაუჯდეთა“ (ფერეიდ. უთურგ., ჩხუბ.).

**სანდალიე** (თ. სანდალდე) 1. დიდი სკამი, ძელსკამი. „დიდ სკამს სანდალიეს ვეტყვით“ (ზაზგ., შავშ.). თანამდებობა. „მაგასა შენზე დიდი *სანდალიე* არ ექნება“ (ინ., ჩვენ. ფუტკ.).

2. **სანდალიე** (თურქ.) სანდალდე მისაწოლი სკამი, ზურგიანი სკამი ზან. (ლაზ. თანდ.).

ძვ., საშ. ქართ. **IV. სანდალი** (არაბ. sandal) სურნელი ხე ინდოური. „უკუეთუ ინებოს კაცმან შემზადებად საკუმეველისა სულნელისა და გუნდრუკითა წმიდითა და *სანდლითა* და ფრჩხილითა“ (H-622, 20r). უდსა, *სანდალსა*, ფუფალსა, ვაშლსა, ბიასა და რასაცა კაი სული უდიოდეს იმას უსუნებდენ (იად. 119, 23). გარე ფანჯრები *სანდლისა* (ნ. ციც. 729, 3).

(სახლი) სულ ხითარის *სანდლით* იყო აშენებული (რუსუდ. 209, 23). კუბო შეუკრეს მას ზესა, საკაცე – *სანდალ-უდისა*, არ გიკვირს მისი სურნე-

ლი გლახ სული აღარ უდისა? (თეიმ. 87, 208, 1). მეფეს ეცვნეს მას დღესა რაცა, იყო ყველა სანდლის ფერი (ნ. ციც. 1154, 1).

**სანდალი** ანალოგიური სემანტიკური დატვირთვის მქონე არაბულ-სპარსული ლექსემა – [სანდალ] (ბართაია 2010, 179).

ამავე მნიშვნელობით გვხვდება **სანდაროზი** // **სანდალოზი** ყვითელი გუმფისის ერთ-ერთი სახეობა; პირი უგავს *სანდაროზსა* როადამის გონებითა (შჰნ. I, 1621, 2). ჯავრითა პირი სანდაროზის ფერად გაუხდა (შჰნ. II, 373, 14). სანდალოზის ფერი პირი *სანდალოზის ფერად* გაუხდათ (რუსუდ. 517, 28)

შეიძლება ამ სიტყვაში კონტამინირებულია ბერძ. **სანდარაზე** და სპარს. **სანდაროს** (ქაზემი 2008).

საშ. ქართ. **V. სანდალი** საპყრობილე (სპ. ზენდან). ბორკილითა დაჭედეს და იგი *სანდალშიგან* ჩააგდეს (შჰნ. III, 447, 9).

**VI. სანდალი** (თურან. არაბ.) მაყალი (ადგილობრივი გასათბობი) შუა აზიაში და ახლო აღმოსავლეთში: იდგმებოდა ტაბურეტის ან პატარა მაგიდის ქვეშ; სითბოს შესანარჩუნებლად სანდალის გარშემო ან მის ზემოთ მჯდომარეები ფეხებზე საბნებს იფარებდნენ.

**VII. სანდალი** სასანთლე (ა. სიხ.). შდრ. შანდალი.

#### **სარ-ი:**

ძვ., საშ., ახ. ქართ., დიალექტ. ქართ. **I. სარი** ჭიგო, ჯოხი, კვერთხი. „*სართა* განვაგე (მოვიკრძაღე *რხ.*) (სავენაჯე)“ (I ეს. 5, 2). მანვე უხეთქნა *სართა* საცოხნელთა ოდენ (წტყ. 94, ბ). ყოველთა (ვენაჯთა) *სართა* განგებამ უნდა“ (ი. -ე. 42, 3).

ლერწმისა *სარსა* დასდრეკდა (ვეფხ. 891, 3). სადა ინდონი ბროლვარდსა სარვენ გიშრისა *სართა* (ვეფხ. 889, 1).

სოფლის კაცი თითო კონას *სარს* მიიტანდნენ (სამ. VIII, 128). გადატ. აქვს რხევა გიშრის სარისა (ნ. ციც. 1504, 3).

**სარი** ბოლოწათლილი წვრილი ხე მიწაში ჩასარჭობად; იხმარება ხვიარა მცენარეების (ვაზის, ლობიოს) შესამაგრებლად, გასაკეთებლად და სხვ., – მარგილი, მანა, ჭიგო. სიძე რომ სიმამრისას ჩავა, ლობის *სარებიც* გაიხარებენო (ანდაზა). მუხის *სარები* და მავთულის ლარები ძლივს იმაგრებდნენ ვაზებს (მიხ. მრევლ.). მაღალი, სწორე *სარები*... ღონივრად იყვნენ მიწაში ჩარჭობილნი (ნ. ლომ.).

დაბლარი ვაზისათის ხელოვნური საყრდნობის შედგმას ძველ ქართულში „ვენაჯთა ასარვა“ ეწოდებოდა, ან და „სართა განგებამ“. გ. მთაწმიდელს აქვს აღნიშნული, რომ ათონის ქართველთა სავანის ბერები „უფროდსნი დღენი ვენაჯთა შრომასა შინა დაჰყვიან“, რათგან ვენახები ახალნერგი იყო და „ყოველთა სართა განგებამ უნდა“-ო, თითქმის მთელ თავიანთ დროს ამ ხანაში „ვენაჯთა ასარვას“ ანდომებდნენო (ჯავახიშვილი V, 1986, 346).

**სარი** ჭიგო. – დღეს ლობიას *სარები* უნდა დუუსოთ (რაცხ. გურ.).  
**სარი** სამჩხირი. ჯოხი, რომელზედაც თივაა აგებული (ქარმა რომ არ დაშა-  
 ლოს) (მთ. შან.). **სარი**/სარზე აგებული თივა. ერთი *სარი* ნახევარი თივაა  
 (მთ. კაიშ.).

**სარი** ხეზე აგებული თივის ბულული. სარი 1. ლობიოს ასახვევი  
 წვრილი და მაღალი ჯოხები. 2. მაღალი, უტოტო ბოძი, რომელზედაც  
 დიდ თივის ზვინებს აგებენ სახლის, საბძელ-გომურის სიახლოვეს. მთებ-  
 ზე, ყამირებში აგებულ „თივებს“, როცა კარგად გამოშრება და მოზიდავენ,  
 მათ დიდ ზვინებად გადააგებენ, რადგან ამდენი თივა საბძელში არ დაე-  
 ტევა. სარში დაახლოებით ათი-ხუთმეტი, თივა ან კირჩხა ჩადის  
 (ფშ. ხორნ.).

როდის ჩნდება ქართულ სამწერლობო ენაში სარი, ჯერ არ ვიცით,  
 მაგრამ XI ს-ში, როგორც გ. მთაწმიდელის თხზულებითგან ჩანს, სარი და  
 ასარვა ჩვეულებრივი სიტყვები ყოფილა.

ივ. ჯავახიშვილის აზრით სარ- ისევე როგორც სვარ- ჭანურში  
 მწკრივად ჩაწყობისა და ჩარჭობის ცნების გამომხატველია. მაგ., ათინურ-  
 ვიწურში ფსვარუმ გამწკრივებასა, მწკრივად გაწყობასა ჰნიშნავს) და სრვა  
 ძირებთან ისევე, როგორც ისარ-თან, მასარ-თან, მესერთან, ფსვალ-თან,  
 სალ-თან და სოლ-თან იყოს დაკავშირებული და თავდაპირველად უნდა  
 სარჭობის, მწკრივად ჩაყრილი მარგილის, ანუ საყრდნობის აღმნიშვნელი  
 ყოფილიყო. არსებითად მას შემდეგაც ასეთივე მნიშვნელობა შეჰრჩა, რამ-  
 დენადაც ასარული ვენახი ჩვეულებრივ მწკრივზე იყო ხოლმე გაშენებუ-  
 ლი (ჯავახიშვილი V, 1986, 330-333).

1. **სარი** „ვახის მანა, სწორი, პიდაპირ ამართული ხის ღერო“. ალბათ  
 იგივეა, რაც (სპ.) სარუ – „სარო –კვიპაროსი“ უფრო ზუსტად ამ სიტყვის  
 უსუფიქსო ფორმაა სარ (ანდრონიკაშვილი II, 1996).

2. ვინაიდან ი-ისარში უეჭველი ხმოვანპრეფიქსია, სახელის პირვან-  
 დელი ფორმა უნდა ყოფილიყო დღემდე მნიშვნელობის გადაწევით შემო-  
 ნახული სარი. სრ-სრავს, ისვრის (არაბული 2001, 43).

ზან. **სარა** სარი, საღობი მასალა, ტანმაღალი (მეგრ. ქობ.).

დიალექტ. **II. სარი** (თურქ. sari) ყვითელი. „*სარი* ზაფი კაი მუაწინ-  
 დაზე“ (იმ., ჩვენ. ფუტკ.).

**სარი ჩიჩეგი** (sari ყვითელი, çiçek- ყვავილი). 1. ყვითელი ყვავილი.  
 2. ცეკვის სახელი. „*სარი ჩიჩეგი* ქალ-კაცმანა ისამოს, კაი სასამური ყეი-  
 დია“ (იმერ.); „ტიტასა *სარი ჩიჩეგი* აქ“ (იმ., ჩვენ. ფუტკ.).

ლაზ. საი || სარი. საი ფერიმ ქოთუმე მიყონუნა ყვითელი ფერის  
 ქათმები გვყავს“ ლაზურში გავრცელებული საი || სარი (ყვითელი) თურ-  
 ქული წარმოშობის სიტყვაა (საარი ყვითელი) იგი თითქმის უცვლელად  
 დამკვიდრებულა ლაზურ მეტყველებაში (გულუა 2002, 47).

ახ. ქართ. დიალექტ. **III. სარი** [სპარს. სარი) – აღმოსავლეთის ქვეყნებში (ინდოეთში და სხვაგან); ქალის სამოსი – გრძელი (4 – 5 მეტრამდე) ქსოვილი, რომელსაც გარკვეული წესით იხვევენ ტანზე (მ. ჭაბ.).

ახალოხი შაიკვრებოდა ქიშმირისა, *სარის*, ატლასის ყარაბანდულის (შ.-კახ. მრეწვ. III, I, 35).

შდრ. **სარასალი** ძვირფასი ქსოვილები. მზის *სარასალი* და შადი მალის ცის დუქანზედ ქვეყანის ბაზრის ვაჭართა გარდმოუკიდი (საბა II, 298, 7).

საშ. ქართ. **IV. სარი** იხ. I. სარა. *სარი* ბნედასა ჰქუიან (იად. 270, 13).

**V. სარი** ავტომატური რეგულირების სისტემა – ა. სიხ.

**VI. სარი:** (ყარგ.) აზარტული თამაშის დროს მოწინააღმდეგის შეხსენება, თუ რამდენი თანხა უნდა ჩამოვიდეს გასათამაშებლად (ა. სიხ.).

**VII. სარი** არაბული და სპარსული თურქული ლექსთწყობის საზომი – ა. სიხ.

### სარა:

საშ. ქართ. **I. სარა, სარი** (არაბ. სარ) ეპილეფსია. ვისაც **სარა** სჭირდეს მისთვის ყულა მაზიანებელი არის ნიშანი სარასი. – იცოდით, რომე სარა ამას ჰქუიან, მრთელი კაცი ანაზდეულად დაეცეს და დაბნდეს (ფანსკ. 45, 29). იცოდით, რომე *სარა* ამას ჰქუიან, მრთელი კაცი ანაზდეულად დაეცეს და დაბნდეს ...თუ ფსელი წაუვიდეს, და ვერა შეიტყოს რა, რა ესე ნიშანი ნახო იცოდი რომე *სარა* არის (ქანან. 192, 30).

საშ. ქართ. **II. სარა** (სპ.) სარა ან სარო სასახლე (სპ.) სრა.

*სარას* ძირსა აჯის ტახტი მას დაუდგეს, – „ნუღარ სჩივი!“ (შჰნ. I, 2338, 1).

დიალექტ. **სარაი** (სპარს. saray) სასახლე „სოფელში ამხელა *სარაი* რათ უნდა, ვერ მივხდით (ინ., ჩვენ. ფუტკ.).

### სარაჯ-ი:

საშ. ქართ. **I. სარაჯი** (სპარს. სარაჯა) შადრევანი. მრავლად იყო *სარაჯები* (ვეფხ. 341, 3).

ბრძანა თუ: დავსხდეთ ნადიმად ტურფითა *სარაჯებითა* (შჰნ. I, 1688, 2). მუნ დასხდეს, სადა დიოდა *სარაჯად* ვარდის წყალია (შჰნ. I, 679, 1).

ახ. ქართ. **სარაჯი** ძვ. «ქვისა და ძელისა ღარივით რუსათვის» (საბა). || აუზი შადრევნით. მეფემან სახლი ააგო – შიგან სამყოფი ქალისა, ქვად ფაზარი სხდა, კუბო დგა იაგუნდისა, ლალისა; კარზედა ბაღჩა, საბანლად *სარაჯი* ვარდის წყალისა (რუსთაველი). ქალი გასრიალდა, შეჰკვივლა და ჩაყურყუმელდა სავსე *სარაჯში* (ვ. ბარნ.).

საშ. ქართ. **II. სარაჯი** [არაბ. სარაჯ] უნაგირისა და ცხენის სხვა საკაზმის მკეთებელი, – მეუნაგირე. *სარაჯის* სახლი ტბის პირას იდგა (ვ. ლორთქ.). *სარაჯი* ჯიშშიტა (სამ. III, 856, 11). რა წაიარეს მცირე, იხილეს

სარაჯები, რომელ სავსე აქვდათ დუქნები ცხენის იარაღებით მზად (ი. ბაგრატი. 489, 21).

დიალექტ. **III. სარაჯი** იგივეა, რაც ფიჭა. თავლი რომ იქნება, იმას ვეტყვით ჩვენ *სარაჯს* (ქვ.-იმერ. მრეწ. IV, II, 27).

შდრ. **სარეჯი** ზმ. გლ. ფიჭა. სარეჯს სამთლისგან კეთებენ. იმას ნა-სვრეტები აქ და იმაში ასხამენ თავს სვი ბუზები (რაჭ. კობახ.). აგრეთვე: სარაჯა // სარაჭი, სარაჯაი (იმერ. გაჩ.).

### სართ-ი:

სამ., ახ. ქართ. **I. სართი**: „ხოლო თარგმანებად წიგნთაჲ ნამეტნავად და გვრგვინად და *სართად* და კიდევანად ყოველთა სათნოებითა მოეგო“ [ler= 24 213r, 21-24).

მოდო, ეგ შენი ნათქვამი ჩემს თქმულზედ *სართით* გაცვალე (არჩი-ლი, 215, 171, 4). **სართი** დასამატი. აჰა, აწ *სართნი*, /მუნებურ უკუღმართ-ნი... (ბეს. 136, 27).

**სართი** მიმდ. ვნებ. მყ. 1. რასაც ურთავენ, უმატებენ; რაც ერთვის რას-მე, დასამატებელი (გაცვლისას). ძვირად ყიდვა სჯობს კარგისა, ზედ გამო-ღება *სართისაო* (ხალხ.). 2. რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი. თავსართი. წინსართი. ბოლოსართი. **სართად** ზმნს. დასამატებლად. «არ ვინდომებდი მაგ საზიზღარ ქმნილებად ყოფნას მთელ სამეფოსთვის, რომელიც აწ მტარვალს უპყრია, აღმოსავლეთის სიმდიდრეც რომ *სართად* დაედოთ» (ი. მაჩაბ. თარგმ.). «სათმეულის მარგალიტი? ბადახშანი, დიდი ლალი? – ყველა ერთად და ზედ *სართად*, – გსურს ცისკარა ციხისთავი?!» (გ. ლეონ.).

დიალექტ. **სართი** მოზრდილი ჯირკვი, რომელსაც ბუხარში დებენ. „ბუხარში დიდი *სართი* ჩავაგდოთნა, გაგვათბობს“ (ინ., ჩვენ, ფუტკ.). **სართი** (ჩვ. მრ. სართები ურმის ნაწილია: ღერსა და ხელნას შუა დანამატი. „ურემს აქუ ჳელნები, ხარისხები, ჳალები, *სართები*, ღერძი... (კაკუჭა, მოხ. ქავთ.).

**სართი** 1. ვაჭრობაში (რაიმეს რომ ცვლიან) დანამტი. ხარი ხარზე გადაცვალა, ორი ცხვარიც *სართად* მისცა. 2. ლითონის (თუჯი, ფოლადი), ხის სიმყიფე, ადილად მსხვრევალობა. წყალი რომ მისცა მჭედელმა ამ ცულს, *სართი* მოუვიდა, როგორც კი როკზე მამიხვდა, მაშინათვე პირი ამოემტვრა. 3. ადამიანი, ცხენი: ფიცხი, თავდაუჭერელი. ძიენ *სართი* კაცია, რამეს ეტყვი თუ არა, მაშინათვე ბრაზდება. შდრ. *თავსართი*, გულ-სართი (ჯავახ. ზედგ.).

მიგვაჩნია, რომ **სართი** მიმდებარა სა-რთ-ი; რთ- ფუძისთვის აღდგენილია ს.-ქართვ. \*რთუ- არქეტიპი (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

**II. სართი** (თურქ.) გადატ. კომპოზიტში თავსართი ნიშნავს თავსუს-ტი, თავდაუჭერელი. აქედან „თავსართია – ამბობენ ბორძიკა ცხენზე,

რომელიც ქენების დროს წაიბორძიკებს ხოლმე. ეგ ცხენი *თავსართია*, არ გადმოგაგდოს (ჯავახ. ბერ.).

**სართი** (თურქ.) ადვილად მსხვრევადი, მყიფე. „თუჯია, შვილო, *სართია*, მალე გატყდება, არ დაარტყა“ (ჯავახ. ბერ.).

დიალექტ. **III. სართი** 1. სარდაბნ ცხენის გავაზე ან საპალნეზე გარდიგარდმო დაკრული მცირე ტვირთი. 2. ხმარებისაგან გალეულ წისქვილის ზედა ქვაზე სიმძიმისათვის დამატებული ქვა. საზედაო ერულ რო გიყლევ, *სართს* დაყდებენ (თუშ. ცოც.).

### სარო:

ძვ. ქართ. **I. სარო** კვიპაროზი (თ. ბაგრატი).

**სარო** cupresus: „აღჰმართა ბოლოდ მისი ვითარცა საროდ“ (O, იობ. 40, 12). „ძეძუსა წილ აღმოგიცენდეს შენ საროდ“ (O, ეს. 55, 13). „მოვკაფე სიმალლე საროთაჲ“ (O, IV, მგ. 19, 23).

საშ. ქართ. ტანად სარო და პირად მზე (ვეფხ. 296, 2).

ანუ აილე ნიგოზი *საროსა* ორი დრამი (ფანასკ. 237, 14). სარო (სპ. სარვ) და ჭაკუნტლისა ნახარშითა დაიბანდეს ან *საროსა* ფურცელთა (კარაბ. 417, 21). უყურებ... ტანად *საროსა* მრხეველსა (ვახტ. VI, 45, 98, 3). *სარო* ვნახე მოარული, გარე ვარდი შენაკონი (ქილ. 906, 25). *სარო* თავს გამოიღებს მას სანთელი დაუშრტების (შპნ 4374, 1). ტანად *საროსებრ* აღყვავებულა! (ბეს. 118, 8).

ახ. ქართ. **სარო** [სპარს. სარვ] 1. იგივეა, რაც კვიპაროსი. რამდენჯერ ქარი შეარხევს *საროს*, იმდენჯერ მტკვარი უმეტეს ოხრავს (ნ. ბარათ.). ჯერ ხომ *საროს* ფოთლები არ გასცვევინია! (ლ. ასათ.) 2. პოეტ. გადატ. კარგად მოყვანილი, წერწეტი (ტანი). *სარო* ტანადი, ნაზად მრხეველი (გ. ორბ.). სასახლიდან გამოვიდა ყმაწვილი. „ქალი, მალალი, საროს ტანისა“ (ი. გოგებ.). 3. რაჭ. ლეჩხ. ჯავახ. მესხ.) იგივეა, რაც ლაშქარა.

**საროტანი**: გადატ. ჯელთა ჭიქით ღვინო ჰქონდა, ჯდა ყმაწვილი *საროტანი* (შპნ. II, 3203, 2).

*სარო* მალალ, წელში გამართულ ქალზე იტყვიან, *საროსტანაი*, *სეროსტანაი* (ფშ. გოგატ.).

(სპარს.) სარო, სარუ „კვიპაროსი“, გადატანით „ტანადი, სწორი აშოლტილ-ი“ (ანდრონიკაშვილი II, 1996).

დიალექტ. **II. სარო** სარო ლაშქარა (მცენარე). ბალახია ჭრილობის წამლად ხმარობენ. „გაჭრილისთუნ *სარო* კარგია, ხელათ მოურჩენს (ჯავახ. ბერ.). *სარო* ბალახი ღოლოს მსგავსი ბალახი, საჭმელად უხეშია (ქართლ. გაჩ.). მიდი, სარო ბალახი გაუგლიოჯე ჭუკიებსა, დაუჭერი და აურიე (კარალ.). ერთი „დაჩნიკი“ მყავდა, *საროს* ძირსა თხრიდა ხოლმე წამლათა (ძეგ. ქართლ. მესხ.).

ზან. სარო ლაშქარა, სარო (მცენ.) (მეგრ. ქობ.).

საშ. ქართ. **III. სარა** ან **სარო** იხ. II. სარა. და წითელ-ყვითლით ნაგებია *სარო* მეჯვად არღვენითა (შპნ. I, 1332, 3).

**IV. სარო** (მუს.) ძველებური ინდური სამსიმინიანი ხემიანი საკრავი – ა. სიხ.

**სატ-ი:**

საშ. ქართ. **I. სატი** ძვ. სათი-გიშერი. სათი-სატი, შავი ჭიქა, მბრჭყინავი გიშერი (თ. ბაგრატ.). შდრ. თმათა ნათხაზი საბლური *სათსა* ვინ შეუდაროსა? (ქილ. 315, 28).

საშ. ქართ. **II. სატი** ძვ. საჩრდილობელი – საბა. **სატები** საჩრდილობლები (თ. ბაგრატ.).

**სატი** საჩრდილობელი ბროლ-ბალახშთა შავი სათი *სატათ* ჰქონდა საბაკონი (ქილ. 906, 27). დიდებულნი დასხდნენ და დადგეს *სატები* და გამოვიდა ხვასრო ხაზართა მეფე (ამირან.).

გადატ. წამწამი. სისხლისა ცრემლსა გაეწნა შუა გიშრისა *სატები* (რუსთაველი).

**სატირ-ი:**

ძვ. ქართ. **I. სატირი** ძველებური ოქროს ფული წონით ორი დიდრაქმისა (დ. ჩუბ.). **სატირი** (ბერძნ.) ვერცხლის მონეტა: „და ვითარცა ესმა ესე აბიმელიქს, მოიღო მან ათასი *სატირი* მრჩობლი ვეცხლი“ (დაბ. 20, 14). **სატირი** დიდრაქმა. „ალთქმა ყო მოქმედთა მათ მიმართ თითოდ *სატირი* დღისა“ (მთ. 20, 2). „ვეცხლი ოცდაათი *სატირი* მისცეს უფალსა მას მათსა“ (O, გამოსლ. 21, 32).

საშ. ქართ. **II. სატირი** (ლათინ.) საკიცხავი თხზულება ლექსად ან პროზად (დ. ჩუბ.). კალამი აღარ შევახოთ *სატირსა* (დ. ბაგრატ. 950, 9).

**სატირი** ებრაული სახელი არის, ბერძულში შეტანილი (თ. ბაგრატ.). ეკ, ღმერთო, შენა ამდერე ეს ჩემი *სატყებ-სატირი* (დ. გურამ. 130, 462, 1). შდრ. სატირა [ლათ. satira] ლიტერატურასა და ხელოვნებაში – სინამდვილის ასახვის ერთ-ერთი ხერხი.

საშ. ქართ. **III. სატირი**, სატირული, სატირალი, საგლოველი – დ. ჩუბ.

სა-ტირ-ი: მიმღეობაა. ფუმეა + ტირ- ტირ-ი-ს // ძვ. ქართ. ტირ-ს ზმნის (ჩიქობავა 1942, 280).

**სატლ-ი:**

საშ. ქართ. **I. სატლი:** „სენი მუცლისა“ საბა. ერბო თუ ადულო და დაასხა სატალს, ერგების მისგან რგომა საჩინო (ქანან. 429,17). **სატლე** მუცელა: „მოსწყვდნა *სატლითა*“ (ქ. ცხ. 197, 2). **სატლობა** მუცელა, ფაღარათი. იყო *სატლობად* და სიკუდილი ფრიად სასინელი დიდი (მ. ცხ. 248, 36).

საშ., ახ. ქართ. **II. სატლი** საკიდარი ქვაბივით მცირე საბა. შდრ. **სათლ-ო** (არაბ.-სპარ. სადლ «ვედრო») ძვ. «ტოლჩა, საკიდარი ქვაბი» (დ. ჩუბ.). მეკარე გამოჩლახუნდა ეზოში, ცოცხით ერთ ხელში და წყლის *სათლით* მეორეში (ქ. ბაქრ. თარგმ.).

**III. სატლი** „ყველიერის შაბათის მეტაფრასი“ – საბა.

#### **საურ-ო:**

საშ. ქართ. **I. საური** ხარკი – საბა. 1. იხ. II. საურავი.

თქუენი ძმა ყალანდარა *საურზედ* გორგასლიშვილს ბეჟანს ახლდა (სამ. IV, 139). ჭავჭავიანიძენი სახვანთქროს *საურისაგან* შენნი ყმანი თავისუფალ ექმნა (ბეს. 207, 12).

ახ. ქართ. **II. საური**: ბალიშის პირი. ცრემლებით შევნამე ბალიშის *საური* (ი. გრიშ.).

**საური** (მთ., გუდ.) საზნის გარსაკრავი (ე. ვირს) – ალ. ღლ.

#### **საურავ-ო:**

ძვ. ქართ. **I. საურავი** განსაგებელთათვის მოვლა – საბა.

**საურავი** საზრუნავი: „ყოველი ზრუნვაჲ და *საურავი* მონასტრისაჲ მას ეტკრთა“ (ი. -ე. 30-25). უფროდსნი წიგნნი ღამით სანთლითა უთარგმნიან... ფრიადისა უცალოებისაგან და *საურავთა* (ი. -ე. 30, 35). „მოგართუამს... *საურავსა*“ (მ. ცხ. 105v).

საშ. ქართ. **საურავი** დარდი, ზრუნვა. ნუ არს *საურავი* და შიში გულსა თქუენსა (არჩ. ცხ. 31, 8). დაუწყეთ *საურავსა* ქნა (ამირან. 646, 3). განდიდნა ჭყონდიდელი ბასილი და დაიწყო *საურავი*, ვითარცა მეფემან (ქ. ცხ. IV, 223, 13).

ვის საურავი და შეჭირვება შეექნას (კარაბ. I, 77, 8).

2. სამსახური, თანამდებობა. «შენ გქონდეს ამირბარობა, ქმნა მისვე *საურავისა*» (რუსთაველი).

ახ. ქართ. **II. საურავი** გადასახადი, ჯარიმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ან კანონით დაწესებული ვალდებულების შეუსრულებლობისათვის. სავაჭრო ორგანიზაციების მუშაობის ერთ-ერთი ცუდი მაჩვენებელია დაუგეგმავი დანაკარგები, რაც... ძირითადად შედგება ჯარიმებისა და *საურავებისაგან* («კომ.»). შდრ. ურვადი, ურვათი.

ზან. საურავი, საეროზო გადასახადი სამეგრელოს მთავრისათვის, იხდიდნენ ყოველწლიურად, თითოეულ კომლს ემართა 10 შაური (მეგრ. ქობ.).

საშ. ქართ. **III. საურავი** ძვ. იგივეა, რაც სამურველი (დ. ჩუბ.).

საშ. **საურმელი** // **საურავი** საქონლის საწმენდი, რკინისა, დაკბილული (ჯავახ. ბერ.). **საურველი**, **სამურველი**. სამურველი ცხენის საწმენდი რკინისა, დაკბილულია (ქიზ. მენტ.). **საურმელი** // **საურავი** საქონლის სა-



წმენდი, რკინისა, დაკბილულია) (ჯავახ. ბერ.). **საურმელი, სამურველი** (თონ., დვალ.). **საორველი** სამურველი (ლოლოვ. ქართლ. მენტ).

ქართულ ურ-ძირს კანონზომიერად შეესატყვისება სვან. ურ-. ძველ ქართულში დადასტურებული საურველი მიმდებარა ჩანს, რომლის საფუძველზეც რეკონსტრუირებულ \*ურ – ზმნურ ძირს, „განაყოფიერების“ მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა \*ურავს თესლავს, ანაყოფიერებს – **საურველი** სა-თესლავი, სათესლე. ახალ ქართულში დაურვება ზმნას დამორჩილების მნიშვნელობა აქვს. სვანურს კი ხელუხლებლადად დაუცავს ამოსავალი სემანტიკა (კელაურაძე 2013, 18).

### საფირ-ი:

საშ. ქართ. **I. საფირი** (არაბ.) ფრინველი მგალობელი – დ. ჩუბ.

ახ. ქართ. **II. საფირი** საფირონი. საქალებოს ჭერში *საფირის* მტრედები იყო ჩასმული (ნ. ლორთქ.). მოგონებები ატოკებს... თვალ-მარგალიტებს, *საფირებს* (გ. ტაბ.).

საფირი < საფირონი [ბერძ. sappheiros] ლურჯი ან იისფერი ძვირფასი ქვა; ლურჯი იაგუნდი. [სასახლის] კედელ-ყურენი ოქრო-ვერცხლით არის მოჭედული და შიგ ჩასმულია იაყუთი და *საფირონი*, ბივრილი და ლაჟვარდი (შ. დად.). პირბადე ევარება ცისფერ *საფირონს* (კ. ჭიჭ.).

### საღ-ი:

საშ. ქართ. **I. საღი** საყი, მწდე, მერიქიფე, ღვინის დამსხმელი – საბა. შდრ. II. საყა.

საშ., ახ. ქართ. **II. საღი** (ოსმ.) ჯანმრთელი ხელუხლებელი – დ. ჩუბ.

**საღი** [თურქ. საღ] 1. ჯანმრთელი, დაუავადებელი. შხამი... რამდენსამე წამს *საღ* ადამიანს სიცოცხლეს გამოასალმებს (ი. გოგებ.). || გაუფუჭებელი, დაუზიანებელი; ვარგისი. აღებ-მიცემობის დედა-აზრი არის, რაც შეიძლება იაფად იყიდო *საღი* საქონელი და პირნათლად გაყიდო (ვ. ბარნ.). || გადატ. ჯანმრთელობისათვის სასარგებლო, მოსახდენი; სასიამოვნო. გლეხს უნდა მიწურიდან ამოძვრეს, მზე დაინახოს, *საღი* ჰაერი ყლაპოს (ილია). 2. გადატ. მთელი, უზადო, არამანკიერი, ჯანსაღი. მაგრამ გულითა *საღნი* ვიყვენით, გვეფასებოდა ერთურთი მაშინ (ვაჟა). 3. გადატ. სწორი, მართებული; გონივრული, კეთილგონიერი. რა თქმა უნდა, ამას გვეუბნება *საღი* ლოგიკა და ისტორიული საბუთები (ნ. ლორთქ.). || წრფელი, გულწრფელი. შენით დამემართა ეს, რაც ჩემს თავზე ბედნიერების დღეა მოწვენილი, ... *საღი* გულით ეუბნებოდა იერემია (გ. წერეთ.). **საღად** ზმნს. 1. ჯანმრთელად. თითები აღარ მომყვება – გული არ არის *საღად* (ვაჟა). უგუნებობას სჩიოდა, *საღად* არ იყო ვითამა (ბაჩ.). 2. გონივრულად, ჭკვიანურად, სწორად. მეორე დილას დასვენებული სხეულით და გონებით უფრო *საღად* შეხედა გარემოებას (შ. არაგვ.).

**საყა:**

საშ. ქართ. **I. საყა** ჩიტი – დ. ჩუბ.

საშ. ქართ. **II. საყა** (არაბ.) წყლის მზიდავი – დ. ჩუბ. შდრ. I. საღი.

**სახანო:**

ძვ., საშ. ქართ. **I. სახანო** ხანის ადგილი, ორს კედელს საშუალოა, კაც-მა(ნ) გაიაროს ZA. დ ა ნ ი ე ლ მ ე ს ვ ე ტ ე: "შესხდეს სახანოთა მდევართათვის და განერეს" – საბა. შდრ. II. ხანი.

საშ. ქართ. **II. სახანო** ხანის სამთავრო, ქვეყნის ის ნაწილი, რომელსაც ხანი მართავს. ბაბა-ხანი შუშისა და განჯის *ხანებს* ზედ მისეოდა. მათი *სახანოების* დაპყრობა უნდოდა (ილია). გრიბოედოვი ეწვია [აბას-მირზას] და ერევან-ნახჭევნის *სახანოების* დათმობა... მოსთხოვა (მ. ჯავახ.).

**სახელი-ი:**

საშ. ქართ. **I. სახელი** (ხელის გასაყრელი ნაწილი ტანისამოსისა, სახელი): ასმათ მისცეს, მიუძღვების, დაუჭირა *სახელია* (ვეფხ. 1653, 3). ხელითა ცრემლსა უწურავს, თვალსა ავლებდა *სახელსა* (ვეფხ. 871, 1).

ძვ. საშ., ქართ. **საჯელი** სახელი: „დავმაღე *საჯელსა* შინა ჩემსა“ (ლიმ. 113, 7). „იყო განხეულ... *საჯელითგან*“ (Sin. – 154r). გაყრის ქუა ჟამსა მბრუ-ნავსა შიგა უტვირთავს საჯელსა (ქილ. 240, 23).

დიალექტ. **საჯელი** სამოსის სახელი. „ვინ შეხვედ კვიტანის მთაზედ, ვინ შეზმარ ჯაჭვის *საჯელი* (თუშ ცოც.). **საჯელ-ქუროი** სკლატის ფერადი ზოლებისაგან შეკერილი და სხვა სახეებით დაქარგული ქალის კაბის სახელოს წინა ნაწილი. **საჯელქურო** ტყავკაბის საჯლის გარეთ ჩინდის საკობ-ტავისად (თუშ. ცოც.).

საშ. ქართ. **II. სახელი** ნურადინ ფრიდონ სახელ მძეს (ვეფხ. 600, 2). იხ. II. ხელი.

2. **სახელი** სასახელი: ვინათგან *სახელიცა* ეგეთი არის – მაღალი თავსა დაიმდაბლებს, ესე მისთუის გიკადრებიათო (ამირან. 198, 3).

ახ. ქართ. **სახელი** 1. სიტყვა, რომელიც აღნიშნავს ვისმე ან რასმე; რაც ჰქვია, რასაც უწოდებენ ვისმე ან რასმე, – სახელწოდება. ადამიანს მჭადის *სახელი* დაავიწყდაო (ანდაზა). კესანე ყვავილის *სახელია* (ჭ. ლომთ.). || რასაც ყოველ ცალკეულ პიროვნებას, ინდივიდს უწოდებენ სხვებისაგან გამოსარჩევად. ახალდაბადებულს *სახელი* დაარქვეს. – *სახელი* ჩემი სოლომონ, გვარი – მეჯღანუაშვილი (ლ. არდაზ.). ათანასემ მოწმობებზე ხელის კანკალით თავისი *სახელი* და გვარი მოაწერა (ე. ნინოშ.). 2. პატივი, დიდება, პატივისცემა. *სახელი* სჯობს ქონებასა და უფლებსა – მონებასაო (ხალხ.). || დაფასება, რეპუტაცია. კარგი სახელი დაიმსახურა. ◊ სახელს გაითქვამს, გაუთქვამს (სახელის განთქმა) 3. გრამატ. ბრუნების მქონე მეტყველების ნაწილთა საერთო სახელწოდება. ◊ არსებითი სახელი ტრადი-

ციული გაგებით – მეტყველების ნაწილი, რომელიც აღნიშნავს საგანს ან მოვლენას; უპასუხებს კითხვებზე ვინ? რა?  $\diamond$  ზედსართავი სახელი იხ. ზედსართავი.  $\diamond$  რიცხვითი სახელი იხ. რიცხვითი.  $\diamond$  ვისიმე სახელზე 1. ვისიმე პატივსაცემად; საკუთრებად ვინმესთვის. ერთი ღვეზელი ესმას *სახელზე* იყო გამომცხვარი (გ. წერეთ.). 2. ვისიმე მისამართით. «ნესტორ! ... შენ სახელზე დეპეშა» (ს. კლდ.). იხ. აგრეთვე: სახელი (ხევს. ჭინჭ.).

გ. კლიმოვა საერთო-ქართველური ფუძე-ენის დონეზე აღადგინა \*ძ,ახ- და \*ძ,ახე-არქეტიპები (ფენრიხი, სარჯველაძე 2000). შდრ. I. სახელო.

სიტყვა სახელი-ი ნაწარმოები უნდა იყოს არა ძახ- ძირზე -ელ სუფიქსის დართვით, არამედ სა-და-ელ აფიქსებით, მისი ამოსავალი ძირი კი უნდა იყოს არა ძახ, არამედ ხმიანობის გამომხატველი ხ- ძირი, რომელიც დასტურდება ხ-ევ-ა მახი-ობელ- მე-ხ-ურ და მე-ხ-ელ ფორმებში (კობაიძე 2014, 46).

ძვ. ქართ. **III. სახლი, სახელი** «ვანი», «ტამარი», სავანე, სასახლე, ოთახი, სენაკი, «სახლეული»: „ღმერთმან დაამკვდრნის ერთს ხენი *სახელსა* (სახლსა ო)“ (ტ, ფს. 67, 7). „**შ** რომელი ანგაჰრებდეს ანგაჰრობასა ბოროტსა *სახელისა* თვისისა“ (ო, ამბ. 2, 9).

### სახელო:

საშ. ქართ. **I. სახელო** თანამდებობა. მყავს მოხელენი მრავალი მაგ *სახელოზე* თქმულობით (ვახტ. VI, 95, 182, 2).

მისის *საქელოს* შოვნისათვის სწავლის სიტყუებს შემოიღებენ (ქილ. 230, 5).

ძვ. 1. მოხელის თანამდებობა, წოდება. მიწყალობეს მათ *სახელო*, მომცეს ჯაბადარბაშობა (დ. გურამ.). მეფედ გავხდები..., შენ მე მახლდები, ერისთავობას მოგცემ *სახელოს* (გ. ლეონ.). 2. ვისაც ან რასაც მოხელე განაგებდა, მოხელის განკარგულებაში მყოფი. [მოურავს] მისი *სახელო* კაცნი გაუმტერდნენ (საბა). [მომრიგებელ მოსამართლეს] თითონაც გული უნდა შესტკიოდეს, რომ უწესობა, ურიგობა არ იყოს მის *სახელოში* (ილია).

**II. სახელო** ტანსაცმლის ნაწილი, რომელიც ხელს, მკლავს ფარავს მთლიანად (მაჯამდე) ან ნაწილობრივ. – მიხიას ვიღაცის... ხალათი აცვია; გრძელი *სახელოები* გადუკეცნია (თ. რაზიკ.). *სახელო* თითქმის ფარავდა იაგუნდჩასმულს ოქროს პრტყელ სამაჯურს (ნ. ლორთქ.). 2. ტექ. მილგაყვანილობის ერთ-ერთი განშტოება. გამგრილებელი მილგაყვანილობა შედგება ორი სახელოსაგან, თითოეულში 4 მილით («მეფრინველ.»).

### საჯ-ი:

საშ. ქართ. **I. საჯი** [სპარ. საჯ] ურთხელი.

საშ. ქართ. **II. საჯი** ტაფა (ირან. საჯ) მანამდისი აბრუნონ ამა საჯზედა, რომე დაიწვას ეს გავანის ძირი (იად. 409, 2). ჯილად ქვაბი, ყამჩად ბარი, ამბარჩებად *საჯებია* (თეიმ. I, 39, 69, 10).

გაზით დაგლიჯეს ძუძუნი, დადვეს მხურვალე *საჯები* (თეიმ. I, 38, 66, 2). გაჭურვებული *საჯები* ნაგლეჯს ჯორცზედან შემოაწყყეს განჭურვებულის გაზებით დაგლიჯეს ძუძუები (ქ. ცხ. II, 402, 2).

ახ. ქართ. **საჯი** [სპარ. საჯ] პურის საცხობი ჭურჭელი, ტაფა. საჯი თუჯისა კეთდება. *საჯს* პურის საცხობად ხმარობს მომთაბარე ხალხი და განსაკუთრებით მწყემსები («შინამრეწვ.»).

დიალექტ. **საჯი** დიდი ტაფა (ფერეიდ. ჩხუბ.).

**საჯი** სწორი აგური, რაზედაც მეცხვარე ფათილეს აცხობს (მთ. კაიშ.).

**საჯი** თუჯის კეცი. კოტორ მემრე-დ მემრ ვაცხვიდით *საჯში* თვარ მანამდინას სიპის კეცებ გვეკონდის (თუშ. ცოც.). აგრეთვე (აჭარ. ნიჟ., ქიზ. მენტ., მესხ. ფეიქრ.).

**საჯი** // **საჯი: საჯის დაქოლვა**: საჯს, გამოცხობის დროს პური რომ არ დაწვას, ქვედა მხარეზე წლით აზელილ ნაცარს გააკრამენ, ამას დაქოლვას უწოებან საჯის პური // ბაზლამა საჯზე გამომცხვარი პური (ჯავახ. ზედგ.).

საშ. ქართ. **III. საჯი** მუცლის ყვანა, სისხა. სხვა მუცლის ყვანისა რომე *საჯი* ჰქვიან, ნიშანი მისი, რომე საღვიძლე ხელი გაუხსნას და სისხლი რომე გამოვიდეს მისგან ღვიძლისა ზიანი დაემართოს (ქანან. 320, 1).

საშ. ქართ. **IV. საჯი**: სარკინოზნი *საჯნი* (ქ. ცხ. IV, 559, 23). ამისვე ჟამსა მოვიდნენ სარკინოზნი, რომელთა უკმობდნენ *საჯობით* ქ. ცხ. IV, 134, 7).

### სელ-ი:

საშ. ქართ. **I. სელი** სკამი-შესაკრავ-გასახსნელი (საბა). მონამან *სელნი* დაუდგნა (ვეფხ. 124, 3). დასუა პატივითა ტახტსა თანა *სელითა* (ქ. ცხ. II, 43, 15). საჯდომები დიდებულთ-ეგრევე *სელეები* ოქროსა (ამირან. 122, 19). კვლა გარეგდეს მათით წესით, სად სასხდომად ესხნეს *სელნი* (ნ. ციგ. 650. 1344, 1). ოქროს *სელზედა* დასხდეს (შპნ. III, 256, 1). სიტყუამეცნიერნი მცოდინარენი მისის მოკმარების *სელთა* ზედა ისხდენ (ქილ. 204, 5). ცრემლნი მიმდის უფრო მისგან, რა *სელი* ქნან განახადად (ვახტ. VI, 32, 23). მოვიდენ ყოვლნი თავადნი, დასხდეს მის წესით *სელეებსა* (არჩ. 518, 1). დასხდეს ხელმწიფენი ტახტსა ზედა და დიდებულნი ოქროსა *სელეებსა* და შემოიწვივნეს ელჩი (რუსუდ. 375, 18).

ახ. ქართ. || ძვირფასი სკამი, სავარძელი. დაბრძანდი მამაო! უბრძანა ერისთავმა და მიუთითა *სელზე* (აკაკი). კახაბერსაც ოქროს *სელი* მიართვეს და ისიც მძიმედ ჩაჯდა (შ. დად.). დიალექტ. *სელზე* (ორთვლიან მარხილზე) დაჭვირთვენ (დატვირთავენ) (ზ.-აჭარ. კობერ.).

იხ. სელისმქსოველი, სელისმრთველი, სელიერი – ილ. აბულ., ზ. სარჯ.

**სელი** ბორბლებიანი მარხილი. „ამასა სელი ქვია, ჯარის არაბა (იმ., ჩვენ. ფუტკ.). **სელი** იხმარება თივის საზიდათ, როგორც აღმართში, ისე დაღმართში (აჭარ. მრეწ. IV, II, 150).

ს.-ქართვ. \*სელაჲ „ბორბლიანი მარხილი“ > ქართ. სელი: ზან. სალ-ი < \*შალი: სვან. საჲ || სეჲ < \*შელ (ჩუხუა 2000-2003).

ძვ. ქართ. **II. სელი** კანაფი, ტილო linum: „შეიმოსის მღდელმან მან სამოსელი *სელისაჲ*“ (M, ლევიტ. 6, 10). „მატყელი და *სელი* შერთულად მოქსოვილ იყოს“ (pb., II, შჯ. 22, 11). „იყიდოს *სელი* ჯელთსაქმარად“ (მ. ცხ. 166r).

**სელიერი**: „დაწუას სამოსელი, ანუ საგუასლი, ანუ ფესვ, ანუ მატყლიერთა შინა ანუ სელიერთა“ (G, ლევიტ. 13, 52).

ახ. ქართ. **სელი** [linum usitaissimum] ერთწლიანი, ცისფერყვავილებიანი და კოლოფა ნაყოფიანი მცენარე; აქვს პრიალა, ბრტყელი, ზეთით მდიდარი თესლი, რომლისგანაც ზეთს ხდიან, ხოლო ბოჭკოსაგან ამზადებენ ქსოვილს. საქართველო, მეტადრე დასავლეთი, კოლხეთი, განთქმული იყო თავისი *სელის* ქსოვილებით (ივ. ჯავახ.).

სელის წარმოება და სელის ქსოვილების დამზადება ჩვენში ადრევე იცოდნენ და იმგვარი ხელოვნებით აკეთებდნენ, რომ საზღვარგარეთაც სახელმოხვეჭილი იყო „კოლხური სელის“ ნაწარმი (მესხია III-IV, 1982, 88).

დიალექტ. **სელი** ქუმელი, „კედი, კანაფის ძაფი“ (ა. შან.). 2. კანაფის ტამპონი. [აქიმი] მერე დაღეჭავდა კანაფის თოკის ნაპირს, დამრგვალებულ „*სელეებს*“, მარილში ამოათრევდა და ჯმალკათი მაგრად ჩაჭედავდა ჭრილობაში (სტმასკ. 70, 24). ნაჭრევი *სელის* ჩადება იცოდნენ აქიმებმ (ხევს. ჭინჭ.). **სელი** ერთწლიანი ბოჭკოვანი მცენარე, რომლისაგანაც ღებულობენ სელის ძაფს (აჭარ. ნოდ.). ჩემ საყოლში ვიცოდი *სელის* ქსოვა და აქ არც ქე მიქსოვია. გეზრულში ახლაც თესენ სელს. სელს დათესენ მარიობისთვეში. კვირიკობისთვეში უნდე ევილოთ (ზ.-იმერ. 167, მრეწ. II, II, 1982). *სელის* ნაქსოვი კანაფის ნაქსოვივით კეთდებოდა, განსხვავება არ იყო (ლეჩხ. მრეწ. II, II, 1992). *სელის* დრაფისას პალტოებსაც ვიკერავდით ხოლმე და დრაფის პალტოებს ვეძახდით (შ. კახ. მრეწ. III, I, 1983). სელს როგორც პურს, ისე ვთესავთ (ზ. ქართ. მრეწ. IV, II, 193).

**სელი** სელის ბოჭკოსაგან მოქსოვილი საფენი. იმედა გადაეხვია, მერე ჩამოსხდენ *სელზედა* (ბ. 411, 13) – ივ. ქეშიკ.

სკამს, რომელსაც დასაჯდომი დაწნული ჰქონდა *სელისაგან*, ვეძახოდით სელის სკამს ზან. (ქვ. სამეგრ. მრეწ. I, 451).

\*სელ არქექტიპი ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისათვის აღადგინა გ. კლიმოვმა (ფენრიხი, სარჯველაძე 2000).

ახ. ქართ. **III. სელი** (არ.-თურქ.) სელი (< არაბ. საილ – ღვარი, წყარო) ღვარცოფი, მრისხანე სტიქიური მოვლენა, ქვატალახოვანი ნაკადი – ა. სიხ.

**სენ-ი:**

ძვ. ქართ. **I. სენი** სნეულება, ავადმყოფობა: „განჰკურნებდენ ყოველთა სენტა“ (C მთ. 10, 1). „სენითა საემშაკოდთა არნ სნეულ ესევითარი“ (ტიპ. 15, 6). „მჭირდა სენი ძუძუსა“ (მ. ცხ. 425r). „ნიკრისისა სენს შთავარდა“ (ი. -ე 24, 25). „დაჰკსნის სენტა სიმძაფრე (წამალმან)“ (მ. სწ. 61, 35).

საშ. ქართ. სენი მე მჭირს რაცა ჭირად (ვეფხ. 127, 4). მოთმენა მივამს ურვისა ამა გულისა სენისა/დ/ (ქილ. 482, 28). მით სენიცა შეედევა ბოროტი, მიკრისი, ჰელთა და ფერჯთა, და უქმარ იქმნა (ქ. ცხ. II, 317, 8). თუ ომსა და ბრძოლას შიგან დავიჯოცებით, და თუ თავისა სენითა – ეგრეცა ვერ მოვრჩებით სიკვდილსა (შჰნ. II, 432, 23). უკუმყროდეს... გულისა სენი (ნ. ბარ. 14, 6). რამცა ვთქვა მიზეზი კვლაცა სენისა? (ნ. ციც. 701, 162, 5). სოფლის საქმით შექცეულნი სიმთელით და ზოგნი სენით (არჩ. 351, 106, 3). არ იყო სენისა მისისა მეცნიარება (რუსუდ. 25, 19). ღმერთმან ასეთი რისხვა მიუვლინა იმ შაჰაბაზს, რომ ხუთს წლამდინ სნეულობით იტანჯებოდა, და მერე მუცლის სენი დაემართა (კალმას. 94, ქვ. 6).

ახ. ქართ. სენი ჯანმრთელობის დარღვევა, – ავადმყოფობა. ეს სენი ჯერ ტასოს გამოაჩნდა მუწუკებად (ე. ნინოშ.). ყოველთა აქიმთა უკვირდა მისი სენი (საბა). || ფიგურ. „კმაყოფილება კაცის მომაკვდინებელი სენია“ (ილია).

დიალექტ. სენ ჩირქისმაგვარი სითხე, რომელიც დაავადებულ აბრეშუმის ჭიას სდის. სენ ბაყლივი რამი (ჩირქივით რამაა), ამმა ბაყლ სხომს (მაგრამ ჩირქი სხვაა). სენ ყუთორლ ფერზედა (ყვითელი ფერისაა). 2. დაჩირქებული ჭრილობიდან ჩამონადენი სითხე. ძერეც (იარები) ნუმ სკდეც ინსანზე, ტყროვის, ამბოვენ; სენ ჩომოდის ძერაჲ შიგაძთავ (ინგ. ღამბ.).

**სენი** საშინელი. ჳმა მეტად სენი ზდებია, საელდო, საზიზღარია (ფშ. ცოც.).

**სენი** საწყენი, სალანძღვი (სიტყვა). უფერ აღარა მამწერა არ გამაღრივა სენია! (ბ. გაბ. 1 56, 3) – ალ. ჭინჭ.

**სენი** 1. სნეულება, მძიმე გადამდები ავადმყოფობა. იმ გაქცევებზე სენი გაჩნდა, იმით ზოგი ოჯახი თითქმის სუ ამოწყდა. 2. გადატ. მეტად ავი, გამაღიზიანებელი (ადამიანი) ეგ ხო სენია, ისეთს იტყვის, რო გულზე გაგხეთქამს. სენის გასახვა გაჯავრება, გულზე გახეთქვა. ისრეთი ლაპარაკი დაიწყო, რო სენი გამისახა, მეც ვერ მოვითმინე და... “ სენის მოგვრა იგივე სენის გასახვა. ისრე სენი მამგვარა, რო კინალამ რაღაც დავარტყი (ჯავახ. ზედგ.).

შდრ. სენია ადამიანი, რომელიც საწოლში შარდავს (სვან. ლიპარტ.).

ძვ. ქართ. **II. სენი** საგანძური: „განულო მათ (ღმერთმან) კარი წყალობისაჲ და სენი იგი დაუნჯებული და სიხარულით იწყეს ღალადებად: საფასე გჳპოვნიეს“ (მ. სწ. 314, 15). შდრ. I. სენი.

**სენა:**

ძვ., სამ., ახ., ქართ., დიალექტ. **I. სენა, სენაკი** „საუნჯე“; ბერის სადგომი; ქობი: „შევიდა ეპიფანე სენასა თვსსა“ (საკ. წიგნ. 114, 18). **მოსენა** სენაკში მცხოვრები ბერი. „მოსენათადა გაეწესა წმიდასა მამასა ჩუენსა“ (ი. -ე. 45, 1). „მოველი სენად“ (ქილ. 697, 22).

ახ. ქართ. **სენა** (ხევს. მოხევ.) სახლში სამეურნეო დანიშნულების სათავსი, სადაც ინახავენ რძის ნაწარმს და სხვა სურსათ-სანოვარებს. [ქალეზის] ხმა მოისმოდა სახლის უკანა კუთხიდან, სადაც სენა იყო გამართული (ა. ყაზბ.).

დიალექტ. **სენა/სენე** რძის შესანახი სპეციალური სათავსი, სახლზე მიშენებული სპეციალური ქობი. [გაგამ] დილღველს ახგლიჯა ხანჯარი, იმასავ დასცა გულზედა, მეორეს გადაუბრუნდა იმავ სენაის კარზედა (ხევს. პოეზ. 80,9). ცარიელი აქვ სენაი, ნაწვალა უდგა ღომისა (ალ. ოჩ. 70, 4). ზოგან სახლთან რძის ნაწარმისათვის ცალკე გადატიხრული ოთახიც აქვთ, რომელსაც სენეს უწოდებენ (ს. მაკალ. 131, 20). 2. ბეჭის ერთ ადგილას, რომელსაც „სენას“ უძახიან, ემჩნევა საქონლის ნაწველ-ნადღვების ბედი. ბეჭის სენაზე თუ შავადაა ნიშანი, ეს კარგია ბევრი ერბო-ყველს ნიშნავს თუ სენას სინათლე გასდის: თხელია სენა ცარიელია და ერბო-ყველი ცოტა ექნება ოჯახსო (მ. ბალ. ნ. მაკალ. 6, 81) (ხევს. ჭინჭ.).

სენა იმას ერქო, საცა უხდურს (ყველი, ერბო) და საჭმელებს და არა თუ იმისთანა იარაღებსაც ინახამდენ. რიგიანი ოთახისოდელა იყო სენა (ხევი მრეწ. I, 196). სენცაი მიწური სახლის წინა ნაწილი, რომელიც შუშა-ბანდის როლს ასრულებდა. „ზამთარჩი, სენცაჩი უნდა დეგვერტყა თოვლიანი ტარავალი და მამრელა შავიდიდით შინა (მოხ. ლუდ.)

ს.-ქართვ. \*სენ- „განჯინა, წალო“ > ქართ. სენა ||სენე: სვან. სენაჲ > სანჲჲ (ჩუხუა 2000-2003).

ზან. **სენა სენა**, ოთახი (მეგრ. ქობ.).

სენაკი, ძველად სახლის შემადგენელ ერთეულსაც ერქვა და ცალკე მდგომ მცირე სახლსაც, მისივე ძიებით XI-XII სს-ში ის ბერის სადგომ ბინას, საცხოვრებელ ოთახს ეწოდებოდა მხოლოდ (ჯავახიშვილი 1946, 18-19; 23-24).

დიალექტ. **II. სენა** სცენა. – რა დროის ჩემი სენაზე გამოსვლაა ახლა, დავბერდი კაცი (რაცხ. გურ.). შდრ. სცენა [ლათ. scaena < ბერძ. ] –1. თეატრალური წარმოდგენისათვის განკუთვნილი მოედანი – ქველ.

**III. სენა** [ლათ. Sena] კასიას გვარის მცენარეები, რომელთა ფოთლები გამოიყენება როგორც სასაქმებელი საშუალება (ე. წ. ალექსანდრიული ფოთოლი) – ს. თეზ.

**სენე:**

დიალექტ. **I. სენე** იხ. I. სენა. ზოგან სახლთან რძის ნაწარმისათვის ცალკე გადატიხრული ოთახიც აქვთ, რომელსაც *სენეს* უწოდებენ (ს. მაკალ. 131, 20).

დიალექტ. **II. სენე** (თ. სენე) წელი, წელიწადი: „ონ სენე იყო მუხტარი“ (ჩაქ. შავშ.). სენე წელი, წელიწადი (იმერხ. ფაღ., ცინც.). სენე (თურქ. სენე) წანა ზან. (ლაზ. თანდ.)

**სერ-ი:**

ძვ. ქართ. **I. სერი** ვახშმის უკან დაწოლის დროს ჭამა (დ. ჩუბ.). **სერი** ვახშამი: „ვჭამო მის თანა სერი“ (გამოცხ. 3, 20). **სერი** საკვები: „ცად-კაცად-მან თვის იგი სერი წინაძსწარ წარიღის ჭა“ (I კორ. II, 21CD). „მოუმზადა მათ სერი და უქმნა მათ უცომოდ“ (დაბ. 19, 3.).

საშ. ქართ. მოართმიდენ სანოვაგესა სამჭრისა და *სერისასა* (ქ. ცხ. 492, 14).

სერი („პურის ჭამა“) დიდად სახელოვნად *სერითა* ისტუმრნა (ქ. ცხ. 140, 7). მე ესრე მგონი, შენ რომ *სერად* საწვევრად გაამზადო, მან საუზმედ უადრეს გაჭამოს (ქილ. 334, 32). სერი (სპ. სერ) გამძლარი გაძლომა, ვახშამი. მისსა ხორცსა ზედან ნადირთათვის *სერი* დამეგო (ყარამ).

ახ. ქართ. **სერი** ძვ. „მიმწუხრი საზრდელის მიღება“ – საბა. სადამო ჟამს პურის ჭამა, – ვახშამი. || საერთოდ, პურის ჭამა, ნადიმი, ლხინი. და-პატიჟა კუნწულელი თავის დიდებულებითა, სერი უმზადა ისეთი, არ ენახა თავის დღესა (ხალხ.).

სერობა რელიგიური დღსასწაულია ფშავში. „სერობას ეძახიან, მაღლა მთაში არი ერთ ნიშ გაკეთებული (ფშ. ცოც.).

შუმ. სარ „(ღამის, დაბნელების) დაწყება – ქართ. სერ- (< \*სერ-) ღამე (გორდეზიანი 1985, 48).

ს.-ქართვ. \*სერ- „ღამე, ვახშამი“ (ჩუხუა 2017).

საშ. ქართ. **II. სერი**: სერს გამოვიდა, ნადირობდა (ხოსრ. 61, 25).

ახ. ქართ. **სერი** 1. სერი „მოგრძე გორი“ – საბა. მთა, ქედი. სერი მოგრძოდ წამოზიდული გორა. გავიხედნე *სერზედაო*, ბატონი ზის ცხენზედაო (ხალხ.). აღმართ-აღმართ მივდიოდი მე ნელა, *სერზე* შევდექ, ჭმუნვის ალი მენელა (აკაკი). მე და დედაჩემი, აგერ ტყიანი *სერი* რომ წამოწოლილია,... იქ ვცხოვრობდით (ვაჟა). ნარიყალას *სერის* წვერზე ორი ათასი წლის ციხეა გაშენებული (მ. ჯავახ.).

დიალექტ. ფერდა ადგილის მიწებს კი ფერდი(ს) მიწებს, *სერი (ს) მიწებს* (კლდ.) ან სერების მიწებს ეძახიან (ფარცხ.) (ალგ. სალ.)

**სერი-სერ** მთა-მთა, გარე-გარე, აღმა-დაღმა სიარული. რა *სერი-სერ* დადიხარ, ერთი გამაია ჩვენთანაც, გვნახე, მოგვკვდით თუ დავრჩით! „მაგ ქალ ასრე *სერ-სერ* რო დაატარამ, ცოდო არ არი?!“ (ჯავახ. ზედგ.).



დიალექტ. **III. სერი** 1. ნაჭდევი შინაური პირუტყვის ყურზე (იმის ნიშნად, თუ ვისია). მგელმა ცხვარი მოიტაცა, «ჩემი *სერისა* იყო» (ანდა-ზა). ეს ცხვარი უნდა გაერია შალვას ცხვარში და საკუთარი *სერი* დაედო («დიალ.»).

საერთოდ: ნიშანი, ნაჭრილობევი. მაშინ რო იჩხუბა იქ, სერიც დაადეს, ეხლაც ეტყობა წარბ ზემოდან (ჯავახ. ზედგ.). აგრეთვე: (ზ.-აჭ. კობერ: თუშ. ცოც., მოხ. ქავთ. ხევს. ჭინჭ.).

2. **სერი** (ჩვილთითა) ფოთოლს სერები ჰქონდა“ (ქართლ. „შინამ-რეწვ.“). ქართ. სერი, დასერვა, დასერილი, ქსნის ხეობ. სრ-ე (< სერ-ე) „გრძელი ზოლი, რომელსაც თიხის ჭურჭელს გარს ავლებენ“, ფშ. სრ-ელ-ა გარდიგარდმო ზოლი. ს.-ქართვ. \*სერ- „დასერვა; ფართო გრძელი ზოლი სერი > ქართ. სერ-, სერ-ი, სრ-ე, სრ-ელა: სვან. შარ-// შწრ- < შერ-V (ჩუხუა 2000-2003).

არაბულსა და სპარსულ ენებში არის ლექსემა – [სერ // სერრ], რომელიც ნიშნავს – საიდუმლოს. ნიშანი, რომელსაც ცხვარს ყურზე დაადებენ“, როგორც ეს ახსნილია ქართულ ლექსიკონებში, საიდუმლოების მატარებელი უნდა იყოს. შესაძლებელია, ქართული სერი და არაბულ-სპარსული [სერ // სერრ] ერთი და იგივე ლექსემები იყოს (ზართაია 2010, 180).

3. **სერი** გადატ. შესახედაობა, გარეგნობა კი, რო ღვავ, *სერ* სუ მამისარ აქვ მაგას (გ. დოლ. 20, 18). აღარ მოგვიხვედ სტუმრადა, *სერი* დაგვცილდა ყველასა (ბ. გაბ. 268, 9; ხევს. ჭინჭ.).

**სერა:**

ახ. ქართ. დიალექტ. **I. სერა** ქოთნის პირის მოსაკრავი (ჩვეულებრივ, ფაშვი). [თათარამ] მხერა შეაჩერა სადღვებელზე, ყურზე რომ *სერას* მოსაკრავი ბაწარი ება (გ. ბუთხ.). შდრ. III. სირა.

საქონლის ფაშვის ანამრობი ზედაპირი ან ბეწვგაცლილი ცხვრის ტყავი, რომელსაც სადღვებლის ან ქვევრის პირმოსაკრავად იყენებენ, კაცის სახელიცაა (ფშ. გოგატ. 163). აგრეთვე: (მოხ. ქავთ.).

საშ. ქართ. **II. სერა** ქოთნის პირის მოსაკრავი – დ. ჩუბ. ს.-ქართვ. \*სერა // სირა „ქსოვილი მოსაკრავი“ > ქართ. სერა: სვან. სგჷირ || სგურ (ჩუხუა 2000-2003).

დიალექტ. **III. სერა** (თურქ.) ორანჟერეა, სათბური. „ზათი *სერა* არ იყო (ინ., ჩვენ. ფუტკ.).

**სვე:**

საშ., ახ. ქართ. **I. სვე** ბედი, ბედისწერა. *სვე* მათი გააძლიერეს (ვეფხ. 1616, 2). *სვევ*, შენდა შენთა ეგრე განმწვრთელთ სარგანი ყელთა! (ბეს. 72, 3). მათმან *სვემა* და სოფელმა სხვა რიგად რამ მოაგვარა (დ. გურამ. 93, 219, 3). უთქუამთ, ერთსა ყაპუზუნასა *სვე* აუმაღლდა (ქილ. 301, 32).

**სუე** ბედი, ბედნიერება. ბედმან და *სუემან* თამარისმან (ქ. ცხ. II, 38, 21). **სუე-სრული** სრულყოფილი. მოვიდა თამარს *სუე-სრულსა* და ნათელ-ბრწყინვალესა წინაშე (ქ. ცხ. IV, 39, 11).

სიმაღ ავიღე კალამი, ჩანგით მივმართე წერასა და შევეურთე ჩემი *სვეც* გლეხების ბედისწერასა (აკაკი). სრულსა და კარგად მყოფ ბუნების კაცსა მძიმედ აწევს გულსა *სვე* სამშობლო მამულისა (ილია).

**სუე** მშობიარობის წინა მუცლის ტკივილი. სუე უვლის (ა. კ.) (მოხ. ქავთ.).

ს.-ქართვ. \*სუე-ე „ბედი; დარდი“ > ქართ. სუე-ე || სვ-ე : სვან. შუ-ა (<\*შუ-ა) (ჩუხუა 2000-2003).

ახ. ქართ., დიალექტ. **II. სვე** მიწის ნაკვეთი ყანის, ვენახის სიგრძეზე, რომელსაც მიწის მუშა ერთ ჯერზე ამუშავენ (ხვნის, თოხნის, ბარვის, მკის, თიბვის... დროს). ცხენი ხარზე უფრო ადვილი მოსახმარებელია და ამის გამო სამკალს მთელს *სვეს* გაატანინებს კაცი (ილია). მესვეური განით უდგება *სვეს*; გამეტებით მიიწევს წინ და კონებს კონებზე აწყობს (მიხ. მრევლ.). «სადილობამდე ეს *სვე* როგორმე ავიტანოთ!» (უიარ.).

ერთი *სვე* დაგვრჩა მოსაკრეფი“ (ქვ. ლეჩხ. დერჩი) – ლ. ასათ. მკაში ფშავში მესვეურებს თან მიჰყვებოდა ახალგზრდა მკონავი და ასე ახალისებდა: „აბა, ჩქარათ, სხვებმა არ გაჯობნოსთო“ ახალგზრდათა ჯგუფს „მესვეურთ“ ეძახდნენ, მათ მომკილ ყანას კი სვე“ (ბოძაშვილი 1988, 30).

იხ. აგრეთვე: (თუშ., ხუბ., ცოც., მოხ. ქავთ., ალგ. სალ. 94, ზ.-ქართ. IV, II, 194).

\*სუე-არქექტიპი ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისათვის აღადგიონა გ. კლიმოვმა (ფენრიხი, სარჯველაძე 2000; ჩუხუა 2017).

დიალექტ. **III. სვე** იხ. II. სვია. „უსვეოდ კი ლუდ არ იდუღებდა დ' არც გამოდგებოდა“ (ფშ. ცოც.). აგრეთვე: ქიზ., მრეწვ. IV, II, 78, ერწ.-თიან. მრეწ. III, ნაწ. II, 50).

### სვია:

საშ., ახ. ქართ. **I. სვია** [Heso heso] ზოოლ. დიდი ზომის თევზი ზუთხისებრთა ოჯახისა.

**სვია** თევზის ერთგვარი სახეა (ლიხ. გურ. ჯაჯ.).

ს.-ქართვ. \*სემ-ია „სვია“ ქართ. სვია < \*სმია ზან. შამაია (ჩუხუა 2017).

საშ., ახ. ქართ. **II. სვია** რუსულად ხმელა ჰქვიან ფივას ამითი აკეთებენ (თ. ბაგრატი.). **სვია** [umulus lupilus] ბოტან. ხვიარა ბალახოვანი ორსახლიანი მცენარე კანაფისებრთა ოჯახისა; მდედრობითი სქესის ყვავილები-საგან შემდგარ გირჩისებურ ყვავილეებს იყენებენ საფუვრის დასამზადებლად და ლუდისათვის საგანგებო გემოს მისაცემად; იზრდება ტყეებში, მეტწილად მდინარეების პირას, – ფშალა. ერთ ბაღში, ღობის მახლობლად, თავი ამოყო *სვიამა* და ახლო სარი რომ ნახა, გადაეხვია, იამა (აკაკი). ხეებს შუა გახლართულიყო *სვია* და სხვა მხვევი მცენარენი (ა. ყაზბ.).

დილექტ. „სარს მანუელით, სვიით... „მივაბავთ, დავაკაებთ, საყელავით“ (ზ. ქართლ. „შინამრეწვ.“). „*სვია* ლობეებში ამოდის ვაზის შესაყელავდაც ხმარობენ“ (კახ. დიალ.). – ლ. ასათ. სვია. ესეც ტყის არის, მაღალი იზრდება, ხეზე იცის ასვლა (ზ. ქართ. მრეწ. III, 2, 140).

**სვია** – მცენარე, რომლის ყვავილიც ლუდს ალკოჰოლს აძლევს. „თუ სვეს გონთ უზამ, ალუდ ქეიფიან იქნებ“ – თუ სვიას კარგად გაუკეთებ, ლუდი მათრობელა გამოვა (თუშ. ცოც., ხუბ).

ფქვილსა ვხსნიდით მუჭაში დაჭერილი *სვიით* ან მუხის ფოთლით. ჯაგნებს აკეთებენ ყურძნისას, მსხლისას და სხვ. აასხამენ სვიაზე (ქართ. მტკვ. ჩრდ. მრეწ. III, 2, 126).

**სვია** ასხმა, გალა, ჯაგანი. ამ ზამთარსა ექვსი *სვია* მსხალი მქონდა (ლამ.). ხუთი *სვია* ყურძენი მაქვს შენახული (ლამ., ივ. ქართლ. ლექსიკ.).

აღდგენილია ს.-ქართვ. \*სუელ- „სვია“ ქართ. სვე „სვია“, „ფშალა“ (ჩუხუა 2017).

### სვიან-ი:

საშ., ახ. ქართ. **I. სვიანი** 1. სვის, ბედის მქონე-ბედნიერი, ბედიანი. ესრე უამბე: „იყო არაბეთს როსტევან, მეფე ღმრთისაგან *სვიანი*“ (ვეფხ. 32, 1). „იყავ *სვიანი*! (ბეს. 33, 12). „შეიქნა მეფე სვიანი“ (დ. გურ. 173, 7, 20). ყველა ეს როსტომს უბოძა, დალოცა *დოვლათ-სვიანი* (შჰნ. II, 4569, 20). ერთსა დუქანთა მჯდომელს კაცსა *სვიანი* მზე აღმოუბრწყინდა (ქილ. 301, 32). მაჭრისა ფერსა არჩევდენ, იგ ტკბილად რასმე სვიანი (თეიმ. I, 132, 58, 3).

ეს თქვა და ტახტზე დაბრძანდა მეფურად მეფე *სვიანი* (აკაკი). ფიგურ. [ყანაო!] გეთამაშება ნიავი, ზღვასავით ლელავ *სვიანი* (რ. ერისთ.). აყვავდი, მამულო, შეიქენ *სვიანი* (ს. ხუნდ.). ათასნაირი მწერები თავს დაჰბრუნავენ იასა, როგორც ნაზირ-ვეზირნი ვისმე დიდს მეფეს *სვიანსა* (ვაჟა). იხ. II. სვია.

ახ. ქართ. **II. სვიანი** 1. ადგილი, სადაც სვიაა ამოსული. «სვია, რამდენიც გინდათ, მოიკითხეთ. ჩემი *სვიანი* ჭალა თქვენი ფეშქაში იყოს!» (ვაჟა). 2. რაშიც სვია ურევია. «შესვი, მინდიავ, ეტყვიან, კაი ლუდია, *სვიანი*» (ვაჟა). იხ. II. სვია.

### სიაგ-ი:

ძვ., საშ. ქართ. **I. სიაგი** ლურჯი: „მოილო მათგან: ტყავი *სიაგი* და ძელი ულპოლველი“ (O გამოსლ. 25, 5).

ძვ. საშ., ქართ. **II. სიაგი** ძვ. სპილენძის ქვაბი ან ავაზანი – საბა, ქეგლ.

**სიაგი** ქვაბი, კარდალა, საბანელი, „ავაზანი“: „მოაბ *სიაგი* (ავაზანი C) სასოებისა ჩემისა“ (ფს. 59, 10). „წმიდა იგი შეაგბეს ქუაბებითა და *სიაგებითა*“ (M, II, ნშტ. 35, 13). „რაიმე-მცა ესწორა ქოთანი *სიაგსა*?“ O (ზირ. 11, 3). „ესე არს *სიაგი* და ჩუენ ვართ ჳორცნი“ (O, ეზეკ. 11, 3). „მიხედენინ მან *სი-*

ავთა, რომელ არიედ ზედა ცეცხლისა“ (ბ. კეს. -ექუს. დღ. 62, 4). „უბრძანა... სიავისა დიდისა აღდუღებამ“ (H- 341, 459). **სიავ-ქუაზი** ქვაბი: „წარიღეს... სიავ-ქუაზნი იგი და ფუცხუნი და ავაზანნი... და ყოველი იგი ჭურჭერი სამსახურებელისა“ (O, IV, მგ. 25, 14).

თხემსა ლამაზ-ჰყოფს *სიავი* ცეცხლთ-მსროლელი (წყობ. 404, 1).

### **სიბა:**

საშ. ქართ. **I. სიბა** მკ. «სარტყლის ადგილი» (საბა, დ. ჩუბ.). რა საწაღლისა *სიბათა* კელი დაიდვათ ნებიტა (ქილ. 630, 2).

ს.-ქართვ. \*სიბ- „სარტყელი, საწელო, ხვანჯარი“ > ქართ. სიბ-ა: ზან. შიბ-, შიბ-ი : სვან. შიბ- < შიბ-ა (ჩუხუა 2000-2003).

საშ. ქართ. **II. სიბა**: საფარი რომ კომპივით აღუშენო ახლო ციხესა გამაგრებულს. დამესა მებრძოლი მზე ვირე განთიადისა რაზმითა ქვეშე *სიბათა* შეუთხრიდა, მპარავმა თხრა გაასრულა (ქილ. 668, 28).

**სიბა** „ღობით შეკრული წყალი“, ბროსეს აზრით ეს არის ადგილის სახელი): თეთრის წყლის პირსა ზედა, შეკრა *სიბა*, ჰგონებდა გამოსლვასა ბერქა ყენისასა (ქ. ცხ. IV, 223, 2).

დიალექტ. **III. სიბა** სუფთა, ლამაზი ფიცარი ერტყმის ტოგუმს, სამივე მხრიდან (ს. ხიზაბავრა, ჯავახ. ბერ.).

საშ. ქართ. **IV. სიბა** ნაღმი შეთხრილი მტრის ციხის ქვეშ დასაქცევად თოფის წამლით – დ. ჩუბ.

### **სილა:**

საშ. ქართ. **I. სილა** გვარი ჯიში. არ ვიცი, ვის ჰგავს, ვისი გვარი და *სილაო* (თეიმ. I, 103, 18, 20).

საშ., ახ. ქართ. **II. სილა**: ხოლო ერთისა ჯოხისა დაკვრა. ნახევარ ქერის მარცვლად შეირაცხების და მსგავსავე სახით – *სილაცა* (სამ. ბატ. დავ. 141, 13).

**სილა** [სპარს. silio] გაშლილი ხელის შემოკვრა ყბაში. გაფითრებულმა ისეთი *სილა* გაარტყა, რომ «პრისტავს» შეეხარბებოდა (აკაკი). [მოჯამაგირე]... წამოუხტა და ერთი ლაზათიანი *სილა* გაუშალა გიორგის უეცრად (ილია). [მატრაკვეცას] მოხუცებულმა ხელუკულმა *სილა* სტკიცა (შ. არაგვ.).

**სილლე** (თურქ.) სილა. „განთო *სილლე* ყურიძირში იმფრა, რომე ყურმა წუწუნნი დეიწყო (სტ., ჩვენ. ფუტკ.). შდრ. I. სილაქი.

დიალექტ. **III. სილის გადასმა** მარცვლეულის გადარწყვისას კოდს თუ სხვა ჭურჭელს ხელს გადაუსვამენ ჭურჭლის პირამდე გასასწორებლად. აქედან: გათანაბრება, გასწორება. მაგ. კოდს *სილა გადაუსვი* რო მეტნაკლები არ იყვეს“. „გოგო და ბიჭი ისრე თანაბარი სიმაღლისა არიან, რო *სილა გადაესმით* (ჯავახ. ზედგ.). **სილაზე სამსე ნიტრა**, გასილავება (ჯავახ. ბერ.). აგრეთვე: (ქიზ. მენთ.). შდრ. II. სილა.

აღდგენილია ს.-ქართვ. \*სილ-ა „ჭურჭელი, სილა ჭურჭელი“ > ქართ. სილ-ა, ა-სილ-ა: სვან. შედ < \*სილ-ა (ჩუხუა 2000-2003).

დიალექტ. **IV. სილა** ავშარა დ. ჩუბ.

**სილაი** (თურქ.) იარაღი, თოფი. *სილაი* აღარ გვექონდა, ჩავბარდით (ჯავახ. ბერ.).

შდრ. **სილაპი** (არ. სილაპ) იარაღი, საჭურველი: „...გავხეთქე ქვა და კლდეში შიგა სილაპი ამოვდე“ (ჩაქ. შავშ.). შდრ. II. სილაქი.

ახ. ქართ. **V. სილა** წვრილი ქვიშა. გიტამ ფეხი წამოჰკრა ბელტს, ყირაზე გადაიარა, *სილა* თვალეებში შეეყარა (ბ. ჩხ.). პატარა ელექტრომავლები ეზიდებიან *სილით*, ხრემით, ჩამონანგრევი ქვითა და მიწით დატვირთულ რკინის ურიკებს («ლიტ. და ხელოვნ.»).

დიალექტ. **სილა** აყალოს შემდეგ ქვევრის თავზე დასაყრელი წვრილი ქვიშა. აყალოს ზევით დავაყრით ჩვენე *სილას*, *ი სილა* ინახავს სისოვლეს, აყალო რო არ გახმეს (წიფა, ვერტყვიჭალა, შუქრუთი). **სილას შეაკმევს** *სილას* შემოაყრის და სარცხით გარეცხავს (ქვევრს). **სამ სილას შეაკმევს** *სილას* სამჯერ შემოაყრის და სარცხით გარეცხავს (ქვევრს). ქვევრა თუა, ზევიდან გავრეცხავთ სარცხლით, სამ *სილას* შევაკმევთ (ფუთი, განთიადი, ზ.-იმერ. ძოწ).

აღდგენილია ს.-ქართვ. \*(ფ)სილ- სილა ქვიშა (ჩუხუა 2017).

დიალექტ. **VI. სილაი** ხის მერქანი. ცხრილებს ცაცხვის სილისას აკეთებენ (თუშ. ცოც.).

საშ. ქართ. **VII. სილა** ლორწო ბუასილისა – დ. ჩუბ.

შდრ. იოანეს საღმობა გაგრძელდა და *სილი* არისო, – იტყოდენ (ი. ბარათ. 236, ქვ. 6). შდრ. **სილი** ხველების სენი-საბა. **სილი** (არ. სილ) ჭლექი. „ფილტვისა სიწყლოლე“ (ქანან.) – იუსტ. აბულ.

### **სილაქ-ი:**

ახ. ქართ. **I. სილაქი** იხ. II. სილა. ნადირთა გროვიდან... ერთი დიდი დათვი... გამოერჩია და გამოსწია ჩემკენ..., გამკრა და გამომკრა *სილაქები* (ვაჟა). როცა გაბომ თავის მართლება დაიწყო, *სილაქები* მოხვდა და სიმწვავისაგან სახე აელანძა (ს. შანშ.). [გიქორს] არტემას *სილაქებისაგან* ატყეცილი ლოყები ეწვოდა (ი. გრიშ. თარგმ.).

**სილა, სილაქი** გაშლილი ხელის მტევანი (ქიზ. მენთ.).

ახ. ქართ. **II. სილაქი, სილაქა** [არაბ. სილაპ «იარაღი», «საჭურველი»] სპეც. კირში გარეული და დანამული ნაცარი ტყავის გამოსაქნელად.

სიტყვა გვხვდება აჭარულში, გურულში. ასევე ლაზურში სილადი ზან. (ლაზ.). „იარაღი“ (ჯიქია, 1974, 126). ეს უკანასკნელი თურქული ენის გავლენით უნდა აიხსნას.

დიალექტ. **III. სილაგი, სილაქი**, ტყავის დასამუშავებელი ხსნარი. ტყავი... როცა საუკეთესოდ უნდა გამოვიდეს, *სილაქში* აკეთებენ (ქიზ. მრეწ. III, I 2).

*სილაგზი* ტყავი სამი დღე-ღამეა, იქითით რო ამიღებენ, დაუწყებენ მაჯეგანაით ზელას. სილაგი ჩუენ გავაკეთით: ავილით ფორი, ხათა, რძე ან ხურხაი, საპოვნე, კირი დაავზილითკე ერთად წყალჩი“ (მოხ. ქავთ.)

### **სინ-ი:**

საშ. ქართ. **I. სინი** (ოლვერე B.; მაფრაზ ZAaB.) რ ვ ა ლ ი არს უთეთ-რესი და ჳმა-კეთილ მჟღერალე (მჟღერელი B), ხოლო ს ი ნ ა (ს ი ნ ი Z, ს ი ნ ი Aa)- უშავეს(ი) და უდარეს (უარეს AbB) მის(ს)ა – საბა.

ძვ., ახ. ქართ. **სინი** [სპარ. სინი] 1. ძვ. თუნუქი; რვალი. **სინი** რვალი, ჳიქამ, სტავრამ, ნაქსოვი: „*სინი*, რვალი, რკინამ, ძელი“ (დ. სჯ. 551, 19). წინ მიდგა სუფრა *სინისა*, ზედ კვიცის ხორცი მიძია (ხალხ.). რაგინდ მე ასრე გავგიჟდე..., ოქრო გავცვალო *სინზედა*, ვგონებ არც მაშინ გავცვალო იგი მზე თინათინზედა (დ. გურამ.).

**სინის ფერი:** ღიმილი შეუთამაშდა *სინისფერ* სახეზე (ლ. ბალიაუ-რი) – ა. შან.

საშ. ქართ. **II. სინი** ლანგარი, დიდი თეფში. ერთი *სინი* ოქროსა მოა-ტანინა და იმ კაცს თავს გარდააყარა (შჳნ. III, 407, 17).

ახ. ქართ. დიდი გაშლილი თეფში ლითონისა, – ლანგარი, ლანკანი. რამდენიმე *სინი* და ლანგარი სპილენძისა იქავე გვერდით ეკიდა (ა. ყაზბ.). ნატომ... *სინზე* დაყრილი საწანდილე ხორბალი შეანიავა და შებერტყა (მიხ. მრეკლ.).

დიალექტ. **სინი** 1. საინი, რკინის თეფში. 2. ლითონის მავთული (ჯავახ. ზედგ.). სინი (სინი) ესა სინია, პური აწყვია ზედან (ინ., ჩვენ. ფუტკ.). ღრმაა, იგი საინია (გორისა,ზ.-იმერ. ძოწ.). იხ. ასევე (ხევს. ჳინჳ., ფშ. ხორნ. თუშ. ცოც.).

აღდგენილია ს.-ქართვ. ფუძე \*სინ- „სინი, ლანგარი“ (ჩუხუა 2017).

საშ. ქართ. **III. სინი** სინამაქი, ფუთფუთას ხის ფოთოლი. აიღე... *სინი*, და ზღვისა პერული (ფანასკ. 76,10). შდრ. სინამაქი (არ.-სპ.) სინაი მაქი. ალექსანდრიული ფოთოლი ანუ ე. წ. ფუთფუთას ხის ფოთოლი. დაიჭი-რე: *სინამაქი* ამისგან რვა დრამი (ქანან. 56, 31).

### **სინა:**

საშ. ქართ., დიალექტ. **I. სინა** იხ. I. სინი – საბა.

სინა გუდ., ფშ., ხ. თუჯი. სინა ხ. რისგანაც ზარებია გაკეთებული – ა. შან.

**სინა** ჟანგი, რომელსაც გამოყოფს სპილენძის მოუკალავი ჳურჳელი (აჳარ. ნიჳ., მთ. კაიშ.). **სინავს** (მწვანე ფერის ჟანგი) უჩნდება მოუკალავ სპილენძის ჳურჳელს (აჳარ. ნიჳ.). **დასინული** ფშ. (რაზ. -ჳყ.) „გაკალული“ ქობში რომ დარჩება, *დასინული* არის; ძველი ქობი იქნება, მოსაკალავი. ახალი ქობი არას იზამს (მთ.) მოუკალავი ქობი *დასინავს* საჳმელს (მოხ., ფშ., ხ. თ. – ა. შან. (ხევს. ჳინჳ.).

დიალექტ. **II. სინა** ლითონის (უპირატესად სპილენძის, ან თუჯის, თითბრის) ჭურჭელი საჭმლის მოსახარზად. რძე *სინაში* ავადლუღე. სინის ქვაბი (ცხრაწყარო იმერ. ქავთ.). შდრ. II. სინი.

დიალექტ. **III. სინაი** ხურტკმელი (ინგ. ღამბ.).

დიალექტ. **IV. სინა** მავთული. აგზე *სინა* გავაბათ და გაგვიდოთ ჩა-მაშირი (სტ., ჩვენ. ფუტკ.). შდრ. სირნა სინა, მავთული. ვირსა მოვაბი სირ-ნაი კისერშიო (ბოსლევვი, ზ.-იმერ. მოწ.).

**სინდის-ი:**

ძვ. ქართ. **I. სინდისი** იაკინთი: „რომელი-იგი იმკვებინ *სინდისითა*“ (O, ზირ. 40, 3).

ძვ., ახ. ქართ. **II. სინდისი. სინდისი** [ბერძ. Syneidēsis-დან] საკუთარი საქციელის ავ-კარგიანობის შინაგანი შეფასება, საკუთარი ყოფაქცევისათვის ზნეობრივი პასუხისმგებლობის გრძნობა, – პატიოსნება, ნამუსი. *სინდისი* კომბალზე უარესიაო (ანდაზა). „შენს *სინდისს* ენდე, არ მიღალათო! (ნ. ლორთქ.). შდრ. ძვ , ახ. ქართ. სუნ(ი)დისი გული, გონება, «იჭუ»: – ილ. აბულ., ქეგლ.

**სინსილა:**

საშ. ქართ. **I. სინსილა** ახალი გამოჩეკილი მართვე მფრინველთა ან მძრომთა – დ. ჩუბ.

ახ. ქართ. **სინსილა** 1. ფრინველის ან ქვეწარმავლის ახლადგამოჩეკილი მართვე, – ბარტყი ან წიწილა. გველის სინსილა. 2. გადატ. მოდგმა, ჯიში, ნაშიერი. «რაკი მაგნაირი კაცების *სინსილა* გამრავლდა, საწყალ კაცს როგორღა გაეძლება ქვეყანაზე!» (გ. წერეთ.).

(არაბ. silsile) **სინსილა / სიმსილა**. შთამომავლობა, მოდგმა, გენეალოგია. ღმერთმა გაწყვიტოს მაგათი *სინსილა*“ (ინ., ჩვენ. ფუტკ.).

ახ. ქართ. **II. სინსილა** «ყამჩის სამკაული, ცრემლის ფუნჯებივით ჩამოკიდებული» (ი. გრიშ.). ყამჩი ერთი კარგი და პატიოსანი მარგალიტი-თა, ოქროს ქულიჩითა და *სინსილითა* შემკული («ივერია»).

არაბულსა და სპარსულ ენებში არის ლექსემა [სილსილა // სელსელა/ე/] შემდეგი სემანტიკური დატვირთვით: 1. ჯაჭვი, წყება (მთათა); 2. ჯაჭვი, რიგი; სერია; 3. დინასტია; 4. სუბორდინაცია. ქართული სინსილა, სონორთ მონაცვლეობით (ლ/ნ), მომდინარე ჩანს არაბულ-სპარსული ლექსემიდან [სილსილა // სელსელა/ე/]: (სილსილა > სინსილა) (ბართაია 2010, 180).

**სინჯ-ი:**

საშ. ქართ. **I. სინჯი** (სპარს.) წუნი, ნაკლი. ისე დახატულსავით იყო და მერმე ყურის წვერით ფეხის ფჩხილამდი *სინჯი* არ ეპოებოდა (რუსუდ. 272, 8).

ახ. ქართ. **II. სინჯი** სპეც. 1. რაიმე მასალის მცირედი ნაწილი, რომლის ანალიზით და შემოწმებითაც მთელი მასალის თვისება და ხარისხი ირკვევა. 2. ძვირფასი ლითონის (ოქროს, ვერცხლის, პლატინის) ნაწილთა რაოდენობა შენადნობში წონის გარკვეულ ერთეულში. || ძვირფასი ლითონის ზოდებზე ან ნივთებზე ნიშანი, დალი, რომელზედაც ეს რაოდენობაა აღნიშნული.

მდრ. **გაშინჯა, გასინჯა** (სპ. სანჯიდან-აწონვა, აწონ-დაწონა). გასინჯა. აწონდაწონა. რა აფრასიობ *გაშინჯა* წიგნისა მონაწერობა, / ფიცხლავ თურქისტანს დაიწყო ამოდ რამ ნებიერობა (შჰნ. II, 3020, 3).

საშ. ქართ. **III. სინჯი** საკრავია, საკრავი თეფშები. შეიქმნა ბუკთა ტრკციალი და ნადარის დგერა, სპილენძ-ჭურთა, დაბდაბთა ცემა, *სინჯთაგან* მაღლა ხმობა (რუსუდ. 235, 8). *სინჯთა* ჰკრიან საზაროსა, მიუდგიან პირის-პირსა (შჰნ. III, 356, 4).

### სიპ-ი:

საშ. ქართ. **I. სიპი, სიპი ქვა** (სომხ.) რგვალი, და პატარა მაგარი ქვა – დ. ჩუბ. სიპი ქვა პირგლუსუნი – საბა. აღვიდეს კულადცა, რამეთუ დაბურვილ იყვნეს ფართთა, ვითარცა *სიპითა* (ქ. ცხ. II, 446, 20).

ვინ გააპობს *სიპსა* ქვასა (შჰნ. I, 283, 2).

გადატ. ის სისხლი რომ გამშრალიყო, *სიპივით* შექნილიყო (რუსუდ. 206, ქვ. 2).

ახ. ქართ. **სიპი** 1. მაგარი, გლუვზედაპირიანი (ქვა); იხმარება მშენებლობაში. გზა სიარულმა დალია, *სიპი* ქვა – წყალთა დენამაო (ხალხ.). 2. სრიალა ზედაპირის მქონე, – მოლიპული, გასიპული. *სიპ* კლდეზე, ალაგ-ალაგ გამოშვერილ კლდის ნატეხებზე კაცს ხტომით გასვლა უნდოდა (ა. ყაზბ.).

დიალექტ. **სიპი** 1. ფიქალი ქვის ბრტყელი ფილა. თუშეთით სახლებსუ *სიპებით* დახურულებზ. 2. მთის სახლის სახურავი. „აპყებ *სიპზე* გამალიანა-დ გაყვმიან (თუშ. ცოც.). აგრეთვე: (ხევს. ჭინჭ., ჯავახ. ზედგ., გურ. ჯაჯან. ქიზ. მენტ.).

ახ. ქართ. **II. სიპი** კუთხ. (იმერ. გურ.) მუცლის ნაწილი ჭიპს ქვემოთ. [პატრონმა] პირუტყვს *სიპისა* და მუცლის ფხანა დაუწყო (ა. ქუთათ.). რაწამს მოხუცმა ხელი ცურზე შეავლო, პირუტყვმა *სიპი* შეიკრა და წიხლი მოიქნია (კ. ლორთქ.).

ს.-ქართვ \*სიპ- „მუცლის ნაწილი“. ვინაიდან სიპ-სახელს პარალელეები ეძებნება იბ.-კავკ. ენებში, არ გამოვრიცხავთ მის ფუძემდურ წარმომავლობასაც. წ. -სინდ. \*სიპ „სხეულის ნაწილი“ (ჩუხუა 2017).



**სირ-ი:**

ძვ., საშ. ქართ. **I. სირი** ფრინველი, ჩიტის, ბარტყის: „მრავალთა სირთა უმჯობეს ხართ თქუენ“ (მთ. 10, 31). „რადთა განერე... ვითარცა სირი ირეჟსა“ (მრთ. შ ოქრ. -გურიტ. 226, 4). „ველსა სირთა დაისწავლნეს ჟამნი მოსლვისა მათისანი“ (I, იერემ. 8, 7). „ანუ არ ხუთი სირი განიყიდების ორის დანგის?“ (ლ. 12, 6).

**სირი** სირი ჩიტი საზოგადოდ, სოფელთა და ქალაქთა შინა რომელნიც მკვიდრობენ (თ. ბაგრატი).

მტაცებელნი ფრინველები: სირკაჭკაჭი აგრეთვე სირი (კალმას. 552, ქვ. 1). კუალად მოვიდა სირი ჭივჭავი (ქ. ცხ. IV, 512, 23).

ახ. ქართ. **სირი** ძვ. 1. იგივეა, რაც ჩიტი. ეგ სირი ხომ მერცხალია, ჭია-ლუის დიდი მტერი?! (რ. ერისთ.). [ზულზულმა] უხმო ყოველთა სირთა: „მოდით და შემოკრბითა“ (ნ. ბარათ.). „ჭირად არ მიჩნდის ლომისა მოკლვა, მართ ვითა სირისა“ (რუსთაველი). 2. იგივეა, რაც სირაქლემა. სირაქლემები მოდიოდნენ ჩვენსკენ (ს. კლდ.).

**სირი** ახალი ქართულისათვის უკვე მოძველებული სიტყვაა, მაგრამ იგი ენამ შემოინახა სხვადასხვა წარმოების საშუალებით.

**სირას ენა** თავიყანა (ფანასკ. 162, 11). **სირ-ვაშლი** ჩიტავაშლა. აიღე სირ-ვაშლის ფურცელი (ფანასკ. 265, 38). შდრ. აგრეთვე **სირილა** (ჯავახ. ზედგ.).

**სასირე** მიმინოს დასაჭერი ბადე, მალლობ ადგილსაც ეტყვიან, სადაც იჭერენ მიმინოს (გურ. ჟღ.). **სასირე ბადე** საჩიტე ბადე. წვიტი ბაწრიდან **სასირე ბადეს** ქსოვდენ (გურ. იმნ. 165, 30).

შდრ. ზან. (მეგრ.) ჩიტის დასაჭერი ბადე – სასირე (მეგრ. IV, ქაჯ.).

დიალექტ. **II. სირი** (არაბ.) საიდუმლო, დაფარული რამ. „ძალის აღირი ქალი დარჩა, სირის შემნახავი (ბახ., ჩვენ. ფუტკ.). **სირი** // **სიპრი**: „მაგი სირ ვინ გაიგენს, ქვეშ-ქვეშა“ (ჯავახ. ბერ.).

**სირა:**

ძვ. ქართ. **I. სირაჲ** (არაბ. ბერძნ.) ჯერი, რიგი, გზობა. სერია, წყება. „მიიღებს არსებასა და თხზავს ესევეთარსა სირასა“ (ამონიოს. 55, 23).

საშ. ქართ. დამშლიან ჩემნი კავშირნი, შევრთივარ სულთა სირასა (ვეფხ. 884, 4). ესეცა ბრძენთა სირათა დაუდებიათ (ქილ. 644, 33). დავრდომილთ წესი შემქმნია და მოკუდავებისა სირათა მიწევნილვარ (ქილ. 688, 3). სიბრძნისა სირად, სწავლისა სირად გარე მოგეთხზნეს რიტორთ ბადენი (შავთ. 26, 3).

ახ. ქართ. ძვ. მწკრივი, წყება, რიგი, კატეგორია. || კუთხ. (ქიზ. გურ.) ჯერი, რიგი. «სირაზე ერთ ქვაბ კერძსა სჭამს» (ს. მენთ.).

დიალექტ. **სირა/ი/ე**. მათი გამოყენების შემდეგი შემთხვევები გვხვდება: „რიგი, წესრიგი, წყობა, რიგში ყოფნა. მაგ *სირა* გააშვი, ამ სირაზე გააყოლე ჭრელები (იმ.); მათი *სირაც* მუა (სტ.). *სირას* გავაკეთებთ (იმ.); *სირაში* შევალთ და მოგვიწევს ნებეთი (ინ.). **სირით** რიგით. სირითნა მოქსუო (იმ., ჩვენ. ფუტკ.). *სირაზე* ჩარგე ეგ ნამყენები, იტყვიან ადამიანებზეც. ვისი *სირაც* არი, ის მივიდეს. ერთი *სირა* აქედან წამოვიღეთ. შენი *სირიც* მოვა, რა მუცელში გაჩერდი, მოიცადე (ჯავახ. ბერ.). *სირაზე* ერთ ქვაბ კერძსა სჭამს (ქიზ. მენტ.). რატონ ხარ ასე სულუხსარი, მოვა შენი *სირაც* და გადი მაშინ; ამ *სირად* დემეთხუე, ზალიან სიცოცხლე მინდა (აჭარ. ნიჟ.). ჯერი, წისქვილზე იტყვიან. ჩემი *სირააო*, ე. ი. ჩემი ჯერიაო (გურ. ჟდ.). **სირათ** თანმიმდევრობით, მიყოლებით. ბითავი სირათ არ ვიცი (იმერხ., ფად., ცინც.).

**სირე** წისქვილით სარგებლობისთვის არსებობს განრიგი, ყველა კომლს გამოყოფილი აქვს დრო დასაფქვავად, ამ განრიგს **სირე** ჰქვია: „დღეს ჩემი *სირეაო*“ იტყვიან (რაცხ. გურ.).

**დასირავება** რიგის დაჭერა, დარიგება. *დავისირავე*, როცა მამიწემს, მამინ ვითამაშამ. ყველამ *დაისირავა* ცხენები და შეჯდნენ. **დასირავებული** – რიგით ხვედრილი ან განაწილებული. ეგ ჩემი *დასირავებულია* რათ'ნა მოქცე (ჯავახ. ზედგ.).

სიტყვა გვხვდება ფუძეგაორკეცებულიც. **სირა-სირა** „რიგში, რიგრიგობით, მწკრივად. ხახვი *სირასირა* ჩავაყოლე ვენახის კვლიებში (მესხ. ფე-იქრ.). გედევარე ბოსტანში, *სირა-სირა* მედვები, არ დეივიწყო, ლამაზო, განავალი დღეები (ბ.) (ჩვენ. ფუტკ.).

ამ მნიშვნელობის სირა სპარსულიდან უნდა იყოს შემოსული. შდრ. (სპ.) **სირა**.

დიალექტ. **II. სირაო** 1. ყალიონის უკანა მხარე, გახვრეტილი მილი. ყალივანი ორი ნაწილისაგან შასდგება: ერთია თავი, რაშიც თამბაქო იყრება, მეორეა *სირაი* –საჭერი პირჩი (მოხ. ლუდ.). აგრეთვე: (მოხ., ქავთ., მთ. კაიშ., ხევს. ჭინჭ., ფშ. ხორნ.).

2. ხის პატარა ლულა, რომელსაც ტიკს უკეთებენ ჩამოსასხმელად (ხევს. თავისებ. 249, 1).

ძვ. ქართ. **III. სირა** ფართო შოლტი, მოქსოვილი ფინიკის ფურცელთაგან, ჭილობი: „თხზავნ *სირასა* ფურცელთაგან ლერწმისათა“ (მ. ცხ. 271r). „მიწვა მოწაფე იგი *სირასა* ზედა და შეისუნა“ (ლიმ. 45, 11).

**სირა** ძვ. სამი თითის სიფართით დაწნული ჭილი, ხრალი და მისთ., რომელსაც ავლებდნენ კალათას, გოდორს და მისთ. (საბა). აღდგენილია ს.-ქართვ. \*სირა ნაქსოვი (ჭილობი) (ჩუხუა 2017).

საშ. ქართ. **IV. სირა** შთამომავლობასაც ნიშნავს და სირა ნაწილი ანუ კერძო – თ. ბაგრატი. შდრ. I. სილა.

**სირაჯ-ი:**

ძვ. ქართ. **I. სირაჯი:** ვითარცა ზეთი პატრუკსა, ვიდრემდის ადგნ-ლა, სირაჯსა აწოვებნ და ცეცხლი იგი ძლიერად ინათებინ (მ. სწ. 182, 16).

საშ., ახ. ქართ. **II. სირაჯი** ძვ. ღვინით მოვაჭრე. ღვინით მოვაჭრეს ჩვენში *სირაჯს* ემახიან (რ. ერისთ.). *სირაჯებმა* ხარატელის მარნიდან გამოტანილი ღვინის ქება ქვეყანას მოსდეს (მიხ. მრევლ.).

**სირაჯხანა** ძვ. სირაჯის დუქანი, ღვინის სავაჭრო. «შუა ბაზარი სულ გავიარე. ., მერე *სირაჯხანის* აღმართში ამოვყავი თავი» (შ. არაგვ.).

**სირაჯხანა** // სირაჩხანა სპარსული კომპოზიცია და შედგება სამი ელემენტისგან – არაბ. სპარს. [šire] – 1. წვენი; 2. ღვინო; 3. ალკოჰოლური სასმელი... ჩი (ცი) (თურქ.) ხელობა-პროფესიის მაწარმოებელი სუფიქსი და [xâna/e/] – სახლი, მთლიანობაში – სამიკიტნო (ზართაია 2010).

გასათვალისწინებელია ისიც, რომ თბილისში იყო სარაჯხანა – [sar-rajxâna/e/] – მეუნაგირის სახლი (არაბ. სპარს. სარრაჯ) – უნაგირი, სპარს. [xâna/e/] – სახლი), რომელიც, შესაძლებელია, ახალი შინაარსით (სამიკიტნო) დატვირთულიყო (ზართაია 2010).

**სისირ-ი:**

ახ. ქართ. **I. სისირი** ცერცვი – დ. ჩუბ.

ახ. ქართ. **სისირი** [ლათ. Cicer] მუხუდო. [ბოსტანში] სახლობას *სისირი* მოჰყავს (ი. გოგებ.). // მუხუდოს დაჩურჩული მარცვალი. ძმები ზედი-ზედ რამდენიმე დღეს ჭამენ ხმელ თევზს, ბულლამს, *სისირს* (მ. ჯავახ.).

დიალექტ. (ქიზ. მენტ.) ძალიან გემრიელია *სისირი* კირკაჟად: ზეთს დაასხამენ, ხახვს დააჭრიან, მარილს მოაყრიან და მზადაა. *სისირის* შეჭამანდი არ შეიძლებაო (სადრ); თუმცა სხვა დიასახლისის ცნობით დაღერ-ლილი ან მთელ-მთელი *სისირით* შეიძლება წვნიანი კერძის დამზადებაც, ოღონდ უმწვანილოდ (სადრ., ალგ. სალარ.).

დიალექტ. **II. სისირი** ციცირი, ციცარი. „სკოლაში ოთხი სისირი გვყანდა და ოთხივე დედალი გამოდგა (გ.-კახ. სახლთხ.). აგრეთვე: (ქიზ. მენტ.).

**სოდა:**

საშ. ქართ. **I. სოდა** იხ. I. სუდა. თუ მისი (ნიახურის) ძირი შტოსა უს-ხო იყოს *სოდასა* მოჰგურის (ქანან. 439, 28)

ახ. ქართ. **II. სოდა** [არაბ. -იდან] ნახშირმჟავა ნატრიუმის მარილი; თეთრი კრისტალური ნივთიერება, რომელსაც იყენებენ მედიცინასა და ტექნიკაში. კაუსტიკური სოდა. – კალცინირებული სოდა. – საჭმელი სოდა.

**სოვდა:**

საშ. ქართ. **I. სოვდა** – შავი ნალველი, კაემანი (ჩვეულებრივ ქართულში სევდას სახით გვხვდება).

სევდა ჩუენებურად ქართულად კაემანი არის. სოვდა სპარსული არის, ანუ იპოხონდრია. სოვდა ვაჭრობათაც გამოითარგმანება და სურვილსაცა ნიშნავს სპარსულად – თ. ბაგრატი.

სევდა არაბული წარმომავლობის ლექსემაა, რომელიც ისესხა სპარსულმა და იქედან თურქულმა, ხოლო ქართულში, როგორც სამედიცინო ტერმინი, უშუალოდ დამკვიდრდა დაახლოებით X-XI საუკუნეებიდან (იმედაძე 2014, 99).

საშ. ქართ. **II. სოვდა** ვაჭრობა, ალებ-მიცემობა. ერთიანი ვაჭრობა – დ. ჩუბ.

ბარამ მოვიდა და ეს მოხუცებული სოვდაგარი ნახა, ჰკითხა რა გქვიან და საიდან მოხვედიო, ბაბა ამარმა უთხრა ხოჯა ები ზულმალი მქვიანო, ზულმალიდამ მოალ და რამდენსამე დღეს მისხალმას მოწყალებით სოვდა მინდა ვჰქნაო („ყისაჯე ამირ ჰამზას“ ქართულ ვერსია) – (დარსაველიძე 1984, 87).

ახ. ქართ. **სოვდა** [სპარ. სავდა «გაცვლა-გამოცვლა», «ვაჭრობა»] ძვ. ერთიანი, საბითუმო ვაჭრობა, სავაჭრო ოპერაცია. «ამხანაგობებმაც ვერ შეძლეს სოვდის რიგზე წაყვანა: ან დაიკეტნენ ან დღე აქვთ დათვლილი» (ვ. ბარნ.).

აპოლონ საქმის გაჩაღხვას წინაღვე ხარობდა და ანგარიშობდა იმ სარგებელს, რომელიც ამ სოვდას უნდა მიეცა (ა. ყაზბ.).

ამ სიტყვიდან ხელობა-პროფესიის მაწარმოებელი [გარ] სუფიქსის საშუალებით მიღებულია – [სოვდაგარ] – სოვდაგარი. **სოვდა** ქართულში ფორმობრივ-შინაარსობრივად უცვლელად შემოსულა (ბართაია 2010).

**სოვდა**-დარდისა და კაემნის მნიშვნელობით, როგორც ჩანს ქართულში შემოვიდა სპარსულის გზით. გამონაკლისის გარდა ქართულში გავრცელებულია გამოთქმა სევდა. ხოლო სოვდა ვაჭრობის, ალებ- მიცემობის გაგებით შესაძლებელია წარმოშობით იყოს იმავე სოუდა ძირიდან, რომელიც სიშავეს აღნიშნავს, რადგან, არაბულ ლექსიკონში სოუდა მოცემულია მნიშვნელობით შავი ბაზარი. უკანასკნელი წყვილი თვით სპარსულშიც მიეკუთვნება ეგრეთწოდებულ ჰომოგენურ ომონიმთა რიცხვს, ერთმანეთისაგან არ განსხვავდებიან არც გრაფიკულად და არც წარმოთქმით (დარსაველიძე 1984, 88).

**სოლ-ი:**

ძვ., საშ., ახ. ქართ. **I. სოლი**: „განჯურიტიან ძირი მათი და შეასვიან შორის ძირთა მისთა სოლი მკურისაჲ“ (ბ. კეს. -ექუს. დღ. 72, 21). „განსოლეს იგი სოლებითა რკინისაჲთა“ (H-341, 497).

**სოლი** ხეთ ან შეშათ გასაპობი პალო; ურდული, გასაყარი დასაკეტად; ურმის თუალის სოლები – საბა, დ. ჩუბ.

ახ. ქართ. **სოლი** 1. ერთ ბოლოში წაწვეტებული ხის, რკინის ფართო, მოკლე ნაჭერი ან ქვა; იყენებენ ხის გასაპობად ან რისამე გასამაგრებლად. [მონადირე] გულზე მუშტებს ისე მაგრა იცემდა, კაცს ეგონებოდა დიდრონ ხის მორგვებს აპობენ *სოლებით* და უროსა სცემენო (ვაჟა). ოქრომჭედელ-მა... აიღო რკინა, გამოწვეპლა *სოლად* და გაბზარულში ჩაატარა (შ. არაგვ.). 2. ურმის თვლის მორგვზე დასობილი მოკლე ძელაკი, რომელსაც ფერსო აქვს შემოცმული (თითო მორგვზე 12 სოლია)... ჯაგრცხილის ფესვებს მო-კვიდე *სოლებად* იფნის გულია (რ. ერისთ.). ცალი თვალი მოღრეცილიყო, ხოლო მეორეს *სოლი* მომტვრეოდა (ს. შანშ.).

დიალექტ. **სოლი** ლურსმანი თადის შემკვერელი ქვა ან აგური, რომე-ლიც თადის ცენტრშია (ქიზ. მენტ.).

**სოლის აჯა** სოლის მოხმარება, – სოლის თავზე უროს ცემა და კლდეში ჩარჭობა ქვის მოტეხა-მონგრევის მიზნით. „*სოლის აჯა* იცოდიან-კე ქვის ტეხაჩი“ (მოხ. ქავთ.).

**სოლი** გამოსაწვავი ქურის კედელში დატანებული თიხის პატარა თარო ჭურჭლის დასაწყობად. ქაშანურის ქურასა *სოლები* ჰქონდა კედელ-ში დატანებული, ჭურჭელს ვაწყობდით (ზ. ხანდ.). ჭურჭელს ჩავაწყობ-დით ქურაში, *სოლები* უკეთია ქურასა შიგნიდან, თიხის სოლები, პირვე-ლი ჯამი დაიდგმევა *სოლზედ* (მეჯვრ.) (ქართლ. ლექსიკ.).

**სოლი** ყდაში გარას გასამაგრებელი იარაღი (ხევს. ჭინჭ.). სოლი სა-ქსოვი დანადგრის „ყდანი“, დეტალი. „ამას *სოლები* აქვ აქა-იქ გაყრილი, ღვილებს“ (ფშ. ცოც.). იხ. აგრეთვე: (ზ.-იმერ. მოწ., ინგ. ღამბ., თუშ. ცოც.).

შდრ. **სოლა-ცული** (აჭარ. ნიჟ.). **სოლო** (ფშ. ქეშიკ).

ქართ. სოლ-ძირის შესატყვისი უნდა იყოს კოლხური (ლაზური) სილ- (< \*სოლ-უმლაუტით) (კელაურაძე 2013).

ახ. ქართ. **II. სოლი** [სოლ] მუს. დიატონიკური გამის მეხუთე საფე-ხურის სახელწოდება. 2. გასაღების სახელწოდება.

**სომ-ო:**

საშ. ქართ. **I. სომი** საკამარე ქვა, მოხრილი – საბა, დ. ჩუბ. შდრ. სო-მი სარტყელი, კამარა: „მოუმზადე საკმარი... ძელი და ქვა კედი და *სოომი* (M, I, ნშტ. 29, 2).

აღდგენილია ს.-ქართვ. \*სომ – ქვა (ჩუხუა 2017).

საშ. ქართ. **II. სომი** „ხუთი აბაზი, მინალთუნი (საბა).

**სორო:**

ძვ., საშ., ქართ. **I. სორო** მხეცთ და ნადირთ ბუნაგი, ან ორმო, მთხრებლი. სოროიანი – დ. ჩუბ.

„იქმნეს იგინი ვითარცა ტრედნი, მბუდებელნი კლდეთა შინა და პირთა *სოროთასა*“ (O, იერემ. 48, 28).

ახ. ქართ. **სორო 1**. გარეული ცხოველის, ნადირის სადგომი, – მიწაში გათხრილი ხვრელი. საძრომი. თხუნელა თვითონ თხრის მიწაში *სოროსა* და შიგ ფენს ხმელ ბალახსა და ფოთლებს (ი. გოგებ.). 2. გადატ. სადგომი, ბუნაგი. ერთ ღამეს, როცა მამასახლისს თავის *სოროში* ეძინა, ოცამდე ბიჭი დავესხით იმის სახლს (თ. რაზიკ.). 3. გადატ. პატარა, ბნელი ბინა. წარმოიდგენთ ყმაწვილი ქალი, მარტო, მწუხარე..., ბნელ *სოროში* შემწყვდეული (ლ. არდაზ.).

დიალექტ. აგრეთვე: (ალგ. სალ.). ფონეტ. ვარიანტი: **სორი** (იმერ. გაჩ.). **სვერო** სორო. გამოიყვანეს დათვი *სვეროდან* (მერჯევი, ზ.-იმერ. ძოწ.).

**სორო** ბერძნული წარმომავლობისადაა მიჩნეული (ურუმბაძე 1980, 224).

სამ. ქართ. **II. სორო** გუნდა თოვლისა – დ. ჩუბ.

შდრ. **დასორტვა** თოვლის დაბეკნა დაშვანვის გამო (გურ. შარაშ.).

**სოროტი** ავდარი, ქარიშხალი; თავსხმა, დელგმა. კოკისპირული წვიმა (აჭარ. ნიჟ.).

### სოხრა:

დიალექტ. **I. სოხრა** (თურქ.) ბეგარა. ხშირად ამუშავებდნენ სოხრაზე (ჯავახ. ბერ; მარტ., ზედგ.).

ბეგარის მნიშვნელობის **სოხრა** იგივე სიტყვა უნდა იყოს, რაც მე-11-13 საუკუნეთა წერილობით წყაროებში დადასტურებული იმავე მნიშვნელობის **სუხრა**. ო და უ ხმოვნების მონაცვლეობა ქართულში ცნობილი ფაქტია (ქავთარაძე 1964, 262). ქართულ წერილობით ძეგლებში სუხრა და მისგან ნაწარმოები სიტყვები გვხვდება შემდეგ შემთხვევებში:

ქალაქს ტფილისს, რომელი სპარსთა ქონებასა ჰქონებია, და რომელი აწ უყიდია, და რომელი მე მომიკსენებია, იგი და ანუ წაღმართ მოიგონ, იგიცა, ყულაა უბაჟოდ და *უსუხრაოდ* ყოვლისა სასეფოდსა გამოსავლისაგან ჰქონდეს (მრავ. 96, 15).

**მესუხრაობა** || **მესუხრეობა** შრომითი ბეგარა: „არა უკმს ეპისკოპოსთა ანუ მოყუასთა ვიეთმე იძულებად ნაყოფთმრთუმელობისათვს, ანუ *მესუხრაობისათვს*“ (დ. სჯ. 168, 42). „ვითა სამსახურებელი ციხეთად არაი ზედა სდებია დ, ჟამთა შლილობისათა შინა ოდესმე, მძლავრთა და უღმრთოთა კაცთა მათ ზედა რაიცა ბეგარი დაუც და რაიცა დაჭირებითი სამსახური უქნევია, ანუ სამუშაოი, ანუ *სუხრაი*, ანუ ბაჟი აღებულა, ვითა არაი ზედა სდებია, ესე ყოველი აგუიკდია, გარდაგუიგდია და ყოველისაგანვე გაგუითავისუფლებიან“ (სამ. II, 11, 2). გლეხსა არ სუხრაობაი, არ გენდგაობაი, არ მოწიგნურებაი, არ საბანჯრე, არ საკმარი და არაისთანაი არა (სამ. II, 45, 2).

ლექსემა **სუხრა** დიალექტების გარდა შემონახული უნდა იყოს ქართულ ჟარგონშიც. გაასუხარა (ქართ. ებრაელთა მეტყველებაში გაასოხარა) – „გაყიდა“. მაგ. ეს საათი *გამისუხარე*; რა შმოტკა *გაასუხარა*. კ. დუმბაძე

აღნიშნავს, რომ ეს ჟარგონი ებრაული წარმოშობისაა (დუმბაძე, 1979, 32). ჩვენი აზრით, სუხრა ძვ. ქართულში ებრაული ცოცხალი მეტყველებიდან, კერძოდ, ებრაელი ვაჭრების პროფესიული ლექსიკიდან ნასესხები სიტყვაა. საქართველოში მცხოვრები ებრაელები უძველესი დროიდანვე მისდევდნენ სააღმშენებლო საქმეს, მევახშეობას, ცნობილია ისიც, რომ XI-XII საუკუნეთა საქართველოში აზნაურთა შემდეგ როგორი პრივილიგირებული ფენა იყო ვაჭრები, ამასთან როგორ „იზრახებოდა ენა ებრაული ქართლსა შინა“. ამიტომ გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ ებრაული პროფესიული სიტყვა ზეპირი გზით დამკვიდრებულიყო ჩვენში.

იგი ძველი ქართულის ზეპირი მეტყველების ნიმუშს, მის არქაიზმს წარმოადგენს, ქალაქურმა მეტყველებამ კი ჟარგონის სახით შემოგვინახა. რაც შეეხება მის ებრაულ და ქართულ მნიშვნელობებს „ყიდვა-გაყიდვა“ და „ბეგარა“, მათ შორის, ვფიქრობთ, გარდაუვალი ზღვარი არ არსებობს, რადგან ხშირად ნასესხები სიტყვა საგნობრივ მიმართების მიხედვითაც მოსწყდება ხოლმე პირველ წყაროს და ახალ გარემოში მისი მნიშვნელობა დამოუკიდებლად იცვლება. შემოსული სიტყვები არა მხოლოდ სემანტიკურ თავისთავადობას იძენენ, არამედ მოხმარების სფეროს მიხედვითაც თავისებური გზით მიდიან და, შესაძლებელია აღარც შეინარჩუნონ წყარო-ენისათვის დამახასიათებელი ელფერი (ფოჩხუა 1974, 379).

დიალექტ. **II. სოხრა** (თ. დიალ. Surha) 1. მდარე, ცუდი; 2. გად. ბეგარა ზმნს. უგულოდ, გულგრილად, უხალისოდ, ნაძალადევად (საქმის კეთება). „შენ სულ მასე იცი, ყველამფერ სოხრათ კიდევ ხელ!“ (აჭარ. ნიჟ.).

„გააკეთე ხეირიანათ, *სოხრა* ხუ არ არის, შვილო“ (ჯავახ. ბერ.). „*სოხრა* არ არი, ჩვენი საქმეა ესა“ (იმ.). **სოხრა** მომსახურება. „ყველა *სოხრაში* ფარას აძლევ“ (ბაზგ. შავშ.).

2. **მისოხრავება** რაიმე საქმის ზერელებდ შესრულება. რა გააკეთა, *მისოხრავეა* და წავიდა (ჯავახ. ზედგ.). **აუსოხრავებს** საქმეს გააკეთებს უგულოდ, უხარისხოდ, ნაჩქარევად. შენც დაადექი თავზე, რო მაგან არ *აუსოხრაოს* და ეფათ არ გაყიდოს წიწილები (მესხ. ფეიქრ.). *სოხრათ* სილავ, ლამზი თემიზლული ქენ“ (ინ., ჩვენ. ფუტკ.).

აჭარულსა და ჯავახურში დადასტურებული „მდარის“, „ცუდის“ აღმნიშვნელ სოხრას შ. ნიჟარაძე, გრ. ბერიძე უკავშირებენ თურქულ დიალექტურ ფორმას **სურჰა**.

ჩვენი ისტორიიდან კარგადაა ცნობილი აჭარის, სამცხე-საათაბაგოსა და თურქულ ენობრივ სამყაროს შორის თუ არა მიმართებები არსებობდა, ამიტომ ბუნებრივად მიგვაჩნია ამ დიალექტებში „მდარის“, „ცუდის“ აღმნიშვნელ თურქულ სურჰა-ს ცოცხალი მეტყველებიდან ცვლილი სოხრას ფორმით შემოსვლა. მაგრამ ერთს კი აღვნიშნავთ, რომ იგი ახალი ნასესხობა უნდა იყოს, რადგან არ დასტურდება იგი საბას „სიტყვის კონაში“, „რომელშიც ფიქსირებულია მე-17 საუკუნის დასასრულისა და მე-18 საუკუ-

ნის დასაწყისის თურქული ენის ცოცხალი გამოთქმები, თურქული დიალექტური მასალა“ (აბულაძე 1968). გარდა ამისა, საბა ხანგრძლივად იყო ემიგრირებული ახალციხეში, რომელიც იმ დროისათვის ოსმალთა მფლობელობაში იყო და ჯავახურში ნასესხები თურქული სიტყვა საბას, რა თქმა უნდა ეცოდინებოდა და სათანადო კვალიფიკაციასაც მისცემდა თავის ლექსიკონში.

**სოხრა** 1. მდარე, ცული; 2. ბეგარა ლექსიკური ომონიმებია, დიაქრონიულად საქმე გვაქვს სხვადასხვა დროს, სხვადასხვა წარმოშობისა და განსხვავებული მეტყველების ნაწილების ფონეტიკურ დამთხვევასთან: I. სოხრა (ებრ.) „ბეგარა“; 2. სოხრა (თურქ.) მდარე, ცული.

### სპეტ-ი:

საშ. ქართ. **I. სპეტაკი, სპეტი** (სომხ.) თეთრი, მოთეთრო. სპეტაკობა, სპეტობა სითეთრე, სპეტი. უმარილი (დ. ჩუბ.).

ვითა მთა იგი მაღალი ათონი მყინვარე, ვითა *სპეტი* რადმე გამო-მჭვირვალ სახედ ყარყუმთა (ტ. გაბ. 150, 18). სპეტ – ამარგარიტებს (წყობ. 613, 4). ივარაუდება მისი სპარსული წარმომავლობა (ანდრონიკაშვილი I, 1966, 373).

შდრ. სამოსელი მისი *სპეტაკ* ვითარცა თოვლი (ნიკოდიმ. 59,17).

საშ. ქართ. **II. სპეტი** უმარილი, ტყვიის უმარილი - საბა. მკერდი ვეცხლურად სპეტაკი, წმიდად ელვარე *სპეტია* (ქილ. 863, 4).

აილე *სპეტი* ტყვიის წონა ოცი დრამისა (ფანასკ. 392, 27).

გვხვდება სპეტა-ფორმითაც: ვარდი სრულად შექმნილიყო ზაფრანად და ვითა *სპეტა* (ვეფხ. 500, 2). აილე.. უმარილო ერთი მიტყალი, *სპეტა* ორი მიტყალი (უსწ. კარაბ. 392, 7).

საშ. ქართ. **III. სპეტი**: ანუ აილე *სპეტი ძაღლისა*, რომელსა ეჭ(ა)მოს ძუალი (სამკ. წიგ. 237, 27).

საშ. ქართ. **IV. სპეტი** მრავალთა ზედამდეგი – საბა, თ. ბაგრატ. **სპეტობა** ზემდგომობა რწმუნვა ასპეტა (წყობ. 598, 4).

„სიტყვის კონაში“ სპეტ-თან ერთად ამავე მნიშვნელობით მითითებულია შპეტი // პეტი სიტყვებიც. შდრ. ავთანდილ იყო სპასპეტი (ვეფხ. 40, 1).

### სტილ-ი:

საშ. ახ. ქართ. დიალექტ. **I. სტილი** ძვ. წონის ერთეული, 28 ან 36 მისხალი. ერთი სტილი ფქვილის ულუფა არა მზომებია (სამ. VIII, 305).

ახ. ქართ. «ყოველს საუფლოს დღესა შესწირვიდეს ეკლესიას: ერთ შულოს ბამბის ნართსა, ერთ კვერცხ საკმელსა, ერთ სტილ წმინდა სა-ნთელსა» (ზ. ანტონ.). || კუთხ. (ქიზ.) «წონის ერთეულია: ოცი კვერცხი, და-ახლოებით უდრის კილოგრამს» (ს. მენთ.).



დიალექტ. 1. ფეიქრის *სტილს* ხუთი ადლი ხამი გამოდიოდაო. *სტილის* მოქსოვნა ხუთი შაური და ორი პური ყოფილა (ქიზ. მრეწ. II, II, 21, 1). შდრ. ისტილ (*სტილი*) მატყლით ორი წყვილი წინდა გამოდიოდა, სამ *ისტლით*-ერთი საშარვლე, თორმეტით-ერთი ჯეჯიმი (საინგ. მრეწ. II, II, 66, ქვ. 3).

2. **სტილი** ხის ჭურჭელი, ტარიანი ½ გირვანქა ტევადობის, წისქვილში მინდის ასაღებად, ფუთზე ერთს იღებდნენ (მარაბ., ქართლ. მენტ.).

ახ. ქართ. **II. სტილი** [ფრან. style, ბერძ. stylos-იდან წვეტიანი ჯოხი გასანთლულ ფირფიტაზე საწერად] 1. ხელოვნებაში – ამა თუ იმ ეპოქის, ერის, მიმართულების ან ცალკეული შემოქმედის დამახასიათებელ გამომხატველობით ხერხთა, მხატვრულ თავისებურებათა ერთობლიობა, რაც შეპირობებულია იდეური საზოგადოებრივ-ისტორიული შინაარსის ერთიანობით. მარჯვნივ ქართულ *სტილზე* აგებული კინოთეატრი იყო (ა. ბელ.). || ენობრივი თავისებურებანი, რომლებიც ახასიათებს ამა თუ იმ მწერალს, ლიტერატურულ მიმდინარეობას, ჟანრს [გ. ერისთავის] კომედიების დიალოგი ხალხის სასაუბრო ენას უახლოვდება და რამდენიმედ კეთილისმყოფელ რეაქციას წარმოადგენს ძველი მაღალფარდოვანი *სტილის* წინააღმდეგ (გ. ქიქ.). 2. გადატ. ქცევის ან მოქმედების თავისებურებები, მანერა. თამაშის სტილი. – ცურვის სტილი. – დათიკო ჩვენებურად მხარულს უსვამდა, ქალი-კი ბრასის *სტილით* მიცურავდა (ა. ბელ.). 3. წელთაღრიცხვის სისტემა. ◊ ძველი სტილი წელთაღრიცხვა, რომელიც შემოიღო იულიოს კეისარმა 46 წ. ჩვენს ერამდე.

**სტოლ-ი:**

საშ. ქართ. **I. სტოლი** ფლოტი ზ. ს. საბრძოლელს ნავს(ა) სტოლი ეწოდების (ეწოდებიან D) CD. მრავალ ნავთა ზოგად სტოლი ეწოდებიან – საბა. **სტოლი** ფლოტი: „კულადცა მოიწია აგარეანთა კოლტი დიდითა *სტოლითა* კოსტანტინეპოლიდ“ [A= 162 148r 21-23a]. „დაიაზმთრის *სტოლმან*-სარკინოზთამან“ [იქვე 148r, 29-30a].

საშ. ქართ. **II. სტოლი** (რუს.) ტაბლა – დ. ჩუბ.

წინ დაუდგეს *სტოლი* და დაუწყეს სამეცნიერო წიგნები (ი. ბაგრატი. 420, 5). მარჯვნივ რომ შევიხედეთ, სადაც ადრე *სტოლი* იდგა... ისევ ისევ იდგა სტოლი, ისევ იმისთანა წითელი გადაეფინათ (ალ. ორბ. 189, 14). როდესაც ტაშისკვრით დაყრუებული თვალთმაქცი მიიქცეოდა *სტოლისაკენ*, წამოვეწიე, ვჰსტაცე ხელი (მ. თუმან. 648, 9).

**სტოლა:**

საშ. ქართ. **I. სტოლა** (ბერძნ.) მრავალი საომარი ნავები – დ. ჩუბ. იხ. I. სტოლი.

საშ. ქართ. **II. სტოლა** ოლარი. მდდლის ყელ-საკვიდარი B – საბა.

სტოლა (ლათ. სტოლა, ნაწარმოებია ბერძნული სიტყვიდან stolé „სამოსი“). საღმრთო კურთხევის ნიშანი, ეპისკოპოსთა, მღვდელმსახურთა და დიაკვანთა სამოსელი ლიტურგიული მსახურების დროს (ქრისტ. ლექსიკ.).

### სუარ-ი:

საშ. ქართ. **I. სუარი** უჟამო. ლელვსუარი – დ. ჩუბ.

**სუარი, სუარიმი, სოარემი, ლელვსუარი** (ებრ. სოფარ, ბერძნ. σισαριμ, (სომხ.) სუარიმ) ებრაული წარმოშობის ეს სიტყვა სოფარ მრ. ფორმით არის ბერძნულ თარგმანში ადაპტირებულად გადასული სუარიმ-ის სახით. ხოლო ამ უკანასკნელიდან – ქართულ თარგმანში და ცალკე, როგორც ზედსართავი სახელი ნიშნავს „ცუდს, უვარგის“ (გეზენ., 855). იერემიას წინასწარმეტყველების ტექსტში მიემართება ლელვის (teinā) ჯიშს:

„იყვნენ იგინი ვითარცა ლელუნი *სუარიმისანი (სოარემისანი O)*“ – „რომელ ვერ იჭამოს სიჯერკუალისაგან“ (იერ. 29, 17 JO).

სულხან-საბას ორგან შეაქვს ლექსიკონში **სუარ** და **ლელვსუარ** ფორმები: **სუარი** უჟამო; ლელვსუარი (ხე) (29, 17, იერემ. JO) „ესე არს ეგვიპტური ზრქელფურცელი, რომელ(ი) ფურცელთა ზედა მოისხამს ლელვათა – საბა.

**სოარემი** უვარგისი, ცუდი. „ვყვნე იგინი, ვითარცა ლელუნი *სოარემისანი*, რომელ ვერ იჭამოს სიჯერკუალისაგან“ (O, იერემ 29, 17) – ილ. აბულ.

**ლელვსუარის** პარალელურად საბა უთითებს აგრეთვე ლელუსულელს, რომლის განმარტებისას წერს: „ვიეთთა, ლელუსულელი და ლელვსუარი არა განურჩევიათო“. ლელუსულელი კი, საბათი, „ესე არს, რომელ სიკო – ლელვი და მოროს – სულელი. ჩვენთა მთარგმნელთაცა ამის გამო აღუწერიათ, თვარა სადაცა ლელვსულელი წერილ არს, ჟოლას ეწოდება“ (დანელია 1998, 149).

სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით **ლელვსულელი** წარმოადგენს სიტყვის არასწორი გაგების შედეგად შექმნილ კალკს δαχιομορέα (μοιρόν – „თუთა“; μαρόν – „სულელი“) შეცდომა მთარგმნელისეულია (ქერქაძე 1987, 63; მზ. შანიძე 1979, 168).

საშ. ქართ. **II. სუარი** ყრმა, ჩჩვილი – დ. ჩუბ.

შდრ. **უსუარი** ძვ. ბიჭი ხუთიდან ათ წლამდე (საბა). || მცირეწლოვანი; უსუსური, სუსტი. აბა, რას ემართლები მაგ *უსუარ* ბავშვსა?! (რ. ერისთ.).

დიალექტ. **III. სუარი** (შდრ. suvari) ცხენოსანი, მხედარი. „მიორე შვილი სუარი ჯენდერმე იყო“ (ბახ., ჩვენ. ფუტკ.).

**სუდა:**

საშ. ქართ. **I. სუდა** (არაბ.) სუდდა მუცელში შეკრულობა. მუცლის სიყაბზე. ქარსა გასტებს, *სუდასა* გახსნის, სისხლსა არგებს (ქანან. 439,12).

საშ. დიალექტ. ქართ. **II. სუდა/სუდი** შვრია. დაიჭირე: აფთიმონი, სუდა, ყურფა თვითო დანგი. სუდი ამათგანი წონა ოროლისა დრამისა (ქანან. 66, 20).

**სუდა** შვრია. „პურში *სუდა* ბალახის თესლები ეხლება“; „სუდა საქონლის დემია“ (იმ., ჩვენ. ფუტკ.).

**სუდა** გარეული შვრია. ჩვენ ჭირნახულს *სუდა* რო არ ერიოს, კაი იქნება (ჯავახ. მარტირ.).

**სუთ-ი:**

საშ. ქართ. **I. სუთი** ძვ. საქონლის გავიდან აძრობილი ქონი, – დუმა (საბა, დ. ჩუბ.).

ახ. ქართ. **II. სუთი** კუთხ. (გურ. იმერ.) სუფთად გათლილი ჯოხი ღომის ამოსაზელად – ქეგლ.

**სუთი** მრგვალი, მოკლე ჯოხი ღომის საზელი. ღომს ზეღენ *სუთით*, მერე იღებენ (ჭრიენ) ჩოგნით და დებენ საინზე (იმერ. გაჩ.). სუთი ღომის დასაზელი გათლილი ჯოხი. *სუთით* ზილე ღომი, მერე ჩოგანით ამეიღე (ლორეშა, ზ.-იმერ. ძოწ.).

დიალექტ. **III. სუთ-ი** (süt) რძე (შავშ.). „*სუთ* თუქნიდან ზიდავთ?“ (ი., ჩვენ. ფუტკ.).

დიალექტ. **IV. სუთი** დანაშაული, ბრალი. სუ მაგის სუთია, რო ასრე მოხდა. სუთიანი/სუჩიანი-დამნაშავე, ბრალეული, სუჩიანი ვინც არი, ყველამ იცის (ჯავახ. ზედგ.). შდრ. **სუჩი, სუჩიანი** (თურქ.) ბრალი, ბრალიანი, დამნაშავე. მე ძიენ კრგათ ვიცი ვისი სუჩიცაა. სუჩიანი ტუჩებ არ დაუშვანს, ბიჭო!“ (ჯავახ. ზედგ.). აგრეთვე: (აჭარ. ნიჟ.).

საშ. ქართ. **V. სუთი** იგივე თოფალახი, ანუ გარეული პიტნა (არაბ. სათარი ხარდალი, მდოგვი, უნდა იყოს იგივე არ. სათარ, სამი სხვადასხვა მნიშვნელობით (ქანან., იუსტ. აბულაძე 1940).

**სუნ-ი:**

საშ. ქართ. **I. სუნი** სუნიტი. რჯული. დაუდვა რჯული შიისა სპარსთა (რათა განეყოს ხონთქარსა *სუნთა* (ქ. ცხ. IV, 395, 5). და იყო სჯულითა *სუნი* (ქ. ცხ. II, 327, 21). გამოჩნდა ... ოსმან სახელითა და სჯულითა სუნი (ბ. ეგნატ. 697,16). ხიდის ისარსა მისჯარენ *სუნ-თათარ-ლეკნი* რბენითა (ბეს. 83, 11). *სუნობა* სუნიტების მიმდევრობა. რჯულით სუნობასაც ეწამებოდენ (ქ. ცხ. II, 371, 20). მესისხლობისა და *სუნობისათჳს* მოკლეს ყიზილ-ბაშთა შაისმაილ (ქ. ცხ. IV, 410, 5).

საშ., ახ. ქართ. **II. სუნი**: „*უსუნის* რად მას ცეცხლი“ G – „რაჟამს ეცის *სული* ცეცხლისად“ (M, მსჯ.16, 9).

შდრ. **სუნელი** სუნი: „სულნი ჩუენნი *სუნელად* კეთილადმსახურებისა სარქმუნობითა შეანელნა“ (ეპ. კვპრ. 227, 11).

**სუნი** საგნის, ნივთიერების, ჰაერის თვისება, რომელსაც აღიქვამს ყნოსვის ორგანო. არღა მომხვედეს *სუნი* მისი (ნ. ბარათ.). დილითვე ვგვი ქუჩის უწმინდურებას, რომ მისი *სუნი* არ ეწყინოს შენს ცხვირსა (გრ. ორბელ. 350, ქვ. 2).

ვირს პიტნის *სუნი* ეჯავრებოდა და ცხვირში სჩრიდნენო (ანდაზა). *სუნის* ანუ ყნოსვის ორგანო ცხვირია (ი. გოგებ.).

ქართ. **სული**, სუნი, სვენება ს.-ქართვ. \*სუ-, სული; სვენება; სუნთქვა (ჩუხუა 2017).

### სურა:

საშ. ქართ. **I. სურა** ვერცხლის საღვინე – საბა. *სურა* და თასი ოქროსი (ქ. ცხ. IV, 408, 2).

მეღვინეს რატომ დაემდურები, თუ *სურაში* ღვინო არ დგას? (ხოსრ. 46, 12). გადატ. მეჯლისში *სურასავით* ვარ (ხოსრ. 52, 31). ნადიმთა მსხდომთა სალხინოდ საქმე გავსინჯოთ *სურისა* (თეიმ. 148, 4, 1). სუფრისა გაწყობილობა, მურასა თასებ-*სურები* (არჩ. 232, 253, 4). ოქრო-მინაქარჯამ-ტაბაკ-კოკა-*სურები* მოოხრებულა (რუსუდ. 180, ქვ. 12). უკვდავებისა წყაროთი მოგართმევ სავსეს *სურასა* (დ. გურ. 72, 75, 2).

ახ. ქართ. **სურა** მუცელგამობერილი და ყელწვრილი თიხის (ვერცხლის, ოქროს) ჭურჭელი წყლისა, ღვინისა და მისთ. ჩასასხმელად, – ლიტრა. ქალნი მოდიან წყაროზე, *სურა* უდგიათ მხარზედა (ს. შანშ.). *სურის* გამობერილ შუა ტანში ოთხი სურათი იყო... ამოჭრილი (ნ. ლორთქ.).

დიალექტ. **სურა** გრძელტარიანი და მუცელგამობერილი სასმისი ვერცხლისა. ამაგის მალექსებელი სანების მაგანძურია, კელში უჭერავ *სურა* არაყით გაცამცულია (ხევს. პოეზ. 472, 30; ხევს. ჭინჭ.).

**სურა** მოცულობის საზომი ერთეული, უდრის 3, 28 ლიტრს – ა. სიხ.

**სურა** მსხალი (ალგ. სალ. 173). შდრ. აგრეთვე: სურანიტრა (ქიზ. მენტ.).

ახ. ქართ. **II. სურა** ნაწარმოების თავი, კარი (ი. გრიშ.). სურა არის იგივე არაბულ-სპარსული ლექსიკური ერთეული – [sūra/e/] მნიშვნელობით – ყურანის თავი. როგორც „ქალაქური ლექსიკონიდან“ ჩანს, სურას კონკრეტული სემანტიკური დატვირთვა დაუკარგავს და, ზოგადად, ნაწარმოების თავის, კარის აღმნიშვნელი ტერმინი გამხდარა (ბართაია 2010).

### სურო:

საშ., ახ. ქართ. **I. სურო** (ხე) ელიანდრე, ზმილაკი – საბა.

**სურო** [Hedera] მარად მწვანე მცოცავი ბუჩქი (ლიანა); მეტწილად ბინადრობს ხეებზე, კედლებსა და კლდეებზე, რომლებსაც ემაგრება ღეროებიდან განვითარებული ფესვებით; ხშირად გვხვდება დასავლეთ საქარ-

თველოსა და კახეთის ტყეებში, მოჰყავთ აგრეთვე ბაღებში (სინონ. კახ. ფათალო). «ბაბაია, ჩვენს *სუროზე* იმდენი შაშვია, იმდენი, ... იმდენი, რომ!» (პ. ჩხიკვ.). საყდრის ნანგრევებზე *სურო* და ლეღვი ამოსულა (ნ. ლორთქ.).

დიალექტ. **II. სუროი** იხ. I. სორო. „იქვავ ქოხის პირში ერთ გველს სურო ხქონიყვ (თუმ. ცოც.).“

**სუს-ი:**

საშ. ქართ. **I. სუსი** წვენი, წყალი. დაიჭირე. რუბი *სუსი* თვითოსაგან ნახევარ დრამი (ქანან. 68, 15).

დიალექტ. **II. სუსი** მოდგმა, ჯიში, გვარი. იმათი *სუსი* უნდა გავაქრო, იმათი *სუსი* რო აქ არ იყოფ (ქიზ. მენტ.)

**სუქ-ი:**

საშ. ქართ. **I. სუქი** (არაბ. სუქ) არომატი სურნელი აიღე: *სუქი* თეთრი მოხალული (ქანან. 321, 18).

საშ., ახ. ქართ. **II. სუქი** სუქანი – დ. ჩუბ.

სუქი-სუქი! შორისდ. ნიშნავს: გასუქდი, მსუქანი გახდი! ეკვირინე... დასმახოდა: «სუქი-სუქი, სუქი-სუქი!» – გამხდარი წიწილა ვითომდა ამით მსუქნად გადაიქცეოდა (დ. კლდ.).

## ტ

### ტაბლ-ი:

საშ. ქართ. **I. ტაბლი:** 1. [არაბ. ტაბლ „დოლი“] „საქორე ნადარა“ – საბა. შდრ. I. ტაბლაკი.

მუნ ერთი ხე იდგა, და მას ხეზედა ტაბლი ვისმე ჩამოეკიდა და და-რჩომოდ[ა] (ქილ. 309, 12). უნდა მიეცეს: დაფერული ხანჯალი... ქარგად-ნის ფარი, ტაბლი... სათლი (სამ. IV, 303, ქვ. 11).

საშ. ქართ. **II. ტაბლი:** „ბერძულად – ნარდის ფიცარი“ – საბა. შდრ. ბერძ. Τάβλα და Τάβλη სათამაშო დაფა).

საშ. ქართ. **III. ტაბლი** Ascites „სენისგან რა მუცელში წყალი შეიქნე-ბის, რომელსა ბერძულად ტო(პ)ვანის ეწოდების – საბა. **ტაბლი** წყალმანვი – დ. ჩუბ. და იქმნას მისგან წყალი ყუითელი და სახელი ჰქუიან **ტაბლი**, და ბერძულად *ტოვენის* (ფანასკ. 223, 27). ნიშანი მეორისა ფერისა სისხისა, რომელსა ჰქუიან *ტაბლი* (ფანასკ. 223, 15).

### ტაბლაკ-ი:

საშ. ქართ. **I. ტაბლაკი** „მცირე ნადარა“ (საბა).

გამოჩნდეს, სცემდეს *ტაბლაკს* (ვეფხ. 450, 4). დას-დასათ, უბან-უბან სცემდენ ქოს[ს]ა და *ტაბლაკს* (ხოსრ. 70, 19). შეიქნა ხმა *ტაბლაკთა* და ზრი-ალი ზართა (რუსუდ. 191, 16). გათენდა, სცემდენ *ტაბლაკსა*, ბუკთა ჳმა გა-წშირდებოდა (შჳნ. II, 3751, 1). ჩუნჩერახი, ამის ჳელისა იყო: *ბუკ-ტაბლაკ-თა* მცემელნი (ქ. ცხ. IV, 22, 16). მოიღეს ქოსი, *ტაბლაკი*, დაფი და დაფდა-ფი (საბა).

ტაბლაკი (არაბ.-სპარ. ტაბლაკ) (=ტაბლ, ბარაბანი კნინობითი ნაწი-ლაკითაც) მცირე ბარაბანი, ან ნადარა. ტაბლაკ საშ. სპარსულის ფორმა (ანდრონიკაშვილი I, 1966, 375).

ახ. ქართ. **II. ტაბლაკი** პატარა ტაბლა – დაბალი მაგიდა. სადილი იყო გამართული გარეთ ფანჩატურში, სადაც იდგა გრძელი *ტაბლაკი* („ივე-რია“). ვის უშველეებელ შამფურზე აგებული შემწვარი ბატკანი და სუკები ეჭირა ბაირალივით..., ვის *ტაბლაკი* სხვადასხვა საუზმით (ა. ცაგარ.).

შდრ. ტაბლა სუფრა. შეუქმნენ ჳურნი ესე *ტაბლასა* მისსა ჳედა ქვად (აპოკრ. 32, 1).

საერთოქართველურ \*ტაბ-სახელს ერთგვარი (საყრდენი) ფიცრის სემანტიკა ახასიათებდა. ამგვარ ჩვენებას მხარს უჭერს ყველა ქართველუ-რი მონაცემი. შდრ. ჳან. ტაბ-უ „ტაბლა“ (ჩუხუა 2000-2003).

**ტაგან-ი:**

ძვ. ქართ. **I. ტაგანი** საწყაო: კოდის მერვედი გარდაეცემინ *ტაგანნი* (სვან. ლექც. 175, 8-9a). *ტაგანა* გუმის ნახევარი – საბა.

ახ. ქართ. **ტაგანი, ტაგანა** (თურქ. თაგან „სამფეხი“). გულამოდებული ხისაგან გაკეთებული პატარა ჭურჭელი, – მცირე ზომის კოდი. *ტაგანში* ჩხრიალი ჩაჰქონდა რძეს და სასიამოვნო სუნს გვაბნევდა ცხვირში (ვაჟა). საქონი მოდილაურდა, ქალი გავიდა *ტაგნითა* (ბაჩანა). ფიგურ. მთვარე გამზორზე წაიქცა, რძით გავსებული *ტაგანი* (გ. ლეონ.).

გადატ. დასტურდება **ტაგან**-სიტყვის შემცველი კომპოზიტი **წვივ-ტაგანა** ვისაც *ტაგანასკით*, კასრივით მსხვილი წვივები აქვს, მსხვილწვივებიანი. „აბა, დამკვლიე, ძმობილო, რარიგ *წვივტაგანა* ვარო“ (ვაჟა).

**ტაგანი, ტაგანა, ტაგანია:** ტაგანა მოჭ. „კასრსავით ჭურჭელი, ზურგზე წამოსაკიდებელი (ყ. 161, 2 ქვ.). „ჩემო ჯელის მამკიდეო, *ტაგანა* ამკიდეო, თუ *ტაგანას* არ ამკიდებ, ჯელი მაინც მამკიდეო (მოჭ.) – ა. შან.

**ტაგანი** ხის პატარა კასრი, რომელსაც ხისავე სახელური აქვს. მას იყენებდნენ წყლის საზიდადაც და ძროხების მოსაწველადაც. წინავ სად იყვის ვედრები, *ტაგნები* გვქონდის (ფშ. ხორნ.). ტაგანი ხის კასრი, 7-8 ლიტრის ტევადობისა. იხმარება ძროხის საწველად ან ერბოს შესანახად. „ადულებენ ერბოსა, გაავსებენ ქვევრებსა, *ტაგნებს* ეძახიან, აი, იმ კასრებსა“ (ფშ. ცოც.). „ბოჭკის მსგავსი კოდი. ბატარას *ტაგანას* ვეძახით და დიდს – ტაგანს“ (მთ.). – ა. შან.

**ტაგანაყ** ხის მოჩუქურთმებული სამარილე. კეთდება ხის მთლიანი ტანისაგან. აქვს ზედვე ბაწრით შებმული ხუფი. ეს ტაგანაყ ბიძომ გამიკეთ ქალობასავე-დ (გათხოვებამდისვე) მეტაყ მინდ (ძლიერ მიყვარს) (თუშ. ცოც.).

შდრ. ტოგონი ოთხკუთხად გათლილი ხის დიდი მორი (გურ. ჯაჯ.). ზოგჯერ ხის გაუთლელ გადანაჭერსაც ამ სიტყვით აღნიშნავენ. ტოგონი: „ვოცდაათი *ტოგონი* გავთაღე, თუ შვიდობით ჩამევიტანე თიდან, თელი ვოდის პოლი და ლამფა კი მექნება“ (ნაბელ., გურ. ჯაჯ.).

საშ. ქართ. **ტაგანი** ანუ ტაღარი. თაღარი ტაგანი, სამის კოდის საწყაო (თ. თაღარ; ნ. ჩუბ.). **ტაგარი** «საწნეხელი», ორმო: „ადმოთხარა მას შინა *ტაგარი*“ C, – „ქმნა მას შინა საწნეხელი“ (DE, მთ. 21, 33). **ტაგარი** ისარნა. *ტაგარს* თუ ასი საწყავი წყალი ჩავიდეს ზომითა (საბა II, 191, 23).

დიალექტ. **II. ტაგანი** აჭარულ და გურულ დიალექტებში მცენარის სახელად გვხვდება: **ტაგანი // ტაგანა**. გურ. ტაგანი (ალ. მაყ.). ხალხურ მედიცინაში *ტაგანა* სამკურნალო მცენარეა ცნობილი (აჭარ. ნიჟ.). ვფიქრობთ, რომ ტაგანი < ტეგანი.

ძვ., საშ., ახ. ქართ. **ტეგანი** [Ruta graveolens] რამეთუ ათეულსა აღიღებთ პიტნაკისასა და *ტეგნისასა* და ყოვლისა მხლისასა (ლ. 11, 42). **ტეგანნი** ძველსავე ქართულში გვხვდება. ჭინჭრის თესლი და *ტეგნის თესლი...* დანაყე (ქილ. 81, 8).

**ტეგანი** სადაფის ბალახი (ი. ბაგრატ.). **ტეგანი** ბალ. ტარხუნა – ნ. ჩუბ. ქართული წყაროებიდან არა ჩანს, თუ რამდენად გავრცელებული იყო ძველ საქართველოში *ტეგანი* (ივ. ჯავახ.). უეჭველია ტეგანიც ქართული არ არის, არამედ ამავე მცენარის დამახინჯებული ბერძნული სახელი პეგანონია (ჯავახიშვილი 1986, 257). ტეგან-: ბერძნული [pēganon]-იდან უნდა მომდინარეობდეს (ივანიშვილი 2014).

### ტალ-ი:

საშ. ქართ. **I. ტალი** ქუა ცეცხლის გამოსაკვესებელი, კაჟი, საღრტილი – ნ. ჩუბ.

**ტალი** აქ ციცაბო: „მაღალსა და ტალსა ადგილსა შთასაჭრელად განმზადებულთა კაცთა და ფერჭაცთუმილთა აღმოყავნებით ჳსნანი“ [A= 85 351r, 1-3).

მეთოფემ *ტალი* დაკვესა (არჩილი, 315, 638, 4). *ტალსა* კვესსა რა ჩამოჰკრავ, აბედს ცეცხლი მოედება (საბა II, 310, 12). ქუა ესე არს უფრორე *ტალისა* და იამანისა გუარი (კალმას. 276, 21). ისარ-მშვილდი მოიმარჯვე, მეთოფემან – *ტალი*, კვესი (თეიმ. I, 134, 65, 4).

ახ. ქართ. **ტალი** 1. კაჟი. აბედი დანოტივებულიყო თუ ცუდად იდო *ტალზე*, არ ეკიდებოდა (ა. ყაზბ.). [მიქელამ] ყალიონი შინაური თუთუნით გატენა, შედეგ *ტალს* აბედის ნამცეცი დაადვა და კვესი გაჰკრა (რ. გვეტ.). ქვას გვერდი ჩამოსკდა *ტალში* (ოტ. იოს.). გული მკერდში მაქვს *ტალადა*, ხოლო გონება – კვესადა (ვაჟა).

დიალექტ. **ტალი** კაჟი, სხვადასხვა ლამაზი ფერის მაგარი ქვა, რომელსაც ხმარობდნენ ცეცხლის გასაჩენად კვესის ჩამოკვრით, აბედს უკიდებდნენ, ძველებურ თოფს უდებენ ჩახმახში, კვერებს ატანებდნენ ნახვრეტებში და სხვ. (ფშ. ხორნ.).

**ტალღ** || **ტალაღ** ქვაჲ კაჟის ქვა. „კვერებს ქვეშისაკ ტალაღ ქვებ აქვის დაშქმულები“ (თუმ. ხუბ., ცოც.). კვერი რო დაიხვრიტება, ამოვჭრიდით და ჩავსხამდით *ტალსა* და კოხსა (ქართ. მტკვრ. მრეწ. IV, II).

2. კაჟიანი (ტალიანი) თოფის ჩახმახის ნაწილი (ჩახმახის დაცემინებისას ნაპერწკალი ჩნდება და თოფის წამალს აფეთქებს) (ბიძამ) ჩახმახს *ტალი* გამოარიდა და საშლით დაუპირა (ვაჟა). ჩახმახს კბილებში კაჟი ჩაეჭირა და ჩაჭდეული – *ტალს* რეჩხით ხვდებოდა (ლ. გოთ.).

ვაი თქვენს ლუხუმს, ძაღლებო, თოფმ დამინაყა *ტალიო* (ხევს. პოეზ. 143, 5). **ოსმალიანი ტალი**. **ტალი**, კაჟი. რომელიც ოსმალეთიდან (ყირიმის გზით) შემოტანილ თოფებს (ჯირიმებს) ჰქონდათ. მწარზედ ჯირიმებ თოფები, *ტალ* უძეს ოსმალიანი (ხევს. პოეზ. 650, 4) – ალ. ჭინჭ.

3. **ტალი** ფშაურში წისქვილის ქვის მაგარი ადგილებია (ფშ. გოგატ. 163).

4. **ტალი** ძვ. „კბილის ნახეთქი“ საბა. ტალი კბილის მინანქარი. „ტალი ჩამომტყდა კბილიდან და ცივ, ცხელ რამეს ვეღარ ვიდებ პირში (სტ.). შდრ. საბა ტალი – კბილის ანახეთქი) (ჩვენ. ფუტკ.).



\*ტალ- საერთო ქართველური ფუძეა (ფენრიხი, სარჯველაძე 2000).

ახ. ქართ. **II. ტალი** სახეზე მზისგან ან სხვა მიზეზით გაჩენილი ლაქა. [ქალის] სახეს ყვითელი ტალი გადაჰკვროდა (ნ. ლორთქ.). [კაპუდან-ფაშას] ხორცსავსე სახეზე თეთრი ტალები დაასხდა (რ. ჯაფ.).

თეიმურაზ [ფარშევანგის ფრთებს] ვერცხლის მონეტის დარი ტალები ატყვია (კ. გამს.). ამ სარკეს კიდები მოხატული ჰქონდა წითელ-ყვითელი... ტალებითა (კ. გამს.). „ეგ რა ტალი გატყვია მაჯვენა ღაწვზე, ქარიმან“! [ჰვითხა მეფემ] (კ. გამს.). [კაპუდან-ფაშას] ხორცსავსე სახეზე თეთრი ტალები დაასხდა (რ. ჯაფ.).

დიალექტ. **ტალი** ქვამარილის ან სხვა რაიმეს ზედაპირზე გადაკრული შავი ნალექი (ჯავახ. ბერ.). ტალი სხეულზე (ხელებზე) სიბერისაგან გაჩენილი შავი ლაქა. „ა, რაფერ ტალები გამიჩთა, კარ მქონდა ეგენი“ (საჩინ. შარაშ.). **ტალი** ჭუჭყის ლაქა ქსოვილზე, ტანსაცმელზე. დატალული ჭუჭყით, საღებავით, ცხიმითა და მისთ. დალაქული, – ლაქებიანი (იმერ. გაჩ.). **ტალ**- ფუძიანი სიტყვა დასტურდება „ვისრამიანში“: **უტალაო** ლაქის არ მქონე. შენისა ტანისაგან ჩემი ბროლი უტალაო და შენისა საუბრისაგან ჩემი სამოთხისა შუენება (ვისრ. 77, 6).

ს.-ქართვ. \*ტალ- „ლაქა“ > \*ქართ. ტალი: ზან. ტალი < \*ტოლი: სვან. ტალ > || ტლ (ჩუხუა 2000-2003).

საშ. ქართ. **III. ტალი** შიმშიტი კეტი, ძელი, წიფლის ანახეთქი, ნაჭერი. დევმა თავისი ტალი შიმშიტი თავსა იფარა (შჰნ. III, 331, 39).

დიალექტ. **ტალი** 1. (დალ) ტოტი. „ნაზვის ტალით შეეკონავთ ნეკერსა“ (იმ). ზამთარში საქონელ ნედლ ტალებ ჩოუყრით ბაგაში, ცაცხვისას, თელისას, შკერისას, წყავისას... (იმ., ჩვენ. ფუტკ.).

**IV. ტალი** [ნიდერლ. talie] მცირე ზომის შესაკიდი მოძრავი ან უმოძრავო ტვირთამწევი ჯალამბარი, რომლის ტვირთამწეობა 5ტ. აღწევს, გააჩნია სელის, ელექტრული ან პნევმატური ამძრავი. ძრავის მოსაღები სამი, ჯაჭვიანი ტალი, გილიოტინებივით დაკიდულიყო ხელოსანთა თავზე (მ. ელიოზ.).

**ტალა:**

საშ. ქართ. **I. ტალა:** „მზავრთა ღამის დარაჯი“ – საბა, ნ. ჩუბ. **ტალა** მცველთა ეწოდება, ესე იგი ყარაულთა (თ. ბაგრატ.).

**ტალა** [არაბ. ტალდათ „მზვერავი“] ძვ. მზავრთა ღამის დარაჯი (საბა). *ტალათა* მათთაგანი რომელნიმე ტყვე ჰყვეს (თ. ბაგრატ. 55, 7). შეიპყრეს იგინი ალექსანდრეს *ტალათა* (ალექსანდრ. 109, 6). ჩუენ წავიდეთ კარგად, ფრთხილად, გავიმძღვაროთ *ტალა* (შჰნ. I, 810, 2). რამეთუ არა ჰყვათ დარაჯა-*ტალანი* (ქ. ცხ. IV, 187, 9). აქა *ტალა* გუიჯობსო (ამირან. 53, 7). ყარაულნი გაგზავნნა და *ტალა* ამართეს (შჰნ. III, 550, 21). მაშინდა იყო სისრულით, არ უნდეს სულსა *ტალანი* (ქილ. 550, 16).

ახ. ქართ. თვალყურს ვადევნებ **ტალად** დამდგართა ცვლას (ვ. გამს.). საპატო ტალა გაკვირვებით იჭაჭებოდა (ლ. გოთ.).

ამ მნიშვნელობის **ტალა** ფუძედ გამოიყოფა ასპინძის რაიონის სოფ. ტოლოშაში მთის სახელწოდებაში *სატალაო* (ბერიძე 1987, 88).

საშ. ქართ. **II. ტალა** ძვ. კბილის ჩირქი (დ. ჩუბ.).

**ტალა** მარილის ჭუჭყი, შიგნიდან რომ აქვს ქვამარილს (თონ., დვალ., ლოლოვ., ქართლ. მენთ.).

**ტალა** 1. ქვამარილზე მუქი ფერის ლექი. 2. საერთოდ რაიმე კრიალა საგანზე გაჩენილი ლაქოვანება (ჯავახ. ზედგ.). იხ. II. ტალი.

საშ. ქართ. **III. ტალა** მეტაფ. გიშრის ტალა წამწამი. მოდრიკა თავი გიშრისა *ტალამან* (ვეფხ. 1340, 3).

### **ტალავარ-ი:**

ძვ. ქართ. **I. ტალავარი** ფაცხა, საჩრდილობელი, ფანჩატური: „ვქმნეთ აქა სამ *ტალავარ*“ (მთ. 17, 4). „იქმნა კაცად-კაცადმან *ტალავრები* ერდოებსა თვსსა ზედა“ (M, ნემ. 8, 13). „ვიეთნიმე *ტალავრებითა* უდაბნოს დაყუდე-ბულ“ (მრთ. შ. ოქრ. -მარხ. და იონ. 101, 14).

შევიდნენ საწნახლის ტალავარსა (ქ. ცხ. IV, 75, 22). დაიქოხ-*ტალა-ვარ-კარვენ* ახლად ქანანად (ბეს. 102, 8).

ახ. ქართ. *ტალავარს* რამდენჯერმე შემოუვლიდა, უსურვაზსა და ფათალოს ლერწებს გაუსწორებდა (რ. გვეტ.). *ტალავრის* სვეტებზედაც ასეთივე ვაზებია შეშვებული (რ. გვეტ.). ზემოთ... ტყის *ტალავარი* თავდება (მ. ჯავახ.).

დიალექტ. **ტალავარი** სახლის, ან საბძლის წინა მხარე, გადახურული; საჩრდილობელი. „ტალავარში შევდგამთ თივას“ (იმ., ჩვენ. ფუტკ.). **ტალავარი** ანუ ხეივანი რომლის არსებობა უკვე V–VI სს. ძეგლებით არის დადასტურებული, ძველი ქართული მევენახეობის ტერმინად უნდა იქმნეს მიჩნეული. ძველი ტალავარის ანარეკლს უნდა წარმოადგენდეს ქიზიყში დაცული თალარი ვაზი სომხურად ტალავარ. არც ქართულში და არც სომხურში ამ სიტყვას თვისტომნი არ გააჩნია, ამიტომ შესაძლებელია ნასესხები სიტყვა იყოს (ჯავახიშვილი V, 1986, 324).

ახ. ქართ. **II. ტალავარი** ძვ. ტანისამოსი, ტანსაცმელი. „გხატავს ქართულ *ტალავარზე* ქამარ-ხანჯალი! (ვ. ბარნ.). მოდით, ხევისურნო, ჩემდაო..., შემოკრბით, შეიმოსენით ახალი *ტალავარია!* (რ. ერისთ.) „ჩვენზე სისხლით მოვიხდით სირცხვილს, მაშ, რად ვატარებთ ქართულ *ტალავარს?!*“ (გ. ლეონ.).

დიალექტ. თუ ხევისურებმაც თავიანთ „*ტალავარი*“ ნაყიდ ფარჩაზე გაცვალეს, მაშინ ყოვლად შეუძლებელია ხევისურეთში ხევისურის არსებობა (ვაჟა). ნუ იცომ, გიგიაშვილო, ბუსურბნის *ტალავარსაო* (ხევს. პოეზ. 208, 16).

**ტალავარნი** მიცვალებულის სიკვდილის შემდეგ მის ტანსაცმელს ჩააწყო-

ბენ ლოგინში. ზოგზოგჯერ ამ ტანისამოსს გამოიტანენ გარეთ და დასტირიან. ამას ეწოდება ტალავარნი (ხევს. ჭინჭ.). ტალავარბ ტანსაცმელი, მორთულობა. „მეტი ვარ, საღირიშვილი, რად მზვერავ ტალავარზედა, წინწინ მე გადავფრინდები ზახტრიონს გალავანზედა“ (თუშ. ცოც.).

**ტალავარი** გუდ., მთ., ჯ. მოჯ. ტანისამოსი ტარავალი (ა. შან.). „მე საქორწინო ტარავალს მიკერავენ“ (ა. ყაზბ.). [კაცს] გაეხადა მარცხენა მხარე ტარავალისა და... დაზიანებულ მკლავს იხვევდა (ა. ყაზბ.).

**ტალავერ-ი:**

ახ. ქართ. **I. ტალავერი** იხ. II. ტალავარი. ხეებით, ჩემი და ტალავერქვეშ იდგა და ყურძენს კრეფდა (აკაკი). ტალავერზე დაკიდული ეს აკიდო ატენური, თითქოს ოდნავ დათრთვილური, ნამით მოვარაყებული (რ. მარგ.). ტალავერქვეშ ჩუმად მჯდარი, დავინახე ფორთოხალი (გ. ლეონ.). // ხეივანი. მოშორებით ალვის ხის ტალავერი შემორტყმოდა ოდას და სხვა სახლებს (გ. წერეთ.).

შდრ. **ტარაველი** ტალავერი, – ფანჩატური, საჩრდილობელი. სახლის წინ ტარაველი გავაკეთებე (ტაბაკინი, ზ.-იმერ. ძოწ. აგრეთვე: იმერ. ქავთ. III). ტარაველი ტალავერი, ტალარი, ფანჩატური. ტარაველის ჩდილში ვიჯექით (რაჭ. კობახ.).

ზან. **ტალავარი** || **ტალავერი** ფანჩატური, საჩრდილობელი (მ. კვირტია) (ქაჯ. III). ტალავარი, – ტალერი იგივეა, რაც ტალავერი, ფანჩატური (მეგრ. ქაჯ. III).

ახ. ქართ. **II. ტალავერი** იხ. II. ტალავარი. მზისგან დამწვარი კორდისფერი ტალავერი ემოსა ბერიკაცს (ო. ცხ.) ვისაც უწინ მისი დამწვენებული სახე და ლამაზი ტალავერი ენახა, ის როგორღა იცნობდა სამარიდან ამოდებულ ბახვას (გ. წერეთ.).

დიალექტ. **III. ტალავერი** ბალავარი.

კარის ქუდზე ზემოდან დადებულია ტალავერი ანუ ბალავარი (მუხისაა) (ჯავახ. მრეწ. I, 255).

**ტალანტ-ი:**

ძვ. ქართ. **I. ტალანტი** (ბერძნ. ტალანტონ, თავდაპირველად – წონა, სასწორი).

ქანქარი, ვერცხლის ან ოქროს ფული: „მოიგო... მთად იგი... ორის ტალანტის ვეცხლის“ (O, III, მფ. 16, 24). „აღუდვა ხარკი ქუეყანასა მას ასი ტალანტი ვეცხლი“ (O, IV მფ. 23, 33). „მოჰყადა მათ ათი ტალანტი ერთი ბრპენისად გამოილო“ (I, ზაქ. 5, v7). „აღაორძინა მისდა რწმუნებული იგი ტალანტი“ (ი. ე. 30, 24). „რომელსა-იგი თანა-ედვა ბევრი ტალანტი“ (მ. სწ. 200, 24). „იქმ მათ მეჭუელად ყოველთა უმდიდრესად, ვიდრე არცა... ტალანტთა მოქსენებად“ (ფლავ. 11: 3,3). „ათს ტალანტს ზედა სხუასა ათსა ისწრაფი შეძინებად“ (ბ. კეს. 102, 34).

საშ. ქართ. **ტალანტი**: პლინიოს მოუთხრობს ამისთვის, რომელი დახარჯულა მხოლოდ ხახვსა და ბოლოკსა ზედ ათასექვსასი *ტალანტი* ვერცხლი და ოქრო, რომელიც შეადგენს ჩვენს თეთრსა ხუთ-აბაზიანსა ანუ ხუთსა აბაზსა, ვიდრე ჯამით ოთხ მილიონსა (კალმას. 208, 4). ჰკადრა: ითხოვს ორას *ტალანტს* საბოძვარად მონათვლისას (ვახტ. VI, 145, 694, 4).

ახ. ქართ. სამი *ტალანტი* და სამი დრაქმა ჩემთვის სულ ერთია (ვ. კანდელ.).

შდრ. დიალექტ. **ტალანტა** ზომა-წონის ან ფასის დაწესება, წესად დადება. მაგალითად, ნორმად ქცევა. „შენ რო ეგრე იეფად გაყიდო, სხუა გამყიდველები არ მოგცემენ ნებას, იმიტომ რო მერე მყიდველები მაგას *ტალანტათ* დაიდებენ. სხუარო ცუდათ იქცევა, შენ ის *ტალანტათ* კი არ'ნა გაიხადო“ (ჯავახ. ზედგ.).

საშ. ქართ. **II. ტალანტი**: სამღუთო წერილში ტალანტად იგულისხმების ნიჭი ან მაღლი ზეგარდამო მონიჭებული კაცთადმი (დ. ჩუბ.).

რადგან მარწმუნე *ტალანტი*, არ მიხმდა დამემალა მე (არჩ., 332, 14, 1). იქების კათალიკოზი ანტონი პირველი, რომელსაცა აქვდა ვრცელნი ცნობანი ყოველთა სწავლათა შინა და *ტალანტი* სიტყვიერებასა შინა (ს. დოდ. 448, 11).

ახ. ქართ. **ტალანტი** [ბერძ. talanton] 1. განსაკუთრებული უნარი, ნიჭი ამა თუ იმ დარგში (მაგ., მეცნიერებაში, ხელოვნებაში). მნახველი და მსმენელი ჩახვდებოდა... [სანდროს] დიდ ნიჭსა და *ტალანტს* (დ. კლდ.). 2. ასეთი ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი.

**ტალანტა** დაგდებული სიტყვა. **ტალანტას დაუგდებს, ჩამოუგდებს** შენაო, *ტალანტას ჩამომიგდებო* და დამიწყებ ლაპარაკსაო (ქართ. მენტ.).

ნიჭის მნიშვნელობის **ტალანტი** ფრანგულის იმავე მნიშვნელობის ტალენტ სიტყვის ნასესხობა უნდა იყოს. ფრანგულში კი თავის მხრივ კი იმავე ლათინური ბერძ.-ლათ. ტალენტუმ // ტალანტონ უნდა მომდინარეობდეს (ფასმერი 1973).

### **ტალარ-ი:**

საშ. ქართ. **I. ტალარი** იხ. I. ტალა. თექვსმეტი დროის მთვარე იყურებოდა მოწმენდილის ზეციდგან და ვითომცა *ტალარს* სწევდა უმანკოთა იმათთვისა, გზა ეჩვენებინა (ალ. ორბ. 130, 11).

საშ. ქართ. **II. ტალარი** დერეფანი, კორიდორი. შევედ და განვკვირდი, ვიხილე რა დიახ ზნელი *ტალარი*, ძლივს ვიპოვე მეორე კარი (გრ. ორბ. 377, 8).

შდრ. **ტალანი** დახურული სარბენი ოთარებს შუა – დ. ჩუბ.

**ტალანი** გრძელი გასავლელი (სადგომში...), – დერეფანი, კორიდორი. *ტალანი* გათავდა და შევედით განიერ დარბაზში (ს. კლდ.). ირმა და უცნობი მატარებლის *ტალანში* გაჩერდნენ (რ. გვეტ.).

**III. ტალარი** კოჭებამდე გრძელი, წინ შეკრული სამოსი, რომელსაც საეკლესიო პირები ატარებენ (ლათ. ტალარის (სიტყვიდან ტალუს „ქუსლი“, იტ. თალარე)

ის შავი ფერისაა მღვდელთათვის, მოიისფრო – ეპისკოპოსთათვის, წითელი – კარდინალთათვის, და თეთრი ფერისა – პაპისათვის. პრაქტიკულობის თვალსაზრისით, შეიძლება მისი შენაცვლება სხვა სამოსით, რომელსაც კლერჯიმენს უწოდებენ (თარგმ. მ. სააკ.).

**ტალიკ-ი:**

საშ. ქართ. **I. ტალიკი** ძვ. «ქარქაში, აბჯართ შთასადებელი ბუდე» – საბა (დ. ჩუბ.).

ტანსა ჩავიცვით ჯაჭვები, ტალიკით აღარ ეკრისა (ი. ტფ. 600, 52, 2).

ახ. ქართ., დიალექტ. **II. ტალიკი** ტანადი, მხარბეჭიანი, მოხდენილი (ბიჭი). იმ ტალიკმა ბიჭმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა (შ. არაგვ.). «გუმინ... ერთი ვიღაც ტალიკი ბიჭი შემოვიდა სანდროს სანახავად, ...მგონი ტიტო იყო» (შ. არაგვ.). აგრეთვე: დიალექტ.: ქართლური, კახური, ქიზიყური.

1. არაბ. *ṭalq* „გახსნილი, თავისუფალი > ქართ. ტალიკი („ტალიკი ბიჭი“) (წერეთელი 1992, 92).

2. ეს ნასესხობა მომდინარეობს არაბულ-სპარსული სიტყვიდან [ტალექ] 1. მხიარული სახის მქონე ყმაწვილი; 2. თავისუფალი, უდარდელი მოზარდი (ბართაია 2010).

დიალექტ. **III. ტალიკი** (ზ.-აჭარ.) (რუს.) თევში (ჩვეულებრივ სპილენძისა). ბეზირგანის ქორწილში შაჭმელები სულ ოქროდს ტალიკებით მოქონდენ (აჭარ. ნიჟ.).

**ტალიკი** (თ. ტალიკა) „ლანგარი, დიდი თევში. გააკეთა ალთუნის „ტალიკი“ (აჭარ. ხალხ. სიტყ. I, 11). ტალიკი = ჩინი, თევში, დიდი თევში (დანისპირაული). მოცემული სიტყვა ვერ დაიმბნა სალიტერატურო თურქულში. თურქულის დიალექტებში, კერძოდ, რიზეს მეტყველებაში დადასტურდა: ტალიკა ლანგარი, „ხონჩა“ (გურგენიძე 1973, 16).

**ტანა:**

საშ. ქართ. **I. ტანა** კნინ. ტანი. „ესე სჯობს, მოგცე საჭურჭლე, მძიმე მარტყია ტანასა“ (რუსთაველი).

**ტანა** < ტანი; **ტანი** «გუამი», სხეული: „განიბანოს ტანი მისი წყლითა“ G – „დაიბანის წყლით გუამი მისი“ (pb., ლევიტ. 14, 9). „დაიბანა ტანი თვისი წყლითა“ (O, ივდ.14, 9).

ტანი ირანულ ნასესხობას წარმოადგენს (ანდრონიკაშვილი 1966, 376). იგი შესულია სვანურსა და მეგრულშიც (გელენიძე 1974, 7).

დიალექტ. **II. ტანა** (თურქ.) ხზო (ორივე სქესისა) ერთ წლამდე (ჯავახ. ბერ.).

**ტანა** ხზო. საფურეც და დაუყვერავი სახარეც წლიდან ორ წლამდე (ქიზ. მენტ.). **ტანამანა** წვრილფეხა რქოსანი საქონელი: ხზორები და მისთ. (ქიზ. მენტ.).

**ტანა** ხზო ერთ, ერთნახევარ წლამდე. „რაც რომ იყო ანაო ასეთივე ტანაო“ (აჭარ. ნიქ.). აგრეთვე; ტანად ხზო (ინგ. როსტ., დამბ.), ცანაყრ (თუმ. ცოც.).

**ტანა** სიტყვა განცალკევებით დგას ქართულში, მაგრამ, სავარაუდოდ, ფუძემეურ ეტიმოლოგია ახასიათებს მას. ბოლოკიდური -ა ძირის კუთვნილებას არ წარმოადგენს, აფიქსური ჩანს. შესატყვისობები ეძებნება ს.-სინდურ ენებში (ჩუხუა 2017).

დიალექტ. **III. ტანა // ტანაი** (თ. დანა) (ცხვრის, თხის ან ჯიხვის დიდი კოჭი, ზავშვები იყენებენ სათამაშოდ. „შორით დახკრავდეს, თხუსი და ტანა იქნებოდა! (მოხ. ქავთ., ლუდ.). „5-6 წლის ჯიჯვის ტანაი იფრო დიდი აკე, სალამ ბებრისა. ვაცისა და ყოჩისაც ეგრეაკე (მოხ. ლუდ.).

#### **ტარო:**

საშ. ქართ. **I. ტარო** სიმინდის ღეროები მარცვლებით სავსე – დ. ჩუბ.

ახ. ქართ. **ტარო** ყვავილედის ერთ-ერთი ტიპი; აქვს სქელ ღერძზე მჭიდროდ მჯდომარე ყვავილები. **სიმინდის ტარო**. – ხორბალი იკეთებს ერთ პატარა თავთავსა, სიმინდი-კი ისხამს რამდენსამე მოზრდილ ტაროსა (ი. გოგებ.). [სიმინდის] ნედლი ტაროები ცეცხლზე შემწვარი, გემრიელი და შემრგო საჭმელია (ი. გოგებ.). ტაროებით დამძიმებული სიმინდის ყანები დარბაისლურად აშრიალდნენ (მიხ. მრევლ.).

ახ. ქართ. **II. ტარო** ერთ-ერთი უძველესი კულტურული მცენარე; მოჰყავთ ტროპიკებისა და სუბტროპიკების ტენიან რაიონებში ოკეანეში და სხვ. მის მსხვილ ბოლქვებს ხარშავენ ან წვავენ, ნორჩი ფოთლებისაგან მხალს აკეთებენ – მ. ჭაბ.

საშ. ქართ. **III. ტარო** ნურა, ბალანთ გამაცვივნელი წამალი – დ. ჩუბ. ტალახ – წამალი კირით შეზავებული, რომელიც ბალანს აცლის ადამიანს. გაუპარსავი ვიყავი. საპარიკმახეროში წასვლა კი სახიფათო იყო. ამხანაგებმა მომიტანეს ტარო, წავისვი და სახე სრულიად გამეწმინდა (ი. გრიშ.).

**IV. ტარო** ბანქოს დასტა. წარმოადგენს 78 (იშვიათ შემთხვევებში 79) ბანქოსგან შემდგარ დასტას, რომელიც ფართოდ გამოიყენება ეზოთერულ პრაქტიკებში.

#### **ტაღმა:**

საშ. ქართ. **I. ტაღმა** საბაჟო გარდასახადი- დ. ჩუბ. დამღა?

საშ. ქართ. **II. ტაღმა** გუნდი მხედრობისა – დ. ჩუბ.

**ტერ-ი:**

ძვ., საშ., ახ. ქართ. **I. ტერი** ძვ. «ქვეშსაფენელი და საგებელი» (საბა).

**ტერი:** „მოართუეს მას ათი ტაბასტი და ათი ტერი და ათი ქუაბი, სი-ავი...“ ასე იკითხება ეს ადგილი სამ ძველ რედაქციაში: ათინურსა (ოშკურ-სა), იერუსალიმურსა (№113) და მცხეთურში (A- 51).

ძნელია, ძველ ქართულში ნახმარი **ტერის** ზუსტი მნიშვნელობის დადგენა, მაგრამ შეიძლება ვიფიქროთ, რომ თავდაპირველად ის აღნიშნავდა ზეწარს, საბნის შალითას, შემდეგ კი საგებ-სარეცელს, ხოლო ბოლოს –ყოველგვარ ქვეშსაფენელს (ნოხს, ფარდაგს, და მისთ).

„შესამოსელის“ სინონიმად გვხვდება **ტერ-ფუძისაგან** –ეულ სუფიქსით ნაწარმოები სიტყვა **ტერეული**. ვითარცა სამოსელნი განკვდენ და ვითარცა *ტერეულნი* სცვალნე იგინი, და იცვალნენ (სტიქომეტრია, კ. დანელია 1998, 99), ძირეული ერ იგივეა, რაც სომხური *տեր* რომელიც თხელ-გამჭვირვალე ქსოვილს აღნიშნავს (დანელია 1998, 250).

საშ. ქართ. **II. ტერი** (სომხ. ტერ). უფალი, მფლობელი პატრონი. შენ მოგკლა, ვინ დაგიტირებს, ან შენი ტერი ვინ არის (შჰნ. II, 3809, 2).

რომ დავანანოთ აქ მოსვლა, არ ჰყვანდეს პატრონ ტერია (ი. ტვ. 602, 57, 4). აწ წადით და მე დამაგდეთ, ეტერენით თავთა თქვენთა (ვეფხ. 651, 1).

დიალექტ. **III. ტერი** ზმ. მტერი (რაჭ. კობახ.). ტერი. მტერი. – მე აწი არ მოვრჩე, ტერი არაა იმის უფრო (რაცხ. გურ.). შდრ. მტერი ავის მდომი, მავნებელი – დ. ჩუბ.

**ტიალ-ი:**

საშ. ქართ. **I. ტიალი** მზის ჩასვლის დროს ცოტა რამ შუქი ჩნდეს იმას ჰქვიან. 1. ზღვის პირსა მივე, შევხედენ, [ნავი] ჩანდა ოდენ მზის ტიალსა (ვეფხ. 628, 3). **მზისა ტიალი** „ახლად ჩასული მზის შუქზე“ (წაქაძე 1976).

დიალექტ. **ტიალი, გატიალება** „გათენება, გარიჟრაჟება“ (გურ. ჟღ.). რო გატიალდა, წამევედით ქორწილიდან (გურ. ჯაჯ.). ჰიდამდი გატიალ-დებოდა, გოდერძის უღელტეხილი გავლილი გვექონდა (აჭარ. ნიჟ.).

2. მთის წვერზე რომ ავიდნენ, კარგად გატიალებული იყო (აჭარ. ნიჟ.). „წამოხტი, რავარც იტიალოს“ (გურ. მალაზ.).

3. გადატ. **ტიალი** „ღია ფერი“ (გურ. შარაშ.). არც ძალიან მუქი იყოს, არც თლათ ტიალი, ჩემ დროულ ქალ რომ ეფერება, იმფერი კაბა მიყიდე (აჭარ. ნიჟ.).

გადატ. აჭარული **გამოტიალება** „გამომჟღავნება“, „გამოაშკარავება“, „გამხელა“. ბევრს ნუ ტიტინებ, თუ არა შენს ნაქნარ საქმიებს მეიდანზე გამეკტან, ყველამფერს გამოგიტიალებ (აჭარ. ნიჟ.); იმდენ ხალხში რაფერ გამუტიალე, რაფერ გაარეზილე (იქვე, 91).

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ „ვეფხისტყაოსნის“ მ. წერეთლისეულ გამოცემაში ტიალი „ციალად ყოფილა შეცვლილი“.

ტიალ-ფუძიანი სიტყვები ამ შინაარსით შემონახულია გურულსა და აჭარულში.

1. ალ. ჭინჭარაულის აზრით 1. ტიალი „კიალიდან მიღებული ფორმა“ (ჭინჭარაული 1981, 65).

2. იალ-კიალ და იალ-ტიალ სიტყვათა ერთნაირი მნიშვნელობა „ცაში აქა-იქ ღრუბელი“ შემჩნეული აქვს ფ. ნაისერს, იგი მათ თვლის რითმულ სიტყვებად „თინათინის“ ანალოგიით. ამასთანავე მიაჩნია, რომ იალ-კიალი > იალ-ტიალი: კიალ კი – კრიალისაგან რ-ს დაკარგვით, ხოლო კრიალისათვის ამოსავალი უნდა იყოს ზმნური კარ-ფუძე. მას სილუსტრაციოდ მოჰყავს შემდეგი წინადადება. „დიდი წვიმა იყო, მარა ახლ იკარა“ (ნაისერი, 1953, 57-58). ამავე აზრს იზიარებენ ფ. ერთელიშვილი (ერთელიშვილი 1970, 214) და ლ. სანიკიძე (სანიკიძე III, 1975, 531).

საშ. ქართ. II. „ვეფხისტყოსნის“ ერთ-ერთ მე-19 საუკუნის ხელნაწერზე დართულ ლექსიკონში **ტიალი** 1. განმარტებულია როგორც „ბიაზანი“, დატეხებული, ოხერი. მათ პილოტანმა უყვილა: «დაგრჩათ სამყოფნი ტიალნი (შპნ. II, 3791, 3).

**ტიალი** ხშირად იხმარება სიტყვებთან: ადგილი, მინდორი, მიწა, უდაბნო, ველი, სივრცე...და ნიშნავს „ცარიელ, თავისუფალ, მოტიტვლებულ ადგილს“. ამას ზარის განსაკუთრებულად მაღალსა და ტიალსა ადგილსა შთასაჭრელად განმზადებულთა კაცთა (აბუს. ტბ. 66, 18). შავი ყორანი გამითხრის საფლავს მდელითა შორის ტიალის მინდვრის (ნ. ბარათ. 52, 8).

მიწა იყო ტიალი, უსოფლო და უდაბო (გ. ლეონ. 220, 7). მდინარის პირად ტიალ ველზე მართო დგას რკინიგზის პატარა სადგური (ს. კლდ.). **ტიალი მინდორი** – ცარიელი, გატიტვლებული დიდი მინდორი (ზ. გურ. კიწმარ.).

დიალექტ. 2. ტიალი ამ შინაარსით დამოუკიდებელი ლექსემის სახითაც გვხვდება. უდაბნოდ იქცა ჩემი არსება, უოაზისო, ტიალი რჩება (ვაჟა). წელზე მომდგარი აყვავებული შქერები შრიალით გავარდვიე და ტიალში ორ ხესთან გავჩერდი (ფრ. ხალვ. 141, 4).

ზემოდან ტყეა, ქვემოთ ტიალი (აჭარ. ნიჟ.). ლუკაიას ეზო სულ ტიალია, ერთი ძირი ხეი არაა შითე (გურ. ჯაჯ.). გზავრმა ქალი გამეიყვანა ტიალში (გურ. ლ. 213, 14). ბახმაროს გარშემო ტყე და ტიალები აკრავს და 20 კილომეტრის სიახლოვეს სოფელი არ არის (თ. სახ. 130, 17).

„ცარიელი, თავისუფალი ადგილის“ აღმნიშვნელი **ტიალ** (პროგრესული ასიმილაციით ტიელ, და კუმშვით გამოწვეული ტივლ-ფუძიანი სიტყვები ხელმეორე მეტაფორიზაციით იღებს „ოხერის, უპატრონოს, ვერანას“ შინაარსს.

ტიალთ ვენახთა მოსჭამენ დათენი, ძაღლნი და ღორები (დ. გურამ. 97, 24). მთელი ქვეყანა შემექმნა მე ნგრეულ, ტიალი (ილია 71, 5). მათ დიდთ შენობათ დიდნი ნანგრევნი ჩვენ თვალთ-წინ პირქვე ტიელად ჰყრიან (ვ. ორბ. 36, 5).



3. სიტყვა ტიალს ხშირად დაკარგული აქვს საგნობრივი მნიშვნელობა და მხოლოდ ემოციური იერილა აქვს შენარჩუნებული. იხმარება როგორც საალერსო სიტყვა. ხევზედ მიდიან ნისლები, / გაჩქარებულნი მღერითა, / როგორ ხარობენ ტივლები, / რომ მიწას ჰფარვენ ბნელითა (ვაჟა).

მუხავ, მიყვარხარ, ტიალო, / განმარტოვებით მდგომარე (ბაჩ. 7, 22).

ტიალო დარიალაო, კლდენი ხარ, ცარიალაო (ელ. ვირს. 227, 15).

ტიალო! ნატვრის შორისდებული. ტიალო! რა კან წელიწადნ ვიცოდნდილთ შატილ! (ხევს. ჭინჭ.).

4. ტიალი ძირითადად უარყოფით ეპითეტად, საწყევარ სიტყვადაა გამოყენებული, ამ შინარსით იხმარება სიტყვის მასალადაც.

ამ ტიალ ამინდში რაისთვის მოსულხარ (აკ. ბელ.). როცა დადგება ღამე ტიალი არი ჩეხვა და ტყვიის ქარბუქი (ი. ნონ.). სულილა დაამწარეს ამ თავგვტალეზმა, განჯინაში ველარაფერი შემინახავს (ვაჟა). წყალ-ტიალას რადამ შეუცვალ გემო?! (ა. ყაზბ.). ეს ტიალი, დამავიწყდა, რომ დეკოლტეთი არ წავსულიყავი (შ. არაგვ.).

ე ტიელ, ერთი ბიჭი როგორ არ ჰყავდა გვერდში (ს. მგალობ.). მეც დედა ვარ, ეგ ტიელი, ეგ (დ. შენგ.). ასევე უარყოფითი შინარსი აქვს ტიალ- ფუძიან ზმნურ ერთეულებაც. ატიალია „აბადია, გააჩნია“ (ამბობენ უპატივცემულოდ). არაფერი ატიალიათ ოჯახში (იკ.); ღმერთო კი მომკალი, ჯერ ისე არ მატიალია რა და სულ გამიოხრა ყველაფერი (ატ., ქართლ. ლექსიკ.).

ტიალის წარმომავლობის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია შემდეგი მოსაზრებანი: 1. კახურ-ფშაური: ტიალი < ტიელი (\*ტევალ, შდრ. დუ-ტევ-ა, გურ. დაუ-ტი-ა) (ქავთარაძე 1964, 295). 2. ტიალი < ტივალი, ხოლო ამ უკანასკნელისათვის ამოსვალია გაუტევს, გაუტი(ვ)ა ლექსიკური ერთეულები (ჭინჭარაული 1982, 105).

### ტიკი:

ძვ. ქართ. **I. ტიკი**, ტიკჭორა (სომხ.) ტიკი და ჭური, თხიერი – დ. ჩუბ. „ერთსა ჰქონდის ტიკითა ღვინო“ (O, I, მფ. 10, 3).

საშ. ქართ. [მას ტიკის] ღვინო უდგი მინით (დ. გურ. 186, 1, 3). ერთი ტიკი თან იახლა, წყლით აივსო და ბაღდადის გზა იკითხა (მეფ. სალ. 336, 4).

ახ. ქართ. **ტიკი** 1. ოთხში (გუდად) ამოღებული, შიგნიდან მოკუპრული ცხვრის, თხის ან ხბოს ტყავის ჭურჭელი ღვინის ან არყის ჩასასხმელად (სინონ. ძვ. თხიერი). ღვინო არსად იყო და ეშმაკები ტიკს ალბობდნენო (ანდაზა). დემეტრეს სახლის ეზოში ღვინით სავსე ტიკები ეწყო (ვაჟა). 2. იგივეა, რაც სტვირის გუდა. [საზანდარმა] ჩაჰბერა ჯერ სტვირსა. გაბერა ტიკი და სტვირი აჩქამდა (ვაჟა). 3. რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი. ნავტიკი.

დიალექტ. **ტიკის მასრაჲ** ხის პატარა მილი, რომელიც გაკეთებულია ტიკში სითხის გადმოსასხმელად ან მის გასაბერად (თუშ. ხუბ.).

საშ. ქართ. **II. ტიკი** დაავადება. სახელი ჰქუიან *ტიკი*, და ბერძულად ასფიტისი, და სპარსულად ზიყი. სრულ[ა]დ გასივდების თ[ა]ვით ვირე ფერქთ[ა]მდის, და ერთი ფერი ესე არის (ფანასკ. 223, 34).

დიალექტ. **III. ტიკი** (ზ. რაჭ.) თიაქარი (ალ. ღლ.). შდრ. ტრიკი (ქართლ., იმერ.) ფუში, სენია ერთგვარი (თ. რაზიკ. ი. ჭყონ.).

**III.** ტიკი [ფრანგ. tic] კუნთების უნებლიე, ხშირად განმეორებადი მოძრაობა (უფრო ხშირად სახის ან მხრის), ჩნდება ნერვული სისტემის დაზიანების დროს – მ. ჭაბ.

**III.** ტიკი [ნიდერ. tijk < ინგლ. Tick] მკვრივი, მყარი სელის ან ბამბის ქსოვილი, უფრო ხშირად ზოლიანი; გამოიყენება ავეჯზე გადასაჭიმად, ლეიბებზე გადასაკრავად და სხვ. – მ. ჭაბ.

**IV.** ტიკი [ინგლ. teak] ხე ვერბენისებრთა ოჯახისა, იზრდება ონდოეთსა და ინდონეზიაში, ხის მასალის სიმკვრივის და გამძლეობის წყალობით გამოიყენება გემების მშენებლობაში – მ. ჭაბ.

### **ტიმონ-ი:**

საშ. ქართ. **I. ტიმონი** ბერძნ. ნავთ სამართი ფიცარი, აფთიონი, მხერვალი, საჭე, პიდალიო – საბა, დ. ჩუბ. რიგიან ტიმონის სადავე სუბუქად მავალსა ნიავქარსა ჳელთ უგდეს (ქილ. 799, 20).

საშ. ქართ. **II. ტიმონი** (ბერძნ.) ველის ანისული, ხე ურცა – დ. ჩუბ.

### **ტიფ-ი:**

საშ. ქართ. **I. ტიფი** ფრინველი-დ. ჩუბ.

ახ. ქართ. **II. ტიფი** [ბერძ. typhos] მედიც. საერთო სახელწოდება სხვადასხვა მიზეზით გამოწვეული მწვავე ინფექციური დაავადებებისა, რომლებიც ძლიერი ციებ-ცხელების სახით ვლინდება. პარტახტიანი ტიფი. – მუცლის ტიფი. – შებრუნებითი ტიფი.

### **ტოლ-ი:**

ძვ. ქართ. **I. ტოლ**-ფუძე გამოიყოფა ძველქართულის სიტყვაში **განტოლვება** დასი, რიგი: „დაადგინნა სიმართლისაებრ მათისა განტოლვებად იგი მღდელთაჲ“ (II ნშტ. 8, 14). „დაადგინნა... მეკარენი განტოლვებისაებრ მათისა ბჭით ბჭედ“ (II ნშტ. 8, 14).

საშ. ქართ. **ტოლი** თანასწორი ტანითა, ხნით, სიდიდით. **ტოლობა** სისწორე ხნითა (დ. ჩუბ.). ბრძენთ დაუგმია ყოველთა კაცთათვის გმობა **ტოლისა** (ნ. ციც. 497, 14). მზის დროშის **ტოლნო**, სოფლის მსტროლნო (ბეს. 68, 9). კახ-ბატონსა კახთ აყვედრეს: უღლით **ტოლი** გამოგემო (დ. გურამ. 100, 266, 1). საბრალთა მხოლოდ სული ობოლი, ძნელად პოვოს, რა დაკარგოს მან **ტოლი** (ნ. ბარათ.).

ახ. ქართ. **ტოლი** 1. თანაბარი, თანასწორი (სიდიდით, ხნით, მდგომარეობით...). კვებით არ ვიტყვი ჩემს ტოლ ბიჭებში ნაბოლოვარი არ ვიყავ (ილია). [ფიქრია] სიმალლით თითქმის არსენას ტოლი იქნებოდა (მ. ჯავახ.). 2. გადატ. ამხანაგი, მეგობარი, სწორი. ლექსო თავის ტოლებში პირველი ბიჭი იყო ტანადობით, სიმარჯვით, ღონით (ი. გოგებ.).

გადატ. მეუღლე, ცალი. [ირემი] თავის ტოლს, სიცოცხლის სწორსა, გულამოსკვნილი გლოვობდა (ვაჟა). 2. უღელში საბამი ხარის, კამეჩის თანამეუღლე. ამ ხარის ტოლი სად არის ის მოიყვანეთ!“ ყველა ხარს თავთავისი ტოლი შეუშობით, არ აგერიოთ (ჯავახ. ზედგ.).

ამავე შინაარსისაა ზან. **ტოლი** (მეგრ. ქაჯ.).

**ტუელ, ტოუელ, ტელ, ტოლ**, ტოლი, თანასწორი, ერთი ასაკის (სვან. თოფ. ქალდ.).

**ტოლი** სალიტერატურო ქართულში, თუ იგი ნასესხები არ არის, სწორედ დიალექტებიდან უნდა შემოსულიყო გვიან საუკუნეებში. ვვარაუდობთ, რომ ეს არის ამტოლა, იმტოლა. ფორმებიდან გამოყოფილი და დამოუკიდებელ სიტყვად ქცეული ისევე, როგორც ოტენა, ტენი და ტელა და დონე სიტყვები (ჭინჭარაული 1990, 103-110). ოდენი, ოტენა, ტენი > ტელა > ტოლა, ტოლი.

ახ. ქართ. დიალექტ. **II. ტოლი** 1. (ქიზ.) ერთჯერობაზე მოქსოვილი შალი (ს. მენტ.). 2. კუთხ. (ფშ. ხევს.) შინ მოქსოვილი შალი. ტოლი იქსოვება ბატკნის მატყლისა («დიალ.»). მეტ-ნაკლები სემანტიკური გადაწევით გვხვდება აგრეთვე შემდეგ დიალექტებში: (მოხ. ქავთ., ფშ. შან., ხორნ., ცოც., ქეშიკ., ხევს. ჭინჭ., თუშ. ხუბ., ცოც.).

**ტოლი, ტოლიკა, ტოლომა** სიტყვებს ა. ჭინჭარაულს ვაინახურ სიტყვებად მიიჩნევს. იგი წერს: ვაინახურად ტუფლიგ არის „Тряпье, лохмотья“. ...ვაინახური ტუფლიგ თურქულენოვანი სამყაროდან ნასესხები ჩანს: ტულუნ, ტულუკ, ტულუპ //ტულუბ // ტულბ აზერბაიჯანულსა, ჩალათაურსა და სხვა ენებში ეწოდება ტყავის გუდას, ტიკს და მისთ. ...ვაინახურში – იგი კნინობითის სუფიქსია და ვაინახებს უცხოენოვანი ტულუკ აღუქვამთ როგორც თავის ენის კნინობითი ფორმა ტულ-იგ, ამიტომაც იგი ძონძმაძეების, ნაფლეთების სახელად ქცეულა. ასევე დამართვიათ აღმოსავლეთ საქართველოს მთიულეებსაც: მათ ვაინახური კნინობითი ფორმა ტულიგ შეუცვლიათ ქართული კნინობითით „ტოლ-იკ-“. სიტყვა ტოლი მატყლის ქსოვილის მნიშვნელობით დამკვიდრდა მთის დიალექტებში... ქისტურიდან მომდინარე ტოლი (თუშურის გზით) ქიზიყურშიაც შესულა. რაც შეეხება მნიშვნელობის დაკონკრეტებას, – სიგრძის მომენტის შემოტანას – მის მიზეზი ის უნდა იყოს, რომ საზოგადოდ ქართულში სიტყვა ტოლი ზომა-წონაში გამოსაყენებელი სიტყვაა, ხოლო კერძოდ ქიზიყურში ტოლის ერთ-ერთი მნიშვნელობაა „ხუთი კვერცხის წონა“ (სტ. მენტ., ჭინჭარაული 1989, 114-115).

ახ. ქართ. **III. ტოლი** (ქიზ.) ხუთი კვერცხის წონა (ს. მენტ.).

დიალექტ. **IV. ტოლბ** ხის მომსხო ტოტი. „გადაქვეულებს, ტოლთა-დ იმათ ვენიაზებით“ (თუშ. ცოც., ხუბ.). შდრ. II. ტალი (ჩვენ. ფუტკ.).

**ტოლბ** ქოჭებზ. აკაზმები ტოლის, ფარდაგის, ხალიჩის და სხვა ამგვართა მოსაქსოვი დაზგა-მოწყობილობა (თუშ. ცოც.).

დიალექტ. **V. ტოლი** (dolu) სავსე, ავსილი, დიდი რაოდენობით. „ჩემო გამზდელი ლობიაჲ, ტოლით ჩაქყარე მიწაში“ (ინ., ჩვენ. ფუტკ.).

ახ. ქართ. **VI. ტოლი** [ფრან. tôle] ტექ. ქვანახშირის ფისით გაჟდენთი-ლი სქელი მუყაო – მ. ჭაბ.

შდრ. **ტოლ** ტოლი (სახურავის სახეობა) (სვან. თოფ., ქალდ.).

### ტომ-ი:

ძვ. ქართ. **I. ტომი, ტომი** „ნათესავი“, „ერი“, „ერობა“ „მამობა“: „მივეც იგი... კერძოსა ტომსა (მას ნათესავსა M) მანასისსა (მანასესსა M)“ (G, II, შჯ, 29, 8). „ეტყებდენ ყოველნი ტომნი (ნათესავნი C) ქუეყანისანი“ (მთ. 24, 3). „აღებულ არს დღეს ტომი ერთი ისრაჴლისაგან“ (მსჯ. 21, 6). „თქუნენ გეტყვ ერთა, ტომთა და ენათა“ (I, დან. 3, 4). „მოვიდეს მისა ყოველნი ტომნი მისნი და მახლობელნი“ (მ. ცხ. 181, 16). აგრეთვე: ტომად, ტომეულად, ტომად-ტომად, ტომთ-მთავარი, ტომის მთავარი ტომობა ტო(3)მის-რაცხა თესლ-ტომი, ნათესავ-ტომი, უცხო-ტომი – ილ. აბულ.

საშ. ქართ. **ტომი** მონათესავე. ხალხი, ნათესავი. ვთქვა მიჯნურობა პირველი და ტომი გვართა ზენათა (ვეფხ. 20, 1). მოიყვანა სპარსეთით ტომი მისი (არჩ. ცხ. 68, 18). არ ვღირსვართ, მაგრამ ჩვენ ვართო თქვენი თვისნი და ტომები (თეიმ. 97, 231, 1). უკეთუ ქვეყნად თვისნი და ტომნი, რომელნიც გყვანან შენ კაის მდომნი, მშიერთ გიჭმევენ (დ. გურამ. 310, 25, 1). სისხლი ხარ ჩემი და ტომი, რაცა გითხრა, დაიჯერე! (შჰნ. II, 4935, 1).

ახ. ქართ. **ტომი** 1. პირველყოფილი თემური წყობილებისათვის დამახასიათებელი ეთნიკური ერთობისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ფორმა; აერთიანებს საერთო კულტურისა და ტერიტორიის მქონე მონათესავე გვარებს. ქართველი ტომები მრავალი საუკუნის განმავლობაში კავკასიის მკვიდრებად იქცნენ (ივ. ჯავახ.). 2. მოდგმა, შთამომავლობა. „ვინა ხარ, რა გიძს სახელად, ვის ტომთა გვაროსანი ხარ?“ (ზ. ანტონ.). || ხალხი. ახლა... (ახალციხელებს) უცხო ტომი მოუვარდა და ამ ოჯახს ანგრევს, წვავს, და უწყალოდ ხოცავს ყველას-ქალებსაც და ბავშვებსაც (მ. ჯავახ.).

**ტომი** სპარსული სიტყვაა და თესლს, გვარსა ნიშნავს. ეს სიტყვა შეთვისებული აქვს სომხურს და ასურულსაც (ჯავახიშვილი 17, 1928). იხ. აგრეთვე (აბულაძე 1953, ანდრონიკაშვილი I, 1966, 380).

ზან. ტომი ტომ-ნათესავი ტომით ნათესავი (მეგრ. ქობ.).

ახ. ქართ. **II. ტომი** ნათესავობა, შთამომავლობა // ნაწილი წიგნის, ცალკე შეკრული – ნ. ჩუბ. [ბერძ. tomos განყოფილება] რაიმე თხზულების ან რომელიმე ავტორის თხზულებათა ნაწილი ცალკე წიგნად. ჩაიხედეთ კანონების IX *ტომში* (ილია). ზდანოვიჩმა მომიტანა საჩუქრად მარქსის „კაპიტალის“ ორი *ტომი* (დ. კლდ.). || გადატ. დიდი, სქელი წიგნი, დიდი ნაწარმოები. მარტო აბდულა-ბეგის ალყზე დიდი ზღაპრული *ტომი* დაიწერება (მ. ჯავახ.). მაგის საქმეს მაშინვე გავეცანი, ეს სქელი *ტომი* მაგიდაზე ბარე ერთი კვირა მედო (ჭ. ამირეჯ.). იხ. I. ტომარი / ტომარა.

**ტომარა:**

ძვ. ქართ. **I. ტომარი / ტომარა** ქარტა, გრაგნილი: „იხილნა ანგელოზნი. და ერთისა მათგანისა ჴელთა *ტომარი* დიდი დაწერილი ორკერძოთვე“ (მ. ცხ. 218, 18). „ერთი წიგნი *ტომარი* და ესრე წერილ იყო წიგნსა მას საკსენებელთასა“ (ო, II, ეზრა 6, 2).

მოიღეს *ტომარა* ერთი ქარტა და მიწერეს ესრეთ (ანან. ებრ. 41v).

**ტომი // ტომარი** ბერძნული სახელებია. Τόμος – „პაპირუსის ან ეტრატის ნაჭერს, ნაკვეთს (ს. ს. ორბელიანის განმარტებით: გრძლად გადამბმულ ქარტას), წიგნს, ან წიგნის შემადგენელ ნაწილს“ აღნიშნავს, ხოლო Τομάριον მისი კნინობითი ფორმაა. „ტომარი“ სწორედ ბერძ. Τομάριον-იდან მომდინარეობს და, როგორც ტექსტი მოწმობს ძალიან ადრევე გვხვდება ქართულ მწერლობაში (აბულაძე 1976, 142).

საშ. ქართ. **ტომარი**: მწერალნი იყვნენ, რომელნი სწერდნენ შემოსავალსა და წარსაგებელსა ყოველსავე, და *ტომართა* და სხუათა (ქ. ცხ. IV, 23, 25). ესენი იყვნენ მხლებელნი ანუ მოსამსახურენი დედოფლისა თვისისა და ესენი აღწერდნენ *ტომართა* ანუ დავთართა სხვათა მისთა მსახურთათა (კალ. 117, 8).

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **II. ტომარა** საცალო შთასადებელი – საბა.

„**ტომარა** ვაშკარანი საბელთა ჰქვან, ხოლო ბალანტი *ტომარას*“ (A=1459 64v) **ტომარაკი** ტომარა (კნინ.). „აღილო *ტომარაკი* თვისი“ (A= 35 20r 14-15).

**ტომარა 1.** მტკიცე ქსოვილის (ტილოს) ჩანთის მსგავსად გამოკერილი სათავსი, რისამე (ფქვილის, მარცვლეულის...) შესანახად ან გადასაზიდად. ცარიელი *ტომარა* ფეხზე ვერ დადგებო (ანდაზა). სათონეში ტომრებით სიმიინდი და ქერი იდგა (თ. რაზიკ.). **საძილე ტომარა** ტომარასავით შეკერილი საბანი, ჩვეულებრივ, ალპინისტების, ტურისტების სახმარი. 2. გადატ. მოუხერხებელი, უგერგილო, დუნე ადამიანი. ფიქრია დაღონდა. გმირს ეძებდა და ტომარას წააწყდა (მ. ჯავახ.).

ამავე მნიშვნელობით დასტურდება **ტომარა** ზ. იმერულში, ქიზიყურში, მესხურში, ჯავახურში, თუშურში, ხევსურულში... (იხ. მრეწ. II, II, 199, 1982).

დიალექტებში დასტურდება მ-ს გავლენით ო-ს დავიწროება (ნაწილობრივი ასიმილაცია) ტუმარაი/ე (გურ. იმნ. 51).

ზან. ტომარე // ტომარა; დიდი საწყაო მარცვლეულისა და ფქვილისა (ასი კგ. ტევადობისა) (მეგრ. ქობ.).

**ტომარაჲ, ტუმარაჲ, ტომარაჲ** (სვან. თოფ., ქალდ.).

**ტრიალ-ი:**

საშ., ახ. ქართ. **I. ტრიალი** ფართო, გაშლილი მინდორი. ლილასა გვანდა აბჯარი, იგი მინდორი ტრიალი (შპნ. I, 116, 384, 4). №1505 ხელნაწერში ტრიალის ნაცვლად იკითხება **ტიალი**. შდრ. II. ტიალი.

ახ. ქართ. **ტრიალი** 1 [მიღებული ტიალისაგან]: ◊ ტრიალი მინდორი ◊ ტრიალი ქვეყანა გადატ. მთელი ქვეყანა, – მსოფლიო, სამყარო. ბუჩქნარიანი მინდორი თავდებოდა *ტრიალი* მინდვრით (ნ. ლორთქ.).

მე ვიყავი [პეპიასა და თამროს] გულშემატკივარი ამ *ტრიალ* ქვეყანაზე (ილია).

ახ. ქართ. **II. ტრიალი** 1. მოძრაობა რისამე ირგვლივ, წრიულად ან თავისი ღერძის გარშემო, – ბრუნვა. არწივმა აიწია, აფრინდა და დაიწყო ჰერში *ტრიალი* (ვაჟა). || აქეთ-იქით ქნევა, მოძრაობა. მიყვარს პირწმინდა ნამგალი, მისი ყანაში *ტრიალი* (აკაკი, ვაჟა). 2. გადატ. მუშაობა, გარჯა, საქმიანობა. ვენახს თითქმის მთელ წელიწადს დღემუდამ შიგ *ტრიალი* უნდა მუშა ხელისა (ილია 3. გადატ. ყოფნა, ცხოვრება (სადმე, რამე წრეში). [ლიზას] გარემოებამ წილად არგუნა მდაბიო ხალხში *ტრიალი* (ეკ. გაბ.).

დასტურდება ტრიალ-ფუძიანი როგორც ნაწარმოები სიტყვები, ისე იდიომები. იხ. ქეგლ.

ტიალობს ტრიალებს. „დუნდა *ტიალოფსო*, იტყვიან“ (ჰ.) (ჩვენ. ფუტკ).

ზან. **ტრიალი** ტრიალი, ტიალი (მეგრ. ქობ.).

**ტრიალი**. ძვ. ქართ. ტრვა სლვა; აღ-ტრვ-ა, ს-ტრ-ევ-ა, წარიტარა სიტყვებისათვის აღდგენილია ს. ქართვ. \*ტარ – სვლა (ჩუხუა 2017). ვფიქრობთ, რომ ტრიალში-ც ტარ- ძირი გამოიყოფა.

**ტრიონ-ი:**

საშ. ქართ. **I. ტრიონი** წერტა, საწერტლით ლალვა – დ. ჩუბ.

საშ. ქართ. **II. ტრიონი** ფართო სამოსელია ფილასოფოსთა ბალანთაგან, შეურაცხებისათვის იქმან (იქმოდენ) – საბა. ფართო სამოსელი მატყლისა – დ. ჩუბ.

საშ. ქართ. **III. ტრიონი** კაცნი არიან ერთის თემისანი – საბა.

**ტროპ-ი:**

საშ. ახ. ქართ. **I. ტროპი** ბერძ. (ტროპოს) რიტორულად ხმარება ლექსთა გარდაღებულსა შინა მნიშვნელობასა – დ. ჩუბ., ქეგლ.

**ტროპი** არს შეცვალევა ერთისა ლექსისა მეორესა შინა ესეოდენვე გასაგონსა, გარნა უმეტეს გამოსათქმელსა (ს. დოდ. 429, 13).

საშ. ქართ. **II. ტროპი**, ტრაპი ზურგის ძვალი, გინა საფუძველი ნავისა – დ. ჩუბ.

შდრ. **ტროპარი** გემის შუახე, ნავისა სიმძიმე. ყოველივე საშუალოსა მას ძელსა, *ტროპად* სახელდებულსა უტვრთავს (ler= 9 143v 16-19a).

### ტულ-ი:

ძვ. ქართ. **I. ტული** ლეიბი. შედგა იგი *ტულსა* და *მატყლსა* ფრიადსა (ვარ. 815). შდრ. II. ტოლი.

საშ. ქართ. **ტულია** რბილი ქვეშაგები. თაყუანის-ცემა *ტულია* ჰმუენის ჯუარსა (წყობილ. 296, 1).

ახ. ქართ., დიალექტ. **II. ტული** ქართველი ქალის თავსაბურავის ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტი (ჩიხტიკოპთან და ბაღდადთან ერთად). ამზადებენ სხვადასხვა ფერისა და ხარისხის თხელი ქსოვილისაგან (**ტული**, ბლონდი, ატლასი, მარმაში და სხვ.) (ნადირაძე 2011).

**ტული** ქსოვილია ერთგვარი, რომლისგანაც მზადდება მანდილი, ჩიქილა და სხვ. (მოხ. ქავთ.). **ტული** < **ტიული** [ფრან. *tulle* გეოგრაფიული სახელი] თხელი ბადისებრი გამჭვირვალე ქსოვილი. ტიულის ლეჩაქი. – ტიულის ფარდა – ქეგლ.

### ტუტა:

ძვ. ქართ. **I. ტუტა** (არაბ. *თუთა*) ხართუთა საბა. „მწყემსი ვიყავ და ვწულებლევდ *ტუტასა*“ (ამოს. 7, 14). „აქუნდა მონასტერსა მისსა ტუტად ფრიადი კეთილი“ (ნოველები, II, 93. 13-14).

ახ. ქართ. **II. ტუტა** 1. წყალში მოდუღებული ნაცარი, – ნაცარტუტა. [გასულმა წელმა] დაგვაზიანა ძალიან: ხორბალი გადაგვიქცია სულ მტკნარად გუდაფშუტადა..., მაჭარი – მჭახე *ტუტადა!* (რ. ერისთ.). 2. რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი. ნაცარტუტა.

დიალექტ. ხევს. 1. ლურჯი საღებავი (ლილა), ნაცარწმენდილში გახსნილი. ჩოკას ლებვენ *ტუტაში* ლურჯად (შინამრეწვ. 21). 2. „თბილი სითხე“ (ა. არაბ.). – ალ. ჭინჭ.

„**ტუტა** ფშ. 1 ცხელი ნაცარი. 2. ლურჯად საღებავი, სამღებრო მასალა, შემდგარი ადუღებული ნაცრისა, ლილისა და თავშავა ბალახისაგან, უკანასკნელი შეიძლება არ ერიოს“ (ფშ. შან., ხორნ.). ტუტა ძალიან მლაშე (მთ. კაიშ.). **ტუტაჲ** წყალ-მიწის ხსნარი. „ალაზან მოდის როგორც *ტუტაჲ* (თუშ. ცოც.). იხ. ტუტე < ტუტა (ჯავახ. მარტ., მესხ. ფეიქრ., ინგ. ღამშ.) აგრეთვე ტოტა.

\*ტუტა არქეტიპი საერთო-ქართველური ფუძე-ენისათვის აღადგინა გ. კლიმოვმა (ფენრიხი, სარჯველაძე 1990, ჩუხუა 2000-2003).

**ტუფ-ი:**

საშ. ახ. ქართ. **I. ტუფი** (სომხ.) ბოსტნის კვალი – დ. ჩუბ.

დიალექტ. **ტუფე** ბოსტნის პატარ-პატარა კვლები. „ორი ტუფე ქინძი დავთესე“ (ად.). ბოსტანში *ტუფიები* დავაკეთე“ (ად., ჩვენ. ფუტკ.).

ახ. ქართ. **II. ტუფი** [ლათ. tofus-იდან] გეოლ. ვულკანური ან დანალექი ქანების მსუბუქი, ფოროვანი სახე; ხმარობენ საშენ მასალად. – მ. ჭაბ.

**ტყავ-ი:**

ძვ., საშ. ქართ. **I. ტყავი** კაცისა და ცხო(ვ)ელთ ჯორცთ გარეგანი საფარველი, ხოლო ვინათგან არიან ტყავნი, რომელიმე ბეწვ-კეთილნი, ვითარცა: ხაზიდი, კვერნა, ყარსალი – საბა.

„ვითარცა *ტყავი* ფაჩუნიერ (გამოვიდა)“ (O, დაბ. 25, 25). „დააგდის *ტყავი* იგი მისი ძუელი“ (ფიზ. XIV, 16) „შეიმოსა სამოსელი ესე *ტყავისად*“ (გრ. ნაზ. – შობ. 298, 18).

**ტყავი** ბეწვეული; ბეწვეულის ტანსაცმელი, მოსასხამი, *ტყავი* და სარტყელი მათი შესაფერისი, მრავალი ნუზლი ყოვლისათანა (რუსუდ. 71, 24).

ახ. ქართ. **ტყავი** 1. ცხოველის გარეთა, ჩვეულებრივ, ბეწვიანი საფარველი, – კანი. თხა *ტყავის* დარდში იყო, ყასაბი კიდევ ქონისაო (ანდაზა). || მოკლული, დაკლული ცხოველის გამძვრალი ასეთი საფარველი. თუ კურდღელი დაიჭირო, ხორცი ჩვენ, *ტყავი* შენაო, და თუ მელასა დაიჭერ, *ტყავი* ჩვენ, ხორცი შენაო (ხალხ.). 2. ცხოველის ბალნიანი საფარველისგან შეკერილი ჩასაცმელი, – ტყაპუჭი. [ბერიკაცი] *ტყავის* კალთებს თოვლისაგან იბერტყავდა (ილია). 3. ზოგი ცხოველის სპეციალურად დამუშავებული, გამოქნილი კანი. ტყავის ფხსაცმელი. – [ოთარაანთ ქვრივმა] ერთი შოლტი საქალამნე ღორის *ტყავი* გადმოაღებინა მედუქნეს (ილია). 4. იხ. ეტრატი. დაწერილი *ტყავი* ჩამოართვა [ჯადაროსმა დავითს] (შ. დად.). 5. ადამიანის კანი. [რამინოს] გულზე და მუხლებზე *ტყავი* ჰქონდა გადამძვრალი (ნ. ლორთქ.). 6. მცენარის კანი (უხმარიათ ქერქის ნაცვლად). თელას *ტყავი* როცა შეეხდებოდეს, მაშინ შეხადეო (ანდაზა).

აღდგენილია ს.-ქართვ. \*ტყ-აჴ- „ტყავი, ტყავება“ (ჩუხუა 2000-2003).

\*ტყავ- აღადგენს (კელაურაძე 2013, 17).

საშ. ქართ. **II. ტყავი** (< არაბ. ტაყვი) ყელსაბამი, ფარღული. მათ მოყვებოდეს ქალნი, ორნივე დაბურვილნი, სალტითა, *ტყავითა* და საყური-თა, სამკაულნი მოკაზმულნი (რუსუდ. 106,1). მოიღეს *ტყავ-საყური* და მისრის ტახტი და გვირგვინი (რუსუდ. 42, 10). **ტყავსაყური** გვირგვინი და *ტყავ-საყური* სამღნოდ მისთვის მო-ცა-მეზნეს (შჰნ. II, 3283, 1). ადგა და გამოემართა ტურფა, *ტყავ-საყუროსანი* (შჰნ. II, 2971, 1).



**უ**

**უარშიო:**

საშ. ქართ. **I. უარშიო** საბა: „უარშიო კაცი გაუწყობელი“: ესე გიორგი იყო კაცი ამაყი და უარშიო (ბ. ეგნატ 813, ქვ. 10). **უარშიობა**: და თუ რომელმანმე თქვენის სამართლის უარშიობა დაიწყოს, თქვენ განაჩენი მიეცით (სამ. VII, 516, 6). ზოგს ცოტა წყენა შეაშთობს, უარშიობს ხარულად (ვახტ. VI, 143, 672, 2). უარშიობასა და გაყრის სიტყვას მოგვახსენებს (სამ. IV. 159).

ახ. ქართ. **უარშიო**: ძნელად შესაგუებელი ხასიათისა, გაუგონარი, ჯიუტი, ურჩი (კაცი). „ჯიუტობას თავი დაანებე, უარშიო ნუ იქნები“ (გ. ყიფშ. თარგმ.).

დიალექტ. **უარშიო** უშნო, უვარგისი, გამოუცდელი, უხიერო, უნია-თო. ეს ქალი უარშიო იყო, საქონელ ყურ არ უგდებდა და ვერ პატრონობდა (ჯავახ. მარტ.). „ძიენ უარშიო შვილები ჰყამდა, თითონ ყოჩალი კაცი კი იყო“ (ჯავახ. ბერ.). უარშიო კაცი ცოდვას, ცხოვრებაშიგან თავ ვერ გაიტანს (მესხ. ფეიქრ.).

ახ. ქართ. **II. უარშიო** რასაც არშია არა აქვს მოვლებული. უარშიო ლეჩაქი. არშია, აშია მოვლებული რამე ვიწრო ნაკერი კიდურებზედ, ქობა. არშია წერილის – დ. ჩუბ. **არშია > უ-არში-ო**: არშია // აშია ძველ ქართულში გამოვლენილი არაა. შემოსულია არაბ. ḫasīat „კიდე, კაიმა“ – Deeters, 1927, 12; მ. წერეთელი 1951, 62; გიგინეიშვილი 2016.

**უბან-ო:**

ძვ. ქართ. **I. უბანი** «სავაჭრო» ქუჩა, მოედანი, შარა: „უბანთაგან რად შევიდიან“ – DE- „სავაჭროდთ-და შევლენედ“ (C მრ. 7,4). „წარმოტყუენნა უბანნი მისნი“ (M, ივდ. 1, 14). „შეკრიბეს შეშა სავაჭროთაგან და უბანთა“ (საკ. წიგ. II, 44, 16). „რომელსა ჰრქვან უბანი მართალი“ (საქ. 9, 11).

საშ. ქართ. **უბანი** შუკა, ქუჩა, ანუ ქალაქის ერთი რომელიმე ნაწილი. სრულად ნათლითა აევსო სახლი, შუკა და უბანი (ვეფხ. 480, 30). მათ ქონდა გამოსუენება იმდერდეს უბან-უბანი, მომდერალთა და მუტრიბთა აივსო შუკა, უბანი, ვისაც მიესმის, იქ მიდის, დას-დასად, უბან-უბანი (შჰნ. I, 972, 1). პოვნა... უბანი ურიათა და რუსთავი (არჩ., ქ. ცხ. 17, 21).

ახ. ქართ., დიალექტ. **უბანი** 1. ქალაქის ან სოფლის ერთ-ერთი კუთხე, ნაწილი. დაიძახეს მეზობლებმა: „ბიჭი გაჩნდა ჩვენს უბანში!“ (გ. ლეონ.). 2. განსაზღვრული ნაწილი, მონაკვეთი (ფრონტისა). 3. გადატ. დარგი; საზოგადოებრივი საქმიანობის გარკვეული სფერო. 4. გარკვეული მიზნით გამოყოფილი დასახლებული ტერიტორიული ერთეული. 5. ადმინისტრაციული დაყოფის ან სხვა რისამე (გზის, მშენებლობის...) მცირე ერთეული, – რისამე დანაყოფი. **სამშენებლო უბანი. – საეკიმო უბანი.**

გადატ. **უზნის ხუფი** უზან-უზან, გარე-გარე მოსიარულე. *უზნის ხუფი*, ეს მამიკვედეს, თელ უზანს გარშემო უვლის (კარ.). *უზნის ხუფო*, სად იყავი? (ტყვ., ქართლ. ლექსიკ.).

ძვ. ქართ. **II. უზანი** უწმინდური; შეგინებული (უარყოფითი ფორმის მიმღეობა). ადგილნი წმიდანი *უზან* და შეგინებულ ყვეს (მ. ცხ., 98, 17). შდრ. **უზანელი** «შეგინებული» დაუზანელი – ილ. აბულ. ბან- ძირი; აღდგენილია ს.-ქართვ. არქეტიპი **ზან**- (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

### უდ-ი:

საშ. ქართ. **I. ახ. ქართ. უდი** იგივეა, რაც საბრი – მცენარე შროშანი-სებრთა ოჯახისა, ალოე; ამ მცენარის წვენი – იხმარება სამკურნალოდ.

საშ. ქართ. **II. შდრ. უდო** შავჯაგა (არ. ალ უდი) ნიშნავს ხეს, რომლისგანაც ამზადებენ მუსიკალურ ინსტრუმენტებს (ზ. მაყაშვილი).

*უდის* მშვილდი შემეხარნეს ულპოლველის ისრითავე (ბეს. 118, 25). *უდსა*, სანდალსა ვაშლსა და ბიასა ხშირად უსუნებენ (იად. 118, 32). ბუხარშიაც ლამაზი შეხამებით თეთრი და წითელი სანდალი და *უდი* იყო შეწყობილი (რუსუდ. 452, 7). კუბო შეუკრეს მას მზესა, საკაცე-სანდალ-*უდისა* (თეიმ. I 135, 208, 1).

**უდი** ალოი. ვისცა სიგრილისაგან თავი სტკიოდეს მუშვი და *უდი* – ნაკუერცხალზე დააკუმოს (ფანასკ. 10, 23).

საშ. ქართ. **II. უდი** (უდი [არ. „ალ-უდ“) სიმებიანი საკრავია, ქნარი, ნა. ჰკრეს ჩანგსა, ბარბითსა, წინწილსა და ორლანოსა, მულნსა და ქამანჩასა, *უდსა*, თანბურასა (რუსუდ. 357, 9). მუნ იყო ყოვლი მუტრიბი უდიან-ბარბითიანი (შჰნ. I, 670, 1). საზანდრების ხმითა, ჩანგისა, სამთურისა, ორლანისა, *უდისა* და ქამანჩისა ალყებით ფრინველი დაბმულნი იყვნენ (ხოსრ. 48, 5). ნავლით მოშლილს გულსა შურის ფრჩხილითა *უდსავით* ფხაკა-ფხუკს დააწყებინებ (საბა II, 97, 8). ჩაღანა და *უდ* ქამანჩა, მულნი დაშურა ამო თქმითა (ფეშ. 206, 2).

**გუდ** არაბულად ხესა და შემდეგ საკრავსაც ნიშნავს. ირანულ საკრავად არის მიჩნეული და უკვე მე-10 ს. ქ. -შ. უდი ყელ-მუცლიანი ძალებიანი საკრავია (ჯავახიშვილი 1990, 146).

**III. უდი:** იგივეა, რაც უდები – ქეგლ. უდები, უდინები, უდიები (საკუთარ თავს უწოდებენ „უდი, უტი / уди, ути“) – კავკასიაში მცხოვრები ერთ-ერთი ავტოქტონი ხალხი („ვიკიპედია“).

გამოთქმულია მოსაზრება, რომ **უდი** ბოლოხმოვნისანი და ფუძეუკვეცელი სატომო სახელია და მისგან ნაწარმოები ტერმინული მნიშვნელობის ზედსართავი სახელი უნდა იწარმოებოდეს ეგრე: ქართულად უდიური და არა „უდური“ შდრ. აგრეთვე ამ ტომის ძველ წერილობითსა (ისტორიოგრაფიულ) ძეგლებში შემონახული სახელი ა) ბერძნულად („უტიე-ბი“), ბ) სომხურად უტი, უტიქ (ჯეირანაშვილი 1967, 362-363).

**IV. უდი** [სემიტ. მზე] შუმერულ მითოლოგიაში მზის, მართლმსაჯულების და წინასწარმეტყველების ღვთაება, რომელიც ნასესხები იქნა აქადური მითოლოგიის მიერ შამაშის სახელით.

**უდებ-ი:**

ძვ. ქართ. **I. უდები** ზარმაცი: „რადთ არა უდებ იყვნენ“ (პეტრიწ. 6, 16). „განაფრთხობთ უდებთა და განვაშორებთ მცონარებისაგან“ (პეტრიწ. 12). **უდებება** სიზარმაცე, „მცონარება რომელი საცისკროსა ლოცვასა თვნიერ უძღურებისა უდებებით არა მივიდეს“ (მც. სჯ. 121, 24).

**უდებ-მყოფელი** არად ჩამგდები: „შთავარდეს საშჯელსა უდებ-მყოფელთას“ [A=689 85r 30-31a]. **უდებ-მყოფელობა** უდიერება. „არცა სადმე ესოდენ უდებ ვმყოფელობდით“ (1er=43, 24v). **უდებქმნილება** უდიერება. „დალათუ ოდესმე განრისხებამდა საჯმარ იყოს უდებქმნილებასა ზედა“ [A=689 168r, 39-168 v, 1a].

საშ. ქართ. **უდები** ესე არს მცონარებით, გინა თუ დამწყებელისა მოლბობა, (+ გინა დაუდებელი) – საბა. ნუ ხარ სულებლი, ზარმაც-უდები (დ. გურ. 168. 8, 1). თუ ვერ დასდები, რასა იქ უდებებისა დებითა (ქილ. 692, 14). დაჰგმობთ უდებს და მცონარსა (არჩ. 342, 2).

მიბრძანა: „ადეგ, აილე, ნუ ხარ მცონარად, უდები (ი. ტვილ. 623, ქვ. 5). უსამართლოს და უდებს ნუ დავაგდებთ (სამ. VIII, 127, ქვ. 10).

**უდებება** სიზარმაცე. თუ ვერ დასდები, რასა იქ უდებებისა დებითა? (საბა II, 36, 1).

**უდებება** დაუდევრობა, წინააღმდეგობა: უთხრა: უცებო, რასა იქ, საქმეა უდებებისა (ვახტ. VI, 108, 162, 2).

**უდებ-ყოფა** გაუღირსება. არა პატივით მოპყრობა. ნუცა ლახაკთა უდებ-ჰყოფთ (ქ. ცხ. II, 118, 14).

ახ. ქართ. **უდებება** ძვ. მოხელის მიერ თავისი მოვალეობის უგულლოდ შესრულება (ივ. ჯავახ.), – დაუდევრობა – ქეგლ.

გამოთქმულია, მოსაზრება, რომ უსუფიქსო მიმღეობას უარყოფითს ფორმაში წარმოადგენს ძველი ქართული სიტყვა უდები (უ-დ-ებ-ი): უ-დ-ებ-ი // უ-დ-ი (ძვ. „ზარმაცი, მცონარი“...) უარყოფითი ფორმის მიმღეობაა, რომელიც ნაწარმოებია როგორც უ-ც-ებ-ი [// უ-ც-ბ-ი], უ-რგ-ებ-ი [// უ-რგ-ი], უ-ძღ-ებ-ი, უ-ვნ-ებ-ი სადაც ზმნას აწმყოს ფუძის საწარმოებელი სუფიქსის გარდა არავითარი სუფიქსი არ მოუდის, უარყოფითი ფორმის უ ნიშნის გარდა... ...უდები არის „\*ის, ვინც ვალს [მოვალეობას] არ იდებს თავს“ [„მოვალეობას უგულლებელყოფს; თავის მოვალეობას უგულლოდ შეასრულებს, – გულდაუდებელი, დაუდევარი“...] (ხახიაშვილი 2017, 231).

ახ. ქართ. **II. უდები**. იბ. III. უდი.

**ულამი-ი:**

საშ. ქართ. **I. ულამი** (თათრ.) მოვაჭრება, სყიდვა. „და თუ ულამი ვერ თქვას მართალი“ – დ. ჩუბ.

ახ. ქართ. **II. ულამი** [თურქ. ulam «ჯგუფი»] ძვ. 1. ნადი, მამითადი; ოჩხარი. იქ ერთ ყანაში ქვრივ-ოხრისა ულამი მოჩანს (ი. ეკალ.). 2. «მრავალტვირთული გრძლად მომავალი» (საბა), – ქარავანი, ადალი. «ჯარს... თან ულამიცა აქვს» (ი. მაჭავ. თარგმ.). ვერსალისკენ გზაზედ ულამი მიიკლავნებოდა (ი. მაჭავ. თარგმ.).

დიალექტ. რო ვაშენებდით ულამი, ნადი, სახლის მშენებლობაში ხარ-ურმით დამხმარე მეზობელ მოკეთებები (შდრ. მუშანი). სახლის, ულამი შაიყრებოდა, ჯარ-ურმით დაეკმარიანკე; ქვის ულამი; სახლის ულამი (მოხ. ქავთ.).

დიალექტ. **III. ულამი, ულამა, ულამო** ღირღიტებზე მობმული ხე, რომელშიც გუთნის თავის ხარებია შებმული. გუთანს სწორ მიმართულეზას აძლევს (ფარცხ., მარაბ., ქართლ. მენთ.).

**ურა:**

საშ., ახ. ქართ. **I. ურა** მამალი კვიცი საბა. ურა ქურა, ქურანი – დ. ჩუბ.

ურა გაუხედნელი. ურას კვიცისა მინდობა ნდობაა დასაწყლულები (ვახტ. VI, 127, 418). ყურნი ჰაერთა შუბად ჩანს, ურას არა გავს იგ ავსა (ქილ. 902, 12). შესხნა სრულიად იგინი ურას კვცთა ზედა (ქ. ცხ. IV, 709, 8). მაშინ შალიკაშვილი რომელიმე იჯდა ურასა კვცსა ზედა (ქ. ცხ. II, 347, 12). დიალექტ. მოქრის ურა ცხენი მონგოლური დალით (გ. ლეონ.).

ურა (კვიცი, ცხენი) გაუხედნავი, უხეში. 2. გადატ. ადამიანი: უხეში, უგნური, დაუფიქრებელი ქცევის. ურა კაცია, საით გაუტემს, თითონაც არ იცის. ასე ურაზე წასვლა რაგო იქნება, არწა იცოდე, სად მიდიხარ, რას აკეთამ! (ჯავახ. ზედგ.). ურა განებივრებული, თავაშვებული (იმერ. გაჩ.) **გაურავებული საქონელი** მეტი პატივით განებივრებული. *გაურავებული* ხარები ყავს (იმერ. გაჩ.). **გაურავება** ჯანზე ყოფნა. შავლეგო ისეა *გაურავებული*, რომ კამეჩს წააქცევს (მ.-რაჭ. ლობჯ.).

აღდგენილია არქექტიპი \*ურ- ქართ. ურა „მამალი კვიცი“; სვან. (ბზ.) ურ-ილ „თავნება ცხენი“. საბასთან ურა განმარტებულია, როგორც „ახტა (=მამალი) კვიცი“. მისი შესატყვისი ჩანს სვან. (ბზ.) –არ-ძირი (კელაურაძე 2013, 5). შდრ. ურახ-ი ძვ. იხ. ურა. ათაბაგმან... შემოკრიბნა სპანი, ...შესხნა სრულიად იგინი ურახ კვიცთა ზედა, წარვიდა და განვლო მათით დაბანის ხევი («ქართლ. ცხოვრ.»).

ახ. ქართ. **II. ურა** [რუს. ура] შორისდ. იგივეა, რაც ვაშა. ჩვენი მეომრების «ურას» ყიყინით ყურთასმენა აღარ იყო (დ. ბაქრ.). შდრ. ურანი „ურას ძახილი. ერანელსა კელმწიფესა ჳმა მიესმა, ურანია (შჰნ. I, 1902, 1). როსტომ ამაღლდა ცათამდის, მტერთ ესმა მისი ურანი (შჰნ. I, 2600, 2).

**ურდო:**

საშ. ქართ. **I. ურდო** (თათრ.) ბანაკი ლაშქართა – დ. ჩუბ. **ურდო** ყაენის რეზიდენცია. მოუწოდა ყაზან-ყეენმან დავით მეფესა *ურდოსა* შინა (ქ. ცხ. IV, 243, 12).

ახ. ქართ. **ურდო** [თურქ. ordu «ყაენის კარავი»] 1. თურქულ-მონღოლური ტომების პირველყოფილი სამხედრო-ადმინისტრაციული ორგანიზაცია, შემდეგ – მომთაბარეთა ბანაკი. || თურქულ-მონღოლური ფეოდალური სახელმწიფოების მმართველის ადგილსამყოფელი შუა საუკუნეებში. თქვა და *ურდოს* კიდევ წავა მეფე იგი უშიშარი (ილია). ◊ **ოქროს ურდო** თათარ-მონღოლთა მიერ დაპყრობილ რუსეთის ტერიტორიაზე შექმნილი სახელმწიფო; მას ემორჩილებოდნენ და ხარკს უხდიდნენ ადგილობრივი ფეოდალური სამთავროები; არსებობდა მე-13 – მე-14 ს. ს-ში. 2. გადატ. შემოსეული, დამპყრობელი ჯარი, ლაშქარი. *ურდო ურდოზე* მოსული არვისგან დაითვლებოდა (აკაკი). მტრის *ურდოს* თავზე დანათდა ელვა საბჭოთა რკინისა (გ. ლეონ.).

ახ. ქართ. **II. ურდო** იხ. ურდული. სახლის პატრონმა მუხის გულის მსხვილი *ურდო* გაუგდო კარებს და მაგრა ჩაკეტა იგი (ნ. ლომ.). შდრ. ურდული კართ წასაყარი კეტი – საბა, ქეგლ.

**ურნატ-ი:**

ძვ., საშ. ქართ. **I. ორნატი, ურნატი** „ხნულის, კვალის“. საწნველთა მიერ გაკვალული – საბა.

„ველნი ჩემნი დავასხენ ერქუანსა და უკუნ არა ვიხილე, რადთა არა *ურნატნი* იგი მრუდ იყვნენ“ (აპოკრ. 19, 10). „ნუ მოიტაცებ ქუეყანასა მოყუსისა, ნუ შესძინებ *ურნატსა ურნატთა* ზედა შენთა. რამეთუ რაფხომცა *ურნატთა* უსამართლოებით განამრავლებდე, ეგეზომცა აღაორძინებ ცოდვასა შენსა“ (ბას. კეს. „სწ.“ 192, 37). „ყოველმან რომელმან დასდევას კელი ერქუანსა და მართლ უკუნხედვიდეს, ვერ წარიმართოს *ურნატი* მისი სასუფეველსა ღმრთისასა“ (მ. ცხ. 292, 17). აგრეთვე: ურნატ – განმარტებელი, ურნატეული, ურნატოვანი – ილ. აბულ.

ახ. ქართ. ვაჟა-ფშაველა სახნავად გასულიყო... და გველისმჭამელზე პოემას წერდა... უეცრად *ურნატებს* შორის ბულბული შეამჩნია იგი თვალდახუჭული გალობდა (კ. არაბ.).

დიალექტ. **ურნატ** // **ორნატ**: კაი ჯარ იესნ, რომელიც ურნატს არ დასცილდებ (თუმ. ცოც.) უხაიროი– ას, არას აკეთებს, წელს *ურნატ* არ გაულავის (ხევს. ჭინჭ.).

**ურნატა, ურნატიკა** პატარა შავ-თეთრით ჭრელი გადამფრენი ჩიტი. – საწნაურა, მეხანაიე, გუთნისდედა. მეშინის, თოლში დაიტეხთ *ურნატასა* ვით კიწვებსა (ხევს., ჭინჭ.).

ვეარაუდობთ, რომ **ორნატი** წარმომავლობით უკავშირდება ლათინურ *ārātio* (ამოსავალია სრო „ვხნავ (ტერმინს)).

საშ. ქართ. **II. ურნატი** (სომხ.) ნატის გულა შთასადებელი – დ. ჩუბ.

### ურო:

ძვ., საშ. ქართ. **I. ურო:** რკინის ჯვედა – საბა. „უზახებდეს ხუროდ იგი მჭედელსა მას... *ურომსა* ცემად“ (I, ეს. 41, 7). „ერთსა *უროსა* ჰკრევი“ (მ. ცხ. 101v). „ვითარცა ლერწამი შეურაცხიან მას *ურონი*“ (იოზ. 41, 20). ჰგუანდის ჯმა იგი ჯმასა მას უროს მჭედლისას (არჩ. ქ. ცხ. I, 34, 10).

**ურე:** მძიმე ლახტი შეიმაღლა, ვით მჭედელმან გრდემლზე *ურე* (შჰნ. II, 3936, 1).

**ურო 1.** დიდი ჩაქუჩი. კაცს ეგონებოდა... დიდრონ ცულს დიდ *უროსა* სცემენო (ვაჟა). გაისმის... *უროს* ყურთასმენის წამლები რაკა-რუკი გრდემლზე (მიხ. მრეველ.). 2. სპორ. სპეციალური მოზრდილი ჩაქუჩი სატყორცნად. ჩატარდა შეჯიბრებები... უროსა და შუბის ტყორცნაში («ლელო». **პნევემატიკური ურო** ტექ. ურო, რომელიც მოძრაობაში მოდის პნევემატიკურად, შეკუმშული ჰაერის საშუალებით.

**ურო** ხის გამოთლილი სიმძიმე რაიმეზე დასარტყმელად (გურ. ჟღ.).

აღდგენილია, ს.-ქართვ. \*ჟარ- „ურო“ ქართ. ვარ-ია(-მ), ვარიანი: ზან. ურო < \*ვორო (ჩუხუა 2000-2003).

ქართული ურო არსებითი სახელი, ვფიქრობთ პირდაპირი კავშირი უნდა იყოს თურქულ ენებში საკმაოდ გავრცელებულ სიტყვასთან ურმაქ „ცემა, დარტყმა“. თურქული ურ მოძველებულ სიტყვად ითვლება. შდრ. ვურ. თურქული ვურ დადასტურებულია მე-12 საუკუნის ტექსტებში. მეტ-ნაკლები ფონეტიკური ცლილებებით და ძირითადად, დარტყმა“, „ცემა-ს მნიშვნელობით. ურ ფუძე დასტურდება მთელ რიგ თურქულ სიტყვებში (რუხაძე 1988, 149).

საშ., ახ. ქართ. **II. ურო** [*Andropogon ischaemum*] მრავალწლოვანი ბალახი მარცვლოვანთა ოჯახისა. ძემემა და *ურომ* იმძლავრა (ნ. კეცხ.). მეორე ბინა *ურო*-ავმანიან სერებს შეჰფენოდა (კ. ლორთქ.). აქა-იქ მხოლოდ *ურო*-ბალახა გადამხმარიყო ქუჩ-ქუჩად (ლ. მრელ.).

დიალექტ. **ურო** წმინდა ბალახია, ჩვენი ველებისათვის დამახასიათებელი (ქიზ. მენთ.). **ურო** ბალახის ძირზე ამოსული წმინდა ფოჩი (ქართლ. მენთ.).

**ურომ** წმინდა ბალახი სამოვარზე. „*ურო* ბევრ, მაგრ ყუათ არ აქვის“ (თუშ. ცოც.). **ურობალახი** თავთავიანი ბალახია ერთგვარი, – ურო. ვერ ჰრიდა *ურო ბალახსა* ცელიანთ ცელ ტიალი (ხევს. ჭინჭ.).

დიალექტ. **III. ურო** უბედური (რაჭ. ბერ.). შდრ. **ურვა** მჭმუნვარება, წუხილი – საბა, ქეგლ.

**უსო:**

საშ. ქართ. **I. უსო** ძვ. გლეხის დედაკაცთა შორის წარჩინებული, უკატოსნესი – საბა.

საბა, ვ. აბაევი ამ სიტყვას უკავშირებს ძვ. ინდურიდან მომდინარე ოსურში გავრცელებულ ქალის აღმნიშვნელ უს სიტყვას (ანდრონიკაშვილი 1966, 110).

დიალექტ. **II. უსო** (< უსვო < უსვეო) უბედური. უბედური ხარ და უსო. წადი უსოდ და მოუსვლელად (რაჭ. კობახ.).

ქართული სიტყვა **სვე/სუე** შეიძლება დაუკავშირდეს ძვ. ირან. მომდინარე \*ოსურ ფეს ბედი სიტყვას. ოს. ფეს ზუსტი შესატყვისია ქართული სიტყვისა (ბედისწერა) მატერიალურად იგივეა, რაც ქართული სუე (ანდრონიკაშვილი 1966, 108).

**უსტარ-ი:**

საშ., ახ. ქართ. **I. უსტარი** წიგნი მინაწერი ვისთანმე (ნ. ჩუბ.), (არაბ. წერილი). უსტარი, წერილის სახეობა – მოკითხვის ბარათი ძველ საქართველოში. „ვეფხისტყაოსანში“ უსტარი „მინაწერი წიგნი“ (ვახტანგ VI). უსტარი წიგნი მოკითხვისა, გინა საქმეთა ზედა მინაწერი რაფცა (თ. ბაგრატი).

ასმათ რა ნახა უსტარი, ცნა მისი დანაწერობა (ვეფხ. 1360, 1). მაძლს უბრძანებდა ძიძასა მირთმევად მუნ უსტარისა (ნ. ციც. 1504, 1). ადრე მითვართვა უსტარი (რუსუდ. 19, 4). სულისა სარგებელი ესე არს, და კაცობასაც იგი იქს, რომელიცა თვისისა საქმისა უსტარსა სიმრუდისაკენ მიწურად არ შეიქს (ქილ. 364, 25). მათ უსტარი წაუკითხა როდამისგან მონაწერი (შჰნ. I, 1792, 3). უკვირდა მეტად სიკეთე, რა ნახეს მათ უსტარია (შჰნ. II, 5073, 2). ესენი სწერდენ: უსტარსა, იერლასა, პიტაკსა... (ქ. ცხ. IV, 23, 14).

ახ. ქართ. **უსტარი** ძვ. მოკითხვის წიგნი, – წერილი, ბარათი. უსტარი დაწერილი იყო... ასომთავრულად (ვაჟა). ფუფალას ვერ გამოურკვევია, ვისთვის გაეგზავნა უსტარი და ჭოჭმანობდა (გ. ლეონ.).

ახ. ქართ. დიალექტ. **II. უსტარი** (ფშ.) «ბრმა, უსინათლო (ა. შან.). მამე რაღა ვქნა უსხივომ, უსტარმა, უსინათლომა, უსმელ-უქმელმა, ტიალმა, ობოლმა, უბინადრომა? (ვაჟა).

ძველ ქართულში ზმნა სტუანვა ხედვის, თვალიერების, ყურების მნიშვნელობით იხმარებოდა. აღ. ჭინჭარაულის აზრით **უსტარი** „სტუან“ // „სტუარ“ ძირიდან ნაწარმოებია. ქართულ დიალექტებში დასტურდება პარალელურად „უსტარი“ || „უმტარი“, რაც უსინათლოს, ბრმას ნიშნავს. „თუ გავითვალისწინებთ გ. დეეტერსის მიერ დადგენილ ნ/რ მონაცვლეობის წესს, სტუან-ძირიდან უსტარის მიღება შეუძლებელი არ უნდა იყოს. სტუან-ძირის უ, წინამავალი უ-ს გავლენით ამოვარდნილა და უსტუარიდან მიგვიღია უსტარი, ხოლო სტ-ს ზოგჯერ მოუცია შტ- რაც აგრეთვე ჩვეულებრივი მოვლენაა (შდრ. სტვენა-შტვენა, სტვირი-შტვირი, მუსტი-მუშტი, ქისტი-ქიშტი და სხვ.) (ჭინჭარაული 1982, 196-199).

## ფ

**ფაკელი:**

საშ. ქართ. **I. ფაკელი, ფაკლა** (ლათ.) სასანთლე წინგასაძლოლად, გასანათებლად – დ. ჩუბ. **ფაკლა** ილეკროთაგან შემზადებული ცეცხლის ასანთებელი არს, წინსაძრომად განსანათლებელად – საბა.

*ფაკლას* კუამლივით მისსა საცნობელსა შეუბოლა (ქილ. 709, 24). შდრ. ფაკლა (აჭარ. ნიჟ.).

საშ., ახ. ქართ. **II. ფაკელი** ფილონი; „შეიმოსა უკუე *ფაკელი*“ (მ. ცხ. 384r). „მოილო *ფაკელი* დედისა თვისი“ (მ. ცხ. 124v). „დაიბურა პირი თვისი *ფაკელითა* რადთა არა განცხადნეს“ (H-341, 593). **ფაკელი** (სომხ.) ძვ. «თავს სახვევი» (საბა). ფაფარუჯობდენ, ფრთხილობდენ *ფაკელებისა* ფარებით (ვახტ. VI, 65, 20). აღიპარა ხატი იგი... და წარახვა *ფაკელსა* წმიდასა ამას შინა (ქ. ცხ. II, 483, 2).

შდრ. **ფაკეოლი** თავსაკრავი: „ნამდვლვე ფაკეოლი ესე სუელი ცრემლთა მისთად არს“ (A= 129 160v, 17-19b). „მეყსეულად აღილო ფაკეოლი იგი“ (იქვე 161r, 16-17a).

**ფალ-ი:**

საშ. ქართ. **I. ფალი** თურქთა ენაა, ქართულად მისნობა ჰქვიან – საბა.

დიალექტ. **ფალ** აზ. = ბედი ფალ დახედნად, მკითხაობა; *ფალდანა-ბედნ* იგივეა, რაც კითხავ (ინგ. ღამბ.).

საბას მიერ თურქულად მიჩნეული **ფალი** მომდინარეობს არაბული ფალ-დან, რაც ნიშნავს კარგი ნიშანი, წინათგრძნობა“ (გურგენიძე 1973, 121-122).

ახ. ქართ. **II. ფალი** [სპარ. ფალა «ჩამოკიდებული»] კუთხ. (ინგილ.) იგივეა, რაც მძევალი (მნიშვ. 2).

ფალ<sup>1</sup>. აზ. მძევალი (კვერცხი) – მ. ჯან. **ფალი** საბუდარი კვერცხი. *ფალი* თუ ამიღი საბუდრით ქათამი გააწყრომია (ინგ. ასრათ.)

დიალექტ. **III. ფალ** საქონლის ბეჭის ძვალი ხორციანად აჭრილი. 2. ადამიანის ბეჭის ძვალი ქვევით ზურგზე. **ფალ** ტკივ (ბეჭის ძვალი მტკივა). დაგავლევ, ფალს გამიღევავ (ბეჭს ამოგიგდებო), – შაჰიდნაში ამბოვენ (ინგ. ღამბ.). შესაძლებელი იგი ფალანგა სიტყვას უკავშირდებოდეს.

**ფალანგ-ი:**

საშ. ქართ. **I. ფალანგი** ნაბდის სახლი (საბა) იხ. III. ფალანგა.

საშ. ქართ. **II. ფალანგი** ხარაჩო; „კედელთ სიმალლისათვის კალატოზის ფეხის სადგმელი“ (საბა). იხ. IV. ფალანგა.

საშ., ახ. ქართ. **ფალანგი** 1. ფაშფუშები (დ. ჩუბ.).



**ფალანგი** ხორცის ფარდა, რომელიც ჰყოფს მუცლისა და გულ-ფიტვის უპეებს, დიფრაგმა. სინონ. გ-კახ. ფარდა (მნიშვნ. 5). შდრ. (ფშ. ხორნ.).

ახ. ქართ. **ფალანგი** (ბერძ.) ჩვეულებრივ მრავლობითში: ფალანგები – ხელისა და ფეხის თითების მოკლე ლულოვანი ძვლები ხერხემლიან ცხოველებში. თითების ჩონჩხი შედგება ფალანგებისაგან.

საშ. ქართ. **II. ფალანგი** იხ. II. ფალანგა.

დიალექტ. **III. ფალანგი** ვეფხვი *ფალანგი* არი, შირი არი, რა ვიცი, გარეულ ღორი არი შიგა, რო ადამიანს, თუ ნახავს მამკლავს თავის ქეებით (ფერეიდ. ჩხუბ. 1985).

ახ. ქართ. **IV. ფალანგი** მორიელი იხ. I. ფალანგა.

**ფალანგა:**

საშ. ქართ. **I. ფალანგა** (ბერძნ.) გესლიანი ღრიანკალი ობობას ჰგავს – დ. ჩუბ., ნ. ჩუბ.

ახ. ქართ. **ფალანგა** ვეხსახსრიანი ცხოველი ობობასნაირთა რიგისა – ქეგლ.

ძვ., საშ., ახ. ქართ. **II. ფალანგა** (ლათ.) ქვეითობა, ქვეითი მხედრობა; შუბოსანი – დ. ჩუბ. „იყო *ფალანგები* მბრძოლთაჲ ურიცხუად სიმრავლედ შეწყობილი“ [A-162 146v, 14-16b].

დაშლილი *ფალანგა* ბრძოლის უნარს კარგავდა. *ფალანგის* სუსტი ადგილი იყო გვერდითი ხაზები და ზურგი (ვიკიპედია).

შდრ. ფალანგი [გერმ.-ფრანგ.] სამხ. მებრძოლთა წყობის ან სამხედრო განლაგების გვერდითი, განაპირა ნაწილი, ფრონტის მარჯვენა ან მარცხენა კიდე, – ფრთა.

საშ. ქართ. **III. ფალანგა** ფაცხა, ანუ სახლი ნაბდისა – ნ. ჩუბ.

ახ. ქართ. **IV. ფალანგა** ლათ. [სპარს. პალანგა] (იმერ. რაჭ. ) რამეზე (კიბეზე, ურემზე, ჭიშკარზე...) გარდიგარდმო გაკეთებული ფიცარი, – და-ნდალი, ხარიხა.

დიალექტ. **ფალანგა** იგივეა, რაც გასაყარა, დანდალი. ზესადგრეფში გაყრილია სქელი წვრილი ფიცრები, 5-6 ცალი, ზესადგრეფს რომ კრავს, *ფალანგებია*. წინა და უკანა *ფალანგას*, რომელიც გამოსულია ზესადგრის გარეთ და ზესადგარში კოტათია ჩაჭედილი, რო ზესადგარი არ გეიშალოს, უწყვეტები ეწოდება, *ფალანგები* კი ზესადგრის გარეთ არ იქნება გამოსული (დილიკაური, ტაბაკინი, ხრეითი, რგანი) (ზ.-იმერ. ძოწ.). საწნახლის... სატიხრავი ფიცრები ანუ „*ფალანგები*“, ჩვეულებრივი, ორია (რაჭ. ფრ.).

**ფალას-ი:**

ახ. ქართ., დიალექტ. **I. ფალასი** [სპარ. ფალას] 1. მატყლის ფარდაგი, – ფიჭვი. აქ, ამ ოთახში, ტახტს თუ სხვა საგანს ფარავს *ფალასი* და არა ნოხი (გ. ქუჩ.).

**ფალასი:** ფარდაგის ან ნაზდის პატარა ნაგლეჯი დასაჯდომად, ან, კარების წინ დაგებულ ფეხის გასაწმენდად (ინგ. ღამბ.).

ახ. ქართ. **II. ფალასი** ჩვარი. ქეთევანიც დინჯად, აუჩქარებლივ, დიდი მოსაზრებით ადებდა *ფალასებს* ამოგლეჯილსა და დახეულ ტანისამოსს (ეკ. გაბ.). ფალას-ფულასი ფალასები: ძონძმანძები, ჩვრები. ვინ ქვავს გაიტანს, ვინ ქოთანს, ვინ ლოგინს, ფალას-ფულასსა (შ. მღვიმ.). „ნამდვილად... იმ *ფალას-ფულასსა* და ქალების ჩვრებს დახარბდით“ (მ. ჯავახ.).

დიალექტ. ყათალანი შავი სითხეა, რომელსაც „დროგის“ თვლების „*ფალასით*“ უსვამენ, შავებს აძლევსო (ალგ. ქართლ. სალ.).

შდრ. **ფალაზი** ფალაზი (პალაზ – უბრალო, უმნიშვნელო რამ; სპ. palaspate–ძონძი, კონკი) ძველი ქსოვილის ან ტანსაცმლის ნაფლეთი, ნაგლეჯი. „კიდო რომ გეცტეხე თავი, ჰემაც გავასტორეთ *ფალაზი* შუბლის მეიდანზე“ (ინ.). ახლა დედამთილი ძველ *ფალაზივით* მიგდებულა (სტ.) (ჩვენ. ფუტკ.). აგრეთვე (აჭარ. ნიჟ., ინგ. ღამბ.).

დიალექტ. **ფალასი** გრძელკალთებიანი კაბა (ინგ. ჯან., ღამბ.).

ქართულში დადასტურებული **ფალასის** მნიშვნელობები სხვადასხვა დროს და გზებით სპარსული პოლისემიური ფალასი-დან უნდა მომდინარეობდეს. შდრ. სპარ. palas 1. უხეში შალის უხაო ხალიჩა. 2. უხეში ქსოვილი, სამოსელი (დერვიშთა). 3. ჯვალო, ძონძმანძები (ანდრონიკაშვილი II, 1996). შდრ. ფლასი.

### **ფალაყა:**

ახ. ქართ., დიალექტ. **I. ფალაყა** ისტ. (თურქ.) სასჯელის სახე ძველ მედრესეში, ხით გაკეთებულ სპეციალურ მომჭერში მოათავსებდნენ დამნაშავეს ფეხებს და ჯოხით ურტყამდნენ ფეხის გულეებში. იქნებ ღალატი არჩია / ასეთ გვემას და *ფალაყას*?! (მ. ვარშ., აჭარ. ნიჟ.).

**ფალაყაში მოწევა** ფალაყათი დასჯა. იმა *ფალაყაში მოწევა* უნდა, ისეგავ (ედ.); წინწინ ხოჯიებმა *ფალაყაში მოწევა* იცოდენ თალიბებისა (ინ., ჩვენ. ფუტკ.).

დიალექტ. **II. ფალაყა** (არაბ.) ფიჭიანი თაფლი, გოლეული. ამ ყავრანიდამ კაი *ფალაყა* გამუა (ბ.). *ფალაყა* თაფლი ბევრი რამის ილაჯია (თ. ქ. ჩვენ. ფუტკ., აჭარ. ნიჟ.).

### **ფანდ-ი:**

საშ. ქართ. **I. ფანდი** // **ფანიდი** (სპ.) ქერის შაქარი. აილე... შაქარი ტაპარზადი და *ფანდი* – ლიტრისა ნახევარი (ფანასკ. 388, 15). აილე ...*ფ[ა]ნიდი* – სამი ლიტრა (ფანასკ. 147, 38). აილე: გომიზი არაბი... დანაყე და *ფ ა ნ დ ი თ ა* შეასქელეთ (ქანან. 64, 35).

საშ., ახ. ქართ. **II. ფანდი** ხრიკია მორკინალთა – საბა. **ფანდი** [სპარ. ფანდ «წესი»] 1. ჭიდაობის ხერხი, ჭიდაობისას გამოყენებული ილეთი. მე მომაგონდა ძველებური *ფანდი*, ჭიდაობაში რომ იციან (აკაკი). 2. ხერხი,

ხრიკი, ოინი. [მინდიამ] იცის მტრის დასამარცხები და შემმუსვრელი *ფანდია* (ვაჟა). [ღვთისავარი] გრძნობს, რომ ანდაზებიც ველარ უშველის, მაგრამ მაინც ამ *ფანდს* ეჭიდება (მ. ჯავახ.).

**ფანდი** რჩევა, დარიგება. აწ მოვისმინო ჰამო *ფანდი* შენი და შევიგონო კარგი წურთა შენი (ვისრ. 178, 16).

უხმარიათ ქამანდის მნიშვნელობით. წამოდგა თვითონ ვობია ზვარაკის შესაპყრობელად. *ფანდი* აიღო სასროლი სიცოცხლის ჩასაქრობელად (ს. შანშ.).

ახ. ქართ., დიალექტ. **III. ფანდი** (ლათ.-სპ.) ფარდი ტოლი-ტოლი – საბა. უღელს გაუწევს მას (გლახს) მხოლოდ მსგავსი, მისივე *ფანდი* (ს. შანშ.).

„ესენი *ფანდები* არიან“ (ქიზ. მენტ.).

#### **ფანჯარა:**

საშ. ახ. ქართ. **I. ფანჯარა** თურქთ ენაა, ქართულად კანკელი და ლანძვი და არდაბაგი ჰქვიან – საბა, დ. ჩუბ.

ზეით ერთის კაცის დასჯდომი თუ დასაწოლი ალაგი ცალკე მოფანჯრული იყო უცხო ნახჩით და წმიდად ოქროს *ფანჯარა* ევლო (რუსუდ. 225, 28). ამისგან წინ არც მაგ *ფანჯარასთან* მივდგომილვართ (რუსუდ. 226, 4).

**ფანჯარა** [სპარ. ფანჯარაჰ] შენობის (ნაგებობის) კედელში დაყოლებული ღია ადგილი (სინათლისა და ჰაერისათვის), რომელშიც მომინული ჩარჩოა ჩასმული, – სარკმელი. [ოთახს] თუმცა ორი, სათოფეხედ კარგა მოდიდო *ფანჯარა* აქვს, მაგრამ ოთახი მაინც ბნელია (ილია). დათიკომ... გამოალო *ფანჯარა* (ეკ. გაბ.). 2. რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი. კარ-ფანჯარა.

დიალექტ. **II. ფანჯარა** ბოტ. შალაფა. *ფანჯარა* სარეველა ბალახია, ახლათ აღმოცენებული. სიმითს გავს, მერე იკეთეფს თავთავს (მორბგვეთი). *ფანჯარას* ფართო ფოთოლი აქ, სიმინდი ფოთლის მსგავსი, სიმინდი ყანაში იცის, მაგარია და მალე იცის ამოყრა (შომახეთი, ზ.-იმერ. ძოწ., მაყ.).

*ფანჯარი* (pancar ჭარხალი) მხალეული *ფანჯარი* მქონდა ბოსტანში (მაჭ., ჩვენ. ფუტკ.) შდრ. საბა – **ზანჯარი** სომხურია, ფხალსა ჰქვიან.

*ფანჯარა* < *ფენჯერი* (< თ. დიალექტ. penđer) ფხალეული მცენარის სახეობა. მცენარის სახელწოდება თურქული დიალექტებიდან გადმოსულად მიგვაჩნია (გურგენიძე 1973, 64).

#### **ფარა:**

საშ. ქართ. **I. ფარა** ჯოგი ნადირთა, ცხუართა, ღორთა და მისთანათა (საბა, ნ., დ. ჩუბ.).

ახ. ქართ. დიალექტ. **ფარა:** 1. ცხვრის ჯოგი – სამწყემსო“ (საბა). *ფარაში* მგელი შევარდა – ვაი ერთის პატრონსაო (ანდაზა). იალაღები სავსეა...

ცხენის ჯოგებითა და ცხვრის *ფარებით* (ი. გოგებ.). 2. „ნადირთ ჯოგი“. როგორც ძროხის ნახირში, ისე შევრეულვარ ზოგჯერ ნადირის *ფარაში* (ვაჟა). || საერთოდ ჯოგი. ყველა მეღორე თავს წამოადგა [მეღორეთ-უხუცესს] და სადილს მოელოდა: რასაკვირველია, ერთი *ფარა* ძაღლისაც (შ. არაგვ.). 3. (ფშ. მოხევ.) ფრინველთ გუნდი. სადამოობით მინდვრიდან ყიყინით ბრუნდებოდა... [ზატების] თეთრი *ფარა* (თ. რაზიკ.). || ფიგურ. ივსება ლაშარის გორი ქორ-შვარდნების *ფართა*; დროშები გზას უკურთხებენ ჟღერით, აწვდილის ტარითა (ვაჟა). 4. გადატ. კიცხვ. ადამიანთა შესახებ: სხვის სამწყემსავი, უნებისყოფო, დამჯერი (*ფარასავით*). „ოჰ, რა გაწვრთნილი *ფარა* გყოლიაო!“ (ი. მაჩაბ. თარგმ.). **ფარა** ზმნს. როგორც *ფარა*. ღამეა. შხვდა. მთებზედა ნისლეები იწვნენ *ფარადა* (ვაჟა).

იხ. დიალექტ. (თუშ. ცოც., ხევს. ჭინჭ., ქართ. I, მრეწვ. 246).

საშ. ქართ. **II. ფარა** წურბილი ფული ოსმალთა – ნ. ჩუბ.

ლობიო და ცერცვი ორი ბათმანი თუთხმეტ *ფართა* (სამ. VIII, 939, ქვ. 6). ნახვად იღებდენ ქრთამად *ფარებას* (ბეს. 154, 1).

ახ. ქართ. **ფარა** [თურქ. ფარაჰ „ნაწილი“] 1. ძვ. უმცირესი ფულის ერთეული. –კაპიკი. [ვაჭრებს] სადაც რომ წილი არა აქვთ, იქ ჩაიდებენ წილსაო, ნახევარ *ფარად* იღებენ ჩვენ დაფქულ-გალეწილსაო (ი. დავით.). 2. (იმერ. გურ.) საერთოდ, ფული. [ბესო] გადავა დუქნებზე, დათვრება და ნაშალ *ფარასავით* გადაჰყვება ვისმე (ნ. ლორთქ.).

დიალექტ. ხირსიზებ *ფარა* უურთმევიან ბადვისთვინ (ზახ., ჩვენ. ფუტკ.). ერთი მილიონი *ფარა* ჰქონდა (ჯავახ. მარტ.). დღეიზა რამტონი *ფარა* საჭირო (რაცხ. გურ.). **ფარა** ფული ბლომად (ერთ ოც თუმნამდის (რაჭ. კობახ.).

ზან. **ფარა** ფული (მეგრ. ფიფა).

საშ. ქართ. **III. ფარა** ღორის ხორცსა და ტყავს შუა მომსუქნო ადგილი (ნ. ჩუბ.). **ფარა** გლემურძი – დ. ჩუბ.

ახ. ქართ. **IV. ფარა** (ფრანგ. phare) ავტომობილის, ლოკომოტივის ან მისთ. რეფლექტორიანი ფარანი გზის გასანათებლად (მ. ჭაბ.) (თავდაპირველად – შუქურა, ფაროსი სახელწოდება ალექსანდრიის მახლობლად მდებარე კუნძულისა, რომელიც ძველად ცნობილი იყო თავისი შუქურათი).

ახ. ქართ. **V. ფარა** (ქართლ.) ◊ ძემძვის ფარა (ქართლ.) ძემძვის ნაყოფი. [კიკო] ძემძვის *ფარასა* კრეფდა, დედაჩემი ამა ხველებისთვის ხმარობსო (ვ. ბარნ.).

დიალექტ. **VI. ფარა** (რაჭ.) ტკბილის დასადუღებლად გადარჩეული ჭაჭა, უკლერტებოდ და უწიპწიპოდ (რაჭ. კობახ.).

### **ფარაგ-ი:**

ძვ. ქართ. **I. ფარაგი** ჯიბე: „გვედრები, ძმანო პატიოსანო, რადთა *ფარაგსა* შინა წმიდისასა შთასდვა, ეგე“ (გიორგი მთაწმ. 107, 26). „ხოლო მე მოვიღე მცნებისა მისთვს და შთავსდევე *ფარაგსა* შინა მის წმიდისასა“ (იქვე

198, 2-3). „მოგებად ნაწერისა დიდისაჲ მძიმე არს და საიშუთო მომგებელთათჳს – ხოლო ესე თხოის საციქულელ და ფარაგით სატურთულ“ (A= 85 338r, 10-12). „ჰრქუა ანდრია: ზ, უბადრუკო, შჳდნი ფოლნი გეპყრნეს სახლით შენით. ერთითა იყიდე მხალი და ერთითა ლოპინარი, რომელ არს ცერცჳ, და ხუთნი გქონან ფარაგსა“ (A=199 82r, 22-28b). შდრ. სპარსული **ფარეგი** ჩაქი, კაბის განაჭერი, გაჭრილი ადგილი.

**ფარაგი** ჯიბე. ეთეგზე შიგან *ფარაგი* მქონდა (იმ., ჩვენ. ფუტკ.).

საშ., ახ., ქართ., დიალექტ. **ფარაგი**, **ფარაგა**: (თუშ., ფშ., ხევს.) მძივებით მორთული და ფერადის ძაფით მოქარგული გულზედ ასაფარებელი საცმელი (ნ. ურბ.). ჯუბას უხდება მიკეცით ქუქუმო ფერადიანი და მოკაზმული *ფარაგი* მკერდზე ღილ-მძივებით (ზაჩ.).

იხ. აგრეთვე (ხევს. შან., ჭინჭ., ფშ. ხორნ., თუშ. ცოც.).

**ფარაგისგან** იწარმოება ახალი სიტყვებიც რომლებიც სათანადოდ ასახულია ქეგლშიც. **ფარგული** გულსაფარი. [თისო ცოგიძე] ცოლს ამას უჯავრდებოდა: რას მეფერები პირსაო, ტყვია თუ გამითავდება, *ფარგულს* აგაჭრი ღილსაო (ხალხ.).

ფიგურალურად დასტურდება **ფარაგაიანი**. მიდამოც მწყაზრად შვენოდა, გიჟმაჟი არაგვიანად, ყვავილ-ბალახით, წყარო-ფშით მორთულს, *ფარაგაიანად* (ზაჩ.).

ხევსურულ დიალექტში ფართოდაა გავრცელებული **ფარაგ** სიტყვის გარდა მისგან ნაწარმოები მყარი გამოთქმები და იდიომები. მაგ.: **მეფარაგე** მუსუსი, ვინც ქალის უბეს, ფარაგს ეტანება. ვაჟკაცსა *მეფარაგესა* მიწაიმც ჩამაშლისაო (ხევს. პოეზ. 365, 11). **ფარაგის ღილი** 1. ფარაგის საკინძი მარცხენა მხრის ლავიწთან. ვერ დაგაცილა მგელამა გაჭსნა *ფარაგის ღილისა* (ალ. ოჩ. 98, 9). **ფარაგჩი ჩხირჩამაგდებული** ძველად ზედა ტანსაცმელს (მაგ. ქურქს) ღილების მაგიერ პატარა ჩხირით იკრავდნენ. შატილიონთამც ვენაცვლებიო ლეგათ ჩოჯათა, წყემსის ქუდთაო, *ფარაგჩი ჩხირჩამაგდებულთაო* (ხევს. თავის. 435, 13).

**ფარაგმასაჭრელი** ვისაც ფარაგი უნდა მოსჭრან. ვინც ზნეობრივი დანაშაულისთვის ფარაგის მოჭრით უნდა დასაჯონ. ამ დიაცის ტირილზე ხევსურები გაჯავრდნენ და თქვეს: ...*ფარაგამოსაჭრელია* ეგ დიაციო (ეთნ. დევ-კერპნი 1, 12, ხევს. ჭინჭ.).

საშ. ქართ. **II. ფარაგი** (აჩულ CD.). **ფარაგია** B. ფარღია CD. ჩალურში ფიცარი E.: -A – საბა.

შდრ. **ფარღია** ძვ. გვერდებლია სახლი (საბა). **ფარღალალა** 1. ისეთი (ნაგებობა, კედელი), რასაც ღია ადგილები, ჭუჭრუტანები აქვს, არა მჭიდროდ ნაგები (მაგ., ფიცრული). შესაძლებელია ეს სიტყვაც ზემოდასახელებული სპ. ფარაგის ერთ-ერთი მნიშვნელობიდან მომდინარეობდეს.

საშ. ქართ. **III. ფარაგი** ფარგა თევზია – დ. ჩუბ. შდრ. **ფარგა** თევზია – საბა., ქეგლ.

ს.-ქართვ. \*ფარ-აგ- „თევზი ზუთხისმაგვართა ჯგუფიდან“ > ქართ. ფარგ-ა (< ფარაგა): ზან. ფორონჯი //ფოროეჯ-ი (< \*ფოროგი) (ჩუხუა 2000-2003).

### ფარეზ-ი:

ძვ. ქართ. **I. ფარეზი** გათიშვა: „*ფარეზ* გამოითარგმანების განყოფილებად და განკუთვნიდა“ (Ier. = 12 25v, 10-11).

საშ., ახ. ქართ. **II. ფარეზი** (სპარ. ფარჰეზ, resp. ფარეზ). ხელის შეწყობა, გაფრთხილება საჭმელ-სასმელზედ დიეტა – დ. ჩუბ. სამსა დღესა *ფარეზი* უნდა მაწონისაგან მჟავისაგან (ქანან. 49, 15).

**ფარეზი** [არაბ. ფარი\*დათ «მოვალეობა»] 1. გაფრთხილება, ხელის შეწყობა, სათუთი მოპყრობა, მოვლა. ყმაწვილ ქალსა... *ფარეზით* და წყნარად უნდა ვექცეოდეთ! (ილია). [ეკატერინემ] ყველა ის *ფარეზი* და ალერსი, რომელიც ბავშვის ხვედრია..., გაუორკვეცა თავის ღიზას (ეკ. გაბ.).

### ფარეში-ი:

ძვ., საშ. ქართ. **I. ფარეში** (სპარს.) შინა მოსამსახურე – საბა., ნ. ჩუბ. შდრ. ძვ. ქართ. **ფარაშობა** შინამოსამსახურეობა. „ამირა მომღმან გარდაადგინნა ქრისტეანნი მწიგნობრობისაგან და *ფარაშობისა* და ყოვლისა მსახურებისა მისისაგან“ (მ. ცხ. 234, 17).

უბრძანეს თავის-თავისთა *ფარეშთა* მას ველსა დადგმა კარავთა და ოთაღთა (ვისრ. 35, 15). მას კედლის ძირსა ჩაფლთ წასხნის, ანუ *ფარეში* გახსნის (გარიგ. 76, 10). თათართ ერთი *ფარეში* კავთისკვეელი ბეთიაშვილი, *ფარეში* მეფის ლუარსაბის დიდისა, დაიჭირეს (ქ. ცხ. II, 506, 24). იმას თურმე ქალნი ჰყვანდა თავისი ყოელსა სახელოშია: მოლარეები, მოლარეთხუცები, *ფარეშები* და ფარეშთხუცები (რუსუდ. 223, 17). წაადებინეთ *ფარეშთა* სამი ქამხისა კარავი (შჰნ. I, 1645, 2).

ახ. ქართ. ერთმა *ფარეშმა* ტაშტს დაავლო ხელი, მეორემ – თუნგს და მესამემ – ხელსაწმენდს (აკაკი).

იხ. აგრეთვე: ქეგლ-ში **პირისფარეში** ძვ. ხელზე მოსამსახურე, – პირფარეში. სასახლეს ეძინა. მხოლოდ დაფიქრებული მეფე დინჯად დადიოდა. უკანასკნელი *პირისფარეშიც*-კი გაეშვა (ნ. ლორთქ.). აგრეთვე: (ქიზ. მენტ.).

ს.-ქართვ. \*ფარეშ- „მოსამსახურე“. ფუძე პოვნებია მხოლოდ ქართულში. ისმის საკითხი მისი არაბულიდან სესხების შესახებ (ქეგლ). თუმცა სინდურ ენათა შესატყვისი მასალა ამ ვარაუდს აბათილებს (ჩუხუა 2017).

საშ. ქართ. **II. ფარეში** (არაბ.) რკინის ჭანჭიკი მარწუხთა, მაკრატელთა და მისთანათა – დ. და ნ. ჩუბ.

დიალექტ. **ფარეში** რკინის ჭანჭიკი. კიდობანს... უკან კი ხვრელში ჩაყრილი აქვს ხვრელში „*ფარეში*“ იგივე რიკი“ (ჩხირი), ანუ ხის უსმარი“ (ლურსმანი) (თუშ. ბოჭ. 72). იხ. აგრეთვე (შ. კახ. მრეწ. I, 433, ქიზ. მრეწ. I, 60). შდრ. **ფარიში** გუთნის ნაწილი (მთ. მაკალ.).

**ფარეში** ლითონის ჭურჭლის საკერებელი – ქველ. სალუდეებ ქვაბებ ყველა *ფარეშით* დაკერებული (ხევს. ჭინჭ.). **დაფარეშებული** შეკრული, დალურსმული ხის ლურსმნით. არც ერთი ლურსმანი არა ჰქონდა თქვენ საბძელსა, სუ *ფარეშით* იყო გაკეთებული, *დაფარეშებული* იყო (ძეგ., ქართლ. ლექსიკ.).

შდრ. **სამფარეშოსანი** აბჯარი, რომელსაც სიმაგრისათვის სამპირად აკრავს ფარეში – ჯაჭვი. [მინდიაშ] კიდევ დახედა თავის მუზარადს და თორ-აბჯარს, *სამფარეშოსანს*, ...გაახსენდა: სწორედ ხადიშათ ნატრობდა ხევსურულ აბჯარს *სამფარეშოსანს* (ვ. გამს.).

### ფარვანა:

საშ. ქართ. **I. ფარვანა** (სპ. ფარვანე „ბრძანება“) რაცა ამა ჩვენგან ნაწყალობევს გარდაწყვეტილობის *ფარვანში* ეწეროს, და ნურაოდეს ნუ მოუშლით (სამ. IV, 69, ქვ. 5). ესე გარდაწყვეტილობისა *ფარვანა* გიბოძეთ ჩუენ (სამ. IV, 50, ქვ. 13).

როგორც ერთ-ერთი ორენოვანი საბუთიდან ირკვევა, ფარვანას, გარდა ბრძანებისა, სხვა მნიშვნელობაც ჰქონდა და, მეფის სიგელის აღსანიშნავადაც შეიძლება ყოფილიყო გამოყენებული (იხ. ვ. ფუთურიძე, საბ. 190-ის ქართულ ტექსტშია: „სიგელნი და გუჯარნი“, სპარსულში კი მისი სინონიმია – ფარვანა, შდრ. ახლა მათგან *ფარვანი* ამიღია (ამირან. 736, 6).

გვხვდება ფონეტიკური ვარიანტები სპ. **ფარვანი** // **ფარმანი** // **ფირმანი** // **ფირვანი**. საერთოდ აღმოსავლურ ენათაგან შემოსულ სიტყვებში ხმოვნის გადმოცემის წესი მერყევი და თავისებურია. ქართულში უმეტეს შემთხვევაში სათანადო ენის ადეკვატური ხმოვანია წარმოდგენილი (უმლაუტიანი ხმოვნებსთვისაც კი უბრალო ხმოვნებია გამოყენებული) მაგრამ მრავალ ცალკეულ შემთხვევაში სხვადასხვაგვარად გამოუხატავთ. ამით აიხსენება, რომ სპარსული ფირმანი „ბრძანება“ (უფრო ადრინდელ ტექსტებშია ფარმანი (resp. ფარვანი. ჩვენგან ნაწყალობევს ფარვანშია ეწეროს საბუთი 68, 1627 წ. მაგრამ ფარმანი მიბოძეო (ვ. ტ.) ბოლოს, მოსალოდნელი იყო, მაგრამ არ დასტურდება ფერმანი, სამაგიეროდ შემდეგ დროინდელ ქართულშია ფირმანი (ქავთარაძე 1969, 248).

საშ. ქართ. **II. ფარვანა** პეპელა, ღამის პეპელა. ანუ მისსა შუქსა დაეწვა, ვითა სანთლისაგან *ფარვანა* (რუსუდ. 550, 17). შაბურთან მხიარულად იჯდა, ასე რომ სანთლის სინათლე როგორც *ფარვანას* მიეცეს (ხოსრ. 41, 11). *ფარვანებრ* ვიწვი (ვახტ. VI, 25, 9, 2). თავს ევლებოდენ *ფარვანად*, ვით სანთელს არ ეყრებოდენ (ფეშ. 624, 3).

ახ. ქართ. **ფარვანა** [სპ. parvâna/e] ღამის პატარა პეპელა ერთგვარი: სინათლეს ეტანება და მის გარშემო ფარფატებს. და ჩემს წინ სანთელს ცელქი *ფარვანა* თავზე ევლება ნაზად, ნელ-ნელა (ი. ევდ.). *ფარვანისა* და პეპლის ჯარი დაეხვია ცეცხლს (ს. მგალობ.). ფარვანა – „ღამის პეპელა“ (ი. გრიშ.).

ფარვანა სპარსულად იწერება და იკითხება [parvāna/e/], სადაც იგი არის ზოგადად პეპელას აღმნიშვნელი ტერმინი, რომელიც შეიძლება იყოს როგორც ღამის, ისე დღის პეპელა. ქართულში ამ ტერმინის სემანტიკური ველი დავიწროებულა (ბართაია 2010, 92).

### ფარსაგ-ი:

საშ. ქართ. **I. ფარსაგი** გზა. ორ *ფარსაგამდის* ზალდასტან თავი მამასთან აროსა (შჰნ. I, 1214, 1). ფარსაგი // ფარსანგი < სპ. ფარსანგ, არაბ. ფარსახ < ბერძნ. ფარსანგე „ერთი დღის სავალი გზა“.

შდრ. **ფარსანგი**: იმ ნარის ხმა ოთხს *ფარსანგს* გაიგონებს (შჰნ. III, 315, 11). აქათგან წარვალს გზ ოთხი *ფარსანგი* (ამირან. 74, 18). თვალ-ცრემლიანმან თურქთ სპანი ნახა, შვიდს *ფარსანგს* იდგესა (შჰნ. II, 5371, 4).

საშ. ქართ. **II. ფარსაგი** სახეირო, ხეირიანი, კარგი. არავინ დარჩა *ფარსაგი* პატრონად, ქვეყნის მამლადა (დ. გურამ. 108, 321, 4). ფარცაკი საკვირველი, საინტერესო, უცნაური რამ. ჩვენი კრება ფარცაკი სანახავი იყო მითამ სიმიდს ვარჩევდით, ნამდვილათ კი ურადნიკის მოკლის გეგმა ვადგენდით (გურ. ჯაჯ.).

დილექტ. **III. ფარსაგი** ავი რამ, ხიფათი, ნავსი. ფრთხილად იყავი, *ფარსაგი* არა დაგემართოს რა. ეს როგორ *ფარსაგ* კაც გადავაწყდი (ჯავახ. ზედგ.).

შდრ. **ფარცაგი** ცუდი ამბავი. რა *ფარცაგი* გეიგო ნეტა ბეჟანამ, რომ გადელდა (რაცხ. გურ). *ფარცაგი* აფერი მომხთარა, მარა ჩვენ კახამ გედევირიეთ. ასთე იცი მოტანილმა სიტყვამ (ამალ., გურ. ჯაჯ.).

**ფრასახი, ფარსახი**: „ემორა ადგილისა მისგან ას და ოც *ფრასახ* ოდენ“ (Sin. – 11, 244v). „ვითარ მოვიდეს ათორმეტ *ფარსახ*“ (H – 341, 130).

### ფარფარა:

საშ. ქართ. **I. ფარფარა** *valeriana officinalis* L. – **ფამფარა** ცნობილი ყვავილიანი ბალახი. წითელი ყვავილი იცის (ქანან. 617). ერთი დრამი *ფარფარას* წუენი ამ შარბათშიგან გაურიონ (ფანასკ. 85, 39).

შდრ. არაბ. ფარფან (სპ. პარპაჰნი) დანდური *Portulaca oleraceae* L. – ფამფარა ფარფარა (ქანან.).

ქეგლ – **ფამფარა** [Tragopogon] ბოტან. გრძელ- და ვიწროფოთლიანი მცენარე რთულყვავილოვანთა ოჯახისა; ყვავილი კალათად აქვს შეკრებილი, ღერო-ფოთლებში რძიანი წვენი უდგას; იცის მინდვრებში, სამოვრებში და სხვ.; იჭმება უმად. მე რომ მეცხვარედ დავჯექი, ფამფარა მაშინ გაწყდაო (ანდაზა).

ახ. ქართ. **II. ფარფარა** 1. რასაც ფარფარი გააქვს, – ფრიალა. 2. იგივეა, რაც ფარფატა. *ფარფარა* პეპლებივით შემოდის თოვლი ფანჯრებიდან (გ. ტაბ.). ფარფარა ფუძე გაორკეცებული კომპოზიტია.

აღდგენილია ს.-ქართვ. \*ფარ- არქეტიპი (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).



**ფარჩა:**

საშ. ქართ. **I. ფარჩა** მცირე საღვინე – ნ. ჩუბ.

იხ. **ფარჩი** ძვ. მომცრო საღვინე, სომხურია (საბა), – ღვინის სასმელი ჭურჭელი. რა მეფემან უსენს წინა სვა მრავალი დოსტაქანი, კვლა შესვეს და კვლა აივსნეს სხვა *ფარჩნი* და სხვა ჭიქანი (რუსთაველი).

ზან. **ფარჩი** ვიწროპირიანი დოქი (ლაზ. თანდ.).

**ფარჩი** (სპარს.) – ალ. ელერდ.

საშ. ქართ. **II. ფარჩა** თურქთ ენით ნაჭერი, ძვირფასი ლარი – ნ. ჩუბ. თორმეტი მინალთუნის *ფარჩა* (სამ. VIII, 622, 13). ხალიჩა და *ფარჩაც* უნდა ქვეშ გაუშალონ მექორწინეთ (ი. ბაგრატი. 475, ქვ. 6). თქვენის ბძანებით ყველა მედუქნეზე *ფარჩა* მოიკრიფა (სამ. VII, 296, ქვ. 3). მოლარეს ებაროს... ან დაუჭრელი *ფარჩა* ან მძიმე იარაღი ცხენის (ი. ბარათ. 209, 18). სამშობლო-საგან რა უდგას ძეგლი/ მის წმიდა გვამზედ. წმინდა საფლაგზედ?- ოცი აგური და *ფარჩა* ძველი (ვ. ორბელ. 588, ქვ. 1).

ახ. ქართ. **ფარჩა** [სპარ. ფარჩაჰ] 1. ერთგვარი ძვირფასი აბრეშუმის ქსოვილი. სიღარიბემ *ფარჩის* კაბა გამაცვეთინაო (ანდაზა). [მჭაუნაშვილ-მა] ჩაიცვა *ფარჩის* ახალუხი (ნ. ლომ.). || ფიგურ. რა ხანია ბაღში ხეებს არ აცვია მწვანე *ფარჩა* (გ. კაჭახ.). 2. ქსოვილი, საერთოდ, – ფართალი. ჩავაგებთ... [სოროში] თბილად, რაც მოგვხდება – ...ძონძმანძი, სხვადასხვა *ფარჩის* ნაკერები, ...ჩალა, – დავათბუნებთ და მერე შიგ ჩავსხდებით (თ. რაზიკ.). ხშირად დასტურდება რთულ სიტყვებში: ფარჩა-აბრეშუმ-ი, ფარჩა-ხავერდ-ი, ფარჩა-ფურჩა, ფარჩა-ატლას-ი...

დიალექტ. **ფარჩა** ფართლელი. მედუქნეს რას ემართლებით? ას ერბოების მწონელი, სკლატ-აბრაშუმის გამყიდი, *ფარჩების* გადამზომელი (ხევს. პოეზ. 610, 7) – ალ. ჭინჭ. *ფარჩა* გუდ. თ. ქსოვილი საზოგადოდ, ბამბეული – ა. შან. ყანაოზი კი სადა *ფარჩა* იყო (შ. კახ. მრეწვ. III, I 44). იხ. აგრეთვე (ინგ. ღამბ.).

საშ. ქართ. **III. ფარჩა** (სპ.) ნაჭერი; ერთი ცხვარი ექვსი ფარჩაა – დ. ჩუბ. ორი *ფარჩა* – ორი მხარი, გვერდები; ორი *ფარჩა* – ორი[ვ] ბარკლები, ერთ *ფარჩად* – ზურგის ძვალი, ერთ *ფარჩად* – მკერდ-კისერი («დასტურლ.»).

**ფარჩა-ფარჩა** (სპ.) დაქუცმაცებული, დაგლეჯილი; ნაფლეითად ქცეული. დუსისტორა თოფი... ზაპ და მიცა თავი დუდზე და სულ *ფარჩა-ფარჩა* გახადა (აჭარ. ნიჟ.).

(სპარს. თურქ.) parça წვრილი, ნაწილი, ნაწყვეტი, ნატეხი, ნაჭერი. ფარჩა-ფარჩა სპარს. parça-parça ნაწილ-ნაწილ, ნაწყვეტ-ნაწყვეტ. შდრ. ფაჩავრა (თ. ფაჩავრა) ნაჭერი (გურგენიძე 1973, 47).

**ფას-ი:**

ძვ. ქართ. **I. ფასი** «სასყიდელი», «საწმარი», «საფასე», «საუნჯე», «მამონა»: „მიგცე *ფასი* შენი G, – სასყიდელი მიგცე შენ“ (პხ., რიცხ. 20, 19). „*ფასი*-თა მრავლითა წარვიდენ სახიდ მათა“ M, – „საწმარებითა მრავლითა იწიე-

ნით სახიდ თქუნდა“ (G, ისუ ნ. 22, 8). „რომელი იყო ყოველს ზედა ფასსა“ (საფასესა U) (საქ. მოც. 8, 27). „მიგცნე შენ ფასნი იგი ბნელისანი“ I, – „მოგცნე შენ საუნჯენი ბნელისანი“ (O, ეს. 45, 3). „იყვენით თავებისა თქუნისა მეგობრებ ფასისაგან სიცრუვისა“ C, – „ისხენით თავისა თქუნისა მეგობარნი მამონდსა მიმართ სიცრუვისა“ (DE, ლ. 16, 9). აგრეთვე: დიდფასი, მეფასე, საფასე, ფასური და სხვ.

საშ. ქართ. ბადახშანისა სულ ზღვისა და ხმელთა ფასია მარტო ცის კიდეთა მნათობი რძალი ჩემი (რუსუდ. 485, 11). თავს აფრქვიეს გოარი, ნასყიდი ძვირის ფასითა (ნ. ციგ. 434, ქვ. 3). სარდალთან ვიჩივლე, ფასი თამამათ არ მამეცაო (სამ. IV 337, 10). **ფასით ყიდვა** გამოსყიდვა: წარვიდა მალაქია კათალიკოზი და გამოიქსნა ცოცხალნი და მკუდარნი ფასით იყიდნა (ქ. ცხ. II, 497, 25).

ახ. ქართ. ღირებულება... და ფასი... ერთი და იგივე არ არის (ილია). რაიბულს ის აზრი ჰქონდა, რომ ღვინოც კარგი ეყიდნა და ფასიც ცოტა მიეცა (ვაჟა). 2. ფულადი საზღაური რაიმე სამსახურისა ან შრომისათვის, – გასამრჯელო; ქირა. [ივანე] კვიციანი იღებდა თავის შრომის ფასად შვიდ მანეთს (გ. წერეთ.). 3. გადატ. ღირებულება, მნიშვნელობა, ძალა. „ვინც მარტოობაში არ ყოფილა, იმან ამხანაგობის ფასი არ იცის!“ (აკაკი). თქვენს თვალში მართალს თავისი ფასი არა აქვს (ილია).

ზან. **ფასი** ფასი. ფასება ფასის დადება, შეფასება (მეგრ. ქობ.).

მკვლევართა აზრით: 1. **ფასი** ნასესხებია სპარსულიდან (ანდრონიკაშვილი II, 1996).

2. ს.-ქართვ. \***ფას-** ფასი. ქართ. ფასი სასყიდელი. ძირი აღდება ფუძეენური ერთიანობის დონეზე. იგი ცნობილია ძველქართული სამწერლო ენის ტექსტებიდან ქართულ **ფას-** სიტყვის ირანულიდან სესხების დაშვება (მ. ანდრონიკაშვილი) არარეალური ჩანს (ჩუხუა 2017).

საშ. ქართ. **II. ფასი** ქალაქის თამაშობაში პას – დ. ჩუბ.

**ფას** არ არსებობს, არ არის. თურმე დედა-ენაში სალანძღავ-საგინებელი სიტყვები, ტერმინები ყოფილა, ამიტომ ფას დედა-ენა და მისი მომხრე ნაციონალისტები! (ვაჟა).

ახ. ქართ. **III. ფასი** (ფრანგ.) 1. რისამე წინა მხარე. მაგ., არქიტექტურული ძეგლის ხედი ფასში. 2. ფორტიფიკაციაში: მუდმივი ან ძელმიწური საცეცხლე ნაგებობის მხარე, რომელიც მოწინააღმდეგისაკენ არის მიმართული; აგრეთვე მავთულხლართებისა და ტანკსაწინააღმდეგო თხრილების სწორხაზოვანი უბნები.

ახ. ქართ. **IV. ფასი** (ინგლ.) (კომერც.). ყიდვა-გაყიდვის გარიგების სახეობა საქონლის საზღვაო გადაზიდვის დროს.

დიალექტ. **V. ფასი** პირთეთრი ცხვარი. ჩემ ცხვარ ადვილაი ვიცნოფ, ფასია (აჭარ. ნოღ. VII, 35).

**ფაჩუჩი-ი:**

საშ., ახ. ქართ. **I. ფაჩუჩი** ჩუსტი ფე(რ)კსაცმელი (ფაფუჩ ZAaBCbqD, ფაფუჩ Ca.) ფე(რ)კსაცმელი – საბა.

საშინაო თბილი, უქუსლო ფეხსაცმელი. || ჩუსტი (საბა). 2. ბავშვის ფეხსაცმელი რბილი ტყავისა (კირ.). 3. კუთხ. (ქიზ.). გვხვდება ფაფუჩი (ქართლ. კახ.) იგივეა, რაც ფაჩუჩი – ქეგლ.

*ფაჩუჩი* pabuç „ჩუსტი (გურგენიძე 1973, 53). იხ. აგრეთვე (ბართაია 2010, 93).

ახ. ქართ. **II. ფაჩუჩი** კუთხ. (თუშ.). იგივეა, რაც ფუნჯი. ფლასს-კი თავში ნაწიბური აქვს, ბოლოში – *ფაჩუჩები* ანუ ფუნჯები («შინამრეწვ.»). შდრ. ფოჩი.

**ფერი-ი:**

ძვ. ქართ. **1. ფერი** 1. ფეროვნება, შეფერილობა. „*ფერი* მისი ცეცხლის სახე მსგავსებით“ (III ეხდრა (ომ.) 14, 39).

**ფერი** ამ მნიშვნელობით გვევლინება როგორც რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი. ბიბლიურ წიგნებში დასტურდება ენდროს-ფერი, ოქრო-ფერი (ოქროს-ფერი), ცისფერი, ღვინოსფერი, ცეცხლისფერი, თევზისფერი, სამარაგდისფერი, ყვთელ-ფერი, ნაკუერცხლის ფერი, სისხლის ფერი, მწუანის ფერი, ნაცრისფერი (ჩიქოვანი 1984, 208).

2. იხმარება „საღებავის“ მნიშვნელობით. ვითარ-იგი მხატვართა ღონისძიებად ყვიან ფერითა მრავლითა, წამალთაგან თითოსახეთა, და შეზავინ ყოველივე იგი მსგავსად ჯერის მის (ექუს. დღ. არაბ. 149, 23).

*ფერუმარილი* ულაგია, გუნდა, ლახუსტაკი, ზირა, ქარვახუთო (გ. ლეონ.).

დიალექტ. „შალს *ფერი* რომ კარგათ მიეზას, ჯერ დადედავენ“ . ფერის გამოღება – რომელიმე ფერზე შეღებვა. „მაფს სამ-ოთხ *ფერს* გამოიღებდენ, მოქსოვდენ. იქნებოდა ჭრელი წინდა“ (აჭარ. ნოდ.).

3. გვხვდება „სახის, ხატის“ შინაარსითაც. „*სხუაფერ* იქმნა წინაშე მათსა“ C – „ივცალა სხუად ხატად წინაშე მათსა“ (DE, მრ. 9, 2). „ყოველნივე ურთიერთას სხვთა და სხვთა ხატით და *ფერით* განკუთვნილი“ (ექუს. დღ. 83, 31). „მითხარ, უცნაურო ხატო, ბოროტო *ფერო*, უმჯობეს იყო შენდა თუმცა მუნქუესვე მოგუსპენ“ (ქრისტ. 194, 4).

4. გადატ. გამოიყენება „გვარობის, ნაირობის“ აღსანიშნავად. „ასწავეს ყოველი *ფერი* უკეთურებად და ბოროტისა საქმე“ (მ. სწ. 291, 33). „ყოველი იგი ქუეყანა ორი *ფერი* არს“ (მაკ. 55, 13). „უბრძანა, ჯუბა მოართვეს, მრავალნი, სხვადასხვა *ფერი*“ (ნ. ციც. 433, 5).

ახ. ქართ. **ფერი** 1. შთაბეჭდილება, რომელსაც ადენს თვალებზე საგნის მიერ ანარეკლი სინათლე. ამ მშვენიერ მინდორ-ველებზე რა ნაირი *ფერები*? (ანა). || ასეთი თუ ისეთი, რისამე მსგავსი შეფერილობა (რა ფერიც

ვარდს, იას... და სხვ. აქვს). [ქალის] გიშრის *ფერი* თმები... ქარს გაეწეწა (ა. ყაზბ.). || ამა თუ იმ ფერის, შეფერილობის მეტი ან ნაკლები სიძლიერე, ინტენსივობა, –ფეროვნობა. –რა უჭირდა ლუარსაბსა? *ფერი* აკლდა, თუ ხორცი? (ილია). 3. გადატ. ვისიმე ან რისამე მსგავსი. „უნდა სამარის კარ-ზედა მივდგეთ ჩონგურის ჟღერითა ვაჟკაცნი ლაღად, თამამად, ჩვენ ვაჟკაცურის *ფერითა*“ (ვაჟა). [შე] საფერი, საკადრი, სადარი. „...[გიორგი], ეგრე შენი *ფერი!*“ (შ. დად.). 4. გადატ. ნიშან-თვისება, ხასიათი, იერი, ნირი, თავისებურება, სტილი. ყოველი... ერის მუსიკას თავისი საკუთარი *ფერი* აქვს ზედ დაჩნეული (ილია). 5 ფშ. კარგი პირი (ქსოვილისა, ტანისამოსისა). ფაფანაგს მუშაობის დროს გარეცევე (= გადმობრუნებით) იცვამდნენ, წასვლა-წამოსვლის დროს კი – *ფერისაკენ* («შინამრეწვ»). 6. რთული ფუძე არაფერი. ყველაფერი. მრავალფერი

აბ. ქართ. **ფერი** მატერიალური სამყაროს ობიექტურობის ერთ-ერთი თვისება, რომელიც აღიქმება როგორც შეცნობილი მხედველობითი შეგრძნება.

დიალექტ. **II. ფერი, ფრა** სათამაშო კოჭის ამოხნეილი მხარე (მთ. კაიშ.). ზარას ვსჩადიოდით და ემას რო *ფერი* კი არა, ჭურის რო გასვლიყო, მაინც იტაცებდა (მოხ. ლუდ.). აგრეთვე (ხევს. ჭინჭ.).

დიალექტ. **III. ფერი** (სპ.) სასწაულმოქმედი ზებუნებრივი არსება; ჯადოქარი, გრძნეული ქალი, – უხილავი, მავნე სული, ტყის ქალი, – ფერია; ... გუუგზავენა შამავალმა *ფერს* (აჭარ. ნოდ.).

აბ. ქართ. **IV. ფერი** კვარკებისა და გლიუონების მახასიათებელი კვანტური რიცხვი – ა. სახ.

### **ფერვან-ი:**

დიალექტ. **I. ფერვანი** (< ფეროვანი) ღაჟღაჟა ფერისა, გაჟინჟილებული. შტათანამ ყველაზე უმფო ჯანთელი და *ფერვანია* (აჭარ. ნიჟ.). იხ. I. ფერი.

დიალექტ. **II. ფერვანი** (თ. pervane) ხრახნი: დუზგარი აქ იმას, *ფერვანები* აქ იმა (ბაზგ., შავშ.).

### **ფერო:**

საშ. ქართ. **I. ფერო** 1. „თეთრსა და შავს საშუალი (საბა) – რუხი. ფერო, ფეროდ თეთრისა და შავის საშუალი – ნ. ჩუბ.

აბ. ქართ. **II. ფერო** [ლათ. Ferrum-იდან რკინა] 1. რთული ფუძეების პირველი შემადგენელი ნაწილი; ნიშნავს რკინას, მაგ., ფერომენადნობი. 2. უხმარიათ ფერომენადნობის მნიშვნელობითაც. წითელ ნაკადად იღვრებოდა *ფერო* (ს. კლდ.).

**ფილ-ი:**

ძვ. ქართ. **I. ფილი** (ლათ.) ტაშტი, როდინი: „*ფილითა წყლისადათა და მოართუა მას ერბოჲ*“ (M, მსჯ. 5, 25). „*აღავსნენ ფილები, ვითარცა საკურთხეველი*“ (O, ზაქ. 9, 15). „*დასწუთა ცუარი საწმისისაგან სავსე ფილი წყლისაჲ*“ (G, მსჯ. 6, 38). „*მოჰგლიდეს ფილითა*“ (G, რიცხ. 11, 8). „*წამსა ერთსა შეჭამა ფილი სავსე ცერცვ*“ (მ. ცხ. 298, 5).

საშ. ქართ. **ფილი**: ხის ჭურჭელი რამის დასანაყავად, როდინი: „*ტაშტი, ხელის საბანი*“ (საბა). ფილი დიდი როდინი – ნ. ჩუბ.

სამი საოჩხე და *ფილი* ბატონს ზიზილასათვი ებოდებინა. *ფილიც* იმის ამოჭრილი იყო (სამ. IV, 265, 7).

ახ. ქართ. **ფილი** როდინი, ისე ტაშტი. 1. ხის ჭურჭელი რისამე დასანაყავად, – როდინი. ღაღოლა *ფილითაქვით* ნიორსა ნაყავდა *ფილში* (ვაჟა). იქვე თაროზე ეწყო ათი-ხუთმეტოდე ხის ჯამი, ხისავე *ფილი* და გობი (ე. ნინოშ). 2. ძვ. „*ტაშტი ხელის საბანი*“ (საბა).

დიალექტებში ფილი და მისგან ნაწარმოები სიტყვები სხვადასხვა სემანტიკურ დატვირთვას იძენს. იხ. ფილი // ფილა (ჯავახ. ბერ., გურ., ჯაჯ. ჩვენ. ფუტკ., ფშ. ხორნ., შ. კახ., მესხ., ქვ. რაჭა, გურ., მრეწ. III<sup>2</sup>, ქვ. რაჭა, მრეწ. III<sup>2</sup>, 184).

გადატ. **ფილი** სახსრის ბუდე. ჩვენ ძროხასა *ფილი* გადაუტყდა და ძანა კოჭლოფს (კავთ.). დავწიე თუ არა ფეხი, თავის *ფილში* ჩავარდა (ძეგ., ქართლ. ლექსიკ.).

დასტურდება **ფილ-** ფუძიანი კომპოზიტებიც: **ფილჯამი** 1. კორკოტის სანაყავი ჯამი (ფარცხ.) (ქართლ. მენთ.). 2. მოზრდილი ჯამი. *ფილჯამით* მაწონი მეიტანა, სქელი, დანით საჭრელი (თ. ქ.) (ჩვენ. ფუტკ.). **ჯამფილა** 1. შუათანა ჯამი (ქართლ. ძიძ., კეცხ., ხუბ.) 2. გადატ. რკოს ბუდე (ქართლ. კირიონი) – ალ. ღლ.

საშ. ქართ. **II. ფილი** (უკმ.) სანთლის კვერეული (საბა). ცვილის კვერი – დ. ჩუბ.

ახ. ქართ., დიალექტ. **ფილი** ღორის ქონის კვერეული წვეწვს ზემოთ მოგდებული (ქვ.-იმერ. ქეგლ). რძის ნაღები. ქე რო *ფილი* აქ რძეს, რო შეამრება ჭურჭელს, ოუდინდება ძინძგლის სუნი (ზარანი). 2. ღორის გვერდების შიგა მხრიდან აღებული ქონი. ღორს რო გაგჭრით, გვერდებზე აქ *ფილები*, იმას გადავადნოფთ მერე. ჭაჭის ქონიც *ფილია* (მანდაეთი, შომახეთი). || ღორის ხორცის მოხარშვისას სითხის თავზე მოყენებული ქონი. ღორის ხორცს რო ვხარშამთ და თავზე მოვხთით ქონს, ისაა *ფილი* (ბოსლევნი, ზ.-იმერ. დოწ.). აგრეთვე ფილი (საჩინ. შარაშ.).

შდრ. **ფიი** (აზ.), **ქეჩიი ფიი** (თხის ქონი) (ინგ. ღამბ.). ფილის ეს მიშვნელობა სავარაუდოა სპარსულის ფიი „ქონი, ცხიმი“ სიტყვიდან მომდინარეობდეს.

დიალექტ. **III. ფილი** (აჭარ.) სპილო. *ფილი* (სპ. ფილ) იგივე პილო, ანუ სპილო. ფილი სპილო (ინგ. ღამბ.).

თურქულში სიტყვა არაბულის გზითაა შესული. უეჭველია, რომ ქართული „სპილოც“ სპარსულიდან უნდა იყოს მიღებული თავში „ს-ს გაჩენით. ნ. ჩუბინაშვილის „ქართულ ლექსიკონში“ დოკუმენტირებულია სიტყვის ასეთი ფორმა: „პილო“, სპილო, თ. ფილ. (სპ.), რომელიც ალბათ „სპილოს ძველ ვარიანტს წარმოადგენს (გურგენიძე 1973, 76).

ზან. ფილუ ფილი (მეგრ. ქობ.).

დიალექტ. **IV. ფილი** იხ. II. ფილა. ზოგიერთ საფეხურზე *ფილები* დამტკრეულა (გ. ხაღვ.). ამოჩქუტნული ადგილი იყო კარების ძირში და იმას ვეძახოდით *ფილს* (შ.-კახ. მრეწ. I, 93).

#### **ფილა:**

საშ. ქართ. **I. ფილა** ბილა. ბილა სამღერალთ დაცდენა – საბა.

დიალექტ. **ფილა** რიკ-ტაფელის თამაშისას ტაფელის დაცდენა ასროლილ რიკზე (იმერ. გაჩ.).

ახ. ქართ. **II. ფილა** ბრტყელი ნაჭერი ქვისა, თიხისა, ლითონისა... პარკეტის ერთ *ფილას* ორი ნუჟრი ჰქონდა (რ. ინან.)

ახ. ქართ. **ფილა** კუთხ. (ქიზ.) ხის სადგამი, რაშიც ქვევრის ქუსლს ამაგრებენ ხელოსნები კეთებისას.

**III. ფილა. ფილა** ჭურჭელი თიხისა ან ხისა. ხმარობდნენ რძის დასაფილავად (ჯავახ. ზედგ.). იხ. I. ფილი. შდრ. **ფილარი** სახლის ის ნაწილი, ოთახი, სადაც რძის *დაფილვას* აწარმოებდნენ, საფილავი სახლი (ჯავახ. ზედგ.).

ახ. ქართ. **IV. ფილა** (ძვ. ბერძ. phyle გვარი, ტომი] ძველ საბერძნეთში: 1. პირველყოფილ წყობილების ეპოქაში, საზოგადოება სამი ფრატრისგან შედგებოდა, რომელთაგან ყოველი გვარებად იყოფოდა; 2. ტერიტორიული ოლქი მონათმფლობელობის ეპოქაში – მ. ჭაბ.

#### **ფილაგ-ი:**

საშ. ქართ. **I. ფილაგი** ცა. წიგნს მივწერ, შევებუეწები, წამსულელმა გავლოს ფილაგი (ფეშ. 592, 2). შდრ. ფილექი, ფიქალი, ფილაქი, ფილახი (სპარს.) ბედი, ბედისწერა – დ. ჩუბ.

საშ. ახ. ქართ. **II. ფილაგი** ძვ. «პატარა დათვი» (საბა).

#### **ფილაკ-ი:**

საშ. ქართ. **I. ფილაკი** ფინიკი (ბერძნ.) დანაკის კუდი, ვალანოსი – დ. ჩუბ. შდრ. ძვ., **ფინიკი** «დანაკის-კუდი». „სიდიდე შენ ემსგავსა *ფინიკსა*“ (M, ქება 7, 7).

ახ. ქართ. **II. ფილაკი** კნინ. ფილი – ქველ.

**ფილაკვან-ი:**

ძვ. ქართ. **I. ფილეკავანი, ფილაკავანი:** „ადმართნეს ქვის-სატყორცე-ბი, რომელსა ეწოდების *ფილეკავან*“ (H – 341, 88). „აგოს (ზღუდესა) მას ზედა *ფილაკავანთა* სიმრავლჳ სასროლად ქალაქისა“ (S – 1141, 511). „და აჰმართნეს *ფილაკავნები* და უშტეკავნები ზღუდესა ზედა და ესროდეს მათ“ (მ. ცხ. 298, 6).

საშ. ქართ. **ფილაკვანი (ფილაკავანი ცხ )** ჟამთა პირველთა ციხის მე-ბრძოლნი სასხლეტსა რასმე მომართევენ დიდის ლოდის სასროლად ციხის შესამუსრავად (საბა).

**ფილაგანი, ფილაკანი** ძველებურად: ქვის ან ისართ სასხლეთი მაშინა ომის დროს ციხის შესამუსრველად (ვისრ. დ. ჩუბ.). შდრ. მეფე თვთ მოვიდა ქუთათისს, მოუყენნა ლაშკარნი და *ფელაკონნი* (ქ. ცხ. IV, 146, 22).

ახ. ქართ. ქეგლ-ში **ფილაკვანი** კვალიფიცირებულია როგორც ძველი ფორმა და მოხმობილია საბასეული განმარტება. მითითებულია აგრეთვე **ფილაკან** და **ფილაკავან** ფორმებზეც. ციხის სამტვრევი მანქანა დადგეს, *ფილაკავანი* ლოდის მტყორცნელი (გ. ლეონ.).

ახ. ქართ. **II. ფილაკვანი** იგივეა, რაც ვარხვი – ქეგლ. შდრ. პილაკონი (კალმას. 552, ქვ. 7).

**ფილთა:**

საშ. ქართ. **I. ფილთა** (არაბ.) პატრუქი სანთელთა, ბაზმაკთა; წყლულთ შინა შთასადები პატრუქი მალამოთურთ. – დ. ჩუბ.

ფითლა [არაბ. ჭათლათ «ხვია», «ძაფი»] «ოქრომკედის დასახვევი» (საბა), – ბამბის გრეხილი რისამე გულად.

**ფილთა 1.** ჭრაქის პატრუქი. ორიოდე ალაგას ქონის *ფილთა* და ნაძვის მკვარი ციმციმებს (მ. ჯავახ.). **2.** გასანთლული დაგრეხილი ძაფი ან დოლბანდის ნაჭერი ჭრილობაში ან იარაში ჩასადებად, – ტამპონი. დაჭრილთათვის *ფილთას* ამზადებდნენ (ნ. კურდღ. თარგმ.).

აღდგენილია ს.-ქართვ. \*ფთილ / \*ფთილ- (ჩუხუა 2017).

საშ. ქართ. **II. ფილთა** მეხი, ყუმბარა დიდი და ზრქელი ზარბაზანი – დ. ჩუბ.

(გურ. იმერ.) იგივეა, რაც ფილთა თოფი. [ყარამანი] გასწმენდა ვერცხლით მოსევადებულ ძველებურ *ფილთას* და წავიდოდა სანადიროდ (დ. შენგ.). [გლეხებს] აქა-იქ *ფილთებიც* ეჭირათ ხელში (ბ. ჩხ.). ◊ **ფილთა თოფი** ლულიდან სატენი ძველებური თოფი. ბისკაიომ გამოიტანა *ფილთა* თოფი, ტყვია-წამალი და დინჯად მიმართა აუდიტორიას (ა. ბელ.).

შდრ. **ფილინთა** (თ. filinta): *ფილინთა* თოფი ფილთა თოფი (აჭარ. ნიჟ.).

**ფინ-ი:**

ძვ. ქართ. **I. ფინი** ზღვის არწივი: „არა უტევის მოსიკუდიდ მართულჳ იგი მისი სხუამან მფრინველმან, რომელსა ჰრქვან *ფინი*“ (ბ. კეს. -ექუს. დღ. 116, 29).

ახ. ქართ. **II. ფინი** ტექ. 1. ზოდი, ჭალი. 2. კუთხ (ქვ. -იმერ.) შუაზე განახერხი მორის, ძელის სქელი ნაგვერდული (შდრ. ნაშური2). ერთი კედელი მეორე სახლის პალატის კედელია; ორ კედელს მოსახვევიდან ჩამოჭრილ ფერდობზე მიყრდნობილი *ფინები* შეადგენს, ხოლო მეოთხე, საკუთრივ ამ შენობის კედლად განზრახული, გაუთლელი ფიცრებია (ნ. ლორთქ.).

დიალექტ. **III. ფინი** იატაკი. ფინი სალამი იყო (იმერ.); **ფინი** ჩაყარეთ (იმერ.); *ფინზე* დაგებულია ხალი (მ., ჩვენ. ფუტკ.). **ფინი** შენობის ძირს დაგებული ფიცრის (მოტკეპნილი მიწის და სხვა) ფენა, – იატაკი (აჭარ. ნიჟ.).

კოჭებზე აწყობენ *ფინს*, დოშამას (ზ.-აჭარ. კობერ.). ლარძაყინებზე გადაჭედილი ფიცრები (აჭარ. იმერხ.); მერე დავაგებთ ზღუდეს, მერე *ფინს* დავაგებთ ზედე (ქვ. იმ მრეწ. I, 285). ლარძაყინებზე *ფინებს* გადავაკრავდით. *ფინების* დანიშნულება ის იყო, რომ ყავარი ან კრამიტი დაეჭირა (ქვ.-იმერ. მრეწ. I, 290).

დაფინვა (< ფინი) დაგება (იატაკისა). „დაფინავ *ფინს*, დააჭედებ (დაამაგრებ) მერთეგ-მუხით“ (ზ.-აჭარ. კობერ. 169).

ჯ. ნოლაიდელის აზრით, **ფინი** დრეკადი ზმნიდან ნაწარმოები საწყისია (მაგ: გრეხს-გრიხა, დრეკს-დრიკა, ასევე – ფინა). ფინა ფორმამ მიიღო სახელობითი ბრუნვის ნიშანი (ფინა-ი-ფინი) (ნოლაიდელი 1972, 224). -ფენ-/ ფინ- გავრცელების არეალის მიხედვით შესაძლებელია სახელი ზანური იყოს. შდრ. მეგრ. ფინა (არაბული 2001, 149).

**ფენ/ფინა** ფორმებს აჭარულსა და იმერხეულში მოეპოვება დერივატი ი ხმოვნისანი ფუძით (ქურდაძე, 2005, 162).

ზან. **ფინა, ფენა**, ფილა; ზოდი, ჭალი; მორის, ძელის სქელი ნაგვერდული; იატაკი ბრტყელი, ფრიალა თეფში, ფინია (ძალლი) (მეგრ. ქობ.).

ახ. ქართ. **IV. ფინი** (ქიზიყ.) ფეხსაცმლის დასაკერებელი სადგისი.

### **ფინა:**

საშ., ახ. ქართ. **I. ფინა** // **ფინია** გომიაზედ მოდიდო ძალლი – ნ. და დ. ჩუბ.

**ფინა** ფინია. ექებდა ჯოხსა მაგარსა, არ შეედრება *ფინა* მას (ბეს. 157, 62).

**ფინა** 1. ფშ. იგივეა, რაც ფინია – პატარა ძალლი, გომია. ერთხელა ილო მივიდა შინა, წინ მიეგება თავისი *ფინა* (ვაჟა).

დიალექტ. *ფინა* ლეკვი მოკლა (გეზრული) (ზ.-იმერ. ძოწ.).

ახ. ქართ. **II. ფინა** (გერმ. finne) თასმაჭიების ჩანასახი, ჩვეულებრივ, ცხოველთა კუნთებში ცხოვრობს.

საშ. ქართ. **III. ფინა**: 10 ოყა ან 3 ქილა (დ. ჩუბ.).

დიალექტ. **IV. ფინას** ლარტყს ვეძახით (ქვ. იმ. მრეწ. I, 292). იხ. II. ფინი.

დიალექტ. **V. ფინა** პიტნა. „პიტნა არია“ (შდრ. სპ. pune „პიტნა“ (ფერეიდ. ჩხუბ.).



**ფირ-ი:**

საშ. ქართ. **I. ფირი** ცრურწმენით კეთილი სული, ანგელოზი, სპარსულად ფირი მოხუცი, რელიგიური სექტის დამაარსებელი. არ ვიცი, ვისა გასწყობიხარ რჯულს, *ფირებსა?* (ბეს. 37, 10). ვგონებ, რომ არად მიგაჩნდეს არც სჯული, არცა *ფირები* (ბეს. 158, 12).

ახ. ქართ. **ფირი** [სპარ. ფი\*რ «ამქარი»] ძვ. 1. ამქრის დროშაზე გამოხატული ემბლემა. ყველა ამქარს თავისი საკუთარი დროშა ჰქონდა, რომელზედაც გამოხატული იყო *ფირი* (ღერბი, ემბლემა). ეს *ფირი* წარმოადგენდა ამქრის სიმბოლოს (ი. გრიშ.). 2. ამა თუ იმ ხელობის მფარველად აღიარებული ბიბლიური პიროვნება. მე ხომ მიკიტანი ვარ, განა ჩვენი «*ფირო*» წმინდა კაცი არ იყო? (ვაჟა).

დიალექტ. **ფირი** ამქრის მამამთავარი, ამქრის სიმბოლო, მაგ. „მჭედლების *ფირი* თობელია, დურგლებისა – ნოე, ხარაზების – ელია და სხვ. ამქარს თავის ბაირაღზე ის ეხატა, ვისაც თავის *ფირად* თვლიდა (ქიზ. მენტ.). კალატოზების *ფირად* დროშაზე ქაფჩა და ჩაქუჩი იყო გამოხატული (ქიზ. მრეწ. I, 50).

**ფირი** სპარსული სიტყვაა – [pīr] მისი მნიშვნელობებია: 1. მოხუცი; ძველი; უფროსი; ბელადი; 2. შეიხი, სულიერი მოძღვარი. „ქალაქური ლექსიკონის“ მიხედვით ფირი გარკვეული სემანტიკური ცვლილებით დამკვიდრებულა ქალაქურ მეტყველებაში (ბართაია 2010, 97).

დიალექტ. **II. ფირ** (აზ.) სალოცავად აღიარებული წმინდა ხე (ინგ. ღამბ.).

ახ. ქართ. **III. ფირი** სპეც. ხმის ჩასაწერი და სურათის გადასაღები აფსკი. საფოკუსე მანძილი ეს არის მანძილი კამერიდან ობიექტამდე რომელიც *ფირზე* მაქსიმალურად მკვეთრად პროეცირდება

**ფიქალ-ი:**

საშ. ქართ. **I. ფიქალი** კლდის ქვა მარღვებიანი, რომელიც თავისთავად დაიშლება ფიცრებად – დ. ჩუბ. ფიქალი არს ქვა დიდი, ბრტყელი და თხელი (საბა).

**ფიქალი:** „შევერიბე *ფიქლები* და ქვები და დავბურე იგი“ (H – 341, 38).

**ფიქალი** (სპ.) ფიქარ- სურათი, სუფთად გათლილი რისამე ფიცარი.

მკერდი ბროლისა *ფიქალსა* უგვანდა (შჰნ. III, 450, 9). გადატ. **ქვა-ფიქალობა** სიმაგრე, სიმტკიცე. ვით დედა-შენმან, კარგი ქალობა, გულს აქნევინა *ქვა-ფიქალობა* (დ. გურამ. 288, 506, 2). დედამთილისა საფლაგზედ ზედ დააფარე *ფიქლები* (ბეს. 166, 19).

დიალექტ. **ფიქალი** ბრტყელი ქვა, თხელი, ადრე იყენებდნენ სახლის გადასახურავადაც. ფიქლური ფიქლით გადახურული სახურავი (ჯავახ. ზედგ.).

საშ. ქართ. **II. ფიქალი** იხ. I. ფილაგი. შენითა შიშითა მაღალი ეტლი თავმოხდით *ფიქალთა* შიგან ვერა ბრუნავს (შჰნ. III, 290, 29). შდრ. **ფილექი** ცა, ცის სფერო. ასეთი მტუერი ავიდა, რომე ცათა *ფილექამდის* შესწუდებოდა (შჰნ. III, 285, 18). აგრეთვე: **ფალაქი** ცა, ცის თალი; ბედი, წერა. მასკულავთა უჭურეტდის და *ფალაქთა* სამისოდ მოქცევისათუის ღმერთსა ეაჯებოდის (ვისრ. 71, 34).

### ფიჭვი:

საშ. ქართ. **I. ფიჭვი** იგივეა, რაც ფიჩვი: „მატყლისა ფარდაგი“ – საბა. ფლასი, საგები, ნაბადი ან ფარდაგი ცუდი (ნ. ჩუბ.). რა კელმწიფემან ბაამან საურ კელმწიფე *ფიჭვსა* შიგან წავეული ნაჯა... კბილთა და ბაგეთა იკბინა (შჰნ. III, 547, 20). შდრ. **ფიჩვი** (სპ. ფიჩ) შემოსახვევი. სპანდიატ ნახა, ეწყინა, თავსა ფიჩვი წაიხურა (შჰნ. II, 5467, 1).

აღდგენილია ს.-ქართვ. \*ფიჩჴ- არქექტიპის (ჩუხუა 2000-2003).

დიალექტ. **ფიჭვის ტომარა** უხეში ქსოვილის ტომარა ერთგვარი. *ფიჭვის ტომარას* კიდე ყისინა ტომარასაც ეტყვიან (ლამ., ქართლ. მესხ.).

ძვ., ქართ. **II. ფიჭუ** cupressus: „მოგვაფე... რჩეულ-რჩეულები ფიჭუთაჲ“ (O, IV, მფ. 19, 23). „მომიდლუანე მე ძელი ნამძსაჲ, *ფიჭვსა* და ნამძ ლიბანით“ (M, II ნშტ. 2, 8).

საშ. ქართ. **ფიტვი, ფიჭვი** ბერძნ. – დ ჩუბ.

ახ. ქართ. **ფიჭვი** [Pinus] ბოტან. წიწვოვანი ხე; წიწვი განლაგებულია ორ-ორად (ჩვენებურისა), სამ-სამად ან ხუთ-ხუთად; იცის ტყეედ; ისხამს მსხვილ, კვერცხისებრ გირჩას. ელდრის ფიჭვი. – ბიჭვინთის ფიჭვი. – ტიტველა ტყიდან მწვანედ მარტო *ფიჭვი* და ნამძვი მოჩანს (ი. გოგებ.). იხ. აგრეთვე **ფიჭვის ქუნა** (ხევს. ჭინჭ.). შდრ. **პიტუ**-ი ფიჭვი. *პიტუნი* არა მსგავს იყვნეს ბაბილოთა, მისთა (ეზეკ. 31, 8 (გელ.).

### ფლასი:

ძვ. ქართ. **I. ფლასი** ჩული, ძაძის ჩასაცმელი: „სამოსელსა... *ფლასისა* ჩააცუმიდეს“ (მ. ცხ. 117v). „პალეკარტი *ფლასისა*ჲ (მოფგო)“ (მ. ცხ. 167r). „საბლარდნელად მისა იყო *ფლასი* ერთი მცირე“ (S- 1141, 501). „არაჲ ემოსა, თვნიერ *ფლასისა* ნამუელი“ (ბალ. 119, 20). „ადრისეთ იგი (ძმარი და მარილი) *ფლასითა* ძლიერად“ (Sin - 11, 174r).

საშ. ქართ. **ფლასი** ბალნის ძაძა – საბა. დ. ჩუბინაშვილი კი ფალასი, ფლასი (სპ.) ძონძი, ძაძა, მჩვარი.

**ფლასი** მოქარგული ბეწვის ნაბადი. ცხენი შემოიყუანეს, სკარამანგი-სა *ფლასი* ზედა ეხურა (ამირან. 66, 6).

აქათ სამ წელ არ მოვიდე, მაშინ გმართებს გლოვა, *ფლასი* (ვეფხ. 164, 3). მუნ გლოვით იყვნეს ყოველნი, ემოსნეს ძაძა-ფლასები (ნ. ციც.).

აწ შემოსა ძაძა-*ვლასითა* (რუსულ. 183, 2). სჯობს, არ ჩაიცვათ ტანთ *ძაძა-ვლასი* (დ. გურამ. 304, 13, 3). გყევ აჩემებით ვითა ხასები, ნიადაგ მე-ცვა *ძაძა-ვლასები* (ბეს. 150, 12, 13). ჩემი ტანისამოსი *ვლასია* და ტახტი *მიწაა* (ვისრ. 282, 6).

ამავე მნიშვნელობისაა ფლარსიც ფლასი. ლბილის ტანისამოსის სა-ნაცვლოდ ძაძასა და *ვლარსში* იჯდა (რუსულ. 19, 14). სამგლოვიარო თალ-ხი სამოსელი. მე, ყარბხა, ბედმან ჩემმან მომაწოდა მწარე თასი, დღენი ადრე გამიშავა და ჩამაცო შავი *ფლასი* (რ. ერისთ.). როგორც ცოდვილი ხა-ტის წინ, ფეხქვეშ ვეგები *ფლასადა* (ვაჟა).

დიალექტ. **თავფლასიანი** სირცხვილიანი, კაცი, რომელსაც რაიმე სა-ძრახისი საქმე აქვს ჩადენილი. „თავფლასიანო, ჯერ თავზეთ ეგ *ვლასნ* მაიჯადენ, მემრ მე მეშულღრ! (ბ. გაბ. 137, 8). „სასაცილოვო, მირგვლივ მა-ვალო, კარუზაო, დედის მეზლეო, *თავფლასიანო*“ (ბ. გაბ. 137, 5). „წავა, იპარავს ცხენებსა, დავმავა *თავფლასიანი* (ეთნ. კალენდ. 38, 612). საყვედუ-რებს ეუბნებოდეს ერთი-მეორეს: „შე სირცხვილიანო, *თავფლასიანო*“ (ხევს. გ. დოლ. 53, 26) – ალ. ჭინჭ.

**ფლასთ დახურავს** სირცხვილს აჭმევს, შეურაცხყოფას მიაყენებს. „ჩემთან არ გინდ სიმამაცე, აიქ გეჭირების, რო თავზე ფლასნ დაგხურნეს“ (ბ. გაბ. 137, 10). **ფლასს დაიხურავს** სასირცხვო, არასაკადრის საქმეს იზამს, თავს შეირცხვენს. სირცხვილ არ შამიჭამივის, არ დამიხურავ ფლასია (ფშ. ხევს. პოეზ. 285, 34). – ალ. ჭინჭ.

ეთნოგრაფიული თვალსაზრისით საინტერესოა თუშურში დადას-ტურებული შემდეგი მნიშვნელობა: ფლასზე დალაგებული მიცვალებუ-ლის ტანსაცმელი და პირადი ნივთები, რომელიც წლისთავამდის ასე რჩე-ბა და შემდეგ გაიცემა სულის სახსენებლად. დროდადრო ჭირისუფალი ფლასს გარეთ გამოიტანს და ტირილს მართავს. „ფლას წლამდინას ჳე-ლუხლებელაჲი“ **ფლასის აღება** მიცვალებულის წლისთვის შემდეგ ფლასს გამოიტანენ, საბოლოოდ დაიტირებენ და დაშლიან. ზედ ნაწყობ ტანსაცმელსა და ნივთებს სხვადასხვა პირებს გაუგზავნიან. ხარჯის ორ-სმ დღის მემრ მასქურებენ ნათესავეს, სუფრას გაკვეთებენა-დ-დ *ფლასს* იღლე-ბენ (თუშ. ცოც.).

დიალექტ. **II. ფლასი 1.** ფიჩვი, უხეირო ფარდაგი (ფშ. ხორნ.). ჭრელი ფარდაგი. ამავის მალექსებელი *ფლასთ* ვიხურავ ავდარჩია (ალ. ოჩ. 116, 11). კვირიკას *ფლასებ* დავხპარე, ქანდარა ჩამავაცლიე (ალ. ოჩ. 134, 7). ჭერთ სწვდების საბან – ბალიში, კედლებზე აკრავს ფლასებსა (ხევს. ჭინჭ.). ფლასრ ძირს ან ტახტზე საფენი მარტივად ნაქსოვი ხალიჩა. ფლასზე შარ-ვალს შლიან ქსოას ქუჟდოანებ არად, აგრიაჲ გატ-გამოტარებით ხქსოენ (თუშ. ცოც.). *ფლასი* ეწოდება ძველ მოქსოვილ ფარდაგს. ახალ მოქსო-ვილს კი ფარდაგი ჰქვია (თუშ. ბოჭ. 100).

ახ. ქართ. დიალექტ. **ფლასი** (სპარ. palás „უხეში ქსოვილი“) ნაცვეთი, ნაგლეჯი რამ (უპირატესად ფარდაგისა, ჯეჯიმისა...). შდრ. ფალასი. მზე-ქალამ... მოკუნჭულ *ფლასზე*... მიაწვინა წიწმატა (ვაჟა).

აგრეთვე: **ფლას-ფარდაგი, ფლას-ხალიჩა** (ხევს. ჭინჭ.).

გადატ. ამავე წარმომავლობისა უნდა იყოს თუშურში დადასტურებული სიტყვა ფლასაჟი „ჭრელი ჩიტია“, კლდეებს ეკვრის კოდალასავით (თუშ. ცოც.).

ამავე სიტყვას გადატანითად უნდა უკავშირდებოდეს შემდეგი ლექსიკური ერთეულებიც:

ქეგლში ფლასი და ფლასი დამოუკიდებელი ერთეულების სახითაა წარმოდგენილი. **ფლას-ფულასი** ფლასები: ძონძმანძები, ჩვრები. ვინ ქვას გაიტანს, ვინ ქოთანს, ვინ ლოგინს, *ფლას-ფულასსა* (მ. მღვიმ.). „ნამდვილად... იმ *ფლას-ფულასსა* და ქალების ჩვრებს დახარბდით“ (მ. ჯავახ.).

ვფიქრობთ, რომ ფლასი და ფლასი სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ენებიდან უნდა იყოს ნეასესხები ქართულში.

### **ფოლ-ი:**

ძვ. ქართ. **I. ფოლი** ფული: „ემსგავსებით... ქურივსა მას, რომელმან იგი მისცნა ორნი *ფოლნი*“ (მ. სწ. 90, 30). „აღავსო ლაგვანტარი ერთი *ფოლითა*“ (მ. ცხ. 171r). „არც თუ *ფოლსა* ერთსა ზედა უფალ იყო“ (ი. -ე. 21, 6).

„აღიღოს ათორმეტი *ფოლი* ლედატად მისა“ (პეტრიწ. 18, 2).

საშ. ქართ. ერთი *ფოლი* არ გემოება მხლისა და მარილის მოსყიდვად (ქილ. 533, 1).

**ფოლი** ქეგლში ძველის კლასიფიკაციით არის წარმოდგენილი.

...(ფოლლის თავდაპირველად პარკს ერქვა, შიგ ეყარა შავი ფული, რომელიც გარკვეული წონისა იყო და ვერცხლზე ან ოქროზე გადაიანგარიშებოდა (პეტრიწ.). ფოლი (ფოლლის სპილენძის ფული, რომელიც პირველად დიოკლიტიანეს დროს მოიჭრა, 284-305 წწ.).

საშ. ქართ., დიალექტ. **II. ფოლი** ბოტან. ყვავილი. მისგანი: ...და ქინძის თესლი, ქონდარი და *ფოლი* (ფანასკ. 281, 34).

**ფოლი** ბოტ. ყვავილია მოლურჯო-მონაცრისფრო, საღებავად ხმარობენ. „*ფოლი* არის ყოილი მოლეძნო, ლურჯი, იმაჩი ვღებავდით ტოლსა“ (მოხ. ქავთ.).

ახ. ქართ., დიალექტ. **III. ფოლი** (იმერ. გურ.) იგივეა, რაც ჩლიქი.

საწყალ ხარებს ფთაში, სულ *ფოლები* დოუსკტა ქეგებში სიარულით (იმერ. გაჩ.). ჩემი რაშის *ფოლს* მოგარტყამ (გუნკარ., გურ. ჯაჯ.).

ცხენის *ფოლის* სათალი დავკარგე (მანდაეთი). საქონლის *ფოლებით* აჩთია ქვას (ხიდარი) **ფოლსათალი** ჩლიქის (ფოლის) მოსათლელი დანა. *ფოლსათალით* ხარს ჩლიქსა ვთლით (შომახეთი, ზ.-იმერ. ძოწ.). **ფოლისათალი** (გურ. იმნ. 298, 16; რაჭ. კობახ).

საერთო ქართველურში აღდგება \*ფოლ- არქეტიპი (ფენრიხი, სარჯველაძე 2000).

ახ. ქართ. **IV. ფოლი** (კახ.) ერთჯერობა გაჩეჩილი მატყლი, – ქაბალა. 2. (ფშ. ხევს. ერწ.) „დაჩეჩილი მატყლი ერთად შეკრული“ („დიალ.“), ერთმანეთზე გადაბმულ-გადახვეული. „ვზივარ თბილად, როცა გარეთ ყინავს და ყველა კანკალებს, ჩამიყვია ცხვირი ჩემ *ფოლივით* კუდში“ (თ. რაზიკ.). იხ. ასევე (მთ. კაიშ., ხევს. ჭინჭ.).

დიალექტ. **V. ფოლი** მღვდელი. „მეგე იმ *ფოლსა* უკითხვებია ისტანბულ, ფერიქრმს ქილისეში (ჩვენ. ფუტკ.).

დიალექტ. **VI. ფოლი** [ინგლ. Foul plau] ბინძური თამაში, წესების დარღვევა სპორტულ თამაშში; 2. შეცდომა, ჩავარდნა; „ფოლის ზღვარზე“ – დიდი რისკით.

**VII. ფოლი** საკონიაკე ღვინომასალის მომცემი ჯიში – ა. სიხ.

**ფოლორც-ი:**

საშ. ქართ. **I. ფოლორცი** (სომხ.) შუაბაზარი, მეიდანის – საბა, დ. ჩუბ. შდრ. ფოლოცი. ქუჩა, საცალფეხო გზა: „განვედ ადრე გზათა ზედა და *ფოლოცთა!*“ (ლ. 14, 23). „განვიდოდა *ფოლოცსა* რომელსამე“ (ლიმ. 116, 35).

**ფოლორცი** რამეთუ *ფოლორცნი* და გზანი სავესენი იყვნენ მკუდრითა (ქ. ცხ. IV, 215, 13). ასეთი საქმე მიყაო, რომ ჩემის ხელით გამომაცვანინე და *ფოლორცში* მატარებინეო (რუსუდ. 523, 2). მაშინვე გარე შემოიქცა და *ფოლორცთა* სლვად მომართა (ქილ. 452, 14). არ დია შეგრჩა მინდვრად რბენანი, არც *ფოლორცებში* გამოჩენანი (ბეს. 153, 11). იყო *ფოლორცი*, დასხმული წითლითა ქვითა, ძოწეულითა, იმიერ და ამიერ (ამირან. 326, 6).

(აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ „ამირანდარეჯანიანის“ ძირითად ტექსტში დადასტურებული ფოლორცის გარდა, მის სხვადასხვა ხელნაწერში გვხვდება შემდეგი ვარიანტები: ფოლოცი, ფოლორცი, ფოლოც).

ახ. ქართ. პალატის ბჭის წინ, ტრიალ *ფოლორცზე*, ისმოდა მოთქმა, ზარი, ტირილი. კლარჯნი მოსულნი ტიროდნენ მეფეს (გ. ლეონ.).

დიალექტ. 1. **ფოლორცი** (იმერ.) მწირი, სახნავად უხნავი მიწა. 2. (ქართლ.) ატალახებული გზა რო ატალახდება, ავდარი რო მოვა, *ფოლორცი*, მძიმე სავალი გზა რო იქნება („დიალ.“). იხ. აგრეთვე (ქართლ. ლექსიკ., ალგ. სალარ.). **ფოლორცო** დიდი შარა (გურ. შარაშ.). **ფოლორჩო** დიდი და ღრმა ტალახი (ქართლ. დიალ.).

საშ., ახ. ქართ. **II. ფოლორცი** ძვ. და კუთხ. ქართლ. სახელგატეხილი, ზნედაცემული. რაზედ მომკალ არ-კეთილმან, *ფოლორცმან* და გარეცხილმან?! (ბეს.). || ფლიდი, ფარისეველი, პირმოთნე. „ნინო, სიკო როგორ შეიყვარე?! ის ხომ გარყვნილია, ფლიდი, *ფოლორცი*“ (შ. არაგვ.). **ფოლორცობა** ფოლორცის თვისება, სახელგატეხილობა, ზნედაცემულობა. || ფლიდობა, ფარისეველობა, პირმოთნეობა. „[სიკო] მაგრე თვალეებს უხვევს ყველას თავისი *ფოლორცობით*. პირში გეფერებათ და უკან კი ძირს გითხრით და გლანძღავთ“ (შ. არაგვ.).

**ფოლორცი** // **ფოლორცა** ფლიდი, ფარისეველი, ლაქუცა. „ვერ გამიგია, ამ წესიერ კაც ედ ფოლორცი ხალხი რაში ძჭირდება“ (გ.-კახ. სახლთხ.). შდრ. II. ფოლოცი.

იხ. აგრეთვე **ფლორც** პირსფერი, ფარისეველურად მოყვარული. „მეტა ფლორც, ისრ შეგხვდებ, იტყვ, ჩემ ფერაქმწ არავინ ხყავივ“ – ძალიან პირსფერია, ისე შეგხვდება, იფიქრებ, ჩემნაირი ამას არვინ ჰყავსო (თუშ. ცოც.).

#### **ფოლორცა:**

საშ. ქართ. **I. ფოლორცა** იხ. II. ფოლორცი. უკუღმართობს, უგლიმაობს, / უკანიდგან უცხოდ უში, / ფინთსა, ფსვენსა, *ფოლორცასა*, / ფანფალაკებს ფიცხად ფუში (ბეს. 97, 5).

ახ. ქართ., დიალექტ. **II. ფოლორცა** (მოხევ.) შარა, შარაგზა. *ფოლორცაზე* გავიარეო („დიალ.“). ქალები გროვდებოდნენ *ფოლორცაში* და ელოდნენ თავ-თავიანთ მეგობრებს, ამხანაგებს (ა. ყაზბ.). *ფოლორცა* იყო ასავალი, იმაზე უნდა ასულიყო ყეინი (მოხ. ქავთ.). შდრ. I. ფოლორცი.

#### **ფოლოცი:**

ძვ. ქართ. **I. ფოლოცი** ქუჩა, საცალფეხო გზა. „განვედ ადრე გზათა ზედა და *ფოლოცთა*“ (ლ. 14, 23). „დადგა ანგელოზი ღმრთისად *ფოლოცთა* ვენაჯთასა“ (გ, რიცხ. 23, 24). „უგებდეს ურაკპარაკთა და *ფოლოცებსა* ზედა“ (ანდ. -ანატ. 191, 9). „*ფოლოცნი* ესე მარმარინო ფენილნი“ (ფლკ. 133, 28). „განვიდოდა *ფოლოცსა* რომელსამე“ (ლიმ. 116, 35).

საშ. ქართ. შეამკუნეს ყოველნი *ფოლოცნი* თვითოფერითა სამოსლებითა (არჩ. ცხ. I, 88, 14).

დიალექტ. **II. ფოლოცი** ემოციურობა, ემოციების მოძალეობა, ზედმეტად მგრძნობიარობა, განმცდელი. „ნუ ფოლოცობ, ნუ, გაჩუმდი“, ნემეტანი ფოლოცია, ა, გეგონება რაცხა“ (საჩინ. შარაშ.).

შდრ. ფოლიმცი (თურქ.) არგო აფერისტი 2. მეტიჩარა.

#### **ფონ-ი:**

საშ. ქართ. **I. ფონი** გასავალი მდინარისა, სადაც თხლად სდის – ნ. ჩუბ.

**ფონი:** ზღუად იყო უსკრული ერისათჳს ღმრთისა საკვრველებით განპებული და არა *ფონი* რამე [ler. = 6 41r, 13-16a].

**ფონი** ზღვაში სანაო ადგილი. ჩინეთის ზღვასა, მასმია არის სანაო *ფონია* (შჰნ. II, 3768, 3). ჩაცვივდენ ცოდვის მორევთა, გზა ვერ სცნეს მადლთა *ფონისა* (დ. გურამ. 83, 145). განვლიან (მათ) *ფონი* მტკურისა (ვახტ. II, 180, 7). დაღისტნის ჯარი... ურდოს *ფონს* გამოვიდაო (ი. ბარათ. 280, ქვ. 4).

ახ. ქართ. დიალექტ. **ფონი** 1. მდინარეში გასავლელი ადგილი, სადაც წყალი თხელია და ნელი. ჯერ *ფონს* იკითხავენ და მერე წყალში შეტოპავენო (ანდაზა). ცხენოსანი... მოადგა არაგვს, ხიდი რომ წაღებული დახვდა, *ფონს* დაუწყო ძებნა (აკაკი). მდინარეს უნდა გავიდეთ, ვერ გვიპოვნია *ფონია* (ვაჟა). 2. ძვ. ჩქერი, ღვარი; მოწანწკარე წყალი (იუსტ. აბულ.) – ნაკადული. || ფიგურ. ავთანდილ... დღისით და ღამით მტირალი იღვრების ცრემლთა *ფონითა* (რუსთაველი). 3. გადატ. შვების მომცემი, მომფონებელი. ცრემლებო, თქვენი შვილი ვარ, თქვენა ხართ ჩემი *ფონია* (ვაჟა).

**ფონს გასვლა** გამარჯვება, საქმის ბოლომდე მიყვანა (გურ. შარაშ.).

ზან. (მეგრ.) ოფონალი გასაფონი ფონზე გადასასვლელი. ოფონი გასაფონი ადგილი წყალში, თავთხელი (მეგრ. ქობ.).

დიალექტ. **II. ფონი** 1. დაუჭიმავე, ფოლხვი, მოშვებული, ფომფლე. ზედ ხანჯარ-სარტყელ ექნებოდ შამახვეული *ფონად* (ეთნ. კალენდ. 27, 479). 2. თავისუფალი, იოლი. დაგქოქავ ჯარაივითა, მაგამლევ *ფონში* ყაყანსა. **ფონ ზურგი** შუა ზურგი. „მწარმალაჩით ფონ ზურგჩი გავ“ (ხევს. თავისებ. 240, 1). **ფონ ფშინდი**: „ფშინდი შეიძლება იყოს კეტი –ისეთი, რომლის გოზანი ცუდად იღუნება, და *ფონი* [||ფუმფლი] – რომელიც იოლად იღუნება (ხევს. თავისებ. 304, 8) – ალ. ჭინჭ.

**ფონი** ფართო, განიერი. დედი, ე რეზინები ფონი არი, ღამიდ ჩამვარდედ ჩლუქები (იგ., ქართლ. მესხ.).

**ფონი** < **ფონე. ფონე** «მოშვებული, მოფონებული» (საბა), – ფომფლე, დუნე. ჩვენს ასულს ნიაზე ვამბობ, რომ მოსისინებს დონედა. მოზრდილი მხრები შეისხას მაგრა და არა *ფონედა*, – გადიქცეს მხვივან ქარადა, იქროლოს ყოველ მხარესა (ვაჟა).

ზან. **ფონუა** მოფონება (გულზე) ფონზე გასვლა, გაფონვა (მეგრ. ქობ.).

ახ. ქართ. **III. ფონი** [ფრანგ. fond საფუძველი **ფონი** < ლათ. fondus ფსკერი, საფუძველი] 1. სახვითს ხელოვნებაში საფუძვლად გამოყენებული ტონი, ფერი ან საერთოდ ზედაპირი, რომელზედაც დახატული სურათი; სურათის ნახატის, ქანდაკების უკანა პლანი. შავ ფონზე თეთრად აელვარდნენ ღამაზად მოხაზული ასოები («სახალხო განათლ.»). || ფიგურ. [დარბაზის] სარკმლიდან მთავართა სანათლოს ნანგრევები მოჩანს ცარცისფერი მთების *ფონზე* (ვ. გამსახ.). 2. წიგნ. გადატ. გარემოცვა, გარემო, პირობები; ვითარება. ვაჟა-ფშაველა ფშავ-ხევსურეთის *ფონზე* შლიდა თავის უკვდავ პოემებს («ლიტ. და ხელოვნ.»).

ახ. ქართ. **IV. ფონი** [ბერძ. φῶνῆ ხმა, ზგერა] – (ფიზ.) ხმამაღლობის დონის ერთეული. მაგ., დასაშვები ხმაური საცხოვრებელი ზონისათვის 40-50 ფონია – მ. ჭაბ.

**ფორ-ი:**

ძვ. ქართ. **I. ფორი** მოედანი. იხ. I. ფორე: „ხვალისა დღჳ ბრძანა შეკრებად ყოველთად ერთბამად *ფორად* შუა ქალაქისა მის“ [Ier. = 3 177v, 6-8]. „მოეგებოდეს მას შორს გარეგან ქალაქისა ადგილთა, რომელთაგანსა პირველსა აპიპოდს *ფორიდ* ეწოდებოდა, რამეთუ აპიპოს ვისმე აქუნდა და თვსად *ფორად* სახელ-ედვა, ესე იგი არს, ხატად თვსსა, რამეთუ ჰრომთა ენითა სამეუფოთა ძეგლთა *ფორო* ეწოდების“ [Ier. = 16 203v, 4-13b].

საშ., ახ. ქართ. **ფორი** ძვ. მოედანი (საბა). უცებ მცირე *ფორზე* თეთ-რჩობიანი არსენა გამოვარდა (მ. ჯავახ.).

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **II. ფორი:** *ფორისა* სახურეტელსა თხელსა უქმოდით (ფანასკ. 25, 35).

**ფორი** 1. (იმერ. გურ. რაჭ. ლეჩხ.) იგივეა, რაც ობი. 2. (თუშ.) იგივეა, რაც ალაო. ფორი არის გაღვივებული ქერის ფქვილი («შინამრეწვ.») – ქეგლ. იხ. აგრეთვე (მოხ. ლუდ., თუშ. ცოც., ხევს. ჭინჭ., ზ.-აჭარ. კობ. ზ.-იმერ. ძოწ., ინგ. ღამბ., ინგ. როსტ.).

საშ., ახ. ქართ. **III. ფორი** ცხრილი უჩინარი, რომლისაგან სდის ოფლი – ნ. ჩუბ.

ფორი [ბერძ. poros გასავალი, ხვრელი] 1. ფიზ. უმცირესი შუალედი ნივთიერების ნაწილაკებს (მოლეკულებს ან ატომებს) შორის, – ნასვრეტი. *ფორები* დიდ როლს თამაშობს, მათი საშუალებით ხდება კვერცხიდან წყლის ორთქლება და აირის ცვლა ჩანასახის განვითარებისას («მეფრინველ.»). 2. ანატ. პაწაწა ნასვრეტი, რომლითაც საოფლე ჯირკვლები კანის ზედაპირზე გამოდის.

**ფორე:**

საშ. ქართ. **I. ფორე, ფორო** (ლათ.) მეიდანის – დ. ჩუბ.

რომე ვარსკულავთა ცხენი მნათობი და ტატანთა ლაშქარი ცისა *ფორეთა* მოვიდნენ (ქილ. 593, 25).

საშ., ქართ. დიალექტ. **II. ფორე** ძვ. II. იხ. ფორი. აგრეთვე (ნაბელ. გურ. ჯაჯ.).

**ფორო:**

საშ. ქართ. **I. ფორო** „ვეგი ამოდრუტნული (საბა). ნახვრეტი, ღრუ – დ. ჩუბ. იხ. II. ფორი.

საშ. ქართ. **II. ფორო** იხ. I. ფორი – „მეედანი“ (საბა). რა მთოვარე საშუალ *ფოროს* დაახლოვდა, ... ბერუზამ პილოთა სიმრავლესა მიმართა (ქილ. 588, 33).



**ფოში-ი:**

საშ. ქართ. **I. ფოში** ძვ. «წმინდად დანაყილი საკმელი» (დ. ჩუბ.). **ფოში** მტვერი, საფანელი, მიწა ფქვილივით – საბა.

საშ. ქართ. **II. ფოში** ხლა, შავი ხელმანდილი არაბული – საბა. **ფოში** რიდე შალი თავსახვევი, გინა ფოში, ესე იგი ჩალმა, ქალნი თავზე რომ მოიხვევენ, ხოლო კაცნი ქუდზედ (თ. ბაგრატი.). საათსა ჰყიდდნენ ყურუმად, *ფოში* რა მოსანდომია?! (ბეს. 83, 25).

**ფსიად-ი:**

ძვ. ქართ. **I. ფსიადი** თასი. „ჰქმნე პინაკები მისი და *ფსიადები*, ტაკუკები და ციცხუები“ (ო, გამოსლ. 25, 29). **ფსიადი** სასაკმევლე – დ. ჩუბ.

ძვ. ქართ. **II. ფსიადი** (ფსიადი, ფსათი, ფსათი CD) ფსათი ZAB. (უკმ.) ჭილობია ბერძულეზ (ბერძულად Cbq) ჭილობია D – საბა.

**ფსიადი, ფსიათი, ფსათია** ჭილობი. „არარაჲ აქუნდა... გარნა *ფსიადი* ერთი და ჭურჭელი ერთი სარწყული და სფურიდი“ (Sin – 11, 397r).

აგრეთვე: **ფსიათი, ფსანთი**: „წარმოჯდა ზედა *ფსიათსა* (მ. ცხ. 182r). ეზოსა მას შესავალსა ჩემსა დაუგეთ მას *ფსანთი*“ (Ier. – 140r, 10-11).

**ფსიტი-ი:**

საშ., ახ. ქართ. დიალექტ. **I. ფსიტი** არჩვი. არჩვი (სომხ. ფსიტ) – საბა.

გამიხარდი განთქმული მონადირე იყო. ბევრი მოუკლავს ირემი, შველი, გარეული ღორი, დათვი, ჯიხვი, *ფსიტი* და სხვ. [ვაჟი] უმღერდის გულის წაწალას, ქლას ცალთვალეზიანს, *ფსიტვიით* მფრთხალსა, თეთ-რწითურს, დიაცს კოჭამდის თმიანსა (რ. ერისთ.).

დიალექტ. **ფსიტი** არჩვი; გადატ. ფსიტის რქის ყანწი (ქიზ. მენტ.).

**ფსიტი** არჩვი. სესელას ჩაკურათასა თოფი აქვ დიდის ხნისაო, *ფსიტისად* დაუქადლებავ მარიამ-წმიდის ძირსაო (ხევს. პოეზ. 94, 2). მთაში კი ველარ დადიან, დასდევენ ბარის *ფსიტებსა* (ხევს. პოეზ. 572, 3). შენ დახჯოც ბარის *ფსიტებსა*, ჯიჯვსა ვერ მახკლავ მთისასა (სტმასპ. 222, 16) – ალ. ჭინჭ. **ფსიტი** ფშ., ჯ., თ. არჩვი (მამალი, გინდა დედალი) – ა. შან.

შდრ. **ფსიტაი** თამაშია, ზურგზე მოვიდებით ტარება. „წინავ ყოფილიყო *ფსიტაი*, თამაშობაი, ერთურთს დაასხდებოდეს მწარსა (მოხ. ქავთ.).

დიალექტ. **II. ფსიტი** შარდი. „რა არი ერთი შვილი ძყავ დ იმად ვერ უნა მოუაროდ, *ფსიტი* სუნათა ყარს ბავშვი!.. **ფსიტაი** ვინც შარდს ვერ იკავებს; ვისაც შარდი ეპარება. „ამ *ფსიტაი*ნა ბიჭმა გამიოხრა თელი ლოგინი!“ გადატ. უშნო, უგერგილო, სუსტი. „შენ მაგად როგორ მოერევი, შე *ფსიტაი*ნო, შენა!“ (გ.-კახ. სახლთხ.).

შდრ. **ფსუტი** ზინზლი – საბა. **ფსუტი, ფშუტი** (ქიზ. მენტ., ინგილ. ღამბ., ხევს. ჭინჭ., გ.-კახ. სახლთხ.).

მიგვაჩნია, რომ **ფსიტი** < **ფსუტი**; ფსუტი-სთვის კი აღდგენილია ს.-ქართვ. \*ფსუტ- ძირი (ჩუხუა 2017).

გადატ. **ფსიტი** თხელი სწორი (თმა). ჩემ შვილებსა არც ერთს არ უვარგათ თმაი, სამივეს *ფსიტი* თმა ქავთ (მეგ.); აგრეთვე ზ.ხანდ., ქემ. ქართლ. ლექსიკ.). **გაფსიტული** იგივე, რაც ფსიტი. ნეტა რა კაი თმები მაგასა ჰქონდა, რაში უნდა დანანებოდა ი *გაფსიტული* თმები (ქვეში). შენ გოგოსა აქ *გაფსიტული თმა* (მეგ. აგრეთვე: ზ. ხანდ. ქართლ. ლექსიკ.).

### ფუკა:

საშ. ქართ. **I. ფუკა** ძელთაგან გათლილი ჭურჭელი: გეჯა გობი, ხონჩა, ხონჩა და სხვ. – დ. ჩუბ.

რომელ ტყუესა თითო დრამად გინა *ფუკად* მომსყიდავთაგან მომსყიდებლობდეს (ქ. ცხ. II, 5, 19) (ტყუესა) ერთად კუტლად *ფუკისად* გაყიდიან (ქ. ცხ. II, 128,13).

საშ. ქართ. **II. ფუკა** შრატის მსგავსი სითხე, ან ლუდის მსგავსი, მაგრამ თეთრი სითხე. ამათგანი წონა ორის დრამისა და *ფუკა* ლადხირი წონა სამის დრამისა (ქანან. 61, 21).

შდრ. **ფუყა** (არაბ. სპ. ფუყა') ლუდი, სათრობი სასმელია ქერისაგან.

საშ. ქართ. **III. ფუკა** ფუკია. ზღვის მწვანილია. აილე ... *ფუკა*, ადხირი (ქანან. 65, 17). აილე... მური და *ფუკა* (ფანასკ. 208, 35). შდრ. **ფუკია**, **ფიკია**, **ფუკიათა** ზღვის ბალახი (საბა).

### ფუნდრუკ-ი:

ძვ., ახ., ქართ. დიალექტ. **I. ფუნდრუკი** თამაშობა, ესე არს ჭაბუკთა მიერი მღერა, რბოლა, ხლდომა, ქვათა სრევა, მრავალრიგნი სხვადასხვაობანი საკისკასონი – საბა.

*ფუნდრუკ-ხუნტრუცებით* ქალ-ვაჟნი ხუცებით იქმოდენ სამას (დ. გურამ. 251, 265, 3).

წინ ნახირს მოუხტიან *ფუნდრუკით* ბოჩოლები (ს. მგალობ.). ცხენებმაც კი ხტომა და *ფუნდრუკი* დაიწყეს (რ. ერისთ.). იხ. აგრეთვე დიალ.: **ფუნდრუკობა**; რალა მაშინ მოუნდა [ქალს]... ცეკვა და *ფუნდრუკობა*, როცა მე უნდა შემოვსულიყავი! (შ. არაგვ.).

დიალექტ. *ფუნდრიკი* (იმერ.) ჩხუბი, აყალმაყალი, არევ-დარევა (პ. ჯაჯ.). **ფუნდრუკობა** ცუდი ცეკვა (ფშ. გოგატ. 308).

საშ., ახ. ქართ. **II. ფუნდრუკი** ძვ. ფუნდუკი (საბა). ფუნდუკ Z, ფუნდუგ AaB, ფუნდუგ Cb, ფუნდუგ Ca, ფუნდუგ CqDE.) (ფუნდრუკი Cb) – საბა.

საშ. ქართ. **ფუნდრუკი** < ძვ. ქართ. **ფუნდუკი** [სპარ. ფინდიკ „სასტუმრო“, „ქარვასლა“]. ეს სიტყვა ქართულში შემოსულია სპარსული გზით (ანდრონიკაშვილი II, 1996).

შდრ. ძვ. ქართ. **ფუნდუკი** ქარვასლა, სასტუმრო. „შევიდეს იგინი *ფუნდუკსა* ერთსა დადგრომად მას შინა და განსუენებად სიცხისაგან“ (ლიმ. 13, 13). „შეაყენეს იგი *ფუნდუკსა* შინა“ (sin – 11, 12v).

საშ., ახ. ქართ. *ორთა ფუნდუკთა* საგზალი იქმენ ნუ დასანასოთა (ქილ. 842, 28). საწუთრო ვითა მოგზაურთა სადგომი *ფუნდუკია* (ვისრ. 82, 4). ჯაჭვის ხიდთან... ლეჩხუმელი მეეტლეების *ფუნდუკებია* (ვ. ლორთქ.).

**ფუნჯ-ი:**

საშ., ახ. ქართ. **I. ფუნჯი** (სომხ.) ფოჩი ან ბოჭკო – დ. ჩუბ.

ფუნჯი 1. ტარზე დაგებული ბალნისა თუ ჯაგრის კონა რისამე (სა-  
ლებავის, წებოს, საპნის) წასასმელად. ნორჩმა მხატვრებმა *ფუნჯები* მოი-  
მარჯვეს, ლამაზად გადახატეს... ტბის მიდამოები («სახალხო განათლ.»).  
2. იგივეა, რაც ფოჩი. ფარდაგს ბოლოებში ფუნჯი აქვს («დიალ.»). მომე მუ-  
თაქა! მშვენიერია! დახე ამ *ფუნჯებს!* (ვ. ბარნ.)

საშ. ქართ. **II. ფუნჯი** ფრანგ. თბილი წყალი რომით – დ. ჩუბ.

**ფუნჯი** პუნში. **პუნში** [ინგ. punch] მაგარი სასმელი.

**ფუტ-ი:**

საშ., ახ. ქართ. **I. ფუტი** 1. ძვ. და კუთხ. (გურ.) «ავი კვამლი» (საბა), –  
ბოლი, კვამლი. სხვაგან დაჯექი, შვილო, სხვაგან! ნედლი შეშა და *ფუტს*  
არ გამეიწყვეტს (ე. ნინოშ.). 2. კუთხ. (გურ.) გადატ. კერა, ოჯახი. ვილაცამ  
დახურა ისლით ეს სახლი და გაიჩინა შიგ *«ფუტი»* (ე. ნინოშ.). ბაღანას...  
კაი მზითვიანი ქალი შერთე, *ფუტი* არ გააცივო (ლალ.).

დიალექტ. **ფუტი** კვამლი. ფუტი 1. ბოლი, კვამლი. 2. კომლი, კერა.  
„*ფუტი* გაგვიცივდა“ (სურ., გურ. ჯაჯ.). **ფუტი** „ავი კვამლი“. ნუ მიჯლიკი-  
ნეფ თუ კაცი ხარ, *ფუტი* მდის თავში, შენ ყეიდში არ ვარ *ფუტი* კვამლი. –  
დამახრო ამ *ფუტმა*, გააღე აკომკა (რაცხ. გურ.). იხ. ასევე (ჩვენ. ფუტკ., ჯა-  
ვახ. ბერ., აჭარ. ნიჟ.).

**ფუტი** საბას განმარტებით „ავი კვამლია“; გურიაში ეს სიტყვა იხმა-  
რება კვამლისათვის საერთოდ. ამისდა მიხედვით ოფუტეს პირველადი  
მნიშვნელობა უნდა ყოფილიყო „ადგილი სახლის გარშემო, ეზო“, როგორც  
ამას ნ. მარი აღნიშნავს; კუთხის, რაიონის აღნიშვნა მნიშვნელობის ცვლის  
შედეგად უნდა მიგველო (ჩიქობავა 1938, 150).

აღდგენილია ს.-ქართვ. \*ფუკ- „ორთქლი, კვამლი“ (ჩუხუა 2000-2003).

საშ. ახ. ქართ. **II. ფუტი**. ფუტი 1. ხის ქერქი ანამრობი (საბა). 2. კუთხ.  
(იმერ.) ხის ქერქის ღარი («დიალ.»). 3. კუთხ. (იმერ.) ფუტურო, ფულურო,  
გამხმარი ხე («დიალ.»). 4. კუთხ. (იმერ.) ძალიან გამხდარი ქათამი («დიალ.»).

**ფუტი** დაფუტურავებული ხის ფხვნილი, ფქვილსავით არის (ჯავახ. ბერ.).  
ტერმ. **ფუტი** ქსოვილების კომპლქსი, წარმოიქმნება მცენარის ღეროს  
ან ფესვის ზედაპირზე (ი. ლაჩაშ.).

**ფუტი** < **ტუფ**; შდრ. სვან. ტუფ ტყავი საურთიერთო მეტათეზისი  
(ჭინჭარაული 1985, 123).

ქართ. ფუტ-/ფშუტ. ქართ. ფსუტ ფუძე უნდა წარმოადგენდეს ფუტ-ფუძის ვარიანტს, რომელიც თავის მხრივ უკავშირდება ფიტ-/ფოტ-/ფატ-ქართველურ ფუძეებს, „გამოფიტვის, გამოშრობის“ მნიშვნელობით (გორდეზიანი 1985, 65).

ს.-ქართვ. \*ფოტ-(ორ-) „ფუტურო“ > ქართ. ფოტ-ორ-ო > || ფუტ-ურ-ო, ფუტ-ი: ზან. ფუტ-ურ-: სვან. ფოტ-ორ > || ფროტ (ჩუხუა 2000-2003).

საშ. ქართ. **III. ფუტი** თაფლის ნაჩენჩი, ფიტი – საბა.

საშ., ახ. ქართ. **IV. ფუტი** რუს. საზომი 12 დუიმი ან გოჯი – დ. ჩუბ.

**ფუტი** [ინგ. foot ფეხი, ტერფი] სიგრძის ინგლისური ერთეული. პურს აცხოვენ კეცებში, კეცები ორიოდ-სამიოდ თითის დადებაა სიღრმითა და ირგვლივ იქნება ერთი *ფუტი* (ვ. ბარნ.).

### ფუფულ-ი:

საშ. ქართ. **I. ფუფული, ფუფალი** მცენარე. დაიჭირე: *ფუფული* ჰინდი ინდური აკაცია, ინდის აკაცია (კარაბ. 74, 22). ფუფული ერთი დრამი უზიანო არის (კარაბ. 31, 32). იხ. I. ფუფულა.

საშ. ქართ. **II. ფუფული, ფოფოლი** ახალი მუწუკი. *ფოლოლოლი* ისეთი იყოს და ქაოდეს ესე ჯაზიმისა წინამძღვარი არის რომე ქაშუიან [ჰქვიან] (კარაბ. 374, 33).

### ფუფულა:

საშ. ქართ. **I. ფუფულა** გართხმული მუწუკი – დ. ჩუბ.

ახ. ქართ. **ფუფულა** (გურ.) იგივეა, რაც ფუფუა. ბავშვი შესჩიოდა ყველას: აა, *ფუფულა* მტივა, მოვტი..., მომეხმალით – მომეხმალითო (ე. ნინოშ.).

აღდგენილია ს.-ქართვ. \*ფულ- არქეტიპი (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

შდრ. ახ. ქართლ. **ფუფუა** – (ქართლ. კახ.) ტკივილი, სატკივარი, ნატკენი (ბავშვის ენით) ფუფუა ქართლ. კახ. ბავშვის ენაზე – ტკივილი, სატკივარი, ნატკენი. [პატარამ] ჰკითხა: „დედავ, ლათა შენა ფუფუა?“ (რ. ერისთ.).

საშ. ქართ. **II. ფუფულა** მცენარე – დ. ჩუბ. იხ. I. ფუფული.

### ფუყა:

საშ. ქართ. **I. ფუყა** (არაბ. სპარს.) ფუყა ლუდი, სათრობი სასმელია ქერისაგან. ფუყა უსხური გაწმენდილი. უსხური აადუღე (ქანან. 298, 11). შდრ. II. ფუკა.

საშ. ქართ. **II. ფუყა** სამკ. ბალახი (ქანან). იხ. III. ფუკა.

### ფუჭ-ი:

დიალექტ. **I. ფუჭი** ფიჭა. „გამეიტანა თაფლის დიდი ფუჭი და დიგვიჭრა ყუელას“ (სტ. ჩვენ. ფუტკ.). ფუტკარი პირველათ *ფუჭს* აკეთებს და მერმე თაფლს ჩაასხამს შიან (აქარ. მრეწ. IV, II, 36). საწურში რჩება *ფუჭი* (აქარ. მრეწ. IV, II, 37). ფიტი > ფიჭა > ფუჭი.

დიალექტ. **II. ფუჭი** (თურქ. fici) კასრი. *ფუჭი* ხის არი, დიდი კასრივით (ინ.). ამფერ დიდუანულსა *ფუჭი* ქვია (ინ.). *ფუჭში* მად, ყველ ჩადებენ (ინ.). თავე რომ იქნები, *ფუჭი*, კოლოფი უხდურითნა ამსო (ინ., ჩვენ. ფუტკ.).

ახ. ქართ. **III. ფუჭი** 1. უგულო, ჭიანი (კაკალი და მისთ.). კაკალი *ფუჭი* გამოდგა; შიგ... ნაცრისფერი ფქვილის მეტი არაფერი იყო (ი. გოგებ.). ისიც ბედი, თუ ვპოვებთ *ფუჭ* კაკალში ლებანსა (რ. ერისთ.). 2. გადატ. ტყუილ-უბრალო, უნაყოფო, უშინაარსო, უქმი, ამაო. ხვალე არ უნდა ჰგვანდეს დღევანდელს, თუ კაცს პროგრესი, წინსვლა ადამიანისა *ფუჭ* სიტყვად არ მიაჩნია (ილია). [სონიას] იმედი *ფუჭი* გამოდგა (დ. კლდ.).

**ფშიტ-ი:**

ძვ. ქართ. **I. ფშიტი** წვრილი ფული «მწულილი»: „მოვიდა ერთი ქურივი გლახაკი და დასხნა ორნი *ფშიტნი*“ C, – „მოვიდა ქურივი ერთი გლახაკი და დასხნა ორნი *მწულილნი*“ (DE, მრ. 12, 42).

**ფშიტ**-ისტვის აღდგენილია ს.-ქართვ.\**ფში*- „წვრილი“ (ჩუხუა 2017).

დიალექტ. **II. ფშიტი** მიწა სილიანი მიწა. ვენახს არ ბარევენ აქა, არც გრიგალათში, არც ხევში. აქა *ფშიტი* მიწა არი სილა მიწა და არ უნდა დაბარვა, ნადაბურში აყალო მიწაა, მიტო არ უნდა ბარი იქა (წყალშავი, ზ.-იმერ. ძოწ.). შდრ. **ფშვიერი** მშრალი წმინდა მიწა – დ. ჩუბ.

დიალექტ. **III. ფშიტი** „სუსტი მარცვალი ხორბლეულობაში“ (ჯავახ. «დიალ.») – მშიერი მარცვალი (შდრ. ფშუტი). **აიფშიტება** გულს არ გაიკეთებს მარცვლოვანი მცენარე. სუ *აიფშიტა* ჩემი ლობიოი, წყალი ვერ მიუგდე და იმითვინა (კავთ., ქართლ. ლექსკ.). **ფშიტი** ბჟიტი, სუსტი მარცვალი. ამ გოლვამ თლათ გააფუჭა ყანები, ნახე, რა *ფშიტია* მარცვალი (გ.-კახ. სახლთხ.). აგრეთვე: **ფშუტურა** გულცარიელი თავთავი (გ.-კახ. სახლთხ.).

შდრ. **ბჟიერი** უგულო ფეტვი – დ. ჩუბ.

## ქ

**ქათიბ-ი:**

საშ., ახ. ქართ. **I. ქათიბი** ბეწვეული კაბაზედ ჩასაცმელი – საბა, დ. ჩუბ.

**ქათიბი** ქალის ზედა ტანსაცმელი, ბეწვმოვლებული. მაღლა ზიხარ ჩარდახშია, გარს გალავანი გივლია, ჩაგიცვამს დიბის ქათიბი, არშია შემო-გივლია (ხალხ.). ჯალაბთ მწყემსობად წამლალეს, *ქათიბ* ჩავიცვი ჭრელიო (ხალხ.). *ქათიბს* კვერნის ბეწვი ჰქონდა შემოვლებული (ნ. ლორთქ.). || ფი-გურ. მწვანის *ქათიბით* კოხტაობს მთების კალთები ტყიანი (ვაჟა). აყვავე-ბულა მინდორი, ლურჯად ბიბინებს სათიბი, შიგ დალდა გამოიძახის, უხ-დება ჭრელი *ქათიბი* (რ. ერისთ.). შდრ. **ქათიბი** (სპ. ქათიბი) ბეწვეული კა-ბაზედ ჩასაცმელი.

დიალექტ. **II. ქათიბი** (არაბ.) მწერალი, კანცელარიის მუშაკი, მდივა-ნი. ნუ შეშინდებით, ძმებო, დიდი თამარ მეფის *ქათიბმა* დასწერა: „ჭირსა შიგან გამაგრება, ასრე უნდა ვით ქვითვირსა (ა. წულ.; აჭარ. ნიჟ.).

**ქალა:**

საშ. ქართ. **I. ქალა** კუტლეული, თეთრი შაქარი – საბა.

**ქალა** თავის სარქველი, თხემი. ქალა შაქარი, ე. ი. დაბალი შაქარი, გა-რნა თავი შაქარი, ე. ი. უპირველესი შაქარი – დ. ჩუბ.

**ქალა შაქარი** თავი შაქარი, შაქრის დიდი ნატეხი ზვინისებრი მოყვა-ნილობისა (დაახ. 2-3 კილო) წამლადამც გერგება... უცეცხლო თავლი, *ქალა* შაქარი, მთის ბალახი (შელოცვიდან) (მოხ. ქავთ.).

ახ. ქართ. **II. ქალა** [სპარ. ქელლა] 1. ანატ. ადამიანის (ცხოველის) თავის ჩონჩხი, – კენჩხა. [მესაფლავე] ამოაგდებს ადამიანის თავის *ქალას* (ი. მაჩაბ. თარგმ.). 2. კუთხ. (მოხევ.) კინკრიხო, საქოჩრე. 2. კუთხ. (ქიზ.) ქუდის ცა.

დიალექტ. **III. ქალა** (ქიზ.) კარ-სარკმლის ჩარჩოს ზემოთა ნაწილი. || კუთხ. (იმერ.) «კარებს ზემოთ (კარებსა და სარტყელს შუა) ამოშენებული სქელი ფიცარი ძელურ სახლებში (ბ. წერეთ.). შდრ. ქელლაჲ (ინგ. ღამბ.).

ქუდი, რაც უფრო პატარაა, *ქალა* მაღლა მით უფრო დაბალია (ქიზ. III, I, 23).

ს.-ქართვ.\*ქალ-ა „მცირე ნაგებობა; კარავი“ > ქართ. ქალა: ზან. ქოლო > სვან. ქელ < ქელა (ჩუხუა 2000-2003).

ძვ., ახ. ქართ. **IV. ქალა** გოგო: „ქალა, შენ გეტყვ, აღდეგ“ (მრ. 5, 41). შდრ. ძვ. ქალი «ჭაბუკიდი», გოგო, მდედრ. **ქალა** კნინ. 1. ქალი. კარგისა ყმისა ცოლობა ნუ გიხარიათ, *ქალაო*, კარგი ყმა ლაშქარს მოკვდება, და-მრჩები ცარილაო (ხალხ.). შენ იცი, როგორ უპატრონებ იმ *ქალას* (ა. ყაზბ.). 2. კუთხ. (ქიზ.) ქალური ქცევის ვაჟი.

**ქანდა:**

საშ. ქართ. **I. ქანდა** [სპარ. ქანდა «ანათალი»] ძვ. დარიჩინი, კინამო (დ. ჩუბ.).

საშ. ქართ. **II. ქანდა** ძვ. «ოქროს ვარაყი» (საბა). პირისწყალი სარწმუნოებისაგან არს. რა მისი *ქანდა* მოეკოცება, მისი სიცოცხლე გაცუდდება (ქილ. 542, 1).

დიალექტ. **III. ქანდა** (სპ. kände) ზამთარში მსხვილფეხება და წვრილფეხება საქონლის სადგომი სარდაფის მსგავსს თხრილში. დილობას რო ავდგები, ნამაზს ვიქ, შავალ *ქანდაჩი*, ფურებ დოოყრი (ფერეიდ. ჩხუბ.).

**ქანქარ-ი:**

ძვ., საშ. ქართ. **I. ქანქარი** ტალანტი – ნ. ჩუბ. **ქანქარი** ვერცხლისა ან ოქროს ფული; «შანთი»: „წარმოუდგინეს მას ერთი თანამდები ბევრისა *ქანქარისა*“ C, – „... ბევრისა შანთისა“ (DE, მთ. 18, 23). „იყო ათი იგი *ქანქარი* ვეცხლისადა გამოსადნობელად“ (გამოსლ. 38, 27). „არწმუნა უფალმან მისმან *ქანქარი* ერთი ვეცხლი“ (მ. სწ. 249, 16).

მით სამართალი დაფასდის ცხრა *ქანქარად* ცხრა აბაზისა (დ. გურამ.).

ქეგლ – ქანქარი ძვ. წონისა და ფულის ერთეული ძველ საბერძნეთში (და ზოგ მის მეზობელ ქვეყანაში, კერძოდ, საქართველოში). სპარსეთის მბრძანებლებს [მოსინიკებზე]... ყოველწლიურად 300 *ქანქარი* ჰქონიათ ხარკად დადებული (ივ. ჯავახ.).

ახ. ქართ. **II. ქანქარი** რხევა, რწევა, ქანაობა – დ. ჩუბ. ქეგლ – *ქანქარი* გააქვს კედელზე გრენლანდიას (რ. ჭეიშვ.).

აღდგენილია ს.-ქართველ. ფუძე. \*ქან-ქნ ძირი (ფენრიხი, სარჯველაძე), ნ/რ მონაცვლეობით (არაბული 2001, 83).

**ქარ-ი:**

ძვ. ქართ. **I. ქარი** „სული“, ჰაერი: „შეიკრიბნეს რჩეულნი თვსნი ოთხთაგან ქართა“ (მთ. 24, 31). „ვითარცა მტუერი, რომელ აგავის ქარმან პირისაგან ქუეყანისა“ (ფს. 1, 4). „მალე არს ქარი, ხოლო გული-სიტყუანი კაცი-სანი უმალეს მისა არიან“ (მ. სწ. 309, 5). იხ. აგრეთვე: განმაქარვებელი, მოქარება, ნიავექარი, ქროლა და სხვ.

საშ. ქართ. ზოგჯერ *ქარი* მოვა ნელი (თეიმ. I, 322, 8, 2). მართ ვითა *ქარი* მოქროდა გაფიცებული, მწყრომელი (ვეფხ. 594, 2). გადატ. ქარი შთაგონება. *ქარიითა* სულისა წმიდისადა უდაბნოდ ქალაქ ყო (მ. ცხ. 100, 37).

ახ. ქართ. **ქარი** 1. ჰაერის ძლიერი მოძრაობა. თოვლი მოდის, ბარდნის თეთრად, და ზუზუნებს *ქარი* მწარედ (შ. მღვიმ.). || ფიგურ. ბრძოლის *ქარმაც* დაუბერა და მოედო ბარიკადებს (გ. ქუჩ.). 2. უპირატესად

მრავლობითად, სახსრებისა და კუნთების დაავადება, -რევმატიზმი; იცის მაგარი მტეხავი ტკივილი. მუხლებში *ქარი* დამადგა, აღარც მომყვება წელია (ვაჟა).

სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით უკვე „ბიბლიის წიგნთა“ ქართულ თარგმანებში, რომლებიც ქართული ლინგვოკულტურული სივრცის ნაწილია. ქარის კონცეპტი ჩამოყალიბებულია. მას აქვს კოგნიტურ-პროპოზიციული სტრუქტურა. სხვადასხვა ლექსიკური რეპრეზენტაცია სინონიმთა სახით (გვ. 78); **ქარი** ბიბლიაში ა) სულიწმინდის მოქმედებას განახორციელებს: „და თქვა ჩემდამო: წინასწარმეტყულებად სულისა ზედა, წინასწარმეტყულებდ, მეო კაცისაო, და ვარქუ სულსა: ამათ იტყვს აღონად უფალი: ოთხთაგან სულთა მოვედინ სული, და მიებერენ მკუდართა ამათ მიმართ და განცოცხლდენ“ (ეზეკ. 37, 9). „ღმრთის სულის ზემოქმედებანი გამოხატულია გარეგნული მოვლენებით, რომლებიც თან სდევდა მის (სულიწმინდის) გადმოსვლას მოწაფეებზე 50-ე დღეს: ცეცხლითა და ქარბუქით (ცეცხლი ანათებს და ათბობს, მაგრამ წვავს კიდევაც; **ქარბუქი** – ნიშანია გატაცების უზარმაზარი ძალის)“ (ბიბლ. 2000, 206). ბ) ასრულებს უფლის ბრძანებებს: „და მიავლინა უფალმან *ქარი* ბღუარისაჲ ყოველსა მას ზედა ქუეყანასა დღე ყოველ და ღამე ყოველ – *ქარი* იგი ქროდა და აღმოადინებდა მკალსა“ (გამ. 10, 13). „მიავლინის სიტყუად მისი და დაადვნის (ყინული), *ქროდის* სული მისი და დიოდინა წყალნი“ (ფს. 147, 18). „[იესუ] შეჰრისხნა *ქართა* მათ და ზღუასა და იქმნა მესყულად დაყუდება დიდ“ (მათ. 8, 26). გ) მონაწილეობს ღვთის განაჩენის აღსრულებაში და) მას აქვს „განმწმენდელი“ მნიშვნელობა (ბიბლ. ლექს. 2000, 263, ომიაძე 2000, 81).

ქეგლის მიხედვით ს. ომიაძეს ვრცლად აქვს წარმოდგენილი ქარის მონაწილეობით შედგენილი ფრაზეოლოგიური ერთეულები და კომპოზიტები, შენიშნული აქვს რომ ქართულ ცნობიერებაში ქართან დაკავშირებულია ისეთი თვისებები, როგორცაა დაუფიქრებლობა, ზერელობა, ამჩატებულობა, აჩქარებულობა (ომიაძე 2000, 81).

თ. ბერაძეს ზღვაოსნობასთან დაკავშირებით ფართოდ აქვს განხილული ზღვისპირეთში გავრცელებული ქარის სხვადასხვა სახელები, რომელთა ერთი ნაწილი დღეისთვის უკვე დავიწყებულია. საფიქრებელია, რომ ქართველი მენავეთმოდღვრები კარგად იცნობდნენ ყველა ქარის ხასიათს და შესაფერი ზომებსაც იღებდნენ მათი „აღდგომის“ შემთხვევაში (ბერაძე 1981, 40-42).

საერთო ქართველურ ფუძე ენის დონეზე გამოიყოფა \*ქარ/ქრ (ფენრიხი, სარჯველაძე 2000). აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ **ქან-ქარ** ნ/რ ალტერნაციის ფაქტად თვლიან ქანება ზმნური ძირისა და ქარი სახელის ისტორიული კავშირს (არაბული 2001, 112).

აღდგენილია არქექტივი \*ქ-ან \*ქ-არ „ქროლა, ქარი“ (ქურდიანი 2010, 327).



დიალექტ. **II. ქარი** (სპარ. kar) შემოსავალი, სარგებელი. „აგერამ საქმეში დიდი ქარი გუუქნებაო“ (თ. ქ. ჩვენ. ქართ. ფუტკ.). ქათამი ვიყიდე, ვერ ვქენი ქარი, მეგემ ღიათ დამჩა საქათმის კარი (აჭარ. ნიჟ).

**ქარბ** (ქართ) დახმარების იმედი, ხელშეწყობა. შაკოს ქართ იქნება ერთ მოკლას (თუშ. ცოც.). **ქარი** მოგება. ე მერთმევნია, მე ქარში ვიყავ (იმერხ. ფალ., ცინც.). „ემერთმევნია თელი, მე ქარში ვიყავ...“ (ხევწ., შავშ.).

**ქარა:**

საშ. ქართ. დიალექტ. **I. ქარა** „უყურო ცხვარი“ (საბა).

**ქარაცხორ, ქარაი** (აზ. დიალ. ქარა უყურო ცხვარი (ინგ. ღამბ.). **ქარა ცხორ** ცხვარი უყურო და ყრუ. ადამიანზედაც ამბობენ, რომელიც ყრუსავით იქცევა: *ქარა-ქარა* რადიმევ ნუ ჰჩედ (ინგ. როსტ., ღამბ).

**ქარაბიჭა** 1. უდროოდ რო მოიგებს საქონელი, იმას ეტყვიან (თონ., დვალ., ღოლოვ.). 2. შვილი რო არა ძყავ (ღოლოვ., ქართლ. მენტ.).

ზან. (მეგრ.) ქარა უყურო ან ხულა, მოკლყურნიანი ცხვარი (იგივეა, რაც ჭურუ თხა (მეგრ. ქობ.).

საშ. ქართ., დიალექტ. **II. ქარა** 1. „ნაკაფი ხისა“ (საბა). 2. „წვეტიანი ჩხირი ქაჭვივით“ (გურ. შარაშ.).

**ქარა** საცრის, ცხრილის, ცხავის გარსაკრავი თხელი ფიცარი, აგრეთვე აკვნის თავებში გადატყევილი ფიცრის რკალი (ჯავახ. ზედგ.). ქარა თხელი ფიცრის რკალი, ქარა ცხრილისა, საცრისა და მისთ (თონ., დვალ., ღოლოვ., ქართლ. მენტ.).

დიალექტ. კეცის კიდე, კეცის აწეული გვერდები. პურის კეცს უმფო მაღალი *ქარა* უნდა ქონდეს (აჭარ. ნიჟ.). **ქარა** ჭურჭლის ზედაპირის კიდე (კეცის, ვედროს, თეფშის, საცრის და მისთ.) ხალბურ აქ *ქარა* (ინ.); ამ გობსა მაღალი *ქარა* აქ (ინ., ჩვენ. ფუტკ.).

**ქარა** წამახული სარი, ნაცხერი. ხე რომ გადატყდება და წვეტიანი შვერილი დარჩება, რაზეც შეიძლება კაცი ან ნადირი წამოეგოს; ხის წვეტიანი გადანაბელი; ჯვარცმა, გასასმელი ძელი ზან. (მეგრ. ქობ.).

დიალექტ. **III. ქარა** დეზი. მამალი ხანს რო მოათევს, იცის დაძველები და უჩთება *ქარა*. რძღვენში მიქყამდა მამალი და ჩულქი დამიხია მამლის ქარამ (ხვაშითი, ზ.-იმერ. ძოწ.). შდრ. სვან. **ქარას, ქერახს**. ქარახსი, ყანწი (თოფ. ქალდ.).

**ქარაცხი** დიდი ყანწი (საბა), დიდი რქა, ფრჩხილი (ჩვენ. ფუტკ.).

საშ. ქართ. **IV. ქარა** ძვ. უსახო, სადა ოქრო-ქსოვილი (საბა).

**ქარაფ-ი:**

საშ. აზ. ქართ. **I. ქარაფი** «დიდი კლდე» (საბა), – ფრიალო, ციცაბო. დაიღრიალა გამძვინვარებულმა მხეცმა..., *ქარაფისაკენ* გაიქცა..., ერთი შედგა უფსკრულის პირს და გადაეშვა (ვ. გამს.). მობრძანდით, გელით ვაჟას ჩარგალი და ჩრდილი მაღალ *ქარაფებისა* (ი. ნონეშ.).

**ქარაფი** დიდი, მაღალი კლდე. „იმათი ზროხა მაღალი *ქარაფი*დამ გადმუარდნილა“ (ად. ჩვენ. ფუტკ.). აგრეთვე: (ფშ., გუდ., ხევს.) – ა. შან. ქამფარი (მთ.), ქარაპი (ა. შან.).

**ქარფ** ქარაფი, კლდის ქიმი სვან. (თოფ. ქალდ.).

ახ. ქართ. დიალექტ. **II. ქარაფი** (იმერ.) თხელი, მეჩხერი (ტყე, ვენახი, ნათესი...) – ქეგლ.

### ქარს-ი:

საშ., ახ. ქართ. **I. ქარსი** ცისნატეხი, ანუ ქვა დანაკი – ნ. ჩუბ., დ. ჩუბ. დიალექტ. **ქარსი** [არაბ. ქილს-იდან «კირი»] უფერო ან მოყვითლო რთული შემადგენლობის გამჭვირვალე მინერალი, ჩვეულებრივ თხელი ფენებისაგან შემდგარი.

**ქასრი, ქარსი** სალესავი ქვა (ჯავახ. ზედგ.). შდრ. I. ქასრი.

საშ. ქართ. **II. ქარსი** მცენ. – დ. ჩუბ. იხ. II. ქასრი.

### ქასრ-ი:

საშ. ქართ. **I. ქასრი** ძვ. «ქვის დანაკი» (საბა).

**ქასრი** კაჟი smyris, petra acuta, lapiellus durus: „მოილო სეფორა *ქასრი* და წინა-დასცვთა“ (O, გამოსლ. 4, 25).

**ქასრი** სალესი ქვა. სანამ მასათით პირს აუწყებდნენ ცელს, მანამ *ქასრით* გაულესავენ პირს (აჭარ. ნიჟ.). შდრ. **ქასური** მაქური, სასრევი, სალესავი ქვა – დ. ჩუბ.

საშ. ქართ. **II. ქასრი** მცენარეა. *ქასრი* ვერ გასთლის რკინასა (ვახტ. VI, 25, 10, 3).

დიალექტ. **ქასრი** გაფიცხებული, გამხმარი ბალახი ან ჩალა. მომკას დგიხარ და სამკალი გაფიცხებულია, იტყვიენ, *ქასრი*აო (იმერ. გაჩ.).

აღდგენილია ს.-ქართვ. ფუძე \*ქასრ- „მამულა“ (მცენ.) (ჩუხუა 2000-2003).

### ქაფ-ი:

საშ. ქართ. **I. ქაფი** თურქთ(ა) ენაა, ჟამთა ვითარებით (ვითარებათ Cq) შემოღებული, ქართულად პერი ჰქვიან – საბა, დ., ნ. ჩუბ.

**აღქაფება** ადიდება: „აღქაფნებოდა წყალი იგი, ვითარცა სიმძაფრჴ ჳევსად (ეზეკ. 47, 5).

ფარემუზ კიდეს ჩუმად დგას, პირსა *ქაფი* მოსდიოდა (შჴნ. II, 3956, 2). ბეჟან დაბრუნდა, წავიდა ოფლით დასვრილი, *ქაფითა* (შჴნ. II, 3726, 3). *ქაფი* მოხადე (ქანან. 103, 29).

ახ. ქართ. **ქაფი** [სპარ. ქაფ\*] 1. წვრილი ბუშტების თეთრი გაუმჭირვალი მასა სითხის დუღილით, ნჯღრევით, ღელვით ან სხვაგვარი მოძრაობით ზედაპირზე მოგდებული. *ქაფი* დულს, წინწკლავს, ბორბალი ციბრუტივითა ტრიალებს! (რ. ერისთ.). 2. საპნის სითხეში გაქნით მიღებული

თეთრი ბუმტების მასა. საპნის ქაფი. 3. თეთრ ბუმტებად ქცეული ოფლი. [მხედარი] *ქაფში* გავლებულ ლურჯას ჭენებით მოაქანებდა (მ. ჯავახ.). 4. დუჟი, დორბლი. [ძროხა] აქნევს განუწყვეტლად ყბებსა და პირში თეთრი *ქაფი* უდგას (ი. გოგებ.).

შდრ. ქაფქაფა – „ქაფქაფა რძე, ქაფქაფა ცხოვრება“ (ი. გრიშ.). ქაფი ანალოგიური მნიშვნელობის მქონე სპარსული ლექსიკური ერთეულია, შენიშნულია, რომ სპარსულ ლექსიკონებში ფიქსირდება ქაფ-იდან მიღებული ალიტერაციული კომპოზიტი – ქაფქაფა (ბართაია 2010).

საშ. ქართ. **II. ქაფი** აბჯრის ნაწილი – ჯავშნის სამხარილლიე (საბა).

ვუბრძანე ჩაცმა აბჯრისა, ლაღმან სიტყვითა ხაფითა: დავეკაზმენით საომრად ჯაჭვ-ჯავშანითა, *ქაფითა* (რუსთაველი). მოგერიება, მხარილლის დასაცველი ჯაჭვი. **ჯავშან-ქაფი** ჯავშნის სამხარილლიე, ჯაჭვკუთრი დასაფარავად ომის დროს. ქაფურ ეკმაზვის საომრად, ჯაჭვითა, ჯავშან-*ქაფითა* (მშნ. II, 3726, 2). თანა აქვს: ჯაჭვი, მუზარადი, ხმალი, *ქაფა...* (გარიგ. 78, ქვ. 4).

1. ქაფი (სპარ.) ქაფ, ქაფი ქაფი (ჯავშან ქაფი). ქაფი (არ.) ქაფ დაჭერა, ან უკუგდება. 2. ს.-ქართვ. \*წაფ- „ქარქაში“. ქართ. (მესხ.) ხაფი „ქარქაში“ (ჩუხუა 2017).

დიალექტ. **III. ქაფ** ტიკის ნახვრეტში ჩასასმელი ხის პატარა, მრგვალი თავი, პოლორჭიკი, ხარატული (ინგ. ღამბ.).

**ქაფარ-ი:**

საშ., ახ. ქართ. **I. ქაფარი** არაბ. ურჯულო, უწმუნო – დ. ჩუბ.

**ქაფარი** [არაბ. ქაფირ] 1. ძვ. მაჰმადიანთა მეტყველებაში – არამაჰმადიანი; ურწმუნო, ურჯულო; საერთოდ უცხო ტომის კაცი. მდევრები იგინებოდნენ, გვლანძღვდნენ, ხშირად გვეძახდნენ *ქაფარსა* (ს. გუგუნ.). 2. საუბ. აშარი, დამთხვეული. ერთი სიტყვა ვერ უთქვამს, რომ ხუნაგივით ყელში არ ეცეს მისი *ქაფარი* ცოლი (ნ. ლორთქ.). 3. კუთხ. (ლექს.) გაუტეხელი, მაგარი (მ. ალაფ.).

დიალექტ. **გულქაფარი** გულმხიარული, ხალისიანი (ხევს. ჭინჭ.).

**ქაფარი** ავი, აშარა, უფრო ქალზე ამბობენ (ჯავახ. ზედგ.).

კრუხი... საშინელი *ქაფარია* (აშარი)... იმახდა დიასახლისი მელანია (ქეშიკ.). სელიმ ფაშა *ქაფარი* (აჭარ. ნიჟ.).

დიალექტ. **II. ქაფარი** ქარაფი, დიდი კლდე (მოხ. ქავთ.). ჯიხვ-ფსიტებს უყორს *ქაფარი* კლდეები, იმათათვი უშიშარია. მტაცებელი ნადირი ვერ დადის იქა (მოხ. ლუდ.).

შდრ. ქამფარი მთ. (იშვ. ქაფარი) მაღალი კლდე. *ქამფარზე* გადავარდაო მლეთეში არ იციან. ქამფარს შეუდგაო – მე კი გამიგონიაო“ –ერთმა მლეთელმა ქაფარში გადასმული ჩანს შუა და ბოლო თანხმოვანი; ქარაფი > ქაფარი (ა. შან.). იხ. I. ქარაფი.

დიალექტ. **III. ქაფარი** გულ. ძალიან ეკლიანი მცენარი ხე, ბალახი – ა. შან.

**ქაშან-ო:**

საშ. ქართ. **I. ქაშანი** ძვ. 1. «შამბთა და თოვლზედ გაქელილი გზა» (საბა, ნ. ჩუბ). არც ადამიანის ნატერფალი, აღარც *ქაშანი*, არც ნადირის ნაფეხარი (მ. ჯავახ.). ამ ჩემს ქაშანს მიჰყევ, სოფლად მიხვალ (საბა). 2. კუთხ. (იმერ.) გამოკაფული, ცარიელი ადგილი ტყეში, – ველიანი.

ს.-ქართვ. \*ქაშან- „ვიწრო გზა, ბილიკი, თხრილი“ > ქართ. ქაშანი: სვან. ქაშან || ქაშან (ჩუხუა 2000-2003).

დიალექტ. **II. ქაშანი** (ადამიანი) ზარმაცი, უნდილი, ხელით სათრევი. ისრეთი ქაშანი კაცია, საქმეში სუ ძალით'ნა ათრიო; ქაშანით წაღება მძიმე ტვირთით (ხის მორი, ლოდი) თრევით წაღება. ეს დიდი ქვიები ეიქიდან *ქაშანით* მოვიტანევით (ჯავახ. ზედგ.). შდრ. ქეშელა

ახ. ქართ. **III. ქაშანი** ქალაქი სპარსეთში, საიდანაც მახმური (ხავერდი მოდის) – ი. გრიშ. შდრ. **ქაშანური** თიხის ჭურჭელი, მოხატულ-მოჭიქული [სპარსეთის ქალაქ ქაშანის მიხედვით, რომელიც შუა საუკუნეებში განთქმული იყო ასეთი ჭურჭლით]. [თაროზე] ჩამომწკრივებულა სუფთა ჭურჭელი *ქაშანურისა* (ილია). მსუქანი დედლის ჩიხირთმა ჩამოგვირიგეს *ქაშანური* ჯამებითა (ნ. ლომ.). || საერთოდ, მოჭიქული კერამიკული ნაწარმი.

**ქება:**

ძვ., საშ. ქართ. **I. ქება** ქების შესხმა დ. ჩუბ. **ქება** «კურთხევა», შესხმა: „ახიობდეს *ქებასა*“ (M, II ნშტ. 23, 13). აქებდენ *ქებასა* ამას ქუეყანასა იუდა-დსსა“ (I, ეს. 26, 1. „აღვამაღლო იგი ქებითა“ (C, ფს. 68, 31). იხ. მაქებელი, მაქებლობა, საქებელი – ილ. აბულ. კვლაცა ბრძანა: სჯობს ათასჯერ, რაც რომ *ქება* გამეგონა (ნ. ციც. 421, 97, 1). ვერვის ძალუც ხორციელსა *ქება* შენი შესაფერი (თეიმ. I, 100, 4).

ახ. ქართ. **ქება** 1. ვისიმე ან რისამე მოწონებით მოხსენიება, ხოტბის შესხმა. თავის ქება კიტრადა ღირსო (ანდაზა). *ქებას* ნახვა სჯობიაო (ანდაზა). დამრახვით ნურვინ დამძრახავს, სმენაც არ მიყვარს *ქებისა* (ვაჟა). 2. ძვ. სახოტბო ლექსი, – ოდა, ხოტბა. ჩახრუხამემ ლექსად შეთხზა *ქება* თამარისა წინათ უხმარებელი ლექს-წყობილებით (ი. გოგებ.).

საშ. ქართ. **II. ქება** ექვსი შაური – დ. ჩუბ.

**ქეშ-ო:**

საშ. ქართ. **I. ქეში** ძვ. «კონა ისართა» (დ. ჩუბ.). შდრ. (თურქ.) ქიშ ისრის ბუმბულით შემოსვა.

ახ. ქართ. **II. ქეში: ქეშად, ქეშაოდ** გეზად, ქეშაოს ზომით, ქეშაო ერთის ლარიდამ მეორემდინ გრძლად საღები ზომა – დ. ჩუბ. **ქეშად** ზმნს. ირიბად; ცერად. უკვე გავზომე და დავთვალე კიდეც, – ხმადაბლა უპასუხა კომბანერმა და ჩვენსკენ *ქეშად* გამოიხედა (გ. შატბ.). შდრ. **ქიშ** (სპ.) ელამი.

დიალექტ. **III. ქეში** (keş – ცხიმგაცლილი ყველი) მოთვინიერებული, მოთელილი, ზრდილი. მოზდე ბალვი *ქეში* გახდა (ინ., ჩვენ. ფუტკ.).

#### **ქვიშნა:**

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. ქვიშნა** ვიშნა ZABC) (ბალ.) (+ ქვიშნა ZA), უგრეხელი ZAB. უგრეხელი. ქვიშნა თესლთაგანი, რომელ არს მარჯვე საზრდელად ზროხათ – საბა.

**ქვიშნა** [თურქ. ქუ\*\*შნე «ცერცველი»] უგრეხელი... «ქვიშნას» სახელითაც ყოფილა ცნობილი ძველადაც და ახლაც ჯავახეთში ასევე ეწოდება (ივ. ჯავახ.). შდრ. **ქვიშნი** (სპარს.) მცენ. უგრეხელი – დ. ჩუბ.

ახ. ქართ. **II. ქვიშნა** [თურქ. ვიშნე] კუთხ. (იმერ.) ალუბალი. გამოგვეგება მუნჯი მსახური, ისევ ატმები, შინდები, *ქვიშნა*, სახლს გადასცილდა გადასახური და დასავლეთი შორით გვენიშნა (გ. ტაბ.).

უნდა ვივარაუდოთ, რო ეს სიტყვა შემოსულია თურქულიდან (ვიშნე) და აქ ადგილობრივი წარმოშობისაა (თოფურია 1979, 60).

#### **ქია:**

საშ. ქართ. **I. ქია** ძვ. მაიმუნის ჯიში ერთგვარი (საბა). „მოართვს... შუვად პილოდსად და *ქია* და ფარშამაგები (O, მფ. 10, 22).

საშ. ქართ. **II. ქია** „დანამასტაქი“ – ფისი. წამალი... რომელ იქმნების *ქიათა* და ყარამფულითა (ფანასკ. 135, 17). **ქია**- ორი დრამის წონა (ფანასკ. 226, 37).

#### **ქილი-ი:**

საშ. ქართ. **I. ქილი** (თურქ.) მოქლონი – საბა.

საშ. ქართ. **II. ქილი** (იმერ.) იგივეა, რაც ეშვი, ლეჩხ. დიდი კბილი, ეშვი (ვ. ბერ., მ. ჩიქ.). სვან. **ქილ**, **ქელ** ეშვი, ქილი, ლოჯი (თოფ., ქალდ.).

**ქილი:** ღორმა *ქილი* გოუქნია (ზედუბანი, ზ.-იმერ. ძოწ.).

დიალექტ. **III. ქილი** იხ. ქილა, კილი. **ქილი** ბუზის კვერცხი. „რო დაგიტოვია ე ხორცი თავგარამმვრალი, ქე მოუყრია *ქილი* ბუზარას და რალათ ვარგა ეგი (საჩინ. შარაშ.).

#### **ქილა:**

საშ. ქართ. **I. ქილა** სხვათა ენაა ქართულად დერგი ჰქვიან – საბა.

**ქილა** საზომი: მისცემდეს... ერთს *ქილა* პურს ღომს, სიმინდს ანუ ერთს კოკას ღვინოს (სამ. VIII, 769, ქვ. 8).

**ქილა** [არაბ. ქაღლ „ხორლეულის საწყაო“] 1. პირფართო, უმუცლო ჭურჭელი თიხისა, მინისა – ერბოსა, მურაბისა და მისთ. შესანახავად და მაწვნის ჩასადედებლად. მანამ ერთ მუქას მოვკრებდი, *ქილა* გაევსო გოგოსა [მაყვლით] (ვაჟა). 2. ამ ჭურჭლის ტევადობისა. ამბობენ, [ბახუტოს]

ერთი *ქილა* ოქრო მიწაში აქვს დამარხულიო [ს. სანშ.]. 3. (იმერ. გურ.) მარცვლეულის, ფქვილის საწყაო; უდრის ერთ ფუთს., ათი ათასი *ქილა* სიმინდი დავიბევე. მოსავალს კარგი პირი არ უჩანს წლეულს. სიმინდი უნდა გაძვირდეს“ (გ. წერეთ.). 4. ქართლ. იმერ. გურ. იგივეა, რაც მასრა. ბიჭო, ჩოხა შეგიკერავს, ჩაგიწყვია *ქილები* (ხალხ.). ქამარი, ხმალი, ხანჯალი, *ქილები*, – აღარც ერთი შინ აღარ მომყოლი (აკაკი) – ქეგლ.

დიალექტ. ქილა მარცვლეულის და მისთ. საწყაო – ერთი ფუთი. ვოცი ქილა სიმინდი მიარება – ოცი ფუთი სიმინდი მომდის (გურ., ჯაჯ.).

**ქილაკი** 1. პატარა ქილა. 2. საწყაო ერთეული: ნახევარი კოდი, ფოხალი (საბა) – ქეგლ.

**ქილა** ჩოხის მასრა. საქილე სამასრე (ვ. ბერ.). **ქილა** ვაზნა (პატრონი). თავში ქილა მიეცი. *ქილას* ეტყვიტ პატრონას (ლელვანი, ზ.-იმერ. ძოწ.). ქილა ჩოხის მკერდზე ბუდეებში მოთავსებული მასრისებური სამკაული (ხის, ლერწმის ან სხვა მასალის). მონადირეები ტყვია-წამლის საწყაოდ იყენებდნენ. ყოველ *ქილაში* ერთი სასროლი თოფისწამალი ჰქონდათ. *ქილაში* ინახავდეს წამალს (რაჭ. კობახ.).

ზან. **ქილა** (ქია) ჩოხის ქილა (მეგრ. ელ.). ქილა (ქია) ფუთი (მეგრ. ელ.).

**ქილე** (არაბ.) 1. თოფის წამლისა და ტყვია-საფანტის საწყაო, პატარა ზომის ცილინდრული ჭურჭელი, – მასრა 2. მარცვლეულის, ფქვილისა და მისთ. საწყაო; „ჩადის ოცდაათი ოყა“ (აქარ. ნიჟ.).

სვან. ქიჷ „ერთი წველა ყველი“. ქართ. ქილა ზან. – შეიძლება ამ სიტყვითა წყარო არაბ., (თურქ.) ქილე იყოს. საინტერესო ფუძეა, თუნდაც იმიტომ, რომ ლ > უ პროცესმა ნასესხებ სიტყვებშიც იჩინა თავი (ჩუბუა 2000-2003).

ახ. ქართ., დიალექტ. **ქილა** იხ. II. ქილი. რამხელა *ქილები* აქ ე მამალს, ბებერი იქნება (ტაბაკინი, ზ.-იმერ. ძოწ.).

ქილ, ქელ ეშვი, ქილი, ლოჯი (სვან. თოფ. ქალდ.). იხ. III. ქილი.

დიალექტ. **II. ქილა** // **ქილი**. ხორცსა ამ სიცხეში ქილ მიაყრის მალე (თ. ქ.) ხორცსა ქილას აყრიდა (იმ., ჩვენ. ფუტკ.). შდრ. ქილაჟი (თუმ. ცოც.).

### **ქილიკ-ი:**

საშ. ქართ. **I. ქილიკი** „ფიცარი, დაჭდობილი ერთმანეთში გასაწყობად“ (საბა).

შდრ. დიალექტ. **ქილიქი** (კახ., რაჭ.). შდრ. **ქილიქი** // **ქილუქი** ფიცრების ნასკვი სახლის კუთხისა; *ქილუქიანი* სახლია, როდესაც კედლები ნასკვენია; შდრ. ბოყვი (ვ. ბერ., რაჭ. კობახ., იმერ. გაჩ.).

ზან. **ქილიქი** „შენობის სახურავის კუთხე“ (მეგრ. ქობ.). **ქილიქ** სახლის შენობის გარეთა კუთხე (სვან. თოფ., ქალდ.).

გასარკვევია, არის თუ არა უფრო ძველი იმერ. ქილუქი სახეობა, ხოლო ქილიქ- მისი ალომორფი (ასიმულირებული). შეიძლება ეს სიტყვა უცხო ენებიდან იყოს შემოსული (ჩუხუა 2000-2003).

ახ. ქართ. **II. ქილიკი** „მოხუმარი“ (საბა). **ქილიკი** ხუმარა, ოხუნჯი, შემაქცევარი. [სიმონა ცდილობდა] ოხუნჯი ყოფილიყო, *ქილიკი*, მჭერმეტყველი (ი. გრიშ. თარგმ.). **ქილიკაობა** ხუმრობა, ოხუნჯობა. [პიატნიცკის] არ უნდოდა... *ქილიკაობის* საგანი გამხდარიყო («ლიტ. და ხელოვნ.»).

**ქილიკობს, ქილიკაობს**: უტანდარიც... დოდოს... მოუჯდება და... *ქილიკობს* (შ. დად.). ასე *ქილიკობს*, ენაკვიმატობს და ხუმრობს მამალხინე (გ. შატბ.).

იხ. აგრეთვე: **ქილიკი**: აქილიკებს, გააქილიკებს გაქილიკებული, მექილიკე (ხევს. ჭინჭ.).

**ქილიკი** სიტყვით მოღლაბუცე, ქუდი ბრუდი *ქილიკთი*, შუშპარი განიერია, რაცა აქვ, ტანზე აცვია, შინ სახლი ცარიელია (თუშ. ცოც.). შდრ. (თურქ.) kelek სულელი.

დიალექტ. **III. ქილიკი** // ქილაკი, ხის ან თიხის ჭურჭელი. *ქილიკებიც* ბევრი გუაქ (იმ.). დიდ *ქილიკაში* გამუასხამთ ვარიადამ (იმ., ჩვენ. ფუტკ.). შდრ. **ქილაქი** ფოხალი, კოდის ნახევარი-დ. ჩუბ. შდრ. I. ქილა.

### **ქირმან-ი:**

საშ. ქართ. **I. ქირმანი**: ქირმანის შალი სპარსული შალი წამოსასხამი – დ. ჩუბ.

◊ **ქირმანის შალი** ძვირფასი მატყლის ქსოვილი, სახიანი [სპარსეთის ქალაქ ქირმანის სახელის მიხედვით]. ქორწილის დღეს მოგართმევ... *ქირმანის* შალსა... (ლ. არდაზ.).

ახ. ქართ. **II. ქირმანი** (ხევს.) «ახლად მომკილი მინდორი» («დიალ.»).

**ქირმანი** შემოდგომაზე სათიბებიდან თივის შემოზიდვის შემდეგ დაცულ ადგილებში ადგილებში საქონლის გაშვება. დოზე შამოვიტანთ ძნა-თივა თორო ჩამარეკენ ჯოგსა და გუშობენ *ქირმანსაცა* და შიგაშიგ მახვდება ხალხი და საქონელი (მოხ. ლუდ.).

**ქირმანი** 1. ნაპურალზე ამოზრდილი ბალახი. მამკილს ყანაზე ამა-სულს ბალახს *ქირმანს* ვეტყით. 2. მოსავლის აღების შემდეგ ყანაში დარჩენილი თავთავი (ა. კ.). *ქირმანი* მოვარჩიე; ძროხები *ქირმანს* სჭამენ (მოხ. ქავთ.).

შდრ. **ქიმნობა** საქონლის გაშვება მომკილ ყანაში, ნაპურალში. ძნა შა-იტანეს სნოვლებმა *ქიმნობა* სქონლიაო, ყანებჩი ზძოვდა ნახირი მთის ძირჩი, წყაროს პირსაო (ხალხ. ყაზ.; მოხ. ქავთ.).

**ქისა:**

საშ. ქართ. **I. ქისა** კისა საბა. ქისა, ქართული არ არი(ს), თ ა ლ ი ს ა ჰქვიან – საბა. ქისა სპ. kise.

ქისა ქსოვილის საფულე. მეორეს ფლურისა *ქისა* შეხსნა (რუსუდ. 26, 31). დაცარიელდეს *ქესები* (ქილ. 538, 27).

შდრ. კისა. არ თუ მას უყო ზიანი, -თვთვე ჩაიდვა *კისასა* (ქილ. 478, 37).

ახ. ქართ. **ქისა** [არაბ. ქისატ] 1. მომცრო პარკი (ტყავისა ან რაიმე ქსოვილისა) ფულის ან სხვა წვრილმანი ნივთებისათვის. [ოთარაანთ ქვრივი] ფულს... ხუთ რიგად ინახავდა. ამისათვის ნაჭრებისაგან ჭრელი ქისები ჰქონდა ჩანთასავით შეკერილები (ილია).

სვან. **ქესა, ქისა, ქესა** ქისა (სვან. თოფ. ქალდ.). **ქესე** 1. საფულე; აბანოს ქისა; (თურქ.-არაბ.) 2. **ქის** საფულე. ქესა. ქისა არ. -სპ. keis // kisa/e.

ახ. ქართ. **II. ქისა** მქისე ქსოვილის უთითებო თათმანი აბანოში ტანზე წასამელად. აბანოში ქისის გასმა, სალხინოში – ერთი ვახშამი (ვ. ბარნ., თურქ.). შდრ. მქისე.

**ქისტ-ი:**

საშ. ქართ. **I. ქიშტი, ქისტი** (ბერძნ.) ხელით წაკურა, ქურდნვა – დ. ჩუბ.

ახ. ქართ. **ქისტ** მუშტი, მჯილი. ქისტი... საოხუნჯო ალერსია (ილია). ეგრე ჩვენი გლეხკაცი საალერსოდ წაუთავაზებს ხოლმე *ქისტს* ახალმოყვანილ პატარძალსა (ილია).

აღდგენილია ს.-ქართვ. \*ქისტ- „მუჭი“ (ჩუხუა 2017).

საშ. ქართ. **II. ქისტ** მთიელთა ერთ-ერთი ტომის სახელწოდება. თურქი, სპარსი, ლეკი, ოსი, ჩერქეზ, ლილივი, დიდო ქისტი (დ. გურ. 85, 164, 2).

დიალექტ. **III. ქისტი** დაგრეხილი ძაფისაგან გაკეთებული ფოჩი, ყაბალახის წვეტზე ჰკიდებდნენ ხოლმე (იმერ. გაჩ.). შდრ. III. კისტი.

**ქნარ-ი:**

ძვ., საშ., ახ. ქართ. **I. ქნარი** სიმეზიანი სამუსიკო საკრავი ერთგვარი, თითების გამოკვრით ასაქლერებელი. „ქმნა... *ქნარები*, ებნები გალობათა“ (M, II, ნშტ. 9, 11). „ვითარცა ქნარი ოხრიდეს“ (I, ეს. 16, 11). „განმცნობელნი... ჳმითა *ქნარისა* და სტურისაჲთა“ (მ. სწ. 15, 3). აღარ მსურს *ქნარი*, საკრავად სტვირი, არც ზედ დამღერა (დ. გურამ.). || ფიგურ. სამხიარულო, სალხინო ხმებით სამოთხით იყო რუსთველის *ქნარი* (აკაკი).

**დავითის ქნარი** 1. ბიბლიური გადმოცემით: ებრაელთა მეფის – დავითის საკრავი. ანგელოსთაგან იკროდა მუნ *დავითის ქნარი* და განისმოდდა ციურთ დასთა გალობის ზარი! (ნ. ბარათ.). დავფარო ქრისტეს კვართი და *ქნარი დავითის* (დ. გურ. 209, 2). 2. ანატ. ტვინის კორძიანი სხეულის ქვემო ზედაპირზე გაკრული თაღის ფეხები.



ახ. ქართ. **II. ქნარი** კუთხ. (ქიზ.) ხელოსნ. კვერის ბრტყელი მხარე, რასაც სცემენ რკინას გასაბრტყელებლად და გასაწევად. ◊ **ქნარის გაწევა** ფეხსაცმლის შეკერვისა და გადაბრუნების შემდეგ საძირის ზედმეტი ნაწილების შემოჭრა და ცერის ფრჩხილის გასმა და გამოსწორება.

დიალექტ. *ქნარს* გაუწევთ კარანიჩით და ცერის ფრჩხილს შამოუსვამთ (ქიზ. მრეწ. III, I, 31). როცა წულა კალაპოტში გაიჭიმება, კიდეს შემოსჭრიან საძირეზე. ამას ქვია „ქნარის გაწევა“ (გურ. მრეწ. III, I, 254).

### **ქობინ-ი:**

საშ. ქართ. **I. ქობინი** «ტორანტორო» ესთ. 1, 6 – ილ. აზულ. **ქობინი** ძვ. კარვისა, ეტლის კამარისა და მისთანათა თავზე დაგებული მოოქრული ბურთი (საბა).

კარვები მრავლად მოჩანდა. ერთ მათგანზე *ქობინიც* იყო ოქროსი და ცეცხლის ალზე ისე ბრწყინავდა, როგორც სხივი (მიხ. მრევლ.).

ახ. ქართ. **II. ქობინი** ქობინო 1. სარეცხის სასრესი ძელაკი, – საჯანდრავი, ტაბოცი; საზეპელი. ახლა მეცა მკითხეთ-და! ისე დაბეჭილი ვარ, თითქო დაბახანაში *ქობინებით* უტყეპიათო! (ა. ცაგარ.). 2. კუთხ. (ქიზ) კრამიტის მოსაჭრელი ყალიბი.

საშ. ქართ. **III. ქობინი** მც. – დ. ჩუბ.

### **ქოლა:**

საშ. ქართ. **I. ქოლა** ქულა ანუ ბარტყი, საზოგადოდ შვილი. თქვა: მოვკლევდი უსაცილოდ, თუ ყმა იყოს ჩემი *ქოლა* (თეიმურაზ, I, 48 26, 4). შდრ. დიალექტ. **ქოლე** (ლათ. köle) მონა. მემრე *ქოლეებად* დაყიდა თამარ დოდოფალმა ისინი (ინ., ჩვენ. ფუტკ.). იხ. აგრეთვე (აჭარ. ნიჟ.).

საშ. ქართ. **II. ქოლა** მოლა. ყმად წაუვიდნენ ისასა, იქმნენ მამადის ქოლანი (დ. გურ. 84, 153, 4).

### **ქორ-ი:**

ძვ. ქართ. **I. ქორი** ზედა სახლი, ზედა სართული: „გიჩუენოს თქუენ *ქორი* დაგებული, დიდი“ (ლ. 22, 12). „ადიყვანეს იგი ქორსა მას ზედა“ (საქ. მოც. 9, 39). „შევიდა *ქორსა* მას და დაიძინა“ (O, IV, მგ. 4, 11). „სარკუმელნი მისნი იყვნეს განღებულ *ქორსა* მას მისსა წინაშე იერუსალჴმსა“ (O, დან. 6, 10).

**ქორი** ეზო: „და მსხდომარე იყვნეს რად უკუე *ქორსა* ზედა სამღდელომასა“ (ფლავ. 11, 5, 4).

**ქორები ზაკქომსა** ხაზინა, საჭურჭლე. „მისცა... სახე. *ქორებისა* მის ზაკქომსა მისისა“ (M, I, ნშტ. 28, 11).

საშ. ქართ. **ქორი** ძვ. სახლზედ სახლი აგებული (საბა). – სართული. იყვნეს შუიდნი *ქორნი* ქალთანი (ამირან. 257, 8).

ახ. ქართ., დიალექტ. ქორი საბძელი (თივის, ჩალის შესანახავი ნაგებობა). კაცსა *ქორი* შუუდგამს მაღარაში, ხედავ?! (იმ., ჩვენ. ფუტკ.).

**ქორი** საბძელი: ქორებ ავავსებთ თივით (ბაზგ.), „ქორი აჯა, მერეგსაც ვეტყვით, საბძელსაც“ (ჩაქ., შავშ.). **ქორი** თივის შესანახი ნაგებობა. ამა ქორ ვეტყვით, თივას ვინახავთ (იმერხ. ფაღ., ცინც.).

საერთო ქართულისათვის აღდგენილია \*ქორ- ფუძე (ფენრიხი, სარჯველაძე; ჩუხუა 2000-2003).

ძვ. ქართ. **II. ქორი** ფრინგ. accipiter: „დადგის *ქორი*, განიპყრნის ფრთენი თვსნი და შეუძრველად დგან“ (M, იობ. 39, 26). „პოვა *ქორი*, მოწყლული და გაგლეჯილი არწივისაგან“ (ქ. ცხ. 174, 9).

საშ. ქართ. შეჯდა, *ქორნი* მოუტივნა (ვეფხ. 367, 3). მან ისწავლა ცხენოსნობა... მოტევება *ქორისა* და შავარდნისა (შჰნ. II, 2853, 1). მან ბედმაღალმა *ქორმა* რა ნახა, შემოუტევა, ჰელმწიფის *ქორს* წამოასწრა, კაკაბი აიტაცა და წაილო (ქილ. 262, 9). მოიყვანეს სანადირო ასი ავაზა, ასი თეთრი *ქორი* (ამირან. 124, 9). ბებერმან ხეზედა კაპოეტი *ქორი* ნახა (ნ. ციც. 448, 235, 1). რა მივიდით, მოვისვენით ვით *ქორი* ჯდის სახიზარსა (არჩ. 439, 567, 4). ლეონ... ჯუმბერს ხელთ *ქორი* შეუსვა (საბა 28, 14). ათასი ბედაური *ქორი* და ქუდიანი ფრინველი ჯდა სულ ოქროს თურებზედა (რუსუდ. 262, 9).

ახ. ქართ. **ქორი** [Accipiter gentilis] 1. მტაცებელი ფრინველი ქორისებრთა ოჯახისა; აქვს გრძელი და ბასრი ბრჭყალები, მოკლე და კაუჭა ნისკარტი; იკვებება უმეტესად ფრინველებით. *ქორო*, ბევრისა მდევარო, ბევრჯერ დარჩები მშიერი (ხალხ.). ქორმა წიწილა წაილო, იმახდა წიაგ-წიაგს!“ (ვაჟა). || ფიგურ. მუცელს *აქორებ-ქორია*, აღორებ-ღორიაო (ანდაზა).

**თეთრი ქორი** შავარდენი. ვით თეთრმან *ქორმან* დურეჯი დანაბოს, იყო თნებასა (შჰნ. III, 783, 3).

(საინტერესოდ ხსნის ხევსურულში დადასტურებულ გამოთქმას „თეთრი მთის ქორ“-ს მ. ჩიქოვანი: „შამამეხვია ქაჯთ ლაშქარი *თეთრსა მთის ქორს* თერგვაულსა“ (ქართ. ხალხ. პოეზია, 1972). თეთრი დამოუკიდებელი ცალფა ეპითეტია, რომელიც აღნიშნავს ნათელს, წმინდას, სპეტაკს, პატიოსანს. „მთის ქორი“ გადმოსცემს სწრაფს, მარდს, უშიშარს, გამჭრიახს, შორს მხედავს. მაშასადამე „მთის ქორი“ წყვილული ეპითეტის მეორე წევრია კაი ყმის თვისების აღსანიშნავად. თუ ყველა შესაძლებლობას გავითვალისწინებთ და იმასაც მივიღებთ მხედველობაში, როგორც ამჟამად ესმით საძიებელი ტაეპის მნიშვნელობა კისტნელ ხევსურებს, მაშინ „თეთრი მთის ქორი თერგვაული“ მიახლოებით იქნება: შორსმჭვრეტელი, შორსმხედველი, წმინდა თერგვაული (ჩიქოვანი 1972).

აღდგენილია ს.-ქართვ. \*ქორ არქეტები (ფენრიხი, სარჯველაძე).

საშ. ქართ., დიალექტ. **III. ქორი** 1. საუბ. ბრმა (დ. ჩუბ.). – **ქორი** (თ. kör) ბრმა, უსინათლო. ცხუარი ღამეში ქორია, ვერ ხედავს (აჭარ. ნოდ. VII, 38). ერთი *ქორი* დედეი იარებოდა თხუელათ (იმ., ჩვენ. ფუტკ.). ქორი

ბრუციანი, დაბრმავებული საქონელია. კელი რაიმე მიზეზით დაკოჭლებულ საქონელზე ითქმის (ზ.-აჭარ. კობერ. 132). ქორი ბრმა, უსინათლო, მეტსახელიცაა მამაკაცისა, სიკეთე დაუნახავი, ძუნწი ადამიანის ეპითეტია (დიალექტ. 660).

საშ., ქართ. **IV. ქორი** (გამოსაღები). ქორი დაადვა კახის უბნის მთისა და ბარის ნახევარი, *ქორი* თუ საგლეხე, ...კიდევ ზოგი მიწები და ხოდაბუნები უფიცრათ სახლთხუცესს დარჩა (სამ. IV, 248, 17).

დიალექტ. **V. ქორი** მეომრის ეპითეტია (თუშ. უთურგ.). შდრ. „**ქორი** მცველთა ჯგუფი, ამაღა“ (IV, მგ. 11, 19).

### ქორი:

საშ. ქართ. **I. ქორი** საჯდომელი გოდორი-საბა. ქორის საჯდომი გოდორი. საქორე გოდორი. ჳელმარი – საბა. შდრ. I. ქორი.

ახ. ქართ. **II. ქორი** (ბერძ. choros), მომღერალთა გუნდი, თაეტრალური წარმოდგენის ერთ-ერთი მთავარი მონაწილე ძველ ბერძნულ თეატრში (მუს. ლექსიკ.). შდრ. ხორო.

**ქორი** [ბულგ. < ძვ-ბერძ. ფერხულში ვცეკვავ] ძველებური ცეკვა.

დიალექტ. ქორო გამოიყენება წინავითარების გამომხატველ წინადადებაში „შენ არ აფრიალებდი ზეით, ქორო მამაშენი ეძებდა რაცხას?! საწვილე მერე?!“ „ქორო შენ გიყვარს, იმისანე საჭმელია“; „ქორო იქინე იყო, ე, იგია მისი რძალი“ (საჩინ. შარაშ.). შდრ. **ქერე** (არაბ.) ერთხელ.

### ქოქი:

ძვ., საშ. ქართ. **I. ქოქი** (აქოქ Cab) ძვ. «ეკალი ჩირგვიანი» (საბა).

**ქოქი** ეკლიანი ჯოხი ან ტოტი: „კაცმან თუ კაცსა შესცოდოს, წერილ არს, რადთა სცენ მას ოცდაცხრამეტი *ქოქითა*“ (ანან. ებრ. 197, 20). „*ქოქით* იგუემებოდა გონებაჲ მისი“ (th. – 11, 96v). „მეორეჲ სცემდეს *ქოქითა*“ (მ. ცხ. 304, 17).

წკეპლა, შოლტი: „კაცმან თუ კაცსა შესცოდოს... სცენ მას ოცდაცხრამეტი *ქოქითა*“ (ნიკოდიმ. 7, 17).

ზან. ქორქი ეკლიანი ჩირგვი (მეგრ. ქობ.).

შდრ. **აქოქი, აქუქი** «ეკალი». rhamnus cathartica: „დათრგუნეს აქოქი (აქუქი), რომელ არს ეკალი“ (M, II ნშტ. 25, 18).

ს. ქართვ. \*ქოქ – „ცარიელი, ფულურო“ > ქართ. ქოქი || ქოქ-ო: ზან. ქოქ-ა: სვან. ქოქ. (ჩუხუა 2000-2003).

საშ., ახ. ქართ. დიალექტ. **II. ქოქი** ფესვი, ძირი მცენარისა (მოხ. ლუდ.). ყანაში სიმინდი *ქოქებ* ვასუფთებდი (თ. ქ.). მისი **ქოქი** იჭმება, გაფხიკავ, სკვანტლას *ქოქი* (მაჭ.). მიწა დაქანებულია და გამოჩენილა **ქოქები**“ (ტ.). (ჩვენ. ფუტკ.).

**ქოქი** ძირი. კისრის *ქოქში* წავვლე; მუხას დაუწყო *ქოქიანათ* ამოგდება (ჯავახ. მარტ.).

**ქოქი** ძირი, ფესვი. თესლ-ტომითურთ სულ წარმწყმინდა, ძირით, *ქოქით* ამამაგდო (დ. გურამ. 299, 8, 2). „მოვნახეთ ჩუენა ყუელაზე პირველათ ჩუენი *ქოქები*“ (ჰ., ჩვენ. ფუტკ.).

შდრ. ქოქი (kök) (თურქ.) ფესვი, ძირი, მოდგმა, გვარი. ქართული ქოქი (რუხაძე 1988, 149).

წყევ. **ქოქი გაწყდეს** (გაწყდა, ამოაგდო ღმერთმა) წყევ. ვისიმე გვარი, ჯიში, ჯილაგი გაწყდეს, ამოვარდეს. „აი, ამოაგდო ღმერთმა ავი კაცის *ქოქი*“ (ილია). „თქვენ *ქოქი* გაწყდა, თქვენი!“ (ა. ცაგარ.). [ვაჭრები] ატყუებენ საწყალ ხალხს, გაწყდეს იმათი *ქოქი* (ი. დავით.).

ასევე ქოქი წყველის მნიშვნელობით დასტურდება: (ფშ., გუდ., მთ., მოვ. – ა. შან., ვ. ბერ., აჭარ. ნიჟ., ჩვენ. ფუტკ., ჯავახ. ზედგ., მოხ. ლუდ., გურ. ჟდ., ქიზ. მენთ., ინგ. იმნ.).

საშ. ქართ. **III. ქოქი** მდოგვი. თარაცა ამასა ჰქვიან და ქოქიცა. ქოქის ფურცელი (ქანან. 442, 11). შდრ. Kuk (სპ.) ღორის ქადა, სალათა.

### **ქოში-ი:**

საშ., ახ. ქართ. **I. ქოში** ძვ. „ვაციკი, წლის ბოტი“ (საბა.). (რამინი) კლდესა შიგან *ქოშისაებრ* აღმა-ჩაღმა რბოდა (ვისრ. 152, 3). **ქოშიკი** იგივეა, რაც ქოში, ვაციკი – საბა.

ქოშიკი (სომხ.) ვაციკი, წლის ბოტი – დ. ჩუბ .

ზან. ქოში (მეგრ. ელ.).

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **II. ქოში** ქუსლიანი ფოსტლები – დ. ჩუბ.

მერე მივიდნენ მექოშეებთან, იხილეს ყოველი დუქანი, სავესე *ქოშით* და მაშით (ი. ბაგრატი. 489, 19).

ახ. ქართ., დიალექტ. ქოში მაღალქუსლიანი, ჰვიტინი ფეხსაცმელი, უპირატესად საშინაო (საზამთრო); საპირე მხოლოდ თათზე აქვს. [ოთარაანთ ქვრივი] გადმოცდა ქვეშაგებიდან, წაჰყო *ქოშებში* ფეხი (ილია). ვინ არ იცნობს ბაბაჯანას, იმის *ქოშებს*, ძველს და ჯღანას? (ი. გრიშ.).

დიალექტ. იხ. აგრეთვე: ქოში (ქიზ. მენთ., ინგ. ღამბ., შ. კახ. III, I, 51, ლეჩხ, III, I, 234).

სვან. **ქოშ** ქოში (თოფ., ქალდ.).

### **ქოშა:**

ახ. ქართ., დიალექტ. **I. ქოშა** (მოხევ.) ტარიანი ხის ჯამი. ბოლოს, ჩამოურიგეს *ქოშებით* წვენიც, ის აუცილებელი საჭმელი ყველა მდიდარი და ღარიბი მთის კაცისა (ა. ყაზბ.).

**ქოშა** ქაფქორი, საწვწე (მთ. კაიშ). **ქოშაი** გრძელტარიანი ხის მორდილი ღრმა კოვზი. *ქოშით* წუენს ვასხამთკე ქობჩიგით ბაკნებზე (მოხ. ქავთ.). **კოში** ქოშა ქაფქორი, საწვწე (მთ. კაიშ).

შდრ. ქაშიკ (თურქ.) კოვზი.

დიალექტ. **II. ქოშა** სახლის კუთხე გარედან (ჯავახ. მარტირ.) ქოშა (სპ.) ორივე კედლის შეერთების გარე კუთხე. ქოში(ს) ქვა, კედლის კუთხის ქვა, რომელიც სპეციალურად ირჩევა (ჯავახ. ბერ.).

შდრ. ქოშე (სპ. köşe) კუთხე ორ კედელს შორის. **ქოშე-ბოჯადი** ქოშე-ქვა (აჭარ. ნიჟ.). ქოშე // ქოშა (თ.) მივდა ქოსა ერთ *ქოშაში*, ბიჭმაც მევორე *ქოშაში* და დეიძინეს (ბ. ფ., II, 57; გურგენიძე 1973, 30).

**ქოჩ-ი:**

ძვ., საშ., ახ. ქართ. **I. ქოჩი** ძვ. შეზარდული ხე, მაცვლის ბარდი (საბა). „პოვეს ნინო *ქოჩსა* მას ქუეშე მაცულისასა“ (ქ. ცხ. 99, 13).

საშ. ქართ. **ქოჩი ხე** ქოჩი ბრწამლისა. შემდგომად წმიდამან პოვა გარე ზღუდისა *ქოჩი* ბრწამლისა ერთი (ქ. ცხ. 80, 9). მეფე მივიდა *ქოჩსა* მას წინაშე ნინოსა (ქ. ცხ. IV, 86, 20). პოვა *ქოჩი* ერთი (არჩ. ცხ. I94, 8).

ახ. ქართ. **II. ქოჩი:** (ხევს.) ქუჩად მოსული ერთგვარი ბალახი. ცელა-იც კარგად უჭრიდა, *ქოჩებიც* ძირით დასწმინდა («დიალ.»).

\***ქოჩ-** // **ქუჩ-** არქეტიპი აღდგენილია სიტყვებისათვის **ქოჩი** „ბუჩქი“, **ქუჩ-ქუჩი** (საბა). „ერთ ძირზედ მრავლად აღყვავებული“ **ქოჩს შეიკრავს, მოქუჩება** „თავის მოყრა“ და სხვა მსგავს სიტყვებისათვის (კელაურაძე 2013).

**ქოჩი** ქუჩი. „ცხვრის წივანა, წივანა“ (ა. მაყ.). ცელნი მავლესნათ, ნამქვისლარო, *ქოჩები-ღ* შვაწითეზივათო (ეთნ. III, 22, 2). მავალ და მამი-ხარიან, – ყანა მიდგა *ქოჩივითა* (ხევს. პოეზ. 624, 5). [ზადა] შიმშილის და-ღონებული *ქოჩთა* ძოვს მაღლის მთისათა (ალ. ოჩ. 25, 3, ხევს. ჭინჭ.). შდრ. (თ.) კოჩ ოტუ ბალახი.

ახ. ქართ. **III. ქოჩი** (ოსმ.) ელი, ქოჩად მავალი ხალხი.

**ქოჩი** (თ. კოჩ[მექ]) ქოჩად მავალნი „ფრინველები სხვა ქვეყნებიდან ქოჩად მავალნი არიან (გრ. ყიფშ.).

◇ ქოჩს შეიკრავს კუთხ. (ქართლ.) თავს მოიყრის, შექუჩდება, მოგროვდება (ხალხ.). [ოქრო] ჩამოვიდა საყდართან, სადაც ხალხს ისევ ქოჩი შეეკრა (ა. ერ. -ხოშტ.). **ქოჩი** ქუჩება შეგროვება, თავმოყრა – ქეგლ.

დიალექტ. **ქოჩი** თევზი ჯგუფად, გუნდად მცურავი თევზი ქვირითის დაყრის პერიოდში. „იმას მაღლი არ დაყეფდა, იარებოდა ვითა *ქოჩი*“ (პ. უმიკ.).

**ქოჩი** 1. შექოჩებული, შეურჩევლად შეკრებილი: ხალხი, ჯარი. ასევე-მანამ ქემალისტების ჯარი შემოვიდოდა, აქვე ჩვენი თათრების ქოჩი იყო, რო გვესეოდა. დღეობაზე დიდ-პატარის, ქალ-კაცის ქოჩი მოგვესია., ერთ ადგილზე ხომ ვერ გაჩერდებიან მაი ჰემშილები, *ქოჩი* ხალხია“ (აჭარ. ნიჟ.).

**ქოჩ** უნდა მომდინარეობდეს სპარსული სიტყვიდან [kūč] (ბართაია 2010).

**ქოჩი:** „ხალხი რო შეგროვდება იყვიან: ქოჩის ხალხი შეგროვდაო“ (თნ.; დვალ., ლოლოვ.) „თათრები რო მოდიან, მაგათ ვეტყვიო: „თათრის **ქოჩი** მოდისო“ (ფარცხ., ქართლ. მენთ.).

შდრ. **ქოჩარი** მომთაბარე, ქოჩი ქვეითი. ყელა ქოჩარი და სიცხისაგან დამწვარნი, ტყესა და კლდესა შიგან გაზდილნი, ერთსა წამსა ძირითურთ აღმოვფქვრით (შჰნ. II. 592, 27).

ქონჩ, ქოჩ 1. ბუდნა 2 გროვა, ქოჩ-ქოჩდ გროვა-გროვად (სვან. თოფ. ქალდ.).

საშ. ქართ. **ქოჩი** კურტანი სახედართა კოკების შთასადებელად – დ. ჩუბ. ბარგი-ბარხანა, საქონებელი მსხვილ-წვრილმანი ერთად. წავიდა და თავისი *ქოჩიც* წაიღო, რაღას მოვა (ჯავახ. ზედგ.). ქოჩი ბარგი (საოჯახო ნივთები, ავეჯი) მთაში წავედით, *ქოჩი* დაუდეთ (ჯავახ. ბერ.). შდრ. (თურქ.) ქეჩე.

დიალექტ. **IV. ქოჩი** გადალეული, გაულესავი, დაბლაგვებული იარაღი /უფრო ცული/ (ფშ. ხორნ.).

დიალექტ. **V. ქოჩი** ბატკანი (უმიკაშვილი, I, 174). **ქოჩობა** თხათა ხურაობის დრო. იცია, ირაობასა ქოჩობაც თანა მოჰყვება (პრჩ. 247, 321, 1). **ქოჩ** (თ.) ცხვარი

**VI. ქოჩი** ხბოს მოსახმობი ზახილი (ვ. ბერ. ქეეჩო) (საჩინ. შარაშ.). **ქოჩიე** ბოჩოლა, ხბოს მოფერებითი სახელი – მე პაწა *ქოჩიე* მყავს (რაცხ. გურ.).

ზან. **ქოჩი!** ხბოს მოსახმობი, ხბოს სააღერსო. ქოჩია ახალდაბადებული ხბო (მეგრ. ქობ.).

სვან. **ქოჩი** საქონლის, უფრო ხბოების გასადენი ძახილი (სვან. ლიპარტ.).

**VII. ქოჩი** დუდუკის ჰანგი, როცა პატარძლი წამოსაყვანად მიდიან – ი. გრიშ.

### **ქსენონ-ი:**

ძვ., საშ. ქართ. **I. ქსენო, ქსენონი** სასწეულო სახლი – დ. ჩუბ. „მივლენედ... *ქსენონთა* და აბანოებსა უძღურთა და გლახთასა და იღუწიედ მათ (მ. ცხ. 322r).

ეკლესიათა, *ქსენონთა* მაშენებელი (ქ. ცხ. IV, 163, 5). და თმისა საბლითა გამზიდველი, *ქსენონთა* შინა მიჰყვანდა (ქილ. 876, 13).

ახ. ქართ. **ქსენონი** [ბერძ. xenon] – 1. საავადმყოფოებში: სპეციალურად გამოყოფილი სადგომი, სადაც იღებენ დასაწვენ ავადმყოფებს და ანაწილებენ პალატებში. 2. (მოდვ.) საავადმყოფო. თვით მიქელაც... უკურნებელი... სენით დაავადებული, სადღაც მიყრუებული მონასტრის *ქსენონში* წევს (შ. დად.). ზღვის პირად, მთის ძირში, *ქსენონი* არსებობდა (ნ. ლორთქ.).

ახ. ქართ. (ტერმ.) **II. ქსენონი** (ბერძნ. xenos) უცხო – ქიმიური ელემენტი, ჰელიუმის ჯგუფის გაზი; იყენებენ ელექტროტექნიკაში.

**ქუზა:**

საშ. ქართ. **I. ქუზა** (სპ. ქუზა, resp. ქოზა) თიხის ქოთანის დანაყე... ჭიქისა ჭურჭელსა ანუ *ქუზასა* (ქანან. 93, 31). ყოვლი სურნელი სხვადასხვა რიგის გულაბდნებით, *ქუზებით*, კოლოფებითა თავ-თავის რიგით ასე ჩამოვიდის და ავიდის, რომ ვერა შევიტყვევით რა (რუსუდ. 218, 34).

**ქუზა** (სპ.) კატრის ხიდამ გამოთლილ ბარდალს ქუზას ვეტყვით; უწინ ახისხიდამ (ახალციხიდან) გადმოქონდნენ, – ხის ტოლჩა (აჭარ. ნიჟ.).

ზან. **ქვეზა** თიხის პატარა ჭურჭელი (მეგრ. ქობ.).

ახ. ქართ., დიალექტ. **II. ქუზა** (კახ., ალგეთ.) პატარა უხეირო ნაგებობა ღორისა და მისთ. შესამწყვდევად – ქეგლ.

**ქუზა** პატარა უხეირო ნაგებობა (ქიზ. მენტ.). შდრ. ქუზანა ძვ. «საცეხველი» (დ. ჩუბ.). ქუზ საბატკნე (ინგ. როსტ.). შდრ. სპ. ქაზ ქოხი .

**ქულა:**

საშ. ქართ. **I. ქულა** ქორის ბარტყი. რა ჭავჭავანი ბარტყთა დაფრენდენ, უმზირდენ იგი მიმინონი და სრულობით დასტაციან და მათთა *ქულათა* მით ზრდიდიან (ქილ. 323, 12).

**ქულა** „ფრინვლის ბლარტი“ (ლ. ლეონ., ხევს. ჭინჭ.).

**ქულა წიწილი** ახალგამოჩეკილი წიწილა ჯერ კიდევ კვერცხის ბუმბულით. „ქულა წიწილები მყავს, ერთი სამოცი იქნება“ (იმერ. გაჩ.). ქულა პაწია წიწილებია, ახლად გამოჩეკილი (შომახეთი, ზ.-იმერ. მოწ.). ქულა-ქულა! ინდაურების დასამახებელი (ზედუბანი ზ.-იმერ. მოწ.).

ახ. ქართ. **ქულა** 1. გაპენტილი ბანზის ფთილა. სავსე ქვევრზე ბამბის *ქულასაც* არ დაახლიანო (ანდაზა). „სახლში ერთი თეთრი ბამბის *ქულა* მეგულებოდა“ (თ. რაზიკ.). || ფიგურ. „სავდრო ხომ არ არის ის ღრუბლის *ქულა*, მთის მწვერვალი რომ დაუფრავს! (ვ. ბარნ.). 2. ახლადგამოჩეკილი, ნაზბუმბულიანი წიწილა, ბარტყი. საბუდარს გვერდები ცოტა მაღალი ჰქონდა და მათზედ ასვლა და გადმოსვლა ჩვენი *ქულა* წიწილებისაგან დიდს უნარს ითხოვდ (ი. გოგებ.). [მოლალური] ართობდა ბუდეში მსხდომარე *ქულა* ბარტყებს (ს. მგალობ.). || ძვ. ბაზთა მართვე (საბა). შდრ. I. ქოლა.

**ქულა** მატყლის მეორე გაჩეჩვით მიღებული ნართი (მთ. კაიშ., იმერ. გაჩ., ფშ. ხორნ., აჭარ. ნოლ., ჯავახ. ზედგ., ქიზ. მრეწ. II, II, 19, იქვე, ზ. რაჭა 191, ქიზ. მენტ., ჯავახ. ზედგ.).

**ქულა** 1. მოქსოვილი ან ბარხატისაგან შეკერილი მრგვალი პატარა ქუდი (მოხუცები ხმარობენ). 2. ჯადოსნური ქუდი, უჩინ-მაჩინის ქუდი (ჯავახ. მარტ.).

**ქულა** ქულა (მატყლისა, ბამბისა) (სვან. თოფ., ქალდ.).

საშ. ქართ. **II. ქულა**, ხულა ქულბაგი – დ. ჩუბ. იხ. I. ქულბაქი.

ახ. ქართ. **III. ქულა** სპორ. მოგების აღმნიშვნელი სათვალავი ერთეული სპორტულ თამაშში, შჯიბრებაში.

**ქულაჯა:**

ახ. ქართ. **I. ქულაჯა** [თურქ. ქულაჯ «ბეწვი»] მამაკაცის ზედა სამოსელი, ძვირფასი ქსოვილისა, ბეწვმოვლებული. ეგ *ქულაჯა* გაიხადე, ეს თეჟა ჩაიცივი შენა! (ხალხ.). მოზარნიშული სატევრის ტარი ქართულ *ქულაჯის* კალთაზე ბრწყინავს (ი. ნონემ.). || ფიგურ. თავუნამ დაიწვიპა, დაიჭიმა ყელის ძაფები, შეებრძოლა ღვინოს და გადაჰკრა, დაცალა, ხოლო ხავერდის *ქულაჯაზე* გადაესხა ცოტაოდენი ღვინო (ვაჟა).

**ქულაჯა** (სპ.) ქეჩის წამოსასხამი (ფერეიდ. ჩხუბ.).

დიალექტ. **II. ქულაჯა** (ჩიქ.) (სპ.) ზამბის თესლი არი, ნუშისავით, მაგრამ პატარა (დაშქ., ფერეიდ. ჩხუბ.).

**ქულბაქი:**

საშ., ახ. ქართ. **I. ქულბაქი** ძვ. «ბაზარი» (საბა); «ბაზრის დუქნები» (დ. ჩუბ.). იბერიელები [მცხეთას] *ქულბაქებითა* და ფორუმებით ამკობდნენ (გ. ქიქ.).

შდრ. **ქულბაგი** დუქანი: „ხუარბლის ვაჭართა დაჰკწმნეს კარნი *ქულბაგთა* მათთანი და განაძნელეს იფქლი გლახაკათათჳს“ (მ. სწ. 64, 13). საანალიზო ლექსიკური ერთეული ქართულში შემოსულია საშუალო სპარსულიდან (რამიშვილი 2008, 372).

დიალექტ. **II. ქულბაქი** (იმერ.) ქურა (ვ. ბერ.). **ქულბაი** დიდი ქურა (ინგ. მ. ჯან.).

**ქურა:**

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. ქურა** ბრძმედი – ნ. ჩუბ. იარაღნი ოქრომჭედლისა... *ქურა*, საბერველი, ბუთი, მანგანა...ჯანდარა ...გაზი (კალმას. II, 524, ქვ. 8).

**ქურა** (არაბ.) 1. საბერვლიანი სამჭედლო კერა ლითონის გასახურებელ-გასალბობელი. მჭედელი... დაყრის *ქურას* ნახშირსა, გააღუვებს, გამოსჭედს ბეჭედსა“ (ა. ყაზბ.). || თიხის ჭურჭლის, აგურ-კრამიტის... გამოსაწვავი ნაგებობა. *ქურას* აქვს თაღი ანუ შეშის შესაკეთებელი («შიშინამრეწვ.»). || ბრძმედის ქვემო ნაწილი. || ფიგურ. გაჩაღებულსა სულის *ქურაზე* ახალს გრძნობასა დ აზრს ჰედდა (ვაჟა). 2. მოწყობილობა ცეცხლის გასაჩაღებლად ან რაიმე სხვა სახით სიმხურვალის მისაღებად. ელექტროზის ქურა. – გაზის ქურა. რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი. ნავთქურა.

დიალექტ. **ქურა** ჭურჭლის გამოსაწვავი საგზებელი. განიყოფება ორად: *ძირის ქურად* და *მაღლა ქურად* (ქიზ. მენტ.). ქურად იხ. ქულბაი (ალიბეგ.) გარეთ ცეცხლის დასანთები ადგილი (ინგ. როსტ.). შდრ. II. ქულბაქი.

საშ., ქართ. დიალექტ. **II. ქურა** ურქო ცხვარი – დ. ჩუბ.

**ქურა:** (ქართლ.) დაბადებით პატარა ყურებიანი თხა (გ. შატბ.). **ქურა** ცხვარი, თხა: უყურო ან ძლიერ მოკლე ყურება (ჯავახ. ზედგ., მარტ.). **ქურა** ურქო ცხვარი. სამოცსა ქურას მოგართმევ, იმაზე მცირე რა არის! (ქართლ. გაჩ.).



საშ. ქართ. **III. ქურა** რასხი, წაბლის ფერი ცხენი – დ. ჩუბ.

**ქურაი** ცხენი (ბავშვის ენით, მოფერებით). ჩუენი *ქურაი* დაკარქულა, რაფერ დემეწუა, იცი! (თ. ქ.) (ჩვენ. ფუტკ.).

დიალექტებში შემდეგი სახით გვხვდება ქურია (გ.-კახ. სახლთხ.).

**ქურიანი** (მოხ. ქავთ.). **ქურიკაი** (მესხ. ფეიქრ.). **ქურუა** (ფერეიდ. ჩხუბ. 337).

**ქურანი / ქურანა** «წაბლის ფერი ცხენი» (საბა). წითელ *ქურანზე* ვი-ჯექი, ლურჯა მარქაფად მეჭირა (ხალხ.). ბლაჭიაშვილს ნუ დაენახვები, ნურც დაანახვებ შენს *ქურანს* ცხენსა (ილია). ქუსლამოკრული *ქურანი* მი-ქროდა ნიავექარული (გ. ლეონ.).

ქურნა (ხევს. ჭინჭ.). ქურანა (ქიზ. მენტ.). ქურან, ქურან [აზ. ქურან] (ინგ. ღამბ.).

ს.-ქართვ. \*ქური-ან- „ცხენი, კვიცი“ (ჩუხუა 2000-2003).

დიალექტ. **IV. ქურაი** [აზ. დიალ. ქურა] ჟოლო. ქურაი წითელი, მა-ყოვლს მინგავს (ჰგავს) ინგ. ღამბ.). მცენ. ისხამს მაყვლისნაირ ნაყოფს, მო-წითალო ფერისაა (ინგ. როსტ.). **ქურბერწა** ხიფხოლა, რომელიც ღეროს (ჭიმას) არ იკეთებს. იცი ვითა *ქურბერწა* ხიფხოლა დავთხარე? – ერთ ქუდ ავავსრ (ხევს. ჭინჭ.).

### ქურუმი-ი:

ძვ., საშ. ქართ. **I. ქურუმი** კერპების მსახური, მოგვი. „სადა უკუმე-დეს საკუმეველსა ქურუმნი“ (O, IV, მგ. 23, 8). „დაადგინნა თავის თვისსა *ქურუმნი* მაღალთანი და კერპთანი“ (M, II, ნშტ. 11, 15). „ჰმსახურებდეს *ქურუმნი* იგი“ (ფლპ. მოც. 4, 26). „უკუეთუმცა არა *ქურუმნი* იგი და გრძნე-ულნი უმეცარ ქმნულ იყვნეს ჩუენებასა მას ნაბუქოდონოსორისსა“ (გრ. ნოს. კაც. აგებ. 173, 12). „და *ქურუმნიცა* იგი ბაგინთანი შემრწუნებულ არიან მათგან“ (აპოკრ. 6, 4).

იპყრნა *ქურუმნი* კერპთანი (არჩ. ცხ. I, 65, 18).

ახ. ქართ. **ქურუმი** 1. წარმართულ რელიგიაში – კულტის მსახური, რომელიც ასრულებდა მსხვერპლის შეწირვის რიტუალს, – მოგვი. „გრი-გოლ განმანათლებელმა ყველა საკერპოები დაანგრია და მეფემ *ქურუმებს* გაქრისტიანება უბრძანა“ (ივ. ჯავახ.). || ფიგურ. „ბნელეთის *ქურუმო*, გან-ვედ!“ (ვაჟა). 2. გადატ. ვინც თავდადებით ემსახურება მეცნიერებას, ხე-ლოვნებასა და მისთ. „შენ გაიზრდები იმ ბრწყინვალე *ქურუმად*, რომე-ლიც ავა ხელთუქმნელის პოეზიის სამსხვერპლოზედ“ (ევ. გაბ.); „მსახიო-ბი ათასჯერ უფრო დიდ შთაბეჭდილებას ახდენს, ვიდრე სხვა ხელოვნე-ბის *ქურუმი*“ (ნ. ლორთქ.).

ქურუმი გადატ. ვინც თავდადებით ემსახურება რაიმე საქმეს. ერთი სიტყვით, ჭამპურა პურ-მარილის *ქურუმი* გახლდათ (გ. ლეონ.).

დიალექტ. **II. ქურუნი** || **ქურუმი** – „გეჯა, როფი, ავაზანი, ამოღრმავებული დიდი ლოდი, ამოთლილი აუზი, წყაროებსა და დიდი ონკანთან, სასმელ წყლებთან დგას რამდენიმე, საქონელი სვამს წყალს, ზოგან ხისგან აკეთებენ“. დალევს თლათ იმ *ქურუნს* (ჯავახ. ბერ., მარტ., ზედგ.). შდრ. (თურქ.) Kuma.

**III. ქურუმი:** (მეგრ., ჭან.) დაუცხხავი ლომი (არნ. ჩიქ.). შდრ. ქერიმა, ქურიმა პირველი ლომი – საზა.

აღდგენილია, ს.-ქართვ. \*ქურიმ- მასალა შეაპირისპირა ი. ჯავახიშვილმა (ფენრიხი, სარჯველაძე 2000).

### ქუშ-ი:

საშ., ახ. ქართ. **I. ქუში** მოღუმული, გაბრაზებული. ვეფხი-ავაზა *პირ-ქუშად* ზის (ვეფხ. 1159, 2). **მოქუშვა:** მედგრად პირნი *მოიქუშნა* (ვეფხ. 579, 2). **გამქუშავი:** კუმტი, *პირ-გამქუშავია* (ვეფხ. 204, 1).

ესე რამე *ქუშად* შესთუალა, წყრომით ცხენსა მათრახი ჰკრა და წავიდა (ვისრ. 201, 16). მხიარულნი იცინოდეს, არვინ იყო კაცი *ქუშად* (შპნ. I, 1223, 4).

ახ. ქართ. **ქუში** 1. მწყრალი, მოღუმული, პირქუში. არ შეექმნა დარბაზობა მას დღეს როსტანს გულგამწყრალსა; რა გათენდა, *ქუში* ადგა, ჰგავს თუ ადენს პირით ალსა (რუსთაველი). || ფიგურ. დილა გათენდა ქუში..., ფეხზე დადგა ერი (ა. აბაშ.).

დიალექტ. მოღუმული, მრისხანე. თქვენ **ჩვენად რამ** ჩამოგყარნათ, არწივნო *ქუშნო* მთისანო? (ხევს. პოეზ. 486, ბ, 1) – ალ. ჭინჭ.

საშ., ახ., დიალექტ. ქართ. **II. ქუში** 1. „ძველი ხველა“ (საზა). 2. ცხენის სასუნთქავ ორგანოთ სნეულება, – ხველა (შდრ. ქოშინი) – ქეგლ.

**ქუში** ავადმყოფობა: ხველა და ქოშინი ახასიათებს. რა ქუში დაგემართა, რო ახველებ? (რაჭ. კობახ.).

სვან. ქუში ცხენის ავადმყოფობა (თოფ., ქალდ.).

ახ. ქართ., დიალექტ. **III. ქუში** ღრმა ძილი. *ქუში* გაუჯდათ ამ ვერანებს, ძილს მიეცნენ, აღარ იღვიძებენ (თამ.). რა *ქუში* შეეყარა? (მეგ., ქართლ. ლექსიკ.). ♦ **ძილქუში დააწევა** საუბ. ღრმა ძილი შეიპყრობს, მაგრად დაეძინება. რა ძილქუში დაგაწვა, რა მოგივიდა? (ა. ყაზბ.). მაღალლო უკვე დაწოლილიყო... – დედაკაცო – შეეხმანა გოდერძი – რა *ძილქუში* დაგაწვა (გ. ციც.). თუნდა გაეღვიძა, თუნდაც დასწოლოდა *ძილქუში*, არას ინაღვლიდა (ო. ჩხ.). ჩვენს მარანში წასვლითაც ეგრე ვიღლებით, *ქუში* დაგვაწევა ხოლმე (ვ. კობ.). შდრ. (თურქ.) ქუშ.

საშ. ქართ. **IV. ქუში** ძვ. თვალელამი, მარდი – დ. ჩუბ. **ქუში** ელამი თვალი ქედქიცვია ქამულასა ქიმისაკენ ქონან *ქუში* (ბეს. 97, 8). შდრ. II. ქემი.

დიალექტ. **V.** (ჯ.) **ქუში** 1. მთის წმინდა ბალახი, ქუჩი. ყანკიას გააქანებენ, *ქუშს* გააწითებს მთისასა (ხევს. თავისებ. 380, 32). [ხუტუნიშვილი] დილა რო კარში გამოვა, *ქუშს* გახენებდა მთისასა (ხევს. პოეზ. 587, 50) – ალ. ჭინჭ.

**ქუში** ბალახი ერთგვარი. ბალახია ქუში, სუ დაბალია, არ არი კარქი, მყრალი (დად.). საცა ქუში არ იყო სუ წმინდა ბალახი მოიდა (დად. ქართლ. ლექსიკ.). შდრ. **ქუშა**, **ქვიშა**-ბალახი (მთ. კაიშ.). აგრეთვე: I. ქვიშნა. იხ. I. ქუში.

**ქუშიან-ი:**

ახ. ქართ. **I. ქუშიანი:** ვისაც ქუში ახასიათებს. [რაზმელებს] არც... [ქალების] შეტევა აშინებდა და არც [მათი] *ქუშიანი* შუბლი აჩერებდა (მ. ჯავახ.). შდრ. I. ქუში.

ახ. ქართ. **II. ქუშიანი:** რასაც ქუში სჭირს, – ქუშით დაავადებული. იხ. II. ქუში. [ტურიკოს] *ქუშიანი* ცხენივით ქაქანი აუვარდა და სუნთქვა თანდათან უძნელდებოდ (ი. ელევთ.)

**ქუშტი-ი:**

საშ. ქართ. **I. ქუშტი** სამკურნალო მცენარეა, იგივე ყუსტი. აიღე. . ლა-ქი და *ქუშტი* მწარე ამთგანი წონა ოთხ-ოთხისა დრამისა (ქანან. 66, 8). შდრ. ყუსტი: აიღე:... ყუსტი და ენდროი იგივე ლეფშურა (ქანან. 296, 36).

ახ. ქართ. **II. ქუშტი** 1. იგივეა, რაც კუშტი. 2. კუთხ. (გურ.) ჯაშუში, მახეზღარა. დამალული მტერი იგივეა, ... რაც *ქუშტი* (ჭ. ლომთ.).

**ქუჩი-ი:**

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. ქუჩი** თომი – დ. ჩუბ. I. ქუჩი მრავალ-წლოვანი ბალახი მარცვლოვანთა ოჯახისა. „შენთვის ვასუქე ირმები, ვა-ძოვე ლელი, *ქუჩია?*“ (ვაჟა). აგერ *ქუჩი* და კესანე, პაწაწკინტელა თეთრაო, უძლებსა ძლებენ უძლებთა, გულში ჩაჰკვირიან მთებსაო (ბაჩ.).

დიალექტ. [ჯიხვები] *ქუჩს* სძოვენ თვირთვილიანსა, მიდიან წყნარის ბიჯითა (ხევს. პოეზ. 514, 6).

[ლუხუმმა] სიმშლით დაღონებულმა *ქუჩი* მამოვა მთისაო (ხევს. პოეზ. 91, 9).

ასევე ქუჩი გამოიყოფა კომპოზიტებში: **ქუჩმკრუვაი**, **ქუჩყრუაი** ბოტ. პატარა ქუჩი, ზოგან ეძახიან ცხვრის წივანას (მოხ. ქავთ.). შდრ. IV. ქუში. ზან. (მეგრ.) **ქუჩი** ქუცი ბუჩქი (ქობ.).

დიალექტ. გადატ. **ქუჩი** ჩალის, თივის ან ბალახის ფუნჯი, კონა. წა-მავიდავ ყარტის ქუჩივით ცეცხლიო-დ' სადაც დევრ-იყვავ, აიმაში გაეფ-შვნიტავ (ეთნ. კალენდ. 34, 564). სისხლს დააყენებენ ჯაშში და ჩალის *ქუჩით* მოაპკურებენ მთელ სახლში და კარ-მიდამოში (ალ. ოჩ. კალენდ. 154, 35). შდრ. **ქოჩი** „ცხვრის წივანა, წივანა“ (ა. მაყ.).

დიალექტ. **II. ქუჩი** თავშეხვეული კომბოსტოს ფოთლებს შორის დარჩე-ნილი ღია ადგილი (ლოკოკინა) შიგ *ქუჩში* უძვრებოდა თავშეხვეულ სალა-თას და კომბოსტოს თავებს (ივ. ქეშიკ.). შდრ. (თურქ.) ბოტ. ქოჩან გული.

დიალექტ. **III. ქუჩი** ჩიჩახვი ფრინველისა. *ქუჩი* მარტო ფრინველებს აქვთ: იხვსა, ბატსა, ქათამსა (კავთ.). *ქუჩები* გახეთქვაზე აქვთ და მაინც სახში მოიწევენ ეს ქათმები (კარალ.). ქათამს რო დაკლავ საჭმელს შეჭამს და ჩიჩახვი გაებერება, იტყვიან: *ქუჩი* გადმოუბრუნდაო (მესხ. ფეიქრ.). გაპუტავ, გატუსამ, ჯერ *ქუჩი* უნდა ამააცალო (ზ. ხანდ., ქართლ. ლექსიკ.).

### ქუჩა:

საშ., ახ. ქართ. **I. ქუჩა** [სპარს. ქუჩა]1. ქალაქებში (დაბებში) სახლების ორ მწკრივს შორის მოქცეული გზა. განიერი. *ქუჩები* ქვით არის წმინდად მოკირწყლული (ი. გოგებ.). გრიალებდა *ქუჩაზე* ეტლები (თ. რაზიკ.) 2. გადატ. ქუჩის მოსახლეობა, მცხოვრებნი. [მიხეილს] ეგონა, რომ სახლში მომხდარი ამბავი *ქუჩამ* უკვე იცოდა (ნ. ლომ.).

დიალექტ. **II. ქუჩა** (სპ. ქუჩ) გროვა, შეკრება. ერთად, ერთიანად. მთელი გორი ქუჩად ცხოვრობს (მოხ. ქავთ.).

შდრ. **ქუჩება**, თავმოყრა, შეგროვება **ქუჩდება**, მოგროვდება, იკრიბება. სახლიდან გამოდიან... ქალები და კაცები... *ქუჩდებიან* სახლის წინ და ლაპარაკობენ (ნ. ნაკაშ.). იხ. აგრეთვე: სხვადასხვა ზმნისწინიანი ქუჩფუძიანი ზმნები (ხევს. ჭინჭ., თუშ. უთურგ., ქიზ. მენტ., ფერეიდ. ჩხუბ., ფშ. ცოც.).

### ქუჩულა:

საშ. ქართ. **I. ქუჩულა** ყვავთ დამატორობელი წამალი – საბა.

ახ. ქართ. **II. ქუჩულა** ხევს. ერთმანეთზე მიყუდებული სამი ძნა.

**ქუჩალა** ხევს. *ქუჩად*, გროვად დადგმული თივა, -ზვინი. ორკაპალა ქუჩალა ნამგლით მოთიბული თივის მომცრო ზვინი. [ნაწენცლავ თივას] ერთად შეყრიან [შეაროვებენ] და „ქუჩალად“ ააგებენ „ქუჩალა“ – ბარში ნაწენცლავი თივის პატარა ზვინები] (მ. ბალ. ნ. მაკალ. 31). თივას *ქუჩალას* ვხურავდი. „ნუ გაღვარდების ავდარი“ (ხევს. ჭინჭ.). შდრ. II. ქუჩა.

## ღ

### ღადარი-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. ღადარი** წვრილი ნაკვერცხალი – საბა. ნუ ჩამაგდებ ყინვით ღადრად: დამფუფქავს ღადართა თუთქი (დ. გურამ. 113, 356). ღადარშიგან ჩაფლან და შეწვან (ქანან. 167, 16) ახ. ქართ. [დედას კვერი] ჩაუფლავს ღადარში და ესეც მოუთმენლად უცდის: როდის გამოცხვება ჩემი კვერიო? (აკაკი). დიალექტ. [ხარს] რქანრ-ხქონ განზე გაშლილნი, თვალნ უსხენ, როგორც ღადარი (ხევს. ჭინჭ.). ღადარი თ., ნაღვერდალი ფშ. ნაკვერცხალი. ღადარი ფშ. ცხელი ნაცარი – ა. შან. ღადრი მოხ., ღადრუმი ხ. ღადარი თ., ნარვერდალი ფშ. ნაკვერცხალი. „ღადრივით ღუის (მოხ.) – ა. შან.

შდრ. **ღადღადი** „მლიერი ნთება, ელვარება, კაშკაში, ბჟღვრიალი“, **ღუღღუდი** „წყნარად, უალოდ ნთება ცეცხლისა, ღუღუნ“, შდრ. ღად-, ღუღ- (ღადრი, ძვ. ქართ. ღუღება „ნელი ნთება“ (სანიკიძე 1976, 41).

საშ., ახ. ქართ. **II. ღადარი** [არაბ. ღადარ „მოღალატე“, «მატყუარა»] ძვ. «კაცი დაუნდობელი» (საბა). ბოლოდ ჭირშია გაგაბას ღადართა ჳელოვნებითა! (ქილ. 745, 28).

**ღადრად** ზმნს. დაუნდობლად. „ვითამც რამე სახარული საქმე მითხარ ვითა ადრად. მაგის მეტი რა ვინ მიყოს, თუ არ მომკლას მუხთლად, ღადრად! (ვეფხ. 757, 2). ნუ ჩამაგდებ ყინვით ღადრად (დ. გურამ. 113, 356, 2).

შდრ. **ღედღარი** (არ. gaddar) მკაცრი, ტირანი, მხეცური ბუნების მქონე. „ჩუენი დედეი მეგემ ღედღარი კაცი იყო“ (ად.). (ინ., ჩვენ. ფუტკ.).

### ღადო:

საშ., ახ. ქართ. **I. ღადო** (არაბ.) წყლის თამაში, ტალღა, მორევი. ზოგჯერ ღადომან გააგდო ნაპირსა, ვითა ძელია (შჰნ. I, 475, 2). თემთა შენობას დაარღვევს ნილოსის ღადოს ცემითა (ქილ. 445, 4).

**ღადო** 1. «ზღვის ღელვის ნქქრევა» (საბა), – ტალღა. [დიდვაჭარი] თვითონ ერთს ფიცარზედ შერჩა და ღადომ ნაპირს გააგდო (საბა). 2. გადატ. ტალღებად დაფენილი თმა, კულულები. მდიდარნი და ხშირნი თმანი ღადოდ გარდმოჰფენოდა მხრებზედ და აჩრდილებდნენ გულსა მისსა (გ. ერისთ.). [ქალის] შავი თმები დაშლილიყვნენ და სქელ ღადოებად გარდმოჰფენოდნენ ზურგზე (დ. ერისთ.).

საშ., ახ. ქართ. **II. ღადო** სერი, ქედი გორათა – დ. ჩუბ.

**ღადოი** მიუვალი, ქვალორღიანი. სათესავი ყანად და სათიბელი ქუეყანად რადთურთ არა არს, არცა იქმნების ღირლოლოვანთა მათ ფიცხელთა მწუერვალთა მათ ღადოთამს (ხანძთ. 262, 38). ღადოთა მათათა შინა მაღალთა არს მკვდრობად მათი (იქვე 269, 18). ჳეენი, რომენი მოსდგმანან ღადოთა (ვახტანგ VI, 178, 10). ღადოი მიუვალი მთა. უჩინა (მას) ... ჩრდილოთ საზღვარი ღადო (ქ. ცხ. I, სიმგ. 5,1).

ახ. ქართ. **ღადო** 1. ოდრო-ჩოდრო, უსწორმასწორო ადგილი, კლდე-ღრე (შდრ. ღადალუდა). თითქოს მათ განეზრახათ აავსონ ხევი, ღადონი (ა. ფურც.). 2. კავკასიონის მთის ერთ-ერთი შტოს სახელი, – სამცხის მთები. ღადო მთის სახელი ეხლაც არის შემონახული...; ღადოდ, ანუ სამცხის მთებზე იწოდებიან მთები აწყურვიდან მოყოლებული წყალწითელის მთამდე... წინათ-კი, როგორც ჩანს, ღადოდ იწოდებოდა მთა ლიხთაგან მოყოლებული... არსიანამდე (ივ. ჯავახ.).

შდრ. **ღადირი** ქედი გორაკათა წარზიდული ZA. ქედი გორაკ(ა)თაგან BCD. ღადა-ლუდა თუ პორინტალი და ღადო – საბა. ედემს ღადირად (ქ. ცხ. IV, 184, 21).

**ღადა-ლუდა** (ადგილი, სავალი) ძნელად სასიარულო. ქვა-კლდიანი. „ისრეთ ღადალუდაში მატარა, რო, მგონი იქ კაც ფეხიც არ დაეღა (ჯავახ. ზედგ.). აგრეთვე: (მოხ., გუდ., მთ., თ.) – ა. შან.

ს.-ქართვ. \*ღარდა „ხრამი“ ქართ. ღარდა „ხრამი“ ზან. (ლაზ.) ღრუდო, მეგრ. ღურდო „მოვარდნილი წყალისაგან ამოთხრილი ორმო“ (ჩუხუა 2017).

#### **ღალა:**

ძვ. ქართ. **I. ღალაი** ბეგარა, „საჭმარი“. „უნდა მას დატევებაჲ მრავალთა ღალათაჲ“ (მ. ცხ. 167, 11). „მისცემდა თითოეულსა ეკლესიასა ღალასა, რომელი კმა-ეყოფოდა“ (მ. ცხ. 167, 16).

საშ. ქართ. **ღალა** არს რა აგარაკისა უფალი სხვისა ნამუშავესა ზედა თვისსა განწესებულსა სარგოსა აღიღებდეს“ – საბა.

**ღალა** (არაბ.) ნაწილი მოსავლისა მამულის პატრონისადმი ბეგრად მისაცემი – დ. ჩუბ. ღალა რაოდენიმე ნაწილი მოსავალთა, მამულის პატრონისადმი ბეგრად მისაცემი, ვიეთნიმე უხმობენ ყალანად – ნ. ჩუბ.

ახლავ უნდა რაც ღალის პური არის, უნდა გაუყო შუაზე და მისცე ამას თავისი წილი (სამ. VIII, 530, ქვ. 6). იმის ღალას ბატონიშვილი იორამ თავისთუის ააღებინებდეს (სამ. IV, 111). იმისი ღალა-კულუხი რაც რიგი არის, ეკლესიას უნდა მისცეს (სამ. VIII, 461, ქვ. 7).

ახ. ქართ. **ღალა** [არაბ. ღალათ] 1. ისტ. „ყანის ბეგარა“ (საბა). გადასახადი მიწის სარგებლობისათვის (უპირატესად იხდიდნენ ჭირნახულის ან ფულის სახით). ღალა არის ის სასყიდელი ანუ, უკეთ ვთქვათ, ის მიწის ქირა, რომელსაც მიწის მოქმედი იხდის მიწის პატრონის სასარგებლოდ (ილია).

დიალექტ. [წინაშუადღეს] დასტურები წავლენ სოფელში ღალის მოსაკრეფად [არხოტის ჯვარის ყმები წელიწადში ერთ საწყავ ქერს ამლევენ ჯვარს. ამას ჰქვია ღალა]“ (ალ. ოჩ. კალენდ. 89, 6, 7) – ალ. ჭინჭ. ქართულში სიტყვის **ღალა** დამკვიდრების თარიღად ადრეული საუკუნეები უნდა მივიჩნიოთ, რადგან არაბების დაპყრობის შემდეგ, ქართველ გლეხობას დაე-

კისრა გადასახადი, ღალა, რაც სწორედ, საკვები პროდუქტის, მიწის ნაკვეთიდან მიღებულის გადახდას გულისხმობდა (იმედაძე 2014, 135).

საშ. ქართ. დიალექტ. **II. 1. ღალა** ფქვილი (არ. ღალლა) „პურის ხორბალი ანუ ხვარბალი“. აქედან ღალა ფქვილი (ქანან.).

შდრ. (თურქ.) **გალლე**-თავთავი, მოსავალი (პურის), შემოსავალი.

2. **ღალა** გამოსავალი, ბარაქა (მიწისა, ჭირნახულის და მით.) ცოცხალის თავით ვერ მივცემთ მტერს თავის მიწის *ღალას* (ვაჟა). ნუმც დაშრეს ნამი ქართლის წყაროთა, ნუმც ქართლის მიწის *ღალა* რძიანი (გ. ლეონ.). **ღალა** არაბულად მარცვლეულის, ბოსტნეულის და სხვანაირ მოსავალს ჰნიშნავს. ეს სიტყვა სპარსულშიც არის შეთვისებული და ქართულშიც, მაგრამ ქართულად მას მნიშვნელობა ოდნავ შეეცვალა (ჯავახიშვილი V, 1986, 107).

ახ. ქართ. დიალექტ. **III. ღალა** ნაწველი; წველის ბარაქიანობა და ცხიმიანობა. „ერთი ძროხა მომარგუნეს, იმასაც არ ჰქონდა ღალა“ (ხალხ.) [გულთამხეს] ხელთ იყო... ძროხების მოვლა- მოწველა, რძის ღალის გამოყენება (ვ. ბარნ.). ||ნაღები, ცხიმი. ღალით და კვერცხით ნაზუქის კეთება. დიალექტ. **ღალა** რძის სიმსუქნე, ცხიმიანობა (ჯავახ. ბერ.). **ღალიანი** ამბობენ ძროხაზე, რძეზე ღალიანი, ე. ი. ცხიმიანი, მსუყე ნაღებიანი რძე აქვსო. „თქვენი ძროხა ცოტას იწველის, მაგრამ რძე *ღალიანი* აქ“ (ჯავახ. ბერ.). **ღალაი** რძის ცხიმიანობა. მეტაჲ მონა (ცუდი) ძროხა გამომადგ, წველით გონთ (კარგად იწველებ, მაგრ სუც კი ღალა არ აქვის (თუშ. ცოც.).

**ღალა** აუღუღარი რძის ნაღები. „*ღალას* მივღებრავთ, მამრე საღალეჩი ჩავასხამთ (მოხ. ქავთ.). ღალა ნაღები რძისა (მთიულ. მაკალ.). შდრ. **ღალა** ლათ., ბერძნ. ღალ რძე.

გადატ. ახ. ქართ. თავლისათვის საჭირო ნექტარი, რასაც ფუტკარი წუწნის ყვავილებიდან. მთის ქართული, რუხი ფუტკარი უფრო შორს მიდის *ღალის* მოსატანად, ვიდრე სხვა რომელიმე ფუტკარი (რ. ერისთ.).

თუ ფუტკარმა *ღალის* მიწურულებში იბარტყა, მაშინ ხშირათ გარბის ხოლმე ტყისაკენ, სადაც *ღალიანობა* იმ დროს უხვია (მესხ. მრეწ. IV, II, 25).

ზან. ღალა ღალა, ქონება, ბარაქა, მარცვლეულის გადასახადი ძველ სამეგრელოში; სამფლობელო; წაღება, ტარება (მეგრ. ქობ.).

დიალექტ. **II. ღალა** გლახა, მდარე. ერთი ცოტა *ღალა* იყო მეორე კარგი იყო (ზ.-იმერ. წერეთ.).

ს.-ქართვ \***ღალ**- „გლახა“. სიტყვა დასტურდება მხოლოდ ქართულში, მაგრამ, სავარაუდოდ, ფუძესინდურ წარმომავლობას გულისხმობს; ვინაიდან სარწმუნო შესატყვისები უდასტურდება სინდურ ენებში (ჩუხუა 2017).

**ღალვა:**

საშ. ქართ. **I. ღალვა** სამკალი – საბა. შდრ. **II. ღალა**.

საშ. ქართ. **II. ღალვა** დავღალავ, მოვჰქანცავ – დ. ჩუბ. **ღალავს** ღლის. უწინ ვერ მღალავდა მუშაობა და ამ ბოლოს კი ძალიან ვიღლები (ე. ნინოშ.). მწუხარება... მღალავდა, თეთქვავდა ჩემს ნერვებს (დ. კლდ.).

ახ. ქართ. **III. ღალვა** (იმერ.) ცრუმორწ. სახელი ღალავს<sup>2</sup> ზმნის მოქმედებისა, – თვალის კვრა, გათვალვა . **ღალავ-ს**<sup>2</sup> ([შე]ღალა, [შე]უღალავს) კუთხ. (იმერ.) ცრუმორწ. გრდმ. თითქოს ავი თვალით ზიანს აყენებს, თვალს ჰკრავს, – გათვალავს – ქეგლ.

ღალა'ა (არაბ.) – შეცდომა, შეცოდვა, არასწორობა, მცდარობა, დაბნეულობა.

**ღარ-ი:**

საშ., ახ. ქართ. **I. ღარი** მილი: „ღვძლისაგან გამოვლენ ორნი განსადინელნი, მიმსგავსებულნი ღარსა“ (გრ. ნოს. -კაც. აგებ. 226, 23). **ღარი** გრძელი ხე შუა ამოჭრილი გასადინელად წყალთა – დ. ჩუბ.

**ღარი** 1. სითხის ღია სადინარი ხისა (ან ლითონისა). ამ თელისათვისვე აეყარათ ქერქი [მწყემსებს] და დაედოთ წყაროსთვის ღარად (ვაჟა). 2. გრძელი ჩაღრმავება რამეზე. შვილდს უფრო ძლიერი ღარი აუბა [მახარემ], ღარი გაუკეთა ისრისთვის (შ. არაგვ.). 3. ანატ. სახის ხაზი, – ნაოჭი. ივდითის სახეს... უკვე ღარებიც აჩნდა (მ. გარიყ.). || ფიგურ. სისხლმან და ცრემლმან გარევით ღაწვი ქმნის ღარად და ღარად (რუსთაველი).

დიალექტ. **ღარი, ღარაი** 1. წისქვილის ნაწილი – ნაველა. „ჭტიმირას აქუ ბატარაი ღარაი, რაზედაც მიკრობილია სარეკელია. 2. ჩაღრმავებული ზოლი სიგრძისად ცივ იარაღზე. „ხმალი ვისი სჯობს ხმლებჩია, ღუდღუშურის სამღარი“ (ხალხ. მაკალ. 277, 96; მოხ. ქავთ.).

აღდგენილია: \***ღარ-** ქართ. ღარ- ძირს კანონზომიერად შეესატყვისება მეგრ. ღორ- და სვან. ღარ; ღარი-ღურა „ხევ-ხუვი“ (ფენრიხი, სარჯველაძე 1990);

შდრ. **ღარა** კნინ. (ხევს. ჭინჭ.). **ღარიანი** – (ქართლ. ლექსიკ.). **ღარიანა** (ფშ. ხორნ.).

საშ. ქართ. **II. ღარი** რაღაც წამალი. მხურვალი წამალია მორიელის ნაკბენის, და შარდის შეკვრის ანუ ურემიის წინააღმდეგ; კარგია აგრეთვე გაფსკვნილი ძარღვის გასახსნელად. ღარი მხურვალია და მორიელის ნაკბენს უშველის (ქანან. 468, 18). ვფიქრობთ, რომ ღარ (არაბ. თურქ.). დაფნა.

**ღარიბ-ი:**

საშ. ქართ. **I. ღარიბი** უცხო ქვეყანაში მყოფი, მწირი, ყარიბი. უთხრა, თუ: „ძმანო, ვარ ვინმე ღარიბი უადგილოსა (ვეფხ. 212, 1). მუნამდის ქუეყანათაში განვიარები ღარიბად, ვირე მოაბადის ადგილი უმოაბადისოდ დარჩებოდეს (ვისრ. 127, 23)



მათ ვერე მითხრეს, ვითა: „ძმაო, არა თურე იცი, მით რომე ღარიბი და შორიელი კაცი ხარ (ამირან. 391, 2). ვინცა მნახის, დამიძახიან: ვინ ხარ უცხო ღარიბი? (რუსუდ. 22, 4).

დაახლოებით XIV საუკუნიდან მონაცვლეობს ღარიბი /ყარიბი ფორმები. ღარიბი უცხო. მესაჭამადეთ ზააქს ჰყავს, ღარიბი არის შორადო (შჰნ. III, 434, 2).

შდრ. **ყარიბი** [არაბ. ღარი\*ბ «უცხო»] 1. ძვ. უცხოობაში მყოფი, გადახვეწილი; უთვისტომო. უცხო თემის ყარიბ მთქმელსა რად აღმიგზუნ სიყვარული? (ილია). [გლეხი] უნდა წავიდეს უცხოეთს, იქ შეეთვისოს ყარიბად (აკაკი). 2. გადატ. უპატრონო, საცოდავი, საწყალი, ღარიბი. კაცი გამოჩნდა უცხო რამ, ჩამოგლეჯ-ჩამოწეწილი, ერთი ყარიბი, უშნო რამ (ვაჟა). ქვრივი და ყარიბი თავი ვის უნდა დაუგირავო? (რ. ერისთ.).

საშ. ქართ. **II. ღარიბი** (გადატ.) იშვიათი, უბადლო. გამოჩნდა მთვარე ნათლითა გარე შუქ-მონავანითა, ფარდაგსა შიგან მჯდომარე შესამოსლითა მწვანითა, საკრძალავი და ღარიბი, უცხოპირად და ტანითა (რუსთაველი). საუცხოო მეტად ძვირფასი. მეფემან გასცნა მრავალნი თვალნი, ღარიბად ქებულნი (ვეფხ. 368, 3).

თვალ-მარგალიტი ღარიბი უძღვნა ოქროსა გობითა (ვეფხ. 1385, 4).

ახ. ქართ. **III. ღარიბი** [არაბ. ღარი\*ბ] 1. მცირე ქონების პატრონი, მცირე შემოსავლის მქონე, – ხელმოკლე; უქონელი (საპირისპ. მდიდარი). მდიდარს უთხრეს, მშვიდობაში და ღარიბს უთხრეს, ვინ მოგცაო (ანდაზა). 2. იგივეა, რაც ღარიბული. ღარიბი, უბრალო სადილის შემდეგ გამოვეთხოვე მოხუცს (ნ. ლორთქ.). || უბრალო, მოურთავი, გაუწყობელი. სოფელ დიცურის პატარა, ღარიბ ეკლესიაში წირვა გათავდა (ნ. ლომ.). 3. ცოტას მქონე, ცოტას შემცველი. ზამთარში ტყე და მინდორი... სულდგმულით ძლიერ ღარიბი არის (ი. გოგებ.). 4. მწირი, უღალო. 5. სიღრმეს, ძალასმოკლებული, განუვითარებელი, სუსტი. [მოთხრობა] შინაარსით ღარიბია (ი. გოგებ.).

„საწყალი, საცოდავი, ღარიბი, უქონელი“ მნიშვნელობები მოგვიანო პერიოდს განეკუთვნება და იგი ოსმალური ენის გავლენას უნდა მივაწეროთ. ოსმ. *garîb* საბას მიერ განმარტებული ღარიბი (გარეშე წერილში სწერია, უცხოს(ა) ჰქვიან), სწორედ, არაბული /*Ḍarîb* – დან მომდინარე, უშუალოდ არაბულიდან დამკვიდრებული ლექსემა ქართულში, სადაც სრულ ფონეტიკურ თუ სემანტიკურ დამთხვევასთანაა ადგილი (იმედაძე 2014, 137).

**ღიმ-ი:**

ახ. ქართ. **I. ღიმი** იგივეა, რაც ღიმილი. ცოცხალი მაგის ღიმს ვერ ვეღირსე, ვკვდები და მაგისი ცრემლი ზედ დამდის (ილია). [დედოფალს] პირზე ღიმი მოუვიდა (ნ. ლორთქ.). [ბალღს] ტუჩებზე ღიმი უკრთის (რ. მარგ.).

**ღიმება, ღიმობა** „კაცი ბრძენი მდუმრიად *იღიმობნ*“ (Ath.-17, 289v).

ახ. ქართ. **II. ღიმი** [*Chaerophyllum bulbosum*] ორწლოვანი მცენარე ქოლგოსანთა ოჯახისა; იჭმება.; გვხვდება მეტწილად მთიანეთში. ჯავახეთისა ხილია ატოლი და *ღიმი* (ხალხ.).

დიალექტ. **ღიმა** (ქართლ. ფშ.) იგივეა, რაც ღიმი. ვეფხვებს უთელავ ტერფებით ბრტყელი ფოთლები ღიმისა (ვაჟა). „ღიმა – ბალახსა ჰქვია: ღობის ძირებში და ხილიანში მოდის..., ადოყდება ხოლმე საამურადა“ («დიალ.») ზან. (მეგრ.) **ღიმა** ღიმი (ერთგვარი ბალახი) (მეგრ. ქობ.).

### ღონე:

ძვ. ქართ. **I. ღონე** ხერხი, საცთური, ხრიკი, საშუალება, გამოსავალი: „დაიცევ სული ჩემი *ღონეთაგან* ეშმაკისათა“ (გ~ი 260v). „რომლითა *ღონითა* შევიდეთ მონასტერსა მას?“ (ლიმ. 133, 4).

ახ. ქართ. **ღონე** 1. ცოცხალი ორგანიზმის ფიზიკური მოქმედების უნარი, კუნთების მოქმედების ძალა, ენერგია. ხერხი სჯობია *ღონესა*, თუ კაცი მოიგონებსაო (ანდაზა). მუხლებში *ღონემ* გისუსტა, თმაში გერევა ჭადარა!? (აკაკი). || აქტიური მოქმედების ფიზიკური ან სულიერი შესაძლებლობა, უნარი. მრავალგვარი *ღონე* და მიდრეკილება ადამიანისა (ილია). 2. ხერხი, ღონისძიება, საშუალება, გზა, გამოსავალი. კურდღელს მეტი *ღონე* არა ჰქონდა, უნდა თავდაღმა დაშვებულიყო (ი. გოგებ.).

დიალექტ. **II. ღონე** სასროლი ბადის ქვედა კიდეზე შემოკვეცილი ნაწილი, რომელშიც თევზი ებმება, – **საღონე**. რამდენათ *ღონეს* ვშორდებით, თვლები დიდდება. *ღონეს* აქ ბჟირი თვლები, რო თევზი არ გამოვიდეს. *ღონის* შემდეგ თანდათან დიდება თვლები (შროშა, ზ.-იმერ. ძოწ.).

შდრ. ღონა (თევზ.) სომხურია, ქართულად ღორჯო ჰქვია – საბა. ღვანა ღორჯო – საბა. ამ სიტყვებისაგან იწარმოება: 1. **საღონე, საღონავი** ბადის ქვედა კიდეზე შემოკვეცილი ნაწილი, რომელშიც თევზი ებმება. «*საღონეში* თევზის ჩადრომა» («შინამრეწვ.»). ვისაც გასაშლელი ანუ სასროლი ბადე ჰქონდა, ორიოდე საათში გულს იჯერებდა ბადის *საღონავში* გაბმული კალმახების ფართხალით («ლიტ. გაზეთი»).

2. **საღვანავი** ბადის ქვედა კიდე, რომელშიც თევზი მოყვება ხოლმე (გურ. შარაშ.).

გვხვდება ზმნური ფორმაც: *ღვანაობს* ღვანავზე (ღონავზე) თევზაობს (ვარ.) (ქართლ. ლექსიკ.).

### ღრუბელ-ი:

ძვ. ქართ. **I. ღრუბელი** წყალთა მიწათა ჰაერისა ორთქლისა მიერ შეიქმნებიან (საბა).

„*ღრუბელმან* ნათლისამან დააგრილა მათ“ (მთ. 17, 5). „ჴმად იყო *ღრუბლით* გამო“ (მრ. 9, 7). „აღვიდე ზედა *ღრუბელთა*“ (I, ეს. 14, 14). „წყალობად თქუენი, ვითარცა *ღრუბელი* განთიადისად“ (O, ოვსე, 6, 4).

**უღრუბლო:** „ცას ვხედავთ, ძმანო, განრთხმულსა, შიშუელსა და უღრუბლოსა“ (ზას. კეს. სწავლ. 110, 23).

დასტურდება **ღრუბელ**-ფუძისაგან ნაწარმოები ფონეტიკურად ცვლილი ზმნური ფორმაც. **„მოდრუბება** მოდრუბლება. რაჟამს *მოვადრუბო* მე ქუეყანასა ზედა“ (Sin=37, 93v).

ახ. ქართ. **ღრუბელი** 1. წყლის შესქელებული ორთქლი, ჰაერში დაგროვილი. ცაზე გეყო მაგდენი მუქარა, *ღრუბელი*, გარდიყარეო (ვაჟა). სეტყვის *ღრუბელი* ადვილისაცნობია: იმას ააქვს თეთრი ან ყომრალიფერი (ი. გოგებ.). ცას *ღრუბელი* დაეყარა თეთრი, როგორც ყაჭი (გ. ლეონ.). || ფიგურ. წარსულის ბუნდოვან *ღრუბლებში* ჩემს წინაშე ჩვენი სახლი იხატება (ქ. ბაქრ. თარგმ.). 2. გადატ. მჭმუნვარება, სევდა, ნაღველი. გავიბუტე, მაგრამ თინათინის ერთი შემოხედვა საკმაო იყო, რომ ის ჩემი *ღრუბელი* გაეფანტა (აკაკი). 3. გადატ. ჰაერში დაგროვებული სქელი მასა (მაგ. კვამლისა, მტვრისა და ამისთ.). ყავრის სახურავიდან უზარმაზარი კვამლის *ღრუბლები* ამოდიოდა (დ. ერისთ.). აქა-იქ ბოლის *ღრუბელი* მოჩანდა (მ. ჯავახ.). თავზე ნაღმების დადგა *ღრუბელი* (გ. აბაშ.).

აგრეთვე: დიალექტ. **ღურბელი**: იმერული, გურული, ჯავახური, თუშური, ხევსურული, ფშაური, ჩვენებურების ქართული...

1. ღრუბელი, ღურბელ (gurbel) სიტყვასიტყვით „ცისშვილი“ (მარი, 1935, 178).

2. ა. არაბული ღრუბელ სიტყვაში გურული, მთის დიალექტებისა და ქართველური ენების მონაცემების მიხედვით აღადგენს ღუბ-ძირ ს და დასაშვებად მიაჩნია მისი დაკავშირება ღუბ- ზმნურ ძირთან (არაბული 1997, 42).

3. მ. ჩუხუას მიერ აღდგენილია ს.-ქართვ. \*ღრუბ-არქექტიპი (ჩუხუა 2017).

ჩვენი აზრით ღრუბელი < ღურბელისაგან მეტათეზისის გზით. **ღურბელი** კი მიმდებარა. -ელ სუფიქსი. ღურ- ფუძე; ბაგისმიერი, ხშული ბ განვითარებულია. **ღურ**-ფუძე იგივე უნდა იყოს რაც „სითხის დაღვრის, დაქცევის, დათხევის, „დაპკურების“ აღმნიშვნელ ზმნათა ფუძე. შდრ. გარდაიქცევის იგი (სარწყული) და *დაიღურების* (მ. ცხ. 145v).

ძვ. ქართ. **II. ღრუბელი** „ღრუბელი ესე არს გასაჯოცელი ღრუბელი, არის რამე ზღვათა შინა მცირე ცხო(ვ)ელი, იგი შეიქმს თვისად ბუდედ და ქვათა მოაბამს ზღვის კიდეთა, ვითარცა მხავსთა“ (საბა).

**ღრუბელი ზღვსაი** ზღვის ცხოველი: „*ღრუბელი ზღვსაჲ*, რომელი იპოხების და იზარდების ზღუასა შინა დიდად ნოტიობისაგან და არა აღიდრვის“ (გრ. ნოს. კაც. აგებ. 234, 4). **ღრუბელი ზღვსაი** ქართული სახელწოდება σπῆγιος // σφῆγιος და ლათინური spongia -ს სახელია ცნობილი ზღვის ცხოველისა (რუს. рынка). ე ს სახელწოდება ამ ცხოველს უნდა მიეღო ცის ღრუბლის ანალოგიით (ქერქაძე 1974, 189).

**ღრუბლის-გუარი ძუალი:** „ცხავის გუარი... და ღრუბლის-გუარი ძუალი, ვითარცა იგი ითქუა, რათა უზომობასა შინა ჰაერისა რომელობით შეცვალეზისასა არარაჲ თავის შორისსა ტუნსა ევენებოდის იჩქითად სული-სა მუნ შთაჭრისაგან“ (ზუნ. კაც. 122, 19).

ი. ქერქამე შენიშნავს, **ღრუბლის-გუარი** ძუალი იგივეა, რაც ცხავის-გუარი ძუალი და ითმოდს-გუარი ძუალი. ითმოს საცრის აღმნიშვნელი ბერძნული სიტყვაა. ῥ ῥῥῥῥ საცერიცა და ცხავიც ბადის მსგავსი ნასვრეტებიანი (უჯრედებიანი) საგანია. ე. ი. ღრუბლის გუარი ძუალი ნიშნავს ზღვის ღრუბლის მსგავსად დასვრეტელ ძვლის ფირფიტას (ქერქამე 1974, 189).

**ღრუბელი:** „მოილო ღრუბელი და ადავსო ძმრითა და დაადგა ლერწამი და ასუმედა მას“ (მთ. 27, 48).

ახ. ქართ. **ღრუბელი 1.** უდაბლესი მრავალუჯრედიანი ზღვის ცხოველი. 2. ამ ცხოველის ზოგიერთი სახეობის რბილი ფოროვანი ჩონჩხი, რომელიც კარგად ისრუტავს სითხეს და იხმარება დასაბანად ან რისამე გასარეცხად თუ გასაწმენდად. როგორ ამოაქვთ მუშებს ღრუბელი ზღვის ძირიდან? (ი. გოგებ.). ღრუბელი კარგად შლის... დაფაზე დაწერილსა (ი. გოგებ.). [დედა] წყალს... ათბობდა, ღრუბელს ჟღინთავდა და... იბანდა (დ. სულ.). // რეზინის ფოროვანი ნაკეთობა, რომელიც ბუნებრივ ღრუბელს მიაგავს; ხმარობენ დასაბანად (რისამე გასარეცხად ან საწმენდად)

### **ღუღუღ-ი:**

საშ., ახ. ქართ. **I. ღუღუდი** წითლად ამომჯდარი ფოლაქი მწერთ კბენისაგან, რომელიც მალე განჰქრების – დ. ჩუბ. **ღუღუდი** ხუწუწი – დ. ჩუბ.

ღუღუდი არაბ. მრ. რიცხვი ღუღად-სიმსივნეთაგანი, ბუბონი ან კოპი. მხ. რ. ღუღდა (ქანან.) – იუსტ. აბულამე.

**ღუღუდი** კანზე ამობურცული წამოწითლებული მუწუკების, მეჭეჭების მსგავსი ხორკლები. ტყემალი მოვკრიფე და ხელეზზე სულ ღუღუდეზი გამიჩნდა, გეგონება რამეს უკბენიაო («დიალ.»).

დიალექტ. **ღუღუღ-ღუღუდი** გადმაყარა დაფოთლა, ფოთლებით წითლად გამოყარა. ჰინჭრის ციება ძქონდა და ტანზე სულ ღუღუღ-ღუღუდი გადმაყარა (ავ. მოხ. ქავთ.).

დიალექტ. **II. ღუღუდი** მოუმწიფებელი (დასაპურებელი) ხორბლის, ქერის... თავთავი. სთველზე გონჯი ავდრები გაინიჟა და ღუღუდი ყანალა მოვმკე (მოხ. ღუღ.). ჩდილ ადგილჩი ჯეჯილი ვერ იზრდება, ჩალა ვერ გამადის, ყანა ღუღუდი რჩება („შინამრეწვ.“, მოხ. ქავთ.).

დიალექტ. **III. ღუღუდი // ჰუღუდი** (თ. ჰუღუტ(დუ) საზღვარი: „ღუღუდეზი ჩვენ კაცი დიგვიჭირეს იქა“ (მაჩხ., შავშ.).

საშ. ქართ. **IV. ღუდუდი** ვარვარება, ვლაპლაპებ, კეთილად ვანთი-ვარ (ცეცხლი) – დ. ჩუბ. ღუდება ნელად ვანთებ – დ. ჩუბ.

ღუდ-უდ < ღუდ-ღუდ შდრ. ღუდღუდი- კაშკაშა, წითელი ფერის გამოცემა ქეგლ (ერთელიშვილი 1980, 163).

**ღუდღუდ-ი:**

საშ. ქართ. **I. ღუდღუდი** იხ. I. ღუდუდი. სხვა ძუძუს ტკივილი რომე გამაგრდეს და გაუსივდეს და შიგან *ღუდღუდი* გამოჩნდეს თიასავითა გორვიდეს (ქანან. 163, 10).

საშ. ახ. ქართ. **II. ღუდღუდი** ნელი ცეცხლის ჯმა და დუდილისა – საბა. ღმრთაების ღირსსა ღვარულად *ღუდღუდი* ღაწვი ღებულა (ვახტ. VI, 65, 28). **ღუდღუდი** წყნარად, უალოდ ნთება ცეცხლისა, ღუღუნი. ცეცხლის *ღუდღუდმა...* ქეთევანსაც ფიქრები გაულვიძა (ეკ. გაბ.). || კაშკაშა წითელი ფერის გამოცემა. შდრ. IV. ღუდუდი.

## ყ

**ყაზა:**

საშ. ქართ., დიალექტ. **I. ყაზი** (არაბ. kap) სინი ფლავისა – დ. ჩუბ. **ყაზა**

1. ხის ჭურჭელია, 200 კილომდე ტევადობისა, ხის ხელიანი სარქველი აქვს, ჰერმენტულად იხურება. ყაზაში ინახავენ პურის მარცვალს (ჩხირაული).  
2. განსაზღვრული სივრცე, ადგილი რაიმეთი დასაკავებლად, რისამე მოსათავსებლად. დანებლული ნიგოზი ბევრ *ყაზას* არ დეიკავეფს (ზოსლევნი). ერთი კილო ზამზაც მეტ *ყაზას* დეიკავეფს, ვიდრე ერთი კილო ტყვია (ტაზაკინი, ზ.-იმერ. ძოწ.). ყაზ (აზ. გაზ). ჭურჭელი (ჯამი, ქვაბი, ლანგარი, სინი და მისთ.). ერ *ყაზ* ფლავ; ერ *ყაზ* ჰალვად; **ნაცრი ყაზ** ნაცრის ჩასაყრელად ქილისა თუ სხვა რაიმე ჭურჭლის გატეხილი ძირი (ინგ. ლამბ.).

**ყაზა** (ლექს. გურ.) მსუბუქი ტვირთი (ზამზა, მატყლი, თამბაქო, თივა, ცარიელი ქვევრი, კოკა, კასრი, ...) რბილია, ფართო ადგილს იჭერს. ხარები არ დეილლებიან, ურემზე *ყაზა* ტვირთი აწყვია (ლექს. ალავ. 2; გურ. შარამ.).

**ყაზა** შიგნიდან ფულურო, გარედან გაბერილი, გაფუებული (მაგ. ზამზა და სხვ.). ამბობენ: რა *ყაზა* საქონელი გაქვსო, ვითომ ალავს დიდს იჭერს, შიგ კი არაფერი ყრიაო საკუთ. დიდი, უშნო, უფასური, ვულგარული – ი. გრიშ.

**ყაზად წასვლა** დიდი ადგილის დაჭერა მსუბუქი რამის მიერ. ზამზა სუმბუქია, მაგრამ *ყაზად მიდის*; თივა *ყაზად ყაზად წავიდა* და ურემზე სხვა ველარაფერი დაუდეთ (ქიზ. მენტ.) შდრ. **ყაზი** (თურქ. kap) 1. ჭურჭელი; 2. ბუდე, ბალითა, ფუტლარი. „ცომი *ყაზში* შიგან ეიბერვის“ (იმ.). „იტზე გავჰყარეთ *ყაზები*“ (იმ.). „*ყაზები* მონარეცხელაი აჰამა“ (სტ., ჩვენ. ფუტკ.; ჯავახ. ზედგ.).

**II. ყაზა** დრო, ხანგრძლიობა, სიგრძის საზომი. შდრ. ოც წელიწადს კაი *ყაზა* აქ (იმერ. ქავთ.).

დიალექტ. **III. ყაზა** (თ. კაზა) მსხვილი უხეში, მდარე, ტლანქი, გაუთლელი, გაუსალაშინებელი, გაუჩორკნავი. ყაზა საქონელი, მსხვილფეხა საქონელი (აჭარ. ნიჟ.). „ნენეი *ყაზა*, სამსე ქალი იყო“ (სტ.). ძალიან *ყაზა* ლაპარაკი იცის (ინ. ჩვენ. ფუტკ.).

**ყაზზ-ი:**

საშ. ქართ. **I. ყაზზი** [არაბ. კაზზ] «ხელწერილი ხელშეუვალად პატრონობისა» (დ. ჩუბ.). *ყაზზი* მამცეს, რომ თქვენ ყოველთვინ თავი არ გაწყინოს (სამ. VII, 46). დემეტრე შენის ძმის ბათილამის *ყაზზი* ჰქონდა (სამ. IV, 686, 20).

საშ., ქართ. დიალექტ. **II. ყაზზი** [არაბ. სპარს. kabz «შეკვრა»] მწვავე ტკივილი, ნაწლავის სპაზმი. იგივეა, რაც ყაზზობა.

*ყაზზი*... სევდისაგან იყოს (იად. 416, 17).

„*ყაბზი* გახდა ჩუენი ნენეი“ (ინ., ჩვენ. ფუტკ.).

**ყაბზად ყოფნა** კუჭმეგრულობა. ერთი კვირაა ბავშვი *ყაბზად* არი (ჯავახ. ზედგ.).

**ყადარ-ი:**

**ყადარი, ყადრი** (არაბ.) ღირებულება, ფასი – დ. ჩუბ.

ახ. ქართ. **I. ყადარი** [არაბ. კადარ «ღირებულება»] საფერი, საკადრისი, ტოლი, ღირსი (შდრ. ყადრი). «დაწყნარდი, ბიჭო! სხვა მონახე დარი *ყადარი* (ვ. ბარნ.).

შდრ. **ყადარ** იმდენი, ამდენი (ჩვენ. ფუტკ.).

დიალექტ. **II. ყადარი** ხე, რომელსაც სიდამმლე შეეპრა. დაყადრება (რაჭ. კობახ.). შდრ. I. ყანდი.

**ყადალა:**

საშ., ქართ. **I. ყადალა** (არაბ.) აღკრძალვა, აკვეთა, დაშლა – დ. ჩუბ. იასაულს *ყადალა* უყავ (სამ. VIII, 88).

და უკეთუ გაპარებული ბაჟისაგან საქონელი დაიჭიროს, ანუ *ყადალა* – ნაქნარი დაიჭიროს მეზაჟემან, მსგავსად ქურდისა შვიდეულად გარდაეხადოს, და უმეტეს, ოდეს არს *ყადალა* გატანა სანოვაგისა (სამ. ბატ. დავ. 157, ქვ. 2).

ახ. ქართ. **ყადალა:** [თურქ. კადალ «აკრძალვა»] ხელისუფლების ან სასამართლო ორგანოების მიერ კერძო პირის ან ორგანიზაციის კუთვნილი ქონების მიმოქცევა-გამოყენების აღკვეთა. ◊ **ყადალას დაადებს** კრძალავს, უკრძალავს მიმოქცევას. მირიანს კარზე მიადგა სასამართლოს ბოქაული ხოსროს ვალის ასანაზღაურებლად, მის ქონებას ყადალა დაადვა (რ. გვეტ.). ◊ **ყადალას ხსნის** (ახსნის, მოხსნის) ყადალადადებულ ქონებას ათავისუფლებს, ნებას რთავს თავისუფალი მიმოქცევა-გამოყენებისას. ირლანდიაში სამაიორატო მამულებს *ყადალა* ახსნეს (ილია).

დიალექტ. **ყადალა** 1. საქონლის ნახვის საზღაური (ჯავახ. ბერ.). 2. *ყადალა* ზედმეტის გადახდევინება, ზარალის ანაზღაურება (ჯავახ. ზედგ.). ყადალა 3. მთ., მოხ., პირობა, ხელშეკრულობა. **ყადალა ქნეს**, პირი არ გატყდებოა; მთ. **ყადალა დაჰკრესო** (მოხ.) – ა. შან.

ახ. ქართ. **II. ყადალა** [თურქ. kadal «ნალი»] (ფშ.) დიდი ლურსმანი. კლდის შუა წელში გაიხსნა ლოდები და გადმოეყუდა ის, ვინაც დაატყვევა მონადირე და *ყადალებით* დააკერა დედამიწას, რომ ეცქირნა ქალისათვის და დამწვარიყო, დადაგულიყო (ვაჟა).

დიალექტ. *ყადალაის* ლურსმარი მაქვ, დაკვრ ვიცი რკინაითა (ხევს. ჭინჭ.).

**ყავალ-ი:**

ახ. ქართ. **I. ყავალი** [თურქ. კავალ «თოფის ლულა»] კუთხ. (გურ.) უშაშხანო, საჩიტე თოფი (გ. შარაშ.).

ახ. ქართ., დიალექტ. **II. ყავალი** (ჯავახ.) სალამურს ნიშნავს. მეცხვარე-მენახირეებს შეუსევიათ ცხვარ-ძროხა ახლად ამწვანებულ გორაკებზე და *ყავალის* (სალამურის) საამო სტვენა მოისმის (ვ. კოპტონ.). ეს სიტყვა საიათნოვასაც აქვს. „დოულ *ყავალისათვინა*“ – ი. გრიშ.

**ყავალი** (თურქ. კავალ) ჩასაბერი საკრავი, სალამურის მსგავსი, ოღონდ სალამურზე უფრო გრძელი (აჭარ. ნიჟ., ჯავახ. ზედგ.); ყავალი სალამური. ჩობანსა *ყავალი* აქ ენცული (იმ., ჩვენ. ფუტკ.).

ყავალ აზ. (გავალ დაირა) ზურნა ყავალ უკრავს ქალ გამაყონელ მუყანს შდრ. აქვე ნაღრა-ყავალ იგივეა, რაც ნაღრა-ზურნად (ინგ. ღამბ.).

**ყავალი** თურქულში ორივე ზემოაღნიშნული მნიშვნელობით გვხვდება. სავარაუდოდ, ეს სიტყვა სხვადასხვა დროს უნდა ესესხა ქართულ ენას.

**ყავლ-ი:**

საშ. ქართ. **I. ყავლი** დრო პაემანი – დ. ჩუბ. **ყავლი** განსაზღვრული დრო, ვადა. კელმწიფესა წინაშე ამისი პირი და *ყავლი* აიღოთ (შჰნ. III, 526, 5). ბატონს ვაამო, ჩავაგდო ახლა *ყავლი* და წერობა (არჩ. 508, 25, 3).

ახ. ქართ. **ყავლი** [არაზ. კავლ «პირობა»] განსაზღვრული, დათქმული, დაწესებული დრო რისამე პირობებისა, – ვადა. ახლა *ყავლი* გამივიდა, ციხეში აღარ ვიქნები (ვაჟა). || ფიგურ. ისევ ისე დგას ციხე გმირული, თუმცა *ყავლი* აქვს გათავებული (გ. ლეონ.).

დიალექტ. **ყავლი** ვადა; მოჯამაგირეობის ვადა. „ყავლი გასვლამდე შენთან ვიყავი, ერთხელაც არ წავსულვარ სახლში“; აქედან: **ყავლობა** მოჯამაგირეობის ერთი ციკლი. „სამი ყავლობა გავათავე ყოჩაანთად და ისინი ჩემი მომდურავენი არა ყოფილან“ (ქიზ. მენტ.). მაგრაინებს დიდი ხანია *ყავლი* გაუვიდა, ეხლა ვინ დაგიჯერამს. მაგამ დაკარქა *ყავლი*, ახლა სხვა რამიებს აქვს ყავლი (ჯავახ. ზედგ.)

*ყავლს* გაათავებ მშვიდობით, შინ მახოლ უეჭველია (ხევს. 446, 11). 2. შეღავათი, შემსუბუქება მდგომარეობისა (ავადმყოფობის დროს და მისთ.) იხ. აგრეთვე პირყავლ არ უვარგ, უპირყავლო, ყავლად ექნების, ყავლს დაადებს (ხევს. ჭინჭ.).

საშ. ქართ. **II. ყავლი** ძვ. (ოსმ.) «ჩალმა თავმწვეტი» (დ. ჩუბ.).

**ყაზახ-ი:**

საშ. ქართ. **I. ყაზახი** თურქული ტომი. მის დროს ქურდი, *ყაზახი* და მეკობრენი დაწყნარებით იყუნიან (ამირან. 709, ო სქ).

ყოველი იცნანა ვაჟკაცად და *ყაზახად* (ი. ბაგრატ. 461, 2). როგორც რომ ერთმან *ყაზახმან* მე მაშინ მამიარაო (დ. გურამ. 132,473,1). აქათ ესენი



მოვიდენ, ხისიყს მოუხდეს *ყაზახნი* (არჩ. 397, 1008, 1). თითოეულ მათგანს თან ახლდა *ყაზახთა* რაზმი (ალ. ჭავჭ. 92, 18).

**ყაზახში** სფანვერდი – ხან იჯდა (ი. ბარათ. 198, ქვ. 71).

**ყაზახი** – მხარე ისტორიულ ქვემო ქართლში, მდინარე აღსთაფის ქვემო წელზე (ახლანდელი აზერბაიჯანი, ყაზახის რაიონის ტერიტორია) („ვიკიპედია“).

*ყაზახში* ჩემი ორი კომბლი კაცი გახლავს, ბარატში ნარგებია (სამ. VIII. 725, 1).

ახ. ქართ. **II. ყაზახი** ყაზახები, ყაზახეთის მკვიდრი მოსახლეობა.

ახ. ქართ. **III. ყაზახი** კაზაკი. ორმოცდაათიოდე პლასტუნი და იმდე-ნივე ცხენოსანი *ყაზახი* სოფელში შემოვიდა (ლ. ქიაჩ.). კარებში გამოჩნდა რამდენიმე შეიარაღებული *ყაზახი* (ა. ყაზბ.).

(შდრ. კაზაკი [თურქ. ყაზაყ რუს. ენის მეშვე] 1. ისტ. და რევოლუცი-ამდ. იმ თავისუფალი ახალშენების მოსახლე, რომლებსაც ძველ რუსეთში (მე-16–18 საუკუნეებში) ქმნიდნენ მოსკოვის სახელმწიფოს განაპირა ადგი-ლებში მემამულეებისაგან გამოქცეული მრავალრიცხოვანი ყმები. 2. ძვე-ლი, ისტორიული კაზაკების შთამომავალი ან მათგან ჩამოყალიბებული სამხედრო ნაწილების ჯარისკაცი. ყუბანის კაზაკები. – დონის კაზაკთა დივიზია – გაიღო კარი და ოთახში შემოვიდა კოხტა, შუატანის, ყუბანის *კაზაკთა* გენერალი (დ. კლდ.).

შენ უნდა *ყაზახებიც* თან წაიყვანო და ზარდიასშვილი თავის საბუ-თებით ჩამოიყვანო (სამ. VIII, 743, ქვ. 9)

გადატ. **ყაზახი** [თურქ. კაზაკ «უსახლკარო»] ძვ. და კუთხ. (გურ. იმერ.) გლეხი. ერთს გურულს გლეხსა ჰკითხეს: აზნაური ხარ თუ *ყაზახიო*?! (ი. გოგებ.). მამა კაი იყო *ყაზახის* პირობაზე (ნ. ლორთქ.). შდრ. **ყამახი**, კამახი, გლეხი, მამაკაცი; ქმარი. 3. უხეში, 4. უჯიშო (გურ. შარაშ.). **კამახი** კაცი, ვაჟი (გურ. ჯაჯ.).

#### **ყათარ-ი:**

სამ. ქართ. **I. ყათარი** – სხვათა ენაა, ქართულად სტრატული ჰქვიან ZAA (საბა). სტრატული–ჯორთ შვიდეული (საბა).

ყათარი [არაბ.-თურქ. კა\*თარ «მწკრივი ცხოველთა»] 1 ძვ. ჯორთ შვი-დეული (საბა), – ქარავანი. იმ ქვეყანას კარგად გავა, *ყათარს* მარული აჰკი-დე («მაჰნამე»).

„ავკიდეთ თორმეტს *ყათარს* ცხენსა და ჯორსა“ (ამირან. 1967, 837).

სამ. ქართ. **II. ყათარი** კუთხ. (ქართლ.) იგივეა, რაც ეტი (მნიშვ. 2). 3. კუთხ. (ქვ.-იმერ.) კვალი. ბიძიას... მთელი *ყათარი* ჰქონდა ბაღში (რ. ქორქ.). *ყათარი* შარი, მწკრივი (ფარცხ., ქართლ. მენთ.).

ყათარის ამოსავალია არაბ. qatara ზმნა, თურქული katar ქარავანი, ჯოგის კოლონა როგორც არაბული წარმომავლობის ლექსემა დასტურდე-ბა ასევე ოსმალურ წყაროებშიც: katâr – მწკრივი, რიგი, ჯაჭვი (ოსმალურ–

თურქული ლექსიკონი 2007: 245). თუმცა, ამ უკანასკნელში არსადაა საუბარი აქლემთა და ჯორთა ქარავანზე. შესაძლებელია ყათარი ლექსემის სპარსული გზით შესვლა დაახლოებით XII საუკუნიდან, ხოლო დასავლეთ საქართველოს დიალექტებში დადასტურებული ფორმები ყათირი – „ჯორი“ (ზემო აჭარა), ყათარი – „კვალი“ (ქვემო იმერული) თურქული *katır* და ოსმალური *katâr* ფორმებიდან მომდინარეობს (იმედაძე 2014, 100).

#### ყალ-ი:

საშ. ქართ. **I. ყალი** ღალია სურნელოვანი ნივთიერება, მუშკისა და ამბრისაგან შემზადებული; სურნელი ზეთი(საბა); შავი ფერისა. შუადამემდისი ასრე იომეს, რომე სიცოცხლისაგან ყველასა პირი *ყალივითა* გაუქდა (შჰნ. III, 560, 43). შდრ. **ღალია** „სურნელი ზეთი“ (საბა).

ახ. ქართ. **II. ყალი** (ფშ.) მარხილის მსგავსად შეკრული ფიცრები თოვლში თივის სათრევად. *ყალებზე* შემჯდარი თივა უვნებლად და უკლებლად მოვიდოდა სახლში უხეტ-მახეტ გზებზე (ვაჟა).

საშ. ქართ. **III. ყალი** ორხოვა (თურქ.) – საბა. იხ. I. ხალი.

დიალექტ. **IV. ყალი** ოქრომჭედლის იარაღია: ლითონის ჭურჭელი ხარახურის სადნობლად (ქიზ. მენტ.).

#### ყამჩ-ი:

საშ. ქართ., დიალექტ. **I. ყამჩი** [თურქ. კამჩი «აბრეშუმის ნაჭერი»] ძვ. «ქალთა მოსართავი იარაღი, თავზედ შემოსაკრავი, თვლითა და მარგალიტით მოოჭვილი» (საბა). *ყამჩით*, ჯაჭვებით აღმასებით რთვენ (გრ. ორბ. 504, ქვ. 4). საქორწილოდ პატარძლის თავზე იალქანს ადგამდნენ თურმე ან *ყამჩს* (ქიზ. მრეწ. III, I, 17).

შდრ. **ყამჩა** 1. ქალთა მოსართავი იარაღი, თავზედ შემოსაკრავი, თვლითა და მარგალიტით მოოჭვილი (საბა- ყანჩი). 2. იალქანი. პატარძლებს ჩიხტზე უკეთებენ მოოჭვილ თავსახურავს თამარ დედოფალივით; 3. ნიკაპქვეშ რამდენიმე წყება მარგალიტის ფარლული, კავებქვეშ ამოდებული და თხემზედ ლეჩაქქვეშ შეკრული („ყამჩა – იგივე საყბური ყანჩა“, შდრ. „ივ“. 1904 წ., 103). 4. მათრახი – ი. გრიშ.

საშ. ქართ. **II. ყამჩი** მათრახი. ჯიღად ქვაბი, *ყამჩად* ბარი, ამბარჩებად საჯებია (თეიმ. I, 39, 69, 1).

დიალექტ. **ყამჩი** / **ყამში**: ცოცხალი გრლი *ყამჩით* აიღო (ჯავახ. მარტ., ზედგ. ინგ. იმნ.).

**ყამჩა** // **ყამჩი** თურქულ-სპარსული ლექსემა – *kamçî* // [qamçî] შემდეგი მნიშვნელობით – მათრახი. „ქალაქური ლექსიკონის“ მიხედვით ჩვენთვის საინტერესო სიტყვის სემანტიკური ველი ქართულში გაფართოებული ჩანს (ბართაია 2010, 208).

**ყანდ-ი:**

სამ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. ყანდი** [სპარ.-არაბ. känd «შაქარი»] ძვ. დაწმენდილი, თეთრი შაქარი (დ. ჩუბ.). **I.** ვისთა მჭვრეტელთა *ყანდისა* მირთმა ხამს მართ, მი-შერისა (ვეფხ. 3, 4). შენ ყოფილხარ მწარე შხნაკვი, მე მეგონე ტკბილი *ყანდი* (დ. გურამ. 60,17, 2). თუთა კი არა, ყინვარი შაქარია! . *ყანდია, ყანდი!* (რ. ერისთ.). || ფიგურ. მასპინძლობს ბანზე ჭავჭავაძე ლექსების *ყანდით* (გ. შატბ.). **ყანდი** ქართ. *ყანდებრ* გვაგემებ, თუ გვნახენ ხამად (ბეს. 72, 9). შდრ. კანდი შაქარი. აილე კანდი – ოცდაათი (ფანასკ. 151, 31).

**ყანდი**-ჩაი ჩოლოდუა (ფერეიდ. უთურგ., ჩხუბ.).

ახ. ქართ. **II. ყანდი** 1. დამპალი ადგილი (ხეზე). ამ დროს... ნაროკალეებში, *ყანდებში*, ნაცულარებში, სადაც-კი ჭია-ბუჭყების საბუდარი იყო, ერთი ჩურჩული... იდგა (თ. რაზიკ.). || დამპალი (ხე). [ქარიშხალო,] დაჰკა მძაფრად, დაუქროლე, გამხმარი და *ყანდი* ტოტი დაიმსხვრეს და დაილეწოს (შ. მღვიმ.). 2. სიდამპლე. ხომ სალადა ხარ, შიმელავ, ყანდი ხომ არსად გაგიჩნდა? (თ. რაზიკ.). || ფიგურ. მასპინძლობს ბანზე ჭავჭავაძე ლექსების *ყანდით* (გ. შატბ.).

დიალექტ. *ყანდი* ხილს მშრალად შეენახვა უნდა, რომ არ დალპეს, დამპალ ხილს (აგრეთვე კარტოფილს, ხეს) *ყანდიანს* ეძახიან, *ყანდი* აქვსო, იტყვიან (ალგ. სალ. 172).

**ყანდი** 1. ახლად შეპარული ღობა, ზადი, ხინჯი. ამ ხეს *ყანდი* აუღია, საფიცრეთ აღარ ივარგამს. 2. გადატ. ცუდი აზრი, ღალატით რამ. იმას რალაც ყანდის შეპარვა შევამჩნიე, აპა, როგორღა იქნებოდა ჩვენი ამხანაკობა. მე რა ვიცოდი იმას რა *ყანდი* ჰქონდა გულში. 3. გადატ. ავადმყოფობა. ჩვენებიენტ იოსებას რაც ის ყანდი შეეპარა, იმი მერე ვეღარ მუშაოთ. *ყანდიანი* რასაც ყანდი აქვს (შემპარავი, ღალატიანი, ავადმყოფი) (ჯავახ. ზედგ.).

**ყანდარბ, დაყანდრებულ** ღობაშეპარული ხე. *დაყანდრებულ* მორებს ფიცარ არ გამოვ შეშად თუ მიცქმარებ (თუშ. ცოც.).

ს.-ქართვ. \*ყან-დ- „ზადი, ჭუჭყი, სიდამპლე“ > ქართ. ყანდ-|| ყად-რ || ყარტ-ლ || ყანდ-რ-: ზან კუნდ- < \*ყონდ- : სვან. კან < \*კანდ- \*ყან-დ (ჩუხუა 2000-2003).

**ყანჩ-ი:**

სამ. ქართ. **I. ყანჩი** ფასკუნჯი (დ. ჩუბ.). **ყანჩი** მიმინოს უმცირესია, ჰაერში მყოფი, განუსვენებელად – საბა. „რაჟამს მიჰხედო შენ *ყანჩსა*, შთაჰყოფდეს რა იგი ყელსა თვსსა სიღრმესა“ (ბ. კეს.-ექუს. დღ. 120, 13). „არა ჰჭამოთ, რამეთუ საძაგელ არს: ორბი და *ყანჩი* და ძერა“ (M, ლევიტ. 11, 13).

სამ. ქართ. **II. ყანჩი** ძვ. **I.** ყამჩი (დ. ჩუბ.). ქალთა მოსართავი იარაღი, თავზედ შემოსაკრავი. თვლითა და მარგალტით მოოჭვილი – საბა.

დიალექტ. **III. ყანჩი** მიწა მიწა, რომელსაც მზე არ ანათებს. მზე რო არ ხვთება *ყანჩ* მიწას ვეტყვით (უჩამეთი). შდრ. **ყლანჩი** // **ყრანჩი** მიწა, ყრანჩი მიწა ყლანჩი მიწა, მზე რო არ ანათეფს, ისაა (ზარანი), ეს მიწა *ყრანჩი* მიწაა და კაი მოსავალი არ მოვა (ზვარე, ზ.-იმერ. ძოწ.).

#### **ყანჩა:**

ახ. ქართ. **I. ყანჩა** ზოოლ. წყლის ფრინველი, აქვს გრძელი კისერი, დიდი ნისკარტი და მაღალი ფეხები. ზოგან წყლის პირად თეთრი *ყანჩა* წამოუფრინდებოდა წინ [ზახვას] (გ. წერეთ.). ტბაზე ჩრდილი დაეცემა *ყანჩის*, ფრთას დაჰკრავს და გადაბზარავს სარკეს (ი. მოსაშ.).

ახ. ქართ. **II. ყანჩა** საყბურე. იხ. II. **ყანჩი**.

#### **ყასაბ-ი:**

საშ. ქართ. **I. ყასაბი** ერთგვარი თხელი და გამჭვირვალე ქსოვილი, გააზი. ტანისა სითეთრე ბროლსა ჰგუნდა *ყასაბგარდაფენილსა* (ვისრ. 188, 4). შდრ. ყასაბა (არაბ. დაბა); ან თავსახურავი ქალთა – დ. ჩუბ.

დიალექტ. ყასაბაგორ თავსაკრავაგის ძველებური სახელი. წინავ თავსაკრავაგს ხქვივნებიყვ, ყასაბაყივ სცოდნიყვ (თუშ. ცოც.).

ძვ., საშ., ახ. ქართ. დიალექტ. **II. ყასაბი** [არაბ. käsap] 1. საქონლის დამკვლელი ან ხორცის გამყიდველი. დიდვაჭრის ძღვნობა უკვირდა *ყასაბსა* სახელდებულსა (ნ. ციცი. 181, 1). ცხვარს ფას *ყასაბს* მივაბარებთ (სამ. VIII, 26, 1). მერე იხილეს *ყასაბები* (ი. ზაგრატი. 490, 25).

ძვ. ქართ. გვხვდება **კასაბიგ**: *კასაბი* მექონდრაქე, რომლისა თარგმანი არს *კასაბი* (ეტლ. 1, 12).

ახ. ქართ. თხა თავს ტიროდა და *ყასაბი* ქონსაო (ანდაზა). ესეც ძროხის ხორცი! ჩალაღაჯია, *ყასაბ* გიგოლას მოვაჭრევინე (ვაჟა).

საშ., ახ. ქართ. 2. იტყვიან კაცის მკვლელზე, ჯალათზე. *ყასაბი* იყავ ადამიანისა (ნ. ლორთქ.).

დიალექტ. **ყასაბი** (kasap) მეხორციე. „ხორცი ამფრა რომე გიყუარს, *ყასაბი* გახდი (ინ., ჩვენ. ფუტკ.).

#### **ყასაბა:**

საშ. ქართ. **I. ყასაბა** (თურქ. დაბა). მომცრო ქალაქი, მოზღუდვილი – საბა.

**ყასაბა** (არ. kasaba) ქალაქი (შედარებით პატარა). „მოსულა და დაჟდომილა *ყასაბაში*“ (ან.). „გურჯებმა *ყასაბა* დაკვავეთ“ (ინ.). „*ყასაბაში* ეიმსენ ფოცხოვლები“ (ინ.). „მემრე სოფლებში, ვილაეთებში, *ყასაბებში* გაგარიგე“ (ინ. ჩვენ., ფუტკ.).

ახ. ქართ. **II. ყასაბა** თავსახურავი ქალთა – დ. ჩუბ.

ახ. ქართ. **ყასაზა** [არაბ. კასაბ «ნაზი ქსოვილი, ეგვიპტური; მზის სხივი»] იგივეა, რაც შუბლსაფენი. თავზე შამოსაკვრელი ირიბათ იყო გამოჭრილი. *ყასაბას* ვეძახოდით იმას («მინამრეწვ.»).

**ყაფ-ი:**

საშ. ქართ. **I. ყაფი: ყაფის მთა** კავკასიის მთა – დ. ჩუბ.

(მოახსენა ყაისარს სიდედრმა თვისმა ტირილითა) შენისა შიშითა დევნი *ყაფისა მთასა* შიგან იხიზნებიან და ნიანგნი ზღვათ აშიგან (რუსუდ. 381, 22). მას ჟამად *მთასასა ყაფისასა*, სახელად ქუი ყამარ წოდებულსა შინა ერთი დევი მკვიდრობდა (ყარამ. 41, 31). სრულად *ყაფისა მთისა* ბატონობასა მოვაცემინებ (შჰნ. III, 8, 39). მას მეფესა ერთი ქორი ჰყუა, რომელი ერთხელ მოფრენით ფასკუნჯსა *ყაფისა მთისაგან* ჩამოიტაცებდა (ქილ. 711, 20).

ყაფის მთას ზემოდასახელებული ლიტერატურის ლექსიკონების შემდგენლები შემდეგნაირად განმარტავენ: **ყაფის მთა** < არაბ. ყაფ ზღაპრული მთის სახელია. ირანულ თქმულებათა მიხედვით იგი გარემემო უარს ხმელეთს. კავკასიის მთასაც ყაფის მთას უწოდებენ. **ყაფის მთა** ზღაპრული მთა, ზღაპრული მთა, რომელიც ვითომ გარს ერტყმის დედამიწას ყოველ მხარეს.

არაბული და სპარსული ლექსიკონების მიხედვით ყაფის მთის ძველ მნიშვნელობად მიჩნეულია **კავკასია**. მიგვაჩნია, რომ ყაფ-ისათვის ამოსავალია კავ (კასია) ხოლო ყ < კ; ფ < ვ აღმოსავლურ ენებისათვის ცნობილი პროცესია. მისი ძირითადი მნიშვნელობა „ლეგენდარული, ზღაპრული მთა“ მეორეულია და „კავკასიის გადატ. ხმარების შედეგადაა წარმოქმნილი. ნათარგმნ ძეგლებში კი მის უკუსესხებას აქვს ადგილი.

საშ. ქართ. **II. ყაფი** (თურქ.) კარი, ბჭე – საბა. შდრ. **ალაყაფი** ჩვეულებისამებრ – გამოთქმაში: ალაყაფის კარები ჭიშკარი, ეზოს დიდი კარი. ამ დროს ვიდაცამ ალაყაფის კარებს დაუწყო რახუნი, რაც ძალი და ღონე ჰქონდა (რ. ერისთ.). ეზოს ბოლოში *ალაყაფის* კარზე რაღაც რაკარუკი ატყდა (რ. ინან.). თეთრხალათიანებს ალაყაფში დაჭრილები შეჰყავდათ საკაცეებით (ა. სულაჯ.). || გალავნის კარი (ციხე-ქალაქში).

**ყაჯარ-ი:**

საშ. ქართ. **I. ყაჯარი** (თათრ.) ორთუქი – დ. ჩუბ.

ახ. ქართ. **ყაჯარი** 1. უნაგირზე გადასაფარებელი მოქარგული ქსოვილი. ყაჯარს ქვეშ, უნაგირის საწყვეტებში, იყო ჩაკრული პატარა ხურჯინი (მელან.). 2. იგივეა, რაც ასალი. ეხლაც იცის ზოგიერთმა და ქსოვენ კიდევ... ჯეჯიმებს, *ყაჯრებს* (დ. მაჩხ.).

ახ. ქართ. **II. ყაჯარი** ჩრდილო ირანული მოსახლეობის თურქული მოდგმის ტომი (ამ ტომიდან იყო ალა-მაჰმად ხანი) (კახურ. ქიზიყ. 25).

**III. ყაჯარი** ფრინველი (უნცივერს. ელერდ.). შდრ. **ყაჯირი**: ფრინვე. ძერძერუკი (დ. ჩუბ.; ხევს. ჭინჭ., თუმ. ცოც.).

**ყბედ-ი:**

ძვ. ქართ. **I. ყბედი:** „მსგავს არს კელმწიფებამ ესე ცოდვთამ ცხენსა *ყბედსა*, რომელი უკუმართ ზიდავენ“ (Ath. – 11, 274r).

**ყბედი** „ყბამოქცეულ ცხენს“ უნდა ნიშნავდეს. იმასვე რასაც ყბაჩუა „ყბა-მრუდი“ (საბა), ყბაჩურა (იმერ. ქავთ.), ყბაჩო (მთ. კაიშ), ყბაცა (ქიზ. მენთ.). ყბედი < ყბა. ს.-ქართვ. \*ყბ- „ყბა“, „წვერი“ (ჩუხუა 2017).

საშ. ქართ. **II. ყბედი** „უდარესისაგან უშვერი პასუხის მიცემა“. დ. ჩუ-ბინაშვილი – „მოულალავად მოლაპარაკე, მოტარტარე, ტარატურა“.

ზღაპარი არის *ყბედისა* (ვეფხ. 1141, 2). მოგახსენებ მე სიტყვასა და-ნაყბედსა (ვეფხ. 113, 1). რაღას გელაყბო... *ყბედსა*, გულ-დიდსა (არჩ. 205, 127, 2, 4). – „არა ესე სჯობს“, – „არ ესე“ – სიცილით ყველა *ყბედევდა* (თეიმ. I, 137, 82, 3).

ახ. ქართ. ყბედი ქველში კვალიფიცირებული, როგორც უპატივცემულო ფორმა. „ბევრის მოლაპარაკე, მოლაყბე, ლაქლაქა“. ყბედი რამ მოღალათ და მუნჯმაო (ანდაზა). ყბედო! ახლა ყბები არ დაგელალა! (ა. ცაგარ.). || ფიგურ. ჭემმარტი გრძნობა მუნჯია, უტყვია, და პატარა კი ყბედი და ლაქლაქა (ილია). დიალექტ. **მოყბედე** ლაპარაკის მოყვარული. ბევრი მოლაპარაკე რო არი ადამიანი, *მოყბედეი*, იმას ეტყვიან ლაქათს (ერედ.) (ქართლ. მესხ.).

**ყისტ-ი:**

საშ. ქართ. **I. ყისტი** მიზეზი, შარი. მოგიდებს *ყისტებსა*, წამოგკრავს ქიშტებსა, ჩაგამტვრევს ცხვირ-პირს (დ. გურამ.). მერმე შინათ აიშალნენ, ძმამ მოუდვა ძმასა *ყისტი* (დ. გურამ. 85 165, 3). შდრ. **ქისპი**, **ქიშპი**. **ქიშპი** (სპარს.) ინადი, ჯიბრი – დ. ჩუბ.

ახ. ქართ. **II. ყისტი** იხ. I. ქისტი. *ყისტსა* სცემს, მოსდებს (მოუდებს) მოარტყამს, მოსცხებს (კისერში), სტყეპს. [ჭივჭავები] საწყალ ნიბლიას კისერში სცემდნენ *ყისტებსა* (ვაჟა).

საშ. ქართ. **III. ყისტი** ძვ. ყიშტი. **ყიშტი** სავაჭროზედ ბაჟი – დ. ჩუბ. თუ ხალხში თანხა უმიშრად არა ტრიალებს..., მაშინ ურთიერთშორისი *ყისტი*, ეხტიბარი (კრედიტი), ნდობა გატეხილია (ილია).

**ყმენდ-ი:**

დიალექტ. **I. ყმენდი** იხ. II. ყანდი. ფქვილ *ყმენდი* აუღია, უგემური პური გამოვს! მასალა რო *ყმენდს* აიღემს, მერე იმით ცული ტარი ან სხუა რამე აღარ'ნა გააკეთო (ჯავახ. ზედგ.).

დიალექტ. **II. ყმენდი** ჩუმი, ულაპარაკო. გამოგვიტანე პასუხი იქედანო. *ყმენდი* ოჯახია, ვერაფერი გევიგე, პასუხიც ვერ მოუტანე. ასე *ყმენდი* ოჯახი მეზარება (ბოსლევნი, ქართლ. ლექსიკ.).

შდრ. „სული ყმენდის და განსიკუნის ყოლად“ (ფიზ. XXIII, 10). „შეყმედილი დახსნილი. შეყმედილი არიან სიყმილითა“ (გოდ. იერემ. 2, 19).

**ყოლბ-ი:**

საშ. ქართ. **I. ყოლბი** (თურქ.) კაცნი გარ შემორიგებულნი – საბა. *მრავალი ჯარი* ჭვრეტად გამოვიდენ და გარ *ყოლბად* მოადგენ (ქილ. 405, 23).

საშ., ახ. ქართ. **II. ყოლბი** [თურქ. კულბ «სახელური», «ყური»] იგივეა, რაც ალყა. მათ ლაშქართა *ყოლბსა* შუა ორბი სითმე გარდმოფრინდა (რუს-თაველი). ეს ჩემ ქმრეულთაც შეიტყვეს, *ყოლბი* დამარტყეს ღამითა (ბაჩ.).

**ყორან-ი:**

ძვ., ახ. ქართ. **I. ყორანი** corvus: 1. მოზრდილი ფრინველი ბელურას-ნაირთა რიგისა; შავია: „შავ, ვითარცა *ყორანი*“ (O, ქება 5, 11). „განიცადენით ყორანნი, რამეთუ არა ჰსთესვენ, არცა მკიან“ (ლ. 12, 34).

კომპოზიციური დაჯდა *ყორანი* (ნ. ციცი. 572, 922, 2).

ახ. ქართ. არ გათეთრდება ყორანი, რაც გინდა ხეხო ქვიშითა (ანდაზა). „ვაი თუ შენს ღამაზე თვალებს ყვავი კორტნის და *ყორანი* (აკაკი). მირბის, მიმაფრენს უგზო – უკვლოდ ჩემი მერანი, უკან მომჩხავის თვალბედიითი შავი *ყორანი!*“ (ნ. ბარათ.).

ს.-ქართველურისთვის აღდგენილია ფუძე \*ყორ- (ჩუხუა 2017).

ახ. ქართ. **II. ყორანი** იგივეა, რაც ყურანი. დავითი... დადიოდა... მეჩეთში, ისმენდა... *ყორანის* კითხვას (ილია). ყორანი < ყურანი.

შდრ. **ყურანი** [არაბ. al-qu'rān „კითხვა“] მუსულმანთა საღვთო წიგნი, რომელიც შეიცავს მაჰმადის მოძღვრებას.

წიგნსა მისსა *ყურანსა* შინა (ქ. ცხ. II, 284, 16).

**III. ყორანი** ცის სამხრეთ ნახევარსფეროს თანავარსკვლავედი – ა. სიხ.

**ყოში-ი:**

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. ყოში** მაჯის პირი – დ. ჩუბ. [ესტატემ] ახალახის *ყოში* გადიწია, თითქო საბრძოლველად ემზადებო (ს. მგალობ.). და ყაფლანას ქართულ კაბას გასცვეთია *ყოშის* კალთა (ი. გრიშ.).

დიალექტ. **ყოში**, ყოშები სამაჯურები, სახელოებზე შემოსაკერებელი. „წინავა სცოდნიათ. ახალუხის სახელოზე მიკერება. ჩემს ბიჭობაში მეცა მქონდის“ გუდ. – ა. შან.

ახ. ქართ. **II. ყოში** კოვზის მსგავსი ხელსაწყო ფქვილისა და მისთ. ამოსადებად. ბაყლის ნიჩაბი ფქვილის ან მარცვლის ამოსადებად (ქიზ. მენტ.). შდრ. ხევს. კოში. ს.-ქართვ. \*ყოშ- „აყირო; ყინტორა“ > ქართ. ყოში-ი > || კოში-ი სვან. ყუასგ || ყუასგ < \*ყუემქ-უ < \*ყუემქ (ჩუხუა 2000-2003).

**ყოი-ი:**

საშ. ქართ. **I. ყოი:** კვკუნო ბერძულია, ქართულად აკაური ჰქვიან (+სომხურად კარაპი, თათრულად ყუი ჰქვიან) – საბა.

გარეული ფრინველების დასახელებისას იოანე ბატონიშვილი ასახელებს *ყოი*-საც (კალმას. 552, ქვ. 6).

ახ. ქართ. **ყოი** ფრინვ. ყორანი (სარფი, 174).

დიალექტ. **II. ყოი** (koyu) მუქი. „ყოი ჩაი წარეა“ (იმ., ჩვენ. ფუტკ.).  
შდრ. ყუყა მეტად შავი – ქეგლ.

დიალექტ. **III. ყუ//ყოი** (< თურქ. kuyu) ჭა (გურგენიძე 1973, 19).

**ყოი** (თ. ყუ) ჭა. „ჭკვა რომ რიგდებოდა, მაი კაცი ყუიში ყოფილა“;  
„ყველა კაცის თოკვით *ყოიში* არ ჩეისლება (აჭარ. ნიჟ.). ყუი (თ. kuyu) ორმო.  
„თველზე ამოვთხრით და *ყოებში* ჩავხყრით, ავახვებთ ყუებსა“ (ზოხ. შავმ.).

#### **ყოვი-ი:**

საშ. ქართ. **I. ყოვი** ოსმალ. მფრინ. – დ. ჩუბ. იხ. I. ყუი.

საშ. ქართ. **II. ყოვი** ბუმბულის ლეიბი. ქვეშაგებს გამლის, ბალიშებს,  
*ყოვებს* (დ. გურამ. 270, 385, 2).

#### **ყონ-ი:**

ძვ. ქართ. **I. ყონი** ზავი: „აღთქუმად აღუთქუეს, *ყონი* დაისუეს, მონად დაემორჩილნეს ძეთა ისრაჴლისათა“ (ო, II, მგ. 10, 19).

დიალექტ. **ყონი** „მიჯნა, სამიჯნე ქვაა ყანებს შორის“ (მოხ. ქაჯ.).  
მიწის ნაკვეთებს შორის გამყოფი მიჯნა, სამანი ქვისა. თუ ქვებს შორის  
კვალიცაა გავლებული, ეწოდება *ყონ-კოლი*; „არამი კაცია, *ყონ-კოლს*  
გეებბჴის სულა“ (მოხ. ქავთ.). **მეკოლყონე** ადამიანი, რომელსაც სჩვევია  
სხვისი ნაკვეთის გადახვნა, კვალისა და ყუნის გამრუდება თავის სასარ-  
გებლოდ, მეკოლყონე კაცია, არა სცხუენიან რა!“ (ა. კ.) (მოხ. ქავთ.).

აღდგენილია ს.-ქართვ. \*ყონ- არქეტიპი (ჩუხუა 2017).

საშ. ქართ. **II. ყონი** ფრინველი. და ოდესმე უბიან ორნი აკაურნი ანუ  
*ყონი*, თეთრნი და წმინდები (კალმას. 124, 3).

#### **ყური-ი:**

ძვ. ქართ. **I. ყური** სასმენელი: 1. ჭურჭლის ხელმოსაკიდებელი. „*ყური*  
ისმენს გარეშეთა სიტყუათა და მისცემ ცნობასა გონებისასა“ (მ. სწ. 176, 13),  
„რომელსა ასხენ *ყურნი* სმენად, ესმოდენ“ (მთ. 11, 15). „*ყურნი* მათნი და-  
უყრუვდენ“ (ო მიქ. 7, 16).

2. **ყური** ტანსაცმლის კალთის კუდი. „იყვნეს ოთხთავე *ყურთა* მის  
საბლარდნელისათა სადგმელნი ოქროქსოვილნი“ (პოვნა სტეფ. 658).

შეუპყრა ორკეცი სამოსლისა *ყური* ეპიფანეს და მოაპო იგი (საკ.  
წიგნ. II, 110, 30).

ყური ფართოდ გავრცელებული ლექსემაა ქართულში სხვადასხვა  
წარმოებით და და შესაბამისად სხვადასხვა სემანტიკით .

ახ. ქართ. **ყური** 1. ადამიანისა და ცხოველის სმენის ორგანო. ყური  
იმიტომ არ იზრდება, რომ ბევრის გამგონიან (ანდაზა). 2. რისამე (ჩვეუ-  
ლებრივ ჭურჭლის) ხელის მოსაკიდებელი ნაწილი, – სახელური. მექოთ-



ნეს საითაც უნდა, ქოთანს *ყურს* იქით გაუკეთებსო (ანდაზა). მარეხმა ზარი *ყურით* ხელში აიღო (შ. არაგვ.). 3. ლებნის ერთი ნახევარი, კაკლის გულის მეოთხედი. 4. რაიმე კუთხოვანი საგნის კუთხე, წვერი. მართამ... თვალზე მომდგარი ცრემლი თავშალის *ყურით* მოიწმინდა (მიხ. მრევლ.). [ხუცესმა] ასწია საბნის ყური (ვ. ბარნ.). ყმაწვილმა ქალმა... სახოცის *ყურით* მოიხოცა ლოყაზე ოფლი (ე. ნინოშ.).

გადატ. **ყურ** (ფანტურის) სიმების დასაჭიმი ჩხრი. ჩონგურის *ყურებს* ზოგნ თითებს ეძახიან (თუშ. ცოც.).

აღდგენილია ს.-ქართვ. \***ყურ** (ჩუხუა 2017).

დიალექტ. **II. ყური** – „ადვილად მოსატყუებელი ვინმე, ყურყურა, არიფი. „ჰა, გინდა რაღა მომატყუო, რა *ყური* ვარ?“ (ვითომ ყურიდან დასაჭერი ბავშვი ხომ არა ვარო)“ (ი. გრიშ.).

შესაძლებელია, ყური ფონეტიკურად სახეცვლილი ფორმა იყოს თურქულ-სპარსული ლექსემისა კულ // [qɯl] – ყული, მონა და აქ არაფერ შუაში იყოს ი. გრიშაშვილისეული გააზრება – „ვითომ ყურიდან დასაჭერი ბავში ხომ არა ვარო“. კულ // [qɯl] (მონა, მსახური), სავსებით ესადაგება „ქალაქურ ლექსიკონში“ მოყვანილ მაგალითებს (იხ. ყული) (ბართაია 2010).

დიალექტ. **III. ყური** ჩაიდანნი (შდრ. სპ. quri) ჩაიდანნი (ფერეიდ. ჩხუბ.).

## შ

**შაბაქა:**

საშ. ქართ. **I. შაბაქა** უსულოზედ ამოჭრილი – საბა. **შაბაქა** ფანჯარა, სორო; ქსელი. აუზისა პირსა მარმარილოს ტახტი იყო შეკრული და *შაბაქა* იყო ზედ მოჭრილი, ზედ ლომისა და ვეფხვისა ტყავით იყო მოფენილი (შპნ. III, 419, 40).

ახ. ქართ. **შაბაქა** [სპარ. შაბაქე «წვრილი ნაქსოვი»] ფოთლოვანი ან სწორხაზოვანი ორნამენტი ფიცარზე ან ლითონზე (ი. გრიშ.). ◊ **შაბაქა ხერხი** კუთხ. (ქიზ.) იგივეა, რაც გველიკუდა ხერხი (იხ. ხერხი). კანკელს წინა პირიდან ფარავს მეორე – *შაბაქა* ხერხით გამოხერხილი, კანკელი («ივერია»).

დიალექტ. **შაბაქაჯი** აივნის ხის ფიგურებიანი მოაჯირი, ბუხუთას ორ სახლს ხქონდ *შაბაქაჯებ*, ჩვენსად აფთარაულისას (თუშ. ცოც.).

საშ., ახ. ქართ. **II. შაბაქა** იგივეა, რაც შიბაქი (დ. ჩუბ.).

**შაბაშ-ი:**

საშ. ქართ. **I. შაბაში** თავის უფლობა საქმისაგან – დ. ჩუბ.

ახ. ქართ. **შაბაში** [ძვ.-ებრ. šabbāth «მოსვენება»] მუშაობის შეწყვეტა, – დასვენება (შდრ. შაბათი). მზე დაგემაღათ, მზემ გიღალატათ, – მზემაც ინდომა ერთხელ *შაბაში* (გ. ლეონ.).

ახ. ქართ., დიალექტ. **II. შაბაში** [სპარ. შაბაშ šâdbâš-იდან «იყავ მხიარული»] ეთნ. ქორწილში (ლხინში) მოცეკვავის ან მემუსიკეთა სასარგებლოდ შეგროვებული ფული. მესამე დღეს პატარძალი ათამაშეს, *შაბაში* მიართვეს (ა. ერ.-ხოშტ.).

დიალექტ. ქორწილში ან ისე დროსტარებაში დამკვრელების გასამრჯელო არი *შაბაში* (რუისი). პატარძლის *შაბაში* პატარძალი რო თამაშოფს, ფულ მიულოცამენ და ის არი პატარძლი *შაბაში* (რუისი., ქართლ. მესხ.).

ასევე: შაბაში (ქართლ., მიძ., კეცხ., ხუბ., მთ., კაიშ., ფშ. ხორნ., ინგ. ღამბ., თუშ. ცოც.).

საშ. ქართ. **III. შაბაში** რომელიღაც ხალხის სახელწოდება. შიშველ-მართალი, ციღამტკაველი, აბაშ- შაბაში, ღვედკეც-ეველი (შავთ. 60, 3).

ნ. მართ – ბედნიერი არაბეთის (არაბიას) მკვიდრნი, საბზელები (შრ. IV, რო) მ. ჯანაშვილით – შაბბესენი, მეშაბათე ებრაელები (აბდ., 1920, 56; ლოლაშვილი, 1984, 255).

**შად-ი:**

საშ. ქართ., დიალექტ. **I. შარადი შადი**, მძიმე ნაქსოვი – დ. ჩუბ. **შადი** ოქსინო – თ. ბაგრატი. *შადი* მაღლის ცის დუქანზედ ქუეყანის ბაზრის ვაჭართა გარდმოუკიდა (ქილ. 977, 5).

**შადი** ძვირფასი ქსოვილი იყო ერთგვარი (გურ. ღლ.). შდრ. I. შარდი.

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **II. შადი** [სპარ. შა\*დ «მხიარული», «გახარებული»] ძვ. ერთგვარი (სუფრული) სიმღერა. აქ ისმის «დილა-ოდილა», «კაბდური», «თინა-თინაო!» – აქ «შადო», «მრავალჭამიერ», «მზემ სხივი მოგაფინაო!» (აკაკი). || «მოლხენა» (ა. შან.). ავდეგ, მსხდომნი ნადიმობით აემზადნენ ასაყრელადა: *შადი – ვუთხარ – ნუ ასდგებით, მოვალ ხანთა დაუზმელად* (რუსთაველი). ჭირნი ჩემნი უსაზომო ამ საქმითა გავაშადე (ქილ. 191, 14).

**შად** (აზ.) მხიარული; სასიხარულო. დღე (დღეს) ე კაც ფუშმან არა (მოწყენილი არაა), შადი (მხიარულია); მე შენთან მოსუვარ შად საქმედზე (სასიხარულო საქმისათვის) (ინგ. ღამბ.).

**შადა:**

საშ. ქართ. **I. შადა** ძაფზედ ასხმული მარგალიტი, ანუ შარადი. შარადი შადი, ნაქსოვია მიძიმე – ნ. და დ. ჩუბ. შდრ. I. შარდი, შადი.

საშ. ქართ. **II. შადა** მხიარულება, ლხინი. შადა შააპარეს, სევდა განაქარვეს მგლოვიარეთა (დ. გურ. 251, 264, 3). იხ. III. შადი.

**შავა // შაჰვა:**

ძვ., საშ. ქართ. **I. შავა // შაჰვა** ესე არს ნდომა ხალისიანი უცხო სანახავთა, გინა (ანუ B) საჭმელთა და (თუ B) რადსაცა; კარაბადინში ცხო(ვ)ელთ თესლიც შავად აღუწერიათ, ვინათგან იგიცა ნდომისაგან არს (მომატების B) ZAB. შაჰვა Cb. შაჰვა...შავა ZAB. (+ შავა C; + ანუ CqD) სხვათა სანდომ(ელ)თა. შავად (შაჰვად D) ითქმის თესლიცა ცხოველთანი – საბა.

**შაჰვა** ვნება. კაცი უხვი იყოს და *შაჰვისა* და ტანის სამოსისა კეკლუცისა მოყუარე (ეტლ. I, 25-26). იხ. აგრეთვე: **შაჰვისმოყუარე** მრუში – ზ. სარჯ.

გინა იყო ეგზომი შავა (ამირანდ 166, 5). აწ ჩემთა *შავათა* ნდომასა ესე ეგონება, რომე ქათამთა ამათგანი ერთიც არის ვიკელთო (ქილ 425, 24). შდრ. სპარს. **შაჰვათ** სურვილი – ალ. ელერდ.

საშ. ქართ. **II. შავა** გიშერი (შავა ZAaBCD; სათ BCD.) სათი ZABCab – საბა.

ახ. ქართ. **შავა** რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი. ქალშავა. თავშავა. შდრ. შავი.

**შათირ-ი:**

საშ. ქართ. **I. შათირი** არაბთა ენაა, ქართულად შიქრიკი და სხვები ჰქვიან – საბა, დ., ნ. ჩუბ. შათირი შიკრიკი მაშინ ვახტანგს მოსლოდა... მამუკა *შათირი* არჩილ მეფისაგან (ქ. ცხ. 478, 4)

ახ. ქართ. **შათირი** [არაბ. შა\*თირ «მაღემსრბოლი»] ძვ. იგივეა, რაც შიკრიკი. კრივისათვის არც განცხადება იყო საჭირო და არც *შათირების* დაგზავნა (ი. გრიშ.). ერთის ფეხით ჩამოგისწროთ ჩემმა *შათირმა* (ვ. ბარნ.). || ფიგურ. მე უნდა მყავდეს *შათირი* ცხენი, რომ გამარჯვება გახაროთ ყველას (ი. აბაშ.). და ნიავი – ზღვის *შათირი* ვერ დაუვლის სამაიას (ი. გრიშ.).

დიალექტ. გადატ. **შათირი** შიკრიკი, მხლებელი. „მე რა შენი *შათირი* ვარ, რო წარამარა მგზავნი, საცა გინდა“; „მე რა შენი *შათირი* ვარ, რო სულ თან გახლდე“ (ქიზ. მენტ.). **შათირი** პატარძლის მხლებელი, რომელიც თვალყურს ადევნებს მას ქმრის ოჯახში მიყვანამდის (გურ. შარაშ.).

დიალექტ. **II. შათირი** დაშნა (გურ. ჯაჯ.) ხორცის სანაყავი . ფართო ცულისებრი პირის მქონე დანა (მესხ. მაისურ) – ალ. ღლ. სათირი (თ. სა-თირ < არაბ.) ფართო პირიანი სამზარეულო დანა.

### შალაფ-ი:

საშ. ქართ. **I. შალაფი** «ფიცრის სახურეტი» (საბა). შალაფი (სპარს.) მათხაბი, ციბრუტი, ფიცრის სახურეტი – დ. ჩუბ.

ვინ *შალაფს* ხმარობს, ხარატობს (არჩ. 517, 72, 3).

ახ. ქართ. [იორდანემ] გახურებული *შალაფი* აიღო და ... [თხილის] შოლტებს თავი გაუხვრიტა (პ. ჩხიკვ.). იოგანს თვალის ადგილებზედ თითქოს წვრილი *შალაფით* გაეხვრიტათ (ა. ყაზბ. IV, 250, 32).

დიალექტ. აგრეთვე: შალაფი ხევსურული, ფშაური მთიულური, ლეჩხუმური და სხვ. შდრ. თუშური **შელაფი**.

ზან. შალაფი / შალაბი ბურღი, სახურეტი რქისა, ძვლისა ან ხისა, ტარზე გამობმული ღვედით, რომლის გაწეგ-გამოწევიტ მოდის მოქმედებაში და ტრიალებს იგივეა შალაფი (მეგრ. ქობ.).

ახ. ქართ., დიალექტ. **II. შალაფი** კუთხ. (ფშ.) იგივეა, რაც მდელოს წივანა. წინ მივიბრძოდი, მივთიბდი დიყსა, ქუჩსა და *შალაფსა* (ვაჟა). შდრ. **შალაფა** ბალახია, იზრდება ნოტიო, ჭაობიან ადგილას, ამით სიმინდის ფუჩეჩს კონებად კრავენ (კახ. მარტ., იმნ.).

### შალთა:

საშ. ქართ. **I. შალთა** ძვ. «საბლარდნელი სამოსელთათვის, რათა არა გაბაყლიანდეს» (საბა). ბუდე ისრისა, წიგნისა – დ. ჩუბ

ზან. შალთა შალითა (მეგრ. ქობ).

შდრ. **ჩალთა** (იხ. ჩ ა ლ ი თ ა. ხელი მოუსვა დოსტაქარმა [დაჭრილს] უბეზე, პატარა *ჩალთა* ამოიღო (ი. მაჭავ. თარგმ.). **ჩალითა** ტყავისა ან სხვა რამ მსგავსი მასალისაგან გაკეთებული ბუდე, საცავი (შდრ. შ ა ლ ი თ ა).

**შალთა** < **შალითა** საგნის ფორმის მიხედვით შეკერილი ქსოვილის (ტყავისა და მისთ.). შალითა (სპ. შალითე) – ალ. ელერდ.

საშ. ქართ., დიალექტ. **II. შალთა** 1. ძვ. ნამგლის მოყვანილობის რკინის დაკბილული იარაღი ბოსტნეულის გასამარგლავად (საბა).

დიალექტ. **შალთა** ბოსტნეულის (ხახვის, ნივრის...) საომავი და სამარგლავი იარაღი, რკინისა, პირიანი (მარაბ.). **შალთავს** შალთით ოშავს ბოსტნეულს (ხახვს, ნიორს... „რკინა პატარა, პირიანი, იმით ხახვს შალთამენ“ (მარაბ., ქართლ. მენტ.). შალთნ დიდი დანა. „ქარქაშიან დანან მჭედლის ნაკეთებნ (თუშ. ცოც., თუშ. ხუბ.). შდრ. ჩალთვა კუწვა, წვრილად ჭრა, დაქუცმაცება (ქიზ. მენტ.).

საშ. ქართ. **III. შალთა** მც. (დ. ჩუბ.). ფუჩფუჩა. შალთა < სალდა. **სალდა** ბალახი – საბა.

#### შამ-ი:

საშ. ქართ. **I. შამი** (არაბ. შამ) ქონი, სიმსუქნე. და თუ უფრო ძალიანი იყოს (პატრუკი) და გინდოდეს, ჩაურთე თანა ერთი ნაწილი *შამი* (ქანან. 24, 34).

ახ. ქართ., დიალექტ. **II. შამი** სანთელი – ი. გრიშ. **შამი** სანთელი (შდრ. არაბ.-სპ. šām' სანთელი). იქ *შამეფს* ავანთეფთ (ფერეიდ. უთურგ., ჩხუბ., გიუნ. 195, 30).

იდენტური ფონეტიკური სახითა და სემანტიკური დატვირთვით არაბულსა და სპარსულ ენებში არის ლექსიკური ერთეული – [šām'] (ბართაია 2010, 190).

ძვ., საშ., ქართ., დიალექტ. ქართ. **III. შამი** სირია. „დაიპყრეს ყოველი ქუეყანად *შამისად*“ (H- 341, 624). არმანით *შამამდინ* ერთი თქუენი მტერი არა ჩანს (ვისრ. 275, 6). მან ხარაზმა ჭხელმწიფის შვილი *შამს* მიიყუნა (ქილ. 940, 13).

შდრ. **შაჰამი** იგივე შამი-სირია. შაჰამს მოვიდა, იქ დადგა (შჰნ. III, 392, 1).

დიალექტ. **შამ** (შამ) დამასკო. ძალიან შორს. შორიშორ არიან, ერთი-*შამ*, მიერე ყირიმ, ამფრა არ იქნება! (ინ., ჩვენ. ფუტკ.).

**შამი** სირია? „თამარ დედოფალი ვიყავ. *შამს* საბალახე ავიღე (ფშ. რაზიკ.).

#### შამან-ი:

საშ. ქართ. **I. შამანი** ჭაჭის ნაწური – ნ. ჩუბ.

ახ. ქართ. **შამანი** 1. კუთხ. (ქართლ. კახ.) უდედო, დაუდუღებელი, ტკბილი, სუსტი ღვინო. «დალიე, კაცო! შამანი გიდგა მთელი ხელადა (ვ. ბარნ.). || იგივეა, რაც ნაქაჩი.

ტკბილისა და შამანის რეალური მნიშვნელობის გასათვალისწინებლად ივ. ჯავახიშვილი ორ საბუთს ასახელებს. ერთი 1475 წ. მამია ზევდგინიძისაგან შიომღვიმისადმი შეწირულობის წიგნს წარმოადგენს. იქ ნა-

თქვამია: ჩემგან მონასტრისათვის შეწირული ვენახითგან მეზვრეს „შამნის... მეტი მას“ არაფერი ერგება და „რაცა იმათ ნავსა ტკბილი გამოვიდეს, ორი ჭური შამნიანი ჩავდგა“ და იქ ჩაასხანო (ისტ. საბ., III, 30). მეორე საბუთი ამილახორი თაყა ზევდგინიძის 1523 წ. შეწირულობის წიგნია, რომელშიც სწერია „როცა იმათ ვენაქსა (... ჩემგან შეწირულსა) ტკბილი გამოვიდეს, სამად გაიყოფოდეს, მესამედი ტკბილი და „შამანი“ მეზვრეს მიეცესო. ამ მეზვრეს „იმა ვენაქისა მესამედ ტკბილი ერგების და შამანი სრულად“-ო (ისტ. საბ., III, 54; ჯავახიშვილი 1986, V, 662).

ილია აღნიშნავდა, „წყლის დასხმა ჭაჭაზედ ჩვენც ძალიან კარგად ვიცით, რამდენი უნდა ისიც ვიცით, რომ წყალდასხმული ჭაჭა დუღილსაც დაიწყებს, თუმცა ძალიან სუსტად. ბალღს ვერ იპოით ჩვენში, რომ ამ გზით ღვინის გაბევრება არ იცოდეს და ამისთანა ღვინის სახელი არ გითხრას. ამას ჩვენში „შამანს“ ეძახიან და მდაბიო ხალხი, მუშა სვამს“ (ილია).

დიალექტ: (ქიზ. მენტ., ინგ. დამბ., ხევს. ჭინჭ., თუშ. ცოც., ფშ. გოგატ., იმერ. უკლ., გ.-კახ. მრეწ. IV, III, 87, ქართლ. მტკრ. სამხრ. მრეწ. IV, III, 111, თუშ. მრეწ. III<sub>2</sub>, 96).

2. **შამანი** 1. ნაბოლოვარი, სუსტი არაყი. „ცოტა შამან დგას ნახევლიტრაჩი“ (ხევს. თავისებ. 333, 9). „განა შასასმელ რაად ას, შამანი, მაგრამ შამანიც აიმ ლულაზე გამავლილი, რა ლულაზედაც კი არაყ გამადის“ (სტმასპ. 79, 36) – ალ. ჭინჭ.

სვანურში რბილი, ცუდი არაყის მნიშვნელობით დასტურდება *შამანდელი* (სვან. ლიპარტ.).

ახ. ქართ., დიალექტ. **II. შამანი** I. (ქართლ. კახ.) შავი ჩირქნარევი სისხლი. „ვაჰ, ... ერთი ჯოხი მჭეროდა, რომ იმ თავზე შამანი გადმომედინა! (ს. მგალობ.). „სულ თავ-პირს დაგამტვრევ, შამანს გამოგადენ“ (ა. ცაგარ.).

ჩხუბის დროს გამოდენილი სისხლი. ერთ მაგრ შემოვდუნდლე-დ' გავადინ შამანაყტ (თუშ. ხუბ.). შამანი ფიგურალურად სისხლია ჯვართ ენაზე. შამნიანი ფიგურ. სისხლიანი (ჯვართ ენაზე). ტყვიით მაკლული, შამნიანიო, ახლა ორ ციხის ზეთვალჩიაო (ალ. ოჩ. კალენდ. 137, 27).

**სისხლის შამანი** „სისხლის მანანა“. „სისხლი, სიკვდილიანობა. [მზექალი] შამასწყრავ კარატიონსავ ან გუდანის-ჯვარსაო-დ' გადმამყოლავ სისხლის შამანიო' ჯიგვის თავ-რქანივ“. ერცხვას ვინც დახვოცდ იმაზე იყვ (თ. ოჩ. სარწმ. 71) – ალ. ჭინჭ. დაედვა შავი სარქველი.

შდრ. ძვ. ქართ. **შარავი** ჩირქიანი წყლული. იჩენს თავს. „მოიგენ შენცა, შ, საკურველო, წამალნი დასადებელნი წყლულებათა ზედა ემპალასტრდ გამაქმობელნი წყლულისანი, და წამალნი შესასუმელნი? და საოლავნი თუალთანი დამკვრელნი განტეხილთა ასოთანი და განსაწმედელნი შარავთანი და დამყენებელნი სულმყრალობათანი“ (Ler 96, 67v, 12-8).

ახ. ქართ. შარავი იგივეა, რაც შალალი. [გლექს] კისერიც და მხრებიც იარად გადაჰქცეოდა, აქა-იქ *შარავი* ჩამოსდიოდა (მ. ჯავახ.).

**შარანი** (ქიზ.) «შავი სისხლი» (ს. მენტ.) – ქეგლ.

**შალამი** კუთხ. (იმერ. რაჭ.) ჩირქი, ბალღამი (შდრ. შალალი). ბზუკვიდან რომ ჩირქი და წყალი გადმოდის, იმაზე იტყვიან შალამი გადმოდისო («დიალ.») – ქეგლ. შალამი ჩირქი. გამოდიოდა შალამი ყურის ძირში, არ შეეხენ, ძვალშიგნი ყოფილა დაზიანებული (უჩამეთი). შალამი დიოდა (ზ.-იმერ. მოწ.).

**შალალი** სქელი და მყრალი ნადენი წყლულებისა – საბა. შალალი ჩირქი, ბაყლი (ჯავახ. ზედგ.).

**შამარა** შავი, ჩირქნარევი ან ვენური სისხლი (მეგრ. ქობ.).

ვფიქრობთ, რომ შარავი > შალალი. ზან. შამარა შავი, ჩირქნარევი ან ვენური სისხლი (მეგრ. ქობ.).

ახ. ქართ. **III. შამანი** [თურქ. შამან «ჯადოქარი», «გრძნეული»] ზოგ ხალხებში – მკურნალი-ჯადოქარი, რომელიც თითქოს სულების დახმარებით კურნავს ავადმყოფებს.

პირველყოფილ საზოგადოებაშივე იქმნება ცალკე პროფესია ჯადოქარების, მაგების, *შამანების*, მოგვიანებით ქურუმების კასტა (თ. ფანჯიკ. ცისკ.).

### შან-ი:

ძვ. ქართ. **I. შანი** იხ. I. შანა.

ახ. ქართ. **II. შანი**:  $\diamond$  **შანის მოგება, შანს მოუგებს** იმერ. იგივეა, რაც ნიშნის მოგება, ნიშნს მოუგებს (იხ. ნიშნი). „ჩვენი მიწის შვილი, ვინც უნდა იყოს, განა ასე მემეტება, რომ მისი უბედურება ვინატრო და შანიც მოვუგო?“ (აკაკი). „ჭკვიანი შედარება გცოდნია, ცოლი და ცხენი შენს თვალში ერთი ყოფილა<sup>1</sup>“ – მითხრა *შანის მოებით* კიკოლიკმა (გ. წერეთ.).

დიალექტ. **შანი: შანს მოუგებს** ნიშნს მოუგებს. „ნიკიფორე ეუბნება: *შანს ვერ მოგვიგებ* შენაო“ (იმერ. გაჩ.). აგრეთვე (მამ., გურ. ჯაჯ.).

დიალექტ. **III. შანი** (გურ.) შამბი, ბუჩქნარი, ეკალბარდით გავერანებული ეზო ან სახნავ-სათესი მიწა – ალ. ღლ.

დიალექტ. **IV. შანი** ფშანი. დიდი მდინარის დაჭობებულ პატარა განაკადს (ასეთი შეიძლება რამდენიმე იყოს) „შანს“ ეძახიან (ჩოჩხ., გურ. ჯაჯ.). შანი < ფშანი.

### შანა:

საშ. ქართ. **I. შანა** მცველი. მცველნი ქალაქისანი დაუდგინნეს, რომელთა *შანად* უწოდდეს სიტყვთა მათითა (ქ. ცხ. II, 190, 8). მცველნი ქუეყანისანი, რომელ არიან *შანანი* (ქ. ცხ. II, 195, 6).

საშ. ქართ. **II. შანა** მინდობის ნიშანი, როგორც ერთგულების საწინდარი. მოსცეს *შანად* ჯუარნი ოქროსანი (ქ. ცხ. II, 224, 11). თემი *შანით* დააწყნარა, არა სადით არ იწყინა (ფეშ. 301, 2).

საშ., ახ. ქართ. **შანა** ყელზე შესაბამი ან გულზე დასაბნევი სამკაული. ალხინა გული, წყლულ-დადაგული, წყალობიანმან მისმან *შანამან* (ბეს. 40, 21).

**შანა** ცრუმორწმ. რაიმე ნივთი (უპირატესად ლითონისა), რომელსაც შეულოცავდნენ და ყელზე (მაჯაზე) აბამდნენ ვითომდა ავი თვალისაგან (ავი სულისაგან) დასაცავად. „რა არ ვუყავი: ბალახებში არ ვაბანე... *შანები* არ შევაბი, მაგრამ ვერაფერმა ვერ უშველა“ (ილია). მიჰქონდათ [ნიშნთან]... თასები, აზარფეშები, *შანები* და სხვ ძვირფასი ნივთები (ა. ყაზბ.).

ზან. (მეგრ.) **შანა** დასაწინდი სამკაული, ხატის სამკაული, საწინდარი, წინდი, ნდობის **ნიშანი**, ტანსაცმელში ამოჭრილი ადგილი საყელოსათვის (მეგრ. ქობ.).

დიალექტებში გვხვდება ამავე მნიშვნელობით: **შაანა** (აზ. შაჰი, შაჰა-შაურიანი) შენალოცი ფული, რომელსაც ბავშვებს ყელზე აბამენ ავადმყოფობის დროს. **შაანაი ასხნაი** დათქმული დროისათვის ღვთისთვის დაპირებული საკლავის შეწირვა და შაანას მოხსნა. (ინგილ. ლამბ.); **შარნა** (გურ. ჟღ.). აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ შარნას მნიშვნელობა გაფართოებულია: **შარნა**: საცოლის დასანიშნი ნივთი, – ბელგა. [მაჰანკალმა] მიაცემინა *შარნა* (ნ. ლორთქ.).

დიალექტ. **შარნა** ვაჟი რომ საცოლეს ნიშნად ბეჭედს ან სხვა რაიმე ნივთს მიუტანს, იმას ემახიან (გურ. ჟღ.).

დიალექტ. **III. შანა** (ინგილ.) ფიწალი (მ. ჯან.). შანა [აზ. შანა] ბზის ასალები ფიწალი. შანა ურემზე ბზედ შანაყარ ეებადს (ბზის შესაყრელი ფიწალი) (ინგილ. ლამბ.).

დიალექტ. **IV. შან** [აზ.] იგივეა, რაც ფიტად. *შანს* ფუტკარ თუთან აკეთევს თავიზე (თავისთვის) თავლ ჩასახმელა (ჩასახმელად) (ინგილ. ლამბ.).

### **შანავარ-ი:**

ახ., ქართ. დიალექტ. **I. შანავარი** მორჩილი, ჭკვიანი საქონელი («დიალ.»). აგრეთვე: (თონ., დვალ., ღოლოვ. ქართლ. მენტ.).

დიალექტ. **II. შანავარი, შენავარი**. 1. ჯიუტი, გაუგონარი. *შანავარი* არი მძიმე ადამიანი, რამდენიც უნდა ელაპარაკონ, არ ესმის, იმი ყურებში არა შადის რა (კავთ.) 2. კარგი მუშა საქონელი. არც ძალიან მძიმე საქონელია, არც ძალიან ფიცხია, კარგი მუშა საქონელი, *შენავარ* ვეტყვი (ტირმ.) (ქართლ. ლექსიკ.). შარავანი – ილ. ჭყ.



**შანარ-ი:**

საშ. ქართ. **I. შანარი** დენტსა და სუსტს საშუალი ZAB. (+ ესე არს CqD) სასტიკსა და სუსტს საშუალი CD. განუმარტავია E. See also: საშუალო, შაჰნარი – საბა. შანარი: შანარი ხილის წვენი (დ. ჩუბ.). შაჰნარი(შაჰანარი CD) (+ კარაბად. 3 ZA) ხილთ ნაწური წვენი ZAB. ბროწეულის წვენი C. კარაბად.: „აჭამე სახვრეტელი ოსპი და ბროწეულისა შაჰანარი“ 4 CqD. – საბა.

**შანარი** ხის ქერქვეშა სველი, წყლიანი ნაწილი; ნედლი, მწვეთავი საჭილოფე ნართი, თეთრია და რბილი; ლოლუა (იგივეა, რაც შალარი) ზან. (მეგრ. ქობ.).

ახ. ქართ., დიალექტ. **II. შანარი** კუთხ. (ქიზ. ფშ.) ნელი, მძიმე, გამძლე მუშაობაში (ს. მენტ.).

დიალექტ. **III. შანარი** ჭკვიანი საქონელი (თონ., დვალ., ლოლოვ. ქართლ. მენტ.)

ახ. ქართ. დიალექტ. **IV. შანარი** კუთხ. (კახ.) თხელი, მეჩხერი («დიალ.»).

**შანთ-ი:**

ძვ. ქართ. **I. შანთი** ფულის დიდი ერთეული, «ქანქარი»: წარმოუდგინეს მას ერთი თანამდები ბევრისა *შანთისა* (ქანქრისა C)“ (მთ. 18, 24). „აღუთქუმიდა მათდა მიცემად *შანთისა* დრაჰკუნისასა სამათასსა“ (H– 341, 756). ვფიქრობთ ამ შემთხვევაში თურქული ფულის ერთეულის შანტიმის ნასესხობა უნდა იყოს **შანთი**.

ძვ. ქართ. **II. შანთი** გახურებული რკინა, მეხი; „წუეთი“; ნატეხი: „გამოსცვიან **შანთნი** ცეცხლისანი“ (M, იობ. 41, 10). „მჭედელი ოდეს გასჭედდეს *შანთსა* რკინისასა“ (მ. ცხ. 284v). „განვლის მან... *შანთნი* ცუარისანი“ (H–341, 784). „დამზადებელსა ყოველთასა დაუსაბამოსა თანა იყო ნივთი იგი დაუსაბამოდ, – ვითარ იგი იტყოდა ბოროტი იგი მანინ, – და მოიღებდა შანთსა, მას ნივთისასა და ჰყოფდა წინააღდგომად ღმრთისა“ (გრ. ნოს. – კაც. აგებ. 200, 10).

**შანთეული** «წიდა»: «მარილი და ქვზა და *შანთეული* რკინისა და უადვილეს არს ტვრთვად, ვიდრეა არა კაცი უგუნური“ O, – „ქვზა და მარილი და წიდა რკინისა უსუბუქეს ტვრთვად, ვიდრე კაცისა უმეცარისა“ (pb., ზირ. 22, 18).

**შანთი** სინათლის (მზის) დისკო: „ვინ არს, რომელმან შვნა *შანთნი* ნათლისანი?“ (იობ. 38, 28) – კ. დან.

**შანთი** გაჯურვებული რკინა – საბა. შათი (სომხ.) E ოქროსა და ვეცხლის შუშა... – საბა.

**შანთი** გახურებული რკინა, წონით სამი გირვანქა, სიგრძით ექვსი ან შვიდი მტკაველი, სიპტყით ხელის გულისტოლა, რომელსაც ხმარობდნენ სამართლის დროს. ფიცის განმარტებისას დ. ჩუბინაშვილი წერს: – საქარ-

თველოში რიგი და სამართალი ექვსი იყო, რითაც თავს იმართლებდნენ: პირველი ფიცი, მეორე შანთი, მესამე მდულარე, მეოთხე ხმალი, მეხუთე მოწამე, მეექვსე ცოდვის მოკიდება; ამათ თითოს და თითოს თავისი სამზღვარი ჰქონდა... შანთი ამ წესით იყო: გაახურებდნენ შანთსა, ასე რომ გაწითლებულ იყო, შეწამებულს კაცს ხელზედ ქაღალდს დაუდებდნენ და მერმე გაცხელებულს შანთსა სამს ნაბიჯზედ უნდა წახტომილ იყო, და მასუკან გარდაეგდო, თუ არ დასწვა მართალი გამოვიდოდა, თუ დასწვა ხელი მტყუანი და დაისჯებოდა განმარტავს დ. ჩუბინაშვილი.

შეწამებულის *შანთის* გაგდება (კალმას. 229, 6). ხოლო წესნი სამართლისა და შერისხვისათჳს აქუნდათ: სისხლი, ჳრმალი, *შანთი*, მდულარე და ფიცი (ქ. ცხ. IV, 18, 27).

ახალი რძე და *შანთოს* ისრევე. ...დო გაწურვილი ქვითა და *შანთული* მისცეს (ფანასკ. 259, 39).

ახ. ქართ. *შანთით*, მარწუხით დახლიჩეს, გაზით უგლიჯეს ძუძუნი (გ. ლეონ.). ქეგლის მიხედვით შანთი 1. სხეულის ამოსაწვაჲ, დასადაღავი (გახურებული) რკინა. [ქეთევანს] *შანთით* დაუწვეს ბროლის კისერი და მოვარვარე ცეცხლზე აწამეს (ი. ნონეშ.). „შენ (=თათარო) რაღას ერჩი მაგ ქალსა, რაზე აწვალე *შანთითა*“ (რ. ერისთ.). || ფიგურ. ყოველი ხმის ამოღება ონისესი... მოძღვრის გულს გახურებულ *შანთად* ეხებოდა (ა. ყაზბ).

დიალექტ. **შანთი** დასტურდება როგორც სახელური ისე ზმნური ფორმებით. მაგ. (რაჭ., გურ., ქვ. რაჭა, მრეწვ. ტ. II, ნაწ. I, 193, ფერეიდ. ჩხუბ).

გადატ. **შანთი** გადატ. სიმინდის გრძელი და მსხვილი ტარო (ლექხ. ალაგ.).

**შანთი** ყურძნის ჯიშის სახელად, იმერულში გვხვდება. იმერული ყვითელ-მომწვანო ყურძნიანი ვაზის ჯიში, სქელკანიანი, წვნიანი მარცვლებით; ღვინო ცხარე უდგება. „ყურძნის ჯიშის სახელწოდება შანთი უცნაურია... ერთადერთ განმარტებად, რომელიც შესაძლებელია ყურძნის ჯიშის ამ სახელს მოეძებნოს, მისი ღვინის სიცხარეა (ივ. ჯავახ.). იხ. აგრეთვე: (ზ.-იმერ. ძოწ., ზ. იმერ., 121, მრეწ. IV3).

გადატ. **შანთა** ფიცხი, გულადი, უშიშარი, ძლიერი ადამიანი. დიდხანს ვერავინ გაბედა საჭიდაო წრეში მეტოქის მომლოდინე ზაქარასთან შებმა, მაგრამ მოვიდა თუ არა *შანთა* ერეკლე, **უმაღ წრეში** შეიჭრა, ეცა მეტოქეს და მაშიმვე ბეჭებზე გააკრა (მთ.-რაჭ. ლობჯ.).

შდრ. დიალექტ. **შამთი**: მაგას *შამთით* აქს თვალები დასათხრელი (ჯავახ. ზედგ.).

ამავე მნიშვნელობით **შანთი** დასტურდება ზანურსა და სვანურშიც.

**შარ-ი:**

საშ. ქართ. **I. შარი** სიმგვრგვლივ ქვეყანისა (თ. ბაგრატი.).

საშ. ქართ. **II. შარი** ცილი, ცილის წამება – დ. ჩუბ.

უფალმან სიტყვით ამხილოს, ვინც მცნება მისი შარია (არჩ. 469, 207, 2).

ჩვენ ძმანი ვართ, ჩვენი ხეირი და შარი ერთი არის (სამ. IV, 176, 7).

და ამას აქეთ ყველას ხეირი და შარი თავთავიანთია და ჩვენში არა დარჩა რა სალაპარაკო და სადავო, არცა ერთის იოტის ფასი კარკაცობის მეტი (სამ. IV, 353).

ახ. ქართ. **შარი** უსაფუძვლო დაწამება, დაბრალება უსიამოვნების მიყენების განზრახვით, – ცილისწამება. მაინც წინ მივალ, მაინცა, არ მეშინია შარისა (ვაჟა). || დავა, დავიდარაბა. „თუ კი მაგათ შარს მოგვაშორებ,... გემსახურებით“ (ა. ყაზბ.).

შდრ. შერი (არ. ser) ბოროტება, მტრობა, შუღლი, ხიფათი. „ამ ქალმა შერი მომიტანა ოზოზე!“ (ად., ჩვენ. ფუტკ.).

დიალექტ. **III. შარი** ტვინი თავისა, ბადესავით რომ არის გაბმული თავის ზედა ძვალსა და ქვედა ძვალს შუა; შარის ბობოქარი ჯ. თავში თუ ვისმე მძიმე ნაჭრევი სჭირს და აცხროებს – ა. შან.

**შარი** ტვინისა და თავის ქალის საშუალი. ნაჭრევივ შარზე ჩაუვიდავ, შარ ამაუჩინდავ. შარის ბობი ტვინის მაგარი გარსის თანაშეზრდილი ნაწილი საგიტალურ ნაკერთან (გ. თედორ. I, 89, 5) – ალ. ჭინჭ.

**შარის ბობოქარი** ვისაც ჭრილობით შარი აქვს დაზიანებული, მისი უკანასკნელი გაბრძოლება, აგონია. „შარის ბობოქარს “ემახიან, როცა დაჭრილს ჯერ სიცივის „ბაბანი დაეცემა“, აუვარდება კანკალი, თითქოს გააციაო და მერე ოფლს მისცემს (ეთნ. მედიც. XIII, 161). „ვისაც შარის ბობოქარი მოუვის, მისი მორჩენა არ შეიძლებაო. შარის ბობოქრის მოვლა სიკვდილის ნიშანიაო“ (ეთნ. მედიც. XIV, 161).

**თავს შარი** იგივეა, რაც შარი. შენ სადალ ხარ, ბიძურაო? კიდევ გჭირსა თავს შარია? (ხევს. პოეზ. 522, 9) – ალ. ჭინჭ.

საშ. ქართ. **IV. შარი** შარა. მუნ ჩამოხდეს მეგობრისა სახლსა ოდეს დავლეს შარი (ნ. ციც 630, 1237, 3).

გარჯისა ტაიჭი შარისა სიგრძეთა ხამს არბიო (საბა II, 120, 15).

დიალექტ. **შარი** 1. ვაზის მწკრივი, რიგი ვენახში (სინონ. პწკალი, პწკარი, შაკი). ვენახი შარშია ჩაყოლებული (ბორითი). ყველა თავის შარზე უნდა წამევიდეს, შარეფს დოუკვირდით... ყველამ თქვენი შარი დეიკავეთ. ამ ორ შარ მე მაინ წამევიდეფ (წირქვალი). 2. რიგთაშუა მანძილი. შარია მწკრივსა და მწკრივს შორის თავისუფალი ადგილი (ჩიხა, ქვაცხე, სვერი). შარია წკაპეფს შორის ადგილი (დილიკაური). 3. კვალი. შარია ბოსტანში ზოლი, რომელზედაც გაყოლებულია ბოსტნეული (გეზრული). 4. სვრელი. შარებია შიგნი ყანაში (ხიდარი) (ზ.-იმერ. ძოწ.). იხ. ასევე (ალგ. სალ., ჯავახ. ბერ., ქიზ. მენტ., ზ. ქართ. მრეწ. IV, III, 38, კახ., ქიზ., იმერ., რაჭ., ასათ.).

ძვ., საშ. ქართ. **შარი** კეთილი ნარმა – საბა, დ. ჩუბ. (არაბ.) შარ მატყლი, შალი, ტილო, შავი საბურავი (იუსტ. აბულაძე).

**შარი:** საფარდული ოქრომსა და ვეცხლისა, ქვათა პატიოსანთა და მარგალიტი და ზეეზი და მოწეული და შარი და მეწამული (შატბ. კრებ. 281, 16).

ცამან კარი რა გაალო, შავი შარი დაიხივა (შჰნ. I, 1547, 2).

დახია შარი შავისა, ყირმიზად მისმან ფენამან (შჰნ. III, 62, 2). დიაცსა ჰგუნდა, რომელ შარისა პერანგითა ლამაზად იარებოდეს (ვისრ. 121, 9). წყალი მისი შარითა დაწურე, ანუ მაკნათა (ფანასკ. 25, 7). დანაყენ წამალნი ამათნი ყუელანი ცალკე გაცერ შარითა ანუ მჭურითა მტკიცითა (ქანან. 56, 10).

საშ. ქართ. **V. შარი** ქალაქი. შარი მრავლად მოწყობილი, კაცი სახლობს ბევრ ათასი (ფეშ. 102, 2). გილანი და მაზანდარა სხუაც უჭირავს მრავლად შარი (ფეშ. 220, 1).

### **შარა:**

საშ. ქართ. **I. შარა** (არაბ.-სპარს.) დიდი გზა საურმე – დ. და ნ. ჩუბ., თ. ბაგრატი.

**შარა** გრძელი შეამოკლა (ვეფხ. 672, 4). თურანისკე გაიქცა, თუცა თუ შარა გრძელია (შჰნ. I, 965, 4). არ გამიშვებთ, გავიპარვი, წინ მიც სავლად გრძელი შარა (ნ. ციც. 469, 351, 4). ნახვად იღებდენ ქრთამად ფარებსა. /ვინც იყვნენ გზებსა ანუ შარებსა (ბეს. 154, 1).

გადატ. შარა ქუჩის ქალი, მეძავი, უნამუსო, ქუჩაში გავარდნილი. იხილე თემის შარამან, რა გიყავ მხნემან, გულადმან (ბეს. 154, 15).

„მაცდუნა ქვეყნის შარამან, მზის აღარა ვარ მზეერასა!“ (ბეს. 73, 4).

ახ. ქართ. **შარა** იგივეა, რაც გზატკეცილი. შარაზე ურემი მძიმედ მიჭრიალებს (თ. რაზიკ.). [ადოლინმა] სოფლის შარაზე ერთ ადგილას დაინახა დაბნეული ქერი (ს. კლდ.). გატკბა ცეცხლიც და სოფლელებს იშვიათად თუ დაინახავდით ატალახებულ შარაზე (ა. ბელ.).

დიალექტ. **შარა** 1. გზა ფართო, თავისულად სავალი. 2. გადატ. აშკარა, საყოველთაოდ გამჟღავნება. „ჰო, მოუხდა, მარა შარაზენა გამოიყვანო მერე! (ჯავახ. ზედგ.). აგრეთვე: (გურ. იმნ. 242, 14., ხევს. ჭინჭ.).

შარა < ძვ. ქართ. შაჰრაჲ შარა: „ნუცა ხუალ გზასა ვრცელსა შინა შაჰრასა სიტყვათა“ [H=622 99v, 14-16]. ამ ფორმით სიტყვა გვხვდება ინგილოურში.

**შარაჲ**, შაჰრაჲ შარა, ქუჩა. შარაში (|| შაჰრაში) გოჭდივარ (ინგ. ლამბ.).

ზან. **შარა** შარა (მეგრ. ქობ.).

საშ. ქართ. **II. შარა** იხ. IV. შარი. დილას შავი შარა გაიქსნა და წითელი ვარდი გაიშალა... ადგეს, ჯელმწიფის კარს შეიყარნეს, შესხდეს (შჰნ. II, 422, 1). გათენდა, მანათობელმან ბნელისა შარა დახია (შჰნ. I, 944, 1).

შარა ან შარი. არაბ. (არ.) შარ მატყლი, შალი, ტილო, შავი საბურავი (აბულაძე 1934, 624).

დიალექტ. **III. შარა** კოკონა, კუნცხულა (აჭარ.) მოჭრილი სიმინდის ღეროებისაგან გაკეთებული კონების ვერტიკალურად მდგარი გროვა; შარას აკეთებენ იმიტომ, რომ სიმინდის ტაროს სიმწიფის პროცესი დასრულდეს სრულყოფილად. ყანაში შარას აჩერებენ ორი-სამი კვირის განმავლობაში. „ამასა შარას ვეტყვით, თურქულა იღინი ქვია“ (იმ.). „შარაები დოუწყვია კაცსა ყანაში, ხედავ?! (იმ.) „სიმინდსა მოვსჭრით, დავზოღავთ შარებსა“ (იმ., ჩვენ. ფუტკ.).

საშ. ქართ. **IV. შარა** რეჰანი მდელოთაგან ფრიად სურნელი – თ. ბაგრატი.

#### **შარაბ-ი:**

ძვ. ქართ. **I. შარაბი:** „ამისსა შემდგომად შეუდგინნა შარაბნი ჰრომს შინა წმიდათანი“ [A= 129 95r, 3-5a].

საშ. ქართ. **II. შარაბი** სასმელი. ბროწეულისა შარაბი მიეც ასრე, რომე შარაბებშიგა მოგვიხსენებია (კარაბ. 140, 21).

დიალექტ. **შარაბი** (სპ. sarap) ღვინო. ადგილობრივი თურქები ჭირ სიმარტყლით შარაბს ანუ მეთს აკეთებენ (საინგ. მრეწ. III, II, 1986, 65). „იქვერი შარაბები მედტანეს, წითელი შარაბი, გერმელი იყო (ბაზგ.). „ჩუენი ჰუქუმათის დიდუანები ბილა აყურყულებენ შარაბსა, ცოდვა-მადლ ვიღან უყურევს?! (იმ.). „შარაბნასუამი სახლში არნა მიხვიდე, გარეთ ყოფნაში მეინელონა“ (ინ.). „შარაბი სმა ხაპერ მოშლის, გააბეჩებს კაცსა“ (ინ., ჩვენ. ფუტკ.). **შარაბი** ღვინო (აჭარ. ძიძიგ. ქრესტ.).

**შარაბი** (არაბ. თურქ.) ღვინო ზან. (ლაზ. თანდილ.).

#### **შარაფ-ი:**

ძვ. ქართ. **I. შარაფი** (არაბ.): და შობისა ჟამსა ზუჰალი თუ სასწორსა ზედა იყოს, რომელ არს მისი შარაფი (შარაფის თარგმანი, საპატივოდ ნებითა საჯდომი არს და ცხორებად (ეტლ. 30 ქვ. 7).

ვერძისა ბურჯი... მზისა შარაფი არს (ეტლ. 1, 1-5). მთოარის შარაფი (ეტლ. 2, 2). მუმტარისა შარაფი (ეტლ. 4, 2).

დიალექტ. შარაფი იხ. II. შარაბი. ვაშლის წუას, ტკპილი რომ არის, იმას შარაფს ეძახიან (ზ. ქართ. მრეწ. III, ნაწ. II, 1986, 132).

ახ. ქართ. ჟარგონი **II. შარაფი** ღვინო. ქეიფი (სპარსულად ღვინოს ნიშნავს). შარაფს არ ეკარებოდი, არ გიზიდავდა შიკები (ვ. ჯავახ.) – ლ. ბრეგაძე, 1999.

**შარაფისტი** მოიქეიფე, მსმელი, მატერიალისტი კი არა, შარაფისტი ხარ (ნ. დუმბ.) – (ლ. ბრეგ.). **შარაფი** – მემედაი შარაფშია, ხაპერი მოშლია (ინ., ჩვენ. ფუტკ.).

დიალექტ. **III. შარაფი** იხ. I. შალაფი. ლეჩხ. შალაფი ფიცრის და მისტანათა გასაწვავი მავთული (ლეჩხ. ალაფ.).

**შარდ-ი:**

**შარდი** რომელთავე ჰგონიესთ რომელ ბუნებითი საჭიროს მომარ-  
დვასა ნიშენიდეს. არა, ისე არ არის; ესრეთ არს ამისი განმარტება: შარდი  
არაბულად ნიშნავს მიზეზისა რადსათვის მეინახეთაგანი, ანუ თუ მასპინ-  
ძელი რომ ადგეს და სტუმრობიდამ გარეთ ამოვიდეს, არაბულად ამას  
ნიშნავს. საზოგადო სახელი არის შარდი არაბულად და არა საკუთარი:  
ზოგად საქმისა რადსათვისმე საიდუმლოსა მეჯლიშით გარე გამოსვლას  
ნიშნავს (თ. ბაგრატი.).

საშ., ახ. ქართ. **I. შარდი** ძვ. ერთგვარი ძვირფასი ქსოვილი. სრა ედგა  
მოფარდაგული ოქსინოთა და შარდითა (რუსთაველი). ქვეშეთ ოქსინოთა  
და შარდითა დაგებული (შჰნ. II, 399, 13). დგეს ოთაღნი სახელმწიფო, ქვეშ  
ეფინნეს სტავრა, შარდი (ნ. ციცი. 640, 1292, 3).

**შარდი** ან **შადი** უნდა იყოს (სპ. შარბ.) წმინდა ძვირფასი ტილო. ეს  
სიტყვა ქართულში, – შემოჭრის იმ თავითვე, – წარყვნილა ხელნაწერებში  
და გვხვდება ან შადი-ს, ან და შარდი-ს სახით (შჰნ. II, 1934, 624).

ზან. **შარდი** კოლხური წარმოების ძვირფასი ტილო, წმინდა, ძვირ-  
ფასი ნარმა (მეგრ. ქობ.)

საშ., ახ. ქართ. **II. შარდი** ფსელი; შარდის შეხუთვა; შარდის მარილი –  
დ. ჩუბ.

შარდი ორგანიზმიდან თირკმლებით გამოყოფილი სითხე, რომე-  
ლიც შეიცავს ორგანიზმისათვის მავნე ნივთიერებებს – ქეგლ.

დიალექტ. **III. შარდი** იხ. I. შართი. გზაზე დადგომის შემდეგ ერთ-  
ორ ან რაიმე ნატეხში სდებენ თავლს ან შარდს, რომ ფუტკარი მოვიდეს  
მათზე (საინგ. მრეწ. IV, III, 16,14).

**შართ-ი:**

ახ. ქართ. **I. შართი** «უცეცხლოდ გამოწურული თავლი» («დიალ.»).

**შართი**, ტკბილსასმელი“ (ი. გრიშ.).

დიალექტ. **II. შართი** (არაბ. შართ.) პირობა, წესი, ადათი, ცხოვრების  
წესი. „ესა იმანის ერთი შართია“ (ინ., ჩვენ. ფუტკ.). შართ [ახ. შართ] პირო-  
ბა, შეთანხმება შართ დოგუდრვი (დაგვიდვია) წელს ჩონ ქალ გა-  
ათხუევართ (გავათხოვებთ); ფარჩამ იმათ ერცხო შართ მიჰცაყ (ხელმწი-  
ფემ იმათ სხვა პირობა დაულო) (ინგ. ღამბ.).

**შარუხ-ი:**

საშ. ქართ. **I. შარუხი** ჭადრაკის ფიგურა, ეტლი (ვისრ. 67, 21).

საშ. ახ. ქართ. **II. შარუხი** ძვ. «ბულბულის მსგავსი ფრინველი»  
(დ. ჩუბ.). ის დრო წავიდაო, რომ ერთმა კუმ ორი შარუხი დასცესო («ვის-  
რამ.»). შდრ. ჩახრუხი ძვ. ფრინველია ერთგვარი – დ. ჩუბ.

**შატ-ი:**

საშ. ქართ. **I. შატი:** აიღე სპანდი და შატი, რომელ არს ჰურფი თეთრი (ფანასკ. 269, 27).

ახ. ქართ., დიალექტ. **II. შატი, შატა** 1. (ხევს.) ნაქარგის ერთ-ერთი სახე. შატით... იკერების... დიაცის ტალავარი («შინამრეწვ.»).

(ხევს.) ღილზე გადასაცემელი ყულფი (მაფისა ან თასმისა). შატები, მიმაგრებული ქალის ახალუხზე თუ საგულეზე, ოქროს მაფისა კეთდება («შინამრეწვ.»).

საბამი მშვილდის ერთს პირში მონასკვული აქვს, მეორეზე კი შატად არის გადადებული (ალ. ოჩ. კალენდ. 130, 23).

**შატრ** ყულფი, ყულფად გასკვნილი რამ (თუშ. ცოც.).

შდრ. შატ (šat) ნასკვი (წ.-თუშ. ქადაგ.).

დიალექტ. **III. შატი** წყლიანი თოვლი, კარგად რომ გუნდავდება (ფშ. ხორნ.). შდრ. თუშ. შატყე (თუშ. ცოც.). შდრ. ხევს. – შატყი; საბა – ჟატყი.

**შატა:**

ახ. ქართ., დიალექტ. **I. შატა** იხ. II. შატი. შდრ. **შატროვანი** «ნაქსოვი»: „ვიხილე ტყუენვასა მას შინა შატროვანი ერთი ჭრელი“ M, – „ვიხილე ნატყუენვასა შინა ნაქსოი ჭრელი“ (G, ისუნ. 7, 21).

**შატა** (ხევს. თუშ.) იგივეა, რაც ყულფი. შატა ნასკვია ისეთი, რომ თუ ერთს წვერს გამოსწევ, თვითონ გაიხსნება («შინამრეწვ.») – ქველ.

**შატა** ორკეცი თოვის ყულფი. მარჯვედ ჩასაბმელი რაიმეზე (ფშ. ხორნ.).

**შატა** ნაქარგის სახეა. კუდეცეულაით, შატაით... კაცის ტლავარ არ იკერების (შინამრეწვ. 12-ა; ხევს. ჭინჭ.). აგრეთვე: შატავს.

საშ. ქართ. **II. შატა: შატაბუტა** (შეტაბუტი E) ჩქარ მოუბარი უგვარო (უგვან B) ZAB. ჩქარ მოუბარი CD – საბა.

ახ. ქართ. **შატა: შატა-ბუტა** საუბ. უთავბოლო მოლაპარაკე, – ცერცეტი, ცეტი, ქერქეტი. ერასტიანთ გიგას ცოლი შატაბუტა, შლეგიანი, შაჭამანდი დაგვიქცია, ნიგვზიანი, ზეთიანი (ხალხ.). შდრ. შეთი.

**შაფ-ი:**

საშ. ქართ. **I. შაფი** (არაბ. შაფ) სანთელი. კაი შაფები აიღონ (იად. 136, 29). სტომაქში გასახსნელი სანთელი, ანუ მაგარი პატრუქი (ფანასკ. 10, 17). შაფი შამისა ვარდის წყლითა გალესოს (ფანასკ. 317, 29). || შაფი შამისა (ფანასკ. 317, 29).

საშ. ქართ. **II. შაფი** შაბი: შაფი იამანი (ფანასკ. 90, 7). შდრ. შაბიამანი: იემენის შაბი. **შაბი** (არაბ.) > შაფი.

დიალექტ. **III. შაფი** (არ. šafi) დამაწყნარებელი, დამაკმაყოფილებელი. „ნენეს შაფები მუუტანა ისუფმა“ (ინ. ჩვე. ფუტკ.).

**შაქ-ი:**

საშ. ქართ. **I. შაქი** „ვეგის ჯდომა – საბა. **შაქი** ვეგის ჯდომა კალხზედ – დ. ჩუბ. გადატ. *შაქი* კოჭის ერთ-ერთი მხარე, რომელიც აგდებისას კარგ მხარედ ითვლება. კოჭი ააგდეთ და სითაც *შაქს* დაჯდეს, იქით იარეთ (რუსუდ. 535, 15).

დიალექტ. **კოჭი შაქზე დაუჯდაო** აქედან გადატ. იხმარებოდა ცხოვრებაშიც. კაცს წარმატება რომ ჰქონდა: მაგას რა უშამს *შაქზე აქს* საქმეთ (ჯავახ. ზედგ.).

ახ. ქართ. **შაქსა, შაქზე** დგას ფეხზეა, ამართულია. თუ მთვარე *შაქსა* დგას, სადაროა (ხალხ.). || გადატ. საჩხუბრად არის მომართული. ქალი *შაქზე* იდგა და მზად იყო ქმრისათვის ყანყრატო გამოელადრა (ვ. ბარნ.).  
 ◊ **შაქს დაჯდება** ქიმზე შედგება, აიმართება. ცეცხლში რომ ნაკვერჩხალი *შაქს დაჯდება*, სტუმარი მოვით (ხალხ.).

დიალექტ. **შაქსა დგას** განზე დგას (კაბის ბოლო). *შაქსა დგასო* ის არი, რომა კაბი ბოლოი გამოშვერილია, სწორე არა დგა (კარალ.). დარეს კაბი ბოლოი *შაქსა დგას*, რუზოსი კარქათ არი (კარალ., აგრეთვე საკორ., სამთ.). **შაქშეხული** ვისაც ტანსაცმლის ბოლო დახეული აქვს. *შაქშეხული* რო დადიხარ, გამოიცვალე მაინცა შარვალი (კოდ. ქართლ. ლექსიკ.).

**შაქზე დგას (მთვარე)** იტყვიან, როცა ახალი მთვარე ვერტიკალურად დგას, ხალხის რწმენით კარგი დარის მომასწავებელია (კავთ.). აგრეთვე არად., ბროწლ., ხც. (ქართლ. მესხ.). **შაქსდამდგარი** დაცქვეტილი, გაფშეკილი (ბუ) მუშტისტოლა, ყვითელი ბრიალა თვალებით და *შაქს დამდგარი* ყურებით სწორედ საშინელი რამ იყო“ (ფშ. რაზიკ.).

ახ. ქართ. **II. შაქი** (სპარს.) შიშაქი – დედალი ცხვარი – საბა.

დედალ ცხვარს ორნაყოლამდე *შაქი* ეწოდება: პირველ ნაყოლზე ხამი *შაქია*, მეორეზე ნაშაქარი, მემრე ცხვარი ჰქვია სულ («შინამრეწვ.»). რამდენი წინწკალი და წვეთი ნათქვამი, – ჩვენს ფარებს იმდენი *შაქი* და ბატკანი! (ი. მოსაშ.). მაშინ ნახეთ საქონლის მეხორცულობა, ყოჩი, *შაქი* (გ. ლეონ.). ერთი წლის ცხვარი – [შიშაქ] (სპარს.) – ალ. ელერდ.

ახ. ქართ. ტოპონიმი **III. შაქი** – ისტორიული ოლქი ჩრდილოეთ აზერბაიჯანში. III-V საუკუნეებში იგი კავკასიის ალბანეთის ოლქი იყო (ვიკიპედია).

ქართველებს ასევე შეუძლია იმის გახსენება, რომ ჰერეთის ცენტრი ერთ დროს *შაქი* იყო, რომ ჰერები წმინდა ნინომ მოაქცია ქრისტიანობაზე და ა. შ. (ჰერები).

**შახ-ი:**

ახ. ქართ. **I. შახი** ეშხი, ლაზათი. ნუ გეშინიან, მეგობარო, ჩხიკვი იყო, ჩხიკვი, – უთხრა კოდალამ და თან სიცილი აუტყდა, რომ ასეთი *შახისა* და ფახის პატრონი მისი მეგობარი ასე მხდალი გამოდგა (ვაჟა). *შახიც* კარგი



მაქვს და საქციელიც (ა. ჭუმბ. თარგმ.). || იგივეა, რაც შახიანი. ის ასე ამბობს, მაია შავია, მაგრამ *შახიანო* (ი. გულის.). ◊ **შახს არ იტებს** იგივეა, რაც იხტიბარს არ იტებს (იხ. იხტიბარი). [აზნაური] *შახს არ იტებდა*, თუმცე ტკივილს კარგად ვატყობდი ხმაშია (ვაჟა).

როგორც „ქალაქური ლექსიკონი“ მიუთითებს, შახი სპარსული სიტყვაა, რომელიც სპარსულად იწერება და იკითხება ასე *šâx*. მისი მნიშვნელობებია: 1. რქა2. [*šâxe*] ტოტი; 3. წამონაზარდი. რამდენადაც „ქალაქურ ლექსიკონში“ „შახი“ ნიშნავს „ყოჩაღს“, „კარგს“, „შნოიანს“... იგი ამ სიტყვის ერთ-ერთი სპარსული მნიშვნელობის – რქა სემანტიკურ განვითარებას უნდა წარმოადგენდეს და მის ჯადოსნურ ძალასთან დაკავშირებულ უძველეს რწმენა წარმოდგენებს უნდა უკავშირდებოდეს. რაც შეეხება თ. სახოკიას მიერ შახის გაიგივებას შაჰთან, იგი ამ ორი სხვადასხვა ლექსიკური ერთეულის ბგერობრივი ურთიერთმსგავსებიდან უნდა გამომდინარეობდეს. შევნიშნავთ, რომ ჩვენს ხელთ არსებული სპარსული ლექსიკონების მიხედვით, ამ სიტყვას ქართულის მსგავსი გადატანითი მნიშვნელობები (შახიანი, შახის გატეხვა) არ გააჩნია (ბართაია 2010, 114).

ახ. ქართ. **II. შახი**. შაჰი (სპ. *šah*) [ქალები] ცოლად მიჰყვებოდნენ... სულთნებსა და *შახებსა* (აკაკი). 2. ჭადრ. ქიში. თუ ეს «ბლოკადა» რკუ და ეტლის თამაშია საპოლიტიკო ჭადრაკის ფიცარზე? *შახია* თუ მათი! (ილია).

**შაღავათ-ი:**

ძვ., სამშ. ქართ. **I. შაღავათი** – სხვათა ენაა, უწმარი და ცუდი ZAAბ – საბა.

ამ მნიშვნელობით, სავარაუდოა, რომ „შაღავათი“ უშუალოდ არაბულიდან ნასესხები ლექსემა ქართულში ზეპირი გზით (იმედაძე 2014, 102).

სამშ., ახ. ქართ. **II. შაღავათი** შემსუბუქება, ლხენა – დ. ჩუბ. შდრ. **შეღავათი** [არაბ. სახა\*ვათ «ხელგამლილობა, დიდსულოვნება»] ვალდებულების შემცირება, შემსუბუქება, გაიოლება; დაზოგვა, შვება. დიდი *შეღავათი* იქნებოდა გლეხისათვის, რომ... ვალი მოეშორებინა (ილია). როცა [ილიამ] სურათი დახატა, როცა გული მოიოხა, თითქოს კისრიდან გელაზი მოეხსნათ, ისეთი *შეღავათი* იგრძნო (რ. გვეტ.).

**შვეტ-ი:**

სამშ. ქართ. **შუეტი** სწორე (სწორი BCD) გაუხრელი ZABCD. სწორი, უმრუდო „შვეტი“ – საბა. **შვეტი** სწორი მოუდრეკი – დ. ჩუბ.,

ახ. ქართ. **შვეტი** ხმალი სწორია როგორც ბურღში ატეხილი ასკილი (გრ რობაქ.). ქართული კლასიკური ხმალი სწორი ფორმის იყო და მას „შვეტი“ ერქვა. თხელი და *შვეტი*: ქალწულური და თან სასტიკი. თვალები გველის სიშავის წყალში რომ იმალება (გრ. რობაქ.).

მისი მზემოკიდებული *შვეტი* წვივები ისე ახლოს აღმოჩნდნენ ჩემგან, რომ თვითონაც არ ვიცი, როგორ მოხდა, მის ფეხს ტუჩით დავეკონე (დ. შენგ.).

ზან. **შვეტი** სვეტი ღერო (მეგრ. ქობ.).

შდრ. სუეტი, სვეტი – ილ. აბულ., საბა, ქეგლ.

აღდგენილია საერთოქართველურისთვის ფუძე \*სვეტ- (კელაურაძე 2013).

საშ. ქართ. **II. შვეტი** შვედი – დ. ჩუბ. ორმოც-და-ორს ფინდრიღავანს ცეცხლით გამოვბუგეთ *შვეტი* (დ. გურამ. 148, 586, 3).

### შიბ-ი:

საშ. ქართ. **I. შიბი** ყელის ჯაჭვი თვალ-მარგალიტისა – საბა. **შიბი** ნაქსოვი ან ჯაჭვი თვალ-მარგალიტებითურთ – დ. ჩუბ.

ახ. ქართ. **შიბი** 1. «ყელის ჯაჭვი თვალმარგალიტისა» (საბა); ძეწვევი.

1. მასრები ვარშავის *შიბით* იყვნენ ერთმანეთზე გადამბულნი (ვაჟა). [დე-დიკა] ყელზედ და გულის პირზედა ვერცხლის *შიბებით* შემკული (ბაჩ.).  
2. წნული გოდრისა, საბძლისა, ღობისა და მისთ. თავზე გადავლებული სიმტკიცისათვის. ტყრუშულად, მაგრად დაწნულს *შიბი* ჰქვიან («შინამრეწვ.»).  
3. ქსოვილში გავლებული წნული ჭრელ ზოლებად. კაცის ჩითას უკეთდება წადმ-უკუდმ ქსოვილი ყელი... ან *შიბი* («შინამრეწვ.»). **შიბი** კუთხ. (იმერ.) ნაოჭი.

დიალექტ. ინგილოურში, იმერულში, თუშურში, ფშაურში, მთიულურში მეტნაკლები სხვადასხვა სემანტიკით ფართოდაა გავრცელებული წნულის მნიშვნელობის **შიბი**, იშვიათად გვხვდება **შიბა** სახითაც იხ. აგრეთვე (თუშ. ცოც., ინგ. ღამბ., იმერ. გაჩ.).

შდრ. **შიპი** (დ. ჩუბ., ლეჩხ. ჩიქ., კახ., ძიძიგ., ლეჩხ. კახ.).

ახ. ქართ. **II. შიბი** ფენა კლდისა; წვერი, წვეტი.

კლდის წიბო. მოყმემა პირშიშველამა *შიბნ* გაიარნა კლდისანი (ხალხ.). ბევრჯერ დალახა ბერომა კლდე ფრიალოთა *შიბები* (ბაჩ.).

დიალექტ. **შიბ-შიბი** მრავალი შიბი კურდღლის ბაცაცა მოვიდა, *შიბ-შიბსა* დახევა კლდისასა (ხევს. პოეზ. 641, 1).

**შიბი**: წყლის ტალღისაგან ერთად მიყრილი ქვის გროვა (მოხ. ქავთ.).

აღდგენილია: 1. \*შუიბ- არქეტიპი (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

ს.-ქართვ. \***შიბ**- „წაწვეტებული ქვა, წვერი (ქვის); წისქვილი“ (ჩუბუა 2000-2003).

### შიბაქა:

საშ., ახ. ქართ. **I. შიბაქა** – (ოსმ.) ჩჩვილთ აკვანში ჩასარჭობი ხის სოლინარი შარდის გასადინელად – შიბაქად ვჰსთლი, ე. ი. ვჰხარატაულობ – დ. ჩუბ. **შიბაქი** ჩჩვილთ ჩასაფსმელი – საბა.

ვაჟის *შიბაქი*. – გოგოს *შიბაქი*. – დედაკაცებს *შიბაქის* ნაცვლად ხელში დამბაჩები უჭირავთ (მ. ჯავახ.).

დიალექტ. **II. შიბაქა** (კახ.) «ხერხით დაჭრელებული თხელი ფიცარი მოაჯირადა» («შინამრეწვ.»). შდრ. I. შაბაქა.

### **შილი-ი:**

ძვ., საშ. ქართ. **I. შილი** მაზლის ცოლი – საბა. **შილი** ძმების ცოლები ერთუერთის მიმართ. აჰა ესერა უკუნიქცა *შილი* შენი ერისა თვისისა, (რუთ. 1, 15) – ვ. დან.

ახ. ქართ. **შილი** მაზლის ცოლი, – რძალი. ასრე უნდა პატარძალი, ერხეოდეს ვერხვივითა, მაზლ-მულებს მოეგარგაროს, *შილებს* მიჰყვეს ღვედივითა (ხალხ.).

დიალექტ. **შილი**: ანიკო და ლუბა *შილები* არიან (ღარიხევი). *შილები* არ ყამს მაწუხებელი ჩემ გოგოსა (ბერეთისა). *შილი* აქ მაზლის ცოლზე ითქმის მარტო (ჩიხა, ბაჯითი, წირქვალი, ზედუბანი, მოხვა). *შილი* მაზლის ცოლია, ბიძაშვილის ცოლი რძალია (დილიკაური). *შილები* კარქები იყვენ, არცერთი არ მყოლია გლახაი (ბოსლევი). || *შილია* მაზლის ცოლიც და ქმრის ბიძაშვილის ცოლიც (დეიდაშვილისა და ქმრის ბიძაშვილის ცოლზე არ იტყვიან). მაზლისა და ქმრის ბიძაშვილის ცოლი *შილია*, საკუთარი ბიძაშვილის ცოლი – რძალი (შომახეთი, მანდაეთი, მერჯევი). მე და ელენე *შილები* ვართ, ბიძაშვილებია ჩემი ქმარი და ელენეს ქმარი (ლოდარი, ზ.-იმერ. ძოწ.). „ძმების ცოლები *შილები* არიენ ერთმანეთისთვინ“ (იმერ. გაჩ.) „შილები ვართ ჩუნა“ (იმ., ჩვენ. ფუტკ.).

აღდგენილია ს.-ქართვ. \*შილ – შილი (ჩუხუა 2017).

დიალექტ. **II. შილი**: დვენდარმაზე (დაწყობილია) ხარიხები, ხარიხებზე – ყოჩბაშბი, ე. ი. კვანტები და *შილები* (ჯავახ. მრეწ. I, 256).

შდრ. შილია ცხენის აკაზმულობის ნაწილია – კუდის ქვეშ მოდებული ღვედი, – საძუე (რაჭ. კობახ).

### **შილა:**

საშ. ქართ. **I. შილა** ძვ. «წითელი სამოსელი» (საბა); სხუა და სხუა რიგი *შილანი*, ერთმანეთს უკეთესია (ფემ. 165, 3).

ახ. ქართ. **შილა** წითელი ფერის ქსოვილი (ბამბეულისა). გულში მკრეს, ორგან გახვრიტეს ჩემი პერანგი *შილისა* (რ. ერისთ.). ტახტზე იჯდა... ქალი, წითელი, როგორც *შილა* (ლ. არდაზ.). || ბამბეულის ქსოვილი, საერთოდ. [ოთარაანთ ქვრივმა] ჩაიცვა ლურჯი *შილის* პერანგი (ილია). დედა... ეტყოდა ბახვას, დაწეპიო, და ზედ დაფარატინებულ *შილის* საბანს წააფარებდა (გ. წერეთ.).

დიალექტ. **შილა** წითლად შეღებილი ტილო, რომელზედაც ნაჭრელათი ქარგავენ. მემრ *შილა* დახკერდების პერანგს საბეჭურად გულმუცელთაზედა-დ' მჭარჩი (შინამრეწვ. 16). ზოგ ქალ გიჭრელებს *შილასა*,

სელის „მეშოვის“ ტილოსა (ხევს. ჭინჭ.). მუნ რძალ იპარავს შილებსა (ფშ. ქეშვიკ.). წაღან ბებრევ მუქასარ აკეთევდნენ შილაძთი, იცომდნენ (ქართლ. მიძ., კეცხ. ხუბ.). ამავე მნიშვნელობით **შილა** დასტურდება (შ. კახ. მრეწვ. III, I, 45). ქალის თეთრი პერანგის გულზე... წითელი შილაა (ჩითი) გადაკრული (ჯავახ. მრეწ. II, II, 159, ქვ. 2).

**შილა** ღია წითელი. *შილასავით* ყირმიზი მაწაკები დააყარა ტანზე“ (ად., ჩვენ. ფუტკ.).

ზან. **შილა** ბამბეულის ან აბრეშუმის ქსოვილი წითელი ფერისა; შინდისფერი დროშა; დროშა (საზოგ.) შილი ქსოვილი; ნაქსვი (მეგრ. ქობ.).

სამ., ახ. ქართ. **II. შილა** [სპარ. ში\*ლე] ძვ. ბრინჯის (ან ფეტვის) საჭამადი ერბოთი და მწვანელით შეზავებული. მომართეს რიგი ყოველი, რაცა ლხინისა წესია: საჭმელი ფერად-ფერადი, შაქრისგანც უამესია, სხვა და სხვა რიგი *შილანი*, ერთმანეთს უკეთესია («შაჰნავაზ.»). ჭამა გარიგდა, მოიღეს უანგარიშო ხონები, ... ათასი რიგი, *შილანი*, კაცთაგან მონაგონები... («შაჰნავაზ.»). რა კარგი და მშვენიერი სუნი ჰქონია ფეტვის *შილას* (ბ. ჩხ.).

### **შილინგ-ი:**

სამ. ქართ. **I. შილინგი** ძვ. 1. «ესე არს სასიხარულოსა საქმესა ზედა ზარბაზანთა და თოფთა სროლანი»... (საბა), – სალუტი.

**შილინგი** ილუმინაცია, ზალპი. რუსთა ზარბაზნის *შილინგით* გარს ცეცხლი მოუკიდესა (დ. გურამ. 135, 495, 4). „არ გაუშვათ, დაჰკარით, – დაიღრილა ქისტმა და მისცეს თოფის *შილინგი* (ივ. ბუქ.) – ი. გრიშ.

დიალექტ. **შილინგი** თოფების ბათქი, შედღუხი. „მწუხრინასრ გადმითაჲ შილინგ გამოადიოდ, შილინგ რო (თუშ. ხუბ.). შილინგ სროლის ბათქი, თოფის გახშირებული სროლა. „გამხვიეს თოფის *შილინგში*, ალი დამხვიეს თავსაო“ (თუშ. ცოც.).

იხ. აგრეთვე: **შილიგი** ხშირი და ძლიერი სროლა (ლექს. ალაგ.).

**შილინდი** (ფშ. ხევს.) «თოფების ერთად სროლა» (ი. ჭყ.). გაზეთის კითხვას რომ მორჩნენ, ახლა *შილინდი* გამართეს (ბაჩ.).

**ჩილინგი** ძვ. შილინგი, სალუტი, თოფის სროლით შურისძიების აღნიშვნა (მოხ. ქავთ.).

სამ. ქართ. **II. შილინგი** «... როკვათა ფერხთა სწრაფად რამ ხმარებანი» (საბა). შილინგი როკვა, ცეკვა. *შილინგით* მიმოხლტომელნი მოვლიდენ მეგრეთს მრებელნი (ბეს. 125, 1).

შდრ. **შელლიგი (შენლიკ)** სიხარული, მხიარულება, გამოცოცხლება. ჩაქურაი ქალები *შელლიგი* არიან (თ. ქ., ჩვენ. ფუტკ.).

ახ. ქართ. **III. შილინგი** [ინგ. schilling] 1. ინგლისური ფული – უდრის გირვანქა სტერლინგის 1/20-ს. მისტერ დიკმა მიიღო ათი *შილინგი* და ცხრა პენსი (ქ. ბაქრ. თარგმ.). 2. ავსტრიის ფული – უდრის 100 გროშს.

**შირა:**

საშ. ქართ. **I. შირა** ტყბილსა ძველნი ტყბილსა უწოდენ, (+ რომელ არს ყურძნის წვენი Cab) – საბა.

ახ. ქართ. ...**შირა** [სპარს. šira] 1. „ხის წებო“ დ. ჩუბ. 2. (ქიზ. ინგილ.) შესქელებული წვენი რისამე. მოწეული ლედვი და ატამი თავის *შირას* არ გამოლევს («შინამრეწვ.»)

დიალექტ. **შირა** რისამე შესქელებული წვენი. ეს კახური ლობიო ცალცალკე გარბის, ამას *შირა* არა აქ (მეგ., ქართლ. ლექსიკ.).

**შირა** სიმსუქნე წვნიანისა, სისქე ღვინისა ან ბადაგისა, დუდკო ყურძნისა და სხვა ხილეულისა და მისთ. (ქიზ. მენტ.).

**შირაჲ** ყურძნის ან თუთის წვენი (ინგ. როსტ.). ტყბილი წვენი თუთისა (ჯავახ. ბერ.).

ზან. **შირა** ხის ფისი, წებო ნაწრეტი; იგივეა, რაც აშირა (მეგრ. ქობ.).

დიალექტ. **II. შირა** მეცხვარის ბინა. შირაქში ძრიენ ჩამოცხა, შირა ავ-შალეო (ტანძ., ქართლ. ლექსიკ.). შდრ. სპ. შერა ძვ. ფარდული, ჩარდახი.

დიალექტ. **III. შირაჲ** ცხენის ავადმყოფობად (კანზე ალაგ-ალაგ ბალანი სცვივა). ცხენ ვარაქ (უნდა) გაატარო ოფლ დაშრომინჟახ (ოფლის შესრობამდე), თუარდემ (თორემ) ოფლიან ცხენს მუწუკივი ეყრევ, იცქლჸფვის (იყვლიფება) კან, შირაჲ ეყრვის (ინგ. ღამბ.).

**შირიმ-ი:**

ძვ. ქართ. **I. შირიმი** საფლავი: „აღიღეს *შირიმსა* ერთსა, რომელი დაბეჭდულ იყო კრძალულებით“ (ფლკტ. 160, 4) „დადვეს იგი სამეუფოსა მას *შირიმსა*“ (თომა მოც. 19, 38).

შდრ. **შიოლი, შიული**: „ახარა ცხორებაჲ მკუდართა, რომელნი იყვნეს შიოლსა შინა“ (X-622). „აღმოიყვანა სული მისი ჳელთაგან *შიულისათა*“ (X-285r).

საშ. ქართ. **II. შირიმი** || **შირემი**: ვისცა თირკუმელი და ბატარა მუცელი სტკიოდეს, *შირიმისა* ნიშანი არის (ფანასკ. 59, 20). და თუ შეასუას სკუნტლი მისი ლობანსა თანა და თავლისა ღუინოსა, გამოიღოს *შირემი* (ფანასკ. 423, 13).

ახ. ქართ. **შირიმი** 1. ძვ. „ბუმტისა და თირკმლის ქვა“ (საბა). აგრეთვე: ქიზ., ფშ. ცარცისმაგვარი ფაშარი ქვა – ქეგლ.

2. **შირიმი** ავადმყოფობაჲ, შარდის შეკავება. კაცი თუ ხშირად დადის ფეხისალაგში, ეტყვიან: კაცო, რა *შირიმი* შეგიდგაო (ი. გრიშ.).

დიალექტ. **შირიმი**: ბავშვი რო ქვეშ ისველეფს, ქალები იტყვიან ხომე, *შირიმი* აქსო (ტირძ.). რო ისველეფს ბავშვი, იმაზე იტყვიან, *შირიმი* სჭირსო (საღ., აგრეთვე დ. თონ., ქართლ. ლექსიკ.).

**შირიმიანი** შარდსადინარ მოშლილი; თირკმლის კენჭის მქონე. მაგასავ, *შირიმიანსავ*, ცოლად წაუოლიაევ?! გადატ. **შირიმ შაგწყადა** დათვერი, შერცხვი (ხევს. ჭინჭ.).

**შირიმბ** // **შირუმბ** მოთეთრო ქვა, რომელისგანაც კირს აკეთებდნენ. პირიქითის ციხეებ სუ *შირუმბის* კირით არის ნაშენებზ (თუმ. ხუზ.).

ზან. **შირი** დანაშრევი, ნალექი; შარდის კენჭი; შირიმი (მეგრ. ქობ.).

### **შიში:**

ძვ. ქართ. **I. შიში** ზარი, ტუქსვა, ძრწოლა, თრთოლა: „შეშინა შიშითა დიდითა“ (მრ. 4, 41). „დაეცა შიში მათ ყოველთა ზედა“ (საქ. მოც. 19, 17). „დაეცა შიში სიკუდილისაჲ“ (ო, I მფ. 5, 11). „რომელსა არცა ჭირი ეხილვა, არცა შიში“ (შუმ. I, 19).

საშ. ქართ. **სიში, შიში** – საბა, დ. ჩუზ.

საშ. ქართ. *შიში* აქუნდა ნებროთიანთა (არჩ. ცხ. I, 10, 9).

**შიში** საშიში. ვერა ჰკადრეს, თუ *შიში* არისო (ამირან. 75, 3).

ახ. ქართ. **შიში:** ქალს *შიშით* გული წაუვიდა (ზღაპ.).

აღდგენილია ს.-ქართვ. \*შ- „შიში, დარდი, გაშეშება“ არქექტიპი (ჩუხუა 2000-2003).

ძვ., საშ. ქართ. **II. შიში** შუშა, «ალაბასტრი», მინა, ბროლი: რომელსა აქუნდა *შიშითა* ნელსაცხებელი C – ... „ალაბასტრი ნელსაცხებლისაჲ“ (მთ. 26, 7).

„მოიქცის გარე მოძებნის მთვარე / შიშ-ჰაერ პირი / მნათობის დარი“ (თამარ. 58, 12).

სპარსული šišī, šīše – „მინა, შუშა“. šīše – შუშა, მინა, ფლაკონი, სარკე და სხვ. (ანდრონიკაშვილი II, 1996).

დიალექტ. **III. შიში** (šiš) შამფური. *შიშ* აკეთებენ და იმით წუნენ ხორცსა (იმ.). *შიში* გაკეთდება ხიდანაც (ჰ.). ეს *შიშიდამ* გამოკამპულია (მ., ჩვენ. ფუტკ.). ხორცსა იმას, *შიშებ* ააცმენ, ჰალ იმას ვეტყვით (იმერხ. ფალ., ცინც.).

ეს სიტყვა დასტურდება ასევე აჭარულსა და ლაზურში. (გურგენიძე 1973, 20).

### **შიშაგ-ი:**

საშ., ახ. ქართ. **I. შიშაგო:** 1. დედალი ცხვარი ერთიდან ორ წლამდე; მამალი საკლავი ცხვარი (დ. ჩუზ.). თუ უხორცობა ვერ გასძლონ, მამლის *შიშაქის* ცხურის ხორცი ჰამონ (იადიგ. 108, 32).

**შიშაგო, შიშაქი** [თურქ. šišek] 1. დედალი ცხვარი ერთიდან ორ წლამდე. [ყოჩები] თავგანწირვით იბრძოდნენ, უეჭველად რომელიმე *„შიშაქი“* სადაოდ გახდომოდათ (ა. ყაზბ.).

დიალექტ. **შიშაგო** ს. ხიზაბავრაში *შიშაგს* უწოდებენ ორივე სქესის ცხვარს სამ წლამდე (ჯავახ. ბერ.). **შიშაქი** ერთი წლის დედალი, უშობელი ცხვარი. *შიშაქი* საგობნე რისვს იპარსავს, ცხრბაჩი შასული კი-მატყლსა (მოხ. ლუდ.). აგრეთვე: (თუმ. ცოც.).

ძვ., სამ. ქართ. **II. შიშაგი** [სპ. შიშაჰ „შუშა“, „ბოთლი“] შუშის ჭურჭელი. წყალი მისი თეთრსა *შიშაგსა* შიგან ჩაასხას („წიგნი სააქიმოდ“). შიშაგი < შივშაგი.

შდრ. **შივშაგი** ნელსაცხებლის ჭურჭელი. „მენელსაცხებლემან რად აღავსის *შივშაგი* სულნელითა“ (იოანე ზედაზნ. 213, 36).

*შივშაგსა* ჩაასხენ (ფანასკ. 22, 18).

ილ. აბულადის გამოკვლევით შივშაგს ვხვდებით ძველად, როგორც ორიგინალურს, ისე თარგმნილ ნაწარმოებებში... მათი შეჯერებით მკვლევარი ასკვნის, რომ შივშაგი არის ჭურჭელი, ავსებული სურნელი ნელსაცხებლით, რომელიც წასადებად შეიძლება ჩაიდვას სხვა ჭურჭელში და დაკიდებით იქნეს წაღებული. შივშაგ'ი, რაც იგივე შიშა, თავისი მჟღერი გთანხმოვნით იმას ამჟღავნებს, რომ ის ფალაური, რომლიდანაც იგი წარმომავლობს, ახალი ფალაურია, ე. ი. საშუალო სპარსული სასანური ხანისა (226 წ – 642 წლამდე). ფალაურში სავარაუდოდ კიდევ სხვა ფორმის \*ššak-ის დადასტურება მარტოდენ ძველ ქართულში ხმარებული შივშაგ'ით სომხურისაგან დამოუკიდებელსა და ირანულისაგან უშუალო სესხებას უნდა მოწმობდეს (აბულაძე II, 1976, 121).

დიალექტ. **III. შიშაგი** ოდნავ მკვახე, ახლად შემწიფებული (ხილი). *შიშაგი* უნდა მოკრიფო და ისე უნდა მოხარშო (კარალ.). *შიშაგი* უნდა მოკრიფო და გაკეთო მურაბაი, როგორც მრეში, რა! (კარალ., (ქართლ. ლექსიკ.).

### შოლტ-ი:

ძვ. ქართ. **I. შოლტი** მათრახი: ქმნა *შოლტი* საბლისა (ი. 2, 15). „აქუნდა *შოლტი* ჳელთა მისთა“ (იზთ. 149, 29). „აღილე *შოლტი* ისი და ჭუვარგენი და წარვედ და აძოენ ღორნი“ (მ. ცხ. 361r). „უბრძანა... ცემა *შოლტი*თა ტყავისადათა“ (H-341, 159).

სამ. ქართ. უგრძნოს *შოლტი*თა დამხველმან ზეს მჩემობითსა მას ხატსა განჰკვერთხენ ზურგნი ბრალთა მეტვირთნი (ბეს. 101, 30). ერთი *შოლტი* ტყავი მაგას შენ ა[ა]ძვრე, მეტად გრძელი (შჰნ. III, 688, 1). გოგნიას-შვილს... მის კაცისა მეგრემან სამი *შოლტი* უნდა ამოკრას (სამ. IV, 356).

ახ. ქართ. **შოლტი** 1. მათრახი სამ-ოთხ ღერი (საბა). ტყავის კოპის წნული, გრძელი (2-4 მ. სიგრძისა), ხის ტარიანი; ხმარობენ წინა (საყვერის) ხარების, შებმული ცხენის, ცხვრისა და მისთანათა გასარეკად. *შოლტი* ისე უნდა მოიქნო, რომ შენვე არ მოგხვდესო (ანდაზა). (მეურმემ)... ხარს *შოლტი* გაუტყლაშუნა (ილია). 2. მტკავლის სიბრტყედ საქალამნედ დაჭრილი საქონლის ტყავი. ცხენმა უთხრა [ნაბიჭვრიშვილს]... „ერთი ისეთი დამკარ, რომ სამი *შოლტი* ტყავი ამძვრეს“-ო (ზღაპ.). 3. (ქვ. იმერ.) იგივეა, რაც წკეპლა. [გიო] ცხენიდან ბჟოლის ხეს სწვდა, მოგლიჯა მოგრძო *შოლტი* სამათრახედ და წინ გასწია (ლ. ქიაჩ.).

დიალექტ. **შოლტი** ღერძში გაყრილი მავთული. **შოლტია** რეზბიანი ნაწილი ტორმუზისა, რომელიც გამოდის ზესადგარში მარჯვენა მხარეზე და თავდება კორბით (მოხვა, ზ.-იმერ. ძოწ.). იხ. აგრეთვე: (შ. კახ. მრეწ. III, I, 53, გურ. მრეწ. III, I, 253, მოხ. ლუდ.).

ქართ. **შოლტ**-ის ზანური ვარიანტი ჩანს მეგრ. შქვერთი || შვერთი „ხის ტყავი (გრძლად), ე. ი. იგივე ტყავი. ქართული შოლტის წინასახეობა შეიძლება ყოფილიყო \*შველდ. ქართ. შოლტ-ის (< \*შველდ) ფუძის ძირისეული \*შვ- შეიძლება უკავშირდებოდეს აფხ. და ადიღეურ ტყავის მნიშვნელობის ფუძეებს (როგავა 1962, 98).

აღდგენილია ს.-ქართვე. \*შოლთ- „შოლტი“ > ქართ. შოლტ-: ზან. შქვერთ- < \*შქორთ- (ჩუხუა 2000-2003).

ჩაჩნ. წოვ. შალთ ძირი უნდა ხვდებოდეს ქართულ სიტყვას შოლტი (გონიაშვილი 1940, 612).

ახ. ქართ. **II. შოლტი** (ფშ. მთიულ.) კედლიდან კედელზე გადებული ძელი, კოჭი, რომელსაც სახურავი უჭირავს ... ყორეზედ არის დაწყობილი დაუთლელი მსხვილი *შოლტები* (ხეები) (ვაჟა). „(ნიკამ) თავზე გაუდვა და მაზედ „კოჭი“ და „შოლტი“ წაუსხა (ბ.) – ივ. ქეშიკ.

დიალექტ. თავხეებზე *შოლტები* იყო გადებული, *შოლტებზე* ჭერი ეწყო (ქართ. მტკ. ჩრდ. მრეწ. I, 206). პირველად ოთხ *შოლტს* დასდებენ ორ თავზეზედ დედაბოძებს შორის, ორ *შოლტს* ერთი გვერდის კედლისაკენ და ორ შოლტსაც მეორე გვერდი კედლისაკენ (ფშ. მრეწ. I, 175). იხ. აგრეთვე: (ქართლ. ლექსიკ., ქსნის ხეობ. სომხ.).

\***შოლტი** კავის ის ნაწილი, რომელიც უკავშირდება უღელს სამატის საშუალებით (სინონ. სახიზი). რითაც კულამთან არი გამობმული, კავის ის ნაწილი არი *შოლტი*. *შოლტის* სიგრძე ლაახლოებით ორნახევარი მეტრია, ე. ი. 250 სმ (ვახანი, ზ.-იმერ. ძოწ.).

მდრ. **შოტიალი** კუთხ. (გურ.) იხ. ლიტაო. **შოტიალი** უტოტო, ტიტ-ველი ხის ტანი; აშოტიალებული უტოტოდ ტანაყრილი (გურ. შარამ.). შვეტი ძვ. «სწორე, გაუხრელი» (საბა).

### **შოლტა:**

ახ. ქართ. **I. შოლტა** ფამფალაკში გაყრილი ხე, რომლის მეორე (ყბიან) მხარეზე უღელია და შიგ გუთნისთავის ხარებია შებმული – ქეგლ. იხ. II. შოლტი. აგრეთვე: შოლტკავი

დიალექტ. **შოლტა** ხარის დასაბამი ტარი (მესხ. კ. დონდ. 380) – ალ. ლლ. იხ. II. შოლტი.

პოეტ. შოლტა აშოლტილი, მაღალი და ტანადი. თუ შაქარტუჩა, თვალშვენიერი, თუ ძუძუმარწყვა და *შოლტა* ქალი? (გ. ლეონ.).



გადატ. **შოლტივით გოგო, შოლტივით** ბიჭი მაღალი, ტანწვრილი, ტანწერწეტა. „ნახე, იმ ფეთხუმ რა *შოლტივით* გოგო მოუყვანია ცოლათ. „ქართულ ჭიდაობაჲ *შოლტივით* ბიჭი უხდება“ (გ.-კახ. სახლთხ.).

ახ. ქართ., დიალექტ. **II. შოლტა** კუთხ. (ფშ. ხევს.) ბალანგაცლილი გუდა. შიშიამ შეჭამა... პური, დანარჩენი საგზალი ისევ *შოლტაში* (მელოტი გუდა) ჩააწყო (თ. რაზიკ.).

შდრ. **შუალდაკი** აზგა. ნურარად გაქუნ თქუნ საგზლად- ნუცა პური, ნუცა *შუალდაკი*, ნუცა ჯამლი (მიმოდასლ. 23, 37).

დიალექტ. **III. შოლტაჲ** აბრეშუმის ჭიის ჯიში. „ყაჭი იქნება თეთრი შოლტაჲ, კაბიე“ (აჭარ. ნოლაიდ. დარგ. X).

დიალექტ. **IV. შოლტა** მცენარე (ჯავახ. ბერ.).

#### **შორ-ი:**

ძვ., საშ., ახ. ქართ. **I. შორი** არ მახლობელი – დ. ჩუბ. **შორი** დიდი მანძილით დაცილებული, შორეული. „წარვიდა *შორსა* სოფელსა“ (ლ. 115, 13). გზასა *შორს* იყოს (პხ. რიცხ. 9, 13).

აქეთ არასდროს გზა არ გქონია, გადმოგილახავს *შორი* მინდვრები (ანა). 2. გრძელი, დიდი (ითქმის გზის შესახებ). *შორი* გზა მოიარე და შინ მშვიდობით მიდიო (ანდაზა).

დიალექტ. **II. შორი** გაზაფხულით ჩუმას (მაწვნისაგან გაკეთებული ნალები) ასხამენ, მერე შედღვებამენ, *შორი* ჰქვია (თმოგვი, ჯავახ. ბერ.). იხ. II. შორვა.

#### **შორვა:**

ძვ. ახ. ქართ. **I. შორვა, შოვრვა** შორს ყოფნა, არსებობა. **შორვა** – შდრ. შორი – ილ. აბულ.

საშ. ქართ. **II. შორვა** სუპი, წვენი, ბულიონი. ფლავისა ნაცვლად *შორვა* ვითხენით (ბეს. 92, 9).

ახ. ქართ. **შორვა** [სპარ. არაბ. შურბა] «თხელი შილაფლავი, ლაზა» (დ. ჩუბ.). სნეული... პირს მოარიდებს ხოლმე... მსუქან ფლავსა და ყოველს ამაზე უფრო მეტის სიამოვნებით რჩეობს ორიოდე კოვზს კარგს *შორვასა* (ილია).

დიალექტ. **ჩორბა, შორვა** (ზ. აჭარ.) ფაფა, წვნიანი საჭმელი, სახვრეპი (აჭარ. ნიჟ). **შორვა** (თ. çorba) წვნიანი კერძი ჩორბა (შავშ.).

#### **შორშორ-ი:**

საშ. ქართ. **I. შორშორი** ერთმანეთზე მოშორებული ან უგვანი (დ. ჩუბ.). შდრ. I. შორი.

საშ. ქართ. **II. შორშორი** მოთრეული მხალი გაუწურავად შემზადებული (დ. ჩუბ.). შდრ. II. შორი.

**შპეტ-ი:**

საშ. ქართ. **I. შპეტ** უმარლი – დ. ჩუბ. იხ. II. სპეტი.

საშ. ქართ. **II. შპეტი** ზედამხედველი მაგალ. ცხვრებისა – დ. ჩუბ. შდრ. **სპეტი**, პეტი საქმით უხუცესი – საბა.

პეტი < სპეტი < შპეტი; ს- განვითარების შედეგად სპ > შპ; ბაგისმიერი აბრუპტივისა და სისინა სპირანტის შემცველ კომპლექსში აბრუპტივის რეგრესული ასიმილატორული მოქმედება სისინა სპირანტზე სპ > შპ შენიშნულია სპეციალურ ლიტერატურაში (ქავთარაძე 1964, 356).

**შროშანი-ი:**

ძვ. ქართ. **I. შროშანი** liliium: „მიხედეთ შროშანთა ველისათა“ (მთ. 6, 28). „ბირთუნი და შროშანი (სასანთლისანი) მისგანვე იყვნენ“ (O, გამოსლ. 25, 31). „ყუაოდენ ვითარცა შროშანი“ (ეს. 35, 31). „სოლომონმანცა... ვერ შეუძლო შემოსად სამოსელი, ვითარცა ერთი შროშანთაგანი“ (მ. სწ. 190, 32).

საშ. ქართ. 1. **შროშანი** (სომხ.) სუნნელი ზამზახი – დ. ჩუბ. 2. *შროშანთა* შლილნი, ყარამფილნი, შვენვით ზვაობენ (ბეს. 50, 14). სხვანი ლხინისა *შროშანნი* ჰგიან ფერადნი, მეფეო (ვახტ. VI, 20, 5). 2. მრავალფერი ყუავილი მეტისმეტად სურნელოვანი. ჭიქისა ჭურჭელსა შიგა შაფად შექნა *შროშანი* (ქანან. 97, 30).

ახ. ქართ. **შროშანი** 1. [Lilium candidum] ბოტან. თეთრყვავილა ბოლქვიანი მცენარე; მაღალი, შეფოთილი; მოჰყავთ ბაღებში. 2. ამ მცენარის ყვავილი; მეტად მძაფრი სუნი აქვს. კოკობი ვარდი, ფერმიხდილი, ნაზი *შროშანი*...ერთად შევკონე თაიგულად და მოგიტანე, ჩემო კესანე! (ჭ. ლომთ.). თეთრი *შროშანა* დაგეცა გულზე და ლურჯი ფერით თვალი მთვრალია (გ. ლეონ.).

**მთის შროშანი** [lilium szowtsianum] მთაში გავრცელებული ყვითელყვავილა ბოლქვიანი მცენარე (სინონ. რაჭ. თიორში, თიოში). მარინეს კალთაში... უყრია *მთის შროშანი* და დიცი (მ. ჯავახ.).

შროშანი ებრაული כַּשְׁמָן-იდან მომდინარე ფუძეა (ივანიშვილი 2014). იხ. ასევე შროშანა – ქეგლ.

საშ. ქართ. **II. შროშანი** ფრინ. – საბა. **შროშანი** სრულიად ჭრელი შაშვი თეთრით და სხვადასხვა ფერით დაწინწკლული მგალობელი და ლაპარაკსაც ისწავლის (თ. ბაგრატი).

**შროშანი** შოშია, მარტია. ყნოსა *შროშანთა*, მღერა შროშანთა (შავთ. 14, 3).

ახ. ქართ. **შროშანი** იგივეა, რაც შოშია. ყორანმა შაშვის ჯიბრით *შროშანი* მოკლა, – შენც შავი ხარ და ისიცაო (ანდაზა). მრავალგვარი ფრინველი ბუდობს საქართველოს ტყეებსა და მინდვრებში. ჩხართვი, *შროშანი*, ტარბი და სხვ. (ი. გოგებ.)

**შტანგ-ი:**

ძვ., საშ. ქართ. **I. შტანგი** «საბელი»: „დასდვა შენ სასწაულად: *შტანგი* ესე მეწამული გამოაბა სარკუმელსა“ M – „დასდვა ნიშანი: საბელი მოწეული ესე მოაბა სარკუმელსა“ (G, ისუ ნ. 2, 18).

**შტანგი** ძვ. „...ნიშანი რამე შორით დასანახავი, საცნობი“ (საბა). **შტანგია** ალამი, მცირე ბაირადი (დ. ჩუბ.). ესე ყოველი სირცხვილის შემოკრებისა *შტანგიაო* (ქილ. 594, 35).

ახ. ქართ. **II. შტანგი** [გერმ. Stange] 1. სპორ. სიმძიმის აწვაში – ლითონის ზრო, რომელსაც ბოლოებზე უკეთდება წყვილ წყვილად სხვადასხვა სიმძიმის დისკოები. 2. ტექ. დედმიწის მაგარი ფენის (ქვანახშირის) საბურღავი იარაღი – ლითონის (ან ხის) ზრო, რომელსაც ბოლოში მიხრახნილი აქვს საბურღავი ჭურვი.

**შტილ-ი:**

ახ. ქართ. **I. შტილი** ძვ. იხ. II. სტილი. [ბერის] საუბარში აღარ ისმოდა «გარნა»..., აღარც რიტორიკა ანუ დოღმატიკიდან ამოკრეფილი «*შტილი* მაღალი» (მ. ჯავახ.).

ახ. ქართ. **II. შტილი** [გერმ. stille, ჰოლანდ. stil] წყნარი, უქარო ამინდი ზღვაზე.

დიალექტ. **III. შტილი** (ლექხ. იმერ.). შტილი < შთილი < ჩრდილი (ლექხ. ჩიქ.).

**შტო:**

ძვ. ქართ. **I. შტო, სტოა** (ეკლესიის გვერდით სვეტებზე დაყრდნობილი ფრთა, გადმოხურული): „ეკლესიისა *შტოსა* დგიან მიყრდნობით კუერთხთა ზედა მათთა“ (ი. -ე 38, 12). **სტოა** ἵστόα სვეტებიანი დარბაზი, კოლონადა ტალანივით „*სტოვაები* სამხრით კერძოთა ბჭეთასა“ (ეხეკ. 40, 18) – თ. ცქიტი.

ძვ., საშ. ქართ. **II. შტო:** „*შტოთა* რაფომცა ჰკაფდე, იგი სხუასა მორჩსა გამოიღებს“ (ნოვ. I, 124, 7).

ქართ. **შტო** (სომხ.) რტო, ნოშო, ღერი ზრო ხეთა; ტოტი მდინარისა, ან ზღუათა ჩამომავლობა (დ. ჩუბ).

ალვისა *შტო* ირხეოდა (ვეფხ. 954, 1). ვაზსა რა *შტოსა* მოჰკუთედნენ, ატირდების (ვისრ. 229, 33). ცაცხვი დგას ტურფად ნაზარდი *შტო* მსხვილი, შუა ვაკესა (ვახტ. VI, 27, 30). აწე მაგ ხესა გადიო და ასე დაწევ მას *შტოსა* შინა, ანუ არ გადმოვარდე და ანუ ხე არ შესძრაო (რუსულდ. 30, 36). ხისაგან ერთი მშვენიერი ახალი *შტო* ამოსულა (თიმს. 78ქვ. 1)

საშ. ქართ., დიალექტ. გადატ. 1. **შტო** განაყოფი, დარგი „ტანად სარონი, კეთილსახენი, საქციელშემკობილნი, სიბრძნისა ნერგნი და მეცნიერებისა *შტონი* გარდაეფანჩათ“ (საბა).

საშ. ქართ., დიალექტ. 2. **შტო** ხის რტო, გინა მდინარის გარდანადენი (საბა).

**შტო** ჩამომავლობაც არის – შტო, სტო და რტო. ესე სამივე ხეთა რტოთა, გინა მკლავთა ხეთასა ნიშნავს (თ. ბაგრატ.).

**შტო** წყლის, მდინარის ტოტი. ნავითა გავე, ზღვისაგან *შტო* რამე გამოვიდოდა (ვეფხ. 603, 1). ფშავის არაგვი შედგება ორი *შტოისაგან* (ვაჟა). „ძმა, ქალო, თათრებით მოგიკლეს, *შტოს* გაგიყოლეს წყლისაო“ (თუშ. ცოც.).

3. **შტო** ჰაერის ნაკადი. კაცი ხამს მისსა ხელოსნობისა წესს, ზედა მტკიცედ ეგოს და ნდომისა ჯლსა აქა-იქ ჰაერისა *შტოებთა* არ აწოდინოს (საბა).

4. **შტო** ჩამომავლობა, განაყოფი. ითვის-ტომა დავითის *შტომბა* (დ. გურამ. 112, 45).

ახ. ქართ. 1. **შტო**: დღეს მხოლოდ ეკლის *შტო* მიჰყრავ იმ ტურფა თა-იგულისა (ვაჟა). 2. მდინარის, ქედის, რკინისგზის... განაყოფი სხვადასხვა მხრისაკენ, განშტოება. კავკასიონის მთიდან დასავლეთისაკენ მიდის საკმაოდ მაღალი და გრძელი *შტო*, რომელსაც ნაქერალას მთა ჰქვი (ი. გოგებ.). 3. გადატ. განაყოფი, დარგი. [პირველდაწყებითი მწერლობა] მარტო ერთ თუმცა დიდგავლენიანს *შტოს* ლიტერატურისას ემსახურებოდა (ილია). 4. გადატ. ძირითადი გენეალოგიური ხაზის (მაგ., გვარში) განაყოფი (მაგ., ბიძაშვილის) ჩამომავლობა. ქართველების ტომის უფრო შორეულს *შტოს* სვანები შეადგენენ (ი. გოგებ.).

რტო // შტო სიტყვების შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში ვკითხულობთ: 1. საწინააღმდეგო შეფარდებაა მოცემული ძველი ქართულის რტო-სა და ახალი ქართულის შტო-ს შორის (შტო-სტო?) (ჩიქობავა 1942, 170). 2. სიტყვა **შტო**-ში თავკიდურა ჯგუფი მონაცვლეობს **რტ**-სთან? (ფოგტი, 1961, 24). 3. შესაძლოა **რტო** ტორ-ისაგან მომდინარეობდეს და მიღებული იყოს რ-ს მეტათეზისის შედეგად ტორ > რტო, მაშინ სარკვევი იქნებოდა ამ უკანასკნელის მიმართება შტო-სთან (ერთელიშვილი 1980, 107).

ჩვენი აზრით, შესაძლო ჩანს შტო // რტო სიტყვების დაკავშირება. „ფესვის გამონაზარდის“, „ყლორტის“ აღმნიშვნელ ლათინურ შტოლო-სთან სტო(ლო) > სტო.

### შურ-ი:

ძვ., ახ. ქართ. **I**. შური «...მწუხარება სხვისა კეთილსა ზედა» (საბა), წუხილი, სინანული სხვის რამე კარგზე, მოსაწონზე. **შური** «შურობა», <ბაძვა>. „*შურმან* სახლისა შენისამან შემჭამოს მე“ (ი. 2, 17). „არა დაიდვა *შური* გულსა“ (ფლკტ. 141, 22). „რადთა... *შურად* და ბაძვად მოვიდოდით“ (ი.-ე. 14, 4). იხ. მოშურნე, მოშურნება, საშურელი, საშურეველი, უშურვე-

ლი. შურმა დაავსო ქვეყანა, ბაძილმა ააშენაო (ხალხ.). ელისაბედს... შურით აევსო გული (ილია).

აღდგენილია, ს.-ქართვ. \***სურ**- „სურვილი > || შური“ > ქართ. სურ-: ზან. შურ-: სვან. შონ- < \*შორ- (ჩუხუა 2000-2003).

ახ. ქართ. **II. შური** (სპ.) მძიმე ჰანგის სახელია – ი. გრიშ.

### **შუმა:**

სამ. ქართ. **I. შუმა** მინის ჭურჭელი. დამიდგა კარგი სადილი, წინ ღვინით სავსე *შუშაო* (დ. გურამ. 150, 1, 6). მეორეს მხარსა – სულ ლამაზად დახატულის ნაბათით სავსე *შუშებითა* შაქრის ლერწმის და ხამის შაქრის მეტი (იდვა) (რუსუდ. 451, 37). აიღე ნარგიზი... და *შუშაშიგან* ჩაყარე და მზეშიგა დადგი (კარაბ. 427, 7). ოქროს *შუშები* მრავალი უყრია, ვითა სალია (ფემ. 100, 3).

შუშე მინის ჭურჭელი//ლამაზათ შეხრესენ და შუშეში, ემეში ჩადებენ (ჩაქ., შავშ.).

ზან. (მეგრ.) შუშა შუშა; მინის პატარა ჭურჭელი (მეგრ. ქობ.).

დიალექტ. **II.** (იმერ.) შუშა „ახალი, ნორჩი, თოთო“.

ს.-ქართვ. \*შუმ- „ნორჩი, თოთო“ > ქართ. შუშა : ზან. შქი-შქ-ილ-ა // შქეშქ-ილ-ა < \*შქუმქ-ილ-ა (ჩუხუა 2000-2003).

## ჩ

### ჩადრ-ი:

საშ. ქართ. **I. ჩადრი** ზეწარი ქალთა მოსაფარავი – საბა., დ. ჩუბ. თავ-სა ჩადრი გარდიბურა (ფემ. 458, 1).

ახ. ქართ. **ჩადრი** [სპარ. ჩადირ] თხელი განიერი წამოსასხამი (ჩადრით მუსულმანი ქალები სახესაც იფარავდნენ), – პირბადე. [ხანუმა] ჩადრს დაკეცავს, თავზე დაიდებს და ტახტზე ჩამოჯდება (ა. ცაგარ.). ყანიდან მომავალი ქალები... ჩემს ნახვაზე ჩადრს მოიფარებდნენ (თ. სახოკ.). იხ. აგრეთვე: ი. გრიშ.

საშ. ქართ. **II. ჩადრი** კარავი პადილიონე B.; ჩადირ ZAaBCE, ჩადრი D.; ჩადრი საჩრდილობელი – ZABCa. – საბა.

დიალექტ. ჩადრი (< თ. ჩადირ) კარავი, ფარდული. „იმსისხო ჩადრი იქნება, რომე ხემწიფემ თავის ჯარით რომ შევდეს, დდეტევა“ (აჭარ. ნიჟ.).

თურქულში სიტყვა ირანულიდანაა შესული. შდრ. ლაზური ჩადრი (ს. ჟღ. II, 212, გურგენიძე 1973, 31). ჩადრი სპარსულად იწერება და იკითხება ასე – [čādor]. მისი მნიშვნელობებია: 1. ქალის წამოსასხამი; 2. ჩამოსაფარებელი; გადასაფარებელი; 3. კარავი [რუბინჩიკი 1983]. აღნიშნული ლექსიკური ერთეული ქართულ ენაში მცირე ფონეტიკური ცვლილებითა (ჩადორ > ჩადრ) და დავიწროებული სემანტიკით შემოსულა (ბართაია 2010, 119).

### ჩალა:

საშ. ქართ. **I. ჩალა** ზრო, ღერო მოლთა – საბა, ნ. ჩუბ.

გარდაუგდეს ჩალათა წყალი (ქ. ცხ. IV, 112, 25). ზურაბის ჩალის ბოლოში ქუდურზედ... საყდარი დგას (სამ. VIII, 186).

გადატ. ჩალა მაქვს და ნაბადია (ვეფხ. 304, 4). მას არ მიაჩნდა შვიდნივე მთიებნი დარად ჩალისა (ნ. ციც. 1044, 4). ამდენი მაქვს, აღარ მინდა, ოქრო მიჩანს, ჩალის წონათ (არჩ. 254, 354, 3).

ახ. ქართ. **ჩალა** 1. სიმინდის, ღომის, ბრინჯისა და მისთ. ღერო და ფოთლები, მეტწილად ხმელი. სახლის მარჯვნივ კუთხეში კედელთან ეწყობო ორი კონა ღომის ჩალა (ე. ნინოშ.). აწი, შვილო, ხარებიც შემოიყვანე, ჩალა ჩაუყარე (დ. კლდ.). 2. ჭაობის ან წყლის ნაპირის მაღალი ბალახია მეტწილად ერთლებნიანთა კლასისა. ხნულის იქით გვერდზე პატარა ნაკადი ჩამოუდიოდა, ჩალა ჩაყოლებული ჰქონდა ნაპირებზე (ვაჟა). რესტორანის ვერანდაზე ჩალის სკამებში ჩავსხედით (ნ. აგიაშ.). 3. კუთხ. (კახ. მთიულ.) იგივეა, რაც კ ა პ რ ა ში.

დიალექტ. ჩალა (ინგ.) ლელ-კალამი, ისლი, იყენებენ სახლის სახურავად (დიალექტ., 625).

**ჩალაი** ჩალისფერი (ცხენი ან დათვი). შაბლიანთ ჭერხო სამსვიაყ ხქონდის *ჩალას* მოღებულ ალმის ტარებით. *ჩალა* დათვისად იციან მეტაყ მარჯვიაყ – ჩალისფერ დათვზე ამბობენ, ძალიან ავიაო (თუშ. ცოც.).

საშ. ქართ. **II. ჩალა** (სპ. ჩალ) ორმო, ხარო, დილეგი, ჯურღმული. ჯერ ამ *ჩალიდამ* ავიდეთო და მერე სულ ყველას გაცნობო (შპნ. III, 340, 29). იხმარება საპყრობილის მნიშვნელობითაც, ხან *სიჩალის* ჯურღმულსა დამატუსაღებ ხოღმე (შპნ. II, 398, 33).

დიაღექტ. **III. ჩალა** სანთელი ღერი, ცალი სანთელი. ავიღე ორი *ჩალა* სამთელი და წავედი წმინდა გიორგში (კარალ.). მუხათავის ნიშში რო შავალ ხომე, რამი ათი *ჩალა* სამთელი დავანთო (ბროწლ., აგრეთვე ატ., საღ., ძეგ. ქართლ ლექსიკ.). ჩალა < ცალა < ცალი.

**ჩალიჩი:**

საშ. ქართ. **I. ჩალიჩი** ტილოს ლახტი საგვემელი ფუნდრუკობაში – დ. ჩუბ.

**ჩალიჩი** (ჩალიკი Cb) საფუნდრუკო საგვემელი ტილოსა (ტილოსი B) ZAB. ჩალიჩი (ჩალიკი Cb) ეწოდების ტილოსა შეგრეხილსა საფუნდრუკოდ (+ საცემლად Cb) CD. **See also:** ჩალიკი – საბა. შდრ. ჩილიკა.

ახ. ქართ. **ჩალიჩი** 1. თასმებისა, თივისა და მისთანათაგან დაგრეხილი თოკი. ნამჯის ჩალიჩი. || ამ სახის ორნამენტი. სვეტისთავს ზემოთ აქვს არაფართო ქიმი კოვზისებური ორნამენტით, ხოლო ქვემოთ – ხვეული *ჩალიჩი* (გ. ჩუბ.). 2. ლახტი, ლახტაობა. რამდენსამე კალოზე ყმაწვილებს გაემართათ *ჩალიჩი* (შ. არაგვ.). ხალხი... თვითონ იღებდა მონაწილეობას ჭიდაობაში, კრივში, *ჩალიჩში* (ა. ყაზბ.). ჩალიჩი თამაშობა (თონ., დვალ., ღოლოვ., ქართლ. მენთ.).

დიაღექტ. **II. ჩალიჩი** ვაჭრობა (ფარცხ.); **იჩალიჩებს** ივაჭრებს. წადი *იჩალიჩეო*, ივაჭრეო (ფარცხ., ქართლ. მენთ.).

შდრ. **ჩარჩი** (სპარს.) მეწვრიძალე, მატრაბაზი; სარგოიანად გამსყიდავი – დ. ჩუბ.

**ჩალიჩობა** [თურქ. ჩალიშმაქ-იდან «შრომა», «ცდა»] ვაინაჩრობა, მცდელობა. თუ ეს ხრიკები გააგრძელეთ, ახლავე წავალ ამ ქარხნიდან და შევაწყვეტინებ თქვენს მასეთ *ჩალიჩობას* (პ. კაკაბ.). შდრ. *ჩალისი*, *ჩალილობა* რიგით და რიგით ომი – დ. ჩუბ.

**ჩალხ-ი:**

საშ., ახ. ქართ. **I. 1. ჩალხი** ცის ჩარხი; ზეცა; განგება. *ჩალხისა* ბრუნვამან, გატანჯვათა ჳელოსანმა, ჩემზედ ორგულობა და მტერობა გამოიჩინა (ქილ. 279, 22).

ეგონათ სწორედ ტრიალი მრუდის საწუთროს *ჩალხისა* (დ. გურამ. 91, 202, 4). მაგრამ, ვაიმე! შედგა *ჩალხი*, გაბრუნდა ბედი! (რ. ერისთ.).

2. **ჩალხი** მშვილდის სახეობა, მაგარი მშვილდი. „ზოგნი მცირე ისარსაც უწოდებენ“ ისრის თვითმტყორცნელი (იუსტ. აბულაძე). ფარანდამან *ჩალხისა* ისარი მკრა გულსა (ვისრ. 198, 8).

**ჩალხი** სალესი მოწყობილობა, ჩარხი. 2. ზმ., გლ ურმის ბორბალი, ურმის თვალი. **ჩალხის მორგვი** ურმის თვლის მორგვი, რომელშიაც სოლები („კბილები“) არის დამაგრებული (რაჭ. კობახ.).

**ჩალხის ქვა** გუდ. ხ., მოხ. ქვა, რომლისგანაც სალესაც ქვას (ჩალხს) აკეთებენ – ა. შან. აგრეთვე: (თუშ. ცოც.).

**ჩალხი** (ჩვეულ. მრავლ. ჩალხნი) ხ. მოხ., სალუდე ქვების გვერდებზე ჩაკერებული სპილენძის ფურცლები. „ჩალხამდე დაიწვიაო“ (მოხ.). ჩალხი (=მთორე) ძირს არი, მთლიანი გვერდებისას ფესვები ჰქვია (გუდ.) – ა. შან. ჩარხი (სპარს) > ჩალხი.

დიალექტ. **II. ჩალხი, ჩარხი** ცახი. *ჩარხ* დაუდებთ, როცა პარკი უნდა გაიკეთოს ჭიამა (ვარ.). აბრეშუმის ჭია *ჩალხზე* გადის (ქორ.). ცხრატყავას *ჩალხათ* ხმარობენ აბრეშუმის ჭიისა (ძეგ.) აგრეთვე ბრ., გარიყ., ზ. ხანდ., თამ., სად., ქემ., ქართლ. ლექსიკ.).

ამოსავალი სიტყვა უნდა იყოს **ცახი** < ბალახეულის კონა ან ფოთლე-ბიანი ფიჩხი, რომელსაც უდებენ აბრეშუმის ჭიას პარკის გასაკეთებლად.

### **ჩანა:**

სამ. ქართ. **I. ჩანა** თოვლზე სათრევი (ციგა). ვერას საქმით დაიხსნე-ბის, თუ დაების *ჩანა* გზითა (შჰნ. III, 633, 4).

ახ. ქართ. **II. ჩანა** [სპარ. *čānare* «ყბა», «ნიკაპი»] 1. ქვედა ყბა (ადამიანისა, საქონლისა). ქალს ჯირყვლებს უსინჯავდნენ ილიის ქვეშ და *ჩანასთან* (ი. გრიშ.). 2. სიმებიანი საკრავის ტანი, მუცელი. 3. ტეჟ. კიბის საფეხურების შემაერთებელი გვერდითი ძელი ხისა (ან ლითონისა).

დიალექტ. **ჩანა** ქვედა ყბის მნიშვნელობით დასტურდება: (ქიზ. მენტ., თუშ. ხუბ., ფშ. ხორნ., ფერეიდ. ჩხუბ.).

დიალექტ. **III. ჩანა** საკრავი. „ემიკ ალა მობრძანდება *ჩანითა*, ზუზუნითა, ლილინითა, ხანითა“ (გოდერძის ლექსი) – ი. გრიშ.

კოდი უპირველესად ხის ჭურჭლისა და საზომის სახელებია და შემდეგი საკრავის ნაწილის სახელადაც გამოუყენებიათ. ამათგან კოდი ქართულია, ჩანა კი საფიქრებელია ჩანახის ბოლო მოკვეცილი ფორმა უნდა იყოს... ჩანახი... თურქული სიტყვაა, რომელიც აღმოს. საქართველოში მე-17 ს. ჩანს გაჩენილი (ჯავახიშვილი 1990, 112).

შენიშნულია, რომ, **ჩანა**, როგორც სიმებიან საკრავთან დაკავშირებული ტერმინი, სპარსულ ლექსიკონებში არ დასტურდება (ბართაია 2010, 119).

ახ. ქართ. **IV. „ჩანა მივეცი“** ე. ი. ბევრი ვეხვეწე, ილაჯი წავართვი“ (ი. გრიშ.). შდრ. II. ჩარა.



**ჩანგ-ი:**

საშ., ახ. ქართ. **I. ჩანგი** [სპარ. čang] ურეზონატორო, სწორკუთხოვ-  
ნად მოხრილი, სიმებიანი სამუსიკო საკრავი, რომელსაც თითების გამო-  
კვრით აჟღერებენ. ქნარი: „წინა უროკვიდეს და სტვრითა და ჩანგებითა ქე-  
ბასა შეასხმიდეს“ (ბალ. 124, 20). **მეჩანგე** ჩანგის დამკვრელი. „ჰყვა... სხუა-  
ნიცა ქალნი, მემგოსნენი და მეჩანგენი“ (ბალ. 124, 4). ამ წმის სიმღერას *ჩან-  
გითა* და ჩაღანის პირით ისმენდენ (ქილ. 278, 4). დღეს იხარებს დავით,  
სულიერსა *ჩანგსა* თანა მღაღადებელი სულითა მეფე (ბეს. 122, 1). გამარ-  
თეს ლხინი ზმითა, შაირით,/ გალობით, მღერით, *ჩანგით*, დაირით  
(დ. გურ. 251, 265, 2). ამოსა კმასა იტყოდეს, *ჩანგის* ძალს წამოზიდესა (შჰნ.  
I, 1232, 4).

ერთი მომიტანეთ *ჩანგი*, რომ ავაჟღერო და სევდა გავიქარვოთ (აკაკი).

დიალექტ. **II. ჩანგი** (ქართლ.) გუთნის პირველ უღელზე დაკიდებუ-  
ლი რკალი, რომელშიაც გატარებულია ღვედები. შდრ. ჩანგალი- ქეგლ.  
**ჩენგელი** (თ.) – აჭარ. ნიჟ.

დიალექტ. **III. ჩანგი** (აზ. დიალ. ჩანგი) ურცხვი, უტიფარი; მსუბუ-  
ქი ყოფაქცევის (ქალი) (ინგ. ღამბ.).

დიალექტ. **IV. ჩანგის დადგმა** ყბის დადგმა. *ჩანგა* რო დაადგეს,  
იმით ამოიჭამეს (ჯავახ. ზედგ.). შდრ. **ჩენგე** ქვედა ყბა, ჩანა (აჭარ. ნიჟ.).

**ჩარ-ი:**

ახ. ქართ. **I. ჩარი** [სპარ. ჩაჰარ «ოთხი»] კამათლის ის გვერდი, რო-  
მელზედაც ოთხი წერტილია. ქონიაშვილი [აგორებს კამათელს] *ჩარი-სე!*  
ეს *ჩარი...*, ესეც სე... (გ. შარვაშ.).

დიალექტ. **II. ჩარი** (თურქ.). čar მეფე, ხელმწიფე. ეს იყო *ჩარ* ალექ-  
სანდრ მეორის დროს (სტ. ჩვენ. ფუტკ.).

დიალექტ. **III. ჩარი** (თურქ. čar) ჩარშაფი (თურქეთის ზოგიერთ რაი-  
ონში მუსლიმანი ქალის ჩასაცმელი); ქალის თავსახურავი. *ჩარი* თუ არ  
მაცვია, ისე სოხახში ვერ გვეიარ (ესქ. შ.). ზაათი ერთი *ჩარი* იყო, თავზე სა-  
ბურველი (სტ.). დაბურული აქ *ჩარი* (სტ., ჩვენ. ფუტკ.).

დიალექტ. **IV. ჩარ** ჭიაა ერთგვარი. საქონელს ბალახის ჭამის დროს,  
თუ შეჰყვა, კლავს (ინგ. როსტ., ღამბ.).

**ჩარა:**

საშ., ახ. ქართ. **I. ჩარა** ჩარა [თურქ.-მონგ. čâra/e] ძვ. «კათხასავით სა-  
სმისია ყურიანი» (საბა).

მოიღეს დიდი ბადია, დადგეს... აავსეს ღვინითა. შიგ *ჩარა* იდგა, თა-  
ვადთა ურიგდებიან იმითა (შჰნ. I, 230, 2). ვარდსა შუაზედა თვითო ოქრო-  
სა *ჩარა* ერთვის (შჰნ. III, 248, 7). სხუა *ჩარა*, ნავი, ჩოღრათო თეფში (შჰნ. III,  
243, 24). კალაში უდგმენ ჩარებსა, ვერ შესმენ დაუმაღავად (ფემ. 168, 4).

[დევები] სვამდნენ *ჩარებით* (გ. ლეონ.).

საშ., ახ. ქართ. **II. ჩარა** ღონისძიება – თ. ბაგრატი.

**ჩარა** [სპარ. *care*] ილაჯი, ძალა, ღონე. [გლეხებს] უწყლობის გამო *ჩარა* ჰქონდათ გამოცლილი (ბ. ჩხ.).

დიალექტ. **ჩარა**: ილაჯი, ღონე; საშუალება, გამოსავალი, საშველი. მე სხო *ჩარა* აღარ მქონდა (ინგ. ასრათ.). *ჩარად გაწყდომა* (ილაჯის გაწყვეტა) (ინგ. ღამბ., ინგ. იმნ.). მე ვერაფერ *ჩარას* ვერ გავხდი (ჯავახ. მარტ.). აგრეთვე (თუშ. ცოც., ქიზ. მენტ.).

შდრ. **ჩარე** გზა, საშუალება, ილაჯი, ღონე. გვყოფ სულის *ჩარედ* – მტრით ვიზარენით! (ბეს. 68, 19). **ჩარე** (სპ.) საშუალება, საშველი, ღონე, ღონისძიება; გზა, გამოსავალი, – ჩარა (აქარ. ნიჟ.).

### **ჩარბ-ი:**

ძვ., საშ. ქართ. **I. ჩარბი** არწივთა, შავარდენთა, ქორთა და მისთანათ ნისკარტთა **ჩარბი** ეწოდების, ხოლო სხვათა ფრინველთასა–ნიკარტი – საბა.

**ჩარბი: ჩარბფიცხელობა** „ნისკარტის სიმახვილე“: „ლომთა მკვეცთსახეობისა მიმართ დასახულობასა და არწივთაებრ *ჩარბფიცხელობასა*“ (A=884, 92v, 3-4).

(ორბნი) მას მყრალს გლეჯენ *ჩარბითა* (ქილ. 963, 18).

ახ. ქართ. ჩარბი 1. ტუჩი, ბაგე, ღაში. უფითრდებოდა სახე, უშრებოდა *ჩარბები* (ს. ქვარ.). ზედა *ჩარბზე* უკვე მოხშირებოდა ღინლი, ორივეს შავად უბიზინებდა ზედა ჩარბი (გ. ბუთხ.). 2. მტაცებელი ფრინველის ნისკარტი.

დიალექტ. **ჩარბი** „ტუჩი, ბაგე (ლეჩხ. ალაგ.). 2. პირუტყვის ცხვირტუჩს ჩინჩვირანი ეწოდება, ქვედა ტუჩს *ჩირბე* || *ჩორბე* ეწოდება (ხევს. ჭინჭ. 239, 11). შდრ. ჩირბ-ფუძიანი ნაწარმოები სიტყვა **საჩირბული** ცხენის დრუნჩზე, ჩირბზე მოსაბმელი თოკი (აბამენ დამადის ამოჭრისა და მისთ. დროს). საჩირბული... ცხენს რო მაამბენ ტუჩთ საბელს, წაუბღრუჭებენ აი-მას (ხევს. ჭინჭ.). ამავე მნიშვნელობისაა **ჩორბი** ტუჩი, ჩიჩვირი (რაზიკ. ჭყ., მთ. შან.). **ჩორბი** ყბები (მოხ. ქავთ.).

შდრ. სვან. **ჩარბალ** სქელი დრუნჩები (სვან. ლიპარტ.).

ს.-ქართვ. აღდგენილია \*ჩა(რ)ბ- არქეტიპი (ჩუხუა 2000-2003).

დიალექტ. **II. ჩარბი** მსუქანი. მე იფო *ჩარბი* ვარ (ფერეიდ. ჩხუბ. 341).

იხ. **მოჩარბვა** (194, 15) ცხიმის მოსმა საჯზე, მაჯმაზე შდრ (სპარს.) (ფერეიდ. იკე, XXIII).

ამავე წარმომავლობისა ჩანს **ჩარბი, ჩარბე, ჩირბე** განსხვავებული ფერის თმა წარბში; სხვა ფერი (ლაქისებური) საქონლის ნესტოების გარშემო (მოხ. ქავთ.).

**ჩარჩ-ი:**

საშ., ახ. ქართ. **I. ჩარჩი** მეწვრილმანე, მატრაბაზი; სარგოიანად გამსყიდავი- დ. ჩუბ.

ჩარჩი [თურქ. ჩერჩი] ქორვაჭარი, სპეკულანტი. [თორნიკე ხარატელ-მა] ვეღარ გაუძლო მეზობელ მემამულეთა ქიშპობას და ოჯახი *ჩარჩების* ვალში ჩააგდო (მიხ. მრევლ.).

შდრ. **ჩერჩიი** (ინგ. ღამბ.).

ახ. ქართ., დიალექტ. **II. ჩარჩი** (ფშ.) თოფიდან მოხმის ამოსაღები ხრახნილი (ი. ჭყ.).

შდრ. **ჩარჩიჯი** 1. ტექ. მომჭერი, რომელსაც წამოაცვამენ ნაკეთს მისი დამუშავების დროს. 2. სამხ. შაშხანის, ტყვიამფრქვევისა და მისთ. სამიზნო ჩარჩოს ან თამასის მოძრავი ნაწილი საჭირო მანძილზე სროლისათვის კორის დასაყენებლად.

**ჩარჩო:**

საშ. ქართ. **I. ჩარჩო** (სპარს.) ბუდე, ხატის ჩასაყენებელი – დ. ჩუბ.

ახ. ქართ. ჩარჩო [სპარ. ჩარჩუბე] 1. ლარტყების ან ძელაკებისაგან შეკრული ოთხკუთხედი (ან სხვა ფორმის) საგანი, რომელშიც მინას, სურათს და მისთ. ათავსებენ. სურათის ჩარჩო. – სარკის ჩარჩო. – ფიჭვის *ჩარჩოებზე* მინის მაგიერად მეტად გამჭირავს გონებას გაქონილი ქალაქი გაუკრავს (ილია). 2. ტექ. ჩარჩოს ფორმის ამა თუ იმ დანიშნულების საგანი. || მეფუტკ. ხის შეკრული ოთხკუთხედი, რომელშიც ფუტკრები ფიჭას ამოაშენებენ.

საშ. ქართ. **II. ჩარჩო: ჩარჩო ბაზარი** – დ. ჩუბ. ჩარსუბაზარი (სპარს.) ოთხკუთხა ბაზარი – დ. ჩუბ

შდრ. ჩარში (სპ. čarši) ბაზარი, ცენტრალური ადგილი (ჩვენ. ფუტკ.).

**ჩარხ-ი:**

საშ., ახ. ქართ. **I. ჩარხი** სპარს. čark ბორბალი, ან მანქანა საბრუნებელი- დ. ჩუბ. **ჩარხი** [სპარ. ჩარხ] 1. საბრუნებელი მანქანა (ლითონის, ხის და მისთ. დასამუშავებლად). ლითონსაჭრელი ჩარხი. – სალესი ჩარხი. – ზაფხულობით მოაწყობდნენ მთის ნაკადულზე სახარატო და სათლელ *ჩარხებსა*, თლიდნენ ხის ჭურჭელსა, ჯამებს, გობებს და ფიცრებს (გ. წერეთ.). დრო გაცდენას როდი ითმენს, მუდამ *ჩარხივითა* ბრუნავს (შ. მღვიმ.). 2. (ქიზ.). «საკირის გუმბათის გარშემო შემოსაყრელი ნამტვრევი კირქვა» (ს. მენთ.). შდრ. I. ჩალხი.

დიალექტ. **II. ჩარხი** იხ. II. ჩალხი.

**ჩაფ-ი:**

ძვ. ქართ. **I. ჩაფი** «სარწყული»: „მისცა რქისები ჳელსა ყოველთასა და სარწყულები ახლები“ G – „მისცა ნესტვ რქისა ჳელთა მათ ყოველთასა და ჩაფები ახლები“ (O, მსჯ. 7, 16).

საშ. ქართ. აღაპი იქნებოდეს სამოცისად ჩაფითა ღვინითა (თისლ. 19, 28). ხოლო უკანასკნელ სპარსთაგან მიიღეს თუნგი, ჩარეკი, და ნახევარ ლიტრა, და ჩაფი (კალმას. 558, 23). ერთის საპალნისაგან შვიდი ჩაფი ამოვიდა ნაწურით (სამ. VIII, 81, ქვ. 1).

ახ. ქართ. **ჩაფი 1.** მოზრდილი ცალყურიანი ჳურჳელი თიხისა, დაბალყელიანი და ფართოპირიანი (ზოგჯერ პატარა ტუჩიც აქვს). შდრ. კოკა. პატარ გოგომ ჩაფით წყალი მოარბენინა (დ. კლდ.). [ლოპიანა] გავიდა და ჩაფების დაცლას შეუდგა (მ. ჯავახ.). 2. ღვინის საწყაო, დახლოებით ერთი ფუთის ტევადობისა; ამ რაოდენობის ღვინო. საუკეთესო ღვინო ჩაფი აბაზად ბევრჯერ ჳქონდა ნაყიდი [რაიბულს] (ვაჟა). 3. **ხელჩაფი** ჩაფობით ზმნს. ჩაფის წყვით. || ფიგურ. ნაღველს მასხამდნენ გულში ჩაფობით (ვაჟა). **ჩაფოკურა** ერთგვარი საღვინე ჳურჳელი. [მჭედელი] ისხამდა ჩაფოკურაში დარჩენილ ღვინოს (ბ. ჩხ.).

დიალექტ, **ჩაფი** კასრის მენახევრე. ის პირმრგვალი და ერთსახელურიანი თიხის ჳურჳელია. არაფრით არ განსხვავდება ჩვეულებრივი წყლის ჩაფისაგან, საწყაოდ იგი დასავლეთ საქართველოში XVI, ხოლო აღმოსავლეთში XVII სს-ის საბუთებში იხსენიება (რაჭ. ფრ. 183). ჩაფი დასტურდება: (გურ. მრეწ. III<sup>2</sup>, 227; ქვ. რაჭა, მრეწ. III<sup>2</sup>, 185, გურ. კიწმ., ინგ. ღამბ., ზ.-იმერ. ძოწ., გურ. ჟღ., ჯავახ. ზედგ.).

გადატ. ჩაფით უშვეფს წვიმას კოკისპირულად წვიმს. ახლა ვედარ წახვალ, ჩაფით უშვეფს წვიმას (სვერი) (ზ.-იმერ. ძოწ.). გვხვდება აგრეთვე: კნინ. **ჩაფურა ჩაფრუკა, ჩაფუნა**, პატარა ჩაფი – გ. შატბ. **ჩაფრუკა** (ქართლ. ლექსიკ.). ჩაფი (< თურქ. *çap*) (გურგენიძე, რუხაძე 2017, 45).

ზან. **ჩაფი** ჩაფი (მეგრ. ქობ.).

ახ. ქართ., დიალექტ. **II. ჩაფი** (ხევს. მოხევ.) გრძელი, დაბალკედლებიანი მოწნული ღასტი; ხმარობენ საწოლად (შდრ. ჩ ა ფ ა რ ა, მნიშვ. 3). [ნასვამს] ჩაფში ცეცხლი გადავარდნოდა და დამწვარიყო (ვ. ბარნ.).

**ჩაფი** ნავის ფორმის ჳინი წნელისა, რომელსაც საწოლად იყენებდნენ (ფშ. ჳინჳ. იკვ, XVIII). **ჩაფი** წნელისაგან დაწნული უფეხებო საწოლი (ხევს. ჳინჳ.). იხ. II. ჩაფარი.

**ჩაფარ-ი:**

საშ., ახ. ქართ. **I. ჩაფარი** შიკრიკი. ხვანთქართან ჩაფარი გაგზავნა, და ღამშქარი სთხოვა (ქ. ცხ. II, 518, 4).

**ჩაფარი** [თურქ. ჩაფარ «შიკრიკი». რევოლუციამდ. დაბალი ჩინის პოლიციელი (სოფლად). ბევრჯერ მინახავს, ...მაზრის უფროსის *ჩაფარს* [მამასახლისი] მათრახით წინ გაეგდოს (ილია). არსენამ და მისმა ძმადნაფიცებმა დაუხოცეს მაიორს ალგეთის ხეობაში *ჩაფრები* და სალდათები (მ. ჯავახ.). 2. ძვ. შიკრიკი, მალემსრბოლი. შეუდარებელი *ჩაფარი* ყოფილხართ, ერთის ფეხით ჩამოგასწრო ჩემმა შათირმა (ვ. ბარნ.). 3. კუთხ. (ფშ.) მცველი. კარებსა, მაგრა დაკეტილს, ათას მხრივ ედგა *ჩაფარი* (ვაჟა).

დიალექტ. **II. ჩაფარი/ე/ა** ყავრის ლასტი. ჩონ ყავრით *ჩაფარს* ვაკითებთ (ინგ. ასრათ.) (აბრეშუმის ჭია) გადიყვანდი ერთი *ჩაფარიდან* ვოთხზე (გურ. ჯაჯ., ნიკოლ., რაცხ. გურ.).

ჩაფარ [აზ. ჩაფარ] ლერწმისგან მოწნული ჩელტი (უმთავრესად ხილის გასახმობად, ზოგჯერ აბრეშუმის ჭიის დასასმელად) (ინგ. ღამბ.).

### **ჩაფარა:**

დიალექტ. **I. ჩაფარა** 1. კუთხ. (გურ.) სიმინდის ჩალის ღერი. 2. კუთხ. (გურ.) ჩალის ღერებისაგან შეკრული ლასტი (აბრეშუმის ჭიის დასასმელად).

დიალექტ. **II. ჩაფარა** კუთხ. (იმერ.) მრგვლად მოწნული ნაპირშემადლებული ლასტი. იხ. II. ჩაფი.

### **ჩაფულა:**

სამ., ახ. ქართ. **I. ჩაფულა** «ფერხის საცმელი» (საბა), უქუსლო, დაბალყელიანი ფეხსაცმელი, – წულა. ბალღებს საზამთროდ *ჩაფულებს* მაინც ვუყიდი (ლ. ქიაჩ.).

დიალექტ. **ჩაფულა** || **ჩაფულია** ფეხსაცმელი. „მამათილმა *ჩაფულები* და კაბები მომიტანა“ (იმ.), „მეგ ლამაზი *ჩაფულოები* ვინ მოგიტანა?!“ (თ. ქ., ჩვენ. ფუტკ.). **ჩაფულა, ჩაფულია** უყელო წინდა. შდრ. საცვეთები (აჭარ. ნოლაიდ.).

შდრ. **ჩაფლა** ქალამანი: „გინა თუ მოგუნი გინა თუ *ჩაფლანი*... იკონომოსისაგან ითხოვიან“ (ი. -ე 44, 26). როცა წავლენ, ასსა თეთრსა *ჩაფლსა* გაუგზავნის მეფე (გარიგ. 87, 6).

მოგვიც ფეხსაცმელი იყო და სარმუზა და *ჩაფლაც*, მაგრამ ამ უკანსკნელს ფეხზე კი არ, არამედ მოგვზე იცვამდნენ, კალოშის მაგიერ; ის ტყავის ფეხსაცმელს წარმოადგენდა (ჯავახიშვილი III-IV, 1962, 158).

**ჩაფლა** სპარსულიდან მომდინარედ ითვლება (აბაევი). იხ. აგრეთვე: (ბინიაშვილი 1997, 16).

ს.-ქართ. \*ცეფ- ქალამანი ზან. (ლაზ.) წულა (ჩუხუა 2000-2003).

ახ. ქართ., დიალექტ. **II. ჩაფულა** კუთხ. (იმერ.) იგივეა, რაც ჩ ა ფ უ - რ ა. მეორე კუთხეში [დგას] დოქი, *ჩაფულა* და ჩაფი (ი. გომართ.).

**ჩაფულა** პატარა ჩაფი. ჩაფულათი წასულა წყაროზე. „შენხელა კაცი ჩაფულათი დადიხარ წყალზე“ (იმერ. გაჩ.). **ჩაფულა** მრგვალტუჩიანი თიხის პატარა ჩაფი წყლისათვის, 10-12 ლიტრამდე ტევადობისა. ჩაფულა

მცირე ზომის ჩაფია, 12-ლიტრიანი უკვე ჩაფია (სანახშირე); *ჩაფულაში* 10-12 ჩარეკამდე ჩადის (განთიადი). რო დავლემ წყალს, ევიღევ ჩაფულას და დავდგამ იქანა (ლელვანი). || საწყლე დოქი. *ჩაფულა* წყლის დოქია, უნიკარტო. თუნგულაც იხმარება, მარა უფრო ჩაფულა (ჩიხა); ჩაფულა რგვალტუჩიანი დოქია, ნიკარტიანი საღვინე დოქი. სონია, ერთი *ჩაფულა* წყალი მამიტანე (ზვარე). გოგო წევიდა თფილიში, იყიდა *ჩაფულა* და წყალს ყიდის. ღვინისას დოქს ეტყვიან, წყლისას – *ჩაფულას* (ქვები) (ზ.-იმერ. ძოწენ).

ზან. **ჩაფულა** (ოგაფაში) კავის ქუსლი; კავის ის ქვედა ნაწილი, რომელზედაც წამოეგება სახნისი (კინახონა) (ყიფშ.). თიხის ჭურჭლის დასამზადებელი მოწყობილობის ნაწილი, – ფიცარი, რომელზედაც გამართულია ბორბალი (მეგრ. ქაჯ. III).

### ჩაქ-ი:

საშ. ქართ. **I. ჩაქი** კალთის განპებული ადგილი გვერდებზედ – ნ. ჩუბ.

ახ. ქართ., დიალექტ. **ჩაქი** [სპარ. ჩაქ «ხვრელი», «ტანისამოსის გახეული ადგილი»] 1. ამოუკერავად დატოვებული ადგილი ზედა სამოსის გვერდითს კალთებზე. გვერდების ნაკერავებში ერთი ხელის დადება გახსნილი უნდა ყოფილიყო. ამ შეხსნილებს *ჩაქებს* ეძახოდნენ («შინამრეწვ.»). 2. კუთხ. (კახ. თუშ. ხევს.) გამოშვერილი ნაწილი ჩოხის ან ახალუხის უკანა კალთების გადანაკერებში (წელთან). ყოშიან ჩოხას... ნაოჭი ჰქონდა მიყრილი წელთან და აქეთ-იქით კი თითო-თითო ან ორ-ორი *ჩაქი* მოსდიოდა («შინამრეწვ.»).

აგრეთვე: (ინგ. ღამბ., თუშ. ცოც.).

საშ ქართ. **II. ჩაქი** გადაწყვეტილება, სიგელი, საბუთი, აქტი (ჩევი ინგლ. check). აწ ბედისაგან აბეზარ-ქმნილ ვარ და ყოვლისა ღვინისაგან *ჩაქი* აბეზარობისა მიმიცემია (ვისრ. 202, 35).

### ჩელტ-ი:

საშ. ქართ. **I. ჩელტი** „საომარი გრძელი უტარო მათრახი თასმისა ან მეტალლისა“ – დ. ჩუბ. ქმნეს *ჩელტები* რკინისა, და იფარეს სპათა მისთა (ქ. ცხ. II, 328, 15).

ბრძანა შექმნად *ჩელტნი* რკინისანი მრავალნი... (ქ. ცხ. IV, 264, 10).

არამედ *ჩელტის* გამო ვერღარა შეუძლეს მიახლებად სპათა თემური-სათა (ქ. ცხ. IV, 264, 12). შდრ. ძვ. ქართ. **ჩელთი** ბრტყელი მახვილი – საბა. „ყოველნი მოვიდენ შენ ზედა ჩრდილოდთ ეტლებითა და ეტლის თუალე-ბითა, კრებულისა თანა ერთადსა ფარები და ჩელთები“ (C, ეხეც. 23, 24). ჩელთი საომარი იარაღი, რკალისებრი ფარი განმარტავს თ. ცქიტიშვილი. შდრ. celtium.

ახ. ქართ. **II. ჩელტი** 1. იგივეა, რაც ლასტი. მიწაიას... ერგო მხოლოდ ისლით დახურული ჩელტის ნალია (ნ. ლორთქ.). 2. ჩალის ღერები-საგან შეკრული ლასტი, – ჩაფარა. [მარინემ] ბჟოლის კანით შეკრული... ჩელტი ალაგეს მიახურა (ბ. ჩხიკვ.). 3. კუთხ. (გურ.) მოწნული ფარცხი. 4. კუთხ. (რაჭ.) წნელისაგან მოწნული ნაპირშემადლებული განიერი ჭურჭელი რისამე გადასაზიდად (იდგმება ურემზე). რაჭაში... არსებობს სამი დანიშნულების ჩელტი: ყურძნის, საბზევე და ნაკელის... ყველაზე დაბალია ნაკელის ჩელტი, მისი სიმაღლე ურმის კოჭებს ვერ აღწევს (მ. გეგემ.).

დიალექტ. **ჩელტი** (ჩვენ. ფუტკ., რაჭ. კობახ., აჭარ. ნოდ., აგრეთვე: ზ. რაჭა, მრეწ. II, ქვ. რაჭა, მრეწ. I, 353, რაჭა, ფრ. 76, II, 194). ქვ. იმერ. მრეწ. II, II, 174, ლეჩხ. მრეწ. IV, II, 205, ზ.-იმერ. მრეწ. IV, II, 58, გურ. მრეწ. IV<sup>3</sup>, 163).

ჭან. ჩელტი ლასტი, ჩელტი მეგრ. ჩერტი, ქართ. ჩელტი ჩელტ-მეორდება ქართულსა და ჭანურში უცვლელად; მეგრულში ლ-ს რ ენაცვლება. მნიშვნელობა ერთი და იგივეა (ჩიქობავა 1938).

მეგრ. ჩერტი, სვან. ჩელტ. „ლასტი“, „ფარცხი“ (შდრ. ჩაჩნ. „ჩერთ“ „ჭილოფი“ ჩაჩნ. ჩერთ ჭილოფი. ჩერთ ხვდება ქართ. ჩელტსაც. ეს ტერმინი კავკას. და განსაკუთრებით ჩაჩნურ-ქართველურ ენათათავის საერთო კუთვნილებისაა (გონიაშვილი 1940, 613).

### **ჩივთ-ი:**

საშ. ქართ. **I. ჩივთი** ლურჯი საღებავი – საბა.

ახ. ქართ. **II. ჩივთი** საოქრომჭედლო იარაღი – პატარა მაშა წვრილი ნაწილების ასაღებად.

დიალექტ. **III. ჩივთი** (სპ. çifet) წყვილი. „ჩივთი გელინი ერთათ მეი-ყუნა, დააჩივთა (სტ., ჩვენ. ფუტკ.). დააჩივთა (სპ. წყვილი) დააწყვილა. „ძლები დააჩივთა“ (ინ., ჩვენ. ფუტკ.).

ახ. ქართ. **IV. ჩივთი: ჩივთი-უთო** (ქართლ.) სიმღერის მსგავსი ხმა (ცეკვის ასაყოლებლად). [გოგომ] პირით «ჩივთი-უთო» დაუკრა და ძარის ქვეშ კობტად ლეკური ჩამოუარა (ს. მგალობ.).

### **ჩით-ი:**

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. ჩითი** ჭრელი ნარმა– საბა.

ბარე აუკლიათ ქვეყანა, ამდენი სკალატი და ჩითი, ან ლეინი სად უშოვიათ? (კალმას. 217, 14). და ქსოვდენ ხამთა, ჩითთა და აბრეშუმთაგან-ცა (კალმას. 560, 6).

**ჩითი** [ინდ. ჩით] 1. ბამბის თხელი, სახეებიანი ქსოვილი. ჩითის კაბა. სამი მეტრი ჩითი. – ფარჩის მაგიერ ჩითი რომ მიბოძოთ, დიდი წყალობით მივიღებ, სიხარულით გავცვეთ! (ლ. არდაზ.). [იეთარმა] თეთრ-ფოთლიანი ჩითი რომ დაინახა, პირი... ყურებამდის გაეპო (შ. არაგვ.).

დადანა ჩითი იხ. ღ ა ღ ა ნ ა. ფეხის ჩითი საზნის ქვევითა პირი (სარჩული).  
2. რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი. თავჩითი.

შდრ. **ჩითმათი** ჩითეული (ხევს. ჭინჭ.).

დიალექტ. **II. ჩით** შინაური, მატყლის ნართისაგან ნაქსოვი და ნაკერი ფეხსაცმელი – „ფაჩი“. ცოლის ჩაყრილო საგძალო, მინდვრად გაგიღებ ვედარა, დედის დაკერილ ჩითებო, ფეჭზედ ჩაგიცვამთ ვედარა (თუშ. ცოც.). კაცის ჩითს სამა[ა]ც (საკაცო) ჩითნ ეწოდება, დიაცისას-სადია[ც]ცო ჩითი; ორივეს ფეჭებსაც ეტყვიან. საკაცო და სადიაცო ჩითები ერთნაირად იქსოვება. მოყვანილობაც ერთი აქვთ. არის მარტო ერთი სადიაცო ჩითი, რომელსაც ყელი მაღალი აქვს; დანარჩენი სადიაცოც და საკაცოც ყველა დაბალყელიანია. ორივე ჩითს აქვს ნაჭრელები, განსხვავებული ერთმანეთისაგან. საკაცო ჩითნ შედარებით სადაა, სადიაცო ჭრელი (თუშ. მრეწ. III, 93).

ჩითი მნიშვნელობის გადაწევით და ფონეტიკური ცვლილებით იგივე უნდა იყოს, რაც ძველქართულისეული შითი-მატყლის ძაფი (საბა).  
შდრ. რომელი პეპლითა და შითითა შეპყრობილ ხარ (ილარ. 198, 2). შიშინა სპირანტ შ-სა და შიშინა აფრიკატ ჩ-ს მონაცვლეობა ქართულში ცნობილია (ქავთარაძე 1964, 244).

შდრ. ჩვათი, მრ. ჩვათები კვირტისაგან ნაქსოვი მოკლეყელიანი წინდები, ჩასაცვამი ჩვეულებრივ წინდებზე (თუშ. ხუბ).

დიალექტ. **III. ჩითი** (čit) 1. ღობე, მესერი; მოწნული ჭურჭელი ბზის გადასატანად. „ჩითები გააკეთა გუშინ“ (პილ.) „ბზეს ჩავყრით ჩითში“ (ინ., ჩვენ. ფუტკ.). **ჩით არაბაი** ჩითდადგმული მარხილი. „ჩით არაბას მუაწყობდით და ბზე მოქვექონდა იმით კალოდან“ (თ. ქ., ჩვენ. ფუტკ.).

### **ჩითა:**

ახ. ქართ. **I. ჩითა** ჩითივით ჭრელი. უკრანაში გვხვდება თეთრი, ჩითა, მოვერცხლისფრო და სხვა შეფერვის ქათმები (მეფრინგ.) – ქეგლ. იხ. I. ჩითი.

ახ. ქართ. **II. ჩითა** ღაზლის სქელი წინდა, ორპირად მოქსოვილი (თუშები ფეხსაცმელად ხმარობენ) – ქეგლ.

ჩითა ძირსქელი, ძაფით ძირგამოწნული წინდა. [ივანეური] ფეჭითთ წაიყრის ჩითასა, შამაიზაწრავს ჯღანსაო (ფშ.-ხევს. პოეზ. 122, 13). [სისხლი] კალთათად გადანადენი ფეჭთ ჩითათ გადაზდიოდა (ალ. ოჩ. 28, 29, ხევს. ჭინჭ.). ხევსურულშივე გვხვდება ნაწარმოები სიტყვაც **ჩითაიანი** 1. ნაქსოვ-ნაქარგის სახეა. [თათი] არის დაკაულაიანი, ჩითაიანი, ბორბალაიანი (შინამრეწვ. 25-ა). 2. **ჩითაჩაცმული**. ისარნ ჯომარას მოვიდეს, თუშ გორვენ ჩითაიანნი (ხევს. პოეზ. 141, 14) იხ. II. ჩითი

დიალექტ. **III. ჩითა** (თ.) თამასა ხის. ვიწრო და თხელი ფიცარი, ფირფიტა (ქეგლ): „ჩითებზე ლისი დასხმული გვაქ“ (ბაზგ. შავშ.).



**ჩინ-ი:**

ახ. ქართ. **I. ჩინო** ქართული ანბანის ოცდამეექვსე ასოს სახელწოდება. «შინ»-ს ქართულ ანბანში «ჩინი» მისდევს (ივ. ჯავახ.).

საშ. ქართ. **II. ჩინო** აკაური – დ. ჩუბ. აკაური, ასიდა, ჟრუნი მფრინ., კარაპი, ყუი – დ. ჩუბ.

აღდგენილია ს.-ქართვ. \*ჩი-ნ „ჩიტო“ არქექტიპი (ჩუხუა 2000-2003).

საშ., ახ. ქართ. **III. ჩინო** სამხედრო პირთა და სამოქალაქო მოხელეთა სამსახურებრივი ხარისხი.

კვლავ მოციქულად გაგზავნა ჩინით რჩეულნი ბერები (დ. გურ. 101, 274, 2).

ახ. ქართ. „ხუთი წლის შემდეგ დამიპირეს ჩინზე წარდგენა“ (აკაკი). „პოლკოვნიკის ჩინი მქონდა, წარჩინებული ალაგი მეჭირა“ (ევ. გაბ.). // საუბ. ამგვარი ხარისხის ნიშანი, – სამხრე. ვოინოვმა [ციხის უფროსს]... სახეში შემოჰკრა, ჩინები დაუგლიჯა (ჭ. ლომთ.). წარდგენილი ვარ ჩინზედ (ნ. ბარათ.).

შდრ. **ჩინებულეზა** წოდება. „იხილეთ-ლა ჩინებულეზად ეგე თქუენი“ (I კორ. 1, 26).

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **IV. ჩინო** (თ. čin) ჩინეთი, რომელ არს კიტაია (თ. ბაგრატ.). ჩინი ძვ. 1. ჩინეთი. ესე არაკი მართალი ჩინს ქვასა ზედა სწერია (რუსთაველი). აზია, მუნ მოიპოვების მრავალნი შაქართა ლელწამნი... ჩინის მიწანი და ჩინნი (კალმას. II, 6, 16).

ესა ჩინი დველიდან მოსული ყოფილა (სტ., ჩვენ. ფუტკ.).

**ჩინო-მაჩინო:** ჩინი-მაჩინი, ერანი და ერაცი (ვისრ. 124, ქვ. 3). შენი ბრალეზი ჩინუმაჩინს გაიგზავნების (ბეს. 43, 4). წაკიდა იგი კაცი ჩინ-მაჩინს (საბა).

„აგრე იცის მაგ ჯოხმა, არ უნდა ჩიჩინიო! ვერ გაუძლებს ჩხუბში, გინდ მოსდგეს ჩინ-მაჩინიო“ (აკაკი).

საშ. დიალექტ. ქართ. **V. ჩინო:** ჩინური (მოჭიქული) ჭურჭელი. ქეიფი მაინც მოგვივა, გოგრითა ვსვათ თუ ჩინითა (ა. ჭავჭავ.). დაიდგმენ ჩინისა ანუ ვერცხლისა ჯამითა გაღვიებულთა ნახშირთა (კალმას. II, 193, ქვ. 2).

დიალექტ. **ჩინო** (თ. -სპ. čini) ჩინური მოჭიქულ-მოხატული ჭურჭელი) ფაიფურისა, ჩვეულებრივ ჩინური თევში. „პაწად ბეთმეზი დამიწინწკილე, გო, ამ ჩინკოზე, პირს გეკვეთებ!“ (აქარ. ნიყ.).

**ჩინო** (< თ. čin) თევში თურქულში არსებული მრავალი მნიშვნელობიდან აჭარულში გამოიყენება სიტყვის ერთი მნიშვნელობა და ისიც დავიწროებული სახით. აქ იგი აღნიშნავს „თევშს“ მაშინ, როდესაც თურქულში čini ჰქვია საერთოდ ყოველგვარ „ფაიფურის ჭურჭელს“ და არა მხოლოდ „თევშს“ (გურგენიძე 1973, 31).

საშ., ახ. ქართ. **VI. ჩინი** ზეთისხის ფოთლის ფერი (საბა). || ფერი. [ენძელის ნახარშში] ჩადეთ [ძაფი]..., გადაბრუნეთ და ამოწურეთ; ამგვარად განიმეორეთ, მანამდის კარგი *ჩინი* მოვიდეს (ბ. ჯორჯ.). ◇ **კაცის ჩინი** არა აქვს ადამიანის ფერი არ აძევს (დადლილოზის, მწუხარების... გამო). „დაიძინეთ, აგიაშვილო, მოგკლავთ თქვენ ამდენი ფიქრი, კაცის *ჩინი* არა გაქვთ!“ (ჭ. ლომთ.).

**ჩინი** ღია ფერის მწვანე. ეს თუთის ფოთოლი ხო მწვანეა, *ჩინი* სხვა ფერია, ეს ჯიგარია და *ჩინი* – ბაცი; რო შევლებამთ ნართსა საღებავში, ამოვა ჯიგარი მწვანეი, ახლა სხვა ნართს ჩავდებთ ი საღებავშია და გამოვა მწვანე *ჩინი* (ბროწლ., ქართლ. ლექსიკ.).

დიალექტ. **VII. მეორე ჩინი** მოთიბვის შემდეგ ხელმეორედ ამოსული ბალახი (სპ.) čin – čidān „მოჭრა, ხელმეორედ გათიბვა“ (ფერეიდ. ჩხუბ. 106).

საშ., ახ. ქართ. **VIII. ჩინი** ხედვის უნარი, მხედველობა (ჩვეულებრივ, თვალ-სიტყვასთან ერთად. მჭვრეტთა წამლები გულისა, სინათლე თვალთა *ჩინისა* (ნ. ციც. 1330, 3). ჩემი დარდი, თვალის *ჩინი* აქ არის (გრ. ორბელ. 336, 15).

შენი ჭირიმე, ლამაზო, ნუ მკლავ, ნუ დამაღონეო, თვალეებში *ჩინი* წამართვი, მკლავში ჯანი და ღონეო (ხალხ.). [ყმაწვილი კაცი] სათვალეებს ხმარობს, ვითომც თვალთ აკლდეს *ჩინი* (რ. ერისთ.).

დიალექტ. **ჩინი** 1. ძალა, ღონე; 2. თვალის სინათლე, მხედველობა. ჩინი აღარა დიძირჩა ტრიკებში (ტ.). ამ ავანტყოფობამ ჩინი ამართუა თუა-ლებიდამ (ად., ჩვენ. ფუტკ.).

**ჩინი: თვალის ჩინი.** „მეიწიე ახლო, ჩემო ტატულავ, ვეღარ გხედავ, სულ წემერთვა *თვალის ჩინი* (აჭარ. ნიჟ.).

ჩინი ერთ-ერთი იმ ფუძეთაგანია, რომელთა საფუძველზე საერთო ქართველურისათვის აღდგენილია \*ჩან-/ჩენ-/ჩინ-/ჩნ- არქეტიპები (ფენრი-ხი, სარჯველაძე).

**ჩინი IX.** ნაოჭი (შდრ სპ. čin „ნაოჭი, „ნაკეცი“) (ფერეიდ. ჩხუბ. 254).

### **ჩინიან-ი:**

ახ. ქართ. **I. ჩინიანი** მხედველი. 2. რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი. თვალჩინიანი. იხ. VII. ჩინი.

ახ. ქართ. **II. ჩინიანი** ჩინოსანი. ჩვენ უჩინონი, ჩვენ უჩინონი თქვენ, *ჩინიანთა*, ბუზად გგონივართ (ილია). იხ. III. ჩინი.

### **ჩირად-ი:**

ახ. ქართ., დიალექტ. **I. ჩირადი** [სპარ. čirak] იგივეა რაც კ ვ ა რ ი. მოხვეე გონს მოვიდა, გაამაგრა «*ჩირადი*» კედელში (ა. ყაზბ.).

**ჩირადი** მკვარი, ჭრაქი (აჭარ. ნიჟ.). *ჩირადს* ხმარობენ უმთავრესად ანთებულ კვარზე. ... გადატ. ძვირფასი ადამიანი, სულისდგმა, მომავალი.

„ბევრი შვილი მყავს, ეგ არი ჩემი მომავალი. ერთი ჩირალი მყამდა და ისიც ომში მამიკლეს“ (ჯავახ. ზედგ.). აგრეთვე: (ინგ. ღამბ., იმნ. ხევს. ჭინჭ.).

დიალექტ. **II. ჩირალი** ილაჯი, ჯანი, ძალ-ღონე, არაქათი (აჭარ. ნიჟ., ჯავახ. ბერ.). ფარა, საქონელი როცა, გამოგზავნა, ჩირალი ქნა (იმერხ. მარი) – ნიჟ. იხ. II. ჩირახი.

#### **ჩირახ-ი:**

საშ. ქართ. **I. ჩირახი** ილუმინაცია. ჩირახი და ლხინი იყო (ამირან. 263, სქ. 1).

ახ. ქართ. დიალექტ. **ჩირახი** 1. იგივეა, რაც ჩირალი. 2. ფიჭვის ხმელი ანახეთქი. ჩემო ჩირახის ფანდურო, სჯობიხარ სპილენძისასა (ხალხ.). დიალექტ. ამ დროს მოდიოდა ერთი კაცი არხოტის ჭალიდან და ჩირახი მოჰქონდა (ალ. ოჩ., კალენდ. 144, 37). II. ფიჭვის ხის სამასალე მერქანი (ხევს. ჭინჭ.) აგრეთვე: **ჩირახობა**.

დიალექტ. **II. ჩირახი** (თურქ.) ბედი, ხვედრი. ჩირალი ეგ გოგოც მაგ ბიჭის ჩირალია (ჯავახ. ბერ.).

#### **ჩოდან-ი:**

საშ., ახ. ქართ. **I. ჩოდანი, ჩოდანო** ტირიფის ძირი (იყენებენ ტყავის მოსაქნელად) (დ. ჩუბ.). **ჩოდანი** ჩაყარე ორ ჯამ წყალში და აადუღე, რომ ჯამ-ნახევარი დადგეს (ბ. ჯორჯ.).

საშ. ქართ. **II. ჩოდანი** (ირან. ჩონდარ) მთის ჭარხალი. ჩოდანი ვითამ-ცა და მთის ჭარხალიო მხურვალია და ნედლია (იად. 451, 28).

#### **ჩოდანო:**

საშ. ქართ. **I. ჩოდანო** ბალ. – საბა.

საშ. ქართ. **II. ჩოდანო** (ოსმ.) ტირიფის ძირი ხმარებული ტყავის მოსაქნელად – დ. ჩუბ.

## 6

ძვ. ქართ. **I. ცა** ზეცა: „კსინავს მწუხარედ ცამ“ (მთ, 16, 3). „ცამ და ქუეყანამ წარჯდენ“ (მრ. 13, 31). „რომელი დამკვდრებულ არს ცათა შინა“ (ფს. 2, 4).

**ზეცა**: „კმად იყო ზეცით“ (მთ. 3, 17). „უფალი, ზეცას არს საყდარი მისი“ (ფს. 10, 4). „ანგელოზთა... აპყვანდა იგი ზეცად“ (ნრს. 78, 19).

2. **ცა** გადასაფარებელი: „გადასაფარებელი ანუ სამღდელოდ შესამოსელი საკურთხეველისა, ანუ პერექელნი, ანუ ცამ ... მიიტაცონ“ (დიდი სჯ. 443, 18).

საშ. ქართ. 1. აწ ამას ვღონობ, არ ვიცი, ქვესკნად წავალ თუ მე ცადა! (დ. გურ. 60, 14, 4)

2. **ცა** ჭერი, გუმბათისებრი (ნახევარწრიული) ჭერი. კედელი და ცა სულ ოქროსი იყო (რუსუდ. 521, 17). «ამირანდარეჯანიანში» ცა «ჭერს» აღნიშნავს: მოწეულნი იყვნეს კედელნი, ზედა ცა თეთრი (ამრანდ. 89).

3. **ცა: ცის ლომი** ზოდიაქო. თხისა რქისა ყინვით ცის ლომის კუდისა სიცხეს ნატრობდენ (ქილ. 398, 25). ცის ნადირი თანავარსკვლავედი. შვენიერთა მინდობა ესრე არ იქნება, როგორათაც თავთირი და ცის ნადირი ერთად შეიყაროსო (ქილ. 731, 15).

ახ. ქართ. **ცა** 1. დედამიწის ზემოთ არსებული სივრცე (რომელიც გუმბათის ფორმისა ჩანს), – ზეცა. ვინ დათვალოს ზღვაში ქვიშა და ან ცაზე ვარსკვლავები? (აკაკი). 2. ძვ. ვითომდა ცაში მყოფი ღვთაებრივი ძალა, – ღმერთი, განგება. მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის, მიწიერი – ზეციერსა (ილია). 3. იგივეა, რაც სასა. [პირუტყვის] ცის თავში მოგროვდება სისხლი, კბილებს გადმოეფარება შიგნიდან და უშლის ბალახობას. ამის გაწმენდა შეიძლება; ცა უნდა გამოჭრა კბილებთან დანით («დიალ.»). 4. გუმბათოვანი ჭერი; თალი (საჭურჭლე ქურისა, ქვიტკირით ამოშენებული წყაროებისა და სხვ.). მარმარილოთ ნაშენი... იატაკი..., ცა სულ ინდოეთს გაკეთებული იყო (საბა). 5. ბოხოხის და კახური ქუდის შუა, აწეული ნაწილი (შდრ. კუმტულა). 6. თევზის საჭერი ბადის ზედა მრგვალი ნაწილი («შინამრეწვ.»).

იხ. აგრეთვე: (ქვ. რაჭა, მრეწ. I, 337; ზ. გურ. კიწმ.; ჯავახ. ბერ.; თუმ ბოჭ., ქიზ. მენტ.; შ. კახ. მრეწვ., III, I, 50; ზ.-იმერ. მოწ.).

\***ცა**-არქექტიპი საერთოქართველური ფუძე-ენისათვის აღადგინა გ. კლიმოვმა (ფენრიხი, სარჯველაძე 2000).

ახ. ქართ., დიალექტ. **II. ცა[-ვ]** (გურ.) მიმართვის ფორმა **ციცა** სიტყვისა. ცავ, მანავ, არაფერი ამბავია? (ე. ნინოშ.). [ბეჟანა] მიუბრუნდა ხატისა და უთხრა: იყავ, ცავ, მაგას უყურებ? (ნ. დუმბ.). აგრეთვე (გურ., ჟღ.; ზ.-გურ. კიწმ.).

**ცეცხა:**

საშ. ქართ. **I. ცეცხა** მამა, ოსპის მსგავსი სამარხო – დ. ჩუბ. ცერცი ინდოთ საჭმელი – საბა.

საშ. ქართ. **II. ცეცხა** ჩეჩქა – დ. ჩუბ. ვჰსჯეჯკ, დავჰჰეჰ – დ. ჩუბ. შდრ. ჩეჩქვა.

**ცილ-ი:**

ძვ., საშ., ახ. ქართ. **I. ცილი** არა ჭემმარიტი, ტყუილად მოგონებული, ცილისწამება, ტყუილის მოგონების დამტკიცება (თ. ბაგრატი).

**ცილი** სიცრუე, ტყუილი, ცრუ: „არა ცილი ჰფუცო“ (მთ. 5, 33). „სიტყუად ცილისად სძულს მართალსა“ (ო, იგ. სოლ. 12, 4). „უკუეთუ ვისმე ცილი დავსდევ, მივაგო ოთხი წილი“ (ლ. 19, 8).

**ცილი: ცილის-მფუცველი** «ცრუ ფიცი»: „(ყოველივე) ცილის-მფუცველი ამისგანვე შური იძიოს ვიდრე სიკუდილმდე I – ყოველი ცრუ ფიცი ამისგან ვიდრე სიკუდილმდე შურის-ძიებულ იქნეს“ (pb., ზაქ. 5, 3).

**ცილი: ცილის-შემწამებელი** ცილის დამდები, ცრუ მოწმე, «ცილის-მწამებელი»: „აჰა ესერა ცრემლნი ცილის-შემწამებელთანი“ ო, – „აჰა ცრემლნი ცილის-მწამებელთანი“ (pb., ეკლ. 4, 1).

**ცილი: ცილის შეწამება** ტყუილის დაბრალება „ცილის-წამება“: „ღვნოსა ცილის-შეწამებით სუმიდეს“ ო, – „ღვნოსა ცილის-წამების გამო სუმიდეს“ (ო, ამოს. 2, 8). **ცილის-წამება** ცრუმოწმეობა, ცილის დაბრალება; „მიჰსენ მე ცილის-წამებისაგან კაცთაჲსა (ფს. 118, 134).

**ცილი: ცილფიცი** ცრუ მოფიცარი: „ცილ-ფიც მკვდრნი იგი ამისნი უკუნისამდე“ (I, ეზრა 2, 23).

საშ. ქართ. შენ გწამობენ ცუდსა ცილებს (ვახტ. VI, 42, 67). [გრძნეულს] თქვენი დახოცის იმედი ასრე აქვს, რომ ცილს აღარ იღებსო, არც პირდაპირ შეგებმისთო (რუსუდ.). გულის სწორო, ერთის ცილით აგრე როგორ შეიცვალე (ნ. ბარათ.).

ახ. ქართ. ცილი იგივეა, რაც ცილისწამება. აბლაბუდასებ გააბი ცილის და ჭორის ძაფები (ვაჟა).

**ცილი** ცილობა. „ჩემმან თავმან თავსა მოგკვეთ, არად უნდა ამას ცილი“ (რუსთაველი). შდრ.

ძვ., საშ. ქართ. **ცილობა** «ურჩება», წინააღმდეგობა, «ჯდომა», «სიტყვის – გება», კამათი, დავა: „იყო ცილობაჲცა მათ შორის“ (ლ. 55, 13).

ისეთი არის, მეფეო, მაღალ ღმერთს ვფიცავ ცისასა, რომ ცილობასა გაუწევს სიმშვენიერეს მზისასა (ვაჟა).

როგორც ძველ ისე ახალ ქართულში გვხვდება **ცილ-** ფუძიანი სიტყვები სხვადასხვა წარმოებით და სხვადასხვა სინტაგმებთან ერთად.

მაგ. **ნაცილი** ძვ. იგივეა, რაც ტყუილი. [მზავერმა] თავი იდრიკა დარცხვენით, – ამას არ ვუბნობ ნაცილსა (რ. ერისთ.). «ქა, ... ამისთანა ნაცილი გაგონილა!» (ა. ახნაზ.).

**მაცილი** (ფშ.) ეშმაკი, მაცდური. «იქნება ხელშეკრული ხარ, ან იქნებ თოფი შეგეკრა და იმით ალი, *მაცილი* თოფის ლიშანზე დაგეკრა!» (ვაჟა). «დროდადრო ისმის ხარხარი, დარბის, იცინის *მაცილი*, მგზავრს გზას გაურკვევს სადამე ქალის ეთერის სიცილი» (ზაჩ.).

\*ს.-ქართვ. \*ცილ- არქეტიპი ადადგინა – ილია (ჩუხუა 2017).

ახ. ქართ., დიალექტ. **II. ცილი** 1. (იმერ.) ცილა. „ჩვენი შადრევანი აქაფებულ კვერცხის ცილსა ჰგავს, ხომ?“ (ნ. ლორთქ.).

დიალექტ. 2. გადატ. *ცილს* ჩვენ ვეძახით კანის შემდეგ რომ არის. ახდომი *ცილს* გავაპობთ ცალკე შვაზე და გაიხდება ყავრით. ამ შვა დახდომი *ცილს* კიდევ გავაპობ შვაზე და მესამეჯერ გავხთი ყავრათ და ამოვა ორი ღერი ყავარი, და სახთელი *ცილი* მთლიანათ ხუთი ვერშოვი იქნება სისქით (ქვ. იმერ. მრეწ. I, 322).

\*ცილ- ქართ. ცილა ფუძის შესატყვისის ჩანს მეგრ. ცილა (და იმავე მნიშვნელობის) ლაზ. ცილა და სვან ცილ- (< \*ცილა ბოლოკიდურ პოზიცი-აში ა ხმოვნის მოკვეცის შედეგად). ქართველურ ენათა მასალა შეაპირის-პირა არნ. ჩიქობავამ (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

ს.-ქართვ. \*ცილ- „კანი,ქერქი“ (ჩუხუა 2017).

### **ციცა:**

ახ. ქართ. **I. ციცა** (გურ.) გოგო, ახალგაზრდა ქალი. *ციცავ*, შენ ნუ ხარ ნამეტარი გულდიდი! (ე. ნინოშ.). სახლიდან გამოიხედავს ქალი და გოგოს... ეკითხება: რაიო, *ციცავ?*! (რ. ერისთ.). აგრეთვე: (რაცხ. გურ., ზ. გურ. კიწმ., აჭარ. ნიჟ., ჩვენ. ფუტკ.).

ს.-ქართვ. \*ციცა- „ქალიშვილი“ (ჩუხუა 2017).

დიალექტ. **II. ციცაი** თვალის ჩინი. „თვალის *ციცაი* ატკენია ზავალ-სა და ანაგებათ ვეღარ ხედავს“ (სტ., ჩვენ. ფუტკ.).

**ციცა: თვალის ციცა** (ზ.-აჭარ.) ჩინი: თვალის ჩინი. „მეიწიე ახლო, ჩემო ტატულავ, ვეღარ გხედავ, სულ წემერთვა *თვალის ციცა!*“ (აჭარ. ნიჟ.).

**ციციე** თვალის კაკალი. „რო მოქხეთენოდა ეი ნაპოზე თვალში, ხო წამოგიგდებდა თვალის ციცას“ (საჩინ. შარაშ.).

შდრ. **თვალის ზაია** და **ზაია** ბავშვი.

საშ. ქართ. **III. ციცა** კატა. მის ხისა სიახლოესა ერთი *ციცა* დაბუნაგე-ბულიყო (საბა II, 58, 24).

ახ. ქართ. **ციცა** 1. საუბ. კატა; ფისო. ჩახედავს დინჯად *არყიან* ყანწს და *ციცასავით* ენით ტუჩებს ილოკს (ვაჟა). და შემდეგ მიუალერსებს ისვე ცუგოს და *ციცასა* (შ. მღვიმ.).

**ციცა** 1. კატა. თაგვებისად გვყავ *ციცაი*, ჩიტისად ისარ ვიცითა (ალ. ოჩ. 134, 29). რა უყოთ, ერთხან მეფესაც ხო შახყურებდა *ციცაო*. 2. გადატ. ქურდი. ტიკებ ქვე რასა-დ გექვივნა, შე კარტოხაის *ციცაო?* ღამი[თ] კარტო-ხას იპარავ, დღისი[თ] გამახოლ, ხფიცა (ხევს. პოეზ. 573, 2). ჯამბარაების

*ციცასა* რა უქნავ სახელიანი? (ეთნ. კალენდ. 38, 612). ჳელში ქვან დამცნა იჩომა, პატივ არ დამდვა *ციცამა* (ხევს. პოეზ. 650, 4) – ალ. ჳინჳ.

იხ. აგრეთვე: (ფშ. ცოც., ფშ. ხორნ., ჯავახ. ბერ., გ.-კახ. სახლთხ. ინგ. დამბ., მესხ. ფეიქრ.).

გვხვდება სხვადასხვა დაბოლოებით **ციცა**, **ციცო**, **ციცუა**, **ციცურა**, **ციცურიკა**, **ციცურუა**, **ციცირუკა** – ალ. ჳინჳ. **ცინცულა** კატის კნუტი, კინტულა (მთ. კაიშ.).

აღდგენილია ს.-ქართვ. \*ციც-ა „კატა (სახეობა) (ჩუხუა 2017).

საშ. ქართ. **IV. ციცა** ნიგოზთა და თხილთ მჳადა ZAB. ნიგვზისა და თხილის ყვავილი CD. See also: მჳადა. ◊ ხეკატა – საბა.

ქეგლ –ციცა ბოტან. მტევნისებური ყვავილედი (არყისა, ვერხვისა და სხვ.).

ახ. ქართ., დიალექტ. **ციცაბარდა** (იმერ. რაჳ. ლეჩხ.) იგივეა, რაც კატაბარდა – ქეგლ. *ციცაბარდის* ნორჩ ყლორტებს ფხალში ვხმარობთ (რაჳ. კობახ.).

დიალექტ. **ციცალაი** მდგნალი (ტირიფის მსგავსი). „ციცალაი კუკულ რომ გამეიდეფს, მიხდი, რომ გამოსული მოსულა“ (თ. ქ., ჩვენ ფუტკ).

**ციცუნა** „დგნალის ყვავილი“ (თ. რაზიკ.). „დგნალს კატის კნუტებივით ფაფუკი ციცუნა ეკიდა (ფშ. რაზიკ.). ტყე იჩირთების, წნოლსა და დგნალსაც *ციცუნა* ასხავ (ხევს. ჳინჳ.).

შდრ. სვან. **ციცუნდრა** ბოტ. მდგნალი (სვან. თოფ. ქალდ.).

აღდგენილია ს.-ქართვ. ფუძე \*ციც- (ჩუხუა 2000-2003).

**ციცარ-ი:**

დიალექტ. **I. ციცარი** იხ. I. ციცირი.

ახ. ქართ. **II. ციცარი** [Numida meleagris] ზოოლ. ქათმის ჯიშის ფრინველი; აქვს მუქი ნაცრისფერი, თეთრკოპლებიანი ბუმბული. წინა [წერო] უკანას ხმას აძლევს, უყვირის, როგორც ციციარი (რ. ერისთ.). ქათმები ჩიტებივით დაფრენენ ტოტიდან ტოტზე. *ციცარი* – გასართობად. სავსე ოჯახი! (ნ. ლორთქ.).

**ციცირ-ი:**

საშ. ქართ. **I. ციცირი** მუხუდო – დ. ჩუბ.

შდრ. **ცერცუ** *cicera*, *cicercula*, *legimen* Faba. „მოილე თავისა შენისა... *ცერცუ* და ოსპნი, ფეტვ და ასლი“ (I, ეზუკ. 4, 9).

ახ. ქართ. **II. ციცარი** / **ციცირი** იხ. II. ციციარი.

კაცი კი არა, მაიმუნი უნდა დამიძახო, თუკი რაღაც *ციცირის* გულისთვის თავის დაღრჩობას მოვინდომებ (ი. მაჩაბ. თარგმ.).

დიალექტ. ციცირი, ციციარი (ქიზ. მენტ.).

**ცუნა:**

საშ., ახ. ქართ. **I. ცუნა** 1. «მეტად პატარა» (საბა), – ერთი ციცქნა. ერთი *ცუნა* მცირე, მეტად პატარა (გურ. ღლ).

ახ. ქართ., დიალექტ. **II. ცუნა** (ხევს.) ფხვიერი (მიწა).

ცუნა < ცურცუმელა. ცურცუმელა (მცურველ-მცურველა) 1. მშრალი სილა. ზელვარცლით ანიავებენ წმიდა ხვავს. აკეთებენ საფქავს. არჩვენ ქვასა-დ' ცურცუმელას (შინამრეწვ. 166). ცხრილს მარტო ცურცუმელა-დ' ნალო მარცვალ უნდა გაუვიდას. იმდენად მტკიცერ-ას (შინამრეწვ. 168). 2. მცენარეთა თესლშერეული სილა, რაც მარცვლეულის დარკვევის შემდეგ რჩება. როდესაც „მწარკაბარჭას“ იჭერენ მახით. ქერის მაგიერ მას „ცურცუმელას“ (ბალახის თესლს“ დაუყრიან (მ. ბალ. ნ. მაკალ. 153) – ალ. ჭინჭ.

დიალექტ. **III. ცუნა** (კნინ.) ციცა, კატა (რაჭ. დიალექტ., 690).

**ცუხ-ი:**

ახ. ქართ. დიალექტ. **I. ცუხი** (ქვ. -იმერ.) ცულლუტი, გაიძვერა, თაღლითი, მატყუარა. „დათუნია ტყუის, იმიტომ, რომ *ცუხია* და სხვა არაფერი“ (პ. სამს.).

ზან. ცუხი ეშმაკი, მეტყუილე (მეგრ. ქობ.).

ახ. ქართ. **II. ცუხი** ფუტკრის სანთლის ნარჩენი, რომელსაც ხსნადი ნივთიერებები არ ურევია – ქეგლ.

აღდგენილია ს.-ქართვ. \***ცუხ-მცუხი**; ფიჭვის ნაწური იმერ. გურ. ცუხი ფიჭის დაწურვის შემდეგ დარჩენილი წვენი (ჩუხუა 2017).



**ბ**

**ბალ-ი:**

ბვ. ქართ. **I. ბალი** ბალა, ბალუფლება: „ესე არს ბალი ღმრთისაჲ“ (საქმე 8, 10). „ბალნი ზეცით მოსრულნი“ (ბ. კეს. 176, 30).

2. **ბალი** მხედრობა, ჯარი: „მისცნა იგინი მსახურებად ბალთა ცისათა“ (საქმე 7, 42).

3. **ბალი** სასწაული: „ბალსა არა მცირედსა იქმოდა ღმერთი“ (საქმე, 19, 11).

4. **ბალი** აზრი, მნიშვნელობა: „არავინ იყო გამომთქუმელ და მეტყუელ და მთხრობელ მისა ბალსა მას ჩუენებისასა“ (დაბ. 41, 8). „იავი“ არს სიტყუად სარგებელისაჲ, რომელისა ბალი დაფარულ არს“ (ბ. კეს. 122, 15).

საშ. ქართ. **ბალი** ბალა. წამიხდა ბალი მხართა და მკლავისა (ვეფხ. 348, 2). მომეც ბალი დათმობისა (ვეფხ. 354, 2).

თუ არა კაცობრივი ბალი შენ ვერა მოგერეოდაო (ამირან. 172, 10). პაპუნას ბალი დაემართებოდა (სამ. IV, 162, ქვ. 2). ვეხზედ დამაყენოს გაბედვამ და ჩემა ბალიმ (არჩ. 472, ქვ. 1).

შვიდს წელს იყო წესი მისი, აწ უყურე ღვთისა ბალსა! (ნ. ციც. 424, 13).

**ბალი საქმისაი:** გასამართლებას „გამოძიება“ უძლოდა წინ. მსაჯულს ჯერ უნდა საქმის უტყუარი ვითარება გამოერკვია. საქმის ვითარებას მაშინ ეწოდებოდა „ბალი საქმისაჲ“. ეფთვმე მთაწმინდეღეს თავისი მართლმსაჯულებითი მოღვაწეობის დროს, როდესაც რაიმე შფოთი, ან სხვა დანაშაულება მოხდებოდა, წესად ჰქონდა, რომ ჯერ „ცნის ბალი მის საქმისაჲ ძმათაგან“, რომელნიც ამ დატრიალებული ამბის თანადამხდური და თვითმხილველი მოწმენი იყვნენ, ხოლო შემდეგ დამნაშავეთა გასამართლებას შეუდგებოდა ხოლმე (ჯავახიშვილი VII, 1984, 362).

ახ. ქართ. **ბალი** თანამედროვე ქართულში ამ ფორმით უკვე იშვიათად გვხვდება, ძირითადად დიალექტებსა და სასაუბრო ენაში. უსამართლო ძლიერებას საუკუნო არ აქვს ბალი! უძლეველი საბოლოოდ არის მხოლოდ სამართალი (აკაკი).

როგორც ძველ, ისე ახალ ქართულში ფართოდაა გავრცელებული ბალ-ფუძიანი ფუძიანი როგორც ზმნური, ისე ნაწარმოები სახელური ფორმები სხვადასხვა სემანტიკით.

სიტყვის კონაში წარმოდგენილია მისგან ნაწარმოები შემდეგი სიტყვები: აბალდა, გააბალიანა, გემლო, მძლავრი, ნაძალადევი, საძალო, უძლური, ღუაწლსამძლე, შეუძლია, ძალად, ძალნი, ძალოვანი, ძლება, ძლევა, ძლეული, ძლიერება, ძლიერი, ძლივ, ძლით.

დ. ჩუბინაშვილიც **ბალა და ბალი** სიტყვებს სხვადასხვა ლექსიკურ ერთეულებად წარმოადგენს.

საბა უთითებს ასევე ფონეტიკურად ცვლილ ძან ფორმაზე. ძან: „თქვენ ზედან არა ძან გიყოთ“.

ძვ. ქართ. **II. ძალი** ლარი, სიმი: „მსგავს არს ძრვასა მას ძალთა ებნისათა“ (გრ. ნოს. კაც. აგებ. 159, 10).

გვხვდება ამავე ფუძისაგან ნაწარმოები რთულ სიტყვებშიც: **ათძალი** ათსიმიანი: „ათძალითა მით საფსალმუნისადათა უგალობდით მას“ (ფს. 32, 2). **ორძალი**: „ორძალითა და სტვრებითა სუმენ ღუნოსა მას“ (H -2251, 285v). **სამძალი** სამსიმიანი საკრავი: „მოვილოთ სამძალი იგი ძლევისაჲ“ (საკ. წიგ. II, 8, 19).

საკრავთა ხმარობდენ ჟამსა მას: საყვირთა, ჩანგთა, ხუთძალთა და დაფთა (კალმას. 559, ქვ. 10). მას დღესა სმა იყო ღამემდის, მღერა მუტრიბთა ძალისა (ნ. ციც. 435, 6).

**ძალთა ცემა** სიმების ცემა, დაკვრა. მისისა ძალთა ცემასა, და მუსიკათა ქცევასა და ხმათა მიმოცვლასა გონება ცოდნის ანდაზათცა ვერ მიწვდებოდა (საზა II, 96, 12).

ახ. ქართ. ცხვრის (თხის...) ნაწლავის დაგრეხილ ძაფი; იყენებენ ლარად. ჩონგურსა ძალი ავაბი (ხალხ.). სადიდებლად მომართა ბევრმა ჩონგურის ძალები (ვაჟა).

დიალექტ. ძალი სიმი, ალყა. სრუ მუდამ დაუდგომია მაგის ფანდურის ძალიო (ალ. ოჩ. 140, 30) – ალ. ჭინჭ.

ხევსურულში დასტურდება, ძველი ქართულის მსგავსად, ლარის რაოდენობის აღმნიშვნელი რთული სიტყვები: **სამძალი/სამძალიანი** იგივეა, რაც სამლარიანი. გიზალიაის ფანდურსა ფანდურ აღარ უჯობ სამძალი (ალ. ოჩ. 107, 6). **ცხრაძალიანი** ცხრასიმიანი. იქით მოუტანავ კიდევ ოქროს ფანდური, ცხრაძალიანი (ხევს. პოეზ. 548 შნშნ., ხევს. ჭინჭ.).

1. **ძალი** სამეცნიერო ლიტერატურაში დაკავშირებულია ძნობა სიმებიან საკრავზე დაკვრა, გალობა; „განცხრომა“ სიტყვასთან (კეკელიძე 1912, 341).

2. სიმის აღმნიშვნელი \*ძალ- საერთო ქართველური ძირია (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

3. ავთ. არაბულის აზრით, მართალია, ძალი კონსონანტურ შესატყვისს წარმოაჩენს სვანურში. მაგრამ ხმოვნის საკითხი საკვლევიანია.

მას საგულისხმოდ მიაჩნია ნ/ლ ალტერნაციული მონაცვლეობის თვალსაზრისით სიმებიან საკრავებთან დაკავშირებული ტერმინების ურთიერთობა: ძნ-ობა – ძალ-ი (არაბული 2001, 121).

4. ს.-ქართვ. \*ძალ- / \*ძილ- ნაწლავი. ძვ. ქართ. ძალი „ნაწლავი, სიმი“, ძილი „სიმი“ (ჩუხუა 2017).

### ძაძა:

ძვ., საშ., ახ. ქართ. **I. ძაძა** «ფიჩვ», «თალია», ტომარი: „ყოველსა, რომელსა შთავარდეს მკუდარი ამათგანი, არაწმიდა იყოს: ყოველსავე ჭურჭერსა ძელისასა..., გინა ძაძასა“ O, – „ყოველსა, რომელსადაცა ზედა დაეცეს მათგანი, მო-რად-მკუდარ იყვნენ იგინი, არაწმიდა იყოს ყოველისაგან ჭურჭლისა ძელისა... ანუ ფიჩვსა“ (G, ლევიტ. 11, 32).

„ერთი ოდენ თალიად იფქლისად (რომელ არს *ძაძად*) უქმნით მას წელიწადსა შინა“ (მ. ცხ. 108r). „აღავსენით *ძაძანი* თქუენნი იფქლითა“ (დაბ. 45, 17).

2. უხეში ქსოვილის სამოსელი: „შთაიცუეს ძაძად და გარდაისხეს ნაცარი თავსა თვსსა“ (I ნეემ. 9, 1)

„*ძაძად* შეიმოსო და ნაცარი დაიფინო“ (ეს. 58, 5) – ვ. დან.

დრო მიეზამა, სტავრა და *ძაძა* კაცთა გამოცდად შენნი წყრომანი (ქილ. 493, 24).

ძაძისა შემოსვა მომასწავებელი იყო სინანულისა და მყუდროებისა (კალმას. II, 538, 3).

**ძაძა** ღაზლის შალი – საბა.

ახ. ქართ. **ძაძა** 1. უხეში ქსოვილი (ღაზლისა), || ტომარა (ასეთი ქსოვილისაგან). არაბმან უთხრა: „[ფული] ერთს ძაძაში ჩამიყარეთ, თვარა რით წავიღოთ? (საბა). 2. სამეგლოვიარო სამოსელი [თალხი და შემოუქობავი]. იულონს ნიშნად გლოვისა ძაძა ეცვა და სახლიდნ არ გამოდიოდა (ნ. ლორთქ.). 3. მთიულ. სადა, უარშიო ლეჩაქი.

**ძაძა ნაქსოვი** სრულად ნაქსოვი. „ძაძა ნაქსოვი თხელია (შდრ ფოტვი ნაქსოვი, ღლაბი ნაქსვარი (აჭარ. ნოღაიდ.).

ს.-ქართვ. \*ძაძა „ტომარა, ძაძა, ძონძი > ქართ. ძაძა, ძაძები. ზან. ძონძი, ძანძა (<\*ძონძა): სვაგ; ძაძ – ძაძ-რა (ჩუხუა 2000-2003).

ახ. ქართ. **II. ძაძა** წვლილი ლობიო – საბა. **ძაძა** 1. [Vigna sinensis] წვრილმარცვლიანი, შავკუჭიანი პარკოსანი მცენარე (სინონ. პირშავი ლობიო, მამაკალია. იმერეთში ერთფერიანი ძაძის ჯიშია გავრცელებული, ლიხთიმერეთში კი ჭროღაა (ივ. ჯავახ.). 2. იმერ. იგივეა, რაც სოია.

**ძაძაი** ლობიოს ჯიში. „წრეველაი მარტო ძაძაი მაქ დარგული“ (თ. ქ.) (ჩვენ. ფუტკ.).

დიალექტ. **III. ძაძა** ღობის თავის შესახვევი ფიჩხი; აკეთებენ ბოსტნის დასაცავად შინაური ფრინველისაგან (გურ. შარაშ.). შდრ. **ძაძვი** ეკლნარი, ჩირგვი, ჯაგი (მოხ. ყაზბ., IV, ძიძიგ.). შდრ. ძემვი რომლისათვის აღდგენილია \*ძემჱ არქეტიპი (ფენრიხი, სარჯველაძე 2000; ჩუხუა 2017).

**ძერა:**

ძვ., ახ., ქართ. **I. ძერი, ძერა** voltur, vultur. „არა შჭამოთ, რამეთუ საძაგელ არს: ორბი, ყანჩი და ძერა“ O – „არა შჭამნეთ რამეთუ საძაგელ არს: არწივი, და ძერაჲ და ყანჩი“ (G, ლევიტ, 11, 13).

**ძერა** [Milvus] ზოოლ. დიდი მტაცებელი ფრინველი შავარდნისნაირთა რიგისა. მეთორმეტე [ვარია] დაკარგულა, წაუღია ძერასაო (ხალხ.). მტრის ლეშს კი ამ დროს წიწკნიდნენ სვაენი, ორბნი და ძერანი (ვაჟა).

საერთო ქართველურისათვის აღდგენილია \*ძერ არქეტიპი (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

საშ. ქართ. **II. ძერა** ანისული – დ. ჩუბ. შდრ. ზირა/ზირაკი/ძირა (Cuminum cyminum) ერთწლოვანი მცენარეა სურნელოვან ნაყოფიანი, რომელსაც ხმარობენ საჭმლის საკმაზად. **ძირა** მეგრულშიც „თალგამურაა“. მეგრულში ძეროც დასტურდება „კამის“ ე. ი ცერეცოს მნიშვნელობით (ჩანტლაძე, იოსელიანი 2015, 107-108).

### **ძილ-ი:**

ახ. ქართ. **I. ძილი** ქართული ანბანის ოცდამეორევე ასოს სახელწოდება. თავისი გარეგნობით «ძილი» ასომთავრულ «მანს» მიაგავს (ივ. ჯავახ.).

ძვ., საშ., ახ. ქართ. **ძილი** სიფხიზლის საწინაღმდეგო ფიზიოლოგიური მდგომარეობა, რომლის დროსაც ცნობიერება მოდუნებულია და ორგანიზმი ისვენებს. „ვსცე ძილი თუალთა ჩემთა“ (ფს. 131, 4). „ტკბილ არს ძილი მონისა“ (ო, ეკლ. 5, 11). „ძილითა განძღა ეფრემ“ (I, ეს. 29, 8). იხ. მოძილი, ნაძილვევი, ნაძილვევა, უძილი – ილ. აბულ.

იხილა ძილსა შინა ჩუენებით. . ნინო (არჩ ცხ. I, 101, 6).

**ძილი:** ჯერ ძილი, მერე სიზმარიო (ანდაზა). [ზავშეებს] ძილი შეეპარათ და. გადახვეულებმა ტკბილი ხვრინვა ამოუშვეს (შ. არაგვ.). || ფიგურ. გაზაფხულის სითბომ ხეებიც ზამთრის ძილისაგან გამოაფხიზლა (ი. გოგებ.). ქართულში ფართოდაა გავრცელებული ძილ სიტყვიანი კომპოზიტები, იდიომები და ფრაზეოლოგიზმები – იხ. ქეგლ.

ს.-ქართვ. აღდგენილია \*ძილ და \*ძინ- არქექტიპები (ფენრიხი, სარჯველაძე 2000).

ახ. ქართ. **II. ძილი** (გურ.) ჩონგურის უმოკლესი სიმი. 2. იგივეა, რაც ზილი. მთქმელი იწყებს, მაღალი ბანი მოსზახებს, კრინი აბამს... და ძილი ატკბობს (აკაკი).

1. ქართული და სვანური ენების მასალა შეაპირისპირა და საერთო-ქართველური ფუძე-ენისათვის \*ძილ არქექტიპი აღადგინა 3. ფენრიხმა (ფენრიხი, სარჯველაძე 2000).

2. ს.-ქართვ. \*ძალ-/ \*ძილ- (ჩუხუა 2017).

### **ძირა:**

საშ. ქართ. **I. ძირა, ძირაკი** ზირა – დ. ჩუბ. ძირა... კამა და თეთრი შაქრი და სანდალი... კიდევა შეიცხონ (ქანან. 140, 2).

შდრ. ძვ. ქართ. ძირაკი Cimum, cuminum: „მოიათევსით პიტნაკისაჲ, ცერეცოსაჲ და ძირაკისაჲ“ C, – „მოიღებთ ათეულსა პიტნაკისა და ცერეცოსასა და ძირაკისასა“ DE (მთ. 23, 23). „სთესის გულის-სარეველი და ძირაკი“ (I, ეს. 28, 25).

... ძღვენსა ძღვნიდენ ძნეულებად ძირაკს ძირად (ვახტ. VI, 66, 9).

**ძირაკი** სპარსული [zire]-დან მომდინარე ფუძეა (მ. ივანიშვილი).

ქველში ძირითად სალექსიკონო ერთეულად მიჩნეულია **ზირა, ზირაკი**.

ახ. ქართ. **II. ძირა** 1. ქვედა, ქვევითა, ქვემოთა. 2. ვაზისძირა ნიგვზისძირა. ხარისძირა. ღობისძირა- ქველ.

**ძირა** დაამახა გადატ. გამოსცალა; მთლიანად შეჭამა. მე წესიერთ ვერც მოვასწარი დაჟდომა, რო ზაქრომ უკვე ძირა დაამახა ღვინოს (მესხ. ფეიქრ.). **ძირა** < **ძირი**.

**ძირი**: 1. სპარს. ზირ – „ძირი, ქვედა ნაწილი“ (ანდრონიკაშვილი II, 1996).

2. აღდგენილია ს.-ქართვ. ძირ- არქექტივი (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

დიალექტ. **III. ძირა** თალგამურა. იყენებენ საქონლის საკვებად; ფესვი იჭმება სინონ. ფხალთალგამა (აჭარ. ნიჟ.). ძირაი თალგამი. „ძირას ჟავე ჩავდევით, წრეველაი იმდენი იყო“ (თ. ქ., ჩვენ. ფუტკ.).

ზან. (მეგრ.) **ძირა**, თალგამურა (ქაჯაია 2009, 565). ამ მნიშვნელობის ძირა სავარაუდოა, ქართულ ძირს- უკავშირდებოდეს.

საკმაოდ რთულია სახარებებიდან და ძველი კარაბადინებიდანვე ცნობილი ბალახის წარმომავლობის გარკვევა ქართველურ ენებში, სადაც მას ფონემთა შესატყვისობები არ მოეპოვება. დ. ჩუბინიძისეული და თანამედროვე ძირა სპარსულია და ზირე (ძირა, კვლიავი, შდრ. ზირ ძირი) უნდა იყოს ნასესხები (ივანიშვილი 2014; 117-118), ქართულიდან კი, როგორც ჩანს მეგრულშიც შევიდა (ჩანტლაძე, იოსელიანი 2015, 107-108).

## წ

**წალ-ი:**

ძვ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. წალი** «ვაცი». „მოჰგუაროს...წალი თხათაგან ცოდვისათჳს“ G, – „შეწიროს... ვაცი თხათაგან ცოდვისათჳს“ (O, ლევიტ. 5, 6). საბა – წალი ჩეფიჩი, წლამდი თიკანი.

**წალი** თხა, რომელსაც ჯერ თიკანი არ მოუგია. გამოჩნდა რამდენიმე თხა და წალი, რომლებიც შედგნენ და დაუწყეს ყურება ამ ორ მეტოქე ხარს (ა. ყაზბ.).

დიალექტ. **წალი** ციკანი ექვსი თვის შემდეგ პირველ მოგებამდე. ციკნები მეტი რა მყავ, წალეზმაც კი უკვე დაიგედა (გ.-კახ. სახლთხ.). აგრეთვე: (იმერ. გაჩ., თუშ. ხუბ., ხევს. ჭინჭ., ჩვენ. ფუტკ., ქსნ. ქართლ. სომხ.).

2. **წალი** ერთი წლის დედალი ნიამორი (ხევს. ჭინჭ.). უშობელი ჯიხვი, ნორჩი ირემი, ნუკრი – სულ პატარა, ძუძუმწოვარა ირემი (მოხ. ყაზბ., მიდიგ.).

აღდგენილია ს.-ქართვ. \*წალ- (ფენრიხი, სარჯველაძე 2000).

საშ. ქართ. **II. წალი** კარავთ დასაბმელი თოკი (დ. ჩუბ.).

შდრ. სვან. ჭარა სიგრძეზე წასამატებელი, დასაგრძელებელი რაიმე (თოკი...) (სვან. თოფ., ქალდ.).

ახ. ქართ. **III. წალი** ობლად ამოსული წვრილი ხე („დიალ.“). იხ. II. წალა.

**წალა:**

ძვ. ქართ. **I. წალა** თხელი ბაყლი წყლებრ(ი), ზალა – საბა. „ყოველივე მატლ და წუთხ და წალა იქმნას“ (მ. სწ. 225, 23). „მიყო ჳელი თჳსი წუთხსა მას და წალას“ (მ. ცხ. 172v).

ახ. ქართ. **წალა** 1. ნარწყევი კუჭის წვენი და ნაღველი (ზაფრის აშლისას), – ბალდამი (მნიშვ. 2). გულჩათხრობილი ფშიარში დადის ყვითელი მავნე თეთრ სამოსში, ძიგმიგებს, ზმუის და არწყევს პირიდან ციების წალას (დ. შენგ.). 2. იგივეა, რაც ზ ა ლ ა – ქეგლ.

დიალექტ. **წალა** გაწყალეებული ჩირქი. ჭრილობიდან წალა ადის (ქიზ. მენტ.).

ზან. წალა ნაღველი, კუჭის წვენი, ნარწყევი; შხამი, გესლი ციებისა; მაგარი, ძნელად დასამუშავებელი, გადასამუშავებელი (მეგრ. ქობ.).

აღდგენილია აქტივი \*წალ- 1. მასალა შეაპირისპირა ჰ. ფენრიხმა (ფენრიხი, სარჯველაძე 2000); 2. (ჩუხუა 2017).

ახ. ქართ. **II. წალა** კუთხ. (ლექხ.) მაგარი, ძნელად დასამუშავებელი მერქანი.

აღდგენილია ს.-ქართვ. \*წალ-ამ- „წალამი, შხაპრი“ (ჩუხუა 2017).

ახ. ქართ. **III. წალა** 1. იგივეა, რაც წ ა ლ ი (მნიშვ. 1). 2. ურწანი თხა. იხ. I. წალი.

საშ. ქართ. **IV. წალა** ძვ. კარვის დასაბმელი თოკი (დ. ჩუბ.). იხ. III. წალი.

**წამ-ი:**

ძვ. ქართ. **I. წამი** თუალის ქუთუთოთა მოსაკეცესა ზედა, გრძლად მოვლებულნი ბეწუნი, ანუ თვით ქუთუთონი (ნ. ჩუბ.). თვალის ქუთუთოს ბალანი, წამწამი (დ. ჩუბ.).

წამი წამწამი, დახამხამება: „წამნი თქუენნი გარდამოადინებედ წყალსა“ (ო, იერემ. 9, 18). „თუალნი შენნი მართლ ახედვენ და წამნი შენნი სიმართლესა წამებედ“ (იგ. 4, 25).

**წამი** „ბეწვი“. ს.-ქართვ. \*წამ- „ბეწვი, სხეულის თმიანი საფარი > ქართ. წამი: ზან. ჭემ-ი <\*ჭომი (ჩუხუა 2000-2003).

ძვ. ქართ. **II. წამი** წუთი. „ნუმცა განვეშორების, ნუცა დღისი და ნუცა ღამე, ნუცა ჟამ ერთ და ნუცა წამ ერთ“ (მ. სწ. 210, 29). „ერთსა შინა წამსა... უპატოსნესი ნაშობი მათი განრყუნილ იყო“ (ო, სიბრძ. სოლ. 18, 12). „წამსა შინა თუალისასა მიიწინეს სახლსა მის ყრმისასა“ (A-92, 154).

სამშ., ახ. ქართ. **წამი** აქვს ჟამსა ერთსა წამი სამოცი; ხოლო ერთსა წამსა წუთი სამოცი – წუთი სამოცი; **წამი** თვალი(ს) ქუთუთოთ ნიშნება ZA.

წუთი. წამი – დ. ჩუბინ.: სოფელი... წამია კაცთა თვალისა (ვეფხ. 1668, 2). ერთი ჟამი განიყოფების სამეოც მინუტად ანუ წამად, ერთი მინუტი – სამოც წუთად (კალმას. 160, 11).

ახ. ქართ. წამი 1. წუთის მესამოცედი ნაწილი, სეკუნდი. იჩქარიან წამებში, მე-კი არ მენანება: ცრემლით არ ინამება სამუდამო ბალიში (გ. ტაბ.) // გადატ. დროის მცირე მონაკვეთი, ბნელაში ვრჩები, მიჭირს გამღება წამისა (ბაჩ.). 2. დრო, მომენტი. 3. ზოგჯერ ხმარობენ წუთის მნიშვნელობით. „ხუთი-ათი წამი დამითმეთ, რომ დაწვრილებით გაგაცნოთ საქმე“ (დ. კლდ.). 4. რკალის მონაკვეთი-გრადუსის ერთი სამასმესამოცედი ნაწილი. მისი ნიშანია (იწერება ციფრის ზემოთ, მარჯვნივ, მაგ., 80° 30' 15"). // ამ ზომის რკალზე აყრდნობილი კუთხე (აღინიშნება ისევე, როგორც რკალის მონაკვეთი).

ზან. წამი 1. წამი (მეგრ. IV, ქაჯ.).

1. ქართულ-ზანური ერთანობის ხანისათვის აღდგენილია \*წამ-, ხოლო საერთო-ქართველური ფუძე-ენისათვის \*წამ-წამ- (ЭСКЯ 242) (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

2. ს.-ქართვ. \*წამ- „ხვალ, ქართ. წამ-, რა-წამ-ს (ჩუხუა 2017).

ძვ. ქართ. **III. წამი** სასწორის უღლის შუაზე აღმართული ისარი: „ვითარცა წამი სასწორისაჲ არს ყოველი სოფელი შენ წინაშე“ (ო, სიბრძ. სოლ. 11, 23), „ყოველნი წარმართნი... ვითარცა წამი სასწორისაჲ შეირაცხნეს“ (I, ეს. 40,15). წამი სასწორი უფლისა მიერ, რამეთუ საქმენი მისნი სასწორ სიმართლისა (იგ. 16, 11).

**წამი სასწორისა** [11, 23 სიბრძნე] პოიტის სასწორის უღლის საშუალი – საბა.

ძველქართულისეული **წამი** სასწორის უღლის შუაზე აღმართული ისარი“ წარმომავლობით იგივე უნდა იყოს რაც სვანური წამ მნიშვნელობით: **წამ** – 1. პალო. 2. წვეტიანი ჯოხი (სარეველა ბალახის ამოსაგდებად) (სვან. თოფ., ქალდ.).

### **წბილ-ი:**

ძვ. ქართ. **I. წბილი: წბილ-ყოფა** გაუგემურება: „უკუეთუ მარილი იგი წბილ იყოს, რადთა დაიმარილოს?“ DE, – „უკუეთუ მარილი განწბილდეს“ (C, მრ. 9, 50).

**სიწხო:** „მდიდარი, რომელი პურსა ითხოვნ, სიწხოჲ და სირცხული დაიმკვდრის მათგან, რომელნი იცნობედ მას“ (ბ. კეს. -ექუს. დღ. 124, 33).

საშ. ქართ. გადატ. უმეცარი, შლეგი **წბილი** (ვეფხ. 759, 3). გაწყრა იგი... და **წბილად** აგინა დარეჯანისძესა (ამირან. 492,7). ქალი უქეს დიდვაჭრისა, ამას გაადრებ, თუცა **წბილად** (ნ. ციც. 419, 7). ნულარ ჰქრი თბილად, თვარ გაგხდი **წბილადა!** (დ. გურამ. 239, 13,4).

ახ. ქართ. **წბილი** 1. არასანაქებო, სათაკილო. || უგვანი, ცუდი ზნის ვინმე. [ბატონმა] გააგდებინა ბეჭედი ბოროტს, გესლიანს და **წბილსა** (რ. ერისთ.). 2. იგივეა, რაც გაწბილებული. შევაშინე და გაბრუნდა **წბილი** [სიკვდილი] (ს. ჩიქოვ.). 3. რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი. პირწბილი. წბ-ილ-ი, მიმლეობაა, გამოიყოფა წბ- ძირი.

ახ. ქართ. **II. წბილა, წბილი** 1. [Festuca gigantea] ბოტან. წვრილ და მაღალღეროიანი მარცვლოვანი მცენარე; გავრცელებულია ტყის ჩრდილებში; იხმარება ცხოველების საკვებად. მაგრამა ნახე ლაშარსა ერთი ტანმომცრო ქალიო, იმ **წბილასავით** წვრილამა გულში დამინთო ალიო (ვაჟა). 2. წვრილი და გრძელი ღერო, უპირატესად მარცვლოვანთა და ისლისებრთა ოჯახის წარმომადგენლებისა. [მიხოზე] ადრე ვერავინ მოიტანდა ხოლმე ბალახის **წბილებზე** ასხმულს მარჯანივით წითელ მარწყვსა (თ. რაზიკ.). შდრ. II. წველი.

ს.-ქართვ. \*წუ-ელ „წველი, წბილი“ (ჩუხუა 2000-2003).

### **წედა:**

საშ., ახ. ქართ. **I. წედა** ყოველივე ღვინის შესასმელი ჭურჭელი – საბა.

შდრ. ძვ. ქართ. **წედი** თეფში; ყვავილნარი, სანერგე. წარილო ბორვალეები იგიცა და **წედები** იგი ოქროსაჲ“ (O, IV, მფ. 25, 15). „მმის-წული ჩემი შთავიდა მტილსა თვსსა, **წედთა** მათ საკუმეველთასა მწყსად“ (O, ქება 6, 1).

ახ. ქართ. **მწდე** ძვ. ღვინის დამსხმელი, – მერიქიფე. [ლეონმა] ჯუმბერ მწდედ დაიყენა (საბა). საფიქრებელი... არის, რომ **მწდე** მეღვინეთ-უხუცესისი ერთი ხელქვეითთაგანი ყოფილიყო (ივ. ჯავახ.).

აღდგენილა ს.-ქართვ. \*წედ- თეფში, ჭურჭელი (ჩუხუა 2017).

ახ. ქართ. **II. წედა** გამომწვარი შირიმის ქვა (კირ.). იხ. II. წიდა.



**წელი-ი:**

ძვ., სამ., ახ. ქართ. **I. წელი** lumbus: „შევკმოსო ყოველთა წელთა ძამა“ (ო, ამოს. 8, 10). „წელნი მოაბელისანი დადადებენ“ (I, ეს. 15, 4). „სარტყელი ტყავისაჲ ერთყა წელთა მისთა“ (მრ. 1, 6); „ნეკი ჩემი უმსხმო არს წელთა მამისა ჩემისათა“ (ო, III, მფ. 12, 10). სამსახურითა თქვენითა გვტკივა ზურგი და წელია (დ. გურამ.).

წელი<sup>1</sup> 1. ადამიანის სხეულის ნაწილი – ნეკნების დასასრულსა და თემოს ძვლებს შორის. [ქრისტიანეს] ხშირი თმა წელზე ეყარა (ე. ნინოშ.). ლამის სახლში შემოვიდეს თუთა, ლამის წელზე შემომხვიოს წელი (ანა). 2. შუა ნაწილი, შუა ადგილი. [გზირი] გველივით მოქნილ იფანს ეშხიანად ზნექდა წელში (ვ. ბარნ.).

3. **ნაწილი** (გამოთქმებში: ზემო წელი, შუა წელი, ქვემო წელი) შუა წელიდან თხემამდე მთა თეთრი თოვლით იყო გალესილი (ვაჟა); [რიონი] ზემო წელში დასავლეთ-ჩრდილოეთიდან მოდის (ი. გოგებ.).

დიალექტ. **წელის ხე** თავხე. წელის ხე არი სახლის სახურავის მთავარი ხე; წელის ხეზე მალლა გადებულა (შეკრულია ერთად) ნალოს ხეები, აქეთ-იქით დაქანებულია და დახურული (კავთ., ქართლ. მესხ). **საწელე** წელში, სახში შუა ადგილზე დასადები ხე (მახ. გურ. ჯაჯ.).

**წელი** შეიძლება წენ-ის სახითაც შეგვხვდეს: წენი ტკიოდა და სულ იწვა (შომახეთი); წენის ტკვილმა მამკლა ღარმე (ხევი) (ზ.-იმერ. ძოწ.).

**წენი** ღვედი გლ. თავხური. წენის ღვედი (რაჭ. კობახ.).

1. გ. კლიმოვმა წელ-არქექტიპი ადადგინა ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისათვის (ЭСКЯ, 249) (ფენრიხი, სარჯველაძე 2000; ჩუხუა 2017).

ძვ. ქართ. **II. წელი** ნაწლევი. ნაწლავი, „შინაგანი“, მუცლიერი“, „ეზოდ გულისაჲ“: „ცმელი, რომელი არს ნაწლევთაჲ“ (G, ლევიტ. 7, 3); „ახს აღსასრული შენი ჭემმარიტად ნაწლევთა შენთა“ pb., „მოახს აღსასრული შენი ჭემმარიტად ეზოთა გულისათა შენისათა“ (ო, იერემ. 9, 13).

გადატ. **წელი** მოწყალეობა; ნაწლევი: „ვითარ წელნი არა დაჰკნდეს“ (ოქრ.-პეტრე და ილია 322). „მელმიან წელნი ჩემნი შენთვს“ (ფლკტ. 145, 171).

ახ. ქართ. **წელი** ნაწლავი. მეორე დღეს პატრონმა მატყლის ნაფლეთები და წელეების ნაგლეჯებილა იპოვა თავისი ცხვრისა (აკაკი).

სამ. ქართ. **წელი: წელთ ნახვეწი**: თუ კაცი გახსნით იყოს და წელთ ნახვეწიც სცვიოდეს... ნურას ფერს მჟავესა ნურც ასმევთ და ნურც აჰმევთ, თვარადა უსათუოდ წელეებსა დაუზიანებს (იად. 431, 14).

**წელწული**: და თუ ავადმყოფსა ან მარღვები ან წელწული და გული და სტომაქი სუსტად ჰქონდეს... მჟავესა სამელსა და შარბათებსა ნურც ასმევთ და ნურც აჰმევთ (იად. 124, 18);

ნა-წლ-ევ სიტყვაში გამოიყოფა ნა- – ევ აფიქსები და -წლ < წელ ძირი, სხვა ქართველურ ენებში ნაწლავის მნიშვნელობით იხმარება წელ-ძირის კანონზომიერი ფონეტიკური შესატყვისი ფუძეები (გელენიძე 1974, 117).

2. \*წელ- (ფენრიხი, სარჯველაძე 1990). ს.-ქართვ. \*წელ „ნაწლავ-ი „ნაწლევი“ (ჩუხუა 2000-2003).

ძვ. ქართ. **III. წელი** წელიწადი: „იყო იგი ათორმეტის წლის ოდენ“ (მრ. 5, 42). „იგი სცვალეხს ჟამთა და წელთა, დაადგინებს მეფეთა და გარდაადგინებს“ (ო, დან. 2, 21). „ესეთსა მას ციხესა შინა ექუს წელ პყრობილ იყო“ (შუმ. XIV, 27).

აქათ სამ *წელი* მომიცადე (ვეფხ. 157, 2). ჩვენ გაგვიშვია ქვეყანა თვრამეტ-ცხრამეტ *წელია* (დ. გურ.). „კმა, რაცა შევსცოდე როსტანს წლეულად მე *წელად* (ვეფხ. 1484, 2).

ძველ ქართულში დასტურდება წელიწადი წელი. დრო მეციით მე ამას ხოლო ერთსა *წელიწადსა* (მ. სწ. 99,3).

**წელი** ძირეული ქართული, უმოტივაციო სიტყვაა.

**წელითი** წლად მარტო თეორიულად აღდგენილი ფორმა როდია; იგი გვხვდება, მაგალითად, დავითნის უძველეს ხელნაწერში, სადაც ვკითხულობთ, „ხოლო დადგომასა იანვარისასა *წელითი წლად* დაერთვის ერთი ნიადაგად რიცხუს მას ერთი რიცხუად ყოველნი წელნი (უნივ. სიმ-ველეთა მუზეუმის №38 ხელნაწერი (შანიძე 1981, 312).

საინტერესო სემანტიკური შინაარსისაა ლექსემა აგრეთვე **წელიწადეული, წელიწადეული** თიკანი, კრავი, ხბო, საერთოდ პირუტყვი ერთ წლამდის: შეწირეს... *წელიწადეული* თხათაგან... ათორმეტ (ო, II, ეზრა 6, 7). მოიბთ... ტარიგი *წელიწადეული* მსხუერპლად (ო, ლევიტ. 9, 34)

ქეგლის მიხედვით **წელი** პოლისემიური სიტყვაა: 1. წელთაღრიცხვის ერთეული – დრო, რომელსაც დედამიწა მზის ირგვლივ შემოვლას ანდომებს, თორმეტი თვე, – წელიწადი. სრული სამი *წელი* ვცხოვრობდით ჩვენ ერთად (ჭ. ლომთ.). 2. ასაკი, ხნოვანება (წლობით, თორმეტთვეობით ნაანგარიშევი). „მე მაშინ პატარა ვიყავი. გიოს *წლისა* ვიქნებოდი (ლ. ქი-აჩ.). 3. დროის მონაკვეთი (დაახლოებით ერთი წლის ხანგრძლივობისა), განკუთვნილი რაიმე გარკვეული საქმიანობისათვის (შეიძლება ზუსტად არც ემთხვეოდეს კალენდარულ წელს). 4. თორმეტი თვის მომცველი დროის მონაკვეთი, რომელიც პირველი იანვრიდან ითვლება (ასეთ შემთხვევაში წელიწადი ჩვეულებრივ არ იხმარება). სავსეა მთელი მინდვრები უხვი *წლის* მოსავალითა (შ. მღვიმ.).

1. \*წელ- არქეტიპი ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისათვის აღადგინა გ. კლიმოვმა (ЭСКЯ, 242; ფენრიხი, სარჯველაძე 2000).

ს.-ქართვ. \*წენ - „წელი; შარშან“ (ჩუხუა 2017).

2. **წელიწადი** მიღებულია **წელითი წლად**-ისაგან, რომლის პირველ ნაწილში გვაქვს ერთი გადავარდნილი და გადაშენებული ბრუნვის ფორმა, აბლატივის მნიშვნელობით წელ სიტყვისაგან (შანიძე 1981, 313).

**წერ-ი:**

ახ. ქართ., დიალექტ. **I. წერი** 1. კუთხ. (ხევს.) ჭვავის ძნის ოთხკუთხედი ზვინი, რომელიც სამ *წერილას* (63 ძნას) შეიცავს. 2. კუთხ. (ზ.-რაჭ.). სარზე ასხმული რამდენიმე [ჩალის] კონა, დაახლოვებით 30-35-მდე («შინამრეწვ.»).

შდრ. ძვ. ქართ. **წერეული, წერული** acervus: „დაწვა იგი ზვნსა მას *წერეულისა* (*წერულისა* O) მისისასა“ M (რუთ. 3, 7).

შდრ. **წერილა** (ხევს.) 21 ძნა, ერთმანეთზე ჯვრისებურად დალაგებული გამოშრობის მიზნით (შდრ. წ ე რ ა, წ ე რ ი1). სამ-სამძნიანს შვიდ სამეულს ერთად აგებულს *წერილაი* ჰქვიან («შინამრეწვ.») – ქეგლ. ძველ ქართულშიც, როგორც ჩანს ხევსურულის მსგავსად გარჩეული იყო **წერი** და მისგან ნაწარმოები **წერეული**. სამს ძნას ერთად ხქვიან სამეული, შვიდს სამეულს ერთად – *წერილარ* (დიალექტ. 5, 23) – ალ. ჭინჭ. **წერი** სამი წერილა ერთად აგებული. სამს *წერილას* ერთად შახყრიან, ააგებენა-დ' აი-მას *წერრ-ხქვიან* (შინამრეწვ. 77).

დიალექტ. **წერი, წერანი, წერონი** სელის 90 ხელეური (შდრ. მარჯილისუბე). „...ოთხმოცდაათი ჰელეური ერთად შაკრული საბლით, იმას *წერი ექტინა*“ (მოხ. ქავთ.).

აღნიშნული სიტყვები როგორც მითითებულია სამეცნიერო ლიტერატურაში საერთოქართველური წარმომავლობისაა (ჩუხუა 2000-2003).

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **II. წერი** შავი საღებავი. [ღამე] სიბნელითა *წერისა* ფერად შავი იყო (ვისრ 59, 21).

**წერი** 1. (ლექს. რაჭ. იმერ. გურ.) კაკლის ხის ქერქის გამონახარში საღებავი, რომელიც მოყავისფრო შავად ღებავს. 2. კუთხ. (ხევს. ფშ.) ნავთობი; კუპრი – ქეგლ.

მ. ჩუხუა ზემოდასახელებულ **წერს** აკავშირებს ამავე შინაარსის ზან. (მეგრ.) ჭგლ-ა || ჭილა სიტყვებთან. აღადგენს ს.-ქართვ. \*წარ-ფუძეს. ს.-ქართვ. \*წარ- „კანი, გარეკანი“ > ქართ. წარი > || წერ-ი: ზან. ჭილ-ა || ჭგლ-ა (\*ჭორ-ა). მისი აზრით წარ-ს უკავშირდება: ნახ. ჭარ „კანი, გარეკანი; თმა“; ხუნძ. ჭირი, ტინდ. მიჭა და სხვ. (ჩუხუა 2000-2003).

ახ. ქართ. დიალექტ. **III. წერი** (გურ.) ქარიყლაპია – ქეგლ. **წერი** თევზი ერთგვარი (იმერ. გაჩ.). თევზის ერთი სახეა (ლანჩხ., გურ. ჯაჯ.).

ზან. **წერი** ზოოლ. თევზის ჯიშია ერთგვარი, – გრძელი და წვრილი თევზია, იხვისას მიუგავს, პირში გოჭისებური კბილები აქვს (მასალები, ტ. V, 72; მეგრ. ქაჯ. III).

ახ. ქართ., დიალექტ. **IV. წერი** 1. კუთხ. (ზ.-იმერ.) მწერია ერთგვარი. ბუზ-პეპლები: ფუტკარი, ბზიკი, ... *წერი*, კოლო, ქინქლა (აკაკი). 2. კუთხ. (გურ). იგივეა, რაც ბუზი. წერი < მწერი.

**მწერი** ძველქართულისეული სიტყვაა. როგორც ცნობილია ფუძე წერ- კანონზომიერად არის წარმოდგენილი ჭანურში ჭაჯ-ის სახით, მეგრულში ჯ-ს წინ განვითარებულია ნ-; ჭაჯ- || ჭანჯ-; საინტერესოა, რომ

სწორედ ეს ზანური ჭანჯ- (ნ-ს ჩართვით) შეთვისებული აქვს სომხურს) (ჩიქობავა 1938). გ. კლიმოვმა საერთოქართველური ფუძე-ენისათვის აღადგინა \*წერ- და \*მწერ არქეტიპები (ფენრიხი, სარჯველაძე 2000).

### წერა:

ძვ. ქართ. **I. წერა:** „ამან იცოდა კელოვნება – წერაჲ“ (Sin – 6, 146v). „ყოველივე წერით კელითა უფლისაჲთა მისცა დავით“ (I ნშტ. 28, 10).

ახ. ქართ. წერა 1. სახელი წერს, იწერს ზმნათა მოქმედებისა: 1. ასოების გამოყვანა ქალაღზე ან სხვა საწერ მასალაზე. მეღნით წერა. [ათანასემ] არც წერა აცოდა, არც მხედრულის კითხვა (ე. ნინოშ.). 2. აზრის წერილობით გამოთქმა. და თუ ვიწყებ შორით წერას შენთან, ხელი მიკანკალეზს (აკაკი). 3. თხზვა; შემოქმედება. მე არ ვიცი ლექსების წერა, თორემ... (ჭ. ლომთ.). 4. იგივეა, რაც ხატვა. პორტრეტების წერას... მხატვრობაში უკანასკნელი ადგილი უჭირავს (ილია). ცრუმორწ. ადამიანის ბედ-იღბალი, ხვედრი (შდრ. ანაწერი, მნიშვ. 3). სადაც მთელი ხალხი ურევია, მეც იქ ვიყო, მეც იმათთან მოვკვდე, თუ ჩემი წერა ეს არის (ბ. ჩხ.).

საშ. ქართ., დიალექტ. წერა ბედისწერა. ზააქს აღარვინ ახსენებს, ნახეთ ბედისა წერანი, და სალარო-ზარდახშანისა ახლავ შეიქნა წერანი (შპნ I, 32, 99, 4). რას აქნევს კაცსა ლაფალსა, ნახეთ, საქმენი წერისა (ნ. ციც.).

წერა ბედი, საბედო. „ადგა აბესალომი, მივიდა ქალთან და უთხრა, – შენ ჩემი წერა ხარო“. ეგ ბიჭი „და ქალი ერთმანეთის წერა იყვნენ, ერთურთი გაიტანანო“ (მოხ. ქავთ.).

დღე-წერა განგების მიერ დაწერილი ხვედრი. „აი ეგრეა თავის დღე-წერა“ (ფშ. ცოც). წერა-მწერელი ბედის გამგებელი, ღვთის განგება. „ეხლა ი წერამწერელიც თუ არი“ (ფშ. ცოც.).

წერა: უწეროდ უდროოდ, მოულოდნელად, უბედური შემთხვევით (სიკვდილი). ეგ ეგეთი ამოსავარდნელი რამ ირდება, რო უწეროთ სიკვდილი არ ადგდება (წილკ.); ჩხუბობდნენ თურმე, ეს წეშველა, ამას დაარტყეს და მოკლეს თურმე, უწეროთ მოკვდა, მათ, თავი დღით მოკვდა?! (ბროწლ., აგრეთვე ძეგ., ქართლ. ლექსიკ.).

აღდგენილია \*წერ- არქეტიპი (ფენრიხი, სარჯველაძე 2000).

ახ. ქართ., დიალექტ. **II. წერა** კუთხ. (მთიულ. ფშ.) 6-8 ძნა ერთმანეთზე მიყუდებული (გამოშრობის მიზნით). შდრ. წერი.

წერა (რაზ.-ჭყ) „ოთხ-ფეხათ დადგმული ძნა“. ერთად აგებული ხუთი ძნა“. შემდეგ ძნებისაგან მინდორში დასდგამენ წერაჲს (ათი ძნაჲ) (გუდ. მრეწ. IV<sub>2</sub>, 191); გადახუთულებული, გადამსხვილებული ორი წერა – ხუთულაჲ, ასი ნაწყობი (ფშ. მრეწ. IV<sub>2</sub>, 186).

ახ. ქართ. **III. წერა: ძაღლისწერა** (ძაღლის მწერა) გრძელი წაბლისფერი ბუზია, კბენს პირუტყვს, უფრო ძაღლს (რაჭ კობახ.). იხ. IV. წერი.

**წველა:**

ძვ. ქართ. **I. წული. წულა** ჩალის ნამცეცი, ნაწვერალი (< ნაწველარი), ღერო, «ლელწამი»: „რამსა ხედავ *წულას* თუალსა შინა ძმასა შენისასა?“ (ლ. 6, 41). „დაშთის მას შინა *წული* (ლელწამი pb.)“ O, ეს. 17, 6). „ვითარცა *წულად* ესე ჩალისად შეურაცხის“ (მ. ცხ. 46v).

**წულეული** ღერო: „ნაყოფიერებაჲ ჩუენი *წულეულსა* შინა იხილვე-ბის და არა ნაყოფსა“ (A- 92, 319).

შდრ. ძვ. და ახ. ქართ. **წველი 1.** პურეულის ღერო თავთავამდე, – წბილა. 2. ანატ. ზურგის ტვინის განშტოება. სიმპათიკური წველი – ქეგლ.

**წველა** თმის ღერი – საბა. **წველა 1.** ღერი (თმა, ბალანი...); 2. ერთი აწყვეტა ძაფი (ღაზლა.), ნემსზე ასაგები ძაფი (აჭარ. ნიჟ.), აგრეთვე: ჩვენ. ფუტკ.).

\*წუელ- არქეტიპი საერთოქართველური ფუძე-ენისათვის აღადგინა გ. კლიმოვმა (ფენრიხი, სარჯველაძე 2000).

ს.-ქართვ. \*წუ-ელ არქეტიპს შესატყვისები მოეპოვება მონათესავე იბერიულ-კავკასიურ ენებში (ჩუხუა 2000-2003). იხ. აგრეთვე (ჯავახიშვილი V, 1986, 91; კახაძე 1987, 70).

ძვ. ქართ. **II. წველა** წულა მოწველა, კრეფა: „ჰმსახურებდენ მათ ნაყოფთაგან მათთა და *წულისაგან* საცხოვართაჲსა და ზროხათაჲსა“ (ნრს. 70, 17). იხ. მოწულა, მწულელი – ილ. აბულ.

ახ. ქართ. **წველა 1.** ცურიდან რძის გამოდინება. [დედა] მორჩებოდა ძროხების *წველას* (ვაჟა). 2. გამონაწველი. მთიელ ოსს *წველა*, საკლავი საოჯახოდ ძლივსა ჰყოფნის (ილია). 3. ყველის კვერი (ერთი ნაწველისაგან). „წველა ყველი – სამი შაური“, – ითვლიდა ... მიკიტანი (ნ. ლორთქ.) 4. იგივეა, რაც მაწონი. ჩვენი *წველა* ტალივითა, მეზობლისა – წყალივითა (ხალხ.).

დიალექტ. **წველაჲ** ცხვრის რძის მაწონი. აყდუღებენ ზეს, ჩაყსხმენ ერთ-ორ კოჩხო შრატს. შეეგდება-დ *წველაზ* (თუშ. ცოც.). **წველა:** წველა მაწონი (ქიზ. მენტ.). სკიდან თაფლის ამოღება, თაფლის დაწურვა, ხილვა. 2. რძე. „იმ ზაფხულს სალიხი აკვნის ჩვილი იყო, *წველა* არ ჰქონდა სახლში“ (ფ. ხალ.). ეს გელიშეჭმული, ხობო თუ არ მუყვანე, ისე *წველას* არ მოქცემს (აჭარ. ნიჟ.). **წველა** რძე (მეწველი ძროხის ყოლა). „წრეველი ზამთარში *წულა* არ ქეკონდა“ (ბახ.; ჩვენ. ფუტკ.).

ს.-ქართ. \*წუელ- „წველა, მეწველი (ჩუხუა 2017).

**წიდა:**

ძვ. ქართ. **I. წიდა** ჭუჭყი: „წმიდან იგი ჳელნი უფლისანი *წიდას* განჰბანდეს“ (Ath. -11, 83r). „*წიდა* იგი გონებათაჲ განწმიდოს (წამალმან)“ (H - 341, 627). „ნუ იყოფი მეუღლის-მოყარე, განიბანე *წიდასაგან*“ (Sin. - 97, 73v).

**წიდა** ყურის ღრუში ჩაგროვილი ჭუჭყი. რო ვედარ გეყურება კარგა, გეტყობა წიდა ჩაგიგროვდა ყურებში და იმისი ბრალია თორო რაი დროს შენი დაყრუებაა (მოხ. ლუდ.).

შდრ. **ნაწიდარ** ცხვრის ღამის სადგომი ადგილი მთაში. *ნაწინდრად* ქვიშიან ალაგს ავარჩევთ, რო ავდარში არ ალაფდეს (თუშ. ცოც.).

**ნაწიდგარი** (რაზ. -ჭყ.) ცხვრის ჩაბინავება (ა. შანიძე). იგულისხმება ცხვრის კურკლი დაფენილ-დაგებული (ფშ. ხორნ.).

**წიდა**, წიდოვანება, ჭუჭყი-სათვის აღდგენილია არქექტიპი \*წიდ- (ფენრიხი, სარჯველაძე 2000; კელაურაძე 2014, 32).

საბაგ აღნიშნავს **წიდა** სიბილწე და ფინთი რამე, ხოლო წიდოვნება სიტყვასთან კი მიუთითებს **წიდა** ფინთ-ფუნთად ითქმის, კაცისა იყოს თუ რკინისა ანუ ნივთთა რომელთამე, ამისთვისცა დედათა წესი(ც), რომელ არს დაშტანი წიდოვნებად უთქვამსთ და კაცთა ბილწებაც(ა). შდრ. სვან. **ფირჷი წიდ** „ძროხის მონაყოლი“ (შშობიარობის შემდეგ).

საშ. ქართ. **II. წიდა**. აიღე: ჟანგარა და ოქროს წიდა გარეცხილი (ქანან. 214, 33). გამრავლებით გარდაადნევ, წიდა ნახო დანაწვანი (ვახტ. VI, 43, 83).

ახ. ქართ. **წიდა** 1. გადადნობის (ან ჭედვის) მინერალური ნარჩენი, – ხენჯი. შედუღების წიდა. – ბრძმედის წიდა. – წითელ ძმარს მოადუღებთ და შიგ ჩაყრით უხმარებელ სამჭედურის წიდას (ბ. ჯგორჯ.). 2. გეოლოგ. გაცივებული მაგმა.

დიალექტ. მას გარდა, აძლევდნენ თელის წიდას. გლეხები სწვამდნენ ცოცხალ, ფეხზე ნადგომ თელას. ის ჩამოიღვენთებოდა ფისივით და იმას უშვრებოდნენ ვერხვიც შეიძლებოდაო (ქიზ. მრეწ. II, II, 26).

სამჭედურიდან მოვიტანდით წიდას (შ. კახ. მრეწ. II, II, 40). წიდაჲ წრთობის შედეგად მიღებული მაგარი ნივთიერება (თუშ. ხუბ.).

*წიდასთან* ერთად ნაგალიც უნდა ჩაერიოს საღებავის გაკეთებისთვის (ერწ.-თიან. მრეწ. II, II, 57).

გ. მაჭავარიანის მიხედვით ქართ. წით- (<\*წი (შდრ. წიდა „რკინისა და ილეკროს ნადნობი (საბა) და მაშასადამე მეგრ. ჭან. ჭით- <\*ჭიდ, ქართველური \*წიდ || \*ჭირ ფუძე პარალელებს პოვებს დაღესტნისა და ნახურ ენებში, სადაც სათანადო ფუძეები „ცეცხლის“ მნიშვნელობით იხმარება (მაჭავარიანი 1965, 53).

რ. გორდეზიანი თვლის, რომ ქართულ-ზანურ დონემდე ამოსავალ ფუძეში დადასტურებული წით-ძირი, რომელიც, როგორც ჩანს, თავდაპირველად „გავარვარების“ მნიშვნელობას შეიცავდა. შდრ. წიდა „რკინისა და ილეკროს ნადნობი“, სემანტიკურადაც და ფონეტიკურადაც ადვილად დასაკავშირებელია ბერძნული „მოხარშული“, „გავარვარებული“, „დუღილის ორთქლი“, დენტალის ნაზალიზაცია ჩვეულებრივი მოვლენაა წინა-ბერძნულში. ბერძნული ტერმინის ეტიმოლოგია დაუდგენელია (გორდეზიანი 1982, 87).

**წდობა** (აწთობს) წრთობა. „ხმალი სისხლში წვდებაო (თუშ. ცოც.).

**წიდ-** / **წიდა** – მეტალურგიასთან ჩანს დაკავშირებული. ამავე კავშირისაკენ მიგვითითებს წრთობა ზმნის პირველსახე – წდობა (არაბული 2001, 44).

### **წიდოვან-ი:**

ძვ., საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. წიდოვანი, წიდოანი** თვითურით შეპყრობილი. „შეეხო მას დედაკაცი იგი წიდოვანი ფესუსა სამოსლისა მისისასა“ (ოქრ. -გურიტ. 227,11). „ვითარცა ძონძი დედაკაცისა წიდოვანისა“ (ეს. 64, 6). „სულსა მაგას რაფსა წიდოვანს იქმ?“ (ოქრ. -მარხ. და იონ. 110, 25). წიდოვანის სინონიმად ძველ ქართულში დასტურდება „სისხლის დენა“ და სომხური წარმოშობის სიტყვა „დაშტანი“.

და ერგების დედათა და რომელთა გამოუვიდოდეს სისხლი წიდოვანებისა დიადი, გადამეტებული (ქანან. 70, 17). შდრ. და ასეთი საჭმელები არა აჭამონ რა, რომელსაც დედათ წესის სისხლი შიგნით დარჩომოდეს ის ჩამოშალოს და ყუელა ჩამოიწმიდოს (იად. 120, 6).

(ფშ.) წიდოვანი...დედაკაცები ერიდებიან წმინდა ადგილებს (ვაჟა) – ქეგლ. იხ. I. წიდა.

ახ. ქართ. **II. წიდოვანი**, სადაც წიდა ყრია. წიდოვანი ბილიკი. იხ. II. წიდა.

### **წილ-ი:**

ახ. ქართ. **I. წილი** ქართული ანბანის ოცდამეცხრე ასოს სახელწოდება. მე ყველაზე ბოლოში ვეწერე, რადგანც ჩემი გვარი წილზეა (აკაკი).

ძვ. ქართ. **II. წილი** ხვედრი, «ნაწილი», «საზომი», «სამკვდრებელი».

„განიყვეს სამოსელი მისი და განიგდეს წილი“ (მთ. 27, 35). „მისცეს წილი მათ“ (საქ. მოც. 1, 26). „მიგცეს შენ წილითა დამკვდრებად მას GG, – მოგცეს ნაწილად მკვდრობისა შენისა“ (M, II, შჯ. 25, 19). „კუართი იგი ხუდა წილით მცხეთელთა მათ ურიათა“ (ქ. ცხ. 94, 12). იხ. აგრეთვე: განაწილება, განმრავალწილება, განწილვა, თანა-მონაწილე, მონაწილე, ნაწილება, ნაწილი, ორი წილი – ილ. აბულ.

საშ. ქართ. მზე უშენოდ ვერ იქმნების, რადგან შენ ხარ მისი წილი (რუსთაველი). რაც ვინ ქნა ამ სოფელსა, მასვე მიხვდა მისი წილი (ვახტ. VI, 43, 80).

თურის ტახტი ერთი წილი საქონელი შენ ადარე (შჰნ. I, 124, 412, 3). თუშნი და დიდონი არიან წილნი ლეკოსისა (ქ. ცხ. IV. 552, 2). ჩვენთა ბრალთა წილმცა დასაჯენინ შენმან მაცხოვარმან დღესა მას საშინელსა სამსჯავროისასა (ბეს. 209, 9).

ახ. ქართ. **წილი** 1. იგივეა, რაც ნ ა წ ი ლ ი. ჭანების ერთი ნაწილი კეისარს ემორჩილებოდა, ერთი წილი კიდევ, მთებში მობინადრე, კეისრისაგან ყოველწლივ საჩუქარს იღებდა (ივ. ჯავახ.). 2. ხვედრი, არჩივი, კერძი.

[მახარე] თავის *წილ* სადილ-სამხარ-ვახშამს... გულიანად შეეცა (შ. არაგვ.). || ერთ-ერთი მემკვიდრეთაგანის ხვედრი სამკვიდროში. მე და ჩემმა ქმარმა ვიანგარიშეთ და ჩემს მაზლს *წილი* არ ერგოო (ანდაზა). 3. ტოტის საგანგებო გადანაჭერი (დაახლ. 1 სმ სიგრძისა) წილის საყრელად. [ბერიძემ] მოსტეხა ცეცხლზე წართულ ფიჩხს ტოტი და დააკეთა თვითონ *წილები* ხისა (ვაჟა). 4. (თუმ.) მოხარული ხორცის ნაჭერი (სინონ. რაჭ. ნერჭი).

ნაწილის მნიშვნელობით დასტურდება **წილა**-ც. იხელთებდა თუ არა დროს, ჯგემალთან მიიპარებოდა, თავის *წილა* პურს მიუტანდა (ა. ხახუტ.).

დიალექტ. **წილ-ნ-ო** 1. რძის დღვებისას გაჩენილი კარაქის ნიშნები, კარაქის მარცვლები. 2. იგივეა, რაც სამმაზლონი (ეთნ. III, 25, სქოლიო) – ალ. ჭინჭ.

იხ. აგრეთვე (თუმ. ხუბ., ცოც., ჩვენ. ფუტკ., ინგ. ღამბ., ხევს. ჭინჭ., ქიზ. IV, III, 175).

ხევსურულში დასტურდება **წილ**-სიტყვიანი შემდეგი რთული სიტყვები:

**წილკერძი** მოდგმა, შთამომავალი. *წილკერძს* ვეტყვით შვილსა, შვილშვილსა, ჩამონავლსა, რავი (ლამ.). წყევლაში ვიცით, შენი *წილკერძი* გაწყვეს, შენო, ვითომ შენი შვილები, მომავალი გაწყდესო (ბროწლ., ქართლ. ლექსიკ.).

**წილ-კერძი** ვისიმე ნაწილი, ვისიმე კერძი. იმავე წუხრას წაუტანენ დიასხლისსაც ლუდს თავის *წილ-კერძს* (ეთნ. კალენდ. 13, 272). ბევრ ქალ გინახავს *წილ-კერძსა*, არაყიანსა მინასა (ეთნ. სწორფრ. 50) – ალ. ჭინჭ.

**წილ-ბურკვი** ჭირის სუფრიდან ნათესავთათვის გასატანებელი ერთი პური (კვერი) და ერთი გირვანქა ერბო. წასვლისას მოკეთებებს ეძლევა წილ-*ბურკვი* – ერთი კვერი და ერთი გირვანქა ერბო (ს. მაკალ. 200,17) – ალ. ჭინჭ.

**წილ-ნამაშვრალი** ქმრის სახლიდან წასული ქალისათვის მისაცემი ქონება. ჯერ მე გამისტუმრ, დედო, მამეც *წილ-ნამაშვრალი*, დედო (ეთნ. III, 735).

**წილ-ნაწილი** იგივეა, რაც წილი (მნიშვნ. 2). „დედო... აღარ დაგიდგამ ტაბლათ, წავალ და ჩემ *წილ-ნაწილს* წავიღება“ აიმიტ შავენახვიები“ (ს. მაკალ. 197, 29) – ალ. ჭინჭ.

**ველის წილი** მონადირეებს ხატში მიაქვს ნადირის რქები და ხორცის ნაწილი. ამას ჯვართ ენაზე „ველის წილი“ ეწოდება. შდრ. მალარეტი. დიდო მიქიელო, შენა სამთავროდ, შენა გასამარჯოდ მაიჭმარი ეს *ველის წილი*, შამაწირული რქად... (ეთნ. კალენდ. 58, 693) – ალ. ჭინჭ.

-ილ სუფიქსი უნდ გვექონდეს წილ-შიც... და აღმოუტდა წილი ასი-აღსა იოვანჭს ზ~ა (სვან. 212, ჩიქობავა 1942). აღდგენილია არქეტიპი \*ჭილ- (ფენრიხი, სარჯველაძე 2000).



ქართულ წილ-ს შეესატყვისება მეგრული წილ- და ლაზური წილ-; ქართველურ ენათა მასალა შეაპირისპირა არნ. ჩიქობავამ (ფენრიხი, სარჯველაძე 2000).

საშ., ახ ქართ. დიალექტ. **III. წილი:** ადრე გნახავ, დაგფქვას *წილმან* (ბეს. 150, 4).

**წილი 1.** ტილის კვერცხი. დღეის სწორამდე მენახოს მათი ცოლები ქვრივია, დასძველებოდეთ პერანგი და დახვეოდეთ *წილია* (ხალხ.). 2. მოხვეკანის ავადმყოფობა; აყრის კანზე წითლად და ძლიერ ექავება („დიალ.“).

**წილ** სიტყვა გამოიყოფა შემდეგ კომპოზიტებში: **წილკაოტი** ავადმყოფობა – ფეხის თითების გამოყელვა; ფეხის თითებს შორის სითხის დენას და ქავილს იწვევს; თითებშორის შალის ძაფის ჩაბმით მკურნალობენ, – კუმატა (შდრ. კავატი) – ქეგლ.

**წილჩავატი / წილჩაოტი: წილჩაოტი 1.** დიალექტ. წილჩაოტი თვალის სატკივარი ერთგვარი, ჯიბლიბო – ქეგლ.

რა ქენი, ვერ მოირჩინე ეგ *წილჩაოტი*? ვინც ძაან მოხუცია, იმის სიკვდილამდინ ქათამი თავს არ შეეჭამ-თქო, უნა თქვაა და მოგიჩრება (წვ., ქართლ. მესხ.).

აღდგენილია ს.-ქართვ. \*წილ-არქეტიპი (ჩუხუა 2017; კელაურაძე 2017, 30).

### **წილობა:**

ახ. ქართ. **I. წილობა** ნაწილი. უმეტესი *წილობა* პყრობილთა საციმბიროდ იყვნენ გაგზავნილნი (ა. ყაზბ.). || შე დალოცვილო, ხუთი ვაჟკაცი ერთი *წილობა*ა და ორი *წილობა* ოთხმა ნაღირტალა ბიჭმა უნდა წაილოს? (ა. ერ. ხოშტ.). 2. (ფშ. ხევს.) ჩამომავლობა, ახლო ნათესავები, (შვილები, და-ძმები, მათიშვილები...) „შენდაც მშვიდობა, გაცოცხლოს თავის ქმრითა და *წილობით!*“ (ვაჟა). 3. გასანაწილებელი ნაჭერი (ხორცისა, ქადისა). *წილობებს* ცალკე ამოვიღებთ, წვენს ცალკე დავასხამთ ჯამებში („შინამრეწვ.“). ეზოში დაჯარებულ ხალხს „მრიგეები“ ურიგებდნენ ლავაშებს, ხმიანდსა და ქადის ნაჭრებს, ხორცის „წილობებს!“ (ვაჟა). იხ. II. წილი.

ახ. ქართ. **II. წილობა** (რაჭ.) ყანის ბაია.

### **წინწილი-ი:**

საშ. ქართ. **I. წინწილი** „ტკბილი საკრავია“. *წინწილ*-კითარი ნახო, ვით არი, ხუროს წაუჭდეს ქონა ძალისა (ქილ. 757, 28). გაგრძელდა სმა და პურობა, ხმა *წინწილისა*, ვახისა (დ. გურამ. 91, 202, 2). დადუმდა ენა რიტორი, ორღანო მზახი, *წინწილი* (არჩ. 419, 111, 10).

**წინწილი** [ებრ. წელწილიმ] საკრავი, – ლითონის თევში, რომელსც მეორე ამნაირივე თევშის დაკრით ახმაურებენ (ივ. ჯავახ.). ვისთვის აჟღერებთ *წინწილსა*, ვის უწკრიალებთ ებანსა?! (ა. აბაშ.).

საშ. ქართ. **II. წინწილი** მდაბიურად – წერტილი ნაწერთა შინა (ნ. ჩუბ.).  
 დიალექტ. **III. წინწილი** გაწინწილებული, წვეტიანი (ვ. ბერ.). შდრ.  
 III. წინწილა.

#### **წინწილა:**

ძვ., საშ., ახ. ქართ. **I. წინწილა** მუსიკალური საკრავი: „ვითარცა *წინწილანი* რად ვმოხედ“ (I კორ. 13, 1). „იმდერდა წინაშე ღმრთისა... ებნითა, ბობღნითა და *წინწილითა* და ნესტვთა“ (M, I ნშტ. 13, 8). „ყოფად... შესხმითა ნოვაგითა და *წინწილაძთა* (*წინწილითა* O) და ბობღნითა“ (I ნეემია, 12, 27). „დაადგინნეს *წინწილითა* რვალისაძთა“ (M, I ნშტ. 15, 19).

ხმა *წინწილისა*, ებნისა (ვეფხ. 1122, 3). და ბუკსა ჰკრეს და *წინწილას*, რა რიგადცა ეგებოდა (შჰნ. I, 1874, 4). შდრ. (სომხ.) წწწლა (იუსტ. აბულაძე).

ახ. ქართ. აქ მოგროვდა ყოველნაირი საკრავი... დოლი, სტვირი, დაფი, ჟღარუნა, *წინწილა* და სხვა მრავალი (გ. წერეთ.).

**ბუკ-წინწილა** ქოს-წინწილა. წინწილ-ებანი წინწილი და ებანი. ამ ლექსითა მინდა შენთან ხლებანი, მით ვადიდო შენი *წინწილ-ებანი* (რ. ერისთ.).

დიალექტ. **II. წინწილა** (ქვ. -იმერ.) მეტად ცივი, სუსხიანი, გამყინავი (ქარი).

ახ. ქართ. **III. წინწილა** საუბ. 1. წვრილი, პატარა. სოფლის *წინწილა* ზარებმა უთენია მოუხმეს მორწმუნეებს (პ. ჩხიკვ.).

დიალექტ. 2. **წინწილა** წვრილი ხეებისაგან გაკეთებული საცალფეხო ხიდი. *წინწილა* ზე ძლივ გამოველი. *წინწილით* წვრილად (ჯავახ. მარტირ.).

#### **წუმწუბა:**

ძვ. ქართ. **I. წუმწუბა, წუნწუბი, წუმწუბი**, გოგირდი: „აწჷმა ცეცხლი და წუნწუმი და წარწყმიდნა ყოველნი, DE – „აწჷმა ზეცით ცეცხლი და *წუმწუბი* და წარწყმიდნა ყოველნი“ C (ლ. 17, 29). „წჷმდეს ცოდვილთა ზედა მახჷ... *წუმწუბა*“ (ფს. 10, 6). აგრეთვე: ძვ., საშ. ქართ. **წუნწუბი** მთის ფისი: „იმენებოდა მცხვრისა ალიზისა მიერ, *წუნწუბისა* თანა შეკრულისა“ (ფლავ. 1: 4, 3). *წუნწუბა* და ნავთი აიღეს (ქილ. 325, 11).

დიალექტ. **წუმწუბა** გადამდნარ გოგირდში ამოვლებული დაგრეხილი ბამბის ძაფი. *წუმწუბა* მივეცი, არ ქონია (ზ.-იმერ. ძოწ.).

დიალექტ. **II. წუმწუბა, წუმწუბი, წურწუმა, კუმკუმა** ხელსაბანი ჭურჭელი; ვერცხლის პატარა ჭურჭელი, რომლითაც ადუღებდნენ წყალს მღვდელმსახურების დროს (ზ.-იმერ. წერეთ.).

#### **წუმწუმა:**

საშ. ახ. ქართ. **I. წუმწუმა:** წუმწუბა, წუმწუმა (სომხ.) ხე გოგირდის კერასი, ჩხირი ასანთები – დ. ჩუბ.

**წუმწუმა** იგივეა, რაც ა ს ა ნ თ ი. ნავთი გადაასხა იქაურობას ქალმა. წუმწუმას გაჰკრა და ბურდოს შეუკეთა (ნ. ლორთქ.).

**წუმწუმა:** გვაჯია ასე მზადდებოდა: წამოვადულებდით, *წუმწუმას* და ავურევდით დანაყილ ნახშირს (ქვ. სამეგრ. მრეწ. I, 402).

შდრ. **წუმწუმი** – ბამბა გოგირდის ფხვნილში ამოვლებული და სა-  
ნთლად დაგრეხილი. „გოგირდის კერასი“ (საბა).

**წუმწუმა, წუმწუმა** გოგირდი, ასანთი (იმერ. გაჩეჩ.).

იხ. აგრეთვე: **წუმწუმა, წუმწუმელა** დამწვარი გოგირდის კვამლი  
(ქართლ. ლექსიკ.).

ახ. ქართ. **II. წუმწუმა** წურწუმა, ვიწროყელიანი სპილენძის ჭურჭე-  
ლი. ქალმან... *წუმწუმით* წყალი გარდაღვარა (თეიმ.).

გააფერვინე *წუმწუმა*, სურა და ტაშტო (ნ. ლორთქ.).

**წუმწუმა** იგივე წუნწუმა, წურუმა. ერთხელიანი, მაღალყელიანი  
სპილენძის სამისი. ტაშტ-წუმწუმა, ე. ი. ტაშტი წურწუმით (ი. გრიშ.).

დიალექტ. **III. წუმწუმა** მილი. ბალახის ღრუ ღერო ან სხვა რამ გუბი-  
დან წყლის ასაწოვად (ლოლოვ. ქართლ. მენთ.). აგრეთვე: (ჯავახ. მარტ.).

**IV. წუმწუმა** (კახ.) ცახცახა; ქრისტესისხლა, ბალახია (ა. მაყ.).

### **წურწუმა:**

საშ. ქართ. **I. წურწუმა** კუმკუმა. უანგარიშო ტაშტი, *წურწუმა*, ზოგი  
ოქროსა (საბა 242, 18).

ახ. ქართ. **წურწუმა** 1. ვიწროყელიანი ჭურჭელი წყლისათვის, – კუმ-  
კუმა. ხალხმა ხელის დასაბანად წყაროს მიაშურა, ბატონებს *წურწუმით*  
მიაართვეს წყალი მოახლეებმა (ნ. ლორთქ.). 2. რთული ფუძის მეორე შე-  
მადგენელი ნაწილი. **ტაშტ-წურწუმა**.

**წურწუმა** ხის სასმისი, ყანწის უფსკერო წინამორბედი, რომელსაც  
ხელით დაუხშობდნენ ძირს და ისე გამოცლიდნენ; წუმწუმა, სპილენძის  
მაღალყელიანი, მუცლიანი ჭურჭელი ზან. (მეგრ. ქობ.).

**წურწუმაი** კატარა ჭურჭელი დოქი (სვან. ლიპარტ.).

ახ. ქართ. **II. წურწუმა** ერთგვარი ბალახია – ნემსივით გაუვლის  
ცხვარს ეს ბალახი (რ. ერ.). შდრ. IV. წუმწუმა.

## ჭ

**ჭა:**

საშ. ქართ. **I. ჭა** 1. საკნად გათხრილი ორმო. სისხლის ცრემლითა ტიროდეს, ვით *ჭასა* შემწყვდეულია (შპნ. II, 5031, 4).

უკანამან წინა ნახა ჩავარდნილი შიგან *ჭასა* (ვეფხ. 255, 3).

2. ესე არა ქალაქია, მაგარი, ღრმა და ბნელი ჭაა (ვისრ. 81, 14).

საშ. ქართ. **II. ჭა** ჯურღმული წყალთა – საბა. **ჭა** [სპარ. ჩაპ] 1. ღრმა და ვიწრო ორმო (ჩვეულებრივ, ქვით ან სხვა მასალით ამოშენებული), რომელშიც მიწისქვეშა წყალი გროვდება. იქვე ძველი *ჭა* ამოეწმინდათ და თავზე თლილი ქვის გვირგვინი მოედგათ (გ. წერეთ.). იღებდნენ წყალს ჭიდან, გეჯაში უსხამდნენ [საქონელს] და ისე ასმევდნენ (თ. რაზიკ.). ◊ არტეზიული ჭა ჭაბურღილი, რომელშიც წყალი ამოუტუმბავად (მიწის ზედაფენების წნევის წყალობით) ამოდის. 2. სპეც. ორმო სხვადასხვა ტექნიკური საჭიროებისათვის. კაბელის ჭა. – სათვალეიერებელი ჭა.

სპარსულში **ჩაპ** ჭა 1. ჭა, ორმო, ჯურღმული; 2. საკანი საპყრობილე, ხაფანგი. ქართულშიც ასევე დასტურდება (იუსტ. აბულაძე 1934).

**ჭანგი-ი:**

საშ. ქართ. **I. ჭანგი** ფრჩხილი არს კაცთა თითთა რქანი. **ჭანგი** არს მცვეთა ფერქის ფრჩხილი – საბა, დ. და ნ. ჩუბ.

**ჭანგოსანი** ბრჭყალიანი. რანიცა ჭანგოსანნი არიან (ეტლ. 5, 17).

**ჭანგი:** [მხეცის]... თვითო *ჭანგი* – სამ-სამი მწყრთა (ამირან. 755, 11). მაშინ თუ ცხენსა არ ექნა, ვერ დაეცნოდა ჩემს *ჭანგსა* (შპნ. II, 4069, 3). უთუოდ ჩემის *ჭანგითა* ვედარ წავაო, აწვე უნდა დედამ გამოიტიროსო (რუსულ. 543, 26). თუ კაკაბი ბადეს ებას, არწივი *ჭანგს* რად იმახავს?! (შპნ. I, 523, 1). ვითა ლომ[მა] მრისხანემა, გმირმა *ჭანგი* გაიმახვა (შპნ. III, 53, 1). ოთარს ვეყმე გზით პირხანგი მე ორესტი ლომის *ჭანგი* (ბეს. 117, 20). წელი საომრად შეირტყა და *ჭანგსა* მოიმახვედა (ნ. ციც 670, 4).

ახ. ქართ. **ჭანგი** [სპარს. ჩანგ.] 1. ბრჭყალი, კლანჭი. აგერ, *ჭანგებიც* გამოუჩნდა, ჩანს მტაცებელი ფრინველია, მაგრამ რომელი? (შ. ამისულ.). 2. სპეც. ფეხზე დასამაგრებელი ნამგლისებური კბილებიანი ლითონის მოწყობილობა, რომლის საშუალებითაც ბოძზე ადიან. [ელექტრომონტიორმა] რკინის *ჭანგები*... მოიხსნა (კ. გამს.). 3. რკინის კაუჭი, ზოგჯერ რამდენიმე კაუჭი, ერთად გაჭედილი (ლუზის მსგავსად).

დიალექტ. **ჭანგი** სახერხ ხარაჩოზე ხის დასამაგრებელი ქიმებიანი რკინა (მახ., გურ. ჯაჯ.). **დაჭვანგვა** ბრჭყალებით, ფრჩხილებით დაკაწვრა. თუ საფუხარი არ გევიკეთეთ ხელზე, ხელს გვატკენს, დაგვჭვანგავს (გურ. იმნ.).

საშ. ქართ. **II. ჭანგი** ჭანგი. ჭმუნვის *ჭანგი* გულისაგან მომამორე ურვით ბერსა (ქილ. 545, 25).

საშ. ქართ., დიალექტ. **III. ჭანგი** „სიმჟავე, ჭმახი“. გამოუგზავნა პური. ნაცარრეული და *ჭანგი* ღვინო (ი. ბარათ. 268, 13).

ღვინოს *ჭანგი* მიცემია (ქორეთი) (ზ.-იმერ. მოწ.).

შდრ. **ჭანვი** მჟავე, ჭმახი. ამათ აქთ აი, კაი ღვინო! – კაი არა ისა, *ჭანკი* იყო, აბა, რა დასალევი იყო ისა?! (საკორ., ქართლ. მესხ.). შდრ. **წანკი** თუშ. ცუდი, უხეირო – ქეგლ.

### **ჭარ-ი:**

ახ. ქართ. **I. ჭარი** ქართული ანბანის ოცდამეათე ასოს სახელწოდება. ასომთავრული «ჭარი»... ძალიან მიაგავდა «დონს» (ივ. ჯავახ.).

ახ. ქართ. **II. ჭარი** განაძრობი კანი (გველისა, აგრეთვე ფრინველის ფეხისა). კოდალამ გამოათრია კარგა მოგრძო ჭია, გველის *ჭარის* მსგავსი (ვაჟა). ქალებმა დაყვლიფეს ბატები, დაწიწკნეს, დატუსეს, ფეხებსაც *ჭარი* წააძრეს (თ. რაზიკ.).

დიალექტ. **გველის ჭარი**, „ქალებმა დაყვლიფეს ბატები, დაწიწკნეს, დატუსეს, ფეხებსაც ჭარი წააძვრეს (თ. მოთხრ.) – ივ. ქეშიკ.

**ჭარი** ტყავზე, ადამიანის კანზე ანაფცქვენი, ანაფხეკი. „საქამბლეს ჭარი ეხყარი (თუშ. ხუბ.). **ჭარბ** გველის გამონაცვალი კანი. „ჭარივ გველის ტყავისად იციან“ – ჭარს გველის ტყავს ეძახიან (თუშ. ცოც.).

**ჭარი** 1. ქერქი; კანი. ქელ-ფეკ გექნება დამძრალი, *ჭარ*-ატანილი ჯღნისაო (ხევს. პოეზ. 225, ბ, 7). 2. რძეზე მოდებული ცხიმის აპკი, – ნაღები. **იჭარების** ჭარს იკეთებს (რძე). მახენთ, ე ზისვარ *იჭარების*, მალე ამაღულდე! (ხევს. ჭინჭ.). ჭარბ თხელი ზედაპირი მიწისა, ქვეშ რომ ქვიშა აქვს. მიმსგავსებული მნიშვნელობით იტყვიან: ფეჟზე ჭარ წამივიდავ“, ე. ი. ტყავი გადამძვრაო (თუშ. მრეწ., IV, II, 179).

დიალექტ. **III. ჭარი** (რაჭ.) დაბალი, ნოტიო ადგილი, ლენჭყი, ჭენჭყი (ვ. ბერ.). **ჭარი** ნესტიანი, წყლიან-ბალახოვანი ადგილი. ჭაროფი ნესტიანი ადგილი (მაგრამ არც მთლად ჭაობი (რაჭ. კობახ.).

ახ. ქართლ., დიალექტ. **IV. ჭარი** (იმერ. რაჭ.) იხ. I. ჭარო. შდრ. **ჭაპრი** lalus, garia: არა შჭამოთ... სერი და *ჭაპრი* და მსგავსი მისი“ (O, ლევიტ. 11, 16).

**IV. ჭარი** გეოგრაფიული ტერმინი. ქ. ზაქათლის მხარე. ვენახის ღვინო დამვირდა, ქართლს დაემტერა რა ჭარი, / ვიმცვრივე ჭალას ბაბილო ნაქაჯი, დანაჭაჭარი (დ. გურამ. 58, 23).

### **ჭარმაგ-ი:**

ძვ. ქართ. **I. ჭარმაგი** თეთრი შავი ჭინწკლებიანი ცხენი: „მოვიდა წმიდად ახოვანი და მისცა ჯელთ ცხენი თვისი *ჭარმაგი*“ (A=85 348r, 18-20).

საშ. ქართ. კაცი ვინმე *ჭარმაგსა* ცხენსა ჯდა და მოვიდოდა (ამირან. 275, 6). ორნი-*ჭარმაგნი* შავ-თეთრნი რბიან და არ დაშვრებიან (შჰნ. I, 1707, 1). სხუამ ჰკითხა: „ერთი *ჭარმაგი* ანათობს, დიდი მთა ვითა“ (შჰნ. I, 1697, 1).

**ჭარმაგ-იდან** იწარმოება სიტყვა ჭარმაგოსანი, რომელიც აღნიშნავდა იმას, ვისაც ჭარმაგი თეთრი ცხენი ჰყავდა. შეხედნა, იცნა ტარიელ, თანა ყმა ჭარმაგოსანი (ვეფხ. 1355, 2). იგი *ჭარმაგოსანი* კაცი და სხუნი ბევრნი კაცნი ჭარმაგთა ჯორთა სხდეს, ყუთილითა აკაზმულობით (ამირან. 276, 4). ნახე, რაზომი დაჯოცეს თავადნი ჭარმაგოსნი (შპნ. I, 2077, 4). ...მარტო იმ სოფლით იტყოდნენ შვიდასსა ჭარმაგოსანსა (არჩ. 179, 358, 3).

დიალექტ. **ჭარმაგი** 1. ბაცი ფერი (ქიზ. მენთ.). 2. ბედაური (მთ. მაკალ.). 3. ცხენის ეპითეტი (ხევს. ჭინჭ.).

**ჭარმაგი** სპ. ჩარმა, ჩარმაგ თეთრი, საკუთრივ იგი ნიშნავს თეთრ ცხენს (იუსტ. აბულაძე 1916, 843).

ახ. ქართ. **II. ჭარმაგი** ჭაღარა, ხანში შესული ვაჟკაცური იერის მქონე მამაკაცი. იქიდან გამოვიდა ერთი მოხუცებული, მაგრამ ჯერ კიდევ *ჭარმაგათ* მყოფი, მაღალი, განიერ მხარბეჭიანი გენერალი (გ. წერეთ.). მათი მეთაური მოხუცი, მაგრამ ჯერ კიდევ *ჭარმაგი* ტაია ჩიქოვანი დაფაცურობს ყველაზე უფრო (დ. შენგ.). **შეჭარმაგებული**: ბიჭებს კიდევ არა უშავთ რა, ხანდიხან *შეჭარმაგებული* კაცებიც კი კადრულობენ მისთანა რამეებს (რ. ინან.).

**ჭარმაგი** იშვიათად გვხვდება მხნე, ხანშიშესული ქალის დასახასიათებლადაც. ქალს... გამოჰყვა... მოხუცებული ჯერ ისევ *ჭარმაგი* დედაკაცი (ნ. ლომ.). სამოცდაათ წელს გადაცილებული იქნებოდა მელანა, მაგრამ კიდევ *ჭარმაგად* იყო (ლ. მრელ.).

ვეფიქრობთ, რომ ჭარმაგი < ჭარმალი.

**ჭარმალი** წვერჭრელი ZAB. (უკმ.) ჭაღარა სომხურია, ქართულად მცვო და ჭარმალი ეწოდების. **ჭარმალი** უთქუამთ, ერთსა *ჭარმალსა* კაცსა ორი ცოლი ჰყვა (საბა).

ამათში მოჩნდა უფროსი, *ჭარმალი*, წვერმოხდენილი, სახელად ერქო გარსევან, ვაჟკაცი გამოჩენილი (რ. ერისთავი).

საბას „სიტყვის კონაში“-ც ფონეტიკურად გარჩეულია მნიშვნელობები **ჭარმაგი** (ოთხფ.) „თეთრზე შავით დაწინწკლული“ და **ჭარმალი** „ჭაღარა, მცვოვანი“.

### **ჭარო:**

ძვ., საშ. ქართ. **I. ჭარი, ჭარო** – ნ. ჩუბ. **ჭაჭრი** larus, garla: „არა შჭამოთ... სერი და *ჭაჭრი* და მსგავსი მისი“ (O, ლევიტ. 11, 16).

ვითა *ჭაროს* ბარტყი იზრდებოდა (ქილ. 746, 11). ხოლო ჯორცისმჭამელნი: ყაჯირი, სუავი... *ჭარო*, ყორანი (ქ. ცხ. IV, 42, 15). **ჭარო** „ქორსა ჰგავს, ხეზედ ჯდების, წყლით თევზს აღმოიტაცებს და სჭამს“ ერთსა დღესა ჭარო სხვაგან წასრულიყო (ქილ. 747, 24). ჭაროს ჭლიკთა შევავლეჯდი (ბეს. 120, 21).

ს.-ქართვ. \*წერ-ო „წერო“ > ქართ. წერ-ო : ზან. ჭარ-ო (ჩუხუა 2000-2003).  
 დიალექტ. **II. ჭარო** შემოუსვლელი, უმწიფარი სიმინდი, პური; ნო-  
 ტიო ადგილი (ლექს. ალავ. 1). შდრ. III. ჭარი.

დიალექტ. **III. ჭარო** მეტსახელია (ჭროლა) კაცისა (ქიზ. მენტ.). შდრ.  
 ჭრელი.

**ჭიმ-ი:**

საშ., ახ. ქართ. **I. ჭიმი** აღვირი, ლაგამი: „ჭიმითა და აღვრითა უქცინე  
 ღაწუნი მათნი“ (Z, ფს. 31, 9). „მიიყვანეს იგი ჭიმითა ეგვპტედ“ (O, ებეკ.  
 19, 4). „სულ-თქუმით ვალ მე თვნიერ ჭიმისა“ (იოზ. 30, 28).

**მოჭიმული** შებოჭილი, შეკრული. „შეკრულ არიან და მოჭიმულ...  
 და არა უწყიედ, რასა იქმედ“ (ოქრ. -მარხ. და იონ. 104, 22).

**ჭიმ-მეაღვირე** ლაგამ-მეაღვირე. ჯორცებრთა ნებათ, ყოვლად ჭიმ-მე-  
 აღვრეთ, ღირსთა წმიდათა... იმეოხ-მრთელებს ყოვლად ნეტარი ესე (წყობ.  
 015, 1).

ახ. ქართ. **ჭიმი** „კანაფის ავშარა (საბა); (ლექს.) აღვირი; ფოლადის ბა-  
 გირი, მავთული, რომელიც გარკვეულ მდგომარეობაში აჩერებს შესაერთე-  
 ბელ ნაწილებს; მრგვალი ჯოხი, სიგრძეზე ორად გაყოფილი, მეუნაგირენი  
 ხმარობენ ტყავის გადასაჭიმად (ვ. ბერ.).

დიალექტ. **ჭიმი** (იმერ.) ბაჭაჭყი; მრგვალი ჯოხი სიგრძეზე ორად გა-  
 ყოფილი, მეუნაგირენი ხმარობდნენ ტყავის გასაჭიმავად (ვ. ბარნ.).

შდრ. *ჭიმია* ვინც, რაც იჭიმება. მოდით, რასა დგეხართ და იცქირე-  
 ბით? გასწით, გავგლიჯოთ ეს ოხერი [ჭიაყელა]. აბა, გასწით, ჰა! ეგრე აი,  
 ეგრე! აი, შე *ჭიმია*ვ, შენა! (თ. რაზიკ.). || გადატ. ამპარტავანი, ყოყლოჩინა.

ახ. ქართ., დიალექტ. **II. ჭიმი** (ინგილ.) ბარით ბალახიანად მოჭრილი  
 მიწა, ბელტი. **ჭიმ** [ახ. ჩიმ] ბელტი მიწისა. *ჭიმ* სხოძს (სხვაა), ბორტოდ  
 სხოძს. ბორტოდ გურგლ კეპტევ (მრგვალია), დაფარცხაში ზოგ იფშნრვის,  
 ზოგ ბორტოდ ჩევის (რჩება). **ჭიმ** ახალ ლაფოტკადთი მანაბრუნევს (დაბა-  
 რულს), ამნაღევს (ამოღებულს) ებნევიან (ინგ. ღამბ.).

ახ. ქართ. **III. ჭიმი** (თუშ.) ჭყიმი **ჭიმრ** ველური საჭმელი ბალახია,  
 ქოლგოსანთა ოჯახისა. იზრდება უმეტესად ქერის ნათესებში. ღეროს ჭა-  
 მენ უმად, ამწნილებენ კიდევაც. „რაც იც ყანებ აღარ იჭვენებ, *ჭიმიც* აღარაა“  
 (თუშ. ცოც.).

ჭიმი ერთგვარი მცენარეა, უფრო ყანებში მოდის, მისი ღერო და მი-  
 რი იჭმება, კარტოფილისნაირ ძირს იკეთებს. ამ მცენარეს ნახურის სამსავე  
 ენაში ჭიმ-ს უწოდებენ. ამ მცენარეს მთის კილოებშიც ჭიმი ჰქვია. აქ იგი  
 ნახური წარმომავლობისად უნდა მივიჩნიოთ (უთურგაიძე 1966, 69).

ამ შემთხვევაში შეიმჩნევა კომპლექსთა ჭიმი/ჭყიმი ლექსიკალიზე-  
 ბული დატვირთვა (არაბული 2001, 126).

**ჰოტ-ი:**

საშ., ახ. ქართ. **I. ჰოტი** ბუს მსგავსი მომცრო ფრინველი ღამისა. შდრ. **წოტი** „პატარა ბუ“. არა წოტსავით კლდეს იჯდე, ნატამალშია სრინევდე (ქილ. 249, 29). ჰოტს ბუსგან განსხვავებით „ყურები“ არა აქვს. ბუს მსგავსი მომცრო ღამის ფრინველია. ჰინკები ჰყიოდნენ *ჰოტებივითა* (ვაჟა). ეზოში სამჯერ იკივლა *ჰოტმა* (გ. ტაბ.).

გ. გვანცელაძე გამოყოფს ჰოტის შემდეგ მნიშვნელობებს 1. ვინც ღამით აქტიურობს. ეგენი *ჰოტებივით* არიან – დღისით სძინავთ, ღამით დაწანწალებენ. 2. ვინც მკვეთრი ხმით გაჰკვივის.; ჰოტის ხმა აქვს ამ ოხერს. 3. ვინც რისამე კარგად დასანახად კისერს იგრძელებს. დედაკაცები წამოყუყუდნენ, ჰოტებივით წაიგრძელეს კისრები და გადაჰყვეს თავები საცრისაკენ თითქო შიგ უნდა ჩაძვრენო (ს. მგალობ.) – გვანცელაძე 1997.

აღდგენილია ს.-ქართვ. \*ჰოტ- „ჰოტი“ (ჩუხუა 2000-2003).

ახ. ქართ. **II. ჰოტი** ბოტან. 1. ჯვაროსანთა ოჯახის მცენარეთა (კომბოსტოს, ბოლოკისა და სხვ.) ნაყოფი; ორი ნაყოფის ფოთლისაგანაა შემდგარი და შუაში სიგრძეზე ტიხარი აქვს. [კომბოსტოს] თესლი ერთდროულად არ შემოდის. 2. ძვ. პარკოსან მცენარეთა (ლობიოს, ცერცვის და სხვ.) ნაყოფი, – პარკი. ◊ **ჰოტი ლობიო** პარკი ლობიო, მწვანე ლობიო.

**ჰოტი** ლობიო სარის უბეწვო ლობიო. ბრტყელია, ჰრელი გემრიელია (ქიზ. მენთ.).

ზან. **ჰოტი** ორსაგდულიანი ნაყოფი, რომელსაც სიფრიფანა ტიხარი აქვს (მეგრ. ქობ.).

ახ. ქართ. **III. ჰოტი** ბრტყელი, სახელურიანი რკინა, იხმარება ნაკვერჩხლის გამოსაღებად («დიალ.»), – საღადრე. შდრ. **წათი**.

**ჰყურტი-ი:**

ახ. ქართ. **I. ჰყურტი** საუბ. შაქრის ავადმყოფობა, – დიაბეტი, წყურტი. || წყევ. უთუოდ დასალევად წავიდნენ. *ჰყურტიც* გასჩენიათ ყანყრატობებში (ბ. ჩხ.).

ჰყურტი < წყურტი. წყურტი „სნეულობა არს, რომელი მრავალს წყალსა ასმევს კაცს და განახმობს სიმჟლით – საბა. აღდგენილია არქეტიპი \*წყ-ურ-ტ- „წყურტი“ (ჩუხუა 2000-2003).

დიალექტ. **II. ჰყურტი** ნორჩი, ქორფა, შემოუსვლელი (თხილი, კაკალი, ლობიო, ყველი...) *ჰყურტი* ყველი სუფრაზე მიტანამდე შეიჭმება (ინ., ჩვენ. ფუტკ.).

შდრ. **ჰყინტი** 1. ნედლი, უნდილი, თოთო (უმწიფარი) ნაყოფი (სიმინდისა, ლობიოსი...). ჰყინტი სიმინდი. – პასიკია ჰყინტი ლობიოს არჩევდა (ნ. ლორთქ.). 2. ახლადამოყვანილი, ჯერ გაუფუფელებელი (ყველი) – ქველ.

ახ. ქართ. **III. ჰყურტი** (გურ.) «ადგილობრივი ენის უცოდინარი» (გ. შარაშ.).



ჭყირტი > ჭყორტი > ჭყურტი.

შდრ. **ჭყირტი** 1. „მეპასუხე მოუთმენარი“ (საბა). *ჭყირტად* და ამაყად მოუბარი ნახა (ამირან. 432, 30). 2. ავი, ცუდი. რა ესეთი ჭყირტი სიტყუა გაიგონა (ამირან. 150, 9).

**ჭყირტი** თავდაუჭყერელი, მოუთმინარი, ენის შემომბრუნებელი. *ჭყირტი* ბაღვია, თქმას არ დააცლის, იმსოლოდში შამოკრავს სიტყუას (სტ., ჩვენ. ფუტკ.).

**ჭყორტი** ლირწი, უტიფარი, უსირცხვილო; ენაჭარტალა, ენაგატლეკილი. „თუ გინდა იგი დიდ ჭყურტი და ბეჩი იყოს... გეტყვის: ჩემი ძველი ქართველი – გურჯი იყო“ (ა. წულ.).

**ჭყუტ-ი:**

ახ. ქართ. **I. ჭყუტ-ი, ჭყუტა** «უხეირო, მყავე (ხილი)» (კირ.). ზოგს *ჭყუტა* ვაშლივით აკრავს ცხვირი და არც კი უჩანს (ს. მაგალობ.).

დიალექტ. **II. ჭყუტი** საუბ ავადმყოფობა, რომელიც აიძულებს ადამიანს ბევრი სიტხე სვას, – დიაბეტი. რა ჭყუტი დაგემართა, რა ბევრს სვამ? (ღარიხევი, ზ.-იმერ. ძოწ.). **ჭყუტია** ბევრი სიტხის (წყლის თუ ღვინის) მსმელი. მონადირის შვილმა უთხრა ამ *ჭყუტიას*: აპა შენ იგი და ამ ღვინომო (ღარიხევი, ზ.-იმერ. ძოწ.). იხ. I. ჭყურტი.

დიალექტ. **III. ჭყუტი** წვრილი. ჭყუტი მარცვალი აქ წელს პურს (ზედუბანი, ზ.-იმერ. ძოწ.). შდრ. ჭიოტა წვრილი – ქეგლ. ჭყიოტ-მატი (ფშ. ჭყ.).

## ბ

**ხაბაზ-ი:**

საშ. ქართ. **I. ხაბაზი** [არაბ. ხაბზაზ] პურის მცხოვრელი, – მეპურე. იმ *ხაბაზს* თუ აქ სამართალში არ მოიყვან... ნაკლებობა იქნება (სამ. VIII, 211).

შენ მე როგორ დამიჭერდი, ბიჭი ვიყავ თუ *ხაბაზი*? (არჩ. 227, 226, 3). ღომის *ხაბაზი* მოდის და ერთი დიდი ქვაბი ღომი მოაქვს (ი. ბაგრატი. კალმ. 480, ქვ. 2).

ახ. ქართ. [ბატონმა] გუშინ *ხაბაზს* სულ ყბები შემოამტვრია, – პური უღვივარი მოგსვლიაო (ს. მგალობ.). *ხაბაზები* გუშინვე შეუდგნენ პურის ცხოვას (მ. ჯავახ.).

**ხაბაზი** როგორც არაბიზებული სამოხელეო ტერმინი, მისი დამკვიდრება ქართულში უშუალოდ არაბულს ეკუთვნის, დაახლოებით VII საუკუნიდან (იმედაძე 2014, 170).

საშ. ქართ. **II. ხაბაზი** (არ. ხაბზაზი) *Althaea ficinalis*. ხათმი *ხაბაზი*, ნილოფარი, ამათგანი ოთხოთხი დრამი ესე ყულა ჯუმლად დანაყე (ქანან. 63, 6).

**ხადილ-ი:**

ძვ. ქართ. **I. ჯადილი** || **ხადილი** 1. დამახება: „*ხადილსა* ჩემსა ესმა ჩემი ღმერთსა“ (ფს. 4, 20). „*ხადილსა* მას მორწმუნეთა მოუწოდე“ (ოქრ. - უძღ. შვ. 5, 18).

მათგან მოსწყდების თურანი, ჰქონდეს ნადირთა *ხადილი* (შჰნ. II, 3105, 4).

**მიმხადელი** დამპატიყვებელი: „არა გასწრაფებენ თქვენ მიმხადელნი პურად“ (ბ. კეს. ექუს. დღ. 121, 19).

საშ. ქართ. უთხრა, თუ: შენზედ ვაჭამო დათვთა და მგელთა *კადილი* (შჰნ. III, 52, 3).

ახ. ქართ. **ხადილი** ძვ. შერაცხვა. მოუმართე ხელი... იმას, ვინც თავის საკუთარ ბედნიერებად ხადის მთელი ქართველობის ბედნიერებას და ამ პატიოსანი *ხადილით* განდიდებული... გამოვა სამოქმედო მოედანზე (ილია).

ახ. ქართ., დიალექტ. 2. **ხადილი** წვეულება, ლხინი; შექცევა. მოიღეს *ხადილი*... რა *ხადილი* დასრულდა, თამაზ ორბელიანი, ეშკადაში, გამოეთხოვა ბატონიშვილს თავის სოფელში ვაშლოვანს წასასვლელად (კალმას. 277, 8). დიდრონი მუხების ქვეშა გადავიხადეთ *ხადილი* (ვაჟა). **ხადილი** იმერულსა და რაჭულში ქალის დანიშვნასთან დაკავშირებული წვეულებაა (ნათელას) ათხოვებენ... დღეის სწორს *ხადილი* აქვთ (გ. წერეთ.).

ნიშნობა. *ხადილი* იყო, რო დანიშნემდი, ნიშანს დოუტოვებდი ქალს, თუ გინდა ხელი დეიშვენო (მახათაური). ნიშანს რო მოუტანს საცოლესა, – *ხადილი* ქვია (მერჯევი). პირველათ რო ნახამ ქალსა და მოგეწონება, მერე ნიშნის მიტანა იცინან, ამას უმახიან *ხადილს* (ჯალაურთა). 2. ნიშნობასთან დაკავშირებული წვეულება. ჯერ *ხადილში* ვიყავით, მერე ქორწილში (მოხვა). ხადილზე არ იყო და მერე აღარც ქორწილზე მიეკარა (შომახეთი). *ხადილი* აქ იმ გლეხსა (ქვაცხე).

**ხადილობა** „ხადილი“: *ხადილობაზე* არ ვყოფილვარ და ქორწილში რატო წვედიოდი! (ბერეთისა). **ხადილოფს** ნიშნობა აქვს. ყველიერის დაურწყებას *ვხადილობ* (შომახეთი); **იხადილეს** დაინიშნება. ნიშანი მეიტანა, *ვიხადილეთ*, მოიტანა ბრასლეტი, საათი. მაშვალობით გავთხოვდი (ჩიხა). ქვეც *ვიხადილეთ*, ქვეც ჯვარი დევიწერეთ (შომახეთი). **დაახადილეს** ქალის დანიშვნასთან დაკავშირებით წვეულებას გადაიხდის. მანამდე რო ინიშნებოდა ქალი, ნათესავებს, ახლო მეზობლებს დაუზახებდით, – *დავახადილებდით* (გეზრული). **ნახადილარი** დანიშნული. 7 კვირე ვიყვი *ნახადილარი* (შომახეთი). 6 თვე მყავდა ქალი *ნახადილარი* (წირქვალი). **მოხადილე** საპატარძლოს ნიშნის მომტანი, დამნიშვნელი. თინას *მოხადილები* მოდიენ (ხვაშითი). **სახადილოთ** დასანიშნვად. ნიშანი წვედიეთ და წვედიეთ *სახადილოთ* (წირქვალი). ყველიერის ოთხშაფათი იყო, *სახადილოთ* რო წვედიეთ აქიდან (პერევი, ზ.-იმერ. ძოწ.).

**ხადილი, ხადილობა** 1. „ნიშნობა, დანიშვნა. 2. წვეულება ნიშნობასთან დაკავშირებით (რაჭ. კობახ.). **ხადილი** ფშაურში ქეიფი, დროსტარებაა. ამავე ფუძეს უნდა უკავშირდებოდეს კაცის სახელი **ხადილა** (ფშ. ხორნ.).

**იხადილეს** იმხიარულებს, მოილხენს. განა მე არ მინდა ჩემმა შვილმა იხადილოს, მაგრამა წელი რო არ მოგვდევს! (მერ.). რაცა ხანია გაიღვიმა, იცინა, *იხადილა* და ჭამი დროც მოუიდა (გრაკ., ქართლ. ლექსიკ.). **ხადილობა** შექცევით დროს გატარება (კახ. მარტირ., იმნ.).

3. **ხადილი** გვხვდება სურდოს შესალოც ლექსში. სურდო გვესტუმრა *ხადილათ*, რა მივართვათ სადილად (ჯავახ. ბერ.).

ძველ ქართულში „ღაღად-ყოფა“, „წოდება“, „წმობა“, ძახილს შინაარსით ხად- // ხდ-ფუძიანი ლექსემები ფართოდაა გავრცელებული. ხად-ი-ს – ხად-ი-ლ-ი (ჩიქობავა 1942, 221).

ხადის ზმნაში გამოყოფენ -ხ- ძირსა და -ად დეტერმინანტ სუფიქსს. -ხ- იმავე სემანტიკურ ოდენობადაა მიჩნეული, რაც გვაქვს \*დ-ხა-არ > თ-ხ-არ (უ-თხურ) თხრ-ობ-ს ზმნაში ფუძეში (ქავთარაძე 1954, 291).

დიალექტ. II. **ხადილი** საყანე მიწის გადასახადი. იგივეა, რაც საყანული, წილი მოსავლისა. ეფისკოპოსიც იღებდა ხადილს – საყანულს (ჯუმ., გურ. ჯაჯ., ქეგლ). **მეხადილე** ბატონის გლეხი, რომელსაც ყოველწელიწადს ბატონისათვის უნდა მიერთმია ერთი კარგი ხარი (ს) (გურ. ჯაჯ.). მდრ. (თურქ.) ხადირ ფასი, ღირებულება.

**ხადუმ-ი:**

საშ. ქართ. **I. ხადუმი** არაბულია, ყვერულს ჰქვიან- საბა.

**ხადუმი** (არაბ. ხადუმ) მოსამსახურე, ევნუქი, საჭურისი. ზურგით უთქს ჯარი *ხადუმთა* (ვეფხ. 480, 2). ფალავნნი და *ხადუმნი* საყურიით, გვირგვინოსანნი, არიფნი წინა მიუდგეს (შჰნ. I, 1165, 2). სხვანი დედოფალნი და ხადუმნიცა გამოეგებნეს და კელმწიფესა თაყვანი სცეს (შჰნ. II, 392, 34).

საშ. ქართ. **II. ხადუმი** (არაბ. ხადუმი), მოახლე გოგო, მოსამსახურე ქალი. ორმოცდა ათი ხადუმი წინ შემოუძღვა მთავრეთა (შჰნ. I, 293, 1).

რა *ხადუმმა* მისი სიტყუა დაასრულა, მან ქალმა სიტყუა უგო (ქილ. 578, 20). შემოუძღვა *ხადუმთა* უფროსი და *ხადუმნი* შემოასხნა (რუსუდ. 64, 19).

ახ. ქართ. **ხადუმი** [არაბ. ხადიმ «მსახური») საჭურისი ან მოახლე. [ცოლები შაჰ-აბაზს] არ მოელოდნენ: ხადუმთ უფროსს არ რა უბრძანა (ვ. ბარნ.).

სპარსულში ხადუმ – ნიშნავს «მოსამსახურე», «მსახური», ხოლო ხადამ – «საჭურისი», «მსახური მოძღვრის». ქართულში ორი მნიშვნელობის დამთხვევა მოხდა (ქაზემი 2008, 62).

**ხავარ-ი:**

საშ. ქართ. **I. ხავარი** აღმოსავლეთი (ზოგჯერ დასავლეთი). *ხავარით* ბახოთარამდინ ცხენოსანნი მეზრძოლნი ეგზომნი მოვიდეს შენზედა, რომელ ცხენთა ფერჯთა იავარ-გყონ (ვისრ. 161, 9). *ხავარის* ქუეყანა ხორშედს უბოძეს მშობელთა მისთა (ვისრ. 296, 23). ჩვენ *ხავარ* ზამინის ანდერზს ვერ გავტეხთო (შჰნ. III, 325, 38).

ახ. ქართ. **II. ხავარი** იგივეა, რაც სიმსივნე. ◊ **ხავარს აკრეფს** იგივეა, რაც დასივდება (შდრ. ხაოს აიყრის). [ბეჟიამ] დასველებული მრავალძარღვას ფოთლები გადააფარა [იარას], რომ ჭრილობას *ხავარი* არ აეკრიფა (ა. ყაზბ.).

დიალექტ. **ხავარი** // **ხაო** სიცხისა და სიცივისაგან ჭრილობის გამიზეზიანება. შდრ. ლუბი. იტყოდეს წამალსა; რაის წამალსა? *ხავარისასა*, ხირაჯისასა, წითელქრისასა (ეთნ. მედიც. 10, 116). „იქაური ჰაერი *ხავარიანი*-აო, ტერხენა (კევია სიონში) ხავარიანიაო“ და სხვ. გვხვდება ზმნური ფორმებიც: **დაახავებს**, **დაუხავებს** **დახავება**, **დახავრავს** წყლულს გაამიზეზიანებს, გაასივებს (სიცხე, სიცივე) (ხევს. ჭინჭ.).

შდრ. **ხაო უკრიფა**, **ხაოს უკრეფს**, ე. ი. აშუპება სიცივისაგან ან დასველებისა – დ. ჩუბ. **ხავილ** ჭრილობის გამიზეზება სიცივის გამო (ინგ. როსტ.).

**ხაო** ორხოათ ნაკვეცი, სიცივით წყლულთ გასივება – საბა. ხავაროდ (თუშ. ცოც.). ხაო (ჯავახ. ზედგ.)

ს.-ქართვ. \*ხა- ქსოვილისებური მაერთებელი ქართ. ხა-ი (საბა). სხვა ქართველურ ქვესისტემებში სათანადო ძირებს ვერ ვპოულობ, თუმცა, ამის მიუხედავად, ხა-ო ფუძეში გამოყოფილი \*ხა – საერთოქართველურ წარმომავლობისად მიიჩნევა. მას მეტად სარწმუნო იბ.-კავკ. შესატყვისები გააჩნია. სიტყვის მნიშვნელობის დასაზუსტებლად რელევანტური ჩანს სამედიცინო თუ ბიოლოგიური ტერმინოლოგია თანამედროვე ქართულ-ში, სადაც ხელშესახები ხდება ქსოვილის შინაარსი (ჩუხუა 2017).

**ხაზ-ი:**

საშ. ქართ. **I. ხაზი** ღრამი, წრე, გულის ხაზი – დ. ჩუბ. შენგან გვაჩნია გულებსა ხაზი (ბეს. 286, 5).

**მოხაზულება** «ზომი», გამოსახულება: „წარავლინა მსგავსება სა-მსხუერპლოდსა და მოხაზულება მისი და ყოველი ქმნულება მისი“ pb – „მიუძღუნა ზომი და მოასწავა მსგავსებაჲ ქმნულებისა მისისაჲ“ (O, IV მგ. 16, 10).

ახ. ქართ. **ხაზი** [არაბ. ხატტ] 1. ვიწრო ზოლი რისამე ზედაპირზე, – წირი. [წიწილას] ფრთები შავად დაეტყო..., შუბლზედაც წითელი ხაზი დააჩნდა (თ. რაზიკ.). 2. რისამე (ან ვისიმე) განლაგება ერთ რიგად, ერთ მწკრივში. [მებრძოლებმა] გადაჭრეს მტრის ხაზი (ს. კლდ.). 3. წარმოსახვითი ზოლი, რომელიც აღნიშნავს რისამე მიმართულებას, საზღვარს, დონეს. დამიზნების ხაზი. – სანაპირო ხაზი. 4. ზოლის სახის მქონე ტექნიკური ნაგებობა. რკინისგზის ხაზი. – ტელეფონის ხაზი. 5. მამა-პაპათა ან ჩამომავალთა (ნაშიერთა) თანმიმდევრული რიგი. ნათესავები ქალის ხაზით. 6. საუბ. გრადუსის მეთაედის აღმნიშვნელი დანაყოფი თერმომეტრზე. სიცხის საზომი წამდაუწუმ ხელში ეჭირა [ვაშალომიძეს], ერთი ხაზის დაკლება ან მომატება ისე აღელვებდა (კ. ლორთქ.). 7. კუთხ. (გურ.) ჯოხი, რომელსაც ერთ ბოლოზე ლურსმანი აქვს და რომელიც იხმარება კაწარას, საფხაჭის მაგიერ. 8. ძველი რუსული ზომის ერთეული; უდრის მეთაედ დუიმს (რუსულ შაშხანას ლულის განივკვეთის მიხედვით სამხაზიანი შაშხანა ეწოდება).

საშ. ქართ. **II. ხაზი** საქონლის ხაზა – დ. ჩუბ. ხაზი დანაყილი ცმელი – დ. ჩუბ. **ხაზვა:** გული მეხიზვება გული მიმსუყდება – დ. ჩუბ. შდრ. **ხიზი** ქვევრთა და ჭურთა წასასმელი ქონი – დ. ჩუბ. ხიზი (< თურქ. hiz) (გურგენიძე, რუხაძე 2017, 50).

**ხათა:**

საშ. ქართ. **I. ხათა** ხატაეთი. შენ სურნელი მუშკ-ხათაი (თეიმ. I, 86, 203, 1).

შდრ. (სპ.) **ხატა** – ჩინეთი, **ხატაი** – ხატაური, ჩინური. მერმე დარუბანდი ჯიონის წყლამდისი, ხატავეთი... (შჰნ. III, 254, 22). ასი სტავრა ხატაური, ცხენი ოქროს ლაგმოსანი (შჰნ. II, 3339, 2).

ახ. ქართ. **II. ხათა** [არაბ. ხატა] «შეცდომა», «შეცოდება», «დანაშაუ-  
ლი» საუბ. იგივეა, რაც ხათაბალა. ვა, ხათაა? მომშორდი, რაღა, თავიდან!  
(ი. ეკალ.). შდრ. ხათავ, ხათაბალა, უბედურება, განსაცდელი (დ. ჩუბ.).

დიალექტ. **ხათა** (სპ. hata) შეცდომა. ხათა დეემართა და რა ქნას, ჭია-  
ყელასავენ წინასწინ თუალებ ხომ ვერ დეითხრის?! (ინ. ჩვენ. ფუტკ.);

**ხათაი** [აზ. ხათა] ხათაბალა, საფრთხე, ხიფათი. იმ ერ ოთაღში  
ცხრათავიან დევ არის, აძჰანა (არიქა) არ გაუშო, ხათა რამს იქსავ; შენთან  
ნადიროვან წასულაში ინსანს (ადამიანს) ხათაი არ დააკლდევა; ხათაითი  
უცაბედად, შემთხვევით (ინგ. ღამბ.).

დიალექტ. **III. ხათა** (მოხევ.) არყის გამონახადი, – ბუზალაყი. ხათა  
„ბუზალაყი“ (ა. შან.). არაყ რო არ მაგვექელას, გვეპოვებთან ხათანი, კომით  
რო გადაგასმივა, გასჭრის ქვე, როგორც სტაქანი (ხევს. ჭინჭ.).

### ხალ-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. ხალი** ორხაო – საბა. **ხალი** [სპარს. hali]  
ხაოიანი, სახიანი მძიმე ქსოვილი, იხმარება საფენად, – ნოხი (შდრ. ხალი-  
ჩა). იატაკზე მოფენილი იყო ხალები და ფარდაგები (გ. წერეთ.). და ქსოვს  
იგი (თუში ქალი) ფარდაგსა და ტილოს... ჩანთასა და სათიკვას, ჩულსა და  
ტომარას, ხალსა და წინდას (ტ. ჭანტ.).

ერთი ხალი ქონდა და ამბობდა: აჲ ხალი ბათუმში მერდევანზე და-  
გებული მქონდაო (უსტ. შავშ.). აგრეთვე: (ჩვენ. ფუტკ., თუშ. ხუბ., ჯავახ.  
ზედგ., აჭარ. მრეწ. I, 423).

როგორც ივ. ჯავახიშვილს აქვს გამორკვეული საფენლის ზოგად სა-  
ხელად ძველ ნათარგმნ და ორიგინალურ ქართულ ძეგლებში ძოლო ||  
მძოლო იხმარება; X-XI ს-დან სახელი თანდათან ქრება და სამაგიეროდ  
შემოდის და ძირითადად ვრცელდება ნოხი, შემდგომ კი ხალი და ხალიჩა.

განსხვავებით სპარსულისგან, თანამედროვე სალიტერატურო ქარ-  
თულში ხალიჩას დაუკარგავს კნინობითობის მატარებელი შინაარსი (ბარ-  
თაია 125).

საშ., ახ. ქართ. **II. ხალი** [არაბ. hal] წერტილივით ლაქა კანზე, ჩვეუ-  
ლებრივ, ოდნავ ამობურცული. ძლიერებისა წინ [...] დიდად მოღვაწეთ  
ხალნი გამოჩნდებიან (ქილ. 197, 7). ახლა ზილფითა და ხალით მეთამაშე  
და სხვარიგათ ნურას მკადრებ (ხოსრ. 63, 16). პირად თეთრსა ასხდა შავი  
ხალი (დ. გურამ. 179, 1, 3). პირსა მზეს უებროსა შავი ინდი აჯდა ხალად  
(თეიმ. I, 55, 60, 2). ბროლის ცაზედ ქუფრად ხალნი იმკობის (ბეს. 168, 5).

კალმითა დახატულია, ლოყაზე აზის ხალები (ი. დავით.). ნარგიზას  
ხალი მარცხენა ძუძუს ქვეშ... ჰქონდა (გ. ლეონ.). [კრამიტებს] ხავსის მწვა-  
ნე ხალები გასჩენიათ (რ. ინან.).

**ხალი** (არ. hal) კანის ზედაპირზე არსებული ფერადი ნიშანი. „ზრუქ-  
ში სულ ხალები ქონდა გატყეპილი, ნიშნები“ (სტ., ჩვენ. ფუტკ.).

**ხალი** წერტილივით ლაქა კანზე, – ხალი ზან. (მეგრ. ქაჯ. III).

ძვ. ქართ. **III. ხალი** (სპარს. xāle ლატანი, ჭოვი): „ხალეებითა გრძელე-ბითა აჭენებდეს (ნავსა)“ (Sin-11, 357v). **ხალი საზომისა** საზომი ჯოხი: ხალი იგი საზომისაჲ ველთა მისთა; და იწყო მან ზომად შინადთ, გარდადთ (ეზეკ. 47, 3).

ახ. ქართ. დიალექტ. **ხალი** 1. კაკლის დასაბერტყი ჯოხი, ხალხა, ჭო-კი. მძიმედ ეშვება გრძელი ხალი თვალშეუდგამი ხის გაბარდნილ ჯერ კიდევ ნედლ ტოტებში (რ. ჭეიშვი.). უცებ რაღაცა ახრიალდა, გეგონება გრძელი ხალით კაკალსა ბერტყავნო (ნ. შატ.). 2. (მთიულ.) გრძელი, წვრილი ჯოხი, რომელსაც თივის ბულულს ამოაკრავენ ხოლმე.

აგრეთვე: (მოხ. ლუდ.). იხ. I. ხალა.

ახ. ქართ. **IV. ხალი:** (ფშ.) იგივეა, რაც ქუმელი – „მოხალული ფქვი-ლი (საბა). ხალი დახალული ხორბალი, დაფქული და მარილით შეზავე-ბული. ცივი წყლით უნდა მოზილო, გამოცხობა ადარ უნდა. ისე იჭმევა (ნ. კეცხ.). ხალის გუდასავით მოთელილი ნადირი (კვირისამ) მარცხენა რქით აიტაცა (ს. ქეთელ.).

აგრეთვე: ხალი მარცვალი (დიკის, ქერისა) მოხალული (ჯავახ. ზედგ., კავთ., ქართლ. მესხ., ფშ. მრეწ. III, II, 109).

ძველ ქართულში აღნიშნული მნიშვნელობით დასტურდება ჯალი. ამავე ჯ-არიანი სახითაა გავრცელებული თუმურსა და ხევსურულში.

ახ. ქართ. **V. ხალი** მხალი. ქართლურში მხალი ძირითადად ხალი ფორმით დასტურდება: ხამაჭიჭა ხალი წვრილი დაკენსილივით (შეჭრილ-შემოჭრილი) ფოთოლი აქვს; კვაფჩხილა ხალი... ისიც ყანებში იზრდებო-და; ღორიქონა ხალი მინდვრად იზრდება; შალგი ხალი მინდვრის ხალია ესეც; დანდური ხალი სუყველას ჯობნია ღორიქონა. ხალი მინდვრად იზრდება, დაბალია (ზ. ქართლ. მრეწ. III, I, 137). აგრეთვე: (საინგ. მრეწ. III, II, 71, ზ.-იმერ. მოწ., მოხ. ლუდ.).

\*მხალ- არქექტიპი ქართულ-ზანურ ერთიანობის ხანისათვის აღად-გინა ტ. გუდავამ (ფენრიხი, სარჯველაძე 2000).

ს.-ქართვ. \*(მ-)ხალ- „ფხალი, მიწაფხალი“ > ქართ. მ-ხალ-ი > || ფ-ხალი: ზან. ხულ-ი: სვან. ბგ-ხგ < \*მგ-ხგლ (ჩუხუა 2000-2003).

**ხალა:**

სამ. ქართ. **I. ხალა** გრძელი ჯოხი განმარტავს საბა. **ხალე** ანძა, ნაქუსი ხომალდისა – დ. ჩუბ. იხ. III. ხალი.

**ხალა:** მცირე ზომის ნავებს საჭე კორპუსზე არ უმაგრდებოდათ. ამ მიზნით იყენებდნენ გრძელსა და წვრილ ჯოხს რომელსაც „ხალას“ უწო-დებდნენ (ბერაძე 1981, 37).

ახ. ქართ., დიალექტ. **ხალა** 1. კაკლის დასაბერტყი ჯოხი, ხალხა, ჭო-კი. მაშინ ავიღებ გრძელ ხალას, ავალ ზედ და, რო დავრეკავ, ხრრ! წამოვა ძირს (რ. ინან.). 2. (მთიულ.) გრძელი, წვრილი ჯოხი, რომელსაც თივის ბულულს ამოაკრავენ ხოლმე.

აგრეთვე: (ზ. ქართ. მრეწ. IV, 3, 33; ზ. -იმერ. ძოწ., ჩვენ. ფუტკ., გურ. ჯაჯ.). შდრ. ხალიკანაჲ (თუშ. ცოც.).

ს.-ქართვ. \*ხალ-(ა) „ჭოკი“; წნელი (გრძელი) (ჩუხუა 2000-2003).

ახ. ქართ., დიალექტ. **II. ხალა** (რაჭ.) მოხარშული მარცვლეულისაგან მოზეილილი ცომი – ქეგლ. იხ. IV. ხალი.

საშ. ქართ. **III. ხალა** დედიდა – საბა. ხალა (არაბ.) დეიდა.

დიალექტ. **ხალა** ჰალა დეიდა (მამიდა ლიტერატურული) (იმერხ. ფად., ცინც.). აგრეთვე: (ჩვენ. ფუტკ., აჭარ. ნიჟ., შავშ.).

### **ხალას-ი:**

საშ., ახ. ქართ. **I. ხალასი** წმინდა, გამობრძმენდელი – დ. ჩუბ.

**ხალასი** [არაბ. ხალას] 1. ისეთი, რასაც სხვა არაფერი ურევია, – წმინდა (უპირატესად ლითონებზე ითქმის). ბარიტია, ნამდვილი, *ხალასი* ბარიტია (შ. დად.). || ნამდვილი, უტყუარი. ექიმს სასაცილოდ არ ეყო, მე კი *ხალას* ჭემმარიტებად მიმაჩნია (დ. თურდ.). 2. იხ. თვითნაბადი.

საშ., ახ. ქართ. ქართ. **II. ხალასი**: *ხალასად* ნაკერი, ოქრომკვედით ნაკერი. [დედოფალს] *ხალასსა* უფენდნენ, მუშკსა და ამბრსა აყრიდნენ («რუსუდ.»). ◊ **ხალასად ნაკერი**. მოაკრნეს *ხალასად ნაკერნი* ფარდანი კედელყურეთა (ტ. გაბ.).

**ხალასითა ნაკერი** „ოქრომკვედით ნაკერს უჭმობენ“ (საბა). მოასხნეს ათი ათასი ცხენი და აკიდეს... საგებელნი და ნატანი ჩარყაფად და *ხალასითა* ნაკერნი (შპნ. III, 243, 28).

ახ. ქართ. **III. ხალასად** ხალვათად (ი. გრიშ.).

ამ სიტყვის ამოსავალია არაბულ-სპარსული ტერმინი ხალას – 1. სუფთა, შეურეველი, 2. თავისუფალი, მარტოდ მყოფი (ბართაია 2010, 194).

### **ხალვა:**

**ხალვა** არაბული ლექსი არის და ქართულში ლექსის გაწყობის მიზეზით დაუკვეციათ; არაბულად ხალვათ არის საიდუმლო რამ საქმე და მარტოებით ქმნა საქმისა ანუ მცირედთა თანა სანდოთა ჟამთა ყოფითა... ხალვა მიმოკვეთებაც არის ქართულადვე, მაგრამ აქ საიდუმლოებითს ნიშნავს; ხალვა–მოხალვა, ეს სწორე ქართული არის: ხუარბალი ანუ სხვა რამ თესლი ცეცხლზე სპილენძის ჭურჭლით უწყლოთ მოხალოს. – ხალვა – მალვა, დამალვა (თ. ბაგრატი.).

საშ., ახ. ქართ. **I. ხალვა**. მარტო ყოფნა; მარტოობით მოწყენილობა; მარტოობა, თავის უფლობა, მოცლილობა (დ. ჩუბ.).

ხალვა [არაბ. ხალვათ „მარტოობა“] ძვ. მარტო ყოფნა; მარტოობით მოწყენილობა. არს პირველი მიჯნურობა არ-დარჩენა ჭირთა, მალვა, თავის-წინა იგონებდეს, ნიადაგმცა ჰქონდა *ხალვა* (რუსთაველი). რა საწადელსა ეწიოს, *ხალვა* სჯობს, თავის წინობა (ქილ. 425, 1). მას დღეს ჰქონდა არ თუ ხალვა (ნ. ციცი. 1329, 4). შენთან მწადს *ხალვა* (უცნ. 312, 6).



შდრ. ხალვათი: დიდი შექმნეს ჯალაბობა, არ *ხალვათი* (ვეფხ. 1011, 1). **ხალვათი** განმარტოებული, თავისუფალი. იამებოდა რამინს ვისის საუბარი, *ხალვათად* სუმა (ვისრ. 150, 17). პირველ ნახვა გათავდა, მერმე მიმიხმო *ხალვათათ* (არჩ. 264, 402, 1).

ახ. ქართ. **II. ხალვა** ცეცხლზე ოდნავ წვა, შუშვა (ჩვეულებრივ, მარცვლეულსა). [სალომე] სიმინდის *ხალვას* მიჰყოფდა ხოლმე ხელსა (ს. მგალოზ.). დიდი სიცხე, თავარა. „[ხალვას] არიდებდეთ... ზაფხულის ცხელსა *ხალვას*“ (ს. გუგუნ.).

ახ. ქართ., დიალექტ. **III. ხალვა** ჰალვა [არაბ. helva] ერთგვარი ტკბილეული; მზადდება შაქრისაგან და ნიგვზის, მზესუმზირასა და მისთ დანაყილი გულისაგან.

საშ. ქართ. **IV. ხალვა** ხალებით შემკობა. ქალთ დანაშვენებს პირთ კალვა-ხალვა (გურ. 221, 86, 1). იხ. II. ხალი.

#### **ხალის-ი:**

საშ. ქართ. **I. ხალისი** ოქრო, წმინდა ოქრო – დ. ჩუბ.

დიალექტ. **ხალისი** (არაბ. halis) სუფთა, ნამდვილი, თავანკარა. მე ფეხშავიანი გურჯი არ ვარ, *ხალისი*, მუხლისი გურჯი ვარ (სტ. ჩვენ. ფუტკ.).

**ხალისი** სუფთა, განიავებული მარცვალი ხორბლისა: ანიავების შემდეგ რჩებოდა *ხალისი* – სუფთა კაკალი და ნარევი (შდრ. გადახალისება) (მიქიაშვილი, 1994, 118). იხ. I. ხალასი.

საშ. ქართ. **II. ხალისი** მოუწყინებელი ნდომა – საბა.

ახ. ქართ. **ხალისი** [არაბ. ხმლის] 1. მონდომება, გაკეთების სურვილი. ყრმას ენერგება გულში... *ხალისი* შრომისა (ილია). მეტის *ხალისით* მოვეკიდე ჩემს საქმეს (დ. კლდ.). 2. კარგი გუნება, მხიარული განწყობილება. რა *ხალისია!* რა ჟრიამული! დიდს თუ პატარას უცინის სახე! (გ. ქუჩ.).

შდრ. **ხალიზი** სურვილი. ჰევსურებ, არხოტივნებსა *ხალიზს* რად ულევთ ცდისასა? (ხევს. შან). შდრ. **ხალვასი** სადი, ჯანმრთელი (მოხ. ქავთ.). ახ. ქართ. **ხალისი** ფერი (იმერ.) მხიარული, ცოცხალი ფერი. ნათელას ძალიან მოეწონა *ხალისი* ფერი კაბისა (გ. წერეთ.).

#### **ხამს-ი:**

საშ., ახ., ქართ. **I. ხამსი** ჯეროვანი; ღირსეული. **ხამსება** ვეხამსები შევეფერები; მეხამსება, შემეფერება – დ. ჩუბ.

უხამსთ მისცემს სიმდიდრესა, ზოგნი *ხამსნი* მწვე იჭირვის (ვახტ. VI, 44, 89). ქეგლში ძველის კლასიფიკაციით მითითებულია ამავე სიტყვაზე.

შდრ. **ხამს** ძვ. 1. ჯერ არს, საჭიროა. *ხამს* მოყვარე მოყვრისათვის თავი ჭისა არ დამრიდად (რუსთაველი) 2. უნდა, მართებს, შეეფერება. რაც არა *ხამსდეს* ჩიორას, ნუ უყრი ასაკენკლადა (დ. გურამ.).

იხ. აგრეთვე **უხამსი** უდიერი, უწესო, უმსგავსი. მამა-ჩემი გულმოწყვეტილი იახლა ამგვარ *უხამსსა* ბატონს (ილია). თავის *უხამსის* ქცევითა მართალი ბევრი ატირეს (ვაჟა).

საშ. ქართ. **II. ხამსი** წიწვიტა, თევზია – დ. ჩუბ. იხ. II. ხამსა.

საშ. ქართ. **III. ხამსი** დაკაწრულობა – დ. ჩუბ. **ხამსავს** კაწრავს, ფხაქნის – ქეგლ. **დახამსება** დავიხამსებ, დავიკაწრავ – დ. ჩუბ. **ხამსვა** დავიკაწრავ – დ. ჩუბ.

**ხამსი** დაკაწრული, დაფხაჭნილი, ნაკაწრი. **ხამსის წინდა** ძვ. ერთგვარი ჭრელი წინდა. ◊ **ხამსის წაღა** ძვ. ყარაბაღული წაღა. ჩემთვის ერთი წყვილი *ხამსის წაღა* ვიყიდე («მას. საქ. ეკონ. ისტ.»).

შდრ. **ხამსური** ხამსის მსგავსი. ◊ **ხამსური** ჭრელი (ქიზ.) ჭრელია ერთგვარი. ◊ **ხამსური** წინდა ძვ. იგივეა რაც ხამსის წინდა – ქეგლ. იხ. III. ხამსად.

დიალექტ. **IV. ხამსი** ხავსი. რავარიღაცა არი ნათქვამი გაჭირებული კაცი *ხამსს* ეკიდებოდაო, ორივე წყალს მიქონდაო. *ხამსი* დეიკავებდა კაცსა?! (ბორითი, ზ.-იმერ. ძოწ.). *ხამსი* ხეს აქ ხომე მოდებული, ქვაზედაც იცის (იმერ. გაჩ.). ხამსი ხავსი (ქართლ. გაჩეჩ.).

ხავსი მომდინარეობს ოსური სიტყვიდან *xos / xwasæ* „თივა, წამალი“ სიტყვიდან (ანდრონიკაშვილი II, 1966, 128).

**ხამსი** ხეს აქ, ხამსილა – ქვას (მოხვა, ზ.-იმერ. ძოწ.).

ს.-ქართვ \*ხიმს-ელ- „ხის ანახეთქი შესატყვისობები ეძებნება სხვა იბერ.-კავკ. ენებში (ჩუხუა 2017).

დიალექტ. **V. ხამსი** ხემსი. დაუხამსებული, ხემსმიუღებელი, უჭმელი. ხალხი *დაუხამსებულია*, თვარა რატო ჭამენ დათვი ხორცსა? (პერევი, ზ.-იმერ. ძოწ.).

შდრ. ხემსი მცირედი რამე ჭამადი – საბა; მცირე ლუკმა, ერთი ბეწო რამე – დ. ჩუბ; ხემსება ვიგემებ, მოვკვებენჩ – დ. ჩუბ. **ხეგსი** მსუბუქი საჭმელი, პიურე, ფაფა: „გვბრძანე... რაფთა ვქმნეთ *ხეგსი* მცირედ და ვჭამოთ შენ თანა“ (ლიმ. 88, 21).

ქართ. ხემსი ზან. ხეცა ლუკმა, ხემსი (მეგრ. ბოჯგ.). პოზიციური მს > ც გარდაქმნით შეპირისპირებულია (ჩუხუა 2017).

### **ხამსა:**

ახ. ქართ. **I. ხამსა ტარო** (იმერ.) ტარო, რომელსაც მარცვალი ძალიან ნედლი აქვს, არ ეფშვნება (ქეგლ).

შდრ. **ხამსილა** I. უმარცვლო ან ოდნავ გამოსახული, დაუსრულებელმარცვლიანი სიმინდის ტარო (მოხვა, ზ.-იმერ. ძოწ.). შესაძლებელია ხამსა, ხამსილა < (თურქ.) ხასილ „შემოუსვლელი ქერი“.

ახ. ქართ., დიალექტ. **II. ხამსა** ქაფშია. **ხამსა** წვრილი თევზი, – ქაფშია. *ხამსა* წვრილი თევზია (პირველი სვირი, ზ.-იმერ. ძოწ.). იხ. II. ხამსი.

დიალექტ. **III. ხამსად** ხამსი წინდად, ხამსიდ ერთგვარი წინდა (ინგილ. ღამბ.).

**ხან-ი:**

ახ. ქართ. **I. ხანი** ქართული ანზანის ოცდამეთორმეტე ასოს სახელწოდება. ეს იყო თავსართი ჰ, რომელიც ხანმეტ ძეგლებში *ხანად* არის შეცვლილი (ა. შან.).

ძვ. ქართ. **II. ხანი** სამშენებლო ტერმინია ძველ ქართულში ნიშნავს 1. კედლებს შორის არეს, გასასვლელ ადგილს დერეფანივით გამყოფს: და *ხანი* ზღუდესა შორის სახლისასა გუერდთა ზედა გარემო, რაფთა ყოვლადვე არ მიეხებოდინ ზღუდეთა სახლისათა (ეზეკ. 41, 6).

**ხანი და ხანისა** ორკეცი კედელი ზღუდესთან, რომლისა (რომელ) საშუალ კაცმა(ნ) გაიაროს ფოლორცის მსგავსად და სახანო – მის ხანისას(ა) ადგილი, რომელსა განმზღვრებელ უწოდენ – საბა.

ახ. ქართ. შუალედი იატაკის (ან კედლის) ფიცრებს შუა, ღობეში. მე უფრო კარგი ადგილი ვიცი შესაპარავად: ერთ ადგილას ღობეს *ხანი* აქვს... (ს. მგალობ.). [სესე] თიკნებისა და ინდაურების საძრომ *ხანებს* ჯარჯავდა (ბ. ჩხ.).

**სანი:** ადგილი საგნებს შორის, დრო, ხანი – ხანდახან (სვან. ლიპარტ.).

დიალექტ. თაღებს აქვს *ხანი* – ცეცხლის ამოსასვლელი (ზ. ქართ. მრეწ. I, 233).

**ხანი** გამქოლი ჭუჭრუტანა. ბიჰს საცერისთვის ცალი მხრიდან ბაწარმობმული ჯოხი შეედგა, შიგ ხორბლის მარცვლები ჩაეყარა, თვითონ მის უკან მიმალულიყო და *ხანში* იჭყიტებოდა (მთ.-რაჭ. ლობჯ.). ზოგჯერ ფიცრებს შორის „ნაწბერის“ სადინარად საგანგებო „*ხანებია*“ დაჭრილი (რაჭ. ფრ. 162).

საშ. ქართ. **III. ხანი** სახლი. თვარა მრავალი წახდება ქალაქი, შუკა, *ხანისა* (საბა II, 199, 31).

დიალექტ. **ხანი** (სპარს.) საქონელთა და საქონლის პატრონ მგზავრთა ღამის გასათევი გზაზე, შორ მანძილზე მიმავალი ან მომავალი ურმიანი მგზავრები ღამეს ათევდენ და ისვენებდნენ (აჭარ., ნიჟ., ჯავახ. მარტ.).

**ხანი** (სპ. ჰან) მოსაცდელი ეზო, დაწესებულება (საქმოსანთა სახლი), სასტუმრო-ბაკი მგზავრთათვის. „სახლი გიმიხადეს *ხანი* წრეველაი“ (ინ.). ქედას მეგემ *ხანი* იყო (ად., ჩვენ. ქართ. ფუტკ.). ამავე დიალექტში გვხვდება ხანე-ც.

ძვ., საშ. ქართ. **IV. ხანი** დრო, გინა ჟამნი – თ. ბაგრატ. „ვითარ წარვლეს *ხანი* რაოდენიმე“ (ი. -ე. 48, 28).

იხ. აგრეთვე ხან ერთ; ხანითი-ხანად; ხანად-ხანად.

ვერ ვასმინე საუბარი, მით დავყოვნე *ხანი* მუნ, და (ვეფხ. 90, 4). წავედით მუნით და ვლეთ დიდი *ხანი* (ამირან. 48, 5). ჩვენ მუნა დავყოთ *ხანია* (ნ. ციც. 433, 3). აზომი *ხანი* ანუ იგინი როგორ სძლებენ და ანუ მე რას მარჩენს უმათოდო (რუსუდ. 8, 6). ვითა მეყვისსა შეყროდეს, არ *ხანი* დანაყოფითა (თეიმ. I, 27, 13, 4). ინდოეთს წასულა და მრავალნი *ხანნი* მუნ დაუყვია (ქილ. 1195, 19).

ახ. ქართ. **ხანი**: *ხანიც* მოვიდა წასვლისა (ვაჟა). 2. ადამიანის ასაკი, – ხნოვანება. [რუსუდან] ჯერ შუა *ხანში* ძლივს იქნებოდა (ი. გოგებ.). || სიმ-წიფე, ასაკოვნება. ჭკუა ხანში კი არა, – თავშიაო (ანდაზა).

საბა აფიქსირებს ასევე ხან ფუძიან შემდეგ სიტყვებს: განხანება, მი-ხანოძთა, უხანო, ხანდაზმული, ხანოფ, ხნიანი, ხნოანი.

დიალექტ. ზოგ დიალექტში დასტურდება ასევე სიტყვები: ხანა, ხნე.

ზან. (მეგრ.) ხანი ხანი, დრო; ასაკი; ღრუ ადგილი; ღიობი მეთუნის ქურაში; საიდანაც გამოსაწვავ ჭურჭელს ალი და სიმხურვალე ედება (მეგრ. ქობ.).

სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით: 1. **ხანი** არაბ.-სპარს. წარმომავლობისაა (ანდრონიკაშვილი II, 1996). 2. არქექტიპი \*ხან- ქართ. ხანი (ფენრიხი, სარჯველაძე). 3. საერთო ქართველური \*ხან- ფუძე აღდგენილია სვანურ ხან / ხენ თანდებულთან შეპირისპირებით (კელაურაძე 2013, 22).

საშ., ახ. ქართ. **V. ხანი** (თურქ. ხან) თურქთ ენით *ხანი* მეზატონე, გინა ერისთავი – საბა. ხანი ხელმწიფე, დიდი სულთანი, ათამანის სულთნები (ესე იგი ხონთქარი) ხანობით იწერებიან... კიტიაურის ენიდამ არის ხან ესე წოდება მიღებული (თ. ბაგრატი). შავერდი-ხანი ... *ხანი* განჯისა... მოვიდა მეფისა წინაშე (თ. ბაგრატი. 52, 3). რამაზის კაცი მემთხვია, ვინ ხატათის *ხანია* (ვეფხ. 421, 2). გამოჩნდეს *ხანთა* მეფისა ლაშქარნი (ამირან. 56, 21). ჰყვანდა *ხანებიც* თან ლაშქრად (არჩ. 480, 773, 2).

დასუა *ხანები* ყაზახს, შამშადილს (ქ. ცხ. II, 507, 22). აღარა ხამს *ხანთა* ყოვნა (ნ. ციცი. 513, 598, 2).

[ალექსანდრეს] სპარსეთიდან... მოჰყავდა... *ხანები*, ალაღარები (მ. ჯავახ.).

დიალექტ. ხალხე მოსკამულა *ხანივით* (ად., ჩვენ. ფუტკ.).

**VI. ხანი**: ხალხი ჩინეთში, ძირითადა იუნანის პროვინციის სამხრ. ნაწილში – ესე.

### **ხანა:**

საშ. ქართ. **I. ხანა** სახლი, ხალვათ ხანა საიდუმლოდ მოსალაპარკებელი ადგილი. იმ ჰაივანს ასი ხალუათი *ხანა* ჰქონდა (შჰნ. III, 358, 9).

**ხანა** სახლი. ბაღში იშვებდენ *ხანებსა*, ერთი მეორის ხანებსა (ქილ. 413, 19). იხ. ხანი.

XVII-XVIII სს.-ში ამა თუ იმ ხელობის წარმომადგენელთა რიგების თუ უბნების აღსანიშნავად უფრო სპარსული „ხანე“ ანუ „ხანა“ იხმარებოდა და ამის მიხედვით იწარმოებოდა ამათუ იმ დარგის ხელოსანთა რიგების სახელიც. მაგ. XVII- XVIII სს. საბუთებში მრავლად გვხვდება: „ქუზა ხანა“, „ჭონხანა“, „ხარაზხანა“, დაბახანა“, ქვემო ბაზაზხანა“, „მქედელხანა“, „ქულქიხანა“, ღილახანა“, აგურხანა... და სხვ. მისთანანი (მესხია II, 1983, 597).

დიალექტ. **ხანა** (თ. ჰანე) – სახლი. იმ **ხანაში** ცხოვრობდა მეგემ ერთი მზისუნახავი (დიოკნისი). ოსმანას ერთი კოლიბა ხქონდა, ახლა კად **ხანა** წამოჭიმა (დანისპარაული) ხონდა გაკეთებული თემბელხანა ხემწიფეს (აჭარ. ხალხ. სიტყ. I, 57). თურქულში ნასესხები სიტყვა ჰანე ნასესხებია სპარსულიდან და სხვა მნიშვნელობებთან ერთად ნიშნავს: სახლი, საცხოვრებელი, სადგომი (გურგენიძე 1973, 32).

საშ., ახ. ქართ. **II. ხანა** (თურქ. ყდა) საქსოვრის გასაბამი – საბა.

ახ. ქართ., დიალექტ. ხანა 1. ნოხეულის საქსოვი ჩარჩო (ი. ჭყ.). 2. (ინგლ.) იგივეა, რაც ქსელი (მნიშვ. 1) ხანის გაბმა («შინამრეწვა») – ქეგლ.

იხ. აგრეთვე: (საინგ. მრეწ. II, 2, 62, ინგ. ღამბ., ჯავახ. ბერ., ზედგ., მესხ. ჯავახ. ლეონ.).

საშ., ახ. ქართ. **III. ხანა** დროის მეტ-ნაკლებად დიდი მონაკვეთი, რომელიც გამოიყოფა რაიმე დამახასიათებელი ნიშნის, მოვლენის მიხედვით, – პერიოდი, ეპოქა (შდრ. ხანი). სოფელს ვერ დაჰყოფთ **ხანას** (ვეფხ. 1194, 2). დაჰფრიწენ მათნი წყობანი ანაზდად, მოკლე **ხანათა** (ბეს. 298, 15).

დაიწყო ახალი **ხანა** ნენეს ცხოვრებისა (ს. მგალობ.). ტყვიამ არ მოგცა ხანაი, სისხლით ვერ შეხფერ ჯმალიო (თუშ. ცოც.).

საშ. ქართ. **IV. ხანა** მხურვალი წამალია. დაიჭირე: **ხანა**, ნიგოზი, მური და მუყლი (ქანან. 74, 32). **ხანა** მხურვალია და ბოქვენსა გარეშემო ძალას მისცემს (ქანან. 469, 10).

### **ხარა:**

საშ. ქართ. **I. ხარა** ეკალი. სამსალის უფრო გამწარდა, რაც ამას წინათ **მებარა** (ვახტ. VI, 32, 86, 4). შდრ. III. ქარა – ქეგლ.

საშ. ქართ. **II. ხარა** „ნაქსოვია ერთი“, ჯარაი – საბა. წამსა და წამსა თუითოფერსა ითხოვს და ათასსა მანავსა **ხარასა** (ვისრ. 39, 16). შავმა ღრუბელმა შავი **ხარის** ფარდაგი ბრწყინვალეს ჰაერს ჩამოაფარა (ქილ. 946, 25). მას იალქანი დაადგეს ატლასისა და **ხარისა** (ნ. ციც. 602, 3). **ხარა-დიბა:** სხვა სახლში შეგვიყვანეს. მრავალი უცხო შესამოსები... ზოგი ნაკერი, ზოგი სტავრა, **ხარა** ხავერდი (საბა).

ახ. ქართ. **ხარა** [სპარ. ხარა «მუარი»] ძვ. «აბრეშუმის უსახო ქსოვილი (დატალღებული)» (ს. იორდ.). ვიცი შენი კრიჟანგობის ამბავი, მაგრამ მაგისთანა **ხარა** მეორეც ვერ გიშველის (ა. ჭუმბ.). ზაზამ სახელო იშოვა, ტანზე გადაიციო **ხარა** (მირ. ბატონ.) – ი. გრიშ.

დიალექტ. **ხარა:** (ინგ. ღამბ.; საინგ. მრეწ. II, II, 64). (სპ.-თურქ.) ხარას პარალელურად, ამავე ქსოვილის სახელად ქართულში გვხვდება ასევე არაბული წარმომავლობის ჰარირ // არირი.

ახ. ქართ., დიალექტ. **III. ხარა** კუთხ. (ხევს. ფშ.) თოფია ერთგვარი. თოფი წაართვეს ხირიმი, **ხარა** გადუგდეს სხვისაო (ხალხ.). **ხარა** ერთგვარი თოფი ყოფილა (ფშ. ხორნ.). **ჯარა** თოფის ჯურა. სხვებთანა შედარებით ნაკლები ღირსებისაა (ჯ. მას.) – ა. შან.

ახ. ქართ. **IV. ხარა-დოქ-ი** [სპარ. ხარა-დან] დიდი დოქი ერთგვარი. ნახევარფუთიან დოქს უკვე *ხარა-დოქი* ეწოდება, *ხარა-დოქის* ტევადობა ფუტს არ აღემატება (ლ. ბოჭორ.). [მასპინძელს], რომელიც მაგიდას ჯერ-ჯერობით მარტო მისჯდომოდა, მუხლზე *ხარა-დოქი* შემოედგა (ბ. ჩხ.).

დიალექტ. კაი *ხარა-დოქით* ქე ქონდა ღვინო წამოღებული (იმერ. გაჩ.).

**ხარა**-ს სპარსულ წარმომავლობა სარწმუნოდ არ მიაჩნია მ. ჩუხუას და თვლის რომ იგი ქართველური სიტყვა უნდა იყოს. ქართ. ხელ- ქართ. ხელა „მაწვნის ქილა ზან. (მეგრ.) ხარა „ღვინის სასმისი“, ო-ხარ-ო „წყლის ჭურჭელი (ხისა). მეგრული ხარა ფორმალური თვალსაზრისით ქართლური ხელა სიტყვის ზუსტი ეკვივალენტია, თუმცა ეტიმოლოგიურად იმავე ხელ-ხარ-ძირებს ვხედავთ ქართულ (იმერულ) ხელედანი, მეგრულ ოხარო (შდრ. იმერ. ოხარო, სვან. ოხარ || ოხარ ზს., ლნტ. ოხარ || ოხარ ლშხ. „წყლის საზიდი მცირე ხის კასრი“ < ზან. ოხარო) სიტყვებშიც (ჩუხუა 2000-2003).

**V. ხარა** (იაპ.) მაგიაში უმნიშვნელოვანესი ენერგეტიკული ცენტრი ჩაკრა.

#### **ხარაკ-ი:**

საშ. ქართ. **I. ხარაკი** დაუნდობელი, გამწირავი, გაუგებარი, ჯიუტი. როსტომ იტყვის: „ნუ ვინაღვლით, მით საწუთრო *ხარაკია*“ (შჰნ. II, 3578, 1).

**ხარაკი** ჯიუტი გადატ. < (სპ.) ხარაკ ჩოჩორი, ვირიკა.

ახ. ქართ. **II. ხარაკი** [სპარ. ხარაკ] სიმების დასამაგრებელი მოწყობილობა თარის ქვემო ნაწილში (შდრ. ჯორა) – ქეგლ.

სპარსულ ენაში არის ლექსიკური ერთეული [ხარაკ], რომლის მნიშვნელობებია: 1. კნინ. ვირუკა; 2. მუსიკ. ქვესადგამი (ხარ) – ვირი, [აკ] – კნინობითობის მაწარმოებელი სუფიქსი). როგორც ჩანს, ჩვენთვის სინტერესო ტერმინი ქართულ ენაში არსებულა როგორც სპარსული (ხარაკი), ისე მისი ქართული თარგმანის (ჯორა) სახით (ბართაია 2010, 127).

საშ. ქართ. **III. ხარკი // ხარაკი** სპარსთა არა მისცემდა *ხარაკსა* (ქ. ცხ. I, სიმფ. 138, 1 2).

შდრ. **ხარკი** [არაბ. ხარაკა-დან] გადასახადი, რომელსაც უცხო სახელმწიფოს უხდიან.

#### **ხარბ-ი:**

ძვ., საშ., ახ. ქართ. **I. ხარბი** გაუმადლარი, ანგარი, მოშურნე: „ხარბი და ძალი შეგინებულნი არიან“ (მ. სწ. 148, 6). **სიხარბე** ანგარება, გაუმადლობა: „მოუციეს მონაზონთა ნაყროვანებად *სიხარბით*“ (ლიმ. 26, 26).

*ხარბი* და გაუძლომელი (ვეფხ. 718, 1). *ხარბი* ფუტკარსა ამსგავსა, თაფლისთვის გაირჯებისა (ვახტ. VI, 132, 489, 1). რამინის მიჯნურობა *ხარბსა* კაცსა ჰგუანდა (ვისრ. 226, 24). *ხარბად* შემსჭვალა თვალები (ი. ტფ., 623, 172, 2).

ხარბი კაცის თვალს შავი მიწის მეტი ვერაფერი გააძღვებო (ანდაზა). დასტურდება ხარბ- ფუძიანი ზმნური ნაწარმოები და რთული სიტყვები, კომპოზიტები: მაგ.: თვალხარბი, გულხარბი, სულხარბი.

დიალექტ. **ხარბი** ფშ., თ. ძუნწი (შან.).

**ხარბი ჭინჭილა**, რომელსაც შედარებით ფართო ყელი აქვს და ღვიწხოს ბლომად უშვებს სასმელად; ასეთი ჭინჭილა მალე იცლება (ზოგს უყვარს) (იმერ. გაჩ.).

იხ. აგრეთვე: სვან. **ხარბ** ხარბი, მოშურნე (სვან. თოფ., ქალდ.).

ზან. **ხარბი**, ხაბრი, რხაბი, – ხარბი. იხ. (მეგრ. IV, ქაჯ.).

ძვ. ქართ., დიალექტ. **II. ხარბი** (არაბ. harp) ომი, ბრძოლა. ეუნანებთან თურქსა *ხარბი* უქნია (თ. ქ.); „მამაჩემი გვიან მოსულა *ხარბობიდან*“ (მეზ., ჩვენ. ფუტკ.).

ამ სიტყვასთან დაკავშირებით საინტერესოა **მეხარბეს** ისტორია. კ. დანელიას დასკვნით **მეხარბე** უცხო ძირის, მაგრამ ქართული წარმოების სიტყვაა და მისი ხმარების შემთხვევა ერთადერთია. ხარბ // ხარბა ძირი ქართულს არ უსეხებია, ის მხოლოდ ლიტერატურული წყაროდან არის გადმოყოლილი ქართულ თარგმანს. ასეთ წყაროდ სავარაუდებელი არა ბერძნული ან სომხური, არამედ სირიული. მეხარბე სიტყვა საინტერესოა სწორედ იმით, რომ ის ოთხთავის უძველესი ადიშური რედაქციის უცხო /სირიულ/ წყაროზე დამოკიდებულების ერთი იშვიათი მოწამეთაგანი ჩანს. რადგან **მეხარბე** და მისი ქართული შესატყვისი მეჭრმლე წარმოებით არ შეეფერებოდა თარგმანში ჩადებულ შინაარსს, გვიან მათი ადგილი დაიკავა არაბული წარმოშობის ჯალათ სიტყვამ (დანელია 1981, 72-83).

შდრ. **ჰარბი** (არ. harp) ომი, ბრძოლა. „თორმეტ წელწად *ჰარბი* იქნა“ (მეზ.). „*ჰარბი* იყო ინგლიზებთან“ (ინ., ჩვენ. ფუტკ.).

საშ. ქართ. **III. ხარბი** იგივეა რაც ხარბაყი. – ქართ. ხარის ძირა Helleborus შავი მათრობელა წამალია. სიფრთხილით მიეც: ...დაფლი, *ხარბაყი* (ქანან. 32, 16). *ხარბაყი* შავია კაცს დაათრობს (ქანან. 469, 14). შდრ. არაბ. ხარვა; იუსტ. აბულაძე 1940).

### **ხარგა:**

საშ. ქართ. **I. ხარგა** [სპარ. ხარგაკ] ძვ. ნაბდის კარავი. მომავალმან ნახა, უდაბნოსა *ხარგა* ერთი დგა თხისა ბალნისა (საბა). სპითა მოიკლა *ხარგასა* თურქისა ვისგანმე (ქ. ცხ. IV, 152, 16).

შდრ. **ხარგალი** კუთხ. (ფშ.) შემოღობილი ეზო, – ბაკი- ქეგლ.

ახ. ქართ. **II. ხარგა** კუთხ. (ზ.-იმერ.) გროვა. სულ ეს შინა აქვს წაკითხული, – ძვირფას წიგნთა ედგა *ხარგა* (ნ. დად.). 2. კუთხ. (იმერ. ლეჩხ.) «ხის სუფთა ჯოხზე აცმული შემწვარი ქათამი, ხორცი, გოჭის თავი, ხაჭაპური და სხვ., რომელიც ქორწილიდან მაყრებს მოჭქონდათ შინ» (მ. ალაფ.).

**ხარდალ-ი:**

საშ. ქართ. **I. ხარდალი** მდოგვი – დ. ჩუბ.

**ხარდალი** (არაბ.) ხარდალ 1. მდოგვი. 2. ყურძნის ან მსხლის წვენი (დაუდუღარი) „რა ჯობია ზაფხულში ხარდალს“! „წვენს ყურძნისას აქ ხარდალი ჰქვია“ (თ. სახ.; აჭარ. ნიჟ.). აგრეთვე (ქართლ., კახ., აჭარ. მაცაშვილი).

დიალექტ. **II. ხარდალი** ვაზის სარი. „ყურძენ ხეს რომ დუუსობ, იმა ხარდალი ქვია“ (თ. ქ., ჩვენ. ფუტკ.). იხ. I. ხარდან.

დიალექტ. **III. ხარდალი**, ხარდალაი პატარა ტიკჭორა, კუპრიელი (გურ. შარაშ.). შდრ. ხადალი – საბა.

**ხარდან-ი:**

საშ. ქართ., დიალექტ. **I. ხარდანი** სარიანი ვენახი – დ. ჩუბ.

ერთგვარი ყურძენიც არის – დ. ჩუბ.

**ხარდანი** ვაზის ჯიშია ერთგვარი (გურ. ღლ.). **ხარდანი** მრგვალი, გაუთლელი სარი ვაზის მისადგმელად (იმერ. გაჩ.).

დიალექტ. **II. ხარდანი** პირშუმხა (აჭარ. მაც.). იხ. I. ხარდალი.

**ხას-ი:**

საშ. ქართ. **I. ხასი** საკუთარი, დაახლოებული საიმედო პირი. ხასი [არაბ. ხასსა].

წიგნსა მოგცემ, გმორჩილებდენ ვინცა იყოს ჩემი ხასი (ვეფხ. 164, 4). გყევ ახლა ყაიყულელი ასეთი ხასი ყოფილა, რომ მესისხლე კაცი რომ შესულიყო, იმისი გამოყვანა არა კაცს არ შეეძლო (სამ. VII, 122). ♦ **ხასის ჯარი** ძვ. გვარდია. შეიქნა გასვლა შიგანთა, ჯარია მუნ ხასეზისა (რუსთაველი).

საშ., ახ. ქართ. **II. ხასი** სითამამე. გაბედული, მოურიდებელი (მოქმედება). ხმა ჩაიდუმე, ნუ გაქვს ხასეზი, კაია, ნულარ მეზაასეზი (ბეს. 150, 12).

[ანიკოს] ხასი ქცევა აქვს, თითქმის გამოჭენებული (ვ. ბარნ.). **ხასად** ზმნს. გაბედულად, მოურიდეზლად. [სტუმარი] ერთხანს თავისუფლად იქცეოდა, თითქმის ხასად (ვ. ბარნ.).

ს.-ქართვ. \***ხას**- „თამამი საუბარი. ქართ. ხას-ობ-ა, ვ-ჰ-ხას-ობ „თამამად ვეუბნები“ (ჩუხუა 2017).

საშ. ქართ. **III. ხასი** ნამდვილი, წმინდა, ხალასი. **ხასი** გვირგვინი... იაგუნდისა, მეტად ხასისა (ვეფხ. 1438, 3). რაიცა ღვიძლიდან მოდიოდეს სისხლი ხასი («წიგნი სააქიმოდ»).

მათ უძღვნე ჩემი ქონება, ძვირფასნი ღარნი, ხასეზი (ნ. ციცი. 1579, 4). დახვე შემინახე ატლასითა, ხასითა; შავი კაბა, შავი ქობა არ მინდა! (საიათ.).

**ხასი** (has) სუფთა, ნამდვილი, წმინდა, შეურეველი; აბრეშუმის ქსოვილი; უმაღლესი ხარისხის საქონელი; ღვიძლი (სისხლით ნათესავი). „ეთეგისთვინ ხასინა დასჭრა“ (მ.). „ხასი ყუმაში გამომიტანა ბათომიდამ“



(ად.); „ყუმაში *ხასია* თუ ხამი?“ (ინ.) აგრეთვე: ხასი ბიბიაშვილი, ხასი გურჯი, ხასი გურჯული, ხასი ყველი, და სხვ. (ჩვენ. ფუტკ.).

აგრეთვე: დიალექტ. ხასი (ჯავახ. ზედგ., იმერ. გაჩ., ზ. ქართ. მრეწ. IV, II, 59, ქვ. 6).

**ხასი** ერთ შემთხვევაში არსებითი სახელის მნიშვნელობითაა ხმარებული, მეორე შემთხვევაში კი ზედსართავი სახელისა. პოემის ყველა მკვლევარი და ლექსიკონის შემდგენელი (თ. ბაგრატიონი, დ. კარიჭაშვილი, იუსტ. აბულაძე, ა. შანიძე, ა. ბარამიძე და სხვები) ერთსულოვნად მიუთითებენ ორივე მნიშვნელობას და ერთგვარადვე, მხოლოდ მეტ-ნაკლები რედაქციული სხვაობით, განმარტავენ, რომ პირველ ხასი ნიშნავს მეფესთან დაახლოებულ პირს, დიდებულს, წარჩინებულს, ხოლო მეორე შემთხვევაში რჩეულს, საუკეთესოს (გიგინეიშვილი 1975 132).

**ხასი** – „დახვეწილი, წმინდა აბრეშუმი. ხასა კი საყვარელს ნიშნავს“ (ი. გრიშ.).

არაბულსა და სპარსულ ენებში არის [xáss] მნიშვნელობებით: 1. განსაკუთრებული; საგანგებო, სუფთა; 2. პირადი; რჩეული... ისე – xássa/e/]: 1. განსაკუთრებული 2. ინდური ქსოვილის სახეობა (ბართაია 2010).

საშ. ქართ. **IV. ხასი** მც. ყრდელი – დ. ჩუბ. ეს სახელი ქართული არ არის, არამედ არაბული. არაბები სალათს ეხლაც თურმე „ჰასს ან ჰუსს-ს უწოდებენ (ჯავახიშვილი V, 1986, 225).

დიალექტ. **V. ხასი** (თ. ჰას) კარგი, გემრიელი: „ყაბადი... მოხარშე, ჰამე ... *ხასი* თუ არი...“ (ხოხ., შავშ.).

### **ხაფ-ი:**

საშ., ახ. ქართ. **I. ჰაფი** მაღალი, ბოხი, საშინელი ჯმა – საბა. **ხაფი** ძლიერი თავს დასხმა ომის დროს კიჟინის ხმითა (დ. ჩუბ.).

მან გაახაფოს ხმა *ხაფი*, კვლა უფრო გასახაფავი (ვეფხ. 1315,3). ხაფად ზმნს. მჭექარე ხმით; მრისხანედ. *ხაფად* იზახდა: „გამოდი, ვინ ხარ ომისა მძებნელი!“ (შჰნ. I, 1976, 1).

გამიშვით, გამიშვით! – ყვირიდა *ხაფი* ხმით მკლავაძე (ე. ნინოშ.). ხაფი „მრისხანე სპარსული წარმომავლობისაა (ანდრონიკაშვილი 1996, 32).

საშ. ქართ. **II. ხაფი** ქარქაში (ზნენი სამამაცონი). ს.-ქართვ. \*ჰაფ – „ქარქაში“. სავარაუდოდ, ფუძემდური წარმომავლობის სიტყვა მხოლოდ ქართული ენის მესხურ დიალექტებში შემოგვრჩა (ჩუხუა 2017).

### **ხაშ-ი:**

საშ., ახ. ქართ. **I. ხაში** პურის ცომი საფოველი – დ. ჩუბ. ამ სამთ მოჰსდის ფეშქაში... შეითან-ბაზრიდამ – ჰარისა, *ხაში* (დ. ბაგრატ. 349, 12).

დიალექტ. **ხაში**. დამყავებული პურის ცომი (შენახული საფუვრად).

◇ ხაშის გაახლება «ხაშს ცოტა ფქვილს წააცრიან და ცხელი წყლით მოხეღენ საღამოთი, დახურავენ და დილით მზადაა ცომის მოსაზელად. ასე

მაშინ იქცევიან, როცა ხაში ძველია – ორი-სამი კვირისა და მეტისაც» (ს. მენტ.).

საშ. ქართ. **II. ხაში** (არაბ.) საკლავთ შიგანური მოხარშული – დ. ჩუბ.

ახ. ქართ. **ხაში** [სპარ. ხამ «ჩამონაჭრები», «ნარჩენები»] 1. წვნიანი კერძი ძროხის ან ცხვრის კარგად მოხარშული ფაშვისა (აგრეთვე ჩლიქებისა). [დივანმა] ერთი ხელადა მიირთვა და ზედ ნივრით ხაში დააყოლა (ს. შანშ.).

დიალექტ. **III. ხაში** ღომისმაგვარი თავთავიანი მცენარე. მისი ნაყოფისგან ფაფას ამზადებენ (გურ. ღლ.).

### **ხაჯ-ი:**

საშ. ქართ. **I. ხაჯი** მც. ცერცვი – დ. ჩუბ. ხაჯი ნაყოფის აღმნიშვნელი (ივ. ჯავახ.).

საშ. ქართ. **II. ხაჯი** (არაბ.) პილიგრიმი, წმინდათა ადგილთა თაყუანის მცემელი მაჰმადიანი – დ. ჩუბ. ჰაჯი // ხაჯი (ქობ.) 1. მუსლიმური სა-მყაროს „წმინდა“ ადგილებში მიმავალი (ჩოხარიძე 2014, 41).

### **ხელ-ი:**

ძვ. ქართ. **I. ხელი** სულელი, გიჟი: „ნუ ხელი ვარა, მამაო!“ (მ. ცხ., 34r). „სულელნი და ხელნი თქუნენ ხართ!“ (მ. ცხ. 209r). **სიხელე** სიგიჟე: „იცნობდა მარკოზს სალოსსა *სიხელისათჳს* მისისა“ (მ. ცხ. 209r).

*ხელი* მინდორს გავიჭრები (ვეფხ. 656, 2). ზოგჯერ *ხელთაებრ* ზახილი დაიწყის (ვისრ. 64, 18). სიაოშის სურვილითა სევდავ *ხელსა* დაემსგავსნეს (შჳწ. II, 2966, 1). ჰაი, ჰაი, საწყალობელსა უჩარდიას მის შუა მკვდრისა კოზაკისა *ხელი* დაემართა (ბეს. 127, 22). კაცი ესე იყო სულელი და კელი (თ. ბაგრატი. 84, 2).

**ხელი** მც. გიჟი, შმაგი. მეფის ქალი შეკრთა უცბად, წამოვარდა, ვითა *ხელი* (ს. შანშ.).

ახ. ქართ. **ხელი, გახელეზა** ენის მიტან-მოტანა, დაბეზღება, ნათქვამის სხვაგან გამეორება. „რა უბედური ქალია, მიტან-მოტანიეა, თუ რამე გეიგონა, ხელათ გაახელეზს“. „მიტან-მოტანიეა უბედურობა, რო *გაახელეზს* ერთიმეორეზს (საჩინ. შარაშ.).

აღდგენილია ს.-ქართვ. \*ხელ- „გახელეზა, გიჟი“ (ჩუბუა 2000-2003).

ძვ. ქართ. **II. კელი** ხელი: „კელთა ზედა აღგიქუან შენ“ (მთ. 4, 6). „იტყუელვედ კელთა მათთა“ (მ. სწ. 13, 7).

თვალთა *ხელი* უკუივლო (ვეფხ. 93, 1). *ხელთა* აქვს მათ აბჯარია (ვეფხ. 1461, 2). შენთან ამ საქმეზე *კელი* და სიტყვა არარა აქვსთ რა (სამ. IV, 408, 2).

ძვ., საშ. ქართ. **კელი** 1. წესი, ჩვეულება: ეგე არა ჭაბუკისა *კელი* არის (ამირან. 143, 2). 2. თანდებული: მოკუდების მის ვეშაპის *კელითაო* (ამირან. 340, 9 3). საქმე ხელი და არას *კელისა* (ამირან. 367, 2).

**ჯელი** 1. მოვალეობა, თანამდებობა: „სხუადცა მრავალი *ჯელი*, რომელი მოჰხუდა, უზაკუველად და უდრტუნველად გარდაიჰადა“ (მ. ცხ. 60, 24). „ამას ხუედრებულ იყო *ჯელი* მეჯორეობისაჲ“ (მ. ცხ. 86, 11). 2. სამსახური, წირვა. დაასრულა *ჯელი* თვისი (მ. ცხ. 84, 11).

**ჯელი** ხელწერილი, ხელნაწერი: „დაწერე *ჯელი* ორმოცდაათისა ლიტრისა ოქროსაჲ“ (ლიმ. 78, 10).

**ჯელი** ხელობა: „იყო მარჯუე ფრიად *ჯელითა*“ (ლიმ. 100, 35). ლადრობა არა *ჯელ* არს კაცთა პატიოსანთა (ვახტ. ცხ. II, 171, 17).

თქუა: აწ სიჩქარე/არა ჩემი *ჯელია* (ქილ. 907, 16).

ახ. ქართ. **ხელი** 1. ადამიანის ზედა კიდურის ნაწილი მაჯიდან თითების ბოლომდე, – მტევანი (მნიშვ. 2). ხელი მოჰკიდა. – ხელს უჭერს. – [მკლავის] ზემო ნაწილს ნიდაყვამდე მხრისთავი ჰქვია, შუა ნაწილს ნიდაყვიდან *ხელამდე* – წყრთა (ი. გოგებ.). 2. საერთოდ, ადამიანის ზედა კიდური. [მარომ] *ხელები* მოხვია ბაბუცას (ნ. ლომ.). 3. იგივეა, რაც სახელური. დოქის ხელი. – კალათის ხელი. 4. ერთად სახმარი ნივთების სრული ნაკრები, – კომპლექტი. ერთი ხელი ლოგინი. – თითო *ხელი* ტანისამოსი ვიყიდეთ (ა. ცაგარ.). || ჯერობა, პარტია, თალია (თამაშის დროს). ერთი ხელი ნარდი. 5. წერის, ასოების გამოყვანის თავისებურება. ლამაზი ხელი აქვს. აბა, ეს გამოწვევის ბარათი წაიკითხე... და შემატყე, ვისი *ხელია* (ი. მაჩაბ. თარგმ.). 6. გადატ. ვინც რასმე აკეთებს, – მოსაქმე. მზრუნველი ხელი. – აქ მოთავსებულ ქონებას, რასაკვირველია, ბევრი მომვლელი *ხელი* ექირვებოდა (დ. კლდ.). 7. რისამე გაკეთების, მოვლის წესი, – ხელობა. ისე კარგადაც კი შევისწავლეთ საჩეჩლის და ლარის *ხელი*, რომ ქალებიც ველარა გვჯობნიდნენ (აკაკი). 8. ძვ. უფლება, ხელისუფლება. სიტყვა «*ხელს*» ძველ ქართულ იურიდიულ მწერლობაში... უფლების მნიშვნელობაც ჰქონდა (ივ. ჯავახ.).

აღდგენილია არქექტიპი \*ჯელ-არქექტიპი (ფენრიხი, სარჯველაძე 2000).

ახ. ქართ., დიალექტ. გადატ. **ხელი** გემო, რომელსაც ჭურჭელი მისცემს ხოლმე ღვინოს (წყალს...). ღვინოს ხელი აქვს. ◊ ხელს მისცემს, ხელი მიეცემა ცუდი გემო დაჰყვება რაიმე ჭურჭელში შესანახად ჩასხმულ ღვინოს. კოპიტქვეშ რომ ჭური გახლდათ, იმისთვის კი მიუცია *ხელი*, ცოტა უკბენია (აკაკი).

**ხელი** თავისებური გემო და სუნი, რომელსაც ჭურჭელი აძლევს მასში მოთავსებულ წყალს თუ ღვინოს. ამ ღვინოს ჭურის ხელი მისცემია (ტაბაკინი, ზ.-იმერ. მოწ.).

ახ. ქართ., დიალექტ. **IV. ხელი** კუთხ. (ლექხ.) «საზღვარი, ყორღანი ტყეში» (მ. ალავე).

### ხელობა:

ახ. ქართ. **I. ხელობა** 1. ისეთი პროფესია, რომელიც ხელის გაწაფვას მოითხოვს. ძმას ჩამოუყვანია [ი. დავითაშვილი] თბილისში, რომ რაიმე *ხელობის* სასწავლებლად მიებარებინა სადმე (ილია). ბიძაშვილს, ხელო-

ბით მეწუდეს, განეზრახა, დუქნის გახსნა (ნ. ლორთქ.). || მოსაქმეობა, საქმიანობა. დავიწყე ხელმეორედ ჩემი ხელობა – კინტოობა და ჩარჩობა (ლ. არდაზ.). 2. ნაწარმი, ნაკეთობა. [ნაჩაღნიკმა] ამოიღო... ძველებური *ხელობის* ჩარეკა (ა. ყაზბ.). 3. ძვ. თანამდებობა. ეხლა, ჩვენ დროში, მოურავობა კარგი *ხელობაა*, თითქმის სანატრელი გახდა (ს. მგალობ.). 4. რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი. მარტოხელობა. ცალხელობა.

საშ. ქართ. **II. ხელობა** შეშლა (ჭკუაზე). ჰკიცხვენ, ბრძენსა სძულს მდიდარი, მათთან მისვლისთვის *ხელობენ* (ვახტ. VI, 100, 63, 1). მისთვის *ვხელობ*, მისთვის მკვდარი (ვეფხ. 82).

**ხელობა:** ვიცოდი მიჯნურისათვის ცრემლთა ღვრა, გაჭრა, *ხელობა* (გ. ლეონ.).

ახ. ქართ., დიალექტ. **III. ხელობა** ერთი ხელობა ერთი გზობა, ერთ-ჯერ. [წაქეული სოსიკა] წამოიწია ერთი ხელობა (ს. მგალობ.). **ველობა** ჯ. ზემოქმედების ძალა, დამორჩილების ძალა (ჯ. მას.) – ა. შან.

#### ხერ-ი:

**ჯერი** სასანთლეთ რტოები – საბა. **ხერი** ღერი, სასანთლეთ ღეროები – დ. ჩუბინაშვილი. განჯერული „გაღობილივით“ – საბა.

ძვ., საშ. ქართ. **I. ჯერი** «ღერი», ზრო: „იგი მისი (სასანთლისაჲ) და რტონი და ტაკუკნი და ბირთუნი და შრომანნი მისგანვე იყვნენ“ (O, გამოსლ. 25, 31). „მყარი ოქროდ *ჯერი* მისი (საბაზმაკისაჲ)“ G – „მყარი ოქროდ-ღერი მისი“ (პბ., რიცხ. 8, 4). **ხერი** ჩირადის საფეხური. რომელი გვარი ამაღლებულს ხარისხთა სიმაღლის ცხენის საბაზმის *ხერთა* აღმჯდარიყოს (ქილ. 669, 8).

**ჯერ**-სიტყვის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში ვკითხულობთ „ხიდის“ აღმნიშვნელი ქართველური ფუძე უნდა ყოფილიყო ჯირ > ხირ; რომელიც ამჟამად დაცული ჩანს ქართულში ე-ხირ-ებ-ა, გა-ე-ხირ-ება ზმნურ ფორმებში (გაეხირება „გაეჭიდება, გაეჩხირება“. ეტიმოლოგ. „ხი-დად, ხიდივით გაედება, გაეხიდება. აღნიშნული ხირ-ფუძის შესატყვისი უნდა იყოს ზანური ხინჯ- (\*ჯიჯ < \*ჯირ) ხიდი... (ნოზაძე 2008, 292).

ჯირ ფუძეში ჯ შეიძლება აღვადგინოთ ჯიდ ფუძის მიხედვით. თვით ოსურ-ალანური წარმომავლობის ჯიდ ფუძეში ჯ შესაძლოა გაჩენილ იყოს ქართველური წარმოშობის, სინონიმური \*ჯირ ფუძის გავლენით (იქვე, სქ. 5).

ქართული ჯერ-ისა და სვანური ჯერ || ჯერ ზზ. ბქ. „სამკლავე, სახელური, ტარი“ შეპირისპირების საფუძველზე აღდგენილია ს.-ქართ. \*ჯერ-შტო, შვერილი, სახელური > ქართ. ჯერი, სვან. ჯერ || ჯერ (ჩუხუა 2000-2003).

დიალექტ. **II. ჯერი** (< ვაინახ. ჯერ „ქვა“) ზანტი, დონდლო; მოუხეშავი. ქალ-ვაჟისათვის დამახასიათებელი სიტყვები შემდეგია...: მაკუნკვილი, კარგაი, ჯერი (სწორფრ. 156, 9). „-რადარ იმღერებ, შავლუდო, სვე გაკლავა, თუ ქერია?“ – არცა სვე მაკლვ, არც ქერი, – მასპინძელი მყავ ჯერია“. ზმნისართი **ჯერად** ზანტად, დონდლოდ (შდრ. ქეგლ).

აგრეთვე: ხერა-ხერა (ხევს. ჭინჭ.).

1. ს.-ქართვ. \***ჯერ**- „გამტერება, გაშეშება“ (მოხ., თუშ.). ფშ. **გახერება** „გაშეშება“ (ჩუხუა 2017).

2. ს.-ქართვ. \***ჯირ**- „ქვა“ ქართ., ხირ- სიტყვაში ხირ-ატ-ი „ქვანარი მიწა“ – საბა (ჩუხუა 2017).

### **ხვანჯ-ი:**

საშ. ქართ. **I. ხვანჯი** რჩევა, დაიგება, ხრიკი და ხლათი – საბა. ხვანჯი ხლათი, დახლათული; ხრიკი, ეშმაკობა – დ. ჩუბ.

ჯერეთ ჩემი სიტყუა ყულა გემწარების, მაგრა ყულა *ხვანჯია* შენი (ვისრ. 112, 21).

**ხვანჯა, ხვანჯი**, ხლართი, ხრიკი. სხვისას შეიტყობს, თავისას ვერას გაიგებს ხვანჯასა (დ. გურამ. 70, 60, 2). იგი *ხვანჯითა* სავსე და ეშმა რა მოვიდეს, ჯელმწიფე მშინჯავითა თუალითა უმზერდეს (ქილ. 357, 25).

**ხვანჯი, ხონჯი** ხრიკი. შაჰ-ისმაელი იყო კაცი ჭკუიანი და სავსე *ხონჯითა* (ქ. ცხ. II, 357, 32).

ახ., საშ. ქართ. **ხვანჯი** 1. ხლართი, ნასკვი. || ფიგურ. ხმაღზე უფრო ძლიერად ჭრის პატარა და რბილი ენა, გაჰკვეთს *ხვანჯსა* უგნურების..., მისი ტყვეა ხშირად სმენა (აკაკი). 2. ძვ. ხრიკი: გრმნება. მიტყუვა დღემან მოკლემან..., *ხვანჯი* შენშიგან დამალა («შაჰნამე»). შდრ. **ხვანძი** ხვანჯი – დ. ჩუბ.

ახ. ქართ. **II. ხვანჯი** ხინჯი. ყველას, ვისაც ასეთი საქმეები დააწია ბისმარკმა, რასაკვირველია, გულში *ხვანჯი* ჩაჰყვებოდა (ილია).

ახ. ქართ. **III. ხვანჯი** ბალახის ჰოკეის ჯოხი – ა. სიხ.

### **ხვითქ-ი:**

ძვ., ახ. ქართ. **I. ხვითქი** ნიანგი: „სავსე იყო მდინარე იგი ხვითქებითა“ (ანტ. დ. 26r). „რომელთამე თქვან *ხვითქი* ზღვსად“ (ფიზ. 6).

„ქცევათა მათთვის *ხვითქთა*დსა ეგების, რადთა ვიფარვიდეთ ტყავითა-ვე მისითა“ (გრ. ნოს. -კაც. აგებ. 153, 31). სოფელი გავს ზღვას, ავთათვს ზღვას, *ხვითქით* სავსეა შესაპყრობელად (ქილ. 847, 16).

ზან. ხვითქი, ქვეწარმავალი (მეგრ. ქობ.).

ახ. ქართ., დიალექტ. **II. ხვითქი** (გურ.) ახალი, ქორვა, გაფუებული, ფუნთუშა. || სისხლ-ხორცით სავსე, ათქვირებული (ახალგაზრდა ქალი). „არა, მამიდ-ჩემო, ელისაბედისთანა მჭლე ქალი მე არ მინდა ერთი *ხვითქი* ციციამ გამომინახე!“ (ე. ნინოშ.).

შდრ. სვან. ხვითქია თოთო და გასუქებული (სვან. ლიპარტ.).

ზან. ხვითქა[ლ]ი იგივეა, რაც ხვეთქერე, ხვეთქერია, – პუტკუნა. ხვეთქერე, ხვეთქერი, ჩაპუტკუნებული, ფუმფულა (მეგრ. ქაჯ. IV).

საშ. ქართ. **III. ხუითქი** ხვითქი ქავი.

ერთი ფერი ყვანა სხუა არის, რომე საპონისა *ხუითქსა* გვანდეს. რომე ისი ლუიძლის სისხლისა ყვანა ლუინისა თხლეს გვანდეს და *ხუითქონი* და მყრალი იყოს (ფანასკ. 262, 16).

ხვითქიანი ძვ. (სპ. ხაი, ძვ. ხვად) „ოფლი, ორთქლი“ (იუსტ. აბულაძე 1940).

**ხვითქი** 1. წურწურით მომდინარე ოფლი. ხვითქი წურწურით მომდინარე ოფლი. [ვაჟი] მკის და გადასდის *ხვითქი* (ზღაპ.). ყველა დაქანცული იყო, *ხვითქი* გადასდიოდა თავპირზე (ვაჟა).

დიალექტ. **ხვითქი** დიდი ოფლი. ისე დაღლილიყო, რო *ხვითქი* გადასდის თავზე (ჯავახ. ბერ., ქიზ. მენტ.).

ზან. ხვითქი ოფლის ნაკადი (მეგრ. ქობ.).

შდრ. **ხვინთქი** (ქართლ.) იხ. III. ხვითქი. ოფლის *ხვინთქში* ცურავდნენ ცხენები (ნ. ლომ.) – ქეგლ.

#### **ხვირ-ი:**

ძვ. ქართ. **I. ხვრი, ხოირი, ხუირი, ხვრი** გვირგვინი, თავსაბურავი: „დაიდგა ხოირი თავსა მისსა“ (O, ივდ 10, 3). „ხუირი (ხვრი I) ზეზისად (ზელემისად I) დადგან და შარავანდნი შეაბან“ (IO, I ეზრა 3, 6). „ალიღე ხვირი ჳელითა შენითა“ (Ath. – 11, 230 r).

**ხვირი** „სამღვდელო თავსახურავი. ოქროს *ხვირი* თავს დაიდგა, გარ სპეტაკი მოიხარდნა (ქილ. 977, 25).

საშ. სპარს. xōd – ქართ. ხოირი (სომხ. խուի) (ანდრონიკაშვილი I, 1966, 199).

ახ., საშ. ქართ. **II. ხვირი** გოდორყური, ჯინი – დ. ჩუბ. horreum ლათ. ამბარი.

**ხვირი** 1. კუთხ. (იმერ. რაჭ.). მომცრო ჩელტი, ძარი. სალალუმე ხვრელს თავზე *ხვირი* დავაფაროთ და ქვებს შორს ვეღარ გაყრის (ა. გეწ.).

2. იგივეა, რაც *ჯებირი*. წვეთი წყალი აღარ მოდის რუში. ჩაფიცრული *ხვირი* ისევ წალეკა და მთელი იქით წავიდა (ე. მასისურ.).

დიალექტ. ხვირი იგივეა, რაც ძარი. ხვირი წკნელისაგან მოწნული გმელი, ურმის სიგმის ძარია, მარა აქ *ხვირს* უძახით (ჩიხა). წრეულს არ ვარგიყო სიმიდი, ერთ *ხვირს* ვერ გაამსებდა (იქვე). ძარს *ხვირს* უძახით ჩვენე, მეურმე კაცს *ხვირი* უნდა ქონდეს და მოიტანს სიმიტსაც. ძარი რო თხოვო, ვერ გეიგეფს: რა არი ძარიო? (მახათაური). ერთი *ხვირი* მოვწანი და 18 გოდორი (სავანე) (ზ.-იმერ. ძოწ.). ხვირი თევზის საჭერი გოდორი (ლექს. ალაგ.). ხვირი პატარა გოდორივით მოწნული ჯინი სიმიდის დასაცეხვად. *ხვირი* დაწნული გოდორივით გმელი და დაბალია, ჩაყრიან შიგა ტარო სიმიდსა და დაცეხვამენ საცეკველათი (ერედ.); სიმიდნი უნდა ჩაყარო ხვირში და მერე საცეხველათი დაცეხო (ქემ., ქართლ. ლექსიკ.).

**ხვირი** ნეხვის გასაზიდავი დაბალი ჩელტი. *ხვირს* დადგამთ მარხილზე, მივაცენებთ სანახველზე, ჩავყრით ნეხვს და გავზიდავთ. *ხვირით* ქართოფილსაც ვზიდავთ ხვალმე (რაჭ. კობახ.). **ხვირი** დაბალკედლებიანი ძარი. მასში სიმიდს ფშვნიან ან ხილს დროებით ინახავენ; წნელით ამოწნული დაბალი და ფართო გოდორი, რომელშიც წიწილებს საკენკს აჭმევენ (გურ. ჯაჯ. X). **ხვირი** სასუქის საზიდი ლასტი (მთ. კაიშ.).

**ხელხვირა** პატარა ხვირი, – ხელჯინა. ხელხვირას მიწის მოსატანად ორი კაცი ასწევს («შინამრეწვ.»).

ახ., ქართ. დიალექტ. ქართ. **III. ხვირი** (მოხევ.) «გამხმარი ჩალის ან თივის ღერო» («დიალ.»).

დიალექტ. **IV. ხვირი** ფხვიერი, მტვერი (გურ. ღლ.). **ხვიერო** ჰაერში ამდგარი მტვერი (გურ. შარაშ.).

შდრ. **ხვერი** ქვევრის თავზე დაყრილი მიწა; ჰაერში ამდგარი მიწა (ზ.-იმერ. ძოწ.).

ზან. **ხვერი** ქვევრის თავზე დაგლესილი აყალოს შემდეგ დასაყრელი ფხვიერი მტვერი (მეგრ. ქობ.). შდრ. ფხვიერი.

#### **ხინკალ-ი:**

საშ., ახ. ქართ. **I. ხინკალი** დუმის შაშხი – საბა. *ხინკალი* შაქრად ეგონისთ, ქუმელი ხობხის ყალიად (ბეს. 89, 4).

**ხინკალი** 1. დაკეპილი ხორცი, პურის ცომში გახვეული და მოხარშული (ხორცის მაგივრად საგულედ შეიძლება იხმარონ ხაჭო, ნიგოზი, კარტოფილი, მხალი და სხვ.). არმინდამ ცხრა ხინკალი შეჭამაო (ანდაზა). ქალები გაფაციცებით ხინკლის ქერქებს აკეთებდნენ და ბიჭები კიდე გრძელ ხონჩებზე, რომლებიც კალთაში ედგათ, ახვევდნენ გაფაციცებით *ხინკალს* (ვაჟა). 2. ძვ. «დუმის შაშხი» (საბა). დიყთა მაჭმევდეს ხილადა, მახვრიტეს *ხინკლის* წვენია (დ. გურამ.). 3. კუთხ. (იმერ.) შიგნეულის პომიდვრიანი ყაურმა.

დიალექტ. **ხინკალი: ხინკალს ახვევს**, ხინკალს აკეთებს. *ხინკალს* ახვევს აფშინაი, ყუდიასი შვილიაო (ფშ.-ხევს. პოეზ. 248, 17); აგრეთვე: **სახინკლე**, შიბუ სატნიან ხინკალი. ხინკალს უქს, ხინკლებს მუშაობს, ხინკლებს ჩაუყრის (ხევს. ჭინჭ.).

ითვლება რომ ეს სიტყვა კავკასიური წარმომავლობისაა. ხუნძური სიტყვა ხინკ შესულია სხვა ენებში: ჩეჩნ., ინგ. ხინგალ, ყუმ. ჰინკალ „ხინკალი“, ოსური ხნკალ / ხინკალ „ატრია“. ვ. აბაევი თვლის, რომ „ატრიის“ მნიშვნელობით ოსურიდანაა შესული ჩერქეზულ ენებში (აბაევი 1989, 174).

ახ. ქართ. **II. ხინკალი** 1. კუთხ. (ლექხ.) წვრილი ფიჩხი, – კიწაწი. 2. კუთხ. (იმერ.) ნამუსრევი, ნამცეცი. სუფრაზე რომ რამე დარჩება, ნარჩენები, იმას ვეძახით ხინკალს («შინამრეწვ.»). შალს შეთელის დროს ბევრი *ხინკლები* სცვივა («შინამრეწვ.»).

**ახინკლიავეფს** აცოდვილებს, აჯახირებს; ნამუსრევით გამოკვებავს. „არი რამე ბალახი შიდა?“ – „ხვალ იქნება ვახინკლიაო კიდე ძროხა (სვერი, ზ.-იმერ. მოწ.).“

### **ხისტაკ-ი:**

ახ. ქართ. **I. ხისტაკი** იხ. I. ხიშტაკი. [გლუხურ] ჩოხას... სახელის ძირში *ხისტაკი* უნდა ჩაჰგდებოდა სიხალვათის გულისთვის («შინამრეწვ.»).

დიალექტ. **ხისტაკი** 1. სახლის გასამაგრებლად გვერდიდან მიდგმული კოჭი, აგრეთვე მაგიდის ან სკამის ფეხის გასამაგრებელი ირიბულად მიკრული ლატანი (მეჯვრ.). 2. ტანისამოსის გვერდებზე ან სახელოში ჩასაკერებელი სამკუთხედი ნაჭერი (მეჯვრ. ქართლ., მესხ.).

ახ. ქართ. **II. ხისტაკი** იხ. II. ხიშტაკი.

### **ხიშტი-ი:**

საშ. ქართ. **I. ხიშტი** ლახვარი – საბა. **ხიშტი** სპადი, პირ-გრძელი ლახვარი – დ. ჩუბ. ხელთ აილო მძიმე *ხიშტი* (ნ. ციცი. 524, 657, 3). ხოლო საომარნი საჭურველნი აქვნდათ: ჯავშანი...ოროლნი, შუბნი, *ხიშტნი* და მშვილდისარნი (ქ. ცხ. IV. 18, 21). საკუეთრად ჳმალი და *ხიშტი*, სამსალად მოულესია (ფეშ. 837, 4). დაშნითა და *ხიშტითა* და ცულითა სცემდენ (შჳნ. III, 533, 39). თავის თავსა ხმალი იცეს, გულთა მოიხვედრეს *ხიშტი!* (დ. გურამ. 85 184, 40).

ახ. ქართ. **ხიშტი** [სპარ. ხიშთ] წვეტიანი სამგერებელი იარაღი, ჩვეულებრივ, თოფის ლულაზე ჩამოცმული. იელვა *ხიშტებმა* – ჯარისკაცებმა თოფები მოიმარჯვეს (ჭ. ლომთ.).

საშ. ქართ. **II. ხიშტი** ხისტი, ხვესტი, ხუსტი (სპარს. სომხ.) ხუსტურიანი, ურჩი, უარშიო – დ. ჩუბ. **ხისტი** «მჯდომი»: „იყოს თუ ვისიმე შვილ ურჩ და *ხისტ*“ M – „უკუეთუ ვისიმე ძე ურჩ იყოს და მჯდომი“ (G, II, შჯ. 28, 15).

დიალექტ. **III. ხიშტი** ალიზი სპ. xest (ფერეიდ. ჩხუბ.).

დიალექტ. **IV. ხიშტი** იგივეა, რაც ლეტეტო (აჭარ. ნიჟ.). შდრ. **ხიშტა** ლობიოს ჯიში ერთგვარი (აჭარ. ნიჟ.).

### **ხიშტაკ-ი:**

საშ. ქართ. **I. ხიშტაკი** კაბის სახელთ ძირი – ნ. ჩუბ.

ახ. ქართ. **ხიშტაკი** [სპარ. ხეშთაქ] ტანისამოსის გადანაკერში ჩაყენებული პატარა ნაჭერი განისა და ირიბის მისაცემად, – ბარტყი (შდრ. აზღუდი). ახალოხს *ხიშტაკი* ზოგს ჰქონდა, ზოგს – არა («შინამრეწვ.»).

ახ. ქართ. **II. ხიშტაკი** [სპარ. ხიშთაქ] ოქრომჭედლის იარაღი, – სხვადასხვა დიამეტრის ღრმულეების მქონე ყალიბი (აფარებენ ვერცხლის ფურცელს და ხომას; დაწოლით ამოჰყავთ ამა თუ იმ ზომის ნახევარბურთი).



**ხლა:**

**ხლა** არაბული ლექსი არის მგლოვიარეთა თავსმოსახვევი შავი კელმანდილი არის. **ხლა** ქართულად სხვას სახედ გამოითარგმანება-მიხლა ანუ მიხლა-მოხლა ამას ნიშნავს, კაცმან რომ თავი, ანუ ტანი, ანუ კელი, ანუ ფერჯი მოსწყვიტოს რასმე, ან მიჰკრას რასმე... – თ. ბაგრატი.

საშ. ქართ. **I. ხლა** ძვ. „შავი ხელმანდილი“ – საბა. ვაძ მართებს მისსა გაყრილსა, შავი *ხლა* თავსა ჰხლებია (რუსთაველი). თუალთა არ მომხვდა წვერი ვერც *ხლისა* (ქილ. 971, 32). ხლა < ხილა.

**ხილა** თავსაბურველი, თავშალი (შდრ. არაბ. ხილატ): „არა გშუენის შენ ესრჯთ ხილანი შენნი, ვითარ მე სლვად ესე“ (H – 341, 122). შდრ. ხილაბანდი. ხლა მიღებულა არაბულ-სპარსული ჰოლა-დან („ტანსაცმელი, მოსახამი“), ჰ-ს გადასვლა ხ-ში ხშირად ხდება (აჰმაყ – ახმახი, მუჰთალ – მუხთალი...) სპარსულ ჰოლას შეეძლო მოეცა ქართულში ხოლა, რომელიც შემდეგ ხლად იქცა. „შავი ხლა თავსა ხლებია“ გლოვის აღმნიშვნელი მეტაფორაა და უკავშირდება შავი სამოსით ან ნაჭრით („ხილაბანდი“) თავის წაკვრას, მორთვას, მობურვას (გვახარია 2000, 262-271).

საშ., ახ. ქართ. **II. ხლა** ხეთქება, ცემა; გასროლა თოფისა. ხლა მიხლა, დახლა, მირტყმა. დაჯდა სატყებრად, გოდებად, თავთა *ხლად* ხე-ქვა-ლოდებად (დ. გურამ. 175, 15, 2). ვაჟკაცმა მარტო თოფის *ხლა* უნდა იცოდეს (ა. ყაზბ.).

**ხოკი:**

საშ., ახ. ქართ. **I. ხოკი:** ღორთა და კამბეშთ სენი – საბა

ახ. ქართ. **ხოკი** შინაურ ცხოველთა (უპირატესად ღორისა და კამეჩის) ერთგვარი დაავადება; ცხოველს სიცხეს აძლევს, ენა და სახსრები უსივდება და პირიდან დუჟი მოსდის. ახლად შეძენილ ზაქებს *ხოკი* გაუჩნდათ და მიქელას მათი ტყავიდა შერჩა (რ. გვეტ.).

დიალექტ. **ხოკი** ღორის დაავადება. ხოკი ღორის ავამტყოფობაა, იცის პირის ლებინება (უჩამეთი); ხოკი ღორს გაბერამს, კბილევს აკრაჭუნევს (მოხვა); *ხოკი* ღორს წენს მოწყვეტს, საჭმელს არ ჰამს, ყელში ახროტინევს (შომახეთი); *ხოკი* ღორს უკან ნაწილს ტაცევს (ზოვრეთი); ||თხისა და ცხვრის ავადმყოფობაა. *ხოკი* უჩთებათ გლიდან ყბები ჩამოუსივდება (პერევი) (ზ.-იმერ. მოწ.). **ხოკი** ღორისა და ბატის ავადმყოფობა, იცის თავის გასივება, ტემპერატურის აწევა და კუჭის სისუსტე. „ოი, შენ და, აგიჩთა ხოკი!“ აგრეთვე: (იმერ. გაჩ. საჩინ. ქართ.; ჯავახ. ზედგ.; ძეგ. ქართლ. ლექსიკ.).

**ხოგი** „ხოკი, სენი პირუტყვისა“ (გ. ლიქოკ.; ხევს. ჭინჭ.).

ახ. ქართ. **II. ხოკი** 1. იგივეა, რაც ხობოკვერა. საკუთარ *ხოკში* უნდა შევძვრე, ვით ლოკოკინა (ს. აბულ.). 2. კუთხ. (იმერ.) ზლის ქერქისაგან დაწნული ჩანთა ახლად დაჭერილი თევზის ჩასაყრელად (ან მოზრდილი თევზის დასაჭერად. შდრ. ხოკერი).

დიალექტ. **ხოკი**: *ხოკს* უძახით კუს ძვლოვან ნაწილს (შრომა ზ.-იმერ. მოწ.). გოგრის (კვახის) ქერქი. კვახის გულს რო შეჭამ, რჩება ხოკი (უჩამეთი), (ზ.-იმერ. მოწ.).

**ხოკი**: ბლის ქერქის ერთგვარი პარკი თევზის საჭერად (იმერ. გაჩ.).

გადატ. **ხოკი** ღვინით გაუმადლარი. რამდენსა სვამ, *ხოკი* ხო არ გახდი (ტირმნისი, ქართლ მესხ.).

#### **ხოპ-ი:**

საშ. ქართ. **I. ხოპი**: სატივე ხოპი ორთაყვირი – საბა.

**ხოპი** შდრ. I. ხოფი. [კონსტანტინემ მენავეებს უბრძანა:] *ხოპები* მოუსვით წყალსო (თ. სახოვ. თარგმ.). 2. კუთხ. (რაჭ.) ხის პატარა ნიჩაბი (თობის ან გუთნის გასაფხევი, მხლის დასაკეპი და სხვ.).

აღდგენილია ს.-ქართვ. \*ხოფ „ნიჩაბი ქართ. ხოფი (ჩუხუა 2017).

ახ. ქართ. **II. ხოპი** «კიბოს სხეულის ზემოთა, მაგარი ნაწილი; მას ააცლიან და ისე წვავენ კიბოს» («დიალ.») იხ. ხოკი II.

დიალექტ. **ხოპი**. იხ. II. ხოკი. 1. ბლის ქერქისაგან შეკერილი ან მოქსოვილი პარკი დაჭერილი თევზის ჩასაყრელად (იმერ. გაჩ.).

#### **ხორ-ი:**

საშ. ქართ. **I. ხორი** იხ. I. ხვირი.

დიალექტ. **II. ხორი** (ჩიქ.) სპ. ერთგვარი ხურჯინი (ფქვილის ჩასაყრელი) (ფერეიდ. ჩხუბ. 145).

#### **ხორა:**

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. ხორა** ჯმელი მუნი – საბა, დ. ჩუბ.

დიალექტ. „ტყეში გაზდილი, ტყეში დაბადილი, სახში მოსული *ხორა* შესხმული (გამოცანა – კვერი) (აჭარ. ნიქ.).

ზან. ხორა მუნი, რომელიც იწვევს თმის ცვენას, სიქაჩლეს; ქაჩალო (მეგრ. ქობ.).

შდრ. ხორბა იმერ. „ხმელი ქავილი (ი. ჭყ.).

ს.-ქართვ. \*ჯორ-ე „მელოტი“. ზან. (მეგრ.) ხორა // ხვარა „მელოტი“ (ჩუხუა 2017).

საშ., ახ. ქართ. **II. ხორა** შეშის ზვინი – დ. ჩუბ.

**ხორა** ზვინი. მოდიოდეს აწ მოკლული, ბატონს წინა იდგეს *ხორა* (ვახტ. VI, 30,61). *ხორა* იდგის ნაქსოვისა (არჩ. 238, 278,3). მოხვევს ბადესა თვისსა ამპარტავანთა მათ ჭინჭველთა სასაცილოსა *ხორასა* (ალ. ჭავჭ. 79, ქვ. 6). უწინ მესხთ ზღუდე შევჭხვრიტეთ ნაშენი *ხორად* და *ხორად* (არჩ. 949, 4).

**ხორა** 1. შეშის ზვინი (საბა). ერთად დაწყობილი შეშა, საშენი მასალა და მისთ. მთაში დამზადებულ *ხორებს* დაშლიდა ნიაღვარი და ჩამოყრიდა წყალში (აკაკი). **ხორად** ზმნს. გროვად, ზვინად, – ხორა-ხორად. წელა, ხიზილალა და მრავალნაირი სამარხვო საჭმელი *ხორად* ეყარა (გ. წერეთ.).

ინ. აგრეთვე: დიალექტ. (მესხ. ფეიქრ., ჯავახ. მარტ., ზედგ. ზ.-იმერ. ძოწ., ფშ. ჭინჭ.).

**ხორა** (// *ხორელი*) და ხვაჯი ძვ. ქართულში ერთმანეთის სანაცვლოდ უხმარიათ, ან უფრო ზუსტად, ხორას ნაცვლად მცხეთის ბიბლიაში ხვაჯი გამოუყენებიათ და ის არა მარტო შეგროვილი მარცვლი ყოფილა, არამედ საერთოდ რაიმე საგანთა გროვა (კახაძე 1987, 15).

აღდგენილია ს.-ქართვ. \*ხორ- „შეკრება; ხორ-ა“ > ქართ. ხორ-ა : ზან. [ხოჯ-ი]: სვან. ხორ- (ჩუხუა 2000-2003).

დიალექტ. **III. ხორა** ფშ. დაგრეხილი თივა და ჩალა. შდრ. **ხორამი** კუთხ. (ხევს. მთიულ. მოხევ.) «ცხენზე დაკრული საგზაო თივა ან ჩალა» (ა. შან.). || ერთად მოგროვილი თივა – ქეგლ.

**ხორო:**

საშ., ახ. ქართ. **I. ხორო** (ბერძნ.) ფერხი, გუნდი მგალობელთა ან მომღერალთა – დ. ჩუბ. ხორო ბერძნულია, ფერჯულსა ჰქვიან – საბა.

**ხორო** [ბერძ. choros] ძვ. 1. სიმღერებისა და სხვ. შემსრულებელთა კოლექტივი, ანსამბლი (ლიტერატურულად უპირატესია ქორო). ქართულმა *ხორომ* იგალობა ჩვენი საერო სიმღერები (ილია). 2. მემუსიკეთა ქანდარა დარბაზში. *ხოროდან* მოისმა საბალო მუსიკის მწყობრი გრიალი (ეკ. გაბ.).

საშ. ქართ. **II. ხორო** ზვინი. შდრ. I. ხორომი გათიბულის ბალახის ზვინი – დ. ჩუბ.

დიალექტ. **III. ხორო** ხროვა (ფშ. ხორნ.). აგრეთვე: ხორო-ნ-ი (ხევს. ჭინჭ.).

**ხორომი:**

ხორუმი ერთად დაწყობილი, ერთად დაყრილი (ქვიშა და მისთ.) – დ. ჩუბ.

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. ხორომი** გათიბული ბალახის ზვინი – დ. ჩუბ.

**ხორომი** თივის კონა, ბალახი (ს. იორდ.). მას კაცს ცხენისათვის ალერდი გაეთიბა, *ხორომად* შეეკრა (საბა).

**ხორომი** ერთი ზურგი თივა. ქორის შიგნიდამ *ხორომ* თივას გამეღებდით (იმერ.); თივის ხორმებინა გავაკეთო (იმ., ჩვენ. ფუტკ.). აგრეთვე (ჯავახ., ზედგ.). ზოგ დიალექტში კი ხორამი, ხორას სახითაა გამოვლენილი. შდრ. სპარსული, ამავე მნიშვნელობის ხერმან სიტყვა. შდრ. ხორამი (ხევს. ჭინჭ.).

**II. ხორომი** ცეკვის სახელი (ხორუმი). ათი-თხუთმეტი დავაბამთ *ხორომსა* და ვისამებთ (იმ); **ხორომი** სამა ძალუან გიგვხარდება (ინ. ჩვენ. ფუტკ.). გადატ. **ხორომია** ჭკუამხიარული, არასერიოზული „სხუაფერი ხორომია ქალია, იმის ერთათ არ გეივლება“ (ინ., ჩვენ. ფუტკ.). შდრ. I. ხორო.

**ხორასან-ი:**

საშ. ქართ. **I. ხორასანი**, ხვარასანი. ირანის სამხრეთ-აღმოსავლეთის პროვინცია. *ხორასნის* ქვეყნასა ლაშქრად ვიყავ (რუსუდ. 23, 29). იქიდან ერთად წაგვასხეს *ხორასანსა* (სამ. VII, 122).

საშ. ქართ. **II. ხორასანი** *Artemisia cina*. ცოტა *ხორასანი* გაურიე შიგა (ფანასკ. 62, 36).

**ხოროსანი-ი:**

საშ. ქართ. **I. ხოროსანი**: იხ. I. ხორასანი. ხოროსანი ◊ ხოროსნის ტყვე იგივეა, რაც ხორასნის ტყვე (იხ. ხორასანი). ეს კი *ხოროსნის ტყვესავით* ცხოვრობდა ობოლივითა (ბაჩ.). ხოროსნული იხ. ხორასნული. ტახტაზე დაუკიდებავ მუცალის ძმისა მკლავია, ვერცხლით მორთული ბაზალა, ეგ *ხოროსნული* ხმალია (ვაჟა).

ახ. ქართ. **II. ხოროსანი** 1. [*Artemisia cina*] ბოტან. მრავალწლოვანი ბუჩქბალახა მცენარე რთულყვავილოვანთა ოჯახისა; აქვს დაბალი ღერო, ვიწრო ნაწილებად დანაკვეთული ფოთლები, პატარა კალათებად შეკრებილი ყვითელი ყვავილები. 2. ამ მცენარისაგან დამზადებული ჭიის წამალი (გაუშლელი ყვავილები გამხმარი და დაფშენილი). შდრ. II. ხორასანი.

**ხორში-ი:**

ძვ. ქართ. **I. ხორში** უბე, კუთხე, ყურე: „*ხორშთა* მისთა: ქერაბინნი და ლომნი და დანაკის-კუდნი“ (O, III, მფ. 7, 36).

ქეგლში საბაზე დაყრდნობით ხორში ძვ. კლასიფიკაციითაა წარმოდგენილი. ხორში ძვ. „ეწოდების სვეტთა და სვეტთ საშუალოთა ადგილთა ტაძრისათა“ (საბა, ქეგლ).

ძვ. ქართ. **II. ხორში** ნაფოტი, ნათალი: „ვითარცა *ხორში* ღელვათა ზღვსათა მიმოაქუნ“ (Sin – 97, 56v).

ზან. ხორში ნაფოტი, ნათალი, თლილი ქვა. ზღვის გამონარიცი; ნაფრქვევი, ხორხომელა, წვრილი, გაყინული თოვლი; ყინულის ნატეხი; ნასახლარი, კუთხე, ყურე; ცხელი, მხუთავი; მსხვილი ხარისთვალა, ხშირ-ხორკლიანი ზედაპირი; ხვრიში, საშუალო მსხვილსა და წვრილს შორის; სვეტთა შუა ადგილი ტაძრისა; უხეში, ხეშეში ქსოვილი (მეგრ. ქობ.).

**ხოფ-ი:**

საშ., ახ. ქართ. **I. ხოფი** ნავის მოსასმელი ნიჩაბი – საბა. [ნავს] ოკენის და ქარიშხლისაგან თავის დასაცავად *ხოფის* მეტი არა ჰქონდა-რა (ი. მაჭავ. თარგმ.).

აღდგენილია ს.-ქართვ. \*ხოფ- „ნიჩაბი“ ნავის ნიჩაბი (საბა); ზან. (მეგრ.) ხვიფა ერთგვარი ნიჩაბი, ჩაღრმავება (ჩუხუა 2017).

ახ. ქართ. **II. ხოფი** (მოხევ.) «ღრმა, ჩაღრმავებული ადგილი» («დიალ.»).

ს.-ქართვ. \*ჭტაბ – ღრმა, ჩაღრმავებული; ღრუ, ორმო“> ქართ. ჭტამფი || < ჭტაფი >|| ჯოფი: ზან. ხვიპი || < ხოპი || ხოფი || ხობი: სვან. ჯაფ ||ჭაფტ < ჭტაფ (ჩუხუა 2000-2003).

**ხომორ-ი:**

საშ. ახ. ქართ. **I. ხომორი** «წვრილისა და სხვილის საშუალი» (საბა). მომსხო (შდრ. ხვრიში). [ვარდისახარმა] ძელი ჭემმარიტი გადმოილო ერ-თი, ხომორი მარგალიტებით შემკული (ვ. გამს.). || მომსხოდ დაფქული. ხომორი მარილი. – ხომორი ფქვილი.

დიალექტ. **ხომორი** მსხვილი (თოკი, ძაფი, ფქვილი...) ნართი ხომორი მოგსლია (ინ). ნამეტარი ხომორი ფქუავს (თ. ქ., ჩვენ. ფუტკ.).

ხომორი წვრილი, ხმელი შეშა (ფარცხ., ქართლ. მენთ.)

სიტყვა უნდა მომდინარობდეს არაბ-თურქ. ნაწილის აღმნიშვნელ ხომურ-სიტყვიდან.

დიალექტ. **II. ხომორი** (თ.) უხეში, ვულგარული, უშვერი. ბითევატ ხომორი ლაპაივი იცის, შექცხუება ინსანსა! (ინ.), ხომორი კაცია, რამიდან არ შერცხუება (სტ., ჩვენ. ფუტკ.).

შდრ. **ხურუმი** [სპარ. ხურუმ «გაცეცხლება», «ყვირილი»] 1. ძვ. დიდი სურვილი (რისამე). შევატყვე ჩემთან მოგზაურს მუსაიფის სურვილი და აღარ მოვუკალი ხურუმი (აკაკი). ერთხელ ივანე რუსს მოსვლოდა არაყის ხურუმი (გ. წერეთ.). 2. ვულგ. ვნებათა დელვა.

**ხულ-ი:**

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. ხული** ქოხი, ხულა – ქეგლ. სწორად მიჩნს ჩემთვის დარბაზი და ხული (ვეფხ. 677, 4). მას გაენათლა შუქითა სამყოფი, სახლი და ხული (ნ. ციც. 950, 3). აწ განათლდა სახლი ჩემი, დარბაზი და მერმე ხული (თეიმ. I, 47, 20, 4). შდრ. I. ხულა.

**ხული** გრილი ადგილი. სახლი უკან რო საწყობი ადგილია, წინ რომ მოცივარი არ იყო ანქ ჩაწყობდენ (ფერეიდ. ჩხუბ. 345).

ახ. ქართ. **II. ხული** 1. ძირნაყოფა ბოსტნეული მცენარე; იხმარება როგორც მხალეული და საქონლის საკვები. ხული რომ მიწიდან ამოილოთ, რაც ძირები აქვს მაგარი, შემოაცალეთ; აადუღეთ წყალი, ჩაყარეთ შიგ და გათუთქეთ (ბ. ჯორჯ.). 2. ძვ. კრებ. ნაჭუჭიანი ხილი (ნიგოზი, თხილი, ნუში, აგრეთვე წაბლი და სხვ.). 3. რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი. ხილ-ხული.

ახ. ქართ., დიალექტ. **III. ხული** (ქიზ.) ნალბანდის იარაღია: ნალის დახვრეტის დროს ნალის ქვეშ ამოსადები მრგვალი, გულგამოდებული რკინა (ს. მენთ.).

**ხულა:**

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. ხულა** სავაჭრო სახლი – საბა.

**ხულა** 1. ცალკე მდგომი საკუჭნაო ან მარცვლეულის შესანახი შენობა. შენ კი გომურის მაგიერად *ხულაში* დაგამწყვდევე (ილია). [სასახლეს] სამი კუთხით სხვადასხვა შენობა ერტყა: სამოახლო, სათარემო, სახაბა-ზო... და სხვადასხვა *ხულეები* (აკაკი). 2 ძვ. და კუთხ. (რაჭ.) ხის პატარა სადგომი, – ჯიხური, ბუდრუგანა. მეველეები მინდორში *ხულას* ააშენებენ («დიალ.»).

**ხულა** ცალკე მდგომი საკუჭნაო. – ყორიფელი იარაღები იმ *ხულაში* აქ ნენა შენახული (რაცხ. გურ.). **ხულა, ხულია** 1. ხუხულა პატარა ფიცრული, საძალღე ან საქათმე. 2. კაცის სახელია (ფშ. ხორნ.).

**ხულა** სასიმიდის ქვედა სართული, სადაც ჩამოდის და ინახება სასიმიდის საცეხვში მოფშენილი სიმიდი. სასიმიდის ზედა სართულში საბეგვია, ქვედა გაპოლილი *ხულაა*, სადაც ინახება გამხმარი სიმიდის მარცვალი (ჯალაურთა), მაღლა სართულში იცეხვება სიმიდი და ძირს ჩამოდის, *ხულაში* (ზედუბანი); სასიმიდეს ძირს *ხულა* აქ, სიმიდს რო დაცეხვევენ, ჩადის ქვეშ (პერევი, ზ.-იმერ. მოწ.). აგრეთვე: (რაჭ. კობახ., გურ. ჟღ., ჯავახ. ზედგ.).

ფუძის გაორკეცებით: **ხოხოლა** ბავშვების მიერ აშენებული სათამაშო ქოხი, ნაგულეებით აშენებენ (გურ. ჟღ.).

შდრ. **ხუხულა** 1. ბავშვის მიერ გაკეთებული სათამაშო სახლი. ერთხელ მარო ტახტზე იყო ჩამომჯდარი და ბანქოების *ხუხულას* აკეთებდა (ი. გოგებ.). 2. სახელდახელოდ, ზერელედ აშენებული სახლი, – ქოხმახი. ფიგურ. დავაქციეთ ჩვენი დიდი ერთიანი სამშობლო ოჯახი... და მის ნაშთის ნამტვრევებისაგან პატარ-პატარა *ხუხულები* ავაშენეთ (ილია).

**ხული** ბერძნ. -სპარს. წარმომავლობისაა (ანდრონიკაშვილი II, 1996).

ზან. **ხულა** ბეღელი (მეგრ. ფიფ.). აღდგენილია ს.-ქართვ. \*ზარ- „მარცვლეულის (ჭირნახულის) შესანახი ნაგებობა“ < ქართ. ხარო: ზან. ხულო // ხულა < \*ზარო (ჩუხუა 2000-2003).

ახ. ქართ. **II. ხულა** (ფშ. თუშ. ხევს. კახ.) მოკლეყურიანი ან სრულიად უყურო ცხვარი, – ყურა, ქარა – ქეგლ.

დიალექტ. **ხულა** ყურებდაჭრილი ცხვარი, ბატკანი ან თხა (მთ. კაიშ., მოხ. ქავთ.). **ხულია** პატარა ყურიანი, წვრილყურა ცხვარი ხულა / ხულია ყურებდაჭრილი ან უყურო ცხვარი (ხევს. თავისებ. 237, 32). შდრ. ხულია კუთხ. (ხევს.) ურქო ცხვარი – ქეგლ.

**ხულაყრ** უყურო ცხვარი. ზოგ ბატკან უყუოლაყ გამოდის. ის თათრულაყ ყოჩის ნაფერწ, თათრულაყ ცხვარ ხო ხულაყრ (თუშ. ცოც.).

აღდგენილია ს.-ქართვ. \*ზულ- ცხვარი (ჩუხუა 2017).

დიალექტ. **III. ხულა** ხურმა. ხულა ჯერ კიდევ მოუკრეფელი გვაქ (წირქვალი). **ხულმა** // **ხუმლა** // **ხურმლა** ხურმა. ეს ხულმის ხეა (ქვები). ხუმლა მოსაკრეფია (ვახანი, ფარცხნალი). *ხურმლა* კაია ზამთარში (ლოდორა) (ზ.-იმერ. მოწ.).

**ხუმარ-ი:**

საშ. ქართ. **I. ხუმარი** [არაბ. ხუმარ] ძვ. 1. ხუმრობა, მასხრობა. თავის ქმარს უზამს ასეთს *ხუმარსა*, არ გამოუწყვეტს სახლში სტუმარსა (დ. გურამ.).

**ხუმარი** (ხუმარა) მასხარა. „ნუ გეშინიან, ძმაო, ისი კაცი *ხუმარი* არისო (ამირან. 83, 1).

**ხუმარი** ხუმრობა, მასხრობა. „ერთხან სტუმარივ, ორჯერ სტუმარივ, მესამედ რაღა ხუმარივ?!“. ხუმარა ხუმრობა, მასხრობა. ბერო კაცო, ნუ ახყვები ყმაწვილების *ხუმარსა*, ძაღლებია ყმაწვილების ხუმარასა, ძაღლებია ყმაწვილები, ჩამოგაცემენ ტუმარასა (ხევს. ჭინჭ.). ხუმარი ხუმრობა, მასხარობა (ჯჯავახ. ბერ.).

**ხუმბარი** ხუმარა, ოხუნჯი, ენაკვიმატი; მასხარა. „დიდი ხუმბარი კაცია ჩვენი მურთაზაყ (აჭარ. ნიჟ.).

ს.-ქართვ. \*ხუმარ- ხუმრობა; ხუმარა; თამაში. ქართ. ხუმარი მასხარა (საბა). ხუმრობა მესხ. ხუმარი თამაში სვან. ხუმარ-/ხუმარ-, ლი-ხუმარ- ზღ ხუმრობა (ბუკია 2016, 66-67; ჩუხუა 2017; აბულაძე 1974).

საშ. ქართ. **II. ხუმარი** (არ. ხუმარ) ნაბახურევი, ღვინის სმის შემდეგ უგუნებოდ ყოფნასა ჰქვიან. კაცი რომ ნამთურალევი იყოს და ან *ხუმარი* იყოს (იად. 185, 37). დილეულ კაცი ადგეს და *ხუმარი* იყოს და ამა ღვინისა ბუხარი და სიხმელე კაცსა თავსა, ძარღუსა და ასოშიგა დარჩეს, და მეტის მეტი ამა ღვინისა ძალი და ბუხარი კაცსა თავსა და კეფასა შემოსჭიდოს (იად. 246, 11).

შდრ. **ხამარი** მეღვინე; მიკიტანი, მედუქნე. მიწყით მისი ტანისამოსი ხამართა თანა დაწინდულია (ვისრ. 105, 35).

სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით საბას მიერ სპარსულად მიჩნეული ხუმარი არაბულიდან მომდინარეობს. ხამარი არაბული ფორმაა, ხოლო ხუმარი სპარსული. ასევე მიიჩნევენ რომ ამ სიტყვის სემანტიკური ტრანსფორმაციით ხამმარ „ლოთმა“ მიიღო მოქმედების სახელის გაგება და იგი განიმარტება, როგორც „ხუმარი“ – ძვ. „ხუმრობა, მასხრობა“. მნიშვნელობის ამგვარი განვითარება დაკავშირებულია ქართულში ამ ძირიდან ნაწარმოები ზმნის „ხუმრობს“ ფართოდ გავრცელებასთან და მისი ძირის მოქმედების სახელად გადააზრებასთან (ლეკიაშვილი 1992, 95). სავარაუდოა აღნიშნული ლექსემის ზეპირი გზით შემოსვლაც. ცნობილია, რომ საქართველოში ოდითგანვე მეღვინეობას მისდევდნენ. ბუნებრივია, არაბთა მრავალსაუკუნოვანი უღლის ქვეშ ყოფნისას ქართველი ხალხისგან მოხდებოდა xamr სიტყვის შეთვისებაცა და აქტიურად გამოყენებაც. არაბული xumar სრული თანხმობანთა დაცვითაა გადმოსული ქართულში. მისი, როგორც არაბიზებული ფომის დამკვიდრება ჩვენში ადრეულ პერიოდს განეკუთვნება (იმედაძე 2014, 171).

**ხუმარა:**

ახ. ქართ. **I. ხუმარა** 1. ენამოსწრებული, ოხუნჯი. იასონი იყო ლამაზი ყმაწვილი კაცი, კარგი მოლაპარაკე, ხუმარა (ე. ნინოშ.). 2. ისტ. მსახური მეფის კარზე (ან დიდებულის სასახლეში), რომლის მოვალეობას შეადგენდა პატრონისა და სტუმრების გართობა მოსწრებული, სასაცილო სიტყვა-პასუხით, – მასხარა. ორაზროვან სიტყვებისა გაიმართა გამოცანა, ყველას მეფის ხუმარა სჯობს, არვინ არის იმისთანა (აკაკი).

დიალექტ. **II. ხუმარა** ხვიმირი (თონ., დვალ., ღოლოვ ქართლ. მენტ.). ხვიმირი > ხუმარა; აღდგენილია ს.-ქართვ. \*ღჷიბ- „ხვიმირი“ > ჯვიმ-ირ-ი (ჩუხუა 2000-2003).

**ხურუმი-ი:**

ახ. ქართ. **I. ხურუმი** [სპარ. ხურუმ «გაცეცხლება», «ყვირილი»] 1. ძვ. დიდი სურვილი (რისამე). შევატყვე ჩემთან მოგზაურს მუსაიფის სურვილი და აღარ მოვუკალი *ხურუმი* (აკაკი). ერთხელ ივანე რუსს მოსვლოდა არაყის ხურუმი (გ. წერეთ.). 2. ვულგ. ვნებათა ღელვა.

**ხურუმი** აღტკინება, ჟინიანობა – ი. გრიშ.

ახ. ქართ. **II. ხურუმი** – ფლავის ყოველგვარ სამკაულს (თავს) ჰქვია – ი. გრიშ.

ხურუმი სპარსული ლექსიკური ერთეულია – [xūreš // xoreš], რომლის მნიშვნელობებია: 1. ხორეში (ბოსტნეულსა და ტომატში მოთუშული წვრილად დაკეპილი ხორცი ბრინჯის შესაკმაზად); 2. დამატება; სანელე-ბელი რაც შეეხება „ქალაქურ ლექსიკონში“ მოცემულ ამ სიტყვის მეორე განმარტებას (აღტკინება, ჟინიანობა) ის შეიძლება მოდიოდეს სხვა სპარსული ლექსიკური ერთეულიდან – [xorūš], რომლის მნიშვნელობაა – ყვირილი; ხმაური. საქმე გვაქვს კონტამინაციის შემთხვევასთან, [xūreš // xoreš] და [xorūš] ერთ ლექსიკურ ერთეულად არის გაგებული (ბართაია 2010, 131).

**ხურფა:**

საშ. ქართ. **I. ხურფა** თვალის ტკივილი. სხვა ტკივილი თვალისა რომე ხურფა ჰქვია (კარაბ. I, 202, 31).

საშ. ქართ. **II. ხურფა** (არ. ხურფა) მცენ. იგივე დანდური (იუსტ. აბულაძე 1940, 536).



**ჯ**

**ჯადაგო:**

ძვ. ქართ. **I. ჯადაგო** «მეტყუელი», მჭევრმეტყველი; რიტორი, ფილოსოფოსი, მოსარჩლე, დამცველი. „შთავიდა მღდელთმოდლუარი ანანია ხუცესთა ვიეთმე თანა და ტერტვლოს ჯადაგომსა (მეტყუელისა ლ) ვისთანამე“ (საქ. მოც. 24, 1). **ჯადაგობა, ჯადაგება** ფილოსოფოსობა, მჭევრმეტყველება, რიტორობა, მოსარჩლეობა, დამცველობა. „არა მოწოდებულ ხარ შენ ჯადაგობად (ჯადაგებად ლ), არამედ მსახურებად ღმერთთა“ (საკ. წიგ. II, 37, 18).

საშ. ქართ. **II. ჯადაგო** ჯღანი – დ. ჩუბ.

ახ. ქართ. **ჯადაგო** ძვ. ცუდი ფეხსაცმელი, – ჯღანი. || გადატ. ცუდი, უმნო.

**ჯადაგო** შეურაცხი, ცუდი – დ. ჩუბ. შდრ. ჯღანი – დ. ჩუბ.

**ჯადვარ-ი:**

საშ. ქართ. **I. ჯადვარი**, ჯადეგი, ჯადოქარი, გრძნეულების მომძქმედი; ჯადეგობა გრძნეულება- დ. ჩუბ.

საშ. ქართ. **II. ჯადვარი**, ჯადვარხათაია მცენ. – დ. ჩუბ.

ახ. ქართ. **ჯადვარი** [სპარ. -არაბ. ჯადვარ] [Orchys] ბოტან. ფესვგამსხვილებული ბალახოვანი მცენარე; აქვს მარტივი ღერო, მეტწილად დაბალი, ლამაზი, დეზიანი, თავთავად შეკრებილი ყვავილები; იზრდება ტყისპირებში, ბუჩქნარებსა და მდელოებზე.

**ჯავზ-ი:**

საშ. ქართ. **I. ჯავზი** ტყუპი. ჯადვარ, *ჯავზ* ჯორით, ჯანასლან ჯამასპზე ჯავრობს ჯორითა (ვახტ. VI, 66, 29).

საშ. ქართ. **II. ჯავზი** (ჯაუზ ZAA, ინდ. ჯაუზ B) (ხე) ხეხო – საბა.

თუ ღონე არა ჰქონდეს... მიეც: ...*ჯავზი*, მათილ (ქანან. 32, 10).

**ჯავზი** (არ. ჯავზ) ნიგოზი, ბერძნული კაკალი. ინდოურს ჯავზსა და წიწმატის კაკალსა ვერ გაარჩევდა (ქილ. 476, 10).

ახ. ქართ. **ჯავზი** [არაბ. ჯავზ «ნიგოზი», «კაკალი»] 1. [Myristica moschata] ბოტან. ტროპიკულ აზიაში გავრცელებული ხე. 2. ამ მცენარის თესლი; მეტად სურნელოვანი; ცხარე, სასიამოვნო გემო აქვს. სიმონს და იმის მეუღლეს გამოეგზავნათ, ...*ჯავზი*, ილი, კოჭა და სხვანი (ი. მაჭავ. თარგმ.). [კვერცხის გული] გათქვიფეთ..., შიგ ჩააყარეთ დანაყილი ილის გული, ვანილი ან *ჯავზი* (ბ. ჯორჯ.).

**ჯალაბ-ი:**

საშ., ახ. ქართ. **I. ჯალაბი** [სპარ. ჯალაბ] 1. ოჯახი, ოჯახის წევრები, – სახლელული. ცოლ-შვილი, დედა-წული. თქვენის *ჯალაბით*, ვითხოვ, მობმანდეთ (დ. გურამ. 239, 193, 1).

ერთისა სახლის ჯალაბის დაჯოცასა ერთისა კაცისა სიკუდილი უმჯობესიაო (ქილ. 379,10).

ზაზას *ჯალაბებს* ვაჟხედ მუცელი გაუცუდდაო (სამ. IV, 80). *ჯალაბნი* თავადთან (ქ. ცხ. II, 506, 20). დარბაისელთა *ჯალაბნი* (ქ. ცხ. IV, 528, 18). *ჯალაბური* საცოლშვილე – დ. ჩუბ.

ახ. ქართ. **ჯალაბი** უწინ დიდ *ჯალაბებად* ვცხოვრობდით (ვ. ბარნ.). 2. ცოლი, სახლობა. მარცხნივ რომ მოხუცებული მიზის, ეს არის... ჩემი *ჯალაბი* (ნ. ლომ.). 3. კუთხ. (გურ.) იგივეა, რაც მოჯალაბე. კაცი თუ ჩამომავლობით *ჯალაბია*, იმას ვერც ფული მოარჯულებს! – კი, მარა ამ ცარიელმა, გაფხეკილმა აზნაურიშვილობამ რა მოუტანა ვინმეს? (ლალ.). 5. რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი. **ნათლიჯალაბი**.

აგრეთვე: დიალექტ. (ფშ. მოხ., გუდამაყრ. გურ., რაჭ.). შდრ. **ჯალაბნი** ქალის დედულეთი (თუმ. ცოც.).

ახ. ქართ. **II. ჯალაბი** (გურ.) ჯაბანი, გლახაკი. აბა სა[დ] ვიშოვე, შე *ჯალაბო*, მე ეს ჯვარი? (ჭ. ლომთ.) – ქეგლ.

**ჯალაბი** უზრდელი, უხეში. *ჯალაბი* კაცი არც ღმერთს უნდა და არც კაცსო, ასე გამიგონი, ბიძავ (ლანჩხ., გურ. ჯაჯ.). ვფიქრობთ *ჯალაბი* < *ჯაბანი*.

**ჯაბანი** [არაბ. ჯაბან] 1. მშიშარა, მხდალი, ლაჩარი (ადამიანი). დასტურდება ძველსავე ქართულში. **ჯაბანი** ლაჩარი. „*ჯაბნად* რა სახელვსდვით“ (ძიებ. სულ. მაკერინ. 35v, 33-34b).

**ჯალალ-ი:**

საშ. ქართ. **I. ჯალალი** მეკობრე, მტაცებელი – საბა; მეკობრე (არაბ.) – დ. ჩუბ.

მას ჟამსა იყვნენ ხონთქრის მამულში მრავალნი *ჯალაღნი* (ქ. ცხ. II, 403, 27). ბატონს თეიმურაზს გაემარჯუა და ამოსწყვტა მრავალი *ჯალალი* (ქ. ცხ. II, 403, 27, 30). შდრ. celâlli (თურქ.) ბოროტი, მრისხანე.

ახ. ქართ. **II. ჯალალი** შემოქმედების მქონე, ძალთა ძალი. სახელიცაა. „მისცა რამე ნაწილიც *ჯალალს*, მის ძმას“ („მოგზ.“, 1903 წ. 5-6. 151). საიათნოვასაც აქვს“ (გრიშაშვილი). *ჯალალი* (არაბ.-სპარს. ğalâl ბრწყინვალე-ბა; 2. დიდება; 3. საკ. სახელი) (ზართაია 2010, 197).

შდრ. *ჯალალდინი* // *ჯალალედინი*: *ჯალალდინი* არის ხუარაზმშას შვილი, რომელსაც მამამ გადასცა სულტნობა (ქ. ცხ. II, 163,11). თათრები რომ მოუახლოვდნენ საქართველოს, *ჯალალდინი* გაიქცა (ქ. ცხ. II, 181, 1).

**ჯამ-ი:**

საშ. ქართ. **I. ჯამი** არს ჭურჭელი ნოტიოთი – საბა.

**ჯამი** ჭურჭელი წნოვანთა სანოვაგეთა მისართმევი **ჯამი**. **ჯამი** არა-ბული არის. ჯამი დიდს – შესაკრებელს ეწოდების და *ჯამიათ* ერის შეკრე-ბილებას (თ. ბაგრატი.).

**ჯამი** და ჭიქა ყველაი (ვეფხ. 483, 3). იაგუნდისა ჯამები იყვის (ვეფხ. 1551, 1). კვლა ხომგოართა ღვინოთა ასმევდეს მათ *ჯამებთა* (ნ. ციც. 1595, 4).

მსწრაფლად ივაჭრნა... სურები ოქრო-მყარისა, კვლა იაგუნდის თა-სები, *ჯამი*, სინი და ლამბაქი ვერცხლის ბევრჯერ ასები (ნ. ციც. 1704, 1). შვიდი *ჯამი* თვალით სავსე (შჰნ. I, 627, 4). აღმოაქუს ჟამად კოვზი, *ჯამი* და საწმარნი გლეხთა (ქ. ცხ. IV, 546, 11).

ახ. ქართ. **ჯამი** [სპარ. ჯამ] 1. ჩაღრმავებული ჭურჭელი (ნახევარსფე-როს ფორმისა), ჩვეულებრივ, წვნიანი კერძის დასასხმელად. ლუკმა გა-ვარდეს, *ჯამში* ჩავარდესო (ანდაზა). გლეხს ხელში *ჯამი* უჭირავს, ღვინით სავსე, და ილოცება (რ. ერისთ.). ფიგურ. აბა რა კაცობაა მუდამ სხვის *ჯამ-ში* ცქერა; საკუთარი ოფლით ნაშოვნ ლუკმას არაფერი სჯობია! (რ. გვეტ.). 2. რაც *ჯამში* ჩაეტევა. ერთი *ჯამი* ლობიო.

დიალექტ. **ჯამი** 1. (სპარ. მინა, ჭიქა). *ჯამი* ფუნჯერის შუშა არი (თ. ქ.). არაბასი *ჯამი* გაალო (ინ.) დობტურ უთქმია, *ჯამი* ღიანა ქქონდეს ღამეშიო (ინ.). 2. თასი. „წინ ხის *ჯამებზე* ვჭამდით საჭმელსა“ (თ. ქ.). „*ჯამ-ში* ლობიაი იმიმყავდა, დედამთილმა გიმიჯავრდა (სტ., ჩვენ. ფუტკ.).

**ჯამი** ზომა-წონის ერთეული. „ერთი *ჯამი* ფქვილი არ’ნა ისესხო მა-გისგან, ხარბი ქალია“ (ჯავახ. ბერ.).

**ჯამი** ხ., ჩაჩქნის თავი (რკინისა, გლუვი) – ა. შან. **ჯამჯამა** კრიჭა, ლა-კორა, ნაველა (წისქვილისა, იმერ. ქავთ. III).

საშ. ქართ. **II. ჯამი** მუსულმანების სალოცავი ადგილი, – მეჩეთი. დაიწყეს შენება *ჯამთა* (ქ. ცხ. IV, 726, 23).

შენ გიძღვნა შვიდი სამეფო, არ შენებრ ჯიმშეტ *ჯამია* (ნ. ციც. 688, 1519, 2).

დიალექტ. იმ ფაშამ აქ ააშენებინა *ჯამი* (ჯავახ. მარტ., ბერ., ზედგ.). **ჯამე** [არაბ. fame'] საკრებულო მეჩეთი. **ჯამე** (ჯავახ., ზედგ.; გურ. ჯაჯ.).

ახ. ქართ. **II. ჯამი** [არაბ. ჯამისა] მიმატების შედეგად მიღებული რიცხვი; რისამე საერთო რაოდენობა. ხათამ... ნავაჭრის *ჯამს* დახედა (ვ. ბარნ.).

**ჯამა:**

საშ. ქართ. **I. ჯამა, ჯამასი, ჯამბაზი, ჯამბასი, ჯანბაზი** დედალი აქ-ლეში. მინდორსა შიგან კაცი ვინმე მოვიდოდა, *ჯამას* აქლემსა ჯდა თობა-რიკსა (ამირან. 217, 1). ხუთასი *ჯამა* აქლემი (შჰნ. 1539, 1). ღამით ერთსა *ჯამა* აქლემსა აჰკიდა (ქილ. 938, 11).

საშ. ქართ. **II. ჯამი, ჯამა** (არაბ.) – **ჯამა** ანუ მაჯამა ჯგუფი, ჯუმლი ერთპირადი რიცხვ – ნ. ჩუბ., დ. ჩუბ.

**ჯამბაზ-ი:**

საშ. ქართ. **I. ჯამბაზი** იხ. I. ჯამა.

საშ. ქართ. **II. ჯამბაზი** აკრობატი, მოშაითი. განისწავლენით, *ჯამბაზთებრ* წარეთ (დ. გურამ. 311, 33, 3). იქ წარმოადგენენ თავიანთს უნარებს პეტერბურლიდამ მოსული *ჯამბაზები* (მ. თუმან. 650, 13).

ახ. ქართ. **ჯამბაზი** [სპარ. ჯანბაზ] 1. თოვზე მოსიარულე, – მუშაითი. ესენი *ჯამბაზები*, მუშაითნი და მსახიობნი იყვენენ (შ. დად.). 2. ცირკის მსახიობი, – მასხარა, ხუმარა. ტყუილი რამ თვალთმაქცობა იქნება *ჯამბაზისა* (ილია).

**ჯამბაზი** (სპ.) 1. აკრობატი, მავთულზე, თოვზე მოსიარულე. 2. პირუტყვით მოვაჭრე. 3. თავისი საქმის მცოდნე, სპეციალისტი. 4. ეშმაკი, მატყუარა. „ვინცხაი საქონელ ეიყვანს, გაყიდის, ისა *ჯამბაზია* (მეზ.). „მოვდა ვინმე *ჯამბაზმა* (თ.ქ.). „ერთი დედეი ყოფილა *ჯამბაზი*“ (პ.). „ქალი *ჯამბაზინა* იყო“ (ინ., ჩვენ. ფუტკ.).

**ჯანგ-ი:**

საშ. ქართ. **I. ჯანგი** ჟანგი, ჟანგება – დ. ჩუბ.

ახ. ქართ. **ჯანგი** 1. ჟანგი. 2. პირიტი – ქეგლ.

დიალექტ. **II. ჯანგი** (სპ.) 1. წვალეზა, გაჭირვება, ძნელი სამუშაოს შესრულება. „სამი დღე *ჯანგი* ვცემე და არაფერი დამიწერეს“. 2. ხვეწნა, მუდარა. „ბევრი ვეხვეწე, ბევრი ვეჯანგე და ძლივ დავითანხმე“ (ჯავახ. ბერ.). აგრეთვე: *ჯანგის ცემა* (ჯავახ. ზედგ.), შდრ. *ჯენგი* (აჭარ. ნიჟ.).

**ჯანდარ-ი:**

საშ. ქართ. **I. ჯანდარი** ჯენდარი (სპ. ჯაჰანდარ) ქვეყნის მპყრობელი, მეფე ჯეჰანდარი. შენ იტყოდი, ომის დღესა სპილო არის იგ *ჯანდარი* (შჰნ. II, 3976, 1).

მშვიდობისამ გზა მოვივა, შენ *ჯენდარო*, არავანო! (შჰნ. III, 36, 4).

საშ. ქართ. **II. ჯანდარი** ჭანდარი. მხრები *ჯანდარსა* მიუგავს, გამალოს დიდი ტორია (შჰნ. III, 194, 3).

საშ. ქართ. **III. ჯანდრის ხე** – დ. ჩუბ. *ჯანდრის ხე* 1. ახლად მოქსოვილი წინდის დასაყალიბებელი ვიწრო თავმოწვრილებული ფიცარი. 2. ცომის გასაბრტყელებელი მრგვალი ხე. [ცომი] მრგვალად გაათხელეთ *ჯანდრის* ხით (ბ. ჯორჯ.). **ჯანდრიკე** წინდის გასაჭიმი ყალიბი (ქიზიყ. მენტ.).

**ჯანდარი** [თურქ. ჯენდერე] ნაქსოვის გასაჭიმი მოწყობილობა, – საჯანდრავი **ჯანდარა** (cender) წნეხი, მოთელვა. „მოქსოვნილ შალსა მოვთელევდით, *ჯანდარაში* გავარუნებდით“ (თ.ქ., ჩვენ. ფუტკ.).

დიალექტ. **IV. ჯანდარი** (ფრანგ. gendarme) ჟანდარმი. ხალხ დააზრებით მაშინებს, როგორც ტუსალებს *ჯანდარი* (ხევს. პოეზ. 226, 14). ძველი დროება არ გინდათ, *ჯანდარს* მაშქერით ყელია (ალ. ოჩ. 54, 5; ხევს. ჭინჭ.). როიცა რო სერგო გუდაუთის მახლობლათ იარადს არიგებდა მალულათ,

მაშინ *ჯანდარებმა* დააპატიმრეს ისი (ლორემა). კლემდენ *ჯანდრეფს* (ფარცხნალი, ზ.-იმერ. ძოწ.).

ახ. ქართ. **V. ჯანდარი** (ლექს.) იგივეა, რაც შავტუხა – ქეგლ.

**ჯანდარი** შავი (ლექს. ალავ.).

**VI. ჯანდარი** „სადებავია“ (გ. თედორ.). „შაბიამნის ფხვნილი ჯანდარი და ფისი, ერთმანეთში არეული“ (გ. თედორ. II, 56). შდრ. ჟანგარო.

**ჯანღ-ი:**

საშ. ქართ., დიალექტ. **I. ჯანღი** იხ. I. ჯანყი. დიახ, დიდი *ჯანღი* გვიყვეს (სამ. VII, 207).

დიალექტ. **ჯანღი: ჯანღი თავი** ჯანყის თავი, არეულობის მოთავე (ქიზ. მენთ.).

ახ. ქართ., დიალექტ. **II. ჯანღი** ნისლი, ბურუსი. გზაში თოვლმა მოგვასწრო, *ჯანღი* ჩაგვიწვა, გზას ველარ ვიგნებდით (ვაჟა).

**ჯანღი** ბურუსი, ნისლი (ჯავახ. ბერ., ზედგ.) მთებს *ჯანღი* ჩამოდგა – შუქი დაბნელდა მზისაო (თუშ. ხუბ.).

**ჯანყ-ი:**

საშ. ქართ. **I. ჯანყი:** ირაკლის დროში ამგვარი *ჯანყი* არავის უქნია (სამ. VIII, 270).

**ჯანყი** [სპარ. ჯანგ «ომი», «ბრძოლა»] 1. იგივეა, რაც აჯანყება. *ჯანყის* მოთავე საუკეთესო პირები მტკიცედ იდგნენ თავიანთ განზრახვაზე (ე. ნინოშ.). 2. შფოთი, უკმაყოფილება. გელათელ მორჩილს... არ შეეძლო მაშინ ქუთაისში არ ჩამოპარულიყო და *ჯანყი* არ ებნია (მ. ჯავახ.).

ახ. ქართ., დიალექტ. **II. ჯანყი** 1. იგივეა, რაც ჯანღი. რას მოჰფენს თავის გარშემო ამისთანა ლამპარი? არა სინათლესა, არამედ კომლსა, *ჯანყსა* და ბურუსსა (ი. გოგებ.). 2. რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი. ნისლ-ჯანყი.

**ჯანყი** ჯანღი (ჯავახ. ბერ.). შდრ. **ჯადი** ხ., მთ., მოხ. შავი, მწვიმარე ღრუბელი ან ნისლი (ა. შან.).

**ჯარა:**

საშ. ქართ. **I. ჯარა** ჩარა წამალი, საშუალება (შჰნ. III, 36; დ. კობიძე 1974).

საშ. ქართ. **II. ჯარა:** ჯარა – სართავი დაზგა – საბა; სასთველი მანქანა (თ.) ჯაჰრა – ნ. ჩუბ. ჯარატარი ჯაჰრით საბრუნებელი ტარი – ნ. ჩუბ.

მწყობ-რიგად შესვლა-გამოსვლა, ქცევა ვით ბრუნვა *ჯარისა* (დ. გურამ., 89, 193, 3).

ახ. ქართ. **ჯარა** 1. [სპარ. jahre] პრიმიტიული მანქანა, რომლითაც მატყლს (ბამბას...) ართავენ, ძაფს ძახავენ (ზოგან მხოლოდ ახვევენ მასრაზე).

◇ ჯარას დაატრიალებს იხ. დაატრიალებს. ჯარა პრიმიტიული მანქანა,

რომლითაც მატყლს, ბამბას. ართავენ, ძაფს ძახავენ (შეგრეხენ) და გადაახვევენ. მათთვისაც აცხოზდნენ : პურის *ჯარას*, თითისტარს (გ. ლეონ.).

დიალექტ. ბამბას ართავენ *ჯარაზე* (ქიზ. მრეწ. II, II, 20, 5). აგრეთვე: *ჯარაბ* (ჩ. თუშ.) დართული ბაწრის საგრეხი ხელსაწყო (კ. ჭრელ. 265; ღლ. თუშ. ცოც.).

**III. ჯარა** (აჭარ.) იგივეა, რაც საწნახელი. შდრ. ძარა

**ჯარა** მოზრდილი ვარცლი. „ღელეში ჩევტანდით *ჯარას* და ურუბას იქ გავრეცხიდით (თ. ქ.); „*ჯარაში* ჩუუსხი მოხარშული ქეფეგი“ (ად., ჩვენ. ფუტკ.). ყურძენს... გავცლით გოდრიდან – *ჯარაში* (აჭარ. მრეწ. III, I, 166). ბაგაა ამოჭრილი *ჯარა* (აჭარ. მრეწ. I, 424).

საშ. ქართ. **IV. ჯარა, ჯაორა** მკურნალი დაჭრილთა, მოტეხილთა, ნაღრძობთა და მისთანათა. *ჯარა* (თ. ჯარრაჰ) – ნ. ჩუბ. *ჯარაობა* ხელოვნება *ჯაორა* ჰაქიმისა – ნ. ჩუბ.

ახ. ქართ. დიალექტ. *ჯარა* [არაბ. *ჯარრაჰ* ქირურგი] ძვ. იგივეა, რაც *ჯარა-ექიმი*. მე რა ვალი მაქვს მოვლისა, ექიმი არ ვარ *ჯარაო* (ვაჟა).

**ჯარა-ექიმი** ძვ. შინაური ექიმი, – ექიმბაში. ის არის ჩვენი *ჯარა-ექიმი*, ყველაფრის წამლობა იმან იცის (ვაჟა). თითონ იმავე სოფელშიაც იყო ერთი სახელგანთქმული *ჯარა-ექიმი* ოფოფაანთ დემეტრე (ილია).

**ჯარა ექიმი** (ქიზიყ. მენთ.).

*ჯარა* არაბული წარმომავლობის სიტყვაა (ჯარაჰაჰუნ დოსტაქარი, *ჯარრაჰი* (დარსაველიძე 1984, 82).

**ჯაჯა:**

საშ. ქართ. **I. ჯაზა** (სომხ.) დასჯა – დ. ჩუბ. **ჯაჯა** დამნაშავე(ს) კაცის ტანჯვა – საბა.

სხვას პატარძალს ნუ-მცა-ვისსა ნუ უნახავს ასრე *ჯაჯა!* (ბეს. 152, 29). მე ვერ ვირგე და თქვენ გარგე, ამაღ რად მიზამთ *ჯაჯასა?* (დ. გურ. 70, 60, 4). ჩქიფად გაზი, ბუნბულ-საზნად ლურსმის წვერი *ჯაჯეზია* (თეიმ. I 39, 69, 3). მე *ჯაჯასა* და ტანჯვასა ვერ მოვითმენ (ქილ. 473, 14).

დიალექტ. **ჯაჯა** მძიმე შრომა, დიდი ჯაფა. ისი ყველაზე სუქანია, *ჯაჯა* არა აქ ეხლა იმასა, ჯავრი თუ დარდი?! (ხაშ.); სულ წვალებაში და სულ *ჯაჯაში* უნდა იყოს თავისი სიცოცხლე! (ხაშ., ქართლ. ლექსიკ.). **ჯაჯა** ფშ. წამება, ტანჯვა. ძულება, *ჯაჯა* და დევნა რაღაც ბალღამად შედედებულა (ფშ. ქეშიკ.).

ახ. ქართ., დიალექტ. **II. ჯაჯა** ქორის ერთი სახეა (გურ. *ჯაჯ.*). ღრუბლებმა დაიწიეს ქვევით და *ჯაჯასავით* დააწვენენ თავზე არემარეს (ჭ. ლომთ.).

დიალექტ. **III. ჯაჯა** უხეში ქსოვილი ერთგვარი, ყისინა (შდრ. *ჯარდანა*). ფიჭვის მემოკსა კიდევ ყისინა მემოკსაც ეტყვიან, *ჯაჯა* მემოკსაცა (ლამ.); **ჯაჯა** მემოკი უბრალო კანაფით არი მოქსოვილი, თხელი, მარცვალი გავა შიგა (ტირძ., ქართლ. ლექსიკ.). შდრ. *ჯაჯია* (იმერ.) შდრ. I. ძაძა.

**ჯემა:**

ძვ. ქართ. **I. ჯემა** «მრავალი», ძლიერი, «ფრიადი». „უკუეთუ ჯემა დაშურის“ (O, ზირ. 29, 7). „ჯემა მართვს-მოყუარე არს“ (ფიზ. VII, 7). „საშესამოსლე მრავალი ფრიად“ G – „სამოსელი ჯემა ფრიად“ (M, ისუ ნ. 22, 8). „ჯემა დამაშურალობითა... სენი სნეულებისად მოიწია“ (შუშ. XIV, 2). „იგი ჯემა უფროდს ღაღადებდა“ (C, მრ. 10, 48).

**ჯემა** „ნივთი ნამეტნავი“ – საბა. ნ. და დ. ჩუბ.

იხილნა ლაშქარნი შორს, ჯემად ათკეცად უფროს ლაშქართა მითასა (ქ. ცხ. II, 77, 6).

დიალექტ. **ჯემა** „უამრავი, ურიცხვი“ (მესხ. მაისურ.).

ალ. ჭინჭარაულის ზეპირი ცნობით ჯემა ჯერ და კმა სიტყვებისაგან ... არის შედგენილი. ამათი სემანტიკა უახლოვდება ერთმანეთს: შდრ. „მით არ ჯერ ვარ ქმარსა ჩემსა, მჭლე არის და თვალად ნასი“ (ვეფხ. 201, 1205). ეს ასეც შეიძლება თქმულიყო: იმიტომ ვერ ვკმაობ ჩემს ქმარს, იმიტომ უკმაყოფილო ვარ ჩემი ქმრის, რომ... შდრ. ჯერი, ძალის ჯერი... ისუ ნავეს „ჯემა ფრიად და „მრავალი ფრიად“ ალბათ „საკმაოდ ბევრს“ უდრიდაო. ...

საშ. ქართ. **II. ჯემა** ჯერკმა შიპი, ძარღვი კლდისა, მიწისა – დ., ნ. ჩუბ. ძარღვი. ვეჭვობ რომ იგივე სიტყვაა რაც ძველ ქართულში დადასტურებული ჯერკმა. ჯერაკუმია.

შდრ. ჯერაკუმია სვეტს ზედა კამარასასა შეჰკვრენ და შუა ადგილს დაუტევენ და გარემოს აღაშენებენ სახლებს; შუა ადგილი არის ჯერკმა – საბა.

**ჯერაკუმია** მოხუცთა თავშესაფარი: „ვპოეთ ჯერაკუმიასა მას შინა პატრიარქისას სამასთორმეტი სული“ (H – 341, 716). **ჯერაკუმელი** ვინმე მოხუცთა თავშესაფრიდან: „აღესრულა ოდესმე ერთი ძმათაგანი ჯერაკუმელთაჲ“ (ლიმ. 4, 29).

**ჯილა:**

საშ. ქართ. **I. ჯილა** (ოსმ.) ზედ გაელვარებული – დ. ჩუბ.

საშ. ქართ. **II. ჯილა** ცუდი ვეგი – საბა.

ჰაი, შე უშნოვ! როგორ უმიზნებ?! მთელი ნაბიჯით ასცდა ჯილა! (ვ. ბარნ.)

დიალექტ. **III. ჯილა** აზიდული ქედი ბულისა. „ჯილა გაიკეთა ბულამაო“ (ფარცხ. ქართლ. მენთ.).

დიალექტ. **IV. ჯილა** წილი – ვ. ბერ.

**ჯილებ-ი:**

საშ. ქართ. **I. ჯილები** ზროხის მომსრველი სენი – საბა.

ახ. ქართ. **ჯილები** ძვ. იგივეა, რაც ციმბირის წყლული.

ახ. ქართ. **II. ჯილები** კუთხ. (გურ.) 1. უგზო, ძნელად გასავლელი ადგილი. 2. გადატ. ჯიუტი და შეუგნებელი ადამიანი. შდრ. **ჯილე** წყალ-

თაგან გამოფლატული საბა. დ. ჩუბ. **ჯილი** დარანი (ქართლ. ძიძ., კეცხ., ხუბ.) – ალ. ღლ.

ს.-ქართვ. \*ძილ-ყორვა, გავსება“ > ქართ. „ჯილი“-, ჯილე: ზან. ნმგილ-|| < მგილ-: სვან. ძგრ-|| ძგერ- < ძგილ (ჩუხუა 2000-2003).

### **ჯინ-ი:**

სამ., ქართ. **I. ჯინი** გოდორ-მარჯილი საბა. *ჯინსა* შინა მსხდომარენი ბნელსა... იმღერდიან მწუხარისა ვმითა (ქ. ცხ. IV, 24, 28).

ახ. ქართ. **ჯინი** 1. მოწნული, პირგანიერი და დაბალი კალათა ტვირთის საზიდავად; ორ კაცს სახელურებით მიაქვს (ან ურემზე დგამენ). [უშიშა] მუშაობდა..., *ჯინები*, კალათები, კოდები, კასრები, ბაკიც გააახლა (ვ. ბარნ.). ფიგურ. ჩუმად მიცურავენ საბაგრო გზაზე მაიმუნებივით ცალხელით დაკიდებული რკინის *ჯინები* (ა. ბელ.). 2. (ფშ. თუმ.) ამგვარად მოწნული საწოლი. იგი იწვა ჩალადაგებულ წნელის *ჯინში*, რომელიც ზაფხულობით დერეფანში ედგა (ვაჟა). 3. (ქართლ.) იგივეა, რაც საცეხვაკი, საცეხველი (მნიშვ. 2). 4. (ქართლ.) იგივეა, რაც სასიმინდე.

**ჯინი** 1. საქონლის პატივის გასატანი. 2. სიმინდის საზამთროდ შესახი, მოწნულია. 3. საკაცესაც ეძახიან (ი. გრიშ.).

იხ. აგრეთვე მეტნაკლები სემანტიკური გადაწევით (გურ. მრეწ. IV, II, 148, ქართლ. მრეწ. IV, II, 111, ქიზ. მრეწ. IV, II, 78, იმერ. გაჩ., იმერ. ჯაჯ., თუმ. მრეწ. I, 437, ზ.-იმერ. მოწ., ფშ. მრეწ. I, 181, ზ. ქართ. მრეწ. I, 231).

აღდგენილია ს.-ქართვ. \*ძარ-/ძან „ვარცლი, გოდორი > ძარი // ძარო, ძობანი < \*ძან-ობ-ი: ზან. ჯორ-ოფ-ა, ჯინ-ი < \*ჯგნ-ი < \*ჯონ-ი: სვან. ჯარ // ჯარ (ჩუხუა 2000-2003).

სამ., ახ. ქართ. **II. ჯინი** დემონი, ავი სული, ჭინკა, ქაჯი. ფარვენ მიწას სიმრავლითა, მოვიდოდენ, ვითა *ჯინი* (შჰნ. III, 145, 3).

სამ., ახ. ქართ., დიალექტ. **ჯინი** (არაბ.) სპარსულად ფერია, ზღაპრულად კეთილი სული, შემწე კაცთა და წინააღმდეგი დევთა – დ. ჩუბ. **ჯინი** [არაბ. džinn] 1. ავი სული, გრმნეული, დემონი. ჯინი (არ.) ბოროტი სული, დემონი. „ჩუენი დედეი ტყეში ჯინებმა დეიკავეს“ (თ. ქ., ჩვენ. ფუტკ. აგრეთვე: ფერეიდ. ჩუხუა).

სამ., ახ. ქართ. **III. ჯინი**: ჟინი (ინად E.; [ჯინ] E) მოუშლელი წადილის ქნა – საბა. **ჯინი** ვიეთნიმე ხმარობენ ნაცტლად ჟინი. **ჟინი** ახირება, მოუშლელად წადილის ქნა, **ჟინიანი**, დაჟინებული ახირებული – ნ. ჩუბ.

**ჯინი**: (იმერ. გურ.) იგივეა, რაც ჟინი. ჩემი *ჯინი* სჭირს და განგებ მიყო ეს საქმე! (აკაკი). ვიყაროთ მტრის *ჯინი* (ე. ნინოშ.). *ჯინზე* ზმნს. ჯიბრით, ჯიბრზე. მტრის *ჯინზე* მენახო შინ მოსული, კარგად მყოფი და დაწინაურებელი! (ქ. ლომთ.). **ჯინი** ჟინი, შურისძიება (გურ. ჟღ.). **ჯინმა მოუარა** გაკერპდა, გაჯიუტდა. მაგას რო *ჯინი მოუვლის* რო დაკლა, ფეხს ვერ მოაცვლევინამ (ჯავახ. ზედგ.).



დიალექტ. **IV. ჯინი**: ბოხობი ქუდი... ზონრებით იყო გაწყობილი. ერთი ჯინი რომ ცერზეა მიწყობილი, მეორე ჯინი განზეა მოვლებული (ჯინი, რიგი, წყება (ლექს. მრეწ. III, I 234). ჯერი?

ახ. ქართ. **V. ჯინი** (ინგლ. gin) მაგარი ალკოჰოლური სასმელია – მ. ჭაბ.

### ჯინს-ი:

სამ. ქართ. **I. ჯინსი / ჯინში**: რაც სტეფანას ან ასალები მქონდა, ან ნაღდი, ან *ჯინსი*, ან სახლის რიგი ყველა ადამ სტეფანას მაჩუქე (სამ. IV, 382, ქვ. 15). თექვსმეტის თუმნის ნაღდი თუ *ჯინში* ღირებულის ფასისა იესე ამილახორიშვილმა ზარიძეს გიორგის უნდა შეუსრულოს და მისცეს (სამ. IV, 511, ქვ. 10).

დიალექტ. **II. ჯინსი** (არ. cins) მოდგმა, თაობა, ჯიში, ოჯახი, რასა. ამოგიქოქა ღმერთმა შენი *ჯინსი!* (ინ). რუსმა რამდონი *ჯინსის* ხალხი გადაყლაპა, იცი?! (ჰილ). დოსტი მონახვამდი *ჯინსინა* მეიკითხო (სტ. ჩვენ. ფუტკ.). *უჯინსო* უჯიშო, ცუდი მოდგმისა. „ეის *უჯინსოა*, პრატი არ მიიცემა (ინ., ჩვენ. ფუტკ.).

ყტალა *ჯინსის* საჭმლიდან, რახიდან... გაწყობილია ბეგებთან (მარი, იმერხ.); „ესენი სხვა *ჯინსის* არიან ჩვენ სხვა ჯინსის“ (ნოდ. აჭარ. დიალექტ.; აჭარ. ნიჟ.).

**ჯიმი, ჯინსი** ჯიში, ჯიმსიანი, ჯიშიანი, კარგი ჯიშის. *ჯიმსიანი* ქალი შემხვდა, ისრე უვლის ობლებს, როგორც საკუთარი დედა. **ჯიმში** ჯიში, მოდგმა. მაგარაიანი ავკაცობა მაგათ *ჯიმშით* მოსდგამთ. **ჯიმშიერი** ჯიშიანი, ჯიმსიანი. *ჯიმშიერი* კაცი მაგრან რამეს ხო არ იზამს! **ჯიმში-ჯილაგი** ჯიში-მოდგმა. გაწყვა მაგათი *ჯიმში-ჯილაგი*, თავი *ჯიმსს* ხო არ დაკარგამს (ჯავახ. ზედგ.).

შდრ. **ჯიში** [არაბ. ჯინს] მოდგმა, ჩამომავლობა, ჯილაგი. ერეკლეს წმინდა არაბული *ჯიშის* ცხენი ჰყავდა (ნ. ლომ.). ყველაფერი უხვად მოიპოვებოდა... [ნინიკას] სახლში: ძროხა, ...ორი კაი *ჯიშის* დედა ღორი (ეკ. გაბ.).

ახ. ქართ. **III. ჯინსი** (ინგლ. jeans მრ.) გარკვეული სახის ბამბის ქსოვილისაგან შეკერილი ქსოვილი (ჩვეულებრივ ვიწროდ მორგებული) **ჯინსის კაბა** (კურტაკი და სხვ.). ამ ქსოვილისაგან შეკერილი კაბა (კურტაკი და სხვ.) – მ. ჭაბ.

**ჯინსები**: ეს სიტყვაც წარმოშობით ინგლისურია ჯეანს და მხოლოდ მრავლობითი ფორმით იხმარება. ამასვე იმეორებს ფრანგული და რუსული ჯინსები. ქართულში კი ძირითადად რუსულის ანალოგიით მკვიდრდება ერთი ნივთის მრავლობითით აღნიშვნა. მართებული ფორმით გამოყენება ორივე რიცხვში გვხვდება (მაღრაძე 2008, 145-150).

**ჯინჯილ-ი:**

საშ. ქართ. **I. ჯინჯილი** ჯაჭვი, ბორკილი (სპარს. ზანჯირ). ზედ მივარდა ფრიდონ, თავის *ჯინჯილებით* მაგრა ჯელი შეუკრა (შჰნ. III, 308, 23). მრავალი ბედაური ძალის ოქროს *ჯინჯილებითა* ეჭირათ (რუსულდ. 268, 9).

ახ. ქართ. **ჯინჯილი** 1. იგივეა, რაც ჯაჭვი. ჯიშა და ჯილაგს კაცი *ჯინჯილით* უჭირავსო (ანდაზა). გამძლე ღვედია! თუ არ ეყოფა, ჯაჭვს ვაშველებ, უწყვეტ *ჯინჯილებს* (ვ. ბარნ.). 2. ძალის რკინისკბილებიანი ყელსაბამი. 3. კუთხ. (კახ.) იგივეა, რაც ფანფარა 2. 4. ფოჩებანი ზონარი ან ყაითანი. [გიორგის] თავი ყაბალახით... შეეხვია და... აბრეშუმის *ჯინჯილები* მარცხენა ყურზე გადმოეფინა (პ. ჩხიკვ.). ჩამოუვლიდა გამწკრივებულ ჯარს *ჯინჯილებით* და დეხებით შემკულ-მოკაზმული [თენგიზი] (ვ. ბარნ.).

აგრეთვე: დიალექტ. **ჯინჯილი** (ქიზ. მენტ., მესხ. ქიზიყ. დიალექტ., 653).

საშ. ქართ., დიალექტ. **II. ჯინჯილი** ციხე. ყველას *ჯინჯილში* ჩავალპობ (სამ. VIII, 718, 11). დაიჭირეს *ჯინჯილს* მისცეს (ი. ბარათ.). შარშან რომ რუსები შემოვიპირე, ივანე პატარა დიღმიდან ნიკოლა *ჯინჯილხანიდან* (ი. ბარათ. 273, 2).

„ტუსალხანას“ გვიანფეოდალური დოკუმენტები „უფრო ხშირად „ჯინჯილხანას“ უწოდებენ. ერეკლე II-ის 1785 წ. ბრძანებაში სხვათა შორის ნათქვამია: „მელიქო ავეტიქ, მანდ *ჯინჯილხანაში* დიდო არის დაჭერილი, ეგ აუშვი“. თბილისის „ჯინჯილხანას“, როგორც საპატიმროს, იხსენიებს იესე ბარათაშვილიც. „ტუსალხანაში“ დამნაშავე ან ებათ, ან კიდევ დამწყვდეული ჰყავდათ; დამნაშავის დასაბმელად ჯაჭვი ანუ ბორკილი იყო გამოყენებული. ამიტომაც „ჯინჯილის მიცემა“, პატიმრობასთან ერთად „ჯაჭვის დადებასაც“ ნიშნავდა (მესხია II, 1983, 664).

დიალექტ. **III. ჯინჯილი** იგივეა, რაც ძუნძული, ნელა მძიმე სირბილი – ა. სიხ.

**ჯორჯ-ი:**

ძვ. ქართ. **I. ჯორჯმოსილი, ჯურჯმოსილი** ჩულით მოსილი: „*ჯორჯმოსილი* ქუეყანას ზედა წევნ“ (არსტ. 62, 14). „*ჯურჯმოსილი* ხალენითა დავალნ კარაულითა“ (ნრს. 74, 20).

საშ. ქართ. **II. ჯორჯი**, ჯორჯანელი ქართველი. ვისრ. – დ. ჩუბ.

საშ. ქართ. **III. ჯორჯი** «მოდიდო და უსუფთაო» (საბა), მსხვილი, ტლანქი, უხეში. ყურდგლის გამდრეკსა *ჯორჯს* ძაღლსა არ სდებენ სამაბუნოდა (საბა). ღჯინობს ჟინობს, ჟინიანობს. ჯინობს, ჯირკობს *ჯორჯი* ჯღუნა (ბეს. 97, 20). ახ. ქართ. ფიგურ. ისევ არ იცვლის ბიჯსაც შარაველ, *ჯორჯი*, ჯიუტი და თავაყრილი (გ. ლეონ.).

ჰ

**ჰავან-ი:**

ახ. ქართ. **I. ჰავანი** [ჰოლან. haven] ზღვის ყურე, მოხერხებული (ან საგანგებოდ მოწყობილი) გემების მისაყენებლად, – ნავსადგური.

ახ. ქართ. **II. ჰავანი** [თურქ. ჰავან] კუთხ. (აჭარ.) თამბაქოს საჭრელი დანა-მანქანა. სექვზე თუთუნის საჭრელი ჰავანი იდგა (ფრ. ხალვ.). ჰავანი // ხავანი – „თამბაქოს საჭრელი მოწყობილობა, „დანა-დაზგა“: „თუთუნი ჰავანზე დაჭრა“ (ინ. ჩვენ. ფუტკ.).

**ჰალი-ი:**

დიალექტ. **I. ჰალი** (არ. hal) ძალა, ღონე, შეძლება. „შენ რომ დიგინახავ, დაჰა ჰალი მომივა“ (ინ.). „ჰალ, ვახტი გონჯი არ გვაქ“(თ. ქ.). „ჩემი ჰალი რანა იქნასო“ (ტ., ჩვენ. ფუტკ.). აგრეთვე: აჭარ. ნიჟ.

დიალექტ. **II. ჰალი** (არ.) უსიამოვნება, გასაჭირი, მძიმე მდგომარეობაში ყოფნა. „ბაბოი რა ჰალშია იცი?!(თ.ქ.) „იმფერი პატარაი გზები იყო, რომ ხარი არაბაით რა ჰალით გევიარდით“ (ინ., ჩვენ. ფუტკ.).

საშ. ქართ. **III. ჰალი** // **ჰილი** მცენ. –აილე ჰალი, და ყაყულია და ბას-ბასა (ფანასკ. 148, 21). შდრ. (სპ.) ჰილ.

**ჰალო:**

ძვ. ქართ. **I. ჰალო, ალოვე, ალოვეზ, ალო** aloe: „მოიღო მური შეზავებული ჰალოდთურთ ვითარ ას ლიტრა“ (C, ი. 19, 39). შდრ. I. ალო.

ახ. ქართ. **II. ჰალო** იხ. II. ალო. როდესაც დადგებოდა ჰალო მუშაობისა... მაშინ გამოუცხადებდნენ ხოლმე გლეხებს (აკაკი).

ახ. ქართ. **III. ჰალო:** ოპტიკური მოვლენა – თეთრი ან ცისარტყელასებრი წრეები (ცრუმზე, ცრუმთვარე); გამოჩნდება ხოლმე ატმოსფეროში შეტივტებული ყინულის პაწაწინა კრისტალებში სინათლის გარდატეხისა და არეკვლის შედეგად (მ. ჭაბ.).

**ჰალო:** „ალო“ შორისდებული, ხმარობენ ტელეფონით ლაპარაკის დროს: ნიშნავს: გისმენთ, მისმენთ (მ. ჭაბ.). იხ. ალო.

**ჰასაკ-ი:**

ძვ. ქართ. **I. ჰასაკი**, იხ. I. ასაკი: „ყოველთა ზედა ჰასაკთა იყოს ძაძაჲ“ (ლ. 19, 3). „ვინ შეუძლოს შეძინებად ჰასაკსა თვსსა წყრთა ერთ“ (C, მთ, 6,7). „დასრულებული არს“ C, – „ჰასაკი აქუს“ (DE, I, 9,21). „და უნდა ხილვაჲ იესუმსი, ვინ-ძი არს, და ვერ უძლო ხილვაჲ ერისამისგან, რამეთუ ჰასაკით იყო იგი მცირე“ (ლუკა 19, 3). „ესე აზნაური შემკულ იყო ყოვლითა სისრულითა და სიმდიდრითა, სიბრძნითა, ჰასაკითა და ახოვნებითა“ (გრ. ხანძთ. 248, 8). იხ. ასაკი.

**ჰასაკოვნება** სიმაღლე: „არცა *ჰასაკოვნება*, არცა ზრდაა ჯორცთა“ (A= 162 6v, 6-7a).

ძვ. ქართ. **II. ჰასაკი** იხ. II. ასაკი: „რამეთუ ყოველივე წინასწარმეტყველი რაჟამს *ჰასაკსა* თვისსა მოიწიოს, მაშინდა მადლსა მას წინასწარმეტყუელობნ“ (სინ. მრ 207, 5).

„ვთქუ, ვითარმედ: *ჰასაკი* ჩემი დაბერდეს, ვითარცა ხჭ დანაკისკუდისა მრავალ ჟამ ვცხონდე“ (იობ. 29,18).

**ჰასაკეული** ასაკოვანი: „ყოვლითურთ თვთ ასწავებნ და ჰმოდურინ მწყობრთა და მწყობრთა *ჰასაკეულთა* და *ჰასაკეულთა*“ (გიორგი მთაწმ. 171, 18).

**ჰასაკის სწორი** თანატოლი: „უწყეს სწავლათაცა საეკლესიოთა და სამდდელოთა, რომელთა შინა უმეტეს ყოველთა *ჰასაკის სწორთა* მისთასა წარმატა“ (გიორგი მთაწმ. 116, 26).

ახ. ქართ. **ჰასაკი** [გვადის ბალები] ისეთ *ჰასაკში* არიან, რომ უთუოდ რძით უნდა იკვებებოდნენ (ლ. ქიაჩ.).

შენიშნულია, რომ ჰ ბგერა ფონეტიკური დანართი ჩანს ძველ ქართულში ჰასაკი / ასაკი (ჩუხუა 2017).

### **ჰოროლ-ი:**

ძვ., ახ. ქართ. **I. ჰოროლი** იხ. I. ოროლი. „არა აღვიღე ჰოროლი მათ ზედა“ (O, ივდ. 11, 2). „დაყრდნობილ იყო *ჰოროლსა* ზედა თვისსა“ (O, II, მფ. 1, 6). „მჯედართა მბრძოლთა სახლებსა ჰკიდავენ მრავალფერი საჭურველი: ჯრმლები და *ჰორლები*, ფარები და მშვლდ-კაბარჭები“ (მ. სწ. 160, 9). **ჰორლის-პირი** «აღმახული»: „და-და-ჰყინის, იქმნის იგი ვითარცა ჰორლის-პირები“ O, – „ყინვა იქმნების სრულიად აღმახული“ (პხ. ზირ. 43, 21).

ახ. ქართ. **ჰოროლი** ძვ. იგივეა, რაც ოროლი.

მეფემ ჰოროლით დააკერა მებრძოლი მიწას (ვ. ბარნ.). აგერ შეიბნენ ორ-ორნი, ურთერთს ახეთქეს ჰოროლი (ლ. ასათ.).

საშ. ქართ. **II. ჰოროლი** ტახტრევანდი. დედაკაცი *ჰოროლში* ჯდა (ვახტ. VI, 116, 251).

შდრ. ჰორელი, ჰორლი დიდებული მოაბა, ტახტრევანდი – საბა, დ. ჩუბ.

## წყაროები

**ილ. აბულ.** – ილია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი, 1973.

**იუსტ. აბულ.** – იუსტ. აბულაძე, „ვისრამიანის“ ლექსიკონი. – ვისრამიანი, ტფ. 1938.

**აბუს. ტბ.** – აბუსერისძე ტბელი, სასწაულნი წმიდისა გიორგისნი, ქართული მწერლობა, ტ. III, თბილისი, 1988.

**გ. ავალ.** – გ. ავალიშვილი, მგზავრობა თბილისიდან იერუსალიმამდე, გამოსცა ელ. მეტრეველმა, თბილისი, 1967.

**ალგ. სალ.** – თ. სალარიძე, ალგეთის ხეობის ქართლური, თბილისი, 1978.

**ალექსანდრ.** – ა. ლექსანდრიანი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარები, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო რევაზ მირიანაშვილმა, თბილისი, 1980.

**ამირან.** – მოსე ხონელი, ამირანდარეჯანიანი, გამოსცა ლ. ათანელიშვილმა, თბილისი, 1967.

**ჟ. ამირ.** – ჟ. ამირეჯიბი, დათა თუთაშხია, თბილისი, 1978.

**ამონ.** – ამონიოს ერმისის თხზულებები ქართულ მწერლობაში, ტექსტები გამოსაცემად მოამზადეს ნ. კეჭაღმაძემ, და მ. რაფაევამ. თბილისი, 1983.

**ანდრ.** – წამებად წმიდათა მოწამეთა ანდრიანწსი და ცოლისა მისი-სა ანატოლსი; ძველი ქართული მწერლობის ოთხი ძეგლი, გამოსცა ილ. აბულაძემ, თბილისი, 1964.

**აპოკრ.** – ქართული ვერსიები აპოკრიფების მოციქულთა შესახებ, გამოსცა ც. ქურციკიძემ, თბილისი, 1959.

**არაბ.** – Арабско-русский словарь. Составитель Х. К. Баранов, М., 1957.

**არაბ. წერეთ.** – გ. წერეთელი, არაბულ-ქართული ლექსიკონი, თბილისი, 1957.

**არჩ.** – არჩილი, თხზულებათა სრული კრებული, ა. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბილისი, 1936., არჩილი, ქართული პოეზია, ტ. 3. ტომი შეადგინა ს. ცაიშვილმა თბილისი, 1975.

**ასურ.** – ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, გამოსცა ი. აბულაძემ, თბილისი, 1955.

**აჭარ. კობ.** – მ. კობერიძე, ზემო აჭარულის დარგობრივი ლექსიკა, თბილისი, 2011.

**აჭარ. ნიყ.** – შ. ნიჭარაძე, ქართული ენის აჭარული დიალექტი, ლექსიკა, ბათუმი, 1971.

**აჭარ. ჯაჯ.** – პ. ჯაჯანიძე, აჭარული ლექსიკონის მასალები. – ალ. წულუკიძის სახ. ქუთაისის პედაგ. ინსტიტუტის შრომები, XXIII, 1961.

**აჭარ. ფუტკ.** – შ. ფუტკარაძე, აჭარული დიალექტის სალექსიკონო მასალა. – აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა VI, თბილისი, 1987.

**აჭარ. ნოდ.** – ნ. ნოლაიდელი, მასალები აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკონისათვის. – აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, I, თბილისი, 1976; III, 1981.

**აჭარ. ნოდ.** – ნ. ნოლაიდელი, ხალხური კულინარიული ტრადიცია და ლექსიკა. – აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, VI ბათუმი, 1987.

**აჭარ. ნოდ.** – ნ. ნოლაიდელი, ფეიქრობის დარგობრივი ლექსიკონი (აჭარული მასალა). – აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა X, ბათუმი, 2008.

**აჭარ. სურმ.** – ნ. სურმავა, აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკიდან. – აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, I, თბილისი, 1976.

**აჭარ. სურმ.** – ნ. სურმავა, მერისის ხეობის დარგობრივი ლექსიკიდან: აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, II, თბილისი, 1979.

**აჭარ. სურმ.** – ნ. სურმავა, მესაქონლეობისა და რძის ნაწარმის შემზადების ლექსიკა აჭარულში. – აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, VII, თბილისი, 1990.

**დ. ბაგრატ.** – დავით ბაგრატონი (ბატონიშვილი), ლექსები, ქართული მწერლობა, 8, 1990.

**თ. ბაგრატ.** – თ. ბაგრატონი, განმარტება პოემა „ვეფხისტყაოსნისა“ გაიოზ იმედაშვილის რედაქციით, გამოკვლევითა და საძიებლით, თბილისი, 1960.

**თ. ბაგრატ.** – თ. ბაგრატონი, ახალი ისტორია, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო ლელა მიქიაშვილმა, თბილისი, 1983.

**თ. ბაგრატ.** – თ. ბაგრატონი, წიგნნი ლექსიკონნი, მასალები შეკრიბა, ანბანზე გააწყო, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო გ. შარაძემ, თბილისი, 1979.

**ო. ბაგრატ.** – ი. ბაგრატონი, საბუნებისმეტყველო განმარტებითი ლექსიკონი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს თ. ენუქიძემ და ნანა კიკნაძემ, თბილისი, 1986.

**ბალავ.** – ბალავარიანის ქართული ვერსიები, გამოსცა ი. აბულაძემ, თბილისი, 1957.

**ი. ბარათ.** – იესე ბარათაშვილი, ცხოვრება-ანდერძი, ქართული მწერლობა, ტ. 8, შემდგენ. ა. ბაქრაძე, რ. თვარაძე, თბილისი, 1990.

**მ. ბარათ.** – მ. ბარათაშვილი, ქართული მწერლობა, ტ. მერვე, თბილისი, 1990.

**ნ. ბარათ.** – გ. გოგატიშვილი, ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულებათა სიმფონია, თბილისი, 1973.

**ბას.** – თქმული წმიდისა მამისა ჩუენისა ბასილისი დაწყებისათვის სოლომონი იგავთადას, გამოსცა თ. ჭყონიამ, ძველი ქართული მწერლობის ოთხი ძეგლი, თბილისი, 1965.

**ბ. კეს.** – ბასილი კესარიელის „სწავლათა“ ეფთვმე ათონელისეული თარგმანი. გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ც. ქურციკიძემ, თბილისი, 1983

**ვ. ბერ.** – ვ. ბერიძე, სიტყვის კონა იმერულ და რაჭულ თქმათა, СПб., 1912; თბილისი, 1986.

**ბერძნ. გიორგ.** – თ. გიორგობიანი, ძველბერძნულ-ქართული ლექსიკონი, თბილისი, 2012.

**ბერძნ.** – Древнегреческо-русский словарь, ред. С. Соболевскийт. I-II, М., 1957-1958; Греческо-русский словарь, составленный А. Д. Вейсманом СПб., 1882.

**ბეს.** – ბესიკი, თხზულებანი, აღ. ბარამიძისა და ვ. თოფურისა რედაქციით, თბილისი, 1962.

**გ. კახ. სახლთხ.** – უ. სახლთხუციშვილი, გარეკახური ლექსიკონი, თბილისი, 2003.

**გამოსლ.** – გამოსლვათად, წიგნი ძუელისა აღთქუმისანი, ტ. I, ნაკვ. I, გამოსცა ა. შანიძემ, თბილისი, 1947.

**გარიგ.** – გარიგება ხელმწიფის კარისა, ქართული მწერლობა, ტ. 5, შემდგენელი: ა. ბაქრაძე, რ. თვარაძე, თბილისი, 1988.

**გრ. ნოს. „კაც. აგებ“.** – უძველესი რედაქციები ბასილი კესარიელის „ექუსთა დღეთადას“ და გრიგოლ ნოსელის თარგმანებისა, „კაცისა აგებულებისათვის“, გამოსცა ილ. აბულაძემ, თბილისი, 1964.

**ი. გრიშ.** – ი. გრიშაშვილი, ქალაქური ლექსიკონი, თბილისი, 1997.

**ტ. გაბ.** – ტ. გაბაშვილი, მიმოსლვა, ქართული მწერლობა, ტ. 8, თბილისი, 1990.

**გ. გელოვ.** – გაბრიელ გელოვანი, ქართული მწერლობა, ტ. 8, თბილისი, 1990.

**ფ. გორგ.** – ფ. გორგიჯანიძე და მისნი შრომანი, გამოცემა მ. ჯანაშვილისა, ტფ., 1896 (ელექტრ.).

**დ. გურამ.** – დავით გურამიშვილი, თხზულებათა სრული კრებული. კრებული შეადგინა და შესავალი წერილი დაურთო ს. ცაიშვილმა, ლექსიკონი შედგენილია ივ. გიგინეიშვილის მიერ, თბილისი, 1980.

**გურ. იმნ.** – გრ. იმნაიშვილი, გურული დიალექტი, თბილისი, 2006.

**გურ. მალაზონ.** – შოთა მალაზონია, თემურ მალაზონია, გურული, მამათური ლექსიკონი, თბილისი, 2010.

**გურ. ნიკოლ.** – ლ. ნიკოლაიშვილი, გურული ლექსიკონის შეწავლისათვის. – იკე, XXVI, 1987.

**გურ. ქდ.** – ს. ქდენტი, გურული კილო, ტფ., 1936.

**გურ. ტულ.** – ზ. ტულუში, ბუნების მოვლენების აღმნიშვნელი ლექსიკა, გურულში. – დიალექტოლოგიური კრებული, თბილისი, 1987.

**გურ. ტულ.** – ზ. ტულუში, ნიადაგებთან და მიწის საყანედ მომზადებასთან დაკავშირებული ლექსიკა გურულში, იკე, XXV, თბილისი, 1986.

**გურ. ტულ.** – ზ. ტულუში, ოჯახური და ნათესაური ურთიერთობის ამსახველი ლექსიკა გურულში. – იკე, XXIX, თბილისი, 1990.

**გურ. ღლ.** – ალ. ღლონტი, გურული ფოლკლორი, I, თბილისი, 1937.

**გუდ. შან.** – ა. შანიძე, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. I, ქართული კილოები მთაში, თბილისი, 1984.

**გურ. შარაშ.** – გ. შარაშიძე, გურული ლექსიკონი. – „ქართველურ ენათა ლექსიკა“, I, ვ. ბერიძის რედაქციით, თბილისი, 1938.

**გურ. ჯაჯან.** – პ. ჯაჯანიძე, გურული დიალექტი, I, თბილისი, 1977.

**კ. დან.** – კ. დანელია, საქმე მოციქულთა, ქართული ლექციონარის პარიზული ხელნაწერი (ძველი და ახალი აღთქმის საკითხავები) ტ. I, ნაწ. II, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს კ. დანელიამ, სტ. ჩხენკელმა, და ზ. შავიშვილმა, გამოკვლევა და ლექსიკონი აურთო კ. დანელიამ, თბილისი, 1997.

**დ. სჯ.** – დიდი სჯულის კანონი, რედ. ე. გაბიძაშვილი, თბილისი, 1975.

**დ. სააკ.** – დიმიტრი სააკაძე, ქართული მწერლობა, ტ. 8. შემდგენ.: ა. ბაქრაძე. რ. თვარაძე, 1990.

**დოკ.** – დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I, ბერძენიშვილის რედაქციით, თბილისი, 1940.

**ებრ.** – Иврит-русский словарь составил Ф. Л. Шапиром, М., 1963.

**ბ. ეგნატ.** – ბერი ეგნატაშვილი, ახალი „ქართლის ცხოვრება“. – ქართული მწერლობა, ტ. 6, შემდგენ.: ა. ბაქრაძე, რ. თვარაძე, თბილისი, 1989.

**ევსტოქ.** – ღვაწლი წმიდისა მღვდელმოწამისა ევსტოქიოასი და შვილთა მისთა პროვისი, ლულისი, ურვასიოსი და გაინოასი, ძმისწულის მისისაჲ, კ. კეკელიძე, ეტიუდები, VI, თბილისი, 1960.

**ეზეკ.** – ეზეკიელის წიგნის ძველი ქართული ვერსიები, გამოსცა თ. ცეციტიშვილმა, თბილისი, 1976.

**ეპიფ. კვპ.** – იოვანე ხუცესი, ცხორებაჲ ეპიფანე კვპრელისაჲ, საკითხავი წიგნი ძველ ქართულ ენაში, II, გამოსცა ივ. იმნაიშვილმა, თბილისი, 1966.

**ერთტომ.** – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, მთ. რედაქტორი არნ. ჩიქობავა, რედაქტორი მ. ჭაბაშვილი, თბილისი, 1986.

**ეტლ.** – ეტლთა და შვდთა მნათობთათჳს, გამოსცა შანიძემ, თბილისი, 1975.

**ეგრ. მც., იოს.** – ეგრემ ასური იოსებისათჳს; საკითხავი წიგნი ძველ ქართულ ენაში, II, გამოსცა ივ. იმნაიშვილმა, თბილისი, 1966.

**ექუს. დდ.** – ბასილი დიდი, ექუსთა დღეთაჲ, გამოსცა მ. კახაძემ. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 11(25), თბილისი, 1946.



**ვაჟა** – ვაჟა-ფშაველას მცირე ლექსიკონი, შეადგინა ალ. ჭინჭარაულმა, თბილისი, 1969.

**ვახტ. VI** – ვახტანგ მეექვსე, ლექსები და პოემები, ალ. ბარამიძის რედაქციით, თბილისი, 1975.

**ვახტ. VI, ზეთ.** – ვახტანგ მეექვსე, წიგნი ზეთების შეზავებისა და ქიმიის ქმნის, გამოსცეს თ. ენუქიძემ და ვ. კოკოჩაშვილმა, თბილისი, 1981.

**ვახტანგის ლექსიკონი** – შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, პირველი ბეჭდური (ვახტანგისეული) გამოცემა 1712 წ. აღდგენილი ა. შანიძის მიერ 1937 წ.; ფოტო რეპროდუქციული გამოცემა, თბილისი, 1975.

**ვეფხ.** – შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, ტექსტი ძირითადი ვარიანტებით, კომენტარებითა და ლექსიკონითურთ ორ ტომად, ა. შანიძისა და ა. ბარამიძის რედაქციით, თბილისი, 1966.

**ვეფხ. სიმფ.** – ვეფხისტყაოსნის სიმფონია შედგენილი ა. შანიძის ხელმძღვანელობით, მისივე წინასიტყვაობით და გამოკვლევით, თბილისი, 1956.

**ელ. ვირს.** – ელ. ვირსალაძე, ქართველ მთიელთა ზეპირსიტყვაობა, მთიულეთ-გუდამაყარი. ტექსტების მომზადება, გამოკვლევა და შენიშვნები ელ. ვირსალაძისა, თბილისი, 1958.

**ვისრ.** – ვისრამიანი, გამოსცეს ალ. გვახარიამ და მაგ. თოდუამ, თბილისი, 1962.

**ზან. სალ.** – მ. სალია, მეთევზეობის ლექსიკა ზანურში, თბილისი, 2005.

**ზ.-აჭარ. ქამად.** – მ. ქამადაძე, ზემო აჭარის ტოპონიმია. – აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, VIII, თბილისი, 1992.

**ზ.-აჭარ. კობ.** – მ. კობერიძე, ზემოაჭარულის დარგობრივი ლექსიკა, თბილისი, 2011.

**ზ.-გურ. კიწმარ.** – ნ. კიწმარიშვილი, ზემოგურული მარგალიტები, თბილისი, 2010.

**ზ.-იმერ. ასათ.** – ლ. ასათიანი, ვაზის კულტურასთან დაკავშირებული ლექსიკა ქართულში, თბილისი, 1978.

**ზ.-იმერ. ძოწ.** – ქ. ძოწენიძე, ზემოიმერული ლექსიკონი, თბილისი, 1974.

**ზ.-იმერ. წერ.** – ბ. წერეთელი, ზემოიმერული ლექსიკონი. – ქართველურ ენათა ლექსიკა, I, ვ. ბერიძის რედაქციით, თბილისი, 1938.

**ზღაპ.** – ზღაპრობანი ელინთანი, გამოსცა ილ. აბულაძემ. – „ენიმკის მოამბე“, ტ. X, თბილისი, 1941.

**თამარ.** – ჩახრუხაძე, თამარიანი, ქართული მწერლობა, 3, თბილისი, 1988.

**ს. თან.** – ს. თანიაშვილი, ამირანდარეჯანიანი, თბილისი, 1941.

**ს. თეზ.** – სოლომონ (ბიჭი) თეზელიშვილი, უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბილისი, 2005.

**თეიმ. I** – თეიმურაზ I, თხზულებათა სრული კრებული, აღ. ბარამიძისა და გ. ჯაკობიას რედაქციით, თბილისი, 1934.

**თვალად. შატბ.** – გ. შატბერაშვილი, თვალადური ქართულის ჭაშნიკი, ტ. IV, თბილისი, 1975.

**თისლ.** – თისლისა და ხახულის ხელნაწერების მინაწერები (მასალები XIII-XVI საუკუნეების სამხრეთ საქართველოს ისტორიისათვის) ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო დ. კლდიაშვილმა, თბილისი, 1986.

**თურქ.** – Турецко-русский словарь. Авторы: А. Н. Баскаков, Н. П. Голубеваидр., М., 1977.

**თუშ.** – ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბილისი, 1961.

**თუშ. უთურგ.** – თ. უთურგაძე, თუშური კილო, თბილისი, 1960.

**თუშ.** – იხ. გუდ.

**თუშ. ცოც.** – გ. ცოცანიძე, თუშური ლექსიკონი, თბილისი, 2002.

**თუშ. ხუბ.** – პ. ხუბუტია, თუშური კილო, თბილისი, 1968.

**იად.** – დ. ბაგრატიონი, იადიგარ დაუდი, გამოსცა ლ. კოტეტიშვილმა, თბილისი, 1985.

**ილია** – ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, თბილისი, 1984.

**იმერ. ასათ.** – ლ. ასათიანი, ვაზის კულტურასთან დაკავშირებული ლექსიკა ქართულში, თბილისი, 1972.

**იმერ. ბერ.** – ვ. ბერიძე, სიტყვის კონა იმერულ და რაჭულ თქმათა, სანკტ-პეტერბურგი, 1912; თბილისი, 1986.

**იმერ. გაჩ.** – პ. გაჩეჩილაძე, იმერული დიალექტის სალექსიკონო მასალა, თბილისი, 1976.

**იმერ. უკლ.** – ლ. უკლება, იმერული დიალექტის სალექსიკონო მასალა, თბილისი, 2010.

**იმერ. იმწ.** – გრ. იმწაიშვილი, გურულისა და იმერულის ურთიერთ-მიმართების საკითხისათვის. – ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, III, თბილისი, 1974.

**იმერ. ქავთ.** – ივ. ქავთარაძე, მასალები იმერული ლექსიკონისათვის. – „ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები“, თბილისი, III, 1963; IV, 1974.

**იმერ. ქავთ.** – ივ. ქავთარაძე, იმერული ლექსიკონის მასალები. – იკე, XXV, თბილისი, 1986.

**იმერ. ჯაჯ.** – პ. ჯაჯანიძე, მასალები იმერული ლექსიკონისათვის. – ა. წულუკიძის სახ. ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, IX, 1949; X, 1950-1951.

**იმერხ.** – გ. ფაღვა, მ. ცინცაძე, იმერხეული ტექსტები. – კრებული, V, ბათუმი, 2007.

**ინგ. ასრათ.** – ა. ასრათოვი, ინგილოური სასოფლო-სამეურნეო დარგის ლექსიკიდან. – კრ.: აკაკი შანიძეს, თბილისი, 1981.

**ინგ. ასრათ.** – ა. ასრათოვი, მასალები ინგილოური ლექსიკონისათვის. – მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია №2, თბილისი, 1978.

**ინგ. იმნ.** – გრ. იმნაიშვილი, ქართული ენის ინგილოური დიალექტის თავისებურებანი, თბილისი, 1966.

**ინგ. როსტ.** – ნ. როსტაიშვილი, ინგილოური ლექსიკონი, თბილისი, 1978.

**ინგ. ღამბ.** – რ. ღამბაშიძე, ქართული ენის ინგილოური კილოს ლექსიკონი, თბილისი, 1988.

**ინგ. მასალები** – საქართველოსა შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიისათვის, ივ. ჯავახიშვილის საერთო რედაქციით, 5 ტომად, ტ. III, ნაწ. I, თბილისი, 1983.

**ინდ.** – ინდოეთის კულტურის შესავალი Scribd, 51 (ელექტრ.)

**კათ. ეპისტ.** – კათოლიკე ეპისტოლეთა ქართული ვერსიები, გამოსცა ქ. ლორთქიფანიძემ, ა. შანიძის რედაქციით, თბილისი, 1956.

**კალმას.** – იოანე ბაგრატიონი (ბატონიშვილი) კალმასობა, ქართული მწერლობა, ტ. 8, შემდგენ. ა. ბაქრაძე, რ. თვარაძე, თბილისი, 1990, ტ. I, თბ., 1990, ტ. II, თბ., 1991.

**კარაბ. I** – უსწორო კარაბადინი, I, ლადო კოტეტიშვილისეული გამოცემა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა დარეჯან კუხიანიძემ, თბილისი, 1997.

**კახ. ლეონ.** – ლ. ლეონიძე, კახური დიალექტი, მესაქონლეობის ლექსიკონი, თბილისი, 1925.

**კახ.** – ა. მარტიროსოვი, გრ. იმნაიშვილი, ქართული ენის კახური დიალექტი, თბილისი, 1956.

**კლემაქ.** – წმიდა იოანე სინელი – კლემაქსი, ანუ კიბე (XXVI –XXX თავები, 183) (ელექტრ.).

**კურთხ.** – მირონის კურთხევა, ქართული მწერლობა, 5, თბილისი, 1988.

**ლაზ. ნარაკ.** – ც. ნარაკიძე, მეთევზეობა-ნაოსნობის ლექსიკიდან ლაზურში. – აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, ტ. 5, ბათუმი, 1986.

**ლაზ. თანდ.** – ა. თანდილავა, ლაზური ლექსიკონი (ლაზური ნენაფუნ), თბილისი, 2013.

**ლათ.** – И. Х. Дворецкий, Латинско-русский словарь, М., 1976.

**ალ. ლევ.** – ალ. ლეკიაშვილი, შენ ხარ ვენახი, თბილისი, 1972.

**ლექზ. ზებ.** – მ. ალავიძე, ლექზუმური ზეპირსიტყვაობა, თბილისი, 1951.

**ლექზ. ალაგ.** – მ. ალავიძე, ლექზუმური ლექსიკონი, ქართველურ ენათა ლექსიკა, I, ვ. ბერიძის რედაქციით, თბილისი, 1938.

**ლექს. ალაგ.** – მ. ალაგიძე, მასალები ლექსუმის ეთნოგრაფიისათვის. – ა. წულუკიძის სახ. ქუთაისის სახელმწ. პედაგოგ. შრომები, IX, 1949.

**ლექს. ჩიქ.** – მ. ჩიქოვანი, ლექსუმური ლექსიკონი. – ა. ს. პუშკინის სახ. თბილისის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტის შრომები, I, თბილისი, 1941.

**ლიმ.** – იოანე მოსხი, ლიმონარი, გამოსცა ილ. აბულაძემ, თბილისი, 1960.

**მ. სწ.** – მამათა სწავლანი, გამოსცა ილ. აბულაძემ, თბილისი, 1955.

**მ. ცხ.** – მამათა ცხორებანი, გამოსცა ვ. იმნაიშვილმა, თბილისი, 1975.

**ა. მაყ.** – ა. მაყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი, თბილისი, 1991.

**მეგრ. ელ.** – გ. ელიავა, მეგრულ-ქართული ლექსიკონი (მასალები), მარტვილი – თბილისი, 1997.

**მეგრ. კილ.** – ბ. კილანავა, 900 მეგრული სიტყვა (მასალები ლექსიკონისათვის), თბილისი, 1998.

**მეგრ. ყიფშ.** – ი. ყიფშიძე, Грамматика мингрельского (иверского) языка схрестоматиею и словарем, რჩეული თხზულებანი, კრებული გამო-საცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო კორნელი დანელიამ, თბილისი, 1994.

**მეგრ. ფიფ.** – დ. ფიფია, მეგრულ-ქართული სალექსიკონო მასალები, თბილისი, 1999.

**მეგრ. ქაჯ.** – ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. I, 2001; ტ. II, 2002; ტ. III, 2000, ტ. IV, (დამატებანი), თბილისი, 2009.

**მეგრ. ქობ.** – ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, თბილისი, 2010.

**მესხ. მაის.** – ი. მაისურაძე, მასალები მესხური ლექსიკიდან. – შ. რუსთაველის სახ. ბათუმის სახ. პედაგ. ინსტიტუტის შრომები, IV, თბილისი, 1954.

**მესხ. დიალექტ.** – მესხური დიალექტი, ივ. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ივ. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, თბილისი, 1961.

**მესხ. დონდ.** – ვ. დონდუა, Месхский говор грузинского языка, предисловие, тексты, словарь, რჩეული შრომები, I, შეადგინა ალ. ღლონტმა, თბილისი, 1967.

**მესხ. ძიძიგ.** – შ. ძიძიგური, მესხური დიალექტი, ქართული დიალექტოლოგიის მასალები, თბილისი, 1974.

**მესხ. ფეიქრ.** – ჟ. ფეიქრიშვილი, მესხური დიალექტის სალექსიკონო მასალა, ქუთაისი, 1992.

**მესხ. ჯავახ. ლეონ.** – გ. ჯავახიშვილი, გიორგი ლეონიძე – მესხურ ჯავახური სიტყვების მოკალმასე. – მესხეთი (ისტორია და თანამედროვეობა), ახალციხე, 2000.

**მეფ. სალ.** – უცნობი მთარგმნელი, მეფეთა სალარო, ქართული მწერლობა, ტ. 5, თბილისი, 1998.

**მეფ. I, II, IV** – მეფეთა, მცხეთური ხელნაწერი, გამოსცა ელ. დოჩანაშვილმა, თბილისი, 1982.

**მთ.** – იხ. გუდ.

**მთ. კაიშ.** – ლ. კაიშაური, მთიულურის დარგობლივი ლექსიკა, თბილისი, 1967.

**მთ. კაც.** – ვ. კაცაძე, მასალები საქართველოს მეცხვარეობის ისტორიისათვის (მთიულეთში მივლინების ანგარიში). – მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, VII, თბილისი, 1955.

**მთ.-რაჭ. ლობჯ.** – დ. ლობჯანიძე, პაპაჩემის ლექსიკონი (მთის რაჭა, იშვიათი სიტყვა-თქმანი თბილისი, B 2014.

**მთ.-რაჭ. რეხვ.** – შეადგინა გ. რეხვიაშვილმა, მთარაჭულ სიტყვათა ლექსიკონი. – დიალექტოლოგიური კრებული, თბილისი, 1989.

**მობ.** – გუდ.

**მობ.** – ივ. ქავთარაძე, ქართული ენის მოხეური დიალექტი, თბილისი, 1985.

**მობ. ქაჯ.** – ო. ქაჯაია, მასალები მოხეური კილოს ლექსიკონისათვის. – სამხრეთ ოსეთის პედაგ. ინსტ. შრომები, ტ. XI, ცხინვალი, 1967.

**მობ. ღუდ.** – ი. ღუდუშაური, მოხეურ სიტყვათა ლექსიკონი, თბილისი, 2011.

**მობ. ყაზბ.** – შ. ძიძიგური ა. ყაზბეგის ლექსიკონი, ტ. I-IV, თბილისი, 1948-50.

**მრავ.** – ვ. სილოგავა, დავით აღმაშენებლის ანდერძი შიომღვიმისადმი \1123\1124წ\, მრავალთავი, IX, თბილისი, 1981.

**მრეწ.** – მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიისათვის 1976 –1989 წწ. ტ. I, 1976; ტ. III, ნაწ. II, 1986; ტ. IV, ნაწ. II, 1987.

**მუსიკ. ენციკ.** – მუსიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი. შემდგენელი ა. თამარაშვილი, შედგენაში მონაწილეობდა გ. ტორაძე ახალციხე, 2005.

**მც. სჯ.** – მცირე სჯულის კანონი, გამოსცა ელ. გიუნაშვილმა, თბილისი, 1972.

**ალ. ნეიმ.** – ალ. ნეიმანი, ქართულ სინონიმთა ლექსიკონი, თბილისი, 1978.

**ნემეს.** – ნემესიოს ემესელი, ბუნებისათვის კაცისა გამოსცა ს. გორგაძემ, თბილისი, 1914.

**ნიკოდ.** – ნიკოდიმოსის აპოკრიფული წიგნის ქართული ვერსია, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ც. ქურციკიძემ, თბილისი, 1985.

**ნისიმ.** – ნისიმეს ცხოვრების სირიული, არაბული და ქართული ვერსიები, გამოსცა ნ. წაქაძემ, თბილისი, 1983.

**ნოგ.** – შუა საუკუნეთა ნოველების ძველი ქართული თარგმანები, გამოსცა გ. დვალმა, I, თბილისი, 1966; II, 1974.

**ოკრიბ. ძოწ.** – ქ. ძოწენიძე, მასალები ოკრიბული ლექსიკონისათვის (დანართი). – იხ. ზ. – იმერ. ძოწ.

**ოკრიბ. ალაგ.** – მ. ალაგიძე, ოკრიბული ლექსიკონი. აღ. წულუკიძის სახ. ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, X, 1950-1951.

**გრ. ორბ.** – გრ. ორბელიანი, თხზულებათა სრული კრებული, ა. გაწერელიას და ჯ. ჭუმბურიძის რედაქციით, თბილისი, 1959.

**დ. ორბ.** – დიმიტრი ორბელიანი „ცოლთან მიწერილი ალერსი გაყრისათვის“. – ქართული მწერლობა, 8, თბილისი, 1990.

**ი. პეტრ.** – იოვანე პეტრიწის შრომები, ტ. II, გამოსცა ს. ყაუხჩიშვილმა, თბილისი, 1937.

**პეტრ. ტიპ. // პეტრიწ.** – ა. შანიძე, ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი. ტიპიკონის ქართული რედაქცია, ტ. IX, თბილისი, 1986.

**პ. ხევს.** – პირიქითი ხევსურეთი, მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიისათვის, ი. ჯავახიშვილის საერთო რედაქციით, ტ. II, ნაწ. II, თბილისი, 1982.

**რაცხ. გურ.** – რაცხანაირ-გურული ლექსიკონი, სამეცნ. ხელმძღვანელი რ. ბერიშვილი, თბილისი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, ჩოხატაური, 2001.

**რაჭ. კობახ.** – რაჭული დიალექტის ლექსიკონი, შემდგენელი აღ. კობახიძე, თბილისი, 1987.

**რაჭ. ფრ.** – ლ. ფრუიძე, მევენახეობა და მეღვინეობა საქართველოში, I, რაჭა, თბილისი, 1974.

**რაჭ. ძიძიგ.** – შ. ძიძიგური, რაჭული დიალექტი, ქართული დიალექტოლოგიის მასალები, თბილისი, 1974.

**რიფს.** – წამებად წმიდისა რიფსიმესი და გაიანესი და მოყუასთა მისთაჲ. ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, II, თბილისი, 1960.

**რუსუდ.** – რუსუდანიანი, ილ. აბულაძისა და ივ. გიგინეიშვილის რედაქციით, თბილისი, 1957.

**რუსთ. მიმზამგ.** – რუსთაველის მიმზამგელები. – ქართული მწერლობა, მეხუთე, თბილისი, 1988.

**დ. სააკ.** – დიმიტრი სააკაძე, ლექსები, ქართული მწერლობა, ტ. 8, შემდგენ.: ა. ბაქრაძე, რ. თვარაძე, თბილისი, 1990.

**სააქ.** – წიგნი სააქიმოი, ლ. კოტეტიშვილის გამოცემა, ტფილისი, 1936.

**საბა II** – სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, ტ. II, აღ. ბარამიძის და და. ე. მეტრეველის რედაქციით, თბილისი, 1962.

**საბა** – ს. ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული ორ წიგნად. წიგნი I, თბილისი, 1966; თხზულებანი, ტ. IV2, გამოსცა ი. აბულაძემ, თბილისი, 1966.

**საბუთ.** – ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი I,- IX- XIII სს. თბილისი, 1984.

**საეკლ.** – საეკლესიო ლექსიკონი, წიგნი გამოსაცემად მოამზადეს ე. კვანჭიანმა და მ. გურჩიანმა, თბილისი, 2008.

**სამ.** – ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა და შენიშვნები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ თბილისი, ტ. I, 1963; ტ. II, 1965; ტ. III, 1970; ტ. IV, 1972; ტ. VII, 1981; ტ. VIII, 1985.

**სამ. ბატ. დავ.** – სამართალი ბატონისშვილი დავითისა, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო დ. ფურცელაძემ, თბილისი, 1964.

**სამშენ.** – სამშენებლო განმარტებითი ლექსიკონი (პროფესორ თამაზ ხმელიძის რედაქციით), თბილისი, 2015.

**სარფი** – სარფი, რედ. მ. ჩოხარიძე, მამია ფაღავა, ბათუმი, 2015.

**საქ. მოც.** – საქმე მოციქულთა, გამოსცა ილ. აბულაძემ, თბილისი, 1950.

**საჩინ. შარაშ.** – ნ. შარაშენიძე, საჩინოური ქართული, თბილისი, 2008.

**ზ. სარჯ.** – ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი, 1995.

**თ. სახოკ.** – თ. სახოკია, ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, თბილისი, 1979.

**სებ. გაბ.** – თქმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა სებერიანე გაბალოვნელ ეპისკოპოსისაჲ „მოციქულთა საცსენებელი“, გამოსცა ილ. აბულაძემ, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, V, თბილისი, 1963.

**სვან. ლიპარტ.** – ა. ლიპარტელიანი, სვანურ-ქართული ლექსიკონი (ჩოლურული კილო), თბილისი, 1994.

**სვან. თოფ., ქალდ.** – ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი, თბილისი, 2000.

**სიმფ. იმნ.** – ივ. იმნაიშვილი, ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი. – ა. შანიძის რედაქციით (ძველი ქართული ენის ძეგლები, 6), თბილისი, 1986.

**სინ. მრ.** – სინური მრავალთავი 864 წლისა. – გამოსცა ა. შანიძემ, თბილისი, 1959.

**სოგრ.** – სიტყვის გება სოგრატისი და სხვათა ფილოსოფოსთა, გამოსცა ლ. ძოწენიძემ, თბილისი, 1978.

**სომხ.** – Армяно-русский словарь, составили и редактировали А. С. Гарибян, Е. Г. Тер-Минасян, М. А. Геворгян, Ер., 1947.

**სოჭ. მიქ.** – ო. მიქიაშვილი, სოჭელი ქართველები და მათი მეტყველება, თბილისი, 1994.

**სპარს.** – Персидско-русский словарь. Составители М. Н. Османов, Д. Х. Дорриидр. т. I-II, М., 1985.

**სუქ.** – სუქიეთთათჳს, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი VI, გამოსცეს ე. გაბიძაშვილმა და მ. ქავთარიამ, თბილისი, 1980.

**ტიმ. ანტიოქ.** – ტიმოთე ანტიოქელი, კ. კეკელიძის რედაქციითა და გამოკვლევით. აკად. ნ. მარის სახ. ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე, VII, თბილისი, 1940.

**ი. ტფილ.** – ი. ტფილელი. – ქართული მწერლობა, ტ. 5, შემდგენ.: ა. ბაქრაძე, რ. თვარაძე, თბილისი, 1989.

**პ. უმიკ.** – პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, I, II, თბილისი, 1964.

**უნივერს. ელერდ.** – უნივერსალური ენციკლოპედიური ლექსიკონი: [3 ტომად] შეადგინა ალ. ელერდაშვილმა, თბილისი, 2004.

**უცნ.** – უცნობი ავტორი. – ქართული მწერლობა, ტომი მეხუთე, თბილისი, 1988.

**ფანასკ.** – ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილი, სამკურნალო წიგნი, კარაბადინი, გამოსცა ი. შენგელიამ, თბილისი, 1978.

**ფერეიდ. ჩიქობ.** – არნ. ჩიქობავა, ფერეიდნულის მთავარი თავისებურებანი, თსუ მოამბე, VII, თბილისი, 1927.

**ფერეიდ. თოდ.** – გ. თოდუა, ქართული ენის ფერეიდნული დიალექტი. ქართულ-ირანული ეტიუდები, II, თბილისი, 1975.

**ფერეიდ. შარაშ.** – ზ. შარაშენიძე, ფერეიდნული „გურჯები, თბილისი, 1979.

**ფერეიდ. უთურგ. და სხვ.** – თ. უთურგაძე, დ. ჩხუბიანიშვილი, ჯ. გიუნაშვილი, ფერეიდნული ტექსტები. – იკე, XXIII, თბილისი, 1985.

**ფერეიდ. ჩხუბ.** – დ. ჩხუბიანიშვილი, საენათმეცნიერო წერილები თბილისი, 2012.

**ფილ.** – „წამება ემიდისა და ნეტარისა ფილეთეოსისი“, კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, VI, თბილისი, 1960.

**გ. ფირ.** – გ. ფირალიშვილი, ქართული მწერლობა, ტ. 8, შემდგენ.: ა. ბაქრაძე, რ. თვარაძე, თბილისი, 1990.

**ფეშ.** – ფეშანგი, შაჰნავაზიანი, გ. ლეონიძისა და სოლ. იორდანიშვილის რედაქციით, თბილისი, 1935.

**ფლაგ.** – იოსებ ფლავიოსი, მოთხრობანი იუდაებრივისა ძუელ სიტყუაობისანი II, ქართული თარგმანის ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ნ. მელიქიშვილმა, თბილისი, 1988.

**ფს.-მაკ.** – ფსევდომაკარის თხზულებთა ქართული ვერსია, გამოსცა გ. ნინუამ, თბილისი, 1982.

**ფშ. ზოდ.** – ლ. ზოდაშვილი, ფშავი და ფშავლები, თბილისი, 1988.

**ფშ. გოგატ.** – გუბაზ გოგატიშვილი, ფშაური ლექსიკა, I, თბილისი, 2006.



**ფშ.** – იხ. გუდამაყრული.

**ფშ. ქეშვიკი.** – ივ. ქეშიკაშვილი, თედო რაზიკაშვილისა და ბაჩანას თხოვლებათა ლექსიკა, თბილისი, 1969.

**ფშ. ხორნ.** – გ. ხორნაული, ფშაური ლექსიკონი, თბილისი, 2000.

**ფშ. ცოც.** – გ. ცოცანიძე, ფშაური დიალექტი, თბილისი, 1978.

**ქანან.** – ქანანელი, უსწორო კარაზადინი, გამოსცა ლ. კოტეტიშვილმა, თბილისი, 1940.

**ქართ. ისტ.** – ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი I, IX-XIII სს., თბილისი, 1984.

**ქართ. მატ. ლექს.** – ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი, პროექტის ავტ. და სამეცნ. ხელმძღვ. ე. ნადირაძე; რედ. რ. მეტრეველი; ავტ. -შემდგ.: გ. არჩვაძე, მ. ბოკუჩავა, თ. გელაძე და სხვ.]. – თბილისი, მერიდიანი, 2011.

**ქართ. ლომთ.** – გ. ლომთათიძე, გამდიდრებისათვის ქართულისა ჩემისა, შემდგენელი გ. ბედომშვილი, თბილისი, 1999.

**ქართლ. ასათ.** – იხ. ზ. -იმ. ასათ.

**ქართლ. გაჩ.** – პ. გაჩეჩილაძე, ქართლური ლექსიკონი. – იკე, XVII, თბილისი, 1970.

**ქართლ. იმწ.** – გრ. იმწაიშვილი, ქართლური დიალექტი, I, თბილისი, 1974.

**ქ. ცხ.** – ქართლის ცხოვრება, გამოსცა ს. ყაუხჩიშვილმა, თბილისი, ტ. II, 1959; ტ. IV, 1973.

**ქართლ. მიძიგ., კეცხ., ხუბ.** – შ. მიძიგური, ნ. კეცხოველი, პ. ხუბუტია, ქართლური ლექსიკონი. დაიბეჭდა „შ.“ ასომდე არ გამოცემულა.

**ქართლ. ლექსიკ.** – ქართლური დიალექტის ლექსიკონი (მასალები), შემდგენლები: თ. ბეროზაშვილი, მ. მესხიშვილი, ლ. ნოზაძე, თბილისი, 1981.

**ქართ.-მეგრ. ავალ.** – ა. ავალიანი, ქართულ-მეგრულ-სვანური სიტყვანი, თბილისი, 1995.

**ქართლ. მენტ.** – სტ. მენტეშაშვილი, ქართლურის სალექსიკონო მასალა. – იკე, XVII, თბილისი, 1970.

**ქართლ. მესხ.** – მ. მესხიშვილი, ქართლური ლექსიკონი (მასალები) თბილისი, 2006.

**ქართლ. სალარ.** – თ. სალარიძე, ქართლური ლექსიკიდან. – იკე, XVII, თბილისი, 1970.

**ქართლ. ღლ.** – ალ. ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბილისი, 1974.

**ქეგლ** – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I-VIII, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, თბილისი, 1950-1964.

**ქეგლ. ახ. რედ.** – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ახალი რედაქცია, ტ. I, II, III მთავარი რედაქტორი – ავთანდილ არაბული, თბილისი, 2008, 2010, 2015.

**ქეგლ. ერთ.** – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, რედაქტ. მ. ჭაბაშვილი, თბილისი, 1986.

**ქვ.-იმერ. კუზლ** – ვ. კუზლაშვილი, ქართული ენის ქვემოიმერული დიალექტი, თბილისი, 1985.

**ქიზ. მენტ.** – სტ. მენტეშაშვილი, ქიზიყური ლექსიკონი, თბილისი, 1943.

**ქიზ. მარტ., იმნ.** – ა. მარტიროსოვი, გრ. იმნაიშვილი, ქიზიყური ტექსტები. – „ქართული ენის კახური დიალექტი“, თბილისი, 1956.

**ქილ.** – ქილილა და დამანა, სპარსულიდან თარგმნილი, მეფე ვახტანგ მეექვსისა და სულხან-საბა ორელიანის მიერ, ტექსტი დაადგინა, კომენტარები დაურთო მ. თოდუამ, თბილისი, 1975.

**ქრისტ.** – წამებად წმიდისა ქრისტინასი, კ. კველიძე, ეტიუდები, ტ. III, თბილისი, 1955.

**ქრისტ. ლექსიკ.** – ქრისტიანობის ლექსიკონი, პეტროზილო პიერო. ქრისტიანობის ლექსიკონი/პიერო პეტროზილო; [იტალ. თარგმნა მ. სააკაშვილმა; რედ. მ. ლაღანიძე, თბილისი, 2011.

**ქსე** – ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, 1-11, თბილისი, 1975 – 1987.

**ქსნ. სომხ.** – ვ. სომხიშვილი, ქსნის ხეობის ქართლური, თბილისი, 1981.

**ალ. ღლ.** – ქართულ-კილო თქმათა სიტყვის კონა, შემდგენელი ალ. ღლონტი, თბილისი, 1984.

**ალ. ყაზბ.** – შ. ძიმიგური, ა. ყაზბეგის ლექსიკონი, თხზ. I-IV, თბილისი, 1948-50.

**ყარ.** – ყარამანიანი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, წინასიტყვაობა და ლექსიკონი დაურთეს ალ. გვახარიამ და ს. ცაიშვილმა, თბილისი, 1965.

**შავთ.** – იოანე შავთელი, აბდულმესიანი, გამოსცა ი. ლოლაშვილმა, თბილისი, 1964.

**შავშ.** – შავშეთი, წიგნის ავტორები: მ. ფაღავა, თ. შიოშვილი შ. მამულაძე და სხვ.; რედაქტორი მ. ფაღავა, ბათუმი, 2010.

**შატბ.** – შატბერდის კრებული, გამოსცეს ბ. გიგინეიშვილმა და ელ. გიუნაშვილმა, თბილისი, 1979.

**შჰნ.** – შჰანამეს ანუ მეფეთა წიგნის ქართული ვერსიები I, ი. აბულადის გამოცემა, თბილისი, 1916; შჰანამე ტ. II, ისტ. აბულადის, ალ. ბარამიდის, პ. ინგოროყვას კ. კველიძის და ა. შანიძის რედაქციით: კომენტარებით და ლექსიკონით, ტფ., 1934; აბულ ყასიმ ფირდოუსი, შჰანამე, ქართული ვერსიები, ტ. III, გამოსცა დ. კობიძემ, თბილისი, 1974.

**ჩვენ. ფუტკ.** – შ. ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული, ბათუმი, 1993.

**დ. ჩუბ.** – დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, სასტამბოდ მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო ა. შანიძემ, თბილისი, 1984.

**დ. ჩუბ.** – ქართულ-რუსულ-ფრანციკული ლექსიკონი, ქმნილი დავით ჩუბინოვის მიერ სპბ. 1959 (ელექტრ.).

**ნ. ჩუბ.** – ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ, ალ. ლლონტის რედაქციითა და გამოკვლევით, თბილისი, 1961.

**ნ. ციც.** – ნ. ციციშვილი, შვიდი მთიები, ქართული მწერლობა, 5, შემდგენ.: ა. ბაქრაძე, რ. თვარაძე, თბილისი, 1988.

**ძვ. შეერთ. ლექსიკ.** – ძველი ქართული ენის შეერთებული ლექსიკონი, შედგენილია ილ. აბულაძის, აკ. შანიძის, ივ. იმნაიშვილის, ს. ყაუხჩიშვილის, კ. კვეციანის, ზ. სარჯველაძის და სხვა ავტორთა ლექსიკონური წყაროების მიხედვით, თბილისი, 2008.

**შ. ძიძიგ. ქრესტ.** – შ. ძიძიგური, ქართული დიალექტების ქრესტომათია ლექსიკონითურთ, თბილისი, 1956.

**შ. ძიძიგ.** – შ. ძიძიგური, ქართლში ჩატარებული სალექსიკოლოგიო მუშაობის ანგარიში, ენიმკის მოამბე, II, თბილისი, 1937.

**წ.-თუშ. ქადაგ.** – დ. ქადაგიძე, ნ. ქადაგიძე, წოვა-თუშურ-ქართულ-რუსული ლექსიკონი, გამოსაცემად მოამზადა რ. გაგუამ არნ. ჩიქობავას რედაქციით, თბილისი, 1984.

**ჰან. მარი** – Н. Я. Марр, Грамматика чанского (лазского) языка с хрестоматией и словарем, С. -Пб., 1910.

**ო. ჭყ.** – ი. ჭყონია, სიტყვის კონა, საბა – სულხან ორბელიანისა და დავით ჩუბინაშვილის ლექსიკონებში გამოტოვებული სიტყვები, ნ. მარის რედაქციითა და წინასიტყვაობით, სპბ., 1910.

**ხევს.** – იხ. გუდამაყრული.

**ხევს. თავის.** – ალ. ჭინჭარაული, ხევსურულის თავისებურებანი, თბილისი, 1960.

**ხევს. ჭინჭ.** – ალ. ჭინჭარაული, ხევსურული ლექსიკონი, თბილისი, 2005.

**ხოსრ.** – ხოსროვ-ამირ ხოსრო დეჰლევი, ხოსროვ შირინიანი, ტექსტი დაადგინა, გამოკვლევა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო ნ. გიგაშვილმა, თბილისი, 1979.

**ხუროთ. კვირკვ.** – თ. კვირკველია, ხუროთმოძღვრული განმარტებითი ლექსიკონი, თბილისი, 1971.

**ჯავახ. ბერ.** – გრ. ბერიძე, ჯავახური დიალექტის სალექსიკონო მასალა, თბილისი, 1982.

**ჯავახ. ზედგ.** – გ. ზედგენიძე, ჯავახური ლექსიკონი, თბილისი, 2014.

**ჯავახ. მარტ.** – ა. მარტიროსოვი, ქართული ენის ჯავახური დიალექტი, თბილისი, 1984.

**ჯავახ. მელიქ.** – ს. მელიქიძე, ჯავახურის ლექსიკიდან, ჯავახეთი I, ახალციხე, 2002.

**ჰომილ. მელიქ.** – ქართული ნათარგმნი ჰომილეტიკური ძეგლები, I, ეკლესიის მამათა სწავლებანი ღვთის განკაცების შესახებ. კრებული შეადგინა, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და ლექსიკონი დაურთო ნინო მელიქიშვილმა, თბილისი, 2010.

### ელექტრონული წყაროები

- ადამიან. – ადამიანი (WordPress. com)  
 ბაზ. – ბაზიერი (www. bazieri. ge)  
 გალაქტ. – ჯუჯა გალაქტიკა (Antlia – Actronet.Gei)  
 ეთნო-კულტურული პროცესები საქართველოში ლავრენტი  
 ჯანიაშვილი (www.nplg.gov.ge)  
 ეთნოს. – ეთნოსები საქართველოში (www.pmmg.org.ge)  
 ზევს. – ზევსის ქანდაკება ოლიმპიაში (უცნაური ბლოგი)  
 ზნენ. – ზნენი სამამაცონი – 5, ხალხური პოეზიიდან / მატეკარი15,  
 ცხენოსნობა / მატეკარი  
 ინად. – ინადირე. (Inadire.ge)  
 კომენტ. – კომენტარი (Comments – Facebook.)  
 კულინ. – ბარამბო (Dolce – Savi Sokoladi)  
 მაგიდ. – მაგიდის თამაშების წესები (www. europebet. com/ka)  
 მარკეტ. – მარკეტი (MyMarket. ge)  
 ნადირ. – ნადირობა და თევზაობა (www. monadire.)  
 ოჩოპინტ. -დათვი – ოჩოპინტრე (Ochopintre. Ge)  
 რელიგ. – წინადაცვეთა იესო ქრისტესი (რელიგია)  
 რემბრ. – რემბრანდტი (ფაუსტი) (Molly Bloom's Day)  
 სამზარ. – ქართული სამზარეულოს მშვენიება  
 საუნჯე. – საუნჯე (Saunje. ge.)  
 ფილმ. – ფილმი 2015 წლის 100 ფილმი  
 ტარ. – ტარო – არკანების ისტორია (taros saloni)  
 შახტ. – „ნახშირის შახტების უსაფრთხოების შესახებ“ (teqnikuri  
 ...http)  
 ხერხემ. – ხერხემალი (ვიკიპედია)  
 ჯალალ. – ჯალალედინი (ვიკიპედია).

## ლიტერატურა

**აბაევი** – В. И. Абаев, Историко-этимологический словарь осетинского языка. 1958 -Т. 1. Москва-Ленинград; 1973 – Т. 2. Ленинград; 1979 – Т. 3. Ленинград; 1989 – Т. 4. Ленинград. (ქართულად ნათარგმნი მასალა დაცულია ენათმეცნიერების ინსტიტუტში).

**აბაშია 1997** – რ. აბაშია, მასალები ქართველურ ენათა ლექსიკის ისტორიიდან. – გიორგი როგავას, თბილისი.

**აბაშია 2000** – რ. აბაშია, უძველესი ენობრივი სიტუაცია საქართველოსა და კავკასიაში (ლ. მროველის „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“ ქართველთა თავდაპირველი ენის შესახებ). – ქართველური მემკვიდრეობა, IV, ქუთაისი.

**აბულაძე 1976** – ილ. აბულაძე, შრომები II, თბილისი.

**აბულაძე 1953** – ილ. აბულაძე, ძველი ქართულის ლექსიკიდან I. გოვარი – გუარი. – იკე, თბილისი.

**აბულაძე 1944** – ილ. აბულაძე, ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX-X სს-ში, თბილისი.

**აბულაძე 1962** – ც. აბულაძე, თურქული ლექსიკური მასალა სულხან-საბა ორბელიანის ქართულ ლექსიკონში“. – კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, თბილისი.

**აბულაძე 1988** – ლ. აბულაძე, ჟამი, დრო და ხანი ძველ ქართულში – იკე, XXVII, თბილისი.

**აბულაძე 1990** – თ. აბულაძე, ვახტანგ მეექვსის მთარგმნელობითი მოღვაწეობა, თბილისი.

**ავალიანი, დადიანი 2005** – ლ. ავალიანი, ე. დადიანი, არაბული ფუძეებისაგან ქართული აფიქსებით ნაწარმოები პროფესიის აღმნიშვნელი რამდენიმე ტერმინი ქართულში. – ქართველოლოგიური კრებული, IV, თბილისი.

**ანდრონიკაშვილი 1965** – მზ. ანდრონიკაშვილი, არაბული სიტყვების სპარსული გზით შემოსვლის შესახებ ქართულში. – თსუ შრომები, ტ. 105, თბილისი.

**ანდრონიკაშვილი 1966** – მზ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, I, თბილისი.

**ანდრონიკაშვილი 1996** – მზ. ანდრონიკაშვილი, მასალები ქართული ეტიმოლოგიური ლექსიკონისათვის ტ. II, ნაწ. I თბილისი.

**ანთაძე-მალაშხია** – ფ. ანთაძე-მალაშხია, სხვადასხვა პერიოდში შემოსული ზოგი სპარსული ნასესხობისათვის ქართულში (ელექტრ.).

**არაბული 2001** – ა. არაბული, ზმნური და სახელური ფუძეთექმნადობის პრობლემა ქართველურ ენებში, თბილისი.

**არაბული 2012** – რუსთველოლოგიური ლიტერატურა, V (1981 – 2000), ანოტირებული ბიბლიოგრაფია, შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა გ. არაბულმა V, თბილისი.

**აჭარიანი 1932** – ჰ. აჭარიანი, სომხური ენის ეტიმოლოგიური ლექსიკონი, ერევანი (სომხურ ენაზე). (ქართულად ნათარგმნი მასალა დაცულია ენათმეცნიერების ინსტიტუტში).

**ახვლედიანი 1966** – გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის შესავალი, თბილისი.

**ბაბუნაშვილი 1960** – ე. ბაბუნაშვილი, ომონიმი და მისი ადგილი ქართულ ენაში, თბილისის უნივერსიტეტის შრომები, 93, თბილისი.

**ბართაია 2010** – ნ. ბართაია, ქართულში შემოსული სპარსული ლექსიკა (იოსებ გრიშაშვილის „ქალაქური ლექსიკონის მიხედვით), თბილისი.

**ბაღათურია 1996** – ნ. ბაღათურია, ლაფშა-ს ეტიმოლოგიისათვის. – ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, VI, თბილისი.

**ბენვენისტი 1974** – И. Бенвенист, Общая лингвистика, М.

**ბერაძე 1981** – თ. ბერაძე, ზღვაოსნობა ძველ საქართველოში, თბილისი.

**ბერიძე 2005** – მ. ბერიძე, მეზადურობა, თევზები, სახელები, ახალციხე.

**ბერიძე 1992** – მ. ბერიძე, ჯავახეთი (ტოპონიმიკური ანალიზი), თბილისი.

**ბინიაშვილი 1997** – ლ. ბინიაშვილი, სამოსელის აღმნიშვნელი ლექსიკა ძველ ქართულში, ავტორეფერატი. ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი.

**ბრეგაძე 1999** – ლ. ბრეგაძე, ქართული ჟარგონის ლექსიკონი, თბილისი.

**ბუკია 2006** – მ. ბუკია, მეცხენეობისა და ცხენოსნობის ლექსიკა ზანურში, თბილისი.

**ბუკია 2013** – მ. ბუკია, ნარკვევები ქართველურ-აფხაზური ლინგვოკულტურული ურთიერთობის ისტორიიდან, ნაწილი პირველი, თბილისი.

**ბუკია 2013** – მ. ბუკია, ლაზური ლექსიკის ადგილისათვის ალიო ქობალიას „მეგრულ ლექსიკონში“. – ფილოლოგიური პარალელები №6 თბილისი.

**ბუკია 2013** – მ. ბუკია, ჩერქეზულ-ქართული ენობრივი შეხვედრები, თბილისი.

**გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965** – თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბილისი.

**გამყრელიძე, ივანოვი 1984** – Г. В. Гамкрелидзе, Вяч. Вс. Иванов, Индоевропейский язык и индоевропейцы, II.

**გელენიძე 1974** – ლ. გელენიძე, ადამიანის ანატომია-ფიზიოლოგიასთან დაკავშირებული ლექსიკა ძველ ქართულში, თბილისი.

**გვანცელაძე 1996** – თ. გვანცელაძე, ქართველური სუბსტრატის საკითხისათვის აფხაზურ ენაში საკულტო ლექსიკის მიხედვით. – ქუთაისური საუბრები, III.

**გვანცელაძე 1997** – თ. გვანცელაძე, ქართველიზმები აფხაზურ ბოტანიკურ ტერმინოლოგიასი და აფხაზთა ისტორიული მიგრაციის მიმართულეზანი. – კრებ. „გ. როგავას“.

**გვანცელაძე 2001** – თ. გვანცელაძე, აფხაზური ენის მონაცემთა მნიშვნელობა ორი მეგრულ-ჭანურ სიტყვის ისტორიისათვის. – XXI რესპ. დი-ალ. სეს. მასალები.

**გვანცელაძე 2009** – გვანცა გვანცელაძე, ადამიანი და ცხოველები. ცხოველეთან დაკავშირებული ლექსიკის პრაგმატული ლექსიკონი, თბი-ლისი.

**გვახარია 1983** – ალ. გვახარია, „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკიდან (და-რიჯაგი). – აღმოსავლეთმცოდნეობა, რედაქტ. კ. ფაღავა, თბილისი.

**გვახარია 1983** – ალ. გვახარია, თეიმურაზ პირველის ლექსიკიდან. – აღმოსავლური ფილოლოგია V, თბილისი.

**გვახარია 1989** – ალ. გვახარია, „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკიდან (მაზ-რები). – კრებ. „ეტიმოლოგიური მიეზანი“, თბილისი.

**გვახარია 1995** – ალ. გვახარია, „ვისრამიანის“ ლექსიკის საკითხები. I. დოსტაქანი, „ნარკვევები ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთი-ერთობის ისტორიიდან“, I, თბილისი.

**გვახარია 2008** – ალ. გვახარია, „ვეფხისტყაოსნის“ აღმოსავლური ლექსიკიდან (მახალი, ნასი, ხლა). – სამეცნიერო შრომების კრებული, თბი-ლისი.

**გიგინეიშვილი 1975** – ივ. გიგინეიშვილი, გამოკვლევები „ვეფხის-ტყაოსნის“ ენის და ტექსტის კრიტიკის საკითხების შესახებ, თბილისი.

**გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე 1961** – ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია. I. ქართული ენის კილოთა მოკლე განხილვა, ტექსტები, ლექსიკონი, თბილისი.

**გიგინეიშვილი 2016** – ბ. გიგინეიშვილი, ქართული ენის ისტორი-ულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონი, (ა-მ), თბილისი.

**გიორგაძე 1988** – გ. გიორგაძე, ათასი ღვთაების ქვეყანა, თბილისი.

**გიორგაძე 1999** – გ. გიორგაძე, ხეთოლოგიური და ქართველოლოგი-ური მიეზანი, თბილისი.

**გიორგაძე 2002** – გრ. გიორგაძე, უძველესი ახლო აღმოსავლური ეთ-ნოსები და ქართველთა წარმომავლობა, თბილისი.

**გიორგაძე 2003** – გრ. გიორგაძე, ქართველურ ენებში ინდოევროპულ ნასესხობათა შესახებ (ხეთური ენის მონაცემთა მიხედვით). – ქუთ. საუბრ. X.

**გიორგაძე, რუხაძე 2016** – რამაზ გიორგაძე, ლეიზა რუხაძე, თურქული წარმომავლობის ქართულ-სომხური საერთო ლექსიკის შესახებ. – გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, თბილისი.

**გიორგაძე, ჩიკაიძე 2017** – რ. გიორგაძე, ვ. ჩიკაიძე, თურქული წარმომავლობის საერთო სიტყვები ქართულსა და სომხურ ენებში. – ახლო აღმოსავლეთი და საქართველო, X, თბილისი.

**გიორგაძე, რუხაძე 2014** – რ. გიორგაძე, ლ. რუხაძე, ხულა, ყუთი, ხულ სიტყვების ეტიმოლოგიისათვის ქართულსა და სომხურში. – აკად. გიორგი წერეთლის დაბადებიდან 110-ე მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენციაცია. ახლო აღმოსავლეთი და კავკასია. ისტორია, კულტურა, პოლიტიკა, თბილისი.

**გონიაშვილი 1940** – თ. გონიაშვილი, ლექსიკური შეხვედრები ჩაჩნურისა ქართველურ ენებთან. – აკად. ნ. მარის სახ. ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე V-VI, თბილისი.

**გორდეზიანი 1985** – რ. გორდეზიანი, წინაბერძნული და ქართველური, თბილისი.

**გრძელიძე 1988** – ი. გრძელიძე, ზოგიერთი არაბული ძირის ეტიმოლოგიისათვის“. – ჟურნალი „სემიოლოგიური ძიებანი“, IV, გამომცემლობა „მეცნიერება“.

**გულედანი, ლომთაძე 2017** – ლ. გულედანი, თ. ლომთაძე, იერუსალიმში // ისრაელში ასვლა. – არნოლდ ჩიქობავას საკითხავები, XXVIII, თბილისი.

**გულუა 2002** – ნ. გულუა, მეფრინველეობის ნასესხები ლექსიკისათვის მეგრულ-ლაზურში, ქართველოლოგიური კრებული, თბილისი.

**გურგენიძე 1973** – ი. გურგენიძე, აღმოსავლური წარმოშობის ლექსიკური ელემენტები აჭარულსა და გურულში, თბილისი.

**გურგენიძე 1973** – ნ. გურგენიძე, ზოგიერთი თურქული ლექსიკური კალკის შესახებ ქართული ენის მესხურ დიალექტში. – აღმოსავლური ფილოლოგია, III, თბილისი.

**გურგენიძე, რუხაძე 2017** – ნ. გურგენიძე, ლ. რუხაძე, აღმოსავლური წარმოშობის ლექსიკის შესახებ ქართული ენის ქართლისა და კახეთის დიალექტებში. – ახლო აღმოსავლეთი და საქართველო, X, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი.

**დანელია, სარჯველაძე 1997** – ვ. დანელია, ზ. სარჯველაძე, ქართული პალეოგრაფია, თბილისი.

**დანელია 1998** – ვ. დანელია, ნარკვევები ქართული სამწერლობო ენის ისტორიიდან, I, თბილისი.

**დანელია 1993** – ვ. დანელია, ებრაული ლექსიკა ბიბლიურ წიგნთა ქართულ ვერსიებში. – მაცნე ენისა და ლიტერატურის სერია, №2, თბილისი.



**დანელია 1991** – კ. დანელია, მეგრულ-ჭანური ლექსიკის საკითხები. – ქართული ხალხური სიტყვიერება, II, თბილისი.

**დარსაველიძე 1984** – ნ. დარსაველიძე, აღმოსავლური წარმოშობის სიტყვათა ომონიმიის რამდენიმე შემთხვევა ქართულში. – საენათმეცნიერო კრებული, I, თბილისი.

**დარსაველიძე 1987** – ნ. დარსაველიძე, სამკურნალო ქვის ფაზარის წარმომავლობისა და დანიშნულების შესახებ. – თსუ, აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი, სამეცნიერო მოხსენებათ თეზიები, თბილისი, (ელექტრ.).

**დეეტერსი 1926** – G. Deeters, Armenisch und südkaukasisch. Ein Beitrag zur frage der sprachmischung. – "Caucasica", tasc. III. Leipzig.

**დუმბაძე 1979** – კ. დუმბაძე, ლექსიკური ებრაიზმები ქართულ ქალაქურ ჟარგონში. – ჯევან მარდი, II, თბილისი.

**ერთელიშვილი, 1970** – ფ. ერთელიშვილი, ზმნური ფუძეების ფონემატური სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, თბილისი.

**ერთელიშვილი 1980** – ფ. ერთელიშვილი, სახელურ ფუძეთა ფონემატური სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები ქართულში, თბილისი.

**ერთელიშვილი 1969** – ფ. ერთელიშვილი, ლა \\\ ლე პრეფიქსები ქართულში. – მაცნე, №5, თბილისი.

**ზუხბაია 1982** – ვ. ზუხბაია, ძვირფასი ქვები „ვეფხისტყაოსნის“ რუსულ თარგმანებში. – „მაცნე“, 1982 წ. №3, თბილისი, (ელექტრ.).

**თედევი 1975** – ო. თედევი, მემცენარეობის ქართული ლექსიკა ოსურში, თბილისი.

**თედევი 1983** – ო. თედევი, ნარკვევები ქართულ-ოსური ენობრივი ურთიერთობიდან, I, თბილისი.

**თოფურია 1963** – ვ. თოფურია, ქართველურ ენათა დიალექტების შესწავლის მდგომარეობა და ამოცანები. – კრ. ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, III, თბილისი.

**თოფურია 1996** – გ. თოფურია, ქართველურ ენათა ლექსიკიდან. ბროწეული. – ქუთაისური საუბრები, III.

**თოფურია, 1979** – ვ. თოფურია, მცენარეთა სახელწოდების შესწავლისათვის ქართველურ ენებში. – შრომები, III, თბილისი.

**თოფურია, 1984** – ნ. თოფურია, ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფის ისტორიიდან, თბილისი.

**თუშიშვილი 1954** – ლ. თუშიშვილი, არაბული ლექსიკური ელემენტები ფირდოუსის „შაჰ-ნამეში“. – საქ. მეცნ. აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის შრომები, აღმოსავლურ ენათა სერია, შრომები V, თბილისი.

**ივანიშვილი 2014** – მ. ივანიშვილი, მცენარეთა სახელები ქართულ ოთხთავში, თბილისი.

**იმედაძე 2014** – სოფო იმედაძე, არაბული წარმოშობის ლექსიკა სულხან-საბა ორბელიანის „ლექსიკონ ქართულში“, დისერტაცია, ქუთაისი (ელექტ.).

**იმნაიშვილი 1966** – ი. იმნაიშვილი, ქართული პოეტური ენის საკითხები, თბილისი.

**ინგოროყვა 1929-1930** – პ. ინგოროყვა, „ძველ-ქართული წარმართული კალენდარი“, «საქართველოს მუზეუმის მოამბე», ტ. 6, 1929-1930; ტ. 7, 1931-1932.

**კახაძე 1987** – ო. კახაძე, პურეულის ლექსიკა ქართულში, თბილისი.

**კახიძე** – ო. კახიძე, ქართულ-ადმოსავლური ლექსიკური ურთიერთობების მცირე ლექსიკონი (ელექტ.).

**კაკიტაძე 2005** – ვ. კაკიტაძე, სიტყვის მნიშვნელობის ცვლის საკითხები ქართულში, თბილისი.

**კაპანციანი 1952** – Гр. Капанцян, О взаимно отношении армянского и лазо-мегрельского языков, Изд. АКНАрм. ССР.

**კაშია 2000** – ჯ. კაშია, ენობრივ-კულტურული სიტუაციის ისტორიული დინამიკა საქართველოში (კონცეპტუალური ქარგა). – ქართველური მემკვიდრეობა, IV, ქუთაისი.

**კეკელიძე 1957** – ვ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, IV, თბილისი.

**კელაურაძე 2013** – ლ. კელაურაძე, დამატებანი ქართველურ ენთა ეტიმოლოგიური ლექსიკონისათვის. – ეტიმოლოგიური ძიებანი, X, თბილისი.

**კელაურაძე 2017** – ლ. კელაურაძე, დამატებანი ქართველურ ენთა ეტიმოლოგიური ლექსიკონისათვის-IV. – ეტიმოლოგიური ძიებანი, XIV, თბილისი.

**კვანტიძე 2014** – გ. კვანტიძე, ეთნოგრაფიული სურათები XVII-XVIII სს. საქართველოს ისტორიიდან (ისტორიულ-ეთნოგრაფიული კვლევა) სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, (ელექტ.).

**კვახაძე 2015** – ალ. კვახაძე, ჩერქეზულ ენა-კილო-თქმათა სემანტიკურ-შედარებითი ლექსიკონი, თბილისი.

**კლიმოვი 1964** – Г. А. Климов, Этимологический словарь картвельских языков, М.

**კობიძე 1967** – დ. კობიძე, ფილოლოგიური დაკვირვებანი. – ორიონი, აკაკი შანიძეს, თბილისი.

**კობიძე 1976** – დ. კობიძე, შაჰ-ნამეს ქართული ვერსიების ლექსიკის საკითხები. – ადმოსავლური ფილოლოგია, IV, თბილისი.

**კობიძე 1983** – დ. კობიძე, ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობანი, I, თბილისი.

**კომორიძე 2005** – ე. კომორიძე, მწერლის ენისა და სტილის საკითხები, თბილისი.

**კუტალიშვილი 1987** – ზ. კუტალიშვილი, ნაოსნობა საქართველოში, თბილისი.

**კუცია 1984** – ვ. კუცია, ამქრები XVII – XVIII ს. ს. საქართველოს ქალაქებში, თბილისი.

**ლევიაშვილი 1993** – ვლ. ლევიაშვილი, არაბული ლექსიკის სემანტიკური ტრანსფორმაციების ზოგიერთი ასპექტი ქართულ ენაში მისი დამკვიდრების პროცესში. – მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, №2. თბილისი.

**ლერნერი 1990** – ვ. ლერნერი, ენობრივი ნიშნის მოტივაციის სესხება-შენარჩუნება ენათა კონტაქტის პირობებში. – იკე, XXIX, თბილისი.

**ლოლაშვილი 1984** – ივ. ლოლაშვილი, მრავალკარედი, თბილისი.

**ლომთათიძე 1997** – ქ. ლომთათიძე, აფხაზური ა-დამრა-ს („აკლდამა, „სამარე“) წარმომავლობა. \_ საენათმეცნიერო ძიებანი, VI, თბილისი.

**ლომთათიძე 1984** – ქ. ლომთათიძე, კომპლექსსათაგან მომდინარე ბილბიალური ხმულეები ქართველურ ენებში, თბილისი.

**ლორთქიფანიძე 1992** – ქ. ლორთქიფანიძე, რამდენიმე ჰიბრიდული კომპოზიტის შესახებ „ვეფხისტყაოსანში“. – მაცნე ენისა და ლიტერატურის სერია 2. თბილისი.

**მამაცაშვილი 1983** – მ. მამაცაშვილი, „ვისრამიანის“ ლექსიკიდან (გამოწურვილი, უტევანი). – აღმოსავლეთმცოდნეობა, თბილისი.

**მარი 1910** – Н. Марр, Грамматика чанского лазского языка. С-Петербург.

**მარი 1904** – Н. Марр, Тр. VI, С.-Пб. ნ. მარი, Тексты 3, 62.

**მარი 1935** – Н. Марр, Тр. V, Л.

**მარი 1938** – Н. Марр, Тр. III, Л.

**მარი 1935** – Н. Я. Марр, Избранные работы, т. V, Л.

**მარი 1938** – Н. Я. Марр, Избранные работы. III, Л.

**მარი 2012** – ნ. მარი, შავშეთსა და კლარჯეთში მოგზაურების დღიურები, რუსულიდან თარგმნა: რ. დიასამიძემ, გამოკვლევა და შენიშვნები დაურთო პროფ. მ. ფაღავამ, ბათუმი.

**მარგველაშვილი 1954** – თ. მარგველაშვილი, ჩრდილოკავკასიური წარმოშობის არაბულენოვან ძეგლთა ენობრივი თავისებურებანი. – საქ. მეცნ. აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის შრომები, აღმოსავლურ ენთა სერია, შრომები V, თბილისი.

**მარგიანი 1998** – ქეთევან მარგიანი, დალ-სვანეთის ტოპონიმიკა. – ქართველური ონომასტიკა, I, თბილისი.

**მარგოშვილი 1992** – ლ. მარგოშვილი, ჩაცმულობა რომელიც მოდას არ დაგიდევთ, თბილისი.

**მალრაძე 2008** – ვ. მალრაძე, რამდენიმე კალკის შესახებ, იკე, XXXVI, თბილისი.

- მაცაშვილი 1996** – ზ. მაცაშვილი, მცენარეთა სახელდება, თბილისი.
- მაჩაბელი 1979** – ნ. მაჩაბელი, ქორწინების ინსტიტუტი ქართლში, თბილისი.
- მაჭავარიანი 1985** – მ. მაჭავარიანი, ფერეიდნულის ზოგი თავისებურება, იკე, XXIII, თბილისი.
- მაჭავარიანი 1989** – მუხრან მაჭავარიანი, რამდენიმე სიტყვა, თბილისი.
- მაჭავარიანი 2015** – ნ. მაჭავარიანი, ენათმეცნიერული შტუდიები, თბილისი.
- მაჭავარიანი 2013** – დ. მაჭავარიანი, ენათმეცნიერული ნარკვევები, თბილისი.
- მგელაძე 2002** – ნ. მგელაძე, ქართული გვარი: სოციალური ფუნქცია, ტერმინის წარმომავლობა და გავრცელების ეთნოლინგვისტური არეალი. – ქართველური მემკვიდრეობა, VI, ქუთაისი.
- მელიქიძე 2009** – ს. მელიქიძე, ონომასტიკური ძიებანი, II, თბილისი.
- მელიქიშვილი 1965** – გ. მელიქიშვილი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, თბილისი.
- მელიქიშვილი 1983** – დ. მელიქიშვილი, ძველი ქართულის ლექსიკიდან: განი (საგანი), პირი, მიზანი. – საენათმეცნიერო ძიებანი, თბილისი.
- მესხია 1982** – შ. მესხია, საისტორიო ძიებანი, I, II, თბილისი.
- მეტრეველი, გვახარია 1959** – ე. მეტრეველი, ალ. გვახარია, სულხან საბა ორბელიანის მთარგმნელობითი მეთოდის შესწავლისათვის. – კრ. სულხან-საბა ორბელიანი, თბილისი.
- მიბჩუანი 1985** – თ. მიბჩუანი, მისიმიანთა ეთნიკური ვინაობის საკითხისათვის, მნათობი, 1987, №5, თბილისი.
- მიქიაშვილი 2015** – აღმოსავლური წარმოშობის ლექსიკა ქართულში, ავტორი ო. მიქიაშვილი, თბილისი (ელექტრ.).
- ნადირაძე 2011** – ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი, პროექტის ავტ. და სამეცნ. ხელმძღვ. ე. ნადირაძე; რედ. რ. მეტრეველი; ავტ. -შემდგ.: გ. არჩვაძე, მ. ბოკუჩავა, თ. გელაძე და სხვ.]. – თბილისი, მერიდიანი, 2011.
- ნაისერი 1953** – F. Neisser, studien zur georgischen Wortbildung, Wiesbaden.
- ნაჭყებია 2013** – მ. ნაჭყებია, თურქული ლექსიკა მეგრულში II. – ფილოლოგიური პარალელები, სამეცნიერო შრომების კრებული №6, თბილისი.
- ნაჭყებია 2013** – მ. ნაჭყებია, მასალები ნასესხები ლექსიკიდან მეგრულში III. – ფილოლოგიური პარალელები, სამეცნიერო შრომების კრებული №6, თბილისი.

**ნედოსპასოვა 1978** – მ. ნედოსპასოვა, უცხო წარმოშობის ლექსიკა არაბულ ოთხთავში, თბილისი.

**ნოზამე 2008** – ლ. ნოზამე, ქართველურ ენათა ისტორიული მორფოლოგიის საკითხები, თბილისი.

**ნოლაიდელი 1972** – ჯ. ნოლაიდელი, ნარკვევები და ჩანაწერები, II, ბათუმი.

**ნოლაიდელი 1987** – ნ. ნოლაიდელი, ხალხური კულინარული ტრადიცია და ლექსიკა (აჭარული მასალა). – აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა 6, თბილისი.

**ნოლაიდელი 2017** – ნ. ნოლაიდელი ბერძნული ლექსიკისათვის აჭარულ დიალექტში. – დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი.

**ომიამე 2009** – ს. ომიამე, ქართული დისკურსის კულტუროლოგიური პარადიგმა, თბილისი.

**ოჩიაური 1967** – თ. ოჩიაური, მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, თბილისი.

**პაული 1960** – Г. Пауль, Принципы истории языка, М.

**პიზანი 1956** – В. Пизани, Этимология, М.

**ჟღენტი 1940** – ს. ჟღენტი, ზანიზმები გურულ ზმნებში. – ენიმკის მოამბე, VI, თბილისი.

**ჟღენტი 1960** – ს. ჟღენტი, ქართველურ ენათა შედარებითი ფონეტიკა, I, მარცვლის აგებულების პრობლემა, თბილისი.

**რამიშვილი 2008** – რ. რამიშვილი, „რუსუდანანის“ ლექსიკიდან (ხოშგვარი, ქულბაქი). – II საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები, თბილისი.

**რამიშვილი 2016** – რ. რამიშვილი, რამდენიმე სიტყვის წარმომავლობისათვის ქართლურ დიალექტში. – არნ. ჩიქობავას საკითხავები, XXVII, 2016 წლის 19-22 აპრილი, მასალები, თბილისი.

**როგავა 1962** – გ. როგავა, ქართველურ ენათა ისტორიულ ფონეტიკის საკითხები, I, თბილისი.

**როგავა 1987** – გ. როგავა, ზოგი ადიღური ნასესხობა ქართველურ ენებში. – ეტიმოლოგიური მიეზანი, თბილისი.

**როგავა 1988** – გ. როგავა, ზოგ ქართველურ და ინდოევროპულ ფუძეთა ურთიერთობის საკითხისათვის (ნუშა „ნავი“). – იკე, XXVII, თბილისი.

**რუხამე 1988** – ლ. რუხამე, ზოგიერთი თურქული ნასესხობის შესახებ ქართულში. – მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, №4, თბილისი.

**რუხამე, კაჭარავა 2014** – ლ. რუხამე, ნ. კაჭარავა, რამდენიმე საერთო არაბულ-სპარსული ნასესხობა ქართულსა და თურქულ ენებში. – ახლო აღმოსავლეთი და საქართველო, VIII, თბილისი.

**სალია 2003** – მ. სალია, ნაოსნობის ლექსიკიდან მეგრულ-ლაზურში. – ენათმეცნიერების ინსტიტუტის XLII სამეცნიერო სესია, თბილისი.

**სალია 2005** – მ. სალია, მეთევზეობის ლექსიკა ზანურში, თბილისი.

**სანიკიძე 1976** – ლ. სანიკიძე, გაორკეცება ქართულში. – იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეული, III, თბილისი.

**სარჯველაძე 1984** – ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბილისი.

**საღლიანი 2013** – მ. საღლიანი, სვანურ აფხაზურ-ადიღური (resp. ჩერქეზული) ლექსიკური შეხვედრები. – ეტიმოლოგიური ძიებანი, X, თბილისი.

**სილაგაძე 2006** – ა. სილაგაძე, არაბიზმების საკითხისათვის, სამეცნიერო კრებული „აღმოსავლეთი და კავკასია“, თბილისი.

**სილაგაძე 1992** – ა. სილაგაძე, უნიკალური არაბული სალექსო ფორმის შესახებ, თბილისი.

**სიხარულიძე 2010** – ა. სიხარულიძე, ქართული ენის ომონიმთა ლექსიკონი, თბილისი.

**სონღულაშვილი 1964** – ჯ. სონღულაშვილი, მასალები ქართველი ხალხის ყოფისა და კულტურის ისტორიისათვის, თბილისი.

**სუხიშვილი 2004** – მ. სუხიშვილი, ფუძედრეკად ზმნათა ერთი რიგის (ქლეთ-ქლით-, ქლეთ-ქლით-, ქლეს-ქლის-) ზნური შესატყვისისათვის. – არნ. ჩიქობავას ენათმ. ინსტიტუტის 63-ე სამეც. სესია, თბილისი.

**სუხიშვილი 2013** – მ. სუხიშვილი, ერთი საერთო საფეიქრო ტერმინი ქართულსა და სვანურში – ეტიმოლოგიური ძიებანი, X, თბილისი.

**ტექნ. ტერმ. 1982** – ტექნიკური ტერმინოლოგია, ქართულ-რუსული ნაწილი რ. დვალისა და რ. ღამბაშიძის რედ., თბილისი.

**უთურგაიძე 1960** – თ. უთურგაიძე, ზოგიერთი ნასესხები და საერთო წარმოშობის სიტყვები ბაცბურ-ჩაჩნურსა და ქართველურ ენებში. – გორის პედ. ინსტ. შრომები, ტ. V, თბილისი.

**უთურგაიძე 1966** – თ. უთურგაიძე, ქართული ენის მთის კილოთა ზოგი თავისებურება, თბილისი.

**უთურგაიძე 1976** – თ. უთურგაიძე, ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, თბილისი.

**უთურგაიძე 1961** – თ. უთურგაიძე, „ვეფხისტყაოსნის“ ერთი ადგილის გაგებისათვის, „რიალი“. – ნ. ბარათაშვილის სახ. გორის პედ. ინსტიტუტის შრომები, ტ. VII, თბილისი.

**ურუშაძე 1980** – ა. ურუშაძე, ბერძნული ენის ისტორიის ზოგი საკითხი, Историко-филологическое разыскания, часть I, Тб.

**ფასმერი 1964-1973** – М. М. Фасмер, Этимологический словарь русского языка. Перевод с немецкого и дополнения Н. Трубачева, т. I-IV, М.

**ფეიქრიშვილი 2005** – ჟ. ფეიქრიშვილი, ეტიმოლოგიური ძიებანი (ნაკვეთი I), ქუთაისი.

**ფეიქრიშვილი 1992** – ჟ. ფეიქრიშვილი, ქართველოლოგიის შესავალი, თბილისი.

**ფენრიხი 1980** – H. Fähnrich, Kartweliches Wortgut. – Georgica, 4, Iena-Tbilissi.

**ფენრიხი 1978** – ჰ. ფენრიხი, ენათა გენეტიკური ნათესაობის დასაბუთების კრიტერიუმები და ადრინდელი საერთო-ქართველური ფუძეენის ძირეულ მორფემათა სტრუქტურის ზოგიერთი საკითხი, თბილისი.

**ფენრიხი, სარჯველაძე 1990, 2000** – ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი.

**ფირცხელანი 2000** – დ. ფირცხელანი, „ლაგუიზ დაბარ“. – ქართველური მემკვიდრეობა, IV, ქუთაისი.

**ფოგტი 1961** – ჰ. ფოგტი, ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, თბილისი.

**ფონიავა 2016** – ნ. ფონიავა, სინონიმის, ომონიმის და ანტონიმისათვის ლაზურ იდიომებში. – არნ. ჩიქობავას საკითხავები, XXVII, 2016 წლის 19-22 აპრილი, მასალები, თბილისი.

**ფოფორაძე 2010** – ნ. ფოფორაძე, მინერალოგიის მოკლე განმარტებითი ლექსიკონი, თბილისი.

**ფოჩხუა 1974** – ბ. ფოჩხუა, ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბილისი.

**ფრუიძე 1974** – ლ. ფრუიძე, მევენახეობა და მეღვინეობა საქართველოში, წიგნი პირველი, რაჭა, თბილისი.

**ფუტკარაძე 1991** – ტ. ფუტკარაძე, \*ლურ-უ > ღრუ, \*ყურ-უ > ყრუ... ტიპის პროცესებისათვის ქართულში. – ეტიმოლოგიური ძიებანი, თბილისი.

**ქავთარაძე 1954** – ივ. ქავთარაძე, ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში, თბილისი.

**ქავთარაძე 1969** – ივ. ქავთარაძე, ქართული ენის ისტორიისათვის, XII-XVII ს. ს., თბილისი.

**ქავთარაძე 1980** – ივ. ქავთარაძე, ეტიმოლოგიური ძიებები. – იკე, XXII, თბილისი.

**ქაზემი 2008** – ი. ქაზემი, სპარსულ-არაბულ-ქართული ენობრივი ურთიერთობები ლექსიკის დონეზე «შაჰ-ნამეს» «ზაჰაქის ამზავის» სპარსული და ქართული ტექსტების შეპირისპირების საფუძველზე, დისერტაცია, თბილისი, (ელექტ.).

**ქალდანი 1969** – მ. ქალდანი, სვანური ენის ფონეტიკა, I, უმლაუტის სისტემა სვანურში, თბილისი.

**ქერქაძე 1974** – ი. ქერქაძე, ცხოველების აღმნიშვნელი ლექსიკა ძველ ქართულში (სხვა ქართველური ენების მონაცემებთან შედარებით), თბილისი.

**ქერქაძე 1987** – ი. ქერქაძე, ლედუსულელ-კომპოზიტის შესახებ ძველ ქართულში. – ეტიმოლოგიური ძიებანი, თბილისი.

**ქოიავა 1966** – ნ. ქოიავა, კულტურულ მოთხოვნელებათა დაკმაყოფილების საგნები შოთა რუსთაველის პოემაში. – კრ. შოთა რუსთაველს, თბილისი.

**ქსე** – ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. ტ. 1-11, 1975-1987, თბილისი.

**ქართ. ენა 2008** – ქართული ენა (ენციკლოპედია), შემდგენელი ი. ქობალავა, თბილისი.

**ქუთათელაძე 1967** – დავით და იოანე ბაგრატიონების ლექსიკოგრაფიული ნაშრომები გამოსცა ლ. ქუთათელაძემ, თბილისი.

**ქურდაძე 2005** – რ. ქურდაძე, ხმოვანმონაცვლე ზმნები თანამედროვე ქართულში, თბილისი.

**ქურციკიძე 1973** – ც. ქურციკიძე, ძველი ალექსის აპოკრიფული წიგნების ქართული ვერსიები. თბილისი.

**ქუქჩიშვილი 2017** – მ. ქუქჩიშვილი, ჯავახური დიალექტის ლექსიკიდან (მარაზი). – დიალექტოლოგიური კრებული, თბილისი.

**ქურდიანი 2010** – მ. ქურდიანი, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების საფუძვლები, ა. არაბულის რედაქციითა და წინასიტყვაობით, თბილისი.

**ყიფშიძე 1994** – ი. ყიფშიძე, რჩეული თხზულებანი, კრებული გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო კ. დანელიამ, თბილისი.

**ღამბაშიძე 1986** – რ. ღამბაშიძე, ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია და მისი შედგენის ზირითადი პრინციპები, თბილისი.

**ღიბრაძე 2005** – ს. ღიბრაძე, სპარსულ- არაბული წარმომავლობის შენობა- ნაგებობათა აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები სულხან-საბა ორბელიანის „ქართულ ლექსიკონში“. – ტიპოლოგიური ძიებანი, V, თბილისი.

**ღლონტი 1988** – ალ. ღლონტი, ქართული ლექსიკოლოგიის საფუძვლები, თბილისი.

**შაგიროვი 1977** – Шаги́ров А. К., Этимологический словарь адыгских (черкесских) языков, М.

**შანიძე 1980** – ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თხზულებანი თორმეტ ტომად ტომი, III, თბილისი.

**შანიძე 1981** – ა. შანიძე, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი II, ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, თბილისი.

**შანიძე 1986** – ა. შანიძე, ვეფხისტყაოსნის საკითხები, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი V, თბილისი.



**შანიძე 1986** – ა. შანიძე, ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი, ტიპიკონის ქართული რედაქცია, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი IX, თბილისი.

**შანიძე 1979** – მ. შანიძე, ფსალმუნთა წიგნის ძველი ქართული თარგმანები, თბილისი.

**შარაშიძე 2014** – გ. შარაშიძე, გურული ლექსიკონი: პუბლიკაციები გურიის სულიერი და მატერიალური კულტურის ისტორიიდან: [PDF ტექსტი] / გამომცემელი და რედაქტორი ილია თავბერიძე; გარეკანის დიზაინი ირაკლი თოიძე; ტექნიკური რედაქტორი მაკა ცომია, თბილისი.

**შარაძენიძე 1972** – თ. შარაძენიძე, ცოცხალი ენის განვითარების შესწავლისათვის (სინქრონია-დიაქრონიისა და სტატიკა – დინამიკის ურთიერთობასთან დაკავშირებით). – იხ. მისი: თანამედროვე ენათმეცნიერების თეორიული საკითხები, თბილისი.

**შატერაშვილი 1975** – გ. შატერაშვილი, თვალადური ქართულის ჭაშნიკი, ტ. IV, თბილისი.

**შენგელია 2006** – ვ. შენგელია, ქართველურ და ჩერქეზულ ენობრივ სისტემათა ისტორიის ზოგი საკითხი, თბილისი.

**შენგელია 2006** – ე. შენგელია, სამოსელთან დაკავშირებული ძირითადი ლექსიკა მეგრულ-ლაზურში. – საენათმეცნიერო ძიებანი, ტ. XXII, თბილისი.

**შენგელია 2006** – ე. შენგელია, მეგრული ბედან- სიტყვის შესატყვისობისათვის. – ქართველოლოგიური კრებული, V, თბილისი.

**შენგელია 2006** – ე. შენგელია, ბაბლ- ძირის შესატყვისობისათვის ლაზურში. – ენათმეცნიერების ინსტიტუტის LLVII სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი.

**შურღაია 1989** – თ. შურღაია, „ანდაზის“ მნიშვნელობისათვის ქართულსა და სპარსულში. – მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, თბილისი.

**ჩანტლაძე 2012** – ი. ჩანტლაძე, ქართველური ლექსიკის ისტორიიდან, I, თბილისი.

**ჩანტლაძე, იოსელიანი 2015** – ი. ჩანტლაძე, რ. იოსელიანი, ერთი სურნელოვანი ბოსტნეულის სახელწოდებათა ისტორიისათვის ქართველურ ენებში. – არნოლდ ჩიქობავას საკითხავები, XXVI, 2015 წლის 28 აპრილი – 1 მაისი, თბილისი.

**ჩაჩანიძე 2012** – ი. ჩაჩანიძე, ძვირფას თვალთა (ბივრილი და ანთრაკი) ტიპოლოგიური დეფინიციები. – არნ. ჩიქობავას საკითხავები, XXIII, თბილისი.

**ჩიქობავა 1937** – არნ. ჩიქობავა, ილია ჭავჭავაძე ენის შესახებ. – ენიმკის მოამბე, ტ. III, თბილისი.

**ჩიქობავა 1938** – არნ. ჩიქობავა, დიალექტიზმების საკითხისათვის „ვეფხისტყაოსანში“. – ენიმკის მოამბე, III, თბილისი.

**ჩიქობავა 1938** – არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ- ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბილისი.

**ჩიქობავა 1942** – არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბილისი.

**ჩიქობავა 1952** – არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, თბილისი.

**ჩიქობავა 1997** – არნ. ჩიქობავა, ეტიმოლოგიური და შედარებითი ლექსიკონების ურთიერთობის საკითხისათვის. – ეტიმოლოგიური ძიებანი, VI, თბილისი.

**ჩიქობავა 1966** – არნ. ჩიქობავა, პაშტა სიტყვის მნიშვნელობისათვის „ვეფხისტყაოსანში“. – საიუბილეო კრებული „შოთა რუსთაველს“, თბილისი.

**ჩიქოვანი 1972** – გ. ჩიქოვანი, თეთრი მთის ქორი თერგვაული. – სა-მხრეთ- დასავლეთ საქართველოს ზეპირსიტყვიერება, III, თბილისი.

**ჩიქოვანი 1972** – ე. ჩიქოვანი, კარაბადინებში დართულ ლექსიკონებში შესული ზოგი სამკურნალო მცენარის სახელწოდებისა და ტერმინის და-ზუსტებისათვის. „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, №4, თბილისი.

**ჩიქოვანი 1984** – ნ. ჩიქოვანი, ფერთა აღმნიშვნელი ლექსიკონისათვის ძველ ქართულში. – საენათმეცნიერო კრებული, I, თბილისი.

**ჩოხარაძე 2013** – ვ. ჩოხარაძე, თურქიზმები ქართული ენის სამხრულ დიალექტებში, დისერტაცია, ბათუმი (ელექტრ.).

**ჩუხუა 1988** – მ. ჩუხუა, ორი მცენარეული სახელისათვის ქართველურ ენებში. – ეტიმოლოგიური ძიებანი, თბილისი.

**ჩუხუა 1989** – მ. ჩუხუა, ქართველური ლექსიკიდან. – ეტიმოლოგიური ძიებანი, თბილისი.

**ჩუხუა 1991** – მ. ჩუხუა, ქართველური ლექსიკიდან. – ეტიმოლოგიური ძიებანი, თბილისი.

**ჩუხუა 2000-2003** – მ. ჩუხუა, ქართველურ ენა-ვილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბილისი.

**ჩუხუა 2004** – მ. ჩუხუა, საერთო-ქართველური ლექსიკა ქართველურ დიალექტებში. – resp. დიალექტ. სამეცნიერო სესიის მასალები, XXIV, თბილისი.

**ჩუხუა 2008** – მ. ჩუხუა, საერთო-კავკასიური სამეურნეო ყოფა (შენობა-ნაგებობები) – არნოლდ ჩიქობავას საკითხავები, XIX, თბილისი.

**ჩუხუა 2009** – მ. ჩუხუა, დამატებითი მასალები საერთოქართველური ფუძე ფუძე-ენის ლექსიკური ფონდისათვის. – ქართველურ ენათა სტრუქტურის საკ. ითხები, XX, თბილისი.

**ჩუხუა 2009** – მ. ჩუხუა, პროტოკავკასიური ფუძე-ენის ლექსიკური შედგენილობისათვის (დრო, ცა, მნათობები, ბუნების მოვლენები) – არნოლდ ჩიქობავას საკითხავები, XX, თბილისი.

**ჩუხუა 2011** – მ. ჩუხუა, კვართი და სხვა სამოსელი საერთოკავკასიურ ფუძე-ენაში. – ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, XI, თბილისი.

**ჩუხუა 2013** – მ. ჩუხუა, ეტიმოლოგიური შენიშვნები ქართველთა წარმართულ პანთეონში. – ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, XII, თბილისი.

**ჩუხუა 2017** – მ. ჩუხუა, ქართულ – ჩერქეზულ აფხაზური ეტიმოლოგიური ძიებანი, თბილისი.

**ჩხეიძე 1983** – თ. ჩხეიძე, სპირანტი 3 სპარსულ ენაში. – აღმოსავლეთმცოდნეობა, თბილისი.

**ჩხეიძე 1984** – თ. ჩხეიძე, ნარკვევები ირანული ომომასტიკიდან, თბილისი.

**ჩხენკელი 1988** – რ. ჩხენკელი, ქართული ხალხური სამშენებლო ლექსიკა როგორც საფუძველი ამავე დარგის სამეცნიერო ტერმინოლოგიისათვის (დისერტაცია).

**ჩხუბიანიშვილი 2012** – დ. ჩხუბიანიშვილი, საენათმეცნიერო წერილები, ფერეიდნული ტექსტები ლექსიკონით, თბილისი.

**ცინდელიანი 1973** – უ. ცინდელიანი, ძველი ქართულის ლექსიკიდან. გა-რიალ-ეზა, რიალ-ი. – მრავალთავი, III, თბილისი.

**ცინცაძე, ფაღავა 1998** – მ. ცინცაძე, გ. ფაღავა, სამხრული დიალექტები და ქართული სამწერლობო ენა (V- XVIII სს.), ბათუმი.

**ცქიტიშვილი 1976** – თ. ცქიტიშვილი, ეზეკიელის ძველი ქართული ვერსიები, თბილისი.

**ცქიტიშვილი 2014** – თ. ცქიტიშვილი, თეოფილაქტე ბულგარელის „იოანეს სახარების განმარტება“ და ძველი ქართული მწერლობის პრობლემები, წიგნი II, თბილისი.

**ცქიტიშვილი 1985** – თ. ცქიტიშვილი, ლექსიკოლოგიური ძიებანი (მოლი). – ჟურ. „მაცნე“, №1, თბილისი.

**ცხადაძე 1984** – ბ. ცხადაძე, მასდარის წარმოება ძველ ქართულში, თბილისი.

**ძიძიგური 1948** – შ. ძიძიგური, ომონიმიკა, „სახალხო განათლება“, №41, თბილისი.

**ძიძიგური 1956** – შ. ძიძიგური, ქართული დიალექტების ქრესტომათია ლექსიკონითურთ, თბილისი.

**ძიძიგური 1970** – შ. ძიძიგური, ქართული დიალექტოლოგიური ძიებანი, თბილისი.

**ძიძიგური 1982** – შ. ძიძიგური, საენათმეცნიერო საუბრები, თბილისი.

**წაქაძე 1976** – იზ. წაქაძე, ვეფხისტყაოსნის ხელნაწერი ლექსიკონები, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა იზ. წაქაძემ, ს. ცაიშვილის რედაქციითა და წინასიტყვაობით, თბილისი.

**წერეთელი 1960** – გ. წერეთელი, უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან, თბილისი.

**წერეთელი 1980** – კ. წერეთელი, თანამედროვე ასურულის ქრესტომათია ლექსიკონითურთ, თბილისი.

**წერეთელი 1992** – კ. წერეთელი, სემიტური ქ-ს გადმოცემისათვის ქართულში. – მაცნე №2, ენისა და ლიტერატურის სერია, თბილისი.

**ჭინჭარაული 1968** – ალ. ჭინჭარაული, ვეფხისტყაოსნის ლექსიკიდან, „რიალი“, „თავის-თავ“ – „მაცნე“, №4, თბილისი.

**ჭინჭარაული 1980** – ალ. ჭინჭარაული, ეტიმოლოგიური შენიშვნები 1. მრავალი. – იკე, XXII, თბილისი.

**ჭინჭარაული 1981** – ალ. ჭინჭარაული, ეტიმოლოგიური ეტიუდები, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, V, თბილისი.

**ჭინჭარაული 1985** – ალ. ჭინჭარაული, ეტიმოლოგიური ეტიუდები („მკის“, „მუჭი“, „მუჯღლუგუნი“, „მკალი“, „კალია“). – იკე, XXIII, თბილისი.

**ჭინჭარაული 1986** – ალ. ჭინჭარაული, ცახე, ადე, სტარი, სერი//სერვა სიტყვათა ეტიმოლოგიისათვის. – იკე, XXV, თბილისი.

**ჭინჭარაული 1987** – ალ. ჭინჭარაული, ვეფხისტყაოსნის ენისა და ტექსტის საკითხები, I, თბილისი.

**ჭინჭარაული 1989** – ალ. ჭინჭარაული, ქართულ-ვაინახური ლექსიკური შეხვედრები. – დიალექტოლოგიური კრებული, თბილისი.

**ჭინჭარაული 1990** – ალ. ჭინჭარაული, დონე, დუნე, დონდლო და ტოლ სიტყვათა ეტიმოლოგიისათვის. – იკე, XXIX, თბილისი.

**ჭინჭარაული 1997** – ალ. ჭინჭარაული, სემანტიკური გადასვლები ზოგ ლექსიკურ ჯგუფებში – იკე, XIX, თბილისი.

**ჭინჭარაული 1989** – ალ. ჭინჭარაული, ლოყა და დაწვ სიტყვათა ისტორიისათვის. – ეტიმოლოგიური ძიებანი, თბილისი.

**ჭინჭარაული 1985** – ალ. ჭინჭარაული, ეტიმოლოგიური ეტიუდები 1. გაოცება, უცნება//ოცნება, ცბ-ის // ცბილ-ი // წბილ-ი, განცვიბრება (//განცვიფრება // განჩვიბრება), ბუც- (გაბუცება). – იკე, XXIV, თბილისი.

**ჭინჭარაული 2000** – ალ. ჭინჭარაული, ვაინახურიდან ნასესხები კიდევ ერთი სიტყვა ქართულში. – არნოლდ ჩიქობავას საკითხავები, XI, მასალები, თბილისი.

**ჭინჭარაული 2000** – ალ. ჭინჭარაული, კიდევ ერთი ბერძნული სიტყვის ვარიანტები ქართულში: ლასტი და მელეური – ქართველური მემკვიდრეობა IV, ქუთაისი.

**ჭოხონელიძე 1982** – ნ. ჭოხონელიძე, ეფერება ზმნის მნიშვნელობის ისტორიისათვის ქართულში. – ასპირანტთა და ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა სამეცნიერო კონფერენცია, თბილისი.

**ჭოხონელიძე 1984** – ნ. ჭოხონელიძე, „და/კარგავს“ ზმნის ისტორიისათვის. – ასპირანტთა და ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა სამეცნიერო კონფერენცია, თბილისი.

**ჭოხონელიძე 1984** – ნ. ჭოხონელიძე, გლის, დლის ზმნურ ფუძეთა ისტორიისათვის. – საქართველოს სსრ უმაღლესი სასწავლებლების ქართული ენის კათედრათა X რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია, თბილისი.

**ჭოხონელიძე 1984** – ნ. ჭოხონელიძე, ტორ- ფუძის ისტორიისათვის ქართულში. – VI რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესია მიძღვნილი ქართული ენის დიალექტოლოგიური ატლასისა და ენის ისტორიის საკითხებისადმი, ქ. ქუთაისი; თბილისი.

**ჭოხონელიძე 1985** – ნ. ჭოხონელიძე, ბუშ- ფუძის ისტორიისათვის. – ენათმეცნიერების ინსტიტუტის XV სამეცნიერო სესია, თბილისი.

**ჭოხონელიძე 1986** – ნ. ჭოხონელიძე, რამდენიმე სიტყვის ისტორიისათვის. – ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო სესია, თბილისი.

**ჭოხონელიძე 1987** – ნ. ჭოხონელიძე, ზნე სიტყვის ისტორიისათვის. – XLV სამეცნიერო სესია, ეძღვნება დიდი ოქტომბრის რევოლუციის 70 წლისთავს, თბილისი.

**ჭოხონელიძე 1987** – ნ. ჭოხონელიძე, პოვ- კავ- ფუძეთა ისტორიისათვის ქართულში. – ასპირანტა და ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა სამეცნიერო კონფერენცია, ეძღვნება დიდი ოქტომბრის რევოლუციის 70 წლისთავს, თბილისი.

**ჭოხონელიძე 1987** – ნ. ჭოხონელიძე, კომეტა და ტიალ – სიტყვების მნიშვნელობის ისტორიისათვის. – ეტიმოლოგიური ძიებანი, თბილისი.

**ჭოხონელიძე 1988** – ნ. ჭოხონელიძე, გრემან-, ფეთება სიტყვათა ისტორიისათვის. – ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, მე-8, თბილისი.

**ჭოხონელიძე 1988** – ნ. ჭოხონელიძე, გუმერ-, გურემ-, გმერ-; 2. მწუბ, წუმბ-, წუმპ- ფუძეთა ისტორიისათვის ქართულში. – ეტიმოლოგიური ძიებანი, თბილისი.

**ჭოხონელიძე 1991** – ნ. ჭოხონელიძე, კლერტ- და ღივ- ფუძეთა ისტორიისათვის. – XLIX სამეცნიერო სესია, ეძღვნება აკად. ვარლამ თოფურას დაბადებიდან 90-ე წლისთავს, თბილისი.

**ჭოხონელიძე 1991** – ნ. ჭოხონელიძე, ზოგი სიტყვის ისტორიისათვის ქართულში. 1. ქსუ. 2. ლაბა – დიალექტოლოგიური კრებული, თბილისი.

**ჭოხონელიძე 1991** – ნ. ჭოხონელიძე, ლებ- და ლიბრ- ფუძეთა ისტორიისათვის. – ეტიმოლოგიური ძიებანი, თბილისი.

**ჭოხონელიძე 1992** – ნ. ჭოხონელიძე, ზოგი მწერის სახელის წარმომავლობა ქართულში დიალექტების მიხედვით. – არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის 50-ე სამეცნიერო კონფერენცია, თბილისი.

**ჭოხონელიძე 1994** – ნ. ჭოხონელიძე, ზოგი სიტყვის წარმომავლობისათვის. 1. ხეპრე; 2. ხეშტერი, 3. ხებესტარი. – არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის 53-ე სამეცნიერო სესია, თბილისი.

**ჭობონელიძე 1996** – ნ. ჭობონელიძე, იაფ- ფუძის ისტორიისათვის ქართულში. – ბ. ჯორბენაძის საზოგადოების III სამეცნიერო კონფერენცია, თბილისი.

**ჭობონელიძე 1996** – ნ. ჭობონელიძე, ზოგი მცენარის სახელწოდებებისათვის ქართული ენის დიალექტებში. – ქუთაისური საუბრები, III. სიმპოზიუმის მასალები, თბილისი.

**ჭობონელიძე 1997** – ნ. ჭობონელიძე, ზოგი დიალექტური სიტყვის წარმომავლობისათვის. 1. შპეტი, 2. ჩმაგი, 3. ბლუკი. – XVII რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესია, ქ. თელავი, თბილისი.

**ჭობონელიძე 1997** – ნ. ჭობონელიძე, ნუკრ- სიტყვის წარმომავლობისათვის. – ბ. ჯორბენაძის საზოგადოების IV სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბილისი.

**ჭობონელიძე 1997** – ნ. ჭობონელიძე, 1. ბრკუ/ზრგუ, 2. ბლუ; 3. ჩლუ. – არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის 56-ე სამეცნიერო სესია, თბილისი.

**ჭობონელიძე 1999** – ნ. ჭობონელიძე, ხარის აღმნიშვნელი ზოგი საკუთარი სახელის წარმომავლობისათვის. – 1. წიქარა, 2. ჯონგა. – ბ. ჯორბენაძის საზოგადოების V სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბილისი.

**ჭობონელიძე 1999** – ნ. ჭობონელიძე, სიტყვის ისტორიულ-ეტიმოლოგიური და დიალექტური მონაცემების ურთიერთმიმართებისათვის. – ბ. ჯორბენაძის საზოგადოების VI სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბილისი.

**ჭობონელიძე 2000** – ნ. ჭობონელიძე, ერთი სიტყვის ისტორია შესიტყვების მიხედვით. – არნოლდ ჩიქობავას საკითხავები, XI, თბილისი.

**ჭობონელიძე 2000** – ნ. ჭობონელიძე, ერთი ლექსიკური ომონიმის შესახებ. – მესხეთი, ისტორია და თანამედროვეობა, ახალციხე.

**ჭობონელიძე 2000** – ნ. ჭობონელიძე, მანძილ- („ხორცი“) ფუძის შესატყვისობისათვის ქართულსა და სვანურში. – არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის 59-ე სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი.

**ჭობონელიძე 2000** – ნ. ჭობონელიძე, ერთი ომონიმური სიტყვისათვის ქართულში (ნატამალი). – ბ. ჯორბენაძის საზოგადოების VII სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბილისი.

**ჭობონელიძე 2000** – ნ. ჭობონელიძე, წიქარა. – საენათმეცნიერო მივანი, X, თბილისი.

**ჭობონელიძე 2001** – ნ. ჭობონელიძე, საფუხარ სიტყვის წარმომავლობისათვის. – არნ. ჩიქობავას საკითხავები, XII, თბილისი.

**ჭობონელიძე 2001** – ნ. ჭობონელიძე, ზოგი სემანტიკური დიალექტიზმის ისტორიისათვის (ეტლი, გერში, პინაკი). – XXI რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, ბათუმი, თბილისი.

**ჭოხონელიძე 2002** – ნ. ჭოხონელიძე, ჯავახურის ლექსიკიდან. – ჯავახეთი, ისტორია და თანამედროვეობა, ახალციხე.

**ჭოხონელიძე 2002** – ნ. ჭოხონელიძე, იაფ-ომონიმური ფუძის შესახებ ჯავახურში. – III სამეცნიერო კონფერენცია. ჯავახეთი და არტაანი. ისტორიისა და ონომასტიკის პრობლემები. ახალციხე.

**ჭოხონელიძე 2002** – ნ. ჭოხონელიძე, ქეჯნის, შეაქანჯალებს, ქაჯეკალა სიტყვათა წარმომავლობისათვის ქართულში. – არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის 61-ე სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი.

**ჭოხონელიძე 2003** – ნ. ჭოხონელიძე, ზოგი სიტყვის წარმომავლობისათვის (ზაბაყული, ბაიყუში, აბუეტი, ოლოლი). – XXIII რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი.

**ჭოხონელიძე 2004** – ნ. ჭოხონელიძე, გუდა სიტყვის წარმომავლობისათვის. – XXIV რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი.

**ჭოხონელიძე 2005** – ნ. ჭოხონელიძე, ძველ ქართულში დადასტურებული "მდოვრის" ომონიმური ცალების ისტორიისათვის. – არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის 64-ე სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი.

**ჭოხონელიძე 2005** – ნ. ჭოხონელიძე, ხირ-ფუძიან ზმნათა წარმომავლობისათვის. – არნოლდ ჩიქობავას საკითხავები, XVI, თბილისი.

**ჭოხონელიძე 2005** – ნ. ჭოხონელიძე, ქართული ენის დიალექტებში გამოვლენილი "ყმედის" ომონიმური ცალების ისტორიისათვის. – XXV რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი.

**ჭოხონელიძე 2006** – ნ. ჭოხონელიძე, ზოგი სემანტიკური დიალექტიზმის ისტორიისათვის (არმანა, ჯეკმა, კარსე, ბუნი). – არნოლდ ჩიქობავას საკითხავები, XVII, თბილისი.

**ჭოხონელიძე 2006** – ნ. ჭოხონელიძე, ზოგი სიტყვის სიტყვის ისტორიისათვის ქართულში (1. შარავი; 2. შამანი). – არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის 65-ე სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი.

**ჭოხონელიძე 2006** – ნ. ჭოხონელიძე, ბორტე – ფუძის ისტორიისათვის ქართულში. – XXVI რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები. თბილისი.

**ჭოხონელიძე 2007** – ნ. ჭოხონელიძე, ნატიფ-სიტყვის ისტორიისათვის. – არნ. ჩიქობავას საკითხავები, XVIII, თბილისი.

**ჭოხონელიძე 2007** – ნ. ჭოხონელიძე, საფუხარ-სიტყვის წარმომავლობისათვის. – საენათმეცნიერო მიეზანი, XXV, თბილისი.

**ჭოხონელიძე 2008** – ნ. ჭოხონელიძე, ყაფის მთის წარმომავლობისათვის. – საენათმეცნიერო მიეზანი, XXVII, თბილისი.

**ჭობონელიძე 2008** – ნ. ჭობონელიძე, მარაგ-სიტყვის ისტორიისათვის. – არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის 67-ე სამეცნიერო სესია, თბილისი.

**ჭობონელიძე 2008** – ნ. ჭობონელიძე, ფუტკ-ფუნკ-ფუძეთა წარმომავლობისათვის. – არნ. ჩიქობავას საკითხავები, XIX, თბილისი.

**ჭობონელიძე 2010** – ნ. ჭობონელიძე, ზოგი სიტყვის ისტორიისათვის 1. ნაზუქი; 2. ნატიფი, საენათმეცნიერო ძიებანი, XXXI, თბილისი.

**ჭობონელიძე 2010** – ნ. ჭობონელიძე, კაკაბ-სიტყვის ომონიმური ცალეების წარმომავლობისათვის ქართული ენის დიალექტებში. – XXX რესპ. დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი.

**ჭობონელიძე 2010** – ნ. ჭობონელიძე, ქარ-სიტყვის შემცველი ავადმყოფობის აღმნიშვნელი კომპოზიტებისა და სინტაგმების წარმომავლობისათვის ქართული ენის დიალექტებში. – სამეცნიერო კონფერენცია ეთნოლინგვისტური საკითხავები II ქართული ხალხური სამედიცინო ცოდნის ეთნოლინგვისტური კვლევის ასპექტები თბილისი.

**ჭობონელიძე 2011** – ნ. ჭობონელიძე, შუმუტ-სიტყვის ომონიმური ცალეების ისტორიისათვის ქართული ენის დიალექტებში – არნოლდ ჩიქობავას საკითხავები, XXII, თბილისი.

**ჭობონელიძე 2012** – ნ. ჭობონელიძე, ჟამ-ფუძიანი ომონიმური სიტყვების წარმომავლობისათვის ქართულში. 1. ჟამი1. დრო, ხანი; საათი, ჟამი; 2. შვი ჭირი. – არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნ. ინსტიტ. 71-ე სამეცნიერო სესია, თბილისი.

**ჭობონელიძე 2012** – ნ. ჭობონელიძე, ნუმ-სიტყვის ომონიმური ცალეების წარმომავლობისათვის ნუმში: 1. ნუმში (ხე); 2. „ყველი“, კვერეული. 3. ნუმში ნავი. – XII სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბილისი.

**ჭობონელიძე 2012** – ნ. ჭობონელიძე, კერტ-სიტყვის ომონიმური ცალეების ისტორიისათვის 1. ყურძნის მტევნის ღერო; 2. ძუძუს თავი. – გორის სასწავლო უნივერსიტეტი. არნ. ჩიქობავას სახ. ენათმ. ინსტიტუტი. პროფ. გენადი ბურჭულაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი, სამეცნიერო კონფერენცია (სამეცნიერო კონფერენციის მასალები) გამომცემლობა „საარი“.

**ჭობონელიძე 2013** – ნ. ჭობონელიძე, ზოგი ზარ-ფუძიანი ომონიმური ცალეების წარმომავლობისათვის. – XXXIII რესპ. დიალექტ. სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი.

**ჭობონელიძე 2013** – ნ. ჭობონელიძე, ზოგი ძველი ნასესხები სამედიცინო ტერმინის ისტორიისათვის. – თსუ არნ. ჩიქობავას სახ. ენათ. ინსტიტ. კონფერენცია, ტერმინოლოგია – ქართული ენის ხვალისდელი დღე, თბილისი.

**ჭობონელიძე 2013** – ნ. ჭობონელიძე, თორნ-თორ-ფუძიანი ომონიმური ცალეების წარმომავლობისათვის ქართულში. – არნ. ჩიქობავას საკითხავები XXXIV, თბილისი.



**ჭოხონელიძე 2013** – ნ. ჭოხონელიძე, ავან-ავანგ ფუძეთა ომონიმური ცალეზის ისტორიისათვის. – არნ. ჩიქობავას სახ. ენათ. ინსტიტუტის 72-ე სამეცნიერო სესია, მასალები 2013 წლის 24-26 დეკემბერი, თბილისი.

**ჭოხონელიძე 2013** – ნ. ჭოხონელიძე, როჭიკისა და როქის ომონიმური ცალეზის ისტორიისათვის. – საენათმეცნიერო ძიებანი XXXV, თბილისი.

**ჭოხონელიძე 2016** – ნ. ჭოხონელიძე, ძველქართულისეული ზოგი სახელური ომონიმის ისტორიისათვის. – ეტიმოლოგიური ძიებანი, XIII, თბილისი.

**ჭოხონელიძე 2016** – ნ. ჭოხონელიძე, ზარ- ფუძიანი ომონიმური ცალეზის ისტორიისათვის ქართულში. – არნოდ ჩიქობავას საკითხავები XXVII, 2016 წლის 19-22 აპრილი, მასალები, თბილისი.

**ჭოხონელიძე 2016** – ნ. ჭოხონელიძე, ზოგი საკუთრივ დიალექტური ომონიმის ისტორიისათვის ჩვენებურების ქართულში. – IV საერთაშორისო კონფერენცი ტაო-კლარჯეთი, მოხსენებათა თეზისები, სექტემბერი 21-24, თბილისი.

**ჭოხონელიძე 2016** – ნ. ჭოხონელიძე, „ტყუილის“ მნიშვნელობის სინონიმური სიტყვები და წყვილები „ვეფხისტყაოსანში“. – არნ. ჩიქობავას სახ. ენათ. ინსტიტუტის 75-ე სამეცნიერო სესია, ეძღვნება ინსტიტუტის 75 წლისთავს, თბილისი.

**ჭოხონელიძე 2017** – ნ. ჭოხონელიძე, ღვინის გემოს აღმნიშვნელი ზოგი სიტყვის წარმომავლობისათვის ქართულში. – არნოდ ჩიქობავას საკითხავები, XXVIII, თბილისი.

**ჭოხონელიძე 2017** – ნ. ჭოხონელიძე, ზოგი ქსოვილის სახელწოდების ისტორიისათვის. – ონომასტიკური კრებული, ახალციხე.

**ჭუმბურიძე 1987** – ზ. ჭუმბურიძე, დედაენა ქართული, თბილისი.

**ჭუმბურიძე 1992** – ზ. ჭუმბურიძე, მცდარი ეტიმოლოგიური ძიებანი. – მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 2, თბილისი.

**ხაზარაძე 1988** – ნ. ხაზარაძე, ქართული ხალხური ხის ჭურჭელი (აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, თბილისი).

**ხახიაშვილი 2017** – ნ. ხახიაშვილი, უდებ-ი სიტყვის სემანტიკისათვის. – იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XLV, თბილისი.

**ხუბუა 1946** – მ. ხუბუა, სპარსულიდან ნასესხები სიტყვების შეკვეცა ქართულში. – საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. 7/3, თბილისი.

**ხუბუა 1954** – მ. ხუბუა, ოთხთავის სპარსული ხელნაწერები XVII-XVIII სს. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში. – საქ. მეცნ. აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის შრომები, აღმოსავლურ ენათა სერია, შრომები V, თბილისი.

**ჯავახიშვილი** – ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. I, 1979; ტ. V, 1986; ტ. VI, 1982; ტ. VII, 1984; ტ. X, 1992, თბილისი.

**ჯავახიშვილი 1930** – ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წიგნი პირველი, ტფილისი.

**ჯავახიშვილი 1946** – ივ. ჯავახიშვილი, მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში, თბილისი.

**ჯავახიშვილი 1950** – ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, თბილისი.

**ჯავახიშვილი 1962** – ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, III. ტანისამოსი, ქსოვილები და ხელსაქმე; IV. საომარი საჭურველი და სამხედრო საქმე. დასაბეჭდად მომზადა ივ. ჯავახიშვილი სახელობის კაბინეტმა, თბილისი.

**ჯავახიშვილი 1965** – ივ. ჯავახიშვილი, მასალები საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიისათვის თბილისი.

**ჯავახიშვილი 1992** – ივ. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, თბილისი.

**ჯავახიშვილი 1990** – ივ. ჯავახიშვილი, ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, თბილისი.

**ჯანაშვილი 1977** – არჩ. ჯანაშვილი, მითოლოგიური სახელწოდებანი ზოოლოგიურ ტერმინოლოგიაში, თბილისი.

**ჯეირანაშვილი 1967** – ევ. ჯეირანაშვილი უდური თუ უდიური? – ორიონი, აკაკი შანიძეს, თბილისი.

**ჯიქია 1966** – ს. ჯიქია, აღმოსავლური წარმოშობის სიტყვათა ისტორიიდან. – საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნ. ინსტიტუტის შრომები, აღმოსავლურ ენათა სერია, ტ. III, თბილისი.

**ჯიქია 1975** – ს. ჯიქია, თურქულ-ლაზური ენობრივი ურთიერთობიდან. 4 თურქული ლექსიკური ელემენტებისათვის ლაზურში. – თსუ შრომები ენათმეცნიერება, ტ. 164, თბილისი.

**ჯიქია, 1954** – ს. ჯიქია, XVIII საუკუნეში შედგენილი ქართულ-თურქული სასწავლო წიგნი. – საქ. მეცნ. აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის შრომები, აღმოსავლურ ენათა სერია, შრომები V, თბილისი.

**ჯიქია 1984** – ს. ჯიქია, აღმოსავლური წარმოშობის სიტყვათა ისტორიიდან. – მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, № 4, თბილისი.

**ჯორბენაძე, კობაიძე, ზერიძე 1988** – ბ. ჯორბენაძე, მ. კობაიძე, მ. ზერიძე, ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი, თბილისი.

**ჯორბენაძე 1989** – ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, თბილისი.

## ენათა და დიალექტთა შემოკლებანი

- ავღან.** – ავღანური  
**აზერბ.** – აზერბაიჯანული  
**ალან.** – ალანური  
**ალგ. ქართლ.** – ალგეთის ხეობის ქართლური  
**ანთროპ.** – ანთროპონიმი  
**არ.** – არიული  
**არაბ.** – არაბული  
**არამ.** – არამეული  
**არს.** – არსებითი სახელი  
**არქიტ.** – არქიტექტურა  
**ასტრ.** – ასტრონომია  
**ასურ.** – ასურული  
**აქად.** – აქადური  
**აღმ.** – აღმოსავლური  
**აჭარ.** – აჭარული  
**ახ. სპარს.** – ახალი სპარსული  
**ახ. ქართ.** – ახალი ქართული  
**ბაცბ.** – ბაცბური (წოვათუშური) ენა  
**ბერძნ.** – ბერძნული ენა  
**გ.** – **კახ.** – გარეკახური  
**გუდ.** – გუდამაყრული  
**გურ.** – გურული  
**ებრ.** – ებრაული ენა  
**დან.** – დანიური  
**ერწ.** – **თიან.** – ერწო – თიანეთი  
**ზან.** – ზანური ენა  
**ზ.** – **აჭარ.** – ზემოაჭარული  
**ზ.** – **იმერ.** – იმერული დიალექტის ზემოიმერული კილოკავი  
**ინდ.** – **ირან.** – ინდო – ირანული  
**ზ.** – **რაჭ.** – ზემორაჭული  
**თათრ.** – თათრული  
**თიან.** – თიანური.  
**თურქ.** – თურქული ენა  
**თუშ.** – თუშური  
**იმერ.** – იმერული  
**იმერბ.** – იმერხეული  
**ინგ.** – ინგილოური  
**ინგლ.** – ინგლისური  
**ინდ.** – ინდური  
**ინდ.** – **ევრ.** – ინდო – ევროპული  
**ირან.** – ირანული ენა  
**იტ.** – იტალიური  
**კახ.** – კახური  
**ლაზ.** – ლაზური  
**ლათ.** – ლათინური ენა  
**ლექსიკ.** – ლექსიკონი  
**ლექს.** – ლექსმური  
**მეგრ.** – მეგრული  
**მესხ.** – მესხური  
**მთ.** – მთიულური  
**მთ.** – **რაჭ.** – რაჭულის მთარაჭულის კილოკავი  
**მიდ.** – მიდიური  
**მონღ.** – მონღოლური  
**მოხ.** – მოხეური  
**ნახ.** – ნახური ენები  
**ოკრიბ.** – ოკრიბული  
**ოს.** – ოსური ენა  
**პართ.** – პართული  
**რაცხ. გურ.** – რაცხანაირ – გურული  
**რაჭ.** – რაჭული  
**რუს.** – რუსული  
**ს.** – **ნახ.** – საერთო-ნახური  
**ს.** – **სინდ.** – საერთო-სინდური

**სამც.** – ჯავახ. – სამცხე – ჯავახეთი  
**სინდ.** – აფხაზურ – ადიღური ენები  
**საშ.ლათ.** – საშუალო ლათინური  
**ს.-ქართვ.** – საერთო-ქართველური ენები  
**საშ. სპარს.** – საშუალო სპარსული  
**საშ. ქართ.** – საშუალო ქართული  
**საჩინ.** – ქართ. – იმერული დიალექტის ქვემოიმერული კილოს ერთი სოფლის მეტყველება  
**სვან.** – სვანური ენა  
**სირ.** – სირიული  
**სლავ.** – სლავური  
**სომხ.** – სომხური  
**სოდდ.** – სოდდური  
**სპარს.** – სპარსული ენა  
**უდ.** – უდიური ენა  
**ფალ.** – ფალაური  
**ფარს.** – ფარსი  
**ფერეიდ.** – ფერეიდნული  
**ფრანგ.** – ფრანგული  
**ფშ.** – ფშაური  
**ქართ.** – ქართული

**ქართლ.** – ქართლური  
**ქვ.** – აჭარ. – აჭარული დიალექტის ქვემოაჭარული კილოკავი  
**ქვ.** – იმერ. – იმერული დიალექტის ქვემოიმერული მეტყველება  
**ქიზიყ.** – ქიზიყური  
**ქისტ.** – ქისტური  
**ქსნ. ქართლ.** – ქართული ენის ქსნის ხეობის მეტყველება  
**ქურთ.** – ქურთული  
**ყაზარდ.** – ყაზარდოული  
**ყარაჩ.** – ყარაჩაული  
**შავშ.** – შავშური  
**შუმერ.** – შუმერული  
**ჩეჩნ.** – ჩეჩნური  
**ძვ.ებრ.** – ძველი ებრაული  
**ძვ.ირან.** – ძველი ირანული  
**ძვ. სპარს.** – ძველი სპარსული  
**ძვ. ქართ.** – ძველი ქართული  
**წ-თუშ.** – წოვა-თუშური  
**ჭან.** – ჭანური  
**ხეთ.** – ხეთური  
**ხევს.** – ხევსურული  
**ჯავახ.** – ჯავახური  
**ჰოლანდ.** – ჰოლანდიური

### სახელთა და გვართა შემოკლებანი

**ილ. აბულ.** – ილია აბულაძე  
**იუსტ. აბულ.** – იუსტინე აბულაძე  
**დ. ბაგრატ.** – დავით ბაგრატიონი  
**თ. ბაგრატ.** – თეიმურაზ ბაგრატიონი  
**ვ. ბერ.** – ვუკოლ ბერიძე  
**ლ. ბრეგ.** – ლევან ბრეგაძე  
**ბ. გაბ.** – ბესარიონ გაბაური  
**გ. გოგატ.** – გუბაზ გოგატიშვილი

**ი. გრიშ.** – იოსებ გრიშაშვილი  
**კ. დან.** – კორნელი დანელია  
**რ. ერისთ.** – რაფიელ ერისთავი  
**ალ. ელერდ.** – ალექსანდრე ელერდაშვილი  
**ბ. ელ.** – გივი ელიავა  
**ვაჟა** – ვაჟა – ფშაველა  
**ა. თანდ.** – ალი თანდილავა

**ს. თეზ.** – სოლომონ (ბიჭი) თეზე-ლიშვილი  
**ვ. თოფ.** – ვარლამ თოფურია  
**ი. იმედ.** – იოსებ იმედაშვილი  
**კირიონი** – კირიონი (გიორგი სა-მაგლიშვილი)  
**ლ. ლეონ.** – ლევან ლეონიძე  
**ალ. მაყ.** – ალექსანდრე მაყაშვილი  
**ზ. მაყ.** – ზურაბ მაყაშვილი  
**ს. ჟღ.** – სერგი ჟღენტი  
**საბა** – სულხან – საბა ორბელიანი  
**ზ. სარჯ.** – ზურაბ სარჯველაძე  
**თ. სახოკ.** – თედო სახოკია  
**ა. სიხ.** – ავთანდილ სიხარულიძე  
**პ. უმიკ.** – პეტრე უმიკაშვილი

**მ. ქალდ.** – მაქსიმე ქალდანი  
**ო. ქაჯ.** – ოთარ ქაჯაია  
**ივ. ქეშიკ.** – ივ. ქეშიკაშვილი  
**ალ. ღღ.** – ალექსანდრე ღღონტი  
**ა. შან.** – ა. შანიძე  
**გ. შატბ.** – გიორგი შატბერაშვილი  
**დ. ჩუბ.** – დავით ჩუბინაშვილი  
**ნ. ჩუბ.** – ნიკო ჩუბინაშვილი  
**შ. ძიძიგ.** – შოთა ძიძიგური  
**მ. ჭაბ.** – მიხეილ ჭაბაშვილი.  
**ალ. ჭინჭ.** – ალექსი ჭინჭარაული  
**ზ. ჭუმბ.** – ზურაბ ჭუმბურიძე  
**ი. ჭყონ.** – ილია ჭყონია  
**მ. ჯან.** – მოსე ჯანაშვილი

### სხვადასხვა შემოკლებანი

**ალერს.** – საალერსო  
**ანატ.** – ანატომია  
**ანთროპ.** – ანთროპონიმი  
**არს.** – არსებითი სახელი  
**არქ.** – არქაული  
**არქეოლ.** – არქეოლოგია, არქეო-ლოგიური  
**არქიტ.** – არქიტექტურა  
**აღმ.** – აღმოსავლური  
**ახ.** – ახალი  
**ბავშ.** – საბავშვო, ბავშვური  
**ბალახ.** – ბალახი  
**ბარბარიზ.** – ბარბარიზმი  
**ბიბლ.** – ბიბლიური  
**ბოტ.** – ბოტანიკა, ბოტანიკური  
**ბრძან.** – ბრძანებითი კილო  
**გადატ.** – გადატანით, გადატანითი  
**გენეტ.** – გენეტიკა, გენეტიკური  
**გეოლ.** – გეოლოგიური

**გეოგრ.** – გეოგრაფიული  
**გრამატ.** – გრამატიკა, გრამატი-კული  
**და სხვ.** – და სხვა  
**და მისთ.** – და მისთანა  
**დიალექტ.** – დიალექტი  
**ე. წ.** – ეგრეთ წოდებული  
**ევფემ.** – ევფემიზმი  
**ეთნ.** – ეთნოგრაფიული  
**ეკლ.** – ეკლესიური  
**ეკონ.** – ეკონომიკა  
**ვულგ.** – ვულგარული  
**ზედ.** – ზედსართავი სახელი  
**ზმნს.** – ზმნისართი  
**ზოოლ.** – ზოოლოგია  
**ზღაპ.** – ზღაპარი  
**ზღვ.** – საზღვაო  
**თარგმ.** – თარგმანი  
**ინდ.** – ინდივიდუალური

- ისტ.** – ისტორიული  
**იხ.** – იხილე  
**კარაბად.** – კარაბადინი  
**კნინ.** – კნინობითი  
**კუბ.** – კუბური  
**კულინ.** – კულინარია, კულინა-რიული  
**კუთხ.** – კუთხური  
**ლიტ.** – ლიტერატურული  
**ლოგ.** – ლოგიკური  
**მაგ.** – მაგალითად  
**მათემ.** – მათემატიკა, მათემატიკური  
**მედიც.** – მედიცინა  
**მეტალ.** – მეტალურგია, მეტალურგიული  
**მეტაფ.** – მეტაფორა  
**მითოლ.** – მითოლოგია  
**მიმღ.** – მიმღეობა  
**მინერ.** – მინერალი, მინერალოგია  
**მნიშვ.** – მნიშვნელობა  
**მრ.** – მრავლობითი რიცხვი  
**მსაზღვ.** – მსაზღვრელი  
**მუს.** – მუსიკა  
**მშენ.** – მშენებლობა  
**მცენ.** – მცენარე  
**მხ.** – მხოლოდობითი რიცხვი  
**ნ.** – ნახე  
**ნაწ.** – ნაწილაკი  
**ნეოლოგ.** – ნეოლოგიზმი  
**ოფიც.** – ოფიციალური  
**პალეოგრ.** – პალეოგრაფია  
**პოეტ.** – პოეტიკა, პოეტიკური  
**პოლიგრ.** – პოლიგრაფია  
**პოლიტ.** – პოლიტიკური  
**ჟარგ.** – ჟარგონი  
**რელიგ.** – რელიგიური  
**რევოლუც.** – რევოლუციური  
**საკუთ. სახ.** – საკუთარი სახელი  
**სამართ.** – სამართალი  
**სამხ.** – სამხედრო  
**საპირისპ.** – საპირისპირო  
**საუბ.** – სასაუბრო  
**საშ.** – საშუალო, საშუალი  
**სინონ.** – სინონიმი  
**სპეც.** – სპეციალური  
**სპორტ.** – სპორტი  
**ს.ს.** – საუკუნეები  
**სტამბ.** – სტამბური  
**სტილ.** – სტილისტიკური  
**სქ.** – სქოლიო  
**ტერმ.** – ტერმინი  
**ტექნ.** – ტექნიკური  
**უარყ.** – უარყოფითი  
**უმართებ.** – უმართებულო  
**ფეიქრ.** – საფეიქრო  
**ფიგურ.** – ფიგურალური  
**ფილოს.** – ფილოსოფიური  
**ფინანს.** – საფინანსო, ფინანსები  
**ფონეტ.** – ფონეტიკური  
**ფრინგ.** – ფრინველი  
**ფსიქ.** – ფსიქოლოგია  
**ქალაქ.** – ქალაქური  
**ქეგლ.** – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი  
**ქვ.** – ქვემოდან, ქვევიდან  
**ქიმ.** – ქიმია  
**ქსე.** – ქართული საბჭოთა ენციკლოპედია  
**შდრ.** – შეადარე  
**შემოკლ.** – შემოკლებული  
**შორისდ.** – შორისდებული  
**ძვ.** – ძველი  
**ძვ. წ.** – ძველი წელთაღრიცხვითი  
**წიგნ.** – წიგნური  
**ხალხ.** – ხალხური  
**ხელოვნ.** – ხელოვნური  
**ხმაზამც.** – ხმაზამცითი

## ფუძეთა და სიტყვა-ფორმათა

### ს ა მ ი ე ბ ე ლ ი

ა	
აბა	11
აბაი	11
აბანე	90
აბბა	11
აბდარ-ი	11
აბზინდა	12
აბზინდე	12
აბზინდი	12
აბზინტა	12
აბზინტი/ა	12
აბლა-დაცემული	13
აბლაკ-ი	13
აბლაკი ქსოვილი	13
აბლაკი ჩითი	13
აბლაობა	13
აბლ-ი	12
აბჟანდა	18
აბჟანდი	18
აბრა	13
აბრაგი	14
აბრაგ-ი	14
აბრაიგი	14
აბრაკი	14
აბრეკი	14
აგელვებს	148
ადვილფასი	240
ადიმაცრ	14
ადიმ-ი	14
ადუმბი	15
ავალა	15
ავალ-ი	15
ავან[გ]დასტა	16
ავანალი	16
ავანგი	16
ავანგ-ი	16
ავანვესტიბიული	16
ავანი	15
ავან-ი	15
ავანლოჟა	16
ავანპორტი	16
ავანსცენა	16
ავანქვიჯა	16
ავარ-ი	17
ავთ-ი	17
ავილი	18
ავლახა	36
ავლენს	18
ავლი	13, 17
ავლ-ი	17
ავლინ-ი	18
ავლიხურული	18
ავლოსი	18
ავჟანდა	18
ავჟანტა	19
ავრად ალება	17
ავრაზი	20
ავრეზ-ი	20
ავსანთინი	73
ავშანი	20
ავშარა	20
აზავა	22
აზავარი	22

- აზავერი 22  
 აზან-ი 21  
 აზარვად 21  
 აზარ-ი 21  
 აზარრუდ 22  
 აზარს ათავებს 21  
 აზნი 21  
 ათძალი 598  
 აიალაფებს 34  
 აინა 22  
 აინახანი 23  
 აიფშიტება 505  
 აკო 23  
 აკუმ-ი 23  
 ალა 25  
 ალავერდ-ი 27  
 ალაგ-ი 27, 32  
 ალაზე დგომა 26  
 ალაზე ჯდომა 26  
 ალათა 28  
 ალათა-ბალათა 28  
 ალათა-მალათა 28  
 ალათ-ი 28  
 ალაი (ალაჰი) 26  
 ალაი შაფი 26  
 ალალაყნ 29  
 ალალ-ი 28  
 ალალი გუელი 29  
 ალალი ლუკმა 29  
 ალალი ოფლი 29  
 ალალი რძე 29  
 ალალი სერი 29  
 ალალი ქსელი 29  
 ალალი შვილი 29  
 ალამდარი 31  
 ალამ-ი 30  
 ალამს ვერ (არ) მოუკლავს 31  
 ალამ-სალამი 31  
 ალამფეულობა 34  
 ალამჩენარი 25  
 ალანელი 31  
 ალან-ი 31  
 ალაო 32  
 ალაოდ არის 32  
 ალას აძახებს 26  
 ალატებზ 33  
 ალატ-ი 33  
 ალატის ხედ 33  
 ალაფალა 34  
 ალაფ-ი 34  
 ალახ 35  
 ალახა 36  
 ალახი 26  
 ალახ-ი 35  
 ალაჯი 36  
 ალემი 31  
 ალვა 37  
 ალვანია 38  
 ალ-ი 23  
 ალი 24  
 ალი ქალი 25  
 ალია 37  
 ალია(ის) ჩიტა 37  
 ალიონ-ი 38  
 ალის დაწოლა 24  
 ალის ლობიო 23  
 ალის ხე 25  
 ალლად 31  
 ალმანზე 38  
 ალმანი 38  
 ალმან-ი 38  
 ალმანობა 38  
 ალნა[დ] 28  
 ალნათ 31  
 ალო 39  
 ალოე 39  
 ალონია 38  
 ალოს გამოყვანა 39



- ალქატი-ი 40  
 ალქატი მარცვალი 41  
 ალქატი მიწა 40  
 ალქატი სახე 41  
 ალქატი ღომი 41  
 ალქატობა 41  
 ალყა 41  
 ალხზე დგომა 42  
 ალხ-ი 42  
 ალხის ცემა 42  
 ამაღა 43  
 ამაღ-ი 42  
 ამალს მოიბრუნებს 43  
 ამანათ-ი 44  
 ამან-ი 43  
 ამარა 45  
 ამარად 45  
 ამარ-ი 44  
 ამარტა 45  
 ამარტის ველი 45  
 ამბა 11, 46  
 ამბალი 43  
 ამბარ-ი 46  
 ამბოლი 46  
 ამბოხათ იქნება 49  
 ამბოხ-ი 48  
 ამბრი 49, 55  
 ამბრ-ი 49  
 ამგალი 52  
 ამება 49  
 ამირა 46  
 ამლაკად ჭამს 50  
 ამლაკ-ი 50  
 ამლაკი მჭამელი 50  
 ამო 50  
 ამოგირგალება 156  
 ამოვან-ი 50  
 ამოვანის მთა 51  
 ამონის მთა 51  
 ანაფორა 51  
 ანბა 11  
 ანბარი 47  
 ანბოხი 48  
 ანბოხის აღძრვა 48  
 ანგაარი 52  
 ანგალა 52  
 ანგალ-ი 52  
 ანგარა 53  
 ანგარ-ი 52  
 ანგარი 53  
 ანდაზა 55  
 ანდაზები 55  
 ანდაზით 54  
 ანდერზი 55  
 ანდერძი 55  
 ანტლია 55  
 არაბი 49, 55  
 არაბ-ი 55  
 არავი 60  
 არაკად 56  
 არაკ-ი 56  
 არამა 57  
 არამ-ი 57  
 არამხანა 57  
 არაყბარაყი 58  
 არაყბარი 58  
 არაყი 58  
 არაყ-ი 58  
 არაჯანი 67  
 არდ-ი 58  
 არდის ფურცელი 58  
 არდის წყალი 58  
 არდიფრუ 58  
 არე 59  
 არე-არე 59  
 არე-კარე 59  
 არეკაგრ 56  
 არეკი 56

არე-მარე 59	ასლი 69
არვე 60	ასლ-ი 69
არვეზი 60	ასლი აზრეშუმი 70
არია 60	ასლი და კვალი 69
არიელეზი 61	ასპიდ-ი 70
არიელი 61	ასპიდის დაფა 175
არიელ-ი 61	ასპიტ-ი 70
არიილი 61	ასპიტის ქვა 71
არიკაყბ 56	ასულ-ი 71
არილად 61	ატიალია 461
არილ-ი 61	ატლას-ი 72
არიფანა 62	აური 17
არიფ-ი 62	აუსოხრავეზს 442
არმუჯ-ი 63	აფაური 74
არულ-ი 63	აფთ-ი 73
არფა 63	აფთივით 73
არქატ-ი 63	აფრაზი 20
არქედ 63	აფსანთინი 73
არქ-ი 63	აფსინდი 73
არქი გამდის 64	აფსინდ-ი 73
არქიეპისკოპოსი 64	აფსინთა    აფსინთი 73
არქიერი 64	აფსინთი 73
არქიმლიონერი 64	აფურ-ი 74
არქიპატრიოტი 64	აქოქი // აქუქი 519
არღავან-ი 65	აღაჯ-ი 74
არშივ-ი 65	აღება 17
არშივი 66	აღქაფება 510
არშივობა შენი 65	აშა 74
არხ-ი 66	აშა თქვა 74
არჯალი / აჯალი 66	აშა ჰკრა 74
არჯალ-ი 66	აშარ-ი 75
არჯალი მოუვა 66	აშ-ი 74
არჯალი მოუვიდა 66	ახვირი 76
არჯალი შეეყარა 67	ახი არა მაქვს? 75
ასაკ-ი ჰასაკი 68	ახია (მასზე)!75
ასალარი 295	ახია 75
ასალ-ი 69	ახინკლიავეფს 644
ასაწევი ალათა 28	ახორად 76
ას-ი 68	ახორი / ახური 76

ახორ-ი 76  
 აჯამ-ი 77  
 აჯემი 77  
 აჯ-ი 76  
 აჯილა 77  
 აჯილაკი 77  
 აჯის ტახტი 76  
 აჯლა 77

**ბ**

ბარობა 97  
 ბაზღან-ი 78  
 ბადალ-ი 78  
 ბადალო 78  
 ბადენი 109  
 ბადია 79  
 ბადლ მიწა 78  
 ბადლის ჩითი 80  
 ბადრაგა // ბადრა 80  
 ბადრაგ-ი 79  
 ბადრანგი 80  
 ბადრ-ი 79  
 ბადრი ჩითი 80  
 ბადურ-ი 80  
 ბავრაცი 123  
 ბავროკი 80  
 ბავრუკ-ი 80  
 ბაზალად 83  
 ბაზარ-ბაზარ 82  
 ბაზარ-ი 82  
 ბაზე 81  
 ბაზ-ი 81  
 ბაზიერთუხუცესი 81  
 ბაზიერი 81  
 ბაზმა 83  
 ბაზმაკალმასი 83  
 ბაზმაკი 83  
 ბაზმალა 83

ბაზმანდ-ი 84  
 ბაზმანდიანი 84  
 ბაზრაცატუნისა 285  
 ბა-ი 85  
 ბაია 85  
 ბაიას ფერი 85  
 ბაკამი 88  
 ბაკან-ი 87  
 ბაკ-ი 86  
 ბაკიან თვალ 87  
 ბაკილა 116  
 ბაკის თვალ<sup>რ</sup>87  
 ბაკის კარ<sup>რ</sup> 86  
 ბაკლა 116  
 ბაკმი 88  
 ბალ-ი 88  
 ბალიშ-ი 89  
 ბალსამი 99  
 ბამში 89  
 ბამ-ი 89  
 ბანაკი 91  
 ბანგ-ი 91  
 ბანდა 93  
 ბანდები 92  
 ბანდი 91  
 ბანდ-ი 91  
 ბანდი 93  
 ბან-ი 93  
 ბანიან-ი 93  
 ბანკი 91  
 ბანჯარი 479  
 ბადა 85  
 ბაჟა 94  
 ბაჟე 94  
 ბაჟ-ი 93  
 ბაჟიანა 94  
 ბარა 97  
 ბარავს 95  
 ბარაკი // ბარაკია 97

ბარბაროზი 206	ბაჰრა 97
ბარდა 98	ბაჰრ-ი 106
ბარდამი 99	ბაჰყი აზიაზ 106
ბარდანა 98	ბე 109
ბარდან-ი 98	ბეგთაბეგი 107
ბარდ-ი 98	ბეგ-ი 107
ბარდლის ხამი 80	ბეგლარბეგი 107
ბარდნის 98	ბედ(ნ)ი 108
ბარ-ი 94	ბედენი 109
ბარი 394	ბედ-ი 107
ბარიან კვერებზ 96	ბედიანი 107
ბარის ერისთავი 95	ბედიქალი 108
ბარკას-ი 99	ბედი-ცხოველი 107
ბარსაბონ-ი 99	ბედნიერი 107
ბარქაზ-ი 99	ბეზმენი 84
ბასმა 100	ბეი 109
ბასრ-ი 101	ბე-ი 109
ბასრი ენა 101	ბელბაღ 104
ბასრი რკინა 100	ბელიში 89
ბასრი ფოლდი 101	ბერაში გატარება 97
ბასრის ქვა 101	ბერეთი 109
ბასრის ჯმალი 101	ბერილა 109
ბატონები 102	ბერილ-ი 109
ბატონ-ი 102	ბერილიონი 110
ბატონიანი 102	ბერილიუმი 110
ბაურა 119	ბერილოსი 110
ბაღ-ი 103	ბია 110
ბაღი ვაშლი 104	ბიაბანი 111
ბაღიზოლოგიური ბაღი 104	ბიამან-ი 111
ბაღნარ-ი 104	ბივრილი 110
ბაღჩა 105	ბივრიტი 110
ბაღჩეღ 105	ბინარ-ი 111
ბაყამ-ი 106	ბინარული 111
ბაყი // ბაყვი 106	ბინარული თარგმანი 111
ბაყ-ი 106	ბიჟ 115
ბაყის გატეხა 106	ბირკა 112
ბაყმის ხე 106	ბირკა ბალახი 112
ბახჩეღ 105	ბირკ-ი 112
ბაჯ-ი 106	ბირკიან-ი 113

ბისტ-ი 113	ბორტნოანი 124
ბიჭ-ი 113	ბორტოა 123
ბიჭობა 114	ბორტრადისტი 124
ბოა 115	ბორუა 120
ბოზვი 115	ბორჯათი 124
ბოზ-ი 115	ბორჯალი 124
ბოკელ-ი 116	ბორჯგადგმული 125
ბოკილი 116	ბორჯვი 125
ბოკლად 116	ბორჯ-ი 124
ბოკოლი 116	ბორჯოყო 125
ბოლიქი 117	ბორჯს გა'ი'დგამს 125
ბოლტ-ი 116	ბოტალი 125
ბოლქვ-ი 116	ბოტანიკური 104
ბოლქუი 116	ბოტ-ი 125
ბომბი 131	ბჟიკი 126
ბომონ-ი 117	ბჟირვა 126
ბორა 119, 120	ბჟირ-ი 126
ბორა ბატკანი 120	ბჟირი 393
ბორავაშლი 120	ბჟირივით 126
ბორაკი 121	ბჟიტი 126
ბორაკ-ი 121	ბრა 127
ბორან-ი 121	ბრაგა 127
ბორაჲ (ბორაცხვარ)120	ბრაქა 127
ბორაქი 118	ბრაწ-ი 127
ბორაყ-ალვისტანი 122	ბრინჯაოს ხე 127
ბორაყ-ი 122	ბრინჯ-ი 128
ბორაცხვარი 120	ბროწეული 345
ბორეგი 121	ბრუტდასეული 129
ბორ-ი 118	ბრუტი 127
ბორია 122	ბრუტიანი / ბრუციანი 128
ბორიო 123	ბრუტს ადენს 127
ბორიო ხალხი 123	ბრჭე 139
ბორის მჟავა 118	ბუა 129
ბორტგამყოლი 124	ბუვი 129
ბორტვი 123	ბუთა 130
ბორტ-ი 123	ბუ-ი 129
ბორტი 124	ბუკა 131
ბორტინჟინერი 124	ბუკვი 130
ბორტმეჟანიკოსი 124	ბუკ-ი 130

- ბუკ-წინწილა 614  
 ბულა 131  
 ბულოი 131  
 ბულქვ-ი 132  
 ბუმბა 131  
 ბუნა 134  
 ბუნა-ბუნა 134  
 ბუნე 132  
 ბუნ-ი 132  
 ბურავო 135  
 ბურან-ი 135  
 ბურანში ყოფნა 135  
 ბურაო 135  
 ბურაული 120  
 ბურახ 135  
 ბურახა 135  
 ბურახ-ი 135  
 ბურდო 136  
 ბურეგი 121  
 ბურ-ი 134  
 ბურნუკი 133  
 ბურო 135  
 ბურსა 136  
 ბურქვი 117  
 ბურქუად-ბურქუად 117  
 ბურჯღულ-ი 137  
 ბურჯღუმი 137  
 ბურჰანი 135  
 ბუტ-ი 137  
 ბუხარ-ი 137  
 ბჰე 138  
 ბჰეთ-მწიგნობარი 139  
 ბჰენი ჯოჯოხეთისანი 137  
 ბჰითი-ბჰედ 138
- ბ**
- გაბარვა 95  
 გაბატონებული ქარი 102  
 გაბორტული 123  
 გაბოტებული 124  
 გაბრა 142  
 გადაგრიგვლა 156  
 გადელემა 179  
 გაემინება 200  
 გაზვალ 143  
 გაზ-ი 142  
 გაზით გაართომს 143  
 გაზირ-ი 143  
 გაზმაზუ 143  
 გალა 144  
 გალ-ი 143  
 გალია 145  
 გალნი 144  
 გალო 146  
 გამარაგინებულია 323  
 გამოსამავემა 410  
 გამოტიალება 459  
 გამქუშავი 526  
 განტოლვემა 462  
 განხანება 632  
 გარიელ-ი 147  
 გასინჯა 436  
 გატიალება 459  
 გაურავება 472  
 გაურავებული 472  
 გაფ-ი 147  
 გაფსიტული 502  
 გაღნარავს 363  
 გახელება 638  
 გახერება 640  
 გეზ-ი 147  
 გელ(ის)-ყოფა 148  
 გელა 148  
 გელავს 148  
 გელბარანი 148  
 გელბერი 148  
 გელვემა 148  
 გენია 149  
 გენიალობა 149  
 გენიალური 149  
 გენიოსი 149  
 გენიოსობა 149

გენოსური 149  
 გერმა 150  
 გეჰენია 149  
 გეჰენია 149  
 გვარი 150  
 გვარ-ი 150  
 გვარიან-ი 152  
 გველის ჭარი 617  
 გზა 153  
 გირგალი ღობე 157  
 გირგლური ღობე 157  
 გლასე 153  
 გლიასე 153  
 გნომ-ი 153  
 გოარი 150, 155  
 გოგა 154  
 გოგი 154  
 გოგ-ი 154  
 გოგი და მაგოგი 154  
 გოვარ-ი 154  
 გოლბადი 104  
 გოლეული 155  
 გოლ-ი 155  
 გონგი 154  
 გონგ-ი 155  
 გორველა 152  
 გრიგალ-ი 156  
 გრიგალიანი ჭადი 156  
 გრიგლური 156  
 გრილად 157  
 გრილ-ი 157  
 გრილოვ გამოყრით 157  
 გრილოვ 157  
 გროშ-ი 158  
 გუარი 150  
 გუარ-ი 158  
 გუარტომობა 158  
 გულარჯალი 66  
 გულ-ი 158

გულის დაფა 175  
 გულის კოვზი 270  
 გულის ლაკლავი 289  
 გულქაფარი 511  
 გულხარბი 635  
 გუნდა 159  
 გუნდაქვა 159  
 გუნდის ხე 159  
 გურული ბორია 122

**დ**

დააკერატებს 258  
 დაალამებად 31  
 დაალაოება 32  
 დაამლებული 43  
 დაამლოული 42  
 დაახადილეფს 623  
 დაახავებს 624  
 დაბაზებული 81  
 დაბანდება 92  
 დაბაჟდება 94  
 დაბაჟებული 94  
 დაბატონებული 102  
 დაბლა 161  
 დადარ(ა)ნებული 169  
 დადარნეულებული 169  
 დავარვება 205  
 დავ-ი 161  
 დავი საჭმელი 161  
 დავითის ქნარი 516  
 დავლა 161  
 დათაკვრა 222  
 დაიამლება 42  
 დაიარალება 239  
 დაკირწყლოული 267  
 დალაბავება 287  
 დალალა 163  
 დალალ-ი 162  
 დალ-ი 162

- დამა 165  
 დამათი 166  
 დამატი 166  
 დამბა 186  
 დამბაზებული 81  
 დამ-ი 163  
 დამი 164  
 დამის კაცი 164  
 დამის მოხდა 165  
 დამში მოსვლა 165  
 დამში მოყვანა 165  
 დანა 166  
 დანაკი 166  
 დანალოვდების 354  
 დანდალ-ი 167  
 დანდანი 167  
 დარაბა 169  
 დარან-ი 169  
 დარაჯა 170  
 დარაჯაგი 171  
 დარაჯანი 170  
 დარაჯება 170  
 დარ-ი 168  
 დარიჯა/ი 172  
 დარიჯაგი 171  
 დარიჯაგ-ი 171  
 დარიჯი 171  
 დარსა დაიდებს 168  
 დარჯაგი 172  
 დარჯაკი 172  
 დასაკეცი დანა 166  
 დასინული 434  
 დასირავება 438  
 დასირავებული 438  
 დასტა 172  
 დასტაგი 173  
 დასტამალ-ი 173  
 დასტაქარი 189  
 დასტ-ი 172  
 დასტურ-ი 173  
 დაუჟამები 391  
 დაუხავებს 624  
 დაფა 175  
 დაფარემბული 483  
 დაფ-ი 174  
 დაფი-ზურნა 175  
 დაფნა 175  
 დაღ-ი 176  
 დაყანდრებული 543  
 დაყურსვა 176  
 დახავება 624  
 დახავერავს 624  
 დახლ-ი 177  
 დედალი თოხლი 235  
 დეზდი 178  
 დეზ-ი 177  
 დეზი წინდა 178  
 დეკა 178  
 დეკნა 179  
 დელ-ი 179  
 დელიან-ი 179  
 დელი-დელა 179  
 დემა 166  
 დემეთი 166  
 დენგი 182  
 დენ-ი 180  
 დერეჯე 171  
 დვალი 162  
 დიაკეული 179  
 დიბა 180  
 დიბა-ატლასი 180  
 დიბა-ზარბაზი 180  
 დიბაჲ 180  
 დიბა-სტავრა 180  
 დიბა-ფარჩა 180  
 დიბი 180  
 დიბლიგი 192  
 დიგლიგი 192



- დიდი ბატონი 102  
 დიდი ნარდი 357  
 დიეკეული 179  
 დივან-ი 180  
 დივანხანა 181  
 დივნე 331  
 დილყა 182  
 დინგ-ი 181  
 დინგს გაიკრავს 181  
 დიყა 182  
 დიყი 182  
 დიყ-ი 182  
 დიყიანი 182  
 დო 182  
 დო-ბორანად 183  
 დოგ-ი 183  
 დოვლად 183  
 დოკორკოტა 183  
 დოლა 185  
 დოლა პური 185  
 დოლა სახლი 185  
 დოლაბ-ი 185  
 დოლ-ი 183  
 დოლი-ბატკანი 183  
 დოლის პური 184  
 დოლის სახლი 184  
 დოლოზა 186  
 დოლს დაჰკრავს 184  
 დოლფარა 184  
 დოლფარი 184  
 დომბა 186  
 დომბალი 183  
 დონა 187  
 დონაზედ დადგომა 187  
 დონაზედ მოსვლა 187  
 დონე 187  
 დონთბარი 183  
 დოპერა 183  
 დორა 187  
 დორაკი 187  
 დოროზა 188  
 დოს პერანგი 182  
 დოს შაჰამანდი 183  
 დოსტაქანი 189  
 დოსტაქარ-ი 188  
 დოღბაჰი // დოღობაჰი 183  
 დოშ-ი 189  
 დრამა 190  
 დრამბაი 191  
 დრამზე გადარჩა 191  
 დრამი // დრემი 190  
 დრამ-ი 190  
 დრამის ფული 190  
 დუბელა 191  
 დუბელი 191  
 დუგა 192  
 დუგლუგი 192  
 დუზ-ი 192  
 დუზი კედელი 192  
 დუზი წინდა 192  
 დუკატ-ი 192  
 დუმა 193  
 დუმან-ი 194  
 დუმის სარჩული 193  
 დუნე 187  
 დურა 194  
 დურა ტყავი 194  
 დურაკი 188  
 დურადა 195  
 დურად-ი 195  
 დურადის კრვა 195  
 დურბელა 195  
 დურბელი 195  
 დურბლის ქარი 195  
 დურდო 136  
 დურკი 188  
 დურო 196  
 დუროიანი სახლი 196

დურუბაი 188  
 დუმან-ი 196  
 დჯრჯ 399  
 დღე-წერა 608

**ე**

ეარი 60  
 ეგემლევანი 340  
 ეგირ-ი 197  
 ეზანი 21  
 ელავი 199  
 ელამ-ი 198  
 ელამოთი 199  
 ელამონი 199  
 ელაჲ 199  
 ელატ-ი 199  
 ელევენ-ი 199  
 ელევი 199  
 ელვანა 199  
 ელი 197  
 ელ-ი 197  
 ელმაჲ 198  
 ემანეთი 44  
 ემინ-ი 200  
 ემინი ამინდი 200  
 ემირატი 46  
 ერთ ბარაში ატარებს 97  
 ერთალია 223  
 ერთდრამხან // ერთდრამიხან 191  
 ერთი ბუნა 134  
 ერთი დრამი 190  
 ერთი თალია 223  
 ერ-ი 201  
 ერისა კაცი 200  
 ესემლევანი 340  
 ეტლ-ი 201  
 ეტლიან-ბეტლიანი 202  
 ეტლიან-დავლათიანი 202

ეტლიანი 202  
 ეტლის-თუალი 201  
 ეფი 240  
 ეფობა 240  
 ეშმა 202  
 ეშმაკეულობა 202  
 ეშმაკი 202

**ვ**

ვადა 203  
 ვადიანი 203  
 ვალა 204  
 ვალანო 99  
 ვალ-ი 203  
 ვალიანობა 203  
 ვალსამო 99  
 ვანა 205  
 ვარა 205  
 ვარაყი 58  
 ვარვარ-ი 206  
 ვარ-ი 205  
 ვარია || ვარელა 206  
 ვარია 206  
 ვარიანი 206  
 ვარიოზი 207  
 ვასვასა 207  
 ვაც-ბოტი 125  
 ვახ-ი 207  
 ველის წილი 612  
 ვილა 208  
 ვრაქია 208

**ზ**

ზაბაკ-ი 209  
 ზავალ-ი 209  
 ზაკქოდსაჲ 517  
 ზალა 209  
 ზალა-მმარი 210  
 ზამბაკი 209

ზამბიკი 209	ზუკ-ი 220
ზანგეთი 210	ზუკიანი 220
ზანგ-ი 210	ზუუფა 220
ზანდუკ-ი 210	ზუფა 220
ზანდული 211	ზუფად 220
ზანდუცი 211	ზუფვა 220
ზანტუკი 211	ზუფ-ი 220
ზარა 214	
ზარა ყვავილი 214	<b>თ</b>
ზარარ-ი 214	თაბახ-ი 221
ზარაფ-ი 215	თავბერა 120
ზარდაო 215	თავბორა 120
ზარ-ი 212	თავლა 221
ზარიფ-ი 215	თავს შარი 559
ზარიფობა 215	თავფლასიანი 495
ზაჰრიანი 212	თათარა 221
ზერია 212	თაკარა 222
ზეცა 592	თაკარო 222
ზილ-ი 215	თალია 223
ზინდა 216	თალისა 223
ზინდა სპილო 216	თალხ-ი 223
ზინდალი 217	თალხი ფქვილი 224
ზინდან-ი 216	თალხი ჭკუა 224
ზირა    ზირი 217	თამაშა 224
ზირა მეგრედ 217	თამაში 224
ზირაკი 217	თანგ-ი 225
ზმილაკ-ი 218	თართ-ი 225
ზმირინ-ი 218	თარფ-ი 225
ზმირნ-ი 218	თარჯ-ი 226
ზმურ-ი 218	თარჯიანი 226
ზოფა 219, 220	თაფა 226
ზოზინი 219	თაფა ლავაში // თაფლა ლავაში 227
ზოფა 219	თაფ-ი 226
ზოფაი 219	თაფს იზამს 226
ზუზა 219	თალარ-ი 227
ზუზვა 219	თალარი/ა 227
ზუზვი 219	თახუმ-ი 227
ზუზ-ი 219	თაჯა 228
ზუზია 219	თაჯაი // დაჯირა 228

თაჯ-ი 228	თურ-ი 237
თე 229	თურნე 233
თეგ-ი 228	თურო 237
თეე 229	თუხმ-ი 237
თეჭ 229	
თეთრი ქორი 518	ო
თენგი 229	იავარი 17
თეო 229	იალქან-ი 238
თეომოკრული 230	იარა 238
თერო 230	იაფ-ი 239
თეფა 227	იაფი წისქვილი 240
თვალის კილოდ 265	იაფური დართვა 240
თვალის ჩინი 590	იაფური ქალამანი 240
თვალის ციცა 594	იბრილი/იბრელი 14
თვალხარბი 635	იელქანი 238
თჭ 229	იეფი 239
თირ-ი 230	იეფობა 240
თიღ-ი 230	იღ-ი 241
თოლის ბიაი 111	ინგირი 197
თოლხოლო 234	ინჯრა 243
თომარ-ი 231	იოლად (იოლას) მიდის 241
თომარობს 231	იოლ-ი 241
თორ-ი 231	იონ-ი 242
თორნე 232	ირეოს-ი 242
თორხულო 234	ირო 242
თოფ-ზამბუსკი 234	ირონი 242
თოფ-ი 234	იშნი 363
თოფჩიბაში 234	იჩალიჩებს 579
თოფხანა 234	იქარების 617
თოხლ-ი 234	იხადილებს 623
თოხლო 235	იჯარა 243
თოხუმ-ი 235	იჯრა 243
თოხუმობა 235	
თუალ-გოვარი 155	კ
თუთ-ი 236	კაბაკარდი 253
თუთუნ-ი 236	კაბალა 244
თუის ნატამალი 360	კაბარჭი 247
თულანა 236	კადრ-ი 244
თულ-ი 236	კაკაბა 246
თულინგრი 236	კაკაბ-ი 245
თულლო 236	კაკაბივით არის 345

- კაკბის მკერდა 245  
 კაკბობა 245  
 კანტარი 256  
 კანტ-ი 246  
 კაპარ-ი 247  
 კაპარჭი //კაპაჭი 247  
 კაპარჭ-ი 247  
 კაპარჭის მიკვრა 247  
 კაპარჭოსანი 247  
 კაპიოტა 250  
 კაპოეტება 249  
 კაპოეტ-ი 248  
 კაპრის წნილი 247  
 კაპუეტ-ი 250  
 კარაბა 250  
 კარაბანი 250  
 კარავი 365  
 კარაპანი 250  
 კარაპ-ი 251  
 კარატი 258  
 კარგი (კაი) ბიჭობა 115  
 კარგი (კაი) დახლი დაუდგება 177  
 კარგ-ი 251  
 კარგკაცობა 253  
 კარგნაქნარი 252  
 კარდ-ი 253  
 კარკაც-ი 253  
 კარკაცობა 253  
 კარს-ი 254  
 კარტ-ი 254  
 კარტოხაი 120  
 კასაბი 544  
 კასია 254  
 კატაბა 255  
 კატაბან-ი 255  
 კატარ-ი 256  
 კაცის ჩინი 590  
 კამახი 541  
 კედარ-ი 257  
 კედ-ი 256  
 კედრონი 257  
 კეზი 259  
 კენტრო 257  
 კერატეული 257  
 კერატ-ი 257  
 კერი 258  
 კერმა 259  
 კერმის-მცვალებელი 259  
 კერტანი 258  
 კეს-ი 259  
 კეტალა 260  
 კეტ-ი 259  
 კეტურა 260  
 კეფა 260  
 კეფალ-ი 260  
 კვართ-ი 261  
 კვართი ხე 261  
 კვართიანი კვარტი 261  
 კვილმიტი 262  
 კვიმატ-ი 261  
 კვიმატი დღე 262  
 კვინტალი 262  
 კილ-ი 262  
 კილიანი 263  
 კილო 264  
 კილოვნება 265  
 კილონაწვავი 265  
 კილში [ჩა]უდგება 262  
 კირდრეკილი 267  
 კირთა დაკუეთა 267  
 კირ-ი 267  
 კისტი 268  
 კისტ-ი 268  
 კნოტი 268  
 კნუტ-ი 268  
 კობზი 270  
 კობზი 271  
 კოდა 270  
 კოდ-ი 268

- კოვზ-ი 270  
 კოზი 271  
 კოკა 271  
 კოკინე 271  
 კოკუნა 271  
 კოკურა 271  
 კოლტ-ი 272  
 კოლტ-კოლტი 272  
 კომეტა 262  
 კომეტა კომეტი 272  
 კომიტი 261  
 კომიტ-ი 272  
 კონდახ-ი 273  
 კონი 273  
 კონ-ი 273  
 კონოდ 273  
 კონოსი 273  
 კონქ-ი/კონქა 273  
 კონქილიო 277  
 კონქუთი 277  
 კონხლიო 277  
 კორდი 268  
 კორდ-ი/ა 274  
 კოსიო 270  
 კოტორ-ი 275  
 კოტრ-ი 276  
 კოფხალი 284  
 კოში 520  
 კოწოლა 277  
 კოწოლ-ი 277  
 კოჭი შაქზე დაუჯდაო 564  
 კოხლიო 277  
 კოხლო 277  
 კრინავს 278  
 კრინ-ი 277  
 კრინით 278  
 კრკო 278  
 კრკონი 278  
 კრცხალი 281  
 კუბა 278  
 კუბო 278  
 კუბო ყალმაგი 279  
 კუმკუმა 614  
 კუმფხალი 284  
 კუმხალი 284  
 კუნტალი 283  
 კურტან-ი 279  
 კურტან-ქევანი 279  
 კურტი 280  
 კურტნის კრამიტი 279  
 კურტნის მუშა 279  
 კურტუმები 280  
 კურტუმ-ი 280  
 კურცხალა 281  
 კურცხალ-ი 281  
 კუტალაჲ 283  
 კუტალ-ი 283  
 კუტი 282  
 კუტი-ი 282  
 კუტი ბალახი 282  
 კუტი ლამპა 282  
 კუტი მატყლი 282  
 კუტი პური 282  
 კუტი ქვა 282  
 კუტი ქვაბი 282  
 კუტრი 276  
 კუტუ 283  
 კუფხალა 284  
 კუფხალი 283  
 კუფხალ-ი 283  
 კვმატი 261
- ლ**
- ლაბა 285  
 ლაბდო 286  
 ლაბ-ი 285  
 ლაბო 286  
 ლაგაზ-ი 287  
 ლაგან-ი 288  
 ლაგლაგ-ი 288  
 ლაიბი 300

ლაინ-ი 289	ლების გამოცვლა 300
ლაინის-ფერი 289	ლეინი 289
ლაკლაკი 288	ლელ-ი 301
ლაკლაკ-ი 289	ლეე 302
ლაკუა 298	ლელუსუარი 446
ლალა 290	ლელუსულელი 446
ლალ-ი 290	ლია 302
ლალობა 290	ლიამპარი 302
ლამა 293	ლიბერი 303
ლამბი 285	ლიბრედი 304
ლამი // ლამა 291	ლიბრ-ი 303
ლამ-ი 291	ლიბრი ლობიო 303
ლამიტოპია 292	ლიბრი მიწა 303
ლამიყლაპია 292	ლიემპალილა 302
ლამ-კირი 292	ლიმო 304
ლამპა 293	ლიმონ-ი 304
ლამფა 293	ლირბი 304
ლანგ-ი 294	ლირფი 304
ლანგიანი 294	ლიტაო 306
ლანგმოდებით 294	ლიფ-ი 305
ლანგს მოუსვამს 294	ლიფლიფი 305
ლარდიონი 356	ლიფრი 304
ლარ-ი 294	ლომა 306
ლარულად დაგება 295	ლომ-ი 305
ლატიფი 360	ლოტო 306
ლაფშა 296	ლოხმა 306
ლაფშა ჯამი 297	ლუკმა 307
ლაქა 297	ლუქ-ი 307
ლაქ-ი 297	
ლაქის ფეხსაცმელი 297	<b>მ</b>
ლადვა 299	მაგალითება 308
ლაცაბი 298	მაგალით-ი 308
ლაცაფ-ი 298	მაგალითობა 308
ლაცვა // ლაცო 298	მაზა 308
ლაცლაყ-ი 299	მაზალო 308
ლაცფობა 298	მაზრა // მაზარა 310
ლებე მიწალები 300	მაზრა 308, 310
ლებ-ი 299	მაზრაკა 310

მაია 311	მასტიკ-ი 325
მაკაბალოზა 244	მასტიკი/ა 325
მალა 312	მასტიქი 325
მალაგს 314	მაქანებით 320
მალაკ-ი 312	მაღალ-ი 326
მალვა 314	მაშა 327
მალ-ი 311	მაცილი 594
მალიათი 312	მახალაკ-ი 329
მალლა // მალა 312	მახალ-ი 328
მამალი თოხლი 235	მახმული 329
მანა 315	მახმურ-ი 329
მანაა 315	მზჭე 140
მანათ-ი 317	მდარ-ი 168
მანათობელი 317	მდელო 330
მანალ-ი 317	მეავილე 18
მანანა 315	მეავლე 18
მანდარ-ი 318	მეალმე 30
მანდარინ-ი 318	მეზაკე 86
მანდაურ-ი 318	მეეტლე 201
მან-ი 314	მეზანდუკე 212
მანიაკ-ი 318	მეკაბარჭე 247
მანნა 315	მეკოლყუნე 548
მანქანა    მანქანი 319	მელამფე 293
მანქანა 319	მელან-ი 331
მანქანება 320	მელან-ყორანი 332
მანქან-ი 319	მელია 332
მანქანითი 320	მემანე 316
მაჟარა 320	მემროწლე 345
მარაგ-ი 321	მემულნე 349
მარაგით-ზრახვა 322	მემშვლდ-კაბარჭე 247
მარანგი 322	მენა 332
მარდა 324	მენაკ-ი 332
მარდ-ი 324	მენარდე 357
მარზაკი 310	მენარდეობა 357
მარ-ი 320	მენალარე 361
მარი 321	მეორე ჩინი 590
მარტო 324	მეჟამე 390
მარჯან-ი 325	მერე 332
მასა 325	მერეტაფა 334



მერ-ი 332	მლევანება 340
მესუხრაობა // მესუხრეობა 442	მლევან-ი 340
მეტ-ი 334	მნა 315
მეტრა/ე 334	მნუსხველი 369
მეტრ-ი 335	მობოკლვით 116
მეტრო 336	მობრჭე 139
მეფარაგე 481	მოგვ-ი 340
მეშაკი 328	მოგუ 341
მეჩანგე 581	მოდა 341
მეხადილე 623	მოვალე 203
მეხარბე 635	მოვ-ი 342
მეჰარი 321	მოკაკვბა 246
მეჰომე 377	მოლა 343
მზარავი 337	მოლ-ი 342
მზარაულთ-მთავარი 337	მოლურად 343
მზარაულთ-მოდღუარი 337	მოჟმე / მოჟამე 393
მზარაულ-ი 336	მორეწე 346
მზარეული 336	მორეწული 346
მზის ალაო 32	მორვა 344
მზისა ტიალი 459	მორ-ი 344
მთავარმზარეული 337	მორიალდება 398
მთის შრომანი 573	მოსენაე 427
მთის-ნარა 356	მოუიაფებს 240
მიკაბალებად 244	მოურავ-ი 346
მილ-ი 337	მოქუმვა 526
მილობა 338	მოდრუბება 535
მიმხადელი 622	მოყბედე 546
მინა 338	მოყუარე 551
მინაის არაყი 339	მოჩარბვა 582
მინდვრის ბარდა 98	მოჭიმული 619
მირი 321	მოხადილე 623
მისოხრავება 443	მოხაზულობა 625
მისხალ-ი 339	მოჰარშივეობად 65
მიტკალ-ი 339	მჟამობელი 390
მიტრა 340	მრეწეული 345
მიწა-მოლა 343	მროწეულაკი 344
მიხანოდთა 632	მროწეულ-ი 344
მკედი 256	მროწეული 345
მკვდარი ბედი 107	მროწეულოვანი 344

მროწლე 345  
 მსუამრი კილო 265  
 მურა 348  
 მურ-ი 347  
 მულამა 348  
 მულამი 349  
 მუშავაზ-ი 349  
 მუშკ-ამბარი 46  
 მშვლდი-კაპარჭი // კაბარჭი 247  
 მწდე 604

## ბ

ნა 350  
 ნაარმალი 57  
 ნაარმები 57  
 ნაარმევი 57  
 ნაარმი 57  
 ნაბადები 350  
 ნაბად-ი 350  
 ნაბათ-ი 351  
 ნაბიჭევი 113  
 ნაბიჭვარი 114  
 ნაბიჭი 113  
 ნაგან-ი 288  
 ნაგებ-ი 351  
 ნაგრილო 157  
 ნადიმი 15  
 ნადიმ-ი 352  
 ნადიმობა 15  
 ნავატი 351  
 ნაზლა 369  
 ნათლიჯალაბი 654  
 ნალ-ი 352  
 ნალის ჭია 353  
 ნალო 353  
 ნანა 354  
 ნანი არა მაქვს 355  
 ნანიანა 354  
 ნარა 356

ნარაქლემა 356  
 ნარაქლემი 356  
 ნარდად 357  
 ნარდი 356  
 ნარდიბაზრობა 358  
 ნარდიონი 356  
 ნარ-ი 355  
 ნარუმბალი 403  
 ნასება 358  
 ნას-ი 358  
 ნატამალ-ი 359  
 ნატამალ-მაკეთე 359  
 ნატამნევი 359  
 ნატიფ-ი 360  
 ნალარა 361  
 ნალარ-ი 361  
 ნალიტა ნალიბა 361  
 ნაყაში // ნაყიში // ნაყმქარი 362  
 ნაყიშ-ი 362  
 ნაცილი 593  
 ნაწიდარი 610  
 ნაწიდვარი 610  
 ნაწილი 605  
 ნახადილარი 623  
 ნახშ-ი 362  
 ნახშობა 362  
 ნახჭ-ი 362  
 ნახჭიანი 362  
 ნიკელ-ი 362  
 ნიკელირებული 363  
 ნიკველი 362  
 ნირავს 363  
 ნირ-ი 363  
 ნირშეცვლილი 363  
 ნისლის კოტორი 275  
 ნიშა 365  
 ნიშა ლობიო 365  
 ნიშაგი 365  
 ნიშახარი 365  
 ნიშ-ი 363

ნიშის წაღება 364  
 ნოაგი 367  
 ნობათი 365  
 ნობათ-ი 365  
 ნობათობა 365  
 ნოვაგთ-მოყუარე 367  
 ნოვაგ-ი 367  
 ნოინ-ი 367  
 ნოტია 368  
 ნოტიე 368  
 ნოტიო 368  
 ნოტო 368  
 ნოტო-ნოტო 368  
 ნუზლა 369  
 ნუზლ-ი 368  
 ნურა 369  
 ნუსხა 369  
 ნუსხურაი 370  
 ნუშა || ნუში 371  
 ნუშა 371  
 ნუშ-ი 370  
 ნუშის გული 371  
 ნუშის დაბატვა 371  
 ნუშის ზეთი 370  
 ნუშურა ფიცარი 371

**ო**

ობა 373  
 ობია 11  
 ობლის კვერი 375  
 ობოლ-ი 374  
 ობოლი თვალი 374  
 ობოლი მარგალიტი 374  
 ობოლი ნაკვერცხალი 374  
 ობოლი ხე 375  
 ოდა 375  
 ოდის თავი 375  
 ოდის კისერი 375  
 ოთხბაზარი 82  
 ოლე 376

ოლო 376  
 ოლოლი 29  
 ომ-ი 377  
 ომის დედობაჲ 377  
 ონ-ი 377  
 ორთ-ი 377  
 ორნატი 473  
 ოროლა 378  
 ოროლ-ი 378  
 ოროლობა 378  
 ორდანო 378  
 ორძალი 598  
 ოქროს ურდო 473  
 ოხრა 379  
 ოხჭანება 380  
 ოხჭან-ი 380  
 ოჯახის ალაფი 34

**პ**

პალან-კურდანი 279  
 პალან-კურტანი 279  
 პანდური 384  
 პანჭური 384  
 პარეხელი 382  
 პარეხ-ი 381  
 პარ-ი 381  
 პართ-მემღერი 381  
 პარკ-ი 381  
 პარტახი 383  
 პარტახტ-ი 383  
 პარხალი 382  
 პატარა ნარდი 357  
 პატრონაები 384  
 პატრონ-ი 383  
 პაღური 384  
 პაშტა 384  
 პაშტა მანძილი 385  
 პაშტა მეფვა 385  
 პაშტა საჭურჭლე 385

პაშტა ქალი 385  
 პაშტა წყალი 385  
 პაშტა ხანი 385  
 პაშტა-პაშტა 386  
 პაშტნი 386  
 პეპელათ 387  
 პეპელ-ი 386  
 პეპელი ბალახი 386  
 პეტაკ-ი 387  
 პეტ-ი 387  
 პეტობაჲ 387  
 პინა 387  
 პინაგი 388  
 პინაკი 388  
 პინასი 387  
 პირატ-ი 389  
 პირატობა 389  
 პირზასრი 101  
 პირისფარეში 482  
 პიტუ 494  
 პლან-ი 389  
 პლანინაჲ 389  
 პრას-ი/ა 389  
 პროტ-ი 390  
 პროტუნნი 390  
 პრჷჷე 140  
 პურის დანა 166  
 პჷჷე 140

## ქ

ქაბო 390  
 ქამდება 391  
 ქამ-ი 390  
 ქამი 393  
 ქამიანი 393  
 ქამიანობა 393  
 ქამის კვირა 393  
 ქამნი 391  
 ქვერი 394  
 ქირი 393  
 ქირ-ი 393

ჟოლა 394  
 ჟოლი 394  
 ჟოლ-ი 394

## რ

რაბბუნნი 395  
 რაბი 395  
 რაბ-ი 395  
 რად-ი 395  
 რაკა 396  
 რანგ-ი 396  
 რენგი 396  
 რთულ-ი 397  
 რიალ-ი 397  
 რია-რია 397  
 რიბელი 303  
 რიდე 398  
 როზ 402  
 როდ-ი 399  
 როქი // როქვი 399  
 როქ-ი 399  
 როქის სპა 399  
 როლა 399  
 როში 158  
 როჭიკ-ი 400  
 როჭიკიანი 400  
 რუმბ-ი 401  
 რუთუბა 402  
 რუმბ-ი 403  
 რუფა 402  
 რუფია 402

## ს

სააბრაშუნია გალია 145  
 საადიმოდ 15  
 საარ-ი 404  
 საბავრუკე 80  
 საბავშვო ბაღი 104  
 საბაზმაკე 83  
 საბრ-ი 404

საგარეო ბაზარი 82	სამურავ-ი 411
საგდულებიანი ალათა 28	სამურველი 420
საგრემელი 150	სამური 411
საგრემი 150	სამფარემოსანი 483
საგრემილებელი 150	სამყნობი დანა 166
საგრემილველი 150	სამშენებლო უბანი 469
სადა 404	სამძალი 598
სადაგავი 176	სამძალი/სამძალიანი 598
სადაგველი 176	სანა 411
სადაგი 405	სანადიმო 352
სადარანო 169	სანათ-ი 411
სადარნე 169	სანახები 412
სადარნო 169	სანახ-ი 411
სადდა 405	სანგ-ი 412
სადინგე 181	სანდალ-ი 412
სადორე 188	სანდალიე 412
საეტლო 202	სანდაროზი // სანდალოზი 414
საექიმო უბანი 469	სანდუკი 211
საეშმაკო 202	სანდული 211
საზღვაო ბადრაგი 80	სანთი 411
სათარ-ი 405	სან-ი 411
სათეატრონო კილო 265	სანო(ვ)აგე 367
სათი 405	სანუ(ვ)აგე 367
სათ-ი 417	საორველი 421
სათლ-ი 406	სარა // სარ-ი 416, 418
საიარაკო 56	სარა 418
საინ-ი 406	სარასალი 416
სალა 407	სარაჯ-ი 416
სალათა 408	სართი 417
სალათ-ი 408	სარ-ი 414
სალახ-ი 408	სარი 415
სალდო 409	სარო 418
სალ-ი 406	საროტანი 418
სალტა 409	სასწორისა 604
სამა 409	სატ-ი 419
სამალ-ი 410	სატირ-ი 419
სამარაგო 322	სატლ-ი 419
სამა-სამა 410	საურავ-ი 420
სამ-ი 409	საურველი 420

საურ-ი 420	სიავ-ი 431
საურმელი 420	სიავ-ქუაზი 432
საფირ-ი 421	სიალხე 42
საქმე ნაყიშად დამირჩა 362	სიბა 432
საქონელი 472	სილა 432
საღვანავი 534	სილაგი 433
საღ-ი 421	სილას შეაჭმევს 433
საღონავი 534	სილაქა 433
საღონე 534	სილაქ-ი 433
საყა 422	სილაჰი 433
საჩირბული 582	სილი 433
საწელე 605	სილის გადასმა 432
სახადილოთ 623	სიმინდის ტარო 458
სახანო 422	სიმსილა 435
სახელ-ი 422	სინა 434
სახელი 423	სინავს 434
სახელო 423	სინდის-ი 435
სახლი 423	სინ-ი 434
საჯი // საჭი 423	სინის ფერი 434
საჯ-ი 423	სინოხ-ი 435
საჯის დაქოლვა 424	სინსილა 435
სევდა 440	სინჯ-ი 435
სელ-ი 424	სიპეა 436
სელიერი 425	სიპეანი 436
სელისმრთველი 424	სიპ-ი 436
სელისმქსოველი 424	სირა 437
სენა 427	სირა/ი/ე 438
სენა/სენე 427	სირას ენა 437
სენაკი 427	სირა-სირა 438
სენე 427	სირაჯ-ი 439
სენ-ი 426	სირაჯხანა 439
სერა 429, 439	სირე 438
სერ-ი 428	სირ-ვაშლი 437
სერი-სერ 428	სირი // სიპრი 437
სვე 429	სირ-ი 437
სვერო 442	სირილა 437
სვეტი 565	სირნა 435
სვია 430	სისირ-ი 439
სვიან-ი 431	სისხლის შამანი 554

სიქა 439  
 სიში 570  
 სიწბო 604  
 სიხარბე 634  
 სიხელე 638  
 სკიფ-ი 439  
 სლიპ-ი 439  
 სოარემი 446  
 სოდა 439  
 სოვდა 440  
 სოლა-ცული 441  
 სოლ-ი 440  
 სოლის აჯა 441  
 სოლო 441  
 სომ-ი 441  
 სორი 442  
 სორ-ი 442  
 სორო 442  
 სოფლის მანქანი 319  
 სოღბათი 84  
 სოხრა 442  
 სპეტ-ი 444  
 სპეტობა 444  
 სტილ-ი 444  
 სტოა 575  
 სტოლა 445  
 სტოლ-ი 445  
 სუარი 446  
 სუარიმი 446  
 სუდა 447  
 სუდი 447  
 სუე 430  
 სუეტი 565  
 სუთ-ი 447  
 სულხარბი 635  
 სუნელი 448  
 სუნ-ი 447  
 სურა 448  
 სურო 448

სურსათ-სანოვაგე 367  
 სუს-ი 449  
 სუქ-ი 449  
 სუჩი 447  
 სუჩიანი 447  
 სუხრა 442

**ტ**

ტაბლაკ-ი 450  
 ტაბლ-ი 450  
 ტაგანა 451  
 ტაგანი 451  
 ტაგან-ი 451  
 ტაგანია 451  
 ტაგარი 451  
 ტალა 453  
 ტალავარ-ი 454  
 ტალავერ-ი 455  
 ტალანი 456  
 ტალანტა 456  
 ტალანტას დაუგდებს 456  
 ტალანტ-ი 455  
 ტალარ-ი 456  
 ტალ-ი 452  
 ტალიკ-ი 457  
 ტალრ // ტალაც 452  
 ტანა // ტანაი 458  
 ტანა 457  
 ტარავალი 455  
 ტარო 458  
 ტაღმა 458  
 ტაშტ-აბრაგი 14  
 ტახტზე ასული 72  
 ტეგანი 451  
 ტერეული 459  
 ტერ-ი 459  
 ტიალ-ი 459  
 ტიალი მინდორი 460

ტიკ-ი 461  
 ტიკის მასრაჲ 462  
 ტიმონ-ი 462  
 ტირის თოფი 268  
 ტიფ-ი 462  
 ტოლ-ი 462  
 ტოლიკა 463  
 ტოლობა 462  
 ტოლომა 462  
 ტომარა 464  
 ტომარი / ტომარა 465  
 ტომი // ტომარი 465  
 ტომ-ი 464  
 ტოჰმნი 464  
 ტრიალ-ი 466  
 ტრიონ-ი 466  
 ტროპარ-ი 467  
 ტროპ-ი 466  
 ტულ-ი 467  
 ტულია 467  
 ტუტა 467  
 ტუფ-ი 468  
 ტყავ-ი 468  
 ტყავსაყური 468

**უ**

უარშიო 469  
 უარშიობა 469  
 უბანელი 470  
 უბან-ი 469  
 უბნის ხუფი 470  
 უდბება 471  
 უდებება 471  
 უდებ-ი 471  
 უდებ-ყოფა 471  
 უდ-ი 471  
 უდო 470  
 უეტლოჲ 202

უკვდავი ნარდი 357  
 ულამა 472  
 ულამი 472  
 ულამო 472  
 უოხჰნოჲ 380  
 უპამტაკჰსი 385  
 უპირატესი 389  
 უჟამო 392  
 უჟამოდ-მჰამელი 391  
 ურა 472  
 ურდო 473  
 ურვა 474  
 ურნატა 473  
 ურნატი 473  
 ურნატ-ი 473  
 ურნატიკა 473  
 ურო 474  
 ურო ბალახი 474  
 უროჰიკო 400  
 უსეეტლო 202  
 უსო 475  
 უსტარი || უშტარი 475  
 უსტარ-ი 475  
 უტალაო 453  
 უტიფარი 361  
 უდრუბლოჲ 535  
 უწეროდ 608  
 უხამსი 630  
 უხანო 632  
 უხჰნება 380

**ფ**

ფათალა 78  
 ფათალო 78  
 ფათარი 78  
 ფაკელ-ი 476  
 ფაკეოლი 476  
 ფაკლა 476  
 ფალ 476



- ფალაზი 478  
 ფალანგა 477  
 ფალანგ-ი 476  
 ფალას-ი 477  
 ფალას-ფულასი 496  
 ფალაქი 494  
 ფალაყა 478  
 ფალაყაში მოწევა 478  
 ფალ-ი 476  
 ფამფარა 484  
 ფანდ-ი 478  
 ფანიდი 478  
 ფანჯარა 479  
 ფარა 479  
 ფარაგა 481  
 ფარაგ-ი 480  
 ფარაგია 481  
 ფარაგის ღილი 481  
 ფარაგმასაჭრელი 481  
 ფარაგჩი ჩხირჩამოგდებული 481  
 ფარაშობა 482  
 ფარგა 481  
 ფარგული 481  
 ფარეზ-ი 482  
 ფარეშ-ი 482  
 ფარვანა 483  
 ფარვანი // ფარმანი // ფირმანი //  
 ფირვანი 483  
 ფარიში 482  
 ფარსაგი // ფარსანგი 484  
 ფარსაგ-ი 484  
 ფარსახი 484  
 ფარფარა 484  
 ფარღალალა 481  
 ფარღია 481  
 ფარჩა 485  
 ფარჩა-ფარჩა 485  
 ფარცაგი 484  
 ფასი 485  
 ფასით ყიდვა 486  
 ფაფუჭი 487  
 ფაჩუჩ-ი 487  
 ფერალქატი 41  
 ფერვან-ი 488  
 ფერ-ი 487  
 ფერო 488  
 ფერცხლის გალი 144  
 ფიკია 502  
 ფილა 490  
 ფილაგ-ი 490  
 ფილაკავანი 491  
 ფილაკანი 491  
 ფილაკვან-ი 491  
 ფილაკ-ი 490  
 ფილარი 491  
 ფილეკავანი 491  
 ფილექი 494  
 ფილთა 491  
 ფილ-ი 489  
 ფილინთაჲ 491  
 ფილჯამი 489  
 ფინა 491  
 ფინი 491  
 ფინია 491  
 ფინიკი 490  
 ფიდ 489  
 ფირ-ი 493  
 ფიტვი 494  
 ფიქალ-ი 493  
 ფიჩვი 494  
 ფიჭვ-ი 494  
 ფიჭვის ჟუნა 494  
 ფიჭვის ტომარა 494  
 ფიჭუ 494  
 ფლასაი 494  
 ფლასთ დახურავს 495  
 ფლას-ი 494  
 ფლასის აღებაჲ 495

ფლასფარდაგი 495  
 ფლას-ხალიჩა 495  
 ფლორცნ 498  
 ფოლ-ი 496  
 ფოლისათალი 496  
 ფოლონცო 497  
 ფოლორჩო 497  
 ფოლორცა 498  
 ფოლორცვი 497  
 ფოლორც-ი 497  
 ფოლორცობა 497  
 ფოლოც 497  
 ფოლოცი 498  
 ფონ ფშვინდი 499  
 ფონე 499  
 ფონი 498  
 ფონს გასვლა 499  
 ფორე 500  
 ფორ-ი 500  
 ფორო 500  
 ფოტა 130  
 ფოფოლი 504  
 ფოშ-ი 501  
 ფრა 488  
 ფრასახი 484  
 ფსათია 501  
 ფსანთი 501  
 ფსიად-ი 501  
 ფსიათი 501  
 ფსიტაი 501  
 ფსიტ-ი 501  
 ფსიტინი 501  
 ფსუტი 501  
 ფუთი 130  
 ფუკა 502  
 ფუკია 502  
 ფუნდრუკაობა 502  
 ფუნდრუკ-ი 502  
 ფუნდრუკობა 502

ფუნდუკი 502  
 ფუნჯ-ი 503  
 ფუტ-ი 503  
 ფუფალი 504  
 ფუფუა 504  
 ფუფულა 504  
 ფუფულ-ი 504  
 ფუყა 504  
 ფუჭი 504  
 ფშიკი 126  
 ფშიტ-ი 505  
 ფშუტი 501  
 ფშუტურა 505

## ქ

ქათიბ-ი 506  
 ქალა 506  
 ქალა შაქარი 506  
 ქალაქპეტი 387  
 ქალიმზად 104  
 ქანდა 507  
 ქანქარ-ი 507  
 ქარა 509  
 ქარაფ-ი 509  
 ქარაჯსი 509  
 ქარაცხორ 509  
 ქარ-ი 507  
 ქარს-ი 510  
 ქასრი 510  
 ქაფარ-ი 511  
 ქაფ-ი 510  
 ქაშან-ი 512  
 ქაშანური 512  
 ქეზა 512  
 ქეშაოდ 512  
 ქეშ-ი 512  
 ქვა-ფიქალობა 493  
 ქვიშნა 513  
 ქვიშნი 513

ქია 513	ქულაჯა 524
ქილა 513	ქულბაგი 524
ქილაკი 514	ქულბაი 524
ქილაქი 515	ქულბაქ-ი 524
ქილე 514	ქურა 524
ქილ-ი 513	ქურანი / ქურანა 525
ქილიკაობა 515	ქურბერჯა 525
ქილიკაობს 515	ქურიკა 525
ქილიკი 515	ქურნა 525
ქილიკობს 515	ქურუა 525
ქილიქი // ქილუქი 515	ქურუმ-ი 525
ქიმნობა 515	ქურუნი 526
ქირმან-ი 515	ქუშა, ქვიშა ბალახი 527
ქირმანის შალი 515	ქუშ-ი 526
ქისა 516	ქუშიან-ი 527
ქისტ-ი 516	ქუშტ-ი 527
ქიშტი 516	ქუჩა 528
ქნარ-ი 516	ქუჩალა 528
ქნარის გაწევა 517	ქუჩდება 528
ქობინი 517	ქუჩ-ი 527
ქოლა 517	ქუჩმრუვაი 527
ქოლე 517	ქუჩულა 528
ქორები 517	ქუჩყრუაჲ 527
ქორ-ი 517	ქტირაი 525
ქორო 519	
ქორრი 519	
ქოქ-ი 519	
ქოქი გაწყდეს 520	
ქოშა 520	
ქოშ-ი 520	
ქოჩარი 522	
ქოჩ-ი 521	
ქოჩი ხე 521	
ქოჩობა 522	
ქსენონ-ი 522	
ქუემგოგვარი მიწის (კალია) 154	
ქუზა 523	
ქულა 523	
ქულა წიწილი 523	
	<b>ღ</b>
	ღადარ-ი 529
	ღადა-ღუდა 529
	ღადირი 530
	ღადო 530
	ღადრად 529
	ღადღადი 529
	ღალა 530
	ღალავს 532
	ღალვა 532
	ღალიანი 531
	ღარაი 532
	ღარ-ი 532

ღარიანა 532  
 ღარიანი 532  
 ღარიბ-ი 532  
 ღედდარი 529  
 ღვინის ლამი 292  
 ღიმა 534  
 ღიმ-ი 533  
 ღონე 534  
 ღრუბელ-ი 534  
 ღრუბელი ზღვსაი 535  
 ღრუბლის-გუარი 535  
 ღუდუდ-ი 536  
 ღუდუდ-ღუდუდი 536  
 ღუდღუდ-ი 537  
 ღურბელი 535

**ყ**

ყაბა 538  
 ყაბად წასვლა 538  
 ყაბზად ყოფნა 539  
 ყაბზი 538  
 ყადარ-ი 539  
 ყადარი ხე 539  
 ყადალა 539  
 ყადალა დაჰკრესო 539  
 ყადალა ქნეს 539  
 ყადალას დაადებს 539  
 ყადალას ხსნის 539  
 ყადრი 539  
 ყავალ-ი 540  
 ყავლ-ი 540  
 ყავლობა 540  
 ყაზახ-ი 540  
 ყათარ-ი 541  
 ყალ-ი 542  
 ყამჩა 542  
 ყამჩი 542  
 ყანდარი 543  
 ყანდ-ი 543

ყანდიან-ი 543  
 ყანის ბირკა 112  
 ყანჩა 544  
 ყანჩ-ი 543  
 ყარიბი 533  
 ყასაბა 544  
 ყასაბ-ი 544  
 ყაფ-ი 545  
 ყაფის მთა 545  
 ყაჯარ-ი 545  
 ყბედ-ი 546  
 ყირათი 258  
 ყისტ-ი 546  
 ყიშტი 546  
 ყმენდ-ი 546  
 ყოლბადი 104  
 ყოლბ-ი 547  
 ყორან-ი 547  
 ყოშ-ი 547  
 ყუფ-ი 548  
 ყუი // ყუ 547  
 ყუნ-ი 548  
 ყუნ-კოლი 548  
 ყურან-ი 547  
 ყურე-მარე 59  
 ყურ-ი 548  
 ყური დაფაჲ 175  
 ყურის დუმა 193  
 ყურსელა 176  
 ყურსი 176  
 ყუტუ 283

**შ**

შაანა 556  
 შაბაქა 550  
 შაბაქა ხერხი 550  
 შაბაშ-ი 550  
 შადა 551  
 შად-ი 551, 562

- შავა 551  
 შავი დაფა 175  
 შათირ-ი 551  
 შალალი 555  
 შალამი 555  
 შალაფა 552  
 შალაფ-ი 552  
 შალთა 552  
 შალთავს 553  
 შამან-ი 553  
 შამარა 555  
 შამ-ი 553  
 შანა 555  
 შანავარ-ი 556  
 შანარ-ი 557  
 შანთა 558  
 შანთ-ი 557  
 შან-ი 555  
 შანს მოუგებს 555  
 შარა 560  
 შარაბ-ი 561  
 შარავანი 556  
 შარავი 554  
 შარანი 555  
 შარაფ-ი 561  
 შარაფისტი 561  
 შარდი 562  
 შართ-ი 562  
 შარ-ი 559  
 შარის ბოზოქარი 559  
 შარნა 556  
 შარუხ-ი 562  
 შატა 563  
 შატაბუტა 563  
 შატ-ი 562  
 შატროვანი 563  
 შატყ-ი / ჟატყ-ი 563  
 შაფ-ი 563  
 შაქზე დგას (მთვარე) 564  
 შაქ-ი 564  
 შაქს დაჯდება 564  
 შაქსდამდგარი შიშაქი 564  
 შაქშხეული 564  
 შაღვათ-ი 565  
 შახ-ი 565  
 შახს არ იტებს 565  
 შაჰვა 551  
 შაჰვის 551  
 შაჰრაჲ 560  
 შებაჟებული 94  
 შელლიგი (შენლიკ) 568  
 შემზარავი 337  
 შენავარი 556  
 შეღავათი 565  
 შეყმედილი 546  
 შექარმაგებული 617  
 შვეტ-ი 565  
 შთაპარეხვა 381  
 შიბაქა 566  
 შიბ-ი 566  
 შიბ-შიბი 566  
 შივშაგი 571  
 შილა 567  
 შილაია 567  
 შილ-ი 567  
 შილინგ-ი 568  
 შილინდი 568  
 შიოლი 569  
 შიპ-ი 568  
 შირა 569  
 შირემი 569  
 შირიმ შაგწყდა 569  
 შირიმ-ი 569  
 შირიმიანი 569  
 შირუმი 570  
 შიული 569  
 შიშაგ-ი 570  
 შიშაქი 570

შიშ-ი 570	ჩარჩი 583
შოლტა 572	ჩარჩიკი 583
შოლტ-ი 571	ჩარჩო 583
შორვა // ჩორვა 573	ჩარჩო ბაზარი 583
შორ-ი 573	ჩარხი 580
შორშორ-ი 573	ჩარხ-ი 583
შოტიალი 572	ჩარხის დაფა 175
შპეტი // პეტი 444	ჩაფარა 585
შპეტ-ი 574	ჩაფარ-ი 585
შროშანა 573	ჩაფარი/ე/ა ჩაფარ 585
შროშან-ი 573	ჩაფ-ი 584
შტანგ-ი 573	ჩაფკოკურა 584
შტილ-ი 575	ჩაფლა 585
შტო 575	ჩაფრუკა 584
შურ-ი 576	ჩაფულა 585
შუშა 577	ჩაფულია 585
	ჩაფუნა 584
	ჩაფურა 584
<b>ჩ</b>	ჩაქ-ი 586
ჩადრ-ი 578	ჩელთი 586
ჩაის კოვზი 270	ჩელტ-ი 586
ჩალა 578	ჩენგე 581
ჩალთა 552	ჩერჩი 583
ჩალის სახურავის 240	ჩივთ-ი 587
ჩალიჩ-ი 579	ჩივთი-უთო 587
ჩალიჩობა 579	ჩით არაბი 588
ჩალხ-ი 579	ჩითა 588
ჩალხის მორგვი 580	ჩითაიანი 588
ჩალხის ქვა 580	ჩით-ი 588
ჩამოუგდებს 456	ჩითმათი 588
ჩანა 580	ჩილინგი 568
ჩანა მივეცი 580	ჩინებულება 589
ჩანგ-ი 581	ჩინ-ი 589
ჩანგის დადგმა 581	ჩინიან-ი 590
ჩარა 581	ჩინი-მაჩინი 590
ჩარბე // ჩირბე // ჩორბი 582	ჩირალ-ი 590
ჩარბ-ი 582	ჩირახ-ი 591
ჩარე 581	ჩირბფიცხელობაჲ 582
ჩარ-ი 581	ჩიტის ბირკა 112
ჩარში 583	

ჩიჩეგი 416  
 ჩორბი 582  
 ჩოღან-ი 591  
 ჩოღანო 591

ძერა/ი 599  
 ძილ-ი 600  
 ძილქუში დააწვება 526  
 ძირა 600  
 ძირაკი 600  
 ძნელბედი 107

**ც**

ცა 592  
 ცა[-ვ] 592  
 ცანდალი 413  
 ცეცქა 593  
 ცილ-ი 593  
 ცილის შეწამება 593  
 ცილის-მფუცველი 593  
 ცილის-შემწამებელი 593  
 ცილობა 593  
 ცილფიცი 593  
 ცის ლომი 592  
 ციცა 592  
 ციცა 594  
 ციცაბარდა 594  
 ციცაი 594  
 ციცალაი / ციცუნა 595  
 ციცარ-ი 595  
 ციციე 594  
 ციცირ-ი 595  
 ცუცუნა 596  
 ცუხ-ი 596  
 ცხენის ბორა 119  
 ცხერი დუმა 193  
 ცხვრის ბორა 119  
 ცხრადალიანი 598

**ძ**

ძალთა ცემა 598  
 ძალ-ი 597  
 ძალი საქმისაი 597  
 ძაღლის ნატამალი 360  
 ძაღლიწერა 608  
 ძამა 598  
 ძამა ნაქსოვი 599

**წ**

წალა 602  
 წალ-ი 602  
 წამ-ი 603  
 წამი 604  
 წანკი 617  
 წბილა 604  
 წბილ-ი 604  
 წბილ-ყოფა 604  
 წდობაჲ 611  
 წედა 604  
 წედი 604  
 წელთ ნახვეწი 605  
 წელ-ი 605  
 წელის ხე 605  
 წელიწადეული 605  
 წელიწადეული 606  
 წელწული 605  
 წერა 608  
 წერა-მწერელი 608  
 წერანი 607  
 წერეული 607  
 წერი 607  
 წერ-ი 607  
 წერილა 607  
 წერონი 607  
 წერული 607  
 წველა 609  
 წვენი 94  
 წვივტაგანა 451  
 წიდა 609  
 წიდოანი 611  
 წიდოვან-ი 611

წილა 612	ჭყურტ-ი 620
წილ-ბურკვი 612	ჭყუტა 621
წილ-ი 611	ჭყუტ-ი 621
წილკაოტი 613	ჭყუტია 621
წილკერძი 612	
წილ-ნამაშვრალი 612	<b>ბ</b>
წილობა 613	ხაბაზ-ი 622
წილჩავატი / წილჩაოტი 613	ხადილ-ი 622
წინდის ბუკი 131	ხადილობა 623
წინწილა 614	ხადილოფს 623
წინწილ-ი 613	ხადუმ-ი 624
წუელი 608	ხავარი 624
წულეული 609	ხავარს აკრეფს 624
წუმწუბა 614	ხავილ 624
წუმწუბი 614	ხაზვა 625
წუმწუმა 614	ხაზ-ი 625
წუმწუმელა 615	ხათა 625
წუმწუპა 615	ხალა 627
წუნწუბი 614	ხალასად ნაკერი 628
წურწუმა 614	ხალას-ი 628
წურწუმა 615	ხალე 627
წყლის ალაო 32	ხალვა 628
	ხალვათი 629
<b>ჰ</b>	ხალვასი 629
ჰა 616	ხალ-ი 626
ჰადრაკის დაფა 175	ხალი საზომიაჲ 627
ჰანგ-ი 616	ხალიზი 629
ჰანგოსანი 616	ხალის-ი 629
ჰანკი 617	ხამარი 652
ჰარი 617	ხამსა 630
ჰარ-ი 617	ხამსა ტარო 630
ჰარმაგ-ი 617	ხამს-ი 629
ჰარმალი 617	ხამსილა 631
ჰარო 617	ხამსის წალა 630
ჰაჰრი 617	ხამსის წინდა 630
ჰიმ-ი 619	ხამსური 630
ჰიმ-მეაღვირე 619	ხანა 632
ჰინჭილა 635	ხანდაზმული 632
ჰოტ-ი 620	ხან-ი 630
ჰყირტი 621	ხანი 631
ჰყორტი 621	ხანისა 631
	ხანოჲ 632



ხაო 624  
 ხაოს უკრეფს 624  
 ხარა 633  
 ხარა-დოქ-ი 634  
 ხარაკ-ი 634  
 ხარბი 634  
 ხარბ-ი 634  
 ხარგა 635  
 ხარგალი 635  
 ხარდალი 636  
 ხარდან-ი 636  
 ხარკი 634  
 ხარჯი-ბორჯ-ი 124  
 ხასი 636  
 ხასის ჯარი 636  
 ხაფ-ი 637  
 ხაშ-ი 637  
 ხაჯ-ი 638  
 ხევენგი 16  
 ხელ-ი 638  
 ხელოზა 639  
 ხელჩაფი  
 ხელხვირა 643  
 ხერამი 57  
 ხერ-ი 640  
 ხეფენგი 16  
 ხვანჯა 641  
 ხვანჯ-ი 641  
 ხვარასან-ი 641  
 ხვესტი 644  
 ხვითქ-ი 642  
 ხვინთქი 642  
 ხვირ-ი 642  
 ხილა 645  
 ხინკალ-ი 643  
 ხისტაკ-ი 644  
 ხისტი 644  
 ხიშტაკ-ი 644  
 ხიშტი 644  
 ხიშტ-ი 644  
 ხლა 645  
 ხნიანი 632  
 ხნოანი 632

ხოგი 645  
 ხოკ-ი 645  
 ხონჯი 641  
 ხოპ-ი 646  
 ხორა 646  
 ხორამ-ი 647  
 ხორ-ი 646  
 ხორო 647  
 ხორომ-ი 647  
 ხოროსან-ი 648  
 ხორშ-ი 648  
 ხოფ-ი 648  
 ხოშორ-ი 649  
 ხოხოლა 650  
 ხუნჯი 641  
 ხუითქი 642  
 ხუირი 642  
 ხულა 650  
 ხულ-ი 649  
 ხულია 650  
 ხულმა // ხუმლა // ხურმლა 650  
 ხუმარა 652  
 ხუმარ-ი 651  
 ხუმბარი 651  
 ხურუმ-ი 652  
 ხურფა 652  
 ხუსტი 644  
 ხუხულა 650  
 ხვრი // ხვერი 643  
 ხვრი ხოირი 642

**ჰ**

ჰაბანი 654  
 ჰაგი 282  
 ჰადაგება 653  
 ჰადაგო 653  
 ჰადაგობა 653  
 ჰადვარ-ი 653  
 ჰავზ-ი 653  
 ჰავშან-ქაფი 511  
 ჰაზა 658

ჯალაბ-ი 654	ჰაბა 11
ჯალალდინი // ჯალალედინი 654	ჰავანი 15
ჯალალ-ი 654	ჰავან-ი 663
ჯამა 655	ჰალი 32
ჯამა 655	ჰალ-ი 663
ჯამასი 655	ჰალო 39
ჯამბაზ-ი 655, 656	ჰალო 663
ჯამბასი 655	ჰალხი 42
ჯამე 655	ჰამარ-ყოფა 44
ჯამ-ი 655	ჰამეზა 49
ჯამფილა 489	ჰამო 50
ჯამჯამა 655	ჰანგარი 53
ჯანბაზი 655	ჰარამი 57
ჯანგი 656	ჰასაკეული 664
ჯანდარ-ი 656	ჰასაკ-ი 664
ჯანდრის ხე 656	ჰასაკის სწორი 664
ჯანდ-ი 657	ჰასაკოვნებად 664
ჯანყ-ი 657	ჰახი 75
ჯაორა 658	ჰევენგი 16
ჯარა 657	ჰერამ ოდა 58
ჯარა-ეჟიმი 658	ჰერამი 57
ჯაჯა 658	ჰილი 663
ჯეკმა 659	ჰიომი 182
ჯერაკუმია 659	ჰომი 377
ჯერი 243	ჰომის-მკრებელი 377
ჯილა 659	ჰორელ 664
ჯილებ-ი 659	ჰოროლი 378
ჯიმსი 661	ჰოროლ-ი 664
ჯიმში 661	ჰრაბზონი 395
ჯიმშიერი 661	ჰრაბზუნი 395
ჯინ-ი 660	ჰრაბი 395
ჯინმა მოუარა 660	ჰუდუდი 536
ჯინსი 661	
ჯინჯილ-ი 662	
ჯირიმი 393	
ჯორჯ-ი 662	
ჯორჯმოსილი 662	

**ზანური (ლაზურ-მეგრული)**

აზინდა/ ი/ე 12	ბუნა 134
აჟანდი // აჟენდი 19	ბუნი 133
აზრაგი აზრეკი 14	ბურელი 121
ავანალობა 16	ბური 135
აზარა 22	ბურეკი 117
ალატი 33	გაბრა 142
ალაფი 35	გოლი 155
ალევი 27	გუნდა 159
ანზარი 47	დალამფული
ანგარი 53	დალარი 164
არამი 57	დარანი 170
არვანი 16	დაფი 175
არფა 63	დოლაბი 185
არქე/არქი 63	დორა 188
არხი /ახი 42	დუბელა 192
ასალი/ასანი 69	დურბელა 196
ბადი 108	ელი ელანი 197
ბაია 84	ეფი 240
ბაკი/ბაჭი 86	ვალი 203
ბანი 90	ვარია // ვარელა 206
ბაჟა: ბაჟაში საწებელი 94	ზარი 214
ბაჟი 94	თაკარი თაკარუა 222
ბარა 97	თანგი 225
ბართვი 98	თორი 232
ბასტონი 103	თოფი 234
ბატონი 103	იარა 239
ბახჩა 105	იონი 242
ბახჩიში 105	კამპარი/კაპარია/კაფარი/კამპური
ბედუა 80	247
ბეტარი 126	კანტარი 256
ბორია 122	კაპეტი 250
ბორჯღემა 137	კაპუეტი 250
ბჟირი 106	კარდი 253
ბუთი/ა 130	კარტი 254
ბუკა 131	კილო 266
ბუკი 130	კოდი 269

კოტოლი 275	სანდალიე 413
კოტორი 274	სარა 415
კურტამი 280	სარო 418
ლაბი 285	სასირე 437
ლალა 291	საურავი 420
ლამბი	სელი 425
ლამი 292	სენა 427
ლამპა 293	სენე 428
ლამფა 293	სილადი 433
ლამფამიკრული	ტალავარი/ტალავერი 455
ლებანი 286	ტოლი 463
ლებერი 286	ტომარე 463
ლები 300	ტომი 463
ლია 302	ფარა 480
მაეფა 240	ფარჩი 485
მალა 312	ფასი 486
მალი 312	ფილუ 490
მანა 316	ფინა 492
მასა 325	ფონუა 499
მაშა 327	ქარა 509
მოლი 342	ქვეზა 523
ნარდი 357	ქილა 514
ნერი 201	ქილიქი 514
ნიში 360	ქოში 520
ნიში 364	ქოჩი 522
ნუშა//ნუში 371	ქუჩი 527
-ობა 373	ღალა 531
ოდა 376	ღიმა 534
ომბოლა 375	შალაფი 552
ომბოლა 375	შალთა 552
ოფონალი 499	შამარა 555
პარეხი 382	შანა 556
პინა 388, 389	შანარი 557
ჟამი 393	შარა 560
რაქი 400	შარაბი 561
როჭიკი 401	შარდი 562
საი/სარი 415	შვეტი 566
სალაქუა 407	შილა 568
სანდალი 413	შირა 569

შირი 570	ხალი 627
შუშა 577	ხანი 632
ჩაფი 584	ხარბი 635
ჩაფულა 586	ხვეთქერე 641
ცუხი 596	ხვერი 643
ძირა 601	ხვითქალი 641
წალა 602	ხოლა ბად გ 104
წამი 603	ხორა 643
წერი 607	ხორში 649
წურწუმა 615	ხულა 650
ჭოტი 620	

### სვანური

აბზინდამ 12	ტომარაი ტომარა 466
აბრაგი 14	ტუელ /ტოუელ / ტელ /ტოლ 463
აბრეკი 14	ფირუი წიდ 610
ალააო 32	ქარახს 509
ამარი ჰაპრ, ამარ 45	ქესა / ქისა 516
არაკ 57	ქილ / ქელ 513
აუჟანდ 19	ქილიქ 514
ბაჟ 94	ქიშ 526
ბოტა 126	ქონჩ / ქოჩ 522
ბურდან 99	ქოშ 520
გუნდანა 159	ქულა 523
დორად 188	შამანდელა 554
დურბელი 196	ჩარბალ 582
ზაბაკიან 209	ციცუნდრა 595
თუირ 232	წამ 604
კურტანი 280	წურწუმა 615
ლაგუზ // ლაგუიზ 287	ჭარა 602
ლამ 292	ხარბ 635
რიჭ 401	ხვითქია 641
როჭიკი 401	
სენაი 426	